კახა კაციტაძე

სტრატეგიის საფუძვლები

გამომცემლობა „ცისარტყელა“
2007

სამეცნიერო რედაქტორები:
ბრიგადის გენერალი **ვახტანგ კაპანაძე,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გურამ სანადირაძე

რედაქტორი:
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **კახა ჯამბურია**

დამკაბადონებელი:
თამარ კაციტაძე

წიგნი იბეჭდება ავტორის ხარჯით

ISBN 978-99940-901-1-2

© კახა კაციცაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 10
შესავალი 12

ნაწილი 1. დიდი სტრატეგია და სამხედრო სტრატეგია

თავი 1. ცოტა რამ ისტორიიდან
§1. გერმანული ინტერმეცო დიდ სტრატეგიაზე 17
თავი 2. დიდი სტრატეგიის ცნებისათვის
§2. დიდი სტრატეგიის გამდიდრებული ცნება 27
§3. სამხედრო სტრატეგიის ცნების შემდგომი განსაზღვრა 28
თავი 3. კვლავ ექსკურსები ისტორიაში
§4. შლიფენის გეგმა 32
§5. „ბარბაროსა“ 39
თავი 4. დიდი სტრატეგიის და სამხედრო სტრატეგიის ამოცანების შემდგომი დაკონკრეტება
§6. ურთიერთობა დიდ სტრატეგიასა და სამხედრო სტრატეგიას შორის 46
§7. დიდი სტრატეგიისა და სამხედრო სტრატეგიის მიღების პროცედურები 52
§8. სტრატეგიული დონეების იერარქია 55
თავი 5. სამხედრო ოპერაცია დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით
ოპერაცია „თორჩი“
§9. შენიშვნა 59
§10. სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვა 59
§11. პოლიტიკური კონტექსტი 61
§12. სამხედრო სტრატეგიის შემუშავება 64
§13. საბაზვერვო უზრუნველყოფა 68
§14. „თორჩი“ მოქმედებაში 70
თავი 6. საბჭოთა სტრატეგია
§15. დიდი სტრატეგია და საბჭოთა სისტემის თავისებურებები 75

§16. საბჭოთა სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 76
§17. ოპერატიული ხელოვნება 79
§18. მოძღვრება ომის საწყის პერიოდზე 83
§19. ბირთვული იარაღის როლი
საბჭოთა და ამერიკულ სტრატეგიაში 88

ნაწილი 2. გეოსტრატეგიის საფუძვლები

თავი 1. ძირითადი ცნებების განმარტება
§20. გეოსტრატეგიის ცნებისათვის 95
§21. მსოფლიოს გეოსტრატეგიული
დარაიონება საბჭოთა სამხედრო აზრით 99
§22. მოქმედებათა თეატრის ცნება 100
§23. ნატოს გაერთიანებული სარდლობები 103
თავი 2. ევროპის გეოსტრატეგიული როლი „ცივი ომი"-ს პერიოდში
§24. „ცივი ომი"-ს პერიოდში ევროპის გეოსტრატეგიული
როლის განმსაზღვრელი მიზეზები 105
თავი 3. ცენტრალური ევროპის თეატრის გეოსტრატეგიული დახასიათება
§25. ცენტრალური ევროპის თეატრის
გეოგრაფიული დახასიათება 107
§26. ცენტრალური ევროპის გეოსტრატეგიული
როლი „ცივი ომის" პერიოდში 108
§27. თეატრის ფუნქციონალური
(სამხედრო-სტრატეგიული) დახასიათება 110
§28. ვხო-ს ძირითადი სტრატეგიული მიზნები თეატრზე 113
§29. საბჭოთა ოპერატიული გეგმები თეატრზე 116
§30. თეატრის ორგანიზაციული სტრუქტურა 116
§31. პირველი ეშელონი (ჩრდილოეთის მონაკვეთი) 118
§32. პირველი ეშელონი (ცენტრალური მონაკვეთი) 121
§33. მეორე ეშელონი 125
§34. პირველი ეშელონის ოპერატიულ-სტრატეგიული
რეზერვები 130

§35. ცენტრალური ევროპის თეატრზე ნატოს გაძლიერების
გეგმები „ცივი ომის" დასასრულისათვის 133
§36. ცენტრალური ევროპის თეატრზე სახმელეთო
ძალების შემაჯამებელი ბალანსის დასკვნა 134
§37. სამხედრო-საჰაერო ძალების ბალანსი ცენტრალური
ევროპის თეატრზე 134
**თავი 4. სამხრეთ ევროპის თეატრის
გეოსტრატეგიული დახასიათება**
§38. სამხრეთ ევროპის თეატრის გეოგრაფიული
დახასიათება 139
§39. სამხრეთ ევროპის თეატრის
გეოსტრატეგიული მნიშვნელობა 140
§40. თეატრის ფუნქციონალური დახასიათება 142
§41. თეატრის გეოპოლიტიკური თავისებურება: ნეიტრალებისა
(მიუმხრობლების) და რუმინეთის განსაკუთრებული როლი 146
§42. საბჭოთა სტრატეგიული მიზნები
სამხრეთ-დასავლეთის თეატრზე 148
§43. თეატრზე საბჭოთა ოპერატიული
გეგმების ხასიათი 151
§44. ნატოს სტრატეგია სამხრეთ ევროპის თეატრზე 154
§45. საბრძოლო მოქმედებათა დუნაის
(ავსტრია-იუგოსლავიის) მიმართულება 154
§46. ადრიატიკის მიმართულება 158
§47. იტალია 159
§48. საბერძნეთი 162
§49. დასავლეთ თურქეთი 164
§50. აღმოსავლეთ ანატოლია 169
§51. საავიაციო ბალანსი სამხრეთ ევროპის თეატრზე 171
§52. მხარეთა სამხედრო-საჰაერო ძალების ორგანიზაცია,
აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა 172
§53. საავიაციო ბალანსი 174
**თავი 5. ჩრდილო ევროპის თეატრის
გეოსტრატეგიული დახასიათება**
§54. ჩრდილოეთ ევროპის თეატრის
გეოგრაფიული დახასიათება 175

§55. ჩრდილოეთ ევროპის თეატრის
გეოსტრატეგიული მნიშვნელობა 176
§56. თეატრის ფუნქციონალური დახასიათება 180
§57. საბჭოთა ოპერატიული მიზნები თეატრზე 182
§58. თეატრის შინაგანი კონფიგურაცია 183
§59. ნეიტრალების სახმელეთო ძალები 186
§60. სამხედრო-საჰაერო ძალების ბალანსი 188

ნაწილი 3. სამხედრო სტრატეგიის საფუძვლები

თავი 1. ძირითადი სტრატეგიული კონცეფციები
§61. სტრატეგიული კონცეფციების მოკლე მიმოხილვა 190
თავი 2. კლასიკური სამხედრო სტრატეგია
§62. კლასიკური სტრატეგიის ძირითადი ცნებები 193
§63. განადგურების სტრატეგია და გამოფიტვის სტრატეგია
ჰანს დელბრუკის მიხედვით 198
§64. პოზიციის ცნება კლასიკურ სტრატეგიაში 206
§65. დაგეგმვის ერთეული 213
§66. მოძღვრება ოპერაციაზე. ძირითადი განსაზღვრებები 216
§67. რისკის, ოპერაციაზე დატვირთვის ცნება.
ფაზური დიაგრამა 219
**თავი 3. კლასიკური სტრატეგიული
კონცეფციების მოკლე ისტორია**
§68. ერცჰერცოგი კარლი 224
§69. ჟომინი 232
§70. კლაუზევიცი 251
§71. მოლტკე-უფროსი 270
**თავი 4. არაკლასიკური სტრატეგიული კონცეფციები.
არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგია**
§72. არაპირდაპირი სტრატეგიის ცნება 275
§73. არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია 275
თავი 5. არაკლასიკური (ჰიპერმოდერნისტული) თეორიები
§74. კლასიკური სტრატეგიის კრიზისის მიზეზები 310
§75. რისკის სტრატეგია 314

თავი 6. არაკლასიკური თეორიები (გროსტაქტიკა)
§76. დიდი ტაქტიკა? – მითი თუ რეალობა 334
§77. გროსტაქტიკა. საკითხის დაკონკრეტება 338
თავი 7. „სტრატეგია საკვირველი“ არაკლასიკური სტრატეგიების გამოყენება დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნებაში
§78. დავით აღმაშენებლის არაპირდაპირი ქმედებები დიდი სტრატეგიის სფეროში 340
§79. დავით აღმაშენებლის არაპირდაპირი ქმედებები სამხედრო სტრატეგიის სფეროში 350
§80. კლასიკური, რისკის და სასწაულის სტრატეგია და გროსტაქტიკა დიდგორის ბრძოლაში 353
§81. დაჩრდილვის ეფექტი დავით აღმაშენებლის სტრატეგიაში 359
თავი 8. არაკლასიკური თეორიები. დუეს დოქტრინა. საჰაერო კამპანია სერბეთის წინააღმდეგ
§82. დუეს დოქტრინის არსი 363
§83. კამპანიის დინამიკა 364
§84. ტაქტიკური ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტში 374
§85. კონფლიქტისას გამოყენებული ტაქტიკური იარაღი 382
§86. სტატეგიული ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტში 384
§87. ბომბდამშენი ავიაციის გამოყენების შედეგების შეფასება 387
§88. კოსმოსური თანამგზავრების გამოყენება საბრძოლო მოქმედებებში 388
§89. ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები იუგოსლავიასთან კონფლიქტისას 392
§90. საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტები იუგოსლავიის კონფლიქტისას 395
§91. ნატოს საზღვაო ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტისას 398
§92. ბლოკადის და ემბარგოს უზრუნველყოფა 402
§93. ახალი სტრატეგიული კონცეფციები 402
§94. უორდენის სტრატეგიის შეფასება 406
§95. ბოლოსიტყვაობა 409

თავი 9. სიღრმითი ოპერაცია. ისრაელის მოქმედებები სინაიზე 1967 წელს
§96. სიღრმითი ოპერაციის ცნება 410
§97. სიღრმითი ოპერაცია მოქმედებაში — ექვსდღიანი ომი 414
§98. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. ისრაელის დიდი სტრატეგია 415
§99. სამხედრო სტრატეგიის შემუშავება 417
§100. ძალთა საერთო ბალანსი 420
§101. საბრძოლო მოქმედებების მსვლელობა 425
§102. რომმელები ისრაელიდან 430
§103. ისრაელის წარმატების მიზეზები 441
თავი 10. იდეოლოგიური ომი. „ცივი ომის" არსი და დასავლეთის გამარჯვების მიზეზები
§104. იდეოლოგიური ომის ცნება 442
§105. „ცივი ომი" — უდიდესი იდეოლოგიური ომი ისტორიაში 445
§106. „ცივ ომში" დასავლეთის გამარჯვების მიზეზები 449
თავი 11. XXI საუკუნის სამხედრო მოქმედებათა ხასიათი და საქართველოს სამხედრო პოლიტიკა
§107. შესავალი 455
§108. სამხედრო მოქმდებათა ახალი ფუნქციონალური პარამეტრები 456
§109. დედუქციურ სისტემათა პრიმატი 460
§110. ცვლილებები დროით პარამეტრებში 462
§111. ცვლილებები სივრცობრივ პარამეტრებში 464
§112. ცვლილებები სამხედრო-პოლიტიკური სისტემების საბაზისო ელემენტებში 470
§113. მრეწველობისა და პერსპექტიულ გამოკვლევათა ბაზის ტრანსფორმაცია 472
§114. შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის პრინციპის ტრანსფორმაცია 473
§115. მომავალ სამხედრო მოქმედებათა ხასიათი 474
§116. ინფორმაციული ომი 474
§117. კოსმოსური ომი — ომი კოსმოსიდან 476

§118. საჰაერო ბრძოლის საშუალებათა
გამოყენების ტრანსფორმაცია 478
§119. სახმელეთო საბრძოლო მოქმედებები XXI საუკუნეში 479
§120. მოქმედებები საზღვაო აკვატორიებში 480
§121. ცვლილებები შეიარაღებული ძალების
მართვის ორგანიზაციულ პრინციპებში 481
§122. ცვლილებები სამხედრო პოლიტიკის
დაგეგმვის სფეროში 483
§123. ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია და
პატარა სახელმწიფოთა უსაფრთხოების პოლიტიკა 484
§124. ახალი რევოლუცია სამხედრო საქმეში და
საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა 486
დასკვნა.
სამხედრო სტრატეგია — მეცნიერება, ხელოვნება, თუ...
§125. საკითხის დასმისათვის 491
§126. მეცნიერებისა და ხელოვნების გაგების
ისტორიის მოკლე მიმოხილვა 493
§127. სტრატეგია მეცნიერებაცაა, ხელოვნებაც
და ფრონესისიც 500
ფილოსოფიური ბოლოთქმა 501

დამატება I. „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“ — ვახტანგ
გორგასლის სამხედრო ხელოვნება და სამხედრო სიმბოლიკა ... 520
დამატება II. წერილი მეცნიერ-რედაქტორს 545
დამატება III. გეოსტრატეგიული ბალანსი ევროპაში
„ცივი ომის“ პერიოდში 556
დამატება IV. ნატოს, ვარშავის ხელშეკრულების
და ევროპის ნეიტრალური სახელმწიფოების მძიმე
ტექნიკის ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლები 565
დამატება V. „ცივი ომის“ პერიოდის
საბრძოლო ავიაცია 573
დამატება VI. სახმელეთო ძალების ორგანიზაცია
XX საუკუნის 80-იანი წლებისთვის 586

შენიშვნები 605
ციტირებული ლიტერატურის სია 639

წინასიტყვაობა

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ომების ისტორიაა. თავად ის სახელმწიფოც, რომელიც ფარნავაზმა შექმნა ომის პროცესში ჩამოყალიბდა. ამ ომების, კამპანიების და ბრძოლების სტატისტიკის მოყვარულთ ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებზე " მივუთითებთ, სადაც მართლაც რომ შთამბეჭდავი რიცხვებია მოყვანილი. უცნაურია, მაგრამ ამ ვითარებაში, ამ მრავალი საუკუნის მანძილზე, საქართველოს ისტორიაში ჩვენ არ გვხვდება ტრაქტატები სამხედრო ხელოვნების შესახებ (თუმცა ამ თემაზე მხატვრული ან ისტორიული ჟანრის ავტორებთან ბევრი ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ეს ავტორები გასაგები მიზეზების გამო შორს იყენენ სამხედრო — თეორიული ცოდნიდან). ამას რამოდენიმე გარემოება განაპირობებდა. ჯერ ერთი გვიანი ანტიკურობა საერთოდ უკიდურესად ღარიბია ამგვარი ნაშრომებით. როდესაც 6-7 საუკუნის ბიზანტიაში შედარებით მნიშვნელოვანი სამხედრო ტრაქტატები იწერება, საქართველოს სამეფო აღარ არსებობს, აღარც რეგულარური ჯარი ჰყავს და ბუნებრივია აღარც სამხედრო ხელოვნებისათვის ცხელა ვინმეს. ზუსტად ასეთი ვითარებაა მე-18 საუკუნის ბოლოდან, როდესაც რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა. ყველაზე მოსალოდნელი ასეთი ტრაქტატების არსებობა თითქოს დავით აღმაშენებელსა და ლაშა-გიორგის შორის შუალედში უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ეპოქა, მთელი დედამიწის მასშტაბით აღსავსე გრანდიოზული, მათ შორის სამხედრო მოვლენებით (მარტო ჯვაროსნული ლაშქრობები რად ღირს!) გასაოცრად ღატაკია სამხედრო საქმისადმი მიძღვნილი შრომებით.

არადა, ქართულ სამხედრო ხელოვნებაში გარკვეული სტრატეგიული პრინციპების არსებობა ფაქტია. ამას ერთნაირად ადასტურებენ უცხოური და ქართული წყაროები. ამ შრომაში ვცადეთ მოგვეხდინა დავით აღმაშენებლის სტრატეგიის რეკონსტრუქცია და რაღაცნაირად მოგვეხაზა ის სტრატეგია, ვახტანგ გორგასალი რომ იყენებდა. თუმცა ამ მიმართულებით ჩვენს მკვლევარებს ზღვა სამუშაო ელით.

ასეა თუ ისე, წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოში პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა სტრატეგიის შესახებ. უკვე ეს გარემოება ობიექტურად განაპირობებს იმას, რომ მას ბევრი ნაკლოვანება ექნება. ავტორს ეს კარგად ესმის და სიამოვნებით მიიღებს ყველა არგუმენ-

ტირებულ შენიშვნას. ნაშრომის წერის პროცესში ძალიან მაშფოთებდა ის, თუ რამდენად მოხერხდებოდა სტრატეგიისათვის დამახასიათებელი კონცეპტუალური აპარატის გადმოცემა ქართულ ენაზე. საბედნიეროდ ამოცანა არც ისე რთული აღმოჩნდა, როგორც თავიდან მეჩვენებოდა და ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება ავად თუ კარგად მოხერხდა (რაც ქართული ენის შესაძლებლობებს კიდევ ერთხელ ადასტურებს). თუმცა მათ, ვინც ოპერატიულ ხელოვნების და ტაქტიკის საკითხებზე იმუშავებენ, ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით განუზომლად დიდი შრომა ელით.

მე თავს არ ვიტყუებ იმით, რომ წიგნს მრავალრიცხოვანი მკითხველი ეყოლება. ამას თავად სტრატეგიის თავისებურებებიც განაპირობებს და ჩვენში არსებული ვითარებაც, რომელიც ადამიანს ყველაზე ნაკლებ განაწყობს კითხვისადმი. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მის მკითხველთა შორის სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები შეიძლება იყვნენ (და არა მხოლოდ პროფესიონალი სამხედროები) შევეცადე წიგნისათვის ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმა მიმეცა. წიგნის ძირითადი ნაწილი არ მოითხოვს სპეციალურ სამხედრო განათლებას. ვთქვათ მისი წაკითხვა არ უნდა გაუჭირდეს პოლიტოლოგს. სამაგიეროდ ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სამხედროსათვის ან სამხედრო საქმეში სპეციალურად დაინტერესებული მკითხველისათვის დანართებსა და შენიშვნებშია გატანილი. შენიშვნებში ეცადე მკითხველისათვის მიმეწოდებინა ინფორმაცია იმ ისტორიული პირების შესახებ, რომელთაც მკითხველი ამ წიგნის გვერდებზე შეხვდება. შენიშვნების ნუმერაცია მოცემულია არაბული ციფრებით სათანადო სიტყვის შემდეგ მარჯვენა ზედა კუთხეში. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა წყაროების მონაცემები სხვადასხვა არმიებზე ერთმანეთისაგან განსხვავდება. ჩვენს წიგნში მოტანილია შუალედური (განმაზოგადებელი) ვარიანტი.

დასასრულს, მადლობა მინდა მოვახსენო ჩემს მეგობრებს, წიგნის მეცნიერ-რედაქტორს ბრიგადის გენერალ ვახტანგ კაპანაძეს და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ გურამ სანადირაძეს, ისევე როგორც რედაქტორს — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, კახა ჯამბურიას, რომელთა დახმარების გარეშე ეს წიგნი ვერ იხილავდა დღის სინათლეს. ავტორი უდიდესი მადლიერებითაა გამსჭვალული მათ მიმართ, ვინც გამოსაცემად მოამზადეს ეს წიგნი, სახელდობრ: გიორგი ბერიაშვილის და თამარ კაციტაძის მიმართ.

შესავალი

ნაშრომის ამ და მის მომდევნო ნაწილებში საუბარი გვექნება სტრატეგიის შესახებ, უფრო ზუსტად, სხვადასხვა მიდგომებზე ამ ცნების მიმართ (და არა მხოლოდ ამის თაობაზე). ამგვარი ანალიზი ცნებების ნათელ დეფინიციას გულისხმობს. თუმცა ამგვარი დეფინიციის მოთხოვნა ერთგვარ ლოგიკურ წრეს შეიცავს. ჩვენ გვჭირდება სტრატეგიის სრულყოფილი, იდეალური, ან იდეალურთან მიახლოებული ცნების შინაარსი, რათა ადეკვატურად შევაფასოთ რამდენად სწორია (ან იყო) ესა თუ ის მიდგომა ამ სფეროში. მეორეს მხრივ, ამგვარი შინაარსის დადგენა შეუძლებელია იმის გარკვევის გარეშე, როგორ გაიგებოდა სტრატეგიის არსი ამა თუ იმ სკოლასა თუ მიმართულებაში. სხვაგვარად, ფილოსოფიური განსაზღვრისათვის, ისტორიული მასალა გვჭირდება, მაგრამ ამ მასალის შესაფასებლად ისევ ფილოსოფიური მიდგომაა საჭირო.

თუმცა გამოსავალი არსებობს. შეგვიძლია ჯერ თუნდაც ინტუიტიური სიცხადის დონეზე ჩამოვაყალიბოთ ცნებების შინაარსი და შემდეგ ისტორიულ მასალაზე მითითებით მუდმივად ვაკეთოთ კორექტირება. როდესაც რომელიღაც ეტაპზე ამ ცნების უფრო მაღალი დონის განსაზღვრებამდე მივალთ და ახალი სიმაღლიდან შევხედავთ ისტორიულ მასალას, იგი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. ეს პროცესი რამოდენიმეჯერ შეიძლება განმეორდეს. მივიღებთ ერთგვარ სპირალს, რომლის ყოველ, უფრო მაღალ საფეხურზე, სტრატეგიის ცნების შინაარსი სულ უფრო გამდიდრებულად და ნათლად წარმოგვიდგება. ნაშრომის ამ მონაკვეთში მე ამ მიდგომას გამოვიყენებ.

ამოსავლად ავიღოთ ხსენებული ტერმინის ტრივიალური მნიშვნელობა და მოგვიანებით თანდათან დავხვეწოთ. ეს მნიშვნელობა სულ მცირე ბიზანტიურ სამხედრო ტრაქტატებშია დაფიქსირებული და მის თანახმად სტრატეგია არის ომის მოგების ხელოვნება, ხოლო ტაქტიკა — ბრძოლის მოგების ხელოვნება.

თუმცა ეს ორწეროვანი დაყოფა სერიოზულ ეჭვქვეშ დადგა XX საუკუნეში. გერმანული და რუსულ-საბჭოთა აზრი სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეებს შორის გამოყოფდა საშუალოს — ოპერატიულს. ოპერატიულ ქმედებებსა და დაგეგმვაზეც სხვა სკოლებიც ლაპარაკობდნენ, ოღონდ ამ ტერმინის ქვეშ სრულიად განსხვავებულ ში-

ნაარსს დებდნენ (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). თავის მხრივ, ამერიკული სკოლა კარგა ხანს არ აღიარებდა ოპერატიულ რგოლს, თუმცა სტრატეგიისა და ტაქტიკის გვერდით ოპერირებდა ცნებით „დიდი სტრატეგია", რომელიც საერთოდ გადამწყვეტად მიიჩნეოდა ომში გამარჯვებისათვის.

საბჭოთა სამხედრო აზრი რომ ბურჟუაზიულს უპირისპირდებოდა, ამაზე, ცხადია, არავინ იდავებს. ოღონდ ეს დაპირისპირება განსხვავებით, ვთქვათ, ფილოსოფიურისაგან ან, თუ გნებავთ, ხელოვნებათმცოდნეობრივისაგან, არსებით განსხვავებას შეიცავდა: საბჭოთა სამხედრო თეორეტიკოსი თავის „ბურჟუა" კოლეგას მეტ ანგარიშს უწევდა, ვიდრე, ვთქვათ, ფილოსოფოსი ან მხატვრობის ისტორიკოსი. არავინ იცის, რით იყო ეს განპირობებული. შესაძლოა იმით, რომ მარქსიზმის კლასიკოსები კლაუზევიცს დიდად აფასებდნენ, ანდა იმით, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული სამხედრო-თეორიული აზრი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა და მასზე იდეოლოგიური ბრძოლა ნაკლებ მოქმედებდა, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე. მაგრამ ფაქტია, რომ ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდა კლაუზევიცს ლამის ჰეგელის დონეზე აყენებდა (ჰა და ჰა, მარქსიზმის დონესაც კი მიაღწევდა, ერთი იდეალიზმი უშლიდა ხელსო). მაგრამ ეს პიეტიტი საეჭვოა მხოლოდ იდეოლოგიური დოგმატებით ყოფილიყო განპირობებული. საბჭოთა სტრატეგები უფრო პრაქტიკული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ. ამიტომ რეიგანის მიერ გამოცხადებული ჯვაროსნული ომის პერიოდშიც კი საბჭოთა სამხედროები ლიდელ-ჰარტის მიერ შემოტანილ — „დიდი სტრატეგიის" — ცნებას ბურჟუაზიულადაც კი არ აცხადებდნენ (მსგავსად კიბერნეტიკისა და გენეტიკისა). მეტიც, მას ნეგატიურადაც არ განიხილავდნენ. საბჭოთა სამხედრო ენციკლოპედიაში პრინციპში „დიდი სტრატეგიის" ნეიტრალური ცნებაა მოცემული: „დიდი სტრატეგია" (უცხოური) კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებული ცნება, რომელიც აღნიშნავს პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედრო საშუალებების მაქსიმალურად ქმედით გამოყენებას ომის მიზნების მისაღწევად. პირველად გაჩნდა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ" (30, 94).

ამრიგად, დიდი სტრატეგია თვით ოფიციალურ საბჭოთა გამოცემაშიც კი არ ხასიათდება ნეგატიურად, თუმცა აღინიშნება, რომ ის საზღვარგარეთული ცნებაა, ანუ საბჭოთა სამხედრო აზრი მას არ

იყენებს; ძნელი მისახვედრი არც ის უნდა იყოს — რატომ. ამას მიუთითებს ხაზგასმა იმაზე, რომ ეს კონცეფცია ინგლისში წარმოიქმნა და, საერთო ჯამში, ანგლოსაქსონური ტრადიციის პროდუქტია. მაშინ როდესაც საბჭოთა (როგორც მანამდე მეფის რუსული) ტრადიცია თავისი არსით კონტინენტალურ, უფრო ზუსტად, კლაუზევიცის, კიდევ უფრო ზუსტად, კლაუზევიცის სკოლის მიმდევრების თვალსაზრისს ემყარება.

ამის მიუხედავად, დიდი სტრატეგიის ცნების გამოყენება საბჭოთა სამხედრო ხელოვნების დახასიათებისათვისაც კი აუცილებელია, ვინაიდან მან ან, უფრო ზუსტად, მისმა არარსებობამ საბჭოთა (ისევე როგორც პრუსიული, ხოლო მოგვიანებით გერმანული) სამხედრო აზრი ისეთ დასკვნებამდე მიიყვანა, რომლებმაც ძირეული, შეიძლება ითქვას, საფუძველმდებარე გავლენა მოახდინეს მსოფლიოს ბედზე და მილიონობით ადამიანის სიცოცხლეზე.

საბჭოთა სამხედრო აზრის ყველა წარმომადგენელი იზიარებდა თეზისს სამხედრო ხელოვნების სამწევროვანი დაყოფის შესახებ, სახელდობრ: სტრატეგიად, ოპერატიულ ხელოვნებად და ტაქტიკად. ეს თვალსაზრისი იმდენჯერ დაფიქსირებულა, რომ მისი დაწვრილებით განხილვა საჭირო არაკია. სამხედრო ენციკლოპედიის დონეზეც კი საბჭოთა აზრი სტრატეგიას, ერთი მხრივ, უკავშირებს სამხედრო დოქტრინას და მისი მეშვეობით პოლიტიკას, მაგრამ, მეორე მხრივ, არ ცნობს ისეთ კატეგორიას, როგორიცაა დიდი სტრატეგია. სტრატეგია მისთვის მხოლოდ სამხედრო, უფრო ზუსტად წმინდა სამხედრო ფენომენად რჩება. მართალია, საბჭოთა სამხედრო ისტორიაში არსებობდა სტრატეგიის გააზრების ისეთი ცდები, რომელსაც დიდი სტრატეგიის ცნებამდე მივყავდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ცდები რეალიზებული არ ყოფილა. მაგალითად, სვეჩინი[1] ძალიან ახლოს მიდიოდა დიდი სტრატეგიის ცნებასთან, როდესაც წერდა: Стратегия это - искусство комбинировать подготовку операций для достижения цели, видвигаемой войной для вооруженных сил. Стратегия решает вопросы, связанные с использованием как вооруженных сил, так и всех ресурсов страны для достижения конечной военной цели. Если оперативное искусство должно учитывать возможности, представляемые фронтовым тылом, то стратег должен учитывать весь тыл - свой и противника - представляемый

государством со всеми его политическими и экономическими возможностями. Стратег будет действовать успешно, если он правильно оценит характер войны, находящийся в зависимости от разнообразных экономических, социальных географических, административных и технических данных. (27, Введение. ელეერსიას გვერდების ნუმერაცია არ გააჩნია).

რასაკვირველია, სტრატეგიის ამგვარი დეფინიცია სცილდება ვიწრო-სამხედრო გაგებას. ლაპარაკია პოლიტიკური,ეკონომიკური,დიპლომატიური და სხვა სახის რესურსების კონცენტრირებულ გამოყენებაზე ომის მიზნების მისაღწევად. ეს ფაქტობრივად (ყოველ შემთხვევაში, შინაარსისეული თვალსაზრისით) იგივეა, რაც დიდი სტრატეგია. მაგრამ საბჭოთა სამხედრო აზრის შიგნით ეს ცნება არ განვითარდა. ჩანს, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური მიზეზების გამო. ამ მიზეზთა სათავე საბჭოთა წყობაში და მისთვის დამახასიათებელ პარადოქსებშია საძიებელი.

ახლა, როდესაც უკვე გვაქვს თუგინდ არადამაკმაყოფილებელი წარმოდგენა დიდი სტრატეგიის, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის ცნებებზე (ხაზს ვუსვამთ – წარმოდგენა – და არა ცნება) უკვე შეგვიძლია ისტორიულ მასალაზე მიმართვა. მაგალითებს გერმანიის ისტორიიდან ავიღებთ.

ნაწილი პირველი

დიდი სტრატეგია
და სამხედრო სტრატეგია

თავი 1
ცოტა რამ ისტორიიდან

§1
გერმანული ინტერმეცო დიდ სტრატეგიაზე

1866 წელი. სამყარო გლობალიზაციას კიდევ არ მოუცავს, თუმცა ერთი მეორის მიყოლებით მიმდინარე კონფლიქტებზე ერთნაირად წერენ პარიზშიც და ლონდონშიც, ბერლინშიც და პეტერბურგშიც, ტურინშიც (მაშინდელი ყველაზე ძლიერი იტალიური სახელმწიფოს დედაქალაქში, რომლის მთავრობას რომში გადასვლა წესიერად ჯერ არც მოუსწრია) და მადრიდშიც. ვაშინგტონი პრაქტიკულად არ აქტიურობს. ამერიკა ახლადდამთავრებული სამოქალაქო ომის ჭრილობებს იშუშებს. იქ დგება ის ეპოქა, რომელიც ესოდენ ხატოვნად აღწერეს დიდმა ამერიკელმა მწერლებმა: ფოლკნერმა და ქალბატონმა მიჩელმა. თუმცა მშვიდობა არც ევროპაში სუფევს და არც არსად.

სულ ათი წელია, რაც პეტერბურგის ავანტურისტულმა პოლიტიკამ ყირიმის ომში[2] ცხვირი წაიტეხა გაერთიანებული ინგლისურ-ფრანგულ-სარდინიულ-ოსმალური კოალიციის წინააღმდეგ. შორეულ შექსიკაში პრეზიდენტ ხუარესის განმათავისუფლებელ არმიას კიდევ უწევენ წინააღმდეგობას ფრანგი ლეგიონერები, თუმცა ომის შედეგი ნათელია. ფრანგებმა (და მათმა მოკავშირე ავსტრიელებმა) ეს ომი წააგეს[3]. ევროპულ სახელმწიფოთა ძალისხმევით ჩინეთში ბოლოს და ბოლოს ჩახშობილია ტაიპინთა აჯანყება[4], მაგრამ ყოველივე ამას ევროპისათვის სიმშვიდე არ მოუტანია. უკვე სამი წელია, რუსებმა სისხლში ჩაახშეს პოლონელების აჯანყება, მაგრამ სიმშვიდემ იქაც არ დაისადგურა. სიმშვიდე არც ჩრდილო კავკასიაში სუფევს 1859 წელს ავსტრიასთან ომში დამარცხებული (მაგრამ უკვე ერთიან სახელმწიფოდ შემდგარი) იტალია სასოებით ელის შესაფერის მომენტს, რათა დაიბრუნოს თავისი მარგალიტი — ვენეცია. დანიას შლეზვიგის კვლავ მიერთება სურს[5]. ნათელია, რომ ევროპაში დენთის სუნი ტრიალებს. სუნი, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ მსოფლიო ხანძარს გამოიწვევს და ხელისუფლებაში თვისებრივად ახალ, ტოტალიტარულ ძალებს მოიყვანს. მაგრამ მანამდე ერთი რამ უნდა მოხდეს. გერმანია უნდა გაერთიანდეს. უძლიერეს გერმანულ სახელმწიფოს — პრუსიას სათა-

ვეში რკინის კანცლერი უდგას, რომელმაც იცის, როგორ უნდა გააერთიანოს ის.

მისია, მიზანი ნათელია: პრუსიის ეგიდით გერმანიის გაერთიანება. ამ მისიისათვის რამდენიმე რთული სამხედრო და დიპლომატიური ამოცანაა შესასრულებელი:

ბრიტანეთის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა, რაც ჯერ არ შეიცავს პირველი რიგის სირთულეებს. ამაყ ალბიონს ჯერ არ შეუცნია, რომ გაერთიანებული გერმანია მისი ყველაზე სერიოზული კონკურენტი იქნება. მას გაუხარდება კიდეც, თუ კოლონიურ საკითხებში მის (ბრიტანეთის) მოწინააღდეგეს საფრანგეთს (რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ყირიმის ომში ამავდროულად ბრიტანეთის მოკავშირე იყო) ცხვირ-პირს დაუნაყავენ.

პეტერბურგის ნეიტრალიტეტი თითქმის გარანტირებულია. ყირიმის ომში დამარცხებულ რუსეთს, რომელმაც უზომო ძალა შეალია პოლონეთის 1863 წლის აჯანყების ჩახშობას და რომელიც უმნიშვნელოვანეს საშინაო რეფორმებს ატარებს (ბატონყმობის გაუქმება და ა.შ.), ევროპულ პოლიტიკაში აქტიური ჩარევის თავი არა აქვს. ისე, ბრიტანეთის არ იყოს, ისიც მოხარული იქნება, თუ ყირიმის ომისას მისი ძველი მტერი — საფრანგეთი და ვითომც მისი მოყვარე — ავსტრია გაილახება.

ოტო ფონ მისმარკი

იტალია უკვე დაიბადა. გრაფ კავურს უკვე წარმოთქმული აქვს თავისი ისტორიული სიტყვები: „ჩვენ შევქმენით იტალია, დროა შევქმნათ იტალიელები“-ო. რისორჯიმენტო პრაქტიკულად დასრულდა, იტალია გაერთიანებულია, მაგრამ ვენეცია ისევ ავსტრიელთა ხელშია და, სანამ ასეა, რკინის კანცლერს ყოველთვის შეუძლია იტალია თავის მოკავშირეთა ბანაკში იხილოს;

ასე რომ, დიპლომატიურ ამოცანათა დიდი ნაწილი მიღწეულია. ესპანეთი, დანია და შვედეთი სხვადასხვა მიზეზთა გამო მხედველობაში

არცაა მისალები. ძირითადი მისიის გზაზე ორად-ორი მოწინააღმდეგე დგას: ავსტრია, რომელსაც თვითონ აქვს გერმანიის გაერთიანების პრეტენზია და საფრანგეთი, რომელიც რიშელიეს დროიდან მოყოლებული ეწინააღმდეგება გერმანიის გაერთიანებას. ნათელია, რომ დიპლომატიური ხერხები არცერთის მიმართ არ გაჭრის და სამხედრო ძალა იქნება გამოსაყენებელი. ცხადია, საფრანგეთი ბევრად ძლიერია ავსტრიაზე, მაგრამ ის სხვადასხვა კოლონიურ ომებშია ჩართული. საჭიროა მისი დიპლომატიური ნეიტრალიზება მანამ, სანამ ავსტრია სამხედრო ძალის გამოყენებით მწყობრიდან იქნება გამოყვანილი. გერმანული, უფრო ზუსტად, ჯერ კიდევ პრუსიული დიპლომატია ამას ახერხებს. ახლა საჭიროა ავსტრიის მაქსიმალურად სწრაფად დამარცხება.

პრუსია ავსტრიას აღემატება სამხედრო-ეკონომიკურად, აქვს უფრო განვითარებული სარკინიგზო ხაზები (რომელსაც, როგორც ამერიკის სამოქალაქო ომმა აჩვენა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიული ეპოქის ომებში გამარჯვებისათვის). მართალია, ავსტრიის მხარეს მოსალოდნელია რიგი გერმანული სახელმწიფოების გამოსვლა, მაგრამ პრუსიის რკინის კანცლერს[6] ეს არ აშინებს.

ფელდმარშალი ფონ მოლტკე ისტორიაში პირველი გენშტაბის შემქმნელი

პრუსიას კიდევ ყველაზე საიდუმლო და ყველაზე საშინელი იარაღი აქვს. ერთგვარი „ატომური ბომბი". ეს „ბომბი" მოლტკე უფროსის[7] მიერ შექმნილი დიდი გენერალური შტაბია, ყველაზე სრულყოფილი სამხედრო-დამგეგმავი მანქანა, რაც კი უნახავს მანამდე კაცობრიობას. 1866 წლის 16 ივნისს პრუსია იჭრება ჰანოვერში, ჰესენსა და საქსონიაში. ბავარიის მეფე ლუდვიგს ომზე მეტად ვაგნერის მუსიკის მოსმენა უყვარს. პრუსიის შემდეგ ყველაზე ძლიერი გერმანული სამეფო, ბავარია, ფაქტიურად უმოქმედოა. 20 ივნისს პრუსიის მხარეს ომში იტალია ერთვება.

არ შევჩერდები სამხედრო მოქმედებების მსვლელობაზე, თუმცა ისინი ნამდვილად იმსახურებენ ამას. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ 3 ივლისს სადოვასთან ავსტრიელთა ჯარი სასტიკად დამარცხდა. ვენისკენ გზა ხსნილი იყო. პრუსიელი გენერლების წინაშე ყველა გენერლისათვის ყველაზე საოცნებო შესაძლებლობა იდგა: გენერალურ ბრძოლაში მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ძირითადი დაჯგუფების განადგურების შემდეგ მისი დედაქალაქის ოკუპაცია. მით უფრო, როგორი დედაქალაქის: ვენისა, რომლის კედლებს მრავალი დამპყრობი შეწყდომია და რომელიც მხოლოდ ბონაპარტს აუღია. აქ კი მოულოდნელად პრუსიელ გენერლებს ახალი, თანაც უძლეველი მტერი დახვდათ. ეს მათივე რკინის კანცლერი იყო

ბისმარკს, ცხადია, ოდნავადაც არ შურდა თავისი გენშტაბის უფროსის და თავდაცვის მინისტრისა — მოლტკესა და როონისა[8]. ის უბრალოდ სხვა კატეგორიებით აზროვნებდა. ის კარგად ხედავდა, რომ გერმანიის გაერთიანების საქმეში ძირითადი მოწინააღმდეგე ავსტრია კი არა, საფრანგეთი იყო და რომ მას ადრე თუ გვიან საფრანგეთთან ომი მოუწევდა, მოუწევდა გადამწყვეტი ომი გერმანიისათვის. ამ ომში რკინის კანცლერს ერჩივნა ავსტრია ნეიტრალური ყოფილიყო. დაეუშვათ, აელოთ პრუსიის ძალებს ვენა. მოახერხებდა მის შენარჩუნებას? ცხადია, იმ წამს პრუსიის ასეთ გაძლიერებას არავინ დაუშვებდა. ამოქმედდებოდა საფრანგეთი, რუსეთი. ბრიტანეთიც კი ალბათ უარს იტყოდა „ბრწყინვალე იზოლაციის" ვიქტორიანულ პოლიტიკაზე (რომელიც სწორად იმხანს იქმნებოდა). ასე რომ, ვენის დაკავება პოლიტიკურად არაფერს იძლეოდა. პრუსიას მისი დატოვება მაინც მოუწევდა, ხოლო ავსტრიას სამუდამოდ მტრად მოიკიდებდა. ამიტომ ბისმარკმა მოითხოვა შეტევა არა ვენის, არამედ უნგრეთის მიმართულებით წარემართათ.

თავის მემუარებში ბისმარკი ამტკიცებს, თითქოს ამ ნაბიჯისაკენ იმ გარემოებამ უბიძგა, რომ ვენის შტურმისათვის საჭირო მძიმე არტილერია მაგდებურგიდან უნდა ჩამოეტანათ, რასაც ორი კვირა დასჭირდებოდა (იხ. 11, თავი მე-20). მაგრამ აქ რკინის კანცლერი ეშმაკობს. მას უბრალოდ უნდოდა თავისი წარმატებით თავბრუდახვეული სამხედროები რამენაირად შეეჩერებინა (გამარჯვებული სამხედროების შეჩერება ისევე ძნელია, როგორც დამარცხებულისა). ჭეშმარიტ მიზეზს ბისმარკი მემუარებში სხვაგან ხსნის. იგი წერს: „ავსტრიასთან ჩვენი შემდგომი

ურთიერთობისთვის ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო თავიდან ამეცილებინა მისთვის დამამცირებელი მოგონებები. პრუსიის ჯარის ძლევამოსილი შესვლა მოწინააღმდეგის დედაქალაქში, ცხადია, ჩვენს სამხედროთათვის ფრიად სასიამოვნო მოგონება იქნებოდა, მაგრამ ამაში ჩვენი პოლიტიკისათვის ვერაფერს საჭიროს ვერ ვხედავდი. ეს ჩვენთვის არ წარმოადგენდა რა უკიდურეს აუცილებლობას, ხელს შეუშლიდა ჩვენს



ბლიფენის და მანშტაინის გეგმები და 1940 წლის მაისში შექმნილი სიტუაცია

მომავალ ურთიერთობებს" (11, 37). და კანცლერმა თავისი გაიტანა. პრუსიის არმიამ შეტევა უნგრეთისაკენ დაიწყო. ავსტრიელებს კარგად ახსოვდათ, რომ 18 წლის წინ უნგრეთის აჯანყების ჩახშობა მხოლოდ ევროპის ჟანდარმის, რუსეთის მეშვეობით მოახერხეს. ახალი აჯანყების შიშით მათ სასწრაფოდ დაიწყეს სამშვიდობო მოლაპარაკებები. პრუსია გერმანიის ჰეგემონად საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული. გაერთიანებული იტალიის სამეფომ ვენეცია მიიერთა. ამავე დროს ავსტრიამაც მოახერხა საკუთარი თავის და, ნაწილობრივ, პრესტიჟის შენარჩუნებაც კი.

ახლა გერმანიის ისტორიის სხვა მონაკვეთი განვიხილოთ. უკვე ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. გარეთ მე-2 მსოფლიო ომია და მანშტაინის[9] გეგმის საფუძველზე შლიფენის გეგმის ახლებური რეალიზაცია თითქოს შესაძლებელია (იხ. ქვემოთ). 1940 წლის მაისი. გერმანიას თითქოს აღარ აქვს ორ ფრონტზე ომის საფრთხე. ინგლისურ-ფრანგულ-ბელგიური დაჯგუფება და მათთან ერთად მყოფი ფრანგული ძალების საუკეთესო ნაწილი დიუნკერკთანაა ალყაშემორტყმული. მათ ჰაერში ბატონობა დაკარგული აქვთ, მანევრის თავისუფლება გამქრალი, ისინი ბლოკირებულები არიან და მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენთ. და ამ დროს ეს სასწაული ხდება (ინგლისელთათვის მთლიანად, ფრანგთათვის ნაწილობრივ, ხოლო ბელგიელთათვის მცირედ); ჰიტლერი შეტევის შეჩერების ბრძანებას გამოსცემს. დიუნკერკის პლაცდარმზე გერმანელების შეტევა წყდება.

მოკავშირეების გარემოცვის გეგმის ავტორი ფელდმარშალი მანშტაინი

დღემდე დავობენ — რამ განაპირობა „halt" (გერმანულად „შეჩერება") ბრძანება. ჩანს, ფაქტორთა მთელმა კომპლექსმა, რომელთაგან ნაწილი პოლიტიკას ეკუთვნოდა, ნაწილი — წმინდა სამხედრო სტრატეგიას, ხოლო ნაწილი — ტაქტიკასაც კი. დავიწყოთ უკანასკნელით.

ვერმახტს საფრანგეთისათვის ძირითადი ომი მოსაგები ჰქონდა, ანუ მანშტაინის გეგმით ალყაშემორტყმულ მოკავშირეთა დივიზიების განადურება თავისთავად არ იძლეოდა გარანტიას, რომ ფრონტის შემობრუნება და პარიზზე შეტევა წარმატებული იქნებოდა.

ამ დროს მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ თუგინდ ტანკების რაოდენობა. მასზე მითითება სხვადასხვა წყაროებში, დაწყებული ტიპელსკირხიდან ვიდრე ლიდელ-ჰარტამდე[10], განსხვავებულია, მაგრამ ყველა ადასტურებს, რომ ტანკების რაოდენობა შემდგომი ამოცან-

ისთვის (პარიზის გზაზე მდგომი ფრანგული დივიზიების წინააღმდეგ) საკმარისი არ იქნებოდა. დიუნკერკის მიმდებარე არეალები დასერილია და იქ ბევრი არხია, რომლებთან შეხებაშიც გერმანულ ჯავშანსატანკო ძალების მნიშვნელოვან ნაწილს მწყობრიდან გამოსვლის საფრთხე შეექმნებოდა.

ნათქვამი მხოლოდ ტაქტიკურ კი არა, ფსიქოლოგიურ ასპექტსაც შეიცავს. საკმარისი იყო გერმანული ჯავსანსატანკო ძალები დიუნკერკთან სერიოზულ ბრძოლებში ჩაბმულიყვნენ და სერიოზული დანაკარგი განეცადათ (კონტრშეტევის შანსი მოკავშირეებს რომ ჰქონდათ, დე გოლის[11] მემუარებიდანაც ჩანს), რომ გერმანელებშიც და ფრანგებშიც სერიოზულად გაჩენილიყო მოგონება მარნის სასწაულზე[12] (გერმანელებში ნეგატიურად, ფრანგებში – პოზიტიურად). ნუ დავივიწყებთ, რომ თავად ჰიტლერი პირველი მსოფლიო ომისას ამ სივრცეებიდან არცთუ მოშორებით ომობდა და შესაბამისად არც ის იყო თავისუფალი „მარნის" კომპლექსისგან, მით უფრო, მისი ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მრავალი (მაგალითად ტიპელსკირხის) ცნობით, გერმანელი ერი მეორე მსოფლიო ომში პირველისგან განსხვავებით, ასე ვთქვათ, უფრო დაძაბული მოლოდინით ჩაერთო, ვიდრე ენთუზიაზმით.

როგორც ჩანს, თავი იჩინა წმინდა სამხედრო-სტრატეგიულმა ფაქტორმა, უფრო ზუსტად, გერინგმა[13], რომელმაც ჰიტლერი, ჩანს, დაარწმუნა, რომ მოკავშირეთა პლაცდარმის განადგურება მხოლოდ საავიაციო დარტყმებითაც შეიძლებოდა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს შეუძლებელი იყო, თუმცაღა ჰიტლერს ეს ეტყობა ძალიან უნდოდა, თუნდაც ზემოხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე.

მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად (იგულისხმება წმინდა სამხედრო სტრატეგიული და ტაქტიკური) არგუმენტაცია, ძალაში ერთვებოდა დიდი სტრატეგიის მოსაზრებები. ვისაც ჰიტლერის ნაწერებზე სერიოზულად უმუშავია (მხედველობაში მაქვს „მაინ კამპფიდან" დაწყებული ვიდრე მის პოლიტიკურ ანდერძამდე), დამეთანხმება, რომ მას სულ ჰქონდა იმედი, რომ ბრიტანეთს და გერმანიას შორის ომი სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათს არ ატარებდა და რომ ის შესაძლებლად თვლიდა კომპრომისის მოძიებას ბრიტანეთთან: პრინციპით – „ბრიტანული იმპერია შენ, კონტინენტური ევროპა – მე". ეს

მიდგომა გარკვეულ გამოძახილს ბრიტანეთშიც ჰპოვებდა. ლიდელ-ჰარტთანაც კი შეიძლება ვნახოთ აზრი, რომელიც პოლონეთი-სათვის მიცემულ ბრიტანულ გარანტიებს არათუ არასერიოზულად, არამედ აბსურდულადაც მიიჩნევდა. შესაბამისად 1940 წლის ზაფხულში დიდი პოლიტიკის თვალსაზრისით 300 ათასი ბრიტ-ანელის დატყვევება გერმანიისათვის გაართულებდა ბრიტანეთთან ზავს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ჩერჩილი მივიდა.

მოკლედ, როგორც ჩანს, ჰიტლერის ჩანაფიქრით საქმე ასე იყო: თუ დიუნკერკის პლაცდარმს ტაქტიკური ქმედებებით (მხოლოდ სა-ტანკო ჯარების გამოყენებით) გავანადგურებთ, ხომ კარგი, თუ წმინდა სამხედრო-სტრატეგიულით (მხოლოდ ავიაციის გამოყენებით) კიდევ უკეთესი და, თუ პლაცდარმზე მყოფი მოკავშირეთა დაჯგუფება, პირვ-ელ რიგში, მისი ბრიტანული ნაწილი დაუძვრებოდა ხელიდან (ნათელი იყო, რომ ბრიტანელები პირველ რიგში თავიანთი დაჯგუფების ევაკუირე-ბას მოახდენდნენ), არც ეს იქნება ცუდი. ჰიტლერი თითქოს წაუგებელ თამაშს თამაშობდა, ოღონდ რა მიზნით? ინახავდა ჯავშანსატანკო ტექნიკას, შედარებით უმსხვერპლოდ ანადგურებდა მოწინააღმდეგეს მხოლოდ ავიაციით, თუ ინგლისელებს პოლიტიკური მოსაზრებებით ევაკუაციის საშუალებასაც აძლევდა? ჩანს, სამივე მიზნით. ანუ განსხ-ვავებით ბისმარკის ხსენებული შეტევიდან უნგრეთის მიმართულებით, ჰიტლერი ერთდროულად ცდილობდა საქმის ისე აწყობას, რომ გარე-მოებებისდა მიხედვით მოგებული .დარჩენილიყო ან ტაქტიკურ დონ-ეზე (შეენახა სატანკო ტექნიკა), ან წმინდა სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე (გადაეწყვიტა პრობლემა მხოლოდ სამხედრო, აქ საავიაციო საშუალებებით) ან პოლიტიკის დონეზე. ამის მიუხედავად ჰიტლერმა წააგო და, ალბათ, ამის მიზეზი ისა იყო, რომ ძალიან ძნელია ერთ-დროულად მოიგო ტაქტიკის, სტრატეგიისა და პოლიტიკის თვალ-საზრისით.

აქ ჩვენ უფრო ცნებები გვაინტერესებს, ვიდრე ისტორია და პირველ რიგში ის, თუ რით განსხვავდება დიდი სტრატეგია წმინდა სამხედრო სტრატეგიისაგან. ამ მიმართებით, ალბათ, ისევ მეორე მსოფლიო ომისთვის, სახელდობრ, მისი იმ ეტაპისათვის მიმართვა იქნება მიზანშეწონილი, რომელსაც ბრიტანეთისათვის ბრძოლა ჰქვია. ამ ტერმინით აღინიშ-ნება საჰაერო კამპანია გერმანიასა და ინგლისს შორის მეორე მსოფ-

ლიო ომის იმ მონაკვეთში, როცა ეს ორი ერი იყო საბრძოლო მოქმედებების ძირითადი სუბიექტი (ანუ აშშ, სსრ კავშირი და იაპონია ჯერ კიდევ არ იყვნენ ომში ჩართულები).

ამ საჰაერო კამპანიის საწყის ეტაპზე გერმანელთა ამოცანა იყო ბრიტანული ავიაციის განადგურება ჰაერში და აეროდრომებზე და, როგორც ჩანს, ეს ამოცანა წარმატებით სრულდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ნავიგაციური შეცდომის გამო დაბომბეს ლონდონი და ინგლისელებმაც იგივე ჩაიდინეს ბერლინის მიმართ, კამპანიამ სახე იცვალა (აქ შეიძლება მივუთითოთ ინგლისელ მარშალ ჰარისის[14] კონცეფციაზე, რომელიც პრინციპში საჰაერო ომს სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ გამართლებულად თვლიდა). შესაბამისად, გერმანელები სამხედრო ობიექტებთან ბრძოლიდან გადაერთნენ სამოქალაქო ობიექტებთან ომზე და ძალაუნებურად ჩაერთნენ სფეროში, რომლისთვისაც კონცეპტუალურად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. ერთია ბრძოლა მოწინააღმდეგის ავიაციასთან ჰაერში და მისი აეროდრომების განადგურება და სულ სხვაა (წმინდა სამხედრო და თუგინდ ფსიქოლოგიური აზრით) სამოქალაქო ობიექტებზე შეტევა. მაგრამ აქ მთავარია, რომ კამპანიის მიზნის განსაზღვრა დიდი სტრატეგიის საქმეა და არა მხოლოდ წმინდა სამხედრო და მით უფრო საჰაერო სტრატეგიისა. გერმანიამ სტრატეგიის კონცეფციაში დაშვებული ამ შეცდომისთვის ძვირად ზღო.

ინგლისელი ავიაციის მარშალი ჰარისი.

დაბოლოს, კიდევ ერთი მაგალითი. 1940 წლის დასასრულს ჰიტლერი ხედავს, რომ ბრიტანეთს ომს პირდაპირ ვერ მოუგებს ანუ ხედავს, რომ ბრიტანეთის კუნძულზე წარმატებულ შეჭრას ვერ მოახერხებს. მას იგივე რჩება, რაც ნაპოლეონს: ალბიონს სადღაც სხვაგან დაარტყას. თუმცა ამავე დროს ჰიტლერი ერთ, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მცდარ, მაგრამ ნაწილობრივ სწორ წანამძღვარს ემყარება: ბრიტ-

ანეთის წინააღმდეგობის ნება განპირობებულია იმით, რომ ჩერჩილს სჯერა (და, უნდა ითქვას, სამართლიანადაც), რომ სსრ კავშირისა და გერმანიის შეჯახება გარდაუვალია და სურს, დრო მოიგოს ამ მომენტამდე. მეტიც, ყველაფერს აკეთებს ამგვარი შეჯახების პროვოცირებისათვის. ამიტომ ასკვნის ჰიტლერი: საკმარისია სსრ კავშირი განადგურდეს, რომ ბრიტანეთთან ზავის დადება შესაძლებელი გახდება.

არსებობს ბრიტანეთისათვის ზავის დადების იძულების სხვა ვარიანტიც: სუეცის არხის დაკავება და ბრიტანეთის იმპერიის მოწყვეტა ინდოეთისგან, ავტრალიისაგან, მალაისაგან, სინგაპურისაგან, მაგრამ ამისათვის სულ სხვა მოქმედებებია საჭირო. ჩრდილო აფრიკაში მაშინ მეტი ძალები იქნება გასაგზავნი. ფლოტმა სხვა ტიპის მოქმედებები უნდა დაიწყოს, ავიაციის დისპოზიცია სხვა უნდა იყოს. სტალინს კი შეუძლია ჰიტლერს ზურგში დაარტყას. თუმცა არც ჩრდილო აფრიკა და სუეცის არხია დასავიწყებელი. ამიტომ ჰიტლერი ძალების ძირითად ნაწილს თავს ყოფილი პოლონეთის ტერიტორიაზე, რუმინეთში და სსრ კავშირის მოსაზღვრე რეგიონებში უყრის, მაგრამ შეძლებისდაგვარად აფრიკულ დაჯგუფებასაც აძლიერებს.

ახლა ძნელია იმის შეფასება, რომელი გადაწყვეტილება იყო სწორი, მაგრამ ჩვენ ეს მაგალითიც იმის საილუსტრაციოდ გვინდოდა, როგორ ტრანსფორმირდება პოლიტიკური მიზანი და გადაწყვეტილება სამხედროდ. პოლიტიკურ და სამხედრო, უფრო ზუსტად, პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ სფეროებს შორის არსებობს შუალედური, სფერო, რომელსაც დიდ სტრატეგიას უწოდებენ. მოყვანილი მაგალითები: ბისმარკის მიერ უნგრეთზე და არა ვენაზე შეტევა, ჰიტლერის halt-ბრძანება (დიუნკერკზე შეტევის შეჩერება), ჰიტლერის მიერ ინგლისისათვის ბრძოლაში დარტყმის ობიექტების შეცვლა, სსრ კავშირზე თავდასხმა — ყოველივე ეს არც მხოლოდ სამხედრო, არც მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სინთეზურ სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ესაა სფერო, რომელსაც დიდი სტრატეგია ეწოდება. ამის შემდეგ უკვე შეგვიძლია ისტორიული მაგალითებით გამდიდრებული დიდი სტრატეგიის ახალ დეფინიციას მივმართოთ, რომელიც ლიდელ-ჰარტის მიერაა ფორმულირებული.

თავი 2
დიდი სტრატეგიის ცნებისათვის

§2
დიდი სტრატეგიის გამდიდრებული ცნება

ლიდელ-ჰარტი წერს: „თუ ტაქტიკა არის სტრატეგიის გამოყენება უფრო დაბალ დონეზე, ასევე სტრატეგია არის დიდი სტრატეგიის სამხედრო პოლიტიკის გამოყენება უფრო დაბალ დონეზე. მართალია, პრაქტიკულად დიდი სტრატეგია ემთხვევა კიდეც სამხედრო პოლიტიკას, რომლითაც ხელმძღვანელობენ ომის წარმოებისას, განსხვავებით უფრო ფუნდამენტალური, ე. ი. დიდი სახელმწიფო პოლიტიკისგან, რომელიც განსაზღვრავს ომის მიზანს, ტერმინი „დიდი სტრატეგია" გამოხატავს „პოლიტიკას მოქმედებაში". დიდი ანუ უმაღლესი სტრატეგიის როლი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის ან ქვეყანათა ყველა რესურსის კოორდინირება მოახდინოს და მიმართოს ომის პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, მიზნისა, რომელიც დიდი, ანუ სახელმწიფო, პოლიტიკით განისაზღვრება. დიდმა სტრატეგიამ უნდა გამოავლინოს და მოახდინოს ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ეკონომიკური და ადამიანური რესურსების მობილიზება, რათა უზრუნველყოს სამხედრო მოქმედებათა წარმოება. იგივე ითქმის მორალურ შესაძლებლობებზეც, რადგან მოსახლეობაში მაღალი მორალური თვისებების არსებობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ბრძოლის მატერიალურ საშუალებათა ქონა. დიდი სტრატეგია უნდა ახდენდეს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სახეობებს, აგრეთვე მთლიანად შეიარაღებულ ძალებს და მრეწველობას შორის ძალებისა და საშუალებების განაწილებას. სამხედრო ძალა დიდი სტრატეგიის

სერ ბეზილ ლიდელ-ჰარტი

მხოლოდ ერთი საშუალებაა მოწინააღმდეგის ნების გასატეხად. ეს სტრატეგია მხედველობაში იღებს და იყენებს ფინანსურ, დიპლომატიურ, კომერციულ და last, but not least (ბოლო, მაგრამ არა უმნიშვნელო და უკანასკნელი — კ.კ.) იდეოლოგიურ ზეწოლას. კარგი არგუმენტია ხმალიც და აბჯარიც. ასევე ომში გაბედული მოქმედება შეიძლება იქცეს მოწინააღმდეგის ნების შესუსტებისა და საკუთარი ძალების მორალური განწყობის ამაღლების საშუალებად" (21, 368-369).

მოკლედ, რომ შევაჯამოთ, დიდი სტრატეგია არის ქვეყნის ყველა სულიერი და მატერიალური რესურსის (და არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების) მობილიზება იმ მიზანთა მისაღწევად, რომლისთვისაც მიმდინარეობს ომი. ამასთან, დიდი სტრატეგიის მოსაზრებები (როგორც ბისმარკთან ზემოხსენებულ შემთხვევაში) უნდა დომინირებდეს წმინდა სამხედრო-სტრატეგიულზე. უფრო ზუსტად, ეს ბალანსი ნათლად და ცალსახად უნდა იყოს თავიდანვე განსაზღვრული და არ ექვემდებარებოდეს პოლიტიკური კონიუქტურის ცვლილებებს. მაგალითად, ჰიტლერი იძულებული გახდა მუსოლინის უაზრო ამბიციების გადამკიდე ბალკანეთზე ომში ჩაბმულიყო და საბჭოთა კავშირზე თავდასხმა ექვსი კვირით გადაევადებინა. შედეგი ყველასათვის ცნობილია. დიდ სტრატეგიასა და სამხედრო სტრატეგიის შორის ამ ბალანსის დამრღვევთ თავისი ქმედება საკმაოდ ძვირად უჯდებათ.

რასაკვირველია, ბოლომდე დამაკმაყოფილებელი არც ლიდელ-ჰარტის ციტირებული მონაკვეთია, მაგრამ ის უკვე **ცნებაა** და არა უბრალო წარმოდგენა. ის პროდუქტულია იმისათვის, რომ ახლა წმინდა სამხედრო სტრატეგიის წინასწარი ცნების დადგენაზე გადავიდეთ.

§ 3
სამხედრო სტრატეეგიის ცნების შემდგომი განსაზღვრა

სამხედრო სტრატეგიის თანამედროვე გაგებით პირველი განსაზღვრება, როგორც ჩანს, გერმანელ სამხედრო თეორეტიკოს ჰენრიხ ფონ ბიულოვს[15] ეკუთვნის. მისი განმარტებით სტრატეგია ჯარების გადაადგილების ხელოვნებაა. სხვათა შორის, ბიულოვი ზუსტად

ასეთადვე მიიჩნევდა ტაქტიკასაც და მათ შორის განმსხვავებას იმაში ხედავდა, რომ ტაქტიკაში მოწინააღმდეგე გადაადგილების უშუალო ობიექტია (გერმ. Gegenstand), ხოლო სტრატეგიაში კი ის ასეთი არ არის. აქ მოწინააღმდეგე მხოლოდ გადააადგილების პოტენციური ობიექტი ანუ მიზანია (გერმ. Zweck). ცხადია, ნაპოლეონის ომების იმ ეტაპზე, როდესაც არტილერიის რადიუსი სამიოდ კილომეტრი იყო და სიღრმის დაზვერვის საშუალებები არც არსებობდა, ეს გამართლებული მიდგომა იყო, მაგრამ დღეს მას მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს. უფრო აქტუალურად რჩება კლაუზევიცის[16] განმარტება, რომელსაც ლიდელ-ჰარტის ვრცელ კომენტართან ერთად ახლა შემოგთავაზებთ. ლიდელ-ჰარტი წერს: „თავდაპირველად გავიხსენოთ, თუ რას ნიშნავს „სტრატეგია". კლაუზევიცი მას განმარტავდა, როგორც „ბრძოლის გამოყენებას ომის მიზნებისათვის". მაშასადამე, ასკვნიდა იგი, „სტრატეგიამ მთლიანად სამხედრო მოქმედებებს უნდა დაუსვას ისეთი მიზანი, რომელიც შეესაბამება ომის საზრისს". ამ დეფინიციის პირველი ნაკლი იმაშია, რომ იგი მოიცავს პოლიტიკის ანუ ომის უზენაესი ხელმძღვანელობის სფეროს, რომელიც, როგორც ცნობილია, პოლიტიკოსების კომპეტენციაა და არა სამხედროებისა, რომელთაც მთავრობა სამხედრო მოქმედებების წარმოებისათვის იყენებს. მეორე ნაკლი იმაშია, რომ ეს დეფინიცია მეტისმეტად ავიწროებს „სტრატეგიის სფეროს" და ის მხოლოდ ბრძოლის შედეგების გამოყენებამდე დაჰყავს. გამოდის, რომ ბრძოლა სტრატეგიული მიზნების მიღწევის ერთადერთი საშუალებაა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კლაუზევიცის შედარებით გამოუცდელ მოწაფეებს მიზანი და საშუალება ერთმანეთში აერიათ და დაასკვნეს, რომ მთელი ომი ერთ რამეს — ბრძოლას უნდა ექვემდებარებოდეს და ემსახურებოდეს (21, 365-366).

ახლა ნუ შეუდგებით იმის კვლევას, რამდენად მართებულია ლიდელ-ჰარტისეული კრიტიკა. ამოსავალი წერტილი უკვე გვაქვს. სტრატეგია არის ბრძოლის (უფრო ზუსტად, ბრძოლის შედეგების) გამოყენება ომის მიზნებისათვის. ომს (ამას კლაუზევიციც და ლიდელ-ჰარტიც აღიარებენ) პოლიტიკა განსაზღვრავს. ვიღებთ იერარქიულ სისტემას, სადაც პოლიტიკა განსაზღვრავს ომის მიზანს, ომის მიზანი განსაზღვრავს ბრძოლის მიზანს, ხოლო სტრატეგია არის ხელოვნება ბრძოლის მომზადებისა და მისი შედეგების გამოყენებისა

ომის მიზნებისთვის. მაგრამ აქ პრობლემა მართლაც დგება. როგორ მოვიქცეთ, თუ სამხედროს და პოლიტიკოსს, ან ორ სამხედროს (ან ორ პოლიტიკოსს, ეს არსებითი არაა) სხვადასხვაგვარად ესმით — როგორ გამოიყენონ ბრძოლის შედეგები ომის მიზნისათვის? ცხადია, შეიძლება ითქვას: მართალი ის იქნება, ვინც უკეთ გამოიყენებსო, მაგრამ რა თვალსაზრისით? ალექსანდრე მაკედონელისათვის, იულიუს კეისრისათვის, ფრიდრიხ დიდისათვის ან ნაპოლეონისათვის აქ პრობლემა არ იდგა, ვინაიდან ისინი ერთდროულად იყენენ პირველი სამხედრო და პირველი პოლიტიკური პირები. მაგრამ უკვე XIX საუკუნის შუა ხანებისათვის სადოვას ბრძოლის შედეგების გამოყენება გენერლებს სულ სხვანაირად წარმოედგინათ, ვიდრე ბისმარკს. აქ დგება ლიდელ-ჰარტის მიერ უკვე დასმული საკითხი: ვინ განსაზღვრავს ბრძოლის შედეგების ომისათვის გამოყენების რაგვარობას?

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებებს, რომ ეს არც მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობის ამოცანაა და არც მხოლოდ სამხედროსი, არამედ დიდი სტრატეგიისა, რომელიც ორივეს მოიცავს. ასე რომ, მართალია, კლაუზევიცის დეფინიციაში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ ის დიდი სტრატეგიის ამოცანას წმინდა სამხედრო სტრატეგიის სფეროს აკუთვნებს (თუმცა ეს ეპატიება, მსოფლიო სამხედრო აზრი დიდი სტრატეგიის ცნებას მაშინ და ბარე ასი წლის შემდეგაც საერთოდ არ იცნობდა).

მოლტკემ, რომელსაც განსხვავებით კლაუზევიცისგან სტრატეგიასთან თეორიული კი არა პრაქტიკული შეხება ჰქონდა, ისევე როგორც თვალწინ ჰქონდა ბისმარკის ხსენებული მაგალითი, სამხედრო სტრატეგიის უფრო დავიწროებული და ზუსტი დეფინიცია მოგვცა. მოლტკეს მიხედვით, სტრატეგია არის: „მხედარმთავრის განკარგულებაში გადაცემულ საშუალებათა პრაქტიკული გამოყენება დასახულ მიზანთა მისაღწევად". (ციტირებულია 21, 366 მიხედვით) ცხადია, რომ ეს საშუალებები მხედარმთავრის განკარგულებაში სამოქალაქო მთავრობის მიერაა გადაცემული და ის მათ საჭიროებისამებრ განკარგავს. აქ უკვე აღარ დგება კლაუზევიცის დეფინიციასთან დაკავშირებული პრობლემა. თუმცა მოლტკეს დეფინიციასთან დაკავშირებული ლიდელ-ჰარტის კომენტარიც არაა დასავიწყებელი: „ეს დეფინიცია აღგენს მხედარმთავრის პასუხ-

ისმგებლობას იმ მთავრობის წინაშე, რომელსაც ის ემსახურება. მხედარმთავარი, უმაღლესი სამხედრო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში გამოყოფილ ჯარების თეატრზე. თუ ის თვლის, რომ მას არასაკმარისი რესურსი გამოუყვეს, ამის შესახებ უნდა თქვას, ხოლო თუ მის აზრს არ ითვალისწინებენ, უნდა გადადგეს. მაგრამ ნებისმიერი მცდელობა — უკარნახოს მთავრობას, რა ძალები გამოყონ მის დაქვემდებარებაში, უფლებამოსილებათა გადამეტებას ნიშნავს. მეორე მხრივ, მთავრობას, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო პოლიტიკას და შეუსაბამებს მას ომის ხშირად ცვალებად გარემოებებს, უფლება აქვს ჩაერიოს კამპანიის სტრატეგიულ მეთაურობაში, არა მხოლოდ შეცვალოს სარდალი, რომელსაც აღარ ენდობა, არამედ სამხედრო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე კორექტივები შეიტანოს დასმულ ამოცანებში. მართალია, მთავრობა არ ერევა ჯარების მეთაურობის ფუნქციებში, რაც სარდლის ამოცანაა, მას (სარდალს) უნდა ნათლად მიეთითოს მის წინაშე დასმული ამოცანა. აქედან გამომდინარე, სტრატეგიის წინაშე არასდროს დგება მხოლოდ ერთი ამოცანა: მიაღწიოს მოწინააღმდეგის სამხედრო განადგურებას. როდესაც მთავრობა თვლის, რომ მოწინააღმდეგე მთლიანობაში ან რომელიმე თეატრზე ფლობს უპირატესობას, მან უფრო შეზღუდული სტრატეგიული მიზნები უნდა დაისახოს" (იქვე).

მოლტკეს განსაზღვრება, ვფიქრობთ, საკმარისია სამხედრო სტრატეგიის ცნების შემდგომი დეფინიციისათვის. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ, როგორც დიდი სტრატეგიის შემთხვევაში, სამხედრო სტრატეგიის ცნებაც უფრო თვალსაჩინოდ ისტორიულ მაგალითზე ნათელვყოთ. ამისათვის პირველი მსოფლიო ომისას გამოყენებულ (თუმცა მოდიფიცირებული სახით) შლიფენის ცნობილ გეგმას და არანაკლებ ცნობილ „ბარბაროსას" მივმართავთ.

თავი 3
კვლავ ექსკურსები ისტორიაში

§ 4
შლიფენის გეგმა

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ ერთი გაუგებრობა შლიფენის[17] გეგმასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ ჰგონიათ, რომ შლიფენის გეგმა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის შეიარაღებული ძალების მოქმედების სტრატეგიული გეგმა იყო. მაგრამ ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, გეგმის შედგენისას ვერც ვერავის (მათ შორის გეგმის შემდგენლებს) ვერ წარმოედგინათ, რომ მათ მიერ შედგენილი გეგმა მსოფლიო ომამდე მიიყვანდა. ისინი გეგმას ადგენდნენ სქემისათვის 2+2 (ანუ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ). მეორე — ეს არ იყო საერთო სტრატეგიული მოქმედების გეგმა იმიტომ, რომ არ ითვალისწინებდა ფლოტის როლს სახმელეთო მოქმედებებისას (გავითვალისწინოთ: როდესაც გერმანიის სახმელეთო ძალები ბელგიისა და საფრანგეთის სანაპირო ზოლში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს აწარმოებდნენ, მსოფლიოში სიძლიერით მეორე — გერმანიის ფლოტს არც უცდია სახმელეთო ძალების მხარდაჭერა, თუმცალა ასეთი მხარდაჭერა შლიფენის გეგმით არც ყოფილა გათვალისწინებული. და საერთოდ, როგორ იქნებოდა გათვალისწინებული, როდესაც გენშტაბში შლიფენის უფროსობისას გერმანიას ასეთი ფლოტი არც ჰყავდა). შლიფენის გეგმა ფაქტობრივად მხოლოდ საფრანგეთის სწრაფად განადგურების გეგმა იყო. აქ უნდა გამოყენებული ყოფილიყო გერმანიის უპირატესობა განვითარებულ კომუნიკაციებშიც, უკეთეს ორგანიზაციასა და დაგეგმვაშიც, მობილიზაციის სისტე-

ფელდმარშალი შლიფენი

მაშიც და კიდევ უამრავ ფაქტორში. დასავლეთის ფრონტზე (ფრანგების წინააღმდეგ) თავმოყრილი უნდა ყოფილიყო შეიარაღებული ძალების აბსოლუტური ოდენობა (ზოგი ცნობით 7/8).

გეგმა უპირატესად სამხედრო-გეოგრაფიულ ფაქტორებზე იყო აგებული და არა პოლიტიკურზე. მაგალითად, წმინდა სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებს (რელიეფისა და კომუნიკაციების ხასიათი, ჯარების გაშლისა და გადაადგილების სიიოლე) მსხვერპლად ეწირებოდა პოლიტიკური ფაქტორები (ვთქვათ, ბელგიისა და ჰოლანდიის ნეიტრალიტეტი, რასაც შედეგად შეიძლებოდა ომში ბრიტანეთის ჩართვა მოჰყოლოდა). შლიფენი ამოდიოდა იქიდან, რომ რუსეთს თავისი განუვითარებელი სახელმწიფო სისტემისა და კომუნიკაციის პირობებში გაუჭირდებოდა თავისი გიგანტური რესურსების მობილიზება. საფრანგეთი მანამ უნდა დამარცხებულიყო, ვიდრე რუსეთი რესურსების მობილიზებას მოახერხებდა. სახელდობრ, ოპერაცია შემდეგნაირად იგეგმებოდა: M (ანუ მობილიზაციის გამოცხადების დღიდან) +12 გაშლა; M+42 მანევრი (გადაადგილება) ბელგიასა და საფრანგეთში; გენერალური ბრძოლა: M+43-50; მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ნაშთების განადგურება M+64; სულ ცხრა კვირა. ამასთან უკვე M+36 და M+42-ს შორის უკვე უნდა მოხერხებულიყო ისეთი ბალანსის მიღწევა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა აღმოსავლეთის ფრონტზე ძალების გადასროლას (ანუ დასავლეთის ფრონტზე ჯერ კიდევ გენერალური ბრძოლის დაწყებამდე ან მის მსვლელობაში). ამასთან ბელგია ხვდებოდა მთავარი დარტყმის ქვეშ (40 დივიზიამდე 6-ის წინააღმდეგ) და უსწრაფესად ირთვებოდა ომიდან. გერმანიას ეძლეოდა საშუალება ფართოდ გამოეყენებინა ბელგიისა და ფლანდრიის კომუნიკაციები. ხდებოდა ლა-მანშზე გასვლა და, რაც მთავარია, აღმატებული გერმანული ძალები ყოველ მომენტში გადიოდნენ მოკავშირეთა ფლანგზე და აიძულებდნენ მათ სამხრეთით, ხოლო მოგვიანებით — სამხრეთ-აღმოსავლეთით დახევისაკენ, რასაც საბოლოო ჯამში უნდა გამოეწვია მათი თავმოყრა პარიზის აღმოსავლეთით მაშინ, როდესაც გერმანული დაჯგუფების ასიმეტრიული ფრთა პარიზს დასავლეთიდან მოიცავდა. პარიზი, კომუნიკაციების უდიდესი ცენტრი, და რაც მთავარია, საფრანგეთის ეროვნულობის სიმბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეორედ ვარდებოდა გერმანელების ხელში სათანადო ფსიქოლოგიური ეფექტით.

ბელგიისა და საფრანგეთის გავლით მარშ-მანევრის მიზანი უნდა გამხდარიყო ბოლო გრანდიოზული და გენერალური ბრძოლა, რომელიც მოკავშირეებს (ფრანგებსა და ბელგიელ-ჰოლანდიელებს, თუ მათგან რაიმე დარჩებოდა) ამოყირავებული ფრონტით მოუწევდათ (ანუ გერმანელების ფრონტის ხაზი იქ იქნებოდა, სადაც წესით მოკავშირეთა ზურგი უნდა ყოფილიყო). ამას მოკავშირეთა შემდგომი მარცხი და აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით უკანდახევა უნდა მოჰყ-



შლიფენის გეგმა

ოლოდა, სადაც ისინი უნდა განადგურებულიყვნენ გერმანელთა შედარებით სუსტ მარცხენა ფლანგთან ურთიერთქმედებაში, რომელსაც პარიზის მიდამოებში დაახლოებით ამ მომენტისთვის უნდა მიეღწია.

დაგეგმვა ერთ ძირითად იდეას რომ დაუქვემდებარა, შლიფენმა გადაწყვიტა, მთავარი დარტყმის მიმართულებით ძალის არნახული კოეფიციენტისათვის მიეღწია. ეს მაჩვენებელი გულისხმობდა დასავლეთის ფრონტზე დაკავებული ძალების 5/6-ის კონცენტრაციას ფრონტის 2/5-ზე, ანუ ოპერატიული გაძლიერების კოეფიციენტი სადღაც ორის

რაიონში (ოპერატიული გაძლიერების კოეფიციენტი წარმოადგენს ძალების რაოდენობის წილის განაყოფს მათ მიერ დაკავებული ფრონტის მონაკვეთის წილზე).

შლიფენის წინაშე მდგომი უპირველესი პრობლემა იყო კაიზერის დარწმუნება იმაში, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში, გარდა რეგულარული ძალებისა, მონაწილეობა მიეღოთ რეზერვისტებით დაკომპლექტებულ შენაერთებსაც. მათ ძირითადად ბელგიელთა გამაგრებული ფორტების ალყა ევალებოდათ. კაიზერი რეზერვისტებს სკეპტიკურად უყურებდა. მეორე პრობლემა იყო ბელგიური სიმაგრეების — ლიეჟისა და ნამიურის — აღება, რის გარეშეც გერმანელები ვერ მოახერხებდნენ საჭირო ოდენობის ძალები სწრაფად და ოპერატიულად გაეშალათ საფრანგეთზე გადამწყვეტი შეტევისათვის. ეს პრობლემა გერმანელებმა გადაჭრეს რაოდენობრივი უპირატესობით, პირადი შემადგენლობის შეუდარებლად მაღალი გაწვრთნილობითა და ზემძიმე არტილერიის გამოყენებით. როგორც ერთი რუსი ექსპერტი აღნიშნავს, „შლიფენის გეგმა არსებითად ისეთ სიტუაციას ითვალისწინებდა, როდესაც მოკავშირეები იგებდნენ ყველა ბრძოლას, გარდა ერთის — გადამწყვეტისა". ამავე ავტორის თქმით, „სტრატეგიული ჩანაფიქრი ეს არა იმდენად კონკრეტულ ღონიძიებათა ჩამონათვალია, რომლებიც ერთმანეთთან დროსა და სივრცეში საერთო მიზნით არიან დაკავშირებულნი, არამედ იდეათა სისტემა, რომელიც ამა თუ იმ ვითარების მიმართ შეიძლება იქნეს მიყენებული" (23, 622 და შემდეგ). ამ აზრით ავტორი ასეთნაირად გამოყოფს შლიფენის გეგმის ძირითად იდეებს:

ომის ბედის გადაწყვეტა შემოვლითი მანევრის გზით (შლიფენისებრი შემოვლითი მანევრი უნდა განვასხვავოთ მანევრისგან, რომელიც ჩაატარა ჰანიბალმა, როდესაც ესპანეთში გადაჯდა და რომს იქიდან შეუტია. ეს მოწინააღმდეგის ზურგში გადასხმა იყო და არა მისი ფრონტის ხაზის გარშემოვლითი გარღვევით მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა);

- მანევრის ასიმეტრულობა ანუ შემომვლელი ძალების ერთი ფლანგი შეუდარებლად ძლიერი იყო ვიდრე მეორე;
- შეძლებისდაგვარად დიდი ოდენობის სივრცის მონაკვეთის დაუფლება მანევრის დროს;
- გარეშემომვლელ (ანუ ჩრდილოეთის მხრიდან შემტევ) მარჯვენა ფლანგზე ძირითადი ძალების კონცენტრირება;

- კორპუსების და არმიების მოძრაობის გეომეტრიული ხასიათი;
- მძიმე არტილერიის ჩართვა დივიზიებისა და კორპუსების უშუალო ორგანიზაციულ დაქვემდებარებაში, რამაც ქვემდგომ რგოლებს მათი უფრო მოქნილად გამოყენების საშუალება მისცა. ფრანგები მძიმე არტილერიას ცენტრალიზებულად იყენებდნენ, გერმანელები კი მართვის ასეთ ფორმას მხოლოდ ზემძიმე არტილერიის შემთხვევაში მიმართავდნენ.

სტრატეგიის ცნობილი რუსი სპეციალისტი სერგეი პერესლეგინი, რომლის ციტირებაც კიდევ არაერთგზის მოგვიწევს, შლიფენის გეგმას ასე ხასიათებს: „შლიფენისებრი მანევრი ეწოდება გარემოცვაზე მიმართულ ღრმა ასიმეტრულ ოპერაციას, რომელსაც ახასიათებს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გაშლა, მნიშვნელოვანი ოპერატიული გაძლიერება (ორამდე კოეფიციენტით) და შენაერთთა მოძრაობის გეომეტროდინამიური ხასიათი (ასეთ ოპერაციას მოგვიანებით სიღრმისეული უწოდეს). ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ დამრტყმელი ძალების ფრთები მოძრაობენ გეოდეზიური ხაზებით — დროის უმცირესი მრუდებით. ასეთი მოძრაობა უზრუნველყოფილია მიმდინარე პოზიციის ცენტრების ზუსტი აპრიორული განსაზღვრით და ჯარების გადაადგილების მათზე მიბმით, აგრეთვე დამრტყმელი ფრთების წინ ოპერატიული ვაკუუმის შექმნით. ეს უკანასკნელი ნიშნავს შემტევი დაჯგუფებების წინ მოწინააღმდეგის ორგანიზებული ძალების სრულ ან თითქმის სრულ არარსებობას“ (24, 817).

შლიფენისებრი მოქმედებით ვაკუუმის შექმნა მიიღწევა შემდეგი საშუალებებით:

1. შეტევის მოულოდნელობითა და გაქანებით;

2. უდიდესი ოპერატიული გაძლიერებით, რომლითაც მიიღწევა მოწინააღმდეგის სწრაფი განადგურება მთავარი დარტყმის მიმართულებით;

3. დროის მოგება დამრტყმელი ჯგუფის გადაადგილებით ყველაზე დიდი ბმულობის ხაზებზე (პოზიციების მიმდებარე ცენტრების გავლით);

4. მოწინააღმდეგის პროვოცირებით „ბუნებრივ“, „ლოგიკურ“ მაგრამ წარუმატებელ რეაქციაზე;

გეგმა გულისხმობდა სამი სახელმწიფოს: ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ნეიტრალიტეტის დარღვევას. გეგმა არ ითვალისწინებდა

მოწინააღდეგის შესაძლო მოქმედებებზე კონტრმოქმედებებს, თუმცა შლიფენს გარკვეული შეხედულებები ჰქონდა იმაზე, თუ რას იზამდნენ ფრანგები. მაგრამ ამ შეხედულებათა ანალიზი ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ჩვენ ასევე არ შევეხებით იმას, რამდენად ეფექტიანად იქნა რეალიზებული შლიფენის გეგმა პირველ მსოფლიო ომში, როდესაც გეგმის ავტორი ცოცხალი აღარ იყო. გენშტაბის ახალმა უფროსმა მოლტკე-უმცროსმა (დიდი მოლტკეს ძმისშვილი) იმდენად გადაასხვაფერა შლიფენის ჩანაფიქრი, რომ გერმანიამ პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ფაქტობრივად სხვა გეგმით იომა და შედეგიც სათანადო მიიღო. მარჯვენა შემომვლელი ფლანგი იმდენად ასცდა წინასწარდაგეგმილ მარშრუტს, რომ პარიზის ჩრდილო-დასავლეთით კი არა, სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოჩნდა. ცენტრის არმიები ფაქტობრივად ფრონტალურ ბრძოლებში ჩაებნენ, რასაც შლიფენი დაუშვებლად მიიჩნევდა. ამასთან გარემომვლელი ფლანგი თავად იქნა გარეშემოვლილი მოკავშირეთა მიერ. ამ ვითარებაში, ცხადია, ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა გენერალურ ბრძოლაზე, რომელზეც ფელდმარშალი ოცნებობდა (ცხადია. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ პრობლემებს გარდა გერმანელებს უამრავი სხვა თავსატეხიც ჰქონდათ).

შლიფენის გეგმის დაწვრილებითი შეფასება ჩვენი ამოცანა არაა. ეს სამხედრო ხელოვნების ისტორიის კომპეტენციაა. აღვნიშნავ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო მომენტებს, უფრო ზუსტად, წინააღმდეგობებს, რომლებიც ამ გეგმაში იყო ჩადებული. გარეგნულად შლიფენის გეგმა წმინდა სამხედრო სტრატეგიას განეკუთვნებოდა. ეს გულისხმობდა შემდეგ ძირითად მომენტებს:

- ჯარების გაშლას;
- ჯარების გადაადგილებას (მანევრს);
- შემხვედრ ბრძოლებსა და შეტაკებებს;
- გენერალურ ბრძოლას;
- მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებას.

ყველაფერი ეს წმინდა სამხედრო სტრატეგიას განეკუთვნება, რომ არა ერთი რამ: ჯარების გაშლა და გადაადგილება (შესაძლოა წმინდა სამხედრო ფაქტორების გამო, რაც იმაში გამოიხატებოდა რომ გერმანიის არმიას მისი გრანდიოზულობის გამო უბრალოდ არ ყოფნიდა საკუთარი ტერიტორის მონაკვეთები წინასწარგანსაზღვრულ პოზიციებზე გაშლისათვის) ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ტერი-

ტორიაზე ხდებოდა. ეს ძალიან მაღალი ალბათობით გამოიწვევდა ბრიტანეთის ჩაბმას ომში, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა შლიფენის გეგმასთან, რომელიც 2+2-ის ომს ითვალისწინებდა (იხ ზემოთ ნათქვამი). გერმანელების მიერ ბელგიისა და ჰოლანდიის ოკუპაციის შემთხვევაში მსოფლიოში სიძლიერით მეორე ფლოტს მოქმედების თავისუფლება ეძლეოდა, მას შანსი მიეცემოდა გაერღვია ინგლისელთა ბლოკადა და ატლანტიკაზე გაჭრილიყო. ამას გარდა, ამ ფლოტს შეეძლებოდა ქმედითი დახმარების აღმოჩენა საზღვაო ფლანგზე შემტევი გერმანიის არმიებისათვის. ყოველივე ეს სრულიად მიუღებელ იქნებოდა ინგლისისათვის. ბელგიისა და ჰოლანდიის ოკუპაცია ინგლისს სხვა დილემის წინაშეც დააყენებდა. ჰოლანდიასა და ბელგიას უზარმაზარი კოლონიური იმპერიები ჰქონდათ. თუ ამ ქვეყნებში სათავეში გერმანიის სატელიტები მოვიდოდნენ (როგორც ეს მოგვიანებით რუსეთში მოხდა კომუნისტ-ლენინისტების სახით) კოლონიური იმპერიის რესურსები გერმანიაზე იმუშავებდა, რისი აღკვეთაც ევროპაში ინგლისელთა ძალისხმევის კონცენტრაციას ხელს შეუშლიდა. ხოლო თუ ამ ქვეყნების მთავრობები, დამარცხებულნი იქნებოდნენ, მაგრამ გერმანელებს არ ჩაუვარდებოდნენ ხელთ, შედეგი იგივე იქნებოდა: ინგლისს მოუწევდა მათ კოლონიებზე ზრუნვა, რაც მისი რესურსების ნაწილს მაინც ჩამოაშორებდა ევროპას. და რაც მთავარია: ბრიტანეთი კარგად ხედავდა, რომ გამარჯვებული გერმანია მისი მთავარი და აწ უკვე ძალიან საშიში კონკურენტი იქნებოდა მსოფლიო ლიდერობაში. ამას ემატებოდა ინგლისის საზოგადოებრივი აზრის განწყობა, რომელიც გადაჭრით ითხოვდა ბელგიის ნეიტრალიტეტის დაცვას, რომლის გარანტიც ინგლისი იყო.

აქედან გამომდინარე, ბელგიისა და ჰოლანდიის ნეიტრალიტეტების დარღვევას უმნიშვნელოვანესი შედეგები მოჰყვებოდა: 2+2-ად ჩაფიქრებული ომი მსოფლიო ომად ტრანსფორმირდებოდა, ვინაიდან მასში ბრიტანეთთან ერთად ჩაერთვებოდნენ მისი დომინიონები: კანადა, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია. ომი, გარდა ევროპისა, მოიცავდა ყველა ტერიტორიას, სადაც გერმანიას კოლონიები ჰქონდა: აფრიკასა და წყნარ ოკეანეს. მოვლენათა ამგვარი განვითარებისას იმჟამად ინგლისის მოკავშირე იაპონიაც ჩაერთვებოდა ომში და გერმანიის წყნაროკეანურ ტერიტორიებს დაიკავებდა (რაც მოხდა კიდეც). ბრიტანეთის ომში ჩართვით რუსეთისა და საფრანგეთის რესურსები,

რომლებიც საუკეთესო შემთხვევაში უტოლდებოდა გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთისას, არნახულად იზრდებოდა. და ეს პროცესები აუცილებლობით მოჰყვებოდა ბელგიისა და ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის დარღვევას, რაც შლიფენის გეგმაში იდო. ერთი სიტყვით, სამხედრო სტრატეგიის ლოგიკა წინააღმდეგობაში იყო დიდი სტრატეგიის ლოგიკასთან და ამიტომ შლიფენის გეგმა, მთელი მისი ესთეტიკურობის მიუხედავად, განწირული იყო. 1905 წელს კიდევ არსებობდა რაღაც თეორიული (უკიდურესად მიზერული) შანსები, რომ გერმანელი დიპლომატები რაღაცნაირად მიაღწევდნენ ბრიტანეთის ნეიტრალიტეტს, მაგრამ 1914 წელს ბრიტანეთ-გერმანიის წინააღმდეგობა ისე იყო გამწვავებული, რომ ბრიტანეთის ნეიტრალიტეტზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

§ 5
„ბარბაროსა"

ოპერაცია „ბარბაროსას" ბუნების გასაგებად აუცილებელია 1940 წლის მეორე ნახევრისათვის შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გაანალიზება. ჰიტლერმა პრაქტიკულად დაიკავა მთელი ევროპა, მაგრამ ვერ მიაღწია თავის უმთავრეს მიზანს — დიდ ბრიტანეთთან ისეთი ზავის დადებას, რომელიც უზრუნველყოფდა კონტინენტური ევროპის აღიარებას გერმანიის გავლენის ზონად. ბრიტანეთისათვის საჰაერო ომის წაგების შემდეგ ერთგვარი საჭადრაკო პატის მდგომარეობა შეიქმნა: ჰიტლერს არ შეეძლო შეჭრილიყო ბრიტანეთში, მაგრამ ბრიტანელებსაც არ შეეძლოთ შეჭრილიყვნენ ევროპაში. ამიტომ ინგლის-გერმანიის ომი უპირატესად მეორეხარისხოვან თეატრებზე (ატლანტიკაზე საზღვაო ომი, კომბინირებული მოქმედებები ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში) მიმდინარეობდა. რუსეთთან ვითარება სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. ბესარაბიისა და ბუკოვინას დაკავების შემდეგ სტალინს შეეძლო მოეხდინა რუმინეთის ნავთობსაბადოების ოკუპირება, რის შემდეგაც გერმანიას პრაქტიკულად დაეკარგებოდა ომის წარმოების უნარი. ამიტომ ჰიტლერმა გადაწყვიტა, დაერტყა საბჭოთა კავშირისათვის, გაენადგურებინა იგი და ამით

ძოესპო ბოლო იმედი ბრიტანელთათვის. თუმცა ამისათვის არსებობდა ალტერნატიული ვარიანტი – ხმელთაშუაზღვისპირული, როდესაც ძალთა კონცენტრაცია აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ხდებოდა და გულისხმობდა სუეცის არხის დაკავებას, შემდგომ წინსვლასა და ამ გზით ბრიტანეთის იმპერიის მწყობრიდან გადმოყვანას. ჰიტლერს ერთ-ერთი უნდა აერჩია (ორივე სტრატეგიის განსახორციელებლად რესურსი არ ჰყოფნიდა). მან სსრ კავშირზე თავდასხმა აირჩია და ლოგიკურადაც მოიქცა, ვინაიდან, როგორც დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტები ამტკიცებენ, სულ მცირე დროით დაასწრო სტალინს, რომელიც თავად აპირებდა ჰიტლერზე თავდასხმას.

რუსების წინააღმდეგ სტრატეგიული ოპერაციის დაგეგმვა OKH-ს (სახმელეთო ჯარების სარდლობის) შტაბმა ჯერ კიდევ 1940 წლის 6 აგვისტოს საკუთარი ინიციატივით დაიწყო. ეს ჩანაფიქრი გულისხმობდა სამი მიმართულებით შეტევას, რომელთაგან ძირითადი ცენტრალური, მოსკოვის მიმართულება იყო. ამ მიმართულებით უნდა



გეგმა „მარმარილას" სამოლოო ვარიანტი

შეეტია 18 სატანკო და მოტორიზებულ და 34 ქვეით დივიზიას. ფლანგებზე ბევრად უფრო სუსტი ძალები იყო განთავსებული.

მოგვიანებით გენერალმა მარქსმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც ორი – მოსკოვისა და კიევის მიმართულებით – შეტევას გულისხმობდა. ყველაზე ორიგინალური და, როგორც ჩანს, სწორი იყო გენერალ ზოდერნ-შტერნის გეგმა, რომელიც გულისხმობდა გრანდიოზული კანის[18] მოწყობას ფლანგებიდან შეტევით და ცენტრში თავდაცვითი პოზიციის შენარჩუნებით. ამ გეგმის თანახმად არმიათა ჩრდილოეთის ჯგუფს (21 სატანკო და მოტორიზებული, 46 ქვეითი დივიზია) დაუგავპილ-სის და სმოლენსკის გავლით უნდა შეეტია, ხოლო სამხრეთის ჯგუფს (9 სატანკო და მოტორიზებული, 37 ქვეითი დივიზია) – კიევის გავლით. ცენტრს შემბორკველი მოქმედებები უნდა ეწარმოებინა მანამ, სანამ ფლანგები სადღაც მოსკოვის ახლოს ან მის იქითაც კი შეერთ-დებოდნენ.

ამ გეგმას, რომელიც თავისი ფლანგების ასიმეტრიულობით შლიფენის გეგმას წააგავს, „ბარბაროსასთან" შედარებით ერთი უპირატესობა ჰქონდა: მასში ფლანგები ურთიერთდაშორებადი მიმართულებით კი არ მიიწევდნენ სხვადასხვა პუნქტისაკენ, არამედ კონცენტრირებუ-ლად ერთი პუნქტისაკენ. თუმცა ეს გეგმა მის განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეების (და ჩანს მისი ნოვატორული ხასია-თის) გამო არ გავიდა.

1940 წლის 3 სექტემბერს გენშტაბის ობერ-კვარტირმაისტერად გენერალი პაულიუსი[19] დაინიშნა. სწორედ მან დაიწყო დეკემბერში ჰიტლერისგან მიღებული დირექტივის საფუძველზე „ბარბაროსას" დაგეგმვა. პაულიუსმა, როგორც წესია, მოწინააღმდეგის ძალების შე-ფასებით დაიწყო. მან გერმანიის წინააღმდეგ გაშლილი საბჭოთა ძალების ოდენობა 125 ქვეით დივიზიად და 50 სატანკო და მექბრიგადად შეაფასა და დიდად არც შემცდარა. სტალინს პირველ ეშელონში 170 დივიზია ჰყავდა დაგეგმილი (პაულიუსის შეცდომა სულ 10%-მდე იყო). პაულიუსი ვარაუდობდა, რომ ომის მესამე თვისათვის საბჭოთა კავშირი კიდევ 30-40 სარეზერვო დივიზიას გამოიყვანდა, ხოლო მე-ექვსე თვისათვის – კიდევ 100 დივიზიას.

ჩატარებულმა საშტაბო წვრთნებმა აჩვენა, რომ გერმანელებს ეშ-ელონირებული შეტევისათვის აშკარად არასაკმარისი ძალები ჰყავ-დათ, საიდანაც გაკეთდა დასკვნა: **ომი უნდა მოგებულიყო ერთი**

ეშელონით, **პრაქტიკულად სტრატეგიული რეზერვის გარეშე.** ვერმახტს რეზერვში მხოლოდ 400.000-მდე მეომარი ჰყავდა, რომლებიც დანაკარგს მხოლოდ მოკლე დროში დაფარავდნენ. ეს სავალდებულოს ხდიდა იმას, რომ ოპერაცია სამ თვეზე დიდხანს არ გაგრძელებულიყო, ანუ შემოდგომისათვის დამთავრებულიყო. აქედან გამომდინარე იგეგმებოდა გრანდიოზული სასაზღვრო ბრძოლა (რაღაც სუპერგენერალური ბრძოლის ვარიანტი), რომელშიც საბჭოთა ძალები ისე უნდა განადგურებულიყვნენ, რომ მათგან 40-მდე სარეზერვო დივიზიაღა დარჩენილიყო.

„ბარბაროსა" ამ მიზნის მიღწევას მთელ ფრონტზე შეტევით აპირებდა. ამასთან დაგეგმვაზე დიდი გავლენას ახდენდა გეოგრაფიული ფაქტორი — პრიპიატის გაუვალი ჭაობები, რომელიც თეატრს ორ, თითქმის ტოლ ნაწილად ჰყოფდა. ძირითადად მიჩნეულ იქნა მოსკოვისა და კიევის მიმართულებები. პირველზე (500 კმ ფრონტით) სამოქმედოდ გამიზნული იყო 48 დივიზია, ხოლო მეორეზე (1250 კმ ფრონტით) — 40 დივიზია (რუმინული, უნგრული და სლოვაკური ნაწილების ჩაუთვლელად). დაბოლოს, ჩრდილოეთის ფრონტზე (290 კილომეტრი) სამოქმედოდ გამიზნული იყო 29 დივიზია (ფინელების ჩაუთვლელად). პირველი და მესამე არმიების ჯგუფს უნდა ემოქმედათ პრიპიატის ჭაობების ჩრდილოეთით, ხოლო მეორეს — სამხრეთით. სულ ვერმახტს მოკავშირეებითურთ ჰყავდა 157 დივიზია, მათგან — 17 სატანკო, 13 მოტორიზებული და 18 ბრიგადა.

ოპერაციის ზოგადი ჩანაფიქრი გულისმობდა ჯარების სტრატეგიულ გაშლას ოპერაციის დაწყებამდე რვა კვირით ადრე, ჯავშანსატანკო დაჯგუფებებით ღრმა გარღვევასა და წითელი არმიის ძირითადი დაჯგუფებების ალყაში მოქცევას დნეპრ-დვინას მიჯნაზე. კონკრეტული გათვლა ასეთი იყო: ოპერაციის მე-8 დღეს გასვლა კაუნასბარანოვიჩ-ლვოვ-მოგილოვის მიჯნაზე, მეთორმეტე დღეს გასვლა დნეპრზე კიევ-მოზირ-როგაჩოვ-ორშა-ვიტებსკის მიჯნაზე, ხოლო ჩრდილოეთით — ფსკოვისა და პიარნუს სამხრეთით. ამის შემდეგ ივარაუდებოდა ოცდღიანი პაუზა ძალების გადაჯგუფებისათვის, დასვენებისა და ახალ მიჯნაზე განლაგებული ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფისათვის. ომის დაწყების 40-ე დღეს უნდა დაწყებულიყო შეტევის მეორე ფაზა ძირითადი მიმართულებით მოსკოვისაკენ. ამ დროს, ვერმახტის აზრით, რუსები ყველა გადარჩენილ ძალებს მოუყრიდნენ თავს, რაც გერ-

მანელებს ერთ საბოლოო ბრძოლაში მათი განადგურების საშუალებას მისცემდა.

ოპერაციის მეორე ფაზა, ბუნებრივია, ნაკლებ დეტალურად იყო დაგეგმილი. ივარაუდებოდა, რომ საბოლოო მიჯნა გაიკლიდა ასტრახან-არხანგელსკის ხაზზე და იქიდან ავიაციით მოსპობდნენ, მათი აზრით, ბოლო საბჭოთა ინდუსტრიულ რეგიონს — ურალს (გერმანელები აზრზე არ იყვნენ, რომ სტალინს ციმბირში უკვე შექმნილი ჰქონდა ახალი ინდუსტრიული რეგიონი). ამასთან გერმანულ გენერალიტეტში დაიწყო დავა იმის შესახებ, თუ როგორ გამოეყენებიათ სატანკო ჯგუფები (ფაქტობრივად სატანკო არმიები). დისკუსიისას ზოგიერთი გენერალი მოითხოვდა მოქმედება კლაუზევიცურ სტილში (რომლის მიმდევრებიც იყვნენ მოლტკე და შლიფენი) გაეგრძელებინათ და მოწინააღმდეგე გაენადგურებინათ ერთ გენერალურ ბრძოლაში კლასიკური ალყაშემორტყმით. ასეთი ბრძოლა შეძლებისდაგვარად ივარაუდებოდა სწრაფად საზღვრის გადაკვეთის შემდეგ. გერმანელი გენერლების ამ ნაწილს არ სურდათ გაერისკათ, რაკი იცოდნენ რუსეთის სიღრმეში ომთან დაკავშირებული სირთულეები. ამიტომ მათ ერჩივნათ, რაც შეიძლება ჩქარა გაენადგურებინათ რუსეთის შეიარაღებული ძალები. ამ დროს სატანკო ჯგუფებს ქვეით კორპუსებთან ერთად მარწუხებში უნდა მოექციათ მოწინააღმდეგის ფლანგები და შეერთებულიყვნენ მის ზურგში.

სატანკო ძალების სპეციალისტები, გუდერიანის[20] მეთაურობით, სხვა აზრზე იდგნენ. ისინი ითხოვდნენ, რომ საფრანგეთის კამპანიის დარად სატანკო ძალებს დამოუკიდებლად ემოქმედათ: რაც შეიძლება ღრმად და სწრაფად შეელწიათ მტრის ზურგში და, სანამ მოწინააღმდეგის ფლანგების მოცვას დაიწყებდნენ, სულ მცირე დნეპრამდე მაინც მიელწიათ. ამით, გუდერიანის აზრით, მიიღწეოდა იგივე ეფექტი, რასაც საფრანგეთში მიაღწიეს, ხოლო დნეპრს იგივე საწყალოსნო წინაღობის როლი უნდა შეესრულებინა, რაც ლა-მანშმა შეასრულა საფრანგეთში. ორ დიდ სატანკო სოლს შორის მოქცეული რუსების ალყაშემორტყმა უნდა განეხორციელებინათ ქვეით ჯარებს, მათთვის სატანკო არმიებისგან გადაცემული მცირე ჯგუფებით. ჰიტლერმა კლასიკური მიდგომის მომხრეთა მხარი დაიჭირა.

მაგრამ უკვე ოპერაციის განხორციელების დროს თავი იჩინა რიგმა კონცეპტუალურმა პრობლემებმა. არაფერს ვიტყვით წითელი არმიის, მათ შორის მისი ალყაშემორტყმული ნაწილების გააფთრე-

ბულ წინააალმდეგობაზე. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. თავდაპირველი წარმატებების შემდეგ ნათელი გახდა, რომ არ გამოვიდა „ბარბაროსას" ჩანაფიქრის მთავარი ელემენტი — წითელი არმიის განადგურება მთელ ფრონტზე გაშლილ ერთ სასაზღვრო სუპერგენერალურ ბრძოლაში. მეტიც, სტრატეგიული მიმართულებებით შეტევა არასინქრონიზებული გამოვიდა. ცენტრალურმა დაჯგუფებამ, რომელიც მოსკოვს უტევდა, ბევრად გაუსწრო წინ კიევის მიმართულებით შემტევ სამხრეთის დაჯგუფებას. ახლა ძნელი სათქმელია, რით იყო ეს გამოწვეული: სამხრეთის დაჯგუფების შედარებითი სისუსტით, მოკავშირეთა (უნგრელები და განსაკუთრებით რუმინელები) მომზადების დაბალი დონით, თეატრის ხასიათით, თუ რაიმე სხვა მიზეზებით. ჩანს, აქ ფაქტორთა მთელი კომპლექსი მუშაობდა. ჰიტლერს კი ძალიან სჭირდებოდა უკრაინა, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-ეკონომიკური მოსაზრებების გამო. გენერლებისათვის კი მთავარი სამიზნე მოსკოვი იყო („ჩემი გენერლები ვერ ერკვევიან ომის ეკონომიკურ ასპექტებში" — გულისტკივილით აღნიშნა ჰიტლერმა). მთელმა აგვისტომ უნაყოფო დავაში ჩაიარა, ჰიტლერს სურდა ცენტრალური მიმართულებით მოქმედი სატანკო დაჯგუფების ნაწილით გაეძლიერებინა ფლანგები, გენერლები ეწინააღმდეგებოდნენ. საბოლოო ჯამში საკითხი ასე იდგა: რა უფრო მნიშვნელოვანია — მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება (რომელიც მოსკოვზე შეტევისას უფრო შესაძლებელი იყო, ვინაიდან ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ რუსები დედაქალაქის დასაცავად ძირითად ჯარებს მოუყრიდნენ თავს), თუ ტერიტორიის დაკავება (ამ შემთხვევაში უკრაინისა), გამომდინარე სამხედრო-ეკონომიკური მოსაზრებებიდან. ბოლოსდაბოლოს ჰიტლერმა თავისი გაიტანა და გუდერიანი სამხრეთისაკენ მიბრუნდა. გერმანელებმა უკრაინაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს და მთელი უკრაინა დაიკავეს, რის შემდეგაც გუდერიანის დაჯგუფება კვლავ ცენტრალური მიმართულებით გადაისროლეს. 30 სექტემბერს მოსკოვზე შეტევა განახლდა, წარმატება თითქოს გერმანელთა მხარეს იყო, მაგრამ დაკარგულმა დრომ თავისი ქნა. ოპერაცია „ბარბაროსა" დადგენილ დროში ვერ დამთავრდა. ზამთარმა და წითელი არმიის კონტრშეტევამ მოსკოვთან საბოლოოდ დაასამარა „ბარბაროსა". ამის შემდეგ მთელ ომს გერმანელები ერთიანი სტრატეგიული გეგმის გარეშე, იმპროვიზირებულად აწარმოებდნენ.

რით იყო გამოწვეული ეს ჩავარდნა? რასაკვირველია, რიგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების გაუთვალისწინებლობით. პირველ ყოვლისა, წითელი არმიის რესურსების არასწორი შეფასებით; შემდეგ, კლიმატური პირობების გაუთვალისწინებლობით (გერმანელები რუსული ზამთრისთვის, რომელიც იმ წელს განსაკუთრებით სასტიკი გამოდგა, სრულიად მოუმზადებლები იყვნენ); საბჭოთა კომუნიკაციების სპეციფიკის გაუცნობიერებლობით (თითქოს საქმე ევროპულ ავტოსტრადებთან ჰქონოდათ!); უვარგისი ტექნიკით (რუსეთის პირობებში შეტევისათვის აუცილებელი იყო არა ბორბლიანი, არამედ მუხლუხებიანი ტრანსპორტი, რომელიც გერმანიას არ ჰქონდა) და სხვა მისთანანი. განსხვავებით შლიფენის გეგმისგან, რომლის პრობლემა იმაში იყო, რომ დიდი სტრატეგიის ლოგიკა ეწინააღმდეგებოდა სამხედრო სტრატეგიის ლოგიკას, „ბარბაროსა" საერთოდ არ ემყარებოდა დიდ სტრატეგიას. ჰიტლერს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორი მშვიდობა დამყარდებოდა „ბარბაროსას" დასრულების შემდეგ. დავუშვათ, გასულიყვნენ გერმანელები ასტრახან – არხანგელსკის ხაზზე. მერე რას იზამდნენ? ცხადია, რომ ურალის სიღრმეში შესაღწევად მათ რესურსი არ ეყოფოდათ, ხოლო ციმბირში სტალინს უკვე ახალი სამხედრო-ეკონომიკური ბაზა ჰქონდა შექმნილი. რას უზამდა ჰიტლერი რეგიონს ურალიდან წყნარ ოკეანემდე? ვერც ვერაფერს! იაპონელები დაიკავებდნენ მას? მაგრამ იაპონელებს არ ეყოფოდათ რესურსი ეომათ ამერიკასთანაც, ჩინეთთანაც, შეეტიათ ინდოეთისათვის და მოეხდინათ რუსეთის გიგანტური ტერიტორიის ოკუპაცია ვლადივოსტოკიდან და კამჩატკიდან ურალამდე. ამას გარდა, ჰიტლერს წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, თუ რა წესრიგი დაემყარებინა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. უფრო სწორად, წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ ვაი ამ წარმოდგენას. მისმა წარმოდგენებმა „ახალ წესრიგზე" სტალინის წისქვილზე დაასხა წყალი. ასე რომ, ჰიტლერის სამხედრო სტრატეგიას არავითარი ბაზა დიდი სტრატეგიის სფეროდან არ ჰქონია. ამ უკანასკნელს იდეოლოგია ანაცვლებდა (ასევე იყო „ცივი ომის" პერიოდის სსრ კავშირშიც). ამას ემატებოდა „ბარბაროსას" შინაგანი წინააღმდეგობები (რესურსების არასაკმარისობა, შეტევა სამი ერთმანეთისგან ძალზე დაშორებული მიმართულებით და ა.შ). ამ სიტუაციაში „ბარბაროსა" უფრო მეტადაც კი იყო განწირული, ვიდრე შლიფენის გეგმა.

თავი 4
დიდი სტრატეგიის და სამხედრო სტრატეგიის ამოცანების შემდგომი დაკონკრეტება

§ 6
ურთიერთობა დიდ სტრატეგიასა და სამხედრო სტრატეგიას შორის

როგორც შლიფენის გეგმისა და „ბარბაროსას“ წარმოდგენილი ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, სამხედრო სტრატეგიის წინაშე შემდეგი ამოცანები დგას:

● დაიგეგმოს დიდი პოლიტიკისა და დიდი სტრატეგიის მიზნების შესაბამისად ომისა და კამპანიების მიზნები;

● შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმა უნდა განსაზღვრავდეს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის მოქმედებისა და ურთიერქმედების გეგმას (და არა ისე, როგოც შლიფენის გეგმაში, სადაც საერთოდ არ იყო განსაზღვრული არმიასა და ფლოტს შორის ურთიერთქმედების გეგმა);

● გეგმა უნდა ემყარებოდეს საერთო ჩანაფიქრს. ამასთან: სტრატეგიული ჩანაფიქრი ეს არა იმდენად კონკრეტულ ღონისძიებათა ჩამონათვალია, რომლებიც ერთმანეთთან დროსა და სივრცეში საერთო მიზნით არიან დაკავშირებულნი, არამედ იდეათა სისტემა, რომელიც ამა თუ იმ ვითარების მიმართ შეიძლება იქნეს მიყენებული;

● აფასებდეს საკუთარ და მოწინააღმდეგის სამხედრო ძალებს, შესაძლებლობებსა და რესურსებს, განსაზღვრავდეს როგორ გამოიყენოს ისინი და რამდენად საკმარისია პოლიტიკისა და დიდი სტრატეგიის დასმულ მიზანთა მისაღწევად;

● ითვალისწინებდეს საკუთარ და მოწინააღმდეგის სტრატეგიულ კომუნიკაციებს, ორგანიზაციასა და დაგეგმვას; განისაზღვროს რეზერვების როლი; განისაზღვროს — რა ძალების გამოყენება შეეძლება მოწინააღმდეგეს დროის შედარებით დიდი მონაკვეთების შემდეგ (3 თვე, 6 თვე და ა. შ). იგივე უნდა გაითვალოს საკუთარი შესაძლებლობების მიმართაც;

● ითვალისწინებდეს სამხედრო-გეოგრაფიულ ფაქტორებს: რელიე-

ფისა და კომუნიკაციების ხასიათს, ოპერატიული ტევადობას, ჯარების გაშლისა და გადაადგილების სიიოლესა თუ სირთულეს;

- განისაზღვოს ძალების კონცენტრაცია სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულებებით, განისაზღვროს ფრონტებისა და მიმართულებების პარამეტრები, აღიწეროს ისინი და გაირკვეს — რა მიმართულებით რა ძალები განლაგდება; უნდა გაირკვეს გაძლიერების კოეფიციენტი;
- გაიწეროს ოპერაცია დღეების მიხედვით M+ (ანგლოსაქსონურ ტრადიციაში მოიხმარება D+). მას უნდა მიებას სივრცე, სახელდობრ: ვინ სად უნდა იყოს M+-ზე. იგივე ითქმის გაშლაზეც. განისაზღვროს — რა დროს რა მიჯნაზე იქნება გასული ესა თუ ის დაჯგუფება;
- დაიგეგმოს სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით — შეძლებისდაგვარად როგორ უნდა მოხერხდეს ყოველ მომენტში მოწინააღმდეგის ფლანგისა და ზურგის მიმართულებით დასვლა;
- განისაზღვროს რისი (პუნქტების, ბრძოლების) და აშ. დათმობა შეიძლება საერთო ჩანაფიქრის მისაღწევად;
- წინასწარ განისაზღვროს ზემდგომი და ქვემდგომი რგოლებისათვის საშტატო და შეშველებული საშუალებები. განისაზღვროს — რა გამოიყენება ცენტრალიზებულად და რასა და რა ოდენობით შეაშველებენ ქვედა რგოლებს;
- განისაზღვროს მოწინააღმდეგის სამხედრო მოქმედებების შეძლებისდაგვარად ყველა სცენარი და მათზე კონტრზომები დროულად შემუშავდეს;
- განისაზღვროს საბრძოლო მოქმედებების ტიპი;
- განისაზღვროს საკვანძო სტრატეგიული პუნქტები;
- ჩატარდეს საშტაბო წვრთნები და თამაშები;
- დაითვალოს ლოგისტიკა;
- ხორციელდებოდეს მუდმივი კონტროლი სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე. სამხედრო სტრატეგია არ არის მხოლოდ გეგმის შედგენა, არამედ აგრეთვე (და შეიძლება მეტადაც) ამ გეგმის შესასრულებლად საშუალებების გამონახვა და შესრულებაა.

ცხადია, ეს ჩამონათვალი არასრულია, მაგრამ მაინც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ — რას აკეთებს წმინდა სამხედრო სტრატეგია. მისი მოქმედებები წმინდა სამხედრო სფეროთი იზღუდება და ეხება შეიარაღებული ძალების გადაადგილების, უზრუნველყოფისა და ბრძოლის (კამპანიის) რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში

წარმართვის საკითხებს, მაშინ როდესაც დიდი სტრატეგიის ამოცანებია:

- განსაზღვროს ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება დაემუქროს დიდი პოლიტიკის მიზნების რეალიზაციას (ლაპარაკია არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ყველა სხვა ტიპის საფრთხეებზე);
- დიდი პოლიტიკის მიზნების შესაბამისად დაგეგმოს შესაძლო ომის (კონფლიქტის) ხასიათი, მიზეზები და მიზნები; განისაზღვროს როგორი უნდა იყოს ის ომისშემდგომი მშვიდობა, რომელსაც ესწრაფვის სახელმწიფო ომის დროს; განსაზღვროს როგორ მოხდეს ომის (კონფლიქტის) პრევენცია;
- განსაზღვროს ომიანობის დროს მოქმედებების საერთო ჩანაფიქრი;
- შემუშავდეს გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ომის დროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მოქმედებასა და ურთიერთქმედებას;
- განსაზღვროს საკუთარი და მოწინააღმდეგის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, საუნფორმაციო, ფსიქოლოგიური და სხვა რესურსები. გაირკვეს საკუთარი და მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები. განსაზღვროს რამდენად მდგრადია მისი და მოწინააღმდეგის სისტემები ომის საწარმოებლად. სამხედროებთან ერთად განსაზღვროს საკუთარი და მოწინააღმდეგის რესურსები; და ბოლოს, მოახდინოს ჯამური შეფასება, რომელიც დახატავს ვითარების კომპლექსურ სურათს;
- განსაზღვროს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფონი; გაირკვეს პოტენციური მოკავშირეები და მოწინააღმდეგის პოტენციური მოკავშირეები, განსაზღვროს მათი როლი;
- განსაზღვროს რომელ მხარეს აქვს კონფლიქტში გამარჯვების მეტი ალბათობა (ვთქვათ, კლაინის ფორმულის გამოყენებით ან პოლიტიკური მეცნიერებიდან ცნობილი ძალმოსილების განმსაზღვრელი სხვა ფორმულებით);
- განსაზღვროს ომის ტიპის ინტენსივობა, მასშტაბი და სხვა ფუნქციონალური პარამეტრები;
- განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და, აგრეთვე, რომელ სტრატეგიულ მიმართულებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი;
- განსაზღვროს, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რისი დათმობა შეიძლება და რისი — არა. მაგალითად: გარკვეული ტერიტორიის არდათმობა უფრო მნიშვნელოვანია, თუნდაც შეიარაღებულ

ძალთა განადგურების რისკის ფასად, თუ მთავარია შეიარაღებულ ძალთა გარანტირებული გადარჩენა თუგინდ გარკვეული ტერიტორიის დათმობის ფასად;

- განსაზღვროს მოწინააღმდეგის შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური მოქმედებები და ჩამოყალიბდეს მათი შესაბამისი კონტრზომები;

დიდ სტრატეგიასა და სამხედრო სტრატეგიას შორის სხვაობა უფრო ნათელი გახდება, თუ მათ ამოცანებს ცხრილის სახით წარმოვადგენთ. ცხადია ეს ათი პარამეტრი არ ამოწურავს დიდი სტრატეგიისა და სამხედრო სტრატეგიის მიმართებას და მათი უფლებამოსილებების განსაზღვრას, მაგრამ სრულიად საკმარისია ჩვენი მიზნების მისაღწევად. ქვემოთყვანილი ცხრილიდან ნათელია, რომ სამხედრო სტრატეგია უფრო კონკრეტულია, მას სამხედრო სფეროში გადააქვს დიდ სტრატეგიაში განსაზღვრული უფრო ფართო და ყოვლისმომცველი პარამეტრები, მოთხოვნები და მოქმედებები. ამასთან ჩვენ ვცადეთ მათ შორის ფუნქციონალური მიმართება დაგვემყარებინა და ერთი სიმრავლის (დიდი სტრატეგიის) ელემენტი შეგვესაბამებია მეორე სიმრავლის (სამხედრო სტრატეგიის) მხოლოდ ერთ ელემენტთან. ცხადია, ეს მხოლოდ მოდელია და რეალობაში ორივე სიმრავლის ყველა ელემენტს შორის ასეთი ურთიერთქმედების დამყარება შეუძლებელია. მეტიც, ხშირად ამ ორი სიმრავლის ერთმანეთისგან გამიჯვნაც კი შეუძლებელია. ამის მიუხედავად ამ მოდელს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვას, ერთი უპირატესობა აქვს: ის საშუალებას გაძლევს თვალსაჩინოდ დაინახო განსხვავება ორ რაიმეს შორის და როგორც დიდი სტრატეგიის, ისე სამხედრო სტრატეგიის დამგეგმავებს მკაფიოდ დავუსვათ მათი ამოცანები. ამასთან ჩვენი მოდელი არ ეწინააღმდეგება მოლტკე-უფროსის განსაზღვრებას, რომლის თანახმად სტრატეგია არის: „მხედარმთავრის განკარგულებაში გადაცემულ საშუალებათა პრაქტიკული გამოყენება დასახულ მიზანთა მისაღწევად". უბრალოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი სტატიკურია, ხოლო მოლტკეს დეფინიცია — დინამიკური. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რას უნდა გეგმავდეს სტრატეგია, ხოლო მოლტკეს დეფინიცია იმას აჩვენებს, თუ როგორ უნდა მოახდინოს მხედარმთავარმა დაგეგმილის რეალიზაცია. რეალობაში სტრატეგია ამ სტატიკური და დინამიკური მომენტების ერთობლიობაა.

დიდი სტრატეგიის და სამხედრო სტრატეგიის ამოცანათა ცხრილი

დიდი სტრატეგიის ამოცანები	სამხედრო სტრატეგიის ამოცანები
განსაზღვროს ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება დაემუქროს დიდი პოლიტიკის მიზნების რეალიზაციას (ლაპარაკია არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ყველა სხვა ტიპის საფრთხეებზე);	განსაზღვროს რა მიმართულებით და სახით შეიძლება რეალიზებულ იქნას სამხედრო საფრთხეები;
განსაზღვროს ომიანობის დროს მთლიანად სახელმწიფოს მოქმედებების საერთო ჩანაფიქრი;	დიდი პოლიტიკისა და დიდი სტრატეგიის მიზნების შესაბამისად დაგეგმოს ომისა და კამპანიების მიზნები;
შემუშავდეს გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ომის დროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მოქმედებასა და ურთიერთქმედებას;	უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმა უნდა განსაზღვრავდეს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის მოქმედების და ურთიერქმედების გეგმას;
განსაზღვროს საკუთარი და მოწინა-ალმდეგის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, საინფორმაციო, ფსიქოლოგიური და სხვა რესურსები. გაირკვეს საკუთარი და მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები. განსაზღვროს რამდენად მდგრადია საკუთარი და მოწინააღმდეგის სისტემები ომის საწარმოებლად. სამხედროებთან ერთად განსაზღვროს საკუთარი და მოწინააღმდეგის რესურსები, დაბოლოს მოხდეს ჯამური შეფასება, რომელიც დახატავს ვითარების კომპლექსურ სურათს.	უნდა აფასებდეს საკუთარ და მოწინააღმდეგის სამხედრო ძალებს, შესაძლებლობებსა და რესურსებს; განსაზღვრავდეს როგორ გამოიყენოს ისინი და რამდენად საკმარისია პოლიტიკისა და დიდი სტრატეგიის დასმულ მიზანთა მისაღწევად.

განსაზღვროს ომის ტიპი ინტენსივობის, მასშტაბისა და სხვა ფუნქციონალური პარამეტრების მიხედვით;	უნდა ითვალისწინებდეს სამხედრო-გეოგრაფიულ ფაქტორებს: რელიეფის და კომუნიკაციების ხასიათი, ოპერატიულ ტევადობა, ჯარების გაშლის და გადადგილების სიიოლეს თუ სირთულეს;
განსაზღვროს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ფონი; გარკვეს საკუთარი მოკავშირეები და მოწინააღმდეგის პოტენციური მოკავშირეები და მათი როლი;	მათემატიკური მოდელირების გზით განსაზღვროს ბრძოლებისა და კამპანიების შესაძლო შედეგი;
განსაზღვროს რომელ მხარეს აქვს კონფლიქტში გამარჯვების მეტი ალბათობა;	განსაზღვროს საბრძოლო მოქმედებების ტიპი;
განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები (დიპლომატიური, ინფორმაციული, ფსიქოლოგიური, სამხედრო და აშ) და რომელ სტრატეგიულ მიმართულებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი და როგორ ვიმოქმედოთ ამ მიმართულებით;	განსაზღვროს ძალების კონცენტრაცია სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულებებით, განისაზღვროს ფრონტებისა და მიმართულებების პარამეტრები, აღწეროს ისინი და გარკვეს – რა მიმართულებით რა ძალები ლაგდება; უნდა გარკვეს გაძლიერების კოეფიციენტი.
ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვროს რა სფეროში რისი დათმობა შეიძლება და რისი არა.	განისაზღვროს რისი (პუნქტების, ბრძოლების და აშ.) დათმობა ან არდათმობა შეიძლება საერთო ჩანაფიქრის მისაღწევად.
განსაზღვროს მოწინააღმდეგის შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური მოქმედებები და ჩამოაყალიბოს კონტრზომები.	განსაზღვროს მოწინაღმდეგის სამხედრო მოქმედებების შეძლებისდაგვარად ყველა სცენარი და დროულად შეიმუშავოს მათზე კონტრზომები.

§ 7
დიდი სტრატეგიისა და სამხედრო სტრატეგიის მიღების პროცედურები

როგორც უკვე აღინიშნა, დიდ სტრატეგიას ამოცანებს დიდი პოლიტიკა უსვამს. აქ ტერმინი „დიდი" გულისხმობს იმას, რომ აქ საქმე ეხება საზოგადოდ სახელმწიფოს და არა მისი რომელიმე ერთი სეგმენტის ფუნქციონირებას (განსხვავებით, ვთქვათ, ჯანდაცვის, ეკონომიკისა ან განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკიდან). დიდი პოლიტიკის ამოცანაა განსაზღვროს ეროვნული ინტერესები, მიზნები და სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპები. ისინი, როგორც წესი, უკიდურესად ზოგად ხასიათს ატარებენ და ფიქსირდებიან კონსტიტუციაში, სხვა საფუძველმდებარე საკანონმდებლო აქტებში, პოლიტიკოსთა პროგრამების ზოგად ნაწილებში. ისინი განსაზღვრავენ იმ ღირებულებებს, რომელთა თანახმადაც არსებობს ერი, მის უმნიშვნელოვანეს ინტერესებს (ანუ იმ ინტერესებს, რომელთა რეალიზაციის გარეშე ეს ღირებულებებიც ვერ იქნებიან რეალიზებულნი) და მოცემულ ეტაპზე ერის წინაშე მდგომ მიზნებსა და ამოცანებს. ცხადია, ეს მიზნები და ამოცანები დროთა განმავლობაში შეიძლება იცვლებოდნენ, მაგრამ ეროვნული ღირებულებები და ინტერესები ისაა, რაც ყველაზე მყარი და კონსტანტურია პოლიტიკაში. დიდი პოლიტიკის პრინციპების განსაზღვრა ხდება რეფერენდუმებით, ერის მიერ უფლებამოსილი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების აქტებში.

მაგრამ დიდი პოლიტიკის მიერ დასმული მიზნები თავისი რეალიზაციის გზაზე მრავალ წინააღმდეგობას, გამოწვევას, მუქარასა და საფრთხეს შეიძლება წააწყდეს. მათი ნეიტრალიზაცია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საქმეა. ეს უკანასკნელი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. პირველი განსაზღვრავს ყველა იმ გამოწვევას, საფრთხეს და სხვ. რაც შეიძლება დაემუქროს ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების რეალიზაციას. ამასთანავე ზოგადად განსაზღვრავს მათი ნეიტრალიზაციის გზებს. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია კი კონკრეტილად სახავს იმ საშუალებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ამ საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის. ვიმეორებთ: ეს დაყოფა პირობითია და

სინამდვილეში ერთი მედლის ორი მხარეა, ვინაიდან საფრთხეების განსაზღვრა მათი ნეიტრალიზების გზების დასახვის გარეშე აბსურდია. რასაც ლიდელ-ჰარტი სამხედრო პოლიტიკას და დიდ სტრატეგიას უწოდებს, სხვა არაფერია, თუ არა უსაფრთხოების კონცეფცია და სტრატეგია, როგორც კონცეპტუალურად, ისე მოქმედებაში.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ახლავე დავაზუსტებ, რომ ის, რასაც ლიდელ-ჰარტი „სამხედრო პოლიტიკას" უწოდებს, არ არის იდენტური „თავდაცვითი პოლიტიკისა", ანუ იმ ქმედებათა ერთობლიობისა, რომელსაც თავდაცვითი უწყება ატარებს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და განვითარების მიზნით. სამხედრო პოლიტიკა და დიდი სტრატეგია კონკრეტულად არ განსაზღვრავს, ვთქვათ, თავდაცვითი ბიუჯეტის ოდენობასა და სტრუქტურას, შეირაღებული ძალების ორგანიზაციასა და დისლოკაციას და საერთოდ ყველა იმ საკითხს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციაშია. მაგრამ ისინი განსაზღვრავენ პრინციპებს,რომლის თანახმადაც ხდება ეს ყველაფერი. ასე რომ, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა", დიდი სტრატეგია და „სამხედრო პოლიტიკა" (ლიდელ-ჰარტისეული გაგებით) ერთიდაიმავე ფენომენის სხვადასხვა ასპექტებს ახასიათებენ და განსხვავდებიან „თავდაცვითი პოლიტიკიდან", რაც თავდაცვის უწყების მიერ გატარებულ პოლიტიკას აღნიშნავს.

თავდაცვითი პოლიტიკა ემყარება დიდ სტრატეგიას, ოღონდ უფრო აკონკრეტებს მას და უსაფრთხოების კონცეფციაში განსაზღვულ საფრთხეებს სამხედრო სფეროს მიუყენებს. ის განსაზღვრავს სამხედრო საფრთხეებს, იმას, თუ რა ოდენობის, ორგანიზაციისა და სტრუქტურის ჯარია საჭირო ამ საფრთხეების ნეიტრალიზებისათვის. ის, აგრეთვე, განსაზღვრავს რა ოდენობის ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსებია საჭირო, ასეთმა ჯარმა ფუნქციონირება რომ შესძლოს. ამრიგად, ის უფრო კონკრეტულია, ვიდრე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ანუ დიდი სტრატეგია.

დიდი სტრატეგიისა და სამხედრო სტრატეგიის საფუძველზე უმაღლესი სამხედრო უწყება (გენშტაბი, შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტი და სხვა მისთანანი) განსაზღვრავენ ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას ანუ იმ პრინციპების ერთობლიობას, თუ როგორ უნდა იფუნქციონირონ შეიარაღებულმა ძალებმა ომიანობისას თუ მშვიდობიანობისას. ეროვნული სამხედრო სტრატეგია კიდევ უფრო კონკრეტ-

ულია და მას საქმე აქვს იმ ტიპის პარამეტრებთან,რომლებიც ზემოთ იყო აღწერილი. ეს სტრატეგია ადგილს მიუჩენს ყველა სახის ჯარს, უდგენს მათ მოქმედებისა და ურთიერთქმედების პრინციპებს. ეროვნული სამხედრო სტრატეგიის საფუძველზე დგება სტრატეგიული გეგმები, ვთქვათ, „ბარბაროსას" ან შლიფენის გეგმის ტიპისა.

ჩვენს მიერ აღწერილი პროცესი იერარქიულ (ზემოდან ქვემოთ მომავალ) ხასიათს ატარებს. ამასთან ყოველი ზედა საფეხური უფრო ზოგადი და ფართოა, ხოლო ყოველი ქვედა უფრო კონკრეტული და ვიწროს პეციალური. გრაფიკულად ეს ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

სფერო/ამოცანა	სუბიექტი	დოკუმენტი
დიდი პოლიტიკა დიდი პოლიტიკის ამოცანაა განსაზღვროს ეროვნული ინტერესები, მიზნები და სახელმწიფოს ფუნქციონირების პრინციპები;	ერი, პარლამენტი, მთავრობა;	კონსტიტუცია, ნორმატიული აქტები;
დიდი სტრატეგია/ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრავს ყველა იმ გამოწვევას, საფრთხეს და ა.შ. რომელიც შეიძლება დაემუქროს ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების რეალიზაციას და ზოგადად განსაზღვრავს მათი ნეიტრალიზაციის გზებს;	ეროვნული უშიშროების საბჭო ან ანალოგიური ორგანო;	ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ან ანალოგიური დოკუმენტები;
თავდაცვითი პოლიტიკა განსაზღვრავს სამხედრო საფრთხეებს, იმას — თუ რა ოდენობის, ორგანიზაციის და სტრუქტურის ჯარია საჭირო ამ საფრთხეების ნეიტრალიზებისათვის. ის აგრეთვე განსაზღვრავს რა ოდენობის ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსებია საჭირო რათა ასეთმა ჯარმა იფუნქციონიროს;	თავდაცვის სამინისტრო ან ანალოგიური უწყება;	თეთრი წიგნი, ერთიანი სტრატეგიული მიმოხილვა და სხვა ანალოგიური დოკუმენტები;
ეროვნული სამხედრო სტრატეგია როგორ უნდა იფუნქციონირონ შეიარაღებულმა ძალებმა ომიანობისას თუ მშვიდობიანობისას;	გენშტაბი ან ანალოგიური ორგანო;	ეროვნული სამხედრო სტრატეგია;

§ 8
სტრატეგიული დონეების იერარქია

ომი არ არის მხოლოდ შიშველი ძალადობა. ეს მტკიცება უკვე მოსაწყენ ტრუიზმად იქცა. ომი თანდათანობით, უფრო და უფრო, მოიცავს ისეთ სფეროებს, რომლებსაც, ერთი შეხედვით, არავითარი შეხება არ აქვს სამხედრო საქმესთან. გენერალმა პატონმა[21] მეორე მსოფლიო ომისას არ იცოდა რა იყო ფსიქოლოგიური სტრესი. ერთხელ ის ჰოსპიტალში ფსიქოლოგიური სტრესის მდგომარეობაში მყოფ ჯარისკაცს ხელით შეეხო, ვინაიდან უბრალოდ ვერ წარმოედგინა, რომ ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანი ფსიქოლოგიურად შეიძლებოდა ავად ყოფილიყო. მას ჯარისკაცის ბრძოლისუნარიანობა მხოლოდ ფიზიკურ მზაობაზე დაყავდა. ეს ინციდენტი გახმაურდა და პრესის ფართო განხილვის საგანი გახდა. მოგვიანებით სამხედროებმა, და არა მარტო მათ, დაიწყეს იმის გააზრება, რომ ადამიანის ფსიქიკა თავისი იდუმალი სიღრმეებით გავლენას ახდენს სამხედრო მოქმედებებზე. გაჩნდა ფსიქოლოგიური ომის იდეა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ძირითადი სამხედრო-სოციალური კოლექტივი (ათეული, ოცეული, ასეული) მცირე სოციალური ჯგუფია და სპეციფიკის მიუხედავად ამ ჯგუფების ქმედებების განმსაზღვრელ წესებს ექვემდებარება. შემდეგ გაირკვა, რომ უფრო დიდ ჯგუფებსაც აქვთ მენტალური და ქცევითი სტერეოტიპები და რომ მათზე ზემოქმედება შეიძლება. ამ აღმოჩენამ მრავალ სფეროში ჰპოვა სხვადასხვაგვარი რეალიზაცია: ბიზნესიდან ვიდრე პოლიტიკამდე, სადაც მისი ყველაზე ცნობილი ნიმუში იდეოლოგიური, „ცივი“ ომი იყო. დღეს უკვე ლაპარაკია ქცევის იმ წესებზე, რომლებიც არა მარტო დიდ სოციალურ ჯგუფებსა თუ ერებს, არამედ მთელ ცივილიზაციებს ახასიათებთ. ლაპარაკობენ ცივილიზაციათა ჯახზეც, სადაც ჩვენი, საქართველოს ადგილი ჯერ განუსაზღვრელია. ამრიგად, იმ სამხედრო და არასამხედრო ფაქტორთა იერარქია, რომელიც ტაქტიკიდან ცივილიზაციამდე ადის ასეთი კიბის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:



პრინციპში ყოველ, უფრო მაღალ დონეზე განცდილი წარუმატებლობა ძალიან ძნელია გამოსწორდეს დაბალ დონეზე მიღწეული წარმატებით. ტამპლიერებისა თუ იოანიტების თავდადებას აღარაფერი შეეძლო შეეცვალა ჯვაროსნული ომების მსვლელობაში სწორედ იმიტომ, რომ საქრისტიანო (უპირველეს ყოვლისა, მისი დასავლური, კათოლიკური ნაწილი) ცივილიზაციურად დამარცხდა და შეეგუა იმ აზრს, რომ მას ახლო აღმოსავლეთიდან გამოაძევებდნენ, უფრო მეტიც — შეეგუა აზრს, რომ აღმოსავლეთში საერთოდ არაფერი

ესაქმებოდათ. ამიტომაც დასავლეთით, ამერიკის კონტინენტის ასათვისებლად გასწიეს. აქ ვერც მსხვილი ჯგუფების (ვთქვათ, გერმანელების ან ფრანგების) ჩარევა შეცვლიდა ვითარებას, ვერც წარმატებები ეკონომიკაში. თვით პოლიტიკურ სტაბილურობასაც კი (შტაუფენების და პაპების, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომების შეწყვეტა) საეჭვოა, რომ რაიმე შეეცვალა. ვინაიდან ეს ომები თავად იყო დასავლეთის ცივილიზაციური მარცხის შედეგი აღმოსავლეთში.

ეროვნულ დონეზე მარცხისადმი შეგუებისა თუ შეუგუებლობის მრავალი მაგალითი არსებობს. ვთქვათ, ფრანგებისათვის 1871 წლის შემდეგ ელზასის და ლოტარინგიის დაბრუნება ძირითად ეროვნულ იდეად იქცა და მას დაექვემდებარა ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მოქმედება. მაგრამ ფრანგები რომ ფსიქოლოგიურად შეგუებოდნენ ელზასის და ლოტარინგიის დაკარგვას, საეჭვოა მათ ყველა სხვა სფეროებში მოეხერხებინათ იმ ღონისძიებების გატარება, რასაც ელზას-ლოტარინგიის დაბრუნება მოჰყვა. ბარბაროსებთან ბრძოლით დაღლილი და თავად მნიშვნელოვანწილად გაბარბაროსებული რომაელები კარგი მაგალითია იმისა, რომ მსხვილი სოციალური ჯგუფის (ერი, სუპერეთნოსი და ა.შ.) თვითგადარჩენა, როგორც წესი, ვერ ხერხდება ვერც ოსტატური პოლიტიკით, ვერც ეკონომიკის წინსვლით (ან საიდან უნდა მოხდეს გატეხილ და მომავალდაკარგულ ხალხში ეკონომიკური წინსვლა), ვერც დიდი სტრატეგიით, ვერც სამხედრო სტრატეგიითა და, მით უფრო, ტაქტიკით.

თუ ცივილიზაციურად საქმე დალაგებულად გაქვს და ერის ნებაც ურღვევია, საქმე უკვე ეკონომიკას ეხება. ეკონომიკური ციკლების ხანგრძლივობა აღემატება ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიერ ხელისუფლებაში ყოფნის ვადას. ხელისუფლებაში მოსულ მთავრობას უკვე არსებული ეკონომიკა ხვდება თავისი პოლიტიკური თუ სამხედრო მიზნების მისაღწევად. ინდუსტრიალიზაციამდე შეიძლება არც კი ესმოდათ ეკონომიკის როლი, მაგრამ არა დღეს. გერმანიისა და იაპონიის, აღარაფერი რომ არ ვთქვათ იტალიაზე, მარცხი II მსოფლიო ომში მნიშვნელოვანწილად სწორედ ეკონომიკური რესურსების სიმწირით იყო განპირობებული და ამ სიმწირეს ვერც პოლიტიკური რეჟიმების მამობილიზებელმა და ცენტრალიზებულმა ხასიათმა უშველა რაიმე, ვერც სამხედრო გამარჯვებებმა. შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები, როგორც წესი, აქცენტს ომის

ბოლო ეტაპზე აკეთებენ. უფრო სუსტები — საწყის ეტაბზე. „ბლიც-კრიგ"-იც და ომის საწყის ეტაპზე მოძღვრებაც, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, სწორედ ამგვარი ეკონომიკური სიმწირის პროდუქტია.

ასევე დიდი პოლიტიკის დონეზე მარცხი გამოიწვევს მარცხს სამხედრო სტრატეგიის სფეროში. თუ დიდ პოლიტიკაში არაადეკვატურადაა განსაზღვრული ეროვნული ღირებულებები, მიზნები და ამოცანები, არაადეკვატურადაა წარმოდგენილი საკუთარი და მოწინააღმდეგის ინტერესები და რესურსები, დიდი სტრატეგია მათ ვერასოდეს მოუყრის თავს ეროვნული მიზნების მისაღწევად. ამას ვერც სტრატეგების ოსტატობა უშველის, ვერც ტაქტიკოსებისა და ვერც დიპლომატებისა. ისტორია ამის უამრავ მაგალითს იძლევა. ზუსტად ასევე დიდ სტრატეგიაში მარცხი იწვევს მარცხს სამხედრო სტრატეგიაში. თუ ვერ მოახერხე მთელი შენი რესურსების ადეკვატური ორგანიზება, ვერ მოძებნე საჭირო მოკავშირეები, ვერ განსაზღვრე მოქმედების ძირითადი მიმართულებები, ბრძოლის ველზე წარმატება არაფერს მოგიტანს. მეტიც, სსრ კავშირი დიდი სტრატეგიის (და ზემდგომ დონეებზე) სფეროში მარცხმა საერთოდ უომრად მიიყვანა დამარცხებამდე და დაშლამდე.

დაბოლოს, არასწორად შერჩეული სტრატეგია ტაქტიკურ დონეზეც იწვევს მარცხს. ფრანგებისა და პოლონელების მარცხი მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე სწორედ არასწორად შერჩეულმა სამხედრო სტრატეგიამ განაპირობა. სურვილი, დაეცვათ ყველაფერი რაც კი შეიძლებოდა, მაჟინოს ხაზის იმედად ყოფნა, სატანკო ძალების როლის შეუფასებლობა — ეს მხოლოდ იმ მცირერიცხოვან სამხედრო-სტრატეგიულ შეცდომათა ჩამონათვალია, რომლის გამოსწორება ბრძოლის ველზე აღარც ფრანგების სიმამაცით შეიძლებოდა და აღარც პოლონელებისა.

რასაკვირველია, სტრატეგიის კანონები არ არის ბუნებისმეტყველების კანონების ტოლფასი. მეტიც, აბსურდია სტრატეგიაში კანონებზე საუბარი იმ აზრით, როგორც, ვთქვათ, მექანიკაში ლაპარაკობენ. ეს უფრო წესებია, რომელთაც გამონაკლისები ადასტურებს. მეტასტრატეგიის შემთხვევაში კი შეგვიძლია მხოლოდ გარკვეულ მიდგომებზე ვისაუბროთ, რომელთაც სტრატეგოსი იყენებს თავისი მოქმედებების (ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი). ამიტომ, ბუნებრივია, არ ვამტკიცებთ, თითქოს ჩვენს მიერ აღწერილი იერარქიის ყოველ მაღალ საფეხურზე მარცხი

ისეთივე ალბათობით იწვევს ქვედა რგოლებზე მარცხს, როგორც მთავარის ზეგაელენა — წყლის მიქცევ-მოქცევას. თეორიულ, წარმოსახვის დონეზე ვერ გამოვრიცხავთ, რომ ქვედა საფეხურზე გრანდიოზულმა ძალისხმევამ მოახდინოს ზედა საფეხურებზე მიღწეული წარუმატებლობების კომპენსირება. თუმცა არც პოლიტიკოსებსა და არც სამხედროებს არ ვურჩევდი სტრატეგია მხოლოდ ამგვარი გრანდიოზული ძალისხმევის იმედზე დაენერგათ.

თავი 5
სამხედრო ოპერაცია დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით
ოპერაცია „თორჩი“

§ 9
შენიშვნა

როგორია პრაქტიკული მიმართება დიდ სტრატეგიასა და სამხედრო სტრატეგიას შორის? ამ კითხვაზე საპასუხოდ ჩვენ ნიმუშს ისევ სამხედრო ისტორიიდან ავიღებთ და ხსენებულ საკითხს ოპერაცია „თორჩის“ (მეორე მსოფლიო ომის დროს ჩრდილო აფრიკაში ინგლისელთა და ამერიკელთა გადასხდომა) მაგალითზე გავაშუქებთ. ეს ოპერაცია იმითაა საყურადღებო, რომ მის მაგალითზე კარგად შეიძლება დავინახოთ ურთიერთქმედება დიდ პოლიტიკას, დიდ სტრატეგიასა და სამხედრო სტრატეგიას შორის, აგრეთვე დაზვერვის (მათ შორის აგენტურულის) როლი სტრატეგიული ხასიათის ოპერაციებისას; ისიც, თუ რას ნიშნავს კარგი დაგეგმვა და ისიც, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შემთხვევითობასა და გამართლებას ბრწყინვალედ დაგეგმვის პირობებშიც კი.

§10
სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვა

1942 წლის შუაგულისათვის სამხედრო-სტრატეგიული ვითარება შემდეგ ხასიათს ატარებდა: გერმანელებსა და მათ მოკავშირეებს ოკ-

უპირებული ჰქონდათ მთელი კონტინენტური ევროპა პორტუგალიის, შვეიცარიისა და შვედეთის გარდა. ამას გარდა გერმანული ჯარები განლაგებულები არ იყვნენ საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში, რომელიც ვიშის მთავრობის კონტროლქვეშ იმყოფებოდა, აგრეთვე მათი ფორმალური მოკავშირის — ესპანეთის — ტერიტორიაზე, რომლის მონაწილეობა ომში სიმბოლურ ხასიათს ატარებდა (რუსეთის ფრონტზე ომობდა ესპანელი მოხალისეებით დაკომპლექტებული ე.წ. „ცისფერი დივიზია"). ამავე დროს ესპანეთი არაფრით არ თანხმდებოდა თავის ტერიტორიაზე გერმანელების გატარებას, რათა ამ უკანასკნელთ ესპანეთის ტერიტორიის გავლით ჰიბრალტარზე შეეტიათ და წარმატების შემთხვევაში ინგლისელებისათვის ხმელთაშუა ზღვა ჩაეკეტათ, რაც გადამწყვეტ გავლენას მოახდენდა ჩრდილო აფრიკაში მიმდინარე მოქმედებებზე და ფელდმარშალ რომმელს[22] საშუალებას მისცემდა სუეცის არხი აეღო ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. ამის შემდეგ რომმელს შეეძლებოდა შეეტია ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით და იქ შეხვედროდა გერმანელთა დაჯგუფებას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში გაჭრას კავკასიის გავლით აპირებდა.

ამავე დროს გერმანელებს დაკავებული ჰქონდათ სსრ კავშირის დიდი ნაწილი. მათ მოიგერიეს საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა, მძიმე დანაკარგი მიაყენეს საბჭოელებს და კავკასია-სტალინგრადის მიმართულებით გაიჭრენ. იაპონელებმა დაიკავეს აღმოსავლეთ აზიისა და ჩინეთის უდიდესი ნაწილი. გარეგნულად ინიციატივა თითქოს ღერძის სახელმწიფოთა მხარეს იყო, თუმცა უკვე ამ პერიოდისათვის, ერთი რუსი ექსპერტის არ იყოს, ნათელი გახდა, რომ მოკავშირეებს აღარ შეეძლოთ ომი წაეგოთ (რაც, ცხადია, სულაც არ ნიშნავდა, რომ ომი უკვე მოგებული იყო). შემთხვევითი არაა, რომ ლიდელ-ჰარტი 1942 წელს მეორე მსოფლიო ომის გარდატეხის წლად მიიჩნევდა.

ძალიან თავისებური იყო საფრანგეთის მდგომარეობა, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის გმირი, მარშალი პეტენი[23] ხელმძღვანელობდა (ბედის ირონიით, მან უდიდესი როლი შეასრულა პირველი მსოფლიო ომისას პარიზზე გერმანელების შეტევის ჩაშლაში). პეტენი მაქსიმალურად ცდილობდა მანევრირების გზით თავი აერიდებინა გერმანელებთან თანამშრომლობისათვის, მაგრამ მისი პრემიერ-მინისტრი ლავალი[24] გერმანელებთან უმჭიდროესი თანამშრომლობის მომხრე იყო და პეტენსაც აიძულებდა მის მსგავსად ემოქმედა. ვიშის მთავრობის

იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა საფრანგეთის კოლონიური იმპერიის დიდი ნაწილი (გარდა ინდოჩინეთისა, რომელიც პეტენმა იაპონელებს დაუთმო და იმ ტერიტორიებისა, რომლებიც ინგლისელთა დახმარებით დე გოლის[25] ძალებმა დაიკავეს). ამ ტერიტორიებს შორის უმნიშვნელოვანესი ჩრდილო აფრიკა იყო. იქ განლაგებული იყო ფრანგების ძირითადი დაჯგუფება, ცხოვრობდა დიდი რაოდენობის ფრანგული მოსახლეობა, ხოლო ჩრდილო საფრანგეთის ოკუპაციამ ჩრდილო აფრიკა კიდევ უფრო მიაჯაჭვა ფრანგულ მეტროპოლიაზე. ამასთანავე, ინგლისელებისაგან განსხვავებით, რომლებთანაც ვიშის მთავრობას ურთიერთობა ჰქონდა გაწყვეტილი მთელი რიგი ინციდენტების გამო (ინგლისელებმა იმის შიშით, რომ ვიშის ფლოტი გერმანელების სასარგებლოდ იმოქმედებდა, შეტევა მიიტანეს ფრანგების ფლოტზე. ამას ემატებოდა ინგლისელების მიერ დე გოლის მოძრაობის მხარდაჭერა მაშინ, როდესაც დე გოლი პეტენის მთავრობის მიერ მეამბოხედ იყო გამოცხადებული, აგრეთვე რიგი სხვა ინციდენტები), პეტენს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა ამერიკასთან.

ანგლო-ამერიკის სტრატეგიის დამგეგმავების წინაშე იდგა პრობლემა: რა მიმართულებიუთ დაერტყათ ღერძის სახელმწიფოებისათვის. ეს გადაწყვეტილება მოკავშირეთა დიდი სტრატეგიის ჩარჩოებში დიდი პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო.

§11
პოლიტიკური კონტექსტი

კონფერენცია „არკადია"-ს მსვლელობისას, რომელიც 1942 წლის შობისათვის შედგა, ჩერჩილმა წამოაყენა პროექტი „ჩრდილო-დასავლეთი აფრიკა", რომელიც მის მიერ გაიაზრებოდა, როგორც ნაბიჯი „გერმანიის ირგვლივ ალყის შემოტყმისა და ჩაკეტვისა". მან რუზველტს აცნობა, რომ ინგლისელებს უკვე შემუშავებული აქვთ გეგმა „ჯიმნასტი", რომელიც უნდა ამოქმედებულიყო იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელები წარმატებას მიაღწევდნენ ეგვიპტეში და მოახერხებდნენ ლიბიის დაკავებასა და ტუნისისაკენ წინ წაწევას. ჩერჩილმა ამერიკელებს შესთავაზა, რომ აღმოსავლეთიდან ინგლისელთა შეტევის პარალელურად, ამერიკელები გადამსხდარიყვნენ ჩრდილო-დასავ-

ლეთ აფრიკაში, სახელდობრ, მაროკოში (ფრანგების თანხმობით) და იქიდან შეეტიათ გერმანულ-იტალიური დაჯგუფებისათვის. რუზველტმა ეს გეგმა მოიწონა.

შემდეგი რამდენიმე თვე ლა-მანშის გადალახვის გეგმაზე მუშაობამ წაიღო. ამერიკის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსის გენერალ მარშალისა[26] და ევროპაში საექსპედიციო ძალების სარდალ გენერალ ეიზენჰაუერის[27] წინადადებით გადაწყდა სტრატეგიული სადესანტო ოპერაცია ჩრდილო საფრანგეთში, კოტანტენის ნახევარკუნძულზე მომხდარიყო. 1942 წლის 21 ივნისს აშშ-სა და ბრიტანეთის შტაბების უფროსებმა მხარი დაუჭირეს ევროპაში გადასხდომის ვარიანტს და ჩრდილო აფრიკული პროექტი არარაციონალურად მიიჩნიეს.

მაგრამ ივნისის ბოლოსთვის ვითარება მკვეთრად შეიცვალა. რუზველტი დარწმუნდა, რომ 1942 წლისათვის მოკავშირეები ვერ მოახერხებდნენ ევროპაში სტრატეგიული სადესანტო ოპერაციისათვის საჭირო რესურსების კონცენტრაციას. არადა, საჭირო იყო რაღაც პოზიტიური აქცია მსოფლიოსთვის და, უპირველეს ყოვლისა, სსრ კავშირისათვის იმის საჩვენებლად, რომ მოკავშირეებსაც შეაქვთ არსებითი წვლილი ღერძის სახელმწიფოების დამარცხებაში. ამას გარდა ჩრდილო აფრიკული სადესანტო ოპერაცია აუცილებელი გახდა სამხედრო-სტრატეგიული ვითარებიდან გამომდინარეც. 21 ივნისს ლიბიაში, ტობრუკში განლაგებულმა ინგლისელთა ალყაშემორტყმულმა გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ინგლისელთა ნაშთებმა ეგვიპტისკენ უკანდახევა დაიწყეს. ძლევამოსილი რომმელი ფეხდაფეხ მისდევდა ბრიტანელებს. რუზველტმა მოითხოვა გაეაქტიურებინათ მუშაობა ჩრდილო აფრიკული სადესანტო ოპერაციის განსახორციელებლად, მაგრამ კვლავ წააწყდა თავისი გენერლების წინააღმდეგობას. მარშალმა განაცხადა, რომ თუ ინგლისელები არ დათანხმდებოდნენ ლა-მანშზე გადასხდომის გეგმას, ამერიკელებს ყურადღება წყნარი ოკეანის თეატრზე უნდა გადაეტანათ (სწორედ ამ დროს დასრულდა მიდუეის ცნობილი ბრძოლა, რომელიც წყნარი ოკეანის კამპანიისას გარდატეხის მომენტს წარმოადგენდა). დაიწყო დისკუსია დიდი სტრატეგიის სფეროში. ამერიკელებს უნდა გაერკვიათ, რომელი თეატრი მიეჩნიათ პრიორიტეტულად სტრატეგიული შეტევითი ოპერაციისათვის და რომელ თეატრზე გადასულიყვნენ თავდაცვაზე.

მარშალი ითხოვდა სადესანტო ოპერაციას ევროპაში, საფრანგეთის ტერიტორიაზე და შემდეგ შეტევას გერმანიის წინააღმდეგ. საპირისპირო შემთხვევაში ითხოვდა შეტევითი მოქმედებების პრიორიტეტი წყნარი ოკეანის მიმართულებით გადაეტანათ ანუ გერმანიის წინააღმდეგ თავდაცვითი ომი ეწარმოებინათ, ხოლო ძირითადი რესურსები იაპონიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ.

მაგრამ რუზველტი ამ გეგმას არ დაეთანხმა. ეს უარი განპირობებული იყო როგორც დიდი პოლიტიკის, ისე დიდი სტრატეგიის მოსაზრებებით. პოლიტიკურად პრეზიდენტი გამართლებულად არ თვლიდა ძირითადი მოკავშირის აზრის ესოდენ დემონსტრატიულად იგნორირებას. მეტიც, ნათელი იყო, რომ ევროპასა და ჩრდილო აფრიკაში დაკავებული ინგლისელები ვერ შეძლებდნენ წყნარი ოკეანის კამპანიაში რამდენადმე აქტიური როლის შესრულებას და ძირითადი სიმძიმე ამერიკელებს დააწვებოდათ. ეს, გარდა იმისა, რომ სამხედრო თვალსაზრისით არცთუ გამართლებული იქნებოდა, წამგებიანი იქნებოდა პოლიტიკურადაც, ვინაიდან ანგლო-ამერიკული კოალიცია სამხედრო ხასიათს ფაქტობრივად დაკარგავდა (ანუ აღარ იარსებებდა გაერთიანებული ანგლო-ამერიკული ძალები, სადაც ორივე მხარე მეტ-ნაკლებად თანაბრად იქნებოდა წარმოდგენილი) და მხოლოდ პოლიტიკური ალიანსის სახეს შეინარჩუნებდა, რაც არც ერთი მხრისათვის არ იყო ხელსაყრელი. ამას გარდა ნათელი იყო, რომ გერმანია უფრო საშიში მოწინააღმდეგე იყო, ვიდრე იაპონია. გერმანიის დამარცხების შემთხვევაში მარტო დარჩენილი იაპონიის დამარცხება შეუდარებლად უფრო იოლი იყო, ვიდრე იაპონიის დამარცხების შემდეგ გერმანიის დამარცხება. ყოველ შემთხვევაში, ფლოტის გარდა გერმანიის რესურსები ყველაფერში მნიშვნელოვნად სჭარბობდა იაპონიისას. ამასთან, განსხვავებით კონტინენტალური გერმანიიდან იაპონიას მისთვის აუცილებელი რესურსების გადაზიდვა ოკეანით უხდებოდა, თანაც ათასობით კილომეტრზე, რაც მას უფრო იოლად მოწყლადს ხდიდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით არჩევანი გაკეთდა — ჩრდილო აფრიკა. 24-25 ივლისს ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად გაფორმდა. ოპერაციას სახელი გამოეცვალა და „თორჩი" (ჩირაღდანი) დაერქვა. ახლა სამხედრო სტრატეგია იყო განსასაზღვრი.

§ 12
სამხედრო სტრატეგიის შემუშავება

ბუნებრივია, სტრატეგიის შემუშავებისას პირველ რიგში ოპერაციის დრო და სივრცე იყო განსასაზღვრი. ორივე სფეროში მოკავშირეთა შეხედულებები მნიშვნელოვნად შორდებოდა ერთმანეთს. ინგლისელები გადასხმის თარიღად 7 ოქტომბერს განსაზღვრავდნენ, ხოლო ამერიკელები ამტკიცებდნენ, რომ 7 ნოემბერზე ადრე ოპერაცია ვერ დაიწყებოდა. ამას ისინი სადესანტო საშუალებების ოდენობიდან გამომდინარე ამტკიცებდნენ.

ოპერაციის სივრცესთან მიმართებაში მოკავშირეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო შორს მიდიოდა. ინგლისელები, რომლებიც ოპერაციას ეგვიპტეში მებრძოლი თავიანთი ჯარის დახმარების კონტექსტში განიხილავდნენ, მომხრენი იყვნენ დესანტირება ალჟირში მოხდარიყო, რათა იქიდან აღმოსავლეთის მიმართულებით შეეტიათ და რომმელის დაჯგუფების ზურგში გასვლით ალყაში მოექციათ იგი. ამერიკელების ჩანაფიქრით დესანტი მხოლოდ ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, მაროკოში, კასაბლანკაში უნდა გადამსხდარიყო.

ამ დროს ამერიკელებს იმდენად ფრანგების წინააღმდეგობის შიში არ ჰქონდათ, რამდენადაც ესპანეთის ჩარევისა, აგრეთვე გერმანელების კონტრდარტყმისა ჰიბრალტარის მიმართულებით (უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაროკოს ჩრდილოეთის ნაწილი, განსხვავებით დანარჩენი ნაწილებისგან საფრანგეთის კი არა, ესპანეთის იურისდიქციაში შედიოდა). ესპანელებს შეეძლოთ დიდი უსიამოვნება მიეყენებინათ მოკავშირეებისათვის. სახელდობრ, შეიძლება მომხდარიყო, რომ ალჟირში დესანტირებული ძალების ზურგში ესპანეთის მაროკოს ტერიტორიაზე დისლოცირებული დაჯგუფება აღმოჩენილიყო, სადაც ესპანელთა თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა გერმანელთა ძალების გადასხმა. ესპანელებს ასევე შეეძლებოდათ გერმანელთა დახმარებით, ან დამოუკიდებლად მიეტანათ იერიში ჰიბრალტარზე, ყოველივე ამას კი შეიძლებოდა მოკავშირეთათვის ჩაეკეტა ხმელთაშუა ზღვა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვებოდა ეგვიპტეში ინგლისური დაჯგუფებისთვისაც.

თუმცა, როგორც დღევანდელი გადასახედიდან ირკვევა, ამერიკელები სულ ტყუილად ღელავდნენ. ესპანელები სულაც არ აპირებდნენ

ომში ჩართვას. მეტიც, ესპანეთის გავლით ჰიბრალტარზე დარტყმას არც ჰიტლერი აპირებდა. მას ეშინოდა ნაპოლეონის მაგალითის და ესპანელებს ლათინურენოვანი ერებიდან ერთადერთად მიიჩნევდა, ვისაც შეეძლო სერიოზული სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა ესპანეთს მოკავშირეთათვის ბევრი უსიამოვნების მოტანა შეეძლო. ფრანკოს საარტილერიო ცეცხლითაც კი ძალუძდა მოკავშირეებისათვის შეეშალა ხელი ჰიბრალტარის პორტისა და აეროდრომების გამოყენებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესპანელებს შეეძლოთ მოეშალათ მაროკოს და ალჟირის დამაკავშირებელი სახმელეთო კომუნიკაციები. კასაბლანკასა და ორანის დამაკავშირებელი ერთადერთი სარკინიგზო მაგისტრალი ესპანეთის მაროკოს საზღვრიდან სულ რაღაც 20-დე კილომეტრში გადიოდა. „თორჩის" დაგეგმვისას ინგლისელები ამტკიცებდნენ, რომ ფრანკოს ჩარევის შემთხვევაში ჰიბრალტარის გამოყენება შეუძლებელი გახდებოდა. ამერიკელთა გათვლით კი ესპანეთის მაროკოს ოკუპირებას ხუთი დივიზია და სამნახევარი თვე დასჭირდებოდა. მაგრამ ფრანკო „არამეომარი მოკავშირის სტატუსს" დასჯერდა. ძნელი სათქმელია, რამ შეასრულა აქ გადამწყვეტი როლი: იმან, რომ ფრანკო ნავთობს ამერიკელების ნებართვით ლათინური ამერიკიდან იღებდა, ინტელიჯენს სერვისის კონფიდენციალურმა საქმიანობამ, ფრანკოს შორსჭვრეტელობამ თუ სხვა რაიმემ, მაგრამ ესპანეთი „თორჩის" განხორციელებისას გვერდით გადგა. ეს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ამერიკელები მართლები არ იყვნენ, როდესაც „თორჩს" დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით განიხილავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სამხედრო თვალსაზრისით თუგინდ მომგებიან ოპერაციას დიდი სტრატეგიის თვალსაზრისით რაიმე წარუმატებლობა არ მოეტანა (შლიფენის გეგმის და „ბარბაროსას" დამგეგმავები ასე არ იქცეოდნენ).

შლიფენის გეგმას, რომელიც დიდ სტრატეგიას არ ემყარებოდა, შეეძლო სამხედრო მოქმედებების შესაძლო ნეგატიური პოლიტიკური შედეგები არ მიეღო მხედველობაში (ბელგიისა და და ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შემდეგ ბრიტანეთის შესაძლო ჩაბმა ომში), მაგრამ ანგლო-საქსები, რომლებიც სამხედრო სტრატეგიას დიდ სტრატეგიაზე აფუძნებდნენ, ასეთ რაიმეს ვერ დაუშვებდნენ. მათთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ესპანეთი აქტიურად არ ჩართულიყო გერმანელების მხარეს მოქმედებაში (დიდი სტრატეგიის ერთ-

გულება იქამდე მიდიოდა, რომ ერთ-ერთი ამერიკელი ოფიცრის გეგმის თანახმად, ესპანეთთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ამერიკელები მათდამი ლოიალურ ლიბერიაში უნდა გადამსხდარიყვნენ და იქიდან გაეკაფათ გზა ჩრდილო აფრიკისაკენ).

ბოლოს და ბოლოს ინგლისელებმა თავისი გაიტანეს და ეიზენჰაუერი დასთანხმდა დესანტირებას როგორც ატლანტის ოკეანის სანაპიროზე (საფრანგეთის მაროკო), ისე ხმელთაშუა ზღვაზე (ალჟირში), ოღონდ იმ პირობით, რომ მოკავშირეები არ გაცდებოდნენ ქალაქ ალჟირს, ვინაიდან მისი აღმოსავლეთით უკვე იწყებიდა სარდინიასა და სიცილიაზე დისლოცირებულ გერმანულ-იტალიური ავიაციის მოქმედების ზონა.

21 აგვისტოს ეიზენჰაუერის შტაბმა შეიმუშავა ახალი გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ინგლისელთა სურვილები. გეგმა უარს ამბობდა მხოლოდ მაროკოს ატლანტიკურ სანაპიროზე (კასაბლანკაში) გადასხდომაზე და გულისხმობდა ხმელთაშუა ზღვაზე, ალჟირში დესანტირებასაც. სახელდობრ, ამერიკელები უნდა გადამსხდარიყვნენ ორანში (ჰიბრალტარის აღმოსავლეთით 250 კილომეტრზე), ხოლო ინგლისელები – ქალაქ ალჟირში და ტუნისში, ბონის ნახევარკუნძულზე, რაც გამოიწვევდა იტალიიდან რომმელის დაჯგუფების მომარაგების უაღრესად გართულებას. თუმცა ამავე დროს ეიზენჰაუერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი ექსპედიცია შესაძლოა მოწყლადი გამხდარიყო ფლანგიდან.

ამერიკის არმიის შტაბი არ იზიარებდა ამ გეგმას. გენერალმა მარშალმა ეიზენჰაუერს განუცხადა, რომ „კომუნიკაციათა მხოლოდ ერთი, ჰიბრალტარის სრუტეზე გამავალი ხაზის არსებობა ძალიან საშიშია". მარშალი აგრეთვე მოითხოვდა, რომ უარი თქმულიყო ორანის აღმოსავლეთით დესანტის გადასხმაზე, ვინაიდან ეს ტერიტორია სიცილიაზე დისლოცირებული ავიაციის მოქმედების რადიუსში იმყოფებოდა.

ბოლოს და ბოლოს კომპრომისი მოიძებნა. საბოლოო გეგმის თანახმად კასაბლანკის დასაკავებლად უნდა ემოქმედა 24500 კაციან დაჯგუფებას გენერალ-ლეიტენანტ პატონის სარდლობით. მის მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას ახდენდა 102 გემი და ხომალდი, რომელთა შორის 25 სპეციალური სადესანტო ხომალდი იყო. სადესანტო დაჯგუფება ადგილზე პირდაპირ აშშ-დან უნდა ჩასულიყო.

ორანის ალება ევალებოდა აგრეთვე ამერიკულ დაჯგუფებას, რომელშიც 18500 ათასი ჯარისკაცი შედიოდა და მას გენერალ-მაიორი ფრიდენდოლი[28] მეთაურობდა; ზღვაზე მის გადასვლას უზრუნველყოფდა ინგლისური ხომალდების დაჯგუფება. დესანტი შოტლანდიისა და ჩრდილო ირლანდიის პორტებიდან უნდა გასულიყო.

ალჟირში გადასასხმელი დესანტი შერეული იყო. მასში შედიოდა ცხრა-ცხრა ათასი ინგლისელი და ამერიკელი სამხედრო. საზღვაო დაცვასა და უზრუნველყოფას მთლიანად ინგლისური ხომალდები ახორციელებდნენ. ამას გარდა 2000 ამერიკელი ჩართული იქნა ინგლისური „კომანდოსების" შემადგენლობაში. მათ პირველ რიგებში უნდა ემოქმედათ, რათა ფრანგებს ეფიქრათ, რომ დესანტი მთლიანად ამერიკულია და ნაკლები წინაარმდეგობა გაეწიათ მათთვის (ზემოთხსენებულ მიზეზთა გამო ფრანგები ინგლისელებზე განაწყენებულნი იყვნენ და მოსალოდნელი იყო, რომ მათ უფრო მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, ვიდრე ამერიკელებს).

მოკავშირეებმა მოახდინეს სადესატო ძალების გადასროლის კოორდინირება დროსა და სივრცეში. ორანსა და ალჟირში გადასასხმელი ძალები ინგლისიდან ორი დიდი კონვოის სახით უნდა გამგზავრებულიყვნენ. ორივე კონვოიში 160 სხვადასხვა კლასის საბრძოლო ხომალდს გარდა, შედიოდა 250 გემი, რომლებსაც უნდა გადაეყვანათ დესანტის პირადი შემადგენლობა და გადაეტანათ საჭირო საჭურვე-



ოპერაცია „თორჩის" გეგმა

ლი (მათგან 40 სპეციალური სადესანტო ხომალდი იყო). უფრო ნელმავალი კონვოი 22 ოქტომბერს უნდა გამგზავრებულიყო, ხოლო უფრო სწრაფმავალი – 16 ოქტომბერს. ორივე კონვოის თავი უნდა მოეყარა ჰიბრალტართან 5 ნოემბრის ღამეს. შემდგომ მათი დაცვა უნდა უზრუნველეყო ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის ნაწილს ადმირალ კენინჰემის[29] მეთაურობით (თუმცა ინგლისის ფლოტის შიშით იტალიელებს თავიანთი ბაზებიდან ცხვირიც არ გამოუყვიათ მას შემდეგაც კი, როდესაც მოკავშირეები ჩრდილო აფრიკაში გადასხდნენ)

ამ სტრატეგიული ჩანაფიქრის საფუძველზე შედგა ოპერატიული გეგმები, რომელთა ნაწილის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ, როდესაც შეეხებით ოპერაციის მსვლელობას. ახლა კი კიდევ ერთხელ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საერთო ჩანაფიქრის თანახმად დესანტირება ერთდროულად სამ პუნქტში უნდა მომხდარიყო: მაროკოს ატლანტიკურ სანაპიროზე, ალჟირსა და ორანში.

§ 13
სადაზვერვო უზრუნველყოფა

ოპერაცია „თორჩი" ძალიან სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა. მასში მოწინააღმდეგედ იგულისხმებოდა არა გერმანიის ან იტალიის, არამედ საფრანგეთის ძალები, რომლებიც არათუ არ მონაწილეობდნენ ომში მოკავშირეების წინააღმდეგ, არამედ ამერიკელებთან დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ ჰქონდათ გაწყვეტილი.

ოპერაციის სადაზვერვო უზრუნველყოფა დაევალა ჩრდილო აფრიკაში აშშ-ის მთავარ დიპლომატიურ წარმომადგენელს, მორფის[30]. მან დაიწყო ჩრდილო აფრიკაში დისლოცირებული საფრანგეთის დაჯგუფების ოფიცრების ფრთხილი ზონდირება იმის გასარკვევად, თუ როგორ შეხვდებოდნენ ისინი მოკავშირეების გადასხმას. მორფის დიდი იმედი ჰქონდა გენერალ მასტისა[31], რომელიც ალჟირის სექტორს მეთაურობდა და გენერალ ბეთუანისა[32], რომელიც კასაბლანკის სექტორს მეთაურობდა (თუმცა აქ ამერიკელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და ვერ გაითვალისწინეს, რომ კასაბლანკის სექტორის მეთაური მაროკოში ფრანგული ჯარების სარდალს, გენერალ

მიშელიეს[33] ემორჩილებოდა, რასაც დესანტის განხორციელებისას სირთულეები მოჰყვა).

მასტი ითხოვდა, რომ ალჟირში საიდუმლოდ ჩასულიყო მოკავშირეთა წარმომადგენელი, მაღალი რანგის სამხედრო, რომელიც მოელაპარაკებოდა მაღალი რანგის ფრანგ ოფიცრებს. მოკავშირეები ამ თხოვნას გამოეხმაურენ. ინგლისურმა წყალქვეშა ნავმა ალჟირში საიდუმლოდ გადაიყვანა ეიზენჰაუერის მოადგილე გენერალი კლარკი[34] და ოთხი სხვა მაღალი რანგის ოფიცერი.

კლარკმა ზოგადად ჩააყენა მასტი საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ მსხვილი ამერიკული დაჯგუფება ემზადება ჩრდილო აფრიკაში გასამგზავრებლად და რომ მას მხარს დაუჭერს ინგლისური საჰაერო და საზღვაო ძალები. კლარკს არ გაუმჟღავნებია გადასხდომის არც დრო და არც ადგილი (გადასხდომის დროის შესახებ მასტი საქმის კურსში ჩააყენეს სადესანტო ოპერაციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მაგრამ მაინც არ მიაწოდეს ინფორმაცია დესანტირების პუნქტების შესახებ). ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მასტმა ვერ მოასწრო შეეტყობინებია მაროკოში მყოფ თანამოაზრეთათვის ოპერაციის დაწყების შესახებ. შესაძლოა ეს ქმედება ამერიკელთა მხრიდან არასწორიც იყო, მაგრამ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ საიდუმლოების დაცვას.

უკან დაბრუნებული კლარკმა უმაღლეს სარდლობას მოახსენა თავისი შთაბეჭდილებების შესახებ. გადაწყდა ზონდირების გაგრძელება. ერთ-ერთი უმაღლესი ფრანგი სამხედრო, გენერალი ჟუენი[35], კერძო საუბრებში გამოთქვამდა მზადყოფნას დახმარებოდა მოკავშირეებს, მაგრამ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტ ხანს შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი. თუმცა ჟუენის ავტორიტეტი საკმარისი არ იყო. ოფიცრები მოითხოვდნენ, რომ ბრძანება წინააღმდეგობის არგაწევის შესახებ პირადად ვიშის ძალების სარდალ ადმირალ დარლანს[36] გაეცა. დარლანმა ჯერ კიდევ 1941 წელს ამერიკელებს მიანიშნა, რომ მზად იყო ასეთი ბრძანების გაცემისათვის, მაგრამ დარლანი გერმანელებთან თანამშრომლობის გამო იმდენად იყო დისკრედიტებული, რომ მოკავშირეები მას არ ენდობოდნენ. ასე რომ, დარლანთან მოლაპარაკება არ შედგა.

ოპერაციის შესახებ საქმის კურსში არც გენერალი დე გოლი ყოფილა. ნათელი იყო, რომ პეტენისა და დარლანის ერთგული ოფიცრები (ასეთები კი ჩრდილო აფრიკაში დიდ უმრავლესობას წარ-

მოადგენდნენ), არაფრით დათანხმდებოდნენ დე გოლის უზენაესობას. ამას გარდა,რუზველტი დე გოლის მიმართ უაღრესად ანტიპატიურად იყო განწყობილი. ჩერჩილმა გაიზიარა ამერიკელთა არგუმენტები და დე გოლიც საქმის კურსში არ ჩააყენეს.

ბოლოს მოკავშირეთა არჩევანი გენერალ ჟიროზე[37] შეჩერდა. ეს გენერალი 1940 წელს არმიას სარდლობდა და ტყვედ ჩავარდა. მან მოახერხა გაქცევა და საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონამდე მიღწევა, სადაც მას პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ დასახლების ნება მისცეს. ის ლიონში დასახლდა და ზედამხედველობის მიუხედავად მოახერხა წინააღმდეგობის მოძრაობასთან და ჩრდილო აფრიკაში განლაგებული ძალების ოფიცრებთან კავშირის დამყარება. კონფიდენციალური მოლაპარაკებებისას ჟირომ მოითხოვა, რომ ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობას ფრანგებიც მიიღებდნენ, მოკავშირეთა ძალების სარდლად ის დაენიშნათ. ამერიკელები თითქოს დათანხმდნენ, მაგრამ როდესაც ჟირომ 7 ნოემბერს ჰიბრალტარში ჩაღწია, მას შეატყობინეს, რომ სარდალი ეიზენჰაუერი იქნებოდა და რომ ოპერაცია მეორე დილითვე დაიწყებოდა (მანამდე ჟიროს ეუბნებოდნენ, რომ ოპერაცია დეკემბერში შედგებოდა). ჟიროს საკომპენსაციოდ შეჰპირდნენ, რომ ჩრდილო აფრიკაში ყველა ფრანგული ძალების სარდლად დანიშნავდნენ (თუმცა მოგვიანერბით დარლანის სასარგებლოდ ამ დაპირების დარღვევაც მოხდა). ჟიროს ოპერაციაში ჩართვით სადაზვერვო და დიპლომატიური უზრუნველყოფის ეტაპიც დამთავრდა. 7 ნოემბერს ოპერაცია „თორჩი“ დაიწყო.

§14
„თორჩი“ მოქმედებაში

კასაბლანკაში ფრანგული დივიზიის მეთაურმა გენერალმა ბეთუარმა 7 ნოემბერს გვიან ღამით მიიღო შეტრობინება, რომ დესანტირება 8 ნოემბერს ღამის ორ საათზე დაიწყებოდა. მან თავის ერთგულ ჯარისკაცებს დააპატიმრებინა გერმანელი ოფიცრები, რომლებიც 1940 წლის დაზავების პირობების თანახმად იმყოფებოდნენ მაროკოში და მოკავშირეთა შესახვედრად რაბათის მიმართულებით გაემგზავრა. ის თვლიდა, რომ მოკავშირეები სწორედ რაბათთან გადასხდებოდნენ, ვინაიდან

საფრანგეთის მაროკოს ადმინისტრაციული ცენტრი სწორედ ეს ქალაქი იყო. მან დაიკავა მაროკოში ფრანგული ჯარების შტაბი და გენერალურ რეზიდენტ (საფრანგეთის მთავრობის უმაღლეს წარმომადგენელ) გენერალ ნოგესს[38] და სარდალ გენერალ მიშელიეს გაუგზავნა წერილები. წერილებში ნათქვამი იყო, რომ ამერიკელები მაროკოში გადმოსხდომას იწყებენ და რომ ჩამოდის ჩრდილო აფრიკაში ფრანგული ძალების მთავარსარდლად დანიშნული გენერალი ჟირო. ბეთუარმა თავის უფროსებს ამცნო, რომ ჟირომ მაროკოში სარდლად იგი დანიშნა. და მოუწოდა წერილების ადრესატებს, არ გაეცათ ამერიკელებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრძანება.

ამერიკელებმა დესანტირებისას სრულ მოულოდნელობას მიაღწიეს. თუმცა გამოუცდელობის გამო ტვირთების ნაპირზე ტრანსპორტირებისას უამრავ სირთულეს წააწყდნენ. კასაბლანკაზე შეტევა მეორე დღესვე დაიწყო და სერიოზული წინააღმდეგობების გარეშე წარიმართა. თუმცა წინსვლა მალევე შეწყდა ლოგისტიკაში წარმოქმნილი პრობლემების გამო. მესამე დღისთვის ამერიკელებმა მხოლოდ ოდნავ წაიწიეს წინ, ფრანგების წინააღმდეგობა კი გაძლიერდა.

ორანთან გადასხმულ ამერიკელებს ფრანგებმა უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ლიდელ-ჰარტის თქმით, ამერიკელები მხოლოდ უაღრესად კარგად განხორციელებულმა ერთობლივმა (ინგლისელებთან ერთად) დაგეგმვამ და ინგლისელების საზღვაო ძალებთან ერთობლივად შეწყობილმა მოქმედებამ გადაარჩინა.

ოპერატიული გეგმა ითვალისწინებდა ქალაქ ორანის დაკავებას ორმხრივი მოცვის გზით. ორი გაძლიერებული რეგიმენტი უნდა გადამსხდარიყო ქალაქის აღმოსავლეთით, ხოლო მესამე — ქალაქის დასავლეთით. შემდეგ აღმოსავლეთის დაჯგუფებიდან ერთ კოლონას უნდა შეეღწია ორანის სამხრეთით, დაეკავებინა იქ არსებული აეროდრომები და დაესრულებინა ქალაქის გარემოცვა. ქალაქისათვის ალყის სწრაფად შემორტყმა იმითაც იყო საშური, რომ ფრანგებს სხვა დაჯგუფებების ხარჯზე სწრაფად შეეძლოთ გაეორმაგებინათ ორანში დისლოცირებული 10 000-კაციანი დაჯგუფება.

ოპერაცია წარმატებულად დაიწყო. ფრანგების დეზინფორმირების მიზნით, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, მოკავშირეების დესანტის ხომალდები ორანს აღმოსავლეთით გაცდნენ, მაგრამ გვიან ღამით უკან მობრუნდნენ და უპრობლემოდ გადასხეს დესანტი. ფრანგებმა

ცეცხლი მხოლოდ განთიადისას გახსნეს, როდესაც ამერიკელები უკვე ნაპირზე იყვნენ. თუმცა ქალაქის პორტზე ფრონტალური შეტევა ჩაიშალა.

ოპერატიული გეგმის თანახმად მთავარმა ძალებმა პლაცდარმიდან შეტევა დილის 9 საათისათვის დაიწყეს. 11 საათისათვის მსუბუქმა ჯავშანსატანკო კოლონამ აეროდრომი ტაფარაცი დაიკავა (როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული). მაგრამ კოლონა მეორე აეროდრომის ლა-სენიას ახლოს შეაჩერეს. ქვეითების გარემომცველი მოქმედება აგრეთვე წარუმატებელი იყო ორანის მისადგომებთან ფრანგების წინააღმდეგობის გამო.

მეორე დღეს ორანში იგივე მოხდა, რაც მაროკოში. ფრანგების წინააღმდეგობა გაძლიერდა. მათ მოახერხეს ამერიკელთა ფლანგზე გასვლა, თუმცა საბოლოოდ ამერიკელები მაინც გავიდნენ ფრანგების შტაბთან, რის შემდეგაც ამ უკანასკნელებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ამერიკელთა დანაკარგი 400 კაცს შეადგენდა, ფრანგებისა ამდენსაც კი არა.

ალჟირის სექტორში გადასხდომა კიდევ უფრო წარმატებული იყო. ამაში დიდი წვლილი გენერალ მასტს (და შესაბამისად ამერიკელთა დაზვერვას) მიუძღვის. მცირე წინააღმდეგობა ამერიკელებს მხოლოდ პორტისაკენ გარღვევისას შეხვდათ. სხვა მხრივ, ამ სექტორის არც ერთ მონაკვეთზე სერიოზული წინააღმდეგობა არ ყოფილა.

უფრო წარუმატებელი იყო გადასხდომა ალჟირის დასავლეთით. თავიდან აირია დესანტირების სექტორები და ამერიკელთა ზოგიერთი სადესანტო საშუალებები ინგლისელთვის განკუთვნილ სექტორში მოხვდა. თავდაპირველად ფრანგებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაგრამ მალე მასტი თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო მის ხელქვეითებს უბრძანეს წინააღმდეგობა გაეწიათ ამერიკელთათვის.

ამერიკულმა დაზვერვამ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ქმედუნარიანობა. სანაპიროს გაყოლებით, წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, ამერიკელებს გამცილებელი ოფიცრები დახვდნენ. მასტის მომხრეებმა მწყობრიდან გამოიყვანეს თავიანთი ძალების სატელეფონო ხაზი, დაიკავეს საპოლიციო შტაბები და დააკავეს მოკავშირეთა მიმართ არალოიალურად განწყობილი უმაღლესი ჩინოვნიკები. დაკავებული რადიოსადგური მზად იყო ჟიროს მიმართვის გადასაცემად. ისინი ქალაქს 7 საათამდე უწევდნენ კონტროლს, ანუ მეტ ხანს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

მაგრამ შეტევა დესანტირების ზონიდან ბევრად უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. თანაც ჟირო დათქმულ დროს არ გამოცხადდა, ხოლო მისი სახელით გადაცემულმა სიტყვამ ფრანგებზე არავითარი ზემოქმედება არ მოახდინა. მოკავშირეებმა ჟიროს პოპულარობა აშკარად გადააფასეს. მალე მოკავშირეთა მხარდამჭერი ოფიცრები ან გადააყენეს ან დააპატიმრეს.

ამასობაში მორფი მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ ჟუენთან. ეს უკანასკნელი არ დათანხმდა ჟიროს უზენაესობის აღიარებას და არ გასცა ბრძანება მოკავშირეებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტის თაობაზე. ამის ნაცვლად მან მორფის სთხოვა, დალაპარაკებოდა ადმირალ დარლანს, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ალჟირში (იქ მომსახურე ავადმყოფი შვილის სანახავად ჩავიდა). დარლანი გააღვიძეს და სთხოვეს ჟუენის ვილაში მისულიყო, სადაც შეატყობინეს, რა ხდებოდა.

დარლანი თავიდან გაჯიუტდა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა მარშალ პეტენისათვის ტელეგრამის გაგზავნას, სადაც ითხოვდა მისთვის მოქმედების თავისუფლების მინიჭებას. მოგვიანებით დარლანმა პეტენს კიდევ ერთი დეპეშა გაუგზავნა, სადაც ატყობინებდა, რომ ფრანგების წინააღმდეგობა მალე გატყდებოდა. საპასუხოდ პეტენმა მოთხოვილი უფლებამოსილებები მიანიჭა.

9 საათისათვის ამერიკის რწმუნებულმა თაქმა პეტენს გადასცა რუზველტის წერილი, სადაც აშშ-ის პრეზიდენტი ატყობინებდა სადესანტო ოპერაციის შესახებ. რუზველტი პეტენს თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა. პეტენმა ყასიდად პროტესტი გამოთქვა და განაცხადა, რომ ფრანგები წინააღმდეგობას გაუწევდნენ. როგორც ჩანს, პეტენი აქტიურ ქმედებას არ აპირებდა, მაგრამ საქმეში გერმანელების მიმართ უფრო ლოიალური პრემიერი ლავალი ჩაერთო და მიიღო გერმანო-იტალიელთა წინადადება დახმარების შესახებ. ღერძის ქვეყნებმა იმავე საღამოს დაიწყეს მზადება ტუნისში ძალების გადასროლისათვის.

ამასობაში დარლანმა წინააღმდეგობის შეწყვეტა ბრძანა. ბრძანება მხოლოდ ალჟირის ზონას ეხებოდა და არა კასაბლანკასა და ორანს. დარლანმა ჟუენს უფლებამოსილება მიანიჭა დაეწყო მოლაპარაკებები წინააღმდეგობის შეწყვეტის თაობაზე მთელი ჩრდილო აფრიკის მასშტაბით. შეთანხმების თანახმად ალჟირი მოკავშირეთა ხელში 20.00-სათვის უნდა გადასულიყო. მაგრამ დარლანმა უარი თქვა კლარკის

მოთხოვნაზე გაეცა ბრძანება წინააღმდეგობის შეწყვეტის თაობაზე მთელი ჩრდილო აფრიკის მასშტაბით. მისი აზრით, ასეთი ბრძანება გამოიწვევდა გერმანელთა მიერ საფრანგეთის არაოკუპირებული ზონის დაკავებას.

ჰიტლერი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც დარლანი ვარაუდობდა: თავისი ჯარები საფრანგეთის სამხრეთ, არაოკუპირებული რაიონისაკენ დაძრა და იტალიელებთან ერთად ტუნისის საჰაერო და საზღვაო ბაზების დაკავება დაიწყო. გერმანულმა მექანიზებულმა ჯარებმა სწრაფად დაიკავეს სამხრეთ საფრანგეთი. 9 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში, ტუნისის აეროდრომებზე გერმანელების გადასროლა დაიწყო. გერმანელებმა განაიარაღეს ტუნისში დისლოცირებული ფრანგები. ნოემბრის ბოლოს ტუნისში გადაისროლეს 15 ათასამდე ჯარისკაცი და 100-მდე ტანკი, აგრეთვე 9 ათასამდე იტალიელი. დარლანი და ჟუენი კი დროს წელავდნენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კლარკი ორივეს დაპატიმრებით დაემუქრა. უცნობია, ამ მუქარამ იმოქმედა, სამხრეთ საფრანგეთის დაკავებამ თუ სხვა რაიმემ, მაგრამ ფაქტია, რომ 13 ნოემბერს დარლანი და ჟუენი დათანხმდნენ მოკავშირეების წაყენებულ პირობებს. ამის შემდეგ დარლანი დაინიშნა უმაღლეს კომისრად და სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლად, ჟირო — სახმელეთო და საჰაერო ძალების სარდლად, ჟუენი — აღმოსავლეთ სექტორის (ალჟირი) სარდლად, ხოლო ნოგესი — დასავლეთ სექტორის (მაროკოს) სარდლად და მაროკოში გენერალურ რეზიდენტად. გადაწყდა, დაუყოვნებლივ შექმნილიყო თანამშრომლობის მექანიზმი ტუნისის გასათავისუფლებლად. მოგვიანებით ეიზენჰაუერმა მოკავშირების სახელით დაამტკიცა ეს შეთანხმება. შეთანხმება რუზველტმა და ჩერჩილმაც მოიწონეს.

დარლანმა დაარწმუნა სენეგალის გუბერნატორი, მოკავშირეებისთვის გაეხსნა დაკარის პორტი და საავიაციო ბაზები. თუმცა დარლანი მალევე მოკლა ახალგაზრდა ფრანგმა, რომელსაც ადმირალი საფრანგეთის მოღალატედ მიაჩნდა გერმანელებთან უწინდელი თანამშრომლობის გამო. ამან დე გოლს გზა გაუხსნა.

მანამდე დარლანმა ტულონში დისლოცირებულ ფრანგულ ფლოტს მოუწოდა მოკავშირეების მხარეზე გადასვლისაკენ. მაგრამ ფლოტის სარდალმა ადმირალმა დე ლაბორდმა[39] პეტენის თანხმობის გარეშე ვერ გაბედა ამ მოწოდებაზე გამოხმაურება. ამასობაში გერმანელებმა ტულონიდან გასასვლელები დანაღმეს, ხოლო ქალაქს ალყა შემოარ-

ტყეს. მაშინ ფრანგმა მეზღვაურებმა თავიანთი ხომალდები ჩაძირეს. მოკავშირეებმა ვერ მიიღეს ფრანგული ფლოტი, მაგრამ ის არც გერმანელებს ჩაუვარდა ხელში. თუ ზღვაზე არსებულ ძალთა ბალანსს გავიხსენებთ, ნათელი გახდება, რომ ამით გერმანელები უფრო წაგებული დარჩნენ ვიდრე მოკავშირეები.

ფლოტის ჩაძირვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩრდილო აფრიკაში ფრანგების ადმინისტრაციასა და მოკავშირეებს შორის შეთანხმება შედგა. ამით ოპერაცია „თორჩის" წინაშე მდგომი ამოცანები ძირითადად შესრულდა. საბრძოლო მოქმედებებმა ჩრდილო აფრიკაში და საერთოდ მეორე მსოფლიო ომმა სრულიად სხვა სახე მიიღო.

თავი 6
საბჭოთა სტრატეგია

§ 15
დიდი სტრატეგია და საბჭოთა სისტემის თავისებურებები

მიმდინარე მონაკვეთში საუბარი გვექნება სტრატეგიასთან დაკავშირებულ საბჭოურ მიდგომებზე და იმაზეც, რასაც ოპერატიულ ხელოვნებას უწოდებენ. საბჭოთა ენციკლოპედიური განსაზღვრების თანახმად სტრატეგიის დეფინიცია ასეთია: Стратегия военная (С. в), составная часть военного искусства, представляющая его высшую область. Она охватывает вопросы теории и практики подготовки вооруженных сил к войне, её планирование и ведение. С. в. тесно связана с политикой государства, находится в непосредственной зависимости от неё и соответствует требованиям военной доктрины. Политика ставит перед С. в. задачи, а стратегия обеспечивает их выполнение... В современных условиях связи между политикой и С. в. стали более сложными, чем прежде. С. в. тесно связана с экономикой и зависит от экономического строя общества, уровня развития производства, от моральных возможностей народа. Политическое руководство определяет

общие политические и стратегические цели войны и задачи подготовки государства, вооруженных сил и необходимых средств для её ведения (30, 555-556). ამრიგად, საბჭოური მიდგომის თანახმად: სტრატეგია მხოლოდ სამხედრო, უფრო ზუსტად, წმინდა სამხედრო ფენომენად რჩება. მართალია, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა სამხედრო ისტორიაში არსებობდა სტრატეგიის გააზრების ისეთი ცდები, რომელსაც დიდი სტრატეგიის ცნებამდე მივყავდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ცდები რეალიზებული არ ყოფილა.

საბჭოური სისტემა ტოტალიტარული იყო. ეს ნიშნავს: მისი ყველა უჯრედი ზემდგომი, საბოლოო ჯამში, უზენაესი ინსტანციის ტოტალურ კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. არმიის შემთხვევაში ასეთი კონტროლის ინსტრუმენტს პოლიტ და სპეცორგანოები წარმოადგენდნენ. ისინი საბჭოთა არმიის პირადი შემადგენლობის ლოიალურობას აკონტროლებდნენ. მაგრამ აუცილებელი იყო არმიის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის, კონტროლიც და, ამავე დროს, საბჭოთა მილიტარიზებული სახელმწიფოს სამხედრო-სტრატეგიული კურსის შემუშავებაც. ამას კი კონცეპტუალური ბაზა სჭირდებოდა.

§ 16
საბჭოთა სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

საბჭოთა სტრატეგია საერთო იყო ყველა გვარეობისა და სახეობისათვის. იგი მიიჩნეოდა სამხედრო ხელოვნების უმაღლეს საფეხურად, რომელიც შეისწავლიდა შეიარაღებული ბრძოლის ბუნებას, დაგეგმვას, მომზადებასა და წარმოებას. სტრატეგიის საფუძველმდებარე პრინციპებად მიიჩნეოდა:

- სამხედრო სტრატეგიის დაქვემდებარება პოლიტიკისადმი;
- შეიარაღებული ბრძოლის დამოკიდებულება ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონეზე;
- რაკეტულ-ბირთვული იარაღის გავლენა შეიარაღებული ბრძოლის ხასიათსა და ხერხებზე. ამასთან ბირთვული იარაღი, საბჭოთა სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, განიხილებოდა არა შეკავების ინსტრუმენტად, არამედ ერთგვარ — განსაკუთრებული სიმძლავრის —

იარაღად, რომლის გამოყენებაც იმდენად პოლიტიკური აუცილებლობით არ იყო განპირობებული, რამდენადაც წმინდა სამხედროთი (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

● გამარჯვების მიღწევისათვის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის და გვარეობის ძალისხმევა, მათ შორის სტრატეგიული ურთიერთქმედების უზრუნველყოფა;

● ომის საწყისი ეტაპის, როგორც აქტიური სამხედრო მოქმედებების, განსაკუთრებული პერიოდის გამოყოფა. საწყის ეტაპზე შეიარაღებულ ძალებს უნდა მიეღწიათ (როგორც გეოგრაფიულად, ისე ფუნქციურად) უახლოესი სტრატეგიული მიზნებისათვის;

● ომის საწყისი პერიოდის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარება ომის მთელი შემდგომი მსვლელობისათვის (ეს ბლიც-კრიგის ერთგვარი მოდიფიკაცია იყო, რომელზეც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ);

● ომის მაქსიმალურად მოკლე დროში დამთავრებისა და ამავდროულად ხანგრძლივი ომისათვის მზადების მოთხოვნა;

● მოულოდნელობის განსაკუთრებული როლის აღიარება, განსაკუთრებით რაკეტულ-ბირთვული ომის შემთხვევაში;

● შეიარაღებული ზემოქმედების ძირითად ობიექტებად მოწინააღმდეგის რაკეტულ-ბირთვული დაჯგუფებების, აგრეთვე ღრმა ზურგის უმთავრესი ობიექტების მიჩნევა;

● სამხედრო სტრატეგიის შეტევითი ხასიათი, შეტევის თავდაცვაზე უპირობო პრიორიტეტად მიჩნევა (ამ პოზიციებზე საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის წინ იდგა);

● შეიარაღებული ძალების ძირითადი ძალისხმევის კონცენტრაცია სამხედრო მოქმედებებების მთავარ თეატრზე და რაკეტულ-ბირთვული იარაღის მასირებულად გამოყენება მოწინააღმდეგის გასანადგურებლად;

● რაკეტულ-ბირთვული ძალების მანევრი ძალისხმევის კონცენტრაციისათვის; მოწინააღმდეგეზე ამ გზით უპირატესობის მიღწევა გადამწყვეტ ადგილსა და გადამწყვეტ დროს.

● სტრატეგიული რეზერვების წინასწარი დაგროვება და მათი გამუდმებით შევსება;

● მოწინააღმდეგეზე მყარი სამხედრო-ტექნიკური უპირატესობის

მიღწევა და ამ უპირატესობის ხანგრძლივად შენარჩუნება იარაღისა და ტექნიკის მუდმივი სრულყოფის მეშვეობით;

● შეიარაღებული ძალების ყოველმხრივ უზრუნველყოფა, როგორც ომის საწყის ეტაპზე, ისე მის განმავლობაში;

● შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ორგანიზაცია სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის სწორი შეფასების საფუძველზე, სამხედრო მოქმედებათა შესაძლო განვითარების წინასწარგანჭვრეტა;

● ძალთა ცენტრალიზაცია ოპერატიული ინსტანციებისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებასთან ერთად;

● კოლექტიური ხელმძღვანელობის შერწყმა პირად პასუხისმგებლობასთან;

საბჭოთა სამხედრო მეცნიერებაში ბირთვული ომისას (სხვანაირი მსხვილმასშტაბიანი ომი, გამომდინარე თავად საბჭოთა სტრატეგიიდან, არც ივარაუდებოდა, იხ. მარშალ სოკოლოვსკის ხელმძღვანელობით შემუშავებული ოფიციალური საბჭოთა სტრატეგია) სამხედრო მოქმედებების ერთადერთ მისაღებ ფორმად სტრატეგიული შეტევა მიიჩნეოდა. სტრატეგიული თავდაცვა მიუღებლად იყო მიჩნეული, ვინაიდან ითვლებოდა, რომ ბირთვულ ომში სტრატეგიული ინიციატივის დაკარგვა დამარცხების ტოლფასი იყო. საბჭოთა სამხედრო აზრი აღიარებდა სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტის ორ ფორმას:

● ბირთეული ძალებით განხორციელებულ სტრატეგიულ დარტყმას;

● სტრატეგიულ ოპერაციას კონტინენტურ თეატრზე;

პირველის ქვეშ, ცხადია, იგულისხმებოდა სრულმასშტაბიანი ბირთვული ომი აშშ-ის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს ქვეშ — ჩვეულებრივი (ან აგრეთვე ბირთული იარაღის გამოყენებით) მოქმედებები ევროპის, ახლო და შუა აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით (პერსპექტივაში უფრო შორსაც). უფრო დაბალ დონეზე მიმდინარე მოქმედებები ოპერატიულად მიიჩნეოდა.

თეატრზე შეტევითი ოპერაცია შეიცავდა;

● სტრატეგიული რაკეტა-მატარებლებით განხორციელებულ ბირთვულ დარტყმებს (აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა ტერმინოლოგიით „სტრატეგიულ მატარებლებში" შედიოდა აგრეთვე 5000 კმ-მდე რადიუსის რაკეტები და ბომბდამშენები, რომლებსაც დასავლეთში საშუალო სიშორის იარაღს უწოდებენ);

- შორეული ავიაციის მიერ განხორციელებულ დარტყმებს;
- სახმელეთო ფრონტების შეტევით მოქმედებას;
- საჰაერო-სადესანტო ოპერაციებს;
- ფლოტის ოპერაციებს.

ყველა მონაწილე ძალას შორის ურთიერთქმედების საფუძვლად მიიჩნეოდა პირველი ბირთვული დარტყმა, რომელსაც მთელ სიღრმეზე ახორციელებდნენ სტრატეგიული ძალები. თეატრზე სტრატეგიული ოპერაციის ფრონტი 2000 კმ-მდე აღწევდა, ხოლო სიღრმე — 1000 კმ-მდე, ხანგრძლივობა — 15 დღემდე (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

§ 17
ოპერატიული ხელოვნება

საბჭოთა სამხედრო ხელოვნების თანახმად ოპერაცია არის: დროში, სივცეში და ერთიანი ჩანაფიქრით განხორციელებული თანმიმდევრული მოქმედებების ერთობლიობა მოწინააღმდეგის დაჯგუფების გასანადგურად (პრინციპში ეს დეფინიცია უსინდისოდ არის მოპარული პრუსიულ-გერმანული სკოლისგან). საბჭოთა სამხედრო ხელოვნების თანახმად ოპერაციის საფუძველმდებარე პრინციპებს წარმოადგენს:

- სხვადასხვა სახეობებისა და გვარეობების ძალისხმევის გაერთიანება;
- მთავარი მიმართულებისა და დარტყმის ობიექტების სწორად განსაზღვრა;
- სამხედრო ძალებსა და საშუალებებში უპირატესობის მიღწევა, მათი მასირებულად გამოყენება;
- მოულოდნელობის ფაქტორი, როგორც აუცილებელი პირობა მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების გასანადგურებლად;
- გადაწყვეტი მანევრი საომარი ძალებითა და საშუალებებით;

ოპერაციებს გააჩნდა ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები. მათი ჩატარება იგეგმებოდა სტრატეგიულ ან ოპერატიულ მიმართულებებზე და განისაზღვრებოდა ომის საერთო გეგმიდან.

ოპერაცია შეიცავდა:

- ძალების გაშლასა და მათ უზრუნველყოფას;

● მოწინააღმდეგის ძირითადი და უზრუნველმყოფი დაჯგუფებების წინასწარ დასუსტებას;

● მოწინაარმდეგის ძირითადი ძალების განადგურებას ოპერაციის ამოცანის მისაღწევად;

● ამასთან მიიჩნეოდა რომ ომის საწყის ეტაპზე მიიღწეოდა სტრატეგიული ამოცანები (მიზნები), ხოლო მოგვიანებით სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანები

ოპერაციის წარმატებისათვის აუცილებლად მიიჩნეოდა:

● ყველა დონის მეთაურის გადამჭრელი მოქმედებები ოპერაციის მიზნების მ.საღწევად, სათანადო მორალური და ფიზიკური კონდიციების მიღწევა ხანგრძლივი მომზადებისა და წვრთნების მეშვეობით;

● საიმედო დაზვერვა;

● ოპერაციის ფარული მომზადება, მოულოდნელობის მიღწევა, ინიციატივის ხელში ჩაგდება და შენარჩუნება; ოპერაციისა და საბრძოლო მოქმედებების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება;

● მძლავრი და გამანადგურებელი პრევენციული დარტყმების განხორციელება მასობრივი განადგურების იარაღის მასირებულად გამოყენებით მოწინააღმდეგის ძალების განლაგების მთელ სიღრმეზე;

● შენაერთებსა და გაერთიანებებს შორის მდგრადი და უწყვეტი ურთიერთქმედების შენარჩუნება, მათი მოქნილი მართვა ოპერაციის მსვლელობაში;

● ოპერაციაში მონაწილე ძალების ყოველმხრივი უზრუნველყოფა მათი მაღალი ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით.

ოპერაციას ართულებდა:

● მოწინააღმდეგის ერთდროულად რამოდენიმე დაჯგუფებაზე ზემოქმედების აუცილებლობა;

● უზარმაზარი სივრცე;

● მომარაგებასთან და გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეები;

● ოპერაციის წინასწარ მომზადების აუცილებლობა;

● მოულოდნელობის მიღწევის სირთულეები (განსაკუთრებით კოსმოსური დაზვერვის პირობებში);

● ძალების წინასწარ დიდ მანძილზე გადაადგილებისა და გაშლის მოთხოვნა;

● მოწინააღმდეგის მრავალეშელონიანი დაცვის სისტემის გარღვევის აუცილებლობა;

● დაზვერვასთან დაკავშირებული სირთულეები;

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კლასიფიკაციით ოპერატიულ ხელოვნებად იწოდებოდა ის პარამეტრებიც, რომლებსაც ანგლოსაქსური სკოლები, თვით დიდი ლიდელ-ჰარტის ჩათვლით, წმინდა სამხედრო სტრატეგიას მიაკუთვნებდნენ.

ოპერაცია იწყებოდა მასში მონაწილე ძალების გაშლით, რაც გულისხმობდა მათ ფარულ გადაადგილებას წინასწარგანსაზღვრულ რაიონებში, ავიაციის გადაყვანას მოწინავე აეროდრომებზე. ზოგიერთ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ძირითადი და უზრუნველმყოფი ძალების შესასუსტებლად მიზანშეწონილად მიიჩნეოდა მათზე მოულოდნელი და მძლავრი დარტყმების განხორციელება (იგულისხმება ისე, რომ ჯერ კიდევ არ ყოფილიყო განხორციელებული სრულმასშტაბიანი დარტყმები მთელ თეატრზე). მიზანშეწონილად მიიჩნეოდა ამგვარი დარტყმების ღამით განხორციელება.

გაშლის დასრულების შემდეგ იწყებოდა საბრძოლო მოქმედებები: ხორციელდებოდა რიგი ერთდროული ან თანმიმდევრული დარტყმები მოწინააღმდეგის ძალებზე და წინწამოწევის მდგომარეობაში მყოფ რეზერვებზე. ამასთან, გარდა ძირითადისა, უნდა განხორციელებულიყო დამხმარე დარტყმები, რომელთა ამოცანას, სხვათა შორის, წარმოადგენდა დარტყმის ძირითადი მიმართულების შენიღბვა, აგრეთვე იმ ძალების შებორკვა, რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ძირითადი დარტყმის მიმართულებით.

ძირითადი დარტყმის განხორციელება რეკომენდებული იყო, დაწყებულიყო ბირთვული დარტყმით მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე. ასეთებად მიიჩნეოდა ბირთვული იარაღისა და მათი მატარებლების თავმოყრის ადგილები, კომუნიკაციების კვანძები, ოპერატიული ხელმძღვანელობის ცენტრები, სტრატეგიული მარაგები და ა.შ. ფლოტის შემთხვევაში ამას ემატებოდა ავიამზიდები, კონვოები და დესანტები. ბირთვული დარტყმების შემდეგ აუცილებლად მიიჩნეოდა მოწინააღმდეგეზე რამდენიმე მიმართულებით შეტევა ყველა სახის იარაღის გამოყენებით. ძირითადი დარტყმის შემდეგ წარმატების განვითარება ხდებოდა განმეორებითი დარტყმების გზით, რომლის ამოცანა იყო მოიწინააღმდეგის სრული განადგურება, აგრეთვე ბრძოლაში

საკუთარი ოპერატიული რეზერვების შეყვანა და მეორეხარისხოვანი მიმართულებით მოქმედი ძალების გადაჯგუფება ძირითადი მიმართულებით.

ბირთვული იარაღი უპირატესად ძირითადი მიმართულებით გამოიყენებოდა (ფლოტის შემთხვევაში საერთოდ იკრძალებოდა ბირთვული იარაღის რამდენიმე მიმართულებით გამოყენება). ამასთან ამგვარი იარაღის გამოყენებისას გადამწყვეტად მიიჩნეოდა მოწინააღმდეგისათვის დასწრება და მოულოდნელობის ეფექტის მიღწევა.

ბირთვული ომის პირობებში მოსალოდნელად მიიჩნეოდა ვითარების სწრაფი ცვლა, საბრძოლო მოქმედებათა უკიდურესი დინამიზმი, ძალთა მზარდი დაძაბვა და მზარდი მატერიალურ-ტექნიკური დანაკარგი. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოპერატიულ რეზერვებს, ძალთა ბრძოლისუნარიანობის სწრაფ აღდგენას, ძალების განშორიშორებას. ბირთვული იარაღის გამოყენებისას ჩვეულებრივზე მეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა ჰაერში ბატონობას.

ძალებში უპირატესობის მიღწევა და მთავარი მიმართულებით მათი მასირებული გამოყენება რჩებოდა უმნიშვნელოვანეს მოთხოვნად, რომელიც ყველა სახის ოპერაციის დაგეგმვისა და ორგანიზებისას განიხილებოდა, მათ შორის ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაშიც.

ბირთვული იარაღი უნდა გამოყენებულიყო იმ ობიექტების წინააღმდეგ, რომელთა მწყობრიდან გამოყვანა ზეგავლენას მოახდენდა ოპერაციის მიზნების მიღწევაზე. ბირთვული დარტყმების შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სამხედრო მოქმედებები უნდა დაწყებულიყო მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი დარტყმებით ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღით. ამასთან დროის მონაკვეთი ბირთვულ დარტყმასა და წარმატების დამკვიდრებას შორის მინიმუმამდე უნდა ყოფილიყო დაყვანილი ისევე, როგორც დროის მონაკვეთი ბირთვულ აფეთქებასა და წინასწარგამიზნული ობიექტების დაკავებას შორის. თავიდან უნდა არიდებულიყო საკუთარი ძალების დაზიანება. ოპერატიული რეზერვები გამოყენებულ უნდა ყოფილიყო დანაკარგების შევსებისათვის, მოწინააღდეგის კონტრდარტყმების მოგერიებისთვის და ძირითადი მიმართულებით მოქმედი დაჯგუფების გაძლიერებისათვის.

საავიაციო დარტყმებისას წინასწარი მოთხოვნა იყო მოწინააღმდეგის ჰაერსაწინაღო სისტემის ჩახშობა. ყველაზე ეფექტიანად მიიჩნეოდა მცირე ჯგუფებად მოქმედი ბომბდამშენების გამოყენება.

§18
მოძღვრება ომის საწყის პერიოდზე

საბჭოთა მიდგომის თანახმად სახელმწიფოს ომში ჩართვა არაა მყისიერი აქტი. მას წინ უსწრებს გარკვეული პერიოდი, რომელსაც ომის შემდგომი მსვლელობიდან განსხვავებული ნიშნები გააჩნია. სამხედრო მოქმედებათა გარდა ამ პერიოდში ხორციელდება მთელი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება მშვიდობიანი მდგომარეობიდან საომარ მდგომარეობაზე სწრაფ, ეფექტიან და, რაც მთავარია, ფარულ გადასვლას. ამიტომ, საბჭოთა თეორეტიკოსთა აზრით, ეს პერიოდი ცალკეა გამოსაყოფი.

ღია გამოცემებში ამ პერიოდის განხილვისას საბჭოთა მკვლევარები ძირითადად მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებით იფარგლებოდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ფაშისტური ბლოკის წარმომადგენლების სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი ჩამორჩებოდა მათი მოწინააღმდეგეებისას. ამის კომპენსაცია უნდა მომხდარიყო მცირეხნიანი, ელვისებური ომების წარმართვის გზით. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის და შეიარაღებული ძალების წინდაწინ და დროულად მომზადებას წინასწარ განსაზღვრულ მომენტში ომის დაწყებისათვის, თავდასხმის მოულოდნელობას, აგრეთვე საწყისი ოპერაციების გამოწვლილვით დაგეგმასა და წარმოებას, ვინაიდან ითვლებოდა, რომ ისინი თუ არ წყვეტენ ომის ბედს, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მას.

ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ზუსტად იგივე ეხება საბჭოთა ბლოკსაც. იგი თავისი სისტემის ლოგიკიდან გამომდინარე, ნატოსთან სამხედრო-ეკონომიკური ჩამორჩენის კომპენსაციას სწორედ ფაშისტური გერმანიის მეთოდებით აპირებდა, რაც თუგინდ იქიდან ჩანს, რომ საბჭოთა სამხედრო აზრი ძალიან ცოტა ყურადღებას უთმობდა თავდაცვას და საერთოდ არ ცნობდა სტრატეგიულ თავდაცვას.

რასაკვირველია, საბჭოთა კავშირმა იცოდა, რომ მსოფლიოზე ბატონობა ერთი დარტყმით არ მიიღწეოდა, მაგრამ საჭირო იყო მოწინააღმდეგეების ერთი მეორეს მიყოლებით ელვისებურად განადგურება. მოწინააღდეგე პრაქტიკულად მთელი მსოფლიო იყო. ცხადია, პირველი დარტყმით ევრაზიის (დასავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ ევროპა,

ახლო და შუა აღმოსავლეთი და შორეული აღმოსავლეთი) იქნებოდა დაკავებული, შემდეგ აფრიკა (მთლიანად თუ არა, ჩრდილო ნაწილის უმეტესობა მაინც) დაბოლოს ამერიკა და ავსტრალია (გავიხსენოთ, რომ გარდა სტრატეგიული ბირთვული ომისა სსრ კავშირი ერთადერთ სტრატეგიულ მოქმედებას ცნობდა: კონტინენტალურ თეატრზე სტრატეგიულ ოპერაციას). ასე რომ, იგი კონტინენტებს დასტა-დასტა დაპყრობას აპირებდა.

ამდენად, როგორც სსრ კავშირის, ისე ნაცისტური გერმანიის შემთხვევაში, დასახული მიზნების მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დასაწყის (პირველ) ოპერაციებს, რომელთა დროსაც უნდა დაემარცხებინათ მოწინააღმდეგის ძირითადი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო დაჯგუფებები, მოეშალათ ან ჩაეშალათ მოწინააღმდეგის მობილიზაცია და სტრატეგიული გაშლა და ამით განესაზღვრათ ომის გაგრძელება მათთვის სასარგებლო მიმართულებით. განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა პირველ, მოულოდნელ მასირებულ დარტყმას, რომლის გამანადგურებელ ძალას უნდა მოეშალა მოწინააღმდეგის მთელი დაცვითი სისტემის მდგრადობა, სახელმწიფო და სამხედრო მართვა. ასეთი მოქმედებების დაწყება მოულოდნელად, ომის გამოუცხადებლად, ხშირად კვირა დღეს ივარაუდებოდა (შდრ. ჟუკოვს, რომელიც ოპერაციების უმრავლესობას კვირა დღეს იწყებდა). მოულოდნელობის ეფექტის მისაღწევად მობილიზაცია ფარულად უნდა განხორციელებულიყო ომისწინა პერიოდში.

დასავლეთის ანგლო-საქსურ ბლოკს (მეორე მსოფლიო ომისას) და მთელ დასავლეთს („ცივი ომისას"), შესაბამისად, გერმანიასა და სსრ კავშირთან შედარებით აშკარა სამხედრო-ეკონომიკური უპირატესობა ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ისინი აქცენტს ომის საწყის კი არა, დასასრულ ეტაპზე აკეთებდნენ, ანუ იმაზეც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ომისშემდგომი მოწყობა. აქ ჩანს პრინციპული განსხვავება მხარეებს შორის: ის, თუ როგორი უნდა იყოს ომისშემდგომი მშვიდობა, დიდი სტრატეგიის კომპეტენციაა. ხოლო ის, თუ როგორ მოვახდინოთ ფარული მობილიზაცია და გაშლა, მივაღწიოთ უპირატესობას ძირითად მიმართულებებზე, მოულოდნელად დავიწყოთ და ვაწარმოოთ ომი, ეს სამხედრო სტრატეგიის ამოცანაა. ამდენად ბლიც-კრიგისაკენ საბჭოელებსა და გერმანელებს, გარდა ეკონომიკური სიტუაციისა, უბიძგებდა მათი სამხედრო აზრიც, რომელიც

არ ცნობდა დიდ სტრატეგიას და სტრატეგია მთლიანად სამხედრო სტრატეგიაზე დაჰყავდა.

საბჭოთა სამხედრო აზრის თანახმად მხარე, რომელიც ომში მოულოდნელად, მთლიანად ან თითქმის მთლიანად მობილიზებული ჩაერთვებოდა და გაიშლებოდა, მოქმედებას შეუდარებლად ხელსაყრელი პოზიციებიდან იწყებდა. როგორც გერმანიის, ისე საბჭოთა გენშტაბები დაწვრილებით გეგმავდნენ, ხოლო შემდეგ, ატარებდნენ რეალურ თუ სასწავლო მობილიზაციებს, თავმოყრებსა და გასვლებს. შესაბამისად ომის გარეთ გაიტანებოდა ღონისძიებები, რომელიც ჩვეულებრივ ომის გამოცხადებისას ხორციელდებოდა.

ამგვარ მიდგომას ომის საწყისი ეტაპის მიმართ საბჭოთა თეორეტიკოსები გერმანელებს მიაწერდნენ. ეს მიდგომა, ჩანს, მართლაც გერმანელებმა შეიმუშავეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მას საბჭოელები არ იყენებდნენ. ბოლოს და ბოლოს ომის დასაწყისი ეტაპი, როგორც მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, საბჭოთა სტრატეგიაში იყო აღიარებული და არა ანგლოსაქსონურში.

საბჭოთა კავშირში სამხედრო მეცნიერებმა გამოსცეს საფუძვლიანი მონოგრაფია: „ომის საწყისი პერიოდი", სადაც, მართალია, პირველი და მეორე მსოფლიო ომის კამპანიების დასაწყისი პერიოდებია განხილული, მაგრამ ნათელია, რომ ევროპაზე შეტევისას საბჭოელები ამ აპრობირებულ მეთოდებს გამოიყენებდნენ. ამას ადასტურებს არა მარტო ის, რომ, როგორც თავად საბჭოთა ექსპერტები აღნიშნავენ, საბჭოთა სამხედრო აზრს არსებითად ახალი არაფერი შეუქმნია და მეორე მსოფლიო ომის დროს აპრობირებულ მეთოდებს იყენებდა (მაგ. ამას აღიარებენ ისეთი ავტორიტეტული რუსი ექსპერტები, როგორებიც არიან: რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ა. კოკოშინი და I რანგის კაპიტანი დოცენკო), არამედ იმ საბჭოთა ოპერატიული დოკუმენტების ანალიზი, რომელიც რუსებს ევროპიდან ნაჩქარევი გაქცევისას დარჩათ და რომელთა საფუძველზეც ჟურნალებმა „რიდერს დაიჯესთმა" და „თაიმმა" აღადგინეს, რას აპირებდნენ რუსები.

მეორე მსოფლიო ომიდან საწყის ეტაპზე მოძღვრების თვალსაზრისით საბჭოთა ქმედებებს შორის ყველაზე უფრო საინტერესოა იაპონიასთან ომის საწყისი ეტაპი (გერმანიასთან ასეთი არ გამოვიდა, ვინაიდან ჰიტლერმა, რომელსაც ომის საწყის პერიოდზე საკუთარი წარმოდგენები ჰქონდა, სტალინს დაასწრო).

მანჯურიაში ომის მთავარი ჩანაფიქრი იყო იქ დისლოცირებული იაპონიის ქვანტუნის არმიის იმ ფორმით განადგურება, რომ ამ უკანასკნელს ვერ მოესწრო თავისი ძალების გაყვანა და, რაც მთავარია, ვერ გაეტანა ტექნიკა, რომელიც სტალინმა შემდეგ მაოს გადასცა. ამ ტექნიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩან კაიშიზე კომუნისტების გამარჯვებაში. დარტყმა ხორციელდებოდა ორი მომართულებით: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან და შორეული აღმოსავლეთიდან. მიზანი: მანჯურიაში განლაგებული ქვანტუნის არმიის (არმია ერქვა, თორემ დასავლური კლასიფიკაციით არმიათა ჯგუფი იყო — რუსულით კლასიფიკაციით — ფრონტი) განადგურება და მანჯურიის ტერიტორიის დაკავება. უფრო შორსმიმავალი ამოცანა იყო ჩინეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარება.

ოპერაცია ხორციელდებოდა სამი ფრონტის ძალებით და, როგორც ვთქვით, ორმაგი გარემოცვის სახე ჰქონდა. საბჭოთა გეგმით ოპერაციის დასაწყისისათვის სსრკ-ს პირად შემადგენლობას უპირატესობისათვის უნდა მიაღწია შეფარდებით 1,2:1-ზე, ტანკებსა და არტილერიაში 4,8:1, ავიაციაში: 2,5:1. ეს ზოგადად, მთელ თეატრზე, მაგრამ მთავარ ოპერატიულ მიმართულებებზე საქმე სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. სსრ კავშირს იმიებაიკალეთ-მანჯურიის მიმართულებით გააჩნდა უპირატესობა პირად შემადგენლობაში 1,7-ჯერ, მძიმე არტილერიაში — 8,6, ნაღმსატყორცნებში — 18-ჯერ, ტანკებში — 5-ჯერ; სანაპირო-მანჯურიის მიმართულებით შესაბამისად 1,5-ჯერ, ოთხჯერ, აბსოლუტურად და რვაჯერ, ხოლო ამურ-მანჯურიის მიმართულებით შესაბამისად პირადი შემადგენლობით 1,4-ჯერ, არტილერიით-2-ჯერ, ნაღმატყორცნებით 8,2-ჯერ, ხოლო ტანკებით 8-ჯერ. როგორც „ცივი ომის" პერიოდის სტატისტიკა გვაჩვენებს, საბჭოებს მესამე მსოფლიო, „ცივი ომისას" ნატოზე კიდევ მეტი უპირატესობის მიღწევა ჰქონდა გამიზნული. იაპონიაზე შეტევა განსაზღვრული იყო 500 კმ-იან ფრონტზე. ოპერაციის სიღრმე აღწევდა 600-800 კმ-ს, ხანგრძლივობა — 20-24 დღეს. აქედან განისაზღვრებოდა ოპერაციის ტემპი. I შორეულაღმოსავლური ფრონტისთვის ოპერაციის დასაწყისში დღეში 3-10 კმ (გამაგრებული პუნქტების გარღვევით და სამთო-ტაიგიან და ჭაობიან გარემოზე შეტევით), II შორეულაღმოსავლური ფრონტისათვის ეს მაჩვენებელი დღეში 13 კმ იყო (ამურის ფორსირების ჩათვლით), ხოლო ძირითადი — იმერბაიკალის ფრონტისათვის ეს მაჩვენებელი

აღწევდა 23 კმ-ს ქვეითი ძალებისა და 60-70 მექანიზებული ძალებისათვის.

ომის საწყისი ეტაპისათვის საბჭოთა სარდლობა პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა შეტევისათვის საწყის რაიონებში შემტევი ძალების ფარულ გადასროლას. გადასროლა ხდებოდა მხოლოდ ღამით, ხოლო დილით ტექნიკას ფარავდნენ სპეციალურ საფარებში და ნიღბავდნენ შესანიღბი ქსელებით. მესაზღვრეები ჩვეულებრივ რიტმში საქმიანობდნენ, ხოლო ნაწილების რაციები მხოლოდ მიღებაზე მუშაობდნენ. კავშირის დიდი ნაწილი სამავთულე ფორმით ან სპეცკურიერებით ხორციელდებოდა. ინჟინერული ხერგილების შენება მხოლოდ ღამით ხდებოდა. საკმარისია წაიკითხო მანშტაინის ან გუდერიანის მემუარები, რათა დარწმუნდე: გერმანელებიც ზუსტად ასე იქცეოდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ. სხვა საკითხია, როგორ იმუშავებდა ეს მიდგომა „ცივი ომის" დასასრულს, კოსმოსური დაზვერვის ეპოქაში.

ამგვარად, ომის დასაწყისი ეტაპის ძირითად პრინციპებად მიიჩნეოდა:

- თავდასხმისათვის მზადების დაფარულად შენარჩუნება;
- მოწინააღმდეგისათვის დასწრება სტრატეგიულ გაშლაში მასზე მოულოდნელი პირველი დარტყმის განხორციელების მიზნით;
- პირველ სტრატეგიულ ეშელონში ძალებისა და საშუალებების მაქსიმალური ოდენობის თავმოყრა საწყის ეტაპზე მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი უპირატესობის მისაღწევად;
- დასაწყისი ოპერაციებისათვის გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების მასირებულად გამოყენება უმთავრესი მიმართულებებით მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი უპირატესობის მისაღწევად;
- დასაწყისი ოპერაციების წარმოება მაქსიმალურად დიდ სიღრმეზე, მაღალ ტემპში და ძალების სრული დაძაბვით უმოკლეს დროში მოწინააღმდეგის არმიის გაშლილი დაჯგუფებების გასანადგურებლად, მისი მობილიზაციისა და სტრატეგიული გაშლის ჩასაშლელად;
- მოწინააღმდეგისათვის გადამწყვეტი მარცხის მიყენება მანამ, სანამ იგი თავს მოუყრიდა თავის ძალებსა და რესურსებს;
- აგრესიის პოლიტიკური შენიღბვა; ხანგრძლივი პროპაგანდით მოწინააღმდეგის მოსახლეობის დეზორიენტირება-დაბნევა, ნების პარალიზება.

§19
ბირთვული იარაღის როლი საბჭოთა და ამერიკულ სტრატეგიაში

ბირთვული იარაღი და ბირთვული ერა, როგორც ზესახელმწიფოთა არსებობის ფორმა, კაცობრიობის ისტორიის განვითარების აუცილებელი, მაგრამ უკვე ჩავლილი მომენტია (ცხადია აქ არ ვგულისხმობ იმ სირთულეებს, რომელთაც ახალი ბირთვული სახელმწიფოების გაჩენა იწვევს). ბირთვული ერაში გადაიკვეთა საკაცობრიო ისტორიის ორი არსებითი: ისტორიული და ტექნოლოგიური მომენტი. დასავლური ერებისათვისათვის ბირთვული იარაღის გაჩენა ნიშნავდა ახალი უნიკალური იარაღის გამოჩენას, რომელსაც შეეძლო შეეკავებინა აღმოსავლეთიდან მომავალი არნახული საფრთხე, იდეოლოგიების ომს რომ უკავშირდებოდა.

საბჭოელებისათვის ბირთვული იარაღი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური (ანუ დიდი სტრატეგიისათვის მიკუთვნებული) კი არა, წმინდა სამხედრო საშუალება იყო. თავდაპირველად ამერიკელებიც ბირთვულ იარაღს განიხილავდნენ არა როგორც დიდი სტრატეგიის, არამედ როგორც წმინდა სამხედრო სტრატეგიის ინსტრუმენტს. ეს ე. წ. „მასირებული შურისგების" დოქტრინაში გამოვლინდა. მაგრამ ამერიკელებმა სწრაფად გააცნობიერეს, რომ ბირთვული იარაღი სამხედრო კი არა, დიდი სტრატეგიის ინსტუმენტია და სათანადო კორექტივებიც შეიტანეს ამ იარაღისადმი კონცეპტუალურ მიდგომაში.

ახალმა ტექნოლოგიებმა რევოლუციური ზეგავლენა მოახდინა საბრძოლო მოქმედებათა არა მხოლოდ ტაქტიკაზე, არამედ თავად სტრატეგიის პრინციპებზე. თუ პირველი მსოფლიო ომის წინა ხანამდე არსებული ტექნოლოგიური დონე რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, ტაქტიკურ ზოლში მოწინააღმდეგეზე ცეცხლით ზემოქმედების საშუალებას იძლეოდა, სტრატეგიული ავიაციისა და მოგვიანებით სტრატეგიული (ბალისტიკური და ფრთოსანი) რაკეტების გაჩენამ შესაძლებელი გახადა ცეცხლით ზემოქმედება არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების უშუალო შეხების ზონაში, არამედ მოწინააღმდეგის ღრმა ზურგშიც. მოწინააღმდეგის ტერიტორიის მთელი სიღრმის ბომბარდირების იდეის პირველ რეალიზატორად .მიიჩნევენ ბრიტანეთის სამხედრო ავიაციის მარშალ ჰარისს(იხ.ზემოთ). მისი მოწინააღმდეგე,

გერმანიის სახანძრო დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი ჰანს რუმპი წერდა: „ჰარისი მაშინ გაიხსენეს, როდესაც ინგლისმა ყველა მოკავშირე დაკარგა და იძულებული გახდა, ერთი-ერთზე ებრძოლა თავის გადასარჩენად. მისი დანიშვნა ბომბდამშენი ავიაციის გამოყენების საქმეში გადატრიალებას ნიშნავდა; თუ მანამდე ავიაციის ეს სახე სხვა გვარეობებთან ერთად გამოიყენებოდა, ახლა ბომბდამშენები ომის დამოუკიდებელ ინსტრუმენტად იქცნენ, რომელსაც მის მსვლელობაზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეეძლოთ. ჰარისმა მოახერხა შეექმნა უზარმაზარი, მანამდე არნახული დამანგრეველი მანქანა, რომელიც მაქსიმალური სისწრაფით და შეუწყალებელი ულმობელობით აამუშავა. თუ შევადარებთ ჰარისსა და გერინგს, შეიძლება ითქვას, რომ პირველი უფრო თანმიმდევრული, მიზანდასახული, პირდაპირი და იღბლიანი აღმოჩნდა. მან მოახერხა ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად მიეღწია ჰაერში ბატონობისათვის“ (17, 221).

ჰარისი თავის მემუარებში მასირებული დაბომბვების შესახებ წერდა: „სამხედრო მრეწველობის ძირითადი ობიექტები უნდა გვეძებნა იქ, სადაც ისინი არიან განლაგებულნი ნებისმიერ ქვეყანაში — ანუ თავად ქალაქებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჰესენს გარდა ჩვენ სამიზნედ არასოდეს გაგვიხდია რომელიმე განსაზღვრული ქარხანა. ქალაქში საწარმოს განადგურებას ჩვენ დამატებით წარმატებად ვთვლიდით. მთავარ მიზანს ყოველთვის ქალაქის ცენტრი წარმოადგენდა. ყველა ძველებური გერმანული ქალაქი ცენტრის სიახლოვესაა მჭიდროდ დასახლებული, გარეუბნები კი მეტ-ნაკლებად თავისუფალია ნაგებობათაგან. ამიტომ ცენტრალური ნაწილი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ცეცხლგამჩენი ბომბების მიმართ. ჩვენი ბომბდამშენების ამოცანა იყო მოწინააღმდეგის სამხედრო წარმოების მოშლა. ვიმედოვნებდით, რომ ამას არაპირდაპირი გზითაც მივაღწევდით, ე.ი. საცხოვრებელი სახლებისა და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების განადგურებით“ (იქვე 223).

ამასთან ჰარისი კატეგორიულად უარყოფდა მტკიცებას, თითქოსდა მას გერმანელების მიერ დანგრეული ინგლისური ქალაქებისათვის შურისგება ამოძრავებდა. მისი მტკიცებით, ის ოპერატიულ-სტრატეგიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა და არა მორალურით.

პრინციპში ავიაციის სტრატეგიული მიზნებით გამოყენებაზე პირველობის პრეტენზია გერინგის „ლუფტვაფესაც“ შეეძლო გამოეთქვა.

სწორედ მათ მოახერხეს პირველად (ვარშავისა და ბელგრადის საჰაერო ოპერაციებისას) მიეღწიათ პოლონეთისა და იუგოსლავიის არმიების სტრატეგიული დეზორგანიზებისათვის. მაგრამ პოლონეთის 1939 წლისა და ბალკანეთის 1940 წლის ხანმოკლე კამპანიები მასშტაბით ახლოსაც ვერ მივიდოდა იმ სტრატეგიულ ზემოქმედებასთან, რომელიც მოახდინა ანგლო-ამერიკელთა მიერ გერმანიის დაბომბვებმა. მათ მოახერხეს ომების ისტორიაში მანამდე შეუძლებელი რამ — მოწინააღმდეგის ღრმა ზურგის თითქმის მოშლა და დემორალიზება. საბრძოლო მოქმედებებმა თვისებრივად ახალი სახის სტრატეგიული განზომილება შეიძინა.

მეორე მსოფლიო ომში ინგლისურ-ამერიკული ავიაციის გამოცდილება 60-იან წლებამდე განსაზღვრავდა ამერიკელთა სტრატეგიას. აშშ-ის პოლიტიკის დამგეგმავებს სამართლიანად მიაჩნდათ, რომ სსრ კავშირი აგრესიული და მსოფლიო ბატონობის მაძიებელი ქვეყანა იყო და მისი მოქმედებები სათანადო რეაგირებას საჭიროებდნენ. ამგვარი რეაგირება შეკავების ხასიათს უნდა ატარებდეს. შეკავებისას არ გამოირიცხებოდა ბირთვული იარაღის გამოყენებაც, მათ შორის პირველადაც. იგულისხმებოდა, რომ შეკავების პირას ბალანსირება კარგა ხანს გასტანდა, მაგრამ ადრე თუ გვიან კომუნისტური სისტემა დაინგრეოდა მასში შინაგანად ჩადებულ წინააღმდეგობათა გამო. ამ სტრატეგიული გეგმის შემმუშავებლად ცნობილი პოლიტოლოგი კენანი ითვლებოდა. შეკავების სტრატეგია ორ ძირითად ეტაპს მოიცავდა: 1940-იანი წლების დასასრულიდან 1964 წლამდე და 1964 წლიდან „ცივი ომის" დასასრულამდე. ეს ორი მონაკვეთი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა როგორც სტრატეგიული კონცეფციებით, ისე შეიარაღებული დაპირისპირების საშუალებებით. პირველი პერიოდის საბაზისო კონცეფცია ცნობილია „მასირებული შურისგების" სახელით.

ეს სტრატეგია სამი სახის ფაქტორებმა განსაზღვრა: სამხედრო-პოლიტიკურმა, გეოგრაფიულმა და ტექნოლოგიურმა. ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატებოდა, რომ ამერიკელებს უფრო დიდი რაოდენობის და სრულყოფილი ბირთვული იარაღი და მისი მატარებელი გააჩნდათ, ხოლო გეოგრაფიული — იმაში, რომ ევროპაში ბაზირებულ ამერიკულ ბომბდამშენ ავიაციას სსრ კავშირში განლაგებული მიზნების განადგურება გაცილებით იოლად შეეძლო, ვიდრე საბჭოთა კავშირისას აშშ-ში. რაც შეეხება სტრატეგიის სამხედრო-პოლიტიკურ მიზეზებს,

ისინი ძირითადად აშშ-ის ევროპელ მოკავშირეებშია საძიებელი. სახელდობრ: 50-იან წლებში გერმანიას საერთოდ არ ჰყავდა რამდენადმე ეფექტიანი შეიარაღებული ძალები, ხოლო კოლონიური ომებით დაკავებულ ინგლისსა და განსაკუთრებით საფრანგეთს არ შეეძლოთ მნიშვნელოვანი ძალების კონცენტრაცია ევროპაში.

„მასირებული შურისგების" კონცეფცია ემყარებოდა აშშ-ის უპირატესობას ბირთვული ქობინებისა და მათი მატარებლების ოდენობისა და ხარისხის სფეროში, აგრეთვე უკეთეს გეოპოლიტიკურ მდებარეობას. „მასირებული შურისგების" სტრატეგია გულისხმობდა სსრ კავშირზე მასირებულ დარტყმას სტრატეგიული ბირთვული იარაღის გამოყენებით იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირი განახორციელებდა აშკარა აგრესიას ევროპის სახელმწიფოთა მიმართ. ამგვარი დარტყმისათვის კი ამერიკელებს ესაჭიროებოდათ მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება სტრატეგიული ბირთვული ბალანსის სფეროში.

სსრ კავშირის მიერ მიღწეულმა პროგრესმა ბირთვული და თერმობირთვული ქობინების, ისევე როგორც მათი მატარებლების წარმოების სფეროში, აგრეთვე ჰაერსაწინაღო დაცვის სისტემების განვითარებამ (რაც გამოიხატა თუგინდ საბჭოელების მიერ პაუერსის მიერ მართულ სადაზვერვო თვითმფრინავის ჩამოგდებით) „მასირებული შურისგების" სტრატეგიას კონცეპტუალური საფუძველი მოუშალა. ამას გარდა მარშალის გეგმის საშუალებით ევროპა ფეხზე დადგა. გერმანიამ შექმნა ძლიერი არმია, რომელსაც გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო დასავლეთ ევროპის დაცვის საქმეში ჩვეულებრივი იარაღით წარმოებული ომისას. ტანკსაწინაღო მართული რაკეტების შექმნამ გააიოლა თავდაცვითი ოპერაციების წარმოება მსხვილი ჯავშანსატანკო დაჯგუფებების წინააღმდეგ. მოხდა სახმელეთო ძალების სრული მექანიზაცია. ყოველივე ამან მოითხოვა ახალი საბაზისო სტრატეგიული კონცეფციის შექმნა ნატოს მხრიდან.

ამგვარი კონცეფციის აუცილებლობა პირველად პრეზიდენტმა კენედიმ გააცნობიერა. მაგრამ მას მზა კონცეფცია არ გააჩნდა. რობერტ მაკნამარამ, ყოფილმა მფრინავმა და კენედის მთავრობის თავდაცვის მინისტრმა დახმარებისათვის კერძო ანალიტიკურ კორპორაცია RAND-ს მიმართა (მანამდე კონცეფციის გადასინჯვის აუცილებლობას ამტკიცებდა გენერალი ტეილორი თავის ნაშრომში „არასაიმედო სტრატეგია"). რენდის ექსპერტებმა ადმინისტრაციას ალტერნატიული სტრატეგია

შესთავაზეს. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთჯერადი მასირებული დარტყმის მუქარა უნდა შეცელილიყო დროში გაშლილი რამოდენიმე დარტყმის მუქარით. მაგალითად, პირველი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო საბჭოთა ბირთვული იარაღის მატარებლებზე, შემდეგ – საჯარისო ფორმირებებზე, შემდეგ – ინდუსტრიულ ობიექტებზე და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში – დიდ დასახლებულ პუნქტებზე. დარტყმებს შორის შუალედები აშშ-ის ადმინისტრაციას შეეძლო გამოეყენებინა დიპლომატიური ზემოქმედებისათვის. ახალი სტრატეგია, რომელსაც „მოქნილი რეაგირება" ეწოდა, ამავე დროს გულისხმობდა თვისებრივი ნახტომის განხორციელებას ჩვეულებრივი იარაღის სფეროში და ევროპელ მოკავშირეებთან ერთად ევროპაში იმგვარი თავდაცვითი სისტემის შექმნას, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა ბირთვული იარაღის პირველად გამოყენების აუცილებლობას. ამგვარი სისტემის შექმნა გააიოლა არა მხოლოდ ბუნდესვერის ჩამოყალიბებამ, არამედ იმანაც, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ბოლოსდაბოლოს დაასრულეს კოლონიური ომები და ძალების კონცენტრაცია ევროპაში მოახდინეს.

მოქნილი რეაგირების სტრატეგია აშშ-ის ადმინისტრაციის ოფიციალურ დოქტრინად გამოცხადდა 60-იანი წლების დასაწყისში. 1967 წელს ის გამოცხადდა ნატოს ოფიციალურ სტრატეგიად. იგი მეტად ეფექტიანი აღმოჩნდა და სხვადასხვა მოდიფიკაციებით „ცივი ომის" მთელ ხანას გაუძლო. იგი მხოლოდ სსრ კავშირზე გამარჯვების შემდეგ იქნა შეცვლილი სხვა სტრატეგიული კონცეფციით. ამასთან ჩანს „მოქნილი რეაგირების სტრატეგია" დიდი სტრატეგიის გლობალურ დონეზე პრაქტიკაში გამოყენების პირველი მცდელობა იყო. მანამდელი შეხედულებები დიდ სტრატეგიასთან დაკავშირებით უპირატესად სამეცნიერო, აკადემიურ ხასიათს ატარებდა.

თუმცა ჩვენ აქ სხვა კითხვაზეც მოგვიწევს პასუხის გაცემა. როგორ ესმოდა საბჭოთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ბირთვული იარაღის როლი, როგორც დიდი სტრატეგიის ინსტრუმენტისა? ამ საკითხზე მხოლოდ ფლოტის დოკუმენტებია ოფიციალურად განსაიდუმლებული, მაგრამ მათგანაც კი ნათელი ხდება, რომ საბჭოთა კავშირი ბირთვულ ძალას სამხედრო იარაღად განიხილავდა და არა მოწინააღმდეგის შეკავების ინსტრუმენტად, როგორც ეს აშშ-ს მიაჩნდა. შესაბამისად, „ცივი ომის" დაპირისპირებული მხარეები ამ იარ-

აღს სრულიად განსხვავებულ ფუნქციას ანიჭებდნენ. აშშ-ისათვის როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღი, დიდი სტრატეგიის ინსტრუმენტი იყო, ხოლო რუსებისთვის — მხოლოდ განსაკუთრებული სიმძლავრის ბომბი, რომელსაც წმინდა სამხედრო ფუქცია ჰქონდა. ეს, სხვათა შორის, დაფიქსირებულია მარშალ სოკოლოვსკის ხელმძღვანელობით გამოცემულ ოფიციალურ საბჭოთა სტრატეგიაშიც. I რანგის კაპიტან დოცენკოს შრომაში მითითებულია, რომ ფლოტს პირველი ბირთული დარტყმის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა თავისი ბირთვული პოტენციალის 45-60 პროცენტი, ანუ მინიმუმ ასეულობით ქობინი; ესეც მხოლოდ ფლოტს. მართალია ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ საბჭოთა არმიისა და ფლოტის გამოყენება ერთსადაიმავე პრინციპებს ემყარებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ სახმელეთო ძალებსა და ავიაციისაც იგივე ნორმატივები ექნებოდა. გასაოცრად განსხვავებული სურათია იმასთან შედარებით, „რასაც მოქნილი რეაგირების" სტრატეგია განსაზღვრავდა. ამ განსხვავების ერთ-ერთ საფუძველს ის წარმოადგენდა, რომ ნაცისტური გერმანიის მსგავსად სსრ კავშირიც არ სცნობდა დიდ სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავდა ბირთულ იარაღს, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტს. ამის გამო ბირთული იარაღი არა პოლიტიკის, არამედ წმინდა სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის ინსტრუმენტად გამოდიოდა ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

ნაწილი 2

გეოსტრატეგიის საფუძვლები

თავი 1
ძირითადი ცნებების განმარტება

§ 20
გეოსტრატეგიის ცნებისათვის

გეოსტრატეგიის ცნება ისეთივე მრავალმნიშვნელოვანია, როგორც სტრატეგიისა. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია ახლავე განვსაზღვროთ ამ ცნების შინაარსი. ტერმინში „გეოსტრატეგია" ჩვენ ვგულისხმობთ სახელმწიფოთა და სახელმწიფოთა კოალიციების ბალანსის კვლევას, უპირატესად (მაგრამ არა მხოლოდ) სამხედრო თვალსაზრისით. ეს ბალანსი დინამიურია და დროში ცვალებადი. ზოგჯერ, როგორც ამას „ცივი ომის" შემდეგ პერიოდში ჰქონდა ადგილი, იგი მთლიანად იცვლის სახეს. გეოსტრატეგიული ბალანსის ანალიზი გულისხმობს სახელმწიფოთა ან სახელმწიფოთა კოალიციებს შორის ბალანსის განსაზღვრას სხვადასხვა პარამეტრებით (სასურველია რიცხობრივი გამოხატულებებით), მათ განვითარებას სივრცეში (რუკაზე დატანით) და დროში. ეს წინასწარი დეფინიცია, ეფიქრობთ, საკმარისი იქნება შემდგომი ანალიზისათვის. ამასთან იმისათვის, რომ შემდგომმა კვლევამ შინაარსობრივი და კონკრეტული სახე მიიღოს, გეოსტრატეგიული ბალანსის ანალიზს „ცივი ომის" დროინდელი ევროპის ბალანსის მაგალითზე ჩავატარებთ. ამასთან, აქვე შეეხებით იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გეოსტრატეგიულ ბალანსს განსაზღვრავენ.

საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, ომი არის პოლიტიკის გაგრძელება არაპოლიტიკური (ძალისმიერი) საშუალებებით. ამგვარი გაგრძელება შეიძლება სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდეს. სამხედრო ძალის უშუალოდ გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან ამ ძალის დემონსტრაციების საშუალებით. ცხადია სახელმწიფოები ამ მიმართებით სხვადასხვა შესაძლებლობის ფლობენ. ძალის გამოყენება ზოგს ნაკლებად ძალუძს, ზოგს უფრო მეტად. ამ „მეტობათა" და „ნაკლებობათა" ერთობლიობა შეადგენს იმას, რასაც გეოსტრატეგიული ბალანსი ეწოდება. სხვაგავარად, გეოსტრატეგიული ბალანსი არის საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმული სუბ-

იექტების უნართა ერთობლიობა სამხედრო ძალის გამოყენებით, გამოყენების მუქარით ან მისი დემონსტრაციით მიაღწიოს სასურველ პოლიტიკურ მიზანს.

დასახელებული დეფინიცია ძალაშია მაშინაც, როდესაც ამგვარ უნართა ერთობლობას მთელი დედამიწის მასშტაბით განვიხილავთ და მაშინაც, როდესაც დედამიწის ერთ-ერთ რეგიონს ეეხებით. რამდენადაც დასახელებული ბალანსის თავისებურებას საერთაშორისო ცხოვრების სუბიექტების პოლიტიკური მიზნები განსაზღვრავენ, გეოსტრატეგიული ბალანსის სპეციფიკის დადგენა შეუძლებელია პოლიტიკის წინაშე მდგომი მიზნების გაუთვალისწინებლად. მეტიც, გეოსტრატეგიული ბალანსის სრული სურათის შესაქმნელად სამხედრო ხასიათის პარამეტრები აუცილებლად უნდა განვიხილოთ კომპლექურად, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და სხვა მსგავს ფაქტორებთან კავშირში.

ცნობილი თეორეტიკოსი ჰ. მორგენტაუ გამოჰყოფს რვა მუდმივას, რომელნიც განაპირობებენ სახელმწიფოს ადგილს გეოსტრატეგიულ ბალანსში (და უფრო ფართოდაც, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში). ამ ფაქტორთეგან ზოგიერთი წმინდა ექსტენსიური ხასიათისაა ე. ი. ექვემდებარება მათემატიკის ენაზე აღწერასა და გამოხატვას, სხვები კი ინტენსიური ბუნებისანი არიან და მათი მათემატიკური გამოხატვა ძალიან ძნელია ან საერთოდ შეუძლებელია. ეს ფაქტორებია:

1. **გეოგრაფიული ფაქტორი:** გეოგრაფიის სპეციფიკა დაღს ასვავს პოლიტიკურ სისტემას და საერთოდ გავლენას ახდენს მის განვითარებაზე. როგორც ინგლისის ავიაციის მთავარი მარშალი, ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი აღნიშნავდა: „შეიძლება გაქრეს ერთი სახელმწიფო და გაჩნდეს მეორე, მაგრამ გეოგრაფიული გარემო უცვლელი რჩება. დრო და სივრცე კვლავაც განსაზღვრავენ სტრატეგიულ იდეებს და მათი განხორციელების საშუალებს მიწაზე, წყალზე თუ ჰაერში (18, 33).

მაგალითისათვის ალპების გეოგრაფია ისეთია, რომ ძალიან ართულებს იტალიიდან შეჭრას ცენტრალურ ევროპაში, მაშინ როდესაც იგივე გეოგრაფიული ფაქტორის გამო გაცილებით ადვილია ცენტრალური ევროპიდან იტალიაში შეღწევა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ეს, რომ იტალიაზე კონტროლს მისმა ჩრდილოელმა მე-

ზობლებმა მიაღწიეს, რამაც ძლიერ გაართულა იტალიელი ერის კონსოლიდაცია. ამავე სახის პარამეტრი საქართველოს გეოგრაფიიდანაც შეიძლება მოვიყვანოთ: ლიხის ქედის არსებობა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს ისტორიული განვითარება. ამასთან მორტენგაუ სამართლიანად აღნიშნავს, რომ არ უნდა მოხდეს გეოგრაფიული ფაქტორის აბსოლუტიზაცია: არსებითია ის, თუ როგორაა გამოყენებული ეს მდებარეობა და როგორია გეოგრაფიული საცხოვრისის ათვისების წესი. ამასთან, გეოგრაფიული განლაგების მნიშვნელობამ შეიძლება სრულიად იცვალოს სახე გარკვეულ არაგეოგრაფიულ ფაქტორთა გამო. მაგალითად, გეოგრაფიული ფაქტია, რომ ევროპას და ამერიკას ერთმანეთისაგან ატლანტიკის ოკეანე ჰყოფს, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში ამ ფაქტს სხვადასხვა გეოსტრატეგიული ინტერპრეტაცია გააჩნდა. გეოსტრატეგიული ბალანსისათვის გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორია.

2. **მოსახლეობა** — გეოსტრატეგიულ ბალანსში ხელსაყრელი პოზიციის დაკავებისათვის საჭიროა გარკვეული რაოდენობის არმია. ამასთან, ომიანობის პერიოდის არმია ბევრად აღემატება მშვიდობიანობის დროს გაშლილ შეიარაღებულ ძალებს. ამგვარი არმიის ყოლისათვის აუცილებელია მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა. რასაკვირველია შეუძლებელია გეოსტრატეგიული ძალა მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობაზე დავიყვანოთ (მაშინ ამერიკის წილი მსოფლიო გეოსტრატეგიულ ბალანსში ინდოეთის წილზე უფრო დაბალი იქნება, არაფერი რომ არ ვთქვით ისრაელის და არაბული სახელმწიფოს მოსახლეობის შეფარდებაზე), მაგრამ მოსახლეობის რიცხვი მაინც მნიშნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს წილს გეოსტრატეგიულ ბალანსში. ამ დროს მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობა, არამედ მისი ეთნიკური და დემოგრაფიული სტრუქტურაც.

3. **სამხედრო მზადყოფნა** განისაზღვრება შეიარაღებული ძალების რაოდენობითა და ხარისხით, სამხედრო ტექნიკის რაოდენობით და თვისებებით, სამხედრო თეორიული აზრის განვითარების დონით, ოფიცერთა და რიგითი შემადგენლობის მომზადების ხარისხით და სხვა მსგავსი პარამეტრებით. ამასთან არ უნდა გადავიჭარბოთ სამხედრო ძალის მნიშვნელობა და არ მივიჩნიოთ თითქოს: „სამხედრო ძალა

მშვიდობიანობის დროს თავისთავად წარმოადგენს პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს" (რ. ოსგუდი). სამხედრო ძალა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს კონკრეტიკაში სხვა ფაქტორებთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მორგენტაუ კატეგორიულად ილაშქრებს „მილიტარისტული" კონცეფციის წინააღმდეგ, რომელთა თანახმად „ერის ძალა თუ აუცილებლად არა, პირველ რიგში მაინც ემყარება მის სამხედრო ძალას, გამოხატულს უპირველეს ყოვლისა რაოდენობრივ მაჩვენებლებში".

4. **სასარგებლო წიაღისეული და საერთოდ ბუნებრივი რესურსები.**

ის სახელმწიფოები, რომელთაც საკმაოდ გააჩნიათ ამგვარი რესურსები არ საჭიროებენ ეროვნული ენერგიის ნაწილის გადართვას საჭირო ნედლეულის საზღვარგარეთ საძიებლად. ამიტომ ნედლეულით უზრუნველყოფილი ქვეყნები უფრო ეფექტიანად ახერხებენ თავიანთი ეროვნული მიზნების მიღწევას ომიანობის პირობებში (გავიხსენოთ იაპონიის და გერმანიის სირთულეები ნედლეულით მომარაგებისას II მსოფლიო ომის დროს).

5. **სამრეწველო და ტექნოლოგიური პოტენციალი:** სასარგებლო წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები ვერ გახდება გეოსტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორი თუ იგი სათანადოდ არ არის ათვისებული. არაფერი რომ არ ითქვას სამრეწველო და ტექნოლოგიური პოტენციალის მნიშვნელობაზე შეიარაღებული ძალებისათვის.

6. **ეროვნული მორალი** ანუ ის თუ რამდენად ენდობა მოსახლეობა ხელისუფლების პოლიტიკას და საერთოდ ნდობის რა ხარისხი არსებობს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

7. **ხელისუფლების ხარისხი** — ეჭვსგარეშეა რომ დაახლოებით ერთიდაიმავე პოტენციალის მქონე სახელმწიფოთაგან ერთნი უკეთესად ახერხებენ თავიანთი ინტერესების რეალიზაციას ვიდრე სხვები. რეიგანის ადმინისტრაციის მატერიალური პოტენციალი თვისებრივად არაფრით აღემატებოდა კარტერის ადმინისტრაციის პოტენციალს. თუმცა ხელისუფლების ხარისხმა თავისი მოიტანა. თუ კარტერის დროს აშშ დამცირებული სახელმწიფოს მდგომარეობაში იმყოფებოდა რეიგანის ეპოქაში მან „ცივ ომში" გაიმარჯვა. ეს არ ნიშნავს იმას რომ გენიალურ ლიდერს ყველაფერი შეუძლია. მაგრამ არ ნიშნავს არც მცირეს: ნებისმიერ, ობიექტურად უძლიერესი პარამეტრების მა-

ტარებელ სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გამარჯვება როდესაც სათანადო დონის ლიდერები ჰყავს.

8. **დიპლომატიის ხარისხი** — გულისხმობს იმას, რომ ეროვნული ნდობით აღჭურვილმა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს არსებული რესურსების მობილიზება ეროვნული მიზნების მისაღწევად.ა ამასთან დიპლომატიის მაღალი დონე აპრიორი შეიცავს პრევენტულ ქმედებებს, როდესაც დიპლომატია არა მხოლოდ უბრალოდ რეაგირებს მიმდინარე პროცესებზე, არამედ წინ უსწრებს მოვლენებს, ითვლის შესაძლო კრიზისებს და იმუშავებს მათზე რეაგირების საშუალებებებს.

§ 21
მსოფლიოს გეოსტრატეგიული დარაიონება საბჭოთა სამხედრო აზრით

ბუნებრივია, არც გენშტაბი და არც მისი ანალოგიური ორგანო, არ სჯერდება მხოლოდ სამხედრო მეცნიერების საფუძველზე სტრატეგიის საზოგადოდ განსაზღვრას. სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე, ის ყოველთვის მიმართული იქნება კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაზე. ასევე იყო სსრ კავშირის გენშტაბშიც, სადაც, მართალია, არ ცნობდნენ დიდ სტრატეგიას, მაგრამ მაინც იძულებული იყვნენ გეოსტრატეგიულ პარამეტრებზე დაყრდნობილი გეგმები შეემუშავებინათ. როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა სტრატეგები გამოყოფდნენ ორი ტიპის სტრატეგიულ ოპერაციას: ოპერაციას კონტინენტურ თეატრზე და სტრატეგიულ ბირთვულ ოპერაციას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. პირველი, ცხადია, ევრაზიაში უნდა განხორციელებულიყო და საჭიროების შემთხვევაში მოეცვა აფრიკა, ავსტრალია და ორივე ამერიკა, მანამდე ფაქტობრივად განადგურებული სტრატეგიული ბითვული დარტყმის შედეგად. ფლოტის ქმედებები საბჭოთა სტრატეგების მიერ ხასიათდებოდა არა როგორც „სამხედრო-საზღვაო სტრატეგია", არამედ როგორც „ფლოტის სტრატეგიული გამოყენება", რაც ნამდვილად არ არის ერთიდაიგივე. მსოფლიოს გეოსტრატეგიული დახასიათება საბჭოთა ექსპერტებს დაახლოებით ასე წარმოედგინათ:



§ 22
მოქმედებათა თეატრის ცნება

იმისათვის, რათა განისაზღვროს, თუ როგორ ადგენდნენ „ცივი ომისას" დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგები ამა-თუ-იმ სტრატეგიული რეგიონის მნიშვნელობას, აუცილებელია იმ ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის გარკვევა, რომლის მეშვეობითაც საბჭოთა თუ დასავლეთელი სამხედროები და ექსპერტები იაზრებდნენ სამხედრო მოქმედებათა შესაძლო ხასიათს. ნატოს საფუძველმდებელი დოკუმენტების მიხედვით სივრცე, რომელზეც ვრცელდება ჩრდილოატლანტიკის ხელშეკრულება, შედგება ომის თეატრებისა და საბრძოლო მოქმედების თეატრებისაგან. ამასთან პირველი უფრო ფართო არეალს მოიცავდა ვიდრე მეორე.

ნატოს სტრატეგიული კონცეფციით არსებობდა ომის ორი თეატრი: ევროპული (მასზე პასუხისმგებელი იყო ნატოს სარდლობა ევროპაში) და ატლანტიკური (პასუხს აგებდა ნატოს გაერთიანებული სარდლობა ატლანტიკაზე). სამხედრო მოქმედებათა თეატრი უფრო მცირე სივრცეებს მოიცავდა. მაგალითად, ომის ევროპული თეატრი მოიცავდა საბრძოლო მოქმედებათა სამ თეატრს: ჩრდილო, სამხრეთ

და ცენტრალურ ევროპულს. ტერმინი „საბრძოლო მოქმედებათა თეატრი" ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: გეოგრაფიულით და ფუნქციონალურით (სამხედრო-სტრატეგიულით). პირველი მნიშვნელობით საბრძოლო მოქმედებათა თეატრი წარმოადგენდა ომის თეატრის ნაწილს და მოიაზრებოდა, როგორც გარკვეული ტერიტორია (მიმდებარე წყლებითა და საჰაერო სივრცით), რომლის ფარგლებშიც მოქმედებს სტრატეგიული მიზნის მქონე დაჯგუფება. გეოგრაფიული მნიშვნელობით გააზრებულ თეატრს, ჩვეულებრივ, ერთი ან რამოდენიმე სტრატეგიული მიმართულება გააჩნია.

ნატოს ხელმძღვანელობა საბრძოლო მოქმედებათა თეატრის საზღვრებს ცალ-ცალკე განსაზღვრავს მშვიდობიანი და საომარი ვითარებისათვის. მშვიდობიანობისას თეატრი მოიცავს მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელზეც განლაგებულია მოცემული დაჯგუფება. ომიანობისას თეატრის გეოგრაფიული საზღვარი ფართოვდება და მოიცავს ყველა იმ სახელმწიფოს (მათ შორის ნეიტრალურის) ტერიტორიებს, რომელზეც შეიძლება გავრცელდეს სამხედრო მოქმედება.

ფუნქციონალური ანუ სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით „საბრძოლო მოქმედებათა თეატრი" გულისხმობს იმ სტრატეგიულ დაჯგუფებას და ინფრასტრუქტურას, რომელიც თავმოყრილია ამა თუ ამ თეატრის (გეოგრაფიული გაგებით) ტერიტორიაზე. უფრო ზუსტად, საბრძოლო მოქმედებათა თეატრი, გეოგრაფიული აზრით, მოიცავს გარკვეულ ტერიტორიას, ხოლო ფუნქციონალურით — ამ ტერიტორიაზე განლაგებულ დაჯგუფებას თავისი ინფრასტრუქტურით. სამხედრო მოქმედებათა თითოეულ თეატრზე განლაგებულ დაჯგუფებას გააჩნდა გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავდა სარდლობას და შტაბს, დაქვემდებარებული ორგანოებით. სხვადასხვა თეატრებზე სხვადასხვა ოდენობის ძალები იყო თავმოყრილი. თეატრზე ჯარების რაოდენობას განსაზღვრავდა თეატრის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, გეოგრაფიული პირობები, იქ განლაგებული მოწინააღმდეგის დაჯგუფების შესაძლებლობები და ნატოს ძალების წინაშე მდგომი ამოცანები.

თითოეულ თეატრზე დისლოცირებული იყო სხვადასხვა სახის დაჯგუფება. მაგალითად, ცენტრალური ევროპის თეატრზე არსებული ძალები გაერთიანებული იყო ორ სტრატეგიულ დაჯგუფებაში: არმიათა ჩრდილოეთის და ცენტრალურ ჯგუფებში, სამხრეთ თეატრი —

რამდენიმე საველე არმიაში, ჩრდილოეთ თეატრზე რამდენიმე შენაერთში და ა.შ.

სსრ კავშირის მიდგომა დიდად არ განსხვავდებოდა ნატოსაგან. აქაც არსებობდა საბრძოლო მოქმედებათა თეატრები (სტრატეგიული მიმართულებები). სახელდობრ, საბჭოთა კლასიფიკაციით არსებობდა შემდეგი თეატრები: ჩრდილოეთის (მოიცავდა ლენინგრადის სამხედრო ოლქს), დასავლეთის (საბჭოთა ჯარების ჯგუფი გერმანიასა და პოლონეთში, ბალტიისპირეთის, ბელარუსის, იმიერკარპატეთის სამხედრო ოლქები), სამხრეთ-დასავლეთის (საბჭოთა ჯარების დაჯგუფება უნგრეთში, კიევის, ოდესის სამხედრო ოლქები), სამხრეთის (ჩრდილო კავკასიის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, თურქესტანის სამხედრო ოლქები) და შორეული აღმოსავლეთის (ციმბირის, იმიერბაიკალის, შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქები და საბჭოთა ჯარების დაჯგუფება მონღოლეთში). ამას გარდა, თეატრებთან ოპერატიულად თანამოქმედებდა სსრ კავშირის ფლოტები (ჩრდილო-დასავლეთის თეატრთან ჩრდილოეთის ფლოტი, დასავლეთის თეატრთან ბალტიის ფლოტი, სამხრეთ-დასავლეთის თეატრთან — შავი ზღვის ფლოტი და ხმელთაშუა ზღვის ესკადრა, შორეული აღმოსავლეთის თეატრთან — წყნარი ოკეანის ფლოტი). ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა არმიები იმყოფებოდნენ შესაბამისი თეატრების ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

საბჭოთა სტრატეგიული აზრი საბრძოლო მოქმედებათა თეატრის შემდგომ უმაღლეს ოპერატიულ-სტრატეგიულ გაერთიანებად მიიჩნევდა ფრონტს, შესაბამისად, უმაღლეს ოპერატიულ-სტრატეგიულ მოქმედებად მიიჩნევდა საფრონტო ოპერაციას (შეტევითსა ან თავდაცვითს). ყოველი ფრონტი, როგორც წესი, შედგებოდა რამოდენიმე არმიისაგან, თითოეულ არმიაში შედიოდა რამოდენიმე დივიზია. არმიებისა და ფრონტების შემადგენლობა ყველა ცალკეული შემთხვევისათვის კონკრეტულად განისაზღვრებოდა გამომდინარე თეატრის თავისებურებებისა და შეიარაღებულ ძალთა წინაშე დასმული ამოცანებიდან.

ფრონტის მიქმედების სიღრმე იყო 400-450 კმ (ცალკეულ შემთხვევებში უფრო მეტიც). ფრონტის მოქმედება სივრცობრივად ორ მონაკვეთად იყოფოდა: ფრონტის უახლოესი ამოცანა, რომლის სიღრმე 150 კმ-ს და ზოგჯერ მეტსაც აღწევდა და ფრონტის შემდგომი ამოცანა, რომლის სიღრმეც 400-450 კმ-ს აღწევდა. ფრონტის უახ-

ლოესი ამოცანის მიჯნა ემთხვეოდა არმიის შემდგომი ამოცანის მიჯნას, ანუ საარმიო ოპერაციის მაქსიმალური სიღრმე 150-200 კმ იყო. მაგრამ ოპერაციის პირველი ეტაპისათვის არმიების უახლოესი ამოცანების სიღრმე 75-150 კმ-ს უტოლდებოდა.

ამგვარი კლასიფიკაციის შესატყვისად ხდებოდა საავიაციო მხარდაჭერის ორგანიზაცია. არმიის უახლოესი ამოცანის ზღვრამდე დაახ. 75 კმ-ს ტერიტორია მიჩნეულ იყო სახმელეთო ჯარების ავიაციის (დამრტყმელი შვეულმფრენები) მოქმედების ზონად; არმიის უახლოესი ამოცანის ზოლის მიღმა ტერიტორია (დაახლ. 100 კმ-ს სიღრმე) მიჩნეული იყო შემტევი ავიაციის კომპეტენციად. არმიის შემდგომი ამოცანა, რომელიც ემთხვეოდა ფრონტის უახლოეს ამოცანას (დაახლოებით 200 კმ სიღრმე), ითვლებოდა გამანადგურებელ-ბომბდამშენი ავიაციის კომპეტენციად; დაბოლოს, ფრონტის შემდგომი ამოცანა (200 კმ-ზე ზემოდ) ითვლებოდა საფრონტო ბომბდამშენი ავიაციის კომპეტენციად. ტაქტიკური რაკეტების მეშვეობით დარტყმები შეიძლებოდა განხორციელებულიყო 350 კმ-მდე რადიუსში. ცხადია, ეს ნორმატივები აბსოლუტური არ იყო. ავიაციის სხვადასხვა სახეებს შეიძლებოდა გადაეფარათ ერთმანეთის მოქმედების არეალი, ვთქვათ, საჭიროების შემთხვევაში გამანადგურებელ-ბომბდამშენ ავიაციას შეეძლო ემოქმედა შემტევი ავიაციის ზონაში, მაგრამ ეს პრინციპულად არ ცვლიდა საქმის ვითარებას.

საფრონტო ოპერაციის ხანგრძლივობად განსაზღვრული იყო დაახლოებით 30 დღე, მათგან ფრონტის უახლოესი ამოცანების განსახორციელებლად დაახლოებით – 14 დღე ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ცენტრალური ევროპის თეატრისათვის განსაზღვრული ნორმატივები.

§ 23
ნატოს გაერთიანებული სარდლობები

როგორც ითქვა, ის სივრცე, რომელზეც ჩრდილოეთატლანტიკური ხელშეკრულების თანახმად ვრცელდება ნატოს მოქმედების ზონა, იყოფა ომის თეატრებად და სამხედრო მოქმედებათა თეატრებად. ომის თეატრი ეს არის ხმელეთის, ზღვის ან საჰაერო სივრცის რაიონი, რომელიც შეიძლება უშუალოდ იქნას მოცული საომარი მოქმედებე-

ბით. ნატოში გამოყოფენ ომის ორ თეატრს — ევროპულს (მასზე პასუხისმგებელია ნატოს სტრატეგიული სარდლობა ევროპაში) და ატლანტიკურს (პასუხისმგებელია ნატოს სტრატეგიული სარდლობა ატლანტიკაზე).

დასახელებული დაყოფა ომისა და საბრძოლო მოქმედების თეატრებად განსაზღვრავს ნატოს გაერთიანებული სარდლობების ხელმძღვანელ სტრუქტურებს. ნატოში არსებობს ორი ძირითადი სარდლობა:

1. **ატლანტიკაზე ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობა,** რომელიც მოიცავს ატლანტიკის ოკეანის ომის თეატრს კირჩხიბის ტროპიკიდან არქტიკამდე და ჩრდილო ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ ევროპამდე. უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი განლაგებულია ნორფოლკში (აშშ).

2. **ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობა ევროპაში,** რომელიც მოიცავს ნატოს ევროპულ სახელმწიფოებს (ინგლისისა და პორტუგალიის გარდა) და თურქეთს. ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობა ევროპაში ჩრდილო ატლანტიკის ბლოკში ერთადერთი იყო, რომელსაც მშვიდობიანობის დროს მზადყოფნაში ჰყავდა გაერთიანებული შეიარაღებული ძალები. მთავარსარდლობის განკარგულებაში მყოფი გაერთიანებული შეიარაღებული ძალები, შედგება სახმელეთო ძალებისა და ავიაციის ნაწილებისაგან და შენაერთებისაგან, რომლებიც მთავარსარდლობის განკარგულებაშია გადაცემული ნატოს ცალკეული წევრების მიერ.

ნატოს უმაღლესი მთავარსარლობის განკარგულებაშია მთავარი შტაბი, რომელიც პასუხს აგებს ნატოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნაზე საბრძოლო მოქმედებათა დაუყონებლივ საწარმოებლად. შტაბი დიდ ყურადღებას უთმობს შეიარაღებული ძალების ზურგისა და სამობილიზაციო კომპონენტების უზრუნველყოფას. გაერთიანებულ შტაბს ხელმძღვანელობს ამერიკული გენერალი. შტაბის უფროსის მოადგილეა გერმანელი გენერალი, რომელიც პასუხს აგებს დაგეგმაზე და ოპერატიული საკითხების გადაწყვეტაზე. შტაბი მოთავსებული ქ. კასტროში (ბრიუსელიდან 50 კმ-ზე). ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ვხო) დაჯგუფებებს უფრო კონკრეტულად ქვემოთ განვიხილავთ.

თავი 2
ევროპის გეოსტრატეგიული როლი „ცივი ომი“-ს პერიოდში

§ 24
„ცივი ომი“-ს პერიოდში ევროპის გეოსტრატეგიული როლის განმსაზღვრელი მიზეზები

უკვე მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის ცხადი გახდა, რომ მისი შედეგები ვერ უზრუნველყოფდა სტაბილურ მშვიდობასა და კონსენსუსზე დამყარებულ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას. ნათელი იყო ისიც, რომ მოვლენათა ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში ევროპაზე კონტროლის დამყარებას ძალიან დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

ამ მტკიცებამ სტრატეგიული აქსიომის ფუნქცია შეიძინა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკული პოლიტიკის კრახის შემდეგ, რასაც ჩინეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარება მოჰყვა.

ევროპის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპა იყო ერთადერთი სახმელეთო რეგიონი, რომელიც სსრ კავშირის სასიცოცხლო ცენტრების უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მიმართულებით სსრ კავშირი ბუნებრივ საზღვრებზე იყო გასული (შესაბამისად ჩრდილოეთის ყინულოვან და წყნარ ოკეანეებზე), ხოლო სამხრეთით ძნელადგადასალახი მთიანი მასივებით იყო გამოყოფილი ახლო და შუა აღმოსავლეთიდან და ცენტრალური აზიისაგან. ეს მასივები, აგრეთვე სხვა გეოგრაფიული მახასიათებლები, შეუძლებლად აქცევდნენ მსხვილი ჯავშანსატანკო შენაერთების გამოყენებას სსრ კავშირის წინააღმდეგ სამხრეთის მიმართულებიდან.

ჩინეთზე კონტროლის დამყარების შემდეგ სსრ კავშირმა ამ მიმართულებითაც მოხსნა მასზე თავდასხმის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ერთადერთ სახმელეთო პლაცდარმად, რომლიდანაც პრინციპში მაინც შეიძლებოდა სსრ კავშირზე თავდასხმა, ევროპა რჩებოდა.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, სტრატეგიული მასშტაბის საზღვაო-სადესანტო ოპერაცია კონტინენტალური სახ-

ელმწიფოს წინააღმდეგ (სსრ კავშირი კი სწორედ ასეთი იყო) უაღრესად ძნელი და სარისკო წამოწყებაა. იგი ძალებისა და რესურსების სრულ მობილიზებას მოითხოვს, თანაც იმ პირობებში, როდესაც ოპერაციის ბედი მთლიანად ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს. ამიტომ აშშ-ისა და ინგლისისათვის ევროპა უნდა ყოფილიყო პლაცდარმი, რომელზეც უკვე მშვიდობიანობისას უნდა განთავსებლიყო იმგვარი ინფრასტრუქტურა, რომელიც ომიანობისას უზრუნველყოფდა მრავალრიცხოვანი ჯავშანსატანკო ტექნიკით აღჭურვილი შენაერთების გამოყენებას საჭირო მიმართულებებით. რასაკვირველია, პირველ ეტაპზე ნატოს მოქმედება თავდაცვითი იქნებოდა და ევროპის გეოგრაფიულ-ოპერატიული უპერატესობის გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, რაც აშშ-ის გიგანტური რესურსები სამხედრო რელსებზე გადაერთვებოდა. „მოქნილი რეაგირების" სტრატეგია ამ გარემოებას, ცხადია, ითვალისწინებდა.

მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ის, რომ ბირთვული ერის განვითარების საწყის ეტაპზე ევროპა იდეალური ბაზა იყო ბირთვული იარაღის მატარებლებისათვის. რაკეტული ტექნიკის განვითარებამდე ბირთვული იარაღის მთავარი მატარებელი სტრატეგიული ბომბდამშენები იყო. ევროპაში განლაგებულ აშშ-ის ბომბდამშენებს სწრაფად შეეძლოთ დაეზიანებინათ სსრ კავშირის სასიცოცხლო ცენტრები მაშინ, როდესაც საბჭოთა ავიაციას ბევრად დიდი დრო დასჭირდებოდა აშშ-მდე მისაღწევად. მართალია, საკონტინენტთაშორისო რაკეტების შექმნამ ევროპის მნიშვნელობა ამ მიმართებით შეასუსტა, მაგრამ ამერიკელები ბოლომდე ცდილობდნენ ევროპის გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებას (გავიხსენოთ „პერშინგ-2"-ისა და ფრთოსანი რაკეტების განლაგება ევროპაში 80-იან წლებში).

ევროპის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა იზრდებოდა დასავლეთ ევროპის სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური პოტენციალის ზრდის პარალელურად. მარშალის გეგმის მეშვეობით დასავლეთ ევროპის ქვეყნები თანდათან დადგნენ ფეხზე და 60-იანი წლების შუაგულიდან, ანუ „მოქნილი რეაგირების" სტრატეგიაზე გადასვლის პერიოდისათვის, ისინი უკვე ანგარიშგასაწევ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. მეტიც, ამ დროიდან შეიძლება ვილაპარაკოთ ნატოს ევროპულ საყრდენზე და ასეთი საყრდენის არსებობას გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეეძლო „ცივი ომის" ბედზე (და საბოლოო ჯამში მოახდინა კიდეც).

ყოველივე ამან განსაზღვრა ევროპაზე კონტროლის უდიდესი მნიშვნელობა. თუ სსრკ მოახერხებდა ევროპაზე კონტროლის დამყარებას, ის მოხსნიდა მასირებული სამხედრო მოქმედების საფრთხეს დასავლეთიდან, იგი ამერიკას მოწყვეტდა რესურსებით მდიდარ ევროპას. ევროპის დაკარგვის შემთხვევაში სსრ კავშირი ჰიბრალტარიდან ჩაკეტავდა ხმელთაშუა ზღვას და მაშინ ამერიკელებს ახლო აღმოსავლეთის დაცვა მხოლოდ ინდოეთის ოკეანის მხრიდან შეეძლებოდათ, რაც ძალიან ძნელი იყო. ამას გარდა ევროპიდან და ხმელთაშუა ზღვიდან შეიძლებოდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე შეტევა შავი ზღვის მიმართულებით. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ორივე ზესახელმწიფო ყველაფერს აკეთებდა ევროპაზე კონტროლისათვის.

თავი 3
ცენტრალური ევროპის თეატრის გეოსტრატეგიული დახასიათება

§ 25
ცენტრალური ევროპის თეატრის გეოგრაფიული დახასიათება

ცენტრალური ევროპის საბრძოლო მოქმედებათა თეატრის ტერიტორია მოიცავდა შემდეგ სახელმწიფოებს (აღმოსავლეთიდან დასავლეთით): სსრ კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გდრ, გფრ, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, ინგლისი. ზურგის პოზიციებს წარმოადგენდნენ ესპანეთი და პორტუგალია. თეატრზე დისლოცირებული იყო აშშ-ისა და კანადის ძალები. ნეიტრალური ავსტრიისა და შვეიცარიის, აგრეთვე ჩრდილო იტალიისა და უნგრეთის მიკუთვნება თეატრისათვის სადავო იყო (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). ბალტიაიუტლანდიით ცენტრალურ-ევროპული თეატრი უკავშირდებოდა ჩრდილოეთ ევროპის თეატრს, ხოლო სამხრეთის თეატრის ჩრდილო-იტალიური ქვეთეატრიდან (ოპერაციების თეატრიდან) მას ალპები, ნეიტრალური ავსტრია-შვეიცარია და მიუმხრობელი იუგოსლავია ჰყოფდა. ავსტრიისა და შვეიცარიის ნეიტრალიტეტის შემთხვევაში სახმელეთო კავშირი სამხრეთის თეატრთან მხოლოდ იტალია-საფრანგეთის

საზღვარზე გამავალი კომუნიკაციებით შეიძლებიოდა განხორციელებულიყო.

თეატრის ჩრდილოეთი სექტორი ყველაზე ხელმისაწვდომი იყო მსხვილი ჯავშანსატანკო შენაერთების მოქმედებისათვის. აქ ჩრდილო-გერმანიის ვაკეზე განვითარებული სატრანსპორტო ქსელის პირობებში აღმოსავლეთიდან შემტევი მხარისთვის ხელის შეშლა მხოლოდ დიდ, მდორე მდინარეებსა და ურბანიზებულ ტერიტორიებს შეეძლო. თეატრის სიღრმეში აღმოსავლეთიდან შემტევ მხარეს სირთულეებს შეუქმნიდა ბენელუქსის ურბანიზებული და არხების ქსელით დასერილი ტერიტორიები.

თეატრის სამხრეთი ნაწილი უფრო ნაკლებად ტანკმისადგომი იყო. სამხრეთით დაშვებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდებოდა მთაგორიანი სივრცე. გერმანიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე რაინის, ვეზერის, ჰესენის და ჰარცის მთები (სიმაღლე 880-1140 მ) სამხრეთით გადადიოდნენ შვარცალდის, ოდენვალდის და შპესარტის მთიანეთებში (მაქს.სიმაღლე 1500 მ-მდე). ჩსსრ-ს საზღვართან მდებარეობდა შედარებით მაღალი მასივები: შუმავა და ჩეხეთის ტყე (სიმაღლე 1500 მ-მდე), ხოლო მათი დასავლეთით — საშუალომთიანი მასივები: ბავარიის ტყე, ფიხტელი და სხვ. ბავარიის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა ალპების ჩრდილოეთი ქედები.

ანალოგიური იყო გდრ-სა და პოლონეთის გეოგრაფიული მდებარეობა. მათი ჩრდილოეთი ნაწილი ეკავათ ადვილად ტანკმისაწვდომ დაბლობებს, ხოლო სამხრეთით მდებარეობდა საშუალო და მაღალმთიანი მასივები (ტატრები, კარპატები).

§ 26
ცენტრალური ევროპის გეოსტრატეგიული როლი „ცივი ომის“ პერიოდში

ევროპაზე კონტროლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცენტრალურ ევროპაზე კონტროლს. მასზე კონტროლი გადამწყვეტი იყო ორივე მხარისათვის. თუ საბჭოთა ჯავშანსატანკო დაჯგუფებები გააღწევდა საფრანგეთის ჩრდილო სანაპიროზე, სსრ კავშირის ფლოტში შემავალ წყალქვეშა ნაქებს შეეძლებოდა მოეშალა ტრანს-

ატლანტიკურ გადაზიდვათა სისტემა და სასიკვდილო საფრთხე შეექმნა ინგლისისათვისაც. ესპანეთის დაკავებით ისინი აღკვეთდნენ აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა უნარს ხმელთაშუა ზღვაზე მოქმედებისა, რაც გაუადვილებდა სამხრეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის დაპყრობას. ამავე დროს ცენტრალური ევროპის დაპყრობით ისინი მიაღწევდნენ სრულ ბატონობას ბალტიკაზე და მოახდენდნენ სკანდინავიის იზოლირებას.

რა როლსაც ცენტრალურ ევროპა ასრულებდა სრულიად ევროპის დაცვის საქმეში, თავად ცენტრალური ევროპის დაცვის საქმეში იგივე როლს ასრულებდა გფრ. დასავლეთ გერმანია აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და ბენელუქსისთვის წარმოადგენდა ერთგვარ წინწაწეულ პლაცდარმს მათი ტერიტორიების დასაცავად. გერმანიის დაკავება საბჭოთა ბლოკს საშუალებას მისცემდა გაჭრილიყო საფრანგეთის ჩრდილოეთის პორტებისაკენ და პრაქტიკულად ჩაეშალა ტრანსატლანტიკური გადაზიდვები, რის შემდეგადაც ევროპაზე გაბატონება ტექნიკის საქმე იყო. ამასთან გფრ-ს გააჩნდა უმდიდრესი ეკონომიკური პოტენციალი, დიდი ოდენობის ადამიანური რესურსები და ევროპის უძლიერესი სახმელეთო ძალები. ყოველივე ეს, გეოსტრატეგიული აზრით, უმნიშვნელოვანეს მოთამაშედ ხდიდა როგორც აშშ-ისათვის, ისე საფრანგეთისა და ინგლისისათვის.

ბენილუქსის გეოსტრატეგიულ ფუნქციას განაპირობებდა მისი, როგორც უშუალო ზურგის, როლი დასავლეთ გერმანიის დაცვის საქმეში. როტერდამს, ანტვერპენსა და დანარჩენ პორტებს უნდა უზრუნველეყოთ ინგლისიდან და აშშ-დან დიდი ოდენობის პერსონალისა და ტექნიკის მიღება. ბენილუქსის ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო POMCUS-ის მნიშვნელოვანი მარაგი (იხ. ქვემოთ).

საფრანგეთს ენიჭებოდა ტრანსატლანტიკურ გადაზიდვათა უზრუნველყოფის ფუნქცია. მის პორტებს შეეძლოთ მიეღოთ ინგლის-ამერიკის გაძლიერების ძალების მეორე ეშელონი. ამას გარდა, საფრანგეთის არცთუ უმნიშვნელო ძალებს შეეძლო მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა გერმანიის დაცვაში.

ინგლისის ფუნქციას განსაზღვრავდა მისი როლი ატლანტიკაზე წარმოებულ ოპერაციებში, მისი ერთგვარი დამაკავშირებელი მდგომარეობა ჩრდილო და ცენტრალურ თეატრებს შორის, ავიაციის ბაზირების უაღრესად განვითარებული ქსელი (დიდი ბრიტანეთის

აეროპორტების საერთო ტევადობა 10 000 თვითმრინავი იყო, რაც 5-ჯერ აღემატებოდა საფრანგეთის ანალოგიურ მაჩვენებელს). ინგლისის პორტებს შეეძლო შუალედური გადაზიდვის ფუქციები შეესრულებინა აშშ-დან ბენილუქსისა და გერმანიის პორტებისაკენ. ამას გარდა, ინგლისის დიდ სამხედრო პოტენციალს შეეძლო მნიშვნელოვანი წელილის შეტანა გერმანიისა და ბენელუქსის, აგრეთვე ნორვეგიისა და დანიის დაცვაში.

ესპანეთისა და პორტუგალიის მნიშვნელობა განისაზღვრებოდა, როგორც ღრმა ზურგის რგოლისა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეღოთ აშშ-ის გამაძლიერებელი ძალების მესამე ეშელონი. ამას გარდა, მათ უნდა უზრუნველეყოთ ხმელთაშუა ზღაზე გასასვლელი აშშ-ისათვის. მათ გერმანიის, ბენილუქსისა და საფრანგეთის ტერიტორიის ოკუპირების შემთხვევაში გადამწყეტი როლი უნდა ეთამაშათ (ინგლისთან ერთად) ატლანტიკაზე ნავსაწინაღო ოპერაციების დროს და მინიმალურად მაინც შეენარჩუნებიათ ტრანსატლანტიკური გადაზიდვები.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებიდან პოლონეთის გეოსტრატეგიული როლი ძალიან წააგავდა ნატოში საფრანგეთის როლს. მას უნდა უზრუნველეყო საბჭოთა გამაძლიერებელი ძალების ტრანსპორტირება გდრ-ს მიმართულებით. ამას გარდა, პოლონეთს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ბალტიკაზე ბატონობისათვის. გდრ იყო საბჭოთა სტრატეგიული შეტევის პლაცდარმი მზა ინფრასტრუქტურით, ხოლო ჩსსრ საბჭოთა დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებების დამაკავშირებელი იყო.

§27
თეატრის ფუნქციონალური (სამხედრო-სტრატეგიული) დახასიათება

ცენტრალური ევროპის თეატრის უპირველესი ფუნქციონალური მახასიათებელი მის უწყვეტობაში მდგომარეობდა. როგორც მერიდიანის, ისე პარალელის მიმართულებით, ეს თეატრი წარმოადგენდა ხმელეთის უწყვეტ მასას, რომელიც არსად არ შემოისაზღვრება მნიშვნელოვანი შიდა საწყალოსნო (საოკეანო, საზღვაო) თუ სამთო წინაალმ-

დეგობებით. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ინგლისი, რომელიც კონტინენტიდან ვიწრო საზღვაო ზოლით იყო გამოყოფილი.

ეს სახმელეთო მასა ფლანგებიდან მოცული იყო საოკეანო-საზღვაო სივრცეებით: ჩრდილოეთით — ატლანტიკით, ჩრდილოეთის ზღვითა და ბალტიის ზღვით, ხოლო სამხრეთით — ხმელთაშუა ზღვით. ამრიგად, განსხვავებით სამხრეთ ევროპის თეატრისაგან, რომელშიც საზღვაო კომპონენტს შ ი დ ა თ ე ა ტ რ უ ლ ი ელემენტის ფუნქცია ჰქონდა, ცენტრალური თეატრი მხოლოდ გარემოიცვებოდა საოკეანო-საზღვაო სივრცით. ის ნაკლებად ატარებდა კომბინირებულ, საზღვაო-სახმელეთო ხასიათს, თუმცა საოკეანო გადაზიდვებს გადამწყვეტი გავლენა ექნებოდა თეატრის მდგრადობისათვის.

თეატრის უწყვეტობის გამოვლენას წარმოადგენდა ისიც, რომ მისი შემადგენელი ქვეთეატრები (ოპერაციების თეატრები) ერთმანეთში უშუალოდ გადადიოდნენ. ორივე ქვეთეატრი, წარმოდგენილი ნატოს არმიათა ჩრდილოეთი და ცენტრალური ჯგუფებით, უშუალოდ ესაზღვრებოდა ერთმანეთს (განსხვავებით სამხრეთ ევროპისაგან, სადაც სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთისა და ანატოლიის ქვეთეატრები ერთმანეთისაგან ზღვით იყვნენ გაყოფილნი). ასევე უშუალოდ იკვეთებოდა საჰაერო ტაქტიკური სარდლობების პასუხისმგებლობის ზონებიც.

შემდეგი ფუნქციონალური ნიშანი იყო ის, რომ თეატრის სიღრმე და სიგრძე მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, განსხვავებით ჩრდილოეთისა და სამხრეთის თეატრებისაგან, სადაც თეატრის ზომა პარალელის მიმართულებით ბევრად მეტი იყო, ვიდრე მერიდიანის მიმართულებით.

სახმელეთო მასივი, როგორც თეატრის ერთიანობაში შემკრავი, წარმოადგენს ცენტრალური ევროპის თეატრის ერთ-ერთ არსებით ფუნქციონალურ მახასიათებელს. თეატრის მიმდებარე საზღვაო-საოკეანო მასივი ფუნქციონალურ დატვირთვას სახმელეთო მასივთან მიმართებაში იძენდა (ისევ სამხრეთის თეატრისაგან განსხვავებით, სადაც თეატრს ერთიანობაში ხმელთაშუა ზღვა კრავდა). ეს კი ნიშნავდა, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებდით ტრანსოკეანურ გადაზიდვებს, თეატრისათვის გადამწყვეტი იქნებოდა:

- სახმელეთო კომუნიკაციების კრიტიკული როლი თეატრის მდგრადობისათვის;
- ამ კომუნიკაციების მიმდებარე საჰაერო სივრცეზე კონტროლის აუცილებლობა;

● მეორე ეშელონების უდიდესი მნიშვნელობა (ამ უკანასკნელთან ბრძოლის აუცილებლობა აისახა კიდეც Aaerland-batlle[40]-ს კონცეფციაში).

თეატრის შემდეგ ნიშანს მისი სიმეტრიულობა წარმოადგენდა. სიმეტრიულობა ნიშნავდა იმას, რომ თეატრის ნებისმიერ ქვეთეატრზე წარმატება კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებდა მთელი თეატრისათვის. ვთქვათ, თეატრის ჩრდილოეთი სეგმენტის მოშლას ვხო-ს მიერ და მათ მიერ ჩრდილო საფრანგეთის დაკავებას მოჰყვებოდა ნატო-ს არმიათა ცენტრალური ჯგუფის ჩაყენება კრიტიკულ მდგომარეობაში, მაშინ როცა სამხრეთის თეატრზე საბჭოთა კავშირის თუგინდ სტრატეგიულ წარმატებას ანატოლიის ქვეთეატრზე შეიძლებოდა არავითარი ზეგავლენა არ მოეხდინა დუნაის ქვეთეატრზე მიმდინარე მოქმედებებზე.

სიმეტრიულობა გამორიცხავდა თეატრზე იზოლირებული ოპერაციების ჩატარებას. ყოველი ცალკე ოპერაცია წარმატებული იქნებოდა მხოლოდ მთელი თეატრის მომცველი სტრატეგიული მოქმედებების კონტექსტში.

ამ სიმეტრიულობის მიუხედავად მაინც არსებობდა გარკვეული ასიმეტრია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ გამაძლიერებელი ძალების გადასროლა ვხო-ს რამდენიმე ასეულ კილომეტრზე და უპირატესად ხმელეთით უწევდა, ხოლო ნატოს, სახელდობრ, აშს-ს რამოდენიმე ათას კილომეტრზე და კომბინირებული გზით.

თეატრის შემდეგ სპეციფიკას წარმოადგენდა ის, რომ მისი გეოსტრატეგიული მდებარეობის, აგრეთვე მისი ქვეყნების განვითარების მაღალი დონის გამო მასზე დისლოცირებული იყო პირველი კლასის არმიები.

თეატრის კიდევ ერთ თავისებურებას განსაზღვრავდა ის, რომ მიუხედავად საავიამზიდო ავიაციის გარკვეული როლისა, მათი ფუნქცია არ იქნებოდა ისეთი კრიტიკული, როგორიც ჩრდილოეთისა თუ სამხრეთის ფლანგებზე. ამას, ფუნქციონალურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა გარდა, განაპირობებდა აეროდრომების უაღრესად განვითარებული ქსელიც. ამას გარდა, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სრულყოფილი ქსელის გამო ავიაციის მოქმედება ბევრად უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე სხვა თეატრებზე.

დაბოლოს, თეატრის კიდევ ერთ სპეციფიკას მისი ზეურბანიზებუ-

ლი ხასიათი განსაზღვრავდა. აქ მეგაპოლისები ლამის შეუმჩნევლად გადადიოდნენ ერთმანეთში. დასახლებული პუნქტების ამგვარი სიუხვე, ბუნებრივია, ზეგავლენას მოახდენდა საბრძოლო მოქმედებათა ხასიათზე. შემთხვევითი არ იყო, რომ ამერიკელები დასახლებულ პუნქტებში საბრძოლო მოქმედებას მოქმედებათა ცალკე სახეთ გამოყოფდნენ. თუ გროზნოს შტურმებისას რუსები საბჭოთა წესდებებით ხელმძღვანელობდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ აგლომერატებში მათი წარმატება მიზერული იქნებოდა.

§ 28
ვხო-ს ძირითადი სტრატეგიული მიზნები თეატრზე

საბჭოთა სტრატეგიული კონცეფციიდან გამომდინარე, ცენტრალური ევროპის თეატრზე ძირითადი სტრატეგიული ობიექტების ნუსხა დაახლოებით ასეთი იქნებოდა:

ნატოს ოპერატიული და ტაქტიკური ბირთვული რაკეტული დანადგარები, ატომური არტილერია, ატომური იარაღის მატარებელი ტაქტიკური ავიაცია, აგრეთვე ავიაბაზები და ბირთვული ქობინების საწყობები. ამ ობიექტების მაქსიმალური ოდენობით ელვისებური განადგურების შემთხვევაში ვხო მნიშნელოვნად გაართულებდა „მოქნილი რეაგირების" სტრატეგიის მოქმედებაში მოყვანას. ცხადია, საბჭოთა ბლოკისათვის იდეალური იქნებოდა ის ვითარება, თუ ომის პირველივე საათებში მოახერხებდა რაღაც ფორმით გამოეყვანა მწყობრიდან „მოქნილი რეაგირების" სტრატეგიისათვის გამიზნული ყველა ქობინი, მატარებელი ან ინფრასტრუქტურა, თუმცა ეს ფანტასტიკური სცენარი იყო. საჰაერო და საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტების შექმნამ საბჭოურ მიდგომას აზრი დაუკარგა, ვინაიდან განადგურებული ქობინების თუ მატარებლების ადგილს სწრაფად დაიკავებდნენ ფრთოსანი რაკეტები, რომელთაც წარმატებით შეეძლებოდათ შეესრულებინათ „მოქნილი რეაგირების" სტრატეგიით გათვალისწინებული ტაქტიკური და ოპერატიული ბირთვული იარაღის ფუნქცია;

თეატრზე ვხო-ს ძირითადი მიზნები:

● **ჰამბურგ-ბრემენის არეალის ოკუპირება,** რაც ვხო-ს საშუალებას მისცემდა, ერთი მხრივ, მწყობრიდან გამოეყვანა ორი უმსხ-

ვილესი პორტი, მეორე მხრივ, მოემზადებინა საფუძველი ბენელუქსსა და ჩრდილო საფრანგეთზე შეტევისათვის. დაბოლოს, უზრუნველეყო სრული ბატონობა სამხრეთ ბალტიკაზე და შეეტია იუტლანდია-სკანდინავიის მიმართულებით, რითაც ერთმანეთისაგან გათიშავდა ცენტრალურ და ჩრდილოეთის თეატრებს;

- **ბენილუქსის ოკუპირება,** რითაც ეხო აღკვეთავდა ნატოს გამაძლიერებელი ძალების მიერ ისეთი მსხვილი პორტების გამოყენების შესაძლებლობას, როგორებიცაა როტერდამი და ანტვერპენი, აგრეთვე შეიქმნიდა პლაცდარმს ჩრდილო საფრანგეთზე უშუალო შეტევისათვის;
- **საჰაერო დარტყმები ინგლისის აეროდრომებზე მათი მწყობრიდან გამოყვანის მიზნით,** რათა გამორიცხულიყო ინგლისის აეროდრომების გამოყენება ჯერ დასავლეთ გერმანიის, ხოლო შემდეგ ბენელუქსისა და ჩრდილო საფრანგეთის საჰაერო სივრცეში სამოქმედოდ. იგივე ითქმის საფრანგეთის აეროდრომებზე. აქ ალბათ უკვე საშუალო სიშორის ბომბდამშენები იქნებოდა გამოყენებული (სავარაუდოდ, ტუ-22-ისა და „ბექფაიერის" ტიპისა. ცხადია, მიმართავდნენ რაკეტულ დარტყმებსაც);



სამჭოლომის შესაძლო შეტევიმი დასავლეთის მიმართულებით

- **საფრანგეთის პორტების მწყობრიდან გამოყვანა ან ოკუპირება,** რათა მათ ვერ მიეღოთ გამაძლიერებელი ძალები აშშ-დან, კანადიდან და ინგლისიდან;
- **საჰაერო დარტყმები ინგლისის სამხრეთ-დასავლეთის პორტებზე,** რათა მათ ვერ შეესრულებინათ შუალედური ფუნქცია ძალების კონტინენტზე გადასროლისას;
- **სამხედრო-სამრეწველო ობიექტები თეატრის მთელ ტერიტორიაზე;**
- **აიზენახის გასასვლელიდან შეტევა კასელ-ფულდას მიმართულებით,** რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა არმიათა ჩრდილოეთის ჯგუფის წინააღდეგ მოქმედი დაჯგუფების სამხრეთ ფლანგს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა ოპერატიულ სივრცეს როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით (შესაბამისად, გოტინგენ — პადერბორნის, მაინის ფრანქფურტისა და ბავარიის მიმართულებით);
- **შტუტგარტი,** რაც საშუალებას მისცემდა ორად გაეხლიჩა ნატოს ძალები ცენტრალურ ევროპაში და არდენების მხრიდან შეეტია ცენტრალური საფრანგეთისათვის;
- **მიუნხენი,** საიდანაც ადვილად დაუკავშირდებოდა ავსტრიისა და ჩრდილო იტალიის მიმართულებით მოქმედ საბჭოთა შენაერთებს.

გერმანიის, ბენელუქსისა და ჩრდილო საფრანგეთის ოკუპირების შემდეგ საბჭოთა ძალების ძირითადი ობიექტები იქნებოდა:

- **ბორდო-ტულუზა-მონპელიე-მარსელი-ნიცას** ხაზი, რაც ა) საშუალებას მისცემდა ვხო-ს ძალებს, დაეკავებინათ საფრანგეთის პორტები და ნატოს გამაძლიერებელი ძალებისათვის გაერთულებინათ ევროპაში გადასროლა; ბ) მთლიანად გარემოეცვა ჩრდილო იტალია, ავსტრია და შვეიცარია; გ) შეემზადებინა პლაცდარმი ესპანეთზე საბოლოო შეტევისათვის, რასაც უნდა მოჰყოლოდა მთელ ევროპაში გაბატონება და ხმელთაშუა ზღვიდან ნატოს განდევნა ყველა აქედან გამომდინარე შედეგით; დ) საფრანგეთის ატლანტიკური პორტების გამოყენება ტრანსატლანტიკური გადაზიდვების ჩაშლისა და ინგლისის იზოლირებისათვის.
- **დასავლეთ ევროპის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის უდიდესი ნაწილის მოშლა.**
- **პოლიტიკური ეფექტი, რომლის შედეგიც შეიძლებოდა დასავლეთ ევროპის კაპიტულაცია ყოფილიყო.**

§ 29
საბჭოთა ოპერატიული გეგმები თეატრზე

საბჭოთა ოპერატიული გეგმების ხასიათს განსაზღრავდნენ როგორც პოლიტიკური და გეოგრაფიული, ისე ეკონომიკური და წმინდა სამხედრო ფაქტორები. გერმანიის გაერთიანების შემდეგ დასავლეთელებს ხელში ჩაუვარდათ ყოფილი გდრ-ის არმიის დიდძალი სამხედრო დოკუმენტაცია, რომელის ანალიზმაც ცალსახად გახადა ნათელი სსრ კავშირის არა მხოლოდ ოპერატიულია, რამედ ტაქტიკური დაგეგმვის თავისებურებებიც. ამ მასალის ანალიზი ჟურნალმა „თაიმმა" გამოაქვეყნა 1994 წლის 4 იელისის ნომერში.

როგორც ხსენებული გეგმიდან ირკვევა, ვხო-ს ძალების დარტყმის მთავარი მიმართულება მოდიოდა არმიათა ჩრდილოეთი ჯგუფის წინაალმდეგ. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ რომ: 1) ეს ტერიტორია ბევრად უფრო ადვილი იყო მსხვილი ჯავშანსატანკო შენაერთების მოქმედებისათვის, ვიდრე არმიათა ცენტრალური ჯგუფის პასუხისგებლობის რეგიონი. 2) ამ მიმართულებით ატლანტიკის სანაპირო ბევრად უფრო ახლო იყო, ვიდრე თეატრის სამხრეთი სექტორიდან. 3) ამ მიმართულებით მდებარეობდა მთავარი პორტები, რომელთაც უნდა მიეღოთ აშშ-ის, ინგლისისა და კანადის გამაძლიერებელი ძალები. 4) ამ მიმართულებით შეტევის გარეშე ვხო ვერ შეუქმნიდა საფრთხეს ინგლისს. 5) ჩრდილოეთის მიმართულებით შეტევას გაადვილებდა ისიც, რომ ფრონტის ჩრდილოეთი ნაწილის უზრუნველყოფა ბალტიკის მიმართულებით უნდა მომხდარიყო. ბალტიკაზე კი სსრ კავშირს დიდი უპირატესობა ჰქონდა.

§ 30
თეატრის ორგანიზაციული სტრუქტურა

როგორც ითქვა, საბრძოლო მოქმედებათა თეატრი ან სტრატეგიული მიმართულება წარმოადგენდა მხარეების უმაღლეს სტრატეგიულ გაერთიანებას. უმაღლესი გაერთიანება ნატოს გაერთიანებულ სარდლობებში იყო არმიათა ჯგუფი, რომელიც 70-იან წლებამდე შედგებოდა არმიებისაგან (რომლებიც, თავის მხრივ, კორპუსებად იყოფოდა),

ხოლო 70-იანი წლებიდან – უშუალოდ კორპუსებისაგან. ვარშავის ხელშეკრულების უმაღლესი ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება იყო ფრონტი, რომელიც შედგებოდა რამოდენიმე არმიისაგან (თითოეულში დაახლოებით 4-5 დივიზია).

ცენტრალური ევროპის თეატრზე (ამ ტერმინს მოვიხმართ აგრეთვე საბჭოური „დასავლეთის სტრატეგიული მიმართულების" მნიშვნელობითაც) ნატოსაც და ვარშავის ხელშეკრულებასაც ორ-ორი ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება ჰყავდათ. ნატოს შემთხვევაში ეს იყო არმიათი ჩრდილოეთის და ცენტრალური ჯგუფები, ხოლო ვხო-ს შემთხვევაში – მე-3 და მე-4 ფრონტები.

ნატოს ძალების მეორე ეშელონს შეადგენდნენ საფრანგეთის, აგრეთვე ინგლისის, ესპანეთის, პორტუგალიისა და აშშ-ის პირველი ხაზის გამაძლიერებელი ძალები, ხოლო ვხო-ს მეორე ეშელონს – პოლონეთის არმიის ნაწილი და საბჭოთა ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა და იმიერკარპარეთის სამხედრო ოლქების ძალები. დაბოლოს, მესამე ეშელონს შეადგენდა აშშ-ის მეორე რიგის გამაძლიერებელი ძალები, ხოლო სსრ კავშირის მხრიდან სტრატეგიული რეზერვის განკარგულებაში მყოფი ძალები.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თეატრის კონფიგურაცია.



საბჭოთა შეტევის შესაძლო მიმართულებები ცენტრალურ ევროპული თეატრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე

§ 31
პირველი ეშელონი (ჩრდილოეთის მონაკვეთი)

ზემოთ აღწერილ მიზეზთა გამო ამ მიმართულებას გადამწყვეტი მნიშნელობა ჰქონდა საბრძოლო მოქმედებათა ბედისათვის არა მხოლოდ ევროპაში, არამედ — საერთოდაც. საბჭოთა ძალების ძირითადი დარტყმა სწორედ ამ მონაკვეთზე უნდა მოსულიყო. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტური იქნებოდა ეს დარტყმა.

პირველი ეშელონის ჩრდილოეთის მონაკვეთი ნატოს მხრიდან მოიცავდა გოტინგენ-ლიეჟის ზოლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას.

ვხო-ს მხრივ ამ მონაკვეთზე განლაგებული იყო საბჭოთა კავშირის სამი საერთოსაჯარისო არმია:

მე-2 სატანკო არმია — შტაბ-ბინა ფურსტენბერგ-ჰაფელში (როსტოკის სამხრეთით) და ბერლინიდან 60 კმ ჩრდილოეთით. მიუხედავად იმისა, რომ არმიას სატანკო ეწოდებოდა, მის შემადგენლობაში შედიოდა ორი სატანკო და ორი მოტომსროლელი დივიზია.[41]

მე-3 დამრტყმელი არმია — შტაბ-ბინა მაგდებურგში; საბჭოთა ტერმინოლოგიით „დამრტყმელი" ეწოდებოდა არმიას, რომელიც მთავარი დარტყმის მიმართულებით მოქმედებისათვის იყო გამიზნული. „ცივი ომის" გარკვეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, პროპაგანდისტული მოსაზრებით, ამ არმიას საერთოსაჯარისო დაარქვეს თუმცა მასში მეტი სატანკო დივიზია შედიოდა, ვიდრე მე-2 სატანკო არმიაში. სახელდობრ მის შემადგენლობაში შედიოდა ოთხი სატანკო დივიზია.[42]

20-ე დამრტყმელი არმია — შტაბ-ბინა ებერსვალდე-ფინოვში, 40 კმ-ში ბერლინის ჩრდილო-დასავლეთით. არმიის შემადგენლობაში შედიოდა სატანკო, მოტომსროლელი დივიზიები და ცალკე მოტომსროლელი ბრიგადა[43]. არმია ფაქტობრივად გამიზნული იყო მე-3 დამრტყმელი არმიის ზურგის გასაძლიერებლად. საინტერესოა, რომ მე-20 არმიას მეორე მსოფლიო ომის დროს „საბჭოთა კავშირის მტერი" გენერალი ვლასოვი სარდლობდა.

მე-3 ფრონტი უნდა გაეძლიერებინა გდრ-ის მე-5 არმიას (შტაბ-ბინა ნოიბრანდენბურგში) სატანკო და ორი მექანიზებული დივიზიის შემადგენლობით. ამავე მიმართულებით ივარაუდებოდა ერთი პოლო-

ნური არმიის მონაწილეობა, რომელშიც უნდა შესულიყო ორი სატანკო და სამი მექანიზებული დივიზია, 1200-მდე ტანკი, ამდენივე ქვეითთა საბრძოლო მანქანა (ქსმ) და 700-მდე ერთეული არტილერია, მექანიზებული დივიზია.

ნატოს მხრიდან ვარშავის ხელშეკრულების ამ მოწინავე დაჯგუფებას უპირისპირდებოდა არმიათა ჩრდილოეთი ჯგუფი. მისი შტაბ-ბინა იმყოფებოდა მიონხენგლადბახში. არმიათა ჯგუფს სარდლობდა ინგლისელი ოთხვარსკვლავიანი გენერალი. არმიათა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ შემდეგი კორპუსები:

1. **ბრიტანეთის რაინის არმია** (ფაქტობრივად წარმოადგენდა გაძლიერებულ კორპუსს, რომელიც „ცივი ომის" სხვადასხვა ეტაპებზე მოიცავდა სამ-ოთხ სატანკო და მექანიზებულ დივიზიას გაძლიერების ნაწილებითურთ); „ცივი ომის" დასასრულის ხანაში მასში შედიოდა სამი დივიზია[44], ცალკე მექანიზებული ბრიგადა და დასავლეთ ბერლინის ბრიგადა. სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ბრიტანეთის რაინის არმია სწრაფად გაძლიერდებოდა ბრიტანეთიდან გადასროლილი მე-2 მოტოქვეითი დივიზიითა და გაძლიერების სხვა ნაწილებით (არმიაში შემავალი ერთი ჯავშანსატანკო დივიზიის ერთი ბრიგადა და რიგი ბატალიონები ბრიტანეთში იყო დისლოცირებული), რის შემდეგაც მისი რიცხოვნება 60 ათასიდან 120 ათასამდე გაიზრდებოდა.

2. **ბუნდესვერის I კორპუსი**; ბრიტანეთის რაინის არმიაზე უფრო ეფექტიანი დაჯგუფება თუ იქნებოდა, ნაკლები არა. მასში შედიოდა: სამი სატანკო დივიზია და ერთი მოტოქვეითი დივიზია[45]. გერმანული კორპუსი განთავსებული იყო ბრიტანეთის რაინის არმიასა და ნიდერლანდურ არმიას (კორპუსს) შორის. ჩრდილოეთის არმიათა ამ ჯგუფის ოპერატიული საზღვარი ჰოლანდიელებან გადიოდა ვეზერ-ელბა არხის ჩრდილოეთით.

ამასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ რეგიონში განლაგებულ ჯარებს უნდა დაემატოს ე.წ. ჰაიმატშუცი ანუ სამშობლოს დაცვის ძალები, რომლებიც შედგებოდა სამი სახის შენაერთებისგან: ტერიტორიული დაცვის ბრიგადებისგან, ტერიტორიული დაცვის რეგიმენტებისა და კადრირებული ნაწილებისგან (ბრიგადის ექვივალენტური). სულ ჩრდილო სექტორში დისლოცირებული იყო ტერიტორიული დაცვის რეგიმენტი[46] — 6, კადრირებული ბრიგადა — 2. ყველა

ეს ნაწილი დისლოცირებული იყო გფრ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ფრონტიდან შედარებით დაშორებით. თავისი პოტენციალით ეს ნაწილები დაახლოებით უტოლდებოდა ორ გერმანულ საველე დივიზიას.

3. **ჰოლანდიის (ნიდერლანდების) არმია 80-იანი** წლების დასასრულისათვის მოიცავდა სამი დივიზიის ექვივალენტურ დანაყოფებს და მათ გამაძლიერებელ ძალებს[47]. ამ პერიოდისათვის ჰოლანდიის საველე ძალებში შედიოდა ერთი კორპუსი სამი სატანკო და ექვსი ქვეითი[48] ბრიგადის, აგრეთვე გამაძლიერებელი ძალების შემადგენლობით. მობილიზაციისას ამ ნაწილებს გამაძლიერებელ ძალებთან ერთად უნდა გამოეყვანათ სამი დივიზიის ექვივალენტური ძალები.

4. **ბელგიის არმია** შეიცავდა ერთ კორპუსს ორი დივიზიის შემადგენლობით[49]. მშვიდობიანობის დროს ბელგიის სახმელეთო ძალებში შედიოდა სატანკო და ხუთი მოტოქვეითი ბრიგადა, აგრეთვე რიგი საარტილერიო, საზენიტო, სადაზვერვო და სხვა ნაწილები. ამას გარდა, ბელგიის ტერიტორიის დაცვაში მონაწილეობა უნდა მიეღო შინაგან



ბალთა ზღვანსი ცენტრალურეკროპული თეატრის ჩრდილო მონაკვეთზე (პირველი ეშელონი)

ძალებს, რომლებიც ითვლიდნენ 30 ათას მებრძოლს[50]. ბელგიის ძალებისაგან მე-16 დივიზია თითქმის მთელი შემადგენლობით დისლოცირებული იყო გერმანიის ტერიტორიაზე.

5. **საფრანგეთის მე-3 კორპუსი** (რომელიც მშვიდობიანობის დროს საფრანგეთის ტერიტორიაზე იყო დისლოცირებული) — ჯავშანსატანკო და ერთი ქვეითი დივიზიის შემადგენლობით[51]. მე-3 ფრანგული კორპუსი უნდა ყოფილიყო არმიათა ჩრდილოეთის ჯგუფის ოპერატიული რეზერვი (მე-3 ამერიკულ კორპუსთან ერთად).

6. **ასევე არმიათა ჯგუფის ოპერატიულ რეზერვს წარმოადგენდა აშშ-ის მე-3 კორპუსი.** მშვიდობიანობის პერიოდში თეატრის ამ სექტორზე დისლოცირებული იყო მხოლოდ ერთი სატანკო ბრიგადა, მაგრამ ბელგიის, ჰოლანდიისა და საკუთრივ გფრ-ის შესაბამის ტერიტორიაზე პომკუსის (იხ. ქვემოთ) შემადგენლობაში დისლოცირებული იყო იარაღი და საჭურველი კიდევ 4 ამერიკული ჯავშანსატანკო და მექანიზებული დივიზიებისათვის (შესაბამისად ორ-ორი დივიზია) და ერთი ჯავშანსადაზვერვო რეგიმენტისათვის.

7. **კრიზისული ვითარებისას** არ გამოირიცხებოდა ჩრდილოეთის სარდლობის დაქვემდებარებაში ბუნდესვერის მე-3 კორპუსის გადაცემა, რომელიც ჩვეულებრივ ნატოს არმიათა ცენტრალური ჯგუფის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მე-3 კორპუსში შედიოდა ორი სატანკო დივიზია და მოტოქვეითი დივიზია.

§ 32
პირველი ეშელონი (ცენტრალური მონაკვეთი)

ცენტრალური ევროპის თეატრის პირველი ეშელონის მეორე ოპერატიულ-სტრატეგიული დაჯგუფება მოიცავდა ზოლს გოტინგენლიეჟის სამხრეთით ვიდრე ავსტრიის საზღვრამდე. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მხრივ ის წარმოდგენილი იყო მე-4 ფრონტით. მასში შედიოდნენ:

1. **მე-8 გვარდიული საბჭოთა არმია, შტაბ-ბინით ვაიმართან, ქალაქ ნორაში,** სატანკო და სამი მოტომსროლელი დივიზიის შემადგენლობით.[52]

2. **I საბჭოთა გვარდიული სატანკო არმია (შტაბ-ბინა დრეზ-**

დენთან) ორი სატანკო და ერთი მოტომსოლელი დივიზიების შემადგენლობით.[53]

3. **საბჭოთა ჯარების ცენტრალური ჯგუფი (ჩეხოსლოვაკიაში) ერთი არმიის შემადგენლობით** (შტაბ-ბინა Mlovice-სთან, Hradec - Kralove-დან ჩრდილო-დასავლეთით 30 კმ-ზე. დაჯგუფებაში შედიოდა ორი სატანკო და სამი მოტომსროლელი დივიზია[54].

4. **გდრ-ის მე-3 არმია — შტაბ-ბინა ლაიპციგში,** ერთი სატანკო და ორი მოტომსროლელი დივიზია[55].

5. **ჩეხოსლოვაკიის ორი არმია: I (შტაბ-ბინა პრიბრამში),** რომელშიც შედიოდა ჯავშანსატანკო და სამი მოტომსროლელი დივიზია და **მე-4 (შტაბ-ბინა პისეკში),** რომელშიც შედიოდა ორი სატანკო და ორი მოტომსროლელი დივიზია. საბრძოლო მოქმედებებში რამოდენიმე დღეში ჩართვისათვის მზად იყო მხოლოდ ერთი ჯავშანსატანკო და სამი მოტომსროლელი დივიზია. ამას გარდა არსებობდა ე. წ. C კატეგორიის რამოდენიმე დივიზია, რომელთა გაშლაზეც კვირეები წავიდოდა[56].



ცენტრალური ევროპის ცენტრალურ მონაკვეთზე ვსო-ს შეცვლის შესაძლო მიმართულებები

6. სულ ვარშავის ხელშეკრულების მე-4 ფრონტი აერთიანებდა შემდეგ შენაერთებს: სატანკო დივიზია – 9 (10) (ერთი „ნელად გაშლადი" ჩეხური დივიზიის ჩათვლით). მოტომსროლელი დივიზია – 14 (17 სამი „ნელად გაშლადი" ჩეხური დივიზიის ჩათვლით, რომელთა საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის დრო რამოდენიმე კვირა იყო), სულ – 23 (27) დივიზია ამ დაჯგუფების შესაძლო მოქმედების შესახებ იხილე რუკა 122 გვერდზე.

ნატოს ძირითად დაჯგუფებას პირველ ეშელონზე წარმოადგენდა არმიათა ცენტრალური ჯგუფი. არმიათა ცენტრალურ ჯგუფში შედიოდნენ:

1. მე-5 და მე-7 ამერიკული კორპუსები სულ ორი ჯავშანსატანკო, ორი მექანიზებული დივიზია და ცალკე დანაყოფები. მობილიზაციის დაწყებისას კორპუსებს სწარაფად გააძლიერებდნენ იმავე რაოდენობის დივიზიები[57].

2. 3-ე გერმანული კორპუსი, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ეს კორპუსი არმიათა ორი ჯგუფის მიჯნაზე იმყოფებოდა და, მართალია, მშვიდობიანობისას ცენტრალურ ჯგუფს ექვემდებარებოდა, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციებში გამორიცხული არ იყო მისი გადაქვემდებარება ჩრდილოეთის ჯგუფისათვის. კორპუსში შედიოდა 2 სატანკო დივიზია და მოტოქვეითი დივიზია[58].

3. პირველი ფრანგული არმია ორი კორპუსის შემადგენლობით. პირველ კორპუსში შედიოდნენ ორი ჯავშანსატანკო, ქვეითი და სასწავლო დივიზიები. მეორე კორპუსში შედიოდა გერმანიის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამი ჯავშანსატანკო დივიზია. ამრიგად, პირველ ფრანგულ არმიაში სულ შედიოდა 5 ჯავშანსატანკო და ერთი ქვეითი დივიზია, აგრეთვე ორი ცალკე მოტოქვეითი და ოთხი ცალკე ჯავშანსადაზვერვო რეგიმენტი და რიგი საკორპუსე თუ საარმიო ნაწილები. ამასთან მათი გაძლიერება სწრაფად შეეძლო ერთ ფრანგულ სარეზერვო ქვეით დივიზიას. სულ არმიის შემადგენლობაში იქნებოდა დაახლოებით რვა დივიზიის ექვივალენტური ძალები[59].

4. კანადური დივიზია, რომელიც ამ ერის ბილინგვურობიდან გამომდინარე, ალბათ, გაიშლებოდა ამერიკული და ფრანგული კორპუსების მიჯნაზე. მაღალპროფესიულ კანადურ შენაერთს უნდა უზრუნველეყო ამერიკული და ფრანგული დაჯგუფების შეპირაპირების ზონა.

კანადურ შენაერთში შეეიდოდა ერთი მექანიზებული და ორი მოტორიზებული ქვეითი ბრიგადული დაჯგუფება.

5. **ბუნდესვერის მე-2 კორპუსი,** რომლის შემადგენლობაში შედიოდა: სატანკო დივიზია, მოტოქვეითი დივიზია, საჰაერო-სადესანტო და სამთო დივიზია[10].

6. **ბუნდესვერის ჰაიმატშუცის ძალები.** ამ მიმართულებაზე დისლოცირებული იყო ტერიტორიული დაცვის ბრიგადა — 3, კადრირებული ბრიგადა — 3, ტერიტორიული დაცვის რეგიმენტი — 7, სულ 3 დივიზიის ექვივალენტური ნაწილები.

სულ არმიათა ცენტრალურ ჯგუფში შედიოდა: ჯავშანსატანკო დივიზია — 10. მექანიზებული და მოტოქვეითი დივიზია — 5; ქვეითი დივიზია — 1; საჰაერო-სადესანტო დივიზია — 1, სამთო-ქვეითი დივიზია — 1, ცალკე ბრიგადა და რეგიმენტი — 23. სულ დივიზიის ექვივალენტური შენაერთი — 23;

განსხვავებული სურათი იხატებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სსრ კავშირი გადაწყვეტდა


მე-7 ამერიკული არმია
2 სატანკო, 2 მექანიზებული დივიზია, მეგრიგადა,
3 ჯავშანსაკავალერიო რეგიმენტი,
3500 ტანკი, 2200 ჯავშანმანქანა,
2000 არტსისტემა
1 ფრანგული არმია, 5 ჯავშანსატანკო, ქვეითი და სასწავლო დივიზიები,
6 ცალკე რეგიმენტი,
700 ტანკი, 1400-მდე ჯავშანმანქანა, 280-მდე არტსისტემა
ბუნდესვერის მე-2 და მე-3 კორპუსები:
3 სატანკო, 2 მექანიზებული, სამთო, საპარაშუტო დივიზიები,
1600-მდე ტანკი,
3200-მდე ჯავშანმანქანა,
500-მდე არტსისტემა
მე-4 იტალიური კორპუსი,
5 ალპური ბრიგადა, 250-მდე არტსისტემა
შვეიცარიის
არმია: 3 ალპური,
3 მექანიზებული,
6 ქვეითი დივიზია,
17 სასაზღვრო ბრიგადა, 800-მდე ტანკი, 1500-მდე ჯავშანმანქანა, 1200-მდე არტსისტემა
მე-8 საბჭოთა
გვარდიული
არმია: სატანკო,
სამი მბ
დივიზია, 978
ტანკი, 1872
დაჯავშნული
მანქანა და 414
არტდანადგარი
1 გვარდიული
სატანკო არმია
2 სატანკო, მბ
დივიზია, 687 ტანკი
1133 ჯავშანმანქანა,
424 თოფ
ცენტრალური ჯგუფი
2 სატანკო, 3 მბ დივიზია,
1412 ტანკი,
2563 ჯავშანმანქანა,
1246 არტდანადგარი
სსრკ საჰაერეთის
ჯგუფი
2 სატანკო,
2 მბ დივ-ია.
1150 ტანკი,
1100 ჯავშანმანქანა,
630 არტსისტემა
გდრ-ს არმია
სატანკო, 2
მოტომსროლელი
დივიზია, 800
ტანკი, 1500-მდე
დაჯავშნული
მანქანა,
400-მდე ერთეული
არტილერია
უნგრეთის
არმია: 6 მბ
დივ-ია, 6
ბრიგადა,
1435 ტანკი,
2300-მდე
ჯავშანმანქა-
ნა, 1200-მდე
არტსისტემა
ავსტრიის არმია:
1 მბ დივ-ია,
8 ბრიგადა,
350 ტანკი, 500-მდე
ჯავშანმანქანა,
200-მდე
არტსისტემა
ჩსსრ-ს არმია: 3 სატანკო, 5
მ. დივ-იზია, 1500-მდე ტანკი,
2000-მდე ჯავშანმანქანა,
1000-მდე არტსისტემა
GERM
AUSTR
HUNGARY
SLVK
ITALY
BUDAPEST
Bonn
STUTTG
Lorient
Le Mans
Pannes
Bern
Milano
Genova
Torino
Brescia
Verona
Trento
Bologna
Firenze
Roma
Napoli
Bari
Taranto
Cagliari
Palermo
Catania
Tripoli
Tunis
Arad
Miskolc
Debrecen
Gyor
Terrasa
Tarragona
Valencia
Cartagena
Malaga
Cadiz
Sevilla
Cordoba
Toledo
Madrid
Zaragoza
Pamplona
Burgos
Valladolid
Salamanca
Lisboa
Porto
Coimbra
Evora
Faro
Beja
Elvas
Ponta Delgada
Funchal
Santa Cruz
Las Palmas
Ceuta
Melilla
Tetuan
Tanger
Rabat
Casablanca
Fez
Oujda
Agadir
Tiznit
Laayoune
Dakhla
Nouakchott
Dakar
Bamako
Niamey
Kano
Lagos
Abidjan
Accra
Kumasi
Bobo Dioulasso
Ouagadougou
Tamale
Freetown
Monrovia
Bissau
Banjul
Conakry
Bathurst
Kaolack
Tambacounda
Ziguinchor
Kaolin
Kaiserslautern
Saarbrücken
Trier
Koln
Aachen
Essen
Dortmund
Hannover
Bremen
Hamburg
Kiel
Lubeck
Rostock
Berlin
Potsdam
Leipzig
Dresden
Chemnitz
Erfurt
Kassel
Frankfurt
Mainz
Wiesbaden
Karlsruhe
Stuttgart
Ulm
Augsburg
Munchen
Regensburg
Nurnberg
Bayreuth
Wurzburg
Fulda
Hanau
Darmstadt
Mannheim
Heidelberg
Saarbrücken
Metz
Nancy
Strasbourg
Mulhouse
Besancon
Dijon
Lyon
Grenoble
Chambery
Nice
Marseille
Toulon
Montpellier
Perpignan
Toulouse
Bordeaux
Poitiers
Tours
Orleans
Rouen
Le Havre
Caen
Cherbourg
Brest
Rennes
Nantes
Angers
Limoges
Clermont
Saint Etienne
Valence
Avignon
Aix
Bastia
Ajaccio
Sassari
Cagliari
Palermo
Catania
Messina
Reggio
Taranto
Brindisi
Bari
Foggia
Pescara
Ancona
Rimini
Ravenna
Bologna
Modena
Parma
Piacenza
Milano
Torino
Genova
Pisa
Livorno
Siena
Perugia
Ancona
Rome
Naples
Salerno
Potenza
Cosenza
Catanzaro
Reggio
Messina
Catania
Palermo
Trapani
Cagliari
Sassari
Nuoro
Olbia
Tripoli
Benghazi
Tobruk
Alexandria
Cairo
Suez
Port Said
Ismailia
Khartoum
Omdurman
Kassala
Port Sudan
Asmara
Massawa
Addis Ababa
Dire Dawa
Harar
Jijiga
Mogadishu
Kismayu
Nairobi
Mombasa
Kampala
Entebbe
Kisumu
Dar es Salaam
Tanga
Zanzibar
Lusaka
Ndola
Kitwe
Lubumbashi
Kolwezi
Kinshasa
Brazzaville
Libreville
Port Gentil
Douala
Yaounde
Bangui
Bamenda
Kano
Maiduguri
Kaduna
Ibadan
Lagos
Abidjan
Accra
Kumasi
Tamale
Bobo Dioulasso
Ouagadougou
Niamey
Bamako
Dakar
Banjul
Bissau
Conakry
Freetown
Monrovia
Kaolin
Kaolack
Tambacounda
Ziguinchor
Bathurst
Nouakchott
Laayoune
Dakhla
Rabat
Casablanca
Fez
Oujda
Agadir
Tiznit
Tetuan
Tanger
Ceuta
Melilla
Cadiz
Sevilla
Cordoba
Toledo
Madrid
Zaragoza
Pamplona
Burgos
Valladolid
Salamanca
Lisboa
Porto
Coimbra
Evora
Faro
Beja
Elvas
Ponta Delgada
Funchal
Santa Cruz
Las Palmas
Terrasa
Tarragona
Valencia
Cartagena
Malaga
Cadiz
Sevilla
Cordoba
Toledo
Madrid
Zaragoza
Pamplona
Burgos
Valladolid
Salamanca
Lisboa
Porto
Coimbra
Evora
Faro
Beja
Elvas
Ponta Delgada
Funchal
Santa Cruz
Las Palmas
Ceuta
Melilla
Tetuan
Tanger
Rabat
Casablanca
Fez
Oujda
Agadir
Tiznit
Laayoune
Dakhla
Nouakchott
Dakar
Bamako
Niamey
Kano
Lagos
Abidjan
Accra
Kumasi
Tamale
Bobo Dioulasso
Ouagadougou
Tamale
Freetown
Monrovia
Bissau
Banjul
Conakry
Bathurst
Kaolack
Tambacounda
Ziguinchor
Kaolin

დასავლეთევროპული თეატრი დუნაი-ჩრდილო აპენინების მიმართულებით გაეფართოებინა. ამ შემთვევაში უნგრეთის არმია და მისი ტერიტორიაც (იქ დისლოცირებულ საბჭოთა ძალებთან ერთად) გადაეცემოდა არა სამხრეთ-დასავლეთის, არამედ დასავლეთის თეატრს. ამას პრაქტიკულად მექანიკურად მოჰყვებოდა საბრძოლო მოქმედებებში ავსტრიისა და შვეიცარიის ჩართვა. ალბათ ეს გადაწყვეტილება გლობალური სტრატეგიული ვითარებით იქნებოდა განსაზღვრული. ასეა თუ ისე, ამ შემთხვევაში თეატრის მონაკვეთის კონფიგურაცია მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა.

§ 33
მეორე ეშელონი

ტერმინით „მეორე ეშელონი" აღნიშნავთ დაპირისპირებულ მხარეთა იმ დაჯგუფებებს, რომლებიც არ იყვნენ სრულფასოვნად დისლოცირებულნი თეატრის ოპერატიულ-სტრატეგიულ სიღრმეში და ვერ ჩაერთვებოდნენ სამხედრო მოქმედებებში სულ მცირე პირველი ორი კვირის განმავლობაში. ამავე დროს ისინი უფრო მობილურები უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე მე-3 ეშელონის ძალები, რომელთა შევსებასა და გაშლას 2-2,5 თვე დასჭირდებოდა. ამ კრიტერიუმებით მეორე ეშელონი ფუნქციონალურად გულისხმობს ძალებს, რომელთაც პირველ ეშელონზე მოქმედებების გაურკვევლობისას საბოლოოდ უნდა განესაზღვრათ საბრძოლო მოქმედებათა ბედი (ვხო-ს მხრიდან ეს ნიშნავდა ევროპის დაპყრობას, ნატოს მხრიდან — ამგვარი დაპყრობის მცდელობის აღკვეთას). დროითი თვალსაზრისით ეს გულისხმობს ძალებს, რომლებიც (იდეალში) კონფლიქტში ჩაერთვებოდნენ საბრძოლო მოქმედებების დაწყების მე-3 კვირიდან სადღაც მე-5 კვირამდე, ხოლო სივრცითი თვალსაზრისით მოიცავდნენ: სსრ კავშირის ბალტიისპირეთის, ბელორუსიისა და იმიერკარპატეთის სამხედრო ოლქებს, ნატოს მხრიდან კი: აშშ-ის pomcus-ს (იხ. ქვემოთ), ესპანეთისა და პორტუგალიის იმ ძალებს, რომლებიც არ აღმოჩნდებოდნენ პირველ ეშელონში ან მის რეზერვში.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეორე ეშელონი კრიტიკული მნიშვნელობისა იყო თეატრის ჩრდილო მონაკვეთი სადაც საბჭოთა ძალებს შედარებით ად-

ვილად შეეძლოთ ოკეანესთან მიემწყვდიათ ნატოს ძირითადი დაჯგუფება და მისი ლიკვიდაციის შემდეგ შეეტიათ პარიზ-ესპანეთის მიმართულებით მაშინ, როდესაც ცენტრალურ მონაკვეთზე სამხელეთო მასის უფრო დიდი მოცულობისა და სიღრმის, აგრეთვე რიგი სამხედრო-გეოგრაფიული თავისებურებების (საშუალომთიანი მასივები, რომლებიც ტანკგამავლობის ნაკლები ხარისხით ხასიათდება, ვიდრე ცენტრალური ევროპის ჩრდილო ნაწილების დაბლობები) გამო აქ შეტევა უფრო ძნელი იყო. ამასთან საფრანგეთი ასწრებდა არმიის სრულ მობილიზებას. poincus-ის მოქმედების არეალი სწორედ ჩრდილოეთი იყო, ხოლო ესპანეთისა და პორტუგალიის საველე ძალები საჭიროებისდამიხედვით შეიძლებოდა გამოყენებულიყო როგორც ჩრდილო, ისე ცენტრალურ მონაკვეთზე. ასევე საბჭოთა კავშირის მხრიდან ბალტიისპირეთისა და ბელარუსის ოლქები აშკარად გამიზნულნი იყვნენ ჩრდილო მონაკვეთის გასაძლიერებლად, ხოლო იმიერკარპატეთს შეეძლო გაეძლიერებინა როგორც ჩრდილო, ისე ცენტრალური მიმართულება. ყოველ შემთხვევაში, მეორე ეშელონს ჩრდილო მონაკვეთისათვის უფრო კრიტიკული მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე სამხრეთისათვის.

მეორე ეშელონის მთავარ ძალას ვხო-ს მხრიდან სამი საბჭოთა დასავლური ოლქი წარმოადგენდა, რომელთაგან ომიანობისას სამი ფრონტი გაიშლებოდა. ამათგან მინიმუმ ორი — ბალტიისპირეთისა და ბელარუსიისა — გააძლიერებდა დასავლეთის თეატრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მოქმედ დაჯგუფებას, ხოლო იმიერკაპატეთის ოლქი — ცენტრალურ მონაკვეთზე მდებარე დაჯგუფებას. თუმცა ხელსაყრელი მდგომარეობიდან გამომდინარე, იმიერკარპატეთის ოლქს შეეძლო გაეძლიერებინა როგორც დასავლეთის თეატრის ცენტრალური მონაკვეთი, ასე სამხრეთ-დასავლეთის თეატრის მიმართულებით მოქმედი ძალებიც კი.

ბალტიისპირეთის ოლქი მოიცავდა ბალტიის სამი რესპუბლიკისა და ყოფილი კონიგსბერგის ტერიტორიას. ამ ტერიტორიაზე 1988 წლისათვის დისლოცირებული იყო ორი არმია[61]. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქი არ შეიძლება ჩაითვალოს დასავლეთის სტრატეგიული მიმართულების ნაწილად და რომ მას ერთგვარი შუალედური რგოლის პოზიცია ეჭირა დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის (სკანდინავიის წინააღმდეგ სამოქმედოდ გამიზნულ) მიმართულებას

(რომელიც ლენინგრადის სამხედრო ოლქს მოიცავდა) შორის. მაგრამ ის, რომ მასში შედიოდა კალინინგრადი, რომელსაც შეხება სწორედ დასავლეთის მიმართულებასთან ჰქონდა, აგრეთვე ამ მიმართულებით მოქმედი იყო ბალტიის ორგზის წითელდროშოვანი ფლოტის როლი, არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ის პრიორიტეტულად დასავლეთის მიმართულების ელემენტად უნდა განვიხილოთ. სხვა საქმეა, რომ უნგრეთში საბჭოთა დაჯგუფების მსგავსად საჭირო სიტუაციისას მას შეიძლებოდა სხვა ფუნქციური დატვირთვა მიეღო.

ბელარუსიის ოლქი ერთ-ერთი უძლიერესი იყო საბჭოთა დასავლეთ სამხედრო ოლქებს შორის. მის შემადგენლობაში შედიოდა ორი სატანკო არმია, აგრეთვე ერთი საერთოსაჯარისო არმია და ოლქის დაქვემდებარებაში უშუალოდ შემავალი ერთი მოტომსროლელი (მმ) დივიზია ამ არმიებში მთლიანობაში შედიოდა 8 სატანკო და 2 მოტომსროლელი დივიზია. ამგვარ ორგანიზაციას ადგილი ჰქონდა 1987 წლისათვის, თუმცა მოგვიანებით შენაერთების ოდენობა შემცირდა და სსრ კავშირის დაშლისათვის ამ ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო მხოლოდ 6 სატანკო (მათგან ერთი საწვრთნელი) და 3 მმ დივიზია, პლუს ერთი საპარაშუტო დივიზია, რომელიც ფორმალურად შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებოდა, აგრეთვე თითო სპეცნაზის და საჰაერო-სადესანტო ბრიგადები, პლუს ცალკე მმ ბრიგადა[62].

საბჭოთა მეორე ეშელონის მესამე დამრტყმელ ძალას იმიერკარპატეთის ოლქი წარმოადგენდა, რომელიც ომიანობისას აგრეთვე ფრონტად უნდა გაშლილიყო. ოღონდ განსხვავებით ორი დანარჩენი დაჯგუფისგან მას უნდა ემოქმედა ცენტრალური ქვეთეატრის (ოპერაციების თეატრის) მიმართულებით. უფრო ზუსტად, გაეძლიერებინა მე-4 ფრონტი. საჭიროების შემთხვევაში მას უნდა შეეტია ავსტრია-შვეიცარია-დუნაი-ბავარიის მიმართულებითაც. ოლქის შემადგენლობაში შედიოდა გვარდიული სატანკო არმია და ორი საერთოსაჯარისო არმია. სულ ორი სატანკო და 6 მოტომსროლელი (მმ) დივიზია (მანამდე ოლქში შედიოდა კიდევ ორი მოტომსროლელი დივიზია, მაგრამ 80-იანი წლების შუაგულისათვის ისინი საბრძოლო ტექნიკის შესანახ ბაზებად გადაკეთდნენ)[63]. საბჭოთა სისტემის აგონიამ ამ გაერთიანებაზეც მოახდინა გავლენა. თუმცაღა იმის გათვალისწინებით, რომ ამ ოლქის ტერიტორიაზე განლაგდა უნგრეთიდან და ჩსსრ-დან, აგრეთვე გდრ-დან გამოყვანილი ძალები, შეიძლება ითქვას, რომ სსრ

კავშირის დაშლის პერიოდისათვის ამ დაჯგუფებამ ყველაზე უკეთ შეინახა თავი. ბოროტების იმპერიის განსვენების პერიოდისათვის ამ ოლქის ძალები ითვლიდნენ 3 არმიას, 2 სატანკო (ერთ საწვრთნელის ჩათვლით), 8 მმ-ელ და ორ ადგილობრივი დისლოკაციის დივიზიას (ანუ ფაქტიურად სადივიზიო ტექნიკის შესანახ პუნქტებს), საფრონტო დაქვემდებარების შენაერთების ჩაუთვლელად.

ამრიგად, სულ საბჭოთა მე-2 ეშელონი (ბალტიისპირეთის, ბელარუსის და იმიერკარპატეთის) ევროპიდან საბჭოთა ჯარების მასირებულ გამოყვანამდე ითვლიდა: სატანკო დივიზია — 10, მმ დივიზია — 18, საჰაერო-სადესანტრო დივიზია — 2.

რაც შეეხება ნატოს ძალების მეორე ეშელონს, მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ამერიკელთა პომკუსის კორპუსი, ბრიტანეთის გამაძლიერებელი ძალები, საფრანგეთის პირველი კორპუსი, ესპანეთისა და პორტუგალიის სახმელეთო ჯარები, კანადისა და აშშ-ის ის რეგულარული და სარეზერვო კომპონენტები, რომელთაც მობილიზებულ და ზღვით გადასროლილები ინებოდნენ კონფლიქტის პირველი ექვსი კვირის განმავლობაში.

ამერიკელთა pomcus-ი მოიცავდა ერთ კორპუსს, ორი ჯავშანსატანკო, 3 მექანიზებული, ქვეითი დივიზიებისა და ჯავშანსადაზვერვო რეგიმენტს (პომკუსის დივიზიების ნაწილს არმიათა ჩრდილოეთ ჯგუფის შემადგენლობაში უნდა ემოქმედა. იხ. ზემოთ)[64]. ამასთან pomcus-ის გაშლის პარალელურად ევროპაში უნდა გადმოსროლიყო აშშ-ის რეგულარული არმიისა და ნაციონალური გვარდიის რიგი დივიზიები და სხვა დანაყოფები. პომკუსის დაკომპლექტებისა და გადასროლების შემდეგ ცენტრალური ევროპის თეატრზე დამატებით უნდა გაშლილიყო ამერიკელთა შემდეგი დაჯგუფება: სატანკო დივიზია — 2, მექანიზებული დივიზია — 3, ქვეითი დივიზია — 5, მს. ქვეითი დივიზია — 1, ცალკე სატანკო ბრიგადა — 5, ცალკე მექანიზებული ბრიგადა — 9, ქვეითი ბრიგადა — 1, ცალკე მექანიზებული და ქვეითი ბატალიონი — 5; ცალკე სატანკო ბატალიონი — 6. სულ 16 დივიზიის ტოლფასი დაჯგუფება, რაც ნატოს სტანდარტებით ორი-სამი არმიის დასაკომპლექტებელ ძალებს წარმოადგენდა.

დიდი ბრიტანეთის გამაძლიერებელი ძალები მოიცავდნენ ერთ მოტოქვეით დივიზიასა და რამოდენიმე მოტოქვეით ბრიგადას (მოთხოვნილებისდამიხედვით)[65]. თეატრის ჩრდილოეთის მონაკვეთის გასა-

ძლიერებლად ისინი მეორე ეშელონის დაჯგუფებიდან ერთ-ერთი პირველნი ჩაერთვებოდნენ.

ფრანგული პირველი კორპუსიც მე-2 ეშელონში იმყოფებოდა. მის შემადგენლობაში შედიოდა 2 სატანკო და ორი ქვეითი დივიზია (მათ შორის ერთი სასწავლო)[66].

ესპანეთის სახმელეთო ძალები, რომელთაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ცენტრალური ევროპის თეატრზე საბრძოლო მოქმედებებში, ნატოს სტანდარტებით წარმოდგენილი იყო არმიის ექვივალენტური შენაერთებით, სახელდობრ: სატანკო დივიზია – 1, მექანიზებული დივიზია – 1, მოტოქვეითი დივიზია – 1, სამთოქვეითი დივიზია – 2, ჯავშანსაკავალერიო ბრიგადა – 2[67].

პორტუგალელთა ძალები, ცხადია, ბევრად ჩამორჩებოდნენ ესპანეთისას. პორტუგალიის სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში შედიოდა შერეული ბრიგადა, ორი ქვეითი ბრიგადა, სპეცდანიშნულების ბრიგადა და 12 ქვეითი რეგიმენტი (თითოეულში სამი ქვეითი და სატანკო ბატალიონი). სულ 3-4 დივიზიის ექვივალენტური ძალები. ერთი პორტუგალური ბრიგადა გამიზნული იყო ჩრდილო იტალიაში სამოქმედოდ.[68]



ცენტრალურევროპული თეატრის მე-2 ეშელონი

კანადელთა რეზერვები ძირითადად მცირე დანაყოფებით იყვნენ წარმოდგენილი. მათ შემადგენლობაში იყო 18 ჯავშანსატანკო, ამ-დენივე საარტილერიო ბატალიონი, 11 საინჟინრო ბატალიონი, 52 ქვეითი ბატალიონი, 20 უზრუნველყოფის ბატალიონი და 11 სამედი-ცინო ასეული. ამ ძალებიდან შეიძლებოდა გაშლილიყო 11 ბრიგადა (თითოეულში ჯავშანსატანკო, 4 ქვეითი, არტილერიის, საინჟინრო, უზრუნველყოფის ბატალიონები და სამედიცინო ასეული), აგრეთვე 8 ცალკე ქვეითი, 7 ჯავშანსატანკო, 7 არტილერიისა და 9 უზრუნველ-ყოფის ბატალიონები. ევროპაში სწრაფად გაშლისათვის გამიზნული კანადურ დივიზიაში შევიდოდა ერთი მექანიზებული და ორი მოტორ-იზებული ქვეითი ბრიგადული დაჯგუფება თავის საარტილერიო, საინ-ჟინრო და სხვა დანაყოფებით.

§ 34
პირველი ეშელონის ოპერატიულ-სტრატეგიული რეზერვები

პირველი და მეორე ეშელონის ძალებს შორის შეიძლებოდა გამოგვეყო ერთგვარი შუალედური დაჯგუფება, რომელიც განიხ-ილებოდა, როგორც მხარეების ოპერატიულ-სტრატეგიული რეზერვი. ამ რეზერვს საბრძოლო მოქმედებებში ბევრად უფრო ადვილად შეეძლო ჩაბმა, ვიდრე მეორე ეშელონის ძალებს, თუმცა უშუა-ლოდ ფრონტის ზოლში არც ისინი იყვნენ დისლოცირებულნი. ამ რეზერვის ძირითად მასას საპარაშუტო და სხვა სახის სწრაფი რეაგირების ძალები შეადგენდნენ. (ამ დანაყოფების ორგანიზაცი-ულ-საშტატო სტრუქტურის გაცნობა მკითხველს შეუძლია სა-თანადო დანართში):

საფრანგეთის სწრაფი ჩარევის ძალები 5 დივიზიის შემად-გენლობით (მე-11 საპარაშუტო, მე-4 აერომობილური, მე-9 საზღვაო ქვეითი (პრაქტიკულად მსუბუქი ჯავშანსატანკო), მე-6 მსუბუქი ჯავ-შანსატანკო, 27-ე ალპური); საფრანგეთის უცხოეთის ლეგიონი (ჯავ-შანსატანკო, საპარაშუტო და ექვსი ქვეითი რეგიმენტი, სულ 8500 მებრძოლი).

ესპანეთის უცხოეთის ლეგიონი (სამი რეგიმენტი, სულ ორი

მექანიზებული, ოთხი მოტორიზებული, მსუბუქი ქვეითი ბატალიონები და ტანკსაწინააღმდეგო ასეული, სულ 7000 მებრძოლი).

ინგლისური საპარაშუტო ბრიგადა (კიდევ ერთი აერომობილური ბრიგადა ჩართული იყო მე-2 მექანიზებულ დივიზიაში);

ესპანეთის ერთი საპარაშუტო და ერთი აერომობილური ბრიგადა, **პორტუგალური** საპარაშუტო რეგიმენტი, აგრეთვე **ბრიტანული** SAS-ის (special air service), სპეციალური საჰაერო სამსახური) 3 რეგიმენტი (ცნობილია ფილმით „ვინც რისკავს, ის იმარჯვებს").

სულ ეს ძალები ითვლიდა 8-ზე მეტი დივიზიის ეკვივალენტს. ამასთან აშშ-ის სწრაფი რეაგირების ძალები ამ სახელმწიფოს გლობალურ სტრატეგიულ რეზერვს წარმოადგენდა და ერთნაირად შეიძლებოდა გამოყენებულიყო ევროპის ნებისმიერ თეატრზე, ახლო თუ შორეულ აღმოსავლეთში.

ვხო-ს მხრიდან საჰაერო-სადესანტო ძალების ოდენობა უფრო მოკრძალებული იყო. სსრ კავშირს ევროპის მიმართულებით ჰყავდა 4 საჰაერო-სადესანტო დივიზია, აგრეთვე სამი ცალკე საჰაერო-სადესანტო და ორი გრუ-ს სპეცნაზის ბრიგადა. საბჭოთა სატელიტებს კიდევ უფრო მოკრძალებული საჰაერო-სადესანტო ძალები გააჩდათ: გდრ-სა და პოლონეთს თითო ბრიგადა, ხოლო ჩსსრ-ს — ცალკე პოლკი. სულ ვხო-ს შემადგენლობაში ცენტრალურ თეატრზე გამოსაყენებლად გამიზნული იყო 6-7 დივიზიის ექვივალენტური ძალები.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ მხარეთა ტერიტორიულ ძალებსაც. ამ ტერმინის ქვეშ აღვნიშნავ კადრირებულ (შემცირებული შტატის) მქონე ერთეულებს, რომლებიც სამხედრო დროის შტატებამდე მობილიზაციის შედეგად გაიშლებოდნენ. ეს დანაყოფები ცალკეული გამონაკლისების გარდა თავიანთი ტერიტორიის დაცვისათვის იყვნენ განკუთვნილი და არა ფრონტის ხაზზე მიმდინარე აქტიური მოქმედებისათვის.

ასეთ ძალებად ვხო-ს მხრიდან შეიძლებოდა ჩათვლილიყვნენ გდრ-ის, პოლონეთისა და ჩსსრ-ის B კატეგორიების დივიზიები, რომლებსაც შეეძლებოდათ საომარ შტატებზე გადასულიყვნენ ერთი-ორი კვირის განმავლობაში და ფრონტის ხაზთან სიახლოვის გამო სწრაფად ჩაბმულიყვნენ საბრძოლო მოქმედებებში. თუმცა მათი საბრძოლო მზადყოფნისა და მომზადების დონე ძალიან საეჭვო იყო. დაახლოებით მათი მომზადების დონის უნდა ყოფილიყვნენ ესპანეთის ტერი-

ტორიული დაცვის ძალები და სამოქალაქო (ეროვნული) გვარდია. რაც შეეხება საფრანგეთისა და განსაკუთრებით ინგლისის ტერიტორიულ ძალებს, მათ მაღალი საბრძოლო მზადყოფნა ახასიათებდათ. ინგლისელი რეზერვისტები ამ მხრივ ვხო-ს რეგულარურ ძალებს არ დაუდებდნენ ტოლს.

ტერიტორიულ ძალებში ასეთი ბალანსი არსებობდა: **საფრანგეთს** ჰყავდა ერთი სარეზერვო დივიზია (გერმანიაში მოქმედებისათვის გამიზნულ ორ სარეზერვო დივიზიის გარდა), რომელიც ძირითადად ბირთვული ობიექტების დასაცავად იყო გამიზნული, 7 ტერიტორიული დაცვის ბრიგადა (თითოეულში 2 ქვეითი და ჯავშანსადაზვერვო რეგიმენტი), 22 ტერიტორიული დაცვის ცალკე რეგიმენტი, სულ 6 დივიზიის ექვივალენტური დანაყოფები. ამას უნდა დაემატოს მობილური სამხედრო ჟანდარმერია, რომლის შეიარაღებაზეც იმყოფებოდა ჯავშანტექნიკა და რომელიც ორი დივიზიის ექვივალენტური იყო. სულ საფრანგეთის ტერიტორიული ძალები ითვლიდა დაახლოებით 8 დივიზიის ექვივალენტს.

ინგლისის ტერიტორიული ძალები ითვლიდა 2 ჯავშანსადაზვერვო რეგიმენტს, 41 ქვეით ბატალიონს, 3 არტრეგიმენტს, 8 საინჟინრო რეგიმენტს, 4 საჰაერო დაცვის რეგიმენტს და საარმიო ავიაციის ესკადრილიას. მათგან ცენტრალური ევროპის თეატრზე სამოქმედოდ შეიძლებოდა გამოყოფილიყო დაახლოებით 9 ბრიგადა, ანუ 3 დივიზიის ექვივალენტური შენაერთები.

ესპანეთის ტერიტორიული დაცვის ძალები და ეროვნული გვარდია მხოლოდ ეროვნული ტერიტორიის დასაცავად თუ გამოდგებოდა. მათ შემადგენლობაში შედიოდა 9 კადრირებული ქვეითი ბრიგადა და ეროვნული გვარდიის ოცი ტერცია (რეგიმენტი) სულ 5-6 დივიზიის ექვივალენტური შენაერთები (ბელგიის ტერიტორიულ ძალებს უკვე შევეხეთ). ამრიგად, ნატოს ცენტრალური ევროპის ქვეყნების ტერიტორიულ ძალებში შედიოდა 17-18 დივიზიის ექვივალენტური შენაერთი (ესპანეთის ტერიტორიული ძალების ჩაუთვლელად).

რაც შეეხება ვხო-ს B კატეგორიის ძალებს, მათ შემადგენლობაში შედიოდა 7 პოლონური მექანიზებული, 4 გდრ-ის სარეზერვო ქვეითი და 2 ჩსსრ-ის მმ დივიზია, სულ 13 დივიზიის ექვივალენტური შენაერთი, რომლებიც გდრ-ის დივიზიებს გარდა პრაქტიკულად უვარგისნი იყვნენ შეტევითი მოქმედებების განსახორციელებლად.

§ 35
ცენტრალური ევროპის თეატრზე ნატოს გაძლიერების გეგმები „ცივი ომის“ დასასრულისათვის

„ცივი ომის“ დასასრულისათვის, როდესაც ცხადი გახდა, რომ გამარჯვება ნატოსკენ იხრებოდა და ევროპაში ნატოს დაჯგუფების გაძლიერებისაკენ მიმართული რეიგანის ადმინისტრაციის დაუღალავი მცდელობებიდან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკურმა კავშირმა განახორციელა რიგი ღონისძიებები ცენტრალურ ევროპის თეატრზე პოზიციების გასაძლიერებლად. დაგეგმილი იყო რიგი სხვა ღონისძიებებიც. მათგან გამოვყოფდით შემდეგს:

1. **ევრორაკეტების ანუ პერშინგ-2-ისა და „ტომეჰოკის“ სახმელეთო ვარიანტების განლაგება გფრ-ში, ბენელუქსში და ინგლისში,** რამაც გორბაჩოვი აიძულა წასულიყო საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის მოლაპარაკებებზე (ეს თემა სცილდება ჩვენს გამოკვლევას და ამიტომ მას დაწვრილებით არ შევეხებით).

2. **pomcus-ის შექმნა.** ეს იყო იმგვარი 2 სატანკო, 3 მექანიზებული და 1 მსუბუქი ქვეითი დივიზია, აგრეთვე რიგი ცალკე ბრიგადები და რეგიმენტები, რომელთა პირადი შემადგენლობა განთავსებული იყო აშშ-ის კონტინენტურ ნაწილში, ხოლო საშტატო იარაღი ორმაგი ბაზირებისა იყო და განლაგებული როგორც აშშ-ში, ისე გფრ-ში და ბენილუქსში. ამრიგად, ამ დივიზიების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანისათვის საკმარისი იყო მხოლოდ პირადი შემადგენლობის გადასროლა ევროპაში. აშშ-ში დარჩენილი ტექნიკა შეიძლებოდა გადაცემოდა მეორე ეშელონის შენაერთებს. პომკუსის საშუალებით შესაძლო გახდა ევროპაში ამერიკული დაჯგუფების გაორმაგება რაღაც ათ დღეში.

3. **გფრ-ის დივიზიების ოდენობის გაზრდა:** შლეზვიგ-ჰოლშტაინში დამატებით უნდა შექმნილიყო მე-16 მქ დივიზია, პირველ კორპუსში — 13 მქ დივიზია, მე-3 კორპუსში — მე-15 მქ, ხოლო მე-2 კორპუსში — მე-14 მქ-თი დივიზია. ამ რეფორმის შედეგად ბუნდესვერის რეგულარულ ნაწილებში იქნებოდა 16 დივიზია ნაცვლად 12-სა. მაგრამ „ცივი ომის“ დასრულების გამო ეს გეგმა აღარ იქნა რეალიზებული. მეტიც, გერმანიის გაერთიანების შემდეგ ბუნდესვერის მნიშვნელოვანი შემცირება დაიწყო.

§ 36
ცენტრალური ევროპის თეატრზე სახმელეთო ძალების შემაჯამებელი ბალანსის დასკვნა

წარმოდგენილი ანალიზისა და გათვლების საფუძველზე შეიძლება შედგეს ძალთა ბალანსის მთლიანი ცხრილი დასავლეთევროპის თეატრის ჩრდილო და ცენტრალური მონაკვეთებისათვის, აგრეთვე მთლიანად თეატრისათვის. ეს ცხრილი წარმოდგენილია დანართში „ცხრილები". მისი ანალიზით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ცენტრალური ევროპის არც ერთ მონაკვეთზე საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა ისეთი სრული უპირატესობა, რომ გარანტირებული გამარჯვებისათვის მიეღწია. აქ ძალიან ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული ოპერატიულ დაგეგმვაზე, სახელდობრ გადამწყვეტი დარტყმების მიმართულებით ძალთა ისეთ კონცენტრაციაზე, რომელიც ვხო-ს საშუალებას მისცემდა მინიმალური აუცილებელი უპირატესობისათვის (სამი ერთთან) მიეღწია, აგრეთვე დარტყმის მოულოდნელობაზე, ჰაერში გაბატონებაზე (იხ. ქვემოთ), მეორე ეშელონების ფრონტის ხაზზე დროულ გადასროლაზე, ბირთვული იარაღის გამოყენებაზე და რიგ სხვა ფაქტორებზე. ყველა ვითარებაში მთლიანად ცენტრალურ ევროპაზეც და მის ცალ-ცალკე აღებულ მონაკვეთებზეც შეტევა რისკიანი ოპერაცია იქნებოდა. და რაც უფრო სუსტდებოდა სსრ კავშირის სამხედრო, ეკონომიკური და ტექნიკური პოტენციალი, ეს ოპერაცია მით უფრო ავანტურისტულ ხასიათს იღებდა.

§ 37
სამხედრო-საჰაერო ძალების ბალანსი ცენტრალური ევროპის თეატრზე

ცენტრალური ევროპის თეატრზე საავიაციო ბალანსის გამოკვლევისას, ერთი შეხედვით, უპრიანია იგივე მეთოდის გამოყენება, რომელსაც სახმელეთო ბალანსის შემთხვევაში ვიყენებდით, სახელდობრ: მხარეთა ოპერატიულ-სტრატეგიული თუ სტრატეგიული დაჯგუფებების ორგანიზაციის და შემადგენლობის აღწერა. მაგრამ ასეთი მიდგომა შესაძლებელია გაუმართლებელი იყოს ისეთი სახეობის მობილურობის გამო, როგორიცაა ავიაცია. თვით სამხრეთ ევროპის თეატრის

შემთხვევაშიც კი, რომელიც განსხვავებით ცენტრალური ევროპისაგან, უწყვეტი არ იყო და რომელსაც მოქმედებების ბევრად მეტი სიღრმე ახასიათებდა, ცენტრალური თეატრის ყველა შემადგენელ სეგმენტსა თუ ეშელონზე შეიძლებოდა მომხდარიყო საავიაციო მანევრი ავიაციის უდიდესი მასების მონაწილეობით. ამიტომ ცენტრალური ევროპის თეატრზე საავიაციო ბალანსის აღწერისას ჩვენ თეატრს ერთ მთელად განვიხილავთ და გავითვალისწინებთ ყველა სტრატეგიულ, ოპერატიულ თუ ტაქტიკურ დაჯგუფებას (ცხადია, სტრატეგიული ავიაციის და აშშ-ისა და სსრ კავშირის ტერიტორიებზე დისლოცირებული მეორე ეშელონის საავიაციო კომპონენტების გარდა). ამასთან დაინტერესებულ მკითხველს ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო ავიაციის ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემები შეუძლია შეიტყოს სათანადო დანართში.

ნატოს მხრივ თეატრზე დისლოცირებული ძალები დაჯგუფებული იყო ორ გაერთიანებულ ტაქტიკურ სარდლობაში, აშშ-ის პირველი რიგის გამაძლიერებელ ძალებში, აგრეთვე საფრანგეთისა და ესპანეთის სსძ-ში და RAF (royal air force-ს, ბრიტანეთის სამეფო სამხედროსაჰაერო ძალები)-ის იმ დანაყოფებში, რომლებიც ნატოს გაერთიანებულ საავიაციო სარდლობისთვის არ იყო გადაცემული.

ორგანიზაციულ-სტრუქტურული თვალსაზრისით ცენტრალური ევროპის თეატრზე ნატოს სსძ-ი შედგებოდა:

1. **აშშ-ის მე-17 საჰაერო არმია** (დისლოცირებული იყო გფრ-ში) შედგებოდა ორი საჰაერო დივიზიისაგან და შესაბამისად ოთხი ფრთისაგან (wing – არის რეგიმენტის ან პოლკის ანალოგიური დანაყოფი). მის შეიარაღებაზე იმყოფებოდა 11 ესკადრილია[69]. სულ ტაქტიკური ავიაციის 300 თვითმფრინავამდე.

2. **ამერიკული მე-3 საჰაერო არმია** (ბაზირების ძირითადი პუნქტები ბრიტანეთში), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ხუთი ავიაფრთა და თხუთმეტი ესკადრილია. სულ ტაქტიკური ავიაციის 300 თვითმფრინავამდე.

აშშ-ის პირველი რიგის გამაძლიერებელი (აშშ-დან გადასასროლი) ავიაციის შემადგენლობაზე იმყოფებოდა 600-მდე თვითმფრინავი.

3. **გფრ-ის ავიაცია**, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საჰაერო მხარდაჭერის ორი დივიზია და ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ორი დივიზია[70]. სულ 620-მდე გამანადგურებელსა და შემტევამდე.

4. **დიდი ბრიტანეთის ავიაცია** შედგებოდა მეტროპოლის საავიაციო სარდლობისა და გერმანიაში ბრიტანეთის ავიაციის სარდლობისაგან. ამ უკანასკნელში შედიოდა 4 ავიაფრთა, სულ 180-დე თვითმფრინავი[71].

ანგარიშგასაწევი ძალა იყო საფრანგეთის ავიაცია.[72] საფრანგეთის ტაქტიკური და ჰაერსაწინააღმ სარდლობების შეიარაღებაზე იმყოფებოდნენ საშუალო რადიუსის ბომბდამშენები, ტაქტიკური გამანადგურებლები (მათ შორის იმ დროისათვის უახლესი IV თაობის მირაჟ-2000-ები). **ესპანეთის სამხედრო-საჰაერო ძალები** თავისი პოტენციალით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდნენ ინგლისის, გფრ-ისა და საფრანგეთისას. მის შემადგენლობაში შედიოდა 240-მდე საბრძოლო თვითმფრინავი[73] **პორტუგალიის სამხედრო-საჰაერო ძალები** თეატრზე ყველაზე უფრო სუსტი იყო და შედგებოდა მსუბუქი და საშუალო შემტეეებისგან. სულ — 77 საბრძოლო თვითმფრინავი.

და ბოლოს, ცენტრალური ევროპის თეატრზე ნატოს ძალებს უნდა დავამატოთ ნიდერლანდების, ბელგიისა და კანადის ევროპაში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალები, რომლებიც აღჭურვილი იყო იმ დროისათვის უახლესი F-16-ებითა და F-18-ით[74].

ამრიგად, მშვიდობიანობის დროს ნატოს ავიაძალები ცენტრალური ევროპის თეატრზე ითვლიდა 3700-მდე საბრძოლო თვითმფრინავს, მათგან იმდროინდელი თვალსაზრისით უახლესი მე-4 თაობის ჰაერში ბატონობის და საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელს (პირველთა მიზანი ძირითადად არის საჰაერო სამიზნეების განადგურება, მეორეთა სამიზნეების ნახევარს საჰაერო სამიზნეები წარმოადგენდნენ, ნახევარს — სახმელეთო) განეკუთვნებოდა 835 გამანადგურებელი. ფუნქციონალური თვალსაზრისით ნატოს ავიაციას თეატრზე ასეთი სტრუქტურა ჰქონდა: **დამრტყმელი** (ბრძოლის ველის იზოლაციის ანუ ის საფრენი აპარატები, რომლის ამოცანა იყო ღრმა ზურგში დარტყმით აღეკვეთა საბჭოთა რეზერვებისა, ანუ მეორე ეშელონის ჩართვა მოწინავე პოზიციებზე მიმდინარე ბრძოლებში) გამანადგურებელი (საბჭოთა ტერმინოლოგიით საფრონტე ბომბდამშენი) — 580-მდე (აქედან 426 „ტორნადო" მე-4 თაობის, ანუ მაშინ უახლეს თვითმფრინავებს განეკუთნებოდა); **ჰაერში ბატონობის გამანადგურებელი** — 84; **საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი** — 751; **ტაქტიკური გამანადგურებელი** — 707; **გამანადგურებელ-ბომბდამშენი** — 520; **მსუბუქი და საშუალო ბომბდამშენი** — 80; **შემტეეი** — 158; **მსუბუქი შემტეეი** — 446;

გამანადგურებელ გზისგადამჭრელი – 107 (მე-4 თაობის „ტორნადოები" გადამჭრელის ვარიანტში). სულ, ვიმეორებთ, 3700-მდე საბჭოლო თვითმფრინავი.

ვხო-ს სსძ-ის დამრტყმელ ძალას, ცხადია, საბჭოთა საავიაციო შენაერთები ქმნიდნენ. მათ შემადგენლობაში შედიოდა: ერთი საჰაერო არმია, რომელსაც უშუალოდ თეატრის ინტერესებში უნდა ემოქმედა. მის შემადგენლობაში იყო დამრტყმელი ავიაციის დივიზია, გამანადგურებელ-გზისგადამჭრელი დივიზია და სადაზვერვო დივიზია; **საჰაერო არმია გდრ-ში** – მის შემადგენლობაში იყო 2 გამანადგურებელ-ბომბდამშენი, 3 გამანადგურებელი დივიზია; სამი ცალკე სადაზვერვო პოლკი; პოლონეთში დისლოცირებული იყო კიდევ ერთი შერეული ავიადივიზია (არასრული შემადგენლობის), რომლის შეიარაღებაზეც იმყოფებოდა ავიაპოლკი 35 გამანადგურებლით; **ბალტიისპირეთის ოლქში** შედიოდა საჰაერო არმია, რომელიც შედგებოდა გამანადგურებელ-ბომბდამშენი დივიზიისა და სადაზვერვო პოლკისგან **ბელარუსიის სამხედრო ოლქის** ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო საჰაერო არმია შემდეგი შემადგენლობით: დამრტყმელი თვითმფრინავების (საფრონტე ბომბდამშენების) დივიზია – 3: შემტევების პოლკი; გამანადგურებლების პოლკი და სადაზვერვო პოლკი. დაბოლოს, ერთი საჰაერო არმია დისლოცირებული იყო **იმიერკარპატეთის** ტერიტორიაზე. მასში შედიოდა ბომბდამშენი დივიზია; გამანადგურებელი დივიზია, შემტევი პოლკი და სადაზვერვო პოლკი.

დასახელებულლ ძალებს უნდა დავამატოთ დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით მოქმედებისათვის გამიზნული ჰაერსაწინააღო ძალების ორი არმია 11 პოლკის შემადგენლობით.

სულ თეატრის ორ ეშელონზე განლაგებული იყო შემდეგი ოდენობის ტაქტიკური ავიაცია: სულ 2200-მდე თვითმფრინავი. მათგან IV თაობის გამანადგურებელი – 445[75].

გდრ-ის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის ავიაციები არცთუ უმნიშვნელო რაოდენობის თვითმფრინავებს შეიცავდნენ. მაგრამ მათი დიდი უმრავლეობა მოძველებული იყო და მათი ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემები, ისევე როგორც მათი პილოტების მომზადების დონე ახლოსაც ვერ მივიდოდა ამერიკის ნატოელ მოკავშირეებთან[76].

ამრიგად, ცენტრალური ევროპის თეატრზე ვხო-ს დაჯგუფება ითვლიდა 3450-მდე სხვადასხვა გამანადგურებელს და შემტევს, მათგან

520-ზე მეტ IV თაობის გამანადგურებელს (საავიაციო ბალანსის შედარებითი ცხრილი მოყვანილია სათანადო დანართში).

როგორც მხარეების პოტენციალების ანალიზი ცხადყოფს რაოდენობრივი უპირატესობა ნატოს მხარეს იყო. მაგრამ არა მხოლოდ რაოდენობრივი. ნატოს გააჩნდა უფრო ახალი ტიპების თვითმფრინაველი. IV თაობის გამანადგურებლები მას თითქმის ორჯერ მეტი ჰყავდა ვიდრე ვხო-ს, ხოლო ნატოს ბრძოლის ველის იზოლირების გამანადგურებლები (F-111, „ტორნადო") თავისი მომაკვემებით ბევრად აღემატებოდნენ საბჭოთა სუ-24-ს. ნატოს გამანადგურებლებს ბევრად უფრო სრულყოფილი ელექტრონული სისტემა გააჩნდათ, ვიდრე ვხო-ს გამანადგურებლებს, ხოლო რადიოელექტრონული ბრძოლის, დაზვერვისა და დამიზნების ნატოური „ავაქსები" შეუდარებლად აღემატებოდა საბჭოთა A-50-ებს. ნატოს გამანადგურებლებს შეუდარებლად უფრო დიდი ოდენობის ბომბებისა და საავიაციო საჭურველის წაღება შეეძლო (3-ჯერ, 5-ჯერ, ზოგჯერ შვიდჯერ მეტიც კი, ვიდრე საბჭოთა თვითმფრინაველებს). ამას გარდა, ნატოს თითქმის ყველა გამანადგურებელს შეეძლო სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ მოქმედება მაშინ, როცა ვხო-ს მხრიდან 700-ზე მეტ გამანადგურებელს და გზისგადამჭრელს არ შეეძლო სახმელეთო მიზნების წინააღმდეგ მოქმედება, ხოლო კიდევ 500-მდე გამანადგურებელს ეს მხოლოდ შეზღუდულად შეეძლო. გასათვალისწინებელია ნატოს პილოტების უკეთესი მომზადებაც. ერთი სიტყვით, ტაქტიკურ ავიაციაში ნატოს უპირატესობა საგრძნობი იყო, რაც მნიშვნელოვანი კომპენსაცია იყო ხმელეთზე ვხო-ს რაოდენობრივი უპირატესობის გათვალისწინებით. ამასთან მხედველობაში არ უნდა გამოგვრჩეს ნატოს საავიამზიდო ბაზირების ავიცია, რომელსაც სწრაფად შეეძლო ჩართულიყო ცენტრალური თეატრის ჩრდილოეთით მიმდინარე ბრძოლებში.

ავიაციის ბალანსი არ შეიცვლებოდა არც დუნაის ქვეთეატრის (ფრონტის) შექმნის შემთხვევაში. ამ დროს უნგრეთში დისლოცირებულ საბჭოთა ძალებს (2 ავიადივიზია, 45 მიგ-29, 90 მიგ 23; 45 სუ-25 და 90 სუ 17-ს, აგრეთვე ცალკე ესკადრილიას 15 მიგ-21) და უნგრეთის სუსტ ძალებს (113 უპირატესად მიგ-23) დაუპირისპირდებოდა შვეიცარიის არცთუ სახუმარო სამხედრო საჰაერო ძალები 365 თვითმფრინავით და, რაც მთავარია, იტალიის ავიაცია თავისი ასი „ტორნადოთი", რომელთა ცეცხლის ძალა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საბჭოთას.

თავი 4
სამხრეთ ევროპის თეატრის გეოსტრატეგიული დახასიათება

§ 38
სამხრეთ ევროპის თეატრის გეოგრაფიული დახასიათება

საბრძოლო მოქმედებათა სამხრეთ-ევროპულ თეატრში შედიოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ტერიტორია მის გარემომცველ სახმელეთო და საჰაერო მასივებთან ერთად. განსხვავებით ცენტრალურევროპული თეატრისაგან, რომელიც უპირატესად სახმელეთო ხასიათს ატარებდა, სამხრეთ ევროპის თეატრი კომბინირებული (საზღვაო-სახმელეთო) ბუნების იყო. ომიანობისას თეატრს გეოგრაფიულად უნდა მოეცვა შემდეგი სახელმწიფოები: ალბანეთი, ალჟირი (დასავლეთი ნაწილი), ავსტრია, ბულგარეთი, კვიპროსი, ეგვიპტე (ჩრდილოეთი ნაწილი), საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლიბია, მონაკო, რუმინეთი, სან-მარინო, სირ კაშირი, ტუნისი, თურქეთი და იუგოსლავია (სახელმწიფოები ჩამოთვლილია ინგლისური ალფაბეტის მიხედვით). ზოგიერთი თეორეტიკოსი თეატრის შემადგენლობაში რთავდა სამხრეთ პოლონეთს. სხვა ვარიანტით უნგრეთი, ავსტრია და ჩრდილო იტალია უნდა განხილულიყო ცენტრალური ევროპის თეატრის ნაწილად. ერთი სიტყვით, თეატრის ზუსტი ჩარჩოების განსაზღვრა თავად იყო კონცეპტუალური გამოწვევა. ამის მიუხედავად ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ქვეყნები სრულიად საკმარისია, რათა მკითხველს შეექმნას თუგინდ არასრულყოფილი, მაგრამ ჩვენი გამოკვლევისათვის საჭირო წარმოდგენა თეატრის ზოგადი საზღვრების შესახებ. ცნობილ ექსპერტ პეტერსენის მიხედვით, თეატრის საერთო ფართობი 4,5 მლნ კვადრატული კილომეტრი იყო, საზღვრის საერთო ზოლი — 2800 კმ, თურქეთის ანატოლიური საზღვრების ჩათვლით. თეატრი მოიცავდა არეალს ჰაბრალტარიდან აღმოსავლეთ ანატოლიამდე (თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილამდე) და სამხრეთ კავკასიამდე. როგორც აღინიშნა, იგი ძალზე კომბინირებული ხასიათის იყო და შედგებოდა როგორც ხმელეთის დიდი მასივებისაგან (იტალია, საბერძნეთი, თურქეთი — მათ ჩვენ ქვეთეატრებს ვუწოდებთ), ისე დიდი კუნძულებისაგან (სიცილია, კრეტა, კვიპროსი), ჩაკეტილი თუ ნახ-

ევრადჩაკეტილი ზღვებისაგან (იონია, ტირენია, ლიგურია, ადრიატიკა, ეგეოსი, შავი, აზოვი), აგრეთვე შედარებით გაშლილი ხმელთაშუა ზღვისა და მრავალი მცირე კუნძულისაგან.

სამხედრო-გეოგრაფიული თვალსაზრისით თეატრი სამ სახმელეთო ქვეთეატრად(სამხედრო ოპერაციების თეატრად) იყოფოდა: 1. ჩრდილო იტალია და დუნაისპირეთი; 2. საბერძნეთი — დასავლეთ თურქეთი; 3. აღმოსავლეთ თურქეთი; მეოთხე ქვეთეატრს წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვა, რომელიც ფაქტობრივად ერთიანობაში კრავდა სამ დანარჩენს (ვიზიარებთ იმ ექსპერტების აზრს, რომლებიც ჩრდილო იტალიასა და უნგრეთს მაინც სამხრეთის თეატრს აკუთვნებენ. ეს სახელმწიფოები და ავსტრია განსახილველია, როგორც გარდამავალი რგოლი სამხრეთ და ცენტრალურევროპულ თეატრებს შორის).

§ 39
სამხრეთ ევროპის თეატრის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა

თეატრის გეოსტრატეგიული მნიშნელობა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

● აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დისლოცირებული სტრატეგიული ბირთვული რაკეტებით აღჭურვილ წყალქვეშა ნავებს, ხოლო მოგვიანებით „ტომეჰოკ"-ის ტიპი ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილ წყალქვეშა ნავებსა და წყალზედა ხომალდებს, შეეძლოთ ბირთვული და ჩვეულებრივი დარტყმების განხორციელება საბჭოთა სტრატეგიული ობიექტების წინააღმდეგ.

● ფლანგების უდიდესი როლი მთავარი — ცენტრალურევროპული თეატრის დაცვაში. ეს როლი სრულიად სხვადასხვა მიმართულებით ვლინდებოდა. სამხრეთ საფრანგეთისა და იტალიის პორტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცენტრალურევროპელი დაჯგუფების გასაძლიერებლად გამიზნული ამერიკული ძალების გადასროლისათვის. ეს როლი შეუდარებლად იზრდებოდა, თუ ვარშავის ხელშეკრულების ძალები მოახერხებდნენ ცენტრალურევროპული თეატრის მომარაგებისათვის ისეთი გადამწყვეტი პორტების ნეიტრალიზაციას, როგორებიც იყო: ჰამბურგი, ბრემენი, როტერდამი, ანტვერპენი. ასეთ შემთხ-

ევეაში ოკეანის გაღმიდან გადმოსროლილი ჯარებისა და ტექნიკის მიღების მთელი სიმძიმე სამხრეთის თეატრზე მოვიდოდა. ამავე დროს თეატრზე განლაგებული ნატოს ძალები იზიდავდნენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ძალების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს. ამ ძალებს (ცენტრალურევროპულ თეატრზე მოქმედებისთვის გამოთავისუფლების შემთხვევაში) შეეძლოთ იქ საბრძოლო მოქმედებათა ბედი საბჭოთა ბლოკის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

● ხმელთაშუა ზღვაზე განლაგებული ამერიკული და ფრანგული ავიამზიდების ავიაცია შესაძლებელი იყო გამოყენებული ყოფილიყო ცენტრალურევროპულ თეატრზე ნატოს დაჯგუფების მხარდაჭერისათვის.

● იგივე ითქმის ჩრდილო იტალიის აეროპორტებზე ბაზირებული ნატოს ავიაციის შესახებაც.

● ამერიკელთა მიერ შეიარაღებაზე „ტომეჰოკ"-ის ტიპის ზეზუსტი ფრთოსანი რაკეტების მიღების შემდეგ, მათი მეშვეობით, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვიდან აშშ-ს შეეძლო ბირთვული ან ჩვეულებრივი დარტყმები განეხორციელებინა ცენტრალურ ევროპაში ვარშავის ხელშეკრულების სტრატეგიული ობიექტების, ანდა მარშზე მყოფი მეორე ეშელონების მსხვილი დაჯგუფებების წინააღმდეგ.

● სანამ ნატო აკონტროლებდა სამხრეთის თეატრს, შეეძლო ოპერატიულ-სტრატეგიული დარტყმის მიყენება ვარშავის ხელშეკრულების ძალების ფლანგზე ბალკანეთსა ან დუნაისპირეთში და ამით გაეიოლებინა ცენტრალური ევროპის დაცვა.

● თეატრს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნავთობით უმდიდრესი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დაცვის საქმეში. ნატოს დაჯგუფება ანატოლიაში მძლავრი ბარიერი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ძალების გზაზე ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით.

● შავი ზღვის სრუტეებზე კონტროლი ნატოს საშუალებას აძლევდა, ხელსაყრელ ვითარებაში დაეწყო საბრძოლო მოქმედება უშუალოდ საბჭოთა ტერიტორიის წინააღმდეგ (კავკასია, ყირიმი). ამ თვალსაზრისით, უინტერესო არ იქნება, თუ გავიხსენებთ რუსეთის სამარცხვინო მარცხს ყირიმის ომში.

● თეატრი გაშლილი იყო სამი კონტინენტის: ევროპის, აზიისა და აფრიკის გასაყარზე და მათი დამაკავშირებელი კომუნიკაციების კონტროლის საშუალებას იძლეოდა.

● თეატრის ფარგლებში მდებარეობდა გლობალური კომუნიკაციური ქსელის ერთ-ერთი უმთავრესი კვანძი — სუეცის არხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ატლანტიკიდან ინდოეთის ოკეანეში გადადასროლისათვის და, მაშასადამე, დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების დაცვისათვის სპარსეთის ყურეში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ სამხრეთის თეატრს კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად ევროპის დაცვისათვის, **რაც ნიშნავს: სამხრეთის თეატრზე მარცხსა და მისი ტერიტორიის დაკარგვას მთელი ევროპის დაკარგვაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა.**

§ 40
თეატრის ფუნქციონალური (სამხედრო-სტრატეგიული) დახასიათება

თეატრის სამხედრო-გეოგრაფიული და პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, ბუნებრივია, ზეგავლენას ახდა მისი სამხედრო-სტრატეგიული ფუნქციონირების პრინციპებზე. მართალია, როგორც თურქი სამხედრო თეორეტიკოსი ჩ. ოქმანი აღნიშნავს, თანამედროვე სამხედრო საქმის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტალური ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ ტექნოლოგიური ფაქტორები იწყებენ დომინირებას სამხედრო-გეოგრაფიულზე (მაგალითად სახმელეთო ქვეთეატრებად დაყოფის მიუხედავად თეატრის საჰაერო სივრცე პრაქტიკულად ერთ მთლიანად განიხილებოდა), მაგრამ ამის მიუხედავად გეოგრაფიული ფაქტორების, პირველ ყოვლისა, სახმელეთო სივრცის ხასიათის იგნორირება გამართლებული არ არის, მით უფრო — სამხრეთ ევროპის ტიპის სპეციფიკურ თეატრზე.

თეატრის ძირითად ფუნქციონალურ თავისებურებებს შეადგენდა:

● დიდი დისტანციები სახმელეთო ოპერაციების თეატრებს შორის, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სახმელეთო ოპერაციებისათვის. სახელდობრ, ოპერაციების თეატრებს (ქვეთეატრებს) ერთმანეთისაგან თითქმის ათასამდე კილომეტრი აშორებდა, რაც მათ დაცვას ართულებდა. ამის შედეგად:

● არსებობდა სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სარდლობა;

● ძალების სწრაფი გადასროლის და სწრაფი მხარდაჭერის სირთულე.

● ომის მსვლელობაში კომუნიკაციებზე კონტროლი კრიტიკულ მნიშვნელობას იძენდა.

ხმელთაშუა ზღვა, როგორც ერთიანობაში შემკრები ფაქტორი, ნიშნავდა:

● სამხედრო მოქმედებათა უზრუნველყოფისათვის საზღვაო კომუნიკაციების გადამწყვეტ როლს;

● ამ კომუნიკაციათა უწყვეტი ფუნქციონირებისათვის მიმდებარე საჰაერო სივრცეებზე აუცილებელ კონტროლს;

● ზღვაზე ბატონობისათვის ბრძოლის სპეციფიკურ და კომბინირებულ სახეს;

საჰაერო ბრძოლების სპეციფიკას განაპირობებდა ის, რომ:

● საჰაერო მოქმედებებისას გადამწყვეტი როლი ექნებოდა „შიდათეატრული" რადიუსის დამრტყმელ თვითმფრინავებს (F-111, „ტორნადო"), რომელთა რადიუსი თეატრის ერთი ბოლოდან მეორეში უსწრაფესი გადასროლისა და საბრძოლო მოქმედებებში დაუყოვნებლივ ჩაბმის საშუალებას იძლეოდა;

● აგრეთვე გადამწყვეტი როლი ექნებდა ავიამზიდებსა და გარედან სწრაფად მიღებული საავიაციო დახმარებას;

● აუცილებელი იქნებოდა საჰაერო ბაზების, მარშზე მყოფი ძალებისა და ზურგის სისტემების დასაცავად ეფექტიანი ჰაერსაწინააღმ სისტემა.

ფუნქციონალური თვალსაზრისით თეატრი ფაქტობრივად ხუთ ოპერაციების თეატრად იყოფოდა: საზღვაო, საჰაერო და სამი სახმელეთო ქვეთეატრი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თეატრზე მოქმედება ამგვარი ხუთი ინტეგრირებული კამპანიის სახეს მიიღებდა. ამასთან გადამწყვეტი ოპერატიული მნიშვნელობა ექნებოდა საჰაერო ძალას. და ეს მოხდებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჰაერში ბატონობას კრიტიკული მნიშვნელობა ექნებოდა თეატრზე მთელი კამპანიისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ეფექტიანი საზღვაო სტრატეგიის რეალიზაციისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ძალები ხმელთაშუა ზღვის სასიცოცხლო კომუნიკაციებს შეუტევდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამი ერთმანეთისაგან დაშორებული თეატ-

რის არსებობა გამოწვევა იყო არა მხოლოდ ნატოს, არამედ ვარშა-ვის ხელშეკრულებისთვისაც. თავისი ძალების გაძლიერებისას ვარშავის ხელშეკრულება დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ჰაერსა და ზღვაზე, არამედ ხმელეთზეც. პირველ ყოვლისა, რუმინეთისა და იუგოსლავიის ნებართვაზე — გაეტარებინა ვარშავის პაქტის გასაძლიელებლად გამიზნული საბჭოთა ჯარები. თუ გავითვალისწინებთ ამგვარი თანხმობის პრობლემატურობას, აგრეთვე ზღვაზე ნატოს ბატონობას, გასაგები გახდება, რომ სამ ურთიერთდაშორებულ ოპერაციების თეატრზე შეტევა არც ვარშავის ხელშეკრულების ძალებისთვის უნდა ყოფილიყო ადვილი.

თეატრის სტატეგიულ-ფუნქციონალური დახასიათებისათვის აუცილებელია კიდევ ერთი ცნების შემოტანა, რომელიც თეატრის ხასიათის განსაზღვრისას გვეხმარება როგორც ოპერატიული, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით. ესაა ასიმეტრიის ცნება, ასიმეტრიისა, რომელიც ორ დაპირისპირებულ ორგანიზაციას შორის არსებობდა სხვადასხვა დონეებზე. პირველი სახის ასიმეტრია მანძილებს ანუ სტრატეგიულ სფეროს ეხებოდა. ნატოსათვის სამხრეთის თეატრი მოიცავდა ომიანობისას მისი მოწინავე ფორმირებების გამაძლიერებელ კომპონენტ-



ბალთა მალანსი სამხრეთ ევროპის თეატრზე

თა გადასასროლ დისტანციების ათასობით კილომეტრს ამერიკიდან — ჰიბრალტარის გაელით — აღმოსავლეთ ანატოლიამდე, მაშინ როდესაც ვარშავის ხელშეკრულების შემთხვევაში ეს მანძილი ასეულობით კილომეტრით ამოიწურებოდა. ასიმეტრიულობის მეორე ასპექტი გამოიხატებოდა იმაში, რომ ნატოს თავისი მოქმედებების უზრუნველყოფისათვის ჯარის, ტექნიკისა და ამუნიციის დიდი მასების სტრატეგიული გადასროლების განხორციელება უწევდა ზღვაზეც, ჰაერშიც და ხმელეთზეც, ვარშავის ხელშეკრულებას სტრატეგიული გადასროლების უმეტესობა ხმელეთზე მოუწევდა. ასიმეტრიის მესამე სახეზე ყურადღებას ამახვილებს დიეგო პალმერი. მისი აზრით, თეატრის ასიმეტრიულობაზე ლაპარაკისას არსებითია იმის აღნიშვნა, რომ ცენტრალურ ევროპაში მოქმედებების დაწყებისას ვარშავის ხელშეკრულებას ფაქტობრივად არ დასჭირდებოდა არავითარი ღონისძიების გატარება, რათა შეეზღუდა ნატოს ძალების გადასროლა სამხრეთიდან ცენტრალურ თეატრზე (ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამისათვის არ არსებობდა სათანადო კომუნიკაციები, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნეიტრალური ავსტრია და შვეიცარია ნატოს მხარეს დადგებოდნენ). ასეთი გადასროლა რომც მოხერხებულიყი, ნატოს სამხრეთი ფლანგის სახელმწიფოთა უმრავლესობის არმიები შედარებით დაბალი დონის აღჭურვილობისა და გაწვრთნილობის გამო უვარგისი იყო ცენტრალურევროპულ თეატრზე მოქმედებისათვის. სამაგიეროდ, სსრ კავშირს ცენტრალურ ევროპაში დისლოცირებული თავისი ჯარები უნგრეთის (და, თუ მოხერხდებოდა, რუმინეთის) გზით ყოველთვის შეეძლო გადაესროლა სამხრეთისა ან სამხრეთ-დასავლეთის ოპერაციების თეატრზე. ეს ასიმეტრია ვარშავის ხელშეკრულებისათვის ხმელთაშუა ზღვაზე ნატოს ფლოტების ბატონობის ერთგვარი კომპენსაცია იყო. და ბოლოს, უკანასკნელი სახის ასიმეტრია იმაში მდგომარეობდა, რომ სსრ კავშირსა და ვხო-ს ძალებს არ სჭირდებოდათ ემოქმედათ მაინცადამაინც მთელი თეატრის მასშტაბით. მათ შეეძლოთ სურვილისა თუ საჭიროებისდა მიხედვით იზოლირებული კამპანიები ჩაეტარებინათ, ეთქვათ, მარტო ბოსფორის, მარტო ჩრდილო იტალიის ან მარტო აღმოსავლეთ ანატოლიის მიმართულებით. ამას განაპირობებდა ზემოხსენებული ასიმეტრია ჯარების გადასროლის სახეებს შორის. აგრეთვე სამხედრო-გეოგრაფიული ფაქტორები. გამომდინარე იქიდან, რომ უნდა ებატონა სამივე ქვეთეატრის შემკრებ მასაზე — ხმელთაშუა

ზღვაზე, ნატო იძულებული იქნებოდა ნებისმიერი ოპერაცია იმთავითვე მთელი თეატრის მასშტაბით განეხილა.

ხმელთაშუა ზღვა არ იყო მხოლოდ ადგილი, სადაც ევროპისათვის უმნიშვნელოვანესი ბრძოლები უნდა გამართულიყო. ეს იყო ბაზისი, რომელიც შესაძლებლად ხდიდა სამი ოპერაციების თეატრის ფუნქციონირებას, როგორც ერთიანი მთელისა. ამას აგრეთვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზღვაზე დომინირებაში. ეს გულისხმობდა:

- **საზღვაო გადაზიდვების უწყვეტობის უზრუნველყოფას;**
- **მოწინააღმდეგის ტერიტორიის იზოლირებას;**
- **შეიარაღებული ძალების გადასროლას ყველა უმნიშვნელოვანესი მიმართულებით;**

ამ სამი ამოცანის გადაწყვეტის გარეშე თეატრზე წარმატების მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა.

§ 41

თეატრის გეოპოლიტიკური თავისებურება: ნეიტრალებისა (მიუმხრობლების) და რუმინეთის განსაკუთრებული როლი

თეატრის ერთ-ერთ გეოპოლიტიკურ თავისებურებას წარმოადგენდა ნეიტრალური ავსტრიის, მიუმხრობელი (თუმცა სოციალისტური!) იუგოსლავიისა და ვხო-ს არასაომედო წევრის — რუმინეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა. განსხვავებით ცენტრალური ევროპისაგან, სადაც ყველა სახელმწიფო იყო დაპირისპირებულ ბლოკთაგან ერთ-ერთის წევრი, სამხრეთის თეატრზე დაპირისპირებულ ბლოკებს ბუფერული სახელმწიფოები მიეჯნავდნენ. ჩრდილო იტალიაზე შეტევისათვის ვხო-ს აუცილებლად დასჭირდებოდა ავსტრიისა და (ან) იუგოსლავიის ჩრდილო ნაწილის (იხ. ქვემოთ) დაკავება. არცთუ უმნიშვნელო იქნებოდა ნეიტრალური შვეიცარიის პოზიცია, რომელიც საკმაო სამხედრო პოტენციალს ფლობდა. მთელ თეატრზე მოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იუგოსლავიისა და რუმინეთის პოზიციას. იუგოსლავიაზე გადიოდა ერთადერთი სახმელეთო საზღვარი ნატოსა და ვხო-ს ცენტრალურ და სამხრეთ თეატრებს შორის. იუგოსლავიის სახმელეთო კომუნიკაციების გამოყენების შემთხ-

ვევაში ორივე ბლოკს მიეცემოდა მანევრული მოქმედებების წარმოების შესაძლებლობა დუნაიდან სტამბულამდე. ამასთან იუგოსლავიის ჩრდილო მონაკვეთის გამოყენება სსრ კავშირის მიერ ავსტრია-იტალიაზე თავდასხმისათვის (ცხადია, იუგოსლავიის ნების გარეშე) საკმარისი იყო იმისათვის, რომ იუგოსლავია სსრკ-ის წინააღმდეგ ომში ჩართულიყო და პრობლემები შეექმნა ბულგარეთისათვის, რომელიც რუმინეთის ნეიტრალიტეტის პირობებში სამხრივად გარემოცული აღმოჩნდებოდა (სამხრეთით საბერძნეთ-თურქეთით, ჩრდილოეთით რუმინეთითა და ჩრდილო-დასავლეთით იუგოსლავიით. ეს არათუ ჩაშლიდა სტამბულზე შეტევის საბჭოურ გეგმას, არამედ თვით იუგოსლავიისა და რუმინეთის ნეიტრალიტეტის შემთხვევაშიც კი, ბულგარეთს ტოვებდა ბევრად ძლიერი საბერძნეთისა და თურქეთის, აგრეთვე აშშ-ის მე-6 ფლოტის, აგრეთვე პოტენციურად იტალიელების საექსპედიციო კორპუსის წინაშე. რაც შეეხება რუმინეთს, ამ სახელმწიფოს უარი რომ ეთქვა თავის ტერიტორიაზე ვხო-ს ჯარების გატარებაზე, სსრ კავშირს ძალიან გაუჭირდებოდა უნგრეთში თავისი დაჯგუფების გაძლიერება (ამ ჯგუფის გასაძლიერებლად მხოლოდ სსრ კავშირის უნგრეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან საზღვრის ვიწრო მონაკვეთები რჩებოდა) და საერთოდ ვერ გადაისროდა სახმელეთო გზით თავის ძალებს ბულგარეთში, რის შედეგადაც ეს სახელმწიფო პირისპირ დარჩებოდა ნატოს აღმატებული ძალების წინააღმდეგ. ამის თავიდან ასაცილებლად რუმინეთის უარის შემთხვევაში სსრ კავშირს მოუწევდა ამ სახელმწიფოს ოკუპირება. მაგრამ, გარდა წმინდა სამხედრო სირთულეებისა, ამგვარი ოკუპაცია გამოიწვევდა მთელ რიგ პოლიტიკურ პრობლემებს, მაგალითად: იუგოსლავიის თითქმის უეჭველ გამოსვლას ნატოს მხარეს. ამას გარდა, ნატოელ სახელმწიფოებს მეტი დრო ექნებოდათ მობილიზაციისათვის (ყველაზე წარმატებული ოპერაციის შემთხვევაშიც კი რუმინეთის ტერიტორიის სამხედრო გადაზიდვებისათვის მომზადებას კვირეები დასჭირდებოდა), ხოლო ბულგარეთი თვეების განმავლობაში რჩებოდა საბერძნეთისა და თურქეთის პირისპირ. ამ უსიამოვნო პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად სსრ კავშირი ყოველმხრივ შეეცდებოდა ჩაერთო რუმინეთი და იუგოსლავია სამხედრო მოქმედებებში, ან მიეღო მის ტერიტორიაზე ტრანზიტის უფლება მაინც. თუმცა, როგორ დასრულდებოდა ეს მცდელობები, ამის პროგნოზირება უაღრესად ძნელი იყო.

§ 42
საბჭოთა სტრატეგიული მიზნები სამხრეთ-დასავლეთის თეატრზე

თეატრზე სსრ კავშირის უმთავრესი სტრატეგიული მიზანი უნდა ყოფილიყო იქ არსებული ნატოს ძალების განადგურება და თეატრის ტერიტორიის ოკუპირება. ამით ის გადაწყვეტდა შემდეგ სტრატეგიულ ამოცანებს:

- აღკვეთავდა ნატოს გაერთიანებული ძალების შესაძლო შეტევას შავი ზღვის აკვატორიუმიდან მის ტერიტორიაზე;
- დაიცავდა ცენტრალური ევროპის თეატრზე მოქმედ დაჯგუფებას ფლანგიდან შეტევისგან;
- დაამყარებდა კონტროლს ევროპის, აზიისა და აფრიკის დამაკავშირებელ კომუნიკაციებზე, მათ შორის სუეცის არხზე, რითაც ჩაუკეტავდა ნატოს უმოკლეს გზებს სპარსეთის ყურეში არსებული დაჯგუფების გასაძლიერებლად;
- განდევნიდა ნატოს ფლოტს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისაგან, რითაც ნატოს დამრტყმელ ავიაციასა და ამ რაიონში ბაზირებულ ფრთოსან რაკეტებს ცენტრალურევროპულ თეატრზე დარტყმების საშუალებას მოუსპობდა;
- საშუალებას მოუსპობდა ნატოს, გამოეყენებინა იტალიისა და სამხრეთ საფრანგეთის პორტები სტრატეგიული გადასროლებისათვის;
- მოსპობდა ჩრდილო იტალიის ავიაბაზებზე დისლოცირებული ავიაციის ცენტრალურევროპულ თეატრზე ბრძოლებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;
- უზრუნველყოფდა ახლო აღმოსავლეთზე შემტევი დაჯგუფების მარჯვენა ფლანგს;

ამ დასახული ამოცანებიდან, აგრეთვე თეატრის სამხედრო-გეოგრაფიული თავისებურებებიდან და იმ ასიმეტრიიდან გამომდინარე, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, საბჭოთა სამხედროები გეგმავდნენ შეტევას სამი სტრატეგიული მიმართულებით, რომლებიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთმანეთისაგან საპირისპირო თუ არა, გაშორიშორებული ვექტორებით უნდა გაშლილიყო. პირველი სტრატეგიული მიმართულება მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ ევროპას, სახელდობრ ავსტრიას, ჩრდილო-დასავლეთ იუგოსლავიასა და ჩრდილო იტალიას.

სამხრეთის მიმართულება მოიცავდა საბერძნეთსა და თურქეთის დასავლეთ ნაწილს. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთის ოპერაციების თეატრს, იგი მოიცავდა ამიერკავკასიის მიმდებარე თურქეთის ტერიტორიას. ზემოაღნიშნული მიზნებიდან, აგრეთვე სამხედრო-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, ყოველი სტრატეგიული მიმართულების წინაშე იდგა კონკრეტული ამოცანები. სამხრეთ-დასავლეთის დაჯგუფების წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები:

● ჩრდილოეთ იტალიიდან სამხრეთ საფრანგეთში შეჭრის შიშით აიძულებინა საფრანგეთის მთავრობა, მოეხსნა ცენტრალური ევროპის თეატრიდან ფრანგთა ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთები და ამით შეესუსტებინა ნატოს ძალები ძირითად, ცენტრალურევროპულ თეატრზე;

● შეექმნა წინაპირობები სამხრეთ გერმანიაში ვხო-ის შეჭრისა და იქ ნატოს ბრძოლისუნარიანი ძალების განადგურებისთვის;

● შეესუსტებინა კომუნიკაციები საფრანგეთსა და იტალიას შორის;

● მოემზადებინა პლაცდარმი პირინეებზე სამხრეთიდან შეტევისათვის;

● მოეშალა იტალიის, განსაკუთრებით კი მისი ჩრდილო ნაწილის, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი;

● მწყობროდან გამოეყვანა იტალიის პორტები, რომლებსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცენტრალურევროპული დაჯგუფების გასაძლიერებლად გამიზნული ამერიკული ძალების გადასროლისათვის;

● მწყობრიდან გამოეყვანა ჩრდილო იტალიის აეროდრომები, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო შესაძლო საბრძოლო მოქმედებებზე არა მხოლოდ სამხრეთ, არამედ ცენტრალურ ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში;

● უვნებელეყო იტალიის ტერიტორიაზე დისლოცირებული ბაზები, რომლებიც აუცილებელი იყო სტრატეგიული რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავებისა და „ტომეჰოკის" ტიპის ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი ხომალდების ბაზირებისათვის.

● გაენადგურებინა სიცილიაზე არსებული სამხედრო-საჰაერო ძალების ისეთი ბაზები, როგორებიც იყო: იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა ტრაპანაში, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა კომიზოში და მე-6 ფლოტის ბაზა აუგუსტა-ბეიში.

სამხრეთის სტრატეგიული მიმართულებით ვხო-ს ძალების ძირითადი ამოცანები უნდა ყოფილიყო:

● თურქეთის სრუტეების (ბოსფორი, დარდანელი, მარმარილოს ზღვა) და მიმდებარე სახმელეთო და საჰაერო ტერიტორიები;

● თურქეთის დასავლეთი სანაპირო იზმირის სიახლოვეს, სადაც დისლოცირებული იყო გაერთიანებული სახმელეთო სარდლობის (land southeast) შტაბი; აგრეთვე მის სიახლოვეს, ჩიგლის ავიაბაზაზე მდებარე ნატოს მე-6 გაერთიანებული სარდლობის შტაბი;

● ადანა-ისკანდერონის ზურგის კომპლექსი ინჯირლიკის საავიაციო ბაზის ჩათვლით, სადაც განლაგებული იყო აშშ-ის ავიაესკადრილიები.

საბერძნეთში:

● თესალონიკში ვარდარისა და სტრუმას ველები და აქედან შეტევა ბერძენთა პოზიციებზე ლარისას მიმართულებით, სადაც მდებარეობდა ბერძენთა პირველი საველე არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობები.

● ათენ-ვოლოსოს პორტების კომპლექსები, სადაც შეიძლებოდა ბაზირებული ყოფილიყო მე-6 ფლოტის დიდი გემები.

● კრეტა — პირველ ყოვლისა, საუდა-ბეი თავისი საპორტო კომპლექსითა და აეროდრომებით, ირაკლიონის საჰაერო ბაზა და ნატოს სარაკეტო ცენტრი.

ამ ტერიტორიების დაკავება საბჭოთა კავშირს საშუალებას მისცემდა განეხორციელებინა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები:

● აღეკვეთა ნატოს საჰაერო და საზღვაო ძალებისათვის მისადგომი საბჭოთა კავშირის ტერიტორიისაკენ შავი ზღვის მხრადან, აგრეთვე დაეცვა ბულგარეთისა და რუმინეთის შავიზღვისპირა სანაპირო (თუ, რასაკვირველია, რუმინეთი გამოვიდოდა ვხო-ის მხარეს).

● დაემყარებინა კონტროლი ევროპის, აზიისა და აფრიკის დამაკავშირებელ კომუნიკაციებზე.

● განედევნა ნატოს ფლოტი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, იქ ბაზირებული დიდი რადიუსის ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ხომალდები და წყალქვეშა ნავები.

სამხრეთ-აღმოსავლეთის თეატრზე საბჭოთა ძალების მთავარი ამოცანა იყო ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებისაკენ გაჭრა. ამ მიზნის შესასრულებლად საბჭოთა კავშირს, პირველ ყოვლისა, უნდა დაეკავებინა ყარს-ერზერუმის რაიონი.



ძირითადი სამჯოთა მიზნები თეატრზე

ცნობილი დასავლეთელი სამხედრო ექსპერტის დიეგო პალმერის აზრით, ვხო-ს ძალებს სამხრეთ ევროპის თეატრზე დასაკავებელი ჰქონდა 11 უმთავრესი სტრატეგიული რაიონი. ესენია: 1. **იტალიაში:** ა) ვენეციის რაიონი; ბ) პოს ველი. გ) ტარანტო-ბარის რაიონი; დ) სიცილია. 2. **საბერძნეთში:** ა) თესალონიკი; ბ) ათენ-ვოლოსის რაიონი; გ) კრეტა. 3. **თურქეთში:** ა) სრუტეები; ბ) იზმირი; გ) ადანა-ისკანდერონი; დ) ყარსი-ერზერუმი. ეს ობიექტები დატანილია 151-ე გვერდზე წარმოდგენილ რუკაზე. ამ სტრატეგიულ ობიექტთა დაკავების შესაძლო ფორმების ანალიზისათვის ცალკეა გამისაყოფი ის, თუ როგორ განიხილავდნენ საბჭოთა სტრატეგები შესაძლო ოპერატიულ მოქმედებებს.

§ 43

თეატრზე საბჭოთა ოპერატიული გეგმების ხასიათი

იქიდან გამომდინარე, რომ სამხრეთ-დასავლეთის თეატრზე საბჭოთა და ვხო-ს ძალებს მოუწევდათ სამი დეკონცენტრირებული მიმართულებით მოქმედება, საბჭოთა სარდლობას, პრინციპში, უნდა დაე-

გეგმა და განეხორციელებინა სამი საფრონტო ოპერაცია; შესაბამისად: სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეატრზე არსებული ასიმეტრიის გამო სსრ კავშირს არ დასჭირდებოდა ამ ოპერაციების დროში მაინცადამაინც სინქრონიზებულად განხორციელება. სამხედრო-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიმართულებებით საბრძოლო ოპერაციათა სიღრმე და ხასიათი სხვადასხვაგვარი იქნებოდა.

სამხრეთ-დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით ვხო-ს ჯარებს იტალიაზე შეტევისათვის წინასწარ დასჭირდებოდათ ავსტრიისა და იუგოსლავიის ტერიტორიის ნაწილის დაკავება. იმის გათვალისწინებით, რომ ავსტრიისა და იუგოსლავიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ოპერატიული სიღრმე 400-550 კმ-ს აღწევდა, ცხადია, რომ ვხო-ს ძალებს იტალიის მიმართ თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის მოუწევდათ არა ერთი, არამედ ორი საფრონტო ოპერაციის განხორციელება. პირველი ოპერაცია გულისხმობდა ავსტრიისა და იუგოსლავიის ტერიტორიების დაკავებას ამ სახელმწიფოების საზღვრამდე იტალიასთან, ხოლო მეორე — იტალიის ტერიტორიის სიღმეში, საფრანგეთ-იტალიის საზღვრამდე შეღწევას. ეს ორსაფეხურიანობა შეადგენდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე მოქმედებების პირველ თავისებურებას. მეორე თავისებურებას კი ის წარმოადგენდა, რომ ვხო-ს მხრიდან საბრძოლო მოქმედებებს ექნებოდა წმინდა სახმელეთო-საჰაერო ხასიათი, ვინაიდან საბჭოთა ფლოტი თვით თურქეთის სრუტეების დაკავების შემთხვევაშიც კი ვერ მოახერხებდა, შეეღწია ადრიატიკის ზღვამდე და იქიდან დახმარებოდა შემტევ ძალებს. მესამე თავისებურება ის იყო, რომ აქ სამხედრო მოქმედებათა დაწყებისას ერთმანეთს დაუპირისპირდებონენ არა ნატოს და ვხო-ს ძალები, არამედ ვხო-ს ძალები და ნეიტრალურ (მიუმხრობელ) სახელმწოფოთა არმიები. ეს, ერთი მხრივ, ხელსაყრელი იყო ნატოსათვის, ვინაიდან მობილიზაციისათვის დამატებით დროს იძლეოდა, მაგრამ სამაგიეროდ მეორე მხრივ ართულებდა ვითარებას, ვინაიდან მიუხედავად ავსტრიისა და იუგოსლავიის არმიების შედარებითი ეფექტიანობისა, რთულდებოდა ერთიანი ოპერატიული გეგმების შემუშავება და ერთიანი სარდლობის სისტემის შექმნა. ფრონტის მეოთხე სპეციფიკა იმაში მდგომარეობდა, რომ სამხრე-

თის თეატრის სხვა მიმართულებებისაგან განსხვავებით, აქ იმთავ-ითვე არ იყო დეტერმინირებული შემდეგი საფრონტო შეტევის მიმა-რთულება. ავსტრიისა და ჩრდილო-დასავლეთ იუგოსლავიის ოკუ-პაციის შემდეგ დარტყმა, ჩრდილო იტალიის გარდა, შეიძლებოდა სამხრეთ გერმანიაზეც განხორციელებულიყო. და ბოლოს, ამ საფრ-ონტო ოპერაციის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მას დიდი სიღრმის პირობებში შედარებით მცირე სიგანე ჰქონ-და. ეს ვხო-ს ძალების უფრო მეტად კონცენტრირების საშუალებას აძლევდა, მაგრამ სამაგიეროდ ზღუდავდა მანევრს და ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ ვხო ვერ მოახერხებდა თავისი ძალები საბრძოლო მოქმედებაში ერთბაშად ჩაერთო.

სამხრეთის მიმართულებით შეტევის სიღრმე ნაკლები იყო, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამაგიეროდ სიგანე ძალიან დიდი იყო. მიმართულების სიღრმე 400-450 კმ-ს აღწევდა, ხოლო სიგანე — 1200 კმ-ს. უფრო ზუსტად, ამდენი იყო საზღვარი ბულგარეთსა და ნატოს წევრებს — თურქეთსა და საბერძნეთს — შორის. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამ საზღვრის მთიან ხასიათს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა უწყვეტი ფრონტის შექმნას, ფრონტის რეალური სიგანე 400-600 კმ იქნებოდა (იმის მიხედვით, მოხდებოდა შეტევა მხოლოდ ევროპულ თურქეთზე, თუ ერთდროულად — თურქეთსა და საბერძნეთზე). ამ მიმართულების მეორე თავისებურებას ის იყო, რომ იგი კომბინირებულ ხასიათს ატარებდა და მასში წარმატების მიღწ-ევისათვის აუცილებელი იყო არა მხოლოდ ავიაციისა და სახმელეთო ჯარების, არამედ სამხედრო-საზღვაო ძალების ინტენსიურად გამოყ-ენება სულ მცირე სრუტეებსა და მათ მიმდებარე შავიზღვისპირეთის სახმელეთო ტერიტორიაზე შეტევისათვის. ოპერაციების თეატრის შემდგომ თავისებურებას წარმოადგენდა ისიც, რომ ვხო-სა და ნატოს ძალების შეხების ზოლში საჭოთა შეიარაღებული ძალები არ იყო. ეს ნიშნავდა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში საბჭოთა ძალების გადატყ-ორცნას გარკვეული დრო დასჭირდებოდა, რაც საბერძნეთსა და თურქეთს თავიანთი ძალების საყოველთაო მობილიზაციის საშუალე-ბას მისცემდა. მეტიც, რუმინეთის მხრიდან რაიმე ექსცესის შემთხვევა-ში, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, ბულგარეთი გაურკვეველი ხნით, შესაძლოა, მარტო დარჩენილიყო ნატოს აღმატებული ძალების წინაშე.

რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეთეატრს, იქ სამხედრო

მოქმედებები ტიპოლოგიურად იმის მსგავს ხასიათს მიიღებდა,როგორიც იყო I მსოფლიო ომის შემთხვევაში. ძირითადი დატვირთვა სახმელეთო ოპერაციებზე მოვიდოდა, ოღონდ ზღვისპირა მიმართულებით იქნებოდა საზღვაო ოპერაციებიც, თუმცა მათი ინტენსიობა ახლოსაც ვერ მოვიდოდა იმ მასშტაბებთან, რომელთაც შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ექნებოდა ადგილი.

§ 44
ნატოს სტრატეგია სამხრეთ ევროპის თეატრზე

თეატრის გეოგრაფიული თავისებურებანი და ეროვნული სარდლობების კომპეტენციების განაწილებასთან დაკავშირებული სირთულეები მოითხოვდა უაღრესად ზუსტ დაგეგმვას ალიანსის მხრიდან. შესაქმნელი იყო კონცეფცია სამხრეთის თეატრზე ერთიანი ოპერაციებისა, რომელიც განსაზღვრავდა ობიექტებს გაერთიანებული ფლოტებისათვის ხმელთაშუა და შავ ზღვაზე მოქმედებებისათვის. მაგრამ ამ დროს გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ცენტრალური ევროპის თეატრთან შედარებით აქ უფრო ძნელი იყო ოპერაციულ თეატრებად დაყოფილ რეგიონებსა და სახმელეთო თუ საჰაერო ოპერაციებისათვის გეოგრაფიულად გათიშულ არეალში ეროვნული და გაერთიანებული სარდლობების კომპეტენციების განსაზღვრა.

§ 45
საბრძოლო მოქმედებათა დუნაის (ავსტრია-იუგოსლავიის) მიმართულება

ჩრდილო იტალიაზე შეტევისათვის საბჭოთა ბლოკს აუცილებლად სჭირდებოდა ავსტრიისა და იუგოსლავიის ტერიტორიის ოკუპირება (ან იუგოსლავიის ტერიტორიაზე საბჭოთა ძალების გატარებაზე თანხმობა). ამავე დროს, ავსტრიის დაკავების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე გერმანიის სამხრეთ ნაწილზე, სახელდობრ, ბავარიის მიმართულებით შეტევაც.

ფრონტის მასშტაბის ოპერაცია უნდა განეხორციელებინა უნგრეთ-

ში დისლოცირებულ საბჭოთა ძალების სამხრეთ ჯგუფს და უნგრეთის სახალხო არმიას. ორივენი მთლიანობაში ითვლიდნენ ათ სატანკო და მექანიზირებულ დივიზიას. ეს დაჯგუფება შეიძლებოდა გაძლიერებულიყო კიევის ოლქის შვიდი დივიზიით.

ავსტრიის (დუნაის) ფრონტის სიგანე 180-200 კმ იყო, ხოლო — სიღრმე 550 კმ-მდე; ოპერატიული ტევადობა — 6-8 დივიზია. ძირითადი ამოცანა იყო ალპებთან განლაგებულ ავსტრიელთა სტაციონარული ძალების განადგურება. თუმცა, ავსტრიის ოკუპირება ვერ ჩაითვლებოდა დამოუკიდებელ სტრატეგიულ ოპერაციად. ის განიხილებოდა ერთგვარ ტრამპლინად, წინასწარ მომზადებად ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიერ სამხრეთის თეატრის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით სტრატეგიული ოპერაციების ჩასატარებლად (იხ. რუკა). ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ავსტრიის ფრონტი უმნიშვნელო ყოფოლიყოს. ავსტრიის ოკუპაციის გარეშე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ძალები ვერ განახორციელებდა ჩვენს მიერ აღნიშნულ ოპერაციებს.

როგორც უკვე ითქვა, ავსტრიაზე შეტევას ორგვარი გაგრძელება შეიძლება მოჰყოლოდა. საეჭვოა საბჭოთა სტრატეგებს წინასწარ ჰქონოდათ დაგეგმილი — რა მიმართულებით განვითარდებოდა სამხედრო მოქმედებები ავსტრიის წარმატებული ოკუპირების შემთხვევაშიც კი. უფრო მოსალოდნელია, რომ ავსტრიის ოკუპირების შემთხვევაში შემდგომი დარტყმის მიმართულებას ისინი განსაზღვრავდნენ ძირითად თეატრებზე მოქმედების შედეგების მიხედვით. ამიტომ არ გამოირიცხებოდა ავსტრიიდან, როგორც ჩრდილო იტალიის, ისე სამხრეთ გერმანიის მიმართულებით განხორციელებული შეტევა ან, პროგრამა მაქსიმუმის შემთხვევაში, ორივე ერთად. ყველა ვარიანტში დარტყმა ავსტრიაზე უნდა მოსულიყო.

პირველ შემთხვევაში ავსტრიის ოკუპაციას მოჰყვებოდა იტალიაზე შეტევა იმ სცენარით, რომელსაც ქვემოთ, იტალიისადმი მიძღვნილ მონაკვეთში განვიხილავთ. მეორე შემთხვევაში ავსტრიის დამკავებელი საბჭოთა და უნგრეთის ძალები იმოქმედებდნენ, როგორც საბრძოლო მოქმედებათა დასავლეთის თეატრის დუნაის ფრონტი, სახელდობრ, ბავარიაში დისლოცირებული ბუნდესვერის მე-2 კორპუსის წინააღმდეგ. ამ დროს ძირითადი შეტევა საბჭოთა დაჯგუფებას უნდა განეხორციელებინა, ხოლო უნგრელებს გერმანიის სიღრმეში დუნაის ფრონ-

ტრის წინ წაწევის პარალელურად უნდა უზრუნველეყოთ ზურგი და კომუნიკაციები.

არ იყო გამორიცხული, რომ დუნაის ფრონტს უფრო მასშტაბურ მოქმედებაშიც მიეღო მონაწილეობა, სახელდობრ: ორმხრივი მოცვით გარემოეცვათ ნატოს არმიათა ცენტრალური ჯგუფი. ამ შემთხვევაში დუნაის ფრონტი ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაეცემოდა საბრძოლო მოქმედებათა დასავლეთის თეატრს, ხოლო ჩრდილო იტალიაში მოქმედება განიხილებოდა არა სამხრეთ-დასავლეთის, არამედ ცენტრალურევროპული თეატრის მოქმედების კონტექსტში. ამ თეატრს შეტევა უნდა განეხორციელებინა რინე-ემსის მიმართულებით. აღნიშნული გეგმის რეალიზაციისას ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ძალების დუნაის ფრონტს უნდა ემოქმედა ლინც-ზალცბურგ-მიუნხენ-ულმის მიმართულებით და შემდეგ უფრო ჩრდილოეთისკენ, რათა სამხრეთიდან მოეცვა ნატოს არმიათა ცენტრალური ჯგუფი. იგივე ჯგუფი დასავლეთიდან უნდა მოეცვა საბჭოთა მე-4 ფრონტს და



ვხო-ს შესაძლო შეტევა აღსტრიის, იტალიის, შვეიცარიის და სამხრეთ გერმანიის მიმართულებით

ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიას. გარემოცვა სადღაც ულმის რაიონში შეიძლებოდა დასრულებულიყო. უკანასკნელი სცენარის რეალიზების შემთხვევაში ნატოს მხრიდან გათვალისწინებული იყო საბრძოლო მოქმედებებში ფრანგების ჩართვაც. მაგალითად, დუნაის ფრონტის სამხრეთ გერმანიაში შეჭრისათვის წინააღმდეგობას ითვალისწინებდა 1987 წლის სექტემბერში ბუნდესვერის მე-2 კორპუსისა და საფრანგეთის სწრაფი რეაგირების ძალების ერთობლივი სწავლება. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ძალების მიერ ავსტრიაზე შეტევისათვის საუკეთესო მიმართულებად ითვლებოდა უნგრეთიდან დარტყმა დუნაის დაბლობის გავლით. იგივე ითქმის ჩეხოსლოვაკიიდან ლინცის მიმართულებით შეტევაზეც. ამისთვისაც დუნაის დაბლობი საუკეთესო ზონას წარმოადგენდა. ლინცსა და საზღვარს შორის ტერიტორია მეტ-ნაკლებად გახსნილი და ბორცვიანი მხარეა, რომელიც არცთუ დიდად ართულებს აღმოსავლეთიდან მსხვილი დაჯგუფების შელწევას, თუკი შემტევთა ტაქტიკური მიმართულება მეტისმეტად ჩრდილოეთით არ გადაუხვევს. ადვილი გამოსაყენებელი იყო ლინციდან ჩსსრ-ის საზღვრამდე გამავალი ოთხზოლიანი ავტობანი.

ავსტრიელთა ძირითადი ფორტიფიკაციები თავმოყრილი იყო ლინცის გარშემო. აქ დუნაის სისწრაფე ისეთი იყო, რომ ძალზე ართულებდა მდინარის გადალახვას, ორ პუნქტს გარდა. ასე რომ, ლინცის დაკავება მხოლოდ სწრაფი საჰაერო-სადესანტო ოპერაციით შეიძლებოდა, თუმცა მიუნხენის მიმართულებით შეტევა ამ შემთხვევაშიც კი გართულდებოდა რელიეფის თავისებურების გამო. სახელდობრ, გაჭირდებოდა ზალცბურგისკენ გაშლილ ტერიტორიაზე გაჭრა, ვინაიდან დუნაის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი კარგი დასაცველი იყო. ამისგან განსხვავებით, არ ეტყობოდა, რომ ავსტრიელები ბოლომდე აპირებდნენ თავიანთი დედაქალაქის დაცვას. თუმცა გარკვეული წინააღმდეგობა მაინც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან დედაქალაქის ჩრდილოეთით, მანამ, სანამ მთები დაბლა ეშვებიან დუნაის გადაკვეთამდე, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ძალების შეკავება ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ავსტრიელთა სტრატეგია გულისხმობდა შემაკავებელ ბრძოლებს ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში, რათა არ დაეშვა მოწინააღმდეგის შელწევა ქვეყნის ტერიტორიის სიღმეში.

ავსტრიელთა ყველა ხიდი, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის დროს იყო აშენებული, მომზადებული იყო ბარიერების დასაყენებლად და

ასაფეთქებლად. უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოვლენების შემდეგ ავსტრიელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემა. საბჭოელები ავსტრიაზე შეტევისათვის ითვალისწინებდნენ შვეიცარიის პოზიციასაც. მაგალითად, შვეიცარიის სამხედრო-საჰაერო ძალებს შეეძლოთ ლინც-ზალცბურგის ზემოთ საჰაერო დაცვა განეხორციელებინათ ავსტრიელთა შესუსტებული ან სულაც განადგურებული ძალების ნაცვლად. ნატოსათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმასაც, რომ შვეიცარიელებსა და ავსტრიელებს გაერთიანებული ძალებით შეენარჩუნებინათ კომუნიკაციები, რომლებიც ინსბრუკზე გადიოდა და ერთმანეთთან აკავშირებდა ჩრდილო იტალიასა და სამხრეთ გერმანიას.

§ 46
ადრიატიკის მიმართულება

ადრიატიკის მიმართულება მოიცავდა იუგოსლავიის ტერიტორიის ნაწილს. სიგანე 300-500 კმ, სიღრმე 500-700 კმ. ამ ტერიტორიის დაკავებით ვხო-ს ძალებს უნდა უზრუნველეყოთ იტალიაზე მასშტაბური შეტევის შესაძლებლობა, აგრეთვე ეკონტროლებინათ მნიშვნელოვანი კომუნიკაციები ნატოს სამხრეთის ფლანგის სახელმწიფოებს შორის, მიმართულებით — ვენა-ბელგრადი-ათენი. ამავე ტერიტორიის დაკავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უნგრეთისა და რუმინეთის ინდუსტრიული ცენტრების დასაცავად (თუ, რასაკვირველია, რუმინეთი ცალსახად დადგებოდა ვხო-ს გვერდით). დინარული ალპების გადასაკვეთად ვხო-ს ძალებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი იყო ბოსნია და მდ. ნერეტვას მიმდებარე ტერიტორია. ოპერატიული ტევადობა — 10-15 დივიზია (მათგან მდ. სავას დასავლეთით 4-5 დივიზია).

ვხო-ის იუგოსლავიაზე შეტევისას ტაქტიკურ ღერძს დუნაის დაბლობზე უნდა გაევლო. შემტევებს რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაეკავებინათ ბელგრადი. მაგრამ იუგოსლავიის არმიის გასანადგურებლად ეს საკმარისი არ იყო. იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების მანამ უნდა განადგურებულიყო, სანამ ამოქმედდებოდა იუგოსლავიელთა ტერიტორიული დაცვის ძალების განტოტვილი ქსელი (ამ ქსელის ეფექტიანობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ იუგოსლავიის

დაშლის პროცესში სლოვენიის ტერიტორიული დაცვის ნაწილებმა მოახერხა ფედერალური არმიის შეჩერება და ფაქტობრივად მათი დამარცხება). ბელგრადზე შეტევისათვის სახმელეთო ჯარების გარდა გამოყენებული იქნებოდა საჰაერო დესანტებიც.

ძნელი გასარკვევია, რა შეიძლებოდა ყოფილიყო იუგოსლავიაზე შეტევის პოლიტიკური მიზანი: ქვეყნის ოკუპაცია, ჩრდილო იტალიის ქვეთეატრის სამხრეთის ფლანგზე უპირატესობის მოპოვება, თუ ორივე ერთად. ცხადია, რომ იუგოსლავიაზე შესაძლო შეტევაში მონაწილეობას ბულგარეთიც მიიღებდა. გასაგები უნდა ყოფილიყო იუგოსლავიის არმიის საპასუხო ღონისძიებებიც: მას უნდა დაეხია ქვეყნის შუაგულისა და ადრიატიკის მიმართულებით და, სადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ავსტრიის, იტალიისა და საბერძნეთის საზღვრებისაკენ.

§ 47
იტალია

ხმელთაშუა ზღვის ცენტრში 700 მილზე შეჭრილი იტალია არის სანაპირო ხაზებისა და საზღვაო კომუნიკაციების უმნიშვნელოვანესი გამაკონტროლებელი. ეს კომუნიკაციები ერთმანეთთან აკავშირებს ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკას. ამასთან, ნატოს სამხრეთი სარდლობისადმი მიკუთვნებული იტალია ერთგვარი გამაერთიანებელი რგოლი იყო სამხრეთ და ცენტრალურ თეატრებს შორის. მით უფრო, რომ იტალია ერთმანეთთან აკავშირებდა ნატოს სამხრეთის სარდლობასა და ცენტრალურ ევროპასთან მიმდებარე ნეიტრალურ სახელმწიფოებს: შვეიცარიასა და ავსტრიას.

იტალიის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას განსაზღვრავდა შემდეგი გარემოებები:

- ჩრდილო იტალია ერთმანეთთან აკავშირებდა ნატოს სამხრეთ და ცენტრალურ თეატრებს. მისი ოკუპაციის შემთხვევაში საბჭოთა ძალებს შეეძლებოდა შეტევა როგორც სამხრეთ გერმანიაზე, ისე სამხრეთ საფრანგეთზე. ერთ შემთხვევაში ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა სამხრეთ გერმანიაში ნატოს ბრძოლისუნარიანი შენაერთების განადგურება, ხოლო მეორე შემთხვევაში — საფრანგეთში სამხრეთიდან შეჭრის შიშით ამ ქვეყნის ბრძოლისუნარიანი შენაერთების გამოწვევა ცენტრალური ევროპიდან

და, მაშასადამე, იქ ნატოს მთლიანი თავდაცვითი სისტემის შესუსუტება. საფრანგეთზე სამხრეთიდან შეტევისათვის აუცილებელი იქნებოდა პოს დაბლობის ოკუპირება და შემდგომ შეტევა რონის დაბლობის მიმართულებით, საიდანაც შეიძლებოდა გაჭრა როგორც ლიონის, ისე პირენეების მხარეს. ამასთან ამგვარი შეტევისას შესაძლებელი იქნებოდა ნატოს ცენტრალურ და სამხრეთ სარდლობებს შორის კომუნიკაციების გაწყვეტა შვეიცარიისა და ავსტრიის ოკუპაციის გარეშე (თეორიულად მაინც).

● ვარშავის ხელშეკრულების ძალების მიერ დასავლეთ თურქეთის, საბერძნეთისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ოკუპირების შემთხვევაში იტალია უნდა ყოფილიყო ბარიერი, რომელიც შეაჩერებდა საბჭოთა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ექსპანსიას დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულებით. მხოლოდ იტალიის ტერიტორიის კონტროლს შეეძლო უზრუნველეყო ჰიბრალტარის მიმართულებით საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება.

● იტალიის, განსაკუთრებით მისი ჩრდილო ნაწილის, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. ეს განსაკუთრებით ეხება ვენეციის რაიონს ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში, პოს დაბლობის წინ, აგრეთვე იტალიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ-ინდუსტრიულ რაიონებს, რომელნიც ერწყმიან გენუასა და ლივორნოს და ლიგურიის ზღვაზე მდებარე სპეციას (ეს უკანასკნელი იტალიის ფლოტის ერთ-ერთი მთავარი ბაზაა).

● იტალიის პორტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცენტრალურევროპული დაჯგუფების გასაძლიერებლად გამიზნული ამერიკული ძალების გადასროლისათვის. ეს მნიშვნელობა შეუდარებლად იზრდებოდა, თუ ვარშავის ხელშეკრულების ძალები მოახერხებდნენ ცენტრალურევროპული თეატრის მომარაგებისთვის ისეთი გადამწყვეტი პორტების ნეიტრალიზაცის, როგორებიც იყო: ჰამბურგი, ბრემენი, როტერდამი, ანტვერპენი. ასეთ შემთხვევაში ოკეანის გაღმიდან გადმოსროლილი ჯარებისა და ტვირთების მიღების მთელი სიმძიმე სამხრეთის თეატრზე მოვიდოდა.

● ჩრდილო იტალიის აეროდრომებს უმნიშვნელოვანესი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო სავარაუდო საბრძოლო მოქმედებებზე არა მხოლოდ სამხრეთ, არამედ ცენტრალურ ევროპაშიცა და ხმელთაშუაზღვისპირეთშიც. ამ როლს ადასტურებს ისიც, რომ იუგოსლავიის წინააღმდეგ კოსოვოს ომში მოქმედი ავიაციის უმრავლესობა ჩრდილო იტალიაში იყო ბაზირებული.

● ამერიკული და ფრანგული ავიამზიდების ავიაცია შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო ცენტრალურევროპულ და სამხრეთევროპულ თეატრებზე ნატოს დაჯგუფების მხარდაჭერისათვის იმ პირობით, თუ ნატო შეინარჩუნებდა კონტროლს იტალიაზე.

● ფაქტობრივად, იტალიაზე შეტევის ეფექტიანობა დამოკიდებული იყო ავსტრიასა და იუგოსლავიაში საბჭოთა ინტერვენციის ეფექტიანობაზე. ნატოსთვის საბედნიეროდ, ორივე ეს ქვეყანა საიმედო ბუფერს ქმნიდა ვარშავის ხელშეკრულების მხრიდან აგრესიის წინააღმდეგ. საბჭოთა ბლოკის ძალებისათვის იტალიაზე შეტევისას ყველაზე უფრო ხელსაყრელ მიმართულებას წარმოადგენდა გორიციას ხეობა. აქ არსებული გამაგრებების გარღვევა შესაძლებელი იქნებოდა საფრონტო ოპერაციის ფარგლებში განხორციელებული პირდაპირი შეტევით. თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ ჩრდილოეთით ალპური ბარიერის არსებობა აიოლებდა ნატოს თავდაცვას ავსტრიის მხრიდან შემტევი საბჭოთა ძალების წინააღმდეგ. მით უფრო, რომ ამ მიმართულებას იცავდა იტალიის არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთი — ალპური კორპუსი.

ჩრდილო-იტალიის ოპერაციული თეატრის ფრონტის ზოლი 100-200 კმ იქნებოდა, სიღრმე 600-750 კმ. ოპერატიული ტევადობა 6-8 დივიზია. საბჭოთა სტრატეგები თვლიდნენ (ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო), რომ ეს ქვეთეატრი შეიძლებოდა გამოყენებულიყო ცენტრალურევროპულ თეატრზე ნატოს დაჯგუფების გასაძლიერებლადაც. შესაბამისად სტრატეგიული ამოცანა იყო ჩრდილო-იტალიური ქვეთეატრის, როგორც ცენტრალურევროპული თეატრის გამაძლიერებელი რგოლის ფუნქციის მოშლა. სხადასხვა სცენარიდან გამომდინარე, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ავსტრიიდან ან იუგოსლავიიდან (ან ორივედან) განხორციელებული საფრონტო ოპერაციებით. ამ ოპერაციათა სტრატეგიული ამოცანები იქნებოდა:

● ვენეციის რაიონი ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში, პოს დაბლობის წინ, აგრეთვე იტალიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ-ინდუსტრიულ რაიონები, რომელნიც ერწყმიან გენუას და ლიგორნოს, აგრეთვე ლიგურიის ზღვაზე მდებარე სპეცია;

● სიცილიაზე მდებარე ობიექტები, განსაკუთრებით იქ ბაზირებული აშშ-სა და იტალიის დიდი რადიუსის მქონე ნავსაწინააღო თვითმფრინავების ბაზები, იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა

ტრაპანაში, მე-6 ფლოტის ბაზა აუგუსტა-ბეიში და სახმელეთო ბაზირების ფრთოსანი რაკეტების ბაზები;

● ბარი-ტარანტოს საპორტო კომპლექსი, სადაც მდებარეობდა ნატოს, სახელდობრ, მე-6 ფლოტის მომარაგების, ზურგისა და საჭურვლის ბაზები.

ჩრდილო იტალიაზე შეტევისას საბჭოთა პაქტის ძალების უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა ყოფილიყო ავსტრიის კაპიტულაციის უსწრაფესად მიღწევის შემდეგ ინსბრუკისა და ბრენერის ულელტეხილის დაკავება და შემდგომი შეტევა მდინარეების ლაფნიცის და რაბის გაყოლებით. შემდგომი დარტყმებით იტალიისაკენ გრაცი-კლაგენფურტ-იტალიის მიმართულებით. ავსტრიის სამხრეთ ნაწილში მდებარე საფორტიფიკაციო ნაგებობებსა და ბარიერებს პრინციპში შეეძლოთ ერთიანი სისტემის შექმნა იტალიელთა თავდაცვით სისტემებთან[77].

§ 48
საბერძნეთი

საბერძნეთს კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭებოდა საზღვაო ზოლისა და მიმდებარე აკვატორიუმის დაცვაში, აგრეთვე საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის ბლოკირებაში. ჩრდილო საბერძნეთსა და თურქეთის (დასავლეთ) თრაკიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე სახელმწიფოს დაცვისათვის. რეგიონის სპეციფიკა იმაში იყო, რომ არასაზღვაო ძალები შეიძლებოდა გამოყენებულიყო საზღვაო ოპერაციების მიზანთა მისაღწევად და პირუკუ.

ჩრდილო საბერძნეთში საბრძოლო მოქმედებების ბედზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენდა ის, თუ როგორ განვითარდებოდა შეტევები თესალონიკიდან ათენის მიმართულებით და ბულგარეთიდან თურქეთის თრაკიაზე. ტერიტორია ხელსაყრელია სატანკო და მექანიზებული შენაერთების მოქმედებისათვის. მით უფრო, რომ თურქულ და ბერძნულ ძალებს მცირე რაოდენობით ჰქონდათ თანამედროვე ტანკსაწინააღო იარაღი, ჰაერსაწინააღო დაცვისა და კომუნიკაციის საშუალებები. თურქული და ბერძნული ძალები ძირითადად ქვეითები იყვნენ. აკლდათ თანამედროვე არტილერია და მასობრივი განადგურების იარაღიდან დაცვის სისტემები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ

ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ბერძნებიცა და თურქებიც ახორციელებდნენ მოდერნიზაციის პროგრამებს.

ხსენებულის გარდა საბერძნეთის დაცვას კიდევ რიგი ფაქტორები ართულებდნენ. საბერძნეთს საკმაოდ დიდი სახმელეთო საზღვარი გააჩნდა, რომელიც კონფიგურაციის გამო ძნელი დასაცავი იყო. თესალონიკიდან დასავლეთით შესაძლო ფრონტი წარმოადგენდა გრძელ, მაგრამ ვიწრო ტერიტორიას, რომლის სიფართეც ზოგჯერ 35 კმ-ს აღწევდა (ქსანტასა და კომოტინის შორის). ბულგარეთთან საზღვრის გაყოლება 1000 კმ-ია. ასეთი ტერიტორიის დაცვა იმგვარი მასირებული და კონცენტრირებული შეტევისგან, რომელიც სსრ კავშირისგან იყო მოსალოდნელი, საკმაოდ ძნელი იქნებოდა. ფრონტის სიგიწროვე მნიშვნელოვნად შეზღუდავდა დამცველი მხარის მანევრულობას. ამას გარდა, ძნელი განსასაზღვრი იქნებოდა მთავარი დარტყმის მიმართულება. თავდაცვისათვის აუცილებელი იყო მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება ჯერ კიდევ მშვიდობიან პერიოდში. მდგომარეობის დამატებითი გამართულებელი გარემოება იყო დაძაბული ურთიერთობა ბერძნებსა და თურქებს შორის.

თუ იონიის მიმართულებით ვარშავის ხელშეკრულების ძალების მოქმედება მიიღებდა საფრონტო ოპერაციის სახეს, ფრონტის სიგანე 180-400 კმ. იქნებოდა, სიღრმე – 400-500 კმ. იგი მოიცავდა იონიის სანაპიროსა და კუნძულებს, რომლებიც სადესანტო ოპერაციით იქნებოდა დასაკავებელი, აგრეთვე კონტინენტურ საბერძნეთსა და ოტრანტოს. თეატრის ოპერატიული ტევადობა 5-6 დივიზია იყო. აუცილებელი იყო შემტევი ძალების უზრუნველყოფა საბრძოლო აღჭურვილობით, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით, შვეულმფრენებით და ა.შ. საბერძნეთში შეჭრა უნდა სტრუქტურირებულიყო, როგორც საფრონტო მიმართულება, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო ეგეოსის სტრატეგიული ხაზი – აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი. საფრონტო ოპერაციის ძირითადი სამიზნე საბერძნეთში უნდა ყოფილიყო კორინთოს არხი, რომელიც გარდა საკომუნიკაციო მნიშვნელობისა, ხელსაყრელ თავდაცვით პოზიციასაც წარმოადგენდა. საფრონტო ოპერაციის მეორე ეტაპზე საჰაერო-სადესანტო ძალების მონაწილეობით უნდა მომხდარიყო პელოპონესის ოკუპაცია, ხოლო ოპერაციის დასასრულს – კრეტის კომბინირებული (საზღვაო-საჰაერო) ოკუპაცია.

საბერძნეთის კუნძულებსა და ეგეოსზე საზღვაო და საჰაერო-სახმელე-

თო შეტევა მიიღებდა საფრონტო ოპერაციის სახეს ცენტრალური საბერძნეთიდან დასავლეთ თურქეთამდე თავდაცვითი პერიმეტრის წინააღმდეგ, რომელიც მოიცავდა ზოლს — პელოპონესი-კრეტა-თურქეთის კონტინენტური მასა. თუ ვარშავის ხელშეკრულება დაიკავებდა ნატოს ისეთ აეროპორტებს, როგორებიცაა: ლარისა, ახალი ანხიალოსი, პრევეზა და ტანაგრა, საბჭოთა სუ-24-ებს შეეძლებოდათ დარტყმების განხორციელება კონტინენტურ იტალიასა და სიცილიაზე. ამავე მიმართულებით დარტყმების განხორცელება სსრ კავშირს შეეძლო ლიბიიდანაც. საბერძნეთის აეროდრომების დაკავებით სსრ კავშირს შეეძლებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში საბჭოთა ფლოტის ოპერაციების ჰაერიდან მხარდაჭერა.

მოსალოდნელი იყო, რომ საბერძნეთის წინააღმდეგ მოქმედებისას ვარშავის ხელშეკრულების ძირითადი მიზნები იქნებოდა:

- თესალონიკში ვარდარისა და სტრუმას ველები და აქედან შეტევა ბერძენთა პოზიციებზე ლარისას მიმართულებით, სადაც მდებარეობდა ბერძენთა I საველე არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობები;
- პირეენ-ვოლოსოს პორტების კომპლექსები, სადაც შეიძლებოდა ბაზირებული ყოფილიყო მე-6 ფლოტის დიდი გემები;
- კრეტა, პირველ ყოვლისა, საუდა-ბეი თავისი საპორტო კომპლექსითა და აეროდრომებით, ირაკლიონის საჰაერო ბაზა და ნატოს რაკეტული ცენტრი[78]

§ 49
დასავლეთ თურქეთი

თურქეთი კრიტიკული ბარიერი იყო სსრ კავშირის მიმართ, ერთი მხრივ, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთისაკენ. ვარშავის ხელშეკრულების და ნატოს სამხრეეროპული თეატრის უშუალო სახმელეთო საზღვრის 1500 კმიანი მონაკვეთიდან 610 კმ მოდიოდა თურქეთ-სსრკ-ისა და 209 კმ — თურქეთ-ბულგარეთის საზღვრებზე. დასავლეთელი ექსპერტების აზრით, თურქეთის სრუტეების წინააღმდეგ კამპანია პირდაპირ კავშირში არ იყო აღმოსავლეთ ანატოლიაში წარმოებულ მოქმედებებთან. ჩვენს

მიერ აღწერილი ასიმეტრიულობის გამო ბოსფორ-დარდანელზე შეტევა პირდაპირ კავშირში არ იყო სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოქმედებებთან, სამაგიეროდ ეს ოპერაცია შეიძლებოდა პირდაპირ კავშირში ყოფილიყო საბერძნეთის წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციასთან. ამასთან ნატოს სტრატეგები ბოსფორ-დარდანელის მიმართულებით შეტევას განიხილავდნენ ორი სხვადასხვა სცენარის რეალიზაციის კონტექსტში. პირველი სცენარი გულისხმობდა საბჭოელთა შედარებით შეზღუდულ კამპანიას ბულგარეთის მხრიდან, თრაქიის გავლით, თურქეთის სრუტეების წინააღმდეგ. ამგვარი შეტევის სტრატეგიული ამოცანა თეორიულად მაინც შეიძლებოდა თავდაცვითი ყოფილიყო და ეგულისხმა აშშ-ს მე-6 ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის გზის ჩაკეტვა სსრ კავშირის, ბულგარეთისა და რუმინეთის წინააღმდეგ შავი ზღვის მხრიდან შესაძლო მოქმედებათა წარმართვისათვის. ამგვარი „მოკრძალებული" სცენარის განხორციელებისას ვარშავის ხელშეკრულების ძალებს ბულგარეთში უნდა დაეკავებინათ თავდაცვითი პოზიციები საბერძნეთის წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ამგვარი მოქმედებით დაარწმუნებდნენ საბერძნეთს დაეკავებინა ნეიტრალური პოზიცია ან საერთოდ ჩამოშორებოდა ნატოს. ასეთ ვითარებაში ვარშავის ხელშეკრულების ძალები გათავისუფლდებოდა სამხრეთ-დასავლეთით ერთიანი საფრონტო ოპერაციის გამნხორციელების აუცილებლობისგან და თურქეთის თრაქიის გავლით შეეძლებოდა პირდაპირი დაერტყა სრუტეების მიმართულებით. ამასთანავე, სრუტეებზე ამგვარი შეტევა შეიძლებოდა განხორციელებულიყო ჩრდილო იტალიასა და აღმოსავლეთ ანატოლიაში პარალელური საბრძოლო მოქმედებათა განხორციელების გარეშე. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ თვით სრუტეების დაკავების შემთხვევაშიც კი ვარშავის ხელშეკრულების ძალებს გაუჭირდებოდათ მათი ოპერატიული გამოყენება აშშ-ის, თურქეთისა და, შესაძლოა, საბერძნეთის საჰაერო ძალების გამუდმებული დარტყმების გამო.

სრუტეებზე შეტევისას ან უფრო ფართომასშტაბიანი ოპერაციისას ვარშავის ხელშეკრულების ძალებისათვის აუცილებელი იქნებოდა პარალელური საჰაერო შეტევის განხორციელება საბერძნეთისა და თურქეთის სახმელეთო მასების სიღრმეში, იქამდეც კი, რომ ნეიტრალიზებული ყოფილიყო კრეტაზე არსებული სამხედრო ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა ნატოს გაერთიანებული საჰაერო

დაცვის სისტემასა და საზღვაო ამოცანების გადასაწყვეტად ორიენტირებული ავიაციის მართვას. იდეალურ შემთხვევაში საბჭოთა ავიაციას უნდა განეხორციელებინა დარტყმები კონტინენტალური იტალიის და სიცილიის აეროდრომებზე, რათა ჩაეხშო იტალიის ჰაერსაწინააღო სისტემა, რის გარეშეც კომუნისტური ბლოკის ძალები ვერ განახორციელებდნენ შეტევას ჩრდილოეთ იტალიაზე.

სრუტეებზე შეტევას სსრ კავშირისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა თუგინდ იმის გამო, რომ საბჭოთა ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზე კამპანიის განხორციელებას ვერ მოახერხებდა ევროპულ თურქეთსა და ჩრდილო საბერძნეთში განხორციელებული წარმატებული საჰაერო/სახმელეთო მოქმედებების გარეშე.

თურქეთის სრუტეებზე შეტევისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების დაქვემდებარებაში იქნებოდა სსრ კავშირის შავი ზღვის ფლოტი, ოდესისა და კიევის სამხედრო ოლქების ძალები, 1-2 საჰაერო-სადესანტო დივიზია, ბულგარეთის და, შესაძლოა, რუმინეთის შეიარაღებული ძალები (მთლიანად ან ნაწილობრივ).

თურქეთის სრუტეებზე შეტევა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ იგეგმებოდა, როგორც ერთიანი საფრონტო ოპერაცია. სრუტეებისა და თურქეთის დასავლეთი ნაწილის მიმართ ვარშავის ხელშეკრულების ძალების ოპერატიულ-სტრატეტგიული სამიზნეები იქნებოდა:

- სრუტეები და მიმდებარე სახმელეთო და საჰაერო ტერიტორიები;
- თურქეთის დასავლეთი სანაპირო იზმირის სიახლოვეს, სადაც დისლოცირებული იყო გაერთიანებული სახმელეთო სარდლობის (ლანდ სოუტეასტ) შტაბი და მის მახლობლად, ჩიგლის ავიაბაზაზე, მდებარე ნატოს მე-6 გაერთიანებული სარდლობის შტაბი;
- ისკანდერონის ზურგის კომპლექსი ინჯირლიკის საავიაციო ბაზის ჩათვლით, სადაც განლაგებული იყო აშშ-ის ავიაესკადრილიები.

ბოსფორ-დარდანელის ოპერაცია ვარშავის ხელშეკრულების მიერ განიხილებოდა, როგორც სამხრეთის საფრონტო ოპერაციის ერთ-ერთი ფლანგი, რომელსაც ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ცხადია, საბერძნეთ-კრეტა-დასავლეთ თურქეთის კონტინენტური ზოლის დაკავების გარეშე საბჭოთა ფლოტი ვერ გავიდოდა ხმელთაშუა ზღვის სივრცეებზე, მაგრამ სრუტეებზე გაბატონებით ის გადაწყვეტდა სტრატეგიულ-თავდაცვით ამოცანას — აღუკვეთავდა ნატო-ს ფლოტს შავ ზღვაში შესასვლელს. სრუტეებზე

საფრონტო ოპერაციის ოპერატიული ტეეადობა 5-6 დივიზია იყო, მათგან 2 საჰაერო-სადესანტო.

სრუტეებზე შეტევის ძირითადი ღერძი დასავლეთიდან უნდა ყოფილიყო. მეორადი ოპერატიული მიმართულება იქნებოდა კირკლარელის ჩრდილოეთით. მთავარი ბარიერი უნდა გასულიყო იალდიჩ-დაგლანის ზონაში. თურქეთის თრაქიიდან პირდაპირ შეიძლებოდა შეტევა სტამბულზე. ამ მიმართულებით ბუნებრივ ბარიერებს ქმნიდა მდინარეების გასტვრივ მდებარე ბორცვიანი ზონები. ამ ბარიერთაგან ზოგირთი ფორტიფიცირებული იყო (იხ. რუკა 169-ე გვერდზე).

ბოსფორთან თურქთა ბოლო პოზიცია, შესაძლოა, ყოფილიყო ცატალცა, რომელიც 24 კმ-ზე გრძელდებოდა. თუმცა, თურქეთ-ბულგარეთის თრაქიული საზღვრის შავიზღვისპირა მონაკვეთი იმგვარი იყო, რომ ვარშავის ხელშეკრულების ძალებს შავი ზღვის მხრიდან დამცველთა პოზიციის მოცვის შანსს აძლევდა საზღვაო-სადესანტო ოპერაციის გზით. ასევე დესანტმისადგომი იყო ჩრდილო-დასავლეთ ანატოლია, თუმცა ბოსფორი კარგად იყო გამაგრებული. ამას გარდა, გასათვალისწინებელი იყო ისტორიული გამოცდილებაც; სახელდობრ, I მსოფლიო ომში თურქების მიერ ანგლო-ფრანგული დესანტის წინააღმდეგ განხორციელებული უაღრესად წარმატებული ანტისადესანტო ოპერაცია.

ვარშავის ხელშეკრულების მიერ სრუტეებზე მიტანილი შეტევის ერთ-ერთი მიმართულება გულიხმობდა ფლოტისა და ავიაციის დახმარებით განხორციელებულ კომბინირებულ ოპერატიულ-სტრატეგიულ სადესანტო ოპერაციას. ამასთან დესანტისათვის გამოყოფილი ძალები უსწრაფესად უნდა გაეძლიერებინათ სპეციალურად გაწვრთნილ მოტოქვეითებს. ამგვარი სცენარი გათამაშდა ვარშავის ხელშეკრულების ჯარების მიერ 1982 წლის 28 სექტემბერიდან 2 ოქტომბერამდე ბულგარეთში განხორციელებულ მანევრებში „Щит-82". ამ მანევრებისას ვარშავის ხელშეკრულების ფლოტებმა და ავიაციამ შეტევები მიიტანა „მოწინააღმდეგის" ძალებზე, სახელდობრ, არტილერიაზე. ვარშავის პაქტის ტრალერმა კატარღებმა და შვეულფრენებმა დაიწყეს დესანტისათვის აუცილებელი ფარვატერის განაღმვა. საზღვაო და საჰაერო მედესანტეებმა (შვეულმფრენებიდან) გადასხეს დესანტები, რომელთაც მხარს უჭერდა ჯავშანსატანკო ძალები. საარმიო შვეულმფრენები დანაღმულ ველებში გასასვლელებს აკეთებდა. აქტიურად

მოქმედებდა საზღვაო ავიაციაც. იყენებდნენ პარაშუტისტებს. მათი დესანტირების ზონებს წინასწარ ამუშავებდნენ საბჭოთა და ბულგარული ბომბდამშენები და გამანადგურებელ-ბომბდამშენები. საჰაერო დესანტების გადასატყორცნ ილ-76-ებს იცავდნენ საბჭოთა და ბულგარული გამანადგურებლები.

რამდენად რეალისტური იყო ამგვარი შეტევის წარმატება არსებული ბალანსის პირობებში? ვფიქრობთ, მინიმალური. ბულგარეთს სამხედრო დროის (სრული) შტატებით გაშლილი ჰყავდა 5 დივიზია და 4 სატანკო ბრიგადა. მაგრამ ისინიც საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანისათვის 96 საათს, ანუ ოთხ დღე-ღამეს საჭიროებდნენ. ერთ კვირაში გაიშლებოდა კიდევ სატანკო ბრიგადა და სამი დივიზია, ორ კვირაში — კიდევ ორი დივიზია, მაგრამ ამ დროს კრიტიკული მონაკვეთი უკვე გავლილი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, პირველ ათ დღეში ბულგარეთის 10 დივიზიის ექვივალენტური დაჯგუფება უპირისპირდებოდა თურქეთისა და საბერძნეთის 24 დივიზიას, რომლებიც ამავე დროს პირადი შემადგენლობითაც აღემატებოდნენ ბულგარულ დივიზიებს. მართალია, ბერძნული და თურქული არმიები ცენტრალური ევროპის ნატოს წევრ სახელმწიფოებთან შედარებით მოძველებული ტექნიკით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ არც ბულგარეთის არმია იყო პირველხარისხოვანი. ეხოსათვის ვითარება კიდევ უფრო გართულდებოდა, თუ ცენტრალური ევროპის თეატრზე, სახელდობრ მის შესაძლო სამხრეთ მონაკვეთზე, ოპერატიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სსრკ დაარღვევდა იუგოსლავიის ნეიტრალიტეტს (ეს მოსალოდნელიც იყო, რამდენადაც ეს თეატრი გადამწყვეტად ითვლებოდა). ამ შემთხვევაში ნატოს მხარეს ომში იუგოსლავია მექანიკურად ერთვებოდა, რის შედეგადაც ბულგარეთის აღმოსავლეთ ნაწილი, დედაქალაქის ჩათვლით, ახალი დარტყმის ქვეშ დგებოდა. ამასთან საკმარისი იყო რუმინეთს თავის ტერიტორიაზე არ გაეტარებინა სსრკ-ისა და (საჭიროების შემთხვევაში) უნგრეთის ძალები, რომ ბულგარეთი ნატოს წინაშე მარტო რჩებოდა. სსრკ-ს რომც მოეხერხებინა რუმინეთის რამდენიმე დღეში დაკავება, მისი კომუნიკაციების წესრიგში მოყვანას საკმაო დრო დასჭირდებოდა. ასე რომ, სსრკ-ის ძალებს ამ ვითარებაშიც ბულგარეთამდე მისაღწევად ერთნახევარი-ორი თვე დასჭირდებოდა. არსებობდა საბჭოთა არმიის ზღვით გადასროლის შესაძლებლობაც, მაგრამ, ჯერ ერთი, საბჭოელებს ამხელა მასის გადასროლის გამოცდილება არ ჰქონდათ, მეორე — ბულ-

ეხო-ს შესაძლო შეტევის მიმართულებები სამხრეთისა და დასავლეთ თურქეთზე

გარეთის პორტები უბრალოდ ვერ აუვიდოდა ამ ოდენობის ტვირთების დამუშავებას და მესამე, ნატოს ავიაცია, წყალზედა ხომალდები და წყალქვეშა ნავები დიდ სირთულეებს შეუქმნიდა ამგვარ გადასროლას. ასე რომ, ბულგარელები დიდ სირთულეებს წააწყდებოდნენ, ხოლო ნატოს საკმარისი დრო ექნებოდა რეზერვების გადასროლისა და კრიტიკული მიმართულებების გაძლიერებისათვის.

§ 50
აღმოსავლეთ ანატოლია

ანატოლიის მიმართულება დაშორებული იყო სამხრეთ ევროპის თეატრის სასიცოცხლო ობიექტებისაგან, თვით თურქეთის სტრატეგიული ობიექტების ჩათვლით. ამის მიუხედავად, საბჭოთა გეგმებში მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქედან უნდა მომხდარიყო საბჭოთა ჯარების გაჭრა ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, სახ-

RUSSI
GEORGIA
TBILISI
Batumi
Trabzon
Ordu
GIRESUN
ARMENIA
ERZURUM
ERZINCAN
TURKEY
AGRI
MUS
BITLIS
VAN
DIYARBAKIR
SIIRT
MARDIN
SIRNAK
HAKKARI
IRAQ
ADIYAMAN
MALATYA
SANLIURFA
BINGOL
TUNCELI
Ahali-Kindgi
Ankara
Sinop
Samsun
Tokat
Yozgat
Kayseri
Sivas
Malatya
Elazig
Diyarbakir
Mardin
Van
Bitlis
Muş
Erzurum
Erzincan
Kars
Ardahan
Batumi
Tiflis
Yerevan
Nakhichevan
Tabriz
Urmia
Mosul
Erbil
Kirkuk
Baghdad
Tehran
Qazvin
Rasht
Ankara
Kayseri
Adana
Mersin
Antakya
Gaziantep
Sanliurfa
Diyarbakir
Mardin
Siirt
Van
Bitlis
Muş
Erzurum

§ 51
საავიაციო ბალანსი სამხრეთ ევროპის თეატრზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავიაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა თეატრზე მოქმედებისათვის. ჰაერში ბატონობა გადამწყვეტ ზეგავლენას მოახდენდა ხმელეთსა და ზღვაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ბედზე. ამასთან, განსხვავებით სახმელეთო თეატრისაგან, საბრძოლო მოქმედებათა საჰაერო სივრცე შეიძლებოდა ერთიან მთელად ან ამგვარ მთლიანობასთან მიახლოებულად განგვეხილა, ვინაიდან იტალიასა და ესპანეთში ბაზირებულ თვითმფრინავებსაც კი შეეძლოთ მონაწილეობის მიღება აღმოსავლეთით მდებარე ქვეთეატრების საჰაერო სივრცეში მიმდინარე მოქმედებებში. სახმელეთო თეატრისაგან საჰაეროს განასხვავებდა ისიც, რომ აქ გეოსტრატეგიული უპირატესობა აშკარად ნატოს მხარეს იყო. დარტყმები რომ განეხორციელებინა ნატოს ძირითადი ობიექტების წინააღმდეგ და მხარი დაეჭირა თავისი სახმელეთო ჯარებისათვის, ვარშავის ხელშეკრულების ავიაციას უნდა დაერტყა თავისი ეროვნული ტერიტორიიდან დიდ მანძილზე და იმ საჰაერო სივრცეების გავლით, რომელსაც ნატოს ავიაცია აკონტროლებდა (უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე ბაზირებულ ავიაციაზე). ამას გარდა, ბულგარეთისა და უნგრეთის ტერიტორიის აეროდრომების ქსელი, საეჭვოა, გამკლავებოდა საბჭოთა თვითმფრინავების საჭირო ოდენობით ბაზირებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა ავიაციას რამენაირად უნდა უზრუნველეყო ეფექტიანი მოქმედებებისათვის რუმინეთის საჰაერო სივრცის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუწევდა ბულგარეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოქმედებებზე ზეგავლენისათვის ეფრინა გრძელი, შავიზღვისპირული მარშრუტით. ხმელთაშუა ზღვის სიახლოვეს მიმდინარე მოქმემედებებისათვის ნატოს შეეძლო გამოეყენებინა სამხედრო-საზღვაო ავიაცია, რის საშუალებას ვარშავის პაქტი მოკლებული იყო. დაბოლოს, გეოგრაფიული ფაქტორებისა და ბაზირების უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურის გამო ნატოს ავიაციას სსრ კავშირსა და მის სატელიტებზე მსხვილი საავიაციო ძალებით მანევრის შესრულება შეეძლო სწრაფად და ეფექტიანად. ამას ემატებოდა ნატოს თვითმფრინავების ტექნიკურ-ტაქტიკური უპირატესობაც. ერთი სიტყვით, ავიაციის სფეროში უპირატესობა მნიშვნელოვნად ანეიტრალებდა ვარშავის ხელშეკრულების უპირატესობას სახმელეთო ძალების სფეროში.

§ 52
მხარეთა სამხედრო-საჰაერო ძალების ორგანიზაცია, აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა

ვარშავის ხელშეკრულება

ვარშავის ხელშეკრულების ავიაციის მთავარ დამრტყმელ ძალას, ბუნებრივია, საბჭოთა ავიაცია წარმოადგენდა. თეატრის სარდლობისათვის უშუალოდ დაქვემდებარებული ავიაცია შედგებოდა კიევისა და ოდესის ოლქების სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო ძალების ერთი ცალკე არმიისაგან. **თეატრის დაქვემდებარებაში მყოფი ავიაცია (შტაბი ვინიცაში)** შედგებოდა ერთი საჰაერო არმიისაგან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა საფრონტო ბომბდამშენების ორი დივიზია; საფრონტო გამანადგურებლების ერთი დივიზია; ერთი სადაზვერვო პოლკი და რადიოელექტრონული ბრძოლის პოლკი; **კიევის ოლქის ავიაცია** შედგებოდა საჰაერო არმიისაგან, რომლის შემადგენლობაში მყოფი თვითმფრინავების დიდ უმრავლესობას სსრ კავშირის ტერიტორიის გარეთ მოქმედებებში მხოლოდ შეზღუდული მონაწილეობა შეეძლო მიეღო. ოდესის ოლქის დაქვემდებარებაში იყო ორი ავიაპოლკი. უნგრეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნისას იქ საბჭოთა საავიაციო დანაყოფებიც იმყოფებოდნენ. ჰაერსაწინაღო დაცვის არმიაში შედიოდა 5 პოლკი. ეს თვითმფრინავები გამიზნული იყო სსრ კავშირის ტერიტორიაზე მდებარე სტრატეგიული ობიექტების დასაცავად და ვერ იქნებოდა გამოიყენებული სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ. ასე რომ, მათი გამოყენება ავსტრია-იტალიისა ან თურქეთ-საბერძნეთის მიმართულებით ძალიან შეზღუდული იქნებოდა. ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ თეატრის დაქვემდებარებაში იყო ყველა ტიპის 900-ზე მეტი თვითმფრინავი[79].

ვხრ-ს სახელმწიფოების სამხედრო-საჰაერო ძალები

ბულგარეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შედიოდა 2 შერეული ავიადივიზია 7 პოლკით. **უნგრეთის** სამხედრო-საჰაერო ძალები შედგებოდა ავიაკორპუსისგან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 2 პოლკი (60 მიგ-21) და ერთი ცალკე ესკადრილია (9 მიგ-23), აგრეთვე სადაზვერვო ესკადრილია (11 სუ-22) და 34

მიგ-21 რეზერვში. სულ: მიგ-23 – 9; მიგ-21 – 94; სუ-22 – 11. სულ – 114 თვითმფრინავი. **რუმინეთის** სამხედრო-საჰაერო ძალები სულ ითვლიდა 360 უპირატესად მოძველებულ თვითმფრინავს[80].

ნატოს სახელმწიფოების ავიაცია
აშშ-ს მოკავშირეთა ავიაცია

იტალიის ავიაცია იტალიის ავიაცია შედგებოდა გამანადურებელ-ბომბდამშენების 6 ესკადრილიისაგან, გამანადგურებლების 7 ესკადრილიისგან, შემტევების 4 ესკადრილიისაგან და ერთი სადაზვერვო ესკადრილიისაგან. სასწავლო-საბრძოლო ავიაციაში შედიოდა 6 ესკადრილია, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებისათვის შეზღუდულად შეიძლებოდა გამოყენებულიყო. სულ იტალიის საბრძოლო ავიაციის შეაირაღებაზე იყო 600-ზე მეტი თვითმფრინავი, მათგან 100-მდე რეზერვში. **ესპანეთის ავიაცია** უკვე განვიხილეთ დასავლეთევროპულ თეატრზე ლაპარაკისას. მას ერთნაირად შეეძლო ემოქმედა, როგორც დასავლეთის, ისე სამხრეთის თეატრებზე ან საჭიროებისდამიხედვით გადაენაწილებინა ძალები ორივეს შორის. **საბერძნეთის ავიაცია:** საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალები შედგებოდა გამანადგურებელ-ბომბდამშენების 10 ესკადრილიისგან; გამანგურებლების 9 ესკადრილიისგან და სადაზვერვო თვითმფრინავების 2 ესკადრილიისაგან. სულ საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაზე იყო 448 საბრძოლო თვითმფრინავი. **თურქეთის ავიაცია:** თურქეთის ავიაციის შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მისი ნაწილი გამოყენებულ იქნებოდა აღმოსავლეთ ანატოლიაში მოქმედებისათვის. თურქეთის ავიაციაში შედიოდა: გამანადგურებელ-ბომბდამშენების 17 ესკადრილია, გამანადგურებლების ორი ესკადრილია. სულ შეიარაღებაზე იმყოფებოდა 700-მდე თვითმფრინავი, მათგან 150-ზე მეტი რეზერვში. **პორტუგალიის ავიაცია** მსგავსად ესპანეთისა უკვე განვიხილეთ ცენტრალურევროპული თეატრისადმი მიძღვნილ მონაკვეთში[81].

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები
სამხრეთ ევროპის თეატრზე

აშშ-ის ავიაცია თეატრზე წარმოდგენილი იყო F-16-ის სამი ესკადრილიით, რომელიც დისლოცირებული იყო ჯერ ესპანეთში, როტას ავიაბაზაზე, ხოლო მოგვიქნებით – იტალიაში, სიგონელას ავიაბა-

ზაზე. სულ თეატრზე ბაზირებული იყო 72 F-16. ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები მე-6 ფლოტის ავიაცია (იხ. შემდეგი მონაკვეთი). ერთხანს ესპანეთში ბაზირებული იყო ტაქტიკური ბომბდამშენები (F-111). ამას გარდა, თეატრზე კონფლიქტის შემთხვევაში ათი დღის განმავლობაში გადაისროლებოდა დიდი ოდენობით ამერიკული ესკადრილიები. სულ ევროპაში ამ ვადაში გამიზნული იყო 60-მდე ესკადრილიის გადასროლა, საიდანაც ალბათ 10-დან 20-მდე მივიდოდა სამხრეთ-ევროპულ თეატრამდე.

ნატოს ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ავიაცია

ნატოს ქვეყნებიდან ოთხს: აშშ-ს, საფრანგეთს, ესპანეთსა და იტალიას გააჩნდა ხმელთაშუა ზღვაზე საავიამზიდო ბაზირების გამანადგურებელი და შემტევი ავიაცია, რომელიც მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხმელთაშუა ზღვის ესკადრა განადგურდებოდა, აქტიურად ჩაერთვებოდა საჰაერო ბრძოლებში.

ცხადია, ყველაზე ძლიერი აშშ-ის საზღვაო ავიაცია იყო, რომელიც შეიცავდა ერთ საავიამზიდო ავიაფრთას. ავიაფრთას შეადგენდა 20 გზისგადამჭრელი F-14 და 36 საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი F-18. უმოკლეს დროში ეს რაოდენობა გაორმაგდებოდა კიდევ ერთი საავიამზიდო დაჯგუფების ხარჯზე.

ფრანგების ორ ავიამზიდზე ბაზირებული იყო 16 გამანადგურებელი -8, 36 შემტევი „სუპერ-ეტანდერი" და რვა მზვერავი „ეტანდერი". რეზერვში მყოფი თვითმფრინავების ჩათვლით საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ავიაციაში შედიოდა 59 „სუპერ-ეტანდერი", 19 F-8 „კრუსეიდერი" და 25 „ეტანდერი". სულ 100-ზე მეტი თვითმფრინავი. ესპანეთისა და იტალიის ავიამზიდებზე შეიძლებოდა ბაზირებულიყო შესაბამისად 12 და 16 „ჰარიერი".

§ 53
საავიაციო ბალანსი

საავიაციო ბალანსის ზედაპირული ანალიზიც კი საკმარისია იმის დასანახად, რომ აქ ისეთივე ვითარება იყო, როგორც ცენტრალური ევროპის თეატრზე. დაახლოებითი საერთო რაოდენობრივი ბალანსის

პირობებში ნატოს უპირატესობა ჰქონდა ახალი მოდელების თვითმფრინავებში. მათი საბრძოლო დატვირთვა აღემატებოდა ვარშავის ხელშეკრულებისას. ამასთან ის სწრაფად შეიძლებოდა გაძლიერებულიყო ამერიკული ავიამზიდებით. ამის გათვალისწინებით, რაც სახმელეთო თეატრზე ვთქვით, ნათელი გახდება, რომ უმთავრესი სტრატეგიული მიზანი — ბულგარეთის მხრიდან სტამბულის აღება სრუტეების კონტროლი და იონიის კუნძულების დაკავება — ძალიან ძნელი, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ეს ნიშნავდა, რომ ნატო (სამხედრო მოქმედების რომელიღაც ეტაპზე) მოახერხებდა ყირიმის ომის ტიპის ქმედების განხორციელებას და შავ ზღვაზე გაბატონებას.

ეს ნატოს არ გაუჭირდებოდა ხმელთაშუა ზღვაზე ფლოტის განუზომელი უპირატესობის გამო საბჭოთა შავი ზღვის ფლოტთან შედარებით.

თავი 5
ჩრდილო ევროპის თეატრის გეოსტრატეგიული დახასიათება

§ 54
ჩრდილოეთ ევროპის თეატრის გეოგრაფიული დახასიათება

ევროპის ომის თეატრის საბრძოლო მოქმედებათა მესამე თეატრს ჩრდილო ევროპის თეატრი წარმოადგენდა. იგი მოიცავდა გერმანიის ჩრდილოეთს (კილის არხის მიმდებარე ტერიტორიებს), იუტლანდის ნახევარკუნძულს და დანიის ბალტიურ კუნძულებს, სკანდინავიას, ჩრდილო ატლანტიკას, სახელდობრ — ჩრდილოეთის, ბარენცის ზღვებს, კოლის ნახევარკუნძულსა და კარელიას. თეატრი მოცულობა 1.550 ათასი კვ. კმ. იყო. ნატოს წევრთაგან იგი მოიცავდა გფრ-ის, დანიისა და ნორვეგიის ტერიტორიასა და ტერიტორიულ წყლებს, ვხო-დან — სსრ კავშირს. თეატრზე არსებობდა ორი ნეიტრალური სახელმწიფო — შვედეთი და ფინეთი.

თეატრის ჩრდილოეთიდან დასავლეთი ნაწილისაკენ ეშვება სკანდინავიის მთები (უდიდესი სიმაღლე 2500 მ-მდე). სკანდინავიის მთებს აღმოსავლეთით უერთდება ნორლანდიის ვრცელი, მაგრამ არცთუ მაღა-

ლი ზეგანი. ნორლანდის ზეგანი საფეხურისებრად ეშვება ბოტნიკური ყურისაკენ. სამხრეთით ზეგანი გადადის ტბიან შუა შვედეთის დაბლობში. ბოტნიკური ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს ფინეთისა და შვედეთის დაბლობი ტერიტორიები, რომლებიც უკიდურესად დასერილია ჭაობებით, ტბებითა და სხვა საწყლოსნო წინააღმდეგობებით. ფინეთის ჩრდილოეთ ნაწილში შედარებით ზეგანი ადგილებია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთში იჭრება სკანდინავიის მთების მცირე მონაკვეთი (ყველაზე მაღალი წერტილი — 1365 მეტრი). ფინეთის მოსაზღვრე საბჭოთა კოლის ნახევარკუნძული ტიპოლოგიურად ფინეთს წააგავს. სამხრეთ ნაწილი დაბლობია, ჩრდილო — მაღალი და ფლატეებიანი. ცენტრალურ ნაწილში გადის დაბალი კეინის წყალგამყოფი ქედი. ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში გადის 1000-მ სიმაღლესთან მიახლოებული ხიბინების და ლევოზერსკი ტუნდრის მთები. ერთი სიტყვით, ოროგრაფიულად თეატრის სახმელეთო მონაკვეთი შეიძლება დახასიათდეს, როგორც რთული, შერეული, დაბალ-საშუალო მთიანი ქედების, ზეგნებისა და დაბლობების სპეციფიკური კომბინაციებით.

ანალოგიური ხასიათისაა საზღვაო ზოლიც. სკანდინავიის ნახევარკუნძულთან მდებარეობს მეტად რთული კონფიგურაციის მქონე არქიპელაგების, შქერების ქსელი, რომლებიც ნახევარკუნძულიდან სრუტეების რთული ქსელითაა გამოყოფილი.

ჩრდილო ევროპის თეატრის სამხრეთ ნაწილი ზომიერ კლიმატს განეკუთვნება, ხოლო ჩრდილო — მკაცრს. ჩრდილოეთ ნაწილში ზამთრის ტემპერატურა მინუს 16-ია, ცენტრში და სამხრეთში — მინუს 3-15. ტერიტორიის 53 პროცენტი ტყეების მასივებს უკავია, მდინარეების ქსელი მეტად ინტენსიურია. მდინარეები მეტისმეტად წყალუხვი და სწრაფია. ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ჩრდილო ევროპის თეატრს საბრძოლო მოქმედებისათვის ძალიან რთულია.

§ 55
ჩრდილოეთ ევროპის თეატრის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა

თეატრის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას განაპირობებდა შემდეგი გარემოებები:

● ჩრდილოევროპის საბრძოლო მოქმედებათა თეატრი ერთმანეთთან აკავშირებდა ნატოს ორ უმნიშვნელოვანეს ომის თეატრს — ატლანტიკისა და ევროპის. თეატრზე საბრძოლო მოქმედებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლო სამხედრო მოქმედებებზე ცენტრალურ ევროპასა და ატლანტიკაზე.

● მისი ოკუპირების შემთხვევაში საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტის წყალქვეშა ნავები გაარღვევდა ნატოს ნავსაწინააღმდეგო ბარიერებს ჩრდილო ნორვეგია-გრენლანდიისა და სამხრეთ ნორვეგია — ისლანდია — გრენლანდიის მიმართულებით. მართალია, ნატოს ძირითადი ნავსაწინააღმდეგო მიჯნა ჩრდილო შოტლანდია — ფარერის კუნძულები — ისლანდია ძალაში დარჩებოდა, მაგრამ სკანდინავიის ოკუპირების შემთხვევაში საბჭოთა წყალქვეშა ნავებს საშუალება მიეცემოდა ბაზირების პუნქტები დაახლოებით 2000 კმ დასავლეთით გადაეტანათ, საიდანაც ბევრად ადვილად გააღწევდა ატლანტიკურ სივრცეებზე.

● სკანდინავიის დაკავებით საბჭოთა კავშირი მოახერხებდა უზრუნველყო ნატოს ფლოტების შეტევებისაგან ისეთი მნიშვნელოვანი პორტები, როგორებიც იყო მურმანსკი და არხანგელსკი. საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტს მოქმედების დიდი თავისუფლება მიეცემოდა.

● ანალოგიურად სკანდინავიის ოკუპირებითა და ბალტიკაზე პოზიციების მაქსიმალურად გაძლიერებით სსრ კავშირი აღკვეთდა ნატოს ნებისმიერ მცდელობას მისი ეროვნული ტერიტორიის, კერძოდ, კრონშტადტ-ლენინგრადზე შეტევისათვის.

● სკანდინავიის ოკუპირების შემთხვევაში საბჭოთა ძალები ფაქტობრივად მიაღწევდა ბალტიკაზე სრულ ბატონობას და უზრუნველყოფდა დასავლეთის სტრატეგიული მიმართულების ჩრდილოეთ ფლანგს.

● სკანდინავიის ოკუპირებისა და ბალტიკაზე გაბატონების შემთხვევაში სსრ კავშირის ჩრდილოეთისა და ბალტიის ფლოტები ერთმანეთთან უშუალო კავშირის დამყარებას მოახერხებდნენ, რაც არსებითად გაზრდიდა მათი მანევრის თავისუფლებასა და საფრთხეს შეუქმნიდა ჩრდილოეთის ზღვაში მოქმედ ნატოს ნებისმიერ საზღვაო დაჯგუფებას.

● ბალტიკასა და სკანდინივიაზე გაბატონებით საბჭოთა წყალქვეშა ნავებს შეეძლებოდა ნატოსთვის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე პორტების ბლოკირება, როგორებიცაა როტერდამი და ანტვერ-

პენი, აგრეთვე ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს პორტები. ამას, თავის მხრივ, არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო საბრძოლო მოქმედებების მსვლელობაზე არა მხოლოდ ჩრდილოეთ, არამედ ცენტრალურ თეატრზეც. მით უფრო, თუ ამ თეატრზე მოქმედი საბჭოთა სახმელე-


GREE
აშშ-ის საზღვაო
ქვეითი ბრიგადა 60 ტანკი,
160-მდე ჯავშანმანქანა, 36 ქვეშა
კანადური არტილერული ბრიგადა
20-მდე ტანკი, 100 ჯავშანმანქანა,
20-მდე ქვეშა
ნორვეგიის ძალები
3 სატანკო, 4 მექანიზებული,
6 მს. ქვეითი ბრიგადა,
135-მდე ტანკი,
350-მდე ჯავშანმანქანა,
450-მდე ქვეშა
საბჭოთა ლენინგრადის
ოლქი:
6 მს. დივიზია,
ერთი საჰარაშუტო
დივიზია, საჰარაშუტო
და სპეცნაზის
ბრიგადა
1700 ტანკი,
600 ჯავშანმანქანა,
1400 არტილერია
დანიის ძალები,
6 მოტოქვეითი ბრიგადა
450-მდე ტანკი,
600-მდე ჯავშანმანქანა,
550-მდე ქვეშა
FINLAND
RUSSIA
NORWAY
SWE
EST.
RIGA
DEN.
UKR.
Oshtynka
OCEAN
EARTH
MANCHESTER
Lauenarden
Hohlebrg
Esbjerg
Aabenraa
Aalborg
Aarhus
Stavanger
Kristiansand
Bergen
Kirkwall
Thorshavn
Tromsø
Narvik
Bodø
Mo i Rana
Andøy
Tromsø
Kiruna
Luleå
Umeå
Sundsvall
Gävle
Uppsala
Stockholm
Karlstad
Göteborg
Kristiansund
Trondheim
Molde
Ålesund
Bergen
Stavanger
Kristiansand
Tampere
Turku
Helsinki
Tallinn
Riga
Vantaa
Oulu
Kajaani
Joensuu
Kuopio
Jyväskylä
Vaasa
Kemi
Murmansk
Petsamo
Kirovsk
Kandalaksha
Kotka
Vyborg
Petrozavodsk
Kondopoga
Kargopol
Tosno
Kotlas
Vologda
Cherepovets
Pskov
Kaliningrad
Vilnius
Klaipeda
Kaunas
Minsk
Gomel
Kiev
Vinnitsa
Lvov
Odessa
Kishinev
Sevastopol
Simferopol
Rostov
Volgograd
Saratov
Kazan
Yaroslavl
Moscow
Tver
Smolensk
Vitebsk
Mogilev
Bryansk
Kursk
Voronezh
Tambov
Penza
Ufa
Perm
Kirov
Vologda
Yekaterinburg
Tyumen
Omsk
Novosibirsk
Barnaul
Kemerovo
Tomsk
Krasnoyarsk
Irkutsk
Chita
Yakutsk
Vladivostok
Khabarovsk
Petropavlovsk
Magadan
Anadyr
Murmansk
Arkhangelsk
Vologda
Yaroslavl
Kostroma
Ivanovo
Nizhny Novgorod
Kazan
Ufa
Perm
Kirov

თო ძალები ვერ მოახდენდა ამ პორტების ოკუპაციას, ხოლო სამხედრო-საჰაერო ძალები – მათ ნეიტრალიზაციას.

● ოკუპირებულ ნორვეგიასა და შვედეთში, აგრეთვე დანიაში გამოყენებულ სამხედრო-საჰაერო ძალებს შეეძლო დამატებითი საფრთხეების შექმნა ინგლისის, ბენელუქსისა და ჩრდილო გერმანიის ტერიტორიისათვის. თავის მხრივ, შვედეთში ბაზირებულ ნატოს თვითმფრინავებს შეეძლო დარტყმების განხორციელება ლენინგრადის სიახლოვეს არსებულ სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებზე. ნორვეგიის აეროდრომებიდან კი ნატოს ავიაციას შეეძლო იერიშის მიტანა კოლის ნ-კ-ზე განლაგებულ საბჭოთა სტრატეგიულ, რაკეტულ წყალქვეშა ნავებსა და მათ მშენებელ ქარხანაზე სეეროდვინსკში.

● ეკომომიკური ფაქტორი გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ ტერიტორიების ოკუპირებით სსრ კავშირს შეეძლებოდა მწყობრიდან გამოეყვანა ნორვეგიისა და ინგლისის ნავთობის საბადოები ჩრდილოეთის ზღვაში, აგრეთვე თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა სკანდინავიის ქვეყნების არცთუ უმნიშვნელო სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი და ბუნებრივი სიმდიდრეები;

● ფსიქოლოგიური ფაქტორი გამოიხატებოდა იმაში, რომ სკანდინავიის ოკუპირება ვხო-ს მიერ ზეგავლენას მოახდენდა ნატოს ქვეყნებისა და ნეიტრალების პოლიტიკური ხელმძღვანელობისა თუ ერების ნებაზე, გაეწიათ წინააღმდეგობა კომუნისტური აგრესიისათვის.

თეატრზე სახელმწიფოთა როლს შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავდა:

ნორვეგია იყო ყველაზე ეფექტიანი პლაცდარმი კოლის მიმართულებით შეტევისათვის. მისი ტერიტორიის ოკუპირების გარეშე საბჭოები ვერ მოახერხებდნენ იმ მიზნების განხორციელებას, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ და ქვემოთაც შეეხებით. **დანიას** მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა იმისათვის, რომ არ მოშლილიყო კავშირი ევროპაში ცენტრალურ და ჩრდილო თეატრებს შორის, აგრეთვე ხელი შეეშალა საბჭოთა ფლოტის მოქმედებისათვის. იგივე ითქმის დანიის სამხედრო-საჰაერო ძალებზეც. ამას გარდა დანიისა და ნორვეგიის ტერიტორიების ეფექტიანი დაცვა იმის გარანტიას იძლეოდა, რომ საბჭოთა ჩრდილოეთისა და ბალტიის ფლოტები ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციას ვერ დაამყარებდნენ. **გერმანიის (მის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილის)** გეოსტრატეგიულ როლს გან-

საზღვრავდა მისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, ეფექტიანი ბაზები და პორტები ბალტიკაზე, ნატოს ქვეყნებს შორის უძლიერესი სამხედრო-საზღვაო ავიაცია ბალტიკაზე და ისეთი უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციის კონტროლი, როგორიცაა კილის არხი. **შვედეთს** გააჩნდა გერმანიის შემდეგ ყველაზე ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი. მისი თამაშიდან გამოყვანის გარეშე შეუძლებელი იყო ბალტიკაზე სრული გაბატონება და ძალიან გაძნელდებოდა ნორვეგიის, ჩრდილო გერმანიისა და დანიის ოკუპირება. შვედეთის უაღრესად ეფექტიან სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებს შეეძლო არა მხოლოდ დიდი ზარალი მიეყენებინა ბალტიკაზე მოქმედი ვხო-ს გემებისა და ხომალდებისათვის, არამედ ეფექტიანი დარტყმები განეხორციელებინა დასავლეთის მიმართულების ვხო-ს ჩრდილოეთ ევროპულ თეატრზე.

§ 56
თეატრის ფუნქციონალური დახასიათება

ფუნქციონალური თვალსაზრისით თეატრი შერეულ საზღვაო-სახმელეთო ხასიათს ატარებდა და ამ თვალსაზრისით ტიპოლოგიურად უფრო ახლოს იდგა სამხრეთ ევროპის, ვიდრე ცენტრალური ევროპის თეატრთან. სამხრეთ ევროპის თეატრთან მას ააახლოვებდა ისიც, რომ მისი სიღრმე ბევრად აღემატებოდა სიგანეს. მესამე მსგავსებას სამხრეთ ევროპის თეატრთან განაპირობებდა ის, რომ მისი შემადგენელი სტრუქტურული ელემენტები (სარდლობები) ერთმანეთში უწყვეტად არ გადადიოდა (თეატრის ქვეყნების ტერიტორიებს არ ჰქონდა უწყვეტი სახმელეთო საზღვრები.).

ამავე დროს თეატრს ახასიათებდა რიგი ნიშნები, რომლებიც ააახლოებდა ცენტრალური ევროპის თეატრთანაც. სახელდობრ, მის ჩრდილოეთ ფლანგს გარემოიცავდა საოკეანო სივრცე, ხოლო თეატრის გარემომცველ წყლებს (ოკეანესა,და ზღვებს) თავს ხმელეთის მასა უყრიდა (განსხვავებით სამხრეთ ევროპის თეატრისაგან, სადაც შემკრების როლში ხმელთაშუა ზღვა გამოდიოდა). მიუხედავად ამისა, თეატრისათვის კრიტიკული იქნებოდა საზღვაო გადაზიდვების როლი, თანაც არა მხოლოდ სტრატეგიულ, არამედ ოპერატიულ და ტაქ-

ტიკურ დონეზეც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ ნორვეგიით შემოისაზღვრებოდა, რომლის ვიწრო და წაგრძელებული ტერიტორია ძალიან გაართულებდა მანევრს სახმელეთო კომუნიკაციების გამოყენებით, საზღვაო გადაზიდვების მოშველიების გარეშე. ამასთან ეს ოპერაციები ხშირად მოწინააღმდეგის ზურგში ოპერატიული და ტაქტიკური სადესანტო ოპერაციების ხასიათს მიიღებდა (უფრო ხშირად — საზღვაოსი, ზოგჯერ — კომბინირებულისა თუ წმინდა საჰაერო-სადესანტო ან აერომობილურის).

სადესანტო ოპერაციების შესაძლო სიხშირე (მათ შორის ტაქტიკურისა და ოპერატიულის) თეატრის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობდა თეატრის კიდევ ერთი ფუნქციონალური მახასიათებელი: სანაპირო დაცვის კრიტიკული მნიშვნელობა. სადესანტო ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა ჰაერში ბატონობის გარეშე, ამიტომ ჰაერში ბატონობას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც სამხრეთის თეატრზე.

სიმეტრიულობის თვალსაზრისით თეატრზე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ერთი უწყვეტი სტრატეგიული ოპერაციის ჩატარება (როგორც ეს პრინციპში მაინც იყო შესაძლებელი ცენტრალური ევროპის თეატრზე). მას ხელს შეუშლიდა ისიც, რომ თეატრის სიღრმე ბევრად აღემატებოდა მის სიგანეს და ისიც, რომ ფრონტის ხაზსა და ზურგში გართულებული იქნებოდა მანევრი. გამართულებელი ფაქტორებს დაემატებოდნენ ოროგრაფია და კლიმატი, აგრეთვე საწყლოსნო წინააღმდეგობები.

სიმეტრიულობას განაპირობებდა სატრანსპორტო კომუნიკაციების ხასიათი. განსხვავებით ცენტრალური ევროპისაგან სსრ კავშირს არ გააჩნდა ის უპირატესობა, რომ მის გამაძლიერებელ ძალებს ბევრად მცირე სიგრძის და მხოლოდ (ან უპირატესად) სახმელეთო კომუნიკაციების გამოყენება მოუწევდა. ჩრდილოეთის თეატრზე სსრ კავშირის ერთადერთი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რკინიგზა ლენინგრადი-პეტროზავოდსკი-მურმანსკის მიმართულებით დაახლოებით 1450 კმ სიგრძის იყო. თუ გავიხსენებთ იმას, როგორ „კარგად" მუშაობდნენ საბჭოთა რკინიგზები, ალბათ გადაჭარბებული არ იქნება იმისი თქმა, რომ თეატრზე ამ რკინიგზით გადასროლას საბჭოელები

დაახლოებით იმდენივე ხანს მოუნდებოდნენ, რამდენსაც ამერიკელები თავისი გამაძლიერებელი ძალების ოკეანით გადასროლას.

კომუნიკაციების განუკითარებლობა თეატრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციონალური თავისებურება იყო, რაც, სხვათა შორის, განაპირობებდა სადესანტო ოპერაციების დიდ როლს. ნიშანდობლივია, რომ მხარეების ორი ძირითადი როკადული რკინიგზა (პეტროზავოდსკ-მურმანსკი სსრ კავშირისათვის და ლულეო-ეიური შვედეთ-ნორვეგიისათვის) ერთმანეთიდან 800-900 კმ-თი იყვნენ დაშორებულები. არადა, საბრძოლო მოქმედებების ძირითადი ნაწილი, სწორედ როკადებს შორის ტერიტორიაზე — შვედურ ნორბოტენზე, ფინურ ლაპლანდიაში და ნორვეგიულ ფინმარკში — უნდა წარმართულიყო. აქ 900 ათასამდე კვადრატული კილომეტრის (ანუ საფრანგეთზე თითქმის ორჯერ დიდ), სარკინიგზო კომუნიკაციებს მოკლებულ ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო გადამწყვეტი ბრძოლა ჩრდილო ევროპისათვის.

თეატრის ფუნქციონალურ მახასიათებელთაგან კიდევ უნდა გამოვყოთ საავიამზიდო ავიაციის დიდი როლი. ნორვეგიის ნაპირებთან მოკრეისერე ავიამზიდებს შეეძლო დაერტყა საბჭოთა ობიექტებისათვის ბალტიიდან მურმანსკამდე. ამ მხრივაც ჩრდილოეთის თეატრი უფრო სამხრეთისას წააგავდა ვიდრე ცენტრალურს.

§ 57
საბჭოთა ოპერატიული მიზნები თეატრზე

გამომდინარე საბჭოთა ოპერატიული და სტრატეგიული გეგმებიდან, აგრეთვე თეატრის ფუნქციონალური მახასიათებლებიდან საბჭოეთს თეატრზე უნდა ჰქონოდა შემდეგი ოპერატიული მიზნები:

- ჩრდილო ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული ფლოტის განადგურება ან იმგვარი შესუსტება, რომ მას ხელი ვეღარ შეეშალა საბჭოთა სტრატეგიული თუ ოპერატიული მიზნების განხორციელებაში;
- ნორვეგიის იმ პორტების მწყობრიდან გამოყვანა, რომელთაც შეეძლოთ მიიღოთ გამაძლიერებელი ძალები აშშ-ისგან, კანადის, ინგლისისა და ჰოლანდიისგან (საჭიროების შემთხვევაში გერმანიისა და საფრანგეთისაგან);

● ნორვეგიის ძირითადი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების განადგურება;

● ფინეთის ძირითადი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების განადგურება, რის გარეშეც ფინეთის სახმელეთო ოკუპაცია შეუძლებელი იქნებოდა;

● შვედეთის ძირითადი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების განადგურება;

● ფინეთის, შვედეთისა და ნორვეგიის საკვანძო პუნქტების დაკავება და ამ ქვეყნების ოკუპაცია;

● ჩრდილო გერმანიისა და დანიის ძირითადი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო საზღვაო ბაზების განადგურება;

● კილის არხის მწყობრიდან გამოყვანა;

● ჩრდილო გერმანიისა და დანიის ოკუპირება (ცენტრალური ევროპის თეატრზე მოქმედ დაჯგუფებასთან ერთად);

● ცენტრალური ევროპის თეატრზე მებრძოლი ვხო-ს ძალებისათვის დახმარების აღმოჩენა.

§ 58
თეატრის შინაგანი კონფიგურაცია

თეატრზე ნატოს სარდლობის შტაბ-ბინა მდებარეობდა ნორვეგიის ქალაქ კოლსოსში (ოსლოს გარეუბანი). სარდლობის შტაბი მრავალეროვნული იყო: 50%-ით იგი კომპლექტდებოდა ინგლისელი და ამერიკელი ოფიცრებისგან, 45%-ით ნორვეგიელებისა და დანიელებისაგან, 5% კი — გერმანელებისაგან. ნატოს მხრიდან თეატრი იყოფოდა სამ სარდლობად:

1. **ჩრდილო ნორვეგიაში ნატოს გაერთიანებული სარდლობა** მოიცავდა ნორვეგიის ნაციონალური სარდლობისადმი დაქვემდებურებულ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებს, რომლებიც ამ სექტორში იყო დისლოცირებული. მათ სარდლობდა ნორვეგიელი გენერალი ან ადმირალი, რომელიც მშვიდობიანობისას ექვემდებარებოდა ნორვეგიის შეიარაღებული ძალების სარდალს.

ჩრდილო ნორვეგიაში მშვიდობიანობის დროს განთავსებულ ძალებში შედიოდა მოტოქვეითი ბრიგადა „ჩრდილოეთი“, კომბინირებული ბრიგ-

ადის შტაბი, ორი ცალკე ბატალიონი „სორ-ვერენგერი“ და „პერსინგერი“, რომლებიც სპეციალურად იყვნენ გაწვრთნილები არქტიკულ პირობებში მოქმედებისათვის და ავიაბაზების დაცვის ქვედანაყოფები. ამ ბაზებზე მშვიდობიანობისას დისლოცირებული იყო ნორვეგიის ორი ავიაესკადრილია. ომიანობისას რეგიონში სწრაფად გაიშლებოდა სამი ნორვეგიული მსუბუქი ქვეითი (არქტიკული) ბრიგადა; გაიშლებოდა ამერიკული საზღვაო ქვეითი საექსპედიციო ბრიგადა, ინგლისური საჰაერო-სადესანტო და საზღვაო ქვეითი ბრიგადა, კანადური საპარაშუტო ბრიგადა და ბრიგადული ჯგუფი (მოტოქვეითი ბრიგადა არქტიკული პროფილით), ჰოლანდიური საზღვაო ქვეითი ბრიგადა. ყველა ამ ძალას შეეძლებოდა რეგიონში სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობა (იხ. ზემოთ). ისინი მომზადებულნი იყვნენ არქტიკულ პირობებში სამხედრო მოქმედებების წარმართვისათვის.

2. **სამხრეთ ნორვეგიაში ნატოს გაერთიანებული სარდლობა** იგივე პრინციპზე იყო აგებული. მშვიდობიანობის დროს სამხრეთ ნორვეგიაში დისლოცირებული იყო ქვეითი ბრიგადა „სამხრეთი“, შვიდი კომბინირებული ბრიგადის შტაბები, კადრირებული ნაწილები და ცალკე გვარდიული ბატალიონი. ომიანობისას სარეზერვო ბრიგადები სწრაფად გაიშლებოდა საომარი დროის შტატებზე. სამხრეთ ნორვეგიაში ტერიტორიული დაცვის ძალების ჩაუთვლელად გაიშლებოდა 3 სატანკო, 4 მოტოქვეითი და 3 მსუბუქი ქვეითი ბრიგადა და ცალკე ბატალიონები. სულ დაახლოებით სამი დივიზიის ექვივალენტური ნაწილები. სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა ნორვეგიის ოთხი ავიაესკადრილია.

3. **ნატოს გაერთიანებული სარდლობა ბალტიის სრუტეების ზონაში** მოიცავდა გაერთიანებულ სახმელეთო ძალებს შლეზვიგ-ჰოლშტაინში, იუტლანდიასა და კუნძულ ფიუნენზე; დანიის კუნძულებზე გაერთიანებულ სახმელეთო ძალებს, აგრეთვე ზონის გაერთიანებულ ტაქტიკურ სსძ-ს და სამხედრო-საზღვაო ძალებს. როგორც ვხედავთ, თეატრზე მისი სამხედრო-გეოგრაფიული და ფუნქციონალური თავისებურებების გამო არ იშლებოდა ისეთი ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება, როგორიც იყო არმიათა ჯგუფი.

სარდლობაში მშვიდობიანობის დროს შედიოდა ბუნდესვერის მე-6 მოტოქვეითი დივიზია, დანიის იუტლანდიის დივიზია, 2 ცალკე მოტოქვეითი ბრიგადა, ექვსი ქვეითი რეგიმენტი. ტერიტორიული დაცვის

ნაწილები წარმოდგენილი იყო თითო — გერმანული ტერიტორიული დაცვისა — და კადრირებული ბრიგადებით, აგრეთვე ტერიტორიული დაცვის რეგიმენტით. დანიის ტერიტორიული დაცვის ძალებში შედიოდა 19 სამობილიზაციო რეგიმენტი და 21 სამობილიზაციო ბატალიონი. ომიანობისას ამ ძალებს სწრაფად დაემატებოდა ინგლისური მობილური ჯგუფი, რომელიც დივიზიის ექვივალეტური იყო. მასში შედიოდა 15 ათასამდე მებრძოლი, 14 საშუალო, 16 მსუბუქი ტანკი, 39 სხვადასხვა ქვემეხი, 168 ნალმსატყორცნი, 12 საზენიტო რაკეტული კომპლექსი „რეიპირი", 27 შვეულმფრენი. ნატოს დაჯგუფება თეატრზე საჭიროების შემთხვევაში აგეთვე სწრაფად შეეძლო გაეძლიერებინა აშშ-ის 18 საჰაერო-სადესანტო კორპუსს (82-ე საპარაშუტო, 101-ე აერომობილური და მე-10 მსუბუქი ქვეითი დივიზიები) და ნატოს გაერთიანებულ მობილურ ძალებს. ამრიგად, სულ თეტრზე ნატოს ძალებში შედიოდა: მოტოქვეითი დივიზია — 2; სატანკო ბრიგადა — 3; მოტოქვეითი ბრიგადა — 7; ქვეითი ბრიგადა — 8; საექსპედიციო საზღვაო ქვეითი ბრიგადა — 1; საზღვაო ქვეითი ბრიგადა — 2; საჰაერო-სადესანტო ბრიგადა — 2; სულ — 10 დივიზიის ეკვივალენტური ძალები. მათ შეიარაღებაზე იყო 1050 ტანკი, ბტრ. — 1400-მდე, არტსისტემა — 1250-მდე.

საბჭოთა ძალები გაერთიანებული იყო სტრატეგიულ-ოპერატიულ დაჯგუფებაში, ლენინგრადის სამხედრო ოლქში, რომელიც ომიანობისას უნდა გაშლილიყო ფრონტად. დაჯგუფების შემადგენლობაში ძალიან დიდ და საბრძოლო მოქმედებებისათვის ძნელ ფართობს მოიცავდა და საეჭვო იყო ის, თუ რამდენად მოხერხდებოდა მისი, განსაკუთრებით ჩრდილო ნაწილის, მართვა ლენინგრადიდან.

საბჭოთა ძალები შეიცავდა ერთ სახმელეთო არმიას, ორ კორპუსს, 10 მოტომსროლელ (მათგან ერთ სასწავლო) დივიზიას, საჰაერო-სადესანტო (ფსკოვის) დივიზიას, თითო სპეცნაზისა და საჰაერო-სადესანტო ბრიგადებს, 1700 ტანკს, 600 ქსმ-ს, 1400 ერთეულ არტილერიასა და 20 დამრტყმელ შვეულმფრენს.

ანალიზი აჩვენებს, რომ ამ თეატრზე საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა ძალა, რომელიც საკმარისი იყო გამარჯვების მოსაპოვებლად, მით უფრო ჰაერსა და ზღვაზე ნატოს სრული ბატონობის პირობებში. ამიტომ ნათელი იყო, რომ ამ ვითარებიდან, ისევე როგორც თეატრის თავისურებებიდან გამომდინარე, ბრძოლები ალბათ პასიურ და გაწე-

ლილ ხასიათს მიიღებდა (ისევე, როგორც მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს ჩრდილო ნორვეგიასა და ჩრდილი ფინეთში). შესაძლოა, სსრკ-ს გასჩენოდა ცდუნება, ვითარების თავის სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად ფინეთისა და შვედეთის ოკუპაცია ეცადა, რათა ნორვეგიაში დისლოცირებულ ნატოს დაჯგუფების ზურგში გასულიყო (იხ რუკა 186-ე გვერდზე), მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სკანდინაველ ნეიტრალებს ბალკანელ ნეიტრალებზე შეუდარებლად ძლიერი ჯარი ჰყავდათ. რუკიდან ნათლად ჩანს, თუ რა რთულ პირობებში იქნებოდნენ საბჭოელები ნეიტრალებთან შეტაკებისას (თ., რასაკვირველია, ამ უკანასკნელთ არ შეეშინდებოდათ და არ დანებდნებოდნენ). საბჭოელებს მოუწევდათ არქტიკულ პირობებში გაევლოთ ასეულობით კილომეტრი.

§ 59
ნეიტრალების საზმელეთო ძალები

თეატრზე სტრატეგიული ბალანსის აღწერა არასრულფასოვანი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ორი ნეიტრალური სახელწიფოს — ფინეთისა და შვედეთის — ძალებს. დასავლეთის სასარგებლოდ საბრძოლო მოქმედებებში მათი ჩართვის ალბათობა საკმაოდ დიდი იყო. ფინეთის ტერიტორიის რაღაცნაირი დაკავების გარეშე საბჭოელები ვერაფრით მოახერხებდნენ ეფექტიანი მოქმედებების წარმოებას ნორვეგიის ოკუპირების მიზნით. ცხადია, აქ მხოლოდ სამი სცენარი არსებობდა: 1. ფინეთი ნებდებოდა საბჭოთა შანტაჟს. 2. საბჭოელები პატივს სცემდნენ ფინეთის ნეიტრალიტეტს და ამით დიდ ხნით ეფლობოდნენ ნორვეგიაში, ყოველგვარი ფლანგური მანევრის შესაძლებლობის გარეშე, რაზეც საბჭოელები ალბათ არაფრით წავიდოდნენ. 3. ფინელები შეიარაღებულ (და უნდა ვიფიქროთ, რომ არანაკლებს, ვიდრე 1939-40 წლებში) წინააღმდეგობას გაუწევდნენ საბჭოელებს. ამ უკანასკნელი სცენარისას შვედები პრაქტიკულად ასპროცენტიანი ალბათობით გამოვიდოდნენ ნატოსთან ერთად. ასეთივე გამოსვლის ალბათობა მაღალი იქნებოდა პირველი სცენარის შემთხვევაშიც. ყოველ შემთხვევაში ორივე ნეიტრალს ანგარიშგასაწევი ძალის გამოყენა შეეძლო (განსაკუთრებით შვედეთს).



ჩრდილო ევროპის თეატრზე სამჭოთა ჯარების შეტევის შესაძლო მიმართულებები.

ფინეთის შეიარაღებული ძალები სწრაფი მობილიზაციის შემდეგ შეადგენდა ორ სატანკო, 11 ეგერულ და 14 ქვეით ბრიგადას, ადგილობრივი დაცვის 200-მდე ცალკე ბატალიონსა და ასეულს. მობილიზაციის შემდეგ ფინეთის შეიარაღებული ძალების ოდენობა 700 ათას ჯარისკაცს შეადგენდა.

კიდევ უფრო მაღალი იყო შვედეთის სამობილიზაციო პოტენციალი. მათ 72 საათის განმავლობაში შეეძლოთ 800 ათასი მებრძოლის გამოყვანა. ამ ძალებში შედიოდა 4 ჯავშანსატანკო, 19 ქვეითი და 5 არქტიკული (ნორლანდის) ბრიგადა. ამ ძალებს საბჭოელებისათვის არსებითი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო, განსაკუთრებით როკადულ რკინიგზებს შორის მონაკვეთში, რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა თეატრზე საბრძოლო მოქმედებების ბედისათვის.

ცხადია, ასეთი ბალანსის პირობებში საბჭოელებს ძალიან გაუჭირდებოდათ შეტევაზე ფიქრი, მაგრამ, მეორე მხრივ, მათი სტრატეგიაც და სიტუაციაც უბიძგებდა შვედეთისა და ფინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევისაკენ. ჩვენ ჯერ ვერ გავიგებთ, როგორ წყვეტდა საბჭოთა

ხელმძღვანელობა ამ დილემას, მაგრამ თავად მისი არსებობა ფაქტია. თუმცა, დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, ეს ალბათ სამომავლოდ მხოლოდ ისტორიკოსებისთვის თუ იქნება საინტერესო.

§ 60
სამხედრო-საჰაერო ძალების ბალანსი

ცალკე გასარკვევი იყო ბალანსი სამხედრო-საჰაერო ძალებს შორის. საბჭოელთა დაჯგუფება შედგებოდა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის არმიისაგან და ერთი საჰაერო არმიისაგან. საბჭოელთა საავიაციო დაჯგუფების დამრტყმელი პოტენციალი პრინციპში შეიძლება დახასიათდეს, როგორც არასაკმარისი, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა გზისგადამჭრელებს და სადაზვერვო მიგ-25-ს არ შეეძლო სახმელეთო მიზნების წინააღმდეგ მოქმედება.

ნატოს გაერთიანებულ სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა ნორვეგიისა და დანიის სსძ-ები, გერმანიის ორი ესკადრილია. ამას უნდა დაემატოს აშშ-ისა და ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიაცია. ამას უნდა დაემატოს საზღვაო ქვეითი კორპუსის პოტენციალი. აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებიდან შეიძლებოდა გამოყოფილი ყოფილიყო 100-მდე ტაქტიკური ბომბდამშენი F-111. თეატრის ისედაც სოლიდური პოტენციალი შეეძლო გაეძლიერებინა აშშ-ის კონტინენტალური ნაწილიდან გადასროლილ F-15-ს, F-16-სა და „ფანტომებ"-ს, აგრეთვე ინგლისურ და გერმანულ „ტორნადოებს". მაგრამ უამისოდაც ნატო უპირატესობას ფლობდა. მით უფრო, თუ ამას დაემატებოდა შვედეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები, რომელთა შეიარაღებაზეც იმყოფებოდა იმ დროისათვის თანამედროვე 300-მდე გამანადგურებელი „ვიგენი". ამ შემთხვევაში ნატოს პოტენციალი 800 გამანადგურებელს მიაღწევდა (მათ შორის 300-მდე მე-4 თაობისა, ისიც აშშ-ის, გერმანიისა და ბრიტანეთის გამაძლიერებელი ძალების გარეშე). ამ 800 გამანადგურებელს უპირისპირდებოდა სულ 400-მდე საბჭოთა გამანადგურებელი, რომელთაგან სახმელეთო მიზნების წინააღმდეგ ეფექტიანი მოქმედება მხოლოდ 60-ს შეეძლო[82].

ნაწილი 3

სამხედრო სტრატეგიის საფუძვლები

თავი 1
ძირითადი სტრატეგიული კონცეფციები

§ 61
სტრატეგიული კონცეფციების მოკლე მიმოხილვა

დიდი სტრატეგია ისე განსხვავდება სამხედროსგან, როგორც ეს უკანასკნელი ტაქტიკისაგან. „სტრატეგია" (იგულისხმება სამხედრო) ორი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული: ერთი მხრივ, როგორც მეცნიერება (სტრატეგიის თეორია და ისტორია), ხოლო მეორე მხრივ, როგორც ხელოვნება, ანუ სტრატეგიის მეცნიერების საფუძველზე სამხედრო პირის მიერ კონკრეტული სტრატეგიული კონცეფციების ჩამოყალიბება, მათ საფუძველზე კონკრეტული სტრატეგიული გეგმების შედგენა და შემდეგ ამ გეგმების შესაბამისად ოპერაციების ჩატარება. ცხადია, ეს დეფინიცია ზოგადია, მაგრამ ჩვენი მიზნებისთვის სრულიად საკმარისი.

შემდგომი ანალიზისათვის საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რა ტიპის სტრატეგიული კონცეფციები არსებობს. ჩვენ ვიზიარებთ სამწევროვან დაყოფას, რომლის მიხედვით არსებობს კლასიკური, არაკლასიკური და მათ შორის გარდამავალი კონცეფციები. ქვემოთ ჩვენ ცალ-ცალკე დავახასიათებთ თითოეულ მათგანს.

კლასიკური კონცეფციები. ითვლება, რომ ისინი ყველაზე უკეთ ან, უფრო ზუსტად, დასაბუთებულად არიან გამოხატულნი კლაუზევიცის დოქტრინაში. ქვემოთ ჩვენ კლასიკური თეორიების მოკლე ისტორიას გადავავლებთ თვალს. ახლა კი შევეხებით კლასიკური სტრატეგიის ცნებით თუ კონცეპტუალურ აპარატს. XVII-XVIII ასწლეულების ომებში გამოიჭედა ომების წარმოების განსაკუთრებული, ევროპული სტილი. ის განსხვავდებოდა ჩინური, ინდური და ანტიკური კონცეფციებისგან. აქ მთავარია არა კონფლიქტის მიზანმიმართული პოლიტიკური გადაწყვეტა, არამედ მოწინააღმდეგის ჯარების განადგურება. სხვა სტილებისაგან ის განსხვავდება იმით, რომ ომის (ბრძოლის) ძალისმიერი შემადგენელი გადასწონიდა სტრატეგიის ყველა სხვა დანარჩენ კომპონენტს. ომის მიზანი გახდა ბრძოლა.

შესაბამისად, ალიარებდა რა იმას, რომ ომი არის პოლიტიკის გაგრძელება, კლასიკურ სტრატეგიას ომის არსი ბრძოლის არსზე

დაყავდა. კლასიკური სტრატეგიისათვის ომის არსი მდგომარეობდა მოწინააღმდეგის ძირითად ძალებთან შეხვედრაში, ერთ ან რამდენიმე გენერალურ ბრძოლაში მის განადგურებასა და მისი ტერიტორიის ოკუპაციაში. ამდენად, კლასიკური სტრატეგია იყო ის, რასაც მოითხოვდა მოლტკე-უფროსი ბისმარკთან იმ დაპირისპირებაში, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ. კლასიკური სტრატეგიის ამოცანაა ბრძოლისა და მოწინააღმდეგის განადგურების გზით ამოსავალი სიტუაციის გარდაქმნა ახალ, სასურველ რეალობად. ეს გარდაქმნა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ბრძოლის გზით მოწინააღმდეგის ძირითად ძალებთან. შესაბამისად სიტუაციის საბოლოო ტრანსფორმირებამდე გასავლელია რამდენიმე შუალედური საფეხური, გარდაქმნა, რომლებიც საბოლოო მიზნის მიღწევას ემსახურება. ამაშია იმის არსი, რასაც კამპანიას უწოდებენ და რომლის დროსაც წინასწარშემუშავებული გეგმის შესაბამისად, ეტაპობრივად (თანმიმდევრული ბრძოლების გზით) ხორციელდება ამოსავალი სიტუაციის გარდაქმნა საბოლოო სასურველად (ამასთან მოწინააღმდეგის განადგურების და მისი ტერიტორიის ოკუპირების შემდეგ საქმე დიპლომატებს უნდა დაესრულებინათ).

ამგვარ სტრატეგიას ინდუქციურსაც უწოდებენ. ეს ტერმინი ფილოსოფიიდან არის აღებული და გულისხმობს ისეთ შემეცნებას, როდესაც ზოგადი ცოდნა მიიღწევა კერძო, ცალკეული ფაქტების განზოგადებით. აქ შემეცნება თითქოს „ქვემოდან" „ზემოთ" მიემართება. თვით მეორე მსოფლიო ომის შედეგები და მას შემდეგ წარმოქმნილი ლოკალური, მცირე ომების ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ ამ კონფლიქტებში სტრატეგიულ გამარჯვებას განპირობებდა ტაქტიკური წარმატებების ერთგვარი ჯამი, ერთობლიობა. ამასთან ტაქტიკური წარმატებები არა მხოლოდ განაპირობებდა სტრატეგიულ გამარჯვებას, არამედ დროშიც უსწრებდა მას. მთელის დონეზე გამარჯვების მიღწევა შესაძლებლად მიიჩნეოდა (და ეს მართლაც ასე იყო) ნაწილების დონეზე მიღწეული გამარჯვებების შედეგად.

ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ ნაპოლეონისა ან ბისმარკის ომები სწორედ ამ პრინციპზე იყო აგებული. ამასთანავე ომი მათთვის ცალკეული ბრძოლებისა თუ ოპერაციების სასრულ თანმიმდევრობას წარმოადგენდა. გასაგებია, რომ ამ დროს მოწინაღმდეგეების გეგმები, როგორს წესი, ერთ კამპანიას მოიცავს და შემდგომი გეგმები ამ კამპანიის შედეგების მიხედვით განისაზღვრება.

არაკლასიკური კონცეფციები. განსხვავებით კლასიკურისაგან, ისინი დედუქციურ ხასიათს ატარებენ. ფილოსოფიაში „დედუქციური" ეწოდება ისეთ შემეცნებას, რომელშიც ზოგადი ცოდნა დროში წინ უსწრებს და განსაზღვრავს კერძო, ცალკეული ფაქტების შემეცნებას. არაკლასიკურმა კონცეფციებმა ჩამოყალიბება იწყეს და ნაწილობრივ რეალიზებულ იქნენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. მათი ამოცანა იყო დაეძლიათ პოზიციური ომის იმგვარი ჩიხი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს შეიქმნა. თუმცა, მათი დომინირება მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, პოსტინდუსტრული ომების ეპოქიდან იწყება (იხ. ქვემოთ). პირველ ასეთ ომად ინგლის-არგენტინის 1982 წლის ომი ითვლება.

დედუქციური ხასიათის მოქმედებისათვის პრიორიტეტის მინიჭება ძირეულად ცვლის ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიის ურთიერთმიმართებას. თუ ადრე მოწინააღმდგის განადგურების უმთავრეს საშუალებად მიიჩნეოდა კონტაქტური ან კონტაქტურთან მიახლოებული ბრძოლა, ახლა, საომარი მოქმედების საწყის ეტაპზე, ამ ფუნქციას, უპირველეს ყოვლისა, შეასრულებს ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები და ზეზუსტი იარაღით აღჭურვილი სტრატეგიული და ტაქტიკური ავიაცია. ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი", რომლის დროსაც ტაქტიკური სამიზნეების განადგურების ეტაპი (მათ შორის სტრატეგიულთან მიახლოებული საშუალებებით) 38 დღე გრძელდებოდა, კონტაქტური ფაზა კი მხოლოდ 4 დღე. სპარსეთის ყურეში პირველი ომის ანალიზის საფუძველზე სამხედრო ექსპერტები ასკვნიან, რომ ახალი სახის საბრძოლო მოქმედების ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია ის, რომ ზოგიერთი ოპერაციის მიზნის მისაღწევად აღარ არის აუცილებელი შეიარაღებული შეჭრა მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიღრმეში. ახალი სახის ოპერაციებს შორის გამოყოფენ ელექტრონულ-საცეცხლე ბრძოლას, საჰაერო-შემტევ და სხვა სახის რეიდებს (გავიხსენოთ ერაყის მეორე ომისას ამერიკელთა წარმატებული ჯავშანსატანკო რეიდი ბაღდადზე, რომელმაც საბოლოოდ მოშალა ერაყელთა მდგრადობა), დისტანციურ ბრძოლებს და ა.შ.

ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ამ ვითარებაში უფრო მეტად შეიცვლება თანაფარდობა თავდაცვით და შეტევით საშუალებებს შორის უკანასკნელის სასარგებლოდ. დიდი რადიუსის მოქმედების „ჭკვი-

ანი“ რაკეტების გავრცელება, მათი აღმოჩენის დროის შემცირების საშუალებათა ფართო დანერგვა, მართვისა და დამიზნების ახალი, მათ შორის კოსმიური სისტემების გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს თავდაცვის საშუალებათა უნარს. განსაკუთრებით ძნელი დასაცავი გახდება სტაციონარული ობიექტები: აეროდრომები, პორტები, მართვისა და კავშირის საშუალებები, მსხვილი სამხედრო დაჯგუფებები, ჩვეულებრივი თვითმფრინავები, დაბალ ორბიტაზე განლაგებული თანამგზავრები. ერთი სიტყვით, არაკლასიკური (დედუქციური, ზოგჯერ მათ ჰიპერმოდერნისტულსაც უწოდებენ) სტრატეგია არსებითად სხვა პრინციპებს ამყარება, ვიდრე კლასიკური.

გარდამავალი კონცეფციები. კლასიკურ და არაკლასიკურ კონცეფციებს შორის არსებობს შუალედური კონცეფციები, რომლებიც შეიცავენ როგორც დედუქციურ, ისე ინდუქციურ ელემენტებს. მათთან ტაქტიკური და სტრატეგიული წარმატებების ჯამი არ არის ისე ცალსახად განსაზღვრული, როგორც ეს კლასიკურ ან არაკლასიკურ კონცეფციებშია. მაგალითად, გარდამავალ კონცეფციებში სტრატეგია შეიძლება არაკლასიკური იყოს, ანუ სახმელეთო ომში ფაქტობრივი გამარჯვება უკვე მანამდე იქნეს გარანტირებული, სანამ საბრძოლო მოქმედებები დაიწყება, მაგრამ თავად ეს მოქმედებები შეიძლება კლასიკურ ხასიათს ატარებდნენ. აქ ბრძოლა, მსგავსად კლასიკური სტრატეგიისა, შეიძლება იყოს ამოსავალი სიტუაციის ეტაპობრივი გარდაქმნა სასურველად. ამ ტიპის კონცეფციებს შორის შეიძლება დავასახელოთ არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია და გროსტაქტიკა. ყველა ჩამოთვლილ კონცეფციას ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით.

თავი 2
კლასიკური სამხედრო სტრატეგია

§ 62
კლასიკური სტრატეგიის ძირითადი ცნებები

როგორც უკვე აღინიშნა, კლასიკური სტრატეგიის თანახმად ომის არსი დაიყვანება ბრძოლაზე. ჯერ კიდევ კლაუზევიცის მიხედვით,

ბრძოლა არის ჭეშმარიტი სამხედრო ქმედება, ყოველივე დანარჩენი მხოლოდ მისი თანმხლებია. ყოველი სტრატეგიული ქმედება შეგვიძლია დავიყვანოთ ბრძოლაზე, რამეთუ იგია შეიარაღებული ძალების გამოყენება, ამ უკანასკნელის უკან კი ყოველთვის ბრძოლის იდეა ძევს. აქედან გამომდინარე კლაუზევიცი ასკვნიდა, რომ სტრატეგიის სფეროში შეგვიძლია მთელი სამხედრო საქმიანობა დავიყვანოთ ცალკეული ბრძოლების ერთიანობაზე და საქმე გვქონდეს მხოლოდ ამ უკანასკნელთა (ბრძოლების) მიზნებთან.

ამრიგად, კლასიკური სტრატეგია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „ინდუქციური", ზემოხსენებული აზრით. სტრატეგიული გამარჯვება წარმოადგენს ტაქტიკური გამარჯვებების ჯამს (ბრძოლები, როგორც ტაქტიკური ქმედებები, ცხადია, ერთიანი სტრატეგიული ჩანაფიქრის ჩარჩოებში მიმდინარეობს). ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში მიაღწევ გამარჯვებას ტაქტიკურ დონეზე. შესაძლებელია, ზოგიერთ ბრძოლაში დამარცხდე კიდეც, მაგრამ აუცილებელია მოიგო ის ბრძოლები, რომელთაც კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საერთო-სტრატეგიული გამარჯვებისათვის.

დავუბრუნგეთ **ბრძოლის**, როგორც კლასიკური სტრატეგიის, უმთავრეს ცნებას. ეს ცნება სათანადო გაშლასა და ილუსტრირებას საჭიროებს. ამგვარი გაშლისა და ილუსტრაციისათვის ცნობილ გერმანელ სამხედრო ისტორიკოსსა და თეორეტიკოს ჰანს დელბრუკს მივმართავთ. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, დელბრუკი თავის მრავალტომეულ „სამხედრო ხელოვნების ისტორიაში" უაღრესად გასაგებად აყალიბებს კლასიკური (ე.წ. კლაუზევიცური) სტრატეგიის ძირითად პრინციპებს. მეორე — მისი მასალა უაღრესად კარგადაა ილუსტრირებული მაგალითებით სამხედრო ისტორიიდან. და ბოლოს, ის ამ თეორიის იმგვარ რადიკალიზაციას ახდენს, რომლის შუქზეც ნათლად ჩანს ამ თეორიის სუსტი მხარეები.

განიხილავს რა პერიკლეს სტრატეგიას, დელბრუკი წერს: „თავად ომის ბუნებაში ძევს მოთხოვნა, რომ ხელთ იპყრო და გაანადგურო მტერი იმისათვის, რომ ის შენ ნებას დაუმორჩილო. ყველა ძალა თავმოყრილ უნდა იქნეს ერთი დიდი დარტყმისათვის, რომელმაც საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს ან რომელსაც მოჰყვება სხვა ბრძოლები მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება გადამწყვეტი შედეგი. სტრატეგიის ამოცანაა მოამზადოს ეს შედეგი წარმატებისათვის ხელ-

საყრელ პირობებში. ახლა ჩვენ შევხვდებით ისეთ ომს, სადაც სხვადასხვა მიზეზებისა გამო ასეთი გადამწყვეტი შეხლა გამორიცხულია. მაგრამ მაინც იძებნება საშუალებები გატეხო მოწინააღმდეგის ნება და მიაღწიო სასურველ შედეგს" (14, 57). ეს ციტატი რამოდენიმე ასპექტითაა საინტერესო: ჯერ ერთი, დელბრუკი თვლის, რომ ომის ბუნებიდან (ვინ განსაზღვრა — რა არის ომის ბუნება ან თუგინდ ვინ დაასაბუთა, რომ ყველა შესაძლო ომს კადეშიდან „უდაბნოს ქარიშხლამდე" ერთი ბუნება აქვს? ამიტომ აქ ბუნებაზე მითითება, ფილოსოფიური აზრით, არაკორექტულია) გამომდინარეობს მთავარი მოთხოვნა: ყველა ძალა თავმოყრილ უნდა იქნას ერთი დარტყმისათვის, რომელსაც გადამწყვეტი ბრძოლა ან ბრძოლების ციკლი უნდა მოჰყვეს. თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ თავად დელბრუკი აღიარებს, რომ პერიკლე პოლიტიკურ მიზნებს დელბრუკის რეცეპტისაგან განსხვავებული ხერხებით აღწევდა. გამოდის, რომ პერიკლე ამას ომის ბუნების საპირისპიროდ ანუ ზებუნებრივად თუ არაბუნებრივად ახერხებდა; თუ როგორ — ამას ლიდელ-ჰარტისადმი მიძღვნილ მონაკვეთში განვიხილავთ.

ჰანიბალისადმი მიძღვნილ მონაკვეთში დელბრუკი აღნიშნავს: „ის, ვინც ომის წარმოებისას მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის ძალების განადგურებას, მოწინააღმდეგის ძირითად ძალებამდე მიღწევისა და განადგურების შემდეგ მზად უნდა იყოს და შეეძლოს მიაღწიოს შემდგომ წარმატებებს; სახელდობრ, თავდაპირველად გარემოიცვას და დაიკავოს მოწიმააღმდეგის დედაქალაქი და თუ ეს მშვიდობამდე არ მიგვიყვანს, მისდიოს მტერს debelatio-მდე (სრულ განადგურებამდე). მაგრამ ამგვარი მოქმედებისათვის ჰანიბალი ძალიან სუსტი იყო, უდიდესი გამარჯვებების მიუხედავად მას ესმოდა, რომ ვერ შეძლებდა რომის გარემოცვასა და აღებას" (14, 149).

პრაქტიკულად აქაც იგივე შეფასებაა, რაც პერიკლეს შემთხვევაში, ოღონდ ერთი განსხვავებით: თუ პერიკლეს მიმართ ხდება იმის აღიარება, რომ ის მიზანს არაკლასიკური საშუალებებით მაინც აღწევდა, გამოდის, ჰანიბალი ამასაც მოკლებული იყო. მოგვიანებით დელბრუკი გამჭრიახად შენიშნავს, რომ ჰანიბალი არც ისახავდა მიზნად რომისა და აპენინების ოკუპაციას, არამედ მხოლოდ კართაგენისათვის ხელსაყრელი ზავის დადება სურდა. ამით დელბრუკი კიდევ ერთხელ აფიქსირებს კლასიკური სტრატეგიის უმთავრეს მოთხოვნას: მოახდი-

ნო შენი ძალების კონცენტრაცია, აიძულო მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები ჩაებას ერთ ან რამდენიმე ბრძოლაში, დაამარცხო იგი, მისდიო მას, მოახდინო დედაქალაქის და, თუ საჭიროა, ქვეყნის ტერიტორიის ოკუპირება და ასე მოახვიო შენი ნება მოწინააღმდეგეს.

სხვა ადგილას, როდესაც განიხილავს XVI-XVII საუკუნის სტრატეგიებს, დელბრუკი კვლავ იმეორებს თავის აზრს: „ყოველი სტრატეგიის პირველი და უმთავრესი კანონია — თავი მოუყარო შენს ძალებს, მოძებნო მოწინააღმდეგის მთავარი ძალები, დაამარცხო ისინი (ეს პრინციპი თანამედროვე ანგლოსაქსონურ სტრატეგიაში ხასიათდება, როგორც search and destroy-კ.კ.), მათი გადევნებით მიაღწიო გამარჯვებას მანამ, სანამ დამარცხებული არ დაემორჩილება გამარჯვებულის ნებას და არ მიიღებს მის პირობებს. ეს შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში გაგრძელდეს, მოწინააღმდეგის მთელი ტერიტორიის ოკუპირებამდე." (15, 502). მაგრამ აქ პრობლემას შემდეგი გარემოება ქმნის: აღწერილი სქემა მუშაობს მხოლოდ ევროპულ სახელმწიფოთა მიმართ, ისიც არა ყოველთვის. ვთქვათ, ნაპოლეონის წარუმატებლობები რუსეთსა და განსაკუთრებით ესპანეთში, სადაც მოწინააღმდეგის მთელი ტერიტორია ოკუპირებული იყო, მაგრამ წინააღმდეგობის ნება არ გატყდა (აღარაფერს ვიტყვით, ვთქვათ, ავსტრო-ფრანგულ ავანტურაზე მექსიკაში 1860-იან წლებში, ავღანეთზე, ჩეჩნეთის ორივე ომზე, სადაც ტერიტორიის, მათ შორის დედაქალაქის დაკავებას სულაც არ გამოუწვევია ნების გატეხვა, პირიქით, ოკუპანტი მხარე ყოველთვის მარცხდებოდა). ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, რაც ადასტურებს იმას, რომ კლაუზევიც-დელბრუკის თეორია, სულ მცირე, არ ატარებს უნივერსალურ ხასიათს.

დელბრუკი თავის აზრს ავითარებს ნაპოლეონთან მიმართებაში. დელბრუკი წერს: „კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სტრატეგიის ბუნებრივი, ძირითადი კანონია საკუთარი ძალების თავმოყრა, მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების მონახვა, გამარჯვების შემდეგ მათი მიდევნება და, თუ დამარცხებული არ მიიღებს გამარჯვებულის პირობებს, მოწინააღმდეგის ტერიტორიის დაკავება. ასე რომ, არა რომელიმე გეოგრაფიული პუნქტი, არა რაიონი, არა პოზიცია ან მომარაგების პუნქტი, არამედ სწორედ მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალებია შეტევის ობიექტი. თუ მსხვილი ტაქტიკური ქმედების მეშვეობით იმდენად მოხერხდა მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ფიზიკური და

მორალური დასუსტება, რომ საბრძოლო მოქმედებებს ველარ გააგრძელებს, მაშინ გამარჯვებულს შეეძლება განავითაროს თავის გამარჯვება იქამდე, სადამდეც, პოლიტიკური მიზნიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს" (15, 603).

ოდნავ მოგვიანებით დელბრუკი კიდევ უფრო აზუსტებს ნაპოლეონის სტრატეგიას. იგი წერს: „რამდენადაც ყველაფერი თავიდანვე მიმართულია მოწინააღმდეგის გადამწყვეტ გამანადგურებელ აქტზე, ყველა დანარჩენი მიზანი და მოსაზრება ამ მთავარ მიზანს ექვემდებარება, თავად კამპანია ერთგვარი სიმარტივით გამოირჩევა" (იქვე).

ამასთან ამგვარი განადგურების აქტისას უმთავრესია გადამწყვეტი მიმართულებით, გადამწყვეტ პუნქტში, გრავიტაციის ცენტრში ძალების კონცენტრაცია. დელბრუკი აღნიშნავს, რომ, მართალია, იტალიაში ნაპოლეონის პირველი ლაშქრობისას ფრანგები რამდენიმე ათასი ჯარისკაცით ჩამოუვარდებოდნენ სარდინიელებსა და ავსტრიელებს, მაგრამ სწრაფი კონცენტრაციის წყალობით მათ ყველა გადამწყვეტი ბრძოლისას რიცხვობრივი უპირატესობა გააჩნდათ. თავად ნაპოლეონი აღნიშნავდა: „სტრატეგიის არსი იმაშია, რომ უფრო სუსტი არმიის პირობებში იმ პუნქტში, რომელსაც უტევ ან რომელშიც გიტევენ, გყავდეს მეტი ძალა ვიდრე მოწინააღმდეგეს." (ციტირებულია დელბრუკის მიხედვით, 15, 610). მოგვიანებით წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონი ამბობდა: „ბრძოლის წინ იმის ნაცვლად, რომ ჩემი დივიზიები დამექსაქსა, მე მათ თავს ვუყრიდი იმ პუნქტთან, რომლის დაკავებაც მინდოდა. სწორედ იქ იყო თავმოყრილი ჩემი არმია და ის იოლად ამარცხებდა მოწინააღმდეგეს, რომელიც, ბუნებრივია, უფრო სუსტი იყო" (იქვე). აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი ცნება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კლასიკური სტრატეგიისათვის. ესაა **კონცენტრაციის** ცნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი შუალედური დასკვნა, რომელიც კლასიკურ სტრატეგიას ახასიათებს:

- მისი არსი დაიყვანება ბრძოლაზე, ყოველივე სხვა მას ემსახურება;
- სტრატეგიული გამარჯვება მიიღწევა ერთ ჩანაფიქრს დაქვემდებარებული ტაქტიკური გამარჯვების ჯამით;
- კლასიკური სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა საკუთარი ძალების

მაქსიმალური კონცენტრაცია, მოწინააღმდეგის ძირითად დაჯგუფებასთან კონტაქტში შესვლა, მისი განადგურება ერთ ან რამდენიმე ბრძოლაში, მიდევნება და დანებებაზე უარის შემთხვევაში მისი ტერიტორიის ოკუპირება.

ეს მხოლოდ შუალედური მახასიათებლებია. ახლა გადავიდეთ კლასიკური სტრატეგიის არსიდან იმაზე, თუ როგორ ხორციელდება კლასიკური სტრატეგია. დელბრუკი სტრატეგიის სულ ორ ფორმას აღიარებს: განადგურების სტრატეგიასა და გამოფიტვის სტრატეგიას. ცხადია, ხსენებული პირველპრინციპებიდან გამომდინარე, კლასიკური სტრატეგია უპირატესობას პირველს ანიჭებს.

§ 63
განადგურების სტრატეგია და გამოფიტვის სტრატეგია ჰანს დელბრუკის მიხედვით

ზემოთ უკვე აღნიშნეთ, თუ რატომ ავირჩიეთ დელბრუკის „სამხედრო ხელოვნების ისტორია" იმ სკოლის ძირითადი პრინციპების სადემონსტრაციოდ, რომელსაც ჩვეულებრივ კლაუზევიცის სკოლას უწოდებენ. ამავე მიზეზების გამო, აგრეთვე ელემენტარული თანმიმდევრულობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ჩვენ კლასიკურ სტრატეგიაში განადგურებისა და გამოფიტვის სტრატეგიებს შორის განსხვავების საჩვენებლად ისევ დელბრუკის ნაშრომს დავეყრდნობით.

ჰანიბალი

დელბრუკი პირველად ამ საკითხს მეორე პუნიკური ომის სტრატეგიასთან დაკავშირებით ეხება. იგი წერს: „უეჭველია, რომ ჰანიბალი კანის შემდეგ ღიად ესწრაფოდა ბრძოლას და, თუ ამას ვერ ახერხებდა, ამაში მხოლოდ რომაელთა წვლილი იყო. ჰანიბალი არ ცვლიდა გამოფიტვის სტრატეგიას და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ის, თავიდანვე განადგურების სტრატეგიის მიმდევარი რომ ყოფილიყო,

შეეცდებოდა რომაელთა ჯარის დამარცხებას, ე.ი. თავის თავს საკმარისად ძლიერად ჩათვლიდა რომის ალყისა და აღებისათვის. მაგრამ ნათელია, რომ ჰანიბალი ამგვარ გათვლას არასოდეს აკეთებდა და ვერც გააკეთებდა" (14, 161).

გამოდის, რომ კლასიკური განადგურების სტრატეგიის თვალსაზრისით, ჰანიბალი ცუდი მხედარმთავარი ყოფილა! ის ხომ არ ცდილობდა საკუთარი ძალების მაქსიმალურ კონცენტრაციას, მოწინააღმდეგის ძირითად დაჯგუფებასთან კონტაქტში შესვლას, მის განადგურებას ერთ ან რამდენიმე ბრძოლაში, მიდევნებას და დანებებაზე უარის შემთხვევაში მისი ტერიტორიის ოკუპირებას. მეტიც, დელბრუკი თვლის, რომ ის ეძებდა ზავს, მშვიდობას რომაელებთან; მისი მოლაპარაკებები ფილიპე მაკედონელთან (არ აგვერიოს ალექსანდრე მაკედონელის მამაში, ეს სხვა ფილიპეა) აპრიორი უშვებდა რომის, როგორც სახელმწიფოს, მეტიც, როგორც დიდი სახელმწიფოს, არსებობას.

შემდგომ დელბრუკი აგრძელებს: „ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰანიბალის სტრატეგია მიმართული იყო იმაზე, რომ რამოდენიმე უმძიმესი დარტყმითა და მოკავშირეთა ჩამოცილებით ეიძულებინა რომი გარკვეულ დათმობებზე და იმაზე, რომ ამ უკანასკნელს თავისი აპეტიტი შეეზღუდა. მართალია, ჰანიბალის ტაქტიკა ორპოლუსიანი იყო, მაგრამ მას არასდროს დაუსახავს მიზნად მოწინააღმდეგის სრული სამხედრო განადგურება, როგორც ამას ნაპოლეონი ან ალექსანდრე მაკედონელი ჩადიოდნენ" (14, 161).

უცნაურია სამხედრო ისტორიის ლოგიკა: დელბრუკი ჰანიბალს იმას უწუნებს, რასაც ლიდელ-ჰარტი აუცილებლად მოუწონებდა. მასთან დელბრუკი აცხადებს, რომ განსხვავება, მეტიც, დაპირისპირება ჰანიბალისა და მის მოწინააღმდეგე კუნკტატორს (განთქმული რომაელი მხრდამთავარი, კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი, რომელსაც ფრთხილი ტაქტიკის გამო კუნკტატორს, „ზოზინას" უწოდებდებდნენ. რომაელ პოეტ ენიასს ეკუთვნის მისდამი მიძღვნილი ლექსი, რომლის ერთ-ერთი სტრიქონი ამბობს: „და ჩვენ ყველა მხოლოდ ერთი კაცის ზოზინმა გვიხსნა") შორის მოჩვენებითია და რომ ისინი ორივენი გამოფიტვის სტრატეგიას იზიარებდნენ. „ჰანიბალი რომ განადგურების სტრატეგიის მომხრე ყოფილიყო, კუნკტატორის მანევრს არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა. ასე თუ ისე, ჰანიბალი მაინც ალყაში

მოაქცევდა და აიღებდა რომს, რითიც დაასრულებდა ომს... არც ერთ, არც მეორე მხარეს არ სურდა ჩაეკლა მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობა, არამედ – მხოლოდ შეესუსტებინა ის და ეიძულებინა მეორე მხარე მშვიდობას ან ქვეყნის დატოვებას დათანხმებოდა (14, 162).

ვფიქრობთ, დელბრუკის შრომის ამ მონაკვეთიდან ყველაფერი ნათელია. განადგურების სტრატეგია არის სტრატეგია, რომელიც ძალების მაქსიმალური კონცენტრაციით, რაღაც ფორმით, იწვევს მოწინააღმდეგეს გენერალურ ბრძოლაში, ანადგურებს მას და საფრთხეს უქნის თავად მის არსებობას. გამოფიტვის სტრატეგიის არსი კი იმაშია, რომ ის თავს არიდებს გადამწყვეტ ბრძოლას, ხშირად არც კი ახდენს ძალების კონცენტრაციას და მანევრირების გზით ცდილობს მოწინააღმდეგის გამოფიტვასა და მიზნის მიღწევას. თუმცა დელბრუკს ამგვარი მიდგომა, ქალაქურად რომ ვთქვათ, არავაჟკაცურად მიაჩნდა. მისთვის იდეალია არა კომპრომისული ზავი, არამედ აბსოლუტური გამარჯვება. ამ დროს ისევ კლაუზევიცი გახსენდება, რომელიც წერდა, რომ ომი არის ძალადობის აქტი და მის (ძალადობის) გამოყენებას საზღვარი არა აქვს.

ჰანიბალის მოწინააღმდეგე ფაბიუს მაქსიმუსი მეცსახელად „ზოზინა"

განსხვავებას განადგურებისა და გამოფიტვის სტრატეგიებს შორის დელბრუკი ავითარებს თავისი მრავალტომეულის იმ მონაკვეთში, სადაც იგი განიხილავს მუდმივი არმიების ეპოქას. იგი წერს (მკითხველს წინასწარ ბოდიშს ვუხდი გრძელი ციტატისათვის): „შესაძლოა ძალთა ისეთი თანაფარდობაც, როდესაც თავდაპირველად უნდა ველოდეთ მხოლოდ ზომიერ წარმატებას; იმედოვნებენ არა მოწინააღმდეგის განადგურებას, არამედ იმას, რომ სხვადასხვაგვარი დარტყმებისა

და დაზიანებების გზით მივიყვანოთ მოწინააღმდეგე დეგრადაციისა და დაღლის ისეთ დონემდე, რომ ის ბოლოს და ბოლოს მიიღებს გამარჯვებულის მოთხოვნებს. გამარჯვებულმა ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, გარკვეული ზომიერება უნდა გამოიჩინოს. გამოფიტვის სტრატეგიის არსიც სწორედ ამაშია. მისი უდიდესი პრობლემა ყოველთვის დაიყვანება დილემამდე – საჭიროა თუ არა მივმართოთ საკითხის ტაქტიკურ გადაწყვეტას – ბრძოლას, მისთვის დამახასიათებელი ხიფათებით და დანაკარგებით, და გადასწონის თუ არა გამარჯვების შედეგად მიღწეული სარგებელი იმ რისკს, რომელიც ჩვენ ფსონად ჩამოვედით. მხედარმთავარი ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დააზარალოს მოწინააღმდეგე და დაიცვას თავისი არმია, ქვეყანა და ხალხი. ის თავის თავს დაუსვამს კითხვას: შემოარტყას თუ არა ალყა რომელიმე ციხე-სიმაგრეს. დაიკავოს ესა თუ ის პოზიცია, მოუშალოს მოწინააღმდეგეს პროვიანტის მოწოდება, თავს დაესხას მოწინააღმდეგის ჩამორჩენილ ნაწილებს, ჩამოაშოროს მოწინააღმდეგეს მისი მოკავშირეები და, რაც მთავარია, ხომ არ დადგა დრო მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების განადგურებისა. ამრიგად, ბრძოლა გარკვეულ როლს თამაშობს როგორც განადგურების, ისე გამოფიტვის სტრატეგიაში. განსხვავებაა იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში ბრძოლა ერთადერთი ყველაფერის შთამნთქმელი სფეროა, ხოლო მეორეში – მხოლოდ ერთი ასარჩევი საშუალება სხვა საშუალებებს შორის. შესაძლოა მოწინააღმდეგე უბრძოლველადაც მივიყვანოთ იმ დონემდე, რომ მან ჩვენი მოთხოვნები მიიღოს, მაგრამ ამას მივყავართ წმინდა მანევრულ სტრატეგიამდე, რომელსაც ომის უსისხლოდ წარმოება სურს" (15, 502)

ასე რომ, კლასიკური განადგურების სისტემისათვის ბრძოლა ერთადერთი საშუალებაა მაშინ, როდესაც გამოფიტვის სტრატეგიისათვის – მხოლოდ ერთ-ერთი. ამაშია მათ შორის კიდევ ერთი არსებითი განსხვავება კლასიკური სტრატეგიის ამ ორ სახეს შორის. მაგრამ დელბრუკი უფრო შორს მიდის და ეს დილემა ვაჭრისა და რაინდის შუასაუკუნებრივ დაპირისპირებაზე დაყავს. იგი წერს: „როდესაც ფული ბატონობს, ომს ახასიათებს მიდრეკილება მანევრირებისაკენ, ხოლო რადესაც ხელისუფლება ჯარისკაცების ხელში გადადის, წინა პლანზე ბრძოლა იწევს" (იქვე, 504).

აქ დელბრუკი აშკარად ბრიტანულ ტრადიციას გულისხმობს. იმის მიუხედავად, რომ იგი ესპანეთის მემკვიდრეობისთვის ომისას მაღალ

დონეზე აყენებს იმ მანევრებს, რომლებსაც ჰერცოგი მალბორო[83] და პრინცი ოიგენი[84] ახორციელებდნენ, მაგრამ მისი იდეალი მაინც ნაპოლეონია. და რაგინდ გასაკვირი არ უნდა იყოს, გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი ნაპოლეონს, როგორც განაგურების სტრატეგიის გენიოსს, უპირისპირებს ფრიდრიხ დიდს, როგორც გამოფიტვის სტრატეგიის მიმდევარს. გერმანელი ისტორიკოსი იხსენებს ფრიდრიხ დიდის გამონათქვამს: „ომს ის იგებს, ვისაც ჯიბეში ბოლო ტალერი აღმოაჩნდებაო" და უპირისპირებს მას მაკიაველის აფორიზმს: „მას, ვისაც ჯარისკაცები ჰყავს, ფულიც გაუჩნდება" (გულწრფელად რომ ვთქვათ, თუ ფრიდრიხის სამხედრო წარმატებებს მაკიაველის, როგორც ფლორენციის ჯარის სარდლის სრულ კრახს შევადარებთ, ვფიქრობთ აქ სადავო არც არაფერია). ახასიათებს რა ფრიდრიხ დიდის მოქმედებას ავსტრიელთა წინააღმდეგ, დელბრუკი წერს: „ის (ფრიდრიხი) განადგურების სტრატეგიის მიმდევარი რომ ყოფილიყო, ე.ი. მის ხელთ არსებული საშუალებები საკმარისი რომ ყოფილიყო ამ სტრატეგიის განსახორციელებლად, ჩვენ მის ქმედებაში (ავსტრიელებთან ომისას) მისი კარიერის უდიდეს შეცდომას დავინახავდით. მაგრამ რამდენადაც ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიც კი ავსტრიის სრული განადგურება შეუძლებელი იყო, უნდა ვაღიაროთ, რომ ის სწორად მოიქცა, როდესაც ამ წელს დასჯერდა საქსონიის ოკუპაციას" (15, 605).

დელბრუკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ არმია, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, მარცხის საფრთხის წინაშე დგას, როგორც განადგურების, ისე გამოფიტვის სტრატეგიისას. მაგრამ განადგურების სტრატეგიისას ეს მსხვერპლი მხედველობაში არ მიიღება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ომი ერთი ან რამოდენიმე ბრძოლის შემთხვევაში სრულდება. ასე რომ, რისკი გამართლებულია მაშინ, როდესაც გამოფიტვის სტრატეგიაში საქმე სულ სხვაგვარადაა. თუ ერთ, მეორე, მესამე მოგებას არ მივყავართ ომის დასასრულამდე, იბადება კითხვა: ხომ არ გახდება თავად გამარჯვება სადავო იმ მსხვერპლის ფასად, რომელიც გამარჯვებულმა არმიამ გაიღო.

დელბრუკი მიიჩნევს, რომ გამოფიტვის სტრატეგიისას გადამწყვეტია არა თავისთავად გამარჯვება, არამედ ის, თუ სად, რომელ პუნქტში, რა ადგილას იქნა მიღწეული ეს გამარჯვება. ამისგან განსხვავებით განადგურების სტრატეგია არ არის დამოკიდებული რომელიმე პუნქტზე, იქ ამოცანას რაღაც ტერიტორიის ან სტრატეგიული

განადგურების სტრატეგია	გამოფიტვია სტატეგია
საბრძოლო ზემოქმედების ძირითადი ობიექტია მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები;	საბრძოლო ზემოქმედების ძირითადი ობიექტია მოწინააღმდეგის კომუნიკაციები, მომარაგების პუნქტები, ჩამორჩენილი ნაწილები და ა.შ;
სამხედრო მოქმედებების მთავარი ფორმაა ბრძოლა, ყველაფერი სხვა მას ემსახურება;	ბრძოლა არის სამხედრო მოქმედებების ერთ-ერთი შესაძლო ფორმა სხვა ფორმების გვერდით;
საბრძოლო მოქმედების ამოცანაა მოწინააღმდეგეზე სწრაფად მოახდინო ძირითადი ძალების კონცენტრაცია, მონახო მისი ძირითადი დაჯგუფება, ერთ ან ან რამდენიმე ბრძოლაში გაანადგურო ის და მისდიო თვით მისი დედაქალაქის დაკავებამდე;	საბრძოლო მოქმედების ამოცანაა მანევრირების გზით მოაშორო მოწინააღმდეგე მისი მომარაგების ბაზებს, აიძულო შენზე მეტად და უაზროდ გადაადგილდეს და ამით გამოფიტო ფიზიკურად და მორალურად;
ბრძოლა არის ლოგიკური აუცილებლობა და მხედარმთავარი მას უნდა ესწრაფოდეს;	ბრძოლა არის საშუხარო აუცილებლობა და მხედარმთავარი მას შეძლებისდაგვარად თავს უნდა არიდებდეს;
ბრძოლის ბედი ლოგიკურია, ყოველ შემთხვევაში მისი ალბათობა პროგნოზირებადია;	ბრძოლა ბედის საქმეა, თანაბარ პირობებში იმარჯვებს ის, ვისაც ბედი გაუღიმებს;
ომის მიზანია მოწინააღმდეგის ნების გატეხვა და მისთვის შენი პოლიტიკური ნების თავსმოხვევა;	ომის მიზანია კომპრომისული ზავი, ოღონდ ისეთი, რომ ომამდელ ვითარებასთან შედარებით შენ უფრო მოგებული დარჩე ვიდრე შენი მოწინააღმდეგე;
კამპანიისას ერთი ბრძოლა ორგანულად გამომდინარეობს მეორისგან;	კამპანიისას სხვადასხვა ბრძოლებს შორის პირდაპირი და ლოგიკური კავშირი არ არსებობს ან ყოველ შემთხვევაში შეიძლება არ არსებობდეს;

ხაზის დაკავება კი არ წარმოადგენს, არამედ მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება.' მთავარია მოწინააღმდეგე გაანადგურო და სრულებით არ არის არსებითი თუ სად, რომელ პუნქტთან მოახერხებ ამას.

თუ განადგურების სტრატეგიის ძირითადი მიზანია ბრძოლა და ყოველივე სხვა ამ მიზანს ექვემდებარება, გამოფიტვის სტრატეგიამ სრულიად სხვადასხვა სახე შეიძლება მიიღოს. შვიდწლიანი ომის დასაწყისში ფრიდრიხ დიდი მერყეობდა განსხვავებული და ხშირად საპირისპირო გეგმების არჩევაში. ეს არც არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ განადგურების სტრატეგია უფრო „ობიექტურია" იმ აზრით, რომ მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — ბრძოლა და ამ მიზნისაკენ მიმავალი ვექტორების ოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გამოფიტვის სტრატეგიისა, რომელსაც ბრძოლის გარდა ბევრი სხვა, მისი ტოლფასი მიზანი გააჩნია, შესაბამისად, მხედართმთავრის წარმოსახვას უფრო ფართო ჰორიზონტს უხსნის და ამ აზრით უფრო „სუბიექტურია".

დელბრუკის თანახმად, გამოფიტვის სტრატეგიისას წინა პლანზე ციხე-სიმაგრეების ალყა ან მათი დებლოკადა იწევს. ფრიდრიხი და გამოფიტვის სხვა სტრატეგები ურჩევდნენ თავიანთ ზურგში მოწინააღმდეგის არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არ დაეტოვეინათ დაუკავებელი. დელბრუკის აზრით, განადგურების სტრატეგიისას ალყას არტყავენ მხოლოდ იმას, რასაც არ შეიძლება რომ არ შემოარტყან: ვთქვათ, მოწინააღმდეგის დედაქალაქს, როგორც ეს პრუსია-საფრანგეთის ომისას მოხდა, 1870 წელს.

დელბრუკი აღნიშნავს, რომ ფრიდრიხ დიდისათვის მანევრირება ბუნებრივი მდგომარეობა იყო, ხოლო ბრძოლა იძულებითი (თუმცა ფრიდრიხის მხედართმთავრული ნიჭის გათვალისწინებით ის ფრიდრიხის სტრატეგიას ორპოლუსიანს უწოდებს, ანუ ისეთს, რომელიც მერყეობს ბრძოლასა და მანევრს, შორის, ოღონდ ამ უკანასკნელის პრიმატით). ფრიდრიხი ბრძოლას „სასაქმებელ ზეთს" უწოდებდა, რომელიც აუცილებელია მისცე ავადმყოფს, თუმცა ეს უკანასკნელი მისთვის სასიამოვნო სულაც არ არის. „მე სხვა აღარაფერი დამრჩენოდა თუ არა ბრძოლისთვის მიმემართა", — ხშირად იწერება ფრიდრიხი. მისთვის ბრძოლა ბედს მინდობაა, გაურკვევლობა, რომელიც არვინ იცის როგორ დასრულდება. ამაშია ფრიდრიხის „სუბიექტურ-

ობა". რა დიდ როლს თამაშობდა მაშინდელ ომებში შემთხვევითობა, თავად ფრიდრიხის მაგალითიც ადასტურებს, რომელიც სრულიად შემთხვევითმა გარემოებამ – ელიზავეტა პეტროვნას სიკვდილმა გადაარჩინა. ამის საპირისპიროდ რაციონალური ნაპოლეონი აცხადებს, რომ ის ბრძოლას არასოდეს გადაწყვეტს, თუ გამარჯვების შანსი 70%-ზე ნაკლები იქნება. „ფრიდრიხს ამ პრინციპისთვის რომ მიემართა, საეჭვოა, რომ თუნდაც ერთ ბრძოლაზე მაინც წასულიყო", – წერს დელბრუკი (15, 607). ეს, რასაკვირველია, ორი მხედართმთავრის სიმამაცეს შორის განსხვავებაზე როდი მეტყველებს. ორივეს სიმამაცე საყოველთაოდაა აღიარებული. უფრო მეტად აქ მიდგომებს შორის განსხვავებაზეა მისათითებელი. განადგურების სტრატეგიას ბრძოლის შედეგი რაღაც შემთხვევითობად რომ განეხილა, მაშინ მთელი ომის შედეგიც შემთხვევითი გამოვიდოდა, რადგან ომის ბედი ბრძოლაში წყდება. გამოფიტვის სტრატეგიაში ბრძოლა მრავალთაგან მხოლოდ ერთი მომენტია და მისი შედეგი ყოველთვის შეიძლება გაწონასწორდეს სხვა ფაქტორებით. 1760 წელს ერთ-ერთი ბრძოლის შესაძლო შედეგს რომ აფასებდა, ფრიდრიხი წერდა: „ეს ბრძოლა რომც წავაგოთ, ამით არაფერი არ გაუარესდება მოცემულ მომენტთან შედარებით". ნაპოლეონის ბაგეთაგან ასეთი რამ გაუგებარი და შეუძლებელი იქნებოდა. მისთვის ნებისმიერ მდგომარეობაში მოგებული ან წაგებული ბრძოლა ძირეულად ცვლიდა სიტუაციას", – წერს დელბრუკი (იქვე, 607).

გერმანელი ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ განადგურების ანუ ნაპოლეონისეული სტრატეგიისას ერთი ბრძოლა ორგანულად და ლოგიკურად გამომდინარეობს მეორისაგან, მაშინ როდესაც ფრიდრიხის ბრძოლები მისი სუბიექტური გადაწყვეტილებების შედეგია. ნაპოლეონის მიერ მოგებულ ერთ ბრძოლას ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა მეორე, მესამე და ა.შ. მაშინ, როცა ფრიდრიხს შეეძლო მოეგო ერთი ბრძოლა და შემდგომ კარგა ხანს აერიდებინა თავი შეტაკებისათვის. ამ მხრივ ფრიდრიხი ოიგენ სავოელს წააგავს. ოიგენს ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომისას მაპლაკეთან ფრანგებზე სისხლიანი გამარჯვების შემდეგ, ომის დასასრულამდე, პრაქტიკულად არც ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა არ ჩაუტარებია. ამის მსგავსად ფრიდრიხს ტორგაუსთან 1760 წლის გამარჯვების შემდეგ, ომის დასასრულამდე (ანუ 1763 წლამდე), არც ერთი მნიშვნელოვანი

ბრძოლა არ ჩაუტარებია. ნაპოლეონის შემთხვევაში ასეთი რამ წარმოუდგენელი იქნებოდაო, — სამართლიანად აღნიშნავს დელბრუკი.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვით შეეხოთ — ავსტრიის ერცჰერცოგ კარლს[85], რომელსაც დელბრუკი გამოფიტვის სტრატეგიის ლამის უკანასკნელ მოჰიკანად მიიჩნევს (როგორც მომდევნო თავში ვაჩვენებთ, ამ საკითხში დელბრუკი ძალიან ცდება). ერცჰერცოგი კარლი ნაპოლეონისათვის ყველაზე საშიშ მხედარმთავართა ოთხეულში შედიოდა (ველინგტონთან, კუტუზოვთან და ბლიუხერთან ერთად). ერჰერცოგი, გარდა მხედარმთავრისა, კარგი თეორეტიკოსიც იყო და მის შეხედულებებს შემდეგ თავში განვიხილავთ. ახლა მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, დელბრუკის მიხედვით, ერცჰერცოგი, ფრიდრიხის არ იყოს, უპირატესობას ბრძოლას კი არა, საკვანძო პუნქტების დაკავებას ანიჭებდა. „ყოველ ქვეყანაში არსებობს სტრატეგიული პუნქტი, რომელსაც მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ხელში ჩაგდებით ხელთ იგდებ ამ ქვეყნის გასაღებსა და მის რესურსებს", — წერდა იგი (ციტირებულია დელბრუკის მიხედვით 15, 615). დასასრულს, ამ მონაკვეთის დასკვნისათვის აღვნიშნავთ, რომ კლასიკურმა განადგურების სტრატეგიამ თავისი თავი ამოწურა პირველი მსოფლიო ომისას. თუმცა იდეა, რომ საბრძოლო ზემოქმედების ძირითადი ობიექტი მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალებია, დღესაც ცოცხლობს, როგორც ეს თუნდაც ერაყის ორივე კამპანიამ გვიჩვენა. ოღონდ საცეცხლე ზემოქმედების ხასიათი სულ სხვაგვარია, რასაც შემდგომ შეეხებით. რაც შეეხება გამოფიტვის სტრატეგიას (გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვიტყვი, რომ არ არის აუცილებელი — ამ სტრატეგიას მაინცადამაინც სუსტი მხარე მიმართავდეს), ის უფრო ფართო არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის კონტექსში მოექცა, რომელსაც აგრეთვე შეეხებით.

§ 64
პოზიციის ცნება კლასიკურ სტრატეგიაში

ახასიათებს რა ახალი დროის რევოლუციურ და ეროვნულ არმიებს, დელბრუკი წერს: „რამდენადაც ითვლებოდა, რომ ომი მანევრული იქნებოდა, დაიწყეს ამ ხელოვნების პრინციპების, წესებისა და რე-

ცეპტების ძიება. დაიწყეს გეოგრაფიის შესწავლა, რათა დაედგინათ, სად და როგორ მოეძებნათ პოზიცია, რომელიც, ერთი მხრივ, ძნელად მისადგომი იქნებოდა მოწინააღმდეგისათვის, ხოლო მეორე მხრივ, იოლი საკუთარი არმიის ყოველივე საჭიროთი მომარაგებისათვის. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხელსაყრელ პუნქტებსა და სიმაგრეებს „გასაღები" უწოდეს. გაარკვიეს, რომ ქვეყნის შიგნით მდინარეები და მთები „სექტორებს" ქმნიან; რომ ოპერაციის მომზადებისას არმიამ ამ სექტორებში უნდა მოიყაროს თავი მანამ, სანამ გვერდის აცლას დაიწყებს. ტაქტიკისა და ციხე-სიმაგრეებისათვის ომის ფორმები სტრატეგიაზე გადაიტანეს. ოლქები (მხარეები) მოიაზრებოდნენ, როგორც სიმაგრეების ბასტიონები. ფორმულა: ჯარი უნდა უფრთხოდეს იმას, რომ მოწინააღმდეგემ ზურგიდან არ შეუტიოს — სტრატეგიაზეც გადაიტანეს, იმისდა მიუხედავად, რომ სტრატეგიაში ზოგჯერ პირიქით ხდება. სახელდობრ, თუ გვეძლევა შესაძლებლობა დავამარცხოთ მოწინააღმდეგე ერთი მხრიდან მანამ, სანამ მეორე მხრიდან მოასწრებს მოვლას და ბრძოლაში ჩართვას; მაშინ როცა ტაქტიკაში საქმე სრულიად საპირისპიროდაა. ზურგიდან შეტევა აქ უშუალოდ ვლინდება და მოქმედებს სასროლი იარაღისა და არტილერიის მოქმედების რადიუსში... რაიონი, საიდანაც ჯარი იღებს ყოველივეს, რაც მისთვის აუცილებელია, იწოდა ბაზად. შემდეგ სცადეს გაერკვიათ, რა მიმართებაში უნდა იყოს ოპერაცია (აქ იგულისხმება ფრონტის ხაზი — კ.კ.) ამ ბაზასთან. მარტივი, ცხადი ჭეშმარიტება, რომ რაც უფრო ახლოა არმია თავის ბაზასთან, მით უფრო ადვილი მოსამარაგებელია იგი, გამოიხატებოდა სწავლულ მათემატიკურ ფორმულებში. ხაზი, რომელიც ჩვენი არმიის გამჭოლ მიდიოდა მოწინააღმდეგის პოზიციისაკენ, იწოდებოდა „ოპერაციულ ხაზად" (15, 581)". დელბრუკის ნაშრომიდან მოყვანილი ეს ვრცელი ციტატი ერთადერთი ობიექტის დახასიათებას ეძღვნება, ობიექტისა, რომელსაც პოზიცია ჰქვია. ზემოთ აღწერილ ცნებით აპარატს თუ დაეურთავთ პოზიციისა და ოპერაციის ცნებებს (მათი განმმარტებელი კონცეპტუალური აპარატითურთ), პრინციპში ამოვწურავთ კიდეც კლასიკური სტრატეგიის კონცეპტუალურ ბაზას.

პოზიცია კლასიკური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ცნებაა. ის სტატიკაში იმასვე გამოხატავს, რასაც **ოპერაციის** ცნება — დინამიკაში. აქ ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც გეოპოლიტიკისა და

პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართებაში. პოლიტიკური გეოგრაფია ნიშნავს სინქრონიას, ანუ პოლიტიკური სუბიექტების სივრცეში გაშლილ გეოგრაფიული სურათის აღწერას დროის მოცემულ მონაკვეთში, ხოლო გეოპოლიტიკის ცნება ჩვენთვის გულისხმობს პოლიტიკური ტრანსფორმაციების დროითი დინამიკის შესწავლას ყველა მისი პარამეტრითა და მიზეზებით. პოლიტიკური გეოგრაფიის ამოცანაა დროის სხვადასხვა მონაკვეთებში აღწეროს პოლიტიკურ-გეოგრაფიული სურათი, ანუ აჩვენოს დისპოზიცია სახელმწიფოებს შორის. გეოპოლიტიკისა კი — შესწავლა იმისა, თუ როგორ იცვლება დროში ეს დისპოზიცია. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც: **პოზიციის** აღწერა მხედარმთავრისთვის არის ამოსავალი დისპოზიციის განსაზღვრისა და საბოლოო დისპოზიციის სურათის ჩამოყალიბებისათვის, ხოლო **ოპერაციის** ამოცანაა ის, რომ სამხედრო მოქმედებების გზით ამოსავალი დისპოზიცია სასურველად აქციოს. ცხადია, ეს ანალოგია პირობითია, ვინაიდან განსხვავებით გეოპოლიტიკოსისაგან და პოლიტ-გეოგრაფიისაგან, რომელთაც, როგორც წესი, აკადემიური ინტერესი ამოძრავებს, მხედართმთავარს კონკრეტული მიზნები აქვს. მაგრამ ეს ანალოგია მაინც საკმარისია იმისათვის, რომ თუნდაც ინტუიციურ დონეზე გავერკვეთ, რას ნიშნავს პოზიცია და რას ნიშნავს ოპერაცია.

კლასიკური სტრატეგიის პირობებში მოწინააღმდეგეები ერთმანეთის მიმართ რაღაც სივრცობრივ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან („მოწინააღმდეგეებში" ვგულისხმობ არა ოდენ პირად შემადგენლობას, არამედ ტექნიკის განლაგებისა და ინფრასტრუქტურის თავისებურებებს). ფიზიკურ სივრცეს, სადაც მოწინააღმდეგეთა ურთიერთქმედება ხორციელდება, ეწოდება **ფრონტი**. კლასიკურ სტრატეგიაში ეს სივრცე, როგორც წესი, სახმელეთო ხასიათს ატარებდა, რომლის ფარგლებშიც მოწინააღმდეგეები ერთმანეთზე ზემოქმედებდნენ. ეს ზემოქმედება შეიძლებოდა ყოფილიყო ან **სტრატეგიული** (წარმატებითი გარღვევისას) ან **ტაქტიკური** (პოზიციური ომის ჭაობისას). როგორც ვთქვით, სივრცე, სადაც ხორციელდება მოწინააღმდეგეთა უშუალო ზემოქმედება, სხვა არაფერია თუ არა ფრონტი. **სახმელეთო ფრონტი** არის ორგანზომილებიანი სივრცე, სადაც ხორციელდება ოპერაციები. ეს არის გარკვეული კლაკნილი ხაზით გაყოფილი ორგანზომილებიანი ზედაპირი, სადაც ხდება მოწინააღმდეგეთა საცეცხლე ურთიერთშეხება და ზემოქმედება. ომის დასაწყისისათვის, როგორც წესი, ფრონტის

ხაზის მოხაზულობა ემთხვევა სახელმწიფოთშორისი საზღვრის მოხაზულობას, მაგრამ არა ყოველთვის.

როგორც ვთქვით, პოზიცია შეიძლება განისაზღვროს გეომეტრიულად, ან უფრო ზუსტად, გეოგრაფიულად, როგორც სისტემა, რომელიც მოიცავს მოწინააღმდეგეთა შეიარაღებულ ძალებს, უზრუნველყოფის საშუალებებსა (საბრძოლოს და საერთოს) და ფრონტის ფიზიკურ სივრცეს. ამ მიმართებით არ არის არსებითი განსხვავება ფრონტსა და მასზე მაღალ საბრძოლო ერთეულს — საბრძოლო მოქმედებათა თეატრს — შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინ „საბრძოლო მოქმედებათა თეატრს" დასავლურ სტრატეგიაში ორგვარი მნიშვნელობა აქვს: სამხედრო-გეოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული. ანალოგიურად შეიძლება ვილაპარაკოთ „ფრონტზე". ეს ტერმინი შეიძლება აღნიშნავდეს გარკვეულ მიმართულებას, გეოგრაფიული აზრით (ვთქვათ კავკასიის ფრონტი) და სამხედრო-სტრატეგიულადაც (როგორც ამ კავკასიის ფრონტზე მოქმედი ძალების ერთობლიობა, რომელსაც თავისი სარდალი ჰყავს). რასაკვირველია, თეატრი არ არის უბრალოდ გაფართოებული ფრონტი, მაგრამ ამ ორ ცნებას შორის ბევრი რამაა საერთო, რაც ორივეს არსის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება. სახმელეთო ჯარებზე ლაპარაკისას ფრონტი შეიძლება დავიყვანოთ არმიებზე, კომუნიკაციებზე (ლოგისტიკური უზრუნველყოფისა და პირადი შემადგენლობის გამაძლიერებელი კომუნიკაციებს ხასიათსა და ინფრასტრუქტურაზე) და ფრონტის ხაზზე. უზოგადესი გაგებით, პოზიცია არის სისტემა „ომის" სპეციფიკური ქვესისტემა.

პოზიციები იწოდება ექვივალენტურად, თუ ფრონტის ხაზის ნებისმიერ ცვლილებას მეორე მხარის მხრივ ისეთი ცვლილება მოსდევს რომლითაც გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთი მხარე ვერ აღწევს, ანუ ექვივალენტური ცვლილებების შედეგად სისტემა „ომის" სტრუქტურა არ იცვლება. პოზიცია იწოდება მომგებიანად თუ, ის, როგორც შუალედური ეტაპი, უზრუნველყოფს საბოლოო სტრატეგიული პოზიციის მიღწევას. ლაპარაკია საბოლოო პოზიციაზე, რომელშიც რეალიზდება ომის მიზანი. ამასთან ეს მიზანი პოზიციების თანმიმდევრული ტრანსფორმაციების რიგით, ანუ შუალედური პოზიციების გავლით მიიღწევა, რომელთაგან თითოეული მათგანი უფრო და უფრო უნდა გვაახლოვებდეს გამარჯვებასთან, ანუ თავდაპირველი

პოზიციის გარდაქმნასთან სასურველ შედეგად. პოზიცია იწოდება წამგებიანად, თუ მისი ნებისმიერი ცვლილებისას მივდივართ ისეთ შუალედური პოზიციისაკენ, რომელიც გვაშორებს ჩვენთვის სასურველ საბოლოო პოზიციას, ხოლო მოწინააღმდეგეს პირუკუ — აახლოვებს მისთვის სასურველ პოზიციას. რამდენადაც ომი არის თამაში **არანულოვანი ჯამით,** ერთი მხრისათვის მომგებინი პოზიცია არ არის აუცილებელი მაინცადამინც წამგებიანი იყოს მეორისათვის. პოზიცია, რომელიც არ განეკუთვნება არც წამგებიანთა და არც მომგებიანთა რიცხვს, იწოდება **განუსაზღვრელად.** სხვაგვარად, განუსაზღვრელი პოზიციისას გაურკვეველი რჩება, რომელი მხარე მოახერხებს შუალედური პოზიციების გარდაქმნას მისთვის სასარგებლოდ. მეტიც, განუსაზღვრელი პოზიციისას ისიც კი უცნობია, რამდენი შუალედური ტრანსფორმაცია სჭირდება ორივე მხარეს დასახული მიზნის მისაღწევად. განუსაზღვრელ პოზიციათა შორის **თანაბარი** ეწოდება ისეთ პოზიციებს, როდესაც დაპირისპირებულ მხარეთა გადაწყვეტილებების უნარი, მოახდინონ პოზიციის ტრანსფორმაცია თავის სასარგებლოდ, ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან უპირატესობის მქონე მხარემ შეიძლება ყოველთვის ვერ მოიგოს (თავის სასარგებლოდ გარდაქმნას შუალედური პოზიციები), მაგრამ ყოველთვის შეუძლია აიძულოს მოწინააღმდეგე მხარე — წააგოს, ანუ არ მისცეს მას მისთვის სასარგებლო პოზიციის შექმნის საშუალება.

შემდეგი მნიშვნელოვანი მახასიათებელია პოზიციის **გეომეტრია, ანუ ოპერატიული მდგომარეობა.** როგორც წესი, გეომეტრია ცალსახად შეიძლება დახასითდეს პოზიციის ე.წ. **ბმულობით. პოზიცია მით უფრო ბმულია,** რაც უფრო სწრაფად შეიძლება იქნეს გადასროლილი სტანდარტული ერთეულები მის ნებისმიერ წერტილში. ფორმალურად პოზიციის ბმულობა განსაზღვრული შეიძლება იქნას, როგორც მოცემულ მონაკვეთზე სტანდარტული ერთეულების (დანაყოფების, იხ. ქვემოთ) გადასროლის დროის უკუპროპორციული სიდიდე (ანუ პოზიცია მით უფრო ბმულია, რაც უფრო სწრაფად შეგიძლია მისი ერთი მონაკვეთიდან მეორეში გადაიყვანო სტანდარტული ერთეული). **წერტილებს, რომელთა დაკავება შლის ბმულობას, გრავიტაციის ცენტრი შეიძლება ეწოდოს.** გრავიტაციის ფუნქცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ისეთი, რომლის მწყობრიდან გამოსვლა ან დაკარგვა შლის შეიარაღებული ძალების მდგრადობას.

ამასთან ეს ცენტრი შეიძლება არ იყოს მაინცადამაინც დასახლებული პუნქტი (თუმცა, უმეტეს შემთხვევებში ეს მართლაც ასეა). ეს წერტილი შეიძლება იყოს აეროპორტი, ლოგისტიკური საწყობი, კომუნიკაცია, კავშირგაბმულობის კვანძი ან გინდაც ოპერაციის ხელმძღვანელი, რომელიც სნაიპერის გასროლამ შეიძლება საიქიოს გაისტუმროს.

ბმულობა განისაზღვრება ფრონტის გეომეტრიით და, როგორც წესი, იმ კომუნიკაციების სტრუქტურით, რომლებიც არ კვეთენ ფრონტის ხაზს. ასეთი კომუნიკაციები ორივე მხრის ცეცხლქვეშ ხვდებიან და გამოსაყენებლად (ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე დიდი დაჯგუფების ან ოდენობის ტვირთის გადასატანად) უვარგისნია. ამიტომ ბმულობა ახასიათებს აგრეთვე პოზიციის კავშირს ზურგთან. **გრავიტაციის ცენტრს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომელიც ზურგისა და ფრონტის ხაზზე მყოფი ძალების ბმულობას მოშლის.** თუ ეს ბმულობა 3/4-ით მცირდება (კომუნიკაციების უზრუნველმყოფი გრავიტაციის წერტილის დაკარგვასთან ერთად), ეს პრაქტიკულად ნიშნავს ზურგისა და ფრონტის კავშირის დაკარგვას. ამ დროს სამი მეოთხედით შემცირდება ფრონტის ხაზთან მყოფ ჯარისკაცთათვის იარაღის, საჭურვლის, საკვების მიწოდება, რეზერვების ბრძოლაში ჩართვა, დაჭრილების ევაკუაცია და ა.შ. ბმულობის 0,5-ით შემცირება შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალიან მძიმე, ხოლო 0,3-ით — როგორც სერიოზული. გრავიტაციის პუნქტები, რომელთა დაკარგვის შემთხვევაში „საკუთარი" პოზიციის ბმულობა მცირდება, ხასიათდები დადებითი ბმულობით. პირიქით, პუნქტები, რომლების დაკარგვასაც პოზიციის ბმულობის გაზრდა მოსდევს, ხასიათდება უარყოფითი ბმულობით. აქედან გამომდინარე, პუნქტის დაკარგვა აუცილებლად არ ნიშნავს ბმულობის მოშლას. **გრავიტაციის პუნქტი, რომელის დაკარგვაც მაქსიმალურად შლის ბმულობას, იწოდება პოზიციის ცენტრად.** ყოველივე ზემოთქმული ძალაშია, როგორც მთელი პოზიციის (ფრონტის), ისე მისი ცალკეული მონაკვეთების მიმართ.

ამასთან გრავიტაციის ცენტრი განსაზღვრა არცთუ იოლი საქმეა. აუცილებელი არ არის, ის იყოს რომელიმე დიდი ქალაქი ან სატრასპორტო კვანძი. ის, სულ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს გრავიტაციის ცენტრი. მაგალითად, ასეთი 1870-71 წლის საფრანგეთ-გერმანიის ომისას ასეთი სედანის ციხე-სიმაგრე იყო, რომლის კაპიტულაცია უკვე საფრანგეთის მარცხს ნიშნავდა. ზოგჯერ

სტრატეგები ამგვარი ცენტრის განსაზღვრისას ცდებიან. მაგალითად, ბრუსილოვის ცნობილი გარღვევისას რუსები გრავიტაციულ ცენტრად ლვოვს მიიჩნევდნენ, ავსტრიელები — ლუბლინს, სინამდვილეში აღმოჩდა, რომ ამგვარი ცენტრი პატარა ქალაქი რაჟუ-რუსკაია იყო. პოლონეთის კამპანიისას 1939 წელს პოლონელთა წინააღმდეგობა, როგორც გაირკვა, იშლებოდა გერმანელთა მიერ დასახლებულ პუნქტ კუტნოს დაკავების შემდეგ, თუმცა გერმანელებს ამაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ხოლო პოლონელებს, ჩანს, საერთოდ არანაირი. საბჭოთა ფრონტზე ორივე მხარემ გაიაზრა დაუგაპილსის, სმოლენსკის და ვიაზმის როლი, მაგრამ მათ ყურადღების გარეშე დარჩათ ისეთი გრავიტაციული ცენტრები, როგრიც იყო რიგა, პიარნუ, იაროსლაველი, რიბინსკი.

თუ ორი გრავიტაციის ცენტრი, ერთმანეთთან კომუნიკაციური ხაზებით პირდაპირ არის შეერთებული (ანუ მათ შორის არ მოიპოვება სხვა კვანძები), „სატრანსპორტო წინააღმდეგობა" ამ პუნქტებს შორის ძალიან მცირეა. ამ შემთხვევაში ხშირად ეს პუნქტები გადაჭდობილია, ანუ ერთად ნარჩუნდება ან ერთად იკარგება, თუმცა ასეთი რამ საკმაოდ იშვიათად ხდება.

გრავიტაციული ცენტრების ფუნქიონირებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მათ ახლოს მოწინააღმდეგის კომანდოსების, ანალოგიური დაჯგუფებებისა ან პარტიზანების არსებობა. მათ მიერ მიყენებული შესაძლო ზარალი ცნობილმა რუსმა სამხედრო თეორეტიკოსმა პერესლეგინმა გამოიძია და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „პოზიციის ბმულობაზე კატასტროფულ გავლენას ახდენს მათ ზურგში პარტიზანების არსებობა. დავუშვათ, რომ ფრონტის რომელიღაც მონაკვეთზე დისლოცირებულია 30 სტანდარტული დივიზია, რომლებიც ორი ძირითადი მაგისტრალით მარაგდება. დავუშვათ, რომ პარტიზანთა მოქმედების შედეგად ერთი მაგისტრალი თვეში მხოლოდ ხუთი დღე მუშაობს (მაგისტრალების სიგრძე დაახლოებით შეესაბამება მეორე მსოფლიო ომის დროინდელ მასშტაბებს ანუ 500 კილომეტრს). ამ შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებებიდან ამოირთვება 2,5 დივიზია, ანუ დაახლოებით 30 000 კაცი, იმათ ჩაუთვლელად, ვინც გამოყოფილნი იქნებიან მაგისტრალების უსარგებლო დაცვით და პარტიზანებთან კიდევ უფრო უსარგებლო ბრძოლით. ამრიგად, პარტიზანთა მოქმედება ზეეფექტურია, მაგრამ ძნელი დასანახი არ არის, რომ იგი

დამლუპველია ქვეყნისა და მისი იმ მოსახლეობისათვის, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმოჩნდება" (24, 808).

თუ ფრონტის ნებისმიერი, მცირე გარდაქმნისას პოზიციის ბმულობა მცირდება ორივე მხარისათვის, ასეთ პოზიციას **მყარი (მდგრადი)** ეწოდება, თუ ასეთივე მცირე გარდაქმნებისას ბმულობა მცირდება შეტევისას და არ მცირდება უკან დახევისას, პოზიცია იწოდება **ურთიერთბლოკირებულად**. თუ პოზიცია ბლოკირებულია მხოლოდ ერთი მხრისათვის, მაშინ როდესაც მეორეს შეუძლია შეუტიოს თავისი ბმულობის მიუხედავად, საქმე გვაქვს **ცალმხრივ ბლოკადასთან**. და ბოლოს, თუ პოზიცია არ არის ბმულობის ექსტრემუმი, მას **გაურკვეველი** ეწოდება.

აქედან გამომდინარე, პრაქტიკული სტრატეგიის სტრატეგები ჩვეულებრივად დაკავებულები არიან გრავიტაციული ცენტრებისა და კვანძების გათვლით. ცხადია, ეს ცენტრი ზოგჯერ ძალიან თვალსაჩინოა (ვთქვათ, წითელ რუსეთთან 1921 წლის ექვსკვირიანი ომისას ასეთი ცენტრი იყო თბილისი, რომლის რუსების მიერ დაკავების შემდეგ პირველი რესპუბლიკის იმ დროისათვის პირველი კლასის არმიამ წინააღმდეგობა პრაქტიკულად შეწყვიტა). მაგრამ ეს არც გენშტაბს და მინიმუმ მასზე ორი საფეხურით დაბლა მდგომ შტაბებს არ ათავისუფლებს იმ გრავიტაციული ცენტრების განსაზღვრისგან, რომელთა მოშლით ბმულობის ნებისმიერი სახე იშლება: დაწყებული ფრონტის ერთი ფლანგიდან მეორეზე ჯარის გადასროლის უნარით, ვიდრე ხაზსა და ზურგს შორის კავშირის გაწყვეტამდე. ამ წიგნში არ ვიძლევით მზა რეცეპტს: რომელია გრავიტაციის ცენტრი, თუნდაც საქართველოში (თბილისს არ ვგულისხმობ). ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ არის მოწინააღმდეგე და როგორია ფრონტის ხაზის მოხაზულობა. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყველა ცალკეული, კონკრეტული შემთხვევისათვის, უნდა განისაზღვროს კრიტერიუმი, რომლითაც გავარჩევთ რომელია გრავიტაციული ცენტრები და რომელი — არა.

§ 65
დაგეგმვის ერთეული

დაგეგმვის ერთეული არის მაქსიმალური საშხედრო ერთეული, რომლის შიდა სტრუქტურას დაგეგმვისას მხედველობაში არ ვიღებთ. ამ ერ-

თეულის გამოყოფა ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და შეფარდებითია. მაგალითად, აშშ-ისათვის ასეთია თეატრზე მყოფი არმიების (ლაპარაკია საველე არმიის, როგორც ორგანიზაციულ-საშტატო ერთეულის) შემადგენლობა, საქართველოსათვის — ბრიგადა ან ბატალიონი, შეიძლება ასეულიც კი. მთავარია აღინიშნოს, რომ ეს ერთგვარი ატომია, ერთეულია, რომელსაც ისე განვიხილავთ, თითქოს მეტად აღარ აქვს შინაგანი დაყოფა და სტრუქტურა. მაგალითად, თუ ჩვენი და მოწინააღდეგის ძალებს დივიზიებით ვთვლით, აბსტრაქტული მიდგომისას შეგვიძლია მხედველობაში არ მივიღოთ დივიზიების შიდა სტრუქტურა და მხარეების ძალები მხოლოდ დივიზიებით ვთვალოთ (ცხადია, „დაგეგმვის ერთეული" კლასიკურ სტრატეგიაში ისეთივე იდეალური ცნებაა, როგორც „მატერიალური წერტილი" ფიზიკაში. საბოლოო ჯამში რაღაც დონეზე მაინც ვითვალისწინებ, რომელ მატერიალურ წერტილთან მაქვს საქმე — ბურთთან თუ პლანეტა იუპიტერთან, მაგრამ გარკვეული მოდელი მჭირდება გარკვეული ინტელექტუალური ოპერაციებისათვის. ასევე სამხედრო საქმეში ვიყენებ დაგეგმვის ერთეულებს ისე, რომ თითქოს არ ვიაზრებ მათ შიდა სტრაქტურას. მაგრამ ეს მხოლოდ მოდელია, რეალობაში ყოველთვის გამიჩნდება კითხვა: რა ოდენობის, მომზადებისა და შეიარაღების დივიზიებზეა ლაპარაკი). როგორც წესი, დაგეგმვის ერთეული იერარქიულად ორი საფეხურით დაბლაა განხილული სისტემის უმაღლეს ერთეულთან შედარებით. მაშასადამე, თუ გაანალიზდება არმიათა ჯგუფის მოქმედება, დაგეგმვის ერთეულია კორპუსი ან დივიზია (იმისდა მიხედვით არმიათა ჯგუფი არმიებისგან შედგება, თუ დივიზიური ორგანიზაციის მქონე კორპუსებისაგან). თუ რეგიმენტი ან ბრიგადა — დაგეგმვის ერთეულია ასეული, თუ დივიზია — დაგეგმვის ერთეულია ბატალიონი და ა.შ. დაგეგმვის ერთეული არის სტანდარტული და გააჩნია ყოველივე ის, რაც აუცილებელია მის დონეზე საბრძოლო მოქმედებების წარმართვისათვის. დაგეგმვის ერთეულის ბრძოლისუნარიანობისას შეფასებას განისაზღვრღაეენ ფუნქციებით, რომლებიც აღწერენ გარე ფაქტორებს, მაგალითად: ადგილმდებარეობა, კლიმატი, შეხების ხაზის გეომეტრია, მაგრამ არამც და არამც დაგეგმვის ერთეულის შინაგანი პარამეტრები.

როგორც ს. პერესლეგინი აღნიშნავს: „პოზიციის შეფასების უმთავრესი ელემენტია სხვადასხვაგვაროვანი შეიარაღებული ძალების დაყვანა

დაგეგმვის სტანდარტულ ერთეულებამდე. კიდევ ერთხელ არის ხაზგასასმელი, რომ სტანდარტული შენაერთები გულისხმობს სტანდარტულ ლოგისტიკას: სხვაგვარად, თუ თქვენ გყავთ ათი დივიზია, რომელთა მოთხოვნილება (გამომდინარე ფრონტის კონფიგურაციიდან, კომუნიკაციების მდგომარეობიდან ან სახელმწიფოს ეკონომიკური სისუსტისაგან) ერთი მეათედით კმაყოფილდება, თქვენ ათი კი არა, ერთი სტანდარტული დივიზია გყავთ. საპირისპიროდ უფრო სრულყოფილი იარაღი, ელიტარული მომზადება ან საბრძოლო გამოცდილება ზრდის სტანდარტული ერთეულების ოდენობას" (24, 804-805).

დაგეგმვის ერთეულების საბრძოლო შეტაკებას სტანდარტული ბრძოლა ეწოდება. კლასიკური სტრატეგიის ჩარჩოებში ასეთი ბრძოლა ოსტროგრადსკი-ლანჩესტერის განტოლებებით აღიწერება. ამასთან განტოლებათა კოეფიციენტები დამოკიდებულია შეტაკებათა გეომეტრიასა და ხასიათზე, ბუნებრივ პირობებსა (რელიეფი, კლიმატი და ა.შ) და ძალთა თანაფრდობაზე. პოზიციის შეფასებისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სტანდარტულ ერთეულებზე დაყვანილ ძალთა თანაფარდობა. რაოდენობრივი უპირატესობა თავისთავად არ ნიშნავს გადამწყვეტ უპირატესობას, მაგრამ ძალიან ხშირად განაპირობებს მას.

განსხვავებით ჭადრაკისაგან, სადაც ყოველთვის ვიცით, რომ საწყის ეტაპზე 32 ფიგურა გვყავს, ომში ფიგურების რაოდენობა იცვლება. მშვიდობიანობის არმია, რაოდენობრივად შეიძლება სულ სხვა იყოს, ვიდრე ომიანობისა. მაგალითად, ისრაელს 24 საათში შეუძლია 170 ათასი მებრძოლი აიყვანოს 600 ათასზე. „ცივი ომის" დროს შვედებს თავიანთი 60-ათასიანი არმია 72 საათში 800 ათასზე აყავდათ. მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილებები პროგნოზირებადი და წინასწარ გასათვლადია. ამიტომ გენშტაბმა უნდა იცოდეს მობილიზაციის დაწყებიდან დროის რა მონაკვეთი იქნება ხელსაყრელი ოპერაციებისათვის და ისიც — დროის რა მონაკვეთისათვის დაგეგმვის რამდენი ერთეული ეყოლება, რა ლოგისტიკა და კავშირგაბმულობა დასჭირდებათ მათ და ა.შ. კლასიკურ სტრატეგიაში დაგეგმვის ხელოვნება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გადამწყვეტი ოპერაციები სწორედ დროის ყველაზე ხელსაყრელ მონაკვეთს დაამთხვიო. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომისას ცენტრალური სახელმწიფოები უპირატესობას ფლობდნენ მე-15-დან 48-ე დღემდე. ამიტომ შლიფენის გეგმით გენერ-

ალური ბრძოლა უნდა მომხდარიყო M+42 და M+48-ს შორის. საფრანგეთის კაპიტულაცია უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს M+65-სა (იხ. ზემოთ).

§ 66
მოძღვრება ოპერაციაზე. ძირითადი განსაზღვრებები

ოპერაცია ნიშნავს დროის, სივრცისა და ერთიანი ჩანაფიქრით განსაზღვრულ საბრძოლო მოქმედებათა ერთობლიობას. ეს დეფინიცია შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოიხატოს, მაგრამ ამით მისი არსი არ იცვლება. ოპერაცია ამ სამი კომპონენტის ერთობლიობაა. ამასთან ყოველი გააზრებული შეტევის არსს წარმოადგენს ოპერატიული მანევრი, ანუ საკუთარი ძალების ისეთი გადაადგილება, რომელიც მოწინააღმდეგის ძალების ფუნქციონირებას, უარეს შემთხვევაში, საფრთხეს უქმნის, ხოლო უკეთესში — მის განადგურებას იწვევს. ჯარების ასეთი გადაადგილება მიმართული უნდა იყოს სტრატეგების მიერ წინასწარ-განსაზღვრული ბმულების კვანძებისა და გრავიტაციული წერტილების მწყობრიდან გამოყვანაზე, რაც ერთი მხრივ, მოწინააღმდეგეს უშლის მისი ძალების მანევრირებისა ან სხვა სახის გადაადგილების უნარს, ხოლო მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნის მის კავშირის ზურგთან. ამას საბოლოო ჯამში მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა მოსდევს (ხაზს ვუსვამ — ეს ყველაფერი კლასიკურ სტრატეგიაში ხდება, არაკლასიკურ სტრატეგიაში ეს მიზანი სხვაგვარადაც შეიძლება იქნეს მიღწეული). ასეთ დროს შემტევი თავისი შეიარაღებული ძალების გადაადგილებითა და თავმოყრით აიძულებს მოწინააღმდეგეს, განახორციელოს რაღაც საპასუხო მოქმედება და ამ საპასუხო ქმედებაზე „იჭერს“ მას.

ასე მაგალითად: 1940 წელს არმიათა ჯგუფ B-ს მანევრმა შექმნა ბრუსელის დაკავების დინამიური საფრთხე, რაც შემდეგ განივრცობოდა ბმულობის კვანძების „ზეგამტარ“ ქსელზე ვიდრე შარტრამდე. ამ საფრთხის ნეიტრალიზაციისათვის მოკავშირეებმა განახორციელეს ოპერაცია „დილი“, რომელმაც შეასუსტა ფრონტი არდენებთან. შედეგად გერმანელთა არმიათა ჯგუფ A-ს შეტევამ იდეალურ პირობებში ჩაიარა და მანშტაინის გეგმა ბრწყინვალედ შესრულდა.

თანამედროვე სამხედრო ისტორიიდან ამგვარი მოქმედების შესანიშნავი მაგალითები გვაქვს ერაყის მეორე ომისას. ამერიკელები თავიანთი მანევრებით აიძულებდნენ თავდაცვაში მყოფ ერაყელთა ჯავშანსატანკო დანაყოფებს გადასულიყვნენ შეტევაზე, რომლის პროცესშიც ისინი ნადგურდებოდნენ ამერიკელთა ავიაციის მიერ.

მანევრისათვის გამიზნულ ძალთა გადაჯგუფებასა და თავმოყრას ეწოდება გაშლა. გაშლა თავისთავად ჯერ კიდევ არ უქმნის საფრთხეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ მოითხოვს დროს და სხვა ოპერატიულ რესურსებს. ჯარები გაშლისას, განსაკუთრებით მის ბოლო ეტაპზე, ძლიერ მოწყვლადია მოულოდნელი შეტევისათვის (გავიხსენოთ, რომ სტალინის გაშლილ ძალებზე ჰიტლერის მოულოდნელმა დარტყმამ სსრ კავშირი კინაღამ დაღუპვამდე მიიყვანა). ამიტომ გაშლა, მართალია, წარმოადგენს წმინდა ტექნიკურ ქმედებათა ერთობლიობას, უფრო გამოწვლილვითაც კი უნდა დაიგეგმოს, ვიდრე მომავალი მანევრი.

როგორც წესი, გაშლა საკუთარ ტერიტორიაზე ხორციელდება მისი დამცველი საკუთარი ძალების საფარქვეშ. მაგრამ ზოგჯერ ამის განხორციელება შეუძლებელია გარკვეული მიზეზების გამო. ამ შემთხვევაში გაშლა ხდება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, ძალთა მხოლოდ მცირე ნაწილის მანევრის საფარქვეშ. ასეთი ჩანაფიქრი იყო შლიფენის გეგმაში, სადაც გერმანელთა ძირითადი დაჯგუფების გაშლა ფაქტობრივად ბელგიის ტერიტორიაზე ხდებოდა. ასე ხდება ნებისმიერი დიდი სადესანტო ოპერაციისას, მაგალითად, ნორმანდიის ოპერციის დროს.

ამგვარი გაშლა, როგორც შლიფენის გეგმამ აჩვენა, დაკავშირებულია მთელ რიგ რისკ-ფაქტორებთან, ამიტომ უმჯობესად მიიჩნევა ჯარების საკუთარ ტერიტორიაზე გაშლა ფარულად და ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, როგორც ამას ითვალისწინებდა ბლიც-კრიგი ან საბჭოთა მოძღვრება ომის საწყის პერიოდზე. ჩნდება ცდუნება, გაშლის მთელი ოპერაცია დაიწყოს მშვიდობიანობის პერიოდში და „ოფიციალური“ სამხედრო მოქმედებები დაიწყოს მხოლოდ პირველი კრიტიკული წერტილის გავლის შემდეგ. ამ შემთხვევაში ომი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი ოპერაციით და ელვისებრი იყოს (ვთქვათ, გერმანელების ომი პოლონეთთან ან გუდერიან-მანშტაინის კამპანია). ბლიცკრიგი არსებითად მთლიანად ემყარება მოულოდნელი თავდასხმის იდეას, პირველი დარტყმის შოკს, კონტრმანევრის ჩაშლას. ამ

შემთხვევაში ოპერაციის მიზანი ფაქტობრივად ემთხვევა ომის სამხედრო მიზანს.

ეპამინონდიდან[86] მოყოლებული გამარჯვების აუცილებელ პირობად ძალების არათანაბარი განაწილება ითვლება. ოპერატიული გაშლა ყოველთვის არის აღმატებული ძალების თავმოყრა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი პუნქტის პირისპირ.

სტრატეგიის პეტერბურგულმა სკოლამ შექმნა მოდელი, რომელიც კარგად ხსნის გაშლის მიმართებას სხვა ოპერაციულ ფაქტორებთან. მათი აზრით. შეიძლება დავუშვათ, რომ ფრონტის მონაკვეთზე, რომელსაც უკავია ფრონტის საერთო ხაზის K%, თავმოყრილია ძალებისა და საშუალებების M%. მაშინ სიდიდეს U=M:K-ს ვუწოდოთ ოპერატიული გაძლიერების კოეფიციენტი. შლიფენის გეგმისათვის ასეთი გაძლიერება 2,8 იყო, ვინაიდან ძალების 5\6 თავმოყრილი იყო ფრონტის 2\5-ზე (შესაბამისად 5/6:2/5=2,8). მოლტკე-უმცროსთან[87] ეს მაჩვენებელი 1,3-ზე დავიდა, ვინაიდან ძალების 2\3 ფრონტის 1\2-ზე იყო თავმოყრილი. აღსანიშნავია, რომ თუ კომუნიკაციები ახერხებენ ლოგისტიკურ უზრუნველყოფას, რაც მეტია გაძლიერება, მით ეფექტიანია პოზიცია და, შესაბამისად, მეტია რისკი.

ილუსტრაციისათვის: ვთქვათ, ბრძოლა მიმდინარეობს 10 და 6 დაგეგმვის პირობით ერთეულს შორის, ანუ მათ შორის ბალანსი 1,7-ია. ოსტროგრადსკის[88] განტოლებათა თანახმად, თუ ბრძოლა 3 დღეს გაგრძელდება, სუსტი მხარე 3 დივიზიას დაკარგავს, ძლიერი – 2,8-ჯერ ნაკლებს ანუ 1,1-ს. თუ ძლიერი მხარის მეთაური მოინდომებს იმავე შედეგის მიღწევას 2 დღეში და დანაკარგთა კოეფიციენტი 4-ს მიაღწევს, ასეთ ოპერაციაზე დატვირთვა შეადგენს (4/2,8):(3/2)=2,14-ს. იგულისხმება, რომ პირველი წილადი გამოხატავს თანაფარდობას ორდღიანი და სამდღიანი ბრძოლის ვერსიებისას დივიზიების დანაკარგებს შორის, ხოლო მეორე წილადი – თანაფარდობას ოპერაციის დღეებს შორის. ცხადია, ამ შემთხვევაში ოპერაციაზე დაწოლა იზრდება, მაგრამ ძლიერდება რისკიც. თუ ძლიერი მხარე სასურველ დაწოლას ვერ მიაღწევს (ვთქვათ, იმის ხარჯზე, რომ დანაკარგების კოეფიციენტი 4-ზე მეტი იქნება) ძლიერმა მხარემ, გამორიცხული არ არის, უკვე ვეღარ შესძლოს მოგებისათვის საჭირო დაწოლის კოეფიციენტის შექმნა. აქედან შეიძლება შემოვიტანოთ რისკის ცნება სტრატეგიაში. **რისკის საზომი არის უკუპროპორციული ოპერაციაზე**

დაწოლის ხარისხისა. ანუ რაც უფრო მეტია ოპერაციაზე დაწოლა, მით უფრო ნაკლებია რისკი და პირუკუ. ამასთან ეს ფორმულა შეიძლება მათემატიკურადაც გამოვხატოთ.

ვუწოდოთ **ტემპი** ოპერაციის შინაგანი დროის დამახასიათებელ ერთეულს. ოპერაციის შინაარს შეადგენს ბრძოლა ტემპისათვის. სუსტი მხარე ცდილობს დაამუხრუჭოს მოწინააღმდეგის შეტევა და შეაჩეროს ის მანამ, სანამ პოზიციის სტრუქტურა შეიცვლება (ანუ მანამ შემტევი ძლიერი მხარე სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის თავდამცველის ბმულობის ცენტრებს ან/და, მით უფრო, პოზიციის ცენტრს). ყველაზე რთულ ოპერაციებში ბრძოლა ტემპისათვის ორივე მხრის მიერ შეტევითად ხორციელდება. ანუ ხდება ორმხრივი ზემოქმედება სიმეტრულ კვანძებზე (უკიდურეს შემთხვევაში, პოზიციების სიმეტრულ ცენტრებზე) და იმარჯვებს ის, ვინც შედეგს უფრო სწრაფად მიაღწევს. ის იგებს ტემპსაც და პოზიციის ახალი კრისტალიზაციაც (სტრუქტურირება) მის სასარგებლოდ ხდება. ამის მაგალითებია: მარნა, გერმანელების მიერ განხორციელებული კიევის სტრატეგიული ოპერაცია 1941 წელს, რომმელისა და მისი ბრიტანელი მოწინააღმდეგეების თითქმის ყველა ოპერაცია ჩრდილო აფრიკაში.

ურთიერთსიმეტრიული ბრძოლა შესაძლოა კლასიკური საბრძოლო მოქმედებების ყველაზე რთული სახეა, რამეთუ მხედარმთავრისაგან შეტევითი და თავდაცვითი მოქმებების ვირტუოზულ შეხამებას მოითხოვს.

§ 67
რისკის, ოპერაციაზე დატვირთვის ცნება. ფაზური დიაგრამა

ოპერაცია, როგორც ალინიშნა, არის „სისტემა ომის" ერთ-ერთი ქვესისტემა. მასზე, როგორც ქვესისტემაზე, იმ კანონზომიერებათა ნაწილი ვრცელდება, რაც — მთელ სისტემაზე. ოპერაცია ზემოთ განვსაზღვრეთ, როგორც პოზიციის ტრანსფორმაცია (ჩვენთვის სასურველი ან საზიანო მიმართულებით). ამასთან ეს ტრანსფრორმაცია ერთ-ერთია იმ რიგში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საწყისი პოზიციის ჩვენთვის სასარგებლო საბოლოო პოზიციად გარდაქმნა (ცხადია, წინასწარ შედგე-

ნილი გეგმის მიხედვით). ვიმეორებ: „პოზიცია“ არის „სისტემა ომის“ ქვესისტემა, თუ ამ უკანასკნელს სტატიკაში განვიხილავთ, ხოლო „ოპერაცია“ — ასეთივე ქვესისტემა, თუ მას დინამიკაში განვიხილავთ.

თუ ამოვალთ იმ ვითარებიდან, რომელშიც კლასიკურ სტრატეგიას უწევდა მოქმედება, ანუ ამოვალთ ვითარებიდან, როდესაც ორივე მხარეს მეტ-ნაკლებად თანაბარი რესურსები და მომზადებული პოზიციები გააჩნია, ამგვარი თანაფარდობა, საწყისი მდგრადობა ხელს უშლის ამოსავალი პოზიციის გაედაქმნას სასურველად. შესაბამისად, ამგვარი ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია ამოსავალი მდგრადობის დარღვევა. ეს ორი გზით მიიღწევა: ან დიდი ძალებით განხორციელებული შეტევის ფასად (რასაც ჩვეულებრივ დიდი მსხვერპლიც მოსდევს. მაგალითად, როგორც ეს პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე მოხდა), ან რისკზე წასვლით. ერთიცა და მეორეც პოზიციის გაუარესებას იწვევს. მაშასადამე, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პოზიციის ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე პოზიციის გაუარესება დროებით მოვლენად ვაქციოთ და ჩვენ საზიანოდ დარღვეული მდგრადობა გამოვიყენოთ მომავალში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მდგრადობის ჩვენს საწინააღმდეგოდ დარღვევა ისეთ დროებით მოვლენად უნდა ვაქციოთ, რომელიც ოპერაციას სააბოლოო წარმატებამდე მიიყვანს.

მდგრადობის დარღვევის ნეგატიური ეფექტი შეიძლება სრულიად სხვადასხვა ფორმებით გამოვლინდეს. მაგალითად: რეალური დანაკარგები შეიძლება ბევრად მეტი იყოს წინასწარ გათვლილზე, კომუნიკაციები მოიშალოს ან გადაიტვირთოს, ზოგჯერ მხედართმთავრების მიერ უბრალოდ არასწორ გათვლები გაკეთდეს და მათ მიერ შეცდომები იქნეს დაშვებული.

როგორც პირველი მსოფლიო ომის გამოცდილება გვიჩვენებს, ოპერაციების უმრავლესობა სწორედ ამ ფაზაზე „კვდება“ (მაგალითად, „ნიველის საყასბო“, რუსების წარუმატებელი ოპერაციები გერმანელების წინააღმდეგ და სხვა). ამ წარუმატებლობებს ჩვეულებრივ პოლიტიკური პრობლემები (ზოგჯერ კრიზისები და კატაკლიზმებიც კი) მოჰყვება. ამიტომ ამგვარ პოზიციურ ჩიხში არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი არა მხოლოდ სამხედროები, არამედ პოლიტიკოსებიც. განსაკუთრებით ეს ეხება უფრო სუსტი რესურსების მქონე მხარეს (როგორიც იყო გერმანია პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. პოზ-

იციური ომის ჩიხმა და ინგლისელთა საზღვაო ბლოკადამ გერმანია რევოლუციამდე და ომის წაგებამდე მიიყვანა).

ასე რომ, ოპერაციისას აუცილებელია ამოსავალი მდგრადობის მოშლა და მისთვის ახალი სახის მიცემა. ამასთან ასეთი სახეცვლილება ერთგვარი შუალედური ქაოტური მდგომარეობის გავლის შემდეგ ხდება. **მდგრადი პოზიციის ახალ მდგრად პოზიციად ტრანსორმაციას ქაოტური მდგომარეობის გავლით ბიფურკაცია ეწოდება.** „სისტემა ომის" დროს მდგრადობის ასეთი დარღვევა ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) გარღვევის სახეს იღებს.

თუკი მოხერხდა ოპერაციისას მდგრადობის მოშლის თავდაპირველი ნეგატიური ეფექტის გადალახვა და მისი ტრანსფორმაცია ჩვენთვის სასურველი მიმართულებით, იწყება ოპერაციის სწრაფი და უწყვეტი ფორსირების პროცესი. ამ ეტაპზე მიმდინარე პოზიციებს უკვე აღარ ახასიათებს სტატიკური მდგრადობა. ყალიბდება სისტემა „ოპერაციის" დინამიურად მდგრადი სტრუქტურა. სხვადასხვა შემთხვევითობები ხელს კი არ უშლის ოპერაციის მსვლელობას, არამედ ხელს უწყობს მას. ბრუსილოვის გარღვევა ან ნორმანდიის სადესანტო ოპერაციის განვითარება ამის კარგი მაგალითებია.

მაგრამ წინ წაწევის პარალელურად ხდება მომარაგების ბაზებიდან მოწყვეტა (მაგალითად, როგორც ეს საბჭოთა არმიას დაემართა მანჯურიის ოპერაციისას, სადაც მან პოზიციის ტრანსფორმაციისას იმდენად სწრაფად წაიწია წინ, რომ მომარაგების ბაზებს მოწყდა, რამაც შეტევის ტემპი არსებითად შეანელა). ხდება კომუნიკაციების გადატვირთვა, შემტევ მხარეს სულ უფრო უჭირს მოწინააღმდეგეების იმ არიერგარდების წინააღმდეგობის დაძლევა, რომლებიც უკანდახევას უზრუნველყოფს. იწყება ოპერაციის ახალი ფაზა.

ამ ახალ ფაზაში ხდება ახალი მდგრადი პოზიციის ჩამოყალიბება და ოპერაციის ტემპის შენელება. წარმატების შემთხვევაშიც კი, როგორც წესი, ხდება ახალი მდგრადობის ფორმირება (მაგალითად, კაპორეტოსთან[89] ბრძოლისას ავსტრიელთა ფანტასტიკურ წინსვლას საბოლოო ჯამში მაინც მდგრადი პოზიციის ჩამოყალიბება მოჰყვა).

ოპერაციების ამგვარი დინამიკა შეიძლება პერესლეგინის მიერ აღწერილი ერთგვარი სინუსოიდის სახით იქნეს წარმოდგენილი (იხ. გვ. 223). X ღერძი აღნიშნავს ოპერაციისათვის მოთხოვნილ რესურსებს (მაგალითად, დროს), ხოლო ღერძი აღნიშნავს ოპერაციის ეფექტიანობას,



მაგალითად, წინ წაწევის ტემპს ან მოწინააღმდეგის დანაკარგების შეფარდებას საკუთარ დანაკარგებთან).

ოპერაციის პირველ, „ხარჯვით" ფაზაზე (როცა მდგრადობა ირღვევა შემტევი მხარის საზიანოდ) შემტევი მხარის მთავარი პრობლემაა ამოსავალი პოზიციის მდგრადობის გადალახვა. ამასთან შემტევი მხარე ყოველნაირად ცდილობს ამ მდგრადობის დარღვევას. ეს ყველაზე უფრო ადვილია იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგეც ცდილობს ამოსავალი მდგრადობის დარღვევას, ანუ, როდესაც საქმე გვაქვს მოწინააღმდეგესთან შემხვედრ ოპერაციასთან. ე. ი. ერთი მხარე უტევს, არღვევს ამოსავალ მდგრადობას, ხოლო აქედან ხეირს მეორე მხარე იღებს (როგორც ეს ერაყის მეორე ომისას მოხდა).

სინუსოიდის ორივე კრიტიკულ წერტილში „სისტემა ომს" არ ახასიათებს არც პოზიციისათვის დამახასიათებელი სტატიკური და არც ოპერაციისათვის დამახასიათებელი დინამიური მდგრადობა. ამ დროს, როგორც წესი, ხდება ის, რასაც ომისას „სასწაული" ეწოდება

და რომელიც ომის ბედის ჩარხს სხვაგვარად აბრუნებს (დაწვრილებით იხ. (24, გვ. 812 და შემდეგ).

იმისათვის, რათა მოხერხდეს მოწინააღმდეგის შეტევის ხარჯზე წარმატებული შეტევის გატარება, მიზანშეწონილია, იგი განხორციელდეს დროის მოკლე მონაკვეთში, მოწინააღმდეგის მიერ პირველი კრიტიკული ფაზის გადალახვისას. ეს მომენტი ძალიან ფაქიზი შესარჩევია. თუ ამ მომენტს წინ გავუსწრებთ, მდგრადობის დარღვევა ჩვენთვის არახელსაყრელ ვითარებაში მოხდება (მოწინააღმდეგე მომზადებულია, კონცენტრირებული ჰყავს ძალები, საშუალებები და რეზერვები). ოდნავ დაგვიანების შემთხვევაში მოგვიწევს აღმავლობის ეტაპზე მყოფი მოწინააღმდეგის საპირისპიროდ შემხვედრი შეტევის განხორციელება, რაც ძალიან დიდ რისკთანაა დაკავშირებული: ოპერაციის წარუმატებლობა აუცილებლად სრულდება გამანადგურებელი მარცხით.

მეორე კრიტიკული ფაზა სამხედრო თეორიაში ოპერაციის „კულმინაციურ პუნქტად" იწოდება. მას, როგორც აღინიშნა, ახალი მდგრადობის ჩამოყალიბება მოსდევს. მაგრამ ხშირად შემტევ მხარეს კულმინაციის გავლის შემდეგ ახასიათებს ინერცია, ანუ ის ინერციით აგრძელებს შეტევას იმის ნაცვლად, რომ ახალ, მისთვის სასარგებლო პოზიციას დასჯერდეს, რასაც საბოლოო ჯამში მისთვის ნეგატიური შედეგები მოჰყვება. ამის მაგალითია მოსკოვზე გერმანელების შეტევის გამოფიტვა.

მეორე კრიტიკულ ფაზას აბსოლუტური არამდგრადობა ახასიათებს. მისი გავლა ხშირად ხელსაყრელ პირობებს ქმნის კონტრშეტევისათვის. ასეთი კონტრშეტევა აგრეთვე დიდ რისკთან არის დაკავშირებული (ვინაიდან კონტრშემტევ მხარეს უწევს მდგრად პოზიციაზე უარის თქმა), თუმცა ამ რისკს ამცირებს მოწინააღმდეგის კომუნიკაციების გადატვირთვის ეფექტი. კულმინაციური პუნქტის გადალახვისას ეფექტიანი კონტრშეტევის განხორციელების შესანიშნავი მაგალითია ისრაელის არმიის კონტრშეტევა იომკიპურის ომისას[90].

თავი 3
კლასიკური სტრატეგიული კონცეფციების მოკლე ისტორია

§ 68
ერცჰერცოგი კარლი

სტრატეგიის არსი: „ომი უდიდესი ბოროტებაა, რომელიც კი სახელმწიფოსა და ერს შეიძლება დაატყდეს თავს. ამიტომ მმართველის და პასუხისმგებელი გენერლის ამოცანაა, ომის დაწყებისთანავე მოუყაროს თავი ყველა ძალას, რომელიც კი გააჩნია, და ყველაფერი იღონოს რათა ომი შეძლებისდაგვარად ხანმოკლე იყოს და ყველაზე კარგი შედეგით დასრულდეს. ყოველი ომის მიზანი უნდა იყოს ხელსაყრელი ზავის მიღწევა; მხოლოდ მშვიდობიდან გამომდინარე კეთილდღეობაა მდგრადი და ხალხისათვის სიკეთის მოტანა მხოლოდ ხანგრძლივ მშვიდობას შეუძლია. მაშასადამე მხოლოდ მშვიდობას შეუძლია მიაღწევინოს მთავრობას მისი ყოფიერების მიზანი" (31, 69). ამ სიტყვებით იწყებს ერცჰერცოგი კარლი თავის ნაშრომს „სტრატეგიის საფუძვლები". იგი ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან სამხედროთაგან, რომელთაც შეეძლოთ თითქმის თანასწორად ეომათ ნაპოლეონის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ერცჰერცოგი მეორე უნიკალურ ნიჭსაც ფლობდა: ერთნაირი წარმატებით იყენებდა ხმალსაც და კალამსაც. შესაძლოა, მის ნაწერებში ბევრი რამ ბანალურ ჭეშმარიტებად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ჩვენ, XXI საუკუნის ადამიანებს გვეხება. XIX საუკუნის დასაწყისში კი კარლის აზრები თვისებრივ ნოვაციას წარმოადგენდა სამხედრო თეორიაში.

ერცჰერცოგი კარლი

ერცჰერცოგი კარლი ფაქტობრივად პირველი მხედარმთავარი იყო, რომელმაც თეორიულ დონეზე გააცნობიერა და დაასაბუთა ის პრინც-

იპები, რომლებსაც ნაპოლეონი პრაქტიკულად იყენებდა. ამ მხრივ, ერცჰერცოგი კლაუზევიცის პირდაპირი წინამორბედია. ხსენებულ პრინციპებს შორის უმნიშვნელოვანესია ორი: ძალთა კონცენტრაცია და გადამწყვეტი დარტყმა ერთ პუნქტში. „გადამწყვეტი მიზნები მხოლოდ გადამწყვეტი დარტყმებით მიიღწევა. ამიტომ გენერლისათვის უმნიშვნელოვანესი ხელოვნებაა: სწორედ განსაზღვროს ის მომენტი და პუნქტები, როდესაც და სადაც ასეთი გადამწყვეტი დარტყმები შეიძლება იქნეს მიყენებული დადებითი ალბათობის ყველაზე მაღალი ხარისხით. ასეთი გადამწყვეტი დარტყმა შესაძლებელია მხოლოდ დარტყმის პუნქტში ძალების უპირატესობის პირობით", — წერს კარლი (31, 69). მისი აზრით, რამდენადაც ერთმანეთის მოპირისპირე არმიები რიცხვობრივად დაახლოებით თანასწორი არიან (ერცჰერცოგი აქ XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ომებს გულისხმობს), გადამწყვეტი მხოლოდ ერთი პუნქტი შეიძლება იყოს, ვინაიდან არსებული ძალებით მხოლოდ ერთ პუნქტში შეიძლება იქნეს მიღწეული რიცხვობრივი უპირატესობა მოწინააღმდეგეზე. სხვაგვარად: თუ ორივე არმია რაოდენობრივად მეტ-ნაკლებად ტოლია, არც ერთ მხარეს არ შეეძლება კონცენტრაცია მოახდენოს ერთ პუნქტზე მეტ ადგილას. რამდენიმე პუნქტზე ძალების თავმოყრა, მოწინააღმდეგესთან რაოდენობრივი ტოლობის პირობებში, ძალთა კონცენტრაციას კი არა, ძალთა დაქსაქსვას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ერცჰერცოგი კარლი შემდეგნაირად განსაზღვრავს სამხედრო ხელოვნების ძირითად ამოცანას: „ის (ამოცანა — კ.კ.) მდგომარეობს გადამწყვეტ პუნქტში აღმატებული ძალების თავმოყრასა და გამოყენებაში" (31, 69). ამასთან ერცჰერცოგი აყენებს ერთ დამატებით მოთხოვნას, რომ მთავარი ძალებისათვის არასოდეს იქნეს არჩეული ისეთი ოპერაციული ხაზები ან პოზიციები, რომლებიც მოწინააღმდეგეს საშუალებას მისცემს აღმოჩნდეს უფრო ახლოს ჩვენს კომუნიკაციებთან, მომარაგების ბაზებთან და ა.შ., ვიდრე თავად ჩვენ (ეს იმის მსგავსი ვითარებაა, რომელსაც სტრატეგიაში უფრო გვიან ამოყირავებული ფრონტით ბრძოლა უწოდეს და გულისხმობს იმას, რომ მოწინააღმდეგე ჩვენს ჯარებს და უმთავრეს სტრატეგიულ (პოლიტიკური, კომუნიკაციურ, ეკონომიკურ, ლოგისტიკურ და ა. შ.) პუნქტებს შორისაა განლაგებული (31, 70-71).

იმისათვის გადამწყვეტ შედეგს რომ მივაღწიოთ, — თვლის ერცჰერცოგი, — ლაშქრობა უნდა განხორციელდეს მთელი ძალებით და გად-

ამწყვეტ პუნქტზე. დანარჩენი პუნქტებზე მხოლოდ იმ მინიმალური ოდენობის ძალები უნდა იქნეს განლაგებული, რომლებიც აუცილებელია მოწინააღმდეგის თავდასხმების მოსაგერიებლად. მაგრამ აქ დგება საკითხი, როგორ, რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ეს გადამწყვეტი პუნქტი? კარლი ამ კრიტერიუმს ასე განსაზღვრავს: „ყოველ ამ შემთხვევაში პუნქტი, რომლის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული შეტევა და საჭიროა მთელი ძალებით ოპერირება, ის პუნქტია, რომელსაც უმოკლესი და უსწრაფესი გზით მივყავართ მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიღრმეში ისე, რომ ჩვენი კომუნიკაციები საფრთხის ქვეშ არ დგება“ (31,71).

ასეთი შეტევისას ამოსავალი პრინციპი შემდეგი უნდა იყოს: მოვახდინოთ გადამწყვეტ პუნქტთან მთელი ძალების კონცენტაცია და ამასთან, არასოდეს არ დავიწყოთ შეტევა ისე, თუ ჩვენი კომუნიკაციები და უკან დახევის შესაძლო გზები ბოლომდე არაა უზრუნველყოფილი. ამ მიმართებით სჯობს, შეტევა უფრო რთულ პუნქტზე დაიწყო და გქონდეს უკანდახევის უზრუნველყოფილი გარანტია, ვიდრე იოლ პუნქტზე ასეთი გარანტიის გარეშე, მით უფრო თუ გაქვს შანსი, რომ უკან დახევისას შენს კომუნიკაციებზე მოწინააღმდეგეს გადაეყარო.

გადამწყვეტ პუნქტში ვერავითარი შედეგი ვერ იქნება მიღწეული, როდესაც მოწინააღმდეგეთა ძალები დაახლოებით თანაბარია (როგორც ამას პირველი მსოფლიო ომის დროს პოზიციური ჩიხისას მოხდა). აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ კრიტიკულ პუნქტში უპირატესობა ხელოვნურად იქნეს მიღწეული. ეს შეიძლება მოხდეს ძალების კონცენტრაციით, უკეთესი გაწვრთნილობით, მხედარმთავრების უკეთესი მომზადებით, გეოგრაფიული ფაქტორების უკეთ გამოყენებითა და ა.შ.

გადამწყვეტი პუნქტის საპირისპიროდ ძალების კონცენტრაციის პრინციპი ძალაში რჩება იმის მიუხედავად, თუ რა სახისაა საბრძოლო მოქმედებათა თეატრი. ვთქვათ, დასერილ ან მთიან თეატრზე გადამწყვეტი პუნქტის საპირისპიროდ ძირითადი ძალებით ოპერირების პრინციპი ძალაში რჩება, იცვლება მხოლოდ მისი გამოყენების ფორმა. გადამწყვეტ პუნქტთან ძალთა კონცენტრაციის პრინციპი ერთნაირად ქმედითია როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი ომისას. განსხვავება იმაშია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთელი ძალების კონცენტრაცია ხდება პუნქტთან, რომელიც ნებისმიერი საშუალებით უნდა იქნეს

დაცული და რომლის დაკარგვა ომის წაგების ტოლფასია. ამრიგად, „სტრატეგია ადგენს გადამწყვეტ პუნქტებს, რომელთა კონტროლი აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად და განსაზღვრავს მათ დამაკავშირებელ ხაზებს. თუ ეს პუნქტები ჩვენს მიერ უზრუნველყოფილია, მაშინ ისინი, მათ შემაერთებელ ხაზებთან ერთად, თავდაცვითი ომისას შეადგენს თავდაცვით ხაზს, ხოლო შეტევითი ომისას — ოპერაციულ ბაზისს. თუ ამ პუნქტებამდე მიღწევაა საჭირო, მათ ოპერაციულ ობიექტებს უწოდებენ, ხოლო მათკენ მიმავალ ხაზებს — ოპერაციულ ხაზებს" (31, 86-87). ამ პუნქტებზე გამავალი მოქმედება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ოპერაცია. როგორც ვხედავთ, პოზიციისა და ოპერაციის ის ცნებები (კლასიკური სტრატეგიის ჩარჩოებში), რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, თავისი ფესვებით ერიკჰერცოგ კარლის ნააზრევს უკავშირდება.

ერიკჰერცოგი კარლი პოზიციის შესახებ: ერიკჰერცოგი თვლის, რომ ხელსაყრელ პოზიციად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთი, რომელზე დისლოცირებითაც არმიას შეუძლია სრულად გადაჭრას ის ამოცანები, რომლებიც მხედარმთავრის გეგმაში შედის. ამავდროულად ის საკმარისად უზრუნველყოფს არმიას მოწინააღმდეგის შეტევისას ბრძოლაში ხელსაყრელ ვითარებაში ჩართვისათვის.

ერიკჰერცოგის აზრით, კარგი პოზიციის მთავარი მახასიათებელია ის, რომ მას ფლანგებზე გააჩნდეს გამაძლიერებელი პუნქტები (ბუნებრივი თუ ხელთქმნილი), აგრეთვე ჰქონდეს ფრონტის გასწვრივ თავისუფალი კომუნიკაციები, უკან დასახევად რამდენიმე ვარგისი გზა და ისეთი ადგილმდებარეობა ფრონტის წინ, რომელიც მოწინააღმდეგეს გაურთულებს მანევრს, ხოლო ჩვენ ჩვენი საცეცხლე ძალების სრულად გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

პოზიციები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

პოზიცია, რომლის ფუნქცია დაიყვანება ერთ რაიონში დისლოცირებული დაჯგუფების დაცვაზე;

პოზიცია, რომელიც გამიზნულია არმიის განლაგებისათვის და რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ამოსავალ პუნქტს, საიდანაც უნდა დაიწყოს მანევრირება მოახლოებული მტრის წინააღმდეგ. ამასთან მხედარმთავარმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკავოს პოზიცია ან დაიწყოს მოქმედება ისე, რომ არ გამოყოს გარკვეული რეზერვი, რომელიც უზრუნველყოფს მის უკან დახევას წარუმატებლობის შემთხ-

ვევაში, ხოლო წარმატების შემთხვევაში დაამკვიდროს მიღწეული შედეგი (31, 75);

ერცჰერცოგი გამოყოფს ისეთ პოზიციებს, რომლებიც შეიძლება ყველა სხვა თვალსაზრისით ხელსაყრელი იყოს, მაგრამ რომელთა დაკავება არავითარ შემთხვევაში არ ღირს. ასეთ პოზიციათა რიცხვს განეკუთვნება შემდეგი:

- პოზიცია ყველა მიმართებით ვარგისია, მაგრამ ზურგში მნიშვნელოვანი დეფილე აქვს;
- პოზიციას ისეთი მცირე სიღრმე აქვს, რომ ძალები მასზე მხოლოდ ერთ ხაზად, რეზერვის გარეშე შეიძლება განლაგდნენ;
- ფლანგებს არა აქვს საკმარისი საყრდენი წერტილები, რაც მოწინააღმდეგეს საშუალებას მისცემს მოიცვას ფლანგები;

ერცჰერცოგის აზრით, არსებობს ორი შესაძლებლობა ვაიძულოთ მოწინააღმდეგე, დატოვოს მის მიერ დაკავებული პოზიცია. პირველ შემთხვევაში ეს არის შეტევა და ასე იძულება მოწინააღმდეგისა — დაიხიოს უკან. ეს შესაძლებელია არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი უპირატესობის შემთხვევაში ან მოწინააღმდეგის მიერ არასწორი პოზიციის შერჩევისას. მეორე არის მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული პოზიციიდან განდევნა მანევრის მეშვეობით. ეს კი მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც შეტევის წარმატება გარანტირებული არ არის ან მიზნად არის დასახული მოწინააღმდეგის დაღლა და გამოფიტცვა გადაადგილებების იძულებით. ორივე შემთხვევაში ეს მოქმედება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ოპერაცია.

ერცჰერცოგი კარლი ოპერაციის შესახებ: ერცჰერცოგის აზრით, იმ პუნქტის არჩევა, რომლისკენაც ოპერაციას მივყავართ, არ არის შემთხვევითი და ნებისმიერი. ის ირჩევა იმ ანგარიშით, რომ მისმა დაკავებამ გადამწყვეტი შედეგი გამოიღოს. ბაზისის დადგენა ემყარება ოპერაციული ობიექტის შერჩევას. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას სამხედრო-გეოგრაფიული ფაქტორებიც. თუმცა, ოპერაციის ამოსავალი პუნქტი ყოველთვის არ განისაზღვრება ოპერაციული ხაზების გეოგრაფიული უპირატესობით. აქ გადამწყვეტი როლი სხვა ფაქტორებმაც შეიძლება ითამაშოს, მაგალითად: დაპირისპირებულ მხარეთა რაოდენობა და ხასიათი, დამხმარე ძალის სიშორე, ის მნიშვნელობა, რომელსაც მოწინააღმდეგე შეტევის ამა თუ იმ მიმართულებას ანიჭებს. ერთი სიტყვით, შეტევის ამოსავალი პოზიციის გან-

საზღვრისას ფაქტორთა მთელი კომპლექსი უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ერცჰერცოგი კარლი, როგორც ჩანს, პირველი იყო, რომელმაც თეორიულ დონეზე დააფიქსირა ის, რაც წინა თავში ოპერაციის ფაზურ დიაგრამასთან დაკაშირებით განვიხილეთ: „ყოველი ძალისათვის დგება მომენტი, როდესაც მას გააჩნია ყველაზე მაღალი ქმედითობა; თუ ეს მომენტი გავიარეთ, სასარგებლო სამუშაო თავქვე ეშვება და ბოლოს მთლიანად შთაინთქმება შინაგანი ხახუნის ძალით" (იქვე, 83) — წერს ერცჰერცოგი. აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვს, რომ მხედარმთავარმა ზუსტად განსაზღვროს და მოძებნოს ის მომენტი, როდესაც მის ხელთ არსებული ძალები მაქსიმალურად ქმედუნარიანია.

ოპერაცია შეიძლება მოიცავდეს ან მთელი ომის მსვლელობას, ან ერთ კამპანიას, ან ცდილობდეს მხოლოდ ერთი სტრატეგიული პუნქტის დაკავებას. ამასთან, როგორც ერცჰერცოგი აღნიშნავს: „რთული და ცალკეულ კომბინაციათა ურთიერთქმედებაზე დამყარებული მანევრები სტრატეგიაში მეტი ზიანის მომტანიც კია, ვიდრე ტაქტიკაში. ამას განაპირობებს ის, რომ სტრატეგიაში ბევრად დიდ მანძილებთან გვაქვს საქმე და, შესაბამისად, ადეკვატური გათვლა და დროში სიზუსტის დაცვა უფრო ძნელია. უპირატესობანი, რომელთაც ასეთი მანევრები იძლევა, ილბალზეა დამოკიდებული და ყოველთვის უფრო ნაკლებია იმაზე, რომელიც მიიღწევა მთელი ძალების ერთობლიობის მოქმედებით გადამწყვეტი პუნქტის წინააღმდეგ" (31, 93). კარლის ეს თეზისი ეხმაურება ნაპოლეონისა და ფრიდრიხ დიდის სტრატეგიების დელბრუკისეულ დახასიათებას. ნაპოლეონის სტრატეგიის გადმოცემისას დელბრუკი წერს: „რამდენადაც აქ ყოველივე თავიდანვე ემსახურება გადამწყვეტ გამანადგურებელ აქტს, ყველა დანარჩენი მიზანი და მოსაზრება ექვემდებარება მთავარ ამოცანას, კამპანიის გეგმა ერთგვარი ბუნებრივი სიმარტივით გამოირჩევა" (15, 604). გეგმის ეს სიმარტივე კლასიკური ევროპული სტრატეგიის ერთ-ერთი მოთხოვნაა. რაოდენ განსხვავდება იგი სუნ-ძის (მის შესახებ იხილე შენიშვნებში) მრავალსაფეხურიანი რთული კომბინაციებისგან! თუმცა, ეს განსხვავება შესაძლოა ცივილიზაციურ ფაქტორშიც იდოს. გავიხსენოთ, რომ, როდესაც ჩინელი ბრძენები მე-18 საუკუნეში პირველად შეხვდნენ ევროპელ მეცნიერებს და ამ უკანასკნელებმა ნიუტონის სისტემა გააცნეს, ჩინელები განცვიფრებულნი დარჩნენ. მათ ვერც კი შეეძლოთ წარმოედგინათ,

რომ სამყარო სულ რამდენიმე მარტივ კანონზომიერებას ემყარება. მათთვის სამყარო ისეთივე რთული ურთიერთქმედებების ერთობლიობა იყო, როგორც ის მანევრები, რომელთაც ერცჰერცოგი სტრატეგიის სფეროში მავნედ მიიჩნევდა და რომლებზეც სუნ-ძის სტრატეგიის არსი დაყავდა.

ერცჰერცოგი კარლი ტაქტიკის შესახებ: ერცჰერცოგის აზრით, ყოველი სტრატეგიული პროექტი უნდა განხორციელდეს ტაქტიკურად და ტაქტიკის მეშვეობით. „ტაქტიკა გვასწავლის, როგორ განვალაგოთ, გამოვიყენოთ და ემართოთ ჯარები სტრატეგიულ პუნქტებში და როგორ გადავაადგილოთ ისინი ამ (ოპერატიულ — კ.კ.) ხაზებზე, რათა მივაღწიოთ სტრატეგიულ მიზანს. მაშასადამე, ტაქტიკა ექვემდებარება სტრატეგიას" (31, 87) — წერს ერცჰერცოგი. იგი ხაზს უსვამს ორგანულ კავშირს სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის და აღნიშნავს: „სტრატეგია და ტაქტიკა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ერთმანეთზე. ტაქტიკურ შეცდომას შეიძლება მოჰყვეს სტრატეგიული პუნქტებისა და ხაზების დაკარგვა და, პირუკუ, საუკეთესო ტაქტიკურ ქმედებებსაც კი იშვიათად მივყავართ მყარ წარმატებამდე, თუ ისინი ხორციელდება იმ მონაკვეთებსა და მიმართულებებზე, რომლებიც მოკლებულია სტრატეგიულ ღირებულებას. იმ შემთხვევებში, როდესაც წარმოიშვება წინააღმდეგობა სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის, სახელდობრ, როდესაც სტრატეგიის მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოდიან ტაქტიკურ უპირატესობებთან, მაშინ პირველი, როგორც წესი, იმარჯვებს და გადასწონის ტაქტიკურ უპირატესობებს, რადგან სტრატეგიული პუნქტები და ხაზები განპირობებულია საბრძოლო მოქმედებათა თეატრის ხასიათით, რომელსაც მხედარმთავარი ვერ შეცვლის; ტაქტიკა კი თავის ხელოვნებაში საშუალებებს პოვებს ჯარების სხვადასხვაგვარ გამოყენებაში, გამაგრებების აგებასა, ხერგილების მოწყობაში და ა.შ., ანუ არახელსაყრელი პოზიციის ნეიტრალიზებაში (იქვე).

ტაქტიკის მეშვეობით მოიგება ბრძოლები, რომელთა გამართვა-არგამართვა განისაზღვრება სტრატეგიიდან გამომდინარე. თუ ბრძოლის დრო და ადგილი სტრატეგიის მიერ არ არის განსაზღვრული, ანუ არ არის სტრატეგიული გათვლის შედეგი, მას იშვიათად ექნება შორს მიმავალი ეფექტი. ამასთან დაკავშირებით კარლი აზუსტებს: „ამიტომ ხშირად კამპანიებს, აღსავსეს ისეთი ქმედებებით, რომლის წინამძღოლებიც უფრო ტაქტიკოსები იყვნენ, ვიდრე სტრატეგები...

არც ისე სწრაფად მიჰყავდა საქმე ომის დასასრულ პუნქტამდე (და სრულდებოდა უფრო ორმხრივი გამოფიტვის გამო), ვიდრე კამპანიებს, რომლებიც მხედარმთავრის გენიითაა აღბეჭდილი — მხედარმთავრისა, რომელიც ჭვრეტს რა ომის მთელ თეატრს, ახორციელებს ზეწოლას მოწინააღმდეგის ოპერაციულ ხაზებზე, აღმოაჩენს სუსტ წერტილებს მის ბაზებსა და საყრდენ პუნქტებში, ეუფლება მოწინააღმდეგის არმიის არსებობისათვის აუცილებელ ძირითად წყაროებს, შლის მოწინაარმდეგის ოპერაციებსა და ხშირად ერთადერთ, სტრატეგიის პრინციპებზე დამყარებული და ტაქტიკის პრინციპებით განხორციელებული ბრძოლით ანადგურებს მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობას" (31, 96).

კარლი არ გამორიცხავს ისეთ სიტუაციებს, როდესაც ტაქტიკამ შეიძლება განაპირობოს სტრატეგიული წარმატება, რომელიც თავდაპირველ გეგმაში არ შედიოდა; კარლს მოჰყავს ისეთი მაგალითი, როდესაც რომელიმე პუნქტში განსაზღვრულ გარღვევისას მოწინააღმდეგის უკან დახევის გზაც მოიჭრება. ასეთ შემთხვევებში ტაქტიკის წესები და განხორციელების ფორმები, შესაძლოა, უგულველყოფილი იყოს სტრატეგიული წარმატების სასარგებლოდ. თუ შეტევის ის პუნქტი, რომლის დაკავებით მოწინააღმდეგეს უკანდახევის გზას მოვუჭრით, ტაქტიკური თვალსაზრისით არაა უფრო ხელსაყრელი, ვიდრე რომელიმე სხვა პუნქტი, „მას მაინც უპირატესობა უნდა მიეანიჭოთ სხვებთან შედარებით, რადგან ის ხელს არ უშლის ძირითადი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას, ჩვენ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ფრონტის მონაკვეთის გარღვევას და, ამასთანავე, ქმნის სტარტეგიული წარმატების შესაძლებლობას" (იქვე).

ერცჰერცოგი მოკლედ ეხება იმ ტაქტიკურ ნოვაციებსაც, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციურმა არმიამ შემოიტანა ტაქტიკაში და ცდილობს მისი მიზეზების ახსნას, იგი წერს: „საფრანგეთის არმია სასწრაფოდ იყო შეკოწიწებული რეკრუტირებული გლეხებისაგან. ჯარისკაცის აღზრდისას ყველაზე ძნელია ასწავლო მას მჭიდრო წყობის დაცვა, ხოლო მოახერხო ეს მოკლე დროში საერთოდ შეუძლებელია. ამიტომ გამოიყენეს რა ის უპირატესობანი, რომლებსაც ფრანგებს აძლევდა მათი მამაცი, ემოციური და ერთგვარად თავქარიანი ხასიათი, მხედარმთავრებმა ჯარისკაცებს საშუალება მისცეს გაფანტული მწყობრით ეომათ" (31, 81) (თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს

აღინიშნოს, რომ გაფანტული მწყობრი პირველად ჩრდილოამერიკელმა კოლონისტებმა გამოიყენეს ინგლისთან ბრძოლისას). ასე რომ, გაფანტულ მწყობრზე გადასვლა, ერცჰერცოგის აზრით, თავდაპირველად იძულებითი ღონისძიება იყო. თუმცა, შემდგომ ის ჩამოყალიბდა სისტემად, რომელიც სხვა არმიებმაც გადაიღეს.

§ 69
ჟომინი[91]

ჟომინი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ: ჟომინიმ შესანიშნავად გამოხატა კლასიკური სტრატეგიის არსი, როდესაც ის თვისებრივი სიახლე, ნაპოლეონმა რომ მოიტანა სამხედრო ისტორიაში, შემდეგნაირად დაახასიათა: „აქედან (1800 წლის კამპანიიდან — კ.კ.) მომდინარეობს გაბედული მიზნების დასახვა, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები მოწინააღმდეგის არმიის განადგურებას ან კაპიტულაციას გულისხმობს". (31, 144) ამაშია არსობრივი განსხვავება ნაპოლეონამდელი და ნაპოლეონის დროის ახალევროპულ ომებს შორის. არც ოცდაათწლიანი ომისას, არც ესპანეთის მემკვიდრეობისათვის. თვით ფრიდრიხ დიდის ომების დროსაც კი, არც მხედართმთავრებსა და არც პოლიტიკოსებს თავში აზრადაც არ მოსვლიათ ესოდენ გრანდიოზული ამოცანის დასმა თავისი შეიარაღებული ძალებისათვის.

ჟომინი

თავისი ეპოქის სამხედრო სულიდან გამომდინარე, ჟომინი აღნიშნავს, რომ არმია, რომელიც ამა თუ იმ ოპერაციულ ხაზზე მოძრაობს, ქმნის ოპერაციულ ან სტრატეგიულ ფრონტს. იგი თვლის, რომ სასურველია, არმია თავდაცვითი ხაზით განლაგდეს ამ ფრონტს უკან და, საჭიროების შემთხვევაში, იქცეს საყრდენ პუნქტად. ის პოზიციები, რომლებსაც არმიის კორპუსები დროებით იკავებენ, სტრატეგიულ პოზიციებს წარმოადგენს.

როდესაც არმია მიუახლოვდება პირველ ობიექტს და მოწინააღმდეგე წინააღმდეგობის გაწევას დაიწყებს, შემტევი არმია მას ან შეუტევს, ან მანევრირებას შეუდგება იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს უკან დახევა დააწყებინოს. ამგვარი მანევრირებისას შემტევი მხარე აირჩევს ერთ ან ორ სტრატეგიულ მანევრულ ხაზს, რომლებიც დროებითი ხასიათის იქნება და შეიძლება გადაუხვიოს საერთო ოპერაციული ხაზიდან. დროებითი და საერთო ოპერაციული ხაზები ერთმანეთში არასოდეს არ უნდა აგვერიოს.

თუ ოპერაციული ხაზი რამდენადმე გაწელილია სიღრმეში და მოწინაღმდეგე სახიფათო სიახლოვესაა, მოგიწევს უსიამოვნო არჩევანის გაკეთება: შეუტიო და განდევნო, ან არ მიაქციო ყურადღება მოწინააღმდეგის მეორეხარისხოვან ძალებს (ან მხოლოდ მათი ქმედებების კონტროლს დასჯერდე), ან გააგრძელო ოპერაცია ძირითადი მიმართულებით. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ორმაგი ოპერაციული ფრონტი. დადგება საკითხი მათ შორის ძალების განაწილებაზე. უნდა გაირკვეს, რა მიმართულებით რა ოდენობის ძალები უნდა გამოიყოს და რატომ.

ერთი არმიის ობიექტთან მიახლოებისა და მეორე მხარის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შეტაკება მოხდება. თუ შეტაკებას გაბედული ხასიათი არ ექნება, ის დროებით შეჩერდება; თუ ამგვარი შეტაკებისას მიღწეული იქნება გამარჯვება, მაშინ შეტევა გაგრძელდება პირველი ობიექტის მიმართულებით და შემდგომ გაგრძელდება შეტევის მეორე, არჩეული ობიექტის მიმართულებით (ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, აქ ლაპარაკია უახლოეს და შემდგომ ამოცანაზე).

ყველა ჩანაფიქრი, რომელიც მოიცავს მთლიანად ომის თეატრს, განეკუთვნება სტრატეგიას და დაიყვანება შემდეგზე:

- თეატრის ხასიათისა და იმ სხვადასხვა კომბინაციების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება ამ ხასიათიდან გამომდინარეობდეს;
- მუდმივი ბაზისა და ოპერაციული ზონის არჩევა და მოწყობა;
- თავდაცვისა ან შეტევის ობიექტის არჩევა;
- თეატრის გადამწყვეტი პუნქტების (საკვანძო წერტილების) დადგენა;
- ოპერატიული ფრონტებისა და თავდაცვითი ხაზების განსაზღვრა;
- ოპერაციული ბაზებისგან შეტევის ობიექტისაკენ ან ოპერატიული ფრონტებისაკენ მიმავალი ოპერაციული ხაზების განსაზღვრა;

● მოცემული ოპერაციისათვის საუკეთესო სტრატეგიული ხაზისა ან ხაზების განსაზღვრა; აუცილებელია აგრეთვე სხვადასხვა მანევრების განსაზღვრა, რათა ეს ხაზები სხვადასხვა კომბინაციებით იქნეს გამოყენებული;

● დროებითი ოპერაციული ბაზებისა და სტრატეგიული რეზერვების განსაზღვრა;

● არმიის მარშების მიმართულებების განსაზღვრა; ეს უკანასკნელი გააზრებული უნდა იყოს როგორც მანევრები;

● მომარაგების პუნქტების და მათი მიმართების განსაზღვრა მანევრირებად არმიასთან;

● განსაზღვრა ციხე-სიმაგრეებისა, როგორც სტრატეგიის საშუალებების, როგორც არმიის თავშესაფრებისა ან მისი მარშებისათვის ხელისშემშლელებისა; ალყები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ციხე-სიმაგრეების მიმართ და ამ ალყებისგან თავდაცვის საშუალებები.

● გამაგრებული ბანაკები და სხვა გამაგრებები;

● დემონსტრაციები მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით;

● შერეული ოპერაციები კამპანიის საწყის ეტაპზე. შერეული ნიშნავს, რომ ისინი, საერთო ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, სტრატეგიას განეკუთვნებიან, მაგრამ, განხორციელების თვალსაზრისით, ტაქტიკას. ასეთ შერეულ ოპერაციებს განეკუთვნება მდინარეების ფორსირება, მოულოდნელი თავდასხმები, დესანტირება, მსხვილი აღლების გაცილება და ა.შ.

სამხედრო ხელვნების მეორე ელემენტად ჟომინი ტაქტიკას მიიჩნევს. ამ უკანასკნელს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „არმიის მანევრირება შეტაკების ან ბრძოლის დღეს, აგრეთვე იმ განსხვავებულ მწყობრთა ერთობლიობა, რომლითაც უნდა გაუძღვე ჯარებს შეტევაში" (31, 108). და ბოლოს, სამხედრო ხელოვნების მესამე ელემენტად იგი მიიჩნევს ლოგისტიკას. ამასთან ამ ცნებაში იგი სხვაგვარ შინაარს დებს, ვიდრე ეს დღესაა მიღებული: „ლოგისტიკა ანუ არმიის გადაადგილების პრაქტიკული ხელოვნება: სალაშქრო გადაადგილებების პრაქტიკული ხელოვნება: სალაშქრო მოძრაობების (იგულისხმება მარშები — კ.კ.), საბრძოლო მწყობრების, დასასვენებლად ან დასაბინავებლად განთავსების ტექნიკური დეტალები, ერთი სიტყვით — სტრატეგიული და ტაქტიკური ჩანაფიქრების განხორციელება" (იქვე,). მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ ლოგისტიკის ამგვარი გაგება ბევრად სცილდება არასაბრძოლო უზრუნველყოფისა და ზურგის დღევან-

დელ გაგებას. თუმცა, როგორც ჩანს, ჟომინის გაგებამ რეალური გავლენა მოახდინა სამხედრო აღმშენებლობამდე. ჩანს, ამ გაგების გავლენა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ გერმანიის არმიაში პირველი კვარტირმაისტერი (მაგალითად, პაულიუსი) არა მხოლოდ ზურგით და უზრუნველყოფით იფარგლებოდა, არამედ სტრატეგიული გეგმების (კერძოდ „ბარბაროსას") შექმნასაც კურირებდა.

ტაქტიკისა და ლოგისტიკის განსაზღვრის შემდეგ ჟომინი იძლევა სტრატეგიის დეფინიციას: „მე განვსაზღვრე სტრატეგია, როგორც რუკაზე ომის წაძღოლის ხელოვნება, როგორც ხელოვნება, მოიცვა ომის მთელი თეატრი. ტაქტიკა არის ადგილზე ბრძოლის ხელოვნება, ხელოვნება განალაგო ძალები ადგილობრივი პირობების შესაბამისად და ჩართო ბრძოლაში ბრძოლის ველის სხვადასხვა პუნქტებში, ანუ 16-20 კილომეტრის მომცველ სივრცეზე, სადაც მათ შეუძლიათ ბრძოლის განმავლობაში მიიღონ და შეასრულონ ბრძანებები" (31, 108)

ჟომინი ტაქტიკის შესახებ: ჟომინი თვლის, რომ ტაქტიკა (უფრო ზუსტად ის, რასაც იგი დიდ ტაქტიკას უწოდებს და რომელიც გარკვეულწილად ოპერატიულ ხელოვნებას უიგივდება ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით) შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

- თავდაცვითი ბრძოლებისათვის პოზიციებისა და მიჯნების შერჩევა;
- ბრძოლისას აქტიური თავდაცვა;
- სხვადასხვა საბრძოლო მწყობრები და ძირითადი მანევრები მოწინააღმდეგის ძალებზე შეტევისათვის;
- მარშზე მყოფი ორი არმიის შეტაკება ან შემთხვევითი ბრძოლა;
- მოულოდნელობა საარმიო მასშტაბით;
- ჯარების გაწყობა ბრძოლის წინ;
- გამაგრებული პოზიციებისა და ბანაკების შეტევა;
- მოულოდნელი თავდასხმა;

დანარჩენ სამხედრო მოქმედებებს ჟომინი ახასიათებს, როგორც „მცირე ომის დეტალებს". ეს არის ის, რაც თანამედროვე გაგებით შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკუთრივ ტაქტიკა. სახელდობრ, ჟომინი ამ კატეგორიას მიაკუთვნებს: ტრანსპორტების დაცვას, ფურაჟირებას, ავანგარდებისა და არიერგარდების ბრძოლას, წვრილი რაზმების შეტევასა და ა.შ. ეს არის მოქმედებები, რომლებიც, ჟომინის მიხედვით, დივიზიამ ან ცალკე რაზმმა შეიძლება განახორციელოს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჟომინიმ არა მხოლოდ გამოყო ზუსტი კრიტერიუმები სამხედრო ხელოვნების სხვადასხვა სფეროებს შორის, არამედ მოგვცა კრიტერიუმები, მათში მონაწილე ძალებისა და სივრცითი პარამეტრების თვალსაზრისით. სახელდობრ, „მცირე ტაქტიკა" (საკუთრივ ტაქტიკა დღევანდელი გაგებით) მოიცავს დივიზიასა და მის დაბლა მდგომ ერთეულებს და სივრცით მონაკვეთს 16 კმ-ზე დაბლა. „დიდი ტაქტიკა", ანუ დღევანდელი გაგებით ოპერატიული ხელოვნება, მოიცავს დივიზიაზე მეტ, მაგრამ მთელ არმიაზე ნაკლებ ძალებს (კორპუსებს) და 16-20 კმ-ს სივრცით მონაკვეთს. ხოლო „სტრატეგია" მოიცავს მთელ არმიასა და თეატრს. ჟომინის, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ეს კლასიფიკაციაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მისი სახელი სტრატეგიის ისტორიაში ოქროს ასოებით შესულიყო.

ჟომინი სტრატეგიის პრინციპების შესახებ: უკვე შევეხეთ იმას, თუ როგორ განსაზღვრავდა ჟომინი სტრატეგიას. ახლა გადავხედოთ იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სტრატეგია ჟომინის მიხედვით. ეს პრინციპებია:

- სტრატეგიული კომბინაციის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არმიის მთავარი ძალები თანმიმიმდევრულად გადაადგილდეს ომის თეატრის გადამწყვეტი პუნქტებისაკენ და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოწინააღმდეგის კომუნიკაციებისაკენ ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დააყენოს საკუთარი კომუნიკაციები;
- იმგვარი მანევრების განხორციელება, როდესაც არმიის მთავარ ძალებს მოუწევს ბრძოლაში ჩართვა მოწინააღმდეგის არმიის მხოლოდ ნაწილებთან და არა მთელ არმიასთან;
- ბრძოლის დღეს ტაქტიკური მანევრებით მთავარი ძალების ბრძოლის ველის ძირითადი პუნქტისაკენ ან მოწინააღმდეგის განლაგების იმ პუნქტისაკენ მიმართვა, რომლის დაკავებაც აუცილებელია ვითარებიდან გამომდინარე;
- ისეთი მოქმედება, რომ ჩვენი ძალების მასები არა მხოლოდ გადაადგილდებოდეს მოწინააღმდეგის საკვანძო პუნქტისაკენ, არამედ ბრძოლაში ერთვებოდეს ენერგიულად, სინქრონულად და, რაც მთავარია, არა ნაწილ-ნაწილ, არამედ — მთლიანად და ერთდროულად.

ჟომინი ოპერატიული ხელოვნების შესახებ. თავდაცვითი

და შეტევითი ოპერაციები: როდესაც გადაწყდება ომის დაწყების საკითხი, პირველი კითხვა, რაც დგება, არის ის, თუ რა ხასიათის იქნება ეს ომი, შეტევითი თუ თავდაცვითი. ამასთანავე ეს ტერმინები განსაზღვრებასა და დაზუსტებას საჭიროებს.

არსებობს შეტევითი ომის რამდენიმე სახე, სახელდობრ:

● ის მიმართულია დიდ სახელმწიფოზე და მთლიანად მოიცავს მის ტერიტორიას; ეს იქნება შემოსევა (მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის, კეისრის ან მონღოლთა ლაშქრობები);

● ის მოიცავს მოწინააღმდეგის ტერიტორიის ერთ ნაწილს, ან მოწინააღმდეგის თავდაცვითი ფრონტის მეტ-ნაკლებად შეზღუდულ მონაკვეთს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბანალურ შეტევასთან, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით;

● შეტევა მოწინააღმდეგის არმიის ერთ-ერთ პოზიციაზე, ანუ ფრონტის უფრო მცირე მონაკვეთზე, ვიდრე წინა შემთხვევაში; ამგვარ ქმედებას ჟომინი მოძრაობის ინიციატივას უწოდებს.

ჟომინის აზრით, შეტევა მომგებიანია, როგორც პოლიტიკური, ისე მორალური თვალსაზრისით. შეტევისას ხდება საბრძოლო მოქმედებების გადატანა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, საკუთარი ტერიტორიის ხელყოფის თავიდან აცილება. იგი უმცირებს დამცველ მხარეს რესურსებს და ზრდის შემტევი მხარის უზრუნველყოფის საშუალებებს. შეტევა ხშირად ზრდის შემტევი მხარის მორალურ პოტენციალს და აქვეითებს დამცველი მხარის საბრძოლო სულისკვეთებას. თუმცა ჟომინი არც ისეთ ვითარებას გამორიცხავს, როდესაც შეტევა აძლიერებს დამცველი მხარის სულისკვეთებას, სახელდობრ იმ შემთხვევაში, თუ მან დაინახა რომ უკანდასახევი გზა აღარა აქვს (ვთქვათ, წითელი არმიის საბრძოლო სულისკვეთების მკვეთრი ამაღლება მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლისას).

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, — თვლის ჟომინი, — შეტევას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ღრმად შეჭრისას იზრდება ოპერაციული ხაზების სიღრმე, რაც მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ომის წარმოებისას ყოველთვის საშიშია. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საფრთხის ქვეშ დგება კომუნიკაციებისა და ლოგისტიკის სისტემა. ამგვარი ქმედებისას ოპერაციის მთელი თეატრი: მთები, მდინარეები, ვიწრობები, ციხესიმაგრეები იქცევა წინააღმდეგობებად, რომლებიც ხელს უშლის შეტ-

ევასა და ხელს უწყობს თავდაცვას. ამას უნდა დაემატოს ადგილობრივი მოსახლეობის მტრული განწყობა მომხდურთა მიმართ.

თუმცა ამგვარ შემოსევას დადებითი მომენტებიც ახასიათებს. წარმატების შემთხვევაში ის მოწინააღმდეგის ძალმოსილების კაკალ გულში ურტყამს, ანეიტრალებს მის სამხედრო შესაძლებლობებსა და საქმე სწრაფად მიყავს კვანძის გახსნამდე.

ჟომინის აზრით, შეტევა, განხორციელებული უბრალო დროებითი ოპერაციის მასშტაბით (ანუ ის, რასაც თეორეტიკოსი მოძრაობის ინიციატივას უწოდებს), ყოველთვის მომგებიანია, განსაკუთრებით სტრატეგიის სფეროში. თუ სამხედრო ხელოვნების არსი იმაშია, რომ შენი ძალები გადამწყვეტი პუნქტისაკენ მიმართო, გასაგებია, რომ ამისათვის აუცილებელია მოძრაობის ინიციატივის ხელში ჩაგდება (ფაქტობრივად, ლაპარაკია შეტევით ოპერატიულ მანევრზე). ის, ვინც იცის, რა სურს და იცის, როგორ მიაღწიოს საწადელს, თავისი მასების კონცენტრაციას ახდენს იმ პუნქტთან, სადაც აპირებს ძირითადი დარტყმის განხორციელებას. მოცდა ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგემ შეიძლება დაგასწროს. ამასთან მომლოდინე მხარემ არც კი იცის — რა მიმართულებით, რა საშუალებებითა და ძალებით განხორციელდება ძირითადი დარტყმა. ამიტომ იძულებული ხდება, ძალები ყველა მიმართულებით განალაგოს და შესაბამისად დაქსაქსოს. მან არც ის იცის თავისი დაქსაქსულ ძალთაგან რომელი შეიძლება დაუპირისპიროს შემტევ მხარეს.

ტაქტიკურ დონეზეც შეტევას უპირატესობა აქვს თავდაცვასთან შედარებით. თუმცა ეს უპირატესობა არაა ისეთი მასშტაბური, როგორც მაშინ, როდესაც ოპერაცია არ ვრცელდება ისეთი დიდ მოცულობის ტერიტორიაზე, როგორც წინა შემთხვევაში. ამასთან, თუ მოწინააღმდეგე ფხიზლად იქნება, დროულად აღმოაჩენს შეტევის დასაწყისსა და გამოიცნობს მის ძირითად მიმართულებას, სათანადო რეზერვების არსებობის პირობით მას ყოველთვის შეეძლება გამოასწოროს სიტუაცია. შეტევას ტაქტიკურ დონეზე შეიძლება ხელი შეუშალოს ადგილმდებარეობის თავისებურებებმაც. ასე რომ, ტაქტიკურ დონეზე ბალანსი შეტევასა და თავდაცვას შორის მეტ-ნაკლებად თანაბარია, თუმცა შეტევის ერთგვარი უპირატესობით.

ზემოთქმული, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ომის წარმოებისას შესაძლებელია მხოლოდ შეტევითი ოპერაციებით შემოვიფარ-

გლოთ. მეტიც, არავითარი გარანტია არ არის, რომ ლაშქრობა, ჩაფიქრებული როგორც შეტევითი, თავდაცვითად არ გადაიქცევა (ამის ყველაზე კარგი მაგალითია ნაპოლეონის 1812 წლის ლაშქრობა რუსეთზე).

ჟომინი ხედავდა თავდაცვითი ომის დადებით მხარეებსაც. მისი აზრით, სწორად კომბინირებული თავდაცვითი ოპერაცია ინერტული და პასიური კი არ უნდა იყოს, არამედ შეტევითი ხასიათის კონტრდარტყმებს უნდა ისახავდეს მიზნად. რამდენადაც თავდაცვის ამოცანაა, საკუთარი ტერიტორიის მონაკვეთების ხანგრძლივი დაცვა მოწინააღმდეგის ოკუპაციისაგან, ნათელია, რომ თავდაცვითი ომის მთავარი მიზანია მოწინააღმდეგისათვის მისი ჩანაფიქრის აღსრულებაში ხელის შეშლა. ეს, თავის მხრივ, შეიძლება მიღწეულ იქნას მარშებზე დამატებითი სირთულეების შექმნით (მაგალითად, ხერგილები, დანაღმვა და ა.შ.). შემტევი მხარე ესწრაფის, რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს კვანძის გახსნას, თავდამცველმა მხარემ მაქსიმალურად უნდა გაწელოს ეს პროცესი მანამ, სანამ შემტევი მხარე არ დასუსტდება მომქანცველი მარშებით, ცალკეული რაზმების გამოყოფითა და ა.შ.

ჟომინის აზრით, რომელიმე მხარე თავდაცვას მიმართავს მხოლოდ იძულებით, წარუმატებლობის შემთხვევაში, ან თუ მოწინააღმდეგე ძალით აღემატება მას. ბუნებრივი წინააღმდეგობების, საფორტიფიკაციო და სხვა სანჟინრო ნაგებობების გაწყობის გზით ის ცდილობს, რამენაირად გააწონასწოროს მოწინააღმდეგის აღმატებული ძალები.

ჟომინი სტრატეგიული პუნქტების შესახებ: ჟომინი თვლის, რომ სტრატეგიული პუნქტები და ხაზები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარია. მათი ნაწილი ასეთად ითვლება გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საიდანაც მომდინარეობს მათი მნიშვნელობა ოპერაციებისათვის. სხვები სტრატეგიულ ხასიათს იძენენ მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განლაგებიდან და ამ ძალების წინააღმდეგ მოქმედების ჩანაფიქრიდან გამომდინარე. ეს უკანასკნელნი შეიძლება დახასიათდეს, როგორც მანევრული სტრატეგიული პუნქტები. მათ წარმავალი მნიშვნელობა აქვთ. და ბოლოს, არსებობს სტრატეგიული პუნქტები და ხაზები, რომელთაც წარუვალი, უწყვეტი და უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ასეთებს ჟომინი გადამწყვეტ სტრატეგიულ პუნქტებს უწოდებს.

ყოველი პუნქტი, სამხედრო თვალსაზრისით, თავის მნიშვნელობას

თეატრზე იძენს ან კომუნიკაციების გადაკვეთაზე საკვანძო მდებარეობის გამო ან მათ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი დაწესებულებებისა თუ საფორტიფიკაციო ნაგებობებიდან გამომდინარე (რასაკვირველია, არსებობს პუნქტები, რომელთა მიმართ ყველა ეს ფაქტორი ერთროულად მოქმედებს). ამასთან არ არის აუცილებელი, რომ ყველა სტრატეგიული პუნქტი გადამწყვეტი იყოს.

ანალოგიური ვითარება გვაქვს სტრატეგიული ხაზების (კომუნიკაციიების) შემთხვევაშიც. ზოგიერთი კომუნიკაცია სტრატეგიულია თავისთავად, გეოგრაფიულად. ისინი მუდმივად არიან საბრძოლო მოქმედებათა თეატრის გადამწყვეტი სტრატეგიული პუნქტები. სხვები ასეთებად იქცევიან ფუნქციონალურად, ოპერაციის საერთო ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ვთქვათ მაშინ, თუ ერთმანეთთან აკავშირებენ ორ სტრატეგიულ პუნქტს.

ჟომინი აღნიშნავს გარკვეულ მსგავსებას მუდმივ და ფუნქციონალურ პუნქტებს შორის, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყველა გადამწყვეტი პუნქტი ერთდროულად ვერ გახდება შეტევის ობიექტი. შესაბამისად, საჭიროა რანჟირება და მათ შორის პრიორიტეტულის გამოყოფა. მაგრამ რა კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება მოვახდინოთ ამ პუნქტების რანჟირება?

ჟომინის აზრით, გადამწყვეტი სტრატეგიული პუნქტი შეიძლება ეწოდოს ყველა იმ წერტილს, რომლის კონტროლსაც კამპანიის მსვლელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეეძლება, ან უკიდურეს შემთხვევაში — ერთ-ერთი ოპერაციის მიმდინარეობაზე მაინც. მათ რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ყველა პუნქტი, რომელთა გეოგრაფიული მდებარეობა ან ხელოვნური ფორტიფიკაცია ხელს უწყობს ან ხელს უშლის ოპერატიულ ფრონტზე შეტევასა თუ თავდაცვას.

ყოველივე ზემოთქმულზე დამყარებით ჟომინი გამოყოფს ომის თეატრის შემდეგ გადამწყვეტ პუნქტებს:

გეოგრაფიული პუნქტები ან ხაზები, რომლებსაც მუდმივი და წარუვალი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა გამომდინარეობს თეატრის კონფიგურაციიდან. მაგალითად, ბელგიის მნიშვნელობა საფრანგეთისათვის. ბელგიას საფრანგეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა სულ მცირე რიშელიეს დროიდან (როდესაც ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ესპანეთის ნიდერლანდებად იწოდებოდა), ვიდრე „ცივი ომის" დასასრულამდე. ასეთ მუდმივებს, კონსტრანტებს, ჩვენი მხრივ, სუბ-

სტანციური სტრატეგიული პუნქტები შეიძლება ვუწოდოთ (სუბსტანცია ფილოსოფიაში ეწოდება საგანთა საფუძველს, რომელიც უცვლელი რჩება ამ საგნებში ნებისმიერი ცვლილებებისას).

კონსტანტური, სუბსტანციონალური, გადამწყვეტი სტრატეგიული პუნქტები ისეთებია, რომლებიც რამოდენიმე დაბლობის გადაკვეთას აკონტროლებს. მაგალითად, კატალაუნის დაბლობებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის (მანამდე გალიის) დაცვისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ კატალაუნის ველებზე საფრანგეთზე კონტროლისათვის უმნიშვნელოვანესი ბრძოლები მოხდა, სულ მცირე ატილას დროიდან, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, წმინდა ნინოს მამა ზებულონი, რომელიც რომის არმიის ოფიცერი იყო, ჯერ კიდევ მე-3 თუ მე-4 საუკუნეში მონაწილეობდა კატალაუნის ველზე მიმდინარე ერთ-ერთ ბრძოლაში. თავად ჟომინი, ჩანს, ახალგაზრდა ნაპოლეონის ომებზე დაკვირვებიდან გამომდინარე, ასეთი პუნქტის მაგალითად ლიონს ასახელებს, რომელიც რონასა და სენას დაბლობებს აკონტროლებს და საფრანგეთსა და იტალიას შორის გამავალი კომუნიკაციების ცენტრში მდებარეობს. თუმცა ჟომინი ხაზს უსვამს, რომ თავისთავად ამგვარ მდებარეობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ ის საფორტიფიკაციო ნაგებობით, უპირველეს ყოვლისა, ციხე-სიმაგრით არ არის განმტკიცებული.

კონსტანტური, სუბსტანციონალური გადამწყვეტი სტრატეგიული პუნქტია ყველა სახელმწიფოს დედაქალაქი. ისინი, როგორც წესი, განლაგებულია კომუნიკაციების გადაკვეთაზე და გადამწყვეტ სტრატეგიულ პუნქტებს წარმოადგენენ. ამას ემატება მათი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობაც.

გადამწყვეტი სტრატეგიული პუნქტები შეიძლება იყოს **დროებითი, ფუნქციონალური** მანევრული პუნქტებიც. ისინი ამ მნიშვნელობას მოწინააღმდეგეების დაჯგუფებების ხასიათიდან და მათი ჩანაფიქრებიდან გამომდინარე იძენენ. ფუნქციონალური პუნქტებიდან ასეთია, პირველ ყოვლისა, წერტილები, რომლების კონტროლითაც მოწინააღმდეგე შეიძლება მოწყვიტო მის ბაზებსა და დამხმარე არმიებს და ამასთან საფრთხის ქვეშ არ დააყენო საკუთარი კომუნიკაციების გამართული ფუნქციონირება. ასეთ პუნქტებს შორის ხელსაყრელი ისინია, რომლის კონტროლითაც მოწინააღმდეგეს ზღვასთან მივაკრავთ

(ისე, როგორც გერმანელებმა მიაკრეს ზღვას დიუნკერკთან ინგლისურ-ფრანგულ-ბელგიური ძალები 1940 წელს).

ჟომინის მიხედვით, ბრძოლის ველის გადამწყვეტ პუნქტებს სამი სახის ფაქტორები განსაზღვრავს;

- ადგილმდებარეობის ხასიათი;
- სტარტეგიული ჩანაფიქრი;
- ორივე მხარის დაჯგუფებების ხასიათი;

ხსენებულ პუნქტებს გარდა, ჟომინის შემოაქვს **„ობიექტური სტრატეგიული პუნქტის“** ცნება. ამასთან, სანამ შვეიცარელი მოაზროვნის შემდგომ შეხედულებებს გადმოვცემდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, შევეხოთ ტერმინოლოგიურ საკითხს, რომელიც გართულებას ქმნის XIX საუკუნის (განსაკუთრებით მისი პირველი ნახევრის) სამხედრო მოაზროვნეების შეხედულებების გასაგებად. ამ დროს კიდევ არ არსებობს ერთიანი და ყველასათვის სავალდებულო სამხედრო ტერმინოლოგია. ეს ეხება ისეთ ცნებებს, როგორიებცაა: „ობიექტი“ და „სუბიექტი“. მაგალითად, ბიულოვი და შერფი, აგრეთვე სხვა ავტორები თავდაცვის მიზანს (ვთქვათ, რომელი პუნქტის დაკავება ან შენარჩუნებაა აუცილებელი თავდაცვის სისტემისათვის) უწოდებენ **„თავდაცვის სუბიექტს“**, ხოლო ჟომინი იმავე პუნქტს უწოდებს **„თავდაცვის ობიექტს“**. ამას ემატება ისიც, რომ გერმანული ტერმინები „Ziehl“ და „Zweck“ ქართულად გადმოიტანება, როგორც „მიზანი“, რაც არ გამოხატავს ნიუანსურ განსხვავებებს გერმანულ ტერმინებს შორის. XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოაზროვნეების შეხედულებების გადმოცემისას ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ტერმინების მრავალმნიშვნელოვანება, რომლის მოხსნასაც შეძლებისდაგვარად შევეცდებით. ამრიგად, **„ობიექტური პუნქტი“** ჟომინისთვის ნიშნავს სამხედრო ოპერაციის მიზანს. სტრატეგიაში ობიექტური პუნქტი განისაზღვრება კამპანიის მიზნებით. თუ ეს მიზანი შეტევითია, მაშინ ობიექტური პუნქტი იქნება მოწინააღმდეგის დედაქალაქისა ან სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროვინციის ოკუპირება, რაც მოწინააღმდეგეს აიძულებს ზავის დადებას. შემოსევის დროს (განადგურების სტრატეგიის გამოყენებისას) მომხდურის მიერ ობიექტურ პუნქტად, ჩვეულებრივ, განისაზღვრება დედაქალაქი.

ობიექტური პუნქტების შემთხვევაშიც ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც **გადამწყვეტი პუნქტებისას:** ანუ არსებობენ კონსტან-

ტური და ფუნქციური (მანევრული) ობიექტური პუნქტები. როგორც ითქვა, ასეთ გადამწყვეტ ობიექტურ პუნქტს წარმოადგენს დედაქალაქი ან მისი, სამხედრო თვალსაზრისით სტრატეგიული, ტერიტორიის კვანძი. ამას გარდა, ობიექტური პუნქტი (ანუ შეტევის სამიზნე) შეტევითი ომისას შეიძლება იყოს რომელიმე ოპერაციული ფრონტი (ამ ტერმინში ჟომინი, როგორც ჩანს, გარკვეულ პოზიციას გულისხმობს), რომელიც მოწინააღმდეგის მთავარ ბაზას წარმოადგენს და რომელზეც მდებარეობს რამოდენიმე ციხე-სიმაგრე; მათი კონტროლი კი მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპირების საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება **მანევრულ ობიექტურ პუნქტებს**, მათი შერჩევის უნარი მეტყველებს მხედართმთავრის ნიჭზე. ჟომინი მიუთითებს ნაპოლეონის მაგალითზე, რომელიც შეუდარებელი იყო ამგვარი პუნქტების შერჩევისას. მან უკუაგდო თვალსაზრისი, რომელსაც ომის მიზანი რამოდენიმე ციხე-სიმაგრის ან სასაზღვრო პროვინციის დაკავებამდე დაყავდა და მთავარ მიზნად მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების გაფანტვა ან განადგურება დაისახა, ვინაიდან ამის შემდეგ მოწინააღმდეგეები დანებდებიან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ აღარ ეყოლებათ ორგანიზებული ძალა ამ სიმაგრეების ან პოზიციების დასაცავად. ჟომინი ნაპოლეონის სტრატეგიის შემდეგ ძირითად მახასიათებლებს გამოყოფს:

- თეატრის შეფასება და მისი მონაკვეთების ღირებულებების განსაზღვრა;
- ძალების კონცენტრირებული გამოყენება იმ ზონებში, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს;
- ყველა საშუალების გამოყენება მოწინააღმდეგის მოახლოების გასაგებად;
- ელვისებური დარტყმა მოწინააღმდეგის ცენტრზე, თუ მისი გარღვევა შესაძლებელია ან ფლანგზე, საიდანაც შეიძლება მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე გასვლა;
- ამის შემდეგ მოწინააღმდეგის გარემოცვა, მომარაგების პუნქტებისგან მოწყვეტა, გადევნება მანამ, სანამ ის არ განადურდება ან გაიფანტება ისე, რომ საფრთხეს ველარ შექმნის.

ჟომინი მახვილგონივრულად შენიშნავს, რომ ეს სტრატეგიაც კი უნივერსალური არ არის. მისი გამოყენება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გეგმითა და მოქმედებებით უნდა განხორციელდეს:

„მაშინ, როდესაც მოქმედების ეს ხერხი რუსეთის უზარმაზარი სივრცეებისა და არასტუმართმოყვარე ოლქების მიმართ იქნა გამოყენებული, მართალი რომ ვთქვათ, ისევე წარმატებული არ აღმოჩნდა, როგორც გერმანიაში. ყოველ შემთხვევაში, ომის ამგვარად წარმოება ყველას როდი ძალუძს. ასეთი ომი არ არის ვარგისი ნებისმიერი ქვეყნის შემთხვევაში და ნებისმიერი გარემოებებისას" (31, 119). თუმცა, ჟომინი იქვე აღნიშნავს: „ამის მიუხედავად ამგვარი (ნაპოლეონისებური – კ.კ.) მოქმედების შანსები ძალიან დიდი რჩება" (იქვე). ამის მთავარ გარანტიად შვეიცარელი გენერალი მიიჩნევს იმას, რომ ამგვარი სტრატეგია შემთხვევით და სპონტანურ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ გარკვეული და კონკრეტული (და მარტივი, ალბათ, დაამატებდნენ ერიკჰერცოგი კარლი და დელბრუკი) პრინციპებიდან გამომდინარეობს.

ჟომინი ოპერაციული ზონის შესახებ: ჟომინი ოპერაციულ ზონას უწოდებს საბრძოლო მოქმედებათა თეატრის გარკვეულ მონაკვეთს, რომელზეც არმია გადაადგილდება გარკვეული ობიექტისაკენ, ოპერაციის მიზანს რომ წარმოადგენს. თეატრის თავისებურებებიდან გამომდინარე (ადგილმდებარეობის კონფიგურაცია, კომუნიკაციების ხასიათი და ა.შ.), შეიძლება მასზე მოქმედ არმიას მხოლოდ ერთ ოპერაციულ ხაზს უდგენდენ. თუმცა, ჟომინის აზრით, ასეთი შემთხვევები იშვიათია. ჩვეულებრივ, ოპერაციული ზონა რამოდენიმე ოპერაციული ხაზს იძლევა, რომელთა რაოდენობა ნაწილობრივ მხედარმთავრის ჩანაფიქრით განისაზღვრება, ხოლო ნაწილობრივ – ადგილმდებარეობით. აქედან არამც და არამც არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს ყოველი გზა თავისთავად წარმოადგენს ოპერაციულ ხაზს. ცხადია, გარემოებებისდა მიხედვით ნებისმიერი ვარგისი გზა, რომელსაც მოწინააღმდეგე არ აკონტროლებს, დროებით შეიძლება იქცეს ოპერაციულ ხაზად. მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ეს გზა იქცევა ჭეშმარიტ ოპერაციულ ხაზად, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მხედარმთავრის გეგმიდან გამომდინარე, იგი შეიძლება მრეორეხარისხოვან მიმართულებაზე აღმოჩნდეს. სამი ან ოთხი ვარგისი გზა, რომელთაც ერთსა და იმავე ოპერაციულ ფრონტამდე მივყავართ, მაინცადამაინც სამ ან ოთხ სხვადასხვა ოპერაციულ ხაზს არ წარმოადგენს. სხაგვარად, ოპერაციული ხაზების ოდენობას განსაზღვრავს იმ ოპერაციული ფრონტების ოდენობა, რომლებზეც ამ კომუნიკაციურ

ხაზებს გავყავართ, ანუ ერთ ოპერაციულ ფრონტზე გამავალი სამი გზა სამ კი არა, მხოლოდ ერთ ოპერაციულ ხაზს შეადგენს.

ოპერაციული ხაზი, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ სივრცეს, რომელიც საკმარისია იმისათვის, რათა ცენტრი და ორივე ფრთა გადაადგილდეს ოპერაციული ფრონტისაკენ. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ აღნიშნული სივრცის ფარგლებში ამ ფრონტისაკენ მიმავალი სულ მცირე სამი ან ოთხი ვარგისი გზა არსებობს.

ოპერაციული ხაზის ეფექტიანობის კრიტერიუმს ჟომინი ასე განსაზღვრავს: „ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ოპერაციული ხაზი, რომელსაც წარმატებასთან მივუყვანივართ, აკმაყოფილებს ძირითად პრინციპს. მარტივ და შინაგან (ჩვენი კონტროლირებული ტერიტორიის ერთი პუნქტიდან მეორისკენ მიმავალ – კ.კ.) ხაზებს ის ფუნქცია აქვს, რომ უმნიშვნელოვანეს პუნქტთან სტრატეგიული მანევრის საშუალებით თავი მოვუყაროთ უფრო მეტ დივიზიას, და შესაბამისად უფრო დიდ მასას, ვიდრე ეს მოწინააღმდეგეს შეუძლია. ყველა წარუმატებელ ოპერაციულ ხაზს ამ პრინციპის საპირისპირო თვისებები ახასიათებს, ვინაიდან რთულ ოპერაციულ ხაზებს ახასიათებს ის, რომ კონცენტრირებულ მასას, რომელიც ამ ხაზების მომხმარებელია, უნდა შეეჯახოს სუსტი და იზოლირებული ნაწილები (31, 123)". ჟომინის მიხედვით, ოპერაციული ხაზის შერჩევისას შემდეგ პრინციპებს უნდა დაეყრდნოთ:

- თუ სამხედრო ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ოპერაციის თეატრის გადამწყვეტ პუნქტში ჩართო ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი ძალები, მაშინ ოპერაციული ხაზის შერჩევა, რომელიც უპირველეს საშუალებას წარმოადგენს ამ მიზნის მისაღწევად, უნდა განვიხილოთ, როგორც კამპანიის კარგი გეგმის ფუნდამენტალური საფუძველი;
- ოპერაციული ხაზის მიმართულება მხოლოდ თეატრის გეოგრაფიულ თავისებურებებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ – მოწინააღმდეგის ძალების განლაგებაზეც. ყოველ შემთხვევაში ოპერაციული ხაზი შეიძლება მიმართული იყოს მოწინააღმდეგის ცენტრის ან რომელიმე ფლანგის წინააღმდეგ. ერთდროულად ფრონტისა და ფლანგების წინააღმდეგ შეტევა შესაძლებელია მხოლოდ მოწინააღმდეგეზე აბსოლუტური უპირატესობის შემთხვევაში. ყველა სხვა ვი-

თარებაში, თვლის ჟომინი, ასეთი' რამ უნდა განვიხილოთ, როგორც არსებითად (და საფუძველშივე) მცდარი. თუ მოწინააღმდეგე უშვებს შეცდომას და თავის ძალებს ფრონტზე მეტისმეტად გაწელავს, მაშინ მანევრული ხაზის ძირითად მიმართულებად ცენტრი უნდა მივიჩნიოთ. სხვა გარემოებებისას დარტყმა უნდა განხორციელდეს ფლანგზე და შემდგომ ზურგსა და კომუნიკაციებზე. ამ დროს უპირატესობას განსაზღვრავს არა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგე ძალის მხოლოდ ნაწილს ეხები, არამედ ისიც, რომ თავდაცვითი ფრონტი ზურგიდან დარტყმის საფრთხის წინაშე დგება. ამასთანავე, მოწინააღმდეგის ზურგში გასვლისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს საფრთხე თავად მოვწყდეთ ჩვენ ძირითად ძალებს.

● მანევრირების რაციონალურობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა ვერიდოთ ერთსა და იმავე საზღვარზე ორი დამოუკიდებელი არმიის კონცენტრირებას. ასეთი რამ კიდევ შესაძლებელია დიდი კოალიციური ომისას, მაგრამ თავიდან რომ ავიცილოთ მართვაში აღრევა და არმიების მიერ ერთი და იმავე ოპერაციული ხაზების გამოყენება (რასაც მათი გადატვირთვა და უამრავი ნეგატიური შედეგი მოჰყვება), მიზანშეწონილია ორივე არმია საერთო სარდლობას დაექვემდებაროს (შდრ. რუსების ორივე არმიის — ბარკლაი-დე-ტოლისა და ბაგრატიონის — ქმედებებს ნაპოლეონთან 1812 წლის ომისას).

● ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ძალთა თანაფარდობისას საზღვარზე მარტივი ოპერაციული ხაზი — უმჯობესია, ვიდრე ორმაგი ოპერაციული ხაზი. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ თეატრის კონფიგურაციიდან გამომდინარე, ან იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე რამდენიმე მიმართულებით მოქმედებს, საჭირო გახდეს რამდენიმე ოპერაციული ხაზიც. ამ ვითარებაში შიდა, ანუ ცენტრალურ ოპერაციულ, ხაზებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს გარე ხაზებთან შედარებით. ამას ის განაპირობებს, რომ შიდა (ანუ მთლიანად შენს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე გამავალი) ოპერატიული ხაზების მეშვეობით უფრო ადვილია შენი ძალების კონცენტრირება;

● მხარე, რომლის ოპერაციული ხაზი საკუთარ ტერიტორიაზე გადის, დიდ უპირატესობას ფლობს. მას შეუძლია გამოიყენოს ყველაფერი: ადგილობრივი მოსახლეობა, ხელისუფლება, მოსავალი, ციხესიმაგრეები, საზოგადოებრივი და კერძო მომარაგების პუნქტები. ამისდამიუხედავად, თვლის ჟომინი, უპირატესობა მაინც შემტევი მხარისაკ-

ენ გადაიხრება (ჩანს, აქ ჟომინი ადგილობრივი რესურსების რეკვიზიციით ჯარის უზრუნველყოფის იმ სისტემას გულისხმობს, რომელსაც ნაპოლეონი იყენებდა). ამ დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომარაგებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ ქვეყნის ხასიათი, რომელიც საბრძოლო მოქმედებათა თეატრს წარმოადგენს. შემტევი მხარე, რომლის ოპერაციული ხაზები მდიდარ, ნაყოფიერ და სამრეწველო რეგიონებზე გადის, შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში იქნება, ვიდრე ის, რომლებსაც ღარიბ და უდაბურ ადგილებზე უწევს გადაადგილება, მით უფრო მაშინ, თუ ადგილობრივი მოსახლეობა მტრულადაა განწყობილი.

ჟომინი სტრატეგიული რეზერვების შესახებ: ჟომინი აღნიშნავს, რომ ნაპოლეონის ომებიდან მოყოლებული რეზერვები ძალზე დიდ როლს ასრულებს (ამ საკითხს ძალიან კარგად აშუქებს დელბრუკი, როდესაც იკვლევს განსხვავებას ნაპოლეონისა და ფრიდრიხ დიდის ომებს შორის). ამ ეპოქიდან მოყოლებული რეზერვის აუცილებლობის გაცნობიერება ყველა დონეზე ხდება — დაწყებული მთავროებიდან, რომელიც ეროვნულ (თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სტრატეგიულ) რეზერვებს ამზადებს, და დამთავრებული ოცმეთაურით. ასე რომ, წესით სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავისი რეზერვები, არმიას — თავისი, საჭიროების შემთხვევაში კორპუსებსა და დივიზიებსაც საკუთარი. ყოველი მათგანის მეთაური უნდა განკარგავდეს თავის რეზერვებს.

კონცეპტუალურ დონეზე ჟომინი პირველი აყალიბებს რეზერვების იმ კლასიფიკაციას, რომელიც გარკვეული მოდიფიკაციით დღემდე ძალაშია. ის რეზერვებს ორ ჯგუფად ყოფს. პირველი ის რეზერვებია, რომლებიც ჩართულია საბრძოლო მწყობრში და მზადაა ბრძოლაში ჩაბმისათვის. მეორე ჯგუფის რეზერვებს ის ძალები შეადგეს, რომლებიც არმიის შევსებისთვისაა განკუთვნილი. მათ შეიძლება დაიკავონ თეატრზე მდებარე მნიშვნელოვანი პუნქტები, ან სულაც სტრატეგიული რეზერვის ფუნქცია შეასრულონ. ამასთან, ამგვარი რეზერვების რაოდენობას განაპირობებს არა მხოლოდ ხელთმყოფი რესურსების ოდენობა, არამედ საზღვრების კონფიგურაცია, მანძილი ბაზასა და ფრონტს ან ობიექტს შორის.

მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრისას ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ იმის შესაძლებლობა, რომ თავდაცვით მოქმედებაზე

გადასვლა მოგვიწევს. ამ დროს შუალედური რეზერვის განთავსება ბაზასა და ფრონტს შორის იმის მსგავს უპირატესობას იძლევა, როგორსაც აძლევს მოქმედ არმიას რეზერვის არსებობა ბრძოლის დღეს. ის შეიძლება გადასროლილ იქნას იმ უმნიშვნელოვანეს პუნქტებში, რომელსაც მოწინააღმდეგე ემუქრება, თანაც ისე, რომ მოქმედი არმია არ დაასუსტოს. შლიფენის გეგმა იმითაც იყო საყურადღებო, რომ რეზერვების ამგვარ გამოყენებას ემყარებოდა.

ჟომინი ძველი (ნაპოლეონამდელი) და ახალი (ნაპოლეონის დროის და შემდგომი) ომების განსხვავების შესახებ: ჟომინი თავისი ნაშრომის ერთ მონაკვეთს ნაპოლეონამდელი და ნაპოლეონის დროის ომების განსხვავების ძირითადი მომენტების აღნიშვნით იწყებს. იგი წერს: „პოზიციურ სისტემას, მე ვუწოდებ ომის მეთოდურად წარმოების ხერხს, რომელიც ხორციელდება იმ არმიების მეშვეობით, რომლებიც განთავსებულია კარვებში, მომარაგებულია სათანადო დამხმარე პუნქტებით და ფურნეებით. ეს არმიები ცდილობენ ერთმანეთის გაცუცურაკებას იმით, რომ ერთი მიზნად ისახავს, ალყა შემოარტყას რომელიმე ციხე-სიმაგრეს, ხოლო მეორე ცდილობს ამ ჩანაფიქრის ჩაშლას. ერთი არმია ცდილობს რომელიმე პროვინციის ოკუპირებას, ხოლო მეორე აუღებლად მიჩნეულ პოზიციას იკავებს“ (31, 142-143). მოკლედ, ჟომინი ომის წარმოების იმ ხერხს აღწერს, ესოდენ გენიალურად რომ არის ნაჩვენები უკვდავ „ფანფან-ტიულპანში“ (ასევე უკვდავი ჟერარ ფილიპითა და ჯინა ლოლობრიჯიდათი). შვეიცარელი თეორეტიკოსის აზრით, ასეთი სისტემა მოქმედებდა შუასაუკუნეებიდან მოყოლებული ვიდრე საფრანგეთის რევოლუციამდე.

ერცჰერცოგ კარლის მსგავსად ჟომინიც ფიქრობს, რომ ახალ სისტემაზე გადასვლა რაციონალური გათვლის შედეგი კი არ იყო, არამედ — შექმნილი გარემოებების მიერ ნაკარნახები ნაბიჯი. რევოლუციური საფრანგეთის ჯარისკაცებს არც კარვები გააჩნდათ, არც ხელფასი და არც მომარაგების პუნქტები. ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ სპონტანურად აეწყოთ ისეთი სისტემა, რომელიც ამ ნაკლოვანებების კომპენსირებას მოახდენდა. მობილობა გაიზარდა, რაც წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად იქცა. რევოლუციური არმიის ტაქტიკაც შეიცვალა. წინამძღოლებმა თავიანთი ჯარისკაცების კოლონებად განლაგება იწყეს, რაც იმით

იყო განპირობებული, რომ კოლონების მართვა უფრო იოლი იყო, ვიდრე ტრადიციული ხაზისებრად გაშლილი წყობისა (ან კარეების ტიპის კვადრატული წყობისა). დასერილი რელიეფის მქონე ფლანდრიასა და ეოგეზებში ისინი თავისი ძალების ნაწილებს მსროლელთა ჯაჭვების სახით ფანტავდნენ, რომელთაც კოლონებით ფარავდნენ. გარემოებების იძულებით შექმნილმა ამ სისტემამ ჩიხში შეიყვანა მეთოდურ მოქმედებას ჩვეული ავსტრიელი და პრუსიელი მხედარმთავრები.

ჟომინი შორეული ექსპედიციების შესახებ: ტერმინით „შორეული ექსპედიცია" ჟომინი აღნიშნავს ნებისმიერი სახის მსხვილმასშტაბიან სამხედრო მოქმედებას ეროვნული ტერიტორიიდან დიდი მანძილის მოშორებით. ამ მიმართებით იგი ერთმანეთისაგან პრინციპულად არ ანსხვავებს სახმელეთო და საზღვაო ექსპედიციებს. 1812 წელს ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში და შვიდწლიანი ომისას ფრანგ ადმირალ სიუფრენის ესკადრის მოქმედება ინდოეთში, ჟომინის მიერ ერთნაირად დახასიათდებოდა, როგორც „შორეული ექსპედიცია".

ჟომინი შორეული ექსპედიციების შემდეგ სახეებს გამოყოფს:

- მოქმედება, როდესაც **საექსპედიციო დაჯგუფება მოკავშირის დასახმარებლად კონტინენტალურ თეატრზე იბრძვის** (მაგალითად, 1805 წელს რუსეთის არმია ეროვნული ტერიტორიიდან დიდ მანძილზე მოშორებით მოქმედებდა ავსტრიელების დასახმარებლად ნაპოლეონის წინააღმდეგ).
- **მსხვილი კონტინენტური შეჭრები** (და შემოსევები), რომლებიც მეგობრულად, ნეიტრალურად თუ მტრულად განწყობილი ქვეყნების ტერიტორიებზე მიმდინარეობს (მაგალითად, მონღოლთა ან თემურლენგის ლაშქრობები);
- მეორე ტიპის მსგავსი ლაშქრობები იმ განსხვავებით, რომ ისინი **კომბინირებულ საზღვაო-სახმელეთო** ხასიათს ატარებს;
- **ზღვისიქითა ექსპედიციები,** რომელთა ამოცანაა შორეული კოლონიების მოპოვება ან დაცვა;
- **მსხვილი (დღეს იტყოდნენ, სტრატეგიული) დესანტი,** რომელიც წინა პუნქტისაგან განსხვავებით, მიმართულია არა კოლონიების მოსაპოვებლად, არამედ რომელიმე დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ. აუცილებელი არ არის, ასეთი დესანტი მაინცადამაინც მოწი-

ნააღმდეგე დიდი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდეს. ამგვარი დესანტის კარგი მაგალითია ველინგტონის საექსპედიციო კორპუსის გადასხდომა პორტუგალიაში და იქიდან მოქმედება ესპანეთში დისლოცირებული ფრანგული არმიის წინააღმდეგ. ასეთი არაპირდაპირი სტრატეგიული დესანტის კიდევ უკეთესი მაგალითია ჰანიბალის მიერ ესპანური პლაცდარმიდან ალპების გავლით რომზე შეტევა, ხოლო XX საუკუნეში მოკავშირეთა სტრატეგიული დესანტი ნორმანდიაში. რაც შეეხება მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიახლოვეს უშუალოდ დესანტირებას, მაგალითისათვის .ორს წასვლა საჭირო არ არის. ერაყის წინააღმდეგ ორივე ომი ამის შესანიშნავ ნიმუშს იძლევა.

ჟომინის სტრატეგიის რეზიუმე: ჟომინი თავის შეხედულებებს ერთგვარი რეზიუმის სახით ალაგებს. ამ რეზიუმედან ჩვენ შეეხებით მხოლოდ რამდენიმეს, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი აქტუალობა. ჟომინი მხედარმთავრიდან მოითხოვს, რომ:

- **კარგად შეარჩიოს დროებითი მანევრული სტრატეგიული ხაზები,** მისცეს მათ იმგვარი მიმართულება, რომ შეეძლოს იმოქმედოს თავისი დივიზიების უმეტესი ნაწილით და ამავდროულად მოწინააღმდეგეს ხელი შეუშალოს იმავე ქმედების განხორციელებაში;
- **მოახერხოს ერთიანობისა და ცენტრალიზაციის სულისკვეთებით ყველა სტრატეგიული დაჯგუფების მართვა;**
- **მისადმი დაქვემდებარებულ ჯარს შთაუნერგოს მაქსიმალური აქტივობა და მაქსიმალური მობილობა,** რათა მათი თანმიმდევრული და რიგრიგობით გამოყენებით მოახერხოს ბრძოლის უმნიშვნელოვანეს პუნქტებში მოწინააღმდეგის ცალკეულ ძალებზე აღმატებული ჯარის შეიყვანა;
- **მარშების ელვისებურობით** გაზარდოს ძალების მარგი ქმედების კოეფიციენტი და მოწინააღმდეგის ძალების დიდი ნაწილის ნეიტრალიზება შეძლოს.

ამასთან, ამ ელვისებურ მარშებს უნდა მოჰყვეს წარმატებული მიმართვა მოწინააღმდეგის ოპერაციული ზონის გადამწყვეტ სტრატეგიულ პუნქტებზე. აუცილებელია სისწრაფისა და ელვისებურობის შერწყმა წარმატებით არჩეულ სტრატეგიულ მიმართულებასთან.

§ 70
კლაუზევიცი

სამხედრო საქმეში, ალბათ, არც ერთი პიროვნების გამო არ ყოფილა ესოდენ დიდი დისკუსია, როგორც კლაუზევიცის ირგვლივ. არავის არ ჰყოლია ესოდენ დიდი თაყვანისმცემლები ან განმაქიქებლები, როგორც მას. ეს ალბათ გენიოსების ხვედრია. ხანდახან ადამიანს ის აზრიც კი გიჩნდება – ხომ არ სჯობდა მისი ანდერძი შესრულებულიყო და ის საქაღალდეები განადგურებულიყო, სადაც მისი დაწერილი, ოღონდ დაუსრულებელი ნაშრომები ინახებოდა. თუმცა, რაციონალური შეფასებისას იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ფრაუ კლაუზევიცი მართალი იყო, როდესაც ქმრის ანდერძი არ შეასრულა.

კლაუზევიცი

გამოთქმულია არცთუ საფუძველს მოკლებული მოსაზრება, რომ სხვასთან ერთად ორივე მსოფლიო ომი კლაუზევიცის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგიც იყო. რასაკვირველია, ავტორი პასუხს არ აგებს მისი ნაწერების არასწორ ინტერპრეტაციაზე, მით უფრო, თუ მათი დასრულება ვერ მოასწრო. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს არ იყო უბრალო ქმედებები უბრალო ომებში. მათ მილიონობით მსხვერპლი, გენოციდები, ხოლოკოსტი და ა.შ. მოჰყვა. ალბათ, მისი თეორიის დასახასიათებლად სხვა, მისსავე კალიბრის მოაზროვნეს უნდა მიემართოთ თუნდაც იმიტომ, რომ ამ მოაზროვნის ერი ხოლოკოსტის მსხვერპლი გახდა. მარტინ ვან კრეველდი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერს: „როცა ომის შესახებ ნაწარმოებები იქმნება, როცა ანალიზდება თანამედროვე წარმოდგენები იმის შესახებ, ვინ აწარმოებს ომს, მაშინ კიდევ უფრო აქტუალური ხდება კითხვა: რატომ მიდიან ომში? ომისადმი მიძღვნილი პირველი წიგნის პირველი თავი (ლაპარაკია კლაუზევიცის ნაშრომის პირველ თავზე – კ.კ) ეძღვნება ამ საკითხს. მკითხველისათვის ნათელი გახდება, რომ „ომი არის ძალადობის ერთ-ერთი აქტი, რათა მოწინააღმდეგე

ვაიძულოთ შეასრულოს ჩვენი ნება". და ასევე, ომი არის ძალაუფლების (ძალადობის) უკიდურესი გამოყენება. თანამედროვე მკითხველი ინფორმირებულია ორი მსოფლიო ომის დროს ძალადობრივი მოქმედებების შესახებ და, სავარაუდოდ, ეს საკითხი მისთვის ნათელია, გასაგებია. ტრივიალურიც კი. კლაუზევიცის თეორიები უნდა გავაანალიზოთ ისტორიული წანამძღვრებით, რაზედაც ისინი აღმოცენდნენ. როგორც მრავალი თაობა, კლაუზევიციც ცდილობდა, აეხსნა ნაპოლეონის წარმატებების საიდუმლოებები. მისი დროის ცნობილი სამხედრო ექსპერტები დიტრიხ ბულოვი და ანტუან ჟომინი თვლიდნენ, რომ იმპერიის საიდუმლო სტრატეგიაში მდგომარეობდა და ამ მოსაზრებით აგებდნენ თავის შეხედულებებს. კლაუზევიცი კი სხვა შეხედულების იყო. როცა ის ნაპოლეონს, როგორც ომის ღმერთს, ახასიათებდა, თვლიდა, რომ ნაპოლეონი თავის გამარჯვებებს უნდა უმადლოდეს გრანდების არმიას და არა იმ საიდუმლო სიბრძნეს, რომელსაც მხოლოდ მბრძანებელი ფლობს. პირიქით, ის (სიბრძნე) განსხეულდა ელემენტარულ ძალადობაში, რომელმაც სამხედრო მიზნებისათვის იჩინა თავი საფრანგეთის რევოლუციის დროს. ამასთან ძალადობა, კლაუზევიცის აზრით, ძალადობასვე უპირისპირდება. „ფიზიკური ძალის გამოყენება მთელი მისი სისრულით, ყველა შემთხვევაში გამორიცხავდა ინტელექტის (Intelligenz) მონაწილეობას. სისასტიკე სისასტიკეს ბადებს, მხარეები, რომლებიც შეუბრალებლად მიიწევდნენ წინ, ზეიმობდნენ. ამ შემთხვევაში საქმე სულაც არ ეხება წმინდა თეორიულ საკითხებს. პრუსიელებმა ჯერ კიდევ ფრიდრიხ დიდის დროიდან მოყოლებული მეტი გამანადგურებელი გამარჯვება მოიპოვეს, ვიდრე ნებისმიერმა სახელმწიფომ ისტორიაში. რამდენადაც ევროპული მონარქიები არ იყენენ მზად, ომის ახალი პრინციპებით წარმოების ზოგიერთი „შეზღუდული" (მარტივი) მეთოდის გამოყენება XVIII საუკუნიდან შეწყდა. მისი მომავალი მძიმედ გამოიყურებოდა. ამ საღი სიტყვებით კლაუზევიცი იმის შესახებ აფრთხილებდა დაჟინებით, რომ „შეზღუდვა" ომის „ძირითად პრინციპებში" — არ შეიძლება მიღებულ იქნას. შეიარაღებული ძალა თავისი არსით არავითარ წესებს არ ექვემდებარებოდა და მხოლოდ მის საკუთარ კანონებსა და პოლიტიკურ მიზნებს ითვალისწინებდა. „ჰუმანური აზრების" მხედარმთავრებს ეს არ მოსწონდათ. ისინი თვლიდნენ, რომ ომისას უნდა დაეცვათ რაღაც ზღვარი და ომი ძალის მინიმალური

გამოყენებით მოეგოთ. „ისეთ საშიშ საქმეში, როგორიც ომია, კეთილგანწყობის გამოელინება შეცდომაა, თანაც უსაშინლესი", — ამბობდა კლაუზევიცი. მოგვიანებით მან თქვა: „ჩვენ არ გვსიამოვნებს იმ საშხედრო მეთაურების შესახებ საუბარი, რომლებიც იმარჯვებენ ადამიანების სისხლის გარეშე". საკითხავია — შეეძლო თუ არა კლაუზევიცს თავისი თეორიები პრაქტიკაში განეხორციელებინა. კლაუზევიცი, „ფილოსოფოსი უნიფორმაში", გამოცანად რჩება ჩვენთვის. ცხადია, რომ იგი არ იყო შეპყრობილი სისასტიკით, რომელიც მთავარსარდლისათვის ალბათ სავალდებულოც კია. ძნელი სათქმელია, რატომ ახდენდა ეს „სალი" არგუმენტები ასეთ ძლიერ გავლენას კლაუზევიცის ბევრ მემკვიდრეზე და შესაბამისად თანამედროვე სტრატეგიულ მსოფლმხედველობაზე. წიგნი „ომის შესახებ" თავის პოპულარობას უნდა უმადლოდეს მის სტილს. ეს წიგნი აქა-იქ, მართალია, ბრწყინავს შესანიშნავი მეტაფორებით, მაგრამ ხშირად ის არაფრისმთქმელია და მხოლოდ ძილის წინ საკითხავად თუ გამოდგება" (37, 102-103). ეს ალბათ კლაუზევიცის თეორიის ყველაზე კარგი დახასიათებაა, რაც კი ოდესმე არსებულა.

კლაუზევიცი სტრატეგიის შესახებ: როგორც უკვე აღინიშნა, კლაუზევიცისათვის ომი თავისი არსით არის ბრძოლა, რადგან ბრძოლა იმ მრავალფეროვანი ქმედებების გადამწყვეტი აქტია, რომელსაც გულისხმობენ ომის უფრო ფართო ცნების ქვეშ. ბრძოლა არის მხარეების ურთიერთშეჯახებისას მათი მატერიალური და სულიერი ძალების გამოხატულება. ამასთან, სულიერი ძალა ბრძოლის შედეგზე არანაკლებ და გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე მატერიალური.

ბრძოლის აუცილებლობა ადამიანებს უბიძგებდა მასში უპირატესობის მოპოვებისათვის საჭირო საშუალებების გამოგონებისაკენ. ამ გამოგონებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ბრძოლის ფორმა, მაგრამ თავად ბრძოლის საფუძვლად მდებარე იდეა არ შეცვლილა. ომის არსს სწორედ ეს იდეა განსაზღვრავს.

ეს გამოგონებები, ნოვაციები, ძირითადად მოიცავდა იარაღსა და ჯარების მოწყობას. ეს საქმიანობა ხორციელდებოდა ბრძოლის ბუნების თანახმად, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა თავად ბრძოლას, არამედ მის ერთგვარ პრელუდიას. ბრძოლის სახე განსაზღვრავს იარაღსა და ძალების ორგანიზაციას, მაგრამ, თავის მხრივ, ეს უკანასკნელნიც გავლენას ახდენს ბრძოლის ფორმაზე.

კლაუზევიცის აზრით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამხედრო ხელოვნება ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა ამ საშუალებათა გამოყენება ბრძოლაში, ამიტომ მისთვის გამართლებული იქნებოდა გვეწოდებინა ომის წარმოების ხელოვნება. თუმცა, უფრო ფართო აზრით თუ გავიგებთ, სამხედრო ხელოვნება მოიცავს ყოველივე იმას, რაც ომის წარმოებისათვის არის აუცილებელი, მაგალითად, შეიარაღებული ძალების დაკომპლექტებას, ორგანიზაციასა და გაწვრთნას.

ომის წარმოება ნიშნავს ძალთა განლაგებასა და ბრძოლის წარმოებას. ომი მხოლოდ ორი მხარის ერთჯერადი ჭიდილი რომ იყოს, არავითარი საფუძველი არ იქნებოდა ომის წარმოების თეორიის შემდგომი დეტალიზაციისა თუ დანაწევრებისათვის. მაგრამ ომი შედგება მეტ-ნაკლები ოდენობის ცალკეული დასრულებული აქტებისაგან, რომელთაც კერძო ბრძოლები ეწოდება. აქედან გამომდინარე, ომის წარმოების თეორიას ორი რამ მოეთხოვება:

- განსაზღვროს და განახორციელოს ამ ბრძოლების წარმოების წესები;
- დაუკავშიროს ისინი ომის საერთო, საზოგადო მიზანს.

პირველი ამ საქმიანობათაგან ტაქტიკად იწოდება, ხოლო მეორე — სტრატეგიად. ტაქტიკა არის მოძღვრება ბრძოლაში შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ, ხოლო სტრატეგია — ბრძოლების გამოყენება ომის მიზნის მისაღწევად.

სტრატეგია და ტაქტიკა მთლიანად მოიცავენ მხოლოდ შეიარაღებული ძალების გამოყენებას. მათ გარდა ომის წარმოებისას გამოიყენება იმ სახის ქმედებები, რომელსაც ვერც სტრატეგიაში ჩავრთავთ და ვერც ტაქტიკაში. ეს ქმედებები განეკუთვნება შეიარაღებული ძალების შენარჩუნებისა თუ, უზრუნველყოფის სფეროს. ისევე როგორც ჯარების გაწვრთნა არის მათი გამოყენების წინამდევი პირობა, ძალების უზრუნველყოფაც ჯარების გამოყენების თანმხლები პირობაა.

უზრუნველყოფას კლაუზევიცი ჰყოფს საბრძოლოდ და არასაბრძოლოდ. პირველი მათგანი, მართალია, არ არის თავად ბრძოლის იდენტური, მაგრამ დიდ გავლენას ახდენს მასზე. ასეთ ქმედებათა შორის კლაუზევიცი გამოყოფს შეიარაღებული ძალების განთავსებასა და მარშებს, რომლებიც განსაზღვრავს ჯარის მდგომარეობას, რაც პირდაპირ კავშირშია ბრძოლის წარმოებასთან. უზრუნველყოფის მეორე სახე ემსახურება ჯარების შენარჩუნებას. ასეთად კლაუზევიცი

მიიჩნევს ჯარების საკვებით უზრუნველყოფას, დაჭრილების მოვლას, იარაღისა და აღჭურვილობის განახლებას, ანუ ყოველივე იმას, რასაც ჩვენ დღეს უპირატესად ლოგისტიკას მივაკუთვნებთ.

გერმანელი გენერალი და მოაზროვნე გამოყოფს მარშის ორ სახეს: ტაქტიკურსა და სტრატეგიულს. ტაქტიკური მარში ნიშნავს ბრძოლის ველზე გადაადგილებას, ოღონდ მხოლოდ მანამდე, ვიდრე საკუთრივ საბრძოლო მოქმედებები დაიწყება (ეს უკანასკნელნი კი საკუთრივ ბრძოლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს). ბრძოლის ველის გარეთ გადაადგილება სხვა არაფერია, თუ არა სტრატეგიული მარში ან, უფრო ზუსტად, სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელება. სტრატეგიული ჩანაფიქრი განსაზღვრავს — როდის, სად და რა ძალებით უნდა მოხდეს ბრძოლა, ამის განსახორციელებელ ერთადერთ საშუალებად კი მარში გვევლინება. მართალია, ბრძოლის ველის გარეთ მარში სტრატეგიის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მხოლოდ მას არ ეხება. ამის მიზეზად კლაუზევიცი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ მარშზე მყოფ ჯარებს ყოველთვის შეიძლება მოუწიოთ ბრძოლაში ჩართვა. ასე რომ, ამგვარი მარშის განხორციელებას აკონტროლებს როგორც სტრატეგია, ისე ტაქტიკა. ამასთან მარშს განეკუთვნება ისეთი არასაბრძოლო უზრუნველმყოფი ქმედებები, როგორიცაა: ხიდების აგება, გზების გაყვანა და ანალოგიური საინჟინრო მოღვაწეობა. ამასვე კლაუზევიცი მიათვლის არტილერიას, ე. წ. ელემენტარულ ტაქტიკას, შეიარაღებული ძალების ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურას; ადმინისტრაციასა და ა.შ. ომის თეორია განიხილავს ამ საშუალებების გამოყენებას, გამომდინარე ომის მიზნებიდან.

არასაბრძოლო უზრუნველყოფის ქმედებებს შორის კლაუზევიცი ყველაზე მჭიდრო კავშირს ხედავს სტრატეგიასა და სურსათით მომარაგებას შორის. სტრატეგიული ხაზები ხშირად სწორედ სურსათით მომარაგების ინტერესებიდან გამომდინარე შეირჩევა.

აჯამებს რა თავის მოსაზრებებს სამხედრო ხელოვნების დანაწევრებასთან დაკავშირებით, კლაუზევიცი წერს: **„ომთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ქმედებები ორ მთავარ კატეგორიად იყოფა: ისინი, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ მომზადებას ომისათვის და საკუთრივ ომად. თეორიაც ასეთ დაყოფას უნდა მისდევდეს“.**

ომს შეისწავლის ომის თეორია (კლაუზევიცი ტერმინებს „ომის

თეორია", „ომის წარმოების თეორია", „სამხედრო ხელოვნების თეორია" სინონიმებად იყენებს). ეს თეორია იყოფა სტრატეგიად და ტაქტიკად, რომელთაგან უკანასკნელი განსაზღვრავს ცალკეულ ბრძოლას, ხოლო პირველი — ამ ბრძოლის შედეგების გამოყენებას.

კლაუზევიცი მოკლედ მიმოიხილავს სამხედრო ხელოვნების შესახებ მოძღვრების ისტორიულ ტრანსფორმაციას. თავიდან სამხედრო ხელოვნებაში იგულისხმებოდა მხოლოდ საბრძოლო ძალების მომზადება. მასში შედიოდა იმ ჩვევების და უნარების ერთობლიობა, რომლებიც ეხება იარაღის დამზადებას, საფორტიფიკაციო ნაგებობების აშენებას, არმიის ორგანიზებასა და მისი გადაადგილების მექანიზმს. ამასთან ამ ხანაში არ გადიოდნენ მატერიალურ ფაქტორთა გარეთ, ხოლო თავად საბრძოლო მოქმედება განიხილებოდა მხოლოდ ერთი მხარის მოქმედების სფეროდ. ამ პროცესს კლაუზევიცი წარმოადგენს როგორც თანდათანობით გადასვლას დახვეწილ მექანიკურ ხელოვნებაზე. კლაუზევიცის მოსწრებული თქმით, ყოველივე ამას იმდენივე შეხება ჰქონდა ბრძოლასთან, როგორიც ხმლის დამამზადებელ მეიარაღის ხელოვნებას აქვს ფარიკაობის ხელოვნებასთან.

კლაუზევიცის აზრით, ომის ხელოვნება პირველად ვლინდება ციხესიმაგრეების გარემოცვის ხელოვნებაში. გარემოცვისას გაჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სულიერებას უკავშირდება. მაგრამ საბრძოლო სულისკვეთებამ სწრაფად მიიღო მატერიალური გამოხატულება მისადგომების, ტრანშეების და კონტრტრანშეების, ბატარიებისა და ა.შ. გამოყენებაში.

კლაუზევიცი სტრატეგიის პრინციპების შესახებ

კლაუზევიცის მიხედვით ომის წარმოებისას მისი სუბიექტის წინაშე სამი ძირითადი ამოცანა დგას:

- დაამარცხოს და გაანადგუროს მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები;
- ხელთ იგდოს მოწინააღმდეგის არმიის ბრძოლის საშუალებები და მოწინააღმდეგის არმიის არსებობის სხვა წყაროები;
- თავის სასარგებლოდ განაწყოს საზოგადოებრივი აზრი;

პირველი ამოცანის მისაღწევად ხორციელდება მოწინააღმდეგის ძირითადი დაჯგუფების ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის წინააღმდეგ მიმართული მთავარი ოპერაცია. მხოლოდ ამ ოპერაციის წარმატე-

ბით განხორციელების შემდეგ არის შესაძლებელი იმ საშუალებების ხელში ჩაგდება, რომელიც მოწინააღმდეგეს ომის წარმოების უნარს მოუსპობს ან თავის სასარგებლოდ განაწყობს საზოგადოებრივი აზრს.

ომის წარმოების იმ მატერიალური საშუალებების ხელში ჩასაგდებად, მოწინააღმდეგეს რომ გააჩნია, დარტყმებს ახორციელებენ იმ პუნქტებზე, სადაც ეს საშუალებებია კონცენტრირებული. ესენია დედაქალაქები, დიდი ციხე-სიმაგრეები, საწყობები. იქითკენ მიმავალ გზაზე, როგორც წესი, შემტევ არმიას უწევს შეხვედრა მოწინააღმდეგის მთავარ ძალასთან ან მის ძირითად ნაწილთან. რაც შეეხება საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობის მოპოვებას, ის მხოლოდ გამარჯვებების წყალობით შეიძლება იქნეს მიღწეული.

უმთავრესი პრინციპი — თვლის კლაუზევიცი — ამ მიზნების მისაღწევად მდგომარეობს ყველა არსებული ძალის მაქსიმალურად დაძაბვაში. მაშინაც კი, როდესაც გამარჯვება თითქოს გარანტირებულია, დაუშვებელია მოდუნება. ამასთან ძალების ამ დაძაბვას სხვა პოზიტიური შედეგიც ახლავს. დაძაბული მზადყოფნის დემონსტრირება, ენერგიული მომზადებების ჩვენება, საზოგადოებაში წარმატების რწმენას ამკვიდრებს, ეს კი ხალხის სულისკვეთების ამაღლების საუკეთესო საშუალებაა.

სტრატეგიის მეორე მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ძალების თავმოყრა მოხდეს იქ, სადაც მთავარი დარტყმაა მოსალოდნელი. ამ დროს არ უნდა შეგვეშინდეს იმისა, რომ სხვა, არაძირითად პუნქტებში ჩვენი პოზიცია შესუსტდება. ძირითად პუნქტში წარმატება გადაფარავს ყველა ლოკალურ წარუმატებლობას.

სტრატეგიის მესამე ძირითად მოთხოვნას კლაუზევიცი ასე აყალიბებს: არ უნდა დავკარგოთ დრო. თუ მოქმედებების შეყოვნებით დაწყებისას არავითარი სარგებელი არ გვაქვს, საქმე რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავიწყოთ. ამით შეიძლება აღვკვეთოთ მოწინააღმდეგის ბევრი ღონისძიება და ჩვენს სასარგებლოდ განვაწყოთ საზოგადოებრივი აზრი.

კლაუზევიცის აზრით, მოულოდნელობა სტრატეგიაში უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ტაქტიკაში. ალექსანდრე, გუსტავ-ადოლფი, ფრიდრიხ დიდი და ნაპოლეონი თავიანთ ყველაზე დიდ მიღწევებს ელვისებრ მოქმედებებს უნდა უმადლოდნენ.

კლაუზევიცთან სტრატეგიის მეოთხე პრინციპია გამარჯვების შედეგების მაქსიმალური ენერგიით გამოყენება. ჭეშმარიტი გამარჯვება მხოლოდ დამარცხებული მტრის ბოლომდე მიდევნებით არის შესაძლებელი.

ამ ოთხი პრინციპიდან პირველი დანარჩენი სამის საფუძველია. ყველა არსებული ძალის მაქსიმალური დაძაბვა საშუალებას მოგვცემს დანარჩენი პრინციპები დიდი გაბედულებით გამოვიყენოთ, თანაც ისე, რომ ყველაფერი სასწორზე არ შევაგდოთ. ეს საშუალებას მოგვცემს ზურგში გამუდმებით შევქმნათ ახალი ძალები, რომელთა მეშვეობით ფრონტზე ყოველი წარუმატებლობა შეიძლება კომპენსირებულ იქნეს.

კლაუზევიცი მიიჩნევს, რომ შიდა ოპერაციული ხაზებით ოპერირება მათ გამომყენებელ მხარეს უპირატესობას ანიჭებს. ამას ის ტაქტიკაში ცნობილი მაგალითების სტრატეგიაზე გადატანით ასაბუთებს. იგი წერს: „ტაქტიკაში ცდილობენ მოიცვან მოწინააღმდეგე, თანაც მისი ის ნაწილი, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება მთავარი დარტყმა. ეს ნაწილობრივ იმითაა განპირობებული, რომ კონცენტრირებული მიმართულებით შეტევა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე პირდაპირი პარალელური ფრონტებით. ამას ემატება ისიც, რომ გარემოცვითი მოქმედებით უფრო ადვილია მოწინააღმდეგე მოწყვიტო უკანდახევის გზებს. თუ ამ საკითხს ტაქტიკის სფეროდან სტრატეგიაზე, ომის თეატრზე გადავიტანთ, მაშასადამე, გავითვალისწინებთ მოწინააღმდეგის მომარაგებასაც, აღმოჩნდება, რომ უმეტეს შემთხვევაში კოლონები ან არმიები, რომელთაც მოწინააღმდეგის გარემოცვაც ევალებათ, იმდენად დაშორებულნი იქნებიან ერთმანეთისგან, რომ მონაწილეობას ვერ შიღებენ ერთსა და იმავე ბრძოლაში. ამ დროს მოწინააღმდეგე, რომელიც ცენტრში იმყოფება, მოახერხებს ერთი და იმავე არმიით ცალ-ცალკე გაუსწორდეს მის კორპუსებს. ფრიდრიხ II-ის ომები ამის მაგალითია, განსაკუთრებით, 1757 და 1758 წელს“ (20, 595).

კლაუზევიცი, რასაკვირველია, არ უარყოფს, რომ სტრატეგიული გარშემოვლა ან მოცვა ძალიან ქმედითია, როდესაც მოწინააღმდეგისათვის უკანდასახევი გზის ჩახერგვაა საჭირო, მაგრამ, მისი აზრით, იგივე შედეგის მიღწევა ტაქტიკური გარეშემოვლით თუ მოცვითაც შეიძლება. ამიტომ ამ მანევრს სტრატეგიაში მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როდესაც ჩვენი ძალები იმდენად აღემატება მოწინააღმდეგისას, რომ ხსენებული მანევრის პარალელურად შეგვეძლება მოწი-

ნააღმდეგეს გადამწყვეტ პუნქტში საჭირო რაოდენობის აღმატებული ძალები დავუპირისპიროთ.

ამრიგად, კლაუზევიცი სტრატეგიულ დონეზე უპირატესობას ანიჭებს იმ მხარეს, რომელიც შიდა ოპერაციული ხაზებით მანიპულირებს. ეს მისი ერთ-ერთი სადავო, შეიძლება ითქვას, გამოცდილების მიერ უარყოფილი მტკიცებაა. რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ მტკიცების თანმიმდევრული განვითარების შემთხვევაში მოგვიწევს იმის აღიარება, რომ ორ ფრონტზე ბრძოლა უმჯობესია, ვიდრე — ერთ ფრონტზე. ფრიდრიხ დიდი ამგვარი მოქმედების მართლაც კარგი მაგალითია, მაგრამ ამ მტკიცებამ გერმანელი სამხედროების მთელ თაობებს დათვური სამსახური გაუწია, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ჯერ ერთი, კლაუზევიცის ეს მტკიცება შლიფენის გეგმის ერთ-ერთ უმთავრეს თეორიულ წანამძღვარს წარმოადგენდა. ამ დროს გერმანია-ავსტრიის კოალიციას გიგანტური შიდაოპერაციული ხაზები გააჩნდა ბალტიკიდან სპარსეთის ყურემდე და მარნიდან ევფრატამდე, მაგრამ ამას არავითარი უპირატესობა არ მოუტანია. სხვათა შორის, არც ფრიდრიხ დიდისათვის, რომლის მოქმედება შიდა ოპერაციულ ხაზებზე (რომ არა ელიზავეტა პეტროვნას მოულოდნელი სიკვდილი) რით დამთავრდებოდა — კიდევ არვინ უწყის. ასე რომ, ვფიქრობთ, ორ ფრონტზე შიდაოპერაციული ხაზების გამოყენებით ბრძოლას ალბათ მაინც ერთ ფრონტზე გარეშემოვლითი ან მოცვითი ოპერაცია სჯობს. თუმცა, ამისათვის ძირითადი საბუთები სამხედრო სტრატეგიის კი არა, დიდი სტრატეგიის სფეროში ძევს, რომელიც კლაუზევიცის გარდაცვალებიდან ასიოდე წლის შემდეგ გაჩნდა.

სტრატეგია არის ბრძოლის გამოყენება ომის მიზნებისათვის, მაშასადამე, მან მთლიანობაში აღებულ სამხედრო მოქმედებებს ისეთი მიზანი უნდა დაუსახოს, რომელიც ომის საზრისს შეესაბამება. სტრატეგია ადგენს ომის გეგმას და სამხედრო მოქმედებებისათვის დასახულ ამოცანას უკავშირებს რიგ ქმედებებს, რომლებმაც ამ მიზანთან უნდა მიგვიყვანოს. სხვაგვარად, ის განსაზღვრავს მონახაზებს ცალკეული კამპანიებისათვის და ამ კამპანიების ჩარჩოებში ადგილს მიუჩენს ცალკეულ ბრძოლებს. რამდენადაც ამ მოქმედებათა უმრავლესობა მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე დგება (რომელიც ნაწილობრივ არ მართლდება), ხოლო მოვლენათა განვითარების რიგი ვარიანტები

წინასწარ ვერ იქნება გათვლილი, ნათელია, რომ სტრატეგია თავად უნდა გამოვიდეს ომის თეატრზე, რათა ადგილზე განკარგოს დეტალები და მათში შეიტანოს საჭირო ცვლილებები. ასე რომ, სტრატეგია ერთი წამითაც ვერ მოწყდება რეალურ საბრძოლო მოქმედებებს.

ეს პასაჟი ე. წ. კაბინეტური სტრატეგიის წინააღმდეგაა მიმართული. კლაუზევიცი თვლის, რომ ადრე სტრატეგიას ადგილს მიუჩენდნენ მთავრობაში, მაგრამ არა არმიასთან. ასეთ მიდგომას კლაუზევიცი მხოლოდ მაშინ თვლის მიზანშეწონილად, თუ მთავრობა იმდენად ახლო იმყოფება არმიასთან, რომ ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი.

რასაკვირველია, ასეთი „ანტიკაბინეტური" მიდგომა ფრიდრიხისა და ნაპოლეონის ტიპის პიროვნებებითა და ქმედებებითაა შთაგონებული. მაგრამ ისინი ერთნაირად იყვნენ პოლიტიკური ლიდერებიც და უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელებიც. უკვე პირველი მსოფლიო ომისას (და ბევრად ადრეც), როდესაც ერთმანეთისაგან გაიმიჯნა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა, ასეთი მიდგომა სრულიად გაუმართლებელი გახდა. მაგალითად, ნაპოლეონ III-მ იმდენად კარგად შეასრულა კლაუზევიცის რეკომენდაცია და იმდენად ახლოს იყო ფრონტის მოქმედ ხაზთან, რომ სედანთან ტყვედ ჩავარდნაც კი მოახერხა. ჰიტლერისთვისაც აღმოსავლეთის ფრონტის უშუალო სიახლოვეს, რასტენბურგში ყოფნას ოდნავადაც არ შეუწყვია ხელი სამხედრო წარმატებაში, მაშინ როდესაც რუზველტმა და სტალინმა ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან მშვენივრად მოახერხეს ომის ხელმძღვანელობა. თუმცა, კლაუზევიცის გასამართლებლად ისევ და ისევ უნდა აღვნიშნოთ, რომ მის დროს არ იყო გამოყოფილი დიდი სტრატეგია (თუ არ ჩავთვლით ჟომინის მცდელობას სამხედრო პოლიტიკის ცალკე გამოყოფისა, მაგრამ თავად ამ პოლიტიკაზე შეეცარელი ძალიან ცოტას საუბრობდა), ანუ პოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია ერთმანეთში უშუალოდ გადადიოდნენ. აქედან გამომდინარე, სამხედრო სტრატეგიის წარმართვისათვის სრულიად სხვა მოდელი გამოიყენებოდა, რომელმაც, როგორც არაერთგზის ვაჩვენეთ, თავისი არაეფექტურობა თვალსაჩინოდ წარმოადგინა. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ნაპოლეონის ომებისას არ არსებობდა კავშირგაბმულობისა და მართვის ისეთი საშუალებები, როგორც მეორე მსოფლიო ომისას.

კლაუზევიცის მიხედვით, სტრატეგიის განხილვისას აუცილებელია განვსაზღვროთ მისი მიზნები და საშუალებები.

სტრატეგიის აუცილებელი მიზანია გამარჯვება, ხოლო მისი მიღწევის საშუალებები საბოლოო ჯამში შეადგენს იმ გარემოებათა ერთობლიობას, რომლებმაც გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს. ამ მიზნისათვის სტრატეგიის საშუალებების გამოყენებას თან უნდა ახლდეს რიგი გარემოებებისა, რომლებიც მიზნის მიღწევაზე მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს. მათ შორის პირველ ადგილზეა გამოსაყოფი ადგილმდებარეობის თავისებურებანი. ეს უკანასკნელი გულისხმობს თეატრით მოცულ ტერიტორიას მისი ფიზიკური მაჩვენებლებითა და მოსახლეობითურთ. შემდეგი თანმხლები გარემოებაა დღე-ღამის მონაკვეთი, რომლის მაქსიმალურად გაფართოებულ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ წელიწადის დრო თუ სეზონი. და ბოლოს, ამინდი და კლიმატი, განსაკუთრებით ის მახასიათებლები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ომის ბედზე (მაგალითად, დიდი ყინვები).

სტრატეგია ამ მოვლენებს უკავშირებს ბრძოლაში მიღწეულ წარმატებას, მაშასადამე, თავად ბრძოლას და უსახავს მას (ბრძოლას) სათანადო მიზანს. მაგრამ, რამდენადაც ბრძოლის მიზანი არ წარმოადგენს იმ შედეგს, რომელსაც უშუალოდ მივყავართ ზავის დადებამდე (აქ, ცხადია,კლაუზევიცი არ გულისხმობს იმ ტიპის გენერალურ ბრძოლებს, რომლებსაც ზავი პრაქტიკულად მექანიკურად მოსდევს, ვთქვათ, აუსტერლიცის ტიპისას), ნათელია, რომ ის შუალედური მიზანი იქნება და, შესაბამისად, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საშუალება. ასე რომ, ბრძოლაში წარმატება თუ გამარჯვება უნდა განვიხილოთ იმ კუთხით, თუ რას მოასწავებენ ისინი სტრატეგიისათვის.

კლაუზევიცი კატეგორიული მოწინააღმდეგეა იმისა, რომ ეს მიზან-საშუალებებები მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით გავზომოთ და რამოდენიმე მარტივი ფორმულით გამოვხატოთ. სტრატეგიაში არსებობს ისეთი მახასიათებლები, რომლებიც არ ექვემდებარება მეცნიერულ ფორმას (იგულისხმება ისინი, რომლებიც პრაქტიკულად შეუძლებელია გაიზომოს, აიწონოს, სტატისტიკურად გამოიხატოს და ა.შ.), ანუ მორალური (დღევანდელი ტერმინოლოგიით ფსიქოლოგიური) სიდიდეები. თუმცაღა, კლაუზევიცი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქ იმდენად ტაქტიკურ ერთეულში მეომარი ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთებაზე არ არის ლაპარაკი, რამდენადაც იმ მორალურ ღირებულებებზე, რომლებიც ვლინდება სტრატეგიის უმაღლეს საფეხურზე, იქ, სადაც სტრატეგია პოლიტიკასა და სახელმწიფოებრივი მართვის

ცოდნას ეხება ან, უფრო ზუსტად, ემთხვევა (ეს ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან თეზისთაგანია, საიდანაც ჩანს, რომ კლაუზევიცი, თუნდაც ინტუიციურ დონეზე, გრძნობდა დიდი სტრატეგიის აუცილებლობას).

აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა: სტრატეგიაში გადაწყვეტილების მიღებას ნებისყოფის შეუდარებლად დიდი ძალა სჭირდება, ვიდრე ტაქტიკაში. ტაქტიკაში ქმედებები უფრო სპონტანურია, აქ ადამიანი თითქოს პროცესების ორომტრიალშია ჩახვეული, ორომტრიალში, რომლისათვის წინააღმდეგობის გაწევა იქნებ არც შეეძლოს. ამ დროს ადამიანს ეჭვისათვის არცა აქვს დრო და იძულებულია, გაბედულად იმოქმედოს. სტრატეგიაში, სადაც მოვლენათა დინება გაცილებით უფრო მდორეა, ბევრად დიდია შესაძლებლობა საკუთარი თუ სხვების გადაწყვეტილებების სიმართლეში დაეჭვებისა. ამასთან სტრატეგიაში, განსხვავებით ტაქტიკისაგან, საკუთარი თვალით ვერ ხედავ მოვლენების დინების ნახევარსაც კი, არამედ გიწევს ივარაუდო ან გამოიცნო. ამიტომ სტრატეგიაში მოვლენათა დინების შესახებ ჩამოყალიბებული აზრი ისეთი არ არის, როგორც ტაქტიკის დონეზე. **ამას შედეგად ხშირად ის მოსდევს, რომ მხედართმთავრებს ეჭვი და ნების დამბლა შეიპყრობს იქ, სადაც აუცილებელია მოქმედება.**

სტრატეგიის მიზანთან და საშუალებებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლაუზევიცის მიხედვით, ბრძოლას ორმაგი მიზანი აქვს: პირდაპირი და არაპირდაპირი. ამ უკანასკნელი მაშინ იჩენს თავს, როდესაც ბრძოლაში ერთვება გარეშე ფაქტორები, რომლებიც ძალაუნებურად ბრძოლის მიზნად იქცევა, თუმცა თავისთავად მიზნად მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების უშუალო განადგურება სულაც არა აქვს და აქამდე მხოლოდ არაპირდაპირი გზებით შეიძლება მივიდეს. მაგალითად: ბრძოლის უახლოეს ამოცანად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტერიტორიების, ქალაქების, ციხე-სიმაგრეების, გზების, ხიდებისა და მომარაგების პუნქტების დაკავება. მაგრამ ესენი, კლაუზევიცის აზრით, არასოდეს წარმოადგენენ ბრძოლის საბოლოო მიზანს. **ასეთად რჩება მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება.** ამიტომ ამ ობიექტებს უნდა ვუყურებდეთ, როგორც მხოლოდ საშუალებებს ბრძოლის მიზნის მისაღწევად და მოსამზადებლად, სახელდობრ, საშუალებებს იმისათვის, რომ ვაიძულოთ მოწინააღმდეგე, მიიღოს ბრძოლა ჩვენთვის ხელსაყრელ, ანუ ისეთ

ვითარებაში, რომელსაც მისი შეიარაღებული ძალების განადგურება მოჰყვება.

რაოდენობრივი უპირატესობის როლი: რაოდენობრივი უპირატესობა — როგორც სტრატეგიის, ისე ტაქტიკის სფეროში — უზოგადესი პრინციპია. სტრატეგია განსაზღვრავს პუნქტს, სადაც უნდა მოხდეს ბრძოლა, დროს, როდესაც უნდა განხორციელდეს იგი და ძალებს, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს მასში. ამით ის არსებით გავლენას ახდენს ბრძოლაზე. მას შემდეგ, რაც ტაქტიკა ახორციელებს ბრძოლას (წარმატებულს თუ წარუმატებელს), სტრატეგია იყენებს მის შედეგს, გამომდინარე ომის მიზნიდან. როგორც წესი, ეს მიზანი შორეულია, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა. მაგრამ თვით ეს მიზანიც სხვადასხვა ომებისას სხვადასხვაგვარია, მაშასადამე, სტრატეგია ბრძოლის დროს, ადგილსა და მასში მონაწილე ძალებს სხვადასხვაგვარად შეიძლება განსაზღვრავდეს. ამ განსაზღვრებათაგან თითოეული სხვადასხვაგვაგვარად განაპირობებს ბრძოლის შედეგსაც და ამ შედეგის გამოყენებასაც.

თუ განვეყენებით სტრატეგიის მიერ დასმულ ამოცანებს, ბრძოლის სახეებსა და და მათი შედეგების გამოყენებას, ბრძოლის მახასიათებლებიდან დაგვრჩება მასში მონაწილე ჯარების მასა, რომელიც, კლაუზევიცის მიხედვით, განსაზღვრავს კიდეც გამარჯვებას. ამასთან, ამ მტკიცებას სამხედრო ისტორიაში არ შეიძლებლება აბსოლუტური ხასიათი მივანიჭოთ. რაოდენობრივი უპირატესობა ერთ-ერთ ფაქტორთაგანია, რომელიც გამარჯვებას განაპირობებს, მაგრამ ის არ არის ერთადერთი ფაქტორი. რაოდენობრივი უპირატესობით შეიძლება მივაღწიოთ ძალიან ბევრსაც და ძალიან ცოტასაც იმისდა მიხედვით, რა პირობებში ხდება მისი გამოყენება.

ამასთან, გერმანელი მოაზროვნე ხაზს უსვამს იმასაც, რომ რაოდენობრივ უპირატესობასაც თავისი ხარისხები აქვს. ის შეიძლება იყოს ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი. რომელიღაც ხარისხამდე მიყვანილ რაოდენობრივ უპირატესობას შეუძლია გადაწონოს ყველა დანარჩენი ფაქტორი. ამ შემთხვევაში რაოდენობა გამარჯვების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცევა. ეს კანონზომიერება ძალაშია, როგორც მთლიანად ომის, ისე მისი ცალკეული მონაკვეთების მიმართ. ტაქტიკურ დონეზე ეს გულისხმობს იმას, რომ ბრძოლის გადამწყვეტ მონაკვეთზე მოქმედებისას მოწინააღმდეგეზე შეძლებისდაგვარად მეტი ძალის კონცენტრაცია უნდა მოვახდინოთ. სხვა

საკითხია, საკმარისი აღმოჩნდება თუ არა ჩვენ მიერ კონცენტრირებული ძალები ომის ბედის გადასაწყვეტად. მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. **ამაში, კლაუზევიცის მიხედვით, მდგომარეობს სტრატეგიის პირველი კანონი.** კლაუზევიცი თვლის, რომ ეს კანონი უნივერსალურია, მაგრამ ამჯობინებს მისი ქმედითობის დემონსტრირებისას მხოლოდ ევროპული ომებით შემოიფარგლოს. ამ ომების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მონაწილე არმიები ერთმანეთის მსგავსია, განსხვავებას ქმნის მხოლოდ საბრძოლო სულისკვეთება და მხედარმთავრის ნიჭი. თუმცა, საბოლო ჯამში მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობა მაინც იმარჯვებს მხედარმთავრის ტალანტზე. ფრიდრიხის 30000-იანი არმიის გამარჯვება ლაიტენთან ავსტრიელთა 80000-ან დაჯგუფებაზე გამონაკლისია, რომელიც წესს ადასტურებს. აქედან გამომდინარე, კლაუზევიცი ასკვნის, რომ თანამედროვე ევროპულ ომებში მოწინააღმდეგის ორმაგი უპირატესობა, რაგინდა რა ნიჭიერ მხედარმთავავარს უდიდესი სირთულეების წინაშე აყენებს. რასაკვირველია, თეორიულად შეიძლება წარმოვიდგინოთ თერმოპოლის ტიპის ვარიანტი,როდესაც ვიწრობის პირობებში მოწინააღმდეგე ათმაგი უპირატესობის გამოყენებასაც ვერ მოახერხებს, მაგრამ აქ არც შეიძლება იყოს ლაპარაკი ბრძოლაზე ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. ამიტომ ომი, რაც შეიძლება, რაოდენობრივად ძლიერი არმიით უნდა დაიწყოს.

რასაკვირველია, არმიის საერთო ძალისა და ოდენობის განსაზღვრა მთავრობის საქმეა. ამ განსაზღვრიდან იწყება საკუთრივ სამხედროების საქმიანობა. მხედარმთავარს, რომელსაც ამ ჯარის გაძღოლა მოუწევს, ასევე მოუწევს ამ რაოდენობას შეხედოს, როგორც უკვე მოცემულ სიდიდეს, იმისდა მიუხედავად, მიუღია მას მონაწილეობა ამ სიდიდის განსაზღვრაში თუ არა. ამიტომ მას მხოლოდ ის დარჩენია, რომ მისთვის მინდობილი ძალები იმგვარად გამოიყენოს, რომ გადამწყვეტ პუნქტში გადამწყვეტ რაოდენობრივ უპირატესობას მიაღწიოს მაშინაც კი, როდესაც მთელ თეატრზე აბსოლუტური უპირატესობის მიღწევა შეუძლებელია. ამავე დროს, ყოველივე ზემოთქმულის გარდა, გადამწყვეტი იქნება ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: მოწინააღმდეგის სწორი შეფასება, გაბედულება — საჭიროების შემთხვევაში დროებით დატოვო შენი შედარებით მცირერიცხოვანი ძალა მოწინააღმდეგის აღმატებული ძალის წინააღმდეგ და სწორად განკარგო ის, ფორსირებული მარშების ენერგია, ელვისებრი შეტევები, აქტიურობა. აი ესაა ის

ფაქტორები, რომელთაც რაოდენობრივ უპირატესობასთან ერთად გამარჯვებამდე მივყავართ.

გასათვალისწინებელია, რომ რაოდენობრივი უპირატესობა ორი ასპექტით შეიძლება დახასიათდეს: აბსოლუტურითა და შეფარდებითით. აბსოლუტური გულისხმობს ომში ან თეატრზე მოქმედი შეიარაღებული ძალების მთელ ოდენობას, ხოლო შეფარდებითი — გადამწყვეტ პუნქტთან კონცენტრირებული ძალების რაოდენობას. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რაოდენობაში შესაძლებელია შეფარდებითი უპირატესობა მიღწეულ იქნეს მაშინაც კი, თუ აბსოლუტური თვალსაზრისით მოწინააღმდეგეს შენზე მეტი რაოდენობის ჯარისკაცი ჰყავს. აქედან გამომდინარე, „შეფარდებით უპირატესობაში" სიტყვა „შეფარდებითმა" არ უნდა შეგვაცდინოს და არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს ასეთი უპირატესობა უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე ფაქტორი იყოს, ვიდრე „აბსოლუტური".

მოულოდნელობა: გადამწყვეტ პუნქტზე რაოდენობრივი უპირატესობის მიღწევა შეუძლებელია მოულოდნელობის გარეშე, მაგრამ მოულოდნელობა არ არის მხოლოდ რაოდენობრივი უპირატესობის მიღწევის საშუალება. მას თავისთავად ახასიათებს მოწინააღმდეგეზე მორალური ზეგავლენის ეფექტი. წარმატებულად განხორციელებულ მოულოდნელობის ეფექტს მოსდევს მოწინააღმდეგეში დაბნეულობის შეტანა და მისი საბრძოლო სულისკვეთების დაცემა. ამასთან მოულოდნელობაში კლაუზევიცი პირველ რიგში გულისხმობს ჩვენი ძალების განაწილებითა და განთავსებით გამოწვეულ მოულოდნელობის ეფექტს (რასაც ძალიან ხშირად მიმართავდა ნაპოლეონი). კლაუზევიცი მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნევს საჭიროდ საუბარს მოულოდნელ თავდასხმაზე ან, საერთოდ, ჩვენი ქმედებებით მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად თავს დადგომაზე. ამ ასპექტით მოულოდნელობის გაგება კლაუზევიცთან არსებითად განსხვავდება ამ ცნების ინტერპრეტაციისაგან არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიაში, სადაც ამ ცნებას აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება (იხ. შემდეგი თავი). ამასთანავე, ძალების მოულოდნელად განაწილების ეფექტს კლაუზევიცის მიხედვით, ის უპირატესობა აქვს, რომ ის ერთნაირად წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ დონეზე, როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი მოქმედებებისას. გერმანელი გენერლის აზრით, მისი ყველაზე მარგი გამოყენება შეიძლება ტაქტიკურ თავდაცვაში ვპოვოთ.

მოულოდნელობის ძირითად 'მახასიათებლებს ფარულობა და სისწრაფე წარმოადგენს. ორივე, როგორც მთავრობისგან, ისე მხედარმთავრისგან ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს, ხოლო არმიისგან — ძალიან სერიოზულ მიდგომას სამსახურისადმი. განაზებულ და მოდუნებულ არმიაში მოულოდნელობის ეფექტზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. **კლასიკური სტრატეგიის პრინციპის თანახმად კლაუზევიცი ამტკიცებს, რომ მოულოდნელობის ეფექტი ყველაზე ქმედითია იქ, სადაც სტრატეგია მაქსიმალურად უახლოვდება ტაქტიკას.**

ამავე დროს ტაქტიკაში მოულოდნელობა გაცილებით უფრო ჩვეულებრივი მოვლენაა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ დროული და სივრცისეული მონაცემები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სტრატეგიაში. კლაუზევიცის ეს მტკიცება თავისთავად ძალიან სადავოა. საეჭვოა, რომ ჰანიბალს სტრატეგიულ დონეზე ნაკლები შანსი ჰქონდა მოულოდნელობისა, ვიდრე — ტაქტიკურზე. სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომისთვის ესპანეთიდან დაერტყა და არა სამხრეთიდან (ეთქვათ სიცილიიდან), გაცილებით მოულოდნელი ვიყო, ვიდრე კანთან კართაგენელთა არმიის ტაქტიკური წყობა, რომელიც თეორიულად კარგ მხედარმთავარს შეიძლებოდა გამოეცნო კიდეც, თუმცა ბრიყვს — ვერასოდეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტაქტიკურ დონეზე მოულოდნელობის მიღწევა უფრო იოლია, ვიდრე სტრატეგიულზე.

თუმცა, კლაუზევიცის თეზისი მართალია ერთადერთ შემთხვევაში: თუ ორივე მხარე განუხრელად მისდევს კლასიკური, პირდაპირი მოქმედების სტრატეგიას და ცდილობს მოძებნოს მოწინაარმდეგის მთავარი დაჯგუფება, გაუმართოს ბრძოლა, მისი ძირითადი ბირთვი გაანადგუროს და მისდიოს მას. მაგრამ თუ მოწინააღმდეგე არ იღებს თამაშის ამ წესს? რატომ ვერ მიაღწია პირველი მსოფლიოს ომისას გერმანიის პირველხარისხოვანმა არმიამ ტაქტიკური მოულოდნელობების გზით რაიმე არსებითი წარმატებებას? და რატომ მოხდა ცენტრალური სახელმწიფოების ალიანსის კრახი სწორედ ისეთი მოულოდნელი სტრატეგიული ქმედებების შედეგად, როგორიც იყო გერმანიის შორი ბლოკადა ბრიტანეთის ფლოტის მიერ (გერმანელები ახლო ბლოკადას ელოდნენ) და გერმანიის მოკავშირეების მწყობრიდან გამოყვანა ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში მოულოდნელი შეტევით, რამაც განაპირობა კიდეც გერმანიის კრახი?

ეშმაკობა მოითხოვს რაიმე ფარულ ჩანაფიქრს და, მაშასადამე, უპირისპირდება პიდაპირს, მარტივს ანუ უშუალო ქმედებას. ის აგრეთვე უნდა განვასხვავოთ უბრალო მოტყუებისგან ან ბლეფისგან. ეშმაკობისას მოწინააღმდეგის აზროვნებაში ჩნდება ისეთი წარმოდგენები, რომლებიც მას მცდარ გზაზე აყენებენ. ალბათ, არც ერთ სფეროში არ უახლოვდება კლაუზევიცი არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის წარმომადგენლებს, სუნ-ძიდან ვიდრე ლიდელ-ჰარტამდე, როგორც ეშმაკობის, ვითარცა არასწორ გზაზე დადგომაში. ამასთან მოულოდნელობა, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, რაღაცნაირად შეიცავს ეშმაკობას.

დროსა და სივრცეში ძალთა კონცენტრირება: საუკეთესო სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ ყოველთვის ეცადო იყო, რაც შეიძლება, ძლიერი. ეს გულისხმობს, როგორც იმას, რომ იყო მოწინააღმდეგეზე ძლიერი საზოგადოდ, აგრეთვე იმასაც, რომ იყო მოწინააღმდეგეზე ძლიერი გადამწყვეტ პუნქტში. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ საკუთარი ძალები მაქსიმალურად გყავდეს კონცენტრირებული. **სტრატეგიაში კონცენტრაცია ნორმაა, ძალთა დაქსაქსვა — გამონაკლისი, რომელიც მოტივირებული უნდა იყოს.** ამასთან, რამდენადაც ომი ორი დაპირისპირებული ძალის შეჯახებაა, უფრო ძლიერი მხარე არათუ მხოლოდ ანადგურებს სუსტს, არამედ შეტაკებაში ითრევს მასზე უფრო სუსტ მხარესა და აიძულებს მას, მიიღოს თავსმოხვეული წესები. ცხადია, კლაუზევიცის ამ მტკიცებასაც იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ეს სუსტი მხარე დასთანხმდა მიიღოს ძლიერი მხრისგან თავსმოხვეული წესები, ანუ იმოქმედოს კლასიკური სტრატეგიის ფარგლებში. მაგრამ თუ არ დასთანხმდა? აქ შეგვიძლია ისევ ნაპოლეონის წინააღმდეგ ესპანური პარტიზანული ომის, იგივე გერილიის მაგალითი ავიღოთ. საერთოდაც, უფრო სუსტ მხარეს ათასგვარი საშუალება აქვს არ იმოქმედოს კლასიკური სტრატეგიის ჩარჩოებში. **ამ შემთხვევაში „ომის ძირითადი კანონია მოცემული დარტყმისათვის განსაზღვრული ყველა ძალის მაქსიმალური დაძაბვა“ და „ძალის გამოყენება არ შეიძლება დროში გაწელილი იყოს“ — უბრალოდ აზრს კარგავს.**

კლაუზევიცი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ ყოველ ბრძოლას არეულობა შეაქვს არა მხოლოდ დამარცხებულის, არამედ გამარჯვებულის რიგებშიც. ვთქვათ, ეს უკანასკნელი შეიძლება მოდუნდეს, გაერთოს არასაჭირო მიდევნებაში ან ჩაიდინოს სხვა სახის შეცდომა.

ბრძოლის ჩარჩოებში მიღწეული წარმატებები თავად ბრძოლის მსვლელობაში და მის დასრულებამდე მიიღწევიან მაშინ, როდესაც სტრატეგიული წარმატება, ანუ მთლიანობაში აღებული ომის მიზნიდან გამომდინარე წარმატება, ამ ჩარჩოებს მიღმა დევს. სტრატეგიული წარმატება მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც ცალკეული ბრძოლებში მიღწეული წარმატებები ერთ დამოუკიდებელ მთელს შეადგენს. ამით კრიზისი სრულდება, შეიარაღებული ძალები აღიდგენენ პირვანდელ სტრუქტურას, ოღონდ უფრო დასუსტებული სახით (შდრ.ზემოთ აღწერილ პერესლეგინის ფაზურ დიაგრამას).

კლაუზევიცის ეს დაკვირვება ძალიან საყურადღებოა და მეტყველებს განჭვრეტის სიღრმეზე. ამ მსჯელობიდან კლაუზევიცი მეორე დასკვნას აკეთებს: **თუ ტაქტიკაში კიდევ არის შესაძლებელი ძალების ნაწილ-ნაწილ ჩართვა ბრძოლის მსვლელობის პარალელურად, სტრატეგიაში ასეთი რამ შეუძლებელია და ყველა ძალა ერთდროულად უნდა იქნეს ჩართული. ანუ ომის (და არა ბრძოლის) მიზნიდან გამომდინარე, ყველა რესურსი ერთდროულად უნდა იქნეს გამოყენებული.**

შეიძლება მოხდეს, რომ ტაქტიკურ დონეზე ვერ მოვახერხო ბრძოლის მიზნის მიღწევა ან გარანტირება პირველი წარმატებით. ამ დროს თავისთავად ცხადია, რომ პირველი წარმატების უზრუნველყოფისათვის გამოვიყენებ მხოლოდ იმ ძალებს, რომლებსაც საჭიროდ ჩავთვლი, ხოლო დანარჩენ ძალებს შევინახავ, რათა მოწინააღმდეგის შესაძლო ახალ ძალებს ასევე ახალი ძალებით დავუპირისპირდე ან ასეთი ძალები გამოვიყენო მოწინააღმდეგის შესუსტებული ჯარის საბოლოო განადგურებისათვის.

კლაუზევიცის აზრით, სტრატეგიაში სხვა ვითარება გვაქვს. მას, ჯერ ერთი, ისე არ აჟრთხობს მოწინააღდეგის შესაძლო საპასუხო ქმედება, როგორც ტაქტიკას (იგულისხმება, რომ ბრძოლისას მასში მონაწილე ძალები შეიძლება მოდუნდეს, ნადავლს დახარებდეს და ბრძოლის მიზანი დაივიწყოს, არ მისდიოს მოწინააღმდეგეს და ა.შ.). სტრატეგიის სფერო მხოლოდ ბრძოლის მომზადების, შესაბამისად მისი წინა პერიოდით და ომის ინტერესებში ბრძოლის შედეგების გამოყენებით, ანუ ბრძოლის შემდგომ პერიოდით იწყება. შესაბამისად, **სტრატეგია საქმეში ერთვება მაშინ, როდესაც ტაქტიკურ დონეზე კრიზისი (არა აქვს მნიშვნელობა, წარუმატებლობითაა იგი გამოწვეული თუ**

წარმატებით) უკვე სრულდება. მეორე — ბრძოლით არ დასუსტდება მთელი ძალები, რომლებიც სტრატეგიულ დატვირთვას ატარებს ანუ გამიზნულია არა მხოლოდ ერთი, გინდაც უმნიშვნელოვანესი ბრძოლის, არამედ მთლიანად ომის წარმოებისათვის; ვთქვათ, სტრატეგიული რეზერვები. დანაკლისს განიცდის მხოლოდ ის ძალები, რომლებიც ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობს. ასე რომ, სტრატეგიაში დანაკლისი შეიძლება არ იზრდებოდეს საქმეში ჩართული ძალების ზრდასთან ერთად. მეტიც, ის შეიძლება მცირდებოდეს კიდეც.

მაგრამ დროში მეტისმეტად გაწელილი ქმედებები, შესაძლოა, დამღუპველიც კი აღმოჩნდეს სტრატეგიისათვის. ცხადია, დანაკარგები ტაქტიკურ დონეზეც არ არის მცირეოდენი. მეტიც, ისინი არანაკლებიც შეიძლება იყოს. მაგრამ ბრძოლა ხანმოკლეა და შედარებით მცირე დანაკარგები ბრძოლის დროს შეიძლება მხედველობაში არც მიიღო. მაგრამ სტრატეგიულ დონეზე, სადაც დროითი და სივრცითი პარამეტრები განუზომლად დიდია, ვიდრე ბრძოლისას, ამ ნეგატიურ ფაქტორთა ზეგავლენა შეუდარებლად მეტად არის გასათვალისწინებელი. ამასთან კლაუზევიცი ხაზს უსვამს, რომ მისი თეზისი მიმართულია სტრატეგიულ დონეზე მოქმედებაში ძალების ნაწილ-ნაწილ ჩართვისა და არა საერთო (სტრატეგიული) რეზერვის, როგორც ასეთის წინააღმდეგ.

სტრატეგიულ რეზერვი: კლაუზევიცის მიხედვით, რეზერვს ორი ფუნქცია აქვს: ჯერ ერთი, ბრძოლაში მონაწილე ძალების გაძლიერება, ბრძოლის გახანგრძლივება ან განახლება და მეორე, გაუთვალისწინებელ შემთხვევებში გამოყენება. პირველს ადგილი მხოლოდ ტაქტიკაში აქვს. მეორეს შეიძლება ტაქტიკაშიც ჰქონდეს ადგილი (მაგალითად, როდესაც ზურგში მყოფ რეზერვს ბრძოლის რომელიმე კრიტიკული პუნქტისაკენ გზავნიან) და სტრატეგიაშიც. კლაუზევიცი, თავისი მოძღვრების პრინციპიდან გამომდინარე, ამტკიცებს, რომ რაც უფრო მაღლა ადიხარ ტაქტიკურიდან სტრატეგიულ დონეზე და იქიდან პოლიტიკურზე, მით უფრო ნათელი და ცალსახა ხდება პროცესი და მით უფრო მცირდება გაურკვევლობა, მაშასადამე, რეზერვის აუცილებლობა (რეზერვის აუცილებლობა ხომ იქაა, სადაც გაურკვეველი ვითარებაა, რომლის განვითარებისდა მიხედვით ვიყენებთ რეზერვს). შესაბამისად, სტრატეგიული რეზერვი ფუნქციონალური თვალსაზრისით, სამხედრო საქმის იმ სფეროს განეკუთვნება, სადაც სტრატეგია მაქსიმალურად უახლოვდება ტაქტიკას. კლაუზევიცი ამას იმ არგუმენტითაც ასაბუთებს, რომ ტაქტიკურ დონეზე მოწინააღმ-

დეგის მოქმედება ყოველთვის შეიძლება გაუთვლელი იყოს, მაშინ კი როდესაც ომის დაწყების შესახებ გაზეთები ხმამაღლა აცხადებენ.

თუმცა, კლაუზევიცის ამ თეზისს ისევ და ისევ ძალა აქვს მხოლოდ კლასიკური სტრატეგიის, ან, უფრო ზუსტად, კლასიკური სტრატეგიის „კლასიკური" (ნაპოლეონური) ვერსიის მიმართ. თანამედროვე გამოცდილება (ვთქვათ, ერაყის ორივე ომი) აჩვენებს, რომ ომის დაწყების მომენტი დამცველმა მხარემ შეიძლება ზუსტად ვერ გამოიცნოს (ერაყი ორივე ომის შემთხვევაში) ან რაღაც გარემოებამ თავდამსხმელ მხარეს შეიძლება თავდასხმის თარიღი შეაცვლევინოს (ვთქვათ, სადაზვერვო ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელიც სადამის ადგილსამყოფელს და მის შესაძლებელ განადგურებას ეხებოდა, უმცროსმა ბუშმა უფრო ადრე დაიწყო ომი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული). თუმცა ომის დაწყების ალბათობა მართლაც უფრო ადვილი პროგნოზირებადია, ვიდრე ბრძოლების დინამიკა.

რეზერვთან დაკავშირებით კლაუზევიცი აყალიბებს თეზისს, რომელიც მისი გერმანელი და საბჭოთა მიმდევრებისათვის ომის საწყისი პერიოდის (იხ. ზემოთ) მოძღვრების საფუძველი გახდა. კლაუზევიცი ამტკიცებს, რომ ტაქტიკურ დონეზე დროში გაშლილი სამხედრო მოქმედებისას ცდილობენ გადამწყვეტი მომენტი ბრძოლის დამამთავრებელი აქტისთვის გადადონ მაშინ, როდესაც სტრატეგიაში ძალების ერთდროული გამოყენების პრინციპი თითქმის ყოველთვის აიძულებს მხარეებს ძირითადი ქმედება ომის დასაწყისი აქტისას განახორციელონ. პრინციპში ბლიც-კრიგიცა და საბჭოთა მოძღვრებაც ომის საწყის პერიოდზე ამ პრინციპს ემყარება. მაგრამ იმას, რომ ეს მტკიცება სადავოა, უკვე ის ამტკიცებს, რომ ანგლოსაქსონური სტრატეგია ამ გადამწყვეტ მომენტს სწორედ ომის ბოლოსათვის დებს, მას შემდეგ, რაც რესურსების სრულ მობილიზაციას მოახდენს. მკითხველმა თავად განსაჯოს, რომელი მიდგომაა გამართლებული.

§ 71
მოლტკე-უფროსი

მოლტკეს აზრით, პოლიტიკა ომს საკუთარი მიზნებისთვის იყენებს. ამაში იგი აბსოლუტურად სოლიდარულია კლაუზევიცის მიმა-

რთ. მაგრამ პოლიტიკოსი ომის მთელ მიმდინარეობაზე ვერ მოახდენს გავლენას. ასე რომ იყოს, სამხედროები საერთოდ აღარ იქნებოდნენ საჭირო. შესაბამისად პოლიტიკოსი გადამწყვეტ გავლენას ახდენს ომის მხოლოდ დასაწყისსა და დასასრულზე. თვით ომის მსვლელობისას პოლიტიკოსს გაცილებით ნაკლები უფლებამოსილება ექნება.

ფელდმარშლის აზრით, სტრატეგიამ თავისი მზერა მხოლოდ უმაღლესი მიზნებისკენ უნდა მიმართოს. აქედან გამომდინარე, სტრატეგია ყველაზე ახლოს დგას პოლიტიკასთან და ყველაზე უკეთ უნდა უგებდეს მას. ის პოლიტიკის ნების გამტარებელი, მაგრამ თავის სფეროში წარმოებული მოქმედებებისას ყველაფრისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს.

იზიარებს რა იმას, რომ სტრატეგიული მიზანი სწორედაც რომ მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურებაა და არა სხვა რამ, ის მაინც ფრთხილობს და ერთმანეთისაგან ითხოვს განსხვავებული იყოს ორი ცნება: **„ომის ობიექტი“ და „შეტევის ოპერატიული ობიექტი“. პირველი არის მოწინააღმდეგის სასიცოცხლო ობიექტი, რომლის დაკავების შემდეგ მას ომის გაგრძელება აღარ შეუძლია.** ეს, მაგალითად, შეიძლება იყოს რომელიმე საკვანძო პუნქტი, დედაქალაქი ან თუნდაც მთელი ტერიტორია. ვთქვათ, დედაქალაქის ტერიტორიაზეა განთავსებული სახელმწიფო დაწესებულებები,რომლებიც პრინციპში განსაზღვრავს სახელმწიფოს ძალას სამხედროს ჩათვლით და ამიტომ მათი დაკავება პრაქტიკულად ნიშნავს წინააღმდეგობის შეწყვეტას. მაგალითად, დედაქალაქი, სადაც თავმოყრილია ისეთი ობიექტები, რომელთა გარეშე ომის წარმოება შეუძლებელია. შეტევის ოპერატიული ობიექტი ყველა შემთხვევაში არის მოწინააღმდეგის არმია, რადგან ის ომის ობიექტის ერთგვარ ფარს წარმოადგენს. ცხადია, არსებობს გამონაკლისიც: თქვათ, მოწინააღმდეგის არმია ისეა დაქსაქსული, რომ მასთან შებრძოლება შეუძლებელია (მოლტკე პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ჩანს აქ ის ესპანეთის არმიას გულისმობს ნაპოლეონთან ბრძოლაში). და მეორე: თუ მოწინააღდეგე ჩვენი ძალის ზემოქმედების არეალიდან მეტისმეტად შორის იმყოფება. ორივე ამ შემთხვევისას უკვე შეიძლება ისე მოხდეს, რომ დასახლებული პუნქტი თავისი მნიშვნელობით ჩაენაცვლოს მოწინააღმდეგის არმიას. ეს იმით იქნება გამოწვეული, რომ ამ დროს ომის ობიექტი და შეტევის ობიექტი ერთმანეთს დაემთხვევა.

მოლტკე ხაზს უსვამს, რომ რაც უფრო მცირეა სივრცე, მით უფრო

შეკუმშულად მოუწევს არმიას გაშლა, მით უფრო ნაკლები გზა იქნება მის განკარგულებაში. ლაპარაკია გზებზე, რომელთაც დასახული მიზნისაკენ მივყავართ. ამიტომ იძულებულნი ვართ, ან დიდი ფრონტით შევუტიოთ, რათა ჩვენი ძალების გაშლისათვის საკმაო სივრცე და საკმაო ოდენობის კომუნიკაციები გვქონდეს, ან დავჯერდეთ მცირე ფრონტზე შეტევას. მოლტკეს ეს აზრი ფრიად საინტერესოა იმ კუთხით, რომ მან დასვა ამოცანა, რომელიც შლიფენმა გადაწყვიტა. გადაწყვიტა პირველი ვარიანტის სასარგებლოდ, ჩადო რა გეგმაში ჰოლანდიისა და ბელგიის ტერიტორიები, რათა გასაშლელად და საფრანგეთზე შესატევად საკმაო სივცე და კომუნიკაციები ჰქონოდა და, როგორც ვნახეთ, წააგო. ეს წაგება თავად საკითხისადმი მიდგომის ლოგიკაში იყო. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მაშინ სხვა ლოგიკა ვერც იარსებებდა (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოლტკე უმცროსმა შლიფენის გეგმის მსხვერპლთა სიიდან ჰოლანდია ამოშალა).

სტრატეგიის პირველი ამოცანაა არმიის საომარი საშუალებებით უზრუნველყოფა და არმიების გაშლა. ამასთან მას უწევს გაითვალისწინოს ათასნაირი ფაქტორი: პოლიტიკური, სახელმწიფო, გეოგრაფიული და სხვა. ჯარების თავდაპირველი გაშლისას დაშვებული შეცდომა კამპანიის მსვლელობაში ალბათ არ გამოსწორდება.

სხვა ვითარება გვაქვს სტრატეგიის შემდეგ ამოცანასთან დაკავშირებით. ეს **ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ხელთ არსებული და ჯერ კიდევ მშვიდობიანობისას მომზადებული ძალები, რაც შეიძლება, ეფექტიანად გამოვიყენოთ ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.** ეს ჯარების მიერ წარმართული ოპერაციების საშუალებით ხორციელდება. ოპერაციისას ერთმანეთს ორი ნება ხვდება. ამ მტკიცებისას მოლტკე, ცხადია, ორიგინალური არ არის. ამას ჯერ კიდევ კლაუზევიცი ამბობდა. თუმცა მოლტკე ისევე, როგორც კლასიკური სტრატეგიის ნებისმიერი მიმდევარი, თვლის, რომ მოწინააღმდეგის ნების გატეხვა მხოლოდ ტაქტიკით, ან უფრო ზუსტად, ტაქტიკურ მოქმედებათა ერთობლიობით შეიძლება. ცხადია, ზოგჯერ ეს გამოდის, მაგრამ, როგორც პირველი მსოფლიო ომის გამოცდილება გვიჩვენებს, ყოველთვის — არა. ამანაც გამოიწვია არაკლასიკური სტრატეგიების გაჩენა.

ყოველი სერიოზული ბრძოლის შედეგმა, — თვლის მოლტკე, —

შეიძლება გამოიწვიოს ვითარების ძირეული ცვლა (ამ ტერმინს მოლტკე დაახლოებით იმავე მნიშვნელობით ხმარობს, როგორც ზემოთ ვხმარობდით „ბიფურკაციას“). თავის მხრივ, ეს შეცვლილი მდგომარეობა ამოსავალია ახალი ცვლილებისათვის და ა.შ. მოკლედ, ჩვენი მხრივ დავუმატებდით, რომ ყველაფერი ისეა, როგორც ჭადრაკში ან პრეფერანსის ტიპის ინტელექტუალურ ბანქოში, რომელიც ფელდმარშალს ძალიან უყვარდა.

სხვათა შორის, სწორედ ამ მიმართებით ამბობს მოლტკე თავის ცნობილ ფრაზას: „არც ერთი ოპერატიული გეგმა არ შეიძლება თუგინდ გარკვეული ალბათობით ხორციელდებოდეს მოწინააღმდეგის მთავარ ძალებთან პირველი შეჯახების შემდეგ. მხოლოდ პროფანს შეუძლია იფიქროს, რომ კამპანიის მსვლელობა წარმოადგენს წინასწარ მოხაზული, დეტალურად დამუშავებული და ბოლომდე შენარჩუნებული იდეის ლოგიკურ განხორციელებას“.

ამ აფორიზმის გამო მოლტკე ბევრჯერ გაუკრიტიკებიათ. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი კრიტიკოსი ამერიკელი კოლონელი მაიკლ მათენი 2005 წელს დაწერილ სტატიაში ამბობს: „იგივე მოლტკესაც სწამდა, რომ სტრატეგია იყო „ფანდების (ხრიკების, ხერხების) სისტემაა“. მოწინააღმდეგესთან პირველ შეჯახებამდე დაგეგმვას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა“ („All the same Moltke believed strategy to be „a system of expedients". There was little use in planning beyond the first encounter with the enemy..." (38,4-5).

ძნელია დაეთანხმო კოლონელ მათენის (საბჭოთა და რუსი ოფიცრების შემთხვევაში ყველგან ვხმარობ ტერმინ „პოლკოვნიკს“, ხოლო დასავლეთის შემთხვევაში მის შესაბამის „კოლონელს“). ფანდზე დამყარებული სტრატეგია რისკის სტრატეგიაა. ხოლო მოლტკე იმ მხედართმთავართაგანი იყო, ვინც ძალიან ფრთხილობდა (ბანქო რომ უყვარდა, არაფერს ნიშნავს. ბოლოს და ბოლოს, „დურაჩკა“ კი არა, პრეფერანსი უყვარდა). ის უბრალო ჭეშმარიტებას ამბობს: შეიძლება მოჭადრაკეს მთელი პარტიის გეგმა წინასწარ ჰქონდეს შემუშავებული, მაგრამ მას მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელმაც ყოველ სვლაზე შეიძლება სულ სხვანაირი რეაქცია მოახდინოს, ვიდრე მე მქონდა წარმოდგენილი. ამიტომ მე გზადაგზა მომიწევს ჩემი ჩანაფიქრის შეცვლა. რასაკვირველია, თეორიულად ჯობდა ყოველ მის სვლაზე წინასწარ მქონოდა დაგეგმილი კიდევ ერთი მზა გეგმა, თუ მოწინააღმდეგის

სვლა ისევ ამ გეგმაში არ ჩაჯდებოდა, მქონოდა კიდევ სხვა გეგმა და ა.შ. უსასრულოდ. ეს კარგია. მაგრამ მხოლოდ თეორიაში. პრაქტიკაში ეს გასაგები მიზეზების გამო შეუძლებელია.

ჩვენი ინტერპრეტაციის სისწორის დასასაბუთებლად თავად მოლტკეს მივმართოთ. იგი წერს: „რასაკვირველია, მხედარმთავარს, მიუხედავად გარემოებათა ცვლილებებისა, მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს მთავარი მიზანი, მაგრამ გზები, რომელთა მეშვეობითაც იგი ამ მიზნის მიღწევას ცდილობს, დამაჯერებლად ვერასოდეს ვერ იქნება გათვლილი შორეულ პერსპექტივაში. ის (მხედარმთავარი — კ.კ.) იძულებულია, მთელი კამპანიის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილებათა მთელი რიგი, რომლებიც გამომდინარეობს გარემოებებიდან და რომლის წინაწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ასე რომ, ერთმანეთის შემდეგ მომდევნო ფაქტები არ არის წინასწარი ჩანაფიქრის რეალიზაცია, არამედ აქტებია, რომლებშიც ნება ვლინდება, ნება, რომელიც სამხედრო ტაქტით ხელმძღვანელობს. საქმის არსი ის არის, რომ შეგეძლოს ყოველ კერძო შემთხვევაში განჭვრიტო ბურუსით მოცული ვითარება, სწორად შეაფასო მონაცემები, გამოიცნო გამოუცნობი, სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და შემდეგ ენერგიულად და შეუცდომლად განახორციელო“ (31, 177-178). პროგნოზირებას ისიც ართულებს, რომ ბრძოლის ბედზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი დაპირისპირებული მხარის ნება, არამედ ისეთი არაპროგნოზირებადი ფაქტორები, როგორიცაა ამინდი, ავადმყოფობა, სარკინიგზო კატასტროფები, გაუგებრობები და შეცდომები, ყოველივე ის, რასაც ზოგი შემთხვევითობას უწოდებს, ზოგი ბედისწერასა და ზოგიც — ღვთის ნებას. ამისდა მიუხედავად ეს არ ნიშნავს, თითქოს ბრძოლის ველზე ბრმა შემთხვევითობა სუფევს. ალბათობის თეორიაზე დაყრდნობით ყოველივე ეს შესაძლოა მიახლოებით მაინც იქნას გათვლილი. იმ მხედარმთავარს კი, რომელიც ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას ილებს, ყოველთვის აქვს გამარჯვების შანსი.

ბრძოლის მოგებისათვის საკმარისი არ არის ოდენ თეორიული ცოდნა. როგორც მოლტკე აღნიშნავს: „სტრატეგია საყრდენების სისტემაა. სტრატეგია მეტია, ვიდრე მეცნიერება. ეს არის ცოდნის გადატანა პრაქტიკულ ჭრილში, თავდაპირველი საფუძველმდებარე აზრების განვითარება ცვალებად გარემოებებზე; სტრატეგია ესაა ხელოვნება — იმოქმედო ურთულესი პირობების უღელქვეშ“ (31, 179).

თავი 4
არაკლასიკური სტრატეგიული კონცეფციები. არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგია

§ 72
არაპირდაპირი სტრატეგიის ცნება

ტერმინი „არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგია" ქართულში რუსული სამხედრო ტერმინოლოგიიდან შემოვიდა და დამკვიდრდა. არადა, ინგლისური ცნება, რომლის ერთგვარ კალკსაც რუსული "стратегия непрямих действий" წარმოადგენს, ასე ჟღერს: strategy of indirect approach, რაც არაფრით არ ნიშნავს „არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიას". ზუსტი ქართული თარგმანია: „[საკითხისადმი] ირიბი მიდგომა", ანუ როდესაც პრობლემის გადაწყვეტას პირდაპირი საშუალებებით კი არ ეცდილობთ, არამედ ირიბით, შემოვლითით. თუმცა, სამწუხაროდ, „არაპირდაპირი მოქმედებები" ქართულში უკვე დამკვიდრდა და მეც იძულებული ვარ, ეს ტერმინი გამოვიყენო. ოღონდ ახლავე ვუსვამ ხაზს, რომ „არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიაში" მე იმავეს ვგულისხმობ, რაც იგულისხმება სიტყვათა რიგში „საკითხის გადაწყვეტა არაპირდაპირი მიდგომის გზით".

§ 73
არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია

დიდ სტრატეგიაში არაპირდაპირი მოქმედების საშუალებით შეიქმნა არა მხოლოდ მაკედონიისა და რომის იმპერიები, არამედ მათი მემკვიდრეც — ბრიტანეთის იმპერია. ამავე სტრატეგიის საფუძველზე აღზევდა და წარმატებას მიაღწია ნაპოლეონმა, ხოლო მოგვიანებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ბეზილ ლიდელ-ჰარტი

კიდევ ერთხელ დიდი სტრატეგიის ცნებაზე: დიდი სტრატეგიის ცნებაზე უკვე იმდენი ვილაპარაკეთ, რომ მისი შინაარსის კიდევ ერთხელ გაშლა მიზანშეუწონილია. იმასლა დავჯერდებით, რომ ლიდელ-

ჰარტის მრავალრიცხოვან დეფინიციათაგან მოვიყვანთ კიდევ ერთს, რომელიც დიდ სტრატეგიას და სამხედრო სტრატეგიას განსაზღვრავს. ლიდელ-ჰარტი წერს: „ტერმინი „სტრატეგია" ყველაზე უკეთ გაიგება პირდაპირი მნიშვნელობით: როგორც „მხედარმთავრის ხელოვნება", ანუ შეიარაღებული ძალების ფაქტობრივი ხელმძღვანელობა", განსხვავებით პოლიტიკისგან, რომელიც განსაზღვრავს არა მხოლოდ მის (შეიარაღებული ძალების) გამოყენებას, არამედ მიმართებას სხვა საშუალებებთან: ეკონომიურთან, პოლიტიკურთან, ფსიქოლოგიურთან. ასეთი პოლიტიკა ხორციელდება უმაღლესი ტიპის სტრატეგიის გამოყენებით და მას დიდი სტრატეგია ეწოდება" (21, 31). დიდი სტრატეგია არ იფარგლება მხოლოდ სამხედრო პარამეტრებით, არამედ განსაზღვრავს ღონისძიებების მთელ კომპლექსს (სამხედროს ჩათვლით), რომელიც უზრუნველყოფს დიდი პოლიტიკის მიერ დასმული მიზნების განხორციელებას.

ლიდელ-ჰარტისათვის კვლევის საგანი არ არის მხოლოდ დიდი სტრატეგია. მისი ამოცანაა განსაზღვროს რა სახის არაპირდაპირი ქმედებები შეიძლება იქნას გამოყენებული დიდი სტრატეგიის დონეზე, რათა დიდი პოლიტიკის მიერ დასმული მიზანი იქნას მიღწეული. ამასთან პირდაპირი ქმედებებისგან განსხვავებით, რომლის ერთადერთი საშუალებაც ბრძოლაში მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურებაა, არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიაში ბრძოლა მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა. ორივე სტრატეგიული კონცეფცია (როგორც კლაუზევიცისეული, ისე არაპირდაპირი ქმედებების) თანხმდება, რომ ნებისმიერი სტრატეგიის მიზანს საბოლოო ჯამში მოწინააღმდეგის ნების გატეხვა წარმოადგენს; მაგრამ კლასიკური სტრატეგია ამ მიზნის მიღწევას მხოლოდ ბრძოლის საშუალებით მიიჩნევს შესაძლებლად მაშინ, როდესაც არაპირდაპირი სტრატეგია ამას სხვა საშუალებებითაც თვლის მიღწევადად. ძირითადი განსხვავება ამ ორ სტრატეგიას შორის შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: **პირდაპირი მოქმედების სტრატეგიისათვის ნების გატეხვის საშუალებაა განადგურება, ხოლო არაპირდაპირი სტრატეგიისა — მდგრადობის მოშლა. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ბრძოლა ერთჯერადი აქტია და განვითარების მხოლოდ ერთი ვექტორი აქვს (მოწინააღმდეგის ნების მოშლა მისი ძალების გამანადგურებელი დამარცხებით), არაპირდაპირი ქმედებებისას სტრატეგია დროში**

გაწელილი პროცესის სახით შეიძლება გამოვლინდეს, რომლის დროსაც საბრძოლო და არასაბრძოლო მეთოდები ერთმანეთს ენაცვლება.

არაპირდაპირი სტრატეგიის ლიდელ-ჰარტისეული გაგება კარგად შეიძლება გამოჩნდება ნაპოლეონის ცნობილი გამონათქვამის იმ ინტერპრეტაციით, რომელსაც ინგლისელი თეორეტიკოსი იძლევა. იგი წერს: „ნაპოლეონი ამბობდა: ომის წარმოების პრინციპები ისეთივეა, როგორც ციხე-სიმაგრის აღება. ცეცხლი კონცენტრირებულ უნდა იქნას ერთი პუნქტის წინააღმდეგ და, როგორც კი გაჩნდება ბზარი, მოწინააღმდეგის მდგრადობა დაირღვევა და მისთვის ბოლოს მოღებაღა დაგვრჩება“ (21, 128). ლიდელ-ჰარტი თვლის, რომ კლასიკური ანუ პირდაპირი მოქმედების სტრატეგიის მიმდევრები აქცენტს აკეთებდნენ ამ დებულების პირველ მონაკვეთზე, ხაზს უსვამენ რა გამოთქმას „ცეცხლი ერთი პუნქტის წინააღმდეგ“ და მნიშვნელობას არ ანიჭებენ ფრაზას „მდგრადობა დაირღვევა“. მაგრამ სინამდვილეში გამოთქმა „ცეცხლი ერთი პუნქტის წინააღმდეგ“ საკმაოდ გაურკვეველია მაშინ, როდესაც სიტყვები — „მდგრადობა დაირღვევა“ — რეალურ ფსიქოლოგიურ შედეგს გამოხატავს, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ „მისთვის ბოლოს მოღებაღა დაგვრჩება“.

ხაზგასასმელია ისიც, რომ არაპირდაპირის ცნება სრულიად სხვადასხვა შინაარს შეიცავს დიდი სტრატეგიის, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის დონეებზე. მეტიც, ყოველ ამ დონეზე არაპირდაპირი ქმედებები სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმით შეიძლება ვლინდებოდეს. ნაშრომის ამ მონაკვეთში ჩვენ ლიდელ-ჰარტზე დაყრდნობით, შეეცდებით ვაჩვენოთ არაპირდაპირი ქმედებების სხვადასხვა ვარიანტები.

არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია, როგორც ფილოსოფიური პრინციპი: ლიდელ-ჰარტის მიხედვით, მიზნისაკენ არაპირდაპირი ანუ შემოვლითი გზით სიარული უფრო ეფექტიანია, ვიდრე პირდაპირი გზით სვლა, რასაც შეიძლება სულაც კედელზე თავის შეხლა მოჰყვეს. მიზნის არაპირდაპირი საშუალებებით მიღწევა მხოლოდ მოქმედების ეფექტიან საშუალებას არ წარმოადგენს. ის თავად ადამიანური ყოფიერების პრინციპია. ლიდელ-ჰარტი წერს: „მე დავიწყე იმის გაგება, რომ არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიას ბევრად უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა და რომ ის ცხოვრების

ყველა სფეროს კანონია. ირკვევა, რომ მისი გამოყენება ნებისმიერი პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტის გასაღებია, პრობლემისა, რომლის გადამწყეტი ფაქტორი ადამიანია. ლაპარაკია პრობლემაზე, რომლის დროსაც საპირისპირო ინტერესებმა კონფლიქტამდე შეიძლება მიგვიყვანოს. ყველა ამ შემთხვევაში ახალი იდეების გასატარებლად პირდაპირმა მიწოლამ შეიძლება ჯიუტი წინააღმდეგობა გამოიწვიოს და გაართულოს შეხედულებების შეცვლა. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ადვილად და სწრაფად მიიღწევა ახალი იდეების შეუმჩნეველი მიწოდებით ან ისეთი დისკუსიით, როდესაც ოპონენტის ინსტიქტური წინააღმდეგობა შემოვლითი გზით დაიძლევა. არაპირდაპირი ქმედება ასევე რჩება პოლიტიკის სფეროს ძირითად პრინციპად,ისევე როგორც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის. წარმატების შანსი ვაჭრობაში მეტია, თუ საშუალება გაქვს შეევაჭრო, ვიდრე მაშინ, როდესაც ამის საშუალება არა გვაქვს. ნებისმიერ სხვა სფეროში საყოველთაოდ ცნობილია, რომ უფროსის დაყოლიება ახალი იდეის ვარგისიანობაში ყველაზე იოლია მაშინ, თუ დაარწმუნე, რომ ეს მისი იდეაა. ასევე ომში მიზანს წარმოადგენს ის, რომ მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა დაასუსტო მანამ, სანამ მის გადალახვას შეეცდება და ყველაზე უკეთ ამას მაშინ მიაღწევ, თუ მას დაკავებული თავდაცვითი პოზიციებიდან გამოიტყუებ" (21, 14).

უკვე კლაუზევიცმა დაასაბუთა ომისას სუბიექტური ფაქტორების უდიდესი მნიშვნელობა (გავიხსენოთ ნაპოლეონი: „სული ისე შეეფარდება სხეულს, როგორც ერთი სამს"). მაგრამ კლასიკურ სტრატეგიაში, სადაც ომის არსი ბრძოლის მომზადებასა და მისი შედეგების გამოყენებაზე დაიყვანება, სუბიექტურობის ფაქტორი უპირატესად, ხოლო ზოგჯერ მთლიანადაც კი, საბრძოლო სულისკვეთებას უიგივდება (ყველა მისი შემადგენელი კომპონენტით). აქ მოწინააღმდეგის სულის გატეხვა მატერიალური მოქმედების, ბრძოლის გზით მიიღწევა (რომელშიც, ვიმეორებთ, ისეთი სუბიექტური ფაქტორი, როგორიცაა საბრძოლო სულისკვეთება, ყველა მისი კომპონენტით, შესაძლოა გადამწყვეტ როლსაც თამაშობდეს). არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია საკითხს უფრო ფართოდ უყურებს. მისთვის მთავარია ადამიანური გონების მიმართება იმ ამოცანებისა და საშუალებების ერთობლიობისაკენ, რომლითაც იგი მიზნის მიღწევას აპირებს. აქ საქმე მარტო საშუალებების ეფექტიანობას კი არ ეხება, არამედ იმასაც, თუ რა ღირებულებებს ემყარება

და რა ღირებულებების მატარებელია ეს საშუალებები. თუ პირდაპირი მოქმედებისას აქსიოლოგიური, ღირებულებითი მიდგომა, გინდაც ადამიანის სიცოცხლის მაქსიმალური გაფრთხილება, სტრატეგიის დაგეგმვისას პირველადი მნიშვნელობის ფაქტორი შეიძლება სულაც არ იყოს (მაგალითად, ტოტალიტარული სახელმწიფოების შემთხვევაში), არაპირდაპირი ქმედებებისას საქმე სხვაგვარად გვაქვს. როგორც თანამედროვე სტრატეგიის ერთ-ერთი უდიდესი თეორეტიკოსი წერს: **„ეს ორივე ზესისტემა — ლოგიკური და ეთიკური — ერთმანეთს ემთხვევა (ომისას — კ.კ.). ამაში არაფერია გასაკვირი. ეთიკაც და ლოგიკაც შემეცნების ერთიანი პროცესის ორი მხარეა. ორივე იმიტომ შეიქმნა, რომ ადამიანისათვის მოქმედების ზუსტი ორიენტირები მიეცა. ერთი და იმავე სიტუაციაში ერთი და იგივე ამოცანის გადაწყვეტისას ადამიანები არ შეიძლება, არ მივიდნენ მსგავს პასუხებთან. სწორედ ამიტომ ეთიკურად არაცალსახა სიტუაციაში უნდა ამოხვიდე ლოგიკური ანალიზიდან, ხოლო ლოგიკურად გაურკვეველ სიტუაციაში — ყველაზე გამართლებული — ყველაზე ზნეობრივი პოზიციაა“** — ოქროს სიტყვებია.

მაგრამ სტრატეგიის დაფუძნება ზოგადფილოსოფიურ, მით უფრო, ეთიკურ პრინციპებზე ძალიან ძნელია. აქ ლიდელ-ჰარტი წინ წამოწევს ადამიანური ყოფიერების ორ ტიპს, რომელთაც პირობითად წინასწარმეტყველი და სტრატეგი შეიძლება ეწოდოს. პირველი ჭეშმარიტებას ღაღადებს, ხოლო მეორე ვალდებულია ეს ჭეშმარიტება ფაქიზად და ყველა ვითარების გათვალისწინებით გაატაროს ცხოვრებაში. ლიდელ-ჰარტის ერცელი ციტატა ამბობს: „არაპირდაპირი მოქმედებების იდეა მჭიდროდ უკავშირდება ერთი გონების მეორეზე ზემოქმედების პრობლემას, რომელიც ადამიანური ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ოღონდ ეს იდეა ძნელი შესარიგებელია მეორე პრინციპთან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტ დასკვნებთან შეიძლება მივიდეთ ან მივუახლოვდეთ მათ მხოლოდ ჭეშმარიტ გზაზე დგომით, იმის მხედველობაში არმიღებით, სად მიგვიყვანს ის და რა ზემოქმედებას მოახდენს ჭეშმარიტება სხვადასხვა დაინტერესებულ ძალაზე.

ისტორია იმის მოწმეა, რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „წინასწარმეტყველნი“ კაცობრიობის პროგრესში, რაც ასაბუთებს

რაოდენ სასარგებლოა პრაქტიკული თვალსაზრისით სიმართლის თქმა ისე, როგორც შენ წარმოგიდგენია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათი გამოცხადების (vision) შემდეგი ბედი სხვა ადამიანზე, „ბელადზეა" დამოკიდებული. ამ უკანასკნელთ უწევთ იყენენ სტრატეგები ფილოსოფიის სფეროში და მიაღწიონ კომპრომისს ჭეშმარიტებასა და ჭეშმარიტების აღქმის ადამიანურ უნარს შორის. მათი წარმატება ხშირად იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად წედებოდნენ ისინი ჭეშმარიტებას, აგრეთვე მათ პრაქტიკულ სიბრძნეზეც, რაც ელინდებოდა მათ მიერ ჭეშმარიტების განცხადებისას.

წინასწარმეტყველებს ყოველთვის ქოლავდნენ, ეს მათი ხვედრია და კრიტერიუმი იმისა, როგორ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. მაგრამ თუ ბელადს ქოლავენ, ეს ნიშნავს, რომ მან თავისი ამოცანა ვერ შეასრულა, ანდა სიბრძნის არქონის გამო თავისი ფუნქცია წინასწარმეტყველის ფუნქციაში აურია. მხოლოდ დროს შეუძლია აჩვენოს — ამართლებს თუ არა ბელადის ეს მსხვერპლი, რომელიც მას, როგორც ადამიანს, პატივს დებს. ყოველ შემთხვევაში ის თავს არიდებს ბელადთა უფრო გავრცელებულ ცოდვას: შესწიროს ჭეშმარიტება მიზანშეწონილობას საქმისადმი ყოველგვარი სარგებლობის გარეშე, რადგან ყველა, ვინც ახშობს ჭეშმარიტებას ტაქტიკის სასარგებლოდ, თავისი გონების წიაღიდან მახინჯს შობს.

არსებობს ჭეშმარიტების წვდომისა და მისი მიღების პროცესის შესაბამების პრაქტიკული ხერხი? ამ პრობლემის გადაწყვეტას გეკარნახობს ზოგიერთი სტრატეგიული პრინციპი,რომლებითაც გვაჩვენებენ, როგორ უნდა გვქონდეს მუდმივად მხედველობაში გარკვეული მიზანი და როგორ გამოვიყენოთ მის მისაღწევად საშუალებები გარემოებისდა მიხედვით. ჭეშმარიტებისადმი წინააღმდეგობა გარდაუვალია, განსაკუთრებით თუ ჭეშმარიტება რაიმე ახალ იდეის ფორმითაა შეფუთული, მაგრამ წინააღმდეგობის ძალა შეიძლება შემცირდეს, თუ ყურადღებას მივაქცევთ არა მხოლოდ მიზანს, არამედ მიდგომასაც. მოერიდე დიდი ხნის გამაგრებულ პოზიციებზე ფრონტალურ შეტევას, სცადე გვერდი ფლანგიდან აუარო. მაგრამ ყოველთვის, როდესაც ამგვარ შემოვლით გზას ირჩევ, უნდა გახსოვდეს, რომ ჭეშმარიტებას არ უნდა გადაუხვიოთ, რადგან არაფერია ჭეშმარიტების დამკვიდრებისას იმაზე უარესი, ვიდრე სიცრუემდე დაცემა" (21, 15).

ეს მართლაც რომ ისეთი არსობრივი მტკიცებაა, რომელიც ადამი-

ანური ყოფიერების ულრმეს განზომილებას ეხება. ამ მიმართებით არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია არანაკლებაა ფილოსოფიურად დაფუძნებული, ვიდრე კლაუზევიცისა, რომელიც გერმანული იდეალიზმის გარკვეულ ინტერპრეტაციას ემყარება. ინტერპრეტაციას, რომელიც ომს, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს, როგორც ერთი გონების მეორე გონებაზე ზემოქმედების ნაირსახეობას, დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა. ამ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე სამხედრო აზრის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი მარტინ ვან კრეველდი შენიშნავს: „საბოლოოდ, გვაქვს მრავალშრიანი, ძლიერი ურთიერთშენაცვლებადი მიმართება ორ ურთიერთმოწინააღმდეგე გონებას შორის, რაც სტრატეგიისათვის ყველა დონეზეა დამახასიათებელი და ფაქტობრივად, მისი კუთვნილებაა. მაშინ, როდესაც თითოეული მხარე ცდილობს, აზროვნების პროცესში მეორეს დასწროს, ჩემი აზროვნება მეორის აზროვნებაზეა დამოკიდებული და მეორისა კი, პირიქით, ჩემს აზროვნებაზე. ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი სარკეების მსგავსად ჩვენ ამ შემთხვევაში ვღებულობთ მენტალური ხატების წყებას, რომელთა რაოდენობაც თეორიულად შეუზღუდავია“.

პირდაპირი და არაპირდაპირი ქმედება სამხედრო სტრატეგიაში: ჩვეულებრივ ჰგონიათ ხოლმე, რომ პირდაპირი მოქმედების (კლასიკური) სტრატეგია სწორედ იმის გამო, რომ ის მარტივია, უფრო ქმედითი და ეფექტურია. აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც ფილოსოფიაში იყო, როდესაც მიაჩნდათ, რომ სამყაროს ყველაზე მარტივი, მექანიკური მოდელი, რომელიც ყოველივეს მექანიკური საათის დარად განიხილავს, ყველაზე ჭეშმარიტიც იყო და ყველაზე ეფექტიანიც. ლიდელ-ჰარტი სამხედრო ისტორიის გამოწვლილვით შესწავლით საპირისპირო დასკვნამდე მიდის.

თავის განთქმულ ნაშრომში სტრატეგიის შესახებ ლიდელ-ჰარტი საკმაოდ ვრცლად განიხილავს სამხედრო ისტორიას. თუმცა ამ განხილვას არა აქვს წმინდა ისტორიული ინტერესი. ის სტრატეგიის ავტორისეული კონცეფციის დასაბუთებასა და დემონსტრირება ემსახურება. როგორც თავად ლიდელ-ჰარტი აღნიშნავს, მის შრომაში პირველ მსოფლიო ომამდე განხილულია ანტიკურობის თორმეტი ომი, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა იმაზე, რაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა როგორც „დასავლური“. ის აგრეთვე განიხილავს ახალი დროის თერამეტ ომს (ამასთან ნაპოლეონის ომები ერთ დიდ, ასე

ვთქვათ, მეგაომადაა განხილული). ეს ოცდაათი ომი მოიცავს ორას ოთხმოცამდე კამპანიას. განხილული კამპანიებიდან მხოლოდ ექვსში (რომელთა კულმინაციები შესაბამისად იყო ისა, გავგამელი, ფრიდლანდი, ვაგრამი, სადოვა და სედანი) იყო გადამწყვეტი პირდაპირი მოქმედებები მოწინააღმდეგის ძირითადი დაჯგუფების წინააღმდეგ ანუ ის ქმედებები, რომლებიც კლაუზევიცური (კლასიკური) სტრატეგიის ჩარჩოებში ჯდება.

ლიდელ-ჰარტი აღიარებს, რომ სამხედრო ისტორიაში პირდაპირი ქმედებები, მიზნისაკენ მიმავალი პირდაპირი გზის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო წინასწარ გათვლილი არაპირდაპირი ქმედებები უფრო გამონაკლისის ხასიათს ატარებს. მხედარმთავრები, როგორც წესი, არაპირდაპირ ქმედებებებს ძირითადად არ მიიჩნევდნენ და მათ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში მიმართავდნენ. და მაინც, თვლის ინგლისელი მოაზროვნე, ასეთ ქმედებებს საბოლოო ჯამში, როგორც წესი, გამარჯვებამდე მივყავდით მაშინ, როდესაც პირდაპირ ქმედებებს ასევე, როგორც წესი, მარცხი მოსდევდა.

წარმატებული არაპირდაპირი ქმედებების მაგალითად ლიდელ-ჰარტს სამხედრო მოქმედებების მთელი რიგი მოყავს:

- ლისანდრეს კამპანია ეგეოსის ზღვაზე 405 წელს ჩვ. წ.-აღ-მდე;
- ეპამინონდის მოქმედება პელოპონესში 362 წელს ჩვ. წ.-აღ-მდე;
- მაკედონიის მეფე ფილიპეს (ალექსანდრეს მამის) მოქმედება მეოტიაში 338 წელს ჩვ. წ.-აღ-მდე;
- ალექსანდრეს მოქმედება მდინარე ჰიდასპთან;
- კასანდრესა და ლისიმახეს მოქმედება ახლო აღმოსავლეთში 302 წელს ჩვ. წ.-აღ-მდე;
- ჰანიბალის მოქმედება ტრაზიმენის ტბასთან და ეტრურიაში;
- იულისუს კეისრის მოქმედება ესპანეთში (პომპეუს-უმცროსის წინააღმდეგ);
- კრომველის მოქმედებები პრენსტონთან და ეუსტერთან;
- ტიურენის 1674-1675 წლის კამპანია ელზასში;
- ოიგენ საკოელის კამპანია იტალიაში 1701 წელს;
- მალბოროს კამპანია ფლანდრიაში 1708 წელს;
- ვილარის კამპანია 1712 წელს;
- ვულფის მოქმედება კვებეკში შვიდწლიანი ომისას;
- ჟურდენის კამპანია მოზელთან 1794 წელს;

● ერცჰერცოგ კარლის კამპანია რაინ-დუნაის თეატრზე 1796 წელს;
● ბონაპარტის იტალიური კამპანიები 1796, 1797 და 1800 წლებში;
● ბონაპარტის კამპანიები 1805 წელს, რომელსაც ულმის და აუსტერლიცის ბრძოლება მოჰყვა;
● ამერიკის სამოქალაქო ომისდროინდელი კამპანიები, სახელდობრ: გრანტისა ვიკსბერგში და შერმანისა ატლანტაში;

რასაკვირველია, ლიდელ-ჰარტის თვალსაზრისი შეიძლება გაიზიარო, შეიძლება არა, მაგრამ უეჭველია ის, რომ ეს კამპანიები გამოწვლილვით ანალიზს მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში ლიდელ-ჰარტის დასკვნა, — „არაპირდაპირი ქმედებები სტრატეგიის გაცილებით მიზანშეწონილი და სასარგებლო ფორმაა, ვიდრე პირდაპირი" — სერიოზულ განხილვას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა განხილულ იქნას რა არაპირდაპირი მოქმედების ფორმებს განიხილავდა ლიდელ-ჰარტი დიდი და სამხედრო სტრატეგიის დონეებზე.

განსხვავება არაპირდაპირი მოქმედებისა და გამოფიტვის სტრატეგიებს შორის: როგორც დელბრუკის შეხედულებების ანალიზისას განვიხილეთ, კლასიკურ ანუ პირდაპირი მოქმედების სტრატეგიას დელბრუკი უპირისპირებს გამოფიტვის სტრატეგიას, რომელსაც ბევრად უფრო დაბალ შეფასებას აძლევს. მეტიც, ფაქტობრივად ის არც კი მიაჩნია ჭეშმარიტ სტრატეგიად ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. დელბრუკის მოღვაწეობისას ლიდელ-ჰარტს თავისი კონცეფცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე შემუშავებული. თუმცა ის მოგვიანებით საკმაოდ ნათლად აელებს ხაზს ამ ორ რაიმეს შორის. ლიდელ-ჰარტის პოზიცია ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: გამოფიტვის სტრატეგია არის არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის ერთ-ერთი კერძო (და თანაც არცთუ საუკეთესო) შემთხვევა, ამიტომ მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა სრულიად გაუმართლებელია. პერიკლეს[92] მოქმედების განხილვისას ლიდელ-ჰარტი ნათლად აფიქსირებს განსხვავებას არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიასა და გამოფიტვის სტრატეგიას შორის. პირველის ამოცანაა მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა, ხოლო მეორისა — მოწინააღმდეგის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ დაარწმუნოს ეს უკანასკნელი: ომის გაგრძელებას აზრი არა აქვს. ლიდელ-ჰარტი წერს: „განსხვავებით არაპირდაპირი სტრატეგიისაგან, რომელიც გამარჯვებისათვის მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის მდგრა-

დობის მოშლას, პერიკლეს გეგმა არსებითად იყო იმგვარი დიდი სტრატეგია, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის ფაქტობრივ გამოფიტვაზე, რათა დაარწმუნოს ეს უკანასკნელი, რომ გამარჯვებას ვერ მიაღწევს" (21, 31). გამოფიტვისა და არაპირდაპირი ქმედებების სტრატეგიებს შორის განსხვავება კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ სამხედრო ისტორიიდან გავიხსენებთ ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე მიმართავდა არაპირდაპირი ქმედებების სტრატეგიას (როგორც დიდი სტრატეგიის, ისე სამხედრო სტრატეგიის დონეზე), ხოლო მეორე — გამოფიტვის სტრატეგიას. ანუ მეომარ მხარეთაგან არც ერთი არ მოქმედებდა პირდაპირი სტრატეგიის ჩარჩოებში. ასეთი შემთხვევები, მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგალითად გამოდგება ჰანიბალის არაპირდაპირი სტრატეგიისა და ფაბიუს მაქსიმუსის გამოფიტვის სტრატეგიის შეჯახება მეორე პუნიკური ომისას. დღესავით ნათელია, რომ ჰანიბალი და კუნკრატორი სრულიად სხვადასხვა პრინციპებს ემყარებოდნენ თავიანთი სტრატეგიების რეალიზებისას, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყენებდა პირდაპირი მოქმედების სტრატეგიას. უკვე ეს ერთი ფაქტი ადასტურებს, რომ არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგია და გამოფიტვის სტრატეგია იდენტურები არ არის.

პელოპონესის ომის განხილვისას ლიდელ-ჰარტი გამოფიტვის (ანუ ბრძოლიდან თავის აცილების მეთოდს) ასე აღწერს: „თებე განთავისუფლდა სპარტის ბატონობისაგან ბრძოლიდან თავის არიდების მეთოდის გამოყენებით, რომელსაც მოგვიანებით ფაბიუსის სტრატეგია უწოდეს. ეს უკანასკნელი დიდი სტრატეგიის არაპირდაპირ ქმედებებს განეკუთვნება, მაგრამ არსებითად ბრძოლიაგან თავის არიდების სტრატეგიას წარმოადგენს" (21, 36-37).

ლისანდრეს სტრატეგიასთან მიმართებაში ლიდელ-ჰარტი კიდევ უფრო აზუსტებს თავის აზრს და წერს: „ლისანდრეზე კემბრიჯის „ძველ ისტორიაში" წერია: „მისი გეგმა იყო ბრძოლისათვის თავის არიდება, ათენელების მიყვანა გამოფიტვამდე, მათი იმპერიის ყველაზე სუსტ წერტილებზე დარტყმის გზით"... ამ თეზისის პირველი ნაწილი, საეჭვოა, მართალი იყოს, ვინაიდან ლისანდრეს ქმედებები არა იმდენად ბრძოლისგან თავის არიდებაზე იყო გათვლილი, რამდენადაც არაპირდაპირ ქმედებებზე, მოწინააღმდეგეზე დარტყმებზე მაშინ, როცა შანსი მთლიანად მის მხარეს იყო" (21, 33-34). ამრიგად, არაპირდაპი-

რი ქმედებების სტრატეგია არ გულისხმობს პასიურობასა და ბრძოლისაგან თავის არიდების თვითმიზნად ქცევას. ის უბრალოდ თვლის, რომ სამხედრო თუ არასამხედრო საშუალებების აქტიურად გამოყენებით მიღწეულ უნდა იქნას უმთავრესი სტრატეგიული მიზანი: მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეების მოძიება: ნებისმიერი ომისას მიზანშეწონილია, რაც შეიძლება, მეტი მოკავშირის მოძიება. თუმცა ამ დროს ყოველთვის უნდა შეეგებოთ იმას, რომ მოკავშირეები შეეცდებიან, როგორც შეძლებენ, თავიდან აიცილონ შესაძლო რისკები და დანაკარგები, თუმცა ჩვენც ზუსტად ასევე ვიქცევით მოკავშირეთა მიმართ. დიდი სტრატეგიის სფეროში არაპირდაპირი მეთოდებით მიზნის მიღწევის ის შემთხვევა შეიძლება ჩაითვალოს იდეალურად, როდესაც მხარე უშუალოდ არ მონაწილეობს ძირითად თეატრზე მიმდინარე მოქმედებებში (ომობენ მოკავშირეები, რომელთაც დახმარება ეწევათ ფულით, იარაღით და ა.შ), ან მცირედ მონაწილეობს მასში, მაგრამ სამაგიეროდ ძალების არაძირითად (თუმცა მისთვის სტრატეგიულ) თეატრზე კონცენტრაციით ახერხებს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ასეთი ქმედების კლასიკური მაგალითია ბრიტანეთის პოლიტიკა შვიდწლიანი ომისას, როდესაც ძირითად ევროპულ თეატრზე მოქმედებების მთელი სიმძიმე ბრიტანეთის მოკავშირე პრუსიაზე გადავიდა, სამაგიეროდ ბრიტანეთმა მიიერთა კანადა და ინდოეთი. ამას გარდა ომის შედეგად დასუსტდა პრაქტიკულად ყველა ევროპული სახელმწიფო (ალბათ რუსეთის გამოკლებით), რამაც ბრიტანეთის პოზიცია კონტინენტზე მნიშვნელოვნად გააძლიერა. ასეთი ქმედების კიდევ ერთი კარგი მაგალითია იაპონიის ქმედება პირველი მსოფლიო ომისას, როდესაც იაპონიამ მიითვისა სტრატეგიული პოზიციები ჩინეთში (გერმანელების კონტროლირებული პორტი ცინდაო) და გერმანიის რიგი სტრატეგიული სამფლობელოები წყნარ ოკეანეში ისე დაიკავა, რომ გადამწყვეტ ევროპის თეატრზე ერთი ჯარისკაციც კი არ გაუგზავნია.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეების შექმნა:

როგორც აღვნიშნეთ, არავინ იდავებს იმაზე, რომ დიდი სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ძლიერი და გავლენიანი მოკავშირეე-

ბის შეძენა. კლასიკურ სტრატეგიაში, რომელიც არ იცნობდა დიდი სტრატეგიის დონეს, ეს საკითხი პოლიტიკისა და დიპლომატიისთვის იყო გადაბარებული. მაგრამ შესაძლებელია არა მხოლოდ **მოიძიო** მოკავშირეები უკვე არსებულ ძალებს შორის, არამედ შენვე **შექმნა** ისინი. ამის მაგალითად ლიდელ-ჰარტს განთქმული ანტიკური მხედარმთავრის ეპამინონდის ქმედება მოჰყავს. იგი წერს: „სპარტის აღებისას განცდილი წარუმატებლობის შემდეგ მან უარი თქვა შაბლონურ სტრატეგიაზე უფრო მოქნილი იარაღის: არაპირდაპირი მოქმედებების დიდი სტრატეგიის სასარგებლოდ. მესენიაში, მთა იტონზე, რომელიც ბუნებრივი ციტადელი იყო, მან (ეპამინონდმა) ააშენა ქალაქი მესენა და აქცია იგი ახალი სახელმწიფოს — მესენიის დედაქალაქად. მან იქ მისი ლაშქრისათვის მიმხრობილი უკმაყოფილო ელემენტები დაასახლა და ომის დროს მოპოვებული მთელი ნადავლი დაუტოვა. ეს სახელმწიფო იქცა ხელისშემშლელ ბარიერად სპარტის მოქმედებისათვის სამხრეთ საბერძნეთში. ამის შემდეგ სპარტამ დაკარგა თავის ტერიტორიის ნახევარი და მონების ნახევარზე მეტი. ეპამინონდის მიერ არკადიაში ახალი ქალაქ-მეგაპოლისის დაფუძნების შემდეგ... ეს უკანასკნელი (სპარტა) გარემოცული აღმოჩნდა ციხეების სისტემით, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მიმართებით, რის შედეგადაც მისი სამხედრო ძალმოსილების ეკონომიკური საფუძველი მოიშალა. როდესაც ეპამინონდი მხოლოდ რამოდენიმე თვიანი კამპანიის შემდეგ პელოპონესიდან წავიდა, მას ბრძოლის ველზე არც ერთი გამარჯვებისათვის არ მიუღწევია, მაგრამ დიდი სტრატეგიის გამოყენებით სერიოზულად მოშალა სპარტის ძალმოსილება“ (21, 36)

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის ძალმოსილების მოშლა: ზემოთ განვიხილეთ ჰანს მორგენტაუს მიერ გამოყოფილი ის პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ძლიერებას. სამხედრო შემადგენელი მხოლოდ ერთ-ერთია სხვა შემადგენელთა შორის. შესაძლებელია მოწინააღმდეგის ძალმოსილება მოშალო არა მისი სამხედრო, არამედ სხვა შემადგენლების განადგურებით. მაგალითად, ვაჭრობის, ან უფრო ფართოდ — ეკონომიკის, ან მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლითა და ძირის გამოთხრით. როგორც ლიდელ-ჰარტი აღნიშნავს: „ძველი დროის ორ უდიდეს კამპანიაში, ალექსანდრეს ლაშქრობისას სპარსეთში და სციპიონის ლაშქრობისას კართაგენზე

წარმატება მიღწეულ იქნა მოწინააღმდეგის ძალმოსილების მოშლით". ასეთი მაგალითები სამხედრო ისტორიაში მრავლადაა. ვთქვათ, პირველი მსოფლიო ომისას ინგლისელთა მიერ განხორციელებულმა შორეულმა საზღვაო ბლოკადამ ისეთი სირთულეები შეუქმნა გერმანიას, რომ ამ უკანასკნელმა ომის გაგრძელება ვეღარ შეძლო იმის მიუხედავად, რომ მის შეიარაღებულ ძალებს მოწინააღმდეგის ტერიტორიების საკმაოდ დიდი ნაწილი ჰქონდა ოკუპირებული. ამავე ტიპის მოქმედებებს უნდა მივათვალოთ გერმანელების მიერ ბოლშევიკებისათვის გაწეული დახმარება, რასაც ამ უკანასკნელთა ხელისუფლებაში მოსვლა და პირველი მსოფლიო ომიდან რუსეთის გამოსვლა მოჰყვა. არასამხედრო გზით (ანუ არაპირდაპირ) დიდი სტრატეგიის სფეროში ყველაზე შთამბეჭდავად შეიძლება მივიჩნიოთ დასავლეთის გამარჯვება „ბოროტების იმპერიად" წოდებულ საბჭოთა კავშირზე.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მომავალი ძლიერებისათვის საფუძვლის ჩაყრა: დიდი სტრატეგიის სფეროში წარმატებული არაპირდაპირი ქმედებების კიდევ ერთ ვარიანტად შეიძლება განიხილოს ის ვარიანტი, როდესაც, მართალია, უშუალოდ ვერ ვაღწევთ ომის მიზანს, მაგრამ ვიკავებთ ისეთ პოზიციებს, რომელიც ჩვენს მომავალ ძლიერებას უყრის საფუძველს. მაგალითად, ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომისას ბრიტანეთის მთავარი პოლიტიკური მიზანი იყო, არ დაეშვა ბურბონების გაბატონება ესპანეთის სამეფო ტახტზე. ამ უშუალო მიზნის მიღწევა ბრიტანეთმა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ დაიკავა ჰიბრალტარი და კუნძული მენორკა, რითაც ძალიან ძლიერი პოზიციები მოიპოვა ხმელთაშუა ზღვაზე, აგრეთვე დაიკავა ახალი შოტლანდია და ნიუფაუნდლენდი ჩრდილო ამერიკაში. ამ წარმატებებმა პრინციპში საფუძველი ჩაუყარეს ბრიტანეთის იმპერიის მომავალი ძლიერების საფუძვლებს.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც ქმედებები, რომლებიც საომარ მოქმედებათა ერთ თეატრს სცილდება და რამოდენიმე თეატრს მოიცავს:

მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ეპიზოდი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომიდან. ინგლისელმა მხედარმთავარმა მალბოროომ (სხვათა შორის, უინსტონ ჩერჩილის წინაპარმა) 1706 წელს გადაწყვიტა განეხორციელებინა დიდი სტრატეგია, რომელიც, მდგომარეობდა იმაში, რომ სამხრეთით ალპებისაკენ გაელაშქრა, შეერთებოდა ავსტრიელ-

თა სარდალ პრინც ოიგენს და გაერთიანებული ძალებით შეეტიათ საფრანგეთისათვის. თავისთავად ეს მანევრი იქნებოდა სამხედრო სტრატეგიის სფეროში მიმდინარე მოქმედება. მაგრამ მალბორომ ეს მანევრი დიდი სტრატეგიის განზომილებაში იმით გადაიტანა, რომ ოაეის მოქმედებებს განიხილავდა ერთ კონტექსტში, ერთიანობაში საზღვაო დესანტის დაგეგმილ გადასხმასთან ტულონში და პიტერბოროს ქმედებასთან ესპანეთში, მაშასადამე, საფრანგეთზე სამი მიმართულებით შეტევასთან. **ასე რომ, დიდი სტრატეგიის სფეროში ქმედება გარდა პოლიტიკისა და სტრატეგიის სფეროების გადაკვეთისა გულისხმობს ისეთ ქმედებებს, რომლებიც საომარ მოქმედებათა ერთ თეატრს სცილდება და რამოდენიმე თეატრს მოიცავს.** რამდენადაც ერთ თეატრზე მიმდინარე პროცესი, როგორც წესი, პირდაპირ გავლენას იშვიათად ახდენს სხვა თეატრებზე მოვლენათა განვითარებაზე, გასაგებია, რომ ასეთი დიდი სტრატეგია არაპირდაპირი ქმედებების სფეროს განეკუთვნება.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც არაპირდაპირი ქმედებები სივრცის მიმართ: დიდი სტრატეგიის სფეროში არაპირდაპირი მოქმედების კიდევ ერთი ვარიანტია არაპირდაპირი მოქმედება სივრცის მიმართ. ამგვარი ქმედების ყველაზე ცნობილ და კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ჰანიბალის ქმედება მეორე პუნიკური ომის საწყის ეტაპზე. დიდმა მხედარმთავარმა იმ თეატრზე კი არ განახორციელა ძირითადი მოქმედება (ანუ ქმედება, რომელშიც მთავარი დაჯგუფებაა ჩართული), რომელიც პირდაპირ იყო მისაწვდომი, არამედ შემოვლითი, თანაც ძალიან შორეული და ძნელად გასავალი გზით მიიტანა იერიში რომზე. მან მომავალ მსოფლიოს მბრძანებლებს სიცილიის მხრიდან და შესაბამისად სამხრეთიდან კი არ შეუტია, არამედ ჩრდილო-დასავლეთიდან, ესპანეთის მხრიდან. ასე-

ჯონ ჩერჩილი მალბოროს დუკა (ჰერცოგი) და უინსტონ ჩერჩილის წინაპარი

თი ქმედება ძალიან რისკიანი იყო, მაგრამ მაინც გამართლებული აღმოჩნდა. სამხრეთ იტალიაში თვით წარმატებული გადასხდომის პირობებშიც კი პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ ჰანიბალს მოეხერხებია ისეთი დიდებული გამარჯვებები, რომლებსაც მიაღწია კანთან და ტრაზიმენის ტბასთან და თვით რომისათვის შეექმნა საფრთხე. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ პირდაპირი ქმედებებისას ჰანიბალს მოუწევდა საბრძოლო მოქმედებები და მარშები (რასაც ჰანიბალის ლაშქრობისას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა) წარემართა ან უშუალოდ რომის ან მისი იტალიელი მოკავშირეების ტერიტორიაზე. ესპანეთიდან შეტევისას ის გადაადგილდებოდა რომაელებისდამი მტრულად განწყობილ გალიაზე, სადაც მან მნიშვნელოვანი შევსება მიიღო და რომაელებს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური პრობლემებიც შეუქმნა.

ჰანიბალის მოქმედება სიერცეში არაპირდაპირი მოქმედების ყველაზე ცნობილი, მაგრამ არა ერთადერთი ვარიანტია. სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ. პელოპონესის ომისას: „ბრასიადემ, სპარტელთა ყველაზე ნიჭიერმა მხედარმთავარმა, მოახდინა ათენელთა მიერ ესოდენ ჯაფით მიღწეული უპირატესობის ლიკვიდაცია. მან ეს იმ მანევრის მეშვეობით შეძლო, რომელიც ფესვების გადაჭრაზეა ორიენტირებული და არა ღეროს მოჩეხვაზე. ბრასიადემ შემოუარა ათენს, ფორსირებული მარშით გაიარა მთელი საბერძნეთი და განახორციელა დარტყმა ათენის დომინიონ ხალკიდაზე, რომელსაც „ათენის იმპერიის“ „აქილევსის ქუსლს“ უწოდებდნენ. სამხედრო ძალით, აგრეთვე ყველა ქალაქისათვის თავისუფლების მინიჭებით და დაცვის გარანტიით, აიჯანყა ისინი ათენის წინააღმდეგ. მან იმდენად მოშალა ხალკიდაზე ათენის ბატონობა, რომ აიძულა, აქ მისი მთავარი ძალები გადაეგზავნა. ამფიოპოლთან ბრძოლაში ათენის არმიამ მძიმე მარცხი იწვნია და ბრასიადეს დაღუპვის მიუხედავად მოხარული იყო არახელსაყრელი ზავი დაედო“ (21, 31).

ამავე პელოპონესის ომიდან ცნობილია ათენელთა ლაშქრობა სიცილიის წინააღმდეგ, საიდანაც მათი მოწინააღმდეგე სპარტა მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს იღებდა. თუმცა, როგორც სამართლიანად არნიშნავს ლიდელ-ჰარტი, ეს ლაშქრობა: „იყო რა დიდი სტრატეგიის სფეროში არაპირდაპირი ქმედების ნიმუში, ამ ექსპედიციას (ალკიბიადესას სირაკუზის წინააღმდეგ

— კ.კ.) ის ნაკლი ჰქონდა, რომ დარტყმა ხდებოდა არა მოწინააღმდეგის რეალურ სამხედრო მოკავშირეზე, არამედ ქვეყნებზე, რომლებიც მასთან ეკონომიურად თანამშრომლობდნენ" (21, 32). თუმცა, ალკიბიადეს ლაშქრობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის მხოლოდ დიდ სტრატეგიაში სივრცის მიმართ არაპირდაპირი ქმედების მაგალითი კი არ იყო, არამედ არაპირდაპირი ქმედებებით მოწინააღმდეგის ძალმოსილების (ეკონომიკურის, მისთვის აუცილებელი სურსათის წყაროს ჩაკეტვის გზით) მოშლის მცდელობასაც წარმოადგენდა. ამ ტიპის ქმედებებზე ოდნავ ზემოთ გვქონდა საუბარი.

სივრცის მიმართ ასევე არაპირდაპირი ქმედების ნიმუშია ჰერაკლე კეისრის მოქმედება ბიზანტიისა და სასანიდური ირანის ომებისას. ეს ქმედება, იმისდა მიუხედავად, რომ მას ჩვენი დედაქალაქის გადაწვა მოჰყვა, სტრატეგიული თვალსაზრისით უაღესად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ჰერაკლემ საბრძოლო მოქმედებების ძირითადი თეატრი მოულოდნელად გადაიტანა მესოპოტამიიდან სამხრეთ კავკასიაში. ამას, გარდა სტრატეგიისა, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან ზოროასტრიზმის ძალით გავრცელებით შეშინებული ქართველების, სომხებისა და ალბანელების დიდი ნაწილი ბიზანტიელების მხარეს გადავიდა.

სივრცის მიმართ არაპირდაპირ ქმედებაზე ლაპარაკისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ომის წარმოების რომელ საფეხურთან გვაქვს საქმე. ყველა განხილული მაგალითი მოიცავს სივრცის მიმართ არაპირდაპირ ქმედებებს დიდი სტრატეგიის დონეზე. თუმცა შეიძლება ასეთი ქმედებები სამხედრო სტრატეგიის ან ტაქტიკის დონეზეც განხორციელდეს. პირველის მაგალითს იძლევა, ვთქვათ, მალბოროს მარში ბენილუქსიდან დუნაიმდე რაინის ჩაყოლებით, ხოლო ტაქტიკურისა — ნებისმიერი მოგებული ბრძოლა, რომლის ბედი მოწინაარმდეგის ფლანგის გავლით ზურგში შეღწევით სრულდება. ეს ქმედებები ქვემოთ იქნება განხილული.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგე კოალიციის ყველაზე სუსტ წერტილზე დარტყმა: ლიდელ-ჰარტი კლასიკურ სტრატეგიას უპირისპირდება შემდეგ პუნქტშიც: რომელ წევრზე უნდა იყოს განხორციელებული თავდაპირველი დარტყმა მოწინააღმდეგე კოალიციასთან ომისას — ძლიერზე თუ სუსტზე. იგი წერს: „ჩვენი კვლევის მეორე დასკვნა, შესაძლოა არცთუ ისე უდავო,

მაგრამ საინტერესო, მდგომარეობს იმაში, რომ რამოდენიმე სახელმწიფოსთან ან არმიასთან ომისას მიზანსეწონილია ძალთა კონცენტრაცია თავდაპირველად მოხდეს უფრო სუსტი მოწინააღმდეგის მიმართ და არ ჰქონდეს ადგილი უფრო ძლიერის განადგურების მცდელობას, იმ იმედით, რომ ძლიერი მოწინააღმდეგის განადგურება თავისთავად გამოიწვევს უფრო სუსტების კრახს" (21, 179). ამ მტკიცებით ლიდელ-ჰარტი კვლავ უპირისპირდება კლაუზევიცურ სტრატეგიას.

თავისი თვალსაზრისის გასამართლებლად ლიდელ-ჰარტი საინტერესო ინტერპრეტაციას აძლევს იტალიის პირველი კამპანიისას ნაპოლეონის ცნობილ წერილს, სადაც ვკითხულობთ: „ავსტრია ჩვენი უძლიერესი მოწინააღმდეგეა. თუ ავსტრია დამარცხდება, ესპანეთი და იტალია თავად დაიშლებიან. ჩვენი ძალები კი არ უნდა დავქსაქსოთ, არამედ კონცენტრირებულად გამოვიყენოთ" (21, 129).

ნაპოლეონის ამ გამონათქვამის კომენტირებისას ლიდელ-ჰარტი აღნიშნავს: „მაგრამ მემორანდუმის სრული ტექსტიდან ჩანს, რომ ნაპოლეონს მხედველობაში ჰქონდა არა პირდაპირი შეტევა ავსტრიაზე, არამედ პიემონტის საზღვარზე არმიის გამოყენება ავსტრიის წინააღმდეგ არაპირდაპირი ქმედებებისათვის. ნაპოლეონის ჩანაფიქრის თანახმად, ჩრდილო იტალია უნდა ყოფილიყო კორიდორი ავსტრიაში შესაღწევად. სწორედ ამ მეორეხარისხოვან თეატრზე, ბურსეს ბრინციპების თანახმად ის აპირებდა გაენადგურებინა ავსტრიის უმცროსი პარტნიორი — პიემონტი მანამ, სანამ უფროს პარტნიორს — ავსტრიას დაარტყამდა" (იქვე).

ყველაზე სუსტ წერტილზე დარტყმის ეფექტი კარგად გამოვლინდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს. პირველი მსოფლიო ომისას გერმანიის დამარცხების ფორსირება მოახდინა მისი სუსტი მოკავშირეების: ოსმალეთის, ბულგარეთისა და ავსტრია-უნგრეთის გამოსვლამ ომიდან. მეორე მსოფლიო ომში იტალიის ომიდან გამოსვლა წინ უსწრებდა გერმანიის მარცხს, მაგრამ როგორც ლიდელ-ჰარტი აღნიშნავს, მისი მტკიცება არ უნდა გავიგოთ როგორც უდავო, ანუ აბსოლუტური ხასიათისა. მაგალითად, საკითხავი რჩება რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომში უფრო ძლიერი მხარის — გერმანიის წინააღმდეგობა, მოკავშირეებს ძირითადი ძალების კონცენტრაცია გერმანიის უფრო სუსტი პარტნიორის-იაპონიის წინააღმდეგ რომ მიემართათ.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც პარტიზანული ომი: ამის ყველაზე კარგ მაგალითს წარმოადგენს ნაპოლეონის წინააღმდეგ ესპანელი და რუსი პარტიზანების მოქმედება, აგრეთვე მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა, იტალიელი, იუგოსლავიელი და ფრანგი პარტიზანების მოქმედება.

პარტიზანული რაზმების სტრუქტურა ხშირად უფრო მოქნილია და ძნელად მოწყლადი, ვიდრე რეგულარული არმიისა. თუმცა ლიდელ-ჰარტი აღნიშნავს, რომ ესპანური გერილია სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში ჯეროვნად არაა შეფასებული, რაც, მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ სამხედრო ისტორიკოსები, როგორც წესი, გართულნი არიან შთამბეჭდავი და გრანდიოზული პირდაპირი ბრძოლებითა და ფრონტალური შეტაკებებით და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გერილიას ტიპის არაპირდაპირ ქმედებებს.

ესპანური გერილიის ეფექტიანობაზე არა მხოლოდ ის მეტყველებს, რომ იქ ფრანგების დიდი ძალა ცდებოდა უქმად, არამედ — აბსოლუტური დანაკარგების რიცხვიც. ველინგტონის საექსპედიციო კორპუსთან ბრძოლებისას, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობში მოქმედებდა ესპანეთში, ფრანგებმა მხოლოდ 45 ათასი კაცი დაკარგეს (დაღუპულები, დაჭრილები და უგზო-უკვლოდ დაკარგულები) მაშინ, როდესაც უპირატესად პარტიზანებთან მეომარი ფრანგების დანაკარგი მხოლოდ ავადმყოფობისგან დღეში 100 კაცს შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გერილია თითქმის ექვს წელს (1808-13) გრძელდებოდა, დასკვნები ნათელი გახდება.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა: როგორც უკვე აღინიშნა, არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიისათვის, ყველა დონეზე არსებითია არა იმდენად მოწინააღმდეგის განადგურება, რამდენადაც მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა. ცხადია, ეს პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიურ მდგრადობას ეხება, რომელზეც ზემოთ გაკვრით ვილაპარაკეთ. ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლაზე საუბრისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, ვინ არის მდგრადობის მოშლის ობიექტი. დიდი სტრატეგიის დონეზე ეს უპირატესად არის მოწინააღმდეგის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე — მოწინააღმდეგის

სამხედრო ხელმძღვანელობა და მთლიანობაში შეიარაღებული ძალები, ტაქტიკურ დონეზე — ბრძოლაში უშუალოდ მონაწილე მოწინააღმდეგე. ამასთან, დიდი სტრატეგიის დონეზე მოულოდნელობის მიღწევა ძალიან ძნელია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ, როგორც კლაუზევიცი აღნიშნავდა, რაც უფრო მაღლა ადიხარ სტრატეგიიდან პოლიტიკისაკენ, ქმედება უფრო პროგნოზირებადია. მაგრამ ამ თეზისს შეიძლება დავუმატოთ — „როგორც წესი". დიდი სტრატეგის ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის თავის დონეზე სწორედაც არაპროგნოზირებადად მოიქცეს. ბუნებრივია, ასეთი ქმედებები დიდი სტრატეგიის ისტორიაში უფრო ძნელი მოსაძებნია, ვიდრე სამხედრო სტრატეგიისა და, მით უფრო, ტაქტიკის სფეროში, მაგრამ მაინც გვხვდება.

მოწინააღმდეგის პოლიტიკური და უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის მდგრადობა შეიძლება სრულიად სხვადასხვა საშუალებებით იქნას მოშლილი. ვთქვათ, დეზინფორმაციით, საინფორმაციო ომით, სამხედრო მოქმედებით (პირდაპირით ან არაპირდაპირით) და ა.შ. ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს მოულოდნელობის გარკვეულ ნაირსახეობასთან. თუ მოწინააღმდეგე ელოდება იმას, რასაც ჩვენ ვაპირებთ, ის გარკვეულ განწყობასაც ჩამოიყალიბებს, რომელიც მდგრადობის შენარჩუნებაში დაეხმარება.

მოულოდნელობის ეფექტით ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა შეიძლება ემყარებოდეს ან ომის მოულოდნელ დაწყებას (საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობა გარკვეულ ხანს შოკში იმყოფებოდა), ან ომში მოულოდნელად ჩართვის ეფექტს, ან მოწინააღმდეგის შეუფასებლობას (ხშირად მოწინააღმდეგის მიერვე პროვოცირებული დეზინფორმაციის სახით). ეს მეთოდები ძველთაგანვეა ცნობილი. მაგალითად: ძველ ბერძენთა და სპარსელთა ომისას გადამწვეტი საზღვაო ბრძოლა (სალამინის) შესაძლო გახდა ეშმაკობის, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის გზით, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც არაპირდაპირი მოქმედება. თემისტოკლემ ქსერქსეს მისწერა, რომ ბერძენთა ფლოტი მზადაა კაპიტულაციისათვის. ამ ეშმაკობის გზით მან სპარსელები ვიწრო სრუტეში შეიტყუა. ასეთი ტიპის ქმედებები დაწვრილებითაა განხილური ძველ აღმოსავლურ ტრაქტატებში სამხედრო ხელოვნების შესახებ, მაგალითად, სუნძის[93] ტრაქტატში და კაუტალიას[94] „ართჰაშასტრაში".

თუმცა, ეს ქმედებები ძირითადად სპეციალურ ოპერაციებს და სტრატეგიულ დონეზე წარმოებულ საინფორმაციო ომებს ეხება, რომელთა განხილვა ჩვენს ამოცანას სცილდება. მათ გარდა, ცნობილია ბევრი შემთხვევა, როდესაც სამხედრო ქმედებებს (როგორც პირდაპირს ისე არაპირდაპირს) მოსდევს მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა და მისთვის არახელსაყრელ ზავზე წასვლა. ავსტრიის მემკვიდრეობის ომისას ფრიდრიხ დიდის ვენასთან გამოჩენა ამის კარგი მაგალითია. შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა მაგალითი ნაპოლეონის 1796 წლის იტალიური კამპანიიდან. ამ დროს ნაპოლეონის ძირითადი მოწინააღმდეგეები იყვნენ ავსტრია და პიემონტის სამეფო (ჩრდილო იტალიური სახელმწიფო, რომლის ბაზაზეც მოგვიანებით შეიქმნა ერთიანი იტალია). ლიდელ-ჰარტი ამ კამპანიის აპოგეას ასე აღწერს: „პიემონტის მთავრობა თვლიდა, რომ ტურინისათვის (პიემონტის დედაქალაქი — კ.კ.) საფრთხე მოახლოებულ ფრანგთაგან ძალიან დიდია, ვინაიდან შემოვლითი გზით მომავალ ავსტრიელთა მხრიდან დახმარება ძალიან იგვიანებდა. ამ ფაქტის ფსიქოლოგიური ზეგავლენით პიემონტის მთავრობის მდგრადობა შესუსტდა და ის იძულებული გახდა, დაზავება ეთხოვა. ბონაპარტს აღარ დასჭირდა პიემონტელთა ბრძოლაში განადგურება. პიემონტი ამგვარად გამოვიდა ომიდან“ (21,130). არადა, საკმარისი იყო პიემონტის მთავრობას მდგრადობა არ მოშლოდა და რამდენიმე დღე გაეძლო, რომ ავსტრიელთა დახმარება მოუსწრებდა. ასე რომ, მხოლოდ დიდ სტრატეგიაში მიღწეული წარმატება არ იძლევა წარმატებას სამხედრო სტრატეგიაში. შეიძლება პირიქითაც მოხდეს და სამხედრო-სტრატეგიულმა წარმატებამაც მოშალოს მოწინააღმდეგის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფსიქოლოგიური მდგრადობა. ამასთან ხელმძღვანელობის პოლიტიკური მდგრადობის მოშლა გამოიწვევს მოსახლეობის მდგრადობის მოშლასაც. ამის კარგ მაგალითს იძლევა ჩეჩნეთის პირველი ომისას ჩეჩნების მიერ გროზნოს დაკავება, რამაც იმდენად მოშალა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მდგრადობა, რომ აიძულა ისინი წასულიყვნენ საზავო მოლაპარაკებებზე და ჩეჩნეთიდან ჯარის გაყვანაზე. რუსეთის მოსახლეობა მხოლოდ მიესალმა ამგვარ ქმედებებს.

ასეთი მაგალითების მოყვანა უახლესი ისტორიიდან კიდევ შეიძლება. მაგალითად, უინგეიტის სარდლობით სპეციალურად გაწვრთნილი ინგლისური რაზმების ე.წ. ჩინდიტების რეიდი ბირმის ჯუნ-

გლებში იაპონელების ღრმა ზურგში. მართალია, ოპერატიული აზრით, ამ ოპერაციამ ბოლომდე არ გაამართლა, მაგრამ გაამართლა ტაქტიკურად და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად. ინგლისელებმა ირწმუნეს, რომ იაპონელებთან ჯუნგლებში ომი შესაძლებელელია. ამ რეიდმა იაპონელების სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე საკმაო გავლენა მოახდინა.

დიდ სტრატეგიაში არაპირდაპირი ქმედების გამოყენება კომპლექსში ქმედებასთან სამხედრო სტრატეგიის სფეროში: დიდი სტრატეგიის სფეროში ძალიან ეფექტიანი შედეგი მოაქვს არაპირდაპირი ქმედების განხორციელებას სამხედრო-სტრატეგიულ ქმედებებთან კომპლექსში. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ისევ შვიდწლიანი ომის ეპიზოდი, სახელდობრ, ბრძოლა კანადისათვის. ინგლისელებმა ფრანგების წინააღმდეგ გამოიყენეს, ერთი მხრივ, არაპირდაპირი ქმედება დიდი სტრატეგიის სფეროში (საზღვაო ბლოკადა), ხოლო მეორე მხრივ, არაპირდაპირი მოქმედებები სამხედრო სტრატეგიაში სახმელეთო ოპერაციებისას. შედეგად საფრანგეთმა მთელი კანადა დაკარგა.

ანალოგიური ქმედებები ფრანგებმა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა კოლონისტებმა გამოიყენეს ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომისას. სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე მოკავშირეებმა (ამერიკელების სარდალი ვაშინგტონი, ფრანგებისა – როშამბო) განახორციელეს არაპირდაპირი ქმედების ისეთი ფორმა, როგორიცაა სახმელეთო ბლოკადა იორკტაუნში განლაგებული ინგლისელთა დაჯგუფების მიმართ, ხოლო ფრანგების ფლოტმა განახორციელა არაპირდაპირი ქმედება დიდი სტრატეგიის სფეროში (ამერიკის ნაპირების ბლოკადა ინგლისელთა მიმართ). ამ არაპირდაპირ და პირდაპირ ქმედებათა ერთობლიობამ ინგლისელთა არმია აიძულა ბრძოლის გარეშე დანებებულიყო. ფრანგებმა ზუსტად იმავე მეთოდით აიღეს რევანში, რომლითაც ისინი ინგლისელებმა ოციოდე წლით ადრე კანადაში დაამარცხეს. ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

არაპირდაპირი ქმედებები სამხედრო სტრატეგიის სფეროში: სამხედრო სტრატეგიის სფეროში არაპირდაპირი ქმედების ლიდელ-ჰარტისეული გაგების დახასიათება შეიძლება იმ სიტყვებით დავიწყოთ, რომლითაც ინგლისელი თეორეტიკოსი ფრიდრიხ დიდის ქმედებებს

აფასებს: „იგი (ფრიდრიხი) თვლიდა, რომ არაპირდაპირი ქმედებების სტრატეგია მდგომარეობს მანევრისა და მობილობის შერწყმაში, თუმცა მას მხედველობიდან გამორჩა მოქმედების მოულოდნელობა. სინამდვილეში არაპირდაპირი ქმედებების სტრატეგია (სამხედრო დონეზე – კ.კ.) განისაზღვრება მანევრის შერწყმით მოულოდნელობასთან და მობილურობასთან" (21, 121).

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა: ლიდელ-ჰარტის მიხედვით სამხედრო ისტორიიდან შეიძლება გაკეთდეს ორი დასკვნა. პირველი: აზრი არა აქვს პირდაპირ (ფრონტალური) შეტევას მოწინააღმდეგეზე, რომელიც მდგრადად ინარჩუნებს თავის პოზიციას. მეორე – იმისათვის, რომ განახორციელო დარტყმა მოწინააღმდეგეზე, წინასწარ უნდა ჩაკლა მასში წინააღმდეგობის ნება (ეს, თეზისი სრულიად საპირისპიროა კლაუზევიცური, ანუ კლასიკური სტრატეგიისა, რომლის თანახმადაც წინააღმდეგობის ნების ჩაკვლა ძალის გამოყენების შედეგია და არა ძალის გამოყენებისათვის წინმსწრები ფაქტორი).

იმ პიროვნებათა შორის, რომელთაც ეს ჭეშმარიტება ესმოდათ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ლიდელ-ჰარტი ასახელებს ლენინს. ინგლისელი თეორეტიკოსის აზრით, ცნობილი ტერორისტი (და შეთავსებით მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი) თვლიდა, რომ ყველაზე გონივრულია ის სტრატეგია, რომელიც ომის დაწყებას გადაავადებს მანამ, სანამ მოწინააღმდეგე ისე არ გაიხრწნება, რომ მისთვის სასიკვდილო დარტყმის მიყენება იოლიც იქნება და ეფექტიანიც. ცხადია, ასეთი რამ ყოველთვის არ არის განხორციელებადი, თუმცა ლიდელ-ჰარტის აზრით, შესაძლებელია ამ სტრატეგიის უფრო კორექტული და ფართო ფორმულირება: „ყოველი კამპანიისას ყველაზე გონივრული სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ დროში გაწელო ბრძოლის დაწყება, ხოლო ყველაზე გონივრული ტაქტიკა იმაში, რომ შეტევის დაწყება გაწელო მანამ, სანამ მოწინააღმდეგის მორალური მდგრადობა არ მოიშლება და არ შეიქმნება ხელსაყრელი პირობები გადამწყვეტი დარტყმისათვის" (21, 180).

ლიდელ-ჰარტი ახალ დროში ასეთი ეფექტიანი ქმედების მაგალითად იღებს ტიურენის[95] 1678-79 წლების ზამთრის კამპანიას, სახელდობრ, ტიურკემის ბრძოლას. აქ ტიურენი ყველაზე ნაკლებად ცდილობდა გაენადგურებინა მოწინააღმდეგის არმია, მიზანი იყო – მოეშალა მისი

მორალური მდგრადობა. ის ხელს არ უშლიდა, საგანთა ბუნებრივ დინებას დაესრულებინა მოწინააღმდეგის რიგების დაშლა (ამ პროცესს კი ხელი შეეშლებოდა, თუ ტიურენი პირდაპირ საბრძოლო ოპერაციებს დაიწყებდა. ეს, განსხვავებით უმოქმედობისა და უაზროდ ადგილის ტკეპნისა, მოწინააღმდეგეში საბრძოლო სულისკვეთების აღმავლობას გამოიწვევდა. თუმცა, ასეთი გაბედული ქმედება-უმოქმედობისათვის აუცილებელია, რომ შენი არმია მორალური მდგრადობის თვალსაზრისით შეუდარებლად ძლიერი იყოს მოწინააღმდეგეზე). შედეგად ტიურენი რამდენიმე დღეში ახსენებს მეფეს, რომ ელზასში მტრის არცერთი ჯარისკაცი აღარ იმყოფება.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც დამოუკიდებლობა მომარაგების ბაზებიდან: ლიდელ-ჰარტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნის ევროპაში მხედარმთავრები, რაოდენ შეზღუდულიც არ უნდა ყოფილიყო მათი სტრატეგიული თვალსაწიერი, ფრიად გაწაფულნი იყვნენ მანევრირების ხელოვნებაში. მათი ოსტატობა ისეთ დონეს აღწევდა, რომ თვით ფლანგების გარშემოვლა, რომელიც სხვა საუკუნეებში უმეტესწილად წარმატებით დამთავრდებოდა, გარშემოვლილი მხარის მიერ ოსტატურად ნეიტრალიზდებოდა. ტიურენმა ამ ეპოქისათვის არნახული რამ მოახერხა: დაამარცხა მოწინააღმდეგე ერთი კამპანიის ფარგლებში. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ტიურენამდე მხედარმთავრები მანევრირებდნენ, ეყრდნობოდნენ რა ციხე-სიმაგრეების ქსელს, რომლებიც ამავე დროს დაცულ საწყობებსაც წარმოადგენდა არმიის ლოგისტიკისათვის. ტიურენი თითქმის მთლიანად განთავისუფლდა სტაციონარული ოპერაციული ბაზების სისტემიდან. ის წარმატების საწინდარს მოულოდნელობასა და მობილობაში ხედავდა. ლიდელ-ჰარტის აზრით, ტიურენი ახალი დროის პირველი მხედარმთავარი იყო, ვინც გაიაზრა, რომ წარმატება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ გამოწვლილვითი გეგმის არსებობის პირობებში, რომელშიც არაპირდაპირი ქმედებები გადამწყვეტ როლს თამაშობენ.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის მოწყვეტა მისი მომარაგების ბაზებიდან: თუ მოწინააღმდეგე ვერ ახერხებს მიაღწიოს საკუთარი მომარაგების ბაზებიდან დამოუკიდებელი ქმედების უნარს, ის უკიდურესად მოწყლადი ხდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე მოახერხებს ჩადგეს მასსა და

მის მომარაგების ბაზებს შორის, დაიკავოს ეს უკანასკნელი ანდა საერთოდ მოახერხოს — შეაღწიოს მოწინააღმდეგის არმიასა და მის სახელმწიფო ტერიტორიას შორის. ასეთ ვითარებაში შეტევისას არაპირდაპირი მოქმედებები ჩვეულებრივ გამოიხატება გადაადგილებით მოწინააღმდეგის ეკონომიკური ობიექტების ანუ მისი (ქვეყნის ან არმიის) მომარაგების წყაროების წინააღმდეგ. ზოგჯერ ასეთ ქმედებებს შეიძლება ფსიქოლოგიური მიზანიც ჰქონდეს. თუმცა, ყველა შემთხვევაში ამ ქმედებათა ამოცანა ერთი უნდა იყოს — მოწინააღმდეგის საბრძოლო სულისკვეთების მოშლა და მისი შეიარაღებული ძალები. დისპოზიციის დარღვევა. ეს არის ნებისმიერი არაპირდაპირი ქმედების ეფექტურობის განსაზღვრის კრიტერიუმი.

ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომისას. ლუი XIV-ის წარმატებული აგრესიული პოლიტიკით შეწუხებულმა ევროპულმა სახელმწიფოებმა კოალიცია შექმნეს, რომლის ბირთვსაც ავსტრია, ინგლისი და ჰოლანდია შეადგენდნენ. ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსი მალბოროს სარდლობით ჰოლანდიაში გადასხდა. თუმცა ამას ფრანგებისათვის ხელი არ შეუშლია, დაეწყოთ შეტევა ჰოლანდიელებზე. ჰოლანდიელებმა გადაწყვიტეს, ციხე-სიმაგრეებისთვის შეეფარებინათ თავი და პასიური თავდაცვა დაეწყოთ. მაგრამ მალბორო სულ სხვა კატეგორიებით აზროვნებდა. ის არ ეთანხმებოდა ჰოლანდიელთა თავდაცვით სტრატეგიას, მაგრამ არც რაინის მიმართულებით მოქმედ საფრანგეთის არმიაზე მიიტანა პირდაპირი შეტევა. მალბორომ მიატოვა ჰოლანდიის ციხე-სიმაგრეები და პირდაპირ ფრანგების არმიასა და საფრანგეთის ტერიტორიას (ანუ ფრანგების არმიის ზურგისაკენ) იწყო მოძრაობა. ფრანგების სარდალი ბუფლე იძულებული გახდა, სასწრაფოდ დაეწ უკან დახევა. მალბოროს ჰქონდა ფრანგების ალყაში მოქცევის შესაძლებლობა, მაგრამ ამის წინააღმდეგ ჰოლანდიელები გამოვიდნენ. ჯერ ერთი ისინი დასჯერდნენ მოწინააღმდეგის თავიანთი ტერიტორიიდან განდევნას და მეორეც, ისინი ესწრაფოდნენ კომპრომისულ ზავს საფრანგეთთან (მათი ინტერესებიდან გამომდინარე ვერც გაამტყუნებ, ვინაიდან ინგლისელებისგან განსხვავებით ისინი საფრანგეთის უშუალო მეზობლები იყვნენ და არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ევროპის უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოსთან გამუდმებით ომის მდგომარეობაში ყოფილიყვნენ).

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მანევრი მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში: სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე განსხვავება პირდაპირი და არაპირდაპირ ქმედებებს შორის ნათლად ჩანს ამერიკის სამოქალაქო ომის მაგალითზეაქ ჩრდილოელთა ორმა მხედარმთავარმა: გრანტმა"[6] და შერმანმა"[7], შესაბამისად, პირდაპირი

გენერალი გრანტი

და არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიები აირჩიეს. უფრო ზუსტად, გრანტს პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან მიღებული ჰქონდა მითითება, ემოქმედა კლასიკური სტრატეგიის ფარგლებში, ხოლო შერმანს მოქმედების მეტი თავისუფლება მიეცა და მანაც ეს ვითარება არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიის არჩევისათვის გამოიყენა. ბუნებრივია, ლიდელ-ჰარტი ხელიდან არ გაუშვებდა ასეთი კამპანიის აღწერის შესაძლებლობას, რამეთუ ის შესანიშნავად ასურათებდა მის შეხედულებებს. ლიდელ-ჰარტი იხსენებს ინსტრუქციას, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომისას ჩრდილოეთის შტატების მთავარსარდალ გენერალ გრანტს მიეცა: „სადაც არ უნდა წავიდეს ლი (სამხრეთის ძალების სარდალი – კ. კ.) თქვენ მას უნდა გაჰყვეთ". თუმცა ინგლისელი მოაზროვნე აღნიშნავს, რომ, მართალია, გრანტის მარში პირდაპირი იყო ამ სიტყვის უფართოესი აზრით, მაგრამ ის არაეითარ შემთხვევაში არ ისახავდა მიზნად მოწინააღმდეგეზე ფრონტალური შეტევის მიტანას. გრანტი ფაქტობრივად გამუდმებით ცდილობდა მოწინააღმდეგისათვის ფლანგიდან შემოევლო, თუმცა ეს შემოვლები არ ატარებდა ღრმა ხასიათს. ამასთან გრანტი იცავდა კლასიკური სტრატეგიის მოთხოვნას და ჯარი მუდმივად კონცენტრირებული ჰყავდა, მიუხედავად მოწინააღმდეგის ყველა მცდელობისა – რამენაირად დაექსაქსა იგი ლიდელ-ჰარტი გრანტის სტრატეგიას უდარებს ჩრდილოელთა მეორე გენერლის – შერმანის ქმედებებს, რომლის სტრატეგია ბევრად უფრო არაპირდაპირ ხასიათს

ატარებდა. მაშინ, როცა გრანტი ძირითად მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის არმიის წინააღმდეგ უშუალო მოქმედებას, შერმანი ჯერ ცდილობდა საფრთხე შეექმნა მოწინააღმდეგის სტრატეგიული პუნქტებისათვის, რათა ეიძულებინა მოწინააღმდეგის არმია, ამ პუნქტების დასაცავად ემოქმედა და ამით თავი დარტყმის ქვეშ ჩაეყენებინა. თუ მოწინააღდეგე ამას არ ჩაიდენდა, შერმანს მრქმედების თავისუფლება მაინც რჩებოდა. აქედან გამომდინარე, შერმანს ყოველთვის ორი მიზანი ჰქონდა, ამასთან მეორეს, ანუ მოქმედების თავისუფლებას, ის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევდა.

თავისი ცნობილი რეიდისას მოწინააღმდეგის ზურგში, რომელმაც უდიდესი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამერიკის სამოქალაქო ომში, შერმანს ზურგთან მხოლოდ ერთი კომუნიკაცია აკავშირებდა. ამ სიტუაციაშიც კი მოწინაარმდეგესთან ფრონტალურ შეტევას ის ამჯობინებდა დროებით უარი ეთქვა ამ კომუნიკაციაზე და ადგილობრივი რესურსების ხარჯზე შეენახა თავი.

შერმანი შესანიშნავად იყენებდა კონტრშეტევებს. მისი არმია იმ დროისათვის საუკეთესოდ იყო დაუფლებული სასანგრე და საველე-საფორტიფიკაციო ნაგებობების სწრაფად აგების ხელოვნებას. მოწინააღმდეგის შეტევების მოგერიების შემდეგ შერმანი სტრატეგიულ სარგებელს ჰპოვებდა — ახალ ხელსაყრელ პოზიციას იკავებდა. მტრის ღრმა ზურგში წარმატებული მარშის შემდეგ შერმანმა ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი, სამხრეთელების ძირითადი დაჯგუფების ზურგში გავიდა, ორივე კაროლინას შტატი (ჩრდილოეთი და სამხრეთი) დაიკავა და ამით სამხრეთელებს ის პორტები წაართვა, საიდანაც ევროპიდან მათთვის აუცილებელი ტვირთები შეეძლოთ მიეღოთ.

პორტების დაკავების შემდეგ შერმანმა ზურგიდან მიიტანა იერიში სამხრეთელთა ძირითად დაჯგუფებაზე. ამასთან ის შეტევას ისე წარმართავდა, რომ კონფედერატებმა არ იცოდნენ — ორი პუნქტიდან რომელი იქნებოდა მისი შეტევის ობიექტი. თავდაპირველად გაურკვეველი იყო, რომელ პუნქტს დაიკავებდა შერმანი ერთმანეთისაგან 70 კმ-თი დაშორებული ქალაქებიდან: მეიქონიდან და ოგასტადან, ხოლო შემდეგ, როდესაც მეიქონს გასცდა, შერმანი ისე მოძრაობდა, რომ სამხრეთელები ვერ მიხვდნენ ოგასტას დაკავებას აპირებდა, თუ პორტ სავანასას. რაკი ობიექტის შერჩევის თავისუფლება ჰქონდა, შერმანს ყოველთვის შეეძლო, გადართულიყო ერთი ობიექტიდან მეორეზე,

თუ ამისათვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა. მაგრამ, როგორც ლიდელ-ჰარტი აღნიშნავს, ამის არავითარი აუცილებლობა არ გაჩენილა, ვინაიდან შერმანის მანევრებმა ისე დააბნია მოწინააღმდეგე, რომ მას საერთოდ დაეკარგა ყოველგვარი მოქმედების სურვილი.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის ძლიერი დაჯგუფებებისთვის გარემოვლა მასთან ბრძოლაში ჩაბმის გარეშე: ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომისას მალბორომ შეიმუშავა არაპირდაპირი მოქმედების გეგმა, რომელიც გაბედულებით ნაპოლეონის გეგმებს შეიძლება შევადაროთ. 1707 წელს მან მოკავშირეებს პარიზზე შეტევა შესთავაზა. მალბოროს გეგმით, მოკავშირეები არ უნდა ჩართულიყვნენ ციხე-სიმაგრეების ასაღებად მიმდინარე მომქანცველ ბრძოლებში, არამედ უბრალოდ შემოევლოთ მათთვის, საკუთარ ზურგში დაეტოვებინათ ისინი და პირდაპირ პარიზზე შეეტიათ. ეს მართლაც ნოვატორული გეგმა იყო იმის გათვალისწინებით, რომ ახალევროპული სამხედრო ხელოვნების ჩამოყალიბების დროიდან (ანუ XVII საუკუნიდან) ვიდრე ნაპოლეონამდე არავის არ მოსვლია თავში აზრად (ან უბრალოდ არ გაუბედია) კამპანიის მიზნად მოწინააღმდეგის დედაქალაქის ოკუპირება. გეგმა იმდენად ნოვატორული იყო, რომ მასზე თვით პრინცი ოიგენის მსგავსმა თავზეხალაღებულმა და გაბედულმა მხედარმთავარმაც კი უარი თქვა.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც შიდა კომუნიკაციების ეფექტის გამოყენება: კლაუზევიცის შეხედულებების განხილვისას აღვნიშნეთ ერთი პარადოქსი, რომელთან დაკავშირებით ლიდელ-ჰარტიც იგივე აზრისაა, როგორიც კლაუზევიცი. ეს აზრი ფრიდრიხ დიდის ომებს ეხება. ლიდელ-ჰარტიცა და კლაუზევიციც თელიან, რომ ფრიდრიხმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგეები (რუსები, ავსტრიელები, ფრანგები, შვედები) ერთდროულად რამდენიმე, თუმცა ერთმანეთთან დაუკავშირებელი მიმართულებიდან უტევდნენ. ფრიდრიხი მათ წინააღმდეგ იყენებდა შიდა კომუნიკაციების ეფექტს ანუ იმ გარემოებას, რომ შეეძლო თავისი ძალები საკუთარი სახელწიფოს ერთი ბოლოდან გადაესროლა მეორეში და რიგ-რიგობით გასწორებოდა თავის მოწინააღმდეგეებს. ამასთან, დიდი სტრატეგიის სფეროში ის არაპირდაპირ მოქმედებდა და ჯერ სუსტ მოწინააღმდეგეს უსწორდებოდა და მხოლოდ შემდეგ ძირითად ძალას მიმართავდა უფრო ძლიერისაკენ. ფრიდრიხი

თავისი ძალების გადაჯგუფებისათვის უმოკლეს მარშრუტებს იყენებდა და ცდილობდა მანამდე გამოეყვანა ერთი მოწინააღმდეგე მწყობრიდან, სანამ მეორე მიეხმარებოდა. ამ დროს დარტყმა უფრო სუსტ მოწინააღმდეგეზე სრულიად ლოგიკური იყო, ვინაიდან სუსტი მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანა უფრო ნაკლებ დროს მოითხოვს, შესაბამისად, ნაკლები შანსი რჩება იმისათვის, რომ უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე მის დახმარებას მოასწრებს.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოქნილი ქმედებები: არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიაში არ გადის ისეთი მკვეთრი ხაზი თავდაცვით და შეტევით (და, შესაძლოა, სტრატეგიულ და ტაქტიკურ) ქმედებებს შორის, როგორც ეს კლასიკურ სტრატეგიაში ხდება. აქ სამხედრო ქმედებები ელასტიურ ხასიათს ატარებს. სტრატეგიული და ტაქტიკური კვლევების ერთიანობაში მოყვანისას იკვეთება ორი ვარიანტი. პირველი არის ის, რასაც ლიდელ-ჰარტი ელასტიურ თავდაცვას უწოდებს, ანუ გამიზნულ უკანდახევას შემდგომი ტაქტიკური კონტრშეტევით. მეორე ვარიანტის შემთხვევაში ვახორციელებთ გამიზნულ სტრატეგიულ შეტევას, რათა უკეთესი მდგომარეობა მოვიპოვოთ მოწინააღმდეგესთან შედარებით და შემდეგ, ზურგიდან საფრთხის შემთხვევაში, გადავდივართ ტაქტიკურ თავდაცვაზე. ორივე ტიპი არაპირდაპირ ქმედებებს წარმოადგენს, ხოლო მათი ფსიქოლოგიური საფუძველი შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით: შეიტყუე მოწინააღმდეგე ხაფანგში.

ამასთან მტკიცება შეტევასთან შედარებით თავადაცვის ძლიერებაზე — კიდევ უფრო სიღრმისეულ საფუძველს შეიცავს, ვიდრე თავად კლაუზევიცს წარმოედგინა. თავდაცვა მართლაც სტრატეგიის უფრო სიღრმისეული და ეკონომიური ფორმაა. საჭიროა გარეგნულად შეტევითი ხასიათის მაგვარი გადაადგილებებით ვაიძულოთ მოწინააღმდეგე, ვადაზე ადრე გადავიდეს შეტევაზე. არაპირდაპირი ქმედებების ყველაზე ეფექტიანი ხერხია აიძულო მოწინააღმდეგე, გააკეთოს ისეთი მოძრაობა, რომელზეც მას ისე დაიჭერ და მის ძალისხმევას მისსავე წინააღმდეგ გამოიყენებ, როგორც აიკიდოში.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის დაბნევა: მოწინააღმდეგის დაბნევა რამდენიმე საშუალებით შეიძლება. მაგალითად, მოულოდნელი ქმედებებით ან ჩვენს მიერ შერჩეულ სტრატეგიასთან თუ დასაკავებელ პუნქტებთან

დაკავშირებით მის გაურკვევლობაში მოქცევით. ამის მაგალითია მალბოროს ცნობილი მარში ბელგიიდან დუნაიმდე რაინის ჩაყოლებით. 1704 წელს მალბორომ ახალი კამპანია დაიწყო. ამ მომენტისათვის ფრანგებმა სამი არმიის გამოყვანა მოახერხეს, რომელთაგან ერთი (სარდალი ვილერუა) ჰოლანდიის საზღვარზე, ფლანდრიაში (დაახლოებით დღევანდელი ბელგია) მოქმედებდა, მეორე არმია (სარდალი ტილიარი) სტრასბურგსა და მის ჩრდილოეთით, მანჰაიმამდე მოქმედებდა, ხოლო მესამე, რომელსაც ბავარიის კურფურსტი და მარშალი მარსე სარდლობდნენ, დუნაის პირას მოქმედებდა და ვენის მიმართულებით გადაადგილდებოდა. წარმატების შემთხვევაში ამ მანევრს შეიძლებოდა ეჭვქვეშ დაეყენებინა ავსტრიის მონაწილეობა ომში. მალბორომ გადაწყვიტა, მოეხსნა ეს საფრთხე და მაასიდან, ანუ ჰოლანდიიდან რაინის ჩაყოლებით დუნაისაკენ გაემართა. ეს მართლაც ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მარშია სამხედრო ისტორიაში.

მალბორომ, არაპირდაპირი სტრატეგიის პრინციპების თანახმად, გადაწყვიტა ომიდან ჯერ მოწინააღმდეგე კოალიციის უფრო სუსტი მონაწილე — ბავარია გამოეყვანა. თანაც მას უნდა ემოქმედა რაიონში, რომელიც მისი ძირითადი ბაზებიდან (მათ შორის მომარაგების) ასეულობით კილომეტრზე იყო დაშორებული. მანევრის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო მისი მოულოდნელობის შოკური ეფექტით. ამასთან მალბორო მუდმივ ცვლიდა თავისი მოძრაობის მიმართულებას ისე, რომ ყოველთვის უქმნიდა მუქარას ერთდროულად რამოდენიმე პუნქტს, რაც მოწინააღმდეგეს ძალიან უძნელებდა მის მოქმედებებზე რეაგირებას.

თავდაპირველად, როდესაც მალბორო რაინს აუყვა, ისე ჩანდა, თითქოს ის საკუთრივ საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრებოდა. როდესაც მან ეს არ ჩაიდინა და მოძრაობა სამხრეთით გააგრძელა, ეარაუდობდნენ, რომ ის ელზასში განაგებულ ფრანგულ ძალებს (ტილიარის არმიას) შეუტევდა. მალბორომ შეგნებულად გააძლიერა ეს შთაბეჭდილება იმით,რომ ფილიპსბურგის რაიონში დემონსტრაციულად დაიწყო რაინზე გადასასვლელის აგება. მაგრამ მიეიდა რა მანჰაიმთან, საიდანაც მოწინააღმდეგის ვარაუდით მალბოროს სამხრეთ-დასავლეთით უნდა დაეწყო მარშირება, მან პირი იქცია და სამხრეთ-აღმოსავლეთით იწყო სვლა, გაუჩინარდა მდინარე ნეკერის დაბლობის მიმდებარე მთიან-ტყიან რაიონში, შემდეგ კი მოულოდნელად გამოჩნდა დუნაის პირას

და შეუერთდა ოიგენ საოელისა და ბადენის მარკგრაფის მოკავშირე არმიებს (მთელი მარში ექვს კვირას გაგრძელდა). ამის შემდეგ მოკავშირეებმა მიმართულებები გაცვალეს, მალბორო და ბადენის მარკგრაფი სამხრეთით გაემართნენ, ხოლო პრინცმა ოიგენმა სელა ჩრდილოეთით გააგრძელა, რათა შეეკავებინა ვილერუას არმია, რომლის გასავათებული ჯარისკაცები ჰოლანდიიდან მოსდევდნენ მალბოროს. მათი შეჩერება ოიგენის დასვენებულ არმიას დიდად არ გასჭირვებია. 14 აგვისტოს ბლანჰაიმთან მალბოროსა და ოიგენის არმიებმა სასტიკად დაამარცხეს მარსესა და ტალიარის არმიები (ამ უკანასკნელის დიდი ნაწილი დუნაისთან იქნა მიმწყვდეული და იძულებული გახდა დანებებულიყო). ამ გამარჯვებას, გარდა სამხედროსი, უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. მითი საფრანგეთის არმიის უძლეველობაზე გაიფანტა.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებით დიდი სტრატეგიისაგან, სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე ფსიქოლოგიურო მდგრადობის მოშლის ძირითადი ობიექტია მთლიანობაში მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები და მათი ხელმძღვანელობა. ასეთი ქმედებები სამხედრო ისტორიაში მრავლად მოგვეპოვება.

პრინცი ოიგენ საოელი

ლიდელ-ჰარტი აღნიშნავს, რომ იმ მოგებულ ბრძოლებს შორის, რომლებმაც გადაწყვიტა ომების ბედი, უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული მხარე მოწინააღმდეგეს უკვე ბრძოლის დაწყებამდე აყენებდა არახელსაყრელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. ასეთი ბრძოლების მაგალითად ლიდელ-ჰარტი მიიჩნევს: მარათონს, სალამინთან ბრძოლას, გავგამელს (დიდი სტრატეგიის სფეროში), ჰიდასპს, იპსას, ტრაზიმენის ტბასთან ბრძოლას, კანს, ზამას, ჰასტინგს, პრესტონს, ვუსტერტს,

ბლენჰაიმს, კვებეკს, რივოლის, აუსტერლიცს, იენას, სადოვას, სედანს. ამასთან, ლიდელ-ჰარტი სრულიად სამართლიანად შენიშნავს: „თუ საკუთარ ძალებში რწმენა სანახევროდ განაპირობებს გამარჯვებას, გამარჯვების შესაძლებლობაში მოწინააღმდეგის რწმენის სანახევროდ მოშლა განაპირობებს ბრძოლის წარმატებას, თანაც ძალთა ძალიან მცირე დაძაბვით".

მოწინააღმდეგის მთელი არმიისა და სამხედრო ხელმძღანელობის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა შეიძლება სრულიად სხვადასხვა საშუალებებით იქნეს მიღწეული. ყველა მათგანმა მოწინააღმდეგის არმიის ჯარისკაცთა, ოფიცერთა და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობაში უნდა აღძრას უიმედობის განცდა და კომპლექსი — „ომს აზრი მაინც არა აქვს". ამ მიზნის მიღწევის საშუალებათაგან შეიძლება გამოიყოს ისეთები, როგორებიცაა:

მოწინააღმდეგის დარწმუნება იმაში, რომ აბსოლუტური უპირატესობა გაგაჩნია იარაღსა და ტექნიკაში, აგრეთვე დარწმუნება იმაში, რომ ის განწირულია მიუხედავად იმისა, როგორ იბრძოლებს;

მოწინააღმდეგის ისტორიული კომპლექსებიდან მომდინარე სტერეოტიპების გამოყენება, ტიპისა: „რუსს რა მოერევა" და სხვ;

მოულოდნელი მანევრებით მოწინააღმდეგის დაბნევა და საკუთარი მხედარმთავრის ავტორიტეტით ოპერირება. საკმარისი იყო შერმანის კოლონები მიახლოებოდნენ სამხრეთელთა პოზიციებს და დაეწყოთ ყვირილი — „ჩვენ შერმანის ჯარისკაცები ვართ, გააჭერით აქედან" — რომ სამხრეთელები პოზიციებს თვითნებურად ტოვებდნენ. ანალოგიურ პროცესს ჰქონდა ადგილი იტალიის გაერთიანებისათვის ომისას, როდესაც პიემონტის მოწინააღმდეგეები, როცა იგებდნენ, რომ მათ წინ გარიბალდის ჯარისკაცები იდგნენ, შეძახილით — „ვივა გარიბალდი" — მოწინააღმდეგის მხარეს გადადიოდნენ (თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ორივე

გენერალი შერმანი

შემთხვევაში მოწინააღმდეგეები ერთი ერის წარმომადგენლები იყვნენ. შერმანისა და გარიბალდის მოწინააღმდეგეები ისეთივე ამერიკელები და იტალიელები იყვნენ, როგორც მათი ჯარისკაცები).

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის ძალების დაქსაქსვა: მოწინააღმდეგის ძალების დაქსაქსვა სამხედრო სტრატეგიაში ცნობილი ერთ-ერთი ხერხია. ახალ დროში ეს მეთოდი თეორიულად შეიმუშავა ბურსემ და პრაქტიკაში ჩინებულად გამოიყენა ნაპოლეონმა. ლიდელ-ჰარტი წერს: „ბურსესგან ნაპოლეონმა აითვისა ძალების შეგნებულად დაქსაქსვის პრინციპი, რომ მოწინააღმდეგეც ეიძულებინა,დაექსაქსა თავისი ძალები და შემდეგ მოეხდინა საკუთარი ძალების სწრაფი კონცენტრაცია ისეთ ვითარებაში, როდესაც მოწინააღმდეგე ამას ვერ ასწრებს, შემდეგ კი — სწრაფი მოქმედება მოწინააღმდეგის დაქსაქსული ძალების წინააღმდეგ" (21, 124-125). საინტერესოა, რომ, როგორც ადმირალმა მეჰენმა[98] თავის კლასიკურად ქცეულ მონოგრაფიაში დაასაბუთა, ნაპოლეონი თავდაპირველად ამ სტრატეგიის განხორციელებას ზღვაზე აპირებდა, მაგრამ ტრაფალგართან მარცხის შემდეგ იძულებული გახდა, ეს პრინციპი კონტინენტურ თეატრზე გადაეტანა.

სამხედრო-სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეებზე მოწინააღმდეგის იძულება — დაქსაქსოს ძალები — სხვადასხვა ფორმითა და საშუალებებით ხორციელდება. ძალების დაქსაქსვის ერთ-ერთი ფორმაა მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანა, განრიდება. პარტიზანების ან კომანდოსების მოქმედება მტრის ზურგში ამის კარგი ნიმუშია. მაგალითად, ესპანეთში გერილიისას პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლით დაკავებულმა ორმა ფრანგულმა კორპუსმა (60 ათასამდე კაცმა) ვერ მოახერხა დახმარებოდა პორტუგალიაში მოქმედ მასენას დაჯგუფებას.

არადა მათ წინააღმდეგ სულ რამდენიმე ათასი პარტიზანი და პარტიზანულ ტაქტიკას დაუფლებული რეგულარული არმიის მეომარი იბრძოდა. ყურადღების გადატანის სხვა ფორმებია ტაქტიკური საზღვაო დესანტების გადასხმა ან ამის მუქარა, რომელიც მოწინააღმდეგეს აიძულებს ძალების უმიზნო შენარჩუნებას ზურგში; ზურგში ალყაშემორტყმული დაჯგუფებების მიერ წინააღმდეგობის გაგრძელება (როგორც ამას საბჭოთა არმია აკეთებდა მეორე მსოფლიო ომისას) და სხვა ანალოგიური ხასიათის მოქმედებები.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა: ასეთი მოქმედების მაგალითად ლიდელ-ჰარტი მიიჩნევს ნაპოლეონის მოქმედებას 1805 წელს ავსტრიელთა და რუსების წინააღმდეგ. ლიდელ-ჰარტი წერს: „ასეთ ვითარებაში ნაპოლეონმა ფსიქოლოგიური ხასიათის არაპირდაპირ ქმედებებს მიმართა: ის შეეცადა სისუსტის იმიტაციიით ეიძულებინა რუსები გადასულიყვნენ შეტევაზე. ბრიუნთან (დღევანდელი ბრნო ჩეხეთში – კ.კ.) მან მხოლოდ 50 ათასი მეომრის კონცენტრირება მოახდინა რუსების 80 ათას კაციანი დაჯგუფების წინააღმდეგ და ცალკეული რაზმები ოლომოუცის მიმართულებით გაგზავნა. სისუსტის ამ დემონსტრაციის პარალელურად ნაპოლეონმა რუსეთის მეფესა და ავსტრიის იმპერატორს „მშვიდობის მტრედები“ გაუგზავნა. როდესაც რუსები და ავსტრიელები სატყუარაზე წამოეგნენ, ნაპოლეონმა თავისი არმია აუსტერლიცის პოზიციაზე დახია, რომელიც თითქოს ბუნებით იყო მოწოდებული ხაფანგის როლის შესრულებისათვის. შემდეგ ბრძოლაში მან გამოიყენა მისთვის იშვიათად დამახასიათებელი არაპირდაპირი ტაქტიკური ქმედება, რათა მოეხდინა ნეიტრალიზება ძალების უკმარისობისა, რაც მას ძალიან იშვიათად ემართებოდა. მან უკანდახევის პროცესში მყოფი საფრანგეთის არმიისათვის შემტევი მოწინააღმდეგე აიძულა მეტისმეტად გაეწელა მარცხენა ფლანგი, გადააჯგუფა ძალები ცენტრში და მოწინააღმდეგის შესუსტებულ მიჯნაზე დაარტყა. შედეგად გადამწყვეტი გამარჯვება იქნა მიღწეული, რის შემდეგაც ოცდაოთხი საათიც არ იყო გასული, რომ ავსტრიის იმპერატორმა ზავი ითხოვა“ (21, 137-138).

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც სტრატეგიული ჩასაფრების გამოყენება: მოქმედების ეს ხერხი ალექსანდრეს მაკედონელის ინდოეთში ლაშქრობის მაგალითზე შეიძლება იქნეს დემონსტრირებული. ლიდელ-ჰარტი წერს: „შეხვდა რა ინდოეთის მეფე პოროსს მდინარე ჰიდასპზე, ალექსანდრემ გვიჩვენა არაპირდაპირი ქმედებების ნიმუშები, რომლებიც მისი სტრატეგიული ხელოვნების სიმწიფეზე მეტყველებს. მან მეომრები სიმინდებში (ჩანს, აქ ლიდელ-ჰარტი ლერწამს გულისხმობს, თორემ მაშინ აღმოსავლეთ ნახევარსფეროში გასაგები მიზეზების გამო სიმინდი ცნობილი არ იყო – კ.კ.) დამალა და, ფართოდ გაშალა რა არმია მდინარის დასავლეთ

ნაპირის გასწვრივ, ალექსანდრემ მოწინააღმდეგე შეცდომაში შეიყვანა თავისი ჩანაფიქრის შესახებ. კავალერიის დემონსტრაციული ხმაურიანი გადაადგილებით ალექსანდრეს პოროსი ჯერ შეცდომაში შეყავდა, ხოლო შემდეგ მისი ყურადღება მოადუნა" (21, 42).

ეს ხერხი განსაკუთრებით ეფექტიანად გამოიყენებოდა მონღოლების მიერ. ჩინგის ხანიდან მოყოლებული ამ არაპირდაპირმა ქმედებამ სამხედრო სტრატეგიის სფეროში უდიდესი როლი შეასრულა მონღოლთა მიერ მსოფლიო იმპერიის შექმნაში.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც სამხედრო გამარჯვებების ტრანსფორმირება დიდი სტრატეგიის სფეროში გამარჯვებად. დიდი სტრატეგიის სფეროში არაპირდაპირი ქმედებები არა მარტო ზეგავლენას ახდენს სტრატეგიულ დონეზე მიმდინარე სამხედრო მოქმედებების შედეგზე, არამედ პირუკუც სტრატეგიულ ბრძოლაში ან კამპანიაში მიღწეული წარმატება გავლენას ახდენს დიდ სტრატეგიაზე, წარმოშობს რა მასში ტენდენციებს, რომლებიც ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად ცვლიან მოვლენათა დინებას. როგორც აღვნიშნეთ, არაპირდაპირი ქმედების სტრატეგიის უმთავრესი ამოცანაა მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა. თუ ეს მდგრადობა მოიშალა დიდი სტრატეგიის დონეზე, მოიშლება უფრო ქვემო საფეხურებზეც (სამხედრო-სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეებზე). ეს ერთნაირად ეხება, როგორც დიდი სოციალური ჯგუფების, ისე მმართველი ელიტების ფსიქოლოგიას. მაგალითად, ლიდელ-ჰარტი მიმართავს მალბოროს კამპანიას 1705 წელს, რომლის შედეგებმა გაფანტა მითი ლუი XIV-ის არმიის უძლეველობაზე და მნიშვნელოვანი, თუმცა არა-პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ასეთი მოქმედების მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომიდან. ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომისას ფრიდრიხ დიდი თავის მომავალ მოწინააღმდეგესთან, საფრანგეთთან ერთად ერთ კოალიციაში იბრძოდა. თავდაპირველად მოკავშირეებს საქმე არცთუ სახარბიელოდ მისდიოდათ. ფრიდრიხი პრუსიიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდა, რათა ფრანგებს შეერთებოდა და ერთიანი ძალებით შეეტიათ ავსტრიელებისათვის. მაგრამ პრუსიის მეფემ მოულოდნელი არაპირდაპირი მანევრები განახორციელა. მან

მოულოდნელად შემოაბრუნა თავისი არმია სამხრეთით და პირდაპირ ვენისაკენ გაემართა იმისდა მიუხედავად, რომ იგი აშკარად არ ფლობდა მოწინააღმდეგის დედაქალაქის აღებისათვის საკმარის ძალებს. როდესაც პრუსიელთა მოწინავე ჯარი ვენას მიუახლოვდა, ფრიდრიხმა, დაინახა რა, რომ ავსტრიელები მასსა და მის მომარაგების ბაზას შორის ჩადგომას ცდილობდნენ, სწრაფად დაიხია უკან. მას ავსტიელები მიჰყვნენ. სილეზიის სიღრმეში უკანდახევის შემდეგ ფრიდრიხმა მოულოდნელად დაარტყმა ავსტრიელებს ჰოტუზიცის სიახლოვეს და ავსტრიელთა განადგურება გადეენებით დაასრულა. სამ კვირაში ავსტრია იძულებულა გახდა, ზავი დაედო პრუსიასთან და მისთვის სილეზია დაეთმო. ეს ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც არაპირდაპირი ქმედებები სამხედრო სტრატეგიის სფეროში გავლენას ახდენს დიდი სტრატეგიის შედეგებზე.

ვენის კედლებთან მოულოდნელი გამოჩენით ფრიდრიხმა ისეთ დიდ ფსიქოლოგიურ ეფექტს მიაღწია, რომ ჰოტუზიცთან გამარჯვება (შესაძლოა იმდენად სტრატეგიულიც კი არა, რამდენადაც ტაქტიკური) დიდი სტრატეგიისა და პოლიტიკის სფეროში მეტი წარმატების მომტანი აღმოჩნდა, ვიდრე ფრიდრიხის რიგი ბრწყინვალე კამპანიები.

გადასვლა არაპირდაპირი ქმედებების სამხედრო სტრატეგიიგან ტაქტიკაზე: როგორც სამხედრო სტრატეგია არის დიდი სტრატეგიის კონკრეტული შემთხვევა, არაპირდაპირი ქმედებების ტაქტიკაც არის ტაქტიკურ დონეზე იმავე ხერხების გადატანა, რომლებიც სამხედრო სტრატეგიაში გეხვდება. მაგალითად, ერთდროულად დარტყმა ფლანგსა და ცენტრზე, გარშემოვლა, ზურგში გასვლა, პოზიციის მდგრადობის მოშლა. ყოველივე ეს არაპირდაპირი ქმედებებით შეიძლება განხორციელდეს როგორც სამხედრო სტრატეგიის, ისე ტაქტიკის დონეზე. თუმცა, არაპირდაპირი ქმედებების ტაქტიკა, ისევე როგორც ტაქტიკა ზოგადად, სცილდება ჩვენი გამოკვლევის თემატიკას.

თავი 5
არაკლასიკური (ჰიპერმოდერნისტული) თეორიები

§74
კლასიკური სტრატეგიის კრიზისის მიზეზები

თანამედროვე სამხედრო აზრის კლასიკოსი, ისრაელი მარტინ ვან კრეველდი, განიხილავს რა სტრატეგიის როგორც ადამიანური საქმიანობის თავისებურებას, წერს: „ანალიტიკურ იარაღად განხილული სტრატეგია თავის გაბატონებულ მდგომარეობას იმით აღწევს, რომ მას კონფლიქტის, მისი გარემოს, საშუალებებისა და თავად გამოყენებული ძალადობის მასშტაბის გამოცნობაც კი შეუძლია. ამ მიმართებით ბრძოლის ველზე პირისპირ მდგომი ორი შტაბის სტრატეგია ბევრი რამით ერთმანეთის მსგავსია. ხოლო კონტინენტის დასაპყრობად მებრძოლი ორი არმიის სტრატეგია საერთოდ ერთი და იგივეა. იგი მსგავსი რჩება, კვადრატულ კილომეტრიანი ტერიტორიის, მილიონობით კვადრატული კილომეტრიანი ოკეანის, შეუზღუდავი და მუდმივად მოძრავი საჰაერო სივრცისა თუ თავად საჭადრაკო დაფის შემთხვევაში. სტრატეგისათვის არაა არსებითი, თუ რა სახის იქნება კონფლიქტში გამოყენებული იარაღი: მართული რაკეტები, თოფები, შუბები თუ ფერადი ჩიფსები. თუმცა იგი ფეხბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და, უფრო მეტად, უმანკო ბავშვების თამაშების საფუძველშია. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ ეს საქმიანობები ისეთი „სტრატეგიული“ ცნებებით შეიძლება იქნას აღწერილი, როგორებიცა: თავდასხმა, თავდაცვა და ასე შემდეგ“. (37, 179). მაგრამ სტრატეგიის ხსენებული უნივერსალობა თავის თავითვე შეიცავს მისი არაეფექტიანობის საფრთხეს. თუ ორი ძალის რესურსები (როგორც მატერიალური, ისე სულიერი) დაახლოებით ერთმანეთის ტოლია, თუ მათი სტრატეგები (კოლექტიური ან ინდივიდუალური) ერთნაირად გეგმავენ და მოქმედებენ, რომელიმე მხარის გამარჯვების ალბათობა შეუდარებლად უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ყაიმისა თუ პატისა. პრინციპში პატიც ყაიმის ნაირსახეობაა, ოღონდ უფრო ჩიხური. განსხვავებით ჩვეულებრივი ყაიმისაგან, რომელიც მხარეთა ურთიერთშეთანხმებას ემყარება (ომის შემთხვევაში ასეთ ყაიმს შეიძლება საზავო ხელშეკრულების ფორმა ჰქონდეს), პატის

შემთხვევაში ყაიმისაკენ მხარეთა ნება კი არა, გარემოებათა დიქტატი უბიძგებს.

ინფორმაციის მასობრივ გავრცელებას, რასაც XX საუკუნის დასაწყისიდან ჰქონდა ადგილი, შედეგად მოჰყვა ის, რომ ყველა სახელმწიფო მოღვაწემ, სამხედრომ, ბიზნესმენმა და მოჭადრაკემაც კი, ერთნაირი მეთოდებით დაიწყეს თავიანთი ქმედებების დაგეგმვა. ითვლებოდა, რომ ამგვარი დაგეგმვის პრინციპები გონივრული, რაციონალური და მეცნიერული უნდა ყოფილიყო. ეს გულისხმობდა იმას, რომ პოლიტიკოსის, ბიზნესმენის, სამხედროსა და მოჭადრაკის გადაწყვეტილება საშუალო სტატისტიკური უნდა ყოფილიყო, რაზეც პრინციპში ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა პოლიტიკოსისა თუ ბიზნესმენის პიროვნულ თავისებურებებსა და მენტალობას. როგორც ფიზიკური ექსპერიმენტის შედეგების ანალიზისას მხედველობაში არ მიიღებოდა მკვლევარის ეროვნება, სქესი ან ფსიქოლოგია. სამეცნიერო თუ სამხედრო, ეკონომიკური თუ ბიზნესის ორივე მხარის ლიდერები ერთნაირად „ოპტიმალურ" და „რაციონალურ" გადაწყვეტილებებს უნდა იღებდნენ. ასეთ გადაწყვეტილებებს კი მათი რესურსების ტოლობის პირობებში საქმე ჩიხამდე მიყავდათ. ყველა ბიზნესმენი ერთნაირად გეგმავდა ბიზნესს, პოლიტიკოსი — პოლიტიკას. ანალიტიკური სისტემისა და რესურსების ტოლობის შემთხვევაში ამას შედეგად ის მოსდევდა, რასაც „პოზიციურ ჩიხს" ეძახიან.

ანალიტიკური ანუ კლასიკური სტრატეგიის სისტემების კრიზისი ერთდროულად რამდენიმე სფეროში გამოჩნდა, დაწყებული ჭადრაკიდან და ვიდრე პირველი მსოფლიო ომით დამთავრებული. ანალიტიკური მიდგომის კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა იმაში, რომ დაპირისპირებული მხარეები ერთი და იმავე მოდელს იყენებდნენ (თანაც ვან კრეველდის არ იყოს, ისეთი ფართო ამპლიტუდით, რომელიც მოიცავდა ყოველივეს, ომიდან ჭადრაკამდე და თანაც ერთნაირი ეფექტიანობით). თავდაპირველად პოზიციურმა ჩიხმა პირველი მსოფლიო ომის დროს იჩინა თავი და გამოიხატა კლასიკური სტრატეგიის კრიზისში. კლასიკური სტრატეგიის უმთავრესი პრინციპია სიტუაციის გათვლა. მაგრამ იმისათვის,რომ სიტუაცია გაითვალოს, იგი უნდა თავის თავში შეიცავდეს გათვლად და რაციონალურ პარამეტრებს. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ სიტუაცია ყოველივე ამას არ შეიცავს? როგორ მოვიქცეთ ქაოტური

სიტუაციის მართვისას? დაბოლოს, როგორ მოვიქცეთ სიტუაციაში, როდესაც ორივე მხარეს დაახლოებით ტოლი რესურსები გააჩნია, დაახლოებით ერთნაირად გეგმავს, აზროვნებს და მოქმედებს? როგორც ცნობული რუსი სტრატეგიის თეორეტიკოსი აღნიშნავს: „სამხედრო დაგეგმვის საქმე მოლტკე უფროსისა და შლიფენის დროს მივიდა მათემატიკური გამოთვლის სტადიამდე და უცებ აღმოჩნდა განვითარების ჩიხში" (25', 815-816). აქედან გამომდინარე: „მაღალი ინფორმაციული კავშირებიდან გამომდინარე 20-იანი წლების დასაწყისში სხვადასხვა ქვეყანაში სამხედრო მეცნიერების განვითარების დონე ერთნაირი აღმოჩნდა. ანალიტიკური სტრატეგია არის ზუსტი მეცნიერება, ის ობიექტურია, ე.ი. მხედარმთავრის გადაწყვეტილება დამოკიდებული არ არის მის პიროვნულ თავისებურებაზე. სხვანაირი სიტყვებით რომ ვთქვათ, დივიზიის მეთაურები რეალური თუ წარმოსახულ ომის ხაზის ორივე მხარეს, იძულებულნი იყვნენ მიეღოთ ერთი და იგივე „ოპტიმალური გადაწყვეტილებები". შედეგი იყო „ურთიერთჩიხი": არც ერთ მხარეს არ შეეძლო მიეღწია თავისი მიზნისთვის" (იქვე, 817).

ნიშანდობლივია მაგალითი სრულიად სხვა სფეროდან — ჭადრაკიდან; სისტემიდან, რომელიც, გარკვეული აზრით, ომის მოდელირებას ახდენს. კაპაბლანკასა და პოზიციური სკოლის სხვა მომხრეთა მიდგომამ წარმოშვა მითი საყაიმო სიკვდილზე, ანუ იმაზე, რომ ჭადრაკში ყაიმი სრულ დომინირებას იწყებს გამარჯვებასა და დამარცხებაზე და თანაბარი ძალის მოწინააღმდეგეთა მატჩები, როგორც წესი, ყაიმით დასრულდება (გავიხსენოთ კარპოვ-კასპაროვის მატჩი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც რომელიმე მხარის მიერ მეექვსე მოგებამდე მიდიოდა და წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა). თუმცა განსხვავებაც თვალსაჩინოა: ომში ყაიმი არ არსებობს; ბიზნესსა და პოლიტიკაში ყაიმი კომპრომისსა და დროებით სტატუს კვოს ნიშნავს და ამ აზრით გავს მრავალმონაწილიან საჭადრაკო ტურნირს, სადაც განსხვავებით ორთაბრძოლისაგან ყოველი ყაიმი მხოლოდ ერთგვარი კომპრომისია შემდეგ ტურში გამარჯვებისათვის.

ამრიგად, კლასიკურმა ანალიტიკურმა სტრატეგიამ ჩიხის სახე მიიღო. დაპირისპირებულ მხარეებს ერთი და იგივე რესურსი გააჩნდათ, ერთი და იმავე გათვლიდან და მეთოდოლოგიიდან გამოდიოდნენ და ერთი და იგივე დაკვნამდე მიდიოდნენ. ასეთი სიტუაციიდან გამოსავალი

მხოლოდ სიტუაციის აჭრა იყო, როდესაც წარმატება ლოგიკისა და ანალიზის კი არა, სხვა ფაქტორების ხარჯზე მიიღწეოდა.

ასეთ ფაქტორთაგან ახალ მიდგომებს თუ მოთხოვნებს სპეციფიკური ამოცანები მიენიჭა: არა სტატიკა, მდგრადობა, არამედ დინამიკა, მოქმედება, ბიფურკაცია, მდგრადობის მოშლა. მაგრამ როგორ? რიგორ დაირღვეს სტატიკური პოზიცია მაშინ, როდესაც ორივე მხარეს ერთი და იგივე ძალა აქვს და ასეთსავე რესურსს ფლობს?

ამგვარი კრიზისის გადაწყვეტის საშუალება პირველად 20-ნი წლების სამხედრო სტრატეგიაში გაჩნდა. ამ მიდგომებს შორის, პირველ ყოვლისა, დუეს[99] დოქტრინაა გამოსაყოფი. წმინდა სამხედრო აზრით, დუეს დოქტრინა გულისხმობდა სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების მიღწევას მხოლოდ ან უპირატესად სამხედრო-საჰაერო ძალების გამოყენებით. ეს ეერსია მხოლოდ XX საუკუნის დასასრულს იქნა რეალიზებული და ისიც ნაწილობრივ (ნატოს სამხედრო კამპანიები ბალკანეთში). მაგრამ აქ საქმე უფრო მნიშვნელოვან ასპექტს ეხება, ერთი მხრის ავიაციის მეშვეობით მთლიანი ინფრასტრუქტურის მოშლა სრულ ანალოგიაშია მოწინააღმდეგის (არა მხოლოდ ფრონტის, არამედ მისი პოლიტიკური ინფრასტრუქტურის) განადგურებასთან, რაც სულაც არ არის აუცილებელი, მაინცადამაინც სამხედრო საშუალებების გამოყენებით განხორციელდეს. **იდეოლოგიური ომის მეშვეობით მოწინააღმდეგის პოლიტიკური ინფრასტრუქტურის მოშლა ტიპოლოგიურად არაფრით განსახვავდება დაბომბვების გზით მისი ინფრასტრუქტურის მოშლისაგან ან მისი ბირჟის სრული გაკოტრებისაგან. ერთადერთი წმინდა სამხედრო გადაწყვეტა, ე.წ. სიღრმისეული ოპერაციის ანალოგიაა ვითარება, როდესაც მოწინააღმდეგე (პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო) ნადგურდება არა პირდაპირი ფრონტალური შეტევით, არამედ მისი ფლანგების ღრმა მოცვით და ზურგის განადგურებით.** ეს სიერცობრივად გააზრებული ეს სამხედრო მოქმედებაა, მაგრამ მას სრული პარალელები მოეძებნება ბიზნესისა ან პოლიტიკის სფეროშიც. ამ სტრატეგიებს ცალ-ცალკე უფრო დაწვრილებით სხვაგან დავახასიათებთ. ახლა იმის კონსტატირებას დავჯერდებით, რომ მათ გარდა არსებობს კიდევ ერთი თვისებრივად განსხვავებული პარადიგმა, რომელიც იდეალურ სამხედრო, პოლოტიკურ, ბიზნეს ან საჭადრაკო მიდგომას იძლევა. ლაპარაკია იმ მიმართულებაზე, რომელიც

ანალიტიკური სტრატეგიის მაგისტრალური განვითარების გარეთ იდგა და რომელიც მეტისმეტად ავანტურისტულად მიიჩნეოდა. ლაპარაკია რისკის სტრატეგიაზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქაოტური ელემენტის შეტანა ანალიტიკურ სიტუაციაში და ამ ქაოტურ სიტუაციაზე ადეკვატური რეაგირება. ამ სტრატეგიის მოდელი ყველაზე უკეთ პეტერბურგულ სკოლაშია დამუშავებული.

§ 75
რისკის სტრატეგია

რისკის სტრატეგიის დემონსტრირება ისევ ჭადრაკის მაგალითზეა შესაძლებელი. დავუშვათ, რომ შავ ფიგურებს მოქმედების ორი შესაძლებლობა აქვს. პირველი სტრატეგიის ჩარჩოებში მათ შეუძლიათ სტეინიცის მეთოდების გამოყენებით მოიგერიონ თეთრების შეტევა (ლაპარაკი არაა მხოლოდ წმინდა საშხედრო ასპექტებზე. იგივე მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკაში ან ბიზნესში). სტეინიცის კლასიკური ილეთების გამოყენებით თეთრები საშუალო სტატისტიკურად მოიგებს ხუთ პარტიას, წააგებს სამს, ხოლო 92 პარტია ყაიმით დასრულდება. ანუ საჭადრაკო მოდელის კლასიკურ ვარიანტში შავები შესაძლო ვარიანტის 49 პროცენტს აგროვებენ (იგივე მოდელი მუშაობს ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორებიცაა არჩევნებში ხმების მიღება ან საფონდო ბირჟაზე აქციების შეძენა). ალტერნატიული სტრატეგიისას შავები სწირავენ პაიკს ან ფიგურასაც კი, მაგრამ ამგვარი შეწირვით ისინი ძირეულად და ერთგვარად ქაოტურად (ირაციონალურად, ერთი შეხედვით, არაგონივრულად) ურევენ პოზიციას, სამაგიეროდ, ხელთ იგდებენ ინიციატივას. შეწირვის ანუ არარაციონალური მოქმედების მიზანი მოწინააღმდეგის პოზიციიის მდგრადობის მოშლა და ინიციატივის ხელში ჩაგდებაა. თუ თეთრები მოულოდნელობის ეფექტიდან გამოვლენ მათ წარმატების დიდი შანსი აქვთ. ოღონდ მხოლოდ შანსი. და გამოვლენ კი?

ამგვარად რისკის სტრატეგიისას (ფიგურის შეწირვა და ა. შ.) შავების მოგების ალბათობა იზრდება, ოღონდ კიდევ უფრო მეტად იზრდება მათი წაგების ალბათობაც. ყოველი ასი პარტიიდან აწი თეთრები საალბათოდ იგებენ 40-ს, აგებენ 20-ს დარჩენილი 40 პარტიის

ყაიმის პირობით ანუ შავები ქულათა მხოლოდ 40 პროცენტს აგროვებენ, რაც ნაკლებია სტანდარტული პოზიციური თამაშის მონაცემზე, სამაგიეროდ მათ აქვთ სრული წარმატების შანსიც.

ფორმალური, ანუ ანალიტიკური სტრატეგიის თვალსაზრისით, მეორე, ანუ რისკის სტრატეგია, მცდარი ან არაადეკვატურია. **თუ ნებისმიერი (პოლიტიკური, ბიზნეს და სხვა სტრატეგიის) ამოცანა მდგომარეობს ალბათობათა სასარგებლოდ მოდიფიცირებაში (წარმატების თანდათანობით და მეთოდურად მიღწევაში), ცხადია, რომ ამოცანა იმდენად წარმატების მიღწევაში კი არ მდგომარეობს, რამდენადაც წარუმატებლობის თავიდან აცილებაში, მაგრამ საკითხავი რჩება — რა არის ჩვენს შემთხვევაში არსებითი: წარმატების ალბათობის ზრდა თუ წარუმატებლობის ალბათობის შემცირება.**

მაგრამ მეორე, ქაოტურ ანუ არაანალიტიკურ (არაკლასიკურ) შემთხვევაში მოგების შანსი შვიდჯერ მეტია, ვიდრე პირველში. თანაც თუ რიგ ვითარებებში ყაიმი წაგების ტოლფასია (პოლიტიკაში, ბიზნესში და ა. შ.) სხვა არჩევანი არც კი არსებობს. მით უფრო, რომ რიგ სისტემებში რისკი ქაოსის პირობებში თავად სისტემის არსებობის ფორმაა.

ნაპოლეონისგან მოყოლებული ყველა მხედარმთავარი გადამწყვეტი ბრძოლისას ცდილობდა მიეღწია გამარჯვების 70-80 პროცენტიანი ალბათობისათვის. იგივე ითქმის როტშილდის ბიზნესზე ან ჩერჩილის ტიპის პოლიტიკოსებზე. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საკეთილდღეო ბალანსის შეფარდება არასაკეთილდღეოსთან იყო 2-4:1. თუ ასეთ გეგმას ან ბალანსს (როგორც ასეთს) კლასიკურად რისკიანად მივიჩნევთ (ანუ ისეთად, რომელიც რისკის მაღალი ხარისხის გარეშე წარმატების გარანტიას იძლევა ყველა სფეროში ბიზნესიდან პოლიტიკამდე) კლასიკურად ურისკოდ უნდა ჩავთვალოთ ნებისმიერი გეგმა, რომლის რეალიზების კოეფიციენტი ორს აღემატება (შესაბამისად უკურისკი 0,5-ია). ანუ გამარჯვების ალბათობა ასიდან მინიმუმ 50-ზე მეტია, ხოლო ოპტიმალურ შემთხვევებში — 100-დან 80-საც კი შეიძლება აღწევდეს. შესაბამისად, დამარცხების რისკი უარეს შემთხვევაში 100-დან 50 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო საუკეთესო შემთხვევებში — 100-დან მხოლოდ 20 პროცენტია. ყველა ამ შემთხვევაში იმდენად გარისკვაზე არა ვართ ორიენტირებულები, რამდენადაც მის თავიდან

აცილებაზე. შესაძლო წარუმატებლობის ნეიტრალიზაციას, რომელიც თავიდან მოპოვებული უპირატესობის მეთოდური ზრდას წარმოადგენს, ცალსახად ენიჭება უპირატესობა წარმატების რისკის ზრდასთან შედარებით. ეს არცაა გასაკვირი. ჩვენ ხომ, ამოსავალი პოზიციიდან გამომდინარე, გამარჯვების მეტი ალბათობა გვაქვს და ამოცანა ამ ალბათობის მაჩვენებლის გაზრდა კი არა, თავად ალბათობის რეალიზებაა.

მოწესრიგებულ ბიზნესსა და პოლიტიკაში მაღალი რისკის სისტემებთან საქმე არ გვაქვს. ჩვეულებრივ ყველა ამ სფეროში რისკი ერთიდან ორამდეა ანუ ყოველი ასი შემთხვევიდან ჩვენი გამარჯვების შანსი, ჩვენი რესურსებისდამიხედვით 50-დან 66-მდე მერყეობს (მოგების ალბათობა ორი მესამედია). თუ რისკის (ნებისმიერ სფეროში) პარამეტრი 0,5-1-მდეა (ანუ ყოველი ასი სიტუაციიდან ჩვენ 25-დან 50-მდე შემთხვევაში გვაქვს გამარჯვებიოს შანსი) ლაპარაკი შეიძლება იყოს მნიშვნელოვან რისკზე. რისკის სტრატეგიაში, სადაც ამოსავალი თავად რისკია, რისკის მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია 0,5-ზე (ანუ უკურისკის მაჩვენებელი ორს ბევრად აღემატება). ამ დროს, საუკეთესო შემთხვევაში, შანსი გვაქვს გავიმარჯვოთ 100-დან 25-ზე ბევრად ნაკლებ ვარიანტში. ამ დროს, თუ შეიძლება ითქვას, ვრისკავთ თავად რისკის გულისათვის. თუმცაღა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რისკი და გაბედულება ადამიანური ყოფიერების უმთავრეს ელემენტებს განეკუთვნება. „რისკი განუყოფელი თანამგზავრია ბრძოლაში. ამ გადმოსახედიდან სარისკოა მეტ-ნაკლებად ყველა სტრატეგია. სისტემა „ომი" ძალიან ბევრ ცვლილებებს იწვევს, ამიტომაც, რაც არ უნდა უსაფრთხოდ გამოიყურებოდეს თქვენი არჩეული გეგმა, ის ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს დამღუპველი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სტრატეგია არის რისკის სტრატეგია" (25ª, 820).

ვცადოთ, განვიხილოთ პოლიტიკური ინტრიგა, საბირჟო თამაში ან სამხედრო მოქმედება, როგორც ერთგვარი ტემპური თამაში, რომლის ყოველ მონაწილეს კონტრსვლა აქვს მომზადებული მოწინააღმდეგის სვლაზე. ამასთან პოლიტოლოგებსაც, ბიზნესმენებსაც და სამხედროებსაც საქმე აქვთ არა რეალურ სისტემასთან (პოლიტიკა, ბიზნესი, ომი) არამედ — მათ გამარტივებულ მოდელებთან. ეს თავისთავად ძალიან მოსახერხებელია, მაგრამ ერთ ‘სირთულეს ქმნის: იმ ადამიანთა ცნობიერებაში, ვინც გადაწყვეტილებას იღებს, მოდელი ხშირად რეალობას ენაცვლება. ანალიტიკურ სისტემებში ეს დამატებით

სირთულეს ქმნის: ერთსა და იმავე მოდელს ყველა ერთნაირად ითვლის და იყენებს. როგორც პერესლეგინი აღნიშნავდა: "Модель просчитывалась до конца.. Суть кризиса аналитичности в том и состоит, что она оказалась просчитанной всеми одинаково. Принятая сторонами оптимальная стратегия" формально обеспечивала наибольшее матожидание победы. Реально же речь шла о распределении +5-3=92, то есть - о гарантированном позиционном тупике (იქვე, 820).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რამდენად კარგადაც არ უნდა მუშაობდეს დაზვერვა, მისი მონაცემები ან არასრულია ან დაგვიანებული. რეალური პოლიტიკა, ბიზნესი ან სამხედრო ქმედებები ჭადრაკისგან განსხვავებით არასრულ ინფორმაციას შეიცავს, თანაც ელემენტების უსასრულო ოდენობის შესახებ (ჭადრაკში ბოლო-ბოლო 32 ფიგურაა, ომში?). შესაძლოა საქმე ბანალურმა შეცდომამაც გაართულოს. ამიტომაც არის, რომ გამარჯვების ასპროცენტიანი გარანტია არც არავის აქვს და, შესაბამისად, ნორმალური ოპერატიული რისკის ხარისხი 20-30 პროცენტს აღწევს. სხვაგვარად ყოველთვის უნდა დავუშვათ ალბათობა იმისა, რომ კარგ პირობებშიც კი შეიძლება 100-დან 20-30 შემთხვევაში წავაგოთ. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია რისკის ასეთი განსაზღვრება: „რისკის მაჩვენებელი არის მიმართება მოწინააღმდეგის იმ გადაწყვეტილების სივრცის მოცულობასთან, რომელსაც ცალსახად მიყავხართ თქვენს დამარცხებამდე მოწინაალმდეგის გადაწყვეტილებების სივრცის საერთო მოცულობასთან. „ანალიტიკური სტრატეგია" ამტკიცებს, რომ რისკის მაჩვენებელი არის სიდიდე, უკუპროპორციული ოპერაციაზე დატვირთვისა, რისკი არის პოზიციის გარდაქმნის არაიდენტურობის (нетождественность) ზომა" (იქვე, 820). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც მეტია ოპერაციებზე დატვირთვა ანუ სივრცის ერთეულზე ჩვენი რესურსების კონცენტრაცია, მით უფრო ნაკლებია რისკის მაჩვენებელი. ცხადია, რომ ას კილომეტრზე ათი დივიზიის კონცენტრაციისას ჩემი რისკის მაჩვენებელი ნაკლებია, ვიდრე იგივე სივრცეზე ერთი დივიზიის კონცენტრაციისას. ამავე დროს, თუ მოწინააღმდეგეს შეუძლია სულ განახორციელოს ასი შესაძლო მოქმედება, რომელთაგან 80-ს მოსდევს ჩვენი გარანტირებული დამარცხება, ამ სიტუაციაში რისკის მაჩვენებელი ჩვენთვის იქნება 80:100=0,8, ხოლო მოწინააღმდეგისათვის – შესაბამისად – 0,2. დავუშვათ

საპირისპირო ეითარება, სახელდობრ, არსებობს ამოსავალი პოზიციის გარდაქმნის სულ ასი სხვადასხვა ვარიანტი. მათგან ოთხმოცი ვარიანტი ჩემთვის მომგებიანია. დანარჩენი ოცი აჩვენებს პოზიციის არაიდენტური (წამგებიანი) ვარიანტების ოდენობას. სწორედ ეს რიცხვია (20:100=0,2) ჩვენი რისკის მაჩვენებელი სიდიდე. ამ ყველაფერს ადგილი აქვს კლასიკური სტრატეგიის შემთხვევაში. რისკის სტრატეგიის ამოცანა კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგე იმ ოთხმოც გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს კი არ მიიღებს, რომელიც გამარჯვებისკენ მიდის, არამედ ერთ-ერთს იმ ოცთაგან, რომელსაც დამარცხება მოსდევს.

ამ ფორმულირებას მათემატიკური გამოხატულება აქვს, მაგრამ ის არასაკმარისია. „გადაწყვეტილების სივრცე" (ვთქვათ, 100-დან 80 ერთეული გამარჯვებისკენ მიმყვანი გადაწყვეტილება) მარტო თეორიაშია ერთგვაროვანი და ერთნაირი ალბათობის. რეალობაში მოწინააღმდეგე ერთ გადაწყვეტილებას უფრო დიდი ალბათობით მიიღებს, ვიდრე სხვას, ამასთანავე გარკვეული მნიშვნელობა ექნება დროის დეფიციტს, ე.ი. მოწინააღმდეგის ინფორმაციული არხების გადატვირთვის ხარისხს. ნაჩვენებია, რომ თუ „გადაწყვეტილების სივრცის" მოცულობა იზრდება ორჯერ, გადაწყვეტილების სივრცის რეალური მოცულობა მცირდება რვაჯერ. ანუ ასი შესაძლო გადაწყვეტილებიდან თუ ჩემთვის სასარგებლო შედეგის გარანტირებას ოთხმოცი იძლეოდა, იმავე პირობებში შესაძლო გადაწყვეტილებათა რიცხვის ორასამდე გაზრდისას ჩემთვის სასარგებლო გარანტირებული გადაწყვეტილებების რიცხვი ათამდე მცირდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ აღარ მაქვს საკმარისი ოდენობით დრო ინფორმნაციის გადასახარშად და შესაბამისად ინფორმაციულ ქაოსში ვიმყოფები, რასაც, როგორც წესი, მარცხი მოსდევს. ანუ გამარჯვების ალბათობა 0,8-დან 0,05-მდე მცირდება. ამიტომ გაურკვევლობის ზრდა არ არის პირდაპირპროპორციული რისკის ზრდისა. საქმე უფრო რთულადაა... გაურკვევლობის არითმეტიკულ პროგრესიასთან ერთად რისკის მაჩვენებელი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ამ თვალსაწიერიდან საქმე ეხება „მართულ რისკს", ომის გადაყვანა სხვა — ინფორმაციულ — სიბრტყეზე, მოწინააღმდეგის მმართველ სტრუქტურებზე იმგვარ ზემოქმედებას, რათა მისი ამა თუ იმ გადაწყვეტილების ალბათობა მოდიფიცირებულ იქნას. სხვაგვარად,

გაურკვევლობის ხარისხის მიზანმიმართული ზრდით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოწინააღმდეგემ არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს. მაგრამ ზოგჯერ პირუკუ ხდება: **როგორც მოლტკე უფროსი იტყვის, „ჩვენ განვიხილავთ მოწინააღმდეგის სამ სავარაუდო მოქმედებას, მაგრამ ის რატომღაც მეოთხეს ირჩევს“.** თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ომში — გარდა მცირე გამონაკლისებისა — დრო წარმოდგენილია საათებითა და დღეებით. ასევე მუშაობს არა ერთი ადამიანი არამედ კვალიფიციური შტაბი. ამიტომაც, ინფორმაციული არხების გადატვირთვა ისეთ დონემდე, რომ მოწინააღმდეგის „გადაწყვეტილების სივრცე“, საერთოდ არ შეიცავდეს სწორ სვლებს, პრაქტიკულად შეუძლებელია (არსებობს გამონაკლისები, რომლებსაც დიდგორთან დაკავშირებით განვიხილავთ). ამ გადმოსახედიდან „რისკის სტრატეგიის“ ანალოგად ჩაითვლება არა ჭადრაკის კომბინაციური პარტია, არამედ უფრო ისეთი ვითარება პრეფერანსში, როდესაც მიზერს მოწინააღმდეგის შეცდომების იმედად ვათამაშებ. მაგრამ ასეთი მიზერიც კი შეიძლებმა გათამაშდეს კარგად და ცუდად. „—ყველა თქვენი გეგმა აზარტული თამაშია, — თქვა ნაგუმომ (იაპონელი ადმირალი რომელიც კლასიკური სტრატეგიის პრინციპებს იზიარებდა — კ.კ.) — და მე მას მოვიგებ, — უპასუხა იამამოტომ (ადმირალმა, რომელმაც დაგეგმა პირლ-ჰარბორზე თავდასხმა. საუბარი შედგა იაპონიის საიმპერატორო შტაბში ამერიკელებზე თავდასხმის გეგმის განხილვისას — კ.კ.).

რაც უფრო ანალიტიკურია ჩვენი ქმედება, მით უფრო ადვილადაა იგი პროგნოზირებადი მოწინააღმდეგის მიერ. შესაბამისად მით უფრო ნაკლებ შეცდომას დაუშვებს იგი. ვან კრეველდი ამასთან დაკავშირებით ამბობს: „თუ ჩვენ ამ ცვალებადი თამაშების (სტრატეგიების— კ.კ.) სახეს კონკრეტული მაგალითებით განვიხილავთ, მაშინ სტრატეგიის პარადოქსული ლოგიკა ნათელი გახდება. ყოველდღიურ ცხოვ-რებაში შეიძლება გექონდეს იმის მოლოდინი, რომ ერთხელ წარმატებული მოქმედება მეორედაც მოგვიტანს სასურველ შედეგს — წანამძღვრად აღებულია, რომ გარემოებები ერთნაირი რჩება. თუ მე რაიმე საგანს დავაგდებ და დავადგენ, რომ გარკვეული დროის შემდეგ იგი მიწაზე აღმოჩნდება, შეიძლება გამიჩნდეს გონივრული მოლოდინი, რომ ეს შემდეგ ჯერზეც და საერთოდ, ნებისმიერ შემთხვევაში განხორციელდება. მაგრამ ეს ელემენტარული ფაქტი — ნასესხები ბუნებისმეტყველებიდან

თუ ტექნიკიდან, მთლიანობაში ძალასაა მოკლებული ომის, ფეხბურთის, ჭადრაკისა თუ ყოველი სხვა საქმიანობისას, რომლებიც სტრატეგიის სფეროს განეკუთვნება. აქ დიდი ალბათობაა, ერთხელ წარმატებული მოქმედება მეორედ მცდელობისას უკვე წარუმატებელი აღმოჩნდება. თანაც იმის გამო კი არა, რომ იგი ერთხელ უკვე წარმატებით დასრულდა, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ამ მოქმედების წარმატება ჭკვიან მოწინააღმდეგეს ფხიზლად ამყოფებს. ეს მსჯელობა ძალაშია პირიქითაც. აღმოჩნდა რა ოპერაცია ერთხელ წარუმატებელი, შეუძლია მოწინააღმდეგეს დაასკვნას, რომ იგი აღარ უნდა იქნას განმეორებული. იფიქრებს რა იგი ამას ერთხელ, საუკეთესო გზა გამარჯვებისაკენ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ოპერაცია იქნას განმეორებული. ამას თან სდევს განუწყვეტელი, შეუპოვარი და ცვალებადი თამაში, რომლის განმავ-ლობაშიც გამარჯვება კატასტროფად, კატასტროფა კი გამარჯვებად შეიძლება გადაიქცეს" (37, 176).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კლასიკური სტრატეგიის მიერ განხილული პოზიცია ყოველთვის ახლოა მდგრადობასთან. შესაბამისად, იქ უფრო ნაკლებია შესაძლო შეცდომის ფასი და მით უფრო იოლია ამ შეცდომის თავის დროზე გამოსწორება, მაგრამ რისკის ანუ ქაოტური სტრატეგიის გამოყენებისას სიტუაცია ძირეუ-ლად იცვლება. მართული რისკის მეთოდის გამოყენებისას სიტუაცია შეუქცევადად იცვლება გარანტირებულ გამარჯვებასა და სრული მარცხის საფრთხეს შორის. შესაბამისად, არნახულად იზრდება ყოველი „ნაბიჯის" ფასი. მაგრამ როგორც ბრიტანეთის ეს-ეი-ეს-ის (SAS)[100] დეკეზი ამბობს, ვინც რისკავს, ის იმარჯვებს. პირდაპირი და ურისკო გზა ყოველთვის ყველაზე გარანტირებული გამარჯვებისაკენ არ მიდის. ვან კრეველდი ამასთან დაკავშირებით წერს: „არასტრატეგიული საქმიანობებისათვის მიზნის მისაღწევად უმოკლესი გზა ჩვეულებრივ პირდაპირი გზაა. ომში უმოკლესი გზა ყველაზე საალბათოცაა და, აქედან გამომდინარე, ის რომც იქნას გამოყენებული, მოწინააღმდეგე მას უგულებელყოფს. უმოკლეს გზაზე მოწინააღმდეგე თავისი ძალების კონცენტრირებას ახდენს, ამით უგრძელესად აქცევს და ჩვენ განზრახვას ხელს უშლის. პირიქით, უგრძელესი გზის გამოყენება ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი და, აქედან გამომდინარე, სინამდვილეში ის უმოკლესია. სხვა მხრივ, ერთნაირი გარემოებებისას ამ ხაზზე თავდასხმას შეიძლება წარმატების უდიდესი შანსები ჰქონდეს. თუმცა, მკითხველი

შეცდომაში არ უნდა შევიყვანოთ და არ უნდა ვაფიქრებინოთ, რომ საქმე მხოლოდ აკადემიურ პრობლემას ეხება. ხანდახან ეგრეთ წოდებული არაპირდაპირი მოქმედების უპირატესობა გაშარჟებამდეც კი მიუყვანიათ და პრაქტიკულად უმნიშვნელოდ უქცევიათ. მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა, რომ როგორც ისტორიულად, ასევე თეორიულადაც საქმე ყველანაირი სტრატეგიის მთავარ ღერძს ეხება" (37, 176 და შემდეგ).

რისკის გაწევისა და მოწინააღმდეგის არასტანდარტულ სიტუაციაში ჩაყენებისას მოწინააღმდეგე (არა აქვს მნიშნელობა, პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენს იგი, ბიზნესს თუ სამხედროებს) ველარ პოულობს სვლას, იჭედება და არაადეკვატურად იქცევა. მთავარია შემდეგი:

- ის გაურკვევლობის უფრო მაღალ ხარისხში იყოს ვიდრე ჩვენ;
- ამ დროს უფრო ადეკვატური გადაწყვეტილება მიეიღოთ;
- გადაწყვეტილებებს ჩვენ უფრო ჩქარა ვიღებდეთ;

ანალიტიკური სტრატეგიის თანახმად რისკი არის სიდიდე, უკუპროპორციული მოქმედებებზე (კონკრეტულ მოქმედებებზე) დატვირთვისა, ანუ რისკი არის თანაფარდობა ამოსავალი პოზიციის სასურველ პოზიციად გარდაქმნის შესაძლებლობისა. რაც უფრო დიდია განსხვავება ამოსავალ პოზიციასა და ჩვენთვის სასურველ პოზიციას შორის,მით უფრო მეტია რისკიც. ამასთან რისკის ხარისხი პრინციპში გათვლადია და რიცხვობრივ გამოხატულებას ექვემდებარება. მაგრამ ეს მათემატიკური ფორმულები ან რთულია, ან მეტისმეტად მოუხერხებელი, ან — არასაკმარისი. საქმე ის არის, რომ ითვლება — როგორ მოიქცევა ჩვენი საშუალო სტატისტიკური ოპონენტი, მაგრამ შეუძლებელი ჩანს იმის გამოთვლა, მართლაც ფორმულების თანახმად მოიქცევა იგი თუ არა.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა გვიანსაბჭოთა ან პოსტსაბჭოთა ლიდერები — გორბაჩოვიდან მოყოლებული ვიდრე შევარდნაძემდე და პუტინამდე — უპირატესობას, როგორც წესი, ტაქტიკას ანიჭებდნენ. ეს იმიტომ როდი ხდებოდა, რომ გორბაჩოვი ან ელცინი სუსტი სტრატეგები იყვნენ, ან სტრატეგიის დამგეგმავი აკლდათ. უბრალოდ ზოგჯერ გარემოებები ადამიანებზე ძლიერია. მით უფრო, როდესაც ამ ადამიანებს ქაოტურ სისტემებში მოქმედება უწევთ.

ფორმალურად სიტუაციებში, როდესაც რისკის ხარისხი 6-8-ს უტოლდება, ანუ ყოველი ასი შემთხვევიდან შეგვიძლია გავიმარჯვოთ 60-80 შემთხვევაში. აქ, ცხადია, არავითარ რისკზე, ამ სიტყვის ზუსტი

გაგებით, არცაა ლაპარაკი. ეს უფრო გარანტირებული გამარჯვებაა, რომელსაც ერთნაირად ესწრაფვოდნენ პოლიტიკოსებიცა და ბიზნესმენებიც. მაგრამ რეალობაში ასეთი ხელსაყრელი პირობები არ იქმნება. მასში გარანტირებული რისკის ნაცვლად გაურკვეველობის უაღრესად მაღალ ხარისხში მოქმედება გვიწევს. მაგრამ ამ დროს არ უნდა გადავვარდეთ მეორე უკიდურესობაში და ვამტკიცოთ, თითქოს რისკის სტრატეგია თავისთავად მოიტანს გამარჯვებას.

ანალიტიკურ (კლასიკურ) სტრატეგიას ყოველთვის საქმე აქვს გაშუალებულ პარამეტრებთან. აქ არ არის არსებითი განსხვავება ისეთ კომპონენტებს შორის, როგორებიცაა იმ პიროვნების მენტალური და ფსიქოლოგიური თავისებურებები, ვინც გადაწყვეტილებას იღებს. მხედველობაში ნაკლებად მიიღება განსხვავებულ მხარეთა მიერ მოვლენათა აღქმა, მათი შეფასებები და ღირებულებები. ეს ერთგვარი „იდეალური" სივრცეა, რომელიც ძალიან წააგავს იმ გეომეტრიულ სივრცეს, რომელსაც სკოლებში გეომეტრიის სახელმძღვანელოში ასწავლიან.

კლასიკური სტრატეგია სწავლობდა მექანიკურ, შექცევად სისტემებს, რომლებშიც ტოლი სისტემები,პრინციპში მაინც,შეგიძლია გადააწყო ტოლად. ამ აზრით ყოველთვის შეგიძლია მოწინააღმდეგის წარმატებას (თუნდაც სამომავალოდ), შენი წარმატებით უპასუხო და თავდაპირველი მდგრადობა აღადგინო. მაგრამ არის ვითარებები, როდესაც ეს უბრალოდ შეუძლებელია. როგორ უნდა აღედგინა რუსეთს თავის ფლოტი ცუსიმას შემდეგ ისე, რომ წარუმატებლობის კონვერტირება მოეხდინა? ცხადია, გარკვეული დროის შემდეგ ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ამ დროის განმავლობაში შეუქცევადი პროცესები (ვთქვათ, რევოლუცია) ხდება? თუმცა, პრობლემა შეიძლება სულაც ტაქტიკური იყოს, შეიძლება ერთი ხიდი ვერ აფეთქდეს და ამან შორს მიმავალი შედეგი გამოიღოს მთელი კამპანიისა და ხშირად პოლიტიკისათვისაც. ანალიტიკური სტრატეგიისათვის ეს დეტალებია, თან არცთუ მნიშვნელოვანი. მის საფუძვლად მდებარე მექანისტური ფილოსოფია ხომ ამბობს, შემთხვევითი მოვლენები არ არსებობს, უბრალოდ არ გვაქვს საკმარისი ცოდნა ამ პროცესებზე, თორემ რაც შემთხვევითად მიგვაჩნია სინამდვილეში ახსნადიაო. მაგრამ არის ასეთი ახსნადი ადამიანების ნების ქმედებები? ნებისა, რომელიც იმას აკეთებს, რაც კლასიკური ალბათობის კანონებით უბრალოდ შეუძლებელია?

უინტერესო არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ რეალურ ცხოვრებაში ასეთი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები ძალიან იშვიათია. რეალობა, როგორც წესი, ყოველთვის გადახრილია თეორიული პროგნოზებისაგან. სტაბილური სისტემებისას ამგვარი გადახრები შეიძლება მხედველობაში არც მივიღოთ, მაგრამ ქაოტურ სიტუაციებში არსებული არამდგრადი ვითარებებისას ასეთი გადახრები ძირეულად ცვლის ვითარებას და ხშირად მთლიანად სტრუქტურის (მათ შორის პოლიტიკურის) ხასიათსაც კი. სტრუქტურის ასეთ ძირეულ ცვლილებას, როგორც არაერთგზის ვთქვით, მეცნიერებაში ბიფურკაცია ეწოდება.

ანალიტიკურ სისტემებში იგივეობრივი (ტოლფასოვანი) სისტემები ყოველთვის ისევ ტოლფასოვნად ტრანფორმირდება. აქ შესაკრებთა გადანაცვლებით და შემდეგ უკუგადმონაცვლებით ჯამი არ იცვლება. შეგვიძლია ავიღოთ ოთხი სიმბოლო, ვთქვათ, ბანქოს ქაღალდისა და ასეთი თანმიმდევრობით განვალაგოთ: ♠♣♥♦. შემდეგ შეგვიძლია დავარღვიოთ სიმბოლოების თანმიმდევრობა, ვთქვათ, ასე: ♣♥♦♠, ხოლო შემდეგ ისევ უმტკივნეულოდ დავაბრუნოთ საწყისი თანამიმდევრობა: ♠♣♥♦. ანალიტიკური ტიპის სისტემებში, რომლებთანაც კლასიკურ სტრატეგიას აქვს საქმე, ეს არ არის დაკავშირებული დიდ პრობლემებთან. დისპოზიცია შეიძლება შეიცვალოს და ისევ დაუბრუნდეს საწყის თანამიმდევრობას. მეტიც, ეს შეიძლება რამდენჯერმე მოხდეს; მაგალითად, რომელიმე სიმაღლე რამდენჯერმე გადავიდეს ხელიდან ხელში, მაგრამ ქაოტურ სისტემებში ასე არ ხდება. ასეთ სისტემებში შექცევადი პოზიციები არ არსებობს: როგორც უმი ხორცისგან შეგვიძლია მივიღოთ მწვადი, მაგრამ მწვადისგან უმ ხორცს ვერასოდეს მივიღებთ. აქ ორი, საწყისი ტოლფასოვანი პოზიცია შეუქცევადად და ცალსახად იცვლება ერთი მხარის სასარგებლოდ და მეორის საზიანოდ. შესაბამისად, ქაოტური პროცესებისას რისკი გულისხმობს ჩვენთვის სასურველი (ან ამოსავალი) სისტემის სახის ცვლილების ალბათობას ჩვენთვის არასასურველი მიმართულებით.

ანალიტიკურ და ქაოტურ სისტემებს შორის განსხვავების საილუსტრაციოდ შეიძლება მივმართოთ იმ განსხვავებასაც, რომელიც არსებობს „კლასიკურ" ჭადრაკსა და ბლიც ჭადრაკს, აგრეთვე „ნამდვილ" ფეხბურთსა და მინი-ფეხბურთს შორის. დიდი ფეხბურთი მინი-ფეხბურთისაგან არ განსხვავდება მხოლოდ მოედნის ზომითა და მოთამაშეების რიცხვით. უპირველესი განსხვავება ისაა, რომ დიდი

ფეხბურთი გაცილებით უფრო ანალიტიკური და ლოგიკურია. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორ გუნდს შორის მატჩის შედეგის პროგნოზირების ალბათობის დონე უფრო მაღალი (თუმცა არაგარანტირებული შედეგით: შდრ.: მსოფლიო ჩემპიონატში სენეგალის გამარჯვება საფრანგეთზე) ხარისხით იზომება. მინი-ფეხბურთისას სათამაშო სიტუაცია და თამაშის სტრუქტურა ბევრად უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ჩვეულებრივ ფეხბურთში. თუ ჩვეულებრივი ფეხბურთისას უპირველესი მოთხოვნა სივრცეზე გაბატონებაა, რათა თამაშმა „ცალ კარში თამაშის" სახე მიიღოს (რაც, შეიძლება, შევადაროთ კლასიკურ სამხედრო სტრატეგიებში სივრცის შეძლებისდაგვარად დიდი მონაკვეთის დაკავების მოთხოვნას), მინი-ფეხბურთში მთავარია დროზე გაბატონება, ანუ ტემპის გამუდმებით შენარჩუნება. ცხადია, ცალ კარში თამაში აქაც შეიძლება იყოს, მაგრამ მას იმდენად სივრცითი პრესინგი არ განაპირობებს, რამდენადაც დროითი (ან, უფრო ზუსტად, სივრცით-დროითი პრესინგი). მინი-ფეხბურთში არსებითია არა სივრცის დაკავება, არამედ ტემპის მოგება (სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტორი არც ჩვეულებრივ ფეხბურთშია უგულვებელსაყოფი). ამასთანავე კლასიკურ ფეხბურთში მოთამაშეს აქვს საშუალება რეალურ დროში აღიქვას მთელ სათამაშო სივრცეზე არსებული სიტუაცია. მას შეუძლია, ბოლოს და ბოლოს, თავი ასწიოს და შეხედოს რა ხდება მთელ მოედანზე (თუმცა, ესეც ყოველთვის არაა შესაძლებელი). მინი-ფეხბურთში, გარდა მეკარისა, პრაქტიკულად არცერთ მოთამაშეს არა აქვს არც დრო და არც საშუალება დაინახოს მთელ სივრცეზე არსებული სიტუაცია. მან მოქმედების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სივრცის იმ ფრაგმენტიდან გამომდინარე, რომელსაც უშუალოდ აღიქვამს, რაც ძალიან დიდ ხელოვნებას მოითხოვს (დაახლოებით ასევე ხდება მინი-ფეხბურთთან მიახლოებული იმგვარი სიტუაციის დროს, როდესაც დიდი ფეხბურთის მატჩის დასასრულს ერთ-ერთი მხარე პრესინგს მიმართავს).

კიდევ უფრო საინტერესო ვითარებაა ბლიც-ჭადრაკში. ცაიტნოტი ჩვეულებრივ ჭადრაკშიც არასასურველ მოვლენად ითვლება. მაგრამ მინი-ჭადრაკის სპეციფიკა იმაშია, რომ აქ ცაიტნოტი თავად თამაშის პრინციპია. ისევე, როგორც მინი ფეხბურთში — განსხვავებით დიდი ფეხბურთისგან — მთავარია არა სივრცეში უპირატესობის მიღწევა, არამედ რიტმის მოგება და, შესაბამისად, დროზე გაბატონება. აქაც

მთავარია დროში ბატონობა ანუ, უფრო ზუსტად, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება დროის დეფიციტის პირობებში. სწორედ ამაშია ქაოტური სისტემების მართვის უპირველესი უნარი. ამავე დროს, განსხვავებით ჩვეულებრივი ჭადრაკისაგან, სადაც დებიუტის დონეზე მაინც ყველაფერი გათვლილია და შესაბამისად ანალიტიკურია, მინი ჭადრაკისას წინასწარ შესწავლილი სქემები ან თითქმის, ან საერთოდაც არ მოქმედებს. ამიტომაც არის, რომ კლასიკურ ფეხბურთში ან ჭადრაკში დიდი მოთამაშე, შეიძლება სულაც არ იყოს ასეთი მინი-ფეხბურთისას თუ მინი-ჭადრაკისას. ეს სულ სხვა ჩვევებსა და უნარებს მოითხოვს.

მაგრამ რა ჩვევებსა და უნარებს? რა არის ის ომი, რომელსაც არაანალიტიკური სტრატეგია გეგმავს?

რაღაც მეტი, ვიდრე საშუალოსტატისტიკური: „ანალიტიკურ სტრატეგიას" საქმე აქვს საშუალო სტატისტიკურად აღებულ მაჩვენებელთან. ომობენ არა კონკრეტული ადამიანები თავიანთი ინდივიდუალობით, ხასიათითა და ტემპერამენტით, არამედ — ურთიერთს ეჯახებიან პირობითად გათვლილი დივიზიები, გამოცდილი გენშტაბისტების მიერ მიყვანილი „ნორმალურ" (ანუ ისევ საშუალოსტატისტიკურ) მაჩვენებლებამდე. რეალურ ცხოვრებაში საშუალოსტატისტიკური მაჩვენებელი იშვიათად გვხვდება. ძალიან ძნელია მოძებნო საშუალოსტატისტიკურად მებრძოლი ქართველი, ამერიკელი, გერმანელი, რუსი თუ ჩეჩენი. რეალური ადამიანები არასდროს არ ემთხვევიან იმ თეორიულ გათვლებს, რომლებიც გენშტაბებში კეთდება. ეს განსხვავება ყოველთვის რევს სურათს. ასეთი არევის მაგალითს უფრო ჭადრაკი კი არა, არამედ ბანქო წარმოადგენს.

ბანქოს თამაშისას ყოველთვის გვხვდება „ალოგიკურობა", რომელიც იშვიათია ჭადრაკისათვის. თვით ისეთ „ლოგიკურ" თამაშშიც, როგორიცაა პრეფერანსი ან ბრიჯი. ბიფურკაციის ანუ აჭრის ნიმუშად შეიძლება ავიღოთ „ვაბანკი". ვაბანკის დროს მთელი თამაშის შედეგი ყოველთვის დამოკიდებულია ერთ შემთხვევით მომენტთან. ამ შემთხვევითი, ულოგიკო საქციელის მომდევნო ქმედება მთლიანად ცვლის სურათს. პრეფერანსის თამაშისას შექცევადობის პრინციპი აღარ მოქმედებს. შეუძლებელია აღდგეს ის პოზიცია, რომელიც რისკზე წასვლისას იქნა დარღვეული. თუმცა ვითარების აჭრა, მეცნიერებაში ბიფურკაციად წოდებული, ბადებს განვითარების შესაძლებლობას, როგორც ნიშან „პლიუსით", ასევე ნიშან „მინუსით" და საშუალოდ

ისინი შეადგენენ ნულს, ე. ი. სტატისტიკური პოზიცია თანატოლი რჩება, მაგრამ ახლა ეს „საშუალო" არის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვარიანტების ჯამი, რომელთაგან კონკრეტულ ბრძოლაში რეალიზდება მხოლოდ ერთი. როგორც ანდაზა ამბობს, „ილი პან, ილი პრაპალ."

ეს უცნაური, შეიძლება ითქვას, გიჟური ალბათობაა; ალბათობა, რომელიც ყოველთვის განსხვავდება ნულისაგან. ან უსასრულოდ ვიმარჯვებ, ან უსასრულოდ ვიღუპები. ესაა რისკის სტრატეგიის არსი. ამგვარი სტრატეგიის დაგეგმვა ანალიტიკურ პრინციპებზე უარის თქმას გულისხმობს. მაგრამ არა საზოგადოდ დაგეგმვაზე უარის თქმას. „რისკის სტრატეგიის" გამოყენება შემსრულებლისაგან მოითხოვს გეგმის უფრო ფაქიზ გაგებასა და ზუსტ შესრულებას, ვიდრე ეს „კლასიკური მიდგომის" ჩარჩოებში ხდება. მეთაურებისა და შტაბების მუშაობა განუზომლად რთულდება. მაგრამ შედეგი უეჭველად ღირს ამად.

ინდივიდის ტრიუმფი. სარდლის ნიჭი კლასიკურ სტრატეგიაში: პასუხისმგებელი მეთაურის სამუშაო უზარმაზარი დატვირთვის შემცველია. ის უნდა ერკვეოდეს გაურკვეველ ან ხშირად ცვლად სიტუაციაში, იაზრებდეს გიგანტური ოდენობის ინფორმაციას და მაინც არ უნდა იყოს გარანტირებული, რომ მისთვის (ისტორიის თუ ზემდგომი მეთაურის მიერ) გამოყოფილ დროში მოასწრებს ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას.

თანაც ამ დროს ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ შტაბისტები თავიანთ საქმიანობს: როგორც მეცნიერებას, როგორც ხელოვნებას ან სულაც უბრალო ხელოსნობას. საკუთარი საქმიანობის ასეთი აღქმიდან ამოიზრდება ეს გეგმები, რომელთაც ომში წარმატებამდე თუ მარცხამდე მივყავართ. ამასთან სრული დაყვანა ძალებისა სტანდარტულ ერთეულებამდე იდეალია, რომელსაც ყველა სამხედრო უნდა ესწრაფვოდეს, მაგრამ ვერასოდეს ვერ მიაღწევს მას. ამიტომ ხშირად გეგმა მისი შემქმნელი პიროვნების ბეჭდითაა დადაღული. შლიფენის გეგმა, ერთი ისტორიკოსის თქმით იმდენად იყო აღბეჭდილი მისი ავტორის ინდივიდუალობით, რომ მოლტკე-უმცროსი მას უბრალოდ ვერ განახორციელებდა: ის ხომ მოლტკე (თანაც უმცროსი) იყო და არა შლიფენი.

ამას გარდა, საჭიროა ორიგინალური გეგმის განხორციელებისა-

თვის აუცილებელი სტრუქტურები უკვე მშვიდობიანობის დროს შეიქმნას. მაგალითად, შლიფენის მიერ მძიმე ჰაუბიცების არტილერიის ჩართვა კორპუსების შემადგენლობაში, იაპონელთა მიერ ნაგუმოს საავიამზიდო გაერთიანების შექმნა ერთადერთი მიზნისათვის: პირლ-ჰარბორზე დარტყმისათვის, გერმანელების მიერ ჯაეშანსატანკო დივიზიების შექმნა ოპერაცია „გელბი"-ასათვის. ყველა ამ შემთხვევაში par excelens (არა ზოგადად, არამედ მხოლოდ კონკრეტული მიზნის მიღწევისათვის სახელდახელოდ შექმნილმა) ამ task force -მა, რომლებიც ხშირად ძალიან მცირე დეტალის გადაწყვეტას ემსახურებოდა, უზრუნველყო მთელი ოპერაციის ჩანაფიქრი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქ-ტურა ნებისმიერ არმიაში ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატული რგოლია. ჭირს მისი გამოყენება საბრძოლო მოქმედებებში ყველა პერიპეტიისათვის (მაგალითად, მეორე მსოფლიო ომისას გერმანული სტრუქტურა: არმია-კორპუსი-დივიზია პრაქტიკულად არ მუშაობდა ყირიმსა და ჩრდილო აფრიკაში). საშუალოსტატისტიკური მეთაურები თავაინთი საშუალოსტატისტიკური ნაწილებით შეიძლება შესანიშნავნიც იყვნენ. მაგრამ გარკვეული ტიპის მოქმედებისას,როდესაც ავტონომიურობისა და დეცენტრალიზაციის ხარისხი მაღალია, პირადი და რისკიანი გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებაა აუცილებელი, სხვა ტიპის ძალებია საჭირო. აქ ალბათ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ელიტარული ძალები, რომელთაგან, გარემოებისდა მიხედვით, შეიძლება შეიქმნას მიზნობრივი ჯგუფები, ხშირად სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლადაც კი (რაზეც დიდი ტაქტიკისადმი მიძღვნილ მონაკვეთში ვისაუბრებ). ვთქვათ, ავღანეთში ტერაქტების შემდგომ დაწყებული ომისას ასეთმა ჯგუფებმა, შემდგარმა სპეცდანიშნულების ნაწილებისგან, ავიაციასთან და ჩრდილოეთის ალიანსის ძალებთან ერთად დაამხო ტალიბები. სხვაგვარად, ტაქტიკური ზომის დანაყოფებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. ოღონდ აქ გარკვეული ზომის დაცვაა საჭირო, რათა ელიტარული კომანდოსები უბრალო ქვეითებად არ გამოვიყენოთ.

ერთი სიტყვით. არაკლასიკური სტრატეგია და ოპერაცია არ არის კლასიკური სტრატეგიის უარყოფა. ის მას სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, თუ კლასიკური სტრატეგიის ფარგლებში შესაძლებელია ლოგიკური და პროგნოზირებადი შედეგების

მიღწევა, ოღონდ ამისათვის საჭირო რესურსებს უნდა ფლობდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია საშინელი ჩიხი, რომელთანაც კაციობრიობა კლასიკურმა სტრატეგიამ მიიყვანა — პირველი მსოფლიო ომი. ამას ემატება ისიც, რომ კლასიკურ სტრატეგიებზა აღზრდილ ნაწილებსა და მეთაურებს ძალიან უჭირთ იმოქმედონ პარტიზანული ომისას, გერილიისას ან ბოევიკებთან, კიდევ უფრო მეტად — ტერორისტებთან. აქ კომბინირებული მიდგომაა საჭირო, სადაც ერთმანეთს ნუმერირებული რეგიმენტები კი არ უპირისპირდება, არამედ — ინდივიდუუმები თავიანთი პიროვნული თვისებებით (ზოგი ნიშნით „პლუსით", ზოგი ნიშნით „მინუსი").

განსხვავებით ანალიტიკური სტრატეგიისაგან, სადაც შემსრულებლის ინდივიდუალობა ნაკლებმნიშვნელოვანია, „რისკის სტრატეგიისათვის" დამახასიათებელია ოპერაციის „მიბმა" მეთაურის პიროვნებაზე. შლიფერის გეგმა, გენერალური შტაბის აწყობა „თავის თავზე" შეუსრულებადი იყო მოლტკე უმცროსისათვის. ამ უკანასკ-ნელს არაფერი რჩებოდა, გარდა „რისკის მაჩვენებლის შემცირებისა", კამპანიის დაკავშირებისა პიროვნებასთან, ინდივიდუალურ თვისებებ-თან. თუმცაღა, ყოველივე ამან მიგვიყვანა ომის გაწელვამდე, რაც დამღუპველი გახდა გერმანიისთვისაც და დანარჩენი ევროპისთვისაც.

უფროსი მოლტკე, რისკიან გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი მეთაურის ვალდებულებას რომ იხილავდა, ამბობდა: „არმიის მეთაურს, თავის მოქმედებებში, რომელთა წარმატება არასდროს არ არის გარანტირებული, ისევე როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებს, სასამართლო პასუხისმგებლობის არ უნდა ეშინოდეს. მას სხვა პასუხისმგებლობა აკისრია ღმერთისა და საკუთარი სინდისის წინაშე — პასუხისმგებლობა ათასობით ადამიანის სიცოცხლისა და სახელმწიფოს კეთილ-დღეობისათვის". შესანიშნავი დახასიათებაა, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, თუ მთლიანად შემთხვევითობის მეუფებაში ვმოქმედებთ, ანუ იქ, სადაც, აინშტაინის პერეფრაზი რომ გავაკეთოთ, თვით უფალიც კი კამათლების ყრით იღებს გადაწყვეტილებას? ,

ამიტომ რისკის სტრატეგიაზე დამყარებული ოპერაციების უზარ-მაზარი ეფექტურობის ფასი მხედარმთავრის ზეპასუხისმგებლობაა. „ძლევაი საკვირველის" ლოგიკური შედეგი „გალობაი სინანულისაა".. „თამაშის ბოლო", რომელსაც რისკის სტრატეგია ემყარება, როგორც

წესი, ატარებს არა სამხედრო-ტექნიკურს, არამედ ფსიქოლოგიურ ხასიათს. მოწინააღმდეგემ შინაგანად უფრო ადრე უნდა აღიაროს კაპიტულაციის გარდაუვალობა, ვიდრე ის იქნება გაფორმებული ან ხელმოწერილი.

შტაბების როლი არაანალიტიკური სტრატეგიისას: კიდევ ერთი მომენტი, რაც რისკის სტრატეგიას კლასიკურისაგან განასხვავებს, შტაბების განსაკუთრებული როლია. ანალიტიკური (კლასიკური) ოპერაციისას შტაბის რგოლის ამოცანაა რისკის მაჩვენებლის შემცირება. არაანალიტიკურ სტრატეგიაში საქმე ეხება რისკის მაჩვენებლის ზრდის მინიმალიზაციას. პირველ შემთხვევაში ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სტრატეგია, რაც შეიძლება, მეტად გონივრული იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — იმაში, რომ სტრატეგია, რაც შეიძლება, ნაკლებ „გიჟური" იყოს (თუმცა უეჭველია, რომ ის რაღაც დონეზე „გიჟური" ყოველთვის იქნება). ამიტომ არაანალიტიკური სტრატეგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეტასტრატეგია: სტრატეგია სტრატეგიის სივრცეში (იმედი მაქვს, ამ ცნებაზე სხვა ნაშრომში ვილაპარაკებ).

რას გულისხმობს ეს მეტასტრატეგია? რისკიანი ოპერაციების თავისებურებებს, პასუხისმგებელი მეთაურის განსაკუთრებული როლს (ფართო გაგებით — საერთოდ პიროვნული საწყისის როლს სტრატეგიაში), „გერმანულ" სტილს, შტაბის კომპონენტისთვის განსაკუთრებული დატვირთვის მინიჭებას. რა თქმა უნდა, რისკის სტრატეგია არ წარმოადგენს მარტო გერმანელების პრეროგატივას. იამამოტო[101] თავის ოპერაციებში გააზრებულად ესწრაფვოდა რისკის მაჩვენებლის გაზრდას. მათი მაგალითი აჩვენებს, რომ „რისკის სტრატეგიის" ცხოვრებაში გატარებისთვის აუცილებელია სათანადოდ მომზადებულ უმცროს ოფიცერთა შემადგენლობა.

თუ კლაუზევიცს დავუჯერებთ, ყველა ოპერაციას მიზნად ბოლოს და ბოლოს ბრძოლა აქვს და სწორედ ეს ბრძოლა განსაზღვრავს ოპერაციის შედეგებს. მაგრამ თუ ბრძოლის შედეგი კლასიკურ ანუ ანალიტიკურ ოპერაციაში პროგნოზირებადია, რისკიანი ოპერაციისას — არაა. აქ შეიძლება მთელი კამპანია შეიძლება ჩავარდეს საველე მეთაურების არასაკმარისი მომზადებისა გამო. „რისკის სტრატეგია", პირველ რიგში, არის ადამიანური ფაქტორის სტრატეგია. მოახერხებენ თუ არა პასუხისმგებელი მეთაურები თავიანთი პიროვნული ძალებით შეკავებას ვიწრო ზღვარზე, კატასტროფისაგან რომ გვაშორებს?

არაანალიტიკურ ოპერაციაში უაღრესად მნიშვნელოვანია იცნობდე მოწინააღმდეგეს. აქ ისევ მუშაობს „პიროვნული ფაქტორი“: „რისკის სტრატეგია“ კრიტიკულია არა მხოლოდ თავისი, არამედ მოწინააღმ-დეგის მეთაურების ინდივიდუალური თავისებურებების მიმართ. ამიტომაც ამბობენ: „თუ იცი ის და შენი თავი, იბრძოლე თუნდაც ასჯერ — საშიშროება არ იქნება; თუ შენი თავი იცი და ის არა, მაშინ ერთხელ გაიმარჯვებ, შემდეგში იწვნევ დამარცხებას; თუ არ იცნობ შენ თავსაც და მასაც, დამარცხდები ყოველთვის, როცა იბრძოლებ.“ (სუნ-ძი).

ანალიტიკური ოპერაცია არსებითად გეომეტრიულ ია. მის არსს შეადგენს „მოძღვრება პოზიციაზე“ (იხ. ზემოთ), ის სამხედრო საქმეში ევკლიდეს ორგანზომილებიანი სივრცის ანალოგიაა. რისკის სტრატეგიაში მთავარია არა სივრცე, არამედ დრო. ასეთი ოპერაცია ყოველთვის კონკრეტული ტემპური „თამაშია“, სადაც პოზიციური, სივრცური ფაქტორები კარგავენ თვითკმარ მნიშვნელობას. აქ ისე ხდება, როგორც მინი-ფეხბურთში. რისკიანი ოპერაცია მოგების თანაბარ შანს აძლევს ორივე მხარეს. ფრანგებს 1940 წლის 13 მაისს, გუდერიანის მაასზე გადასვლისას, მანშტაინის ჩანაფიქრი რომ გამოეცნოთ, მთელი გერმანული მოქმედი დაჯგუფება ალყაში აღმოჩნდებოდა და განადგურდებოდა.

ამიტომ რისკის სტრატეგიის გამოყენებისას უაღრესად მნიშვნე-ლოვანია, რომ მოწინააღმდეგემ რისკიანი ქმედების საპასუხოდ იმოქმედოს არა „სწორად“, არამედ „ბუნებრივად“, წესდებით. ეს შესაძლე-ბელია მხოლოდ მოწინააღმდეგის ინფორმაციული გადატვირთვით, რაც გულისხმობს, კერძოდ, რისკიანი ოპერაციის წარმოების უდიდეს, შეიძლება ითქვას, პათოლოგიურ სისწრაფეს, სისწრაფესა და კიდევ ერთხელ, სისწრაფეს.

კლასიკური სტრატეგიისას გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ორ შემთხვევაში: თავიდანვე არათანაბარი ძალებისას ან იმთავითვე არასწორი მოქმედებისას. ამასთან, უფრო ძლიერი მხარის გენერლები დაწვრილებითი ანალიზისა და დაგეგმვის ინტერესს კარგავენ და უბრალოდ ეყრდნობიან თავიანთი სახელმწიფოს სიძლიერეს. ასეთი თვითდაჯერებულობა სავსეა გართულებებით და დანაკარგებით (მაგალითად, რუსეთის მოქმედებები ჩეჩნეთის ომისას).

რისკის სტრატეგიისათვის დამახასიათებელი, „თავიდანვე არასწორი მოქმედებებიც“ შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს. ყველაზე

საუკეთესო ვარიანტია იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელთა შედეგი მოწინააღმდეგის მიერ რეალურ დროში არ შეიძლება იყოს გათვლილი. „რისკის სტრატეგია" თავისთავად წარმოადგენს კონტროლირებადი ქაოსის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს. მით უმეტეს, რომ სამხედრო მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მეთაურს განკარგულებაში გააჩნია ასეთი კონტროლის აპარატი. კიდევ საჭიროა ვაჟკაცობა, რათა მიიღო მძიმე გადაწყვეტილება და — ნიჭი, საჭიროა უნარი შენი ძალებისა და მოწიმააღმდეგის ძალების შეფასებისა — last, but not least — დანიშნო საჭირო თანამდებობებზე საჭირო ხალხი.

ოპერატიული ხელოვნება, რომელიც კლასიკურ სტრატეგიას ემყარება, ბრძოლის შედეგის პროგნოზირებისას ალბათობას იყენებს. დაითვლება რა ფაქტორები, ეს ხელიშშემწყობ თუ ხელისშემშლელ გავლენას ახდენს ბრძოლის ბედზე. ამ დროს, სადაც ეს შესაძლებელია, მათემატიკური მეთოდებით განსაზღვრავენ ფაქტორთა ყოფნა-არყოფნას და ხასიათს. შესაბამისად განსაზღვრავენ ბრძოლის დასასრულის ალბათობასაც. რასაკვირველია, ასპროცენტიანი ალბათობა აქ ისევე არ გვხვდება, როგორც ფეხბურთში, ნორმიდან შესაძლო გადახრები დგინდება შტაბისტების ლოგიკით, წარმოსახვით, ხშირად კამათლების აგდებითაც (ამ მეთოდს მიმართავდნენ იაპონიის საზღვაო შტაბის ოფიცრები მეორე მსოფლიო ომისას).

შტაბისტები, ცალკეული საალბათო ვითარების, ზოგადი გათვლიდან ეშვებიან, ცალკეული ალბათობის ვარიანტების გათვლაზე. ვთქვათ, დადგინდა, რომ ასიდან ოთხმოც შემთხვევაში ომი მოგებულია; მაგრამ ახლა იბადება კითხვა: რა განაპირობებს ამ ოც წაგებულ ომს? ყველა ისინი თავ-თავიანთი პარამეტრებით ცალკე უნდა იყოს შესწავლილი. მათი შესწავლისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ ოც წაგებულ ომთაგან ერთ-ერთის რეალიზების ალბათობა უფრო მაღალია 80 მოგებული ომიდან ნებისმიერი რეალიზების ალბათობაზე.

აქედან გასაგებია გარკვეული სიფრთხილე, რასაც კლასიკური სტრატეგიის მიმდევრები იჩენენ. მათთვის მთავარია შეამცირონ არისკის ალბათობის მაჩვენებელი, მით უფრო, განსაზღვრული სახე მისცენ მას და ისე მოიქცნენ, რომ დაგეგმისას რაც შეიძლება პროგნოზირებადი ვითარება შექმნან. რისკის სტრატეგიის ტიპის არაკლასიკურ სტრატეგიაში შეგნებულად ზრდი შესაძლო მოქმედებების (იგულისხმება შესაძლო გადაწყვეტილებების სივრცე) იმ იმედით, რომ მოწინააღმდეგეზე

უკეთ შეგიძლია იმოქმედო ქაოტურ ან ქაოტურთან მიახლოებულ სიტუაციაში. პრინციპში იდეალური ვითარებაა, როდესაც ახალი გადაწყვეტილება 2-4 ჯერ ზრდის ჩემი შემდგომი გადაწყვეტილების სივრცეს (და შესაბამისად ამდენადვე ზრდის მოწინააღმდეგის დაბნეულობის ხარისხაც) და შესაბამისად ამდენჯერვე ამცირებს გადაწყვეტილებათა მისეულ სივრცეს, ანუ მის ქმედებას ჩემთვის ორჯერ პროგნოზირებადს ხდის. ოღონდ აქაც თავშეკავებაა საჭირო, რომ ჩვენი გადაწყვეტილებათა სივრცის დაუსრულებლად გაფართოებისას ოავად არ დავიკარგოთ ამ სივრცეში, არ დავიკარგოთ, როგორც ეს ერთ ანეკდოტში მოუვიდა ინტერნეტში შესულ სვანს.

სასწაულის ფაქტორი სტრატეგიაში; ამ მიდგომაზე სტრატეგები მხოლოდ ბოლო წლების განმავლობაში ალაპარაკდნენ. როგორც ითქვა, კლასიკური სტრატეგია, როგორც მისი ფილოსოფიური წინამორბედი: მექანიციზმი სასწაულს არ ცნობდა. მეტიც, არ ცნობდა შემთხვევითობასაც კი. ის, რაც შემთხვევითობა ან სასწაული გვგონია, მხოლოდ გარემოებათა უცნაური დამთხვევაა, რომელზეც ცოდნა არ მოგვეპოვება. ასეთი ცოდნა (რომელიც ჩვენი ადამიანური შეზღუდულობის გამო არ გაგვაჩნია) რომ გვქონდეს, დავინახავდით: ეს ე. წ. სასწაული ძალიანაც ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, ბანალური მოვლენაა.

ადმირალი იამამოტო

და მაინც არსებობს სტატისტიკა, რომლის მეცნიერულობაში ეჭვი არ გვეპარება და არსებობს ხდომილებები, რომლებიც ამავე სტატისტიკის თანახმად იმდენად მცირე ალბათობისაა, რომ უბრალოდ შეიძლებოდა მათი იგნორირება და არარსებულად მიჩნევა. თუმცა

ეს მოვლენები, სტატისტიკის მტკიცების საპასუხოდ ჯიუტად წარმოგვიდგებიან არსებულად. ერთი ასეთი მაგალითი მანშტაინ-გუდერიანის შეტევიდან არის ცნობილი და ეხება გერმანელ ვიციგის პარაშუტისტების მიერ ბელგიელთა ფორტ ებენ ემაელის აღებას. ვიციგს სულ 75 კაცი ჰყავდა მსუბუქი იარაღით. ამასთან შემტევი მხარის როლში გამოდიოდა. ფორტის დამცველები, რიცხვით 1200, გამაგრებულები იყვნენ ბეტონირებულ კაზემატებში, ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. იმ შემთხვევაში, თუ ჩავთლით, რომ ერთი გერმანელი მედესანტე 6 ბელგიელს უდრიდა და ფორტისათვის ავიღებთ შეგნებულად დაწეულ კოეფიციენტს – 1,5-ს (ანუ შემტევ მხარეს დამცველებზე სამმაგი უპირატესობა კი არ მოეთხოვებოდა, არამედ მხოლოდ ერთნახევარი) განსაცვიფრებელ შედეგებს მივიღებთ. 50-პროცენტიანი გამარჯვების მიღწევის შანსი ვიციგისათვის იყო 1:1.000.000, ანუ მილიონიდან ერთი. და ესეც იმ პირობით, თუ ბელგიელები ფორტის კაზემატებს უბრალოდ არ ჩაკეტავდნენ და ვიციგს ბრძოლას გაუმართავდნენ. მაშინ ვიციგს ისეთივე შანსი ექნებოდა ფორტზე წარმატებული შეტევისა, როგორც ჩვენ – „რაგატკებით" რუსების ამოუცნობი თვითმფრინავების ჩამოგდებისა.

მაგრამ ისიც ნათელია, რომ მანშტაინის გეგმის რეალიზაცია (რომლის ორგანული ნაწილი იყო ებენ ემაელის აღება) ნამდვილად არ შეიძლება ავანტურად იქნას მიჩნეული. აქ თანამიმდევრობა გაწერილია: ბელგიის ხიდებისა და ფორტების დაკავება, არდენებთან ხერგილების გადაყრა და ნაღმების გაუვნებელყოფა, მაასის გადალახვა არტილერიის მხარდაჭერის გარეშე, ფრანგების „ბუნებრივი" შესვლა ბელგიაში. ყოველივე ეს ლოგიკურია, ოღონდ, როგორც პერესლეგინი იტყვის, ეს შეუძლებლის ლოგიკაა. ივივე ავტორი ასე ახასიათებს სასწაულის სტრატეგიას: „Здесь, пожалуй, лежит первый из ключей к понятию стратегического чуда: в таких операциях субъективные факторы начинают превалировать над объективными. Иными словами, хотя объективно в рассмотренных выше примерах внезапности не было, субъективно она была достигнута в полной мере: обороняющийся оказался психологически не готов оказать сопротивление и принял в качестве истинной ту картину мира, которую построил для него наступающий.

Речь идет, по сути, об индукции безумия. Сторона, дерзнувшая подготовить и осуществить невозможную операцию должна быть

чуть-чуть (или не чуть-чуть) „не в себе". Но безумие, будучи проявлением в индивидуальной психике сил хаоса, и в самом деле заразительно. У десантников Витцига, у летчиков Футиды, у саперов Ямаситы былы особые „Тоннели Реальности", искаженные, болезненные, но и превлекательные, как любая сказка. Добропорядочные англо-франко-бельгийско-американские воины столкнулись с подлинным сумасшествием, с яростной, почти религиозной верой в неизбежность чуда. И их уравновешенное мировоззрение оказалось бессильным против этой веры (ამ ჩინებულ დახასიათებას ჩვენის მხრივ დავუმატებდით მაგალითებს, როცა საბჭოთა მეომრები იხოცებოდნენ ძახილით – За родину - За Сталина! - კ.კ.). (25, 840).

თავი 6
არაკლასიკური თეორიები
(გროსტაქტიკა)

სასწაულის სტრატეგიის უკიდურეს ვარიანტს წარმოადგენს ის, რასაც დიდ ტაქტიკას ან, გერმანული ტერმინოლოგიის გავლენით, გროსტაქტიკას უწოდებენ. ტერმინი გულისმობს ერთი ტაქტიკური დარტყმით სტრატეგიული გამარჯვების მიღწევას. ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება სამხედრო ისტორიაში. ქვემოთ შევეხებით დიდგორს, როგორც ასეთი გროსტაქტიკის მაგალითს. მანამდე შეეცდებით ეს ცნება უფრო ნათლად წარმოვადგინოთ.

§ 76
დიდი ტაქტიკა – მითი თუ რეალობა

სუნ ძიდან მოყოლებული ყოველ სამხედროს რაღაცნაირად ესმის სტრატეგიისა და ტაქტიკის მიმართება. თითქოს დღესავით ნათელია ბიზანტიის იმპერატორ ლეონის მიერ ჩამოყალიბებული თუ მისდამი მიწერილი დეფინიცია, რომლის თანახმადაც ტაქტიკა ბრძოლების მოგების ხელოვნებაა, ხოლო სტრატეგია ომის მოგების ხელოვნება.

კლასიკური სტრატეგიის თანახმად სტრატეგიული მიზნის მიღწევა ტაქტიკური ან ტაქტიკურად მიჩნეული ქმედებების ერთობლიობით შეიძლება; ანუ ტაქტიკური გამარჯვებები წინ უსწრებს სტრატეგიულს და ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა ტაქტიკურად მიღწეული გამარჯვებების ჯამი. თანამედროვე ომის არსი თითქოს საპირისპირია: ომის დაწყებამდე მიაღწიო სტრატეგიულ დონეზე გამარჯვებას და შემდეგ ეს გამარჯვება ტაქტიკური ქმედებებით უბრალოდ გააფორმო. სამხედრო-ფილოსოფიურ ენაზე ამ მარტივ ქმედებას დედუქციურ სისტემათა პრიმატი ჰქვია (დაწვრილებით იხ. ზემოთ). ვითარება თითქოს ცხადია: თუ მოწინააღმდეგის საჰაერო ძალებსა და საჰაერო დაცვის სისტემას, მართვის ცენტრებს, კომუნიკაციის საშუალებებსა და ინფრასტრუქტურის ობიექტებს, ანუ ყოველივე იმას, რასაც სტრატეგიული ობიექტები ჰქვია, ომის დაწყებისთანავე გამოიყვან მწყობრიდან, დანარჩენი გამარჯვება თითქოს ტექნიკის (ანუ ტაქტიკის) საქმეა. მაგრამ არის კი?

საკითხის დასასმელად შეიძლება გერმანულ სამხედრო აზრს მივმართოთ. გენერალ გუდერიანის მემუარებში საკმაო ადგილი ეთმობა მის დაუსწრებელ დისკუსიას ფელდმარშალ რომმელთან. ცხადია, დისკუსია დელიკატურია, ვინაიდან რომმელი ცოცხალი აღარ იყო (1944 წლის 20 ივლისის შეთქმულების შემდეგ ჰიტლერმა რომმელი აიძულა თავი მოეკლა). მაგრამ დელიკატურობა საქმეს არ უშლის სხვა ასპექტით: გუდერიანი ამტკიცებს, რომ მანევრული ბრძოლების ვირტუოზი, რომმელი, თელიდა, რომ მოწინააღდეგის ჰაერში აბსოლუტური ბატონობის პირობებში მანევრული თავდაცვას აზრი არც ჰქონდა. რომმელი, ცხადია, მართალი იყო და რუსი გენერლების მიერ დაგეგმილი სადამის ოპერაცია (მხედველობაში მაქვს ერაყის მეორე ომი), რომელიც სტრატეგიულ თავდაცვით-კონტრდარტყმით მანევრს ემყარებოდა, სამარცხვინოდ ჩაფლავდა. თუმცა გუდერიანიც მართალი იყო — მოწინააღმდეგის ჰაერში ბატონობისას სტაციონარული დაცვა ისეთივე აბსურდია, როგორც მობილური; ანუ სტრატეგიულ დონეზე ომი ორივე შემთხვევაში აპრიორი წაგებულია, მაგრამ იქნებ მოქმედებათა სხვა სისტემაც არსებობს?

ცხადი ხდება, რომ სტარტეგიულ დონეზე გამარჯვებით შეიძლება ტაქტიკური სიტუაცია შეცვალო. დღეს, როდესაც რომელიმე

ჰიპერმოდერნისტულ სტრატეგიაში (ვთქვათ, დუეს დოქტრინის თანამედროვე ვარიანტებში, რომელიც საჰაერო საექსპედიციო ძალების მიერ საჰაერო კამპანიის სახეს იღებს) დროის ძალიან დიდი მონაკვეთი გადის დედუქციურ დონეზე წარმატების მიღწევასა და მის ტაქტიკურ რეალიზებას შორის. მაგალითად: ერაყის პირველი ომისას საჰაერო კამპანია, რომლის დროსაც მიღწეულ იქნა სტრატეგიულ დონეზე გამარჯვება, 90 დღემდე გაგრძელდა, ხოლო სახმელეთო ფაზა, რომელმაც ეს სტრატეგიული გამარჯვება ტაქტიკურ დონეზე დაასრულა – სულ ასიოდ საათი. ანუ არაკლასიკური სტრატეგიის დროსაც ასევე საქმე გვაქვს პოზიციის თანამიმდევრულ და ეტაპობრივ ტრანსფორმაციასთან, რომლის მიზანია ამოსავალი მდგომარეობა რიგი შუალედური მდგომარეობების სახით სასურველად გარდავქმნათ. აქაც, ისევე როგორც კლასიკურ სტრატეგიაში, საქმე გვაქვს დროსა და სივრცეში გაშლილ მრავალჯერად ქმედებებთან. ამ პარამეტრებით კლასიკურ და არაკლასიკურ სტრატეგიებს შორის არავითარი პრინციპული განსხვავება არ არსებობს.

მაგრამ ხომ არ შეიძლება საქმე გვქონდეს ისეთ ვითარებასთან, როდესაც ერთი მყისიერი ტაქტიკური ქმედება იმდენად ცვლის ბრძოლის, კამპანიისა თუ ომის სურათსაც კი, რომ მისი შედეგები ასწლეულების შემდეგაც აგრძელებს არსებობას. ეს არ იქნება ის ვითარება, რომელიც კლასიკურ სტრატეგიაშია – როდესაც სტრატეგიული გამარჯვება ტაქტიკური გამარჯვებების შემდეგ მიიღწევა. და მათ ჯამურ შედეგს წარმოადგენს. მაგრამ ეს არც ჰიპერ-მოდერნისტული სტრატეგიაა, როდესაც რაღაც საშუალებით მიიღწევა ის, რომ სტრატეგიულ დონეზე გამარჯვება წინ უსწრებს ტაქტიკურს და ეს უკანასკნელი სტრატეგიული გამარჯვების შემოქმედი კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი გამფორმებელია. ამგვარ ტაქტიკურ ქმედებას შეიძლება გროსტაქტიკა ვუწოდოთ. გროსტაქტიკის შემთხვევაში ტაქტიკური გამარჯვება (არა აქვს მნიშვნელობა, რა ხერხით იქნება მიღწეული) მყისიერად ტრანსფორმირდება სტრატეგიულ გამარჯვებაში, შეიძლება ითქვას, სუპერგამარჯვებაში. ასეთი შემთხვევები, მართალია, სამხედრო ისტორიაში ძალიან იშვიათია, მაგრამ მაინც არსებობს და იმად ღირს, რომ განვიხილოთ. მით უმეტეს, რომ ბოლო ასეთი ქმედებიდან – ჩეჩნების მიერ 1996 წელს გროზნოს შტურმიდან – რომელსაც პირველი

რუსულ-ჩეჩნური ომის დასრულება მოჰყვა, არც ისე დიდი დრო გვაშორებს.

ამასთან გროსტაქტიკის ჩვენს მიერ გამოყენებული ცნება უნდა განვასხვავოთ ნაპოლეონის მიერ გამოყენებულ ე.წ. „დიდი ტაქტიკისგან", რომელსაც ჟომინიმ სპეციფიკური მნიშვნელობა მისცა (სხვათა შორის ტერმინს „დიდი ტაქტიკა" ენგელსიც ნაპოლეონ - ჟომინის კონტექსტში მოიხმარდა). ნაპოლეონისა და ჟომინისათვის „დიდი ტაქტიკა" ნიშნავდა საბრძოლო მოქმედებათა თეატრზე მოქმედებების (უპირატესად გადაადგილების) წარმოებას, განსხვავებით ბრძოლის ველზე წარმოებული საკუთრივ ტაქტიკური ქმედებებიდან, ანუ მათთვის „დიდი ტაქტიკა" დაახლოებით იმასვე ნიშნავდა რასაც თანამედროვე აზრით გაგებული „ოპერატიული ხელოვნება".

სტრატეგია (როგორც კლასიკური, ისე არაკლასიკური გაგებით) გულისხმობს ეითარების თანამიმდევრულ ტრანსფორმაციას ამოსავალი პოზიციიდან დასასრულამდე. ომს იგებს ის, ვინც ახერხებს, რომ პოზიციათა ტრანსფორმაციების ამ რიგისას ბოლო ეპიზოდი იყოს ისეთი, როგორიც მან თავიდან ჩაიფიქრა (უფრო ზუსტად, ისეთთან მიახლოებული, ვინაიდან ისტორიაში არ არის ცნობილი მხედარმთავარი, რომელსაც ასი პროცენტით მოეხერხებინოს თავისი ჩანაფიქრის განხორციელება). სტრატეგიული მიდგომისას ორივე შემთხვევაში გადამწყვეტია მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობა, რომლის დროსაც ტაქტიკური ქმედებებით (კლასიკურ სტრატეგიაში), ან სტრატეგიული მოქმედებებით (დედუქციურ სტრატეგიებში) დროში გაშლილად ახდენ ჩანაფიქრის განხორციელებას. მაგრამ თეორიულად მაინც დგება კითხვა: ხომ არ შეიძლება სტრატეგიული მიზანი პრაქტიკულად მყისიერად, ჯერ კიდევ ტაქტიკური ქმედებების დონეზე იქნეს მიღწეული? ეს არა არის სტრატეგია ზარმაცებისათვის. ეს რაღაც უფრო მეტია. ეს არის ქმედება სფეროში, სადაც სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის დაყოფა აზრს კარგავს. შეიძლება იმიტომაც, რომ, როგორც ვან კრეველდი ამბობს, საქმე პოლიტიკური მიზნის რეალიზაციას კი არა, უბრალო ყოფნა-არყოფნას ეხება. ახლა მხოლოდ იმის კითხვაღა დაგვრჩენია, როგორ მივაღწიოთ ამ გროსტაქტიკის რეალიზებას, ანუ როგორ შეიძლება სტრატეგიულ შედეგს მყისიერად და თანაც ტაქტიკურ ქმედების დონეზე მივაღწიოთ, აგრეთვე — რა არის საჭირო ამისათვის.

§ 77
გროსტაქტიკა.
საკითხის დაკონკრეტება

კლასიკური სამხედრო ხელოვნება (სტრატეგია უფრო მეტად, ტაქტიკა – უფრო ნაკლებად) ორ, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავ ფილოსოფიურ წყაროს ემყარება: კლასიკურ მექანიკასა და კლასიკურ იდეალიზმს, უპირატესად გერმანულს (ჩვეულებრივ ითვლება, რომ კლაუზევიცი ამ უკანასკნელი ფილოსოფიური სკოლის მიმდევარი იყო). პირველისათვის კვლევის ამოსავალი პრინციპი არის სხეული, ობიექტი და ის კანონზომიერებები, რომლებიც სივრცეში მის მოძრაობას განდასაზღვრავს (არაა არსებითი, მზის სისტემაში პლანეტების მოძრაობაზეა ლაპარაკი, თუ რუქაზე საარმიო კორპუსის გადაადგილებაზე. ამ მიდგომით იყო განპირობებული XIX საუკუნის სტრატეგიის თეორეტიკოსებში გეომეტრიული წყობის ფორმებით გატაცება, რომელიც რიგ შემთხვევებში პათოლოგიურ ხასიათსაც კი აღწევდა). კლასიკური იდეალიზმისათვის მთავარია სული, ანუ ის ფენომენი, რომელიც სივრცითი მახასიათებლებით არც და ვერც ამოიწურება.

კლასიკური მექანიკის პრინციპი არის მატერიალური წერტილი (კლასიკურ სტრატეგიაში მას დაგეგმვის ერთეული შეესაბამება), ანუ ათვლის წერტილად აღებული მატერიალური ელემენტი, რომელიც სხვა ასეთ ელემენტებთან დაკავშირების წესებითაა სისტემაში მოყვანილი. ნიუტონის სისტემაში პლანეტები, ანუ ელემენტები, სისტემაში მოდის მოძრაობის კანონებით. სამხედრო საქმეში მატერიალური წერტილები, იგივე დაგეგმვის მინიმალური ერთეულები (ბატალიონი, რეგიმენტი, დივიზია და ა.შ.), ერთმანეთთან რეგულირებად ურთიერთობაში მოდის სამხედრო ხელოვნების წესებით (ცხადია, სამხედრო ხელოვნების წესი არაა კანონი, აქ ელემენტთა თავისუფალი დაკავშირების ხარისხი უფრო მაღალია. მზის დაბნელება მაინც მოხდება, გვინდა თუ არა ეს, მაგრამ მხედართმთავარს შეუძლია განახორციელოს სივრცეში ისეთი გადაადგილება, რომელიც სულაც არაა „ბუნებრივი“).

აქედან გამომდინარე, კლასიკური სტრატეგიის „მექანისტური“ სკოლისათვის სამხედრო ხელოვნება არის სისტემა და მხედარმთავრის

ოსტატობა მით უფრო მეტია, რაც მეტად შეუძლია მას სამხედრო ქმედებებს ლოგიკური სახე მისცეს. ამის საპირისპიროდ „არალოგიკური", „ქაოტური" ქმედებები კლასიკური სტრატეგიისათვის დასაგმობიც კია. სამხედრო ძალა ისე უნდა „მუშაობდეს", როგორც სრულყოფილი მექანიზმი, ვთქვათ, მზის სისტემა.

დიდ ტაქტიკაში საქმე სხვანაირად მიიღწევა. რუსი სამხედრო მეცნიერი ანტონ სილანტიევი დიდ ტაქტიკასთან, ანუ გროსტაქტიკასთან, დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავს: „გამარჯვება მიიღწევა ფრონტის საკვანძო ადგილებში მცირე ოდენობის კომანდოსების გამოყენების მეშვეობით. მაგრამ იმისათვის, რომ ეს წარმატება ლოკალურ ტაქტიკურ ხერხად არ იქცეს, წარმატების ეფექტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს, უმაღლეს, ფსიქოლოგიურ დონეზე.

ფაქტობრივად მოწინააღმდეგის ფრონტის მონაკვეთი (ფრონტი, მთლიანად თავდაცვა) უნდა დაინგრეს და დაასამაროს ომის გაგრძელების ყველა მსურველი.

ამასთან საჭიროა შეიარაღებულ ძალთა ძირითადი დაჯგუფების მხოლოდ მინიმუმის მხარდაჭერა (ეფექტისდა მიხედვით გარღვევა, ან შეტევის იმიტირება ან ფრონტზე დაკიდება).

ამგვარად, ძირითადი განსხვავება ომის წარმოების მეთოდებს შორის მდგომარეობს კომანდოსების გამოყენების ხარისხში — თუ კლასიკურ სტრატეგიაში კომანდოსები გამოიყენებიან დამხმარე, დიდად სასარგებლო, ოღონდ ტაქტიკურ ძალად, დიდი ტაქტიკის ჩარჩოებში ისინი წარმოადგენენ ძირითად ძალას, რომელთა მიმართ ყველა სხვა „ძირითადი ძალა" განიხილება, როგორც დამხმარე... მთლიანობაში ოპერაცია მით უფრო მეტად იქნება წარმატებული და მათში მით უფრო ნაკლები ძალა იქნება ჩართული, რაც უფრო მაღალი იქნება ზემოქმედება ფსიქოლოგიურ დონეზე" (28, 563-564). ამგვარი გროსტაქტიკის მაგალითი დიდგორია, რომელსაც ახლა განვიხილავთ, თანაც დავით აღმაშენებლის სტრატეგიული ქმედებების კონტექსტში.

თავი 7
„სტრატეგია საკვირველი"
არაკლასიკური სტრატეგიების გამოყენება დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნებაში

§ 78
დავით აღმაშენებლის არაპირდაპირი ქმედებები დიდი სტრატეგიის სფეროში

თანამედროვე სამხედრო აზრი, როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, იცნობს სამხედრო სტრატეგიის ორ სახეს — პირდაპირი და არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიას. პირველის ამოცანაა მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება ერთ ან რამოდენიმე გენერალურ ბრძოლაში და მისი ტერიტორიის ოკუპირება. მეორე სახის სტრატეგიის ამოცანაა სხვადასხვა სახის არაპირდაპირი (როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო) მოქმედებების გზით მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის მოშლა, მისი მდგრადობის დარღვევა და 'ომის წარმოებისათვის მისი ნების პარალიზება. ამ თავის მიზანია იმის აღწერა, თუ როგორ იყენებდა დავით აღმაშენებელი არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიას.

ზემოთ, ლიდელ-ჰარტის თეორიის ანალიზისას, გამოვყავით არაპირდაპირი მოქმედებების სხვადასხვა მაგალითები როგორც დიდი სტრატეგიის, ისე სამხედრო სტრატეგიის სფეროში. ახლა ისღა დაგვრჩენია, ავიღოთ ყველა ეს მაგალითი და დავით აღმაშენებლის ქმედებები ამ კუთხით განვიხილოთ.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეების მოძიება: საყოველთაოდ არის ცნობილი, რა მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის სტრატეგიისათვის ისეთი მოკავშირეების გამოძებნას, როგორებიც იყვნენ ჯვაროსნები. ეს გარემოება ნათლადაა დაფიქსირებული დავითის ისტორიკოსთან. იგი წერს: „ამა ჟამსა გამოვიდნენ ფრანგნი (=ჯვაროსნები), აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა. და განძლიერდა დავით და განამრავლა სპანი. და არღარა მისცა სულტანს ხარაჯა" (5, 326).

ხარაჯის მიცემის შეწყვეტა შუა საუკუნეებში იმასვე ნიშნავდა, რასაც დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადება. და ამ ფაქტს მემატიანე ჯვაროსნების გამოჩენას უკავშირებს. მატიანეებში არსებობს ყრუ მითითება იმაზე, რომ დიდგორის ბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოში საიდუმლო ვიზიტით იმყოფებოდა იერუსალიმის მეფე ბალდუინი (ბოდუენი). არც 200 ჯვაროსნის მონაწილეობაა დიდგორის ბრძოლაში უმნიშვნელო ფაქტორი. ჯერ ერთი, 200 რაინდს რამდენიმე ასეული თანმხლები მებრძოლი (არარაინდი) უნდა ხლებოდა. ამას გარდა, მაშინ მძიმე სარაინდო (მეტალის მძიმე საჭურველით, თორით დაცული) მხედრობა მსოფლიოში არავის არ ჰყავდა. თუ წარმოსახვაში ამ რაინდებს ერთგვარად შუასაუკუნებრივ ტანკებს შევადარებთ, მათი მნიშვნელობა უფრო ნათელი გახდება. წარმოვიდგინოთ, რას ნიშნავს თუნდაც 200 ტანკი, როდესაც მოწინააღმდეგეს არც ერთი არ ჰყავს. ყოველივე ეს მოკავშირის გამოძებნის შესანიშნავი მაგალითია.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეების შექმნა: ერთია მოკავშირის მოძებნა იმ ძალთაგან, რომელთანაც საერთო ინტერესი გაკავშირებს (ჯვაროსნების და ჩვენს შემთხვევაში ეს სწორედ ასე იყო) და სულ სხვაა მოკავშირის შექმნა იმ ძალისგან, რომელიც პრინციპში ნეიტრალური უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო რთულია ვიდრე პირველი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა ამ ამოცანასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ყიჩაღების ჩამოსახლებით. ესეც დიდ სტრატეგიაში არაპირდაპირი ქმედების შესანიშნავი ნიმუში იყო.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის ძალმოსილების მოშლა: აქ არ არის ლაპარაკი სამხედრო ძალმოსილების მოშლაზე. ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ. თუმცა, სანამ შემდეგ საკითხზე გადავალთ, აუცილებელია ვიკითხოთ — რაში მდგომარეობდა მუსულმანთა ძალმოსილების საფუძველი (ტერმინ „მუსულმანს" იმიტომ ვხმარობ, რომ დავითს ორი ეთნიკურად განსხვავებული დაჯგუფება უპირისპირდებოდა. ერთი მხრივ, ძირითადად აგრარულ პუნქტებში მცხოვრები თურქულენოვანი მომთაბარეები და მეორე — უპირატესად არაბულენოვანი მოსახლეობა, რომლებიც ისეთ ქალაქებს აკონტროლებდნენ, როგორებიცაა: თბილისი, დმანისი და რუსთავი. ამ ორი ჯგუფის არსებობას მემატიანე ნათლად ადასტურებს იქ, სადაც ამბობს: „ამათ ესევითართა ჭირთაგან

შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე" (5, 340). ტერმინ „მუსულმანს" ვიყენებ, როგორც ამ ორი დაჯგუფების კრებით სახელს. მათი ძალმოსილების პირველი ასპექტი **ფსიქოლოგიური** იყო. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართველებზე ძლიერები იყვნენ და, შესაბამისად, ქართველები ვერაფერს გაუბედავდნენ. ბუნებრივია, ქართველები საპირისპირო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ვერაფრით წარმოიდგენდნენ, თუ მუსულმანთა დამარცხებას შეძლებდნენ. ამას მემატიანე განსაკუთრებით უსვამს ხაზს, როდესაც იმ ჯარს ახასიათებს, დავითს რომ მემკვიდრეობით ერგო: „იგი გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი მრავალგზის მტერთაგან სიელტოლითა უცხენო და უსაჭურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად **მოშიშნი**" (5, 358, ხაზი ჩვენია — კ.კ.). მუსულმანთა ძალმოსილების მეორე ასპექტი ეკონომიკური იყო. ამასთან დაკავშირებით ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „თურქი დამპყრობლები (იგულისხმება სელჯუკები — კ.კ.) „გადმოსახლებით" მოდიოდნენ. მათ პრიმიტულ მეურნეობას (მომთაბარე მეჯოგეობას) მიწის დიდი ფართობი სჭირდებოდა. დიდ მდინარეთა (არეზის, მტკვრის, ალაზნის, ივრის ნოყიერი ჭალები და მაღალმთიანიანეთის ალპური საძოვრები თურქ მომთაბარეების ყიშლიალაღებად უნდა ქცეულიყვნენ" (1, 158). ამას ემატებოდა მუსულმანთა მეორე — თბილისის — დაჯგუფება და მუსულმანთა ხელთ არსებული ქალაქები, რომელთა ძირითადი შემოსავლის წყარო ვაჭრობა უნდა ყოფილიყო (გავიხსენოთ, რომ საქართველოზე მუსლიმური კოალიციის გამოლაშქრების მთავარი საბაბი სწორედ ვაჭართა ჩივილი გახდა). ამრიგად, დავითს უნდა მოესპო მუსულმანთა ძლიერების ორივე წყარო: ეკონომიკურიც (ანუ არ მიეცა მათთვის მეჯოგეობისა და ვაჭრობის საშუალება) და ფსიქოლოგიურიც. მაგრამ როდის სუსტდება ეკონომიკა? ბუნებრივია მაშინ, როდესაც მას არასტაბილურ, არამდგრად გარემოში უწევს საქმიანობა. მომთაბარეებზე გამუდმებული თავდასხმებითა და სავაჭრო გზების გამუდმებული ბლოკირებით დავითმა ერთნაირი წარმატებით გადაჭრა ორივე ამოცანა — ფსიქოლოგიურიცა და ეკონომიკურიც. რაც შეეხება მუსულმანთა სამხედრო ძლიერების მოსპობას, ეს წმინდა სამხედრო საკითხია და ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

მანამდე კი არ შემიძლია არ შევეხო ამ საკითხთან დაკავშირებულ იმ ჩინებულ ანალიზს, რომელიც განსვენებულ მეცნიერს ბატონ ივანე შაიშმელაშვილს აქვს ჩატარებული. მისი ნაშრომის ერთი თავი ისე ჟღერს, თითქოს ლიდელ-ჰარტის ყალმიდან იყოს ჩამოსული: „**თურქ-სელჯუკთა საარსებო ბაზები — ქართული არმიის დარტყმათა უპირველესი ობიექტები**". აქ პატიეცემული ავტორი წერს: „აშკარად ჩანს, რომ თურქთა ძლიერების გატეხვას დავით მეფე იმდენად **პირდაპირი** (ხაზი ჩემია — კ.კ.) შეჯახებებით კი არ ლამობდა, რამდენადაც აღნიშნული საარსებო ბაზების მოშლა-მოსპობის გზით" (8, 52).

სწორედ ამაშია არაპირდაპირი სტრატეგიის ერთ უმთავრესი მომენტთაგანი, როგორც ეს ლიდელ-ჰარტს ესმოდა.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მომავალი ძლიერებისათვის საფუძვლის ჩაყრა:

ამ საკითხზე იმდენი თქმულა, რომ ლაპარაკი არც კი ღირს: მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის თანამდებობის შემოღება, საჯო კარის დაწესება, სამხედრო რეფორმა, რუის-ურბნისი და ა.შ და ა.შ. ყველა ესენი არავითარ პირდაპირ სამხედრო ქმედებებს არ წამოადგენდა, მაგრამ საბოლოო ჯამში სახელმწიფოს სამხედრო ძალმოსილების ზრდისკენ იყო მიმართულნი. მათ შედეგსაც გადამწყვეტი სიტყვა სწორედ სამხედრო სფეროში უნდა ეთქვა.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც ქმედებები, რომლებიც საომარ მოქმედებათა ერთ თეატრს სცილდება და **რამდენიმე თეატრს მოიცავს:** დიდგორთან უბრალოდ, ჩვეულებრივი სტრატეგიის გამოყენებით რომ გაგვემარჯვა, ეს ოდენ ერთი, თუნდაც სახელოვანი, გამარჯვება იქნებოდა. ეს დავით აღმაშენებელს დაახასიათებდა, როგორც დიდ, მაგრამ არა გენიალურ მხედართ-მთავარს და მით უფრო სახელმწიფო მოღვაწეს. მაგრამ ის სხვაგვარად მოიქცა. ჩვენს ისტორიკოსებს ის ფაქტი, რომელზეც ახლა ვილაპარაკებ არაერთგზის აღუნიშნავთ, მაგრამ მისთვის დიდი ყურადღება არ მიუნიჭებიათ. საქმე ის არის, რომ ზუსტად დიდგორის ბრძოლის პარალელურად, 1121 წლის აგვისტო-სექტემბერში, მუსლიმებს მძიმე დარტყმა მიაყენა ბოდუენმაც (ბალდუინმა).

ამ პერიოდში მან აიღო ციხე-სიმაგრეები ზარდანა და კუნაშირა, სასტიკად დაამარცხა ილ-ღაზის შვილი სულეიმანი და აიძულა ტერიტორიების დიდი ნაწილი დაეთმო. ამას ჩვენი ისტორიკოსების

დიდგორში თურქების მარცხის შედეგად თვლიან. მაგრამ ეს ასე არ არის ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ბოდუენმა სამხედრო მოქმედება ჯერ კიდევ მანამ დაიწყო, როდესაც უცნობი იყო, ვინ გაიმარჯვებდა დიდგორში და მეორეც — საეჭვოა დიდგორში გამარჯვების ამბავს ასე სწრაფად მიეღწია იერუსალიმამდე ან გინდაც ანტიოქიამდე.

თუ გავიხსენებთ ბოდუენის საიდუმლოებით მოცულ ვიზიტს, თავს ნებას მივცემ გამოვთქვა გაბედული ჰიპოთეზა, რომელსაც ისევე, როგორც ყველა ჰიპოთეზას, დასაბუთება სჭირდება. ეს ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობს: როდესაც დიდგორს განვიხილავთ, როგორც მხოლოდ ქართველთა და მუსლიმთა შორის ბრძოლას, ხომ არ ვაკნინებთ ამით დიდგორის როლს? ხომ არ არის უფრო მიზანშეწონილი, თუ დიდგორს განვიხილავთ, როგორც ერთიანი კოალიციის (საქართველო+ჯვაროსნები) ერთიანი დიდი სტრატეგიის ჩარჩოებში განხორციელებული სინქრონიზებული ქმედებების ნაწილს (რასაკვირველია, იძულებული ვარ თანამედროვე ტერმინები ვიხმარო, ვინაიდან არ ვიცი, რას უწოდებდნენ ამას დავითი და ბოდუენი). ამასთან ეს ქმედებები ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ორ სხვადასხვა საბრძოლო მოქმედებათა თეატრზე ჩატარდა. მაშინ დიდგორი იქცევა არა ლოკალურ ეპიზოდად, არამედ ერთგვარი მინი-მსოფლიო ომის (რომელიც იმ არეალის უდიდეს ნაწილებს მოიცავდა, რასაც ბჟეზინსკი ევრაზიის ბალკანეთს უწოდებდა) ერთ-ერთი გადამწყვეტ ბრძოლად. თუ ასეა, დაფნის გვირგვინი ერთნაირად შეუძლიათ გაიყონ დავით IV-მაც და ბოდუენ II-მაც.

მაღლეინის საფლავი იერუსალიმში

საერთოდ სამხედრო თეორიაში მოკავშირეთა ამ ტიპის სინქრონიზებულ გამარჯვებებს სერიების კანონს უწოდებენ. მათი ლოგიკა ჯერ გახსნილი არ არის, თუმცა მათი დამადასტურებელი ფაქტები საკმაოზე მეტია. მაგალითად, 1942 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებმა სინქრონიზებულად მიაღწიეს უდიდესი სტრატეგიული მასშტაბის წარმატებებს. სსრ კავშირმა სტალინგრადთან საბოლოოდ შეაჩერა გერმანელები, ამერიკელებმა კუნძულ გუადალკანალთან პირველად დაამარცხეს იაპონელები, ხოლო ინგლისელებმა სუეცის არხის ზონიდან პირველად მოახერხეს შეტევაზე გადასულიყვნენ მანამდე უძლეველი ერვინ რომმელის წინააღმდეგ, რასაც ორიოდ კვირაში მოჰყვა ინგლისურ-ამერიკულ-ფრანგული (დე გოლის მომხრეების) გადასხდომა ჩრდილო აფრიკაში.

ასეა თუ ისე, დანამდვილებით შეიძლება ერთი რამ ვთქვათ: დავით აღმაშენებელი ამ მიმართებითაც აკმაყოფილებს არაპირდაპირი სტრატეგიის მოთხოვნას: ის არ დასჯერდა მხოლოდ ერთ თეატრზე მიღწეულ წარმატებას, არამედ ორივე თეატრზე განავრცო იგი (ზუსტად იგივეს თქმა შეიძლება ბოდუენზეც).

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც არა-პირდაპირი ქმედებები სივრცის და დროის მიმართ: ამგვარი მოქმედებები ჩვენს ისტორიკოსთა მიერ კარგად არის გამოკვლეული (ცხადია, არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიასთან მიმართების გარეშე). ამიტომ ისევ პატივცემულ მკვლევარ ივანე შაიშმელაშვილის მოყვანილ ფაქტებს დავჯერდები.

სეზონური მოულოდნელობები: საბრძოლო მოქმედებების წარმოება წელიწადის იმ დროს, როდესაც ამას არავინ ელის (შდრ. ეპამინონდის ხსენებულ მაგალითს). ბატონ შაიშმელაშვილს მოყავს მთელი რიგი მაგალითებისა, როდესაც დავითის ჯარმა ილაშქრა ზამთარში ან ზამთრის მიჯნაზე მაშინ, როდესაც ამას არავინ ელოდა. ესენია: 1116 წლის ზამთარი; 1118 წლის ადრე გაზაფხული; 1120 წლის თებერვალი; 1120 წლის ნოემბერი და ა.შ. ამ ლაშქრობების ანალიზის საფუძველზე პატივცემული მკვლევარი სრულიად სამართლიანად ასკვნის: „ქართული არმიის ამ პერიოდის სტრატეგიაში უნდა შევნიშნოთ კიდევ ერთი სიახლე. ანტითურქული (იგულისხმება ანტისელჯუკური – ქ.ქ.) სამამულო ომი ამიერიდან სწარმოებდა არა სეზონურად, არამედ წლის ყოველ დროში“ (8, 53-54). დავით აღმაშენებლის ეს ქმედებები

ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ზამთრის პერიოდში, დიდი ხნის განმავლობაში, ერთად დაბანაკებული მომთაბარეების განადგურება უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე საზაფხულო საძოვრებზე გაშლილი ტომებისა.

სადღეღამისო რიტმის მოულოდნელობები: ღამის საათებში ლაშქრობა, რასაც სხვასთან ერთად ხელს შეუწყობდა ჩვენი უპირატესობა ტერიტორიაზე ორიენტაციაში (რაც სრულიად არ არის გასაკვირი. ჩვენ ხომ სელჯუკთაგან განსხვავებით საკუთარ მიწაზე ვომობდით), სახელდობრ (მაგალითს ისევ ბატონ შაიშმელაშვილს დავესესხები): სამშვილდე, აგარანი, ბარდავი: ყველა ეს ციხე-სიმაგრე ან ღამით იქნა აღებული, ან გათენებისას — ღამის მარშის შემდეგ.

არაპირდაპირი მოქმედებები სივრცის მიმართ: 1101 წელს დავითი იღებს ჰერეთ-კახეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხეს — ზედაზენს. პირდაპირი მოქმედების სტრატეგიის თანახმად მას შეტევა უნდა გაეგრძელებინა აღმოსავლეთით და დაეკავებინა მთელი ჰერეთი და კახეთი. მით უფრო, რომ ამავე წელს (ზოგიერთი ცნობით 1103 წელს, მაგრამ ამას ახლა ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) ის ერწუხთან იმარჯვებს ბრძოლაში, რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიით გენერალური შეიძლება ეწოდოს. ისტორიკოსი ასე აღწერს დავითის მოწინააღმდეგეებს: „სულტნისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი“ (5, 328). ბუნებრივია, ამ შემადგენლობის არმიის დამარცხება კახეთის შემოერთების საქმეში, თანამედროვე ტერმინოლოგიით, სწორედაც რომ გენერალურ ბრძოლად შეიძლება იყოს მონათლული, რასაც კლასიკური სტრატეგიის თანახმად ტერიტორიის დაკავება უნდა მოჰყვეს. მაგრამ დავითი ასე არ იქცევა. ის მოულოდნელად ბრუნდება დასავლეთით და 1104 წელს ატარებს რუის-ურბნისის ცნობილ კრებას. 1105 წელს იგი ისევ გადადის აღმოსავლეთით და საბოლოოდ იერთებს კახეთს. ანუ თბილისი, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მხრიდან გახსნილია დარტყმებისათვის და პირდაპირი მოქმედების სტრატეგიის პრინციპებიდან გამომდინარე თბილისზე არშეტევა ულოგიკობა იქნება. მაგრამ დავითი კვლავ არ უტევს თბილისს. მეტიც, ის საერთოდ იმერეთში გადადის და იწყებს გელათის ცნობილი ტაძრის მშენებლობას. 1108-09 წლებში დავითი ისევ იწყებს შეტევას აღმოსავლეთით, მაგრამ არა თბილისზე, არამედ მის სამხრეთ-აღმოსავლეთზე — ქვემო ქართლზე. ესეც კვლავ არაპირდაპირი

მოქმედებაა სივრცის მიმართ. ბოლო ქმედებას, გარდა სტრატეგიულისა, შესაძლოა ეკონომიკური კონტექსტიც ჰქონოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ტერიტორია თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათის გამო მომთაბარე-მეჯოგე სელჯუკებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ეკონომიკური ბაზა უნდა ყოფილიყო, რომლის მოშლასაც არაპირირდაპირი მოქმედების სტრატეგია ითხოვს. 1110 წელს დავითი იკავებს სამშვილდეს. თბილისი პრაქტიკულად ალყაშია. პირდაპირი მოქმედების სტრატეგია ამ დროს ითხოვს ან ქალაქის შტურმს, ან ალყის რკალის შევიწროებას, რაც ჩვენს შემთხვევაში რუსთაველისა და დმანისის აღებით უნდა გამოხატულიყო. მაგრამ დავითი არც ერთს აკეთებს და არც მეორეს. ის მოულოდნელად კვლავ ბრუნდება დასავლეთით და ნაჭარმაგევს დგება. შესაძლოა, გარკვეულ ხანს მდგარიყო კიდეც, მაგრამ მათთვის დამღუპველი პროცესები თავად სელჯუკებმა დააჩქარეს, რომლებმაც დიდი ძალით სცადეს შემოსვლა, მაგრამ დავითმა ისინი თრიალეთთან სასტიკად დაამარცხა. ამის მიუხედავად დავითი არ ჩქარობს: მან არათუ თბილისი, რუსთავი და დმანისიც კი არ აიღო. 1115 წელს გაერთიანებული სამეფოს ჯარები იღებენ რუსთავს, მაგრამ აუხსნელი ფაქტი: ამ ჯარს მეფე კი არ სარდლობს, არამედ გიორგი ჭყონდიდელი, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პრემიერ-მინისტრი. მემატიანე განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამ გარემოებას. „და წარიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარს ყოფასა“ (5, 333). ამ უცნაური ფაქტის ახსნა არ შემიძლია. მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, რომ შესაძლოა საქმე დეზინფორმაციის რაიმე ფორმასთან გვქონოდა. მარყუჟი თითქმის შეკრულია, თბილისის თუ არა, დმანისის აღება უადვილესია სამხედო თვალსაზრისით. მაგრამ დავითი ჰანიბალის ღირს სვლას აკეთებს და სრულიად საპირისპირო მხარეს ურტყამს: ტაოში გადადის და იქ განლაგებულ სელჯუკებს ანადგურებს. ამის შემდეგ 1117 წელს ის კვლავ აღმოსავლეთით გადმოდის, მაგრამ თბილისს (ან უკიდურეს შემთხვევაში დმანისს) კი არ ურტყამს (რასაც კვლავ პირდაპირი მოქმედების სტრატეგია მოითხოვდა), არამედ კვლავ არაპირდაპირ ქმედებას ახორციელებს: ლაშქრობს შირვანზე და იღებს ჰერეთისა და შირვანის საზღვარზე სიმაგრე გიშს. ამის შემდეგ შირვანთან ომს უფლისწულ დემეტრეს ანდობს და კვლავ სამხრეთ-დასავლეთით გადადის. 1118 წელს იგი არაქსის სანაპირომდეც კი ჩადის და იქ მყოფ სელჯუკებს ანადგურებს.

ამავე წელს იგი იღებს ლორესა და აგარანის და აგვარებს ყივჩაღთა ჩამოსახლების საკითხს. 1120 წლის ადრე ზაფხულზე იგი საბოლოოდ ამარცხებს შირვანს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს კონცენტრირებას თბილისის მიმდებარე ტერიტორიებზე. მართლაც რომ კასკადია სივრცის მიმართ არაპირდაპირი ქმედებებისა!

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგე კოალიციის ყველაზე სუსტ წერტილზე დარტყმა: ეს ქმედებები ნათლად გამომდინარეობს იქიდან, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ. დავითი თანმიმდევრულად ურტყამს სუსტ წერტილს და მხოლოდ შემდეგ იკავებს უფრო ძლიერს. მაგალითად, ჯერ ურტყამს ზედაზენს და მხოლოდ ამის შემდეგ იკავებს კახეთის უმთავრეს სიმაგრეებს; ჯერ ურტყამს სამშვილდეს და მხოლოდ შემდეგ იკავებს რუსთავს; ჯერ იკავებს რუსთავს და შემდეგ (დიდგორის შემდგომ) იკავებს თბილისს და ა.შ. ერთადერთი გამონაკლისია სამშვილდე, რომელიც დავითმა უფრო ძლიერი პუნქტის — თბილისის შემდეგ აიღო. მაგრამ ამასაც თავისი ახსნა აქვს. ჩანს, დავითმა დიდგორის შემდეგ იმდენად ძლიერად იგრძნო თავი, რომ თავს უფლება მისცა, პირდაპირ დმანისისათვის შეეტია.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც პარტიზანული ომი: ამ სფეროში რომ დავითი შეუდარებელი იყო ეჭვს გარეშეა. სხვას რომ თავი დავანებოთ, რეგულარული არმიის ჩამოყალიბებამდე (რაც პირველ დიდ ოპერაციამდე, 1101 წელს, ზედაზნის ციხის აღებამდე, ვერ მოხდებოდა. ციხის აღების უნარი შუა საუკუნეების სამხედრო კრიტერიუმით უკვე გულისხმობს, რომ რეგულარული არმია გყავს) ელემენტარულად არც შეეძლებოდა სხვაგვარად ემოქმედა, თუ არა პარტიზანული მეთოდებით. ნიშანდობლივია, რომ თვით დიდგორისა და თბილისის შემდეგაც კი, დავით აღმაშენებელს მტრები ერთგვარ პარტიზანად განიხილავდნენ. რომელიღაც საცოდავი სულთანი ამასაც კი წერდა: „შენ ტყეთა მეფე ხარ (ტყე კი სწორედ პარტიზანობას უკავშირდება — კ.კ.) და ვერაოდეს გამოხვალ ველთაო" (5, 343). ისე ჯობდა არ მიეწერა იმიტომ, რომ დავითის ველზე გამოსვლის შემდეგ სულთანმა ცუდად დაამთავრა.

არაპირდაპირი ქმედება დიდ სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა: 1092 წელს გარდაიცვალა სელჯუკთა დიდი სულტანი მალიქ

შაჰი. ამის შემდეგ სელჯუკთა დეზინტეგრაცია სწრაფი ტემპით წავიდა. რიგი ამირებისა ფაქტობრივად დამოუკიდებელნი გახდნენ. თუმცა, ფორმალურად სულტნად ითვლებოდა მალიქ შაჰის ის ვაჟი, რომელიც ისპაჰანში იჯდა და დიდი ვერაფერი ღირსებებით გამოირჩეოდა. მაგრამ დეცენტრალიზაციის ლოგიკა სუსტი ხელმძღვანელისაგან მოითხოვოს აჩვენოს, თუ ვინაა ოჯახში უფროსი. თუ მას ამის ძალა არ შესწევს, ძალის იმიტირება უნდა მოახდინოს. დავითი კი ამ დროს ხსენებულ სულტანს ხარაჯას უწყვეტს. თან ჯვაროსნებიც უტევენ. ჯვაროსნებთან ბრძოლით დაკავებული სულტანი (ნომინალურად დაკავებული, თორემ სინამდვილეში ჯვაროსნებს სულტნის ასევე ნომინალური ვასალები ებრძვიან) ისე იქცევა, ვითომ არაფერი მომხდარიყო. მაგრამ შავად სახეშეღებილ სელჯუკთა და მუსულმან ვაჭართა აჯის შემდეგ სულტანს აღარაფერი დარჩენია, გარდა ერთისა — დასაჯოს ის, ვინც მის ერთმორწმუნეთ და ქვეშევრდომებს ასე აწიოკებს. ამას თუ არ იზამს, საბოლოოდ დაკარგავს ავტორიტეტს ქვეშევრდომთა თვალში. მაგრამ ახლა იბადება კითხვა: ხარაჯის შეწყვეტასა და ვაჭართა და სელჯუკთა ცნობილ ჩივილს შორის ოც წელზე მეტი გავიდა. როგორ მოხდა, რომ სელჟჯუკებმა და ვაჭრებმა მხოლოდ ოცი წლის შემდეგ უჩივლეს დავითს? რატომ არა, ვთქვათ, ხუთის ან ათის? უნდა მომხდარიყო რაღაც ისეთი, რაც სელჯუკებსა და ვაჭრებს აიძულებდა მოქცეულიყვნენ ისე, როგორც მოიქცნენ. მაგრამ რა? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: დავითს სწორედ ამ მომენტში უნდა მოეჭირა ისე ხელი მუსულმანთათვის, რომ სულტნისათვის მიმართვის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდათ. ხოლო სულტანსაც სხვა გზა აღარ დარჩებოდა, თუ არა საქართველოსთან ომის დაწყება. და ეს მაშინ, როდესაც საქართველო ამ ომისათვის მზად იყო, ხოლო სულტანს ბრძოლა ორ ფრონტზე მოუწევდა: ქართველებთან და ჯვაროსნებთან. არ არის გამორიცული, რომ ამგვარი ქმედება რაღაც ფორმით ჯვაროსნებთანაც ყოფილიყო შეთანხმებულნი. ერთი სიტყვით, დავითმა მოწინააღმდეგეზე იმგვარი ზემოქმედება მოახდინა, რომ აიძულა ომი მისთვის უაღრესად არახელსაყრელ ვითარებაში, აბსოლუტურად არაერთგვაროვანი, შეკოწიწებული არმიით დაეწყო და ისიც ორ ფრონტზე.

დიდ სტრატეგიაში არაპირდაპირი ქმედების გამოყენება კომპ-ლექსში ქმედებასთან სამხედრო სტრატეგიის სფეროში: ყოველივე, რაც აქამდე ითქვა, ეხებოდა არაპირდაპირ ქმედებებს დიდი სტრატეგიის სფეროში

(დიდ სტრატეგიას, როგორც მრავალგზის ვთქვით, შუალედური ადგილი უკავია პოლიტიკასა და წმინდა სამხედრო სტრატეგიას შორის). ეჭვსგარეშეა, რომ დიდ სტრატეგიაში დავითი არაპიდაპირ ქმედებებს ეყრდნობოდა. ამას ყოველივე ზემოთქმული მოწმობს. მაგრამ ახლავე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იგი ივიეს ჩადიოდა სამხედრო სტრატეგიის სფეროშიც. ამას ადასტურებს თავად დიდგორი, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით ყოველგვარი პირდაპირი შეტაკების გარეშე იქნა მოგებული.

§ 79
დავით აღმაშენებლის არაპირდაპირი ქმედებები სამხედრო სტრატეგიის სფეროში

ზემოთ განხილული მაგალითები დიდი სტრატეგიის სფეროს ეხება. მაგრამ დავით აღმაშენებელი არაპირდაპირ ქმედებებს არანაკლები წარმატებით იყენებდა სამხედრო სტრატეგიის სფეროშიც. ქვემოთ ამის დამადასტურებელ მაგალითებს, ვფიქრობთ, საკმაოზე მეტს მოვიყვანთ.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის მდგრადობის მოშლა: ამ საკითხს დაწვრილებით მაშინ შევეხებით, როდესაც დიდგორის ბრძოლას გავარჩევთ.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც დამოუკიდებლობა მომარაგების ბაზებიდან: შუა საუკუნეებისათვის ლოგისტიკას არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ახალ დროში. აქ ლაპარაკია იმ ტიპის დამოუკიდებლობაზე, რომელიც საფრანგეთის რევოლუციურმა არმიამ და ნაპოლეონმა დაამკვიდრეს და რაც გულისხმობდა ადგილობრივი რესურსების ხარჯზე არსებობას. ცხადია, შუა საუკუნეების მიმართ კითხვის ასე დასმა არაკორექტულია. ისე ქართველებს ლოგისტიკის პრობლემა არ შეექმნებოდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი თავიანთ ტერიტორიაზე იბრძოდნენ.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის მოწყვეტა მისი მომარაგების ბაზებიდან: აქაც ივიეე უნდა ითქვას, რაც წინა პუნქტთან დაკავშირებით. შუა საუკუნეების კომუნიკაციების პირობებში დავით აღმაშენებელს სულ არ სჭირდებოდა განსაკუთრებული და სპეციალური ძალისხმევა მუსულმანური

კოალიციის მოწყვეტისათვის მომარაგების ბაზებიდან. რაც უფრო ღრმად მოახერხებდა მუსულმანთა შეტყუებას, ეს უკანასკნელნი, მაშინდელი გზებისა და ტრანსპორტის პირობებში კიდევ უფრო მოწყდებოდნენ ისედაც მოწყვეტილ მომარაგების ბაზებს. ადგილობრივ რესურებს საკუთარი მრავალრიცხოვნების გამო კი უბრა-ლოდ ვერ გამოიყენებდნენ.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მანევრი მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში: ამგვარი მანევრის ჩინებული მაგალითია 1120 წელს დავითის ლაშქრობა შირვანის შიდა რაიონებში, როდესაც მემატიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „დაარბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე" (5, 339).

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც შიდა კომუნიკაციების ეფექტის გამოყენება: ამ მოქმედებას დავითი ვერ განახორციელებდა იმ მარტივი მიზნების გამო, რომ ქრისტიანულ კოალიციას, ანუ ქართველებსა და ჯვაროსნებს, მუსულმანური კოალიციის მიმართ გეოგრაფიულად პერიფერიული მდგომარეობა ეკავათ. გეოგრაფიული თვალსაზრისით, შიდა კომუნიკაციების ეფექტის გამოყენების შანსი უფრო მუსულმანებს ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. პირიქით, იმის ნაცვლად, რომ ცალ-ცალკე გაგვსწორებოდნენ ჩვენ და ჯვაროსნებს (ფრიდრიხ II-ის სტილში), მათ ქრისტიანული კოალიციის წევრებთან სინქრონიზებულ მოქმედება და, მაშასადამე, ორ ფრონტზე ბრძოლა დასჭირდათ.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც ელასტიური ქმედებები: ამგვარი ქმედებებს, როგორც ვნახეთ, ლიდელ-ჰარტი ახასიათებს, როგორც პრინციპს: შეიტყუე მოწინააღმდეგე ხაფანგში. თუ როგორ გააკეთა ეს დავითმა, ამის შესახებ მოვუსმინოთ ისტორიკოს ქ. ჩხატარაიშვილს: „ილ-ღაზის შემოსევის დროს დავითი ჯარით დიდგორს იდგა და თურქები ბუნებრივია მის ბანაკს დაესხნენ თავს. თუნდაც ილ-ღაზის ჯერ თბილისს მისვლა ჰქონოდა განზრახული, სტრატეგიული მოსაზრებებით დიდგორს გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან თუ მაჰმადიანთა ლაშქარი თბილისისკენ წავიდოდა... დავითი მის ზურგში აღმოჩნდებოდა... ხოლო თუ თურქები დიდგორისკენ მიმავალ ხეობებში შევიდოდნენ... უარეს საბრძოლო ვითარებაში აღმოჩნდებოდნენ... თურქებმა ბრძოლა „ქართველთა მიერ შერჩეულ ადგილზე (ზ. ავალიშვილი) გამართეს და კიდეც დამარცხდნენ" (8, 17). ამას დაუმატებ

მხოლოდ შემდეგს: დავითმა გააკეთა ის რასაც ლიდელ-ჰარტი ელასტიურ ქმედებას უწოდებს: აიძულა მოწინააღმდეგე გაკეთებინა ისეთი მოძრაობა, რომელზეც დაიჭირა და მისი ძალისხმევა მის წინააღმდეგვე გამოიყენა.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის დაბნევა: დავით აღმაშენებლის მოქმედება აღსავსეა ასეთი ქმედებებით. ის, რაც ვილაპარაკეთ მის არაპირდაპირ ქმედებებზე დროისა და სივრცის მიმართ, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის შესანიშნავი მაგალითებია.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა: ამ საკითხსაც დიდგორის ბრძოლასთან დაკავში-რებით შევეხებით.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის ძალების დაქსაქსვა: აქ, პრინციპში, სალაპარაკო ბევრი არც არაფერია. მხოლოდ ის, რომ მუსულმანებს ორ ფრონტზე უწევდათ ბრძოლა, მათი კოალიციის ძალების დაქსაქსვის ტოლფასი იყო. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არ არის. ეს დიდი სტრატეგიის სფეროა. დავითმა კი მოწინააღდეგის დაქსაქსვა სამხედრო სტრატეგიის სფეროშიც მოახერხა. დავითმა ბრძოლის ადგილი ისე კარგად შეარჩია, რომ მოწინააღმდეგის ჯარი მისი სიდიდის გამო უბრალოდ დაიქსაქსა. მემატიანე წერს: „და აგვისტოსა თვრამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორსა" (5, 341). შესაბამისად, მათ ვერ მოახერხეს ერთ პუნქტში კონცენტრირება. რაოდენობა, რომელიც მათი გამარჯვების გარანტია უნდა ყოფილიყო, მათი სისუსტის წყარო აღმოჩნდა.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა: ამგვარი ქმედების შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო აქუნდის ჩუეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამუიტყუენის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირათა" (5,338). იმის განსჯა, რა დაემართებოდათ ამგვარად შეცდომაში შეყვანილ სელჯუკებს, მკითხველისთვის მიმინდვია.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც სტრატეგიული ჩასაფრების გამოყენება: ამის კარგი მაგალითია უფლისწულ დემეტრეს დიდგორის მთაზე ჩასაფრებული რაზმის დარტყმა მუსულმანური კოალიციის ჯარებზე.

არაპირდაპირი მოქმედება სამხედრო სტრატეგიაში, როგორც სამხედრო გამარჯვებების ტრანსფორმირება დიდი სტრატეგიის სფეროში გამარჯვებად. ლიდელ-ჰარტის ეს მოთხოვნა დავით აღმაშენებელმა ისე კარგად განახორციელა, რომ ჩვენ, ქართველები, დღესაც ვარსებობთ. ეს ისე, ხუმრობით. რეალურად კი სამხედრო სტრატეგიაში ამ არაპირდაპირი ქმედების შედეგს, დიდგორში გამარჯვებას, მთელ ახლო აღმოსავლეთში ვითარების არსებითი ცვლილება მოჰყა.

გადასვლა არაპირდაპირი ქმედებების სამხედრო სტრატეგიიდან ტაქტიკაზე: ამის მაგალითს დიდგორი იძლევა, როდესაც ქართველებმა, მართალია, უკვე მდგრადობამოშლილ სელჯუკებს ერთდროულად დაარტყეს ცენტრიდანაც (15000 ყივჩაღი) და ორივე ფლანგებიდან (შესაბამისად დავით მეფე და უფლისწული დემეტრე).

ამრიგად, არაპირდაპირი მოქმედების 25 სახიდან, რომელთაც ლიდელ-ჰარტი განიხილავდა, დავით აღმაშენებელი დანამდვილებით იყენებდა დაახლოებით ოცს, ორს უბრალოდ ვერ გამოიყენებდა იმიტომ, რომ მათი გამოყენება შეუძლებელი იყო გეოგრაფიული ფაქტორების გამო. ლიდელ-ჰარტს რაიმე რომ სმენოდა დავით აღმაშენებელზე, ის ალბათ ბედნიერი იქნებოდა მისი თეორიის ასეთი ბრწყინვალე დადასტურების გამო, თეორიისა, რომელიც ამბობს: ომში არაპირდაპირი მოქმედებები უფრო ეფექტურია, ვიდრე პირდაპირი.

§ 80
კლასიკური, რისკის და სასწაულის სტრატეგია და გროსტაქტიკა დიდგორის ბრძოლაში

ახლა გავიხსენოთ დავითის ქმედებები დიდგორის ომისას. ქრისტიანული კოალიციის ჯარები, რომელსაც დავით აღმაშენებელი სარდლობდა და რომლის ჩონჩხსაც ქართული ძალები ქმნიდა, რიცხვით 56 ათასს შეადგენდა (მათგან 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ოსი და 200 ჯვაროსანი. ამასთან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს სარგის კაკაბაძე, აქ მხოლოდ რაინდები ითვლებიან, რომელთაც, თავიანთი აღჭურვილობიდან გამომდინარე, რამდენიმე დამხმარე, მათ შორის მსუბუქი იარაღით აღჭურვილი, ეყოლებოდათ. ამიტომ

სინამდვილეში ჯვაროსანთა რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა). რაც შეეხება მუსულმანური კოალიციის რაოდენობას, მათ შესახებ წყაროები განსხვავებულ სურათს იძლევა. ამასთან, შუა საუკუნეების წყაროების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათ მეომარ მხარეთა რიცხვებთან საკმაოდ ლაღი დამოკიდებულება ჰქონდათ. პოლონელი დლუგაში, დიდგორის ბრძოლიდან სამი საუკუნის შემდეგ, სრული სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ მათ დაამარცხეს ტევტონები ანუ გერმანელები, რომელთა ოდენობა, არც მეტი არც ნაკლები 5,3 მილიონს აჭარბებდაო, ანუ იმდენს, რამდენიც დღეს ჰყავს ამერიკას, ინდოეთს, რუსეთს, გერმანიას, ინგლისს და თურქეთს — ერთად აღებულს. შუა საუკუნეების წყაროების შესწავლისას ხშირად იქმნება ვითარება, როდესაც ისტორიული კრიტიკა, ანუ წყაროების შეჯერება, არ გეხმარება და სხვა მეთოდების გამოყენებაა საჭირო.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მეთოდი, რომელიც გადამდგარმა გენერალმა შაიშმელაშვილმა აირჩია. მან უბრალოდ გაზომა სივრცის ის მონაკვეთი, სადაც მუსულმანური კოალიციის ჯარები უნდა ყოფილიყნენ განლაგებული, გაითვალისწინა მებრძოლის აღჭურვილობა, რამდენი კაცი შეიძლებოდა დატეულიყო ბრძოლის ველზე და დაასკვნა, რომ მუსულმანური კოალიციის ოდენობა სულ 200 ათასი იქნებოდა. პირადად მეც ამ რიცხვისკენ ვიხრები, ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს რიცხვი არ ატარებს ფანტასტიკურ ხასიათს; მეორეც — შესაძლებელი იყო რაღაცნაირად უზრუნველეყოთ ამ ოდენობის ჯარის ლოგისტიკა (უბრალოდ რომ ვთქვათ, 200000 კაცი უკეთ დაიკმაყოფილებს თავს, ვიდრე 600000), 200000 კაცი უკეთესად გაივლის მარშისას და ეს ოდენობა უფრო ადვილი სამართავი იქნებოდა. ბოლოს, საეჭვოა იმ ეპოქაში ვინმეს შეძლებოდა ამაზე დიდი ოდენობის ძალის კონცენტრირება. თუმცა, ვფიქრობთ, ეს ოდენობაც კი გაზრდილია ისევე, როგორც გაზრდილი ჩანს დავითის არმიის ოდენობა.

საუბედუროდ, საკუთრივ დიდგორის ბრძოლის დეტალური აღწერა არც ერთ ქართულ წყაროში არ მოიპოვება. თუმცა,უცხოელი ავტორები საკმაოდ კარგად აღწერენ ბრძოლის მსვლელობას.

ამ აღწერების მიხედვით დავითი იკავებს სტრატეგიულ პოზიციას დიდგორთან. ამასთან კლასიკური სტრატეგიის პრინციპსაც იყენებს და დისლოკაციას ახდენს ორ მთას შორის პოზიციაზე, სადაც მოწინააღმდეგე ვერ მოახერხებს თავისი რაოდენობრივი უპირატესობის გამოყენებას. ამას გარდა, დავითს იმ ოდენობის ლაშქარი გამოპყავს,

რომელიც სრულიად საკმარისია გენერალური ბრძოლის ჩასატარებლად (ამ სიტყვის შუასაუკუნებრივი გაგებით). შემდეგ აღმაშენებელი ჩადის უცნაურ რამეს: აკეთებინებს ხერგილს, ანუ არ იტოვებს უკანდასახევ გზას. და რა ხდება ამ დროს? როგორც სასწაულის სტრატეგიიდან არის ცნობილი, ამ სტრატეგიის აღსრულების აუცილებელი პირობაა, რომ აღმსრულებლებმა თავი „დამთხვეულებად" იგრძნონ იმ აზრით, რომ ჩვეულებრივი ცხოვრების ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: შიში, დაღლილობა და ა.შ. – აღარ ჰქონდეთ. ისინი ერთგვარად წააგავენ სკანდინაველ ბერსეკრებს, დათვკაცებს და ვერეოლფებს – მგელკაცებს, რომლებიც ბრძოლისას რეალურად ახდენდნენ ფსიქოლოგიურ იდენტიფიკაციას დათვებთან და მგლებთან. გავიხსენოთ, რას წერს პერესლეგინი სასწაულის სტრატეგიასთან დაკავშირებით: Здесь, пожалуй, лежит первый из ключей к понятию стратегического чуда: в таких операциях субъективные факторы начинают превалировать над объективными... обороняющийся оказался психологически не готов оказать сопротивление и принял в качестве истинной ту картину мира, которую построил для него наступающий. Речь идет, по сути, об индукции безумия. Сторона, дерзнувшая подготовить и осуществить невозможную операцию должна быть чуть-чуть (или не чуть-чуть) „в не в себе". Но безумие, будучи проявлением в индивидуальной психике сил хаоса, и в самом деле заразительно. У десантников Витцига, у летчиков Футиды, у саперов Ямаситы были особые „тоннели Реальности", искаженные, болезненные, но и привлекательные, как любая сказка. Добропорядочные англо-франко-бельгииско-американские воины столкнулись с подлинным сумасшествием, с яростной, почти религиозной верой в неизбежность чуда (25, 840) დავითის მებრძოლებს, რომლებმაც რამდენჯერმე აღმატებული მტრის წინაშე თავისი ხელით გაანადგურეს უკანდასახევი გზა, ისეთივე განწყობა უნდა ჰქონოდათ, როგორიც ვიციგის მედესანტეებს ან ფუტიდას პილოტებს. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ყველაფერი XII საუკუნეში ხდება, როდესაც სასწაულის რწმენა ადამიანებში შეუდარებლად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე რაციონალურ XX საუკუნეში. აკი დაინახა რამდენიმე მეომარმა წმინდა გიორგი ბრძოლის ველს ზემოთ! ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებელი ხერგილის გაკეთებით

ჯარისკაცებს თავიანთი, საკუთარი „რეალობის გვირაბს“ უქმნის, სადაც ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სიკვდილის შიში ან მტრის რაოდენობრივი უპირატესობის განცდა აღარ მუშაობს. ამ ეფექტს დავითი მეომრების წინაშე წარმოთქმული სიტყვითაც აძლიერებს.

მაგრამ ამ ფსიქოლოგიური ვირტუალური რეალობის შექმნის შემდეგ დავითი ტაქტიკურად სრულიად რაციონალურად იქცევა. ის ჯარს ორ ნაწილად ყოფს: ერთს თავად უდგება სათავეში, ხოლო მეორეს უფლისწულ დემეტრეს უყენებს. ამავე დროს იყენებს არაპირდაპირი ქმედების სტრატეგიისათვის დამახასიათებელ ისეთ ილეთს, როგორიცაა ჩასაფრება. დემეტრეს ძალები მტრის უკან არიან ჩასაფრებულები.

ჩანს, დავითის ჩანაფიქრია შექმნას ქაოსი და იმ პირობებში იმოქმედოს რისკის სტრატეგიის პრინციპების გათვალისწინებით (რასაკვირველია, თავად დავით აღმაშენებელი თავის ჩანაფიქრს სრულიად სხვა ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური აპარატით გაიაზრებდა. თუ როგორ, სამწუხაროდ, ველარასოდეს გავიგებთ). მას უკვე აქვს უპირატესობა, რომელიც რისკის სტრატეგიას მოეთხოვება:

- აქვს უკეთ ორგანიზებული სტრატეგიული დონის დაზვერვა. მან მეტი იცის მოწინააღმდეგეზე, ვიდრე მოწინააღმდეგემ მასზე. ამას უეჭველად შეუწყობდა ხელს ჯვაროსნების ყოფნა დავითის ბანაკში. მათ ხომ გარდა მუსულმანთა ტაქტიკისა, მოწინააღმდეგის სარდლების მიერ ბრძოლის წარმოებასა და მათ პიროვნულ თავისებურებებზე შეეძლოთ მოეთხროთ, მათ შორის პირველ რიგში ილ-ღაზიზე;
- შესაბამისად მოწინააღმდეგე გაურკვეველობის უფრო მაღალ ხარისხშია ვიდრე ქართული მხარე;
- დავითს უფრო სწრაფად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები;
- ერთადერთი, რაც რჩება სასწაულის სტრატეგიის რეალიზებისთვის, საჭიროა მოხდეს „სისტემა ბრძოლის“ მდგრადობის მოშლა, ანუ ქაოსის შექმნა და ამ ქაოსში მოწინააღმდეგეზე ადექვატური მოქმედება.

როგორ მივაღწიოთ ამას? აქ იწყება ყველაზე საინტერესო მომენტი დიდგორის ისტორიაში: დავითი ძალაში რთავს გროსტაქტიკს. 200 მხედარი ქართველებს გამოეყოფა და მოწინააღმდეგისაკენ გასწევს. მუსულმანებს ისინი მათ მხარეზე გადასულები ჰგონიათ და დაუბრკოლებლად ატარებენ თავიანთ რიგებში. აქ ისინი მოულოდნელად იღებენ ხმლებს და მტრის ჩეხვას იწყებენ. მუსულმანურ ლაშქარში ქაოსი იწყება, მისი საინფორმაციო ქსელები იტვირთება და ვერც

მხედარმთავრები და ვერც მხედრები ვერ იგებენ, რა ხდება (ერთი მემატიანე ხაზს უსვამს ამგვარ საინფორმაციო „ბიფურკაციას", როდესაც წერს, რომ ორასი მებრძოლის ამ „რეიდის" შემდეგ, თურქების წინა რიგებში ატეხილი ჩოჩქოლის გამო, უკანა რიგებს ეგონათ დაემარცხდითო და გაიქცნენ). დავითი ფრონტიდან და დემეტრე ფლანგიდან შეტევით მუსულმანთა განადგურებას ასრულებენ. ორასმა მხედარმა გამოიწვია სასწაულის სტრატეგიისათვის დამახასიათებელი ეფექტი: სუბიექტურმა ფაქტორებმა პრევალირირება დაიწყო ობიექტურზე. **სელჯუკებმა ბრძოლის დაწყებისთანავე (თუ ორასი კაცის „რეიდით" დაწყებულ ჩოჩქოლს ბრძოლის დაწყება შეიძლება ეწოდოს), ჩათვალეს რომ დამარცხდნენ და ამის შედეგად ბრძოლა რეალურადაც წააგეს.**

ახლა შევხედოთ სიტუაციას გროსტაქტიკის თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ:

გროსტაქტიკა გულისხმობს ერთი ტაქტიკური ქმედებით სტრატეგიული წარმატების მიღწევას. ეს ფაქტორი ჩვენს შემთხვევაში სახეზეა: 200 კაცმა მოახერხა არა მხოლოდ ქაოსის შექმნა, არამედ სრული პანიკის ჩამოგდება და მოწინააღმდეგის მდგრადობის სრული მოშლა.

გროსტაქტიკისას გამარჯვება მიიღწევა ფრონტის საკვანძო ადგილებში მცირე ოდენობის კომანდოსების გამოყენების მეშვეობით. მაგრამ იმისათვის, რომ ეს წარმატება ლოკალურ ტაქტიკურ ხერხად არ იქცეს, წარმატების ეფექტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უმაღლეს, ფსიქოლოგიურ დონეზე" (სილანტიევი, იხ. ზემოთ). ესეც მოხდა. 200-მა „კომანდოსმა" მოახერხა მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური მდგრადობის მოშლა. თანაც მათი მდგომარეობა გაცილებით უფრო სიღრმისეულ „რეალობის გვირაბში" უნდა ყოფილიყო, ვიდრე ფუტიდას პილოტების ან ვიციგის მედესანტეებისა. მათ გადარჩენის თეორიული შანსი ჰქონდათ, ამ ორას მებრძოლს კი — არავითარი.

გროსტაქტიკის შემდეგი მოთხოვნაა: „ფაქტობრივად მოწინააღმდეგის ფრონტის მონაკვეთი (ფრონტი, მთლიანად თავდაცვა) უნდა დაინგრეს და დაასამაროს ომის გაგრძელების ყველა მსურველი". ორასი „კომანდოსის" მოქმედების შედეგად მართლაც ასე მოხდა. მუსულმანთა ფრონტის მოიშალა.

გროსტაქტიკის მორიგი მოთხოვნის თანახმად: საჭიროა შეიარაღებულ ძალთა ძირითადი დაჯგუფების მხოლოდ მინიმუმის მხარდაჭერა (ეფექტისდა მიხედვით, გარღვევა, ან შეტევის იმიტირება ან ფრონტზე დაკიდება). ორას ქართველ კომანდოსს ასეთი მინიმალური მხარდაჭერაც არ დასჭირდა.

შემდეგ: „თუ კლასიკურ სტრატეგიაში კომანდოსები გამოიყენება დამხმარე, ოღონდ სასარგებლო ძალად, დიდი ტაქტიკის ჩარჩოებში ისინი წარმოადგენენ ძირითად ძალას, რომლის მიმართ ყველა სხვა „ძირითადი ძალა" განიხილება, როგორც „დამხმარე". ასეც იყო: დავითისა და დემეტრეს დაჯგუფებები დამხმარე როლში გამოვიდა, მათ ორასი კომანდოს ქმედებით შექმნილი ქაოსი ბოლომდე მიიყვანეს და მოწინაარმდეგე სრულად გაანადგურეს.

და ბოლოს, „მთლიანობაში ოპერაცია მით უფრო მეტად იქნება წარმატებული და მათში მით უფრო ნაკლები ძალა იქნება ჩართული, რაც უფრო მაღთალი იქნება ზემოქმედება ფსიქოლოგიურ დონეზე". ვგონებ, არავინ იდავებს იმაზე, რომ დიდგორში სწორედ ასე მოხდა.

შეაჯამოთ: როგორც დიდგორის თანამიმდევრობა გვიჩვენებს, დავითს რამოდენიმე სტრატეგია ჰქონდა, რომლებს შორის არჩევანსაც იმის მიხედვით გააკეთებდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მას საკმაო ოდენობის ძალა ჰყავდა იმისათვის, რომ მოწინააღმდეგისათვის კლასიკურ სტილში გენერალური ბრძოლა გაემართა. ამისთვის მან ადეკვატურად შეარჩია ადგილი, გაითვალისწინა, რომ მოწინააღმდეგე დაღლილი იყო, მისი ძალები დაქსაქსული და გადაწყვიტა, რომ გენერალური ბრძოლა მისი ყველაზე ძლიერი დაჯგუფებისათვის მიეცა. მაგრამ, სანამ საქმე აქამდე მივიდოდა, ჯერ სცადა არაკლასიკური სტრატეგიის პრინციპებით ემოქმედა და მოწინააღმდეგის ძალები კი არ გაენადგურებინა, არამედ მისი მდგრადობა მოეშალა. ამის მიღწევის საშუალებად მან რისკის სტრატეგია აირჩია, სახელდობრ, ორასი მებრძოლის შეგზავნით სცადა ქაოსი გამოეწვია. საკითხავია, რა მოხდებოდა ორას კომანდოსს თავისი ამოცანა ესოდენ ბრწყინვალედ რომ არ შეესრულებინათ? მოხდებოდა ის, რომ ისინი ქაოსის რაღაც ელემენტს მაინც შეიტანდნენ მოწინააღმდეგის რიგებში, შეასუსტებდნენ მათ მდგრადობას და დავითს, რომელმაც შეუდარებლად უკეთ უწყოდა, რა ხდებოდა, გამარჯვების შანსები მაინც შეუდარებლად ეზრდებოდა.

თუ კომანდოსების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდებოდა, დავითს რჩებოდა შანსი, კლასიკური ომი გაემართა მოწინააღმდეგისათვის. ამასთან დავითი ინტენსიურად იყენებდა სასწაულის სტრატეგიის ელემენტებს და ჯარს სპეციფიკურ „რეალობის გვირაბს“ უჩენდა (წარმოსადგენია, რა ფსიქოლოგიური და სამხედრო მომზადება უნდა გაევლოთ „კომანდოსებს“, რომ მზად ყოფილიყვნენ იმისათვის, რაც მოიმოქმედეს). მაგრამ სარეზერვო ვარიანტები საჭირო აღარ გახდა, „კომანდოსებმა“ ფაქტობრივად გროსტაქტიკის დონეზე მიაღწიეს. სასაცილო მსხვერპლისა და გენიალური ჩანაფიქრის წყალობით შესაძლებელი გახდა, რომ დღესაც ვარსებობთ.

დავითის წარმატებები, გარდა სამხედრო ტალანტისა, ადამიანთა მენტალობის, ფსიქოლოგიის მეტად ფაქიზ ცოდნას ემყარებოდა; ცოდნას, რომელიც ერთნაირად გამოჩნდა დიდგორშიც და „გალობაი სინანულისაშიც“.

§ 81

დაჩრდილვის ეფექტი დავით აღმაშენებლის სტრატეგიაში

ე.წ. ჩრდილის ეფექტის შესწავლას სამხედრო თეორიული აზრი მხოლოდ ახლა იწყებს. ეს საკითხი ყველაზე უკეთ სტრატეგიის პეტერბურგულ სკოლაშია შესწავლილი. რას ნიშნავს ჩრდილი, სამხედრო აზრით? ამის ასახსნელად შემდეგ მაგალითს მივმართოთ. დავუშვათ, რომ არსებობს სიტუაციათა კლასი, რომლის დროსაც ერთ მხარეს არ შეუძლია ხელი შეუშალოს მოწინაღნდეგეს გარკვეული ტერიტორიის დაკავებაში ე რ თ ი ო პ ე რ ა ც ი ი ს ჩარჩოებში. ამ შემთხვევაში ეს ტერიტორია დაჩრდილულია მოწინააღმდეგის შესაძლო ოპერაციით. ამასთან დაჩრდილვის კოეფიციენტი განისაზღვრება გადაწყვეტილებათა იმ სივრცის სიმრავლის სიმძლავრის განაყოფით (რომელთა საფუძველზეც ხდება ტერიტორიის დაკავება) გადაწყვეტილებების საერთო სიმძლავრესთან. მაგალითად, ერთმანეთს უპისისპირდება ორი არმია, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის მოქმედებათა (გადაწყვეტილებათა) სულ ათი ვარიანტი. ეს იქნება გადაწყვეტილებათა სივრცის საერთო სიმძლავრე. ვთქვათ, ამ ათიდან ცხრა მოქმედების (გადაწყვეტილებისა და სათანადო განხორციელების) შემთხვევაში

გარკვეული დაჩრდილული ტერიტორია დაკავებული იქნება. ჩრდილქვეშ მყოფ მხარეს მხოლოდ ათიდან ერთი შესაძლებლობა აქვს არ დაუშვას ეს. ამ შემთხვევაში დაჩრდილვის კოეფიციენტი იქნება 9:10-ზე (ანუ დაჩრდილული ტერიტორია ათი შესაძლო მოქმედებიდან ცხრა ვარიანტში შენარჩუნებული ვერ იქნება) ანუ 0,9. როგორც წესი, ოპერატიულ ჩრდილზე ლაპარაკობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაჩრდილვის კოეფიციენტი ერთს უახლოვდება (როგორც ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში).

ოპერატიული ჩრდილი იწოდება არსებითად, თუ ის ეცემა მოწინააღმდეგის პოზიციის ბმულობის კვანძებს. თუ ჩრდილი ეცემა პოზიციის ცენტრს, მაშინ ეს ცენტრი კლასიკური სტრატეგიის ფარგლებში შეუძლებელია, შენარჩუნებული იყოს. ამასთან შეტევა დაჩრდილული პოზიციიდან ან დაჩრდილულ პოზიციაზე ასევე კლასიკური სტრატეგიის ფარგლებში შეუძლებელია.

თუ შესაძლო ოპერაცია ახდენს დაჩრდილვას, ასეთ დაჩრდილვას უფრო მეტად ახდენს რეალური ოპერაცია, მით უფრო, თუ ის ფორსირების პროცესში იმყოფება. ჩრდილის ზომა, რომელსაც რეალური ოპერაცია იძლევა, პროპორციულია ამ ოპერაციის ტემპისა. ამასთან, თუ რამდენიმე ბმულობის პუნქტები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, მაშინ ერთ-ერთ მათგანზე ჩრდილის დაცემა მეორად ჩრდილს სცემს მთელ სისტემას.

დღევანდელი სამხედრო აზრი ჩრდილს მხოლოდ ოპერატიულ დონეზე განიხილავს. დაჩრდილვის ეფექტი სტრატეგიულ დონეზე ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ სტრატეგიული დაჩრდილვის ეფექტი ან საერთოდ სცილდება წმინდა სამხედრო სტრატეგიის სფეროს (ამ დროს გასათვალისწინებელია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები) ან სადღაც სამხედრო სტრატეგიის და დიდი სტრატეგიის მიჯნაზე მდგომარეობს.

სტრატეგიული ჩრდილის მნიშვნელობის კარგ ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ ის მოქმედებები, რომლებიც დავით აღმაშენებელმა ჩაატარა თბილისის აღებისას. ეს იყო სტრატეგიული პოზიციის ტრანსფორმაციების ისეთი რიგი, რომლის დროსაც ყოველი ტრანსფორმაციის შემდეგ იზრდებოდა იმ ჩრდილის ინტენსივობა, თბილისს რომ ეცემოდა. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ აღმოსავლეთისა და

დასავლეთის მხრიდან ჩრდილი თბილისზე ჯერ კიდევ არ იყო დაცემული, მაგრამ უკვე ეცემოდა თბილისის მეუფეთა კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებს. ამის შემდეგ დავითმა მეთოდურად დაიწყო დაჩრდილული პოზიციების დაკავება, თანაც ისე, რომ ყოველი ახალი პოზიციის დაკავების (ტრანსფორმაციის) შემდეგ ჩრდილი სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა თბილისს. ამ პროცესს მემატიანე ასე აღწერს: „სთუელთა ჩამოიარან თურქთა სომხითი, ყოელითა ფალანგთა მათთა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკურისასა. ტფილისითგან ვიდრე ბარდავამდე (უშუალოდ თბილისი ჯერ აღებული არაა – კ.კ.) და „იორის პირსა" (5, 329). ამასთან დავითმა ჩრდილის ეფექტის თბილისისაკენ თანდათანობითი მიახლოებისას ლოგისტიკაზეც იზრუნა: „ვითარცა არესა გაზაფხულისასა ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვითოფერი და და საშუელებელი ყოველი" (5, 332).

1110 წელს დავითი იკავებს სამშვილდეს, რომელიც წინა ტრანსფორმაციების შედეგად უკვე დაჩრდილული იყო. სამშვილდეს დაკავებით ჩრდილი, ერთი მხრივ, უკვე თბილისს ეცემა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სამხრეთით მდებარე ტერიტორიებსაც. სამშვილდის აღების შედეგად გამოწვეულმა ჩრდილის ეფექტმაც არ დააყოვნა. მუსულმანებმა: „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნენ" (5, 332). მაშინვე აუღიათ ქართველებს ციხე ძერნაც, რის შედეგადაც თბილისზე სამშვილდის აღების შედეგად დაცემული ჩრდილი კიდევ უფრო გამუქდა. ამასთან ამ ჩრდილმა უკვე არსებითი ხასიათი მიიღო (დაეცა მოწინააღმდეგის პოზიციის ცენტრს). ამასთან დავითი არ უშვებს იმ შეცდომას, რომელიც გერმანელებმა დაუშვეს მოსკოვზე შეტევისას. საქმე ისაა, რომ თანამედრო სამხედრო თეორიული გამოკვლევების თანახმად, გამარჯვებით დასრულებულ ოპერაციას თან ახლავს ე.წ. ინერციის ეფექტი. კრიტიკული ფაზა სამხედრო თეორიაში ოპერაციის „კულმინაციურ პუნქტად იწოდება". მას, როგორც აღინიშნა, ახალი მდგრადობის ჩამოყალიბება მოსდევს. მაგრამ ხშირად შემტევ მხარეს კულმინაციის გავლის შემდეგ ახასიათებს ინერცია, ანუ ის ინერციით აგრძელებს შეტევას იმის ნაცვლად, რომ ახალ, მისთვის სასარგებლო პოზიციას დასჯერდეს, რასაც საბოლოო ჯამში მისთვის ნეგატიური შედეგები მოყვება. ამის მაგალითია მოსკოვზე გერმანელების შეტევის გამოფიტვა. დავითს ეს არ ემართება. ის დროებით ჯერდება

პოზიციის იმგვარ ტრანსფორმაციას, რომელსაც თბილისის არცთუ მუქი დაჩრდილვა მოსდევს და არ აგრძელებს ინერციით შეტევას, რომელიც შეიძლებოდა სრული მარცხით დამთავრებულიყო.

პოზიციის შემდგომ ტრანსფორმაციას იგი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ იწყებს, როდესაც მუსულმანებს რუსთავს წაართმევს და თბილისზე დაცემულ სტრატეგიულ ჩრდილს კიდევ უფრო ამუქებს. ამასთან ის ისევ უარს ამბობს შეტევის ინერციით გაგრძელებაზე და თბილისის ნაცვლად ტაოში დაბანაკებულ თურქებს ურტყამს (ძნელი სათქმელია, ეს ინტუიციური მიხვედრა იყო, თუ გათვლილი ნაბიჯი, აგრამ ფაქტია, რომ ამ ქმედებით დავითმა თბილისზე ინერციით დამღუპველი შეტევის საფრთხე მოხსნა). ამის შემდეგ დავითი დროებით სჯერდება მეორედ ტრანსფორმირებულ პოზიციას (რუსთავის აღების შემდეგ მიღწეულს) და არაპირდაპირ ქმედებებს მიმართავს. ის ჰერეთზე შეტევას იწყებს და იღებს ციხე-სიმაგრე გიშს. ამის შემდეგ დემეტრე ილაშქრებს შირვანზე და იღებს ქალაძორს. მოგვიანებით დავითი იღებს შირვანის ქალაქ ყაბაღს და ილაშქრებს შირვანის შიდა ტერიტორიებზე ამის შემდეგ დავითი თბილისს უბრუნდება. ამის შემდეგ თბილისის დაჩრდილვის კოეფიციენტი უკვე პრაქტიკულად 0,9-ს გაუტოლდა. კლასიკური სტრატეგიის მოდელით გათვალისწინებული ქმედებებით მუსულმანებს თბილისის დაცვა აღარ შეეძლოთ. ამიტომ მათ დიდი ოდენობის გარე ძალას მიმართეს, რასაც დიდგორი მოჰყვა. თუმცა დავითი ისევ არ ჩქარობს და არ აპირებს თბილისზე გამარჯვების ინერციით შეტევას. იგი ქალაქს მხოლოდ დიდგორიდან მეორე წელს იღებს, როდესაც, ცხადია, რომ ქალაქის **არაღება უბრალოდ შეუძლებელია ანუ დაჩრდილვის კოეფიციენტი უკვე ერთია.** ამის შემდეგ ასაღები მხოლოდ დმანისი რჩება, რომლის დაჩრდილვის კოეფიციენტი ერთს აღემატება (თუ ასეთი რამ საერთოდ შეიძლება არსებობდეს) და დავითი დმანისს 1123 წელს იღებს.

შევაჯამოთ: თბილისი იყო მუსილმანთა პოზიციის ცენტრი, რომლის ბმულობის კვანძებს წარმოადგენდა სამშვილდე, რუსთავი და დმანისი. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, თუ რამდენიმე ბმულობის პუნქტი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული (სამშვილდე-დმანისი-რუსთავი-თბილისის პოზიციური სისტემა კი სწორედ ასეთი იყო), მაშინ ერთ-ერთ მათგანზე ჩრდილის დაცემა მეორად ჩრდილს სცემს მთელ სისტემას. შესაბამისად უკვე სამშვილდეს აღებამ მეორადი ჩრდილი დასცა თბილისსაც,

რუსთაესაც და დმანისსაც. რუსთაეის აღების და მით უფრო დიდგორის შემდეგ თბილისი უკვე იმდენად იყო დაჩრდილული, რომ მის ასაღებად დმანისის აღება არც გახდა საჭირო. ხოლო თბილისის, სტრატეგიული პოზიციის ცენტრის აღების შემდეგ, ცხადია, დმანისის შენარჩუნება მუსულმანთათვის აბსოლუტურად გამორიცხული იყო.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დავითს ჩრდილის ცნება კონცეპტუალურად ჰქონდა ჩამოყალიბებული. ოპერატიული ჩრდილის ცნება ნაპოლეონის დროსაც კი არ ყოფილა, ხოლო სტრატეგიული ჩრდილის ცნება, როგორც აღვნიშნეთ, დამაკმაყოფილებლად დღესაც კი არაა ჩამოყალიბებული. აქ ისევეა საქმე, როგორც ენის შემთხვევაში. ამა თუ იმ ენაზე შეიძლება ილაპარაკო ისე, რომ არც კი იცოდე — რა არის ლექსიკა ან გრამატიკა. თუმცა ესა თუ ის გრამატიკული მოდელი ყოველთვის გამოდგება ამ ენის ფუნქციონირების აღსაწერად. ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. ჩრდილის ცნებისა და მოდელის მეშვეობით შესანიშნავად შეიძლება აღიწეროს ის ხერხები, რომელსაც დავითი იყენებდა, თანაც იმ სფეროში, რომელიც სტრატეგიის მეცნიერებაში დღესაც არ არის ნათლად გარკვეული. დავითის მიერ გამოყენებული ხერხების აღწერა ნათლად მეტყველებს დავით აღმაშენებლის სტრატეგიულ გენიაზე.

თავი 8
არაკლასიკური თეორიები. დუეს დოქტრინა. საჰაერო კამპანია სერბეთის წინააღმდეგ

§ 82
დუეს დოქტრინის არსი

როგორც არაერთგზის ითქვა, პირველის მსოფლიო ომის პოზიციური ჩიხის შემდეგ დაიწყო ინდუქციური სტრატეგიების გადასინჯვა. სტრატეგებს გაუჩნდათ, ერთი შეხედვით, ერეტიკული აზრი — ხომ არ შეიძლება ომი პირდაპირ სტრატეგიულ დონეზე მოვიგოთ და ტაქტიკურ დონეზე შემდეგ უბრალოდ განვამტკიცოთ და გავაფორმოთ ეს წარმატება? ასეთ კონცეფციებს დედუქციური ეუწოდეთ. აღვნიშნეთ, რომ ასეთ სტრატეგიებს ზოგჯერ ჰიპერმოდერნისტულსაც უწოდებენ.

ყველაზე მეტად ცნობილია სამი ამგვარი სტრატეგია: დუეს დოქტრინა, სიღრმითი ოპერაცია და იდეოლოგიური ომი. პირველ ორს შესაბამისი კამპანიების მაგალითზე განვიხილავთ. მესამეს ოდნავ უფრო გაკვრით შევეხებით, ვინაიდან ის თავისი არსით უფრო დიდი სტრატეგიის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე სამხედრო სტრატეგიისა.

ჯულიანო დუე (1869-1930) იყო იტალიელი გენერალი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პოზიციური ჩიხის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ამგვარი ჩიხის თავიდან ასაცილებლად გადამწყვეტი როლის შესრულება ავიაციას, უპირველეს ყოვლისა, მძიმე ბომბდამშენ ავიაციას შეუძლია. მას შეუძლია მოწინააღმდეგის ზურგში განხორციელებული საჰაერო კამპანიით იმდენად მოშალოს მოწინააღმდეგის ინფრასტრუქტურა, რომ მის შეიარაღებულ ძალებს დაეკარგება საბრძოლო მოქმედებების გაგრძელების უნარი. პრაქტიკულად სახმელეთო ძალების ფუნქცია მხოლოდ ფრონტის ხაზის დაცვაზე დაიყვანება.

დუეს მთავარი ნაშრომი „ჰაერში ბატონობა" 1921 წელს გამოვიდა და მაშინვე მიიპყრო სამხედროებისა და პოლიტიკოსების ყურადღება. მაცდუნებელი ჩანდა იდეა ომის მოგებისა სახმელეთო ბრძოლებისა და მათთან დაკავშირებული მსხვერპლის გარეშე (თუმცა, რა დონის იქნებოდა მსხვერპლი მოსახლეობაში ამას არ ითვალისწინებდნენ). თავგადაკლული ბრიტანოფილები ამტკიცებდენ ეს — თეორია ინგლისელმა მარშალმა ტრენჩარდმა[102] შექმნაო, მაგრამ დუეს პრიორიტეტს დღეს პრაქტიკულად ყველა აღიარებს. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით მის დოქტრინაზე. **მხოლოდ** საჰაერო დარტყმებით მოგებული ომის შესაძლებლობა, როგორც სამხედრო ისტორიის გამოცდილება ამტკიცებდა, გამორიცხული იყო. დუეს დოქტრინის პირველი რეალური გაბრწყინება, მხოლოდ XX საუკუნის დასასრულს, 1999 წელს, იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს საჰაერო კამპანიისას შედგა.

§ 83
კამპანიის დინამიკა

მილოშევიჩის რეჟიმის მიერ დაწყებულმა ქმედებებმა კოსოვოში ალბანელი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ პიკს 1998

წლისათვის მიაღწია და ეთნიკური წმენდის სახე მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოს შშვიდობიანი სერბების წინააღმდეგ ძალადობით გამოირჩეოდნენ ალბანელი „ბოევიკებიც". შეიქმნა ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხე, რომლის აღკვეთა ნატომ ძალის გამოყენებით, სახელდობრ, საჰაერო კამპანიის გზით გადაწყვიტა.

კონფლიქტის განვითარების ძირითადი ეტაპები: ნატოს სტრატეგიის დამგეგმავებმა კონფლიქტი პრიორიტეტულად განიხილეს, როგორც სტრატეგიული ხასიათის საჰაერო შეტევითი ოპერაცია, რომელსაც რამოდენიმე ეტაპი უნდა ჰქონოდა: **პირველ ეტაპად** იგულისხმებოდა ავიაციისა და ფლოტის დამრტყმელი დაჯგუფებების გაშლა ისეთ მიჯნებზე, რომლებიც მათ საშუალებას მისცემდათ დაეწყოთ საბრძოლო მოქმედება იუგოსლავიის წინააღმდეგ (აუცილებელი არ იყო ეს გაშლა მაინცადამაინც იუგოსლავიის უშუალო სიახლოვეს მომხდარიყო. აშშ-ის დამრტყმელი ავიაციის ნაწილი განთავსდა გერმანიისა და ინგლისის ბაზებზე, ნაწილი კი საბრძოლო მზადყოფნაში თავად აშშ-ის ტერიტორიაზე იქნა მოყვანილი). **მეორე ეტაპად** იგეგმებოდა იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის განადგურება და ინფრასტრუქტურის ობიექტებზე დარტყმა, **მესამე ეტაპად** — 44-ე პარალელის სამხრეთით, კოსოვოში განლაგებულ სერბთა ძალების მასირებული დაბომბვა, **მეოთხე ეტაპზე** კი — საჰაერო ომი გადატანილი უნდა ყოფილიყო მთლიანად იუგოსლავიის წინააღმდეგ, რის შემდეგაც შეიძლებოდა დაწყებულიყო სახმელეთო ინტერვენცია.



განამადგურებელი F15E

ნულოვანი (სადაზვერვო) ფაზა: ისევე როგორც ბოსნიაში განხორციელებული მოქმედების შემთხვევაში, იუგოსლავიის წინააღმდეგ დარტყმებს წინ უსწრებდა ხანგრძლივი სადაზვერვო ოპერაციები, რომლებიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც საბრძოლო მოქმედების ნულოვანი ფაზა. მისი ძირითადი ამოცანა იყო სამიზნეთა (სრულთან

მიახლოებული) კატალოგის შექმნა. ამისათვის გამოიყენებოდა დაზვერვის როგორც ტექნიკური, ისე აგენტურული საშუალებები. დაზვერვის ინტერესებში მოქმედებდა კოსმოსური თანამგზავრები (დაწვრილებით იხ. ქვემოთ), ფლოტისა და ავიაციის მზვერავი პილოტირებული და უპილოტო აპარატები, სპეციალური ტექნიკური საშუალებები. ზოგიერთი ინფორმაციით, გარდა ტრადიციული აგენტურისა, სადაზვერვო ღონისძიებებში ჩართული იყვნენ აშშ-ის სპეცდანიშნულების ძალებისა და ბრიტანეთის ეს-ეი-ეს-ის მზვერავები, რომლებიც წინასწარ, საჰაერო დარტყმებამდე ცოტა ხნით ადრე იქნენ გადასროლილნი საბრძოლო მოქმედებათა რაიონში. მათი ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო სტრატეგიული ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა და ავიაციისათვის დამიზნების გაადვილება. სისტემატურად ისინჯებოდა ინტერნეტი (ოფიციალური ვერსიით ჩინეთის საელჩოს დაბომბვა სწორედ



სტრატეგიული მომბომბავი B1b მალკანეთის თავზე

ინტერნეტიდან ამოღებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგი იყო). ამგვარად შექმნილი სამიზნეების კატალოგი გამოიყენებოდა საჰაერო დარტყმების დაგეგმვისათვის.

საბრძოლო მოქმედებების პირველი ეტაპი (24 მარტი-9 მაისი): პირველ ეტაპზე ნატოს ავიაციის ძირითად სამიზნეებს წარმოადგენდა სერბეთის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო და

ეკონომიკური ობიექტები, აგრეთვე კოსოვოში არსებული სერბთა საბრძოლო ობიექტები. ამასთავე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დარტყმებს ახორციელებდნენ ამ კონკრეტული შემთხვევისათვის შექმნილი სადაზვერვო-დამრტყმელი დაჯგუფებები (სდდ). მათ შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა დანიშნულების კოსმოსური აპარატები (ოპტიკური, რადიოელექტრონული და კავშირგაბმულობის თანამგზავრები, GPS-ის სისტემის სანავიგაციო თანამგზავრები, რომლებიც ზეზუსტ დამიზნებას უზრუნველყოფდა, აგრეთვე სხვა კოსმოსური აპარატები), აგრეთვე ზეზუსტი იარაღის მატარებელი ავიაცია, წყალზედა ხომალდები და წყალქვეშა ნავები. საჰაერო აპარატები ფრინდებოდა იტალიის ავიაბაზებიდან ან ავიამზიდებიდან და იუგოსლავიის ჰაერსაწინაღო სივრცის მოქმედების რადიუსში შეუსვლელად უშვებდა საჰაერო ბაზირების ფრთოსან რაკეტებს. ადრიატიკის ზღვაზე განლაგებული ამერიკული ხომალდებიდან უშვებდნენ საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტებს. ორივე სახის ფრთოსანი რაკეტები გამოიყენებოდა იუგოსლავიელთა ტერიტორიის სიღმეში 300-800 კმ-ზე განლაგებული სამიზნეების გასანადგურებლად. თვითმფრინავი F-15 აგრეთვე იყენებდა სატელევიზიო დამიზნების „ჰაერ-ზედაპირის" რაკეტებს JDM-130-ს, ხოლო ჯავშანსატანკო ძალების გასანადგურებლად ბომბდამშენებ B-1-დან გამოიყენებოდა კასეტური ბომბებიც, რომლებშიც შედიოდა თვითდამიზნებადი საბრძოლო ელემენტები (ამ საკითხებზე დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ). საბრძოლო მოქმედების პირველ ეტაპზე ამინდი ნატოელთათვის მაინცადამაინც ხელსაყრელი არ იყო. იუგოსლავიის თავზე ამ პერიოდში ხშირი იყო ნისლი და წვიმები, აგრეთვე დაბალი მკვრივი ღრუბლიანობა. თუმცა, დასავლელი ექსპერტების მტკიცებით, ამას გამოყენებული ზეზუსტი იარაღის ეფექტიანობაზე გავლენა არ მოუხდენია.

ამ ომისას, როგორც არასოდეს, დიდი იყო კოსმოსური კომპონენტის როლი. საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე შეიქმნა კოსმოსური დაჯგუფება 50-მდე თანაგზავრის შემადგენლობით. ერთროულად თეატრის თავზე 8-12 თანამგზავრი ეკიდა. ოპტიკურ დაზვერვას ახორციელებდა ამერიკული KH-11-ისა და ფრანგული „ჰელიოსის" ტიპის თანამგზავრები, რადიოლოკაციურ დაზვერვას ატარებდა „ლაკროსის" ტიპის თანამგზავრები, „ნავსტარის" თანამგზავრები უზრუნველყოფდა ნავიგაციასა და ზეზუსტი იარაღის დამიზნებას,

„სპოტ"-ის ტიპის ფრანგული თანამგზავრები გადასცემდა იუგოსლავიის ზედაპირის ტელეგამოსახულებას და ახდენდა დარტყმების შედეგების დოკუმენტირებას (თანამგზავრული დაჯგუფების მოქმედებაზე დაწვრილებით ქვემოთ). ამასთანავე საყურადღებოა, რომ ნატოელები ერიდებოდნენ მსხვერპლს არა მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობაში, არამედ მოწინააღმდეგის ჯარის პირად შემადგენლობაშიც. მათი დარტყმები ძირითადად სამხედრო-სტრატეგიულ ან ტაქტიკურ ობიექტებზე, ინფრასტრუქტურასა და კომუნიკაციებზე მოდიოდა. მაგალითად, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დაახლოებით 900 ობიექტზე მოხდა დარტყმა 1200-1500 ფრთოსანი რაკეტით. ამ დარტყმების შედეგად 100%-ით განადგურდა ნავთობმრეწველობის ობიექტები, 70%-ით საავიაციო წარმოება, 50%-ით ტყვიაწამლის წარმოება, 40%-ით სატანკო წარმოება, ამდენივე პროცენტით ნავთობსაცავები, აგრეთვე ყველა ხიდი დუნაიზე. დანარჩენი ობიექტები უკვე პილოტირებადი ავიაციის მიერ ნადგურდებოდა, ვინაიდან ამ დროისათვის იუგოსლავიის ჰაერსაწინააღო დაცვა უკვე სრულიად მოშლილი იყო და ნატოს თვითმფრინავებს საფრთხეს ვეღარ შეუქმნიდა. იუგოსლავიის ჰაერსაწინააღო სისტემა აქტიურ რადიოლოკაციას ემყარებოდა, რაც გულისხმობდა მიზნის აღმოჩენას ამ უკანასკნელის მიერ არეკლილი იმპულსის მეშვეობით. ნატოს რადიოელექტრონული ბრძოლის (რებ) საშუალებებმა ადვილად ჩაახშო ეს სისტემა, ხოლო ზეზუსტმა ფრთოსანმა რაკეტებმა საბოლოოდ დაასამარა იგი. იუგოსლავიურ საზენიტო კომპლექსებს ერთი რაკეტის გაშვებაც რომ მოაეხერხებინათ, სასწრაფოდ გამოერთოთ ლოკატორი და იმ წამსვე დაეწყოთ გადაადგილება, მაინც დაუყონებლივ ნადგურდებოდნენ ან რადიოლოკაციურ გამოსხივებაზე ორიენტული რაკეტებით ან დამიზნების ინფრაწითელი სისტემის მქონე რაკეტებით, რომლებიც აფიქსირებდნენ საზენიტო რაკეტების გადამტანი სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვს. ამის შედეგად პირველ სამ დღეში მწყობრიდან იქნა გამოყვანილი C-125 და C-75-ის ტიპის საზენიტო კომპლექსების 75%. მცირე სიძლიერის მქონე გამოსხივების ან ძრაკის სითბური გამოსხივების აღმოჩენის საშუალებების გამოყენებით ნატოელებნა გაანადგურეს გამანადგურებელ მიგ-29-ის 86% (ეს მე-4 თაობის გამანადგურებელი ყველაზე თანამედროვე იყო იუგოსლავიის სამხედრო-საჰაერო ძალებში და თავისი კლასის გამანადგურებლებში; ახლაც ასეთად ითვლება რუსეთის შეიარაღებულ ძალებში). ამავე

დემასკირებადი ნიშნების მეშვეობით განადგურდა მიგ-21-ების 35% და მობილური საზენიტო რაკეტული კომპლექსის „კვადრატის“ 10%. იუგოსლავთა საზენიტო არტილერიამ ვერავითარი დახმარება ვერ გაუწია თავის რაკეტულ კომპლექსებს. მასზე პირველ დღეებში დარტყმებიც კი არ განუხორციელებიათ. იუგოსლავიელთა მხოლოდ ის თვითმფრინავები გადარჩა, გამაგრებული ანგარებიდან რომ არც გამოუყვანიათ და ის საზენიტო კომპლექსებიც, რომელთა რადიოლოკატორები არც ჩაურთავთ.

დიდი ყურადღება ენიჭებოდა რადიოელექტრონულ ბრძოლას. პირველად სამხედრო ისტორიაში რადიოელექტრონული ბრძოლის (რებ) საშუალებებით ჩაიხშო მოწინააღმდეგის მთელი საინფორმაციო სისტემა, ტელე და რადიოსადგურები, მობილური ტელეფონები, რადიოლოკატორები, რადიოსადგურები, კომპუტერული ცენტრები. გრაფიტისა და მეტალის მტვრის ელეტროსადგურებზე გაფანტვის შედეგად მწყობრიდან გამოდიოდა ელექტროსადგურების ტრანსფორმატორები და სარელეო ხაზები. ამერიკელებს მწყობრიდან გამოჰყავდათ ელექტრონული ფოსტა და ინტერნეტ-გამოცემები. თან ისინი სერბებს წინასწარ აფრთხილებდნენ შესაძლო დარტყმებზე. მაგალითად: საკმაო ხნით ადრე გააფრთხილეს, რომ ტელეცენტრს დაბომბავდნენ, მაგრამ მილოშევიჩმა ცენტრი არ დაცალა, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაიღუპა და ამდენივე დაიჭრა. ერთი სიტყვით, იუგოსლავიის პროპაგანდისტულ-საინფორმაციო სისტემა სწრაფად იქნა მთლიანად მწყობრიდან გამოყვანილი.

ამასთან ამ ომში ამერიკამ პირველად გამოიყენა მართვის გლობალური სისტემა პირდაპირ პენტაგონიდან.

პირველი ეტაპის პირველი ფაზა: გრძელდებოდა 24 მარტიდან 1 აპრილამდე. მისი ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა ჰაერში ბატონობის მოპოვებაში. ეს გულისხმობდა იუგოსლავიის ავიაციის განადგურებას მიწაზე და ჰაერში, მისი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მოშლასა და საჰაერო სივრცეზე კონტროლის დამყარებას. ამგვარი ამოცანა იდგა ერაყის წინააღმდეგ საჰაერო შეტევითი ოპერაციების განმახორციელებელი დაჯგუფების წინაშეც, ოღონდ ახლა პირველი ეტაპისას უპირატესობა მიენიჭა არა მასირებულ, არამედ ჯგუფურ და ცალკეული თვითმფრინავებით განხორციელებულ დარტყმებს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ერაყისაგან განსხვავებით, იუგოსლავიას არ ჰყავდა დიდი

მასშტაბის სამხედრო დაჯგუფება და იმგვარი ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები, რომლებიც დაემუქრებოდა ნატოს დამრტყმელ დაჯგუფებას ან მის ზურგს. ამიტომ იუგოსლავიის წინააღმდეგ საჰაერო ომის პირველ ფაზაზე ნატო დღეში სულ 150-200 გაფრენას ახორციელებდა, რაც 10-15-ჯერ ნაკლებია სპარსეთის ყურის პირველი ომის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. ამან ნატოს საშუალება მისცა პირველი ეტაპი განეხორციელებინა ბევრად უფრო ნაკლები საფრენი აპარატის გამოყენებით (400 თვითმფრინავი 2300-ის წინააღმდეგ). ყოველივე ამის შედეგად ოპერაცია მნიშვნელოვნად გაიაფდა.



ნატოს ავიაციის დისლოკაცია

ნატო, ჩანს, პრინციპში იმედოვნებდა, რომ იუგოსლავია კაპიტულაციას პირველი ეტაპის დასრულებისთანავე გამოაცხადებდა, თუმცა ცსს პრეზიდენტ კლინტონს აფრთხილებდა, რომ მილოშევიჩი ამაზე მხოლოდ მას შემდეგ წავიდოდა, რაც მსხვერპლი 150-200 ათასს მიაღწევდა. პირველი ეტაპის სპეციფიკურ მომენტს შეადგენდა იუგოსლავიის ჰაერიდან დაცვის სისტემის ტაქტიკა, რომელმაც პრაქტიკულად უარი თქვა რამდენადმე' მასშტაბური საჰაერო თავდაცვითი ოპერაციის განხორციელებაზე. საჰაერო დაცვის ძალებმა აირჩია

მანევრირებისა და ჩასაფრებებიდან სროლის ტაქტიკა. მოხდა ავიაციის დაშორიშორება. ყოველივე ამან ნატოს არ მისცა საშუალება, სწრაფად გაენადგურებინა იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. სამაგიეროდ, იუგოსლაველთა ტაქტიკის პირობებში ნატოს დანაკარგები შეუდარებლად უფრო მცირე იყო, ვიდრე სპარსეთის ყურის ომში მრავალეროვანი ძალების დანაკარგები. ამ ტაქტიკამ, მართალია, მცირედ გააჯანჯლა ნატოს მიერ პირველი ეტაპისათვის დასმული ამოცანების გადაწყვეტა, მაგრამ საბოლოო ჯამში ხელი ვერ შეუშალა მას.

პირველი ეტაპის მეორე ფაზა: საჰაერო შეტევითი ოპერაციის მეორე ფაზა დაიწყო 1 აპრილს და დასრულდა 10 მაისისათვის. მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობდა საბრძოლო მოქმედებათა თეატრის იზოლირებასა და სერბთა სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის განადგურებაში. დარტყმები მიმართული იყო ყველა სახის კომუნიკაციების მოშლასა და მრეწველობის (პირველ რიგში, სამხედრო და ნავთობგადამამუშავებლის) განადგურებაზე. პირველთა შორის დარტყმების ობიექტები გახდა: ხიდები, სამინისტროების შენობები, აეროდრომები, სარკინიგზო კვანძები, ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები, კავშირის ობიექტები, ტელე და რადიო სადგურები და რეტრანსლატორები. ამან, ერთი მხრივ, მოშალა ჯარებისა და მთლიანად სახელმწიფოს მართვის სისტემა, ხოლო, მეორე მხრივ, ნატოს საშუალება მისცა გარკვეული წარმატება მიეღწია საინფორმაციო ომში. კომუნიკაციების მოშლის პარალელურად მიმდინარეობდა დარტყმები ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაზე. ამის შედეგად მთლიანად განადგურდა ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეები, აგრეთვე ნავთობ და ბენზინსაცავები.

იმ მომენტიდან, როდესაც ნატომ დაიწყო იუგოსლავიის ეკონომიკის განადგურება, მისი საჰაერო დაცვის სისტემის არჩეულ ტაქტიკას აზრი დაეკარგა. იუგოსლავია რთული დილემის წინაშე დადგა: ან თავისი საჰაერო დაცვის სისტემის აქტივიზირება უნდა მოეხდინა და სრული განადგურების საფრთხის წინაშე დაეყენებინა იგი, ანდა კვლავ „გადაემალა“ საჰაერო დაცვა და არ მიეღო მხედველობაში კატასტროფული შედეგები ეკონომიკისათვის. თუმცა, სწრაფად გაირკვა, რომ იუგოსლავიას ასარჩევი არც არაფერი ჰქონდა, ვინაიდან ნატომ ერთნაირი მეთოდურობით გაანადგურა როგორც საჰაერო დაცვის, ისე ეკონომიკის დარჩენილი ობიექტები.

მეორე ფაზის შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა სერბთა უნარი ომის წარმოებისა, ხოლო კოსოვოში არსებული დაჯგუფება პრაქტიკულად სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. ამის შემდეგ ნატოს მიეცა საშუალება გადასულიყო საჰაერო ომის შემდეგ ეტაპზე: კოსოვოში სერბთა დაჯგუფების წინააღმდეგ უშუალო მოქმედებაზე.



უახლესი სტრატეგიული ბომბდამშენი B2 პირველად ბალკანეთის ცაზე გამოიცადა

ოპერაციის მეორე ეტაპი (10 მაისი-10 ივნისი): მას შემდეგ, რაც მილოშევიჩი ისევ არ დათანხმდა ნატოს მოთხოვნას, ალიანსმა საბრძოლო მოქმედებათა ახალი ეტაპი წამოიწყო, რომელიც უფრო უახლოვდებოდა კლასიკურ საჰაერო კამპანიას, ვიდრე პირველი. ახალ ეტაპზე მთავარი დამრტყმელი ძალის ფუნქცია უკვე პილოტირებულმა ავიაციამ აიღო. ეპიზოდურად ის პირველ ეტაპშიც მონაწილეობდა, მაგრამ ამ ეტაპზე ძირითადი ფუნქცია მას დაეკისრა. ამ ეტაპზე ამერიკელები ძირითადად იყენებდნენ მართულ ბომბებს: JDAM, JIOW, WCMD, რომელიც სამიზნესაკენ GPS-ის სიგნალის მეშვეობით მიიმართებოდა. ზოგჯერ მათ მატარებლად სტრატეგიულ ბომბდამშენ B-2-საც იყენებდნენ, რომელიც ამერიკიდან ფრინდებოდა, დაჯდომის გარეშე აღწევდა იუგოსლავიას, ანადგურებდა სამიზნეებს და ასევე დაჯდომის გარეშე ბრუნდებოდა ამერიკაში.

პირველი ეტაპის მეორე ფაზის მიმდინარეობის პარარელურად, დაახლოებით აპრილის მესამე დეკადიდან, იწყება ოპერაციის შემდეგი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავდა კოსოვოსა და მეტოხიაში სერბთა ძალების, უპირველეს ყოვლისა, მძიმე ტექნიკის განადგურებას. ამასთავე საყურადღებოა ის, რომ მეორე ეტაპის დაწყება სრულიადაც არ ნიშნავდა პირველის მთლიანად დასრულებას: კოსოვოზე სერბთა ძალებზე დარტყმების პარალელურად მიდიოდა დარჩენილი კომუნიკაციური და სამრეწველო ობიექტების განადგურება. აპრილის ბოლოდან დაახლოებით 20 მაისამდე პირველი ეტაპით გათვალისწინებულ სამიზნეთა გასანადგურებლად დაახლოებით ტოლი ოდენობის ავიაცია იყო გამოყოფილი (დაახლოებით 50%-50%-ზე), მაგრამ მოგვიანებით, 20 მაისიდან, კოსოვოში სერბთა დაჯგუფების განადგურების ამოცანამ წინა პლანზე გადაიწია და შესაბამისად გაიზარდა ამ მიზნისათვის გამოყოფილი ავიაციის წილი. ამ ეტაპისათვის ნატოს ავიაციის მოქმედებას ძირითადად კოსოვოს მთიან-ტყიანი რელიეფი ართულებდა, რომლის პირობებშიც გართულებული იყო სერბთა სამიზნეების წინააღმდეგ ლაზერული და სატელევიზიო დამიზნების მქონე სისტემების გამოყენება. როგორც ჩანს, არასაკმარისად ეფექტიანად მუშაობდა დაზვერვაც. მფრინავ რადარებს E-8C „ჯოინთ სტარს" უჭირდა მთიან-ტყიანი რელიეფის პირობებში ჯავშანსატანკო ტექნიკის იდენტიფიცირება. ჭირდა დარტყმების შედეგების შეფასება. თუმცა, ნატომ მოახერხა ვითარების გამოსწორება. ეს რამოდენიმე მიმართულებით მოხდა: ჯერ ერთი, ნატომ დაიწყო სტრატეგიული ავიაციის გამოყენება ტაქტიკური სამიზნეების გასანადგურებლად. მოქმედებაში ჩაერთო უპილოტო სადაზვერვო აპარატები: „პრედატორი" (ოპერატიულ-ტაქტიკური დაზვერვა) და „ჰანტერი" (ტაქტიკური დაზვერვა); ლაზერული და სატელევიზიო დამიზნების სისტემების პარალელურად დაიწყო თანამგზავრული დამიზნების სისტემის მქონე JDAM-ის ტიპის მართული ავიაბომბების გამოყენება. ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად ნატომ მნიშნელოვან წარმატებას მიაღწია კოსოვოში განლაგებული სერბთა მძიმე ტექნიკის განადგურების საქმეში. განადგურდა 454 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი (კოსოვოში მყოფი არტილერიის 50%), 222 ერთეული ჯავშანტექნიკა (35%) და 122 ტანკი (30 %), რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა კოსოვოში სერბთა დაჯგუფების ბრძოლისუნარიანობა.

§ 84
ტაქტიკური ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტში

ტაქტიკურმა ავიაციამ კონფლიქტის მსვლელობისას არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე სტრატეგიულმა. წმინდა საშხედრო ფუნქციების გარდა, ეს როლი პოლიტიკური მოტივებითაც იყო განპირობებული. ტაქტიკური ავიაცია შეიარაღებულ ძალთა ერთადერთი სახეობა იყო, რომელიც ალიანსის ყველა წევრს ჰქონდა და, მაშასადამე, საბრძოლო მოქმედებებში მისი მონაწილეობის მეშვეობით ხდებოდა ალიანსის წევრთა ურყევი და ერთიანი ნების დემონსტრირება.

ტაქტიკური ავიაცია ძირითადად იტალიის ავიაბაზებზე იყო დისლოცირებული[103] (მოკავშირეთა ავიაციის დისლოკაცია იხ. რუკაზე 370-ე გვერდზე). ტაქტიკური ავიაციის მოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენდა მეტეოროლოგიური პირობების თავისებურება. ბალკანეთზე ხშირია ნისლი და დაბალღრუბლიანობა. ოპერაციის პირველი 21 დღის განმავლობაში საფრენი ამინდი მხოლოდ 7 დღის განმავლობაში იყო, ხოლო 10 დღის განმავლობაში დაგეგმილი გაფრენების 50% არ შედგა ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო.

მეორე ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენდა ტაქტიკური ავიაციის გამოყენებაზე, იყო იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის თავისებურება, სახელდობრ, ის ფაქტი, რომ ნატომ სწრაფად გაანადგურა საშუალო რადიუსის მოქმედების საზენიტო რაკეტული კომპლექსები და გამანადგურებელი ავიაცია, მაგრამ იუგოსლავიელებმა შეინარჩუნეს გადასატანი საზენიტო კომპლექსები და მცირეკალიბრიანი საზენიტო არტილერია. ამის გამო ნატოს სარდლობამ ფრენის მინიმალურ სიმაღლედ 5000 ფუტი განსაზღვრა, რაც დაბალღრუბლიანობის პირობებში აძნელებდა მართული იარაღის გამოყენებას ნატოს ძალების მიერ. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა კოსმოსური ბაზირების სისტემა-GPS-ს, რომლის მოქმედება არ არის დამოკიდებული ამინდზე. ასეთი სისტემით კი მხოლოდ ამერიკული თვითმფრინავები და ბომბები იყო აღჭურვილი, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა ნატოელ მოკავშირეთა ქმედებას. ინციდენტთა უმრავლესობა, რომლის დროსაც მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდებოდა, სწორედ დამიზნების სისტემების გამოყენების სირთულეს უკავშირდებოდა. ამ ინციდენტებს შორის ყველაზე სამწუხარო ფაქტი მოხდა. 14 აპრილს,

როდესაც ნატოელმა პილოტმა შეცდომით დაბომბა ლტოლვილთა ჯგუფი, რასაც რამდენიმე ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. რაც შეეხება ჩინეთის საელჩოს დაბომბვას, ის იმდენად, ჩანს, პილოტის შეცდომით კი არ იყო გამოწვეული, რამდენადაც დაზვევრისა და დამიზნებაზე პასუხისმგებელ პირთა შეცდომით. ამისდა მიუხედავად მაინც მოხერხდა მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის მინიმალიზება. 79 დღის განმავლობაში ნატოს მიერ განხორციელებული 22 ათასი დარტყმიდან მშვიდობიან მოსახლეობაში მხოლოდ 30 მსხვერპლი მოჰყვა.

აშშ-ის ტაქტიკური ავიაცია კონფლიქტისას: ამერიკელები საბრძოლო მოქმედებებში ერთ-ერთი პირველები ჩაებნენ და თავიანთ მხრებზე გადაიტანეს მოქმედებების ძირითადი ტვირთი. ომის დასაწყისში მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალების 500-მდე ტაქტიკური თვითმფრინავისგან ამერიკელების იყო 275, ანუ 55%. პირველივე დარტყმებში მონაწილეობდა ამერიკული ტაქტიკური გამანადგურებლები F-15 და F-16, აგრეთვე, ზოგიერთი ცნობით, მოიერიშე A-10. პირველი დანაკარგიც მათ განიცადეს, როდესაც 26-დან 27 მარტის ღამეს სერბებმა მოახერხეს „სტელტის" ტიპის ტაქტიკური გამანადგურებლის F-117-ის ჩამოგდება. ოდნავ მოგვიანებით მოქმედებებში ჩაებენ რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავები – „პროულერი". ისინი თურქეთის ინჯირლიკის ბაზაზე იყო დისლოცირებული, რაც მათ საშუალებას აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ არა მხოლოდ ბალკანეთზე მიმდინარე მოქმედებებში, არამედ უძრუნველყოთ ერაყის თავზე საჭირო ფრენითი რეჟიმიც. მოგვიანებით საბრძოლო მოქმედებებში სხვა თვითმფრინავებიც ჩაება. მათზე მოდიოდა ტაქტიკური ავიაციის მიერ განხორციელებული საბრძოლო გაფრენების თითქმის 80%.

აშშ-ის ტაქტიკური ავიაციის ძირითადი წილი მოდიოდა საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელ F-16C Block 40 ვარიანტზე. ის აღჭურვილი იყო დასაკიდი სისტემა LANTIRN-ით, რომელიც საშუალებას იძლევა სამიზნეს მიუახლოვდე უკიდურესად დაბალ სიმაღლეზე, თანაც რელიეფის გაყოლით. იგივე სისტემა უზრუნველყოფს დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოწინააღმდეგის მცირეზომიანი სამიზნეების გამოვლენასა და მათ წინააღმდეგ ისეთი ზუზუსტი იარაღის გამოყენებას, როგორიცაა „ჰაერი-ზედაპირის" ტიპის რაკეტა AGM-65 Maverick ან ლაზერული დამიზნების სისტემის კორექტირებადი ავიაბომბები.

ჩრდილოეთ იტალიაში დისლოცირებულ 39 F-16C-ზე დამონტაჟდა ბლოკი IDM, რომელიც ინტეგრირებული იყო დროის რეალურ მასშტაბში მიზნის მიმართებელ სისტემა Golden strike-თან. ამ სისტემას შეუძლია სახმელეთო პუნქტიდან პილოტის დისპლეიზე, რომელზეც აისახება ადგილმდებარეობის ციფრული რუქა, მიაწოდოს ინფორმაცია სამიზნეების რაიონში ტაქტიკურ ვითარებაზე. ამ სისტემების მეშვეობით მოხერხდა ერთ სადაზვერვო-დამრტყმელ „სუპერსისტემად" შეეკრათ დამრტყმელი თვითმფრინავები, საჰაერო დაკვირვებისა და მართვის პილოტირებული და არაპილოტირებადი საშუალებები, აგრეთვე სახმელეთო მართვის პუნქტები. ამ გამანადგურებლებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კონფლიქტის მსვლელობისას. ამასთან აღსანიშნავია, რომ არავითარი წყარო არ ამტკიცებს იმას, თითქოს სერბებს მწყობრიდან ამ ტიპის 10 გამანადგურებელი გამოეყვანათ. დამოუკიდებელი წყაროების ანალიზის საფუძველზე ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მწყობრიდან მხოლოდ ორი თუ სამი გამანადგურებელი გამოვიდა, მათგან, როგორც ჩანს, ორმა ტექნიკური მიზეზებით განიცადა კატასტროფა და მაქსიმუმ ერთი იქნა ჩამოგდებული.

ტაქტიკური ავიაციის მეორე ძირითადი გამანადგურებელი, რომელსაც აშშ იყენებდა იყო F-15E. F-16-თან შედარებით, მას მოქმედების ბევრად უფრო დიდი რადიუსი და საბომბე დატვირთვა აქვს. F-16-გან განსხვავებით ის „მძიმე" გამანადგურებლების კლასს განეკუთვნება და არა „მსუბუქისას". თუმცა ჰაერში ნატოს ძალების სრული დომინირების პირობებში მათი მასირებული გამოყენების საჭიროება არც კი გაჩენილა.

F-15 E-ს შეეძლო გამოეყენებია ბევრად უფრო ძლიერი საშუალებები, ვიდრე მის მსუბუქ „მეგობარს", სახელდობრ, 2100 კგ-ს მასის მქონე მართული ავიაბომბები GBU-28. ეს გამანადგურებელი ამ კლასის ერთადერთი თვითმფრინავია, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ზეზუსტი ტაქტიკური ფრთოსანი რაკეტა AGM-130, ოღონდ იუგოსლავიის წინააღმდეგ ამ იარაღის გამოყენების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.

F-15-E-ს ტიპის გამანადგურებლების დანაკარგების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს როგორც ამერიკელების, ისე სერბების მხრიდან. ერთადერთი მხარე,ვინც ამტკიცებს,რომ სერბებმა ამ ტიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის სამი გამანადგურებელი ჩამოაგდეს, ხოლო ორი დააზიანეს, რუსეთია.

რაც შეეხება „სტელტის“ ტიპის „უხილავ“ გამანადგურებელ F-117-ს, ის მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენებოდა, ისიც ოპერაციების პირველ ეტაპზე. მათი ძირითადი ამოცანა არა სერბების ტექნიკის განადგურება იყო, არამედ — ჰაერსაწინააღო სისტემის ნეიტრალიზება. ამ ნაწილობრივ ექსპერიმენტულ თვითმფრინავს არაფერი განსაკუთრებული თვისება არ გამოუვლენია, გარდა ძალიან მცირე რადიოლოკაციური აღმოჩენადობისა. ამის მიუხედავად ამ გამანადგურებელთაგან ერთი სამხედრო კამპანიის მესამე დღეს ჩამოაგდეს. ამ ტიპის დანარჩენი თვითფრინავების განადგურების შესახებ ინფორმაცია სერბულ-რუსული პროპაგანდის სფეროს ეკუთვნის და არა რეალობას.

ფრანგული ტაქტიკური ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტისას: აშშ-ის შემდეგ კონფლიქტში უმნიშნელოვანესი როლი ითამაშა ინგლისისა და საფრანგეთის ავიაციამ. ეს უკანასკნელი (საზღვაო ავიაციის ჩაუთვლელად) წარმოდგენილი იყო ტაქტიკური გამანადგურებლებით „მირაჟ-2000“-ით და გამანადგურებელ-ბომბდამშენებით „იაგუარით“. სამხედრო-საზღვაო ავიაციის ჩაუთვლელად ფრანგებზე მოდიოდა 10% საბრძოლო გაფრენებისა. ნატოს განკარგულებაში (სამხედრო-საზღვაო ძალების ჩაუთვლელად) გამოყოფილი იყო 65 თვითმფრინავი. ისინი, შეძლებიდაგვარად, გამოიყენებოდა შეზღუდული რეჟიმის პირობებში (იგულისხმება კარგი ამინდის პირობებში). თვითმფრინავთა ნაწილი დისლოცირებული იყო ჩრდილო იტალიაში ისტრანას ავიაბაზაზე (სულ 22 თვითმრინავი), ხოლო ნაწილი საჰაერო დარტყმებს ახორციელებდა უშუალოდ საფრანგეთის ტერიტორიიდან, ამასთან იმ სამიზნეთა ნუსხა, რომელიც ფრანგულ თვითმფრინავებს უნდა გაენადგურებინა, ვინჩენცას ავიაბაზაზე განლაგებული ნატოს საჰაერო ოპერაციების მართვის ცენტრიდან მოდიოდა. მოგვიანებით საფრანგეთმა ნატოს განკარგულებაში გადასცა ორი უპილოტო აპარატი კოსოვოზე დაკვირვებისათვის, აგრეთვე გაუმჯობესებული რადიოლოკაციური სისტემით აღჭურვილი შვეულმფრენი, რომელსაც სერბთა ტანკების გადააგდილების აღმოჩენა 150 კმ-ის სიღრმეში შეეძლო. 14 მაისს ისტრანას ავიაბაზაზე დისლოცირებულ ფრანგულ საჰაერო შენაერთს დამატებით შეემატა 10 მირაჟ F-1, რის შემდეგაც კონფლიქტში მონაწილე საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელთა რიცხვი 57-მდე ავიდა. საინტერესოა, რომ იუგოსლავიის წინააღმდეგ

მოქმედებებში მონაწილეობდა ცნობილი ესკადრილია „ნორმანდია-ნემანი", რომელიც II მსოფლიო ომისას აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედ ერთადერთ დასავლურ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ამ ესკადრილიამ განახორციელა აპრილის ბოლოს პირველი დამრტყმელი ოპერაციები იუგოსლავიის წინააღმდეგ; სახელდობრ: 26-27 აპრილს რვა მირაჟ-2000-მა განახორციელა დარტყმები იუგოსლავიის ობიექტებზე. ოთხი თვითმფრინავი აღჭურვილი იყო ლაზერული დამიზნების სისტემის მქონე 1000 კგ-იანი ბომბებით, ხოლო დანარჩენები – კოორდინატების მეშვეობით დამიზნებადი 250 კგ -ნი ბომბებით. თუმცა, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო არ მოხერხდა ლაზერული ბომბების ეფექტიანად გამოყენება. 250 კგ-იანი ბომბები საკმაოდ ეფექტურად გამოიყენეს კავ'შირის კვანძებისა და ტყვია-წამლის საწყობების წინააღმდეგ.



ფრანგული მირაჟ-2000 ასრულებს საჰაერო მანევრს მაღალეთის ცაში.

მოგვიანებით ელზასის ქალაქ კოლმარიდან იტალიაში გადასროლილ იქნა კიდევ დამატებით 10 მირაჟ F-1, რის შედეგადაც კონფლიქტში მონაწილე ფრანგული თვითმფრინავების რიცხვმა, დამხმარე და საზღვაოს

ჩათვლით 90-ს მიაღწია. მაისის ბოლოდან ფრანგების დარტყმებში მოხდა აქცენტების გადანაწილება, სახელდობრ პროიორიტეტულად იქნა მიჩნეული დარტყმების გადატანა სერბიის ტერიტორიის სიღრმეში და კოსოვოში დისლოცირებული სერბული არმიის წინააღმდეგ.

ბრიტანეთის სამხედრო-საჰერო ძალები იუგოსლავიის კონფლიქტ-ში: ბრიტანეთის სამეფოს სამხედრო-საჰაერო ძალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხედრო მოქმედებებში. მათ განახორციელეს საბრძოლო გაფრენების 10%. განსხვავებით ფრანგებისაგან, რომლებიც ერთნაირი აქტიურობით მონაწილეობდნენ საჰაერო პატრულირებასა და სახმელეთო ობიექტებზე დატყმებში, ბრიტანელები უპირატესად ამ უკანასკნელით შემოიფარგლენ. ბრიტანელებმა საომრად გამოიყენეს 34 დამრტყმელი თვითმფრინავი, რომლებმაც ჩამოყარეს ნატოს მიერ გამოყენებული ჭურვების 5%, ანუ 1000-მდე ავიაბომბი, მართული და არამართული ჭურვი და „ჰაერი-



ბრიტანული „ტორნადო" საჰაერო მანევრის განხორციელებისას

ზედაპირის" ტიპის სხვა სისტემა, რომელთაგან 25%, ანუ 250 ცალი მართული იყო.

ინგლისელები საბრძოლო მოქმედებებში თავიდანვე ჩაებნენ. ჯოი-

დელ-კოლეს ავიაბაზაზე დისლოცირებული რვა „ჰარიერ“ GR.7-იდან ექვსმა კონფლიქტის დაწყებისთანავე განახორციელა გაფრენები პრიშტინას სიახლოვეს მდებარე იარაღისა და საჭურვლის საწყობების გასანადგურებლად. ყოველი მათგანი აღჭურვილი იყო PEIUVEI-2-ის ტიპის მართული ავიაბომბით. ორი გამანადგურებელი აღჭურვილი იყო დამიზნების ლაზერული სისტემის აღჭურვილობით და სამიზნეებისაკენ ბომბებს მიმართავდა. ამ რვა თვითმფრინავმა მონაწილეობა მიიღო იუგოსლავიაზე დარტყმის მესამე ტალღაში.

იუგოსლავიის წინააღმდეგ დარტყმებში ინგლისელთა მხრიდან ძირითადად მონაწილეობდნენ „ტორნადოს“ ტიპის გამანადგურებლები. ეს თვითფრინავები სპეციალურადაა შექმნილი ბრძოლის ველის იზოლაციისათვის, სახელდობრ, მწყობრიდან ისეთი ობიექტების გამოყვანით, როგორებიცაა: ხიდები, სატრანსპორტო და კავშირის კვანძები. მათ აგრეთვე შეუძლიათ ეფექტიანად იმოქმედონ ჰაერსაწინაღო დაცვის სისტემების და მოწინააღმდეგის მსხვილი დაჯგუფებების წინააღმდეგ. მთლიანობაში ბრიტანელებმა დაასაბუთეს, რომ მათი სამხედრო-საჰაერო ძალები ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. გარდა სამხედრო-საჰაერო ძალებისა, კონფლიქტში გარკვეულ მონაწილეობას იღებდა ფლოტის ავიაცია, წარმოდგენილი იგივე „ჰარიერების“ საზღვაო მოდიფიკაციებით.

გერმანიის ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტისას: იუგოსლავიის კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი საბრძოლო მოქმედება იყო, რომელშიც მონაწილეობდა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები. თუმცა ეს მონაწილეობა ძალიან შეზღუდული იყო. ჯერ ერთი, გერმანიის საზოგადოება მაინცადამაინც აღფრთოვანებით არ ეკიდებოდა მისი არმიის მონაწილეობას ეროვნული ტერიტორიის გარეთ მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში. ხოლო, მეორე მხრივ, ნატოს აშკარად არ სურდა მილოშევიჩისათვის მიეცა პროპაგანდისტული კოზირი გერმანელთა მიერ იუგოსლავიის „ხელახალი ოკუპაციის“ შესახებ საუბრისათვის. ამის გამო გერმანული „ტორნადოები“ კონფლიქტში უაღრესად შეზღუდულად მონაწილეობდა. სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ მათ იყენებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გამოსავალი აღარ იყო.

კონფლიქტში გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს წარმოადგენდა „ტორნადოს“ ტიპის 20-მდე თვითმფრინავი. თავდაპირველად პიაჩენცას ბაზაზე გადაისროლეს ოთხი მანქანა. შემდეგ კიდევ 14 თვითმფრინავი,

მათგან 6 სადაზვერვო ვარიანტში, ხოლო 8 დამრტყმელ ვარიანტში (გამიზნული იყო უპირატესად საჰაერო დაცვის სისტემის გასანადგურებლად). თუმცა იუგოსლავიის ჰაერსწინაღო სისტემის მწყობრიდან სწრაფად გამოყვანის გამო მათ, ჩანს, აქტიურად არ უმოქმედიათ. თანაც ოთხ თვითმფრინავს პერიოდულად აბრუნებდნენ გერმანიაში. რუსული სამხედრო მედიის ინფორმაცია „ტორნადოების" მიერ 240 რაკეტის გაშვებისა და იუგოსლავიელთა მიერ რამოდენიმე „ტორნადოს" ჩამოგდების შესახებ რუსულ ხალხურ ზღაპართა რიცხვს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, გერმანული ავიაცია უპირატესად სადაზვერვო ფრენებით იფარგლებოდა, ვინაიდან „ტორნადოს" ის ვარიანტები, რომელიც „ლუფტვაფეს" შეიარაღებაზეა, არ არის გამიზნული საჰაერო პატრულირებისათვის.

იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალები იუგოსლავიის კონფლიქტისას: მსგავსად გერმანიისა კონფლიქტში იტალიელთა მიერ გამოყოფილი 36 „ტორნადოც" ძალიან შეზღუდულად მონაწილეობდა. ზოგიერთი ცნობით, კონფლიქტში მონაწილე იტალიურ თვითმფრინავთა რიცხვი 42-ს და 54-საც კი უტოლდებოდა და მათში გარდა „ტორნადოებისა", შედიოდა მსუბუქი მოიერიშე AMX. რაიმე დეტალური ინფორმაცია იტალიელთა ქმედებების შესახებ ხელთ არ გვაქვს. თუმცა, ცხადია, ეს ქმედებანი მინიმალური ხარისხის აქტივობით გამოირჩეოდა.

ნატოს დანარჩენ წევრთა ტაქტიკური ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტისას: ხსენებულ სახელმწიფოთა გარდა, კონფლიქტში მონაწილეობდა ნატოს წევრი ქვეყნების კიდევ 81 გამანადგურებელი. ისინი უპირატესად გამოიყენებოდა საჰაერო პატრულირებისათვის, თუმცა, ზოგიერთი ცნობით, შეზღუდულად მონაწილეობდა დარტყმებშიც სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ; სახელდობრ, 14 აპრილისათვის 12 კანადურ F-18-ს სივრცობრივ-გაშლილი სამიზნეების წინააღმდეგ გამოუყენებია არამართული ავიაბომბები MK-82. თუმცა, ვიმეორებთ, ეს ფაქტები, თუ საერთოდ ხდებოდა, ერთჯერადი ხასიათისანი იყო. ზემოაღნიშნულ ქვეყანათა მოკავშირეები ძირითადად საჰაერო პატრულირებას აწარმოებდნენ, რაც ნამდვილად არ იყო ძნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ იუგოსლავიელთა ავიაცია ცაში ძალიან იშვიათად ჩნდებოდა. ამის მიუხედავად, ნატოს პატარა სახელმწიფოთა გამანადგურებლების პილოტებმა მაინც მოახერხეს თავის გამოჩენა. სახელდობრ, 24 მარტს ღამით ინგლისურმა „ავაქსმა" დააფიქსირა

ბატაინიცას აეროდრომიდან სამი მიგ-29-ს აფრენა და მათზე მიუშვა 4 ჰოლანდიური F-16, რომელთაც რაკეტა „ამრაამით" ჩამოაგდეს ერთი მიგი და გააქციეს სხვები. თუმცა, ვიმეორებთ, ამგვარი შემთვევები ერთეულები იყო იმის გამო, რომ იუგოსლავიური ავიაცია იშვიათად ჩნდებოდა ჰაერში, იქ, სადაც ნატო ბატონობდა.

§ 85
კონფლიქტისას გამოყენებული ტაქტიკური იარაღი

არამართული საავიაციო საჭურველი იუგოსლავიის კონფლიქტში: იუგოსლავიის კონფლიქტი ალბათ პოსტინდუსტრიული ერის პირველი კონფლიქტია იმ აზრით, რომ მასში ზუსტი და არამართული იარაღის თანაფარდობა პირველად გადაიხარა ზუსტის სასარგებლოდ. ამის მიუხედავად კონფლიქტში, განსაკუთრებით მის ბოლო ეტაპზე, მოკავშირეთა ავიაცია საკმაოდ ინტენსიურად იყენებდა არამართულ იარაღსაც. ასეთი იარაღის ძირითად ტიპებს წარმოადგენდა თავისუფლად ვარდნადი საავიაციო ბომბები MK-82 და ბომბების კასეტები. პირველს იყენებდნენ არა მარტო ამერიკელები, არამედ კანადელებიც და ფრანგებიც (განსაკუთრებით კონფლიქტის ბოლო ეტაპზე). ბომბების კასეტებს შორის განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიყენებოდა GBU-16-ის ტიპის კასეტები,რომელთაგან თითოეული შეიცავს 200-მდე პარაშუტით დაშვებად მინიატურულ ბომბს (დაახლოებით „კოკა-კოლის" ქილის ხელას). სულ ამერიკელებმა კონფლიქტისას გამოიყენეს ათასამდე კასეტა. რამდენიმე ასეული (ზოგი ცნობით,100-დან 200-მდე) ასეთი ტიპის კასეტა გამოიყენა ინგლისმაც. მართალია,ასეთივე ტიპის ბომბების კასეტები აქვთ ფრანგებსაც,მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ისინი ან საერთოდ არ, ან უკიდურესად შეზღუდულად გამოიყენეს. ჭურვების დანარჩენ ნაწილს ნატოს შეიარაღებაზე მყოფი სხვადასხვა არამართული ავიაბომბები შეადგენდა.

თვისობრივად ახალი ავიაბომბები: იუგოსლავიასთან კონფლიქტისას ნატომ გამოიყენა თვისობრივად ახალი ავიაბომბები, რომელნიც არამომაკვდინებელი იარაღის კატეგორიას განეკუთვნება, სახელდობრ, გრაფიტული ელემენტების მქონე ავიაბომბები. რომლებიც გამიზნულია

მოწინააღმდეგის ენერგეტიკის მწყობრიდან გამოსაყვანად. ამ ავიაბომბებმა თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ ენერგოსისტემები მწყობრიდან შეიძლება გამოყვანილ იქნეს მათი დანგრევის გარეშე.

მართული ავიაბომბები: მართულმა ავიაბომბებმა ამ კონფლიქტის ბედის გადაწყვეტაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფრთოსან რაკეტებთან ერთად. ამავე დროს, როგორც კონფლიქტმა აჩვენა, პირველი თაობის მართული ბომბები, რომლებიც ლაზერულ (და აგრეთვე ინფრაწითელ და სატელევიზიო დამიზნების სისტემებს ემყარება) არ არის საკმარისი თანამედროვე სამხედრო მოქმედებებისათვის. იუგოსლავიის ომმა დაადასტურა კოსმოსური, უფრო ზუსტად, თანამგზავრული დამიზნების მქონე მეორე თაობის მართული ბომბების უპირატესობა და მესამე თაობის მართვის სისტემების შემუშავების აუცილებლობა.

მართული საავიაციო რაკეტები: მართული საავიაციო რაკეტები, როგორც ვიცით,იყოფა „ჰაერი-ჰაერის" ტიპის რაკეტებად,რომლებიც გამიზნულია მფრინავი აპარატების გასანადგურებლად და „ჰაერი-ზედაპირის" რაკეტებად, რომლებიც, მართალია, გაიშვება საფრენი აპარატიდან, მაგრამ უპირატესად გამიზნულია სახმელეთო (საზღვაო) სამიზნეების გასანადგურებლად. მათგან პირველნი კოფლიქტში საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა, ვინაიდან იუგოსლავიელთა ავიაციის პასიურობის გამო საფრენ აპარატებს შორის ბრძოლას ძალზე იშვიათი ხასიათი ჰქონდა. ცნობილია ცალკეული შემთხვევები ნატოს მიერ „ამრაამ"-ის და „საინდვინდერი"-ს ტიპების საშუალო და ახლო რადიუსის მოქმედების „ჰაერი-ჰაერის" რაკეტების გამოყენებისა, რასაც იუგოსლავიელთა იმ თვითმფრინავების განადგურება მოჰყვა, რომელთაც ჰაერში აფრენა გაბედეს (მაგალითად, 24 და 26 მარტის საჰაერო ბრძოლებში. ამ დროისათვის ცალკეული იუგოსლავიური თვითმფრინავები კიდევ ბედავდნენ „კამიკაძურ" გაფრენებს, რაც მოგვიანებით შეწყდა). რაც შეეხება „ჰაერი-ზედაპირის" რაკეტებს, ისინი კონფლიქტში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა.

ჯერ კიდევ ბოსნიელ სერბთა წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციისას გაირკვა, რომ „ჰარმის" ტიპის ანტირადიოლოკაციური რაკეტები საკმარისად ეფექტური არ არის. ბოსნიელ სერბთა საჰაერო დაცვის სისტემების უმრავლესობა მაშინ განადგურდა ლაზერული

დამიზნების სისტემის მქონე მართული ავიაბომბების მეშვეობით. მაგრამ მაშინ ნატოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმარისი გამოცდილება ასეთი რაკეტების გამოყენებისა ლოკალური კონფლიქტის პირობებში (ასეთი იარაღის გამოყენებისათვის ნატოს ავიაცია ემზადებოდა ვარშავის ხელშეკრულების საჰაერო დაცვის წინააღმდეგ, რომელიც თავისი ინტენსიობით თვისებრივად განსხვავდებოდა იუგოსლავიის საჰაერო დაცვის სისტემისაგან).

იგივე ითქმის „სლემის" ტიპის რაკეტებზეც,რომლებიც უპირატესად გამოიყენება მობილური და სტაციონარული სახმელეთო სამიზნეების წინაარმდეგ. ნატომ, ჩანს, ეს გამოცდილება კარგად გაითვალისწინა და მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიასთან ომისას, განსაკუთრებით მის გვიანდელ ეტაპებზე მართული რაკეტები ნაკლებ გამოიყენებოდა (რაც იმით აიხსნება, რომ ასეთი რაკეტები მთიან-ტყიან რეგიონში არცთუ ეფექტიანია) გამოწურა ამ რაკეტებიდან ყოველივე, რაც შესაძლებელი იყო.

§ 86
სტატეგიული ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტში

როგორც ჩანს, ოპერაციის დამგეგმავები თავიდანვე ითვალისწინებდნენ ოპერაციაში სტრატეგიული ავიაციის გამოყენებას. B-52 ტიპის ბომბდამშენების გადასროლა დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ 17 აპრილს დაიწყო, როდესაც ფეირფორდის ბაზაზე გადაისროლეს 6 B-52 -ის ტიპის მანქანა. მათ მონაწილეობა მიიღეს იუგოსლავიაზე პირველსავე შეტევაში, 24 მარტს. 26 მარტისათვის ბომბდამშენთა რიცხვი ათამდე გაიზარდა, რომელთაგან თითოეულ ოპერაციაში 2-დან 9-მდე თვითმფრინავი მონაწილეობდა. ბომბდამშენების მარშრუტი გადიოდა ატლანტიკისა და ხმელთაშუა ზღვის ნაკლებდასახლებულ რეგიონებზე და გრძელდებოდა 13 საათს. თითოეულ ბომბდამშენს შეეძლო 20-მდე ფრთოსანი რაკეტის ტარება, თუმცა რეალურად, ჩანს, ხდებოდა მხოლოდ შიდაფიუზელაჟური რევოლვერული დანადგარის გამოყენება.

ბომბდამშენის შეიარაღებაზე იყო ფრთოსანი რაკეტა AGM-86C, რომლის მოქმედების რადიუსია 1100 კმ და აქვს ფუგასური ქობინი 907 კგ მასის (მოდიფიკაცია ბლოკ 0) ან 1360 კგ (მოდიფიკაცია

ბლოკ-1). ისინი აღჭურვილია დამიზნების ინერციული სისტემით და რელიეფზე კორექტირების სისტემით. ბლოკ-1-ის მოდიფიკაციები აღჭურვილია კოსმოსური რადიოსანავიგაციო სისტემა „ნავსტარის“ მიმღებით, რითაც დამიზნების სიზუსტე (სამიზნისათვის აცილების შესაძლო რადიუსი) 100-150 მეტრიდან რამდენიმე ათეულ მეტრამდე გაზარდეს. 1998 წლის 18 დეკემბრის მონაცემებით, აშშ-ის სტრატეგიული ავიაციის შეიარაღებაზე იყო 1142 AGM-86 და 239 AGM-86C (მათგან 198 ბლოკ-1). მათგან იუგოსლავიის წინააღმდეგ 1 აპრილისათვის გამოყენებული იყო 50 რაკეტა. მარაგის სწრაფმა ამოწურვამ აშშ-ის მთავრობა აიძულა აღედგინა კონვეიერი AGM-86-ის არაბირთვული ვარიანტის (ბლოკ-1 ან 2-ის) საწარმოებლად. მათი სიზუსტე 2-3 მეტრია და აღჭურვილია შემღწევი ქობინით, ან რომელიც სამიზნის თავზე ახდენს პიკირებას. ერთი AGM-86C-ს ღირებულება 1160 ათასი დოლარია.

გარდა ფრთოსანი რაკეტებისა, B-52 -ს შეუძლია ატაროს GBU-34 JDAM-ის ტიპის მართული ავიაბომბები და AGM -142 ტიპის მართული რაკეტები, აგრეთე ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ჰარპუნი“. იუგოსლავიაზე შეტევებში მონაწილე ბომბდამშენები აღჭურვილი იყო რადიოელექტრონული ბრძოლის ახალი სისტემებით, სახელდობრ: ინერციული სანავიგაციო სისტემით, ელექტრონულ-ოპტიკური სამიზნე-მიმოხილვითი სისტემით. ბომბდამშენები გამოიყენებოდა იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მოქმედების ზონის გარედან ზეზუსტი ფრთოსანი რაკეტების გასაშვებად.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ტაქტიკური ავიაციის ძალიხმევა საკმარისი არ იყო და მილოშევიჩი დანებებას არ აპირებდა, ნატომ გადაწყვიტა მოქმედებაში ჩაერთო B-1B-ს ტიპის ბომბდამშენები, რომელთაც საბრძოლო ნათლობა ჯერ კიდევ ოპერაცია „უდაბნოს მელის“[104] პერიოდში გაიარეს. ფეირფორდის ბაზაზე ისინი 29 მარტს გადაისროლეს. B-1B-ს ტიპის ბომბდამშენები ძირითადად გამოიყენებოდნენ ისეთი მოცულობითი სამიზნეების გასანადგურებლად, როგორებიც იყო: ჯავშანტექნიკის სადგომები, მათი მომსახურების პუნქტები, საწვავის საველე საწყობები. ბომბდამშენები მოქმედებაში ჩაერთო იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ჩახშობის შემდეგ და მოქმედებდა გადასატანი საზენიტო კომპლექსების მოქმედების რადიუსის საზღვრებს გარეთ.

B-1B-ს ტიპის ბომბდამშენები იუგოსლავიელთა წინააღმდეგ იყენებდა 500 ფუნტიან (227 კგ-იან) არამართულ ბომბებს. ბომბდამშენ განყოფილებაში დამონტაჟებული მოდული იტევდა 84 ასეთ ბომბს. მიუხედავად არამართულობისა, ისინი საკმაო სიზუსტით გამოიყენებოდა, რასაც ხელს უწყობდა სინთეზური აპერტურის მქონე რადიულოკაციური კომპლექსის გამოყენება. B-1B-ს შეიარაღებაზე მყოფი იარაღის მეორე მნიშვნელოვანი კომპლექსი იყო საბომბე კასეტები: GBU-87, GBU-89 და GBU-97. ამ კასეტების მატარებლად ბომბდანშენი 1996-97 წლებში გადააწყეს. თითოეულ ბომბდამშენს შეუძლია ატაროს 30-მდე კასეტა, რომლებშიც დიდი ოდენობით ნაღმები და დამიზნების ინდივიდუალური სისტემის მქონე ჭურვებია მოთავსებული. მაგალითად: GBU-97-ში მოთავსებულია ინფრაწითელი ინდივიდუალური დამიზნების მქონე 10 ჭურვი, რომლებიც გამიზნულია ჯავშანსატანკო ტექნიკის გასანადგურებლად მისი ყველაზე ნაკლებდაცული მონაკვეთიდან, სახელდობრ, სახურავიდან. კასეტის გაშლის შემდეგ ჭურვი სპეციალური პარაშუტით ეშვება და თან ახდენს მიზნის ძიებას, რომლის აღმოჩენის შემდეგ ირთვება ჭურვის კორპუსში ჩართული ამაჩქარებელი, რის შემდეგაც ხდება პიკირება და სახმელეთო მიზნის განადგურება. პენტაგონის მტკიცებით, ერთ ასეთ კასეტას შეუძლია 6 ჰექტარზე განთავსებული სამიზნეების განადგურება.

ბომბდამშენებმა საკმაო ეფექტიანობა გამოავლინეს. თუმცა, ამერიკელები მიღწეულს არ სჯერდებიან და უკვე იწყებენ B-1B-ს მოდერნიზაციას, რომელიც 2008 წელს დასრულდება. მოდერნიზებულ ვარიანტს შეეძლება ატაროს ზეზუსტი იარაღი — მართული ავიაბომბები JDAM. ამჟამად მწყობრში უნდა იყოს ექვსი მოდერნიზებული ბომბდამშენი. პერსპექტივაში ბომბდამშენს შეეძლება ატაროს სხვა ზეზუსტი იარაღიც, სახელდობრ, WCBMD-ს და JDOW-ის პროგრამით პროექტირებადი ავიაბომბები, JAIIM-ის სისტემის „ჰაერი-ზედაპირის" ტიპის რაკეტები. გათვალისწინებულია რადიოელექტრონული ბრძოლის ახალი სისტემის დამონტაჟებაც, რომელიც გამიზნულია ჰაერ-საწინააღმდეგო სისტემის გარღვევისათვის, ოღონდ მხოლოდ ბირთვული დარტყმების განხორციელებისას. სულ აშშ-ის ავიაციის შეიარაღებაზეა ამ ტიპის 94 ბომბდამშენი, რომელთაგან 60 მუდმივ მზადყოფნაშია. თითოეულის ფასი 200 მლნ დოლარია.

ამერიკელები არ დასჯერდნენ კონფლიქტში მხოლოდ პირველი და

მეორე თაობის ბომბდამშენების გამოყენებას და 24 მარტს საქმეში ჩართეს უახლესი, მესამე თაობის ბომბდამშენი B-2 „სპირიტი". ამ დღეს ბომბდამშენმა პირველმა განახორციელა საბრძოლო გაფრენა მონტანას შტატის უაითმენის ავიაბაზიდან. ბომბდამშენთა წყვილმა 31 საათში მოახერხა მიეღწია იუგოსლავიამდე, დაებომბა იგი და უკან დაბრუნებულიყო. თითოეულმა ბომბდამშენმა იუგოსლავიელთა პოზიციებს თავს დაატეხა 16-16 მართული ავიაბომბი JDA-2000 (რიცხვი აღნიშნავს ბომბის მასას ფუნტებში. 2000 ფუნტი 907 კგ-ია). ამ ბომბების მოქმედების რადიუსი 7 საზღვაო მილია. დამიზნების სისტემა კოსმოსური, თანამგზავრულ სისტემა „ნავსტარის" მეშვეობით. დამიზნების სიზუსტე 2-3 მეტრი. ამჟამად აშშ-ის ავიაციის შემადგენლობაში სხვადასხვა მოდიფიკაციის ამ ტიპის 21 ბომბდამშენია, მათ შორის ისეთებიც, რომელთაც შეუძლიათ მანიმალურ სიმაღლეზე, რელიეფის გაყოლებით ფრენა. თითოეულის ფასია 2 მლრდ. დოლარამდე. ვარაუდობენ, რომ ისინი მწყობრში დარჩებიან სადღაც 2050 წლამდე.

§ 87
ბომბდამშენი ავიაციის გამოყენების შედეგების შეფასება

აშშ-ის ბომბდამშენი ავიაციის ტრიადამ კონფლიქტისას მაღალი ეფექტიანობა აჩვენა. ამასთანავე, სხვადასხვა სახის ბომბდამშენები ავსებდნენ ერთმანეთის ქმედებას. ფრთოსანი რაკეტების მატარებელი B-52 ამ რაკეტების იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო ზონის მოქმედების გარედან უშვებდნენ, უპირატესად მოწინააღმდეგის სტაციონარული ობიექტების, პირველ რიგში, მართვისა და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ობიექტების გასანადგურებლად. B-2 აღწევს ჰაერიდან შეტევებისაგან შედარებით ძლიერად დაცულ ზონებში და იქ პირველ რიგში მობილურ სამიზნეებს ანადგურებს. B-1 კი ახორციელებდა ხალიჩისებრ ბომბარდირებებს ანდა იყენებდა დიდი ოდენობით ზეზუსტ იარაღს. ამასთან სამივე ბომბდამშენს შეუძლია ფრენა ღამით და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. ერთი სიტყვით, ეს არის უაღრესად ეფექტიანი სტრატეგიული სისტემა, რომელიც თანაბრად შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური სამიზნეების წინააღმდეგ, რაც სრულ შესაბამისობასია

XXI საუკუნის სამხედრო მოქმედებათა განვითარების ძირითად ტენდენციებთან.

ტაქტიკურ სამიზნეთა წინააღმდეგ სტრატეგიული ბომბდამშენების გამოყენებისას მოიხმარებოდა მართვის მეტად ორიგინალური და ამავე დროს ქმედითი სისტემა. ამ სისტემის ამუშავებასთან დაკავშირებული სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების დაქვემდებარებაში მყოფი საჰაერო სტრატეგიული სარდლობის თვითმფრინავებს უნდა ემოქმედა ევროპული სარდლობის ერთ-ერთ ქვემდებარე სამხრეთევროპულ თეატრზე ტაქტიკურ სამიზნეთა წინააღმდეგ, თან გამოეყენებინა მართვისა და დამიზნების კოსმოსური საშუალებები. ამ სირთულეთა დასაძლევად წინასწარ განსაზღვრულ სამიზნეებზე ბომბდამშენებით გამოძახება ხორციელდებოდა ევროპის თეატრის შტაბების მოთხოვნებით, ხოლო საბოლოო დარტყმების ბრძანება მოდიოდა მე-6 ფლოტის შტაბის ხომალდ „ლასალი"-დან (ეს ხომალდი რამდენიმე ხნის უკან მეგობრული ეიზიტით იმყოფებოდა საქართველოში).

§ 88
კოსმოსური თანამგზავრების გამოყენება საბრძოლო მოქმედებებში

ნატოს საბრძოლო მოქმედება იუგოსლავიის წინააღმდეგ იმითაცაა საყურადღებო, რომ ეს იყო პირველი ომი კაცობრიობის ისტორიაში, რომლის საბრძოლო მოქმედებათა მსვლელობაზე გადამწყვეტი როლი ითამაშა კოსმოსური ბაზირების საშუალებებმა. ამასთან დაკავშირებით ცნობილი რუსი სამხედრო ექსპერტი სოკუტი წერდა: „ზეზუსტ იარაღს შორის ყველაზე მაღალი ეფექტიანობა ამ ომში, განსაკუთრებით ცუდი ამინდის პირობებში, აჩვენა ბომბებმა და რაკეტებმა, რომლებიც მიზანზე მიდიოდნენ კოსმოსურ რადიონავიგაციური სისტემა „ნავსტარ"-ის მეშვეობით. მათი გამოყენებისას დამიზნება აღარ არის აუცილებელი, მთავარია, იცოდე გასანადგურებელი ობიექტის ზუსტი კოორდინატები. ძირითად წარმატებებს აშშ სწორედ „ნავსტარ"-ის სისტემას უნდა უმადლოდეს. ნებისმიერი კომპონენტი შეიძლებოდა შეცვლილიყო ან ჩანაცვლებულიყო. ტაქტიკური ავიაციის ადგილი შეიძლებოდა

საავიამზიდო ავიაციას დაეკაუებინა, საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტები ახდენდა ბომბდამშენებიდან გაშვებული ანალოგიური რაკეტების დუბლირებას. სხვაგვარად შეიძლებოდა აწყობილიყო კავშირისა და მართვის სისტემა. მაგრამ ამ კონკრეტული კონფლიქტისას შეუცვლელი იყო მხოლოდ „ნავსტარი", რომელიც იძლეოდა საშუალებას საბრძოლო მოქმედებების წარმოებისა, ამინდისა და ჰაერსაწინაღო სისტემის ძალის მიუხედავად".

„ნავსტარ"-ი, რომელიც სხვადასხვა ორბიტებზე განლაგებული 24 თანამგზავრისაგან შედგება, ნატოს კოსმოსური დაჯგუფების უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა ერთადერთი კომპონენტი იყო. იუგოსლავიის წინააღმდეგ თავმოყრილი კოსმოსური დაჯგუფება 50-მდე თანამგზავრს ითვლიდა და აღემატებოდა იმ დაჯგუფებას, ერაყის წინააღმდეგ რომ იქნა გამოყენებული. ბევრი თანამგზავრი ჯერ კიდევ „ცივი ომის" პერიოდში შეიქმნა და ვარშავის ხელშეკრულების ჯარების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. კოსმოსურ დაჯგუფებას, გარდა ნაევიგაციისა (ნატოს საფრენი აპარატების ადგილმდებარეობის განსაზღვრა) და მართული იარაღის დამიზნებისა, ეკალებოდა სახეობითი დაზვერვა (სხვადასხვა სახის საშუალებებით ინფორმაციის მიღება იუგოსლავეელთა სამხედრო ობიექტებზე), საავიაციო დარტყმების ეფექტიანობის განსაზღვრა, რადიოტექნიკური დაზვერვა, ნატოს დაჯგუფებების უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის კავშირით, აგრეთვე მეტეოროლოგიური დაზვერვა.

კოსმოსურ აპარატებს შორის „ნავსტარ"-ის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახეობრივი დაზვერვის თანამგზავრებს: „ლაკროსს" (რადიოლოკაციური დაზვერვა) და KH-11-ს (ოპტოელ-ექტრონული დაზვერვა). ეს თანამგზავრები ფართოდ გამოიყენებოდა ოპერაციების მომზადებისას, დაგეგმისას და მოწინააღმდეგისათვის მიყენებული ზარალის შეფასებისას. „ლაკროს"-ის მეშვეობით ხდებოდა იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიღებული ობიექტების გამოსახულებების მიღება. სანტიმეტრული ტალღების დიაპაზონში მომუშავე რადიოლოკატორის მეშვეობით თანამგზავრს შეუძლია დააფიქსიროს 30-90 სანტიმეტრის ზომის და 15 ტონამდე მასის ობიექტები, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ნებისმიერი ამინდის პირობებში. თანამგზავრების ორბიტის სიმაღლეა 680 კმ, დახრილობა — 57 და 68 გრადუსი. იუგოსლავიის ტერიტორიას „ლაკროს"-ი დღე-ღამეში

ოთხჯერ უვლიდა, აქედან ორჯერ უშუალოდ კოსოვოს ტერიტორიას. „ლაკროსი“-დან მიღებული ინფორმაცია გამოიყენებოდა თვითმფრინავებისა და ფრთოსანი რაკეტებისათვის სამიზნეების განსასაზღვრად. ასეთ სამიზნეებს შორის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მობილურ საზენიტო კომპლექსებს და იუგოსლავიის ავტო და ჯავშანსატანკო ტექნიკის დაჯგუფებებს.

განსხვავებით „ლაკროსის“-გან, რომელიც სამიზნეების აღმოჩენისათვის რადიოლოკაციას იყენებს, KH-11 ოპტიკურ-ელექტრონული დაკვირვების სისტემებს იყენებს და ამიტომ უვარგისია ყველანაირ ამინდში მოქმედებისათვის. მას მხოლოდ შედარებით კარგ ამინდში შეუძლია მოქმედება, სამაგიეროდ, მისი მეშვეობით უფრო მცირე ობიექტების დაფიქსირება შეიძლება, ისეთების, რომელთა ზომა 10 სმ-ია. თანამგზავრი აღჭურვილია გრძელფოკუსიანი ოპტიკური სისტემით, ფართოფორმატიანი კარტოგრაფიული კამერით და ინფრაწითელი გადაღების აპარატურით, რომელიც სახმელეთო მიზნების გამოსახულების მიღებისა და მათი კოორდინატების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. თანამგზავრის ბორტიდან ინფორმაცია დროის რეალურ მასშტაბში გადაიცემა დედამიწაზე სანტიმეტრული დიაპაზონის ტალღებით. იუგოსლავიის წინააღმდეგ ოპერაციისას გამოიყენებოდა ამ ტიპის სამი თანამგზავრი, რომელთაგან თითოეული დღეში ორჯერ გადაფრენდა ხოლმე იუგოსლავიის თავზე. KH-11-ის ორბიტის პარამეტრებია 280-1000 კმ-ზე, დახრილობა – 97 გრადუსი.

ნატოს დამრტყმელი ძალების უკეთესი კოსმოსური უზრუნველყოფისათვის ალიანსის სამხედრო უწყებებმა მჭიდრო კონტრაქტები დაამყარეს ისეთ ამერიკულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: საჰაერო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული სამმართველო (NRO), სახეობრივი დაზვერვისა და კარტოგრაფიის ეროვნული სამართველო (NIMA), ცსს და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო. სამხედრო-საჰაერო ძალებმა, NRO-მ და NIMA-მ შექმნეს სწრაფი დამიზნების სისტემა ღთშ (Rapid Targeting System), რომლის დანიშნულება იყო მოწინააღმდეგის ზარალის შეფასება და მომავალი სამიზნეების განსაზღვრა. გასანადგურებელ ობიექტთა შესახებ ინფორმაციის მისაღები და გასაცემი ძირითადი აპარატურა გაშლილი იყო აკიანოს ბაზაზე. იგი დაკავშირებული იყო სხვადასხვა ქვესადგურებთან.

სწრაფად ცვალებადი მეტეოროლოგიურ-კლიმატოლოგიური პირობები,

აგრეთვე რაიონის მთიან-ტყიანი ხასიათი, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენდა ატმოსფერულ პროცესებზე, მოითხოვდა მეტეოთანამგზავრების ინტენსიურ გამოყენებას. ამ მიზნით გამოიყენებოდა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოთხი თანამგზავრი DIMP-ს ტიპისა, რომლებიც განთავსებულნი არიან 800 კმ-ის სიმაღლის ორბიტაზე. მათ მეტეომდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შეუძლიათ აღნუსხონ მინიმუმ 300 მ-ის ტერიტორიაზე. მაგრამ ეს თანამგზავრები საკმარისი არ აღმოჩნდა და მოქმედების უზრუნველყოფაში ჩაერთო აშშ-ის ოკეანებისა და ატმოსფეროს ეროვნული სამართველო ოთხი თანამგზავრით NOAA-10, 12, 14, 15, რომლებიც საბრძოლო მოქმედებათა რაიონის თავზე ყოველ ერთ საათში გადაიფრენდნენ და აფიქსირებდნენ ამინდში თვით მოკლევადიან ცვლილებებსაც კი. მეტეომდგომარეობის შესატყობად გამოიყენებოდა აგრეთვე გეოსტაციონარულ ორბიტაზე განთავსებული ორი ევროპული თანამგზავრი: მეტეოსატ-7 და მეტეოსატ-6 (ერთი უძრავად იმყოფებოდა გრინვიჩის მერიდიანზე, ხოლო — მეორე მე-9 გრძედზე).

საბრძოლო მოქმედებებში დიდი როლი ითამაშა კავშირის უზრუნველმყოფმა თანამგზავრებმა. მათ შორის პირველ რიგში გამოყოფენ NRO-ს რადიოტექნიკური დაზვერვის კოსმოსურ აპარატებს, აგრეთვე თანამგზავრ-რეტრანსლიატორებსა და კავშირის თანამგზავრებს. სახელდობრ, გამოიყენებოდა კავშირის თანამგზავრი „სქაინეთ"-I (ინგლისი), „ტელეკომ"-ი (საფრანგეთი), აგრეთვე ამერიკული თანამგზავრები: SCS-3 და რამდენიმე ულტრამოკლე კავშირის თანამგზავრი UFO. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც კოსმოსში 1998 წელს გაუშვეს, განთავსებულია გეოსტაციონარულ ორბიტაზე 23 გრძედზე და უზრუნველყოფს ნატოს შეიარაღებული ძალების კავშირს ევროპის მთელ ტერიტორიაზე.

იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს მოქმედებამ ნათლად აჩვენა, რომ კოსმოსს (და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინფორმაციულ სივრცეს) გადამწყვეტი როლი ექნება XXI საუკუნის კონფლიქტებში გამარჯვებისათვის. მოსალოდნელია, რომ სხვა სახელმწიფოებიც მიბაძავ[illegible] აშშ-ს და შექმნიან „ნავსტარ"-ის ანალოგიურ სისტემას. მეტიც, რუსეთი უკვე ფუნქციონირებს „ნავსტარ"-ის ანალოგიური სისტემა „გლონასი". მაგრამ მას რუსები ვერ იყენებენ ზეზუსტი იარაღის დამიზნებისათვის, ვინაიდან თანხებისა თუ ტექნოლოგიების დეფიციტის გამო ვერ

ამონტაჟებენ გლონას-სის სიგნალების მიმღებებს მართულ ბომბებსა თუ რაკეტებზე. მეტიც, ისინი ველარ ახერხებენ „გლონასის“ მწყობრიდან გამოსული თანამგზავრების ახლით ჩანაცვლებას, რის გამოც მათ „გლონასის“ ტიპის სულ 9 თანამგზავრი დარჩათ, მსოფლიოს მოცვისათვის კი საჭიროა 24. მოსალოდნელია, რომ ასეთი სისტემის შესაქმნელად გარკვეულ ნაბიჯებს ევროპელებიც გადადგამენ. ისინი უკვე მუშაობენ „ნავსტარის“ ანალოგიურ სისტემაზე „გალილეო“, თუმცა აშშ სხვადასხვა მიზეზების გამო დიდხანს დარჩება ამ სფეროში გამოკვეთილ ლიდერად.

§89
ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები იუგოსლავიასთან კონფლიქტისას

მართალია, იუგოსლავიაზე გამარჯვებისათვის დაფნის გვირგვინი, პირველ ყოვლისა, ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალებს ერგოთ, მაინც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა უმნიშვნელო როლი შეიტანა ნატოს გამარჯვებაში. მათი როლი იუგოსლავიელთა სტრატეგიული თუ ტაქტიკური ობიექტების განადგურებაში რიგ შემთხვევებში შეჯერებადია ავიაციის როლთან, ხოლო ისეთი სტრატეგიული ობიექტების განადგურება, როგორიცაა იუგოსლავიის თავდაცვის სამინისტრო, ნატოს საზღვაო ძალების მიერ განხორციელდა, რაც თვისებრივად ახალ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ომის ისტორიაში, თუმცა ფლოტის განხორციელებული ამ და სხვა წარმატებული აქციების შესახებ უფრო ქვემოთ ვილაპარაკებთ. თავდაპირველად კი შევეხოთ იმას, თუ როგორ მოხდა ნატოს გაერთიანებული ფლოტის ფორმირება და რა შემადგენლობას შეიცავდა იგი.

საბრძოლო მოქმედებათა რაიონში პირველად გაიშალა ფრანგული საავიამზიდო გაერთიანება (სგ), რომლის შემადგენლობაში შედიოდა მრავალდანიშნულებიანი ავიამზიდი „ფოში“ (მასზე დისლოცირებული იყო 14 მოიერიშე „სუპერ-ეტენდერი“, ოთხი მზვერავი თვითმფრინავი „ეტანდერ-IV“ და ორი შვეულმფრენი „დოფინი“) და საესკორტო ხომალდი[105] „მონკალმი“, ფრეგატი „სიურკუფი“ და რამოდენიმე დამხმარე

გემი. ამ ესკადრამ ტულონი დასტოვა 28 იანვარს. თებერვლის ბოლოს მას შეუერთდა ინგლისური ფრეგატი „სომერვილი". ყირიმის ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო ინგლისური ხომალდის გადაცემისა ფრანგების ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

ფრანგების პარალელურად კონფლიქტის ზონაში შევიდა აშშ-ის მე-6 ფლოტი პრაქტიკულად სრული შემადგენლობით. ფლოტის შემადგენლობაში შედიოდა მართვის ხომალდი „ლასალი" (რომელიც, როგორც ვთქვით, რამდენიმე ხნის უკან ვიზიტით იმყოფებოდა ფოთში), რაკეტული კრეისერი „ფილიპინ სი",რაკეტული საესკორტო ხომალ-დები „გონზალესი", „თორნ"-ი, „ნიკოლზონი"; მრავალდანიშნულებიანი ატომური წყალქვეშა ნავები (აწნ): „ნორფოლკი" და „მაიამი", აგრეთვე ამფიბიური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა უნივერსალური სადესანტო ხომალდი „ნასაუ" (ხუთი ვერტიკალური აფრენის თვითმფრინავ AV-8B-თი და ოცი შვეულმფრენით), სადესანტო დოკ-შვეულმფრენმზიდი „ნეშვილი" (რომელმაც ამას წინათ ფოთში ჩვენს ფლოტთან ერთად მანევრები ჩაატარა), სადესანტო ხომალდ-დოკი „პენსაკოლა" და საზღაო ქვეითთა საექსპედიციო ბატალიონით (2200 საზღვაო ქვეითი).

ბუნებრივია, რომ ფრანგულ და ამერიკულ გაერთიანებებს სწრაფად შეუერთდა ხმელთაშუა ზღვაზე ნატოს მუდმივი გაერთიანება შემდეგი შემადგენლობით: საესკორტო ხომალდები: „პეტერზონი" (აშშ), „თემისტოკლე" (საბერძნეთი) ფრეგატები: „რაინლანდ-პფალცი" (გერმანია), „ლიბეჩიო" (იტალია), „ბლოის ვან ტრესლოგი" (ნიდერლანდები), „ვიტორია" (ესპანეთი), „ქოჯაპენე" (თურქეთი), „ჰიროინ დიუქი" (დიდი ბრიტანეთი). ცოტა მოგვიანებით დაჯგუფების შემადგენლობაში შევიდნენ ინგლისური ატომური წყალქვეშა ნავი „სპლენდედი" (მოქმედებდა ამერიკულ წყალქვეშა ნავებთან ერთად) და ესპანური ფრეგატი „ნუმანსია". ნალმსაწინააღმდეგო ესკადრა დასაწყისისათვის ითვლიდა ორ ინგლისურ ტრალერს, რომელთაც მოგვიანებით შეუერთდნენ იტალიური, თურქული, ბერძნული, გერმანული და ბელგიური ტრალერები.

ოპერაციის საწყისმა ეტაპმა აჩვენა ამ დაჯგუფების უკმარისობა, რაც, სხვათა შორის, გამოიხატა ფრანგული საავიამზიდო ავიაციის არასათანადო ეფექტიანობასა და ამერიკელთა ხომალდებზე განლაგებული საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტების რაოდენობის

სიმცირეში (სულ 120 რაკეტამდე). აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა დაჯგუფების გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, ამერიკული სგ-თი.

ამერიკულმა დამრტყმელმა სგ-მ ნორფოლკი დატოვა 26 მარტს. მის შემადგენლობაში შეეიდა დამრტყმელი ავიამზიდი „თეოდორ რუზველტი" (ბაზირებული იყო 28 გამანადგურებელი F-14, 48 გამანადგურებელ-მოიერიშე F/A -18, რვა ნავსაწინაღო თვითმფრინავი S-3, ხუთი რადიო-ელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავი EA-6, ოთხი თვითმფრინავი „ჰოუქაი" („აეაქსის" საზღვაო ანალ.ი) და შვიდი შვეულმფრენი), რაკეტული კრეისერები „ლეიტე გალფი" და „ველა გალფი", საესკორტო ხომალდები: „როსი", „პეტერსონი", ფრეგატი: „ჰელიბერტონი", აგრეთვე ატომური წყალქვეშა ნავი (აწნ) „ალბუკერკი" და რამოდენიმე დამხმარე გემი. მანამდე ეს გაერთიანება ინდოეთის ოკეანისაკენ მიემართებოდა, რათა შეეცვალა იქ მყოფი დაჯგუფება ავიამზიდ „ენტერპრაიზის" ფლაგმანობით, მაგრამ კოსოვოს ამბებთან დაკავშირებით ის გადაერთო ხმელთაშუა ზღვაზე. ამავე დროს ხმელთაშუა ზღვაზე მუდმივ დისლოცირებული ზემოაღწერილი სადესანტო დაჯგუფების შესაცვლელად შეიქმნა ახალი, პირველის ანალოგიური შემადგენლობით. ორივე დაჯგუფება ადრიატიკაში შეეიდა 5 აპრილს. ხოლო მოგვიანებით „ენტერპრაიზ"-ის ესკადრა შეცვალა სგ-მ ავიამზიდ „კიტი ჰოუქ"-ის მეთაურობით.

ამას გარდა, საზღვაო ავიაციის ნაწილი განლაგდა სამხედრო-საჰაერო ძალების აეროდრომებზე, სახელდობრ, 36 F-18 სხვადასხვა დროს დისლოცირებულნი იყო ტაზარზე (უნგრეთი) და ავიანოზე (იტალია). ავიანოზე აგრეთვე ბაზირებული იყო 22 EA-6. 14 ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავი „ორიონი" დისლოცირებული იყო როტას ბაზაზე (ესპანეთი).

მოგვიანებით დაჯგუფება გაძლიერდა ინგლისური სგ-ის ხარჯზე, რომელშიც შედიოდა მსუბუქი ავიამზიდი „ინვინსიბლი" (შვიდი „ჰარიერით" და შვიდი შვეულმფრენით), დამხმარე ავიამატარებელ ხომალდ „არგუსით" და საესკორტო ხომალდ „ნიუკასლით".

აპრილის ბოლოს ფრანგების ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაცემული ფრეგატი „სომერსეტი" შეიცვალა იგივე კლასის ხომალდ „გრაფტონით", ხოლო ფრანგული საესკორტო ხომალდი „მონკალმი", იგივე კლასის ხომალდ „კასარით". მაისის დასაწყისში ხმელთაშუა

ზღვაში შევიდა გერმანული საესკორტო ხომალდი „ლუტენსი“. მაისშივე ნატოს ესკადრა გაძლიერდა აწნ-ით: „პიტსბურგი“, „ბოისი“ (აშშ) და „ამეთისტი“ (საფრანგეთი), აგრეთვე ჰოლანდიური წყალქვეშა ნავი „დოლფინი“, რომელიც საბრძოლო მოქმედებების ზონაში ჩავიდა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ იქ მოქმედებისათვის გამიზნული დანიური წყალქვეშა ნავი უვარგისი იყო სუბტროპიკების პირობებში. „დოლფინმა“ შეცვალა ინგლისური აწნ „სპლენდიდი“. მაისის დასაწყისში ინგლისელებმა ბრძოლების ზონაში გაგზავნეს კიდევ ექვსი ხომალდი, ძირითადად სადესანტოები (მათ შორის უახლესი შვეულმფრენმზიდი „ოუშნი“).

გარდა დასახელებულისა, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი ხომალდები: იტალიიდან — მსუბუქი ავიამზიდი „ჯუზეპე გარიბალდი“, კრეისერი „ვიტორიო ვენეტო“, საესკორტო ხომალდები: „ლუიჯი დურან დე პენე“, „არდიტო“, „აუდაჩე“, ფრეგატები: „მაესტრალე“, „სიროკკო“, „ზეფირო“, „ლუპო“, „არტილიერე“, „გრანატიერე“. საფრანგეთიდან საესკორტო ხომალდები; „ტურვილი“, „სიუფრენი“ და „ჯორჯ ლეგი“, აგრეთვე ორი სადესანტო ხომალდი. დანარჩენებიდან უნდა აღვნიშნოთ: საესკორტო ხომალდი „კიმონი“ (საბერძნეთი) და ფრეგატები: „მონროზი“ (ინგლისი), „ნავარა“ (ესპანეთი) „მუავეთი“ და „აქდენიზი“ (თურქეთი), აგრეთვე რამოდენიმე დამხმარე გემი. როგორც ვხედავთ, რუსული მედიის მტკიცებათა მიუხედავად ნატოს სახელმწიფოებს შორის აზრთა არავითარი სხვადასხვაობა არ ყოფილა ერთიან საზღვაო ძალებში მონაწილეობის თაობაზე.

§ 90
საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტები იუგოსლავიის კონფლიქტისას

იუგოსლავიის ომი იმ ზეთანამედრვე კონფლიქტთა რიცხვს განეკუთვნება, რომელშიც ფლოტის მთავარ დამრტყმელ ძალად საზღვაო ავიაციისათან ერთად საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტები გამოდიოდა. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: უპირველეს ყოვლისა, ამ ტიპის იარაღის ეფექტურობის არნახულმა ზრდამ, რაც

ტექნოლოგიური რევოლუციის ახალი ეტაპის შედეგია, შემდეგ – კონფლიქტის სპეციფიკამ, სადაც სამხედრო-საჰაერო ძალების მძლავრი დაჯგუფების არსებობის პირობებში, რომელიც თეატრის უშუალო სიახლოვეს არსებულ სამხედრო-საჰაერო ბაზებზე იყო განლაგებული, ცხადია, საზღვაო ავიაციის როლი არ იქნებოდა ისეთი დიდი, როგორც საოკეანო აკვატორიუმებში მიმდინარე მოქმედებებისას. საზღვაო ავიაციის როლის შემცირებამ კი თავისთავად გამოიწვია საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტების (სბფრ) როლის გაზრდა. და ბოლოს, ამ რაკეტების როლის გაზრდა განაპირობა ავიაციის (როგორც სამხედრო-საჰაერო, ისე სამხედრო-საზღვაო ძალების) მოქმედებისათვის არახელსაყრელმა პირობებმა, განსაკუთრებით იუგოსლავიელთა მართვის სისტემების გასანადგურებლად, აგრეთვე ფრანგული საზღვაო ავიაციის მოქმედების არასაკმარისმა ეფექტიანობამ. ყოველივე ამან კი სბფრ-ები შეუცვლელ იარაღად აქცია.

ოპერაცია „ელაიდ ფორსის" პირველსავე ეტაპზე, რომლის დროსაც განხორციელდა დარტყმები იუგოსლავიელთა 40-მდე ობიექტზე, გამოყენებული იქნა 70-მდე ფრთოსანი რაკეტა, მათ შორის საზღვაო ბაზირებისაც. ამ ეტაპისათვის ნატოს გაერთიანებული ფლოტის შეიარაღებაზე იყო 120 ფრთოსანი რაკეტა (ინგლისური აწნ-ის რაკეტების ჩათვლით) და ძნელი იყო ამ მარაგის სწრაფად გაზრდა მომარაგების საწყობებიდან. ამერიკელთა მხრიდან, გარდა აწნ-სა, რაკეტების მატარებლად გამოდიოდნენ კრეისერები და საესკორტო ხომალდები. 15, 27 და 29 მარტს აწნ-მა „ნორფოლკმა", „მაიამიმ" და „სფლენდიდმა", აგრეთვე კრეისერმა „ფილიპინ სიმ" და საესკორტო ხომალდმა „გონზალესმა" იუგოსლავიას დარტყეს სბფრ-ით. დარტყმების შედეგად იუგოსლავიელთა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემაში გაკეთდა კორიდორები, რომლებიც გამოიყენეს სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა: რვა B-52-მა, რომელნიც აფრინდნენ 7 საათით ადრე სბფრ-ით განხორციელებულ დარტყმებამდე (ბრიტანეთში აშშ-ს ბაზა ფეირფორდიდან), და ორმა B-2-მა, რომლებიც უაითმენის ბაზიდან (აშშ) გაფრინდნენ იუგოსლავიისაკენ, აგრეთვე გამანადგურებლებმა და შემტევებმა. ნატომ მოახერხა ამ მოქმედებების დროში ძალიან კარგად სინქრონიზება.

პირველი დარტყმების შედეგების ანალიზმა ნათელყო, რომ ნატომ ვერ მოახერხა მთლიანად გამოეყენებინა თავისი დაჯგუფების

პოტენციალი. ცუდი ხილვადობა ხელს უშლიდა ლაზერული დამიზნების ავიაბომბების გამოყენებას. სამაგიეროდ სბურ-მა მაღალი ეფექტიანობა აჩვენა საჰაერო დაცვის და მართვის სისტემების მწყობრიდან გამოყვენისას. მათ, სხვათა შორის, გაანადგურეს რლს პრიშტინას აეროდრომის ზონაში.

აპრილის დასაწყისში, კონფლიქტის მოქმედების ზონაში ახალი სგ-ის ჩასვლის შემდეგ, რომლის შემადგენლობაში მყოფ ხომალდებს და აწნ-ს შეიარაღებაზე ჰქონდათ 160-მდე სბურ, ამ იარაღის გამოყენების ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 8 აპრილიდან ხომალდებმა დაიწყეს ბელგრადზე დარტყმები სბურ-ით. ამ დარტყმებისას განადგურდა იუგოსლავიის თავდაცვის სამინისტროს შენობა, რაც უპრეცენდენტო ამბავია სამხედრო ისტორიაში. პირველად მოხდა ზღვიდან განადგურება თავდაცვითი უწყების რეზიდენციისა, რომელიც ეროვნული ტერიტორიის სიღმეში იმყოფებოდა. საბრძოლო მოქმედებათა პირველი სამი კვირის განმავლობაში სულ გამოყენებულ იქნა 100 ბოლო მოდიფიკაციის („ბლოქ-3") რაკეტა TLAM.

საყურადღებოა, რომ ნატოს სარდლობას გაუჩნდა რიგი პრობლემები სბურ-ის გამოყენებისათვის აუცილებელი იუგოსლავიის ციფრული რუქების შედგენისას. ზოგიერთ შემთხვევაში იძულებულნი გახდნენ, დასჯერებოდნენ მხოლოდ თანამგზავრულ სისტემა ნავსტარ-ის მეშვეობით განხორციელებულ დამიზნებას ისე, რომ არ გამოეყენებინათ ფრენის კორექცია ციფრული რუქების მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებდა დარტყმების სიზუსტეს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სბურ ზღვის თავზე ფრენისას მხოლოდ დამიზნების ინერციალურ სისტემებს იყენებს, ხოლო სახმელეთო ზოლის გადაკვეთის შემდეგ ირთვება რელიეფის მიყოლის სისტემა „ტერქომი", რომელიც რაკეტის მეხსიერებაში ჩადებულ რელიეფის ციფრულ რუქას ადარებს რეალურ რელიეფს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს მარშრუტის კორექტირებას. ამგვარი კორექტირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისტემა „დიჯისმექ-2"-ს, რომელიც უკვე რაკეტის ფინიშის სწორზე გასვლისას ახსენს მისი კურსის საბოლოო კორექტირებას, რის შედეგადაც აცილების შესაძლო მანძილი 150-დან 20-25 მეტრამდე მცირდება. საწყის ეტაპზე ციფრული რუქების უკმარისობის გამო ნატო ყოველთვის ვერ ახერხებდა ამ სისტემის გამოყენებას.

სულ კონფლიქტის განმავლობაში იუგოსლავიის წინააღმდეგ

გამოყენებულ იქნა 450 ფრთოსანი რაკეტა. ყველა მათგანი ბლოქ-3-ის მოდიფიკაციისა. ეს შეადგენდა აშშ-ის ფლოტის შეიარაღებაზე მყოფი ფრთოსანი რაკეტების მთელი ოდენობის 20%-ს. უკვე კონფლიქტის მსვლელობისას აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 624 სბფრ-ის მოდერნიზების შესახებ ბლოქ-3-ის ვარიანტად (მათგან 324 ბლოქ-2, 100 ბლოქ-1, და 200 „ტომეჰოკი" ხომალდაწინააღმდეგო ვარიანტში). 2003 წლამდე ამერიკელები აპირებენ შეიარაღებაზე მიიღონ სბფრ-ის გაუმჯობესებული მოდიფიკაციის 1353 რაკეტა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სბფრ გამოიყენებოდა არა მხოლოდ სტაციონარული, არამედ მობილური ობიექტების გასანადგურებლადაც. ამისათვის ხდებოდა მისი აღჭურვა კასეტა GBU-87-ით, რომელიც ჩამონტაჟებულია 166 მცირე ჭურვი BLU-95 . მათი მეშვეობით შეიძლება რამოდენიმე მიზნის განადგურება.

მთლიანობაში სბფრ-მა აჩვენა დიდი სიზუსტე და ეფექტიანობა და დაადასტურა ის პრიორიტეტული როლი, რომელიც მათ მომავალში მიენიჭება იმის პარალელურად, რაც საზღვაო ბრძოლა თანდათანობით ტრანსფორმირდება ზღვიდან ხმელეთის სიღრმეში სამხედრო მოქმედებების წარმოებად (ამის მაგალითია სბფრ-ით იუგოსლავიის თავდაცვის სამინისტროს განადგურება). აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელები კიდევ ძალიან დიდხანს დარჩებიან მონოპოლისტებად ამ სფეროში, ვინაიდან ინგლისელებმაც კი, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი სბფრ-ი (ისევ ამერიკელებისგან ნაყიდი) 10-მდე რაკეტის წარმატებით გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ შეძლეს, რაც ამერიკელთა ციფრული რუქები და დამიზნების თანამგზავრები გამოიყენეს (თავად ინგლისელებს არც ერთი ჰქონდათ და არც მეორე). ამჟამად ამერიკელები აწარმოებენ მოლაპარაკებას ესპანელებთან მათთვის ამ ტიპის რაკეტების მიყიდვის შესახებ.

§ 91

ნატოს საზღვაო ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტისას

იუგოსლავიის ომისას ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაცია წარმოდგენილი იყო დამრტყმელი თვითმფრინავებით: F/A-18, „სი ჰარიერით" და „სუპერ-ეტანდერით", საავიამზიდო ბაზირების მძიმე

გამანადგურებლებით F-14, ნავსაწინაღო თვითმფრინავებით: „ვიკინგი“ და „ალიზე“, რადიო-ელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავებით „პროულერი“, მართვისა და რადიოლოკაციური კონტროლის თვითმრინავებით „ჰოუქაი“ და სხვადასხვა ტიპის შეეულმფრენებით. ცხადია, ამ დაჯგუფებას საბრძოლო მოქმედებათა ბედის გადაწყვეტაში არ შეუტანია ისეთივე როლი, როგორიც სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეიტანა, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს მათ წვლილს. კონფლიქტში გამარჯვებაში მათ არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშეს.

დამრტყმელი ოპერაციები ნებისმიერი სამხედრო-საზღაო ავიაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მისიას შეადგენს. იუგოსლავიის კონფლიქტის სპეციფიკას ამ თვალსაზრისიღ, ერთი მხრივ, განაპირობებდა ის, რომ ნატოს სამხედრო-საზღავო ავიაციას არ უწევდა დამრტყმელი ოპერაციების განხორციელება იუგოსლავიის ფლოტის წინააღმდეგ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი განერიდა საბრძოლო მოქმედებებს, იუგოსლავიელთა ავიაცია კი ნატოს ფლოტის წინააღმდეგ საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული; ხოლო მეორე მხრივ ის, რომ საბრძოლო მოქმედებისას დამრტყმელი ოპერაციების უდიდესი ნაწილი სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებზე მოდიოდა. ამის მიუხედავად, სამხედრო-საზღვაო ავიაციის დამრტყმელ ოპერაციებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავახასიათებთ, როგორც მხოლოდ დამხმარეს ან უმნიშვნელოს.

კონფლიქტის საწყის ეტაპზე დამრტყმელი ოპერაციების ძირითადი ამოცანა იყო იუგოსლავიელთა დაცვის სისტემის მოშლა ჰაერიდან. აქ ნატოს სამხედრო-საზღვაო ავიაცია, კერძოდ ამერიკული თვითმფრინავები, საკმაოდ აქტიური იყო. F-18-ებისა და EA-6 -ების მიერ გაშვებული იქნა 147 ანტირადიოლოკაციური რაკეტა „ჰარმი“, რაც მოკავშირეთა ავიაციის მიერ გამოყენებული ამ ტიპის იარაღის 47%-ს შეადგენდა. ამან იუგოსლავიელთა საჰაერო დაცვის სისტემის მოშლაში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა.

მეორე ტიპის დამრტყმელი ოპერაციები,რომელსაც ნატოს საზღვაო ავიაცია ახორციელებდა, დაიწყო კონფლიქტის უფრო გვიანდელ ეტაპზე და გამოიხატებოდა უახლესი მართული საბომბე კასეტების AGM-154-ის გამოყენებაში სერბიის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების წინააღმდეგ. მისი მასაა 500 კგ, პლანირების სიშორე – 80 კმ. ის აღჭურვილია დამიზნების ინერციალური სისტემით, რომელიც

„ნავსტარის“ მეშვეობით კორექტირდება. კასეტების დასატენად გამოიყენება BLU-97 ტიპის მინიატურული ჭურვები (145 ცალი), რომელთაც კომბინირებული ეფექტი აქვს ან BLU -108 (10 ცალი), რომლებშიც, თავის მხრივ, ჩამონტაჟებულია ოთხი ტანკსაწინააღმდეგო ელემენტი. ამ იარაღის გამოყენება, ცხადია, დაიწყო მას შემდეგ, რაც ნატოს ავიაცია გადაერთო 44 პარალელის სამხრეთით დისლოცირებული იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების წინაარმდეგ დამრტყმელ ოპერაციებზე.

ნატოს სამხედრო-საზღვაო ავიაციის მიერ განახორციელებული მესამე ტიპის დამრტმელი ოპერაციები უკავშირდებოდა 907 კგ-იანი მართული (ლაზერული დამიზნების) ავიაბომბების გამოყენებას (მათ შორის GBU -24-ის ტიპის კასეტებით აღჭურვილისა). ისინი, გარდა ლაზერული დამიზნების სისტემებისა, აღჭურვილი იყვნენ GPS-ის სისტემებით, რაც მათ მართვის სისტემების გამოყენების საშუალებას აძლევდა მაშინ, როდესაც ლაზერული სხივი დაბალი ღრუბლიანობის გამო არ აირეკლებოდა. ამ დროს მექანიკურად ხდებოდა GPS-ზე გადართვა.

დამრტყმელ ოპერაციებში მონაწილეობდნენ აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ავიაციის შემტევები AV-8B, რომლებიც (მოყოლებული 12 აპრილიდან) იუგოსლავიელებს პერიოდულად ბომბავდნენ 500-ფუნტიანი ბომბებით. ისინი დისლოცირებული იყვნენ არა ავიამზიდებზე, არამედ უნივერსალურ სადესანტო ხომალდებზე (ჯერ „ნასაუზე“, ხოლო შემდეგ „ქირსარჯზე“).

გარდა დამრტყმელი ოპერაციებისა, ნატოს სამხედრო-საზღვაო ავიაციის თვითმფრინავები მონაწილეობდა საჰაერო დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებშიც. გამომდინარე იქიდან, რომ იუგოსლავიელთა ავიაცია არ უტევდა ნატოს ხომალდებს, ჰაერიდან დაცვის ოპერაციები ძირითადად გამოიხატებოდა საკუთარი დამრტყმელი თვითმფრინავების გაცილებაში (რაც, ცხადია, არ გამორიცხავდა საკუთარი საზღვაო შენაერთების ჰაერიდან დაცვის მიზნით პატრულირებას). ამასთან ფლოტის გამანადგურებლები (ბომბდამშენების ჩათვლით) აცილებდა სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამერიკული F-14-ები, რომლებიც მონაწილეობდნენ საჰაერო ოპერაციების 50%-ის დაცვაში. მათ გარდა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდა ინგლისური „სი ჰარიერები“, რომლებიც დისლოცირებული იყო ავიამზიდ „ინვინსიბლზე“

დემასკირებადი ნიშნების მეშვეობით განადგურდა მიგ-21-ების 35% და მობილური საზენიტო რაკეტული კომპლექსის „კვადრატის“ 10%. იუგოსლავთა საზენიტო არტილერიამ ვერავითარი დახმარება ვერ გაუწია თავის რაკეტულ კომპლექსებს. მასზე პირველ დღეებში დარტყმებიც კი არ განუხორციელებიათ. იუგოსლავიელთა მხოლოდ ის თვითმფრინავები გადარჩა, გამაგრებული ანგარებიდან რომ არც გამოუყვანიათ და ის საზენიტო კომპლექსებიც, რომელთა რადიოლოკატორები არც ჩაურთავთ.

დიდი ყურადღება ენიჭებოდა რადიოელექტრონულ ბრძოლას. პირველად სამხედრო ისტორიაში რადიოელექტრონული ბრძოლის (რებ) საშუალებებით ჩაიხშო მოწინააღმდეგის მთელი საინფორმაციო სისტემა, ტელე და რადიოსადგურები, მობილური ტელეფონები, რადიოლოკატორები, რადიოსადგურები, კომპუტერული ცენტრები. გრაფიტისა და მეტალის მტვრის ელეტროსადგურებზე გაფანტვის შედეგად მწყობრიდან გამოდიოდა ელექტროსადგურების ტრანსფორმატორები და სარელეო ხაზები. ამერიკელებს მწყობრიდან გამოჰყავდათ ელექტრონული ფოსტა და ინტერნეტ-გამოცემები. თან ისინი სერბებს წინასწარ აფრთხილებდნენ შესაძლო დარტყმებზე. მაგალითად: საკმაო ხნით ადრე გააფრთხილეს, რომ ტელეცენტრს დაბომბავდნენ, მაგრამ მილოშევიჩმა ცენტრი არ დაცალა, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაიღუპა და ამდენივე დაიჭრა. ერთი სიტყვით, იუგოსლავიის პროპაგანდისტულ-საინფორმაციო სისტემა სწრაფად იქნა მთლიანად მწყობრიდან გამოყვანილი.

ამასთან ამ ომში ამერიკამ პირველად გამოიყენა მართვის გლობალური სისტემა პირდაპირ პენტაგონიდან.

პირველი ეტაპის პირველი ფაზა: გრძელდებოდა 24 მარტიდან 1 აპრილამდე. მისი ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა ჰაერში ბატონობის მოპოვებაში. ეს გულისხმობდა იუგოსლავიის ავიაციის განადგურებას მიწაზე და ჰაერში, მისი ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მოშლასა და საჰაერო სივრცეზე კონტროლის დამყარებას. ამგვარი ამოცანა იდგა ერაყის წინააღმდეგ საჰაერო შეტევითი ოპერაციების განმახორციელებელი დაჯგუფების წინაშეც, ოღონდ ახლა პირველი ეტაპისას უპირატესობა მიენიჭა არა მასირებულ, არამედ ჯგუფურ და ცალკეული თვითმფრინავებით განხორციელებულ დარტყმებს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ერაყისაგან განსხვავებით, იუგოსლავიას არ ჰყავდა დიდი

მასშტაბის სამხედრო დაჯგუფება და იმგვარი ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტები, რომლებიც დაემუქრებოდა ნატოს დამრტყმელ დაჯგუფებას ან მის ზურგს. ამიტომ იუგოსლავიის წინააღმდეგ საჰაერო ომის პირველ ფაზაზე ნატო დღეში სულ 150-200 გაფრენას ახორციელებდა, რაც 10-15-ჯერ ნაკლებია სპარსეთის ყურის პირველი ომის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. ამან ნატოს საშუალება მისცა პირველი ეტაპი განეხორციელებინა ბევრად უფრო ნაკლები საფრენი აპარატის გამოყენებით (400 თვითმფრინავი 2300-ის წინააღმდეგ). ყოველივე ამის შედეგად ოპერაცია მნიშვნელოვნად გაიაფდა.



ნატოს ავიაციის დისლოკაცია

ნატო, ჩანს, პრინციპში იმედოვნებდა, რომ იუგოსლავია კაპიტულაციას პირველი ეტაპის დასრულებისთანავე გამოაცხადებდა, თუმცა ცსს პრეზიდენტ კლინტონს აფრთხილებდა, რომ მილოშევიჩი ამაზე მხოლოდ მას შემდეგ წავიდოდა, რაც მსხვერპლი 150-200 ათასს მიაღწევდა. პირველი ეტაპის სპეციფიკურ მომენტს შეადგენდა იუგოსლავიის ჰაერიდან დაცვის სისტემის ტაქტიკა, რომელმაც პრაქტიკულად უარი თქვა რამდენადმე' მასშტაბური საჰაერო თავდაცვითი ოპერაციის განხორციელებაზე. საჰაერო დაცვის ძალებმა აირჩია

მანევრირებისა და ჩასაფრებებიდან სროლის ტაქტიკა. მოხდა ავიაციის დაშორიშორება. ყოველივე ამან ნატოს არ მისცა საშუალება, სწრაფად გაენადგურებინა იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. სამაგიეროდ, იუგოსლაველთა ტაქტიკის პირობებში ნატოს დანაკარგები შეუდარებლად უფრო მცირე იყო, ვიდრე სპარსეთის ყურის ომში მრავალეროვანი ძალების დანაკარგები. ამ ტაქტიკამ, მართალია, მცირედ გაჯანჯლა ნატოს მიერ პირველი ეტაპისათვის დასმული ამოცანების გადაწყვეტა, მაგრამ საბოლოო ჯამში ხელი ვერ შეუშალა მას.

პირველი ეტაპის მეორე ფაზა: საჰაერო შეტევითი ოპერაციის მეორე ფაზა დაიწყო 1 აპრილს და დასრულდა 10 მაისისათვის. მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობდა საბრძოლო მოქმედებათა თეატრის იზოლირებასა და სერბთა სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის განადგურებაში. დარტყმები მიმართული იყო ყველა სახის კომუნიკაციების მოშლასა და მრეწველობის (პირველ რიგში, სამხედრო და ნავთობგადამამუშავებლის) განადგურებაზე. პირველთა შორის დარტყმების ობიექტები გახდა: ხიდები, სამინისტროების შენობები, აეროდრომები, სარკინიგზო კვანძები, ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები, კავშირის ობიექტები, ტელე და რადიო სადგურები და რეტრანსლატორები. ამან, ერთი მხრივ, მოშალა ჯარებისა და მთლიანად სახელმწიფოს მართვის სისტემა, ხოლო, მეორე მხრივ, ნატოს საშუალება მისცა გარკვეული წარმატება მიეღწია საინფორმაციო ომში. კომუნიკაციების მოშლის პარალელურად მიმდინარეობდა დარტყმები ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაზე. ამის შედეგად მთლიანად განადგურდა ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეები, აგრეთვე ნავთობ და ბენზინსაცავები.

იმ მომენტიდან, როდესაც ნატომ დაიწყო იუგოსლავიის ეკონომიკის განადგურება, მისი საჰაერო დაცვის სისტემის არჩეულ ტაქტიკას აზრი დაეკარგა. იუგოსლავია რთული დილემის წინაშე დადგა: ან თავისი საჰაერო დაცვის სისტემის აქტივიზირება უნდა მოეხდინა და სრული განადგურების საფრთხის წინაშე დაეყენებინა იგი, ანდა კვლავ „გადაემალა" საჰაერო დაცვა და არ მიეღო მხედველობაში კატასტროფული შედეგები ეკონომიკისათვის. თუმცა, სწრაფად გაირკვა, რომ იუგოსლავიას ასარჩევი არც არაფერი ჰქონდა, ვინაიდან ნატომ ერთნაირი მეთოდურობით გაანადგურა როგორც საჰაერო დაცვის, ისე ეკონომიკის დარჩენილი ობიექტები.

მეორე ფაზის შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა სერბთა უნარი ომის წარმოებისა, ხოლო კოსოვოში არსებული დაჯგუფება პრაქტიკულად სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. ამის შემდეგ ნატოს მიეცა საშუალება გადასულიყო საჰაერო ომის შემდეგ ეტაპზე: კოსოვოში სერბთა დაჯგუფების წინააღმდეგ უშუალო მოქმედებაზე.



უახლესი სტრატეგიული ბომბდამშენი B2 პირველად მაღალნეთის ცაზე გამოიცადა

ოპერაციის მეორე ეტაპი (10 მაისი-10 ივნისი): მას შემდეგ, რაც მილოშევიჩი ისევ არ დათანხმდა ნატოს მოთხოვნას, ალიანსმა საბრძოლო მოქმედებათა ახალი ეტაპი წამოიწყო, რომელიც უფრო უახლოვდებოდა კლასიკურ საჰაერო კამპანიას, ვიდრე პირველი. ახალ ეტაპზე მთავარი დამრტყმელი ძალის ფუნქცია უკვე პილოტირებულმა ავიაციამ აიღო. ეპიზოდურად ის პირველ ეტაპშიც მონაწილეობდა, მაგრამ ამ ეტაპზე ძირითადი ფუნქცია მას დაეკისრა. ამ ეტაპზე ამერიკელები ძირითადად იყენებდნენ მართულ ბომბებს: JDAM, JIOW, WCMD, რომელიც სამიზნესაკენ GPS-ის სიგნალის მეშვეობით მიიმართებოდა. ზოგჯერ მათ მატარებლად სტრატეგიულ ბომბდამშენ B-2-საც იყენებდნენ, რომელიც ამერიკიდან ფრინდებოდა, დაჯდომის გარეშე აღწევდა იუგოსლავიას, ანადგურებდა სამიზნეებს და ასევე დაჯდომის გარეშე ბრუნდებოდა ამერიკაში.

პირველი ეტაპის მეორე ფაზის მიმდინარეობის პარარელურად, დაახლოებით აპრილის მესამე დეკადიდან, იწყება ოპერაციის შემდეგი ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავდა კოსოვოსა და მეტოხიაში სერბთა ძალების, უპირველეს ყოვლისა, მძიმე ტექნიკის განადგურებას. ამასთაან საყურადღებოა ის, რომ მეორე ეტაპის დაწყება სრულიადაც არ ნიშნავდა პირველის მთლიანად დასრულებას: კოსოვოზე სერბთა ძალებზე დარტყმების პარალელურად მიდიოდა დარჩენილი კომუნიკაციური და სამრეწველო ობიექტების განადგურება. აპრილის ბოლოდან დაახლოებით 20 მაისამდე პირველი ეტაპით გათვალისწინებულ სამიზნეთა გასანადგურებლად დაახლოებით ტოლი ოდენობის ავიაცია იყო გამოყოფილი (დაახლოებით 50%-50%-ზე), მაგრამ მოგვიანებით, 20 მაისიდან, კოსოვოში სერბთა დაჯგუფების განადგურების ამოცანამ წინა პლანზე გადაიწია და შესაბამისად გაიზარდა ამ მიზნისათვის გამოყოფილი ავიაციის წილი. ამ ეტაპისათვის ნატოს ავიაციის მოქმედებას ძირითადად კოსოვოს მთიან-ტყიანი რელიეფი ართულებდა, რომლის პირობებშიც გართულებული იყო სერბთა სამიზნეების წინააღმდეგ ლაზერული და სატელევიზიო დამიზნების მქონე სისტემების გამოყენება. როგორც ჩანს, არასაკმარისად ეფექტიანად მუშაობდა დაზვერვაც. მფრინავ რადარებს E-8C „ჯოინთ სტარს" უჭირდა მთიან-ტყიანი რელიეფის პირობებში ჯავშანსატანკო ტექნიკის იდენტიფიცირება. ჭირდა დარტყმების შედეგების შეფასება. თუმცა, ნატომ მოახერხა ვითარების გამოსწორება. ეს რამოდენიმე მიმართულებით მოხდა: ჯერ ერთი, ნატომ დაიწყო სტრატეგიული ავიაციის გამოყენება ტაქტიკური სამიზნეების გასანადგურებლად. მოქმედებაში ჩაერთო უპილოტო სადაზვერვო აპარატები: „პრედატორი" (ოპერატიულ-ტაქტიკური დაზვერვა) და „პანტერი" (ტაქტიკური დაზვერვა); ლაზერული და სატელევიზიო დამიზნების სისტემების პარალელურად დაიწყო თანამგზავრული დამიზნების სისტემის მქონე JDAM-ის ტიპის მართული ავიაბომბების გამოყენება. ამ და სხვა ღონისძიებათა შედეგად ნატომ მნიშნელოვან წარმატებას მიაღწია კოსოვოში განლაგებული სერბთა მძიმე ტექნიკის განადგურების საქმეში. განადგურდა 454 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი (კოსოვოში მყოფი არტილერიის 50%), 222 ერთეული ჯავშანტექნიკა (35%) და 122 ტანკი (30 %), რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა კოსოვოში სერბთა დაჯგუფების ბრძოლისუნარიანობა.

§ 84
ტაქტიკური ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტში

ტაქტიკურმა ავიაციამ კონფლიქტის მსვლელობისას არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე სტრატეგიულმა. წმინდა სამხედრო ფუნქციების გარდა, ეს როლი პოლიტიკური მოტივებითაც იყო განპირობებული. ტაქტიკური ავიაცია შეიარაღებულ ძალთა ერთადერთი სახეობა იყო, რომელიც ალიანსის ყველა წევრს ჰქონდა და, მაშასადამე, საბრძოლო მოქმედებებში მისი მონაწილეობის მეშვეობით ხდებოდა ალიანსის წევრთა ურყევი და ერთიანი ნების დემონსტრირება.

ტაქტიკური ავიაცია ძირითადად იტალიის ავიაბაზებზე იყო დისლოცირებული[103] (მოკავშირეთა ავიაციის დისლოკაცია იხ. რუკაზე 370-ე გვერდზე). ტაქტიკური ავიაციის მოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენდა მეტეოროლოგიური პირობების თავისებურება. ბალკანეთზე ხშირია ნისლი და დაბალღრუბლიანობა. ოპერაციის პირველი 21 დღის განმავლობაში საფრენი ამინდი მხოლოდ 7 დღის განმავლობაში იყო, ხოლო 10 დღის განმავლობაში დაგეგმილი გაფრენების 50% არ შედგა ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო.

მეორე ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენდა ტაქტიკური ავიაციის გამოყენებაზე, იყო იუგოსლავიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის თავისებურება, სახელდობრ, ის ფაქტი, რომ ნატომ სწრაფად გაანადგურა საშუალო რადიუსის მოქმედების საზენიტო რაკეტული კომპლექსები და გამანადგურებელი ავიაცია, მაგრამ იუგოსლავიელებმა შეინარჩუნეს გადასატანი საზენიტო კომპლექსები და მცირეკალიბრიანი საზენიტო არტილერია. ამის გამო ნატოს სარდლობამ ფრენის მინიმალურ სიმაღლედ 5000 ფუტი განსაზღვრა, რაც დაბალღრუბლიანობის პირობებში აძნელებდა მართული იარაღის გამოყენებას ნატოს ძალების მიერ. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა კოსმოსური ბაზირების სისტემა-GPS-ს, რომლის მოქმედება არ არის დამოკიდებული ამინდზე. ასეთი სისტემით კი მხოლოდ ამერიკული თვითმფრინავები და ბომბები იყო აღჭურვილი, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა ნატოელ მოკავშირეთა ქმედებას. ინციდენტთა უმრავლესობა, რომლის დროსაც მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდებოდა, სწორედ დამიზნების სისტემების გამოყენების სირთულეს უკავშირდებოდა. ამ ინციდენტებს შორის ყველაზე სამწუხარო ფაქტი მოხდა. 14 აპრილს,

როდესაც ნატოელმა პილოტმა შეცდომით დაბომბა ლტოლვილთა ჯგუფი, რასაც რამდენიმე ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. რაც შეეხება ჩინეთის საელჩოს დაბომბვას, ის იმდენად, ჩანს, პილოტის შეცდომით კი არ იყო გამოწვეული, რამდენადაც დაზვერვისა და დამიზნებაზე პასუხისმგებელ პირთა შეცდომით. ამისდა მიუხედავად მაინც მოხერხდა მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის მინიმალიზება. 79 დღის განმავლობაში ნატოს მიერ განხორციელებული 22 ათასი დარტყმიდან მშვიდობიან მოსახლეობაში მხოლოდ 30 მსხვერპლი მოჰყვა.

აშშ-ის ტაქტიკური ავიაცია კონფლიქტისას: ამერიკელები საბრძოლო მოქმედებებში ერთ-ერთი პირველები ჩაებნენ და თავიანთ მხრებზე გადაიტანეს მოქმედებების ძირითადი ტვირთი. ომის დასაწყისში მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალების 500-მდე ტაქტიკური თვითმფრინავისგან ამერიკელების იყო 275, ანუ 55%. პირველივე დარტყმებში მონაწილეობდა ამერიკული ტაქტიკური გამანადგურებლები F-15 და F-16, აგრეთვე, ზოგიერთი ცნობით, მოიერიშე A-10. პირველი დანაკარგიც მათ განიცადეს, როდესაც 26-დან 27 მარტის ღამეს სერბებმა მოახერხეს „სტელტის" ტიპის ტაქტიკური გამანადგურებლის F-117-ის ჩამოგდება. ოდნავ მოგვიანებით მოქმედებებში ჩაებენ რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავები — „პროულერი". ისინი თურქეთის ინჯირლიკის ბაზაზე იყო დისლოცირებული, რაც მათ საშუალებას აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ არა მხოლოდ ბალკანეთზე მიმდინარე მოქმედებებში, არამედ უძრუნველყოთ ერაყის თაეზე საჭირო ფრენითი რეჟიმიც. მოგვიანებით საბრძოლო მოქმედებებში სხვა თვითმფრინავებიც ჩაება. მათზე მოდიოდა ტაქტიკური ავიაციის მიერ განხორციელებული საბრძოლო გაფრენების თითქმის 80%.

აშშ-ის ტაქტიკური ავიაციის ძირითადი წილი მოდიოდა საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელ F-16C Block 40 ვარიანტზე. ის აღჭურვილი იყო დასაკიდი სისტემა LANTIRN-ით, რომელიც საშუალებას იძლევა სამიზნეს მიუახლოვდე უკიდურესად დაბალ სიმაღლეზე, თანაც რელიეფის გაყოლით. იგივე სისტემა უზრუნველყოფს დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოწინააღმდეგის მცირეზომიანი სამიზნეების გამოვლენასა და მათ წინააღმდეგ ისეთი ზუზუსტი იარაღის გამოყენებას, როგორიცაა „ჰაერი-ზედაპირის" ტიპის რაკეტა AGM-65 Maverick ან ლაზერული დამიზნების სისტემის კორექტირებადი ავიაბომბები.

ჩრდილოეთ იტალიაში დისლოცირებულ 39 F-16C-ზე დამონტაჟდა ბლოკი IDM, რომელიც ინტეგრირებული იყო დროის რეალურ მასშტაბში მიზნის მიმათითებელ სისტემა Golden strike-თან. ამ სისტემას შეუძლია სახმელეთო პუნქტიდან პილოტის დისპლეიზე, რომელზეც აისახება ადგილმდებარეობის ციფრული რუქა, მიაწოდოს ინფორმაცია სამიზნეების რაიონში ტაქტიკურ ვითარებაზე. ამ სისტემების მეშვეობით მოხერხდა ერთ სადაზვერვო-დამრტყმელ „სუპერსისტემად" შეეკრათ დამრტყმელი თვითმფრინავები, საჰაერო დაკვირვებისა და მართვის პილოტირებული და არაპილოტირებადი საშუალებები, აგრეთვე სახმელეთო მართვის პუნქტები. ამ გამანადგურებლებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კონფლიქტის მსვლელობისას. ამასთან აღსანიშნავია, რომ არავითარი წყარო არ ამტკიცებს იმას, თითქოს სერბებს მწყობრიდან ამ ტიპის 10 გამანადგურებელი გამოეყვანათ. დამოუკიდებელი წყაროების ანალიზის საფუძველზე ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მწყობრიდან მხოლოდ ორი თუ სამი გამანადგურებელი გამოვიდა, მათგან, როგორც ჩანს, ორმა ტექნიკური მიზეზებით განიცადა კატასტროფა და მაქსიმუმ ერთი იქნა ჩამოგდებული.

ტაქტიკური ავიაციის მეორე ძირითადი გამანადგურებელი, რომელსაც აშშ იყენებდა იყო F-15E. F-16-თან შედარებით, მას მოქმედების ბევრად უფრო დიდი რადიუსი და საბომბე დატვირთვა აქვს. F-16-გან განსხვავებით ის „მძიმე" გამანადგურებლების კლასს განეკუთვნება და არა „მსუბუქისას". თუმცა ჰაერში ნატოს ძალების სრული დომინირების პირობებში მათი მასირებული გამოყენების საჭიროება არც კი გაჩენილა.

F-15 E-ს შეეძლო გამოეყენებია ბევრად უფრო ძლიერი საშუალებები, ვიდრე მის მსუბუქ „მეგობარს", სახელდობრ, 2100 კგ-ს მასის მქონე მართული ავიაბომბები GBU-28. ეს გამანადგურებელი ამ კლასის ერთადერთი თვითმფრინავია, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ზეზუსტი ტაქტიკური ფრთოსანი რაკეტა AGM-130, ოღონდ იუგოსლავიის წინააღმდეგ ამ იარაღის გამოყენების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.

F-15-E-ს ტიპის გამანადგურებლების დანაკარგების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს როგორც ამერიკელების, ისე სერბების მხრიდან. ერთადერთი მხარე,ვინც ამტკიცებს,რომ სერბებმა ამ ტიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის სამი გამანადგურებელი ჩამოაგდეს, ხოლო ორი დააზიანეს, რუსეთია.

რაც შეეხება „სტელტის“ ტიპის „უხილავ“ გამანადგურებელ F-117-ს, ის მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენებოდა, ისიც ოპერაციების პირველ ეტაპზე. მათი ძირითადი ამოცანა არა სერბების ტექნიკის განადგურება იყო, არამედ — ჰაერსაწინააღო სისტემის ნეიტრალიზება. ამ ნაწილობრივ ექსპერიმენტულ თვითმფრინავს არაფერი განსაკუთრებული თვისება არ გამოუელენია, გარდა ძალიან მცირე რადიოლოკაციური აღმოჩენადობისა. ამის მიუხედავად ამ გამანადგურებელთაგან ერთი სამხედრო კამპანიის მესამე დღეს ჩამოაგდეს. ამ ტიპის დანარჩენი თვითფრინავების განადგურების შესახებ ინფორმაცია სერბულ-რუსული პროპაგანდის სფეროს ეკუთვნის და არა რეალობას.

ფრანგული ტაქტიკური ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტისას: აშშ-ის შემდეგ კონფლიქტში უმნიშნელოვანესი როლი ითამაშა ინგლისისა და საფრანგეთის ავიაციამ. ეს უკანასკნელი (საზღვაო ავიაციის ჩაუთვლელად) წარმოდგენილი იყო ტაქტიკური გამანადგურებლებით „მირაჟ-2000“-ით და გამანადგურებელ-ბომბდამშენებით „იაგუარით“. სამხედრო-საზღვაო ავიაციის ჩაუთვლელად ფრანგებზე მოდიოდა 10% საბრძოლო გაფრენებისა. ნატოს განკარგულებაში (სამხედრო-საზღვაო ძალების ჩაუთვლელად) გამოყოფილი იყო 65 თვითმფრინავი. ისინი, შეძლებიდაგვარად, გამოიყენებოდა შეზღუდული რეჟიმის პირობებში (იგულისხმება კარგი ამინდის პირობებში). თვითმფრინავთა ნაწილი დისლოცირებული იყო ჩრდილო იტალიაში ისტრანას ავიაბაზაზე (სულ 22 თვითმრინავი), ხოლო ნაწილი საჰაერო დარტყმებს ახორციელებდა უშუალოდ საფრანგეთის ტერიტორიიდან, ამასთან იმ სამიზნეთა ნუსხა, რომელიც ფრანგულ თვითმფრინავებს უნდა გაენადგურებინა, ვინჩენცას ავიაბაზაზე განლაგებული ნატოს საჰაერო ოპერაციების მართვის ცენტრიდან მოდიოდა. მოგვიანებით საფრანგეთმა ნატოს განკარგულებაში გადასცა ორი უპილოტო აპარატი კოსოვოზე დაკვირვებისათვის, აგრეთვე გაუმჯობესებული რადიოლოკაციური სისტემით აღჭურვილი შვეულმფრენი, რომელსაც სერბთა ტანკების გადაადგილების აღმოჩენა 150 კმ-ის სიღრმეში შეეძლო. 14 მაისს ისტრანას ავიაბაზაზე დისლოცირებულ ფრანგულ საჰაერო შენაერთს დამატებით შეემატა 10 მირაჟ F-1, რის შემდეგაც კონფლიქტში მონაწილე საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელთა რიცხვი 57-მდე ავიდა. საინტერესოა, რომ იუგოსლავიის წინააღმდეგ

მოქმედებებში მონაწილეობდა ცნობილი ესკადრილია „ნორმანდია-ნემანი", რომელიც II მსოფლიო ომისას აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედ ერთადერთ დასავლურ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ამ ესკადრილიამ განახორციელა აპრილის ბოლოს პირველი დამრტყმელი ოპერაციები იუგოსლავიის წინააღმდეგ; სახელდობრ: 26-27 აპრილს რვა მირაჟ-2000-მა განახორციელა დარტყმები იუგოსლავიის ობიექტებზე. ოთხი თვითმფრინავი აღჭურვილი იყო ლაზერული დამიზნების სისტემის მქონე 1000 კგ-იანი ბომბებით, ხოლო დანარჩენები – კოორდინატების მეშვეობით დამიზნებადი 250 კგ-იანი ბომბებით. ოუმცა, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო არ მოხერხდა ლაზერული ბომბების ეფექტიანად გამოყენება. 250 კგ-იანი ბომბები საკმაოდ ეფექტურად გამოიყენეს კავშირის კვანძებისა და ტყვია-წამლის საწყობების წინააღმდეგ.



ფრანგული მირაჟ-2000 ასრულებს საჰაერო მანევრს მაღალანეთის ცაში.

მოგვიანებით ელზასის ქალაქ კოლმარიდან იტალიაში გადასროლილ იქნა კიდევ დამატებით 10 მირაჟ F-1, რის შედეგადაც კონფლიქტში მონაწილე ფრანგული თვითმფრინავების რიცხვმა, დამხმარე და საზღვაოს

ჩათვლით 90-ს მიაღწია. მაისის ბოლოდან ფრანგების დარტყმებში მოხდა აქცენტების გადანაწილება, სახელდობრ პროიორიტეტულად იქნა მიჩნეული დარტყმების გადატანა სერბიის ტერიტორიის სიღრმეში და კოსოვოში დისლოცირებული სერბული არმიის წინააღმდეგ.

ბრიტანეთის სამხედრო-საჰერო ძალები იუგოსლავიის კონფლიქტ-ში: ბრიტანეთის სამეფოს სამხედრო-საჰაერო ძალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხედრო მოქმედებებში. მათ განახორციელეს საბრძოლო გაფრენების 10%. განსხვავებით ფრანგებისაგან, რომლებიც ერთნაირი აქტივობით მონაწილეობდნენ საჰაერო პატრულირებასა და სახმელეთო ობიექტებზე დატყმებში, ბრიტანელები უპირატესად ამ უკანასკნელით შემოიფარგლენ. ბრიტანელებმა საომრად გამოიყენეს 34 დამრტყმელი თვითმფრინავი, რომლებმაც ჩამოყარეს ნატოს მიერ გამოყენებული ჭურვების 5%, ანუ 1000-მდე ავიაბომბი, მართული და არამართული ჭურვი და „ჰაერი-



ბრიტანული „ტორნადო" საჰაერო მანევრის განხორციელებისას

ზედაპირის" ტიპის სხვა სისტემა, რომელთაგან 25%, ანუ 250 ცალი მართული იყო.

ინგლისელები საბრძოლო მოქმედებებში თავიდანვე ჩაებნენ. ჯოი-

დელ-კოლეს ავიაბაზაზე დისლოცირებული რვა „ჰარიერ“ GR.7-იდან ექვსმა კონფლიქტის დაწყებისთანავე განახორციელა გაფრენები პრიშტინას სიახლოვეს მდებარე იარაღისა და საჭურველის საწყობების გასანადგურებლად. ყოველი მათგანი აღჭურვილი იყო PEIUVEI-2-ის ტიპის მართული ავიაბომბით. ორი გამანადგურებელი აღჭურვილი იყო დამიზნების ლაზერული სისტემის აღჭურვილობით და სამიზნეებისაკენ ბომბებს მიმართავდა. ამ რვა თვითმფრინავმა მონაწილეობა მიიღო იუგოსლავიაზე დარტყმის მესამე ტალღაში.

იუგოსლავიის წინააღმდეგ დარტყმებში ინგლისელთა მხრიდან ძირითადად მონაწილეობდნენ „ტორნადოს“ ტიპის გამანადგურებლები. ეს თვითფრინავები სპეციალურადაა შექმნილი ბრძოლის ველის იზოლაციისათვის, სახელდობრ, მწყობრიდან ისეთი ობიექტების გამოყვანით, როგორებიცაა: ხიდები, სატრანსპორტო და კავშირის კვანძები. მათ აგრეთვე შეუძლიათ ეფექტიანად იმოქმედონ ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების და მოწინააღმდეგის მსხვილი დაჯგუფებების წინააღმდეგ. მთლიანობაში ბრიტანელებმა დაასაბუთეს, რომ მათი სამხედრო-საჰაერო ძალები ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. გარდა სამხედრო-საჰაერო ძალებისა, კონფლიქტში გარკვეულ მონაწილეობას იღებდა ფლოტის ავიაცია, წარმოდგენილი იგივე „ჰარიერების“ საზღვაო მოდიფიკაციებით.

გერმანიის ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტისას: იუგოსლავიის კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი საბრძოლო მოქმედება იყო, რომელშიც მონაწილეობდა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები. თუმცა ეს მონაწილეობა ძალიან შეზღუდული იყო. ჯერ ერთი, გერმანიის საზოგადოება მაინცადამაინც აღფრთოვანებით არ ეკიდებოდა მისი არმიის მონაწილეობას ეროვნული ტერიტორიის გარეთ მიმდინარე სამხედრო მოქმედებებში. ხოლო, მეორე მხრივ, ნატოს აშკარად არ სურდა მილოშევიჩისათვის მიეცა პროპაგანდისტული კოზირი გერმანელთა მიერ იუგოსლავიის „ხელახალი ოკუპაციის“ შესახებ საუბრისათვის. ამის გამო გერმანული „ტორნადოები“ კონფლიქტში უაღრესად შეზღუდულად მონაწილეობდა. სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ მათ იყენებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გამოსავალი აღარ იყო.

კონფლიქტში გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს წარმოადგენდა „ტორნადოს“ ტიპის 20-მდე თვითმფრინავი. თავდაპირველად პიაჩენცას ბაზაზე გადაისროლეს ოთხი მანქანა. შემდეგ კიდევ 14 თვითმფრინავი,

მათგან 6 სადაზვერვო ვარიანტში, ხოლო 8 დამრტყმელ ვარიანტში (გამიზნული იყო უპირატესად საჰაერო დაცვის სისტემის გასანადგურებლად). თუმცა იუგოსლავიის ჰაერსწინაღო სისტემის მწყობრიდან სწრაფად გამოყვანის გამო მათ, ჩანს, აქტიურად არ უმოქმედიათ. თანაც ოთხ თვითმფრინავს პერიოდულად აბრუნებდნენ გერმანიაში. რუსული სამხედრო მედიის ინფორმაცია „ტორნადოების" მიერ 240 რაკეტის გაშვებისა და იუგოსლავიელთა მიერ რამოდენიმე „ტორნადოს" ჩამოგდების შესახებ რუსულ ხალხურ ზღაპართა რიცხვს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, გერმანული ავიაცია უპირატესად სადაზვერვო ფრენებით იფარგლებოდა, ვინაიდან „ტორნადოს" ის ვარიანტები, რომელიც „ლუფტვაფეს" შეიარაღებაზეა, არ არის გამიზნული საჰაერო პატრულირებისათვის.

იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალები იუგოსლავიის კონფლიქტისას: მსგავსად გერმანიისა კონფლიქტში იტალიელთა მიერ გამოყოფილი 36 „ტორნადოც" ძალიან შეზღუდულად მონაწილეობდა. ზოგიერთი ცნობით, კონფლიქტში მონაწილე იტალიურ თვითმფრინავთა რიცხვი 42-ს და 54-საც კი უტოლდებოდა და მათში გარდა „ტორნადოებისა", შედიოდა მსუბუქი მოიერიშე AMX. რაიმე დეტალური ინფორმაცია იტალიელთა ქმედებების შესახებ ხელთ არ გვაქვს. თუმცა, ცხადია, ეს ქმედებანი მინიმალური ხარისხის აქტივობით გამოირჩეოდა.

ნატოს დანარჩენ წევრთა ტაქტიკური ავიაცია იუგოსოლავიის კონფლიქტისას: ხსენებულ სახელმწიფოთა გარდა, კონფლიქტში მონაწილეობდა ნატოს წევრი ქვეყნების კიდევ 81 გამანადგურებელი. ისინი უპირატესად გამოიყენებოდა საჰაერო პატრულირებისათვის, თუმცა, ზოგიერთი ცნობით, შეზღუდულად მონაწილეობდა დარტყმებშიც სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ; სახელდობრ, 14 აპრილისათვის 12 კანადურ F-18-ს სივრცობრივ-გაშლილი სამიზნეების წინააღმდეგ გამოუყენებია არამართული ავიაბომბები MK-82. თუმცა, ვიმეორებთ, ეს ფაქტები, თუ საერთოდ ხდებოდა, ერთჯერადი ხასიათისანი იყო. ზემოაღნიშნულ ქვეყანათა მოკავშირეები ძირითადად საჰაერო პატრულირებას აწარმოებდნენ, რაც ნამდვილად არ იყო ძნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ იუგოსლავიელთა ავიაცია ცაში ძალიან იშვიათად ჩნდებოდა. ამის მიუხედავად, ნატოს პატარა სახელმწიფოთა გამანადგურებლების პილოტებმა მაინც მოახერხეს თავის გამოჩენა. სახელდობრ, 24 მარტს ღამით ინგლისურმა „ავაქსმა" დააფიქსირა

ბატაინიცას აეროდრომიდან სამი მიგ-29-ს აფრენა და მათზე მიუშვა 4 ჰოლანდიური F-16, რომელთაც რაკეტა „ამრაამით" ჩამოაგდეს ერთი მიგი და გააქციეს სხვები. თუმცა, ვიმეორებთ, ამგვარი შემთვევები ერთეულები იყო იმის გამო, რომ იუგოსლავიური ავიაცია იშვიათად ჩნდებოდა ჰაერში, იქ, სადაც ნატო ბატონობდა.

§ 85
კონფლიქტისას გამოყენებული ტაქტიკური იარაღი

არამართული საავიაციო საჭურველი იუგოსლავიის კონფლიქტში: იუგოსლავიის კონფლიქტი ალბათ პოსტინდუსტრიული ერის პირველი კონფლიქტია იმ აზრით, რომ მასში ზუსტი და არამართული იარაღის თანაფარდობა პირველად გადაიხარა ზუსტის სასარგებლოდ. ამის მიუხედავად კონფლიქტში, განსაკუთრებით მის ბოლო ეტაპზე, მოკავშირეთა ავიაცია საკმაოდ ინტენსიურად იყენებდა არამართულ იარაღსაც. ასეთი იარაღის ძირითად ტიპებს წარმოადგენდა თავისუფლად ვარდნადი საავიაციო ბომბები MK-82 და ბომბების კასეტები. პირველს იყენებდნენ არა მარტო ამერიკელები, არამედ კანადელებიც და ფრანგებიც (განსაკუთრებით კონფლიქტის ბოლო ეტაპზე). ბომბების კასეტებს შორის განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიყენებოდა GBU-16-ის ტიპის კასეტები,რომელთაგან თითოეული შეიცავს 200-მდე პარაშუტით დაშვებად მინიატურულ ბომბს (დაახლოებით „კოკა-კოლის" ქილის ხელას). სულ ამერიკელებმა კონფლიქტისას გამოიყენეს ათასამდე კასეტა. რამდენიმე ასეული (ზოგი ცნობით,100-დან 200-მდე) ასეთი ტიპის კასეტა გამოიყენა ინგლისმაც. მართალია,ასეთივე ტიპის ბომბების კასეტები აქვთ ფრანგებსაც,მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ისინი ან საერთოდ არ, ან უკიდურესად შეზღუდულად გამოიყენეს. ჭურვების დანარჩენ ნაწილს ნატოს შეიარაღებაზე მყოფი სხვადასხვა არამართული ავიაბომბები შეადგენდა.

თვისობრივად ახალი ავიაბომბები: იუგოსლავიასთან კონფლიქტისას ნატომ გამოიყენა თვისობრივად ახალი ავიაბომბები, რომელნიც არამომაკვდინებელი იარაღის კატეგორიას განეკუთვნება, სახელდობრ, გრაფიტული ელემენტების მქონე ავიაბომბები. რომლებიც გამიზნულია

მოწინააღმდეგის ენერგეტიკის მწყობრიდან გამოსაყვანად. ამ ავიაბომბებმა თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ ენერგოსისტემები მწყობრიდან შეიძლება გამოყვანილ იქნეს მათი დანგრევის გარეშე.

მართული ავიაბომბები: მართულმა ავიაბომბებმა ამ კონფლიქტის ბედის გადაწყვეტაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფრთოსან რაკეტებთან ერთად. ამავე დროს, როგორც კონფლიქტმა აჩვენა, პირველი თაობის მართული ბომბები, რომლებიც ლაზერულ (და აგრეთვე ინფრაწითელ და სატელევიზიო დამიზნების სისტემებს ემყარება) არ არის საკმარისი თანამედროვე სამხედრო მოქმედებებისათვის. იუგოსლავიის ომმა დაადასტურა კოსმოსური, უფრო ზუსტად, თანამგზავრული დამიზნების მქონე მეორე თაობის მართული ბომბების უპირატესობა და მესამე თაობის მართვის სისტემების შემუშავების აუცილებლობა.

მართული საავიაციო რაკეტები: მართული საავიაციო რაკეტები, როგორც ვიცით, იყოფა „ჰაერი-ჰაერის" ტიპის რაკეტებად, რომლებიც გამიზნულია მფრინავი აპარატების გასანადგურებლად და „ჰაერი-ზედაპირის" რაკეტებად, რომლებიც, მართალია, გაიშვება საფრენი აპარატიდან, მაგრამ უპირატესად გამიზნულია სახმელეთო (საზღვაო) სამიზნეების გასანადგურებლად. მათგან პირველნი კოფლიქტში საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა, ვინაიდან იუგოსლავიელთა ავიაციის პასიურობის გამო საფრენ აპარატებს შორის ბრძოლას ძალზე იშვიათი ხასიათი ჰქონდა. ცნობილია ცალკეული შემთხვევები ნატოს მიერ „ამრაამ"-ის და „საინდვინდერი"-ს ტიპების საშუალო და ახლო რადიუსის მოქმედების „ჰაერი-ჰაერის" რაკეტების გამოყენებისა, რასაც იუგოსლავიელთა იმ თვითმფრინავების განადგურება მოჰყვა, რომელთაც ჰაერში აფრენა გაბედეს (მაგალითად, 24 და 26 მარტის საჰაერო ბრძოლებში. ამ დროისათვის ცალკეული იუგოსლავიური თვითმფრინავები კიდევ ბედავდნენ „კამიკაძურ" გაფრენებს, რაც მოგვიანებით შეწყდა). რაც შეეხება „ჰაერი-ზედაპირის" რაკეტებს, ისინი კონფლიქტში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა.

ჯერ კიდევ ბოსნიელ სერბთა წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციისას გაირკვა, რომ „ჰარმის" ტიპის ანტირადიოლოკაციური რაკეტები საკმარისად ეფექტური არ არის. ბოსნიელ სერბთა საჰაერო დაცვის სისტემების უმრავლესობა მაშინ განადგურდა ლაზერული

დამიზნების სისტემის მქონე მართული ავიაბომბების მეშვეობით. მაგრამ მაშინ ნატოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმარისი გამოცდილება ასეთი რაკეტების გამოყენებისა ლოკალური კონფლიქტის პირობებში (ასეთი იარაღის გამოყენებისათვის ნატოს ავიაცია ემზადებოდა ვარშავის ხელშეკრულების საჰაერო დაცვის წინააღმდეგ, რომელიც თავისი ინტენსიობით თვისებრივად განსხვავდებოდა იუგოსლავიის საჰაერო დაცვის სისტემისაგან).

იგივე ითქმის „სლემის" ტიპის რაკეტებზეც,რომლებიც უპირატესად გამოიყენება მობილური და სტაციონარული სახმელეთო სამიზნეების წინაარმდეგ. ნატომ, ჩანს, ეს გამოცდილება კარგად გაითვალისწინა და მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიასთან ომისას, განსაკუთრებით მის გვიანდელ ეტაპებზე მართული რაკეტები ნაკლებ გამოიყენებოდა (რაც იმით აიხსნება, რომ ასეთი რაკეტები მთიან-ტყიან რეგიონში არცთუ ეფექტიანია) გამოწურა ამ რაკეტებიდან ყოველივე, რაც შესაძლებელი იყო.

§ 86
სტატეგიული ავიაცია იუგოსლავიის კონფლიქტში

როგორც ჩანს, ოპერაციის დამგეგმავები თავიდანვე ითვალისწინებდნენ ოპერაციაში სტრატეგიული ავიაციის გამოყენებას. B-52 ტიპის ბომბდამშენების გადასროლა დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ 17 აპრილს დაიწყო, როდესაც ფეირფორდის ბაზაზე გადაისროლეს 6 B-52 -ის ტიპის მანქანა. მათ მონაწილეობა მიიღეს იუგოსლავიაზე პირველსავე შეტევაში, 24 მარტს. 26 მარტისათვის ბომბდამშენთა რიცხვი ათამდე გაიზარდა, რომელთაგან თითოეულ ოპერაციაში 2-დან 9-მდე თვითმფრინავი მონაწილეობდა. ბომბდამშენების მარშრუტი გადიოდა ატლანტიკისა და ხმელთაშუა ზღვის ნაკლებდასახლებულ რეგიონებზე და გრძელდებოდა 13 საათს. თითოეულ ბომბდამშენს შეეძლო 20-მდე ფრთოსანი რაკეტის ტარება, თუმცა რეალურად, ჩანს, ხდებოდა მხოლოდ შიდაფიუზელაჟური რევოლვერული დანადგარის გამოყენება.

ბომბდამშენის შეიარაღებაზე იყო ფრთოსანი რაკეტა AGM-86C, რომლის მოქმედების რადიუსია 1100 კმ და აქვს ფუგასური ქობინი 907 კგ მასის (მოდიფიკაცია ბლოკ 0) ან 1360 კგ (მოდიფიკაცია

დაისჯებოდა. თუმცა, ებრაელებს დიდი სამხედრო მხარდაჭერის მიღების იმედი აშშ-ისაგან არ უნდა ჰქონოდათ. მას უფრო პოლიტიკური მხარდამჭერის როლი უნდა ეთამაშა, ხოლო ომისას ებრაელებს, ფაქტობრივად, მხოლოდ საკუთარი თავის იმედიღა რჩებოდათ. ამასთან, დიდი სტრატეგიის დონეზე გაირკვა, რომ ომი შეტევითი და ელვისებრი უნდა ყოფილიყო. ამას თუნდაც ის მარტივი მიზეზი განაპირობებდა, რომ ისრაელის ტერიტორიის სიღრმე არ იძლეოდა ეშელონირებული თავდაცვის ორგანიზების საშუალებას.



ეგვიპტელთა აეროდრომები, რომლებზეც უნდა გახორციელებულიყო ისრაელელთა მოულოდნელი საჰაერო დარტყმები

§ 99
სამხედრო სტრატეგიის შემუშავება

გამომდინარე მოწინააღმდეგის უპირატესობიდან, როგორც შეიარაღებულ ძალებში, ისე რესურსებში, ისრაელის არმიამ გადაწყვიტა, მოწინააღმდეგის მთელ ოპერატიულ სიღრმეზე დაერტყა და შემდეგ ჯავშანსატანკო ძალებითა და საჰაერო დესანტებით უსწრაფესად მიელწია ბუნებრივი სტრატეგიული მიზნისათვის – სუეცის არხისათვის.

ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედებისას ჯავშანსატანკო დაჯგუფებისათვის დახმარება უნდა გაეწია ისრაელის ხმელთაშუა ზღვის ფლოტს (ისრაელი ვიწრო ზოლით წითელ ზღვაზეც გადის და იქაც თავისი სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება ჰყავს). ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ძირითადი სახმელეთო ოპერაციები სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ. საწყის ეტაპზე ძირითადი ფუნქცია


MEDITERRANEAN SEA
W.B.
ISRAEL
AT-TAFILAH
KADAROM
JORDAN
MA'AN
EGYPT
SAUDI ARABIA
ARABIAN PENINSULA
SINAI
GEBEL EL-TIH
GEBEL EL-HAMA
Gebel Katherina
Gebel Musa
Gebel Yelleq
Gebel el-Sarbut
Gebel Abu Shama
Gebel Sidi el-Hani
Gebel Ghurab
Jebel el-Mukhsh
Gebel el-Ahmer
Gebel Abu Khatuba
Jebel Arif
Jebel Somra
Jebel el-Hamad
Gebel el-Homra
Gebel Yelleq
Gebel el-Berek
Gebel el-Ahmar
Gebel Abu Zenima
Bir Lafan
Bir Sheva
Bir Ma'in
Bir Zeitha
Bir Abu Qurmaq
Bir Hasana
Bir Gafgafa
Bir Suweir
Bir Rabah
Bir Gifgafa
Bir Bu Fuk
Bir Bu Rabah
Bir Bu Rif
Bir Bu Rif
Bir Bu Rif

გადაისროლებოდა იორდანიისა და სირიის წინააღმდეგ. გარეგნულად ეს კლასიკური სიღრმითი ოპერაცია იყო, მაგრამ შეიცავდა არაპირდაპირი მოქმედების ელემენტებს, თუ სტრატეგიულ არა, ტაქტიკურ დონეებზე მაინც. კერძოდ. ისრაელელები ყოველმხრივ ერიდებოდნენ ფრონტალურ შეტევებს, რომლებიც სიღრმითი ოპერაციის საბჭოურ გაგებაში მოქმედების აუცილებელი ელემენტი იყო (განსხვავებით სიღმითი ოპერაციის გერმანული გაგებიდან, სადაც შეტევის ძირითად ფორმად ფლანგის გარღვევა და ზურგში გასვლა იგულისხმებოდა). ნიშანდობლიეია რუს ოპორეტიკოს დელგიადოს მოსაზრება, რომ მთელმა კამპანიამ აჩვენა დაზვერვისა და ავიაციის არაპირდაპირი მოქმედებების უპირატესობა. ასევე ნიშანდობლივია ისრაელელთა ჩრდილო და ცენტრალური ჯგუფების მოქმედება: პირველმა, რომელიც ტაქტიკურად არაპირდაპირ ქმედებებს იყენებდა, მაშინვე მიაღწია წარმატებას, ხოლო მეორემ — მხოლოდ მეორე დღეს, ისიც რეზერვების გამოყენებით" (და უფრო სუსტი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ — კ.კ.). თუმცა ისრაელელთა სტრატეგია რისკის სტრატეგიის ელემენტებსაც შეიცავდა. ეს შემდეგში გამოიხატებოდა (ამ გარემოებას ვან კრეველდი უსვამს ხაზს): ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები, ორასამდე თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავს ფლობდა დაახლოებით ორნახევარჯერ ძლიერი გაერთიანებული არაბული ძალების საპირისპიროდ. 5 ივნისის დილას ისრაელის ძალები ახალ-ახალი გამანადგურებელი თავდასხმის ტალღა დაიწყეს ეგვიპტურ სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზებზე და მხოლოდ სამ საათში ორასზე მეტი თვითმფრინავი გაანადგურეს. ოპერაციის დროს ისრაელის ბაზებზე **მხოლოდ ოთხი თვითმფრინავი — მთელი შეიარაღების ორი პროცენტი** — იყო სირიელების, იორდანელებისა ან ერაყელების შესაძლო საჰაერო თავდასხმისგან თავდასაცავად. ამას გარდა, თავად ისრაელელები იყენებდნენ დუეს სტრატეგიის ელემენტებსაც. ეს **კარგი მაგალითია იმის საჩვენებლად, რომ ის სტრატეგიები, რომლებიც ჩვენ აღვწერეთ, ერთგვარი იდეალური მოდელებია, რომლებიც ბუნებაში წმინდა სახით არსად გვხდება. ისინი რაღაც პროპორციით შეიცავენ ერთმანეთის ელემენტებს. გენშტაბისტის ოსტატობა იმაშია, რომ განსაზღვროს ეს პროპორცია და, შესაძლო კონფლიქტის ხასითიდან გამომდინარე, განსაზღვროს — რომელი სტრატეგია უნდა იყოს პრიორიტეტული.**

რაც შეეხება ეგვიპტის სტრატეგიას, მის შესახებ ცნობილი ბევრი არაფერია, მაგრამ გამომდინარე სინაიზე ძალთა კონცენტრაციიდან, 1973 წლის ომში ქმედებებებიდან და იქიდანაც, რომ ისინი რუსების მოსწავლეები იყნენენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი სტრატეგია საბჭოურის იდენტური იყო.

§ 100
ძალთა საერთო ბალანსი

ისრაელის შეიარაღებული ძალები მობილიზაციის შემდეგ ითვლიდა 240 ათას მებრძოლს. შეიარაღებაზე იყო 1100 ტანკი და 280-მდე სხვადასხვა სახის თვითმფრინავი. სახმელეთო ძალები გაერთიანებული იყო 31 სხვადასხვა ბრიგადაში. სახელდობრ: 6 ჯავშანსატანკო, 23 მოტოქვეითი და ორი საპარაშუტო ბრიგადაში, აგრეთვე 10 ცალკეულ სატანკო ბატალიონში. აქ ითვლება ძალები სრული მობილიზაციის შემდეგ, მაგრამ ეინიდან მისი ჩატარება საჭირო აღარ გახდა, ბრძოლებში მონაწილეობა ხსენებული ძალების მესამედმა თუ მიიღო. მთავარი დამრტყმელი ძალა სატანკო ბრიგადები იყო. თითოეულში შედიოდა ორი სატანკო ბატალიონი (თითოში 50-მდე ტანკი), ერთი ქვეითი ბატალიონი, ბრიგადის არტილერია და სხვა დანაყოფები. რამდენიმე



ისრაელელთა თავდაპირველი მოქმედების ჩანაფიქრი სინაიზე

ბრიგადა ერთიანდებოდა დივიზიაში (ივრითზე „უგდა"), რომელიც მუდმივი შენაერთი არ იყო და იქმნებოდა კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. ბრიგადების ნუმერაცია ისე იყო გასაიდუმლოებული, რომ მოსახლეობა მათ მხოლოდ მეთაურების სახელებით იცნობდა. ავიაციის შეიარაღებაზე უახლესი თვითმფრინავები მეორე თაობის ფრანგული მირაჟ III-ები იყო. დანარჩენს მოძველებული, პირველი თაობის გამანადგურებლები შეადგენდნენ.

ჯარები განაწილებული იყო სამ ფრონტზე: სამხრეთის (ეგვიპტის წინააღმდეგ), ცენტრალურსა (იორდანიის წინააღმდეგ) და ჩრდილოეთისაზე (სირიის წინააღმდეგ).

ეგვიპტე. ეგვიპტის არმია ითვლიდა 300 ათას მებრძოლს,რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 30 ბრიგადაში (სხვადასხვა მონაცემის შეჯერებით ეს იყო 7 სატანკო, 2 მექანიზებული, საპრეზიდენტო გვარდიის, 15 მოტოქვეითი და ქვეითი, 4-5 სპეციალური დანიშნულების ბრიგადები). მთლიანობაში ჯარები გაერთიანებული იყო სატანკო, 6 მოტოქვეით და 1 ქვეით დივიზიაში. პრაქტიკულად ყველა სინაიზე იმყოფებოდა. ამ ძალების შეიარაღებაზე იყო: 1200 ტანკი, 500 თვითმფრინავი 90 ხომალდი.

იორდანია და სირია მთლიანობაში ითვლიდნენ 100 ათას მებრძოლს, 9 ბრძოლისუნარიან ბრიგადას (ერთი ერაყულის ჩათვლით), 750 ტანკსა და 130 თვითმფრინავს, 28 ხომალდს. ისრაელელთა და არაბთა ბალანსი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	არაბები	**ისრაელი**	**ბალანსი**
რაოდენობა	400000	240000	1,7:1
ბრიგადა	39	17*	2,3:1
ტანკი	1950	1100	1,8:1
თვითმფრინავი	630	280	2,2:1

**** მობილიზებული ბრიგადები. საჭიროების შემთხვევაში ისრაელს კიდევ 14 ბრიგადის მობილიზება შეეძლო.***

საინტერესო სურათია: არაბები ყველაფერში თითქმის ორმაგ უპირატესობას ფლობდნენ, ხოლო ავიაციის სფეროში, რომელმაც ომის ბედი გადაწყვიტა, უფრო მეტსაც კი. ახლა განვიხილოთ ბალანსი ცალკეულ ფრონტზე.

სინაის ფრონტი.

ისრაელი: სინაიზე იყო ისრაელელთა სამი „დივიზია“ (ხსენებული გაგებით). ჩრდილოეთის დივიზია „ტალი“, რომელსაც პირადად ჯავშანსატანკო ძალების სარდალი ისრაელ ტალი[107] სარდლობდა. მის განკარგულებაში იყო 2 ჯავშანსატანკო ბრიგადა, საპარაშუტო-მობილური ბრიგადა (ფრანგული მსუბუქი ტანკებით) და ცალკე მექანიზებული სადაზვერვო შენაერთი. ტანკები: მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ამერიკული „შერმანები“, ომისშემდგომი პირველი თაობის ინგლისური „ცენტურიონები“ ამერიკული „პატონები“, აგრეთვე მსუბუქი ფრანგული ტანკები AMX-13.

ტალის სამხრეთით მოქმედებდა დივიზია „იოფე“[108], ცხადია, ამავე გვარის გენერლის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 2 ჯავშანსატანკო ბრიგადა აღჭურვილი ინგლისური „ცენტურიონებით“. და ბოლოს, სამხრეთით იმყოფებოდა დივიზია „შარონი“, რომელსაც ისრაელის დღევანდელი პრემიერი[109] სარდლობდა. მის განკარგულებაში იყო ერთი ჯავშანსატანკო, ერთი ქვეითი ბრიგადა და ცალკეული სატანკო ბატალიონი. შარონის დივიზიის შემადგენლობაში შემავალი საპარაშუტო ბრიგადა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გადაისროლეს იორდანიის ფრონტზე. ამრიგად, მთლიანობაში ისრაელს სინაისთან ჰყავდა: 5 ჯავშანსატანკო, ერთი ქვეითი, ერთი მობილური საპარაშუტო ბრიგადა და ცალკე ერთეულები. სულ დაახლოებით 2,5 ჩვეულებრივი დივიზიის ტოლფასი დანაყოფები. ისრაელის დაჯგუფებაში შედიოდა 40 ათასამდე მებრძოლი და 600-მდე ტანკი.

ეგვიპტე. ეგვიპტელთა მხრიდან ისრაელის ამ დაჯგუფებას უპირისპირდებოდა ჯავშანსატანკო'და 4 ქვეითი დივიზია, პლუს ღაზას სექტორში დისლოცირებული მე-20 ქვეითი დივიზია, რომელიც, მართალია, პალესტინელებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ პრაქტიკულად ეგვიპტელთა დანაყოფს წარმოადგენდა. ამდენად, ეგვიპტელებს სინაიზე ჰყავდათ 6 დივიზია. მოწინავე პოზიცია ღაზას სექტორში ეკავა მე-20 ქვეით დივიზიას. მის უკან, რაფიახიდან ელ-არიშამდე, დისლოცირებული იყო მე-7 ქვეითი დივიზია. მე-2 ქვეითი დივიზია დისლოცირებული იყო აბუ-აგეილას სექტორში. მე-3 ქვეითი დივიზია დისლოცირებული იყო ჯებელ ლიბნის სექტორში. ორი უკანასკნელი დივიზია გაძლიერებული იყო სატანკო დანაყოფებით. კუნტილას რაიონში დისლოცირებული იყო მე-6 ქვეითი დივიზია. მე-

4 სატანკო დივიზია კი ბირ-გაფგაფის რაიონში. სულ ეგვიპტელთა განკარგულებაში იყო 100 ათასამდე პირადი შემადგენლობა და 1000-მდე ტანკი. წარმოდგენილი ცხრილი აჩვენებს თანაფარდობას მხარეებს შორის (დათვლის ერთეულად აღებულია ბრიგადა. იხ. რუქაც):

	ეგვიპტე	ისრაელი	ბალანსი
ჯავშანსატანკო ბრიგადა	5	5	1:1
მექბრიგადა	1	0	1:0
საპარაშუტო ბრიგადა	0	1	0:1
ქვეითი ბრიგადა	12	1	12:1
სულ ბრიგადა	18	7	2,6:1
პირადი შემადგენლობა	100 000-მდე	40 000-მდე	2,5:1
ტანკი	1000-მდე	600-მდე	1,5:1

როგორც ვხედავთ, რაოდენობრივი უპირატესობა ეგვიპტელებს საშუალებას აძლევდა არათუ თავდაცვითი ომი ეწარმოებინათ, არამედ შეეტიათ კიდეც, მაგრამ საქმე მხოლოდ რაოდენობაში როდია.

იორდანიის ფრონტი.

ისრაელი: აქ დისლოცირებული იყო დივიზია „პალედა" ორი სატანკო და ქვეითი ბრიგადის შემადგენლობით, აგრეთვე ცალკე მექანიზებული ბრიგადა, სინაიდან გადმოსროლილი საპარაშუტო ბრიგადა, ცალკე დანაყოფები, პლუს ადგილობრივი დაცვის დანაყოფები და რეზერვისტები (დაახლოებით 2 ქვეითი ბრიგადის ტოლფასი ძალები). მათ შემადგენლობაში იყო დაახლოებით 35 ათასი მებრძოლი და 200-მდე ტანკი. ამასთან, ეს ძალები განლაგებული იყო მდინარე იორდანის დასავლეთის სიახლოვეს ვიწრო ზოლში, ცალკე ბრიგადა იერუსალიმში, ხოლო დივიზია „პალედა" და საპარაშუტო ბრიგადა — გალილეის დასახლებულ პუნქტებში.

იორდანია: ნომინალურად მის არმიაში სამი ჯავშანსატანკო და სამი ქვეითი ბრიგადა შედიოდა, მაგრამ რეალურად ბრძოლისუნარიანი იყო ამანთან დისლოცირებული ორი ჯავშანსატანკო ბრიგადა. იორდანელებს ისიც ურთულებდა საქმეს, რომ აღმოსავლეთ

იერუსალიმიც უნდა დაეცვათ, რასაც მინიმუმ ქვეითი ბრიგადა მაინც სჭირდებოდა. სულ იორდანელთა რეალური ძალები ალბათ უნდა შევაფასოთ, როგორც ორი ჯავშანსატანკო და ერთი ქვეითი ბრიგადა, დაახლოებით 30-40 ათასი ქვეითი და სამასამდე ტანკი. იხ. ცხრილი:

	იორდანია	ისრაელი	შეფასება
ჯავშანსატანკო ბრიგადა	2	2	1:1
მექბრიგადა	0	1	0:1
საპარაშუტო ბრიგადა	0	1	0:1
ქვეითი ბრიგადა	2	1	2:1
სულ ბრიგადა	4	5	1:1,2
პირადი შემადგენლობა	35 ათასამდე	35 000-მდე	1:1
ტანკი	300-მდე	200-მდე	1,5:1

ძალთა ამ შეფარდებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. გასათვალისწინებელია, რომ ისრაელის შეიარაღებული ძალების ამოცანა აღმოსავლეთ იერუსალიმის დაკავება იყო, რასაც გარდა სამხედროსი, კულტუროლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. გოდების კედელთან მომტირალი ებრაელი ჯარისკაცი სიმბოლოა იმისა, რომ ისრაელის სახელმწიფო შედგა.

სირიის ფრონტი.

ისრაელი: კონფლიქტის საწყის ეტაპზე გოლანის მაღლობებთან ვიწრო ზოლში კონცენტრირებული იყო ისრაელური ჯავშანსატანკო და 5 ქვეითი ბრიგადა, აგრეთვე ცალკე სატანკო ნაწილები. მოგვიანებით, როდესაც ნათელი გახდა იორდანიის დამარცხება და მთიანი რელიეფის პირობებში შეტევის სირთულეები (აქ ისრაელმა ყველაზე მეტი ტანკი დაკარგა), მათ იორდანიის ფრონტიდან კიდევ ორი ჯავშანსატანკო ბრიგადა დაემატა. მათი პირადი შემადგენლობა 50000-ს აღწევდა, ხოლო ტანკების ოდენობა 300-ს (იორდანიის ფრონტიდან გადმოსროლილი დანაყოფების ჩაუთვლელად).

სირია: კონფლიქტის ზონაში გაშლილი ძალები ითვლიდა ორ სატანკო და სამ ქვეით ბრიგადას, აგრეთვე გაძლიერების ძალებს. მათ განკარგულებაში იყო 65 ათასამდე მებრძოლი და 400-მდე ტანკი. იხ. ცხრილი:

	სირია	ისრაელი	შეფარდება
ჯავშანსატ. ბრიგადა	2	1(3)*	2:1(1:1,5)*
მექბრიგადა	0	0	0:0
საპარაშუტო ბრიგადა	0	0	0:0
ქვეითი ბრიგ.	3	5(7)*	1:1,6(1:2,3)
სულ ბრიგადა	5	6(8)	1:1,2(1:1,6)
პირადი შემადგენლობა	65 ათასამდე	50 ათასამდე	1,3:1
ტანკი	400-მდე	300-მდე(500-მდე)*	1,3:1 (1:1,3)

** ისრაელის ძალები ეგვიპტეზე გამარჯვების შემდეგ სირიის ფრონტზე გადასროლის შემდეგ.*

§ 101
საბრძოლო მოქმედებების მსვლელობა

სამხედრო მოქმედებები დაიწყო ებრაელების საჰაერო დარტყმებით 1967 წლის 5 ივნისს, განთიადისას, ისრაელის დროით 07.45-სა და ეგვიპტის დროით 08.45-ზე. ისრაელის ავიაციამ დაბომბა ეგვიპტელების 10 აეროდრომი: ელ-არიში,ჯებელ ლიბნი,ბირ გიფგაფა, ბირ თამადა (ზოგჯერ ამ პუნქტს ელ-თამადასაც უწოდებენ), აბუ სუეირი, კაბრიტი, ინკასა, კაირო-ვესტი, ბენი სუეიფი და ფაიდი. გარდა ოთხი სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავისა, რომლებიც საცდელ ფრენებს ასრულებდა, ამ ბაზების მთელი საშტატო შემადგენლობა მიწაზე იმყოფებოდა.

საავიაციო დარტყმის დრო კარგი ლოგიკური გათვლით იყო შერჩეული. შეტევის დროს შემდეგი ფაქტორები განაპირობებდა:

● ეგვიპტელების საბრძოლო მზადყოფნამ პიკს მაისის შუა რიცხვებისათვის' მიაღწია. შეუძლებელია უმაღლესი რანგის მზადყოფნა ომის დაწყების გარეშე თვეების ან თუნდაც კვირეების განმავლობაში გაგრძელდეს. დაძაბულობა თავისას შვება, მით უფრო, გათენებისწინა საათებში. ისრაელელებმა სწორად გათვალეს, რომ

დარტყმის მომენტში ეგვიპტელები ყველაზე მეტად იქნებოდნენ მოდუნებულები.

● გათენებისას ნილოსის თავზე ჩნდება ნისლოვნება. 7.30 საათისათვის ნისლოვნება იფანტება, ხოლო 8.00-სათვის დგება საუკეთესო ვიზუალური პირობები საჰაერო ფარტყმებისათვის. ამასთან მზის დახრილობის კუთხე ამ დროს ისეთია, რომ პილოტებს ხელს არ უშლის ზუსტ ბომბარდირებაში.

● ეგვიპტის სახელმწიფო უწყებებში სამუშაო დღე 9.00-ზე იწყება. შესაბამისად, ისრაელის საჰაერო დარტყმისას ეგვიპტელ გენერალთა უმრავლესობა უნდა ყოფილიყო გზაში, სამსახურისაკენ. ომის დაწყება პირველივე ცნობა უნდა ყოფილიყო, რასაც ისინი სამსახურში მისვლისას მიიღებდნენ. ამას მათში გარკვეული დაბნეულობა და ფსიქიური მდგრადობის მოშლა უნდა გამოეწვია.

ისრაელელთა პირველი საჰაერო დარტყმის მთავარი ამოცანა იყო მოწინააღმდეგის ასაფრენი ბილიკების მწყობრიდან გამოყვანა და ეგვიპტელთა რაც შეიძლება მეტი, იმ დროისათვის უახლესი მიგ-21-ის განადგურება. ეს ეგვიპტელთა ერთადერთი თვითმფრინავები იყო, რომელთაც შეეძლო ისრაელური მირაჟ-III-ისათვის ხელის შეშლა. თუმცა მირაჟ-III თავისი მონაცემებით აღემატებოდა მიგ-21-ს, რაც ჩანს ცხრილიდან:

თვითმფრინავის მახასიათებლები	მირაჟ III*	მიგ-21
ასაფრენი მასა	13,5 ტ	8,6 ტ
ძრავის ძალა	6,2 კგს	5,7 კგს
სისწრაფე მიწასთან 11 კმ სიმაღლეზე	1300/2359 კმ/სთ	1150/2175
მიწასთან აფრენის სისწრაფე	120 მ/წმ	130 მ/წმ
ფრენის სიმაღლე	17 კმ	19 კმ
მოქმედების რადიუსი	900 .კმ	500 კმ
მაქსიმალური ბომდატვირთვა	1800 კგ	1000კგ
რაკეტების გასაშვები კვანძების ოდენობა	3	3

ისრაელისათვის ფრანგებმა დაამზადეს სპეციალური მოდიფიკაცია მირაჟ III CZ, რომელსაც გააჩდა იარაღის მართვის რადიოლოკატორი, ავტომატური სამიზნე და ბომბდაშენის გამომთვლელი. ეგვიპტურ მიგ-21-ებს ასეთი არაფერი გააჩნდა.

პირველივე დარტყმის შედეგად მწყობრიდან იქნა გამოყვანილი მიგ-21-ების 8 რგოლი (24 თვითმფრინავამდე). ამასთან ეგვიპტელებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და 20 მიგ-ი (12 მიგ-21 და 8 მიგ-19) გადაისროლეს სინაის სამხრეთ ნაწილში, რის გამოც მათ მონაწილეობა ვერ მიიღეს სამხედრო ოპერაციებში. ეს ისრაელელთა მარჯვედ გათვლილი დემონსტრაციების შედეგი იყო, რომლებმაც დაარწმუნა ეგვიპტელები, რომ მთავარი დარტყმა მოსალოდნელია ფრონტის სამხრეთით, წითელი ზღვის მხარეს მაშინ, როდესაც ისრაელი მთავარ დარტყმას ფრონტის ჩრდილო მონაკვეთზე, ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით გეგმავდა. საომარი მოქმედების დაწყებიდან მცირე ხანში ხსენებული თვითმფრინავები ჩრდილოეთისაკენ გაფრინდნენ, მაგრამ ეგვიპტური აეროდრომების საფრენი ბილიკები მწყობრიდან იყო გამოყვანილი. ამ თვითმფრინავებმა უაზროდ იბარაჟირა[110] ფრონტის ხაზის სიახლოვეს, სანამ ებრაელთა ნადავლი არ გახდა.

ისრაელის თვითმფინავები ძალიან დაბლა მიფრინავდნენ, რათა ეგვიპტურ რადარებს მათი აღმოჩენა ვერ მოეხერხებინა. ეს ამოცანა შესრულებული იქნა. ისრაელური ავიარგოლები (მინიმალური საბრძოლო ერთეული ავიაციაში) ოთხი თვითმფრინავისგან შედგებოდა, რომლებიც სამიზნეებს სხვადასხვა მიმართულებით უტევდა, ზოგი პირდაპირ, ზოგიც — ხმელთაშუა ზღვის მხრიდან. ისრაელელებმა მოახერხეს ის, რომ ამ დროს რგოლების მართვა არ მოიშალა. პირველივე დღის პირველ ნახევარში მათ შეძლეს,მწყობრიდან გამოეყვანათ 23 ეგვიპტური რადარი (მათგან 16 სინაიზე).

ისრაელელები სამიზნეებს სამ ტალღად უტევდნენ: როდესაც პირველი ტალღა ბომბავდა, მეორე სამიზნისკენ მიფრინავდა, ხოლო მესამე ასაფრენად ემზადებოდა. სულ ისრაელელი პილოტების განრიგი ასეთი იყო:

- სამიზნემდე მიღწევის დრო — 22,5 წუთი;
- სამიზნის თავზე ყოფნის პერიოდი — 7,5 წუთი;
- ბაზაზე დაბრუნება — 20 წუთი;
- ტექდათვალიერება, აღჭურვა, საწვავით გაწყობა — 7,5 წუთი;
  სულ — 57,5 წუთი.

ე. ი. ისრაელის მფრინავებს შეეძლოთ ყოველ საათში გაფრენა. ზოგიერთ მათგანს დღეში რვა გაფრენის გაკეთება უწევდა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ავიაციის ისტორიაში. ამასთან წარმატება მხოლოდ დარტყმის მოულოდნელობით არ აიხსნება. აქ მნიშვნელოვანი იყო ისრაელელთა მიერ საათის ამფეთქებლიანი ბომბების გამოყენება, რომელიც მიწაზე დაცემისთანავე კი არ ფეთქდებოდა, არამედ — გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც არაბები ასაფრენი ბილიკის რემონტს იწყებდნენ.

პირველი დარტყმა 80 წუთი გაგრძელდა, შემდეგ ათწუთიანი შესვენება და კვლავ 80 წუთიანი დარტყმა (დამატებით, გარდა ხსენებული ბაზებისა, მეორე ტალღისას დარტყმები განხორციელდა აგრეთვე ლუქსორის, კაიროს საერთაშორისო, რას-ბანასის, მანსურის, ხელუანის, ალმაზის, ხურგადასა და დეევერსუარის აეროდრომებზე). ორივე დარტყმის შემდეგ ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, როგორც ორგანიზებულმა მთელმა, არსებობა შეწყვიტა. დარჩა მხოლოდ სინაის ერთი აეროდრომი: ერ-ერისი, მაგრამ გაიკვა, რომ ის ისრაელელებს შეგნებულად არ დაუბომბავთ. მისი სწრაფად დაკავების შემდეგ ისრაელელებმა ის ლოგისტიკურ ბაზად გამოიყენეს. ნაშუადღევისათვის, ეგვიპტელთა განადგურების შემდეგ,ისრაელელთა ძალები სირიასა და იორდანიაზე გადაერთვნენ და 25 წუთში გაანადგურეს მათი ავიაცია. ამ დროიდან ისრაელის ავიაციის მთავარ ამოცანად საკუთარი სახმელეთო ძალების მხარდაჭერა იქცა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხო ამოცანაა, ვინაიდან როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ჰაერში ბატონობა ომის მოგების აუცილებელი პირობაა, მაგრამ არ ნიშნავს თავად ომის მოგებას.

ეგვიპტელთა დანაკარგები ასე გამოიყურებოდა:

ბომბდამშენები:	ტუ-16 — 30
	ილ-28 — 27
მოიერიშე	სუ-7 — 10
გამ-ელი	მიგ-21 — 90
	მიგ-19 — 20
	მიგ-15/17 — 82
სულ საბრძოლო	თვ-ვი — 259

სირიელთა დანაკარგები:

ბომბდამშენი	ილ-28 — 2

გამ-ელი	მიგ-21 – 33
	მიგ-15/17 – 23
სულ საბრძოლო	თვ-ავი – 58
იორდანიელთა დანაკარგები:	
გამ-ელი	ჰანტერი – 21
ერაყელთა დანაკარგები:	
ბომბდამშენი	ტუ-16 – 1
გამ-ელი	მიგ-21 – 9
	ჰანტერი – 5
სულ საბრძოლო	თვ-ავი – 15
ლიბანელთა დანაკარგი:	
გამ-ელი	ჰანტერი – 1

სულ არაბებმა დაჰკარგეს 354 საბრძოლო თვითმფრინავი, მათგან 60 ბომბდამშენი და 132 უახლესი მიგ-21. ისრაელელთა დანაკარგი 26 თვითმფრინავი იყო. ამასთან მათ 64 საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს 50 ეგვიპტური მიგი ისე, რომ ისრაელს არც ერთი „მირაჟი" არ დაუკარგავს.

როდესაც ისრაელის საჰაერო ძალების სარდალ გენერალ ჰოდს ჰკითხეს, რამ განაპირობა მათი წარმატება, გენერალმა ოთხი მიზეზი დაასახელა:

- **ადეკვატური მომზადება.** ისრაელი ამ 80 წუთისათვის 16 წელი ემზადებოდა და მოქმედების ადეკვატური გეგმა ჰქონდა. „ჩვენ ვცხოვრობდით გეგმასთან, ჩვენ ვიწექით გეგმაზე, ჩვენ ვიკვებებოდით გეგმით, ჩვენ მუდმივ ვსრულყოფდით გეგმას" (ჩერჩ. 60);
- **დაზვერვის ადეკვატური და მაღალი დონის მუშაობა.** დაზვერვა იძლეოდა ზუსტ მონაცემებს მოწინააღმდეგის ბაზებზე, რადარებზე, სარაკეტო კომპლექსებზე, მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალების გაშლაზე;
- **ოპერატიული მართვის ადეკვატურობა** გამოიხატებოდა იმაში, რომ სიტუაცია ინფორმაციის მოსვლის პარალელურად სწრაფად და ადეკვატურად ფასდებოდა, აგრეთვე დროზე გადაეწოდებოდათ პილოტებს;
- **პილოტების მიერ გეგმის ზუსტად შესრულება.**

რასაკვირველია, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არ დავუჯეროთ გენერალ ჰოდს. მაგრამ, ვიმეორებთ, საჰაერო ციკლის დამთავრების

შემდეგ გადაწყვეტი სიტყვა ისრაელის ჯავშანსატანკო ძალებს უნდა ეთქვა, რომელსაც გენერალი ტალი სარდლობდა. უდაბნოში რომმელისა და ინგლისელების ბრძოლის შემდეგ უდიდესი ჯავშანსატანკო ოპერაცია იწყებოდა.

§ 102
რომმელები ისრაელიდან

დავიწყოთ იმით, რომ მხარეებს სხვადასხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდათ ჯავშანსატანკო ძალების გამოყენებაზე. ისრაელელები თვლიდნენ, რომ ჯავშანსატანკო ძალები კონცენტრირებულად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაშინ როდესაც, ეგვიპტელთა აზრით, ჯავშანსატანკო ძალები ქვეითების გასაძლიერებლად უნდა გამოყენებულიყო (დაახლეობითი პროპორცია: სატანკო ბატალიონი ქვეით ბრიგადაზე და სატანკო ჯგუფი ერთ დივიზიაზე, თუმცა ტანკების ნახევრამდე მაინც ჯავშანსატანკო შენაერთებში გამოიყენებოდა). ასეთი მიდგომა წააგავდა იმას, რასაც ფრანგები იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისას და რამაც აჩვენა ასეთი მიდგომის უსუსურობა. ჩანს, ეგვიპტელებმა სამხედრო ისტორიის გაკვეთილები არ გაითვალისწინეს, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც.

გენშტაბის უფროსის, გენერალ რაბინისა და მისი შტაბის მიერ შემუშავებული გეგმა სამ ეტაპს მოიცავდა. პირველი: ეგვიპტელთა დაჯგუფების გარღვევა მის ორ ყველაზე ძლიერ წერტილში; მეორე: ერთი ჯავშანსატანკო დივიზიის მიერ გარღვევა სუეცის არხთან მდებარე მთიანი მასივისაკენ, რაც ეგვიპტელებს სინაიდან უკანდასახევ გზას მოუჭრიდა; მესამე: ეგვიპტის არმიის საბოლოო განადგურება. ისრაელელებმა დიდი ოდენობის ტანკების მაკეტების გამოყენებით მოწინააღმდეგეს სრულიად სხვა წარმოდგენა შეუქმნეს ძირითადი დარტყმის მიმართულებაზე, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა.

გეგმის თანახმად ტალის დივიზიას უნდა გაერღვია ეგვიპტელთა თავდაცვითი პოზიცია საკვანძო პუნქტ რაფიახთან, გადაეჭრა ეგვიპტიდან ღაზისაკენ მიმავალი რკინიგზა და ხმელთაშუა ზღვაზე გასულიყო ელ-არიშის რაიონში. იოფეს დივიზიას ცენტრში უნდა შეეტია და აღეკვეთა ელ-არიშას გაძლიერებების მცდელობები. ხოლო შარონის

დივიზიას უნდა შეეტია სამხრეთით და დაეკავებია დასახლებული პუნქტი აბუ-აგეილა, ხოლო შემდეგ გაჭრილიყო გიდისა და მიტლას უღელტეხილებისაკენ. ამრიგად, ისრაელმა კლასიკური სტრატეგიის პრინციპი გამოიყენა,კერძოდ,კონცენტრირებული დაჯგუფებით დარტყმა მოწინააღმდეგის საუკეთესოდ გამაგრებულ და საკვანძო პუნქტებზე (რაფიახი, აბუ-აგეილა) და შემდეგ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეტევა.

ეგვიპტელებმა რაფიახიც და აბუ-გეილაც მაქსიმალურად გაამაგრეს. რაფიახ-ერ-არიშის რაიონს ტანკებით გაძლიერებული მე-7 ქვეითი დივიზია იცავდა, საკუთრივ რაფიახს — ბრიგადა. პოზიცია გარშემორტყმული იყო ნალისებრი ფორმის დანაღმული ველებით. სამხრეთით პოზიცია ესაზღვრებოდა დიუნებს,რომლებიც ეგვიპტელებს გაუვალად მიაჩნდათ. სულ ფრონტის ჩრდილო მონაკვეთზე ეგვიპტელთა ორი ქვეითი დივიზია იყო. მონაკვეთი გამაგრებული იყო საფორტიფიკაციო ნაგებობებითა და უწყვეტი მავთულხლართებით. წინ წაწეული იყო ტანკსაწინააღო არტილერია, ხოლო პოზიციის ზურგში — საარტილერიო ბრიგადა.

ტალმა გათვალისწინა ეგვიპტის არტილერიის ძალა და დანაღმული ველების არსებობა და, ფაქტობრივად, უარი თქვა ფრონტალურ შეტევაზე, რასაც ეგვიპტელები ელოდნენ. თავისი დივიზიიდან მან გამოყო ერთი ბრიგადა, რომელიც გამიზნული იყო დაბა რას-იუნისის დასაკავებლად ფრონტის ჩრდილო მონაკვეთის ჩრდილო სექტორში. რას-იუნისის დაკავების შემდეგ (რომლის დროსაც ბრიგადა შეიძლება გაზაში განლაგებული მე-20 პალესტინური დივიზიის დარტყმის ქვეშ აღმოჩენილიყო) ბრიგადას ჩრდილოეთიდან სინაის შარაგზებზე ფორსირებული მარშით კოლონაში უნდა გარემოევლო რაფიახისათვის და გასულიყო მის ზურგში. ტალმა სწორად გათვალა შემდეგი გარემება: ჩრდილო მონაკვეთის ჩრდილო ნაწილში დისლოცირებული იყო ეგვიპტელთა ასამდე ტანკი,რომლებიც მანევრისათვის თავისუფლებას საჭიროებდა და, მაშასადამე, აქ დანაღმული ველების არსებობა ნაკლებ საეარაუდო იყო, ვინაიდან ეგვიპტელთა დანაღმულ ველებზე მათივე ტანკები შეიძლებოდა განადგურებულიყო. ამიტომ, ტალის ვარაუდით, საკმარისი იყო გაერღვია ეგვიპტური ტანკების პოზიცია,რომ დანაღმულ ველებთან შეხვედრის რისკი მინიმალური ხდებოდა. ტალის მეორე ბრიგადას სამხრეთიდან უნდა მოევლო რაფიახის პოზიციებისათვის

და აგრეთვე, ოღონდ უკვე სამხრეთიდან, გასულიყო მის ზურგში (იხ. მომდევნო რუკა).

5 ივნისს, დილით, ტალმა შეტევის ბრძანება მიიღო. 8.15-ზე (ანუ ისრაელელთა პირველი საჰაერო დარტყმებიდან ნახევარი საათის შემდეგ) ისრაელურმა არტილერიამ ინტენსიური ცეცხლი გახსნა. არც



გენერალი ტალი. მისი მოგვარის არ იყოს (მოჭადრაკე მყავს მსედველობაში) ერთ-ერთი ყველაზე ფილიგრანული სტრატეგია რომელსაც ჯაცობრიობა იცნობს. გენერალი ტალი როგორც ჯავსანსატანკო ბალეტის სარდალი ალმათ რომმელის რიგში უნდა ჩავაყენოთ.

ეგვიპტელებს დაუკლიათ. ტალის ჩრდილო ბრიგადა სწრაფად მიუახლოვდა რას-იუნისს. ეგვიპტელთა გააფთრებული ცეცხლის მიუხედავად, მათ გაარღვიეს თავდაცვითი პოზიციები და აიღეს რას-იუნისი (ზოგიერთ რუკაზე ეს დასახლებული პუნქტი აღნიშნულია, როგორც ხან-იუნისი). ისრაელელებმა სატანკო ბრძოლებისას 50-მდე ტანკი გაანადგურეს. ხან-იუნისის დაკავების შემდეგ ბრიგადის ორმა ბატალიონმა შეაღწია რაფიახსა და ხმელთაშუა ზღვას შორის ვიწრო ზოლში,დაამარცხა კონტრშემტეევი ეგვიპტური ბრიგადა. ეგვიპტელებთან

კიდევ ერთი ღამის ბრძოლის შემდეგ, 6 ივნისს, დაიკავა ერ-არიში და იქ მდებარე აეროდრომი. დანაკარგები ისრაელელებსაც საგრძნობი ჰქონდათ: დაიღუპა 25 ტანკის მეთაური, მათ შორის ერთი — სატანკო ბატალიონისა. ეს დანაკარგები იმით აიხსნება, რომ ისრაელის ტანკების მეთაურები პოზიციის უკეთ აღქმის მიზნით ახდილი სატანკო ლუკებიდან იყურებოდნენ და ისე აძლევდნენ ბრძანებებს ტანკისტებს. ამ დროს ისინი დაუცველნი იყვნენ ეგვიპტელთა საცეცხლე საშუალებებისგან (მათ შორის სნაიპერებისგან).

სამხრეთ დაჯგუფებამ გაარღვია გამაგრებები რაფიახის სამხრეთ და დიუნების უკიდურეს ჩრდილო მონაკვეთს შორის და გავიდა ეგვიპტელთა პოზიციის ზურგში, სადაც მოულოდნელად გადააწყდა კიდევ ერთ ბრიგადას. ისრაელელებმა ეგვიპტელთა 40 ტანკი გაანადგურეს, მაგრამ ალყაში აღმოჩნდნენ. ტალმა, რომელსაც ერთი ბრიგადა რეზერვში ჰყავდა, სასწრაფოდ გამოყო ერთი მოტოქვეითი ბატალიონი. მან აგრეთვე უბრძანა რაფიახისა და ელ-არიშის გაწმენდით დაკავებულ ჩრდილოეთის ბრიგადას, ყველა თავისუფალი ძალით მიხმარებოდა სამხრეთ ბრიგადას. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მოახერხეს სამხრეთის ბრიგადის დებლოკირება და დროულადაც. ამ უკანასკნელს ტყვია-წამალი უთავდებოდა. ფრონტის ხაზზე მისულმა ტალმა აღმოაჩინა, რომ სამხრეთ ბრიგადა ისე იყო დასუსტებული, რომ საბრძოლო მოქმედების გაგრძელება ერთ ბატალიონსღა შეეძლო. დებლოკადამ შედეგი გამოიღო, ეგვიპტურმა ბრიგადამ, რომელმაც პრაქტიკულად მთელი სატანკო პარკი და 1000-მდე მეომარის დაკარგა, სწრაფად იწყო უკანდახევა. ამით დამთავრდა ჩრდილოეთ მონაკვეთზე ბრძოლების პირველი ეტაპი. ტალმა დაპირება შეასრულა. ომის დაწყების წინ გენშტაბის უფროს რაბინს ტალისთვის უკითხავს: „რამდენ ხანში აიღებ ერ-არიშსო". „ოც საათში", — უპასუხია ტალს. „ნუ მაბრუებო", — გაბრაზებულა რაბინი. ტალი, თურმე, მართლაც ატყუებდა გენშტაბის უფროსს. მისმა ძალებმა ელ-არიში 12 საათში აიღეს. 12.45 წუთზე ისრაელელებმა აიღეს ქალაქი ღაზა.

ცენტრალურ მონაკვეთზე იოფეს დივიზიამ დილის 5 საათზე დაიწყო შეტევა რაფიახის პოზიციების სამხრეთით მდებარე დუინებზე, რომლებიც ეგვიპტელებს გაუვლად მიაჩნდათ და მნიშვნელოვნად არც კი გაუმაგრებიათ. დივიზიის ტანკები ყველაზე დაბალი სიჩქარით ფრთხილად მიიწევდნენ დუინებში. მათი მთავარი ამოცანა იყო — არ

დაეშვათ ეგვიპტელთა შეტევა ტალის სამხრეთ ფლანგზე. დივიზიამ 9 საათი მოანდომა 60 კილომეტრის გავლას და განლაგდა ისე, რომ ეგვიპტელთათვის ხელი შეეშალა ელ-ერიშის მიმართულებით ჯებელ-ლიბნიდან და აბუ-აგეილიდან დამხმარე ძალების გადასროლაში. გათვლა მართებული აღმოჩნდა. ეგვიპტელებმა ჯებელ-ლიბნიდან ელ-არიშისაკენ მართლაც გაგზავნეს ჯავშანსატანკო ბრიგადა და ქვეითი ბრიგადის ნაწილი. იაფეს ძალებმა ბირ-ლიფხანთან მათ ბრძოლა გაუმართა და 14 ტანკი გაუნადგურა. ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. ისრაელელები სწრაფად რთავდნენ პროჟექტორებს, ხსნიდნენ ცეცხლს და სწრაფადვე აქრობდნენ. ეგვიპტელებმა რატომღაც არ გამოიყენეს ინფრაწითელი პროჟექტორები, რომლებიც მათ ებრაელებისგან განსხვავებით საკმაოდ ჰქონდათ. დილით ბრძოლის ველის თავზე ისრაელელთა ავიაცია გამოჩნდა, რომელიც უკვე გადართული იყო სახმელეთო ჯარის მხარდაჭერაზე. საავიაციო დატყმებს ეგვიპტელებმა ვერ გაუძლეს, ბრძოლის ველი მიატოვეს და გაიქცნენ.

ამ ფოტოზე გენერალი იოფე ისევ მიკრომიოლოგიის პროფესორია და წარმოდგენა არა აქვს, იმაზე რომ მისი სამშობლოს მედი მალე მისი გადასაწყვეტიც იქნება

სამხრეთის ფრონტზე შარონის დივიზიის მთავარი სამიზნე აბუ-აგეილა იყო. მას მე-2 ქვეითი დივიზია იცავდა. მისი ტანკები — 88 მოდერნიზებული ტ-34 ძირითადი პოზიციებიდან რამდენიმე კილომეტრით უკან იყო განლაგებული. შარონის თქმით, ეგვიპტელები რუსების ტაქტიკას იყენებდნენ, რაც ისრაელელთათვის ხელსაყრელი იყო, ვინაიდან საშუალებას აძლევდა შემტევებს, თავი აერიდებინათ ფრონტალური შეტევებისათვის. შეტევის გეგმა შარონმა საბრძოლო

მოქმედებების დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე შეიმუშავა. ამასთან, ისრაელელებს ჰქონდათ გარემოს ქვიშის მაკეტი, რომელზეც ოფიცრები დაწვრილებით სწავლობდნენ შესაძლო მოქმედების სახეს.

შარონის ჩანაფიქრი შემდეგ მომენტებს მოიცავდა:

შარონმა შეტევა ორშაბათს 9.00-ზე დაიწყო. მისმა ტანკებმა სწრაფად დაიკავა ეგვიპტის მეორე დივიზიის გამაგრებების პირველი პოზიცია. ტანკებს უკან მოჰყვებოდა 6 საარტილერიო ბატალიონი. ოდნავ უკან სამოქალაქო ავტობუსებით გადაადგილდებოდა მოტოქვეითი ბრიგადა (ისრაელელი პილოტები ხუმრობდნენ: „ჩვენებს ნაყინის, ჰოთდოგებისა ან რძის ფურგონებით ვცნობდითო“).

ამ ფოტოზე გენერალი შარონი უკვე სამოქალაქო პირია

არტილერიამ გამანადგურებელი ცეცხლი გახსნა. ფრონტის ხაზიდან 10 კმ-ში ქვეითები ავტობუსებიდან ჩამოვიდნენ. ავტობუსები უდაბნოში ჩაეფლო. ქვეითებმა ფეხით გაიარეს ათი კილომეტრი და დაიკავეს გეგმით გათვალისწინებული პოზიციები ეგვიპტელთა მარცხენა (ჩრდილოეთის) ფლანგის წინააღმდეგ.

ამასობაში მობილულურმა ჯგუფმა ეგვიპტელთა ზურგში გასვლის მიზნით აბუ-აგეილას ზურგში გასვლა დაიწყო. ამ მანევრისას მათ სერიოზული შეტაკება მოუწიათ ეგვიპტურ ბატალიონთან. ეგვიპტელებმა პირველი შეტევა მოიგერიეს და ისრაელელებს 7 ტანკი დაუწვეს. ებრაელებმა ავიაცია გამოიხმეს, მაგრამ ცუდი ხილვადობის პირობებში მან ვერაფერი მოახერხა. 15.30-ზე, განმეორებითი შეტევის შემდეგ, ისრაელელებმა წინ წაიწიეს და შარაგზაზე ისეთი პოზიცია დაიკავეს, რომელიც ერთდროულად იძლეოდა როგორც აბუ-აგეილას, ისე ჯებელ-ლიბნის ბლოკირების საშუალებას.

ღამით ისრაელელებმა საწვავი და საჭურველი მიიღეს, მაგრამ შეტევა აღარ განუახლებიათ. ამავდროულად შარონმა მეორე მობილური ჯგუფი გააგზავნა, რომელმაც სამხრეთიდან შემოუარა არაბთა პოზიციებს და დაბლოკა ისინი. ეგვიპტელთა მოწინავე ძალები სინაის მთელ ფრონტზე იზოლირებულები აღმოჩნდა.

დაღამებისთანავე შარონმა თავისი გეგმის თანახმად შვეულმფრენებით გადაისროლა მედესანტეთა ბატალიონი. ჯარები შარონის გეგმით განსაზღვრულ საწყის პოზიციაზე აღმოჩნდა. 23.15-ზე შარონის მიერ საბრძოლო პოზიციებზე განლაგებულმა ექვსმა არტბატალიონმა ინტენსიური ცეცხლი გახსნა. ტანკები და ქვეითები შეტევაზე გადავიდნენ. ყოველ ბატალიონს უნდა გაეწმინდა მოწინააღმდეგის განსაზღვრული ტრანშეა. ამასთან, ყოველ ბატალიონს ჰქონდა განსაზღვრული ფერის ფერადოვანი ფანრები, რომლებიც უნდა აენთო პოზიციის დაკავების შემდეგ, რათა თავისიანების ცეცხლის ქვეშ არ აღმოჩენილიყო. ისრაელები ფართოდ იყენებდნენ პროჟექტორებს მოწინააღმდეგის პოზიციების გასაშუქებლად. 00.30-ისთვის ეგვიპტელთა ცეცხლმა შესუსტება იწყო. ისრაელელმა ქვეითებმა გეგმით გათვალისწინებული ორი კილომეტრის ნაცვლად თითქმის ექვსი კილომეტრის სიღრმეში მოახერხეს ეგვიპტელთა ტრანშეების გაწმენდა. ისრაელელებმა მაშინვე, ღამის მიუხედავად, დაიწყეს გასასვლელების კეთება დანაღმულ ველებში. შარონი ჩქარობდა, ის ცდილობდა სრულად გამოიყენებინა უპირატესობა, რომელიც ისრაელელებს ღამის ბრძოლებში ჰქონდათ, უპირატესობა, რომელიც წლების განმავლობაში წვრთნებით იყო ჩამოყალიბებული.

03.30-ზე შარონმა ტალს (რომელიც, გარდა ჩრდილოეთი დაჯგუფებისა, სინაის ფრონტზე მთელ სახმელეთო ჯარებს სარდლობდა) მოახსენა, რომ აბუ-აგეილა დაკავებულია. თუმცა ცალკეული შეტაკებები დილის 6 საათამდისაც კი გრძელდებოდა, მაგრამ ბრძოლის ბედი ნათელი იყო. თუმცა შარონს მოულოდნელი პრობლემა გაუჩნდა: იმის გამო,რომ მისმა დაჯგუფებამ ძალიან სწრაფად დაიკავა ეგვიპტელთა პოზიციები, მათ შორის იმ სექტორში, სადაც იაფეს უნდა შეეტია, პრობლემატური გახდა იოფეს ძალებისათვის „თავისუფალი ველის" შექმნა, ანუ იაფეს შემტევ დაჯგუფებას იმ გზებზე უნდა გაევლო, რომლებიც გადატვირთული იყო შარონის შემტევი ნაწილებით. შარონმა პრობლემა იოლად გადაწყვიტა. გამთენიისათვის სამოქალაქო

ავტობუსები და სამხედრო ტექნიკა უბრალოდ გადაათრიეს შარაგზის მიმდებარე უდაბნოში. იოფეს დივიზიას ოპერატიულ სივცეზე გასვლის საშუალება მიეცა. შედეგმაც არ დააყოვნა. ოპერაციის ჩანაფიქრი ასრულებული იყო — ეგვიპტელთა პოზიციების ორი უძლიერესი კვანძი განადგურებული.

საბრძოლო მოქმედებების მესამე დღისათვის ისრაელელებმა თავის გასაკვირად აღმოაჩინეს, რომ მოწინააღმდეგე უბრალოდ ტოვებს პოზიციებს და გარბის. დაიწყო ერთგვარი რბოლა, სადაც ეგვიპტელებისათვის ფსონი გადარჩენა იყო, ხოლო ისრაელ-ელებისათვის — მოწინააღმდეგის, რაც შეიძლება, დიდი ოდენობის პერსონალის დატყვევება და ტექნიკის წართმევა. ისრაელელებმა ეს რბოლა მოიგეს.

ოთხშაბათს გათენებისას ერთმანეთს შეხვდნენ გენერალი ტალი და გენერალი იოფე. იოფე ჯერ კიდევ გაკვირვებული იყო არმიაში დაბრუნებით. ბოლო წლების განმავლობაში ის ხომ არმიიდან დათხოვილი იყო და საფრანგეთში ეკოლოგიის პრობლემებს სწავლობდა. ისრაელის არმიაში ის ოპერაციის დაწყებამდე სამი კვირით ადრე დააბრუნეს. შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ ტალი ჩრდილოეთის გზის (ბირ-გიფგაფამდე მიმავალ) მიმართულებით შეუტევდა, ხოლო იოფე ტალის სამხრეთით მიტლას ულელტეხილის მხარეს განაახლებდა შეტევას. ტალმა ღამის მარშის შედეგად გაანადგურა საბჭოთა თვითმავალი დანადგარების დაჯგუფება, გააგრძელა შეტევა, მაგრამ თავისთვის მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ეგვიპტელთა ჩასაფრებაში აღმოჩნდა, თუმცა ტალმა ალყა ადვილად გაარღვია და ბირ-გიფგაფისკენ სვლა გააგრძელა.

ამასობაში იოფეს ძალებმა ბირ-ჰასნე აიღეს. იოფე ასე აღწერს სიტუაციას: "Мы, словно безумные, рынулись в межгорный проход, называемый перевалом Митле. Это слово известно всему Из-раелю. Одиннадцать лет до этого перевал был занят парашютис-тами под командованием генерала Шарона. Он тянется на 23 километра, и кто владеет им, фактически является хозяином всех подступов к каналу. Приказано было окружить неприятельские силы и задержать их отступление к каналу" (33, 204).

ბირ-ჰასნედან ორმა სატანკო ბატალიონმა კოლონელ იცკას

მეთაურობით მიტლას უღელტეხილს მიაღწია. 60 საათის განმავლობაში მათ განსაცვიფრებელი მარში განახორციელეს. ეგვიპტელები საკმაოდ ეფექტიან ზემოქმედებას ახდენდნენ ისრაელურ ლოგისტიკაზე. ბევრი სატვირთო ავტომობილი განადგურდა. მიტლას უღელტეხილამდე 15-20 კილომეტრში ისრაელელების ტანკებს საწვავი უთავებდებოდათ. იმ ტანკებმა, რომელთაც საწვავი კიდევ ჰქოდათ, საწვავგათავებული ტანკები ბუქსირზე აიყვანეს და ისე გააგრძელე გზა. ამასობაში ტალმა ორი სატანკო ბატალიონი ბირ-გაფგაფის ჩრდილოეთით გაგზავნა, ხოლო ფრანგული მსუბუქი ტანკების ბატალიონი ბირ-გაფ-გაფს დასავლეთით, რათა არ დაეშვა ეგვიპტელთა რეზერვების ბრძოლაში ჩართვა. ტალმა და იაფემ ეგვიპტელებს უკანდასახევი გზა მოუჭრეს, ხოლო შარონი ეგვიპტელთა ნარჩენებს ხაფანგისაკენ ერეკებოდა. გათენებისას შარონის ტანკები მოულოდნელად წააწყდა UC-3-ის ტიპის მძიმე ტანკებს, რომელთაც მათთვის დიდი ზარალის მიყენება შეეძლო. ებრაული ბრიგადა სასწრაფოდ გადაეწყო საბრძოლო მწყობრზე და მოწინააღმდეგეს შეუტია. არაბების ტანკები ადგილიდან არ იძროდა. ებრაელები თვალებს არ უჯერებდნენ. მთელ ბრიგადას თავისი მძიმე ტექნიკა მიეტოვებია და გაქცეულიყო. მალე ისრაელელებმა ამ ბრიგადის მეთაური ტყვედ აიყვანეს. მან წარუმატებლობა იმით ახსნა, რომ ებრაელები ისე არ ომობდნენ, როგორც მათ ასწავლიდნენ (იგულისხმება საბჭოელი ინსტრუქტორები). მისი თქმით, ებრაელების ქმედებამ მთელი ჩანაფიქრი ჩაუშალა. თუმცა, გაუგებარი რჩება ეგვიპტელებს საბჭოელები არ ასწავლიდნენ საბჭოთა სამხედრო აზრისათვის ისეთ ბანალურ ჭეშმარიტებას, როგორიცაა ცალკე მობილური ჯგუფების მოქმედება, თუ ეგვიპტელებმა უბრალოდ ვერ აითვისეს ასეთი რამ. მოგვიანებით ამ ეგვიპტელ გენერალს შარონი შეხვდა. იგი დაინტერესდა იმით, თუ რას ელაპარაკებოდა ეგვიპტელი გენერალი თავის ჯარისკაცებს ბრძოლის წინ. ეგვიპტელმა უპასუხა,რომ არც კი მოსვლია აზრად ჯარისკაცებთან საუბარი, რის შემდეგაც თავს შარონის მრისხანე ტირადა დაიმსახურა: "В этом как раз и состоит разница между нами" - заметил Шарон. "Я часами беседую со своими солдатами о войне и о предстоящих боях. Я отношусь с большим уважением к своим людям, а египетские офицеры презирают

своих солдат. Я считаю, что египтяне - хорошие солдаты. Они простые и малокультурные, но выносливые и дисциплинированные люди. Они хорошие артиллеристы, хорошие саперы и хорошие стрелки, но их офицеры - дерьмо. Их офицеры воюют только по заранее разработанному плану. Если не считать минного поля между Бир Хасне и Нахлом, которое было, вероятно, заложено до войны, египетские офицеры после нашего прорыва не устанавливали мин и не делали засад на всем пути нашего продвижения" (33, 276).

რა ექნათ საწყალ ეგვიპტელებს? ისე იბრძოდნენ და ჯარისკაცებს ისე ექცეოდნენ, როგორც საბჭოელებმა ასწავლეს. შარონის სიტყვები დასავლური და საბჭოური სტრატეგიების კვინტესენციაა. კარგი იქნება, თუ ამას საბჭოურ თუ ნეოსაბჭოურ ყაიდაზე აღზრდილი ქართველი ოფიცრებიც გაითვალისწინებენ.

ცენტრალურ ფრონტზე შუაღამისას ეგვიპტელებმა კონტრშეტევა სცადეს. ისინი ისმაილიიდან გამოვიდნენ და მოულოდნელად წააწყდნენ ისრაელელთა კოლონას, რომელშიც მსუბუქი ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები იყო (ეს კოლონა ტალმა სწორედ იმ მიზნით გაგზავნა, რომ ეგვიპტელთა შესაძლო კონტშეტევა მოეგერიებინა. იხ. ზემოთ). შეხვედრას არც ერთი მხარე არ ელოდა, თუმცა ცეცხლი ორივემ ოპერატიულად გახსნა. ეგვიპტელთა ჭურვი თვითმავალ ნაღმსატყორცს მოხვდა, რომელიც ნაღმებთან ერთად აფეთქდა და 20 ისრაელელის სიცოცხლე შეიწირა. ისრაელელებმა პოზიცია შეინარჩუნეს, თუმცა კილომეტრით უკანდახევის ფასად, ამასობაში მათ ტალის გამოგზავნილმა საშუალო ტანკების კოლონამ მოუსწრო, რომლებმაც 10 ტ-55 დაწვეს და საწყისი პოზიცია აღადგინეს.

ეგვიპტელები ბირ-გიფგაფის სამხრეთით გადაადგილდნენ და სცადეს იქიდან გაერღვიათ ებრაელთა პოზიციები. ხანმოკლე სისხლიანი ბრძოლის შემდეგ ეგვიპტური ბრიგადა განადგურდა.

ამასობაში ეგვიპტელთა კოლონები აღმოსავლეთ სინაიდან დასავლეთისაკენ დაიძრნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მიტლას უღელტეხილით გააღწევდნენ სამშვიდობოს. ებრაულმა ავიაციამ ისე იმუშავა, რომ უღელტეხილი ყველა ტიპის ბორბლიანი ტრანსპორტისათვის გაუვალი იყო. მანქანების მასა უღელტეხილთან დაჯგუფდა და ძალიან დაზიანდა

ისრაელის ავიაციის მიერ, რომელიც ნაპალმისა და მსხვრევად ბომბებს იყენებდნენ. თუმცა, გადარჩენილებმა გაფთრებით შეუტიეს ულელტეხილს იმ იმედით, რომ უვნებლად გაარღვევდნენ ალყას. იცკას სატანკო ბრიგადას გაუჭირდა. იაფემ მას კიდევ ერთი ბრიგადა მიაშველა. აქ ერთი კურიოზული ფაქტი მოხდა: სიბნელეში ისრაელის ბრიგადის ნაწილი დაეწია ეგვიპტურ კოლონას, რომელიც იმავე მიმართულებით მოძრაობდა მიტლას მიღწევის იმედით. რთული იყო, გაერჩიათ ვინ არაბი იყო და ვინ — ებრაელი. ისრაელელთა მეთაურმა გამჭრიახობა გამოიჩინა და კოლონას ასეთი ბრძანება გასცა: „ყველა ისრაელური ტანკი გადავიდეს მარჯვნივ, ქვემეხები მოაბრუნოს მარცხნივ, მაქსიმალური სისწრაფით წავიდეს წინ და გამუდმებით გაუხსნას ცეცხლი მარჯვნივ მყოფ ყველა სამიზნეს". მანევრი წარმატებით განხორციელდა.

დატოვეს რა უდაბნოში ეგვიპტელთა ნაშთები, ტალმა და იოფემ ჯარებს უბრძანეს შეტევა არხის მიმართულებით. მარშს ართულებდა აგვიპტელთა დიდი ოდენობის დამწვარი ტექნიკა, რომელიც ისრაელის ავიაციამ გაანადგურა. არხის სიახლოვეს იაფეს ჯარებმა აღმოაჩინა ეგვიპტელთა სამი გამაგრებული პოზიცია,რომელთა გარღვევა პირდაპირი შეტევით ვერ შეძლო. ებრაელებმა თავიანთ კოზირს — ღამის სატანკო შეტევას — მიმართეს. შუაღამისკენ ტანკები ანთებული ფარებით ეგვიპტელთა შტურმზე წავიდნენ. ეგვიპტელებმა ვერ გაუძლეს და გაიქცნენ. ღამის ორი საათისათვის იაფეს ჯარების სამი კოლონა სუეცის არხის დასავლეთ სანაპიროზე გავიდა (შესაბამისად ეგვიპტურ დასახლებულ პუნქტ შალუფას პირდაპირ, დასახლებულ პუნქტ რასსუდრასთან და მცირე მლაშე ტბის რაიონში).

ტალმა თავისი ჯარები ისმაილიის მიმართულებით გააგზავნა. იქ მყოფმა ეგვიპტურმა დაჯგუფებამ თავდაპირველად გააფთრებული წინააღმდეგობა გასწია და ათამდე ებრაული ტანკი გაანადგურა. შემდეგ ისრაელელებმა ტაქტიკა შეცვალეს. მათი ორი ბატალიონი წინ ფრთხილად მიიწევდა და ცეცხლს თავის თავზე იღებდა, ხოლო უკან მიმავალი ბატალიონი ამგვარად გამოვლენილ სამიზნეებს ახშობდა. ტაქტიკამ გაამართლა. ეგვიპტელებმა ასამდე ტანკი დაკარგეს და უკან დაიხიეს. ტალის დაჯგუფებამ ისმაილიას პირდაპირ მიაღწია არხს.

სამხედრო მოქმედებები დასრულდა. სინაის კამპანიაში ისრაელელებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის 7 დივიზია და გაანადგურეს (ან ხელში ჩაიგდეს) 700 ტანკი.

§ 103
ისრაელის წარმატების მიზეზები

გარდა ჰაერში ბატონობის სწრაფად მოპოვებისა და ჯავშანსატანკო ძალების უკეთესი ორგანიზაციისა, მომზადებისა და მართვისა, ისრაელელთა წარმატების მიზეზები სრულიად სხვა პლანშიცაა საძიებელი. ის ადამიანებს შორის ურთიერთობას, იმას ეხება, რასაც ცივილიზაციურ პარამეტრებს ეძახიან. ჯერ ერთი, ებრაელთა რიგითი შემადგენლობის განათლების დონე, გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით მაღალი იყო ეგვიპტელებისაზე. საპირისპიროდ გავრცელებული აზრისა, რომ, რაც უფრო გაუნათლებელი და უწიგნურია ადამიანი, მით უფრო უშიშარია ის, უნდა აღინიშნოს შემდეგი: **სისტემა „ომი" არის გაურკვევლობის პირობებში გამუდმებით ყოფნა. შესაძლოა, გაუნათლებელი ადამიანი დაუფიქრებლად ასრულებდეს ბრძანებას (განათლებული შეიძლება ბრძანების სამართლიანობაზე ფიქრობდეს), მაგრამ როდესაც გაურკვევლობა მას, პირადად მას, ეხება, ის ყოველთვის უფრო არაადეკვატურ ქმედებას ჩაიდენს ვიდრე განათლებული ადამიანი. განათლებულმა ადამიანმა იცის, პიროვნულად რისთვის იბრძვის, გაუნათლებელი იბრძვის იმისთვის, რაც ზემდგომმა მეთაურმა უთხრა თუ უბრძანა (შდრ. ზემოთ ციტირებულ შარონის სიტყვებს).**

გარდა წმინდა სამხედრო ცოდნისა, ისრაელელი ოფიცრების უპირატესობა სწორედ ამაში იყო. მათ იცოდნენ, რომ ეს მათი ომი იყო, იცოდნენ, რომ ამის შესახებ უნდა ესაუბრათ (ხშირად ედავათ კიდეც) ჯარისკაცებთან, რათა ამ უკანასკნელთ ეგრძნოთ, რომ ნახირი კი არა, სამშობლოს დამცველები არიან. ისრაელელი ოფიცრების მოქმედების თავისუფლება გაცილებით მაღალი იყო. არავითარი წესდებით არ იყო გათვალისწინებული, რომ ტალი მანცადამაინც შემოვლით მანევრზე წასულიყო, ხოლო იაფე — ღამის შეტევაზე. მათი ქმედებები და დაგეგმვა ხისტი და დოგმატური კი არ იყო,როგორც ეგვიპტელებისა, არამედ — ელასტიური და მოქნილი. საკმარისი იყო, თუნდაც კარგად მეომარი ეგვიპტელი წესდებით გაუთვალისწინებელ ვითარებაში მოგექცია, რომ იბნეოდა (სხვათა შორის, გენერალი ჰალდერი ამასვე ამბობს მეორე მსოფლიო ომისას ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა ოფიცრებზე, რომელთა პირად სიმამაცესაც პატივს მიაგებს). ამოსავალი მარტივია:

ჯარისკაცი ადამიანია, ხოლო ოფიცერს ნუ უზღუდავ ადგილზე მოქმედების თავისუფლებას. მან უკეთ იცის, რაც ხდება ადგილზე. თუმცა, ამ მარტივ ჭეშმარიტებას მხოლოდ დემოკრატიული სისტემები ახორციელებენ, სადაც სახელმწიფო არსებობს ინდივიდებისათვის და არა პირუკუ. თუმცა, ამ თემაზე საუბარი უკვე ფილოსოფიის საქმეა და არა სტრატეგიისა.

თავი 10
იდეოლოგიური ომი. „ცივი ომის" არსი და დასავლეთის გამარჯვების მიზეზები

§ 104
იდეოლოგიური ომის ცნება

მესამე დედუქციურ სტრატეგიულ კონცეფციას იდეოლოგიური ომის თეორია წარმოადგენს. განსხვავებით პირველი ორისაგან, იგი არ ემყარება უპირატესად სამხედრო მეთოდების გამოყენებას. მისი ამოცანაა დიდი სტრატეგიის არსენალში შემავალი ყველა საშუალებების გამოყენებით მოწინააღმდეგე მხარის მენტალობაზე იმგვარი ზემოქმედება შეძლოს, რომელიც მასში ჩაკლავს წინააღმდეგობის ნებას. ამის შემდეგ ისევე, როგორც ყველა სხვა დედუქციურ სტრატეგიაში, სამხედრო ძალის გამოყენება მხოლოდ აფორმებს (ოპერატიულ და ტაქტიკურ, აგრეთვე გლობალურ და რეგიონალურ გეოსტრატეგიულ დონეებზე) იმ გამარჯვებას, რომელიც უკვე მიღწეულ იქნა სტრატეგიულ დონეზე. ამასთან, ყველაზე წარმატებული იდეოლოგიური ომისას, რომელსაც შედეგად სსრ კავშირის დაშლა მოჰყვა, დასავლეთს აღარც კი დასჭირდა სამხედრო ძალის გამოყენება. სსრ კავშირი ამის გარეშეც დაიშალა.

იდეოლოგიური ომის პიონერებად რუსი ბოლშევიკები შეიძლება მივიჩნიოთ. ოღონდ გასათვალისწინებელია ის, რომ ისინი არატრადიციული ომისათვის ემზადებოდნენ — მსოფლიო რევოლუციური ომისათვის. მისი წინაპირობა უნდა გამხდარიყო რუსეთში ხელისუფლების ხელში ჩაგდება, რაც არსებული სახელმწიფო სტრუქტურების პარალიზების გზით შეიძლებოდა მომხდარიყო.

მსოფლიო რევოლუციურ ომზე გზას უნდა გაევლო სამოქალაქო ომში გამარჯვებაზე რუსეთში (ლენინმა კლაუზევიცის ფორმულის მოდიფიკაციაც კი მოახდინა, რომელიც ჟღერდა უკვე არა როგორც — „ომი არის სახელმწიფოს პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით", არამედ როგორც — „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით". ლენინმა, ამოაგდო რა სიტყვა „სახელმწიფო", კლაუზევიცის ფორმულა მოარგო როგორც სამოქალაქო ომს, ისე მსოფლიო რევულუციურ ომს. ამ სახის ორივე ომის სპეციფიკა ისაა, რომ სახელმწიფო არ არის სამხედრო მოქმედებების სუბიექტი). ამისათვის კი, როგორც ვთქვით, რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის, არმიის სრული პარალიზება უნდა მომხდარიყო. ამისათვის ბოლშევიკები ყველაფერს კადრულობდნენ — გერმანიის გენშტაბისგან ფულის აღებით დაწყებული და მსოფლიო ომში ჩართული საკუთარი არმიის ძალმოსილების მოშლით დამთავრებული. და კიდეც მიაღწიეს მიზანს; უფრო ზუსტად — ნაწილობრივ. რუსეთში ხელისუფლება ხელთ იგდეს, მაგრამ მსოფლიო რევოლუცია ვერ მოახდინეს. არადა, მათი იდეოლოგიის მოწინააღმედეგე სახელმწიფოებთან თანაარსებობა მათ არ შეეძლოთ. კომუნისტური (და ფაშისტური) იდეოლოგიები ტიპოლოგიურად ჯიხადის ტიპის ომებზე იყვნენ ორიენტირებულები, ანუ ისეთ ომებზე, რომლებიც მიზნად სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციას კი არ ისახავდა, არამედ — მსოფლიოს დაპყრობას და მის ერთ ჰომოგენურ სისტემაში მოქცევას. ამ აზრით „ცივი ომისათვის" პირობები უკვე მაშინ ჩაისახა, როდესაც მარშალმა პილსუდსკიმ ბოლშევიკთა ურდოები ვარშავასთან დაამარცხა და მათ დასავლეთისაკენ გაჭრის საშუალება არ მისცა. დასავლეთსა და ბოლშევიკებს შორის „ცივი ომის" დაწყება უბრალოდ იმან გადაავადა, რომ სხვა, დასავლეთთან გეოგრაფიულად უფრო ახლო მყოფი ტოტალიტარი ტირანი — ჰიტლერი — გამოჩნდა, რომელმაც ისეთი საფრთხე შეუქმნა დასავლეთს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, დროებით რუსული კომუნისტური იმპერიის ლიდერთან — სტალინთან — მოკავშირეობაზე წასულიყო.

ჰიტლერი არანაკლებ ფლობდა იდეოლოგიური ბრძოლის ელემენტებს, ვიდრე რუსი ბოლშევიკები. მისი ამოცანა იყო სხვადასხვა სახის აქციებით მოწინააღმდეგის ნების პარალიზება მანამ, სანამ საქმეში გერმანული ჯარები ჩაერთვებოდა. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში

მოსვლამდე ჰიტლერი თავის სტრატეგიას ასე განმარტავდა: „ჩვენ გვჭირდება არმია. არა მხოლოდ კარგად გაწვრთნილი სპეციალური ძალები, არამედ მასობრივი არმიები. მაგრამ ჩვენ არ გამოვიყენებთ მათ ისე, როგორც 1914 წელს ვიყენებდით. ისევე როგორც სასანგრე ომისას (იგულისხმება პოზიციური ბრძოლები პირველი მსოფლიო ომისას – კ.კ.) ქვეითების ფრონტალურ შეტევას არტმომზადება უძღოდა, ასევე მომავალში, სანამ არმიას ავამოქმედებთ, ჩვენ მოწინააღმდეგეს ფსიქოლოგიურად დავასუსტებთ რევოლუციური პროპაგანდის გზით. მტრულად განწყობილი ერი უნდა დემორალიზებულ იყოს და გაუჩნდეს კაპიტულაციის მზაობა, ის ფსიქოლოგიურად უნდა ვაიძულოთ, რომ პასიური იყოს. სამხედრო მოქმედებებზე მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ. როგორ მივაღწიოთ მოწინააღმდეგეზე მორალურ გამარჯვებას ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე? ეს არის კითხვა, რომელიც მე გამუდმებით მაწუხებს. დაბნეულობა, შინაგანი ბრძოლა, გაუბედაობა, პანიკური შიში – აი ჩვენი იარაღი. თქვენ ხომ იცით რევოლუციების ისტორია. ყველგან ერთიდაიგივეა. გაბატონებული კლასები კაპიტულაციას ახდენენ. რატომ? იმიტომ რომ ისინი კაპიტულანტობაში ვარდებიან. მათ მეტად აღარ აქვთ ნება. რევოლუციური მოძღვრება არის ახალი სტრატეგიის საიდუმლო. მე ბოლშევიკებისაგან ვსწავლობდი. და ამის თქმის არ მრცხვენია. ადამიანთა უმრავლესობა თავისი მტრებისაგან სწავლობს. იცნობთ მოძღვრებას სახელმწიფო გადატრიალებაზე (იგულისხმება ლენინის შეხედულებები ამ საკითხზე – კ.კ.)? ჩაუჯექით ამ საგანს და გეცოდინებათ, როგორ მოიქცეთ" (26, 25). ჰიტლერი ამ საგანს ისე კარგად ჩაუღრმავდა, რომ ლამის მთელი ევროპა დაიპყრო და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ომი გააჩაღა, ისეთი, რომ კაცობრიობა მისი ქმედების შედეგებს აგერ, ამ ომის დამთავრებიდან 60 წლის შემდეგაც, იმკის. მეტიც, ჰიტლერის დამარცხებას კიდევ ერთი იდეოლოგიური ომი მოჰყვა, „ცივ ომად" წოდებული. თანაც ეს იდეოლოგიური ომი ისეთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ფაქტს დაემთხვა, როგორიც ბირთვული იარაღის შექმნა იყო. რამდენადაც „ცივი ომი" ყველაზე მასშტაბური იდეოლოგიური ომი იყო (ფაქტობრივად მას შეიძლება მესამე მსოფლიო ომი ვუწოდოთ), ამ უკანასკნელის (იდეოლოგიების ომის) სპეციფიკას მის („ცივი ომის") მაგალითზე განვიხილავთ, მსგავსად იმისა, როგორც

დუეს დოქტრინა სერბეთის წინააღმდეგ საპაერო კამპანიის, ხოლო „სიღრმითი ოპერაცია“ სინაიზე – 1967 წელს ისრაელის არმიის ქმედებების მაგალითზე განვიხილეთ.

§ 105
„ცივი ომი“ – უდიდესი იდეოლოგიური ომი ისტორიაში

მეორე მსოფლიო ომს გლობალურ-ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებები მოჰყვა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო ევროპის მიერ მსოფლიო პოლიტიკური ცენტრის ფუნქციის დაკარგვა. გერმანელი გენერალი, ჯავსანსატანკო ოპერაციების ოსტატი და სამხედრო თეორეტიკოსი ჰასო ფონ მანტოიფელი ამასთან დაკავშირებით წერდა: „გაეხვიენენ რა ნაციონალიზმის იდეების წინააღმდეგობრივ ქსელში, ევროპელი ხალხები ჩართულნი აღმოჩნდნენ ძმათამკვლელ ომებში, რომელთა დასრულებაც მათვე კი არ მოუწიათ, არამედ ევროპისათვის უცხო სახელმწიფოებსა და კონტინენტებს. ორივე ევროპულ ომს, რომლებიც მსოფლიო ომში გადაიზარდა, შედეგად მოჰყვა ის, რომ არა მხოლოდ დამარცხებულებმა დაკარგეს თავისი ხელმძღვანელი ფუნქცია, არამედ ევროპამაც დაკარგა ის მისია, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რომ ასრულებდა... ევროპა – რომლის კულტურა, ცივილიზაცია და ეკონომიკა თავის სხივებს ჰფენდა დედამიწის ყველა კუნჭულს, წარმოადგენდა მის ხელმძღვანელ და გამანაყოფიერებელ ცენტრს – მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული თავის დასასრულს მიუახლოვდა. მან დათმო თავისი პოზიციები“ (17, 606). ევროპის სახელმწიფოთა გავლენის შესუსტებას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვა სახელმწიფოების, სახელდობრ, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის გავლენის არნახული ზრდა მოჰყვა. ევროპა მანამდელი პოლიტიკური ცენტრიდან იქცა ამ ორ ძალას შორის ჭიდილის სარბიელად, ჭიდილისა, რომელიც მსოფლიოზე გავლენის მოპოვებას ისახავდა მიზნად. ერთი სამხედრო თეორეტიკოსი ევროპას ადარებდა ორ უზარმაზარ კონდესატორს შორის მოთავსებულ სივრცეს, რომელიც პოლუსთა მუდმივი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ევროპაზე კონტროლი გლობალური გავლენის დამყარების აუცილებელ ეტაპად იქცა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპა, მთლიანად დასავლეთი, არნახული საფრთხის წინაშე დადგა, რაც ცნობილმა ესპანელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა სალვადორ დე მადარიაგამ (ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას ბაბუამ) ასე გამოხატა: „ევროპას მოტორიზებული ჩინგიზ-ხანი (იგულისხმება სსრ კავშირი – კ.კ.) ემუქრება". ევროპამ დამოუკიდებლად ველარ მოახერხა იმ ფუნქციის შესრულება, ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ რომ ასრულებდა – აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხის შეჩერება. ეს ფუნქცია ამერიკას დაეკისრა. მას არ დასცალდა მეორე მსოფლიო ომში მოპოვებული გამარჯვებით დატკბობა. მეტიც, მთელი თავისი ძალმოსილების კონცენტრაცია მოუწია, რათა წარმატებით გაერთვა თავი მის წინაშე მდგომი ამოცანისათვის. აშშ-ს ზოგჯერ ლამის სამხედრო დროისათვის საჭირო რესურსების დაძაბვა უწევდა, რათა შეეკავებინა სსრკ-ისაგან მომავალი საფრთხე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის როლის შესუსტების შედეგად და მის პარალელურად მოხდა ევროპის სახელმწიფოთა კოლონიური იმპერიების დაშლაც: 50-იან წლებში ბრიტანეთისა, 60-იან წლებში-საფრანგეთისა, ხოლო 70-იან წლებში ესპანეთის და პორტუგალიისა. გამოთავისუფლებული ქვეყნები იქცნენ აშშ-ისა და სსრკ-ის შორის ბრძოლის ასპარეზად.

და ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის კიდევ ერთი შედეგი იყო ევროპის აღმოსავლეთით გერმანელთა ათასწლოვანი კოლონიზაციის დასრულება. გერმანელები განდევნილი იქნენ ტერიტორიებიდან, რომელთაც საუკუნეების მანძილზე ითვისებდნენ: აღმოსავლეთ – პრუსიიდან, სილეზიიდან, ბალტიისპირეთიდან, სუდეტებიდან. კოლონიზატორული და იმპერიული მისწრაფებების ხანა ევროპისათვის დასრულდა, ის აღარ განსაზღვრავდა ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკას.

სამაგიეროდ გლობალურ პოლიტიკას განსაზღვრავდა დაპირისპირება თავისუფალ სამყაროსა და კომუნისტურ სისტემას შორის, რომელმაც იდეოლოგიური ბრძოლის ხასიათი მიიღო. იდეოლოგიური დაპირისპირება მსჭვალავდა ყოველივეს. ფილოსოფოსი ჰენრიკ დე მანი წერდა, რომ ეს დაპირისპირება იყო: „რელიგიური ომების მოდერნიზებული ფორმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რელიგიური დოგმატებისა და ერესების ნაცვლად სხვადასხვა მსოფლმხედველობებთან

დაკავშირებულ „იზმებზე“ თუ „ანტიიზმებზე“ ლაპარაკობდნენ“.

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი დაპირისპირება დაემთხვა ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპს, რომელიც „ბირთვული ერის“ სახელითაა ცნობილი. ამ ეპოქის არსი იმაშია, რომ კაცობრიობა დაეუფლა ენერგიის აქამდე არნახულ წყაროს, რასაც შედეგად მოჰყვა (პირველად კაცობრიობის ისტორიაში) იმგვარი იარაღის შექმნა, რომელსაც შეეძლო დედამიწა აღეგავა პირისაგან მიწისა. ნიშანდობლივია გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის კარლ იასპერსის ნაშრომის სათაური „ატომური ბომბა და კაცობრიობის მომავალი“ (რომელიც, განსხვავებით ამ ფილოსოფოსის სხვა ნაშრომთაგან, სწრაფად ითარგმნა რუსულად, თუმცა კი ე.წ. „სპეცხრანებში“ რჩებოდა). ახალი ტექნიკური საშუალებები უდიდეს ზეგავლენას ახდენდა შეიარაღებული ბრძოლის ხერხებზე. რაც შეეხება ბირთვულ იარაღს, მისი არაპირდაპირი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე შეუდარებლად უფრო დიდი იყო, ვიდრე პირდაპირი გამოყენების ნებისმიერი იარაღისა (ეს ვითარება ერთგვარი ინერციის ძალით დღესაც გრძელდება; რუსეთის სტატუსს, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის მეტ-ნაკლებად გავლენიანი წევრისა, მხოლოდ ბირთვული იარაღის ქონა თუ უზრუნველყოფს). ტექნოლოგიურ რევოლუციას დაემატა კომუნიკაციების (ამ სიტყვის უზოგადესი გაგებით) თვისებრივად ახალი სისტემის შექმნა, რომელმაც მოიცვა მთელი დედამიწა და არნახულად გააიოლა შეიარაღებული ძალების გადასროლა დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

სსრ კავშირი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყენებინა შექმნილი ვითარება თავისი ექსპანსიონისტური მიზნების რეალიზაციისათვის. თუ კლაუზევიცი ამტკიცებდა, რომ ომი არის პოლიტიკის გაგრძელება ძალისმიერი საშუალებებით, საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი იდეა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: მშვიდობა არის ომის გაგრძელება სხვა საშუალებებით. „ცივი ომი“ სწორედ ასეთი „მშვიდობა“ იყო, რომელიც პერიოდულად „მშვიდობისათვის ომის“ ხასიათს ატარებდა (განსაკუთრებით 80-იან წლებში).

ცნობილი ინგლისელი სამხედრო თეორეტიკოსი ფულერი ასე ახასიათებს „ცივი ომის“ დროინდელი იდეოლოგიური ბრძოლის სპეციფიკას: „მართალია, ხშირად უარიყოფა, მაგრამ დღეს ომი, ისევე როგორც აქამდეც,დიპლომატიური ომია და რამდენადაც საერთაშორისო საქმეებში შეუძლებელია არგუმენტების მოყვანა სუსტის პოზიციებიდან,

ყოველი დავა პოტენციურად უნდა იყოს მხარდაჭერილი სამხედრო ძალით. მაგრამ დღეს-დღეობით დიპლომატიური ომი რიგ ძირეულ ცვლილებას განიცდის. მისი ამოცანა აღარ არის სადავო საკითხების გადაჭრა მოლაპარაკებების გზით, არამედ ფარული ძირისგამოთხრა, რომელიც მოწინააღმდეგის მოსახლეობაში აგიტაციით გამოიხატება, აგიტაციით რომელიც იმაზეა გათვლილი, რომ მისი ზემოქმედებით მოსახლეობა თავად დაამხობს საკუთარ მთავრობას. ამაშია იმ დიპლომატიის არსი, რომელსაც „ცივ ომს" უწოდებენ. ომი, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, იმდენად ორმხრივად საშიშია, რომ მისი გამოყენება სახიფათოც ხდება. ომის უახლესი საშუალებების უზარმაზარი გამანადგურებელი ძალა იქცევა მუხრუჭად თავად ომისათვის. თუ ადამიანებს სურთ გააგრძელონ თავიანთი დავა ისე, რომ არ შეექმნათ განადგურების რისკი, ისინი იძულებულნი იქნებიან, დასჯერდნენ საბრძოლო მოქმედებათა ფსიქოლოგიურ თეატრს. და თუ კონ-ცენტრირებული „ფსიქოლოგიური ომი" დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის მტრის წინააღმდეგ მიმდინარეობს ატომური ბომბისა და სხვა ჩვეულებრივი იარაღის საფარქვეშ, მაშინ ატომური იარაღი ნამდვილ სიკეთედ იქცევა. ასეთი საფარის ქვეშ ომი შეგიძლია გადაავადო, ხოლო მოგვიანებით ის იმდენად არაპოპულარურად იქცევა, რომ მას აღარც მიმართავენ. ომი იდეების სფეროთი შემოიფარგლება" (17, 618).

„ცივი ომი", ცხადია, პოლიტიკოსების ნებით გაჩაღდა. მაგრამ ამ ნებას ანალიტიკოსთა ინტენსიური საქმიანობა უსწრებდა წინ. ჯერ კიდევ 1946 წელს ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემაში გამოქვეყნდა ანალიტიკური სტატია, რომლის ავტორი ფსევდონიმ X-ს იყო ამოფარებული. მოგვიანებით გაირკვა, რომ X მოსკოვში ამერიკის საელჩოს თანამშრომელი ჯორჯ კენანი იყო. მისი შეხედულება მოკლედ ასე შეიძლება იქნას ფორმულირებული: სსრ კავშირი ძალადობასა და არათავისუფლებაზეა აგებული. თუ ჩვენ ბირთვული იარაღის და დიდი სტრატეგიის სხვა საშუალებების მეშვეობით მოვახერხებთ სსრ კავშირის შეკავებას (deterent), აგრეთვე მის მოსახლეობაზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას, სსრ კავშირი ადრე თუ გვიან დამარცხდება მის ბუნებაში ჩადებულ შინაგან წინააღმდეგობათა გამო. კენანს იშვიათი ბედნიერება ხვდა წილად. მისი დოკუმენტის გამოქვეყნებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ იგი მისი სტრატეგიის რეალიზებას მოესწრო. სსრ კავშირი „ცივ ომში"

არათუ დამარცხდა, დაიშალა კიდეც. ოღონდ ის, თუ როგორ აფასებდა კენანი „ცივი ომის“ შემდგომ სიტუაციას, ფრიად საკამათოა. თუმცა, ეს საკითხი წარმოდგენილი მონოგრაფიის ფარგლებს გარეთ გადის.

§ 106
„ცივ ომში“ დასავლეთის გამარჯვების მიზეზები

რუსი ანალიტიკოსების დიდი ნაწილი „ცივ ომში“ დასავლეთის გამარჯვებას შემთხვევით ფაქტორად მიიჩნევს. მათი აზრით, სსრ კავშირს სტალინის ტოლფასი ლიდერი რომ ჰყოლოდა, პოლიტბიურო გაყოდული რომ არ ყოფილიყო და ა. შ., საბჭოთა იმპერიას თითქოს „ცივი ომის“ მოგების შანსიც კი ჰქონდა. არ ვაპირებ ამ ე. წ. ანალიტიკოსებთან დისკუსიას რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი: თუ სსრ კავშირი ესოდენ ძლიერი სახელმწიფო იყო, როგორ ხდებოდა, რომ მის სათავეში პერიოდულად მოღალატეები (ხრუშჩოვი, გორბაჩოვი და სხვები) ხდებოდნენ. შემდეგ, თუ ეს ანალიტიკოსები ესოდენ კარგად ხედავდნენ ყველაფერს და საბჭოთა პატრიოტები იყვნენ, რატომ დუმდნენ, როდესაც საბჭოთა ხელმძღვანელობა სამშობლოს ყიდდა? და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: სსრ კავშირის დაშლა იმ ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა, რომლებსაც ახლა ჩამოვთვლით და რომელთა არსებობის აღიარება არც ერთ საბჭოთა ე. წ. ექსპერტს არ სურს.

მაშ ასე – რატომ დაიშალა სსრ კავშირი? ვფიქრობთ, ამის შემდეგი მიზეზები არსებობდა:

1. **საბჭოური სისტემის ძალადობრივი ხასიათი:** განსხვავებით დასავლური თანამეგობრობისგან, სადაც მიუხედავად გამოკვეთილი ლიდერის ან ლიდერთა ჯგუფის არსებობისა, გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსის საფუძველზე ხდებოდა, სსრ კავშირსა და ვხო-ს მკვეთრად გამოკვეთილი ჰეგემონი, ასე ვთქვათ, უფროსი ძმა ჰყავდა. ისეთი სისტემა, რომელიც ძალადობასა და სხვებისათვის გადაწყვეტილებების ძალით თავს მოხვევაზეა დამყარებული, საბოლოო ჯამში აუცილებლად წააგებს შეჯიბრს კონსენსუსზე დამყარებულ თანამეგობრობასთან.

2. **საბჭოური სისტემის არაჰომოგენურობა:** დასავლური თანამეგობრობა მეტ-ნაკლებად ჰომოგენურ საზოგადოებებს მოიცავდა. ამ

საზოგადოებათა ორგანიზაციის პრინციპები, მათი სტრუქტურა და სოციალური სტრატიფიკაცია, ეკონომიკური წყობა თუ მოსახლეობის მენტალიტეტი ერთგვაროვანი იყო (ყოველ შემთხვევაში, ამერიკის, კანადისა და მათი ევროპელი მოკავშირეების მაინც) და ემყარებოდა სამოქალაქო საზოგადოების, საბაზრო ეკონომიკისა და იმ ცივილიზაციური პარადიგმის პრინციპებს, რომლებიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც „დასავლური". ამის საპირისპიროდ საბჭოთა ალიანსიცა და თავად საბჭოთა იმპერიაც არაჰომოგენური მთელი იყო. მასში მექანიკურად იყო თავმოყრილი სრულიად სხვადასხვა ცხოვრების წესების, მეურნეობის, მენტალიტეტისა და ტრადიციის მქონე ერები. მარტივად რომ ვთქვათ, სისტემა სადაც ინტეგრირებულია (თანაც ძალით!) გერმანელიცა და ჩუქჩაც, ყოველთვის განწირული იქნება „ცივი ომის" ტიპის კონფლიქტში დამარცხებისათვის.

3. ექსტენსიურობა: ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი ექსტენსიურობა იყო. ორიენტში რესურსების ათვისება ხდებოდა არა შინაგანი მობილიზაციის, არამედ მექანიკური მატების ხარჯზე. ტექნოლოგიების, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ტექნოლოგიების, განვითარება ხდებოდა არა საზოგადოების ინსტიტუტებისა და სამოქალაქო სექტორის პარალელურად, არამედ — იზოლირებულად. განვითარების ექსტენსიურ ხასიათს რუსეთი არაერთხელ მიუყვანია სამხედრო მარცხამდე. მაგალითისათვის გამოდგება რუსეთის სამარცხვინო მარცხები ყირიმის, რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში. სსრ კავშირის ექსტენსიური განვითარების ჩიხურობა განსაკუთრებით ცხადი გახდა განვითარების პოსტინდუსტრიული ეტაპის დადგომისას. პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებაში ეროვნული ძალის განმსაზღვრელი ფაქტორები ინტენსიფიკაციასა და მინიატურიზაციაში უნდა ეძებოთ და არა გიგანტიზაციასა და ექსტენსიფიკაციაში. არადა, სსრ კავშირი გიგანტურ რესურსებს ხარჯავდა ექსტენსიური ხასიათის პროექტებში (სამხედრო სფეროზე რომ არაფერი ვთქვათ, შეგვიძლია გავიხსენოთ ყამირის ე. წ. „გატეხვა" ხრუშჩოვის დროს და ციმბირის მდინარების შუა აზიაში გადასროლის ყბადაღებული პროექტი).

4. რესურსების ათვისების უუნარობა საბჭოური სისტემის კიდევ ერთი არსებითი ნაკლი იყო. ალბათ კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ იმპერიას არ ჰქონია საბჭოთა იმპერიის ტოლი რესურსები. სამაგიეროდ, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური და სამ[illegible]ორნეო

რესურსების ათვისების დონე ძალიან დაბალი იყო, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან. რესურსების ათვისების ექსტენსიურ მცდელობებს ამ რესურსების გამოფიტვა, ეკოლოგიური კატასტროფები და გიგანტური თანხების გაფლანგვა მოჰყვა. რესურსების ათვისების უუნარობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ის გარღვევა, სსრ კავშირს და დასავლეთს შორის, რომელმაც უკვე 80-იან წლებში იჩინა თავი და საბჭოთა ლიდერები აიძულა „პერესტროიკა" დაეწყოთ. სხვა საქმეა, რომ სისტემა უკვე ისე უიმედოდ იყო მოძველებული, რომ მას აღარავითარი რემონტი აღარ უშველიდა.

5. **რესურსების უაზრო ფლანგვა** გამოიხატებოდა იმით, რომ სსრ კავშირი თავის გიგანტური რესურსების ექსტენსიური ექსპლუატაციით მიღებულ საშუალებებს არამიზნობრივად ხარჯავდა. კაცობრიობის ისტორიაში არცერთ იმპერიას არ გაუცია თავისი მოკავშირეებისათვის უფასოდ იმდენი იარაღი, რამდენიც საბჭოელებმა გასცეს. 70-იანი წლების მეორე ნახევარში და 80-იანი წლების პირველ ნახევარში ნავთობის ექსპორტით აღებული გიგანტური თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოელებმა ისეთი სატელიტების შენახვასა და იარაღით მომარაგებაში დახარჯეს, როგორებიც იყვნენ: კუბა, ვიეტნამი, ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი და ა.შ. ამას გარდა, ისინი თავის სატელიტებს ჩალის ფასად აწვდიდნენ გაზს, ნავთობსა და სხვა სტრატეგიულ ნედლეულს. ყოველივე ამან აგრეთვე გამანადგურებელი ზარალი მიაყენა საბჭოთა ეკონომიკას და მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი დაშლა. .

6. **ძლიერი მოკავშირეების არარსებობა** საბჭოთა იმპერიის კრახის კიდევ ერთი მიზეზი იყო. გამომდინარე მისი სისტემის ხასიათიდან, საბჭოთა ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ მას რაც შეიძლება სუსტი და მასზე მაქსიმალურად მიბმული სატელიტები სჭირდებოდა და არა მდიდარი და ძლიერი მოკავშირეები. ამ პრინციპიდან გამომდინარე საბჭოელები ინახავდნენ უამრავ სატელიტს, რომელთაც არავითარი წვლილის შეტანა არ შეეძლოთ საბჭოთა ბლოკის გაძლიერების საქმეში. ცნობილი რუსი პოლიტოლოგი ანდრეი კოკოშინი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „რუსული რესურსები იხარჯებოდა ერთდროულად სამი „იმპერიის" შექმნაზე, შენახვასა და განვითარებაზე – ეს იყო „მესამე მსოფლიოს" ზონა, სახალხო დემოკრატიის (მოგვიანებით სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები) და თავად საბჭოთა კავშირის

„ოკრაინები“, ეს განსაკუთრებით ეხება შუა აზიას. რესურსების ასეთ გადახარჯვას ვერ გაუძლებდა ვერც ერთი სახელმწიფო, საზოგადოებაზე კონტროლის რაოდენ დიდი აპარატიც არ უნდა ჰყოლოდა მას და რაოდენ მდიდარიც არ უნდა ყოფილიყო მეტროპოლია ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ამ სამი „იმპერიის“ არსებობა არ იძლეოდა საშუალებას რესურსების ჩადებისა თავად რუსული სახელმწიფოების შემადგენელ ბირთვში“.

7. **პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაბალი დონე** უკვე გამოჩნდა ხრუშჩოვის ზეობისას და განსაკუთრებით ნათლად — დაჩაჩანაკებული ბრეჟნევის მეუფებისას. საბჭოთა ხელმძღვანელები არა თუ ვერ ერკვეოდნენ იმაში, რაც ხდებოდა მსოფლიოში, არამედ იმდენი ჭკუაც არ ყოფნიდათ, რომ დაეჯერებინათ ექსპერტთა მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიციური არმიისათვის. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია — ყოვლად არარაციონალური გადაწყვეტილება ავღანეთში ინტერვენციაზე, რომელიც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა საბჭოელთათვის. საბჭოთა ხელმძღვანელობის სტრატეგია და ტაქტიკა (თუ ასეთი რამ არსებობდა) სრულიად უვარგისი იყო დასახულ მიზანთა მისაღწევად.

8. **დასავლეთის სტრატეგიის ეფექტიანობა:** საბჭოთა ხელმძღვანელობის (ლაპარაკია სტალინის შემდგომ ხელმძღვანელობაზე) არაეფექტიანობის ფონზე კიდევ უფრო რელიეფურად ჩანდა ამერიკისა და მთლიანად დასავლეთის სტრატეგიის ეფექტიანობა. მართალია, ჩავარდნები ამერიკელებსაც ჰქონდათ (მაგალითად: ვიეტნამი, ირანი). მაგრამ ისეთმა ქმედებებმა, როგორიც იყო მარშალის გეგმა, „მოქნილი რეაგირების სტრატეგია“ და რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა, საბოლოო ჯამში დაასამარა საბჭოთა ბლოკი.

9. **კომუნიზმის გაკოტრება და ინტეგრისტული იდეოლოგიის არარსებობა:** ოთხმოციან წლებში დასრულდა კომუნისტური პარტიის სრული დისკრედიტაციის პროცესი, რომელიც ხრუშჩოვის დროს სტალინის მამხილებელი წერილით დაიწყო. მიხრწნილი ბრეჟნევისა და მისი სისტემის პირობებში კომუნისტურმა იდეოლოგიამ ქვეყნის შიგნით ყოველგვარი მიმზიდველობა დაკარგა, განსაკუთრებით საზოგადოების მოაზროვნე ნაწილში. „პერესტროიკის“ პერიოდში ახალი გენერაციის კომუნისტურმა ელიტამ ვერ მოახერხა კომუნისტური იდეოლოგიის ჩანაცვლება ახალი ინტეგრისტული იდეოლოგიით,

რომელიც ევრაზიის ხალხებს ახალი ცენტრის გარშემო შეკრავდა. ამგვარი იდეოლოგიის გარეშე შეუძლებელი იყო სსრ კავშირის ტიპის იმპერიის შენარჩუნება. ცხადი იყო, რომ ის ადრე თუ გვიან დაიშლებოდა და დაიშალა კიდეც.

10. **ეროვნული საკითხი:** როგორიც არ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მარცხის მიზეზები, ფაქტია, რომ იგი საბოლოოდ მძლავრმა ეროვნულმა მოძრაობამ შეაზანზარა, რომელმაც მოიცვა ბალტიის რესპუბლიკები, ბელარუსი, უკრაინა, კავკასია და საკუთრივ რუსეთი, განსაკუთრებით მისი მსხვილი ცენტრები. ის, რომ სსრ კავშირს საბოლოო ჯამში ეროვნული საკითხი დაშლიდა, ჯერ კიდევ 70-იან წლებში იწინასწარმეტყველა ფრანგმა პოლიტოლოგმა (სხვათა შორის, ქართული წარმოშობის) ელენ კარენ-დანკოსმა. ეს პროცესები იმდენად კარგად არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ მასზე შეჩერება არც მიგვაჩნია საჭიროდ. მხოლოდ ერთს ვიტყვით: რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება მათი განცხადებების უსუსურობა, ვინც ამბობდა, რომ არავითარი ეროვნული მოძრაობა არ იყო საჭირო და საბჭოთა კავშირი ისედაც დაიშლებოდა. დიახ, საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდა (ადრე თუ გვიან), მაგრამ საკითხავია, როგორი იქნებოდა ეს დაშლა? რა მოხდებოდა, რომ ამ დაშლისას ხელისუფლების სათავეში არ ყოფილიყო გორბაჩოვი, რომელმაც შედარებით ადვილად დათმო ხელისუფლება და ყოფილიყო მილოშევიჩის ტიპის ლიდერი, რომელიც ნებისმიერი საშუალებებით შეეცდებოდა იმპერიისა და თავისი ხელისუფლების (რაც ჩვენ მიერ აღწერილ ვითარებაში ერთი და იგივეა) შენარჩუნებას? ცხადია, მოხდებოდა ის, რაც იუგოსლავიაში — იმპერიის ხანგრძლივი და შეუდარებლად უფრო სისხლიანი დაშლა, ვიდრე ეს იყო 90-იან წლებში. ასე რომ, ეროვნული მოძრაობა ისტორიის სწორედ იმ მომენტში გამოჩნდა, როცა უნდა გამოჩენილიყო. მის მიერ დაშვებული შეცდომები ცალკე საუბრის თემაა.

11. **მეტისმეტი ცენტრალიზაცია:** საბჭოთა სისტემის არაეფექტურობის მიზეზი მისი ზეცენტრალიზაციაც იყო. ასეთი ზეცენტრალიზაცია მომდინარეობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველმდებარე დოგმებიდან. ზეცენტრალიზაცია კლავდა ნებისმიერ ადგილობრივ აქტივობასა და საერთოდ ნებისმიერ ინიციატივას. ზეცენტრალიზაციამ საბჭოეთი ჩამორჩენისათვის გასწირა დ. საბოლოო ჯამში განაპირობა კიდეც მისი დაშლა. ნებისმიერი

პოსტსაბჭოური ქვეყნის მმართველმა ელიტამ ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნოს, რომ სახელმწიფოებრივი წინსვლისა და სტაბილობის გარანტი ცენტრალიზაცია კი არ არის, არამედ საერთო ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი ინტერესების გონივრული და ყველასათვის მისაღები შეთანხმება.

12. **ერთიანი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბების უუნარობა:** პარადოქსია, მაგრამ ზეცენტრალიზაციაზე ორიენტირებულმა საბჭოურმა სისტემამ ვერაფრით ჯერ მოახერხა ერთიანი სამეურნეო (სამრეწველო, აგრარული, ფინანსური, ტექნოლოგიური, ეკონომ-გეოგრაფიული) სისტემის შექმნა მაშინ, როდესაც დასავლური სისტემა, მიუხედავად მისი შემადგენელ მაკროეკონომიკურ სუბიექტებს შორის (განსაკუთრებით ევროგაერთიანების, აშშ-ისა და იაპონიას შორის) რიგი წინააღმდეგობებისა, მშვენივრად ახერხებდა ერთიანი საბაზრო ბალანსის შექმნას. ფაქტია, რომ დასავლეთის სუბიექტებს შორის არსებობდა სავაჭრო ომები, ხოლო საბჭოთა ალიანსის წევრებს შორის — არა. შედეგი ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო: დასავლეთმა სავაჭრო ომები მოაგვარა, საბჭოთა სისტემა კი — დაიშალა.

ჩამონათვალი კიდევ შეიძლებოდა გაგეგრძელებინა, მაგრამ აქ ნათქვამი საკმარისია იმის გასაგებად, რომ რიგ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო სსრ კავშირს „ცივი ომი" უნდა წაეგო და წააგო კიდეც. საბჭოთა ალიანსის მარცხი ისტორიული ლოგიკის თვალსაზრისით ისევე კანონზომიერი იყო, როგორც ჩინგისხანის იმპერიის დაშლა. მექანიზებულ ჩინგისხანს მოვლენათა ასეთი განვითარებისას ერთადერთი გამოსავალი ჰქონდა: „ცივი ომის" პერიოდში რამენაირად მოეხერხებინა დასავლეთ ევროპის ოკუპირება. მაგრამ ეს ისეთ ცხელ ომს მოითხოვდა, რომელზეც თვით საბჭოთა ხელმძღვანელობის რამდენიმე თაობაც კი ვერ წავიდა, თუმცა ასეთ რაიმეს კი გეგმავდა. რაც შეეხება ახალ „ცივ (და არა მხოლოდ „ცივ") ომს" დასავლეთსა და ისლამისტ რადიკალებს შორის, ეს სხვა ტიპის კონფლიქტია, რომელიც ამ წიგნის საგანს სცილდება, მაგრამ მომავალში ამ საკითხს აუცილებლად დაუბრუნდებით.

თავი 11
XXI საუკუნის სამხედრო მოქმედებათა ხასიათი და საქართველოს სამხედრო პოლიტიკა

§ 107
შესავალი

საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება წარმოუდგენელია იმ ფუნდამეტურ ცვლილებათა გაუთვალისწინებლად, რომლებიც მოხდა მსოფლიოში XX საუკუნის მიწურულს. დღევანდელი ტენდენცია, როგორც ჩანს, XXI საუკუნის პირველი ათწლეულებშიც გაგრძელდება, რაც ძირეულად ცვლის სამხედრო საქმის, შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და გამოყენების აქამდე ცნობილ სქემებს; ახლებურად წარმოაჩენს იმ პატრამეტრებს, რომლებიც განსაზღვრავს ეროვნული ძალმოსილების კრიტერიუმებს. ამ ცვლილებათა მხედველობაში მიუღებლად შეუძლებელია არა მხოლოდ ეფექტიანი სამხედრო კონცეფციების შემუშავება, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებათა გამოყოფაც. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ XXI საუკუნეში სამხედრო ძალა კვლავ გააგრძელებს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. მისი მნიშვნელობის შემცირება მოსალოდნელი არ არის.

ნებისმიერი მოვლენა შეიძლება დახასიათდეს რამდენიმე პარამეტრის თვალსაზრისით, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს არსებობის წესს, დროით და სივრცობრივ მახასიათებლებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სხვა სახის ფაქტორებს. საქართველოს მართებული თავდაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფა მოითხოვს განისაზღვროს, თუ რა სახის იქნება შეიარაღებული ძალები XXI საუკუნის პირველ მეოთხედში და რა როლის შესრულება დაეკისრება მას. ახლავე შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ნეოლიბერალთა მოსაზრება, თითქოს საერთაშორისო ურთიერთობის სისტემა XXI საუკუნეში უკონფლიქტო სისტემა იქნება, ილუზიის სფეროს განეკუთვნება. სამხედრო ძალა დღეს რჩება და გრძელვადიან პერსპექტივაშიც დარჩება ეროვნული უსაფრხოების უზრუნველყოფის მთავარ ინსტრუმენტად.

გასარკვევია მხოლოდ, როგორი იქნება მისი შინაგანი სტრუქტურა, ფუნქციონირების წესი, დროითი, სივრცობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ცივილიზაციური, ტექნოლოგიური და სხვა სახის პარამეტრები. აუცილებელია ისინი კომპლექსურად იქნას შესწავლილი და ამის საფუძველზე შემუშავდეს საქართველოს ეროვნული თავდაცვის ოპტიმალური, ეფექტური კონცეფცია.

§ 108
სამხედრო მოქმედებათა ახალი ფუნქციონალური პარამეტრები

ფუნქციონალური პარამეტრები განსაზღვრავს სამხედრო საქმისა და საბრძოლო მოქმედებათა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოფიერებით ასპექტებს, ანუ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა არის, რა სახით არსებობს და რეალიზდება ფენომენი, რომელსაც სამხედრო ძალა და სისტემა „ომი" ჰქვია. ეს მაჩვენებლები ახლებურად წარმოაჩენს შეიარაღებულ ძალთა ფუნქციას, პოლიტიკურ და სამხედრო საკითხთა ურთიერთკავშირს, ეროვნული ძალმოსილების თვით ცნებას და, საერთოდ ყოველივეს, რაც ოდითგანვე დაკავშირებულია არმიის აღმშენებლობასთან და დანიშნულებასთან. ახალი ტენდენციები, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ძირეულად ცვლის პოლიტიკისა და სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთმიმართებას, ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის მიზანდასახულობას. ეს ცვლილებები, რომლებსაც გლობალური ხასიათი აქვს, ზეგავლენას ახდენს არა მარტო წმინდა სამხედრო ფაქტორებზე, არამედ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ცივილიზაციურ, ფსიქოლოგიურ, ინფორმაციულ და სხვა სახის ურთიერთობაზეც. არსებითად, ახალი მახასიათებლები განსაზღვრავს სამხედრო ძალმოსილებას, როგორც მისი შემადგენილი ელემენტების თვალსაზრისით, ისე თვით ელემენტებს შორის მიმართებათა მიხედვით. ისინი ძირეულად ცვლიან სამხედრო მოქმედებათა არსსა და წესებს.

ქვემოთ ამ სფეროში მომხდარ რამდენიმე ფუძდამენტურ ცვლილებებს შევეხებით.

შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და გამოყენების თანამედროვე ტენდეციებზე, როგორც უკვე ითქვა, დიდ ზეგავლენას

ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ცივილიზაციური ფაქტორები. ყველა დასახელებულ სფეროში, დროის უალრესად კომპაქტურ მონაკვეთში, სულ რაღაც ათიოდე წლის მანძილზე, მოხდა ყოვლისმომცველი ფუნდამენტური ძვრები, რამაც არსებითად შეცვალა კაცობრიობის უახლესი ისტორია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რადიკალური ცვლილებები მსოფლიოს არ ახსოვს საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ.

პოლიტიკური ხასიათის ძვრებიდან უნიშვნელოვანესია დასავლეთის გამარჯვება „ცივ ომში", რასაც იმავდროულად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლა. ამის შედეგად სრულიად სხვაგვარია დედამიწის გეოპოლიტიკური სურათი. მომენტალურად შეიცვალა საგარეო ორიენტაცია, ათეულობით ქვეყნისა და ევრაზიის პოლიტიკური გეოგრაფია. პოსტსაბჭოურ სივრცეში შეიქმნა თხუთმეტი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამასვე მოჰყვა გლობალური ტერორიზმის გაჩენა და სხვა თვისებრივად ახალი საფრთხეები.

ეკონომიკურ სფეროში ცვლილებებიდან ყველაზე საყურადღებოა ეკონომიკის გლობალურობა და პლანეტარულობა. „ცივი ომის" ეპოქისაგან განსხვავებით, როცა დედამიწის მოსახლეობის დიდ ნაწილი არ იყო ჩართული საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში (იგულისხმება საბჭოთა კავშირი და მისი სატელიტები, აგრეთვე გარკვეულ ეტაპამდე ჩინეთიც), დღეს ეს ურთიერთობები მყარად დამკვიდრდა მსოფლიო მასშტაბით. არანაირი პერსპექტივა არა აქვს აქა-იქ შემორჩენილ იზოლირებულ, ავტარკიულ (თავის თავში ჩაკეტილ) სამეურნეო სისტემებს, რომელებიც განწირულია და სულ მალე გაქრება (საბჭოთა კავშირის დაქცევა-დაშლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ უარი თქვა სტალინის დროინდელ ავტარკიაზე და საერთაშორისო ეკონომიკის ერთ, ნავთობის ექსპორტის, სფეროში ჩაეფლო, რამაც ამერიკელებს საშუალება მისცა მიზანმიმართულ ღონისძიებათა განხორციელებლით გამოეფიტა სსრკ-ის ეკონომიკა). ეკონომიკის გლობალიზაციას პოზიტიურთან ერთად ახლავს ნეგატიური ფაქტორებიც, რომლის მკაფიო მაგალითსაც წარმოადგენს წყნარი ოკეანისა და სამხრეთ აზიის ქვეყნების კრიზისის სწრაფად გავრცელება მთელი დედამიწის მასშტაბით.

ტექნოლოგიურ სფეროში უდიდესი პროგრესის მაჩვენებელია, თუნდაც, საინფორმაციო და კოსმიური ტექნოლოგიების არნახული განვითარება.

დაბოლოს, ცივილიზაციურ სფეროში ახალი მომენტია თვით-იდენტიფიკაციის ზეეროვნული პარამეტრების წარმოქმნა, როდესაც გერმანელი და ფრანგი თავს ევროპელად იაზრებს, ხოლო ჩეჩენი და არაბი — მუსლიმანად და ა. შ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს მომავალში ეთნიკური იდენტურობის ცნობიერება, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და კულტურული ფაქტორი, გაქრება. ის უბრალოდ ახალ, დამატებით განზომილებას მიიღებს.

რადიკალურმა ძვრებმა, რომლებმაც შესაბამისი გარემო წარმოქმნა, ბუნებრივია, უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა სამხ. რო საქმეზეც. მეტიც, ძირეულად შეცვალა სახელმწიფო-პოლიტიკურ და სამხედრო ფაქტორთა ურთიერმიმართება. თუ „ცივი ომის" დროის ბიპოლარული დაპირისპირებისას, უზარმაზარი მასშტაბის სტრატეგიული ბირთვული პოტენციალის არსებობის პირობებში, ეჭქვეშ დადგა კლაუზევიცის კლასიკური დოქტრინა — ომის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ძალისმიერი საშუალებებით გაგრძელებისა — პოსტბიპოლარულ სამყაროში მოხდა ამ დოქტრინის რეაბილიტაცია (ეს, გარდა პოლიტიკური ძვრებისა, თვისებრივად ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ განსაზღვრა). ძალისმიერ საშუალებათა ხასიათი პოსტინდისტრიულ ხანაში, თუმცა, სრულიად სხვაგვარია, ვიდრე, ვთქვათ, ინდუსტრიულ ეპოქაში, მაგრამ მათ დღესაც, ისევე როგორც წინათ, ახასიათებს ის, რომ სამხედრო საშუალებები საგანგებოდაა კონსტრუირებული, რათა მოინაალმდეგეზე ზემოქმედება შეძლოს და სხვადასხვა ხერხებით გაანეიტრალოს მისი პოტენციალი.

პოსტინდუსტრიულ ხანაში ძალისმიერი საშუალებები გაცილებით ორგანულ, სიღრმისეულ კავშირშია არაძალისმიერ საშუალებებთან, ვიდრე აქამდე. ამ საშუალებათა რეალიზება დასახული ამოცანების განსა-ხორციელებლად შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორთა კომპლექსში. ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნოლოგიები და მრეწველობა დღეს ისეა ინტეგრირებული, როგორც არასდროს. თანდათან იშლება ზღვარი სამხედრო და სამოქალაქო სექტორებს შორის. თუ გვიანინდუსტრიულ ერაშიც კი შედარებით სუსტი სამოქალაქო სექტორის მქონე სახელმწიფოს, მაგალითად, საბჭოთა კავშირს, შეიძლებოდა ჰქონოდა უმაღლესი დონის სამხედრო პოტენციალი, დღეს ეს ფაქტობრივად გამორიცხულია. სამხედრო სფეროში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიების დიდი ნაწილი სამოქალაქო სექტორშია შექმნილი.

ცნობილი ამერიკული ანალიტიკური კორპორაცია „რენდის" ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით, აქამდე განხორციელებული ცვლილებების მსგავსად, უახლესი ტექნოლოგიური ნახტომებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო სფეროთი. ისინი დაკავშირებულია პოლიტიკაში, ეკონომიკისა და მეცნიერებაში მიმდინარე ძვრებთან. ამასთან, თანამედროვე ეტაპისათვის უმნიშვნელოვანესია ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც „შეცვლის როგორც მატერიალური სიმდიდრის წარმოქმნის, ისე პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირების საფუძვლებს".

ამერიკელი ექსპერტების აზრით, შეიარაღებულ ძალებში შესაძლო რევოლუციური ცვლილებები არამც და არამც არ უნდა განვიხილოთ, როგორც მექანიკური პროცესი, რომელიც თავისთავად განხორციელდება მეცნიერებაში, ტექნიკასა და ეკონომიკაში მომხდარი ძვრების წყალობით. საბრძოლო ძალმოსილების მნიშვნელოვანი ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიზანსწრაფული საქმიანობით. ეს გულისხმობს პერსპექტიულ ტენდენციათა ანალიზს, მოწინავე დოქტრინებისა და კონცეფციების შემუშავებას, შეიარაღების მოდერნიზაციასა და პრაქტიკაში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების უსწრაფესად დანერგვას.

საბრძოლო ძალმოსილების თავლსაზრისით, გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ტიპის სახელმწიფო სუბიექტი:

1. პოსტინდუსტრიული, რომელსაც ძალუძს სრულფასოვნად გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგები;

2. ქვეყნები, რომლთაც შეუძლიათ მათი ათვისება მხოლოდ ცალკეულ სფეროებში (ნიშნებში);

3. ბირთვული იარაღით აღჭურვილი გვიანინდუსტრიული პოტენციალის მქონენი — მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს განვითარებადი ქვეყნებიც;

4. არაბირთვული სახელმწიფოები, რომლებიც არასრულფასოვანი განვითარების გამო ვერ შეძლებენ ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგების გამოყენებას.

ერთი სიტყვით, დღევანდელ პოსტინდისტრიულ ეპოქაში სამხედრო ძალმოსილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარა აქვს მხოლოდ სამხედრო პარამეტრებს. მას განაპირობებს არასამხედრო საშუალებათა

როლის ზრდაც, სახელმწიფო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სამეცნიერო, ფსიქოლოგიურ და ცივილიზაციურ ფაქტორთა უაღრესად რთული კომპლექსი, რომლის ჩამოყალიბებაშიც გადამწყვეტია სახელმწიფოს მიზანსწრაფული პოლიტიკა.

§ 109
დედუქციურ სისტემათა პრიმატი

XX საუკუნის მიწურულს ძირეულ ტრანსფორმაციას განიცდის თვით სამხედრო მოქმედებათა ხასიათი, რომლებსაც არა აქვს მარტო რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ნიშან-თვისებები. ცვლილებები ეხება კონფლიქტის ესკალაციას, მასში სახელმწიფოს ჩართვასა და გამარჯვების უზრუნველყოფის პირობებს. სამხედრო ნოვაციათა სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ სტრატეგიულ დონეზე გამარჯვება პირდაპირ აღარ არის დამოკიდებული ტაქტიკური ხასიათის წარმატებებზე, უფრო ზუსტად, ტაქტიკური გამარჯვებები დროში აღარ უსწრებს სტრატეგიულს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბოლო დროს სულ უფრო ძლიერდება დედუქციურ სტრატეგიულ კონცეფციათა როლის ზრდა, რომელთაც ზოგჯერ ჰიპერმოდერნისტულსაც უწოდებენ. სტრატეგიული გამარ-ჯვება ხშირად მეტად არ წარმოადგენს ტაქტიკური გამარჯვებათა უბრალო ჯამს. ისინი ერთგვარად აფორმებენ სტრატეგიულ გამარჯვებას.

მეორე მსოფლიო ომის შედეგები და მას შემდეგ წარმოქმნილი ლოკალური, მცირე ომების ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ ამ კონფლიქტებში სტრატეგიულ გამარჯვებას განპირობებდა ტაქტიკური წარმატებები. ისინი არა მხოლოდ განაპირობებდნენ სტრატეგიულ გამარჯვებას, არამედ დროშიც უსწრებდნენ მას (როგორც ეს კლასიკური სტრატეგიის პრინციპებიდან გამომდინარეობს). მთელის დონეზე გამარჯვების მიღწევა შესაძლებლად მიიჩნეოდა (და ეს მართლაც ასე იყო) ნაწილების დონეზე მიღწეული გამარჯვებების შედეგად გადამწყვეტ როლს ამაში ინდუქციური (ქვემოდან ზემოთ მიმავალი) ფაქტორები ასრულებდა.

უახლესი ეპოქის სამხედრო მოქმედებათა ანალიზი მოწმობს, რომ ინდუქციური ხასიათის პარამეტრები თანდათანობით კარგავს თავის

მნიშვნელობას. ეს შეიძლება მივიჩნიოთ პოსტინდუსტრიული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ტენდენციის გამოვლინებად, სადაც მთელი მეტად არ განისაზღვრება, როგორც ნაწილთა უბრალო მექანიკური ჯამი და, პირიქით, მთელის ფუნქციონირების წესი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ნაწილთა ფუნქციონირების წესს.

თანამედროვე სამხედრო სისტემებზე გადასვლა, თანამედროვე ზეზუსტი იარაღისა და მისი მატარებლების ახალი ნიმუშების გამოყენება იწვევს იმას, რომ იშლება ზღვარი შეიარაღებულ ძალთა სხვადასხვა რგოლებს შორის. ტაქტიკური რგოლების გასანადგურებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ოპერატიული, ზოგჯერ კი სტრატეგიული საშუალებებიც, საჰაერო-კოსმოსურის ჩათვლით (ამერიკელები სერიოზულად იხილავენ საკითხს ტერორისტებთან ბრძოლის მიზნით ჩვეულებრივი ქობინებით აღჭურვილი სტრატეგიული რაკეტების გამოყენების შესაძლებლობას. ტერორისტების წინააღმდეგ უკვე გაშვებული იქნა დიდი რადიუსის მქონე ფრთოსანი რაკეტები). ამ სიტუაციაში საბრძოლო მოქმედება მეტ-ნაკლებად ცალმხრივ ხასიათს იძენს და მისი ბედი მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოახერხებს ზემდგომი ინსტანცია მის განკარგულებაში არსებული რესურსების ამოქმედებას ქვემდგომი ინსტანციების ინტერესებისათვის. სტრატეგიული და ოპერატიული საშუალებების გამოყენება ტაქტიკური მიზნებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა, რომელიც ნათლად გამოვლინდა სპარსეთის ყურეში ორივე ომის მსვლელობისას.

დედუქციური ხასიათის მოქმედებისათვის პრიორიტეტის მინიჭება ძირეულად შეცვლის ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიის ურთიერთმიმართებას. თუ ადრე მოწინააღმდგის განადგურების უმთავრეს საშუალებად მიიჩნეოდა კონტაქტური ან კონტაქტურთან მიახლოებული ბრძოლა, ახლა, საომარი მოქმედების საწყის ეტაპზე, ამ ფუნქციას, უპირველეს ყოვლისა, შეასრულებს ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები და ზეზუსტი იარაღით აღჭურვილი სტრატეგიული და ტაქტიკური ავიაცია. ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი", რომლის დროსაც ტაქტიკური სამიზნეების განადგურების ეტაპი (მათ შორის სტრატეგიული ან სტრატეგიულთან მიახლოებული საშუალებებით) 38 დღე გრძელდებოდა, კონტაქტური ფაზა კი მხოლოდ 4 დღე. სპარსეთის ყურეში ომის ანალიზის საფუძველზე სამხედრო ექსპერტები

ასკვნიან, რომ ახალი სახის საბრძოლო მოქმედების ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია ის, რომ ზოგიერთი ოპერაციის მიზნის მისაღწევად აღარ არის აუცილებელი შეიარაღებული შეჭრა მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიღრმეში. ახალი სახის ოპერაციებს შორის გამოყოფენ ელექტრონულ-საცეცხლე ბრძოლას, საჰაერო-შემტევ რეიდებს, დისტანციურ ბრძოლებს და ა.შ.

ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ამ ვითარებაში უფრო მეტად შეიცვლება თანაფარდობა თავდაცვით და შეტევით საშუალებებს შორის უკანასკნელის სასარგებლოდ. დიდი რადიუსის მოქმედების „ჭკვიანი" რაკეტების გავრცელება, მათი აღმოჩენის დროის შემცირების საშუალებათა ფართო დანერგვა („სტელტი" ყველაზე საყურადღებო მაგალითია), მართვისა და დამიზნების ახალი, მათ შორის კოსმოსური სისტემების გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს თავდაცვის საშუალებათა უნარს. განსაკუთრებით ძნელი დასაცავი გახდება სტაციონარული ობიექტები: აეროდრომები, პორტები, მართვისა და კავშირის საშუალებები, სამხედრო ჯარების მსხვილი დაჯგუფებები, ჩვეულებრივი თვითმფრინავები, დაბალ ორბიტაზე განლაგებული თანამგზავრები. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ „კლასიკური" თეორიის მიმდევრებიც, რომლებიც არ იწონებენ ამგვარ გატაცებას ჰიპერმოდერნიზმით.

§ 110
ცვლილებები დროით პარამეტრებში

სამხედრო მოქმედებათა არსისა და წესის ტრანსფორმაცია, ბუნებრივია, დროითი პარამეტრების ცვლილებაშიც აისახება. ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის" კონტაქტური და არაკონტაქტური ფაზების ხანგრძლივობა ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. დროითი პარამეტრების ცვლილება, როგორც ზემოთ ითქვა, იმაში გამოიხატება, რომ აქამდე განხორციელებული სამხედრო ოპერაციებისაგან განსხვავებით, სტრატეგიულ დონეზე გამარჯვება წინ უსწრებს ტაქტიკურ წარმატებებს. მაგრამ ცვლილება დროით პარამეტრებში მარტო ამით არ ამოიწურება. იგი, სულ ცოტა, ორ სხვა ასპექტსაც მოიცავს: პირველი ეხება მოსამზადებელ და აქტიურ ფაზებს შორის თანაფარდობის მკვეთრ განსხვავებას დროში, ხოლო მეორე — ოპერაციების შინაგანი დროის შეკუმშვას.

პირველი ასპექტის მიხედვით, საქმე გვაქვს საბრძოლო ოპერაციების მოსამზადებელი პერიოდის გაზრდასთან და აქტიური პერიოდის შემცირებასთან (აქტიურ პერიოდში, შესაბამისად იზრდება არასაკონტაქტო მოქმედებათა პერიოდი და მცირდება საკონტაქტო ბრძოლის ფაზა). ეს უპირველეს ყოვლისა, განაპირობებულია ინფორმაციული კომპონენტების მნიშვნელობისა და მასთან ერთად სამხედრო სისტემების შესაძლებლობათა ზრდით.

საბრძოლო ოპერაციათა დროის შემჭიდროების ტენდენცია კი უკავშირდება იმას, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში სამხედრო მოქმედების ორგანიზაცია და მართვა ხორციელდება დროის რეალურ მასშტაბში. საინფორმაციო, კოსმოსური და სადაზვერვო-გამანადგურებელი სისტემები საშუალებას იძლევა სამიზნე პრაქტიკულად აღმოჩენისთანავე განადგურდეს. როგორც აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კონგრესისადმი წარდგენილ ანგარიშშია აღნიშნულია, რომ: ზეზუსტი იარაღის გამოყენება მოითხოვს ბევრად უფრო დეტალურ დაზვერვას, ვიდრე ოდესმე. დაზვერვა უკვე აღარ კმაყოფილდება იმის მითითებით, რომ გარკვეულ შენობებსა თუ ნაგებობებში განლაგებულია ერაყის ბირთვული პროგრამის ობიექტები. დამიზნებისთვის (იგულისხმება დისტანციური დამიზნება, მაგ.: სამიზნისაკენ ფრთოსანი რაკეტის წარმართვა თანამგზავრული სისტემის გამოყენებით – კ.კ) აუცილებელია, ვიცოდეთ, რა ხდება კონკრეტულ შენობაში ან მის ნაწილში, რათა საცეცხლე დარტყმა ზუსტად განხორციელდეს. ამას გარდა სახმელეთო ძალის სწრაფი გადაადგილება მოითხოვს საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარის განლაგებისა და მანევრების უფრო ღრმა ცოდნას, ვიდრე აქამდე.

ერთი სიტყვით, დროის რეალურ მასშტაბში სამხედრო მოქმედება იმას გულისხმობს, რომ ბრძოლის ველზე მიმდინარე ცვილილებებს პრაქტიკულად მომენტალურად მოსდევს ადეკვატური ზომები. მაგალითად, მობილური სამიზნის გასანადგურებლად გამიზნული იარაღი (ვთქვათ, ფრთოსანი რაკეტა) სამიზნის მანევრის შესაბამისად იცვლის თავის ტრაექტორიას და ანადგურებს უკვე ახალ პოზიციაზე განლაგებულ სამიზნეს.

დროითი მასშტაბების ტრანსფორმაცია აისახა თვით სამხედრო ოპერაციათა კოდურ დასახლებაშიც. ვიეტნამში დარტყმის ტემპი ფორსირებულად ხორციელდებოდა და შესაბამისად ოპერაციას „მზარდი

დარტყმა“ ეწოდებოდა. ერაყში ოპერაციას „მომენტალური დარტყმა“ უწოდეს. სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის დროს ერთი კვირის განმავლობაში ოპერატიულად განადგურდა 48 აღმოჩენილი სამიზნე. კიდევ უფრო ინტენსიური იყო „უდაბნოს მელას“ განმავლობაში 100-დან 80-მდე სამიზნე ორი-სამი დღის განმავლობაში იქნა მოსპობილი („უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციისას სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის დაგეგმარების ჯგუფს სახელად „ქიში და დაშამათება“ ერქვა, რაც ნათლად გვიჩვენებს, რეალურ მასშტაბში როგორ იშლება თანამედროვე სამხედრო მოქმედებების დროის ზღვრები).

დროითი პარამეტრების მესამე, უმნიშვნელოვანესი მომენტია ის, რომ პერიოდი — სამიზნის აღმოჩენა, მისი იდენტიფიცირება, იარაღის გამოყენება და სამიზნის განადგურება — კონცენტრირებულია დროის მეტად მცირე მონაკვეთზე. ახალ ვითარებაში ხდება ინფორმაციულ, კოსმოსურ, საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო საშუალებათა ერთმანეთზე ფილიგრანული გადაბმა. მაგალითად, ფრთოსანი რაკეტის გაშვების შემდეგ აუცილებელია კოსმოსურ, ინფორმაციულ, რადიოელექტრონულ და სხვა საშულებათა ერთდროულად გამოყენება-გადაბმა რაკეტის ფრენის ყველა კონკრეტულ მონაკვეთში. ამასთან, ეს ხდება დიდი მასშტაბის ბრძოლის ველის პირობებში, სადაც ყველაფერი თითქმის მომენტალურად იცვლება.

§ 111
ცვლილებები სივრცობრივ პარამეტრებში

კიდევ უფრო სიღრმისეულია ცვლილებები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებათა სივრცობრივ პარამეტრებში მოხდა. ინდუსტრიული ხანის დასაწყისში, XVIII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, საბრძოლო მოქმედებათა არეალი ორგანზომილებიანი იყო. საბრძოლო გამარჯვებისათვის აუცილებელ პირობად ითვლებოდა სივრცის გარკვეულ მონაკვეთში შეიარაღებული ძალების მაქსიმალურად კონცენტრირება და მოწინააღმდეგის დამარცხება ერთ ან რამდენიმე გენერალურ ბრძოლაში. სივრცობრივი განზომილების მნიშვნელობის თვალსაჩინო ნიმუშია ნაპოლეონის ომები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც კლაუზევიცი მივიდა ცალსახა დასკვნამდე: სამხედრო მოქმედებათა მიზანია, უპირველეს ყოვლისა, მოწინააღმდეგის

შეიარაღებული ძალების განადგურება, რომელიც ერთი ან რამდენიმე გენერალური ბრძოლის გზით შეიძლება განხორციელდეს. ეს აზრი გერმანიისა და, ნაწილობრივ, რუსეთის უმაღლეს სამხედრო წრეებში თვით მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც იყო გაბატონებული.

ინდუსტრიული რევოლუციის მეორე ეტაპზე (XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე I მსოფლიო ომამდე) მომხდარმა ძვრებმა, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ორთქლის ენერგიის ათვისებასა და ახალ საბრძოლო თუ სატრანსპორტო საშუალებათა წარმოშობაში გამოიხატა (ორთქლის ენერგიაზე მომუშავე გემები, რკინიგზა, აგრეთვე ტელეგრაფის გამოყენება სამხედრო მიზნით), გააფართოვა სამხედრო ოპერაციათა არეალი. გაჩნდა ახალი განზომილება, რასაც საბრძოლო მოქმედებათა თეატრი უწოდეს. ეს უკანასკნელი აღარ მოიაზრება, როგორც წარმოსახვითი ხაზი, რომელიც უშუალო კონტაქტში მებრძოლ მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაგან აშორებს. თეატრის ფარგლებში, როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი ოპერაციების დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახდა მანევრები და შეიარაღებულ ძალთა გადასროლა ერთი უბნიდან მეორეზე. ამასთან, ეს ხდებოდა არა მხოლოდ ბრძოლის ველსა და მის მიმდებარე არეალში, არამედ – ღრმა ზურგშიც. პირველი მსოფლიო ომის დროს საბრძოლო მოქმედებათა მიზნით დაიწყო ახალი განზომილების – საჰაერო და წყალქვეშა სივრცის ათვისება. ამავე პერიოდში პირველად მოხდა საავტომობილო ტრანსპორტის მასობრივი გამოყენება სტრატეგიულ გადასროლათა უზრუნველსაყოფად. ეს ტენდეციები უფრო სრულფასოვნად იქნა რეალიზებული ინდუსტრიული რევოლუციის მესამე ეტაპზე.

ამ დროიდან სამხედრო ოპერაციებმა პირველად მრავალ-განზომილებიანი ხასიათი შეიძინა და ხმელეთისა და ზღვის ზედაპირი მოიცვა – საჰაერო და წყალქვეშა სივრცე. ოპერაციებმა მიიღო სიღრმისეული ფორმა, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ განზომილებათა თვალსაზრისით. შეიარაღებული ძალების მოტორიზაციისა და სატანკო ჯარების გაჩენის შედეგად ოპერაციებმა დროის მცირე მონაკვეთში რამდენიმე ასეული კილომეტრიის სიღრმე მოიცვა. ავიამზიდების ეპოქაში მოწინააღმდეგეთა ფლოტებს შორის საზღვაო ბრძოლები უკვე ასეული კილომეტრის დაშორებით წარიმართება.

გვიანინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ამ ფაქტორების პირობებში

სამხედრო მოქმედებებმა გლობალური ხასიათი შეიძინა. ბირთვული და მასობრივი განადგურების სხვა საშუალებათა შექმნამ, აგრეთვე რაკეტული ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო დარტყმები დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რამაც თვისებრივად შეცვალა შეიარაღებულ ძალთა მართვის სისტემა. გვიანინდუსტრიულ ერაში დაიწყო კოსმოსის ათვისება (თუმცა, კოსმოსი არსებითად ჯერაც არ გამოიყენებოდა სამხედრო მიზნებისათვის). ამავე ხანებში ჩნდება პირველი, ჯერ კიდევ მოუქნელი ელექტრო-გამომთვლელი და სხვა ანალოგიური საინფორმაციო სისტემები, რომელებიც სამხედრო მიზნით კიდევ ნაკლებად გამოიყენებოდა.

პოსტინდუსტრიულ ეპოქაში მთლიანად და ძირეულად იცვლება საბრძოლო მოქმედებათა სივრცობრივი პარამეტრი. გარდა ხმელეთის, ზღვის ზედაპირის, ჰაერისა და წყალქვეშეთისა, იგი აგრეთვე კოსმოსურ და ინფორმაციულ (ვირტუალურ) სივრცეებს მოიცავს. მეტიც, წარმატებას ვირტუალურ სივრცეში (რომელიც ორგანულ კავშირშია კოსმოსური სივრცის ათვისებასთან, ვინაიდან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები აუცილებლად მოითხოვს კოსმოსურ უზრუნველყოფას), გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დანარჩენ სივრცეში გამარჯვებისათვის. თუ გავითვალიწინებთ, რომ თავად ვირტუალური სივრცე თანდათან იძენს მრავალგანზომილებიან ხასიათს, სწორი იქნება დასკვნა: შედარებით შორეულ მომავალში საბრძოლო მოქმედებათა სივრცემ შეიძლება განზომილებიანი სტრუქტურის სახე მიიღოს და მისი აღწერისა თუ წარმოდგენისათვის არაევკლიდური გეომეტრიის პრინციპების მოხმობაც დაგვჭირდეს. ამ შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებათა რეალური სივრცე შესაძლოა გადაიქცეს გლობალურ N განზომილებიანი სივრცის ნაწილად. თუმცა 2020 წლამდე პერსპექტივაში საბრძოლო მოქმედება უფრო მოსალოდნელია შემოიფარგლოს შემდეგი სივრცეებით: 1. რეალური ორგანზომილებიანი (სახმელეთო და საზღვაო ზედაპირი), რომელზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები გაცილებით უფრო დიდ ფართობს მოიცავს, ვიდრე აქამდე; 2. წყალქვეშა სივრცე; 3. საჰაერო სივრცე; 4. კოსმოსური სივრცე; ამასთან, თანდათან მოხდება საჰაერო და კოსმოსურ სივრცეთა ინტეგრირება ერთიან საჰაერო-კოსმოსურ სივრცედ (აშშ-ში უკვე იწყებს ფუნქციონირებას ერთიანი საჰაერო-კოსმოსური სარდლობა); 5. ვირტუალური, ინფორმაციული სივრცე.

წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია ის საფუძვლმდებარე ბვრეული სამხედრო ბლიერების სფეროში, რომლთაც ადგილი ჰქონდათ გვიანინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ ეპოქაზე.

	გვიანინდუსტრიული ეპოქა	პოსტინდუსტრიული ეპოქა
სამხედრო პოლიტიკური ლიდერობის წყარო	ბირთვული იარაღი და სტრატეგიული რაკეტები	„ჭკვიანი" ზეზუსტი იარაღის ფლობა
სისტემის საფუძველმდებარე ელემენტი	ბირთვული აფეთქების ენერგია	მართვის უნივერსალური საშუალებები
საბრძოლო მოქმედებათა ახალი სახე	ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომი სტრატეგიული მატარებლების გამოყენებით	რადიოელექტრონული დარტყმა, ელექტრონულ-სხივური ომი, საინფორმაციო ომი.
საბრძოლო მოქმედებათა ძირითადი მახასიათებელი	ძლიერი მუხტების გამოყენებით ფართობის მოცვა	მიზანმიმართულობა და სიზუსტე
განადგურების ძირითადი ობიექტი	დიდი სამრეწველო ცენტრები და ქალაქები, შეარაღებულ ძალთა მსხვილი დაჯგუფებები	პოლიტიკური და შეიარაღებული ძალების მართვის ცენტრები, რაკეტების გასაშვები დანადგარები საჭურვლის საწყობები
განადგურების ენერგეტიკული ბაზისი	ბირთვული აფეთქება	პოლიპროფილური
წამყვანი ტექნოლოგიები	ატომური ენერგია, ელექტრონული და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები	მიკროელექტრონიკა, რობოტოტექნიკა, ბიოტექნოლოგია, ნანოტექნოლოგია

	გვიანინდუსტრიული	პოსტინდუსტრიული
წამყვანი ტექნოლოგიური პარადიგმა	კომპლექსური მანქანათმშენებლობა, ნაკადური წარმოება	მოქმილი, არამექანიკური ინფორმაციული ტექნოლოგიური
ლიდერი ტექნოლოგიების კონცენტრაციის ადგილი	სამხედრო მრეწველობა	სამოქალაქო მრეწველობა
პერსპექტიულ გამოკვლევათა ორგანიზაციის სისტემა	სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო დაწესებულებები	ინდუსტრიულ საფუძველზე

სამრძოლო მომზადებისა და სამხედრო მრეწველობის ორგანიზაციის პრინციპები

	გვიანინდუსტრიული	პოსტინდუსტრიული
დაკომპლექტება	გაწვევით	როგორც წესი საკონტრაქტო
საბრძოლო მომზადების ტექნიკური საფუძვლები	ტექნიკის ' რეალური ნიმუშები	ტრენაჟორები, იმიტატორები
მარაგით უზრუნველყოფის სისტემა	ხელუხლებელი მარაგი	მარაგის უსწრაფესი კვლავწარმოება

საბრძოლო მოქმედებათა სივრცობრივი ტრანსფორმაციის გამო, სამხედრო ექსპერტთა მოსაზრებით, მალე შეიძლება ისტორიის კუთვნილებად იქცეს დღეისათვის ისეთი საფუძველმდებარე ცნებები,

როგორებიცაა: სატანკო ბრძოლა, ჰაერში ბატონობის მოპოვება, საავიამზიდო შენაერთების შეტაკება, საზღვაო-სადესანტო ოპერაციები.

საბრძოლო მოქმედებათა თეატრისათვის დომინანტური გახდება:

ხმელეთზე — დიდ სიღრმეებში გაშორიშორებული, დეკონცენტრირებული საბრძოლო მწყობრის მეშვეობით დარტყმა;

ჰაერში — უპირატესად, ნაკლებშესამჩნევი, მოქმედების დიდი რადიუსის მქონე უპილოტო აპარატები;

ზღვაზე — წყალქვეშა დამრტყმელი სისტემები, სახმელეთო და კოსმოსური ბაზირების სისტემების ფართო გამოყენებით;

კოსმოსური და კოსმოსიდან მომდინარე ფართომასშტაბიანი ოპერაციები;

ინფორმაციულ სივრცეში დამოუკიდებელ ან ხსვა სახეობის ძალებთან ერთად ფართომასშტაბიანი ოპერაციების განხორციელება, რომელთა ამოცანა ვირტუალურ სივრცეში ბატონობის მოპოვება იქნება.

დასავლელ ექსპერტთა აზრით, ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად საბრძოლო მოქმედებათა ძირითად საშუალებად გადაიქცევა ულტრათანამედროვე ინდივიდუალური ეკიპირების მქონე მექანიზებული ქვეითი ძალები, უპილოტო დამრტყმელი საფრენი აპარატები და მათი მატარებელი თვითმფრინავები, დიდი რადიუსის მართული რაკეტები, ე.წ. ხომალდი არსენალები, რომლებიც შეიარაღებული იქნება რამდენიმე ასეული სხვადასხვა სახის რაკეტით, კოსმოსური დამრტყმელი ქვედანაყოფები, საინფორმაციო ომის წარმოების სპეციალური ძალები.

ამ საბრძოლო საშუალებათა გამოყენების წყალობით პრაქტიკულად დაუცველი ხდება ისეთი დიდი ზომის სტაციონარული ობიექტები, როგორებიცაა: აეროდრომები, ავიაბაზები, პორტები; ხოლო ახალი ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებასთან ერთად, სახმელეთო ძალთა დაჯგუფებები და ცალკეული საზღვაო ხომალდები. ყოველივე ეს მოითხოვს არა მარტო თავდაცვის ახალი სისტემების შექმნას, არამედ სამხედრო მომქმედებათა სივრცის (ვირტუალური ნაწილის ჩათვლით) სრულიად ახლებურ სტრუქტურირებას.

XX საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი თანამედროვეობის ერთ-ერთ უმთავრეს ტენდენციად გიგანტიზაციისა და მინიმალიზაციის თავისებურ შერწყმას მიიჩნევდა, რაც, მაგალითად, მიკროელემენტების სამყაროს ტექნოლოგიური ათვისების საფუძველზე მასშტაბურ სივრცეებზე ზემოქმედების უნარში ვლინდება (ამის მკაფიო

მაგალითია ბირთვული ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი თუ სამხედრო მიზნებისათვის). ჩვენ მიერ აღწერილი პროცესი, როდესაც სივრცის უზარმაზარ მონაკვეთებს რეალური დროის უმცირესი მონაკვეთი მოიცავს, ჰაიდეგერის მიერ შენიშნული ტენდენციის გამოვლენას წარმოადგენს სამხედრო სფეროში. ეს, ცხადია, ზეგავლენას ახდენს საბრძოლო მოქმედების ყველა კონკრეტულ სახეზე. თუმცა, მისი ცალკეული სახის ტრანსფორმაციის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. მანამდე შევეხოთ პოსტინდუსტრიული ხანის ძირითად ტექნოლოგიურ ცვლილებებს და იმას, თუ რა გავლენას ახდენს ყოველივე ეს სამხედრო მოქმედების ორგანიზაციასა და უზრუნველყოფის პრინციპებზე. ამასთან, ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის არსის უკეთ გარკვევის მიზნით, პოსტინდუსტრიული ხასიათების ძვრებს წარმოვაჩენთ გვიანინდუსტრიული ეპოქის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარების საშუალებით.

§ 112
ცვლილებები სამხედრო-პოლიტიკური სისტემების საბაზისო ელემენტებში

სამხედრო-პოლიტიკური სისტემების საბაზისო ელემენტები წარმოადგენს იმ მახასიათებელთა კომპლექსს, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის სამხედრო ძლიერებას. „ცივი ომის" ხანაში, რომელიც ქრონოლოგიურად გვიანინდუსტრიულ ეპოქას დაემთხვა, გლობალურ დონეზე ქვეყნის სამხედრო ძალმოსილების უმთავრესი ფაქტორი იყო სტრატეგიული ბირთვული იარაღი. სამხედრო-პოლიტიკური ლიდერობის წყაროს შეადგენდა რაკეტულ-ბირთვული იარაღისა და მის მატარებელ საშუალებათა ფლობა. ამასთან, გლობალურ დონეზე ბირთულ იარაღს, მისი დამანგრეველი ხასიათის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი კორექტივი შეჰქონდა კალაუზევიცის ცნობილ დოქტრინაში. ბირთვული იარაღი იქმნებოდა არა იმდენად გამოყენებისათვის, რამდენადაც გამოყენების მუქარის მიზნით.

ვინაიდან სამხედრო სფეროში გადამწყვეტი როლი რაკეტულ და ბირთვულ ტექნიკას ენიჭებოდა, გასაგებია, რომ სამხედრო-ტექნიკური სისტემის საფუძველმდებარე ელემენტად ბირთვული აფეთქება

გვევლინებოდა, ხოლო ახალ საბრძოლო მოქმედებებში პრიორიტეტულად — გლობალური ბირთვული თავდასხმა, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოყენება, უფრო ზუსტად, ამგვარი თავდასხმისა თუ გამოყენების მუქარა (იხ.ზემოთ დიდი სტრატეგიისადმი მიძღვნილ მონაკვეთში.). გვიანინდუსტრირებული ხანის საბაზისო ელემენტთაგან საბრძოლო მოქმედებათა ძირითად მახასიათებლად ითვლებოდა უფრო ძლიერი მუხტების გამოყენება, რომელთა აფეთქებასაც უნდა მოეცვა, რაც შეიძლება, დიდი ტერიტორია. განადგურების ძირითად ობიექტებად მიიჩნეოდა სამრეწველო ცენტრები, ქალაქები, შეიარაღებულ ძალთა მსხვილი დაჯგუფებები. სამხედრო ძალმოსილების ლიდერი ტექნიკის ენერგეტიკული ბაზა იყო ატომური ენერგია (და მასთან დაკავშირებული ატომური ენერგეტიკა, აგრეთვე ამ სფეროში განხორციელებული ფუნდამენტური გამოკვლევები), ელექტრონიკა და ელექტრო-გამომთვლელი მანქანები.

პოსტინდუსტრიულ ერაში ვითარება ძირეულად იცვლება. სამხედრო პოლიტიკური ლიდერობის საშუალებას წარმოადგენს ზეზუსტი, „ჭკვიანი" იარაღის ფლობა, რომელიც ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ რევოლუციას ემყარება. ამას მოყვა კლაუზევიცის დოქტრინის ნაწილობრივი (მოგვიანებით — სრული) რეაბილიტაცია. სამხედრო ძალა კვლავ იქცა პოლიტიკის რეალურ ინსტრუმენტად, სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად შესაძლებელი გახდა შეიარაღებული ჩარევის არა მარტო მუქარა, არამედ მისი პრაქტიკული რეალიზაციაც.

იცვლება სისტემაწარმომქმნელი ელემენტი. ამგვარი როლი ეკისრება მართვის უნივერსალურ საშუალებებს (რომლებიც ერთ ბლოკში მოიცავს მართვის საინფორმაციო, სადაზვერვო და დამრტყმელ სისტემებს). საბრძოლო მოქმედებათა ახალ სახედ გვევლინება რადიოელექტრონული დარტყმა, ელექტრონულ-სხივური ომი, რობოტიზებული ბრძოლა და საინფორმაციო ომი.

სამხედრო მოქმედებათა დროს საბრძოლო საშუალებათა უმთავრეს მახასიათებლებად გამოდის მიზანმიმართული და ზუსტი დარტყმა, ხოლო განადგურების ძირითადი ობიექტებია პოლიტიკურ და შეიარაღებულ ძალთა მართვის ცენტრები, სხვადასხვა სახის რაკეტების გასაშვები დანადგარები, აეროდრომები, იარაღისა და საჭურვლის საწყობები. საბრძოლო საშუალებებში გამოყენებული ენერგია მრავალპროფილურია. ხდება ტრადიციული, ქიმიურ აფეთქებაზე

დამყარებული (დენთის) ენერგიის რებილიტაცია, რომელიც კვლავ ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის ზეზუსტ იარაღში. თუმცა, ასევე მოიხმარება არატრადიციული, მაგალითად, რადიოელექტრონული ენერგიაც (ე. წ. ზემაღალი სიხშირის იარაღი). ლიდერი ტექნიკის განვითარების საბაზისო საფუძვლად კი ისეთი სფეროები იქცა, როგორებიცაა: მოკროელექტრონიკა, ინფორმატიკა, რობოტოტექნიკა, ბიოტექნოლოგია, ნანოტექნოლოგია და ა.შ.

ბუნებრივია, სამხედრო-პოლიტიკური სისტემის ახალი საბაზისო ტექნოლოგიური ელემენტები მოითხოვს მათ სხვაგვარად მართვას. თუ გვიანინდუსტრიულ ერაში ამ ელემენტთა სამართავად ძირითადად გამოიყენებოდა რადიო და ელექტრონული კავშირი, აგრეთვე პირველი სამი თაობის კომპიუტერი, ახლა საფუძველმდებარე მნიშვნელობა ენიჭება კოსმოსური კავშირის სისტემებს, ინფორმაციულ ქსელებს, მეოთხე-მეხუთე თაობის კომპიუტერსა და პერსპექტივაში — ხელოვნური ინტელექტის სისტემებს.

§ 113
მრეწველობისა და პერსპექტიულ გამოკვლევათა ბაზის ტრანსფორმაცია

სამხედრო-პოლიტიკური სისტემის ელემენტების ცვლილება სამხედრო მრეწველობისა და პერსპექტიულ გამოკვლევათა ბაზის ტრანსფორმაციასაც იწვევს. გვიანინდუსტრიულ ერაში სამხედრო მრეწველობის წამყვან ტექნოლოგიურ პარადიგმას წარმოადგენდა კომპლექსური **მანქანათმშენებლობა, ნაკადური წარმოება.** ლიდერი ტექნოლოგიები სამხედრო მრეწველობაშია კონცენტრირებული.

პერსპექტიული გამოკვლევები ძირითადად თავმოყრილი იყო ცალკეულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. პერსპექტიული სამხედრო გამოკვლევები, როგორც წესი, სამხედრო-კვლევით ცენტრებში ხორციელებოდა ანალოგიურ სამოქალაქო გამოკვლევებთან კავშირში **„სპინ ოფის“** პრინციპით,რომლის დროსაც სამხედრო გამოკვლევები „ქაჩავდა“ სამოქალაქოს.

პოსტინდუსტრიულ ხანაში ეს სისტემა სრულიად სხვა სახეს იღებს. სამხედრო მრეწველობის წამყვან პარადიგმად გადაიქცა მოქნილი,

არამექანიკური ინფორმაციული ტექნოლოგიები. ხდება სამხედრო სფეროში ლიდერი ტექნოლოგიების გადანაცვლება სამოქალაქო სექტორში. პერსპექტიული მეცნიერული გამოკვლევები ხორციელდება ინდუსტრიულ საფუძველზე, რომლის დროსაც იშლება ან სუსტდება ზღვარი ტექნოლოგიურ სიახლეთა შექმნასა და მათ სამრეწველო ათვისებას შორის; ნაწილობრივ ბალანსირდება სამხედრო და სამოქალაქო გამოკვლევები. მეტიც, ზოგიერთი სფეროში ახლა უკვე სამოქალაქო სექტორი „ქაჩავს" სამხედროს. საბაზისო ელემენტების, მრეწველობისა და მართვის სისტემის ტრანსფორმაციაზე მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის ზემოთ მოყვანილი ცხრილები.

§ 114
შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის პრინციპის ტრანსფორმაცია

მესამე ძირითადი სფერო, რომელზეც ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ასევე ძირეული ზეგავლენა მოახდინა, არის შეიაღებული ძალების ორგანიზაციის ტრანსფორმაცია. უაღრესად რთული ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში საყოველთაო სამხედრო ვალდებულების სისტემაზე დამყარებული არმიის დაკომპლექტება ადეკვატურად ვეღარ პასუხობს ახალ მოთხოვნებს. პოსტინდუსტრიულ არმიათა ფორმირების ძირითად პრინციპად იქცა საკონტრაქტო სისტემა,რომლის დროსაც ჯარისკაცები და ოფიცრები შეიარაღებულ ძალებში იმდენ ხანს მსახურობენ, რამდენიც საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიების ასათვისებლად. საბრძოლო მომზადების ტექნიკური საფუძველი არა იმდენად სამხედრო ტექნიკის რეალური ნიმუშების დაუფლებაა, როგორც ეს ხდებოდა ინდუსტრიულ ერაში, არამედ სხვადსხვა ტრენაჟორი, მოდელირების დანადგარი და ა.შ. პოსტინდუსტრიული ეპოქის ჯარისკაცი ძალიან დიდ დროს უთმობს ასეთ იმიტატორებთან ურთიერთობას, რაც, რასაკვირველია, არ გამორიცხავს საბრძოლო ტექნიკასთან ცოცხალ კონტაქტსაც. ამისდა მიუხედავად, წინა პლანზე მაინც წამოწეულია მიკრო-პროცესორებზე დამყარებული პროგრამირებული სწავლება.

უკანასკნელი ცვლილება, რომელზეც შევჩერდებით, ეხება სამხედრო ტექნკური პოტენციალის მარაგის უზრუნველყოფას. გვიანინდუსტრიულ

ერაში სამობილიზაციო პოტენციალის საფუძველს წარმოადგენდა საჭირო რესურსების წინასწარ დაგროვილი ხელუხლებელი მარაგი მაშინ, როდესაც პოსტინდუსტრიულ ხანაში პრიორიტეტულია თანამედრო ტექნოლოგიების ფლობა და სამხედრო მრეწველობის უსწრაფესად ამოქმედება.

§ 115
მომავალ სამხედრო მოქმედებათა ხასიათი

აქ აღწერილი ფუნდამენტური ცვლილებები, ცხადია, საათანადო გავლენას ახდენს თავად სამხედრო მოქმედებათა ხასიათზე. ახლა შეუძლებელია XXI საუკუნეში სამხედრო მოქმედებათა სრულად წარმოდგენაც კი. დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმის მოკლე აღწერით, თუ რა სახეს მიიღებს XXI საუკუნეში სამხედრო მოქმედებები მიწაზე, ჰაერში, ზღვაში, კოსმოსურ და ინფორმაციულ სივრცეებში დასავლელ, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელ ექსპერტთა აზრით.

§ 116
ინფორმაციული ომი

ინფორმაციულ სფეროში (ვირტუალური სივრცე პლუს ფსიქოლოგიური ოპერაციები) ბატონობის მოპოვება და შენარჩუნება ითვლება XXI საუკუნის ომებში გამარჯვების აუცილებელ პირობად. მისი სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ გასანადგურებელია მოწინააღმდეგის არა იმდენად რეალური, რამდენადაც ვირტუალური ობიექტები, მაგალითად: ნიშანთა სისტემები, კომპიუტერული პროგრამებისა და კომპიუტერული ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის ელემენტები და ა.შ.

ამერიკელ ექსპერტთა აზრით, ინფორმაციული ომი მოიცავს სამხედრო მოქმედებათა ყველა დონესა და სფეროს: მოწინააღმდეგეზე ყველა სახის ინფორმაციის მოპოვება და მისთვის საკუთარ საინფორმაციო სისტემებზე მისადგომის აღკვეთა, საინფორმაციო დარტყმები; საკუთარი ჯარების საინფორმაციო დაცვა და საინ-

ფორმაციო მანევრი — ყველა სახის სამხედრო მოქმედების აუცილებელ ელემენტად გადაიქცევა.

საინფორმაციო ომის ძირითადი ამოცანა იქნება თვისებრივად ახალ საშუალებათა შექმნა, რომლებმაც უნდა მოშალოს მოწინააღმდეგის ყველა ჩანაფიქრი და მისი ინფრასტრუქტურის ინფორმაციული სისტემები. ამგვარი ზემოქმედება არ იზღუდება მხოლოდ სამხედრო სფეროთი. ინფორმაციული ომის საშუალებებით დარტყმა შეიძლება მიაყენო მოწინააღმდეგის სავაჭრო და საფინანსო ოპერაციებს, რომლებიც კომპიუტერული ქსელის მეშვეობით ხორციელდება.

დამოუკიდებელი ინფორმაციულ-სამხედრო ოპერაციები ითვალისწინებს მოწინააღმდეგის კომპიუტერულ სისტემებზე ფარულ დარტყმებსაც. ამისათვის გამოიყენება მოწინააღმდეგის კომპიუტერულ სისტემებში წინასწარ ჩადებული ე. წ. ლოგიკური ბომბები, კომპიუტერული ვირუსების გავრცელება სხვადასხვა საშუალებით. აშკარა თავდასხმის დროს მძლავრი ელექტრომაგნიტური გამოსხივება გამოიყენება, რომელსაც მთლიანად გამოყავს მწყობრიდან მოწინააღმდეგის კომპიუტერული სისტემა. შედარებით შორეულ პერსპექტივაში იგეგმება ე.წ. საინფორმაციო-ბაქტერიული იარაღის გამოყენებაც. ეს ნიშნავს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე რეალური ბაქტერიებისა და ვირუსების გავრცელებას, რომლებიც ცოცხალ ორგანიზმებს არ ვნებს, მაგრამ სივრცის მონიშნულ მონაკვეთზე მოქმედ საინფორმაციო სისტემებში სხვადასხვა მიკროორგანიზმების მოხვედრას იწვევს. შესაბამისად მწყობრიდან გამოდის საინფორმაციო სისტემები (მაგალითად, მიწისზედა კაბელებისა ან კომპიუტერების დეტალების ხელოვნური კოროზია).

საინფორმაციო დონეზე განხორციელებული სტრატეგიული, ოპერატიული თუ ტაქტიკური მოქმედებები არ ამოიწურება მოწინააღმდეგის საინფორმაციო სისტემებზე ზემოქმედებით. იდეალური იქნება ისეთი ვითარება, როდესაც ინფორმაციულ-სამხედრო დარტყმები „არა მხოლოდ შეიტანს დეზინფორმაციას მოწინააღმდეგის მოქმედებებში, არამედ მისსავე იარაღს ფაქტიურად საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ აამოქმედებს".

საინფორმაციო ომებში, ზემოთ დასახელებულ სამხედრო-საინფორმციო მოქმედებებს გარდა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ე. წ. „არაძალისმიერ-ინფორმაციული" მოქმედებანი. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, იყოფა „ჩამომყალიბებლად" და „დამანგრეველად". „ჩამომ-

ყალიბებელი" სამხედრო-საინფორმაციო ოპერაციები ძირითადად ტარდება საკუთარი ძალების მობილურობისა და საბრძოლო ეფექტიანობის დონის გასაზრდელად, აგრეთვე მოწინააღმდეგის საინფორმაციო სისტემებზე იმგვარი ზემოქმედებისთვისაც, რომელიც მას მცდარ ინფორმაციას მიაწვდის მოქმედი მხარის შეიარაღებული ძლების განლაგების, მდგომარეობისა და ზრახვების შესახებ. ამგვარი „ჩამომყალიბებელი" მოქმედებების მიზანია, აიძულოს მოწინააღმდეგე, ჩაერთოს სამხედრო მოქმედებებში მისთვის არახელსაყრელ პირობებში. „ჩამომყალიბებელი" მოქმედებები უნდა განხორციელდეს მოწინააღმდეგის დეზინფორმირების ღონისძიებათა კონტექსტში. ეს გულისხმობს დეზინფორმაციის ფართო გავრცლებას საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ომის საშუალებებით, ყალბი ობიექტების გამოყენებასა და ზეზუსტი იარაღის მეშვეობით მოწინააღმდეგის საინფორმაციო ქსელებზე ფიზიკურ ზემოქმედებას. „დამანგრეველი" მოქმედებები გულისხმობს მოწინააღმდეგის სისტემის „საინფორმაციო გადატვირთვას", მასში ყალბი ინფორმაციების შეყვანასა და იმგვარი მოქმედების განხორციელებას, როდესაც მოწინააღმდეგის საინფორმაციო სისტემები საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ იმუშავებს.

§ 117
კოსმოსური ომი — ომი კოსმოსიდან

დასავლელი ექსპერტების აზრით, XXI საუკუნეში კოსმოსი ფართოდ იქნება გამოყენებული სამხედრო მოქმედებათა უზრუნველსაყოფად. კოსმოსური კავშირი და დაზვერვა, აგრეთვე მართვა, გადამწყვეტ როლს შეასრულებს საინფორმაციო ომში. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება ყველა სახეობის ძალების საბრძოლო ოპერაციების უზრუნველყოფას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს დარტყმა კოსმოსიდანაც იქ განლაგებული სისტემების მეშვეობით. ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონე უკვე იძლევა კოსმოსში დამრტყმელ სისტემათა განლაგების საშუალებას. მიუხედავად მცდელობისა, შეიზღუდოს იარაღის გავრცელება კოსმოსში, ამგვარი სისტემები კოსმოსურ სივრცეში მაინც განთავსდება, რადგან ამ სივრცის აუთვისებლად შეუძლებელია გარანტირებული გამარჯვება ნებისმიერ

კონფლიქტში. კოსმოსიდან დამრტყმელ ოპერაციათა განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება სხვადასხვა ლაზერულ სისტემებს. ისინი მოწინააღმდეგის სტრატეგიულ-რაკეტული პოტენციალის ნეიტრალიზებას შეძლებენ. კოსმოსური ოპერაციებისათვის აუცილებელი გახდება საავიაციო და კოსმოსური ბაზირების თანამგზავრსაწინაღმდეგო, აგრეთვე სხვა სისტემების გამოყენება, რომლებიც მოწინააღმდეგის თანამგზავრებზე მათი მწყობრიდან (დროებით ან, მთლიანად) გამომყვან ინფორმაციას შეიყვანს ან თანამგზავრიდან ყალბ ინფორმაციას გადმოსცემს. ამავე დროს თავად კოსმოსური სისტემები საჭიროებს მოწყობილობებს, რომლებიც მათ დაიცავს მოწინააღმდეგის მოულოდნელი თავდასხმისაგან. ზოგიერთი ექსპერტი საჭიროდ თვლის ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც მწყობრიდან გამოიყვანს საკუთარი კოსმოსური სისტემის გასანადგურებლად გამოსაყენებელ მოწინააღმდეგის საშუალებებს (ე. წ. მეორე დარტყმის კოსმოსური ძალები, რომლებიც კვადრატში აიყვანს იმას, რაც რეიგანის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივაში იგულისხმებოდა).

ვარაუდობენ, რომ მეორე კოსმოსური დარტყმის ძირითადი ინსტრუმენტის როლს შეასრულებს ინფორმაციული ომის მცირედ შესამჩნევი თანამგზავრები, რომლებიც დაბრმავებს ან მწყობრიდან გამოიყვანს მოწინააღმდეგის პირველი დარტყმის ლაზერულ დანადგარებს. იგივე თანამგზავრები გაანადგურებს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებიდან გაშვებულ თანამგზავრსაწინააღმდეგო რაკეტებს. ამასთანავე, მოწინააღმდეგის ანტიკოსმოსური იარაღის გასანეიტრალებლად აუცილებელია შეიქმნას თანამგზავრსაწინააღმდეგო რაკეტები, ადვილად გასაშვები მსუბუქი თანამგზავრები, აგრეთვე სახმელეთო ობიექტების გასანადგურებელი თანამგზავრების რეზერვები.

უკვე ორ-სამ ათწლეულში შესაძლებელი გახდება კოსმოსური ბაზირების ისეთ საშუალებათა შექმნა, რომლებიც განახორციელებს დამრტყმელ ოპერაციებს სახმელეთო ობიექტების, მათ შორის, დაცული სტაციონარული ობიექტების წინააღმდეგ. ამის შედეგად გლობალური დამრტყმელი ოპერაციები ახალ განზომილებას მიიღებს. ერთი სიტყვით, ის, რაც რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო ფანტასტიკად აღიქმებოდა, XXI საუკუნეში, ჩვეულებრივ, საბრძოლო იარაღად იქცევა.

§ 118
საჰაერო ბრძოლის საშუალებათა გამოყენების ტრანსფორმაცია

დასავლელი ექსპერტების აზრით, უპილოტო საფრენი აპარატები უდიდეს გავლენას მოახდენს საჰაერო ბრძოლის სპეციფიკაზე. „სტელტის" ტიპის ტექნოლოგიების ფართო დანერგვა გაართულებს საფრენ საშუალებათა აღმოჩენას. ტექნოლოგიური ნოვაციები სამხედრო-საჰაერო ძალების მოსამსახურეთა მენტალიტეტის ისეთ ცვლილებებს გამოიწვევს, რომლებიც ძნელი დასაძლევი იქნება. გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემად იქცევა იმასთან შეგუება, რომ ინტენსიური ფრენა შესაძლოა უპილოტო აპარატებითაც. ამ სტერეოტიპის გადალახვას ართულებს ის, რომ საქმე ავიაციის ფუნდამენტურ პრინციპებს ეხება.

დიდი რადიუსის ზეზუსტი დამრტყმელი იარაღის გამოყენება აძნელებს აეროდრომებისა და იქ ბაზირებული თვითმფრინავების დაცვას. გართულდება იმ თვითმფრინავების გამოყენება, რომლებსაც არ შეეძლებათ საკონტინენტთაშორისო მანძილებზე ფრენა. დიდ სიღრმეში დამრტყმელი ოპერაციების განხორციელებაში ექსპერტები უპირატესობას ძნელად შესამჩნევ საკონტინენტთაშორისო ბომბდამშენებს ანიჭებენ. ამავე დროს, ფართოდ იქნება გამოყენებული საკონტინენტთაშორისო და ფრთოსანი რაკეტები, მათ შორის, ტაქტიკური მიზნების გასანადგურებლად. სადაზვერვო ოპერაციებში სულ უფრო გაიზრდება მცირედ შესამჩნევი უპილოტო თვითმფრინავების როლი, რომლებიც გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწევს ტაქტიკურ დაზვერვაში. ისინი ფართოდ იქნება გამოყენებული ტაქტიკურ სიღრმეში მოწინააღმდეგის ძალების გასანეიტრალებლად. ზოგიერთი რადიკალურად განწყობილი ექსპერტი იმასაც ამტკიცებს, რომ ამგვარმა აპარატებმა, აგრეთვე მათი აღჭურვილობის სრულყოფამ, შეიძლება მომავალში არტილერია არასაჭიროდაც კი აქციოს.

„სტელტის" ტექნოლოგიების სრულყოფა და ფრენის არაჩვეულებრივი სიმაღლე გაართულებს ჰაერში ბატონობის მოპოვებას ამ სიტყვის ღღეანდელი გაგებით. „სტელტის" ტექნოლოგიების ფართო დანერგვა გამოიწვევს ერთგვარ მიბრუნებას მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სიტუაციისკან, როდესაც პილოტები რადარებს კი არა, საკუთარ თვალებს

ეყრდნობოდნენ. საჰაერო ბრძოლისას ვიზუალური დაკვირვება ბევრად მეტ მნიშვნელობას შეიძენს, ვიდრე ბოლო რამდენიმე ათწლეულში ჰქონდა. ეს კი გავლენას მოახდენს საჰაერო ბრძოლების ტაქტიკაზე. ექსპერტების აზრით, „სტელტის" ტექნოლოგიაზე დამყარებულ პილოტირებულ გამანადგურებლებს (რომელთა წინამორბედებიცაა ამერიკული F-22 და F-35) უპირატესად გამოიყენებენ დიდ სიღრმეში სპეციფიკური დამრტყმელი ოპერაციების განხორციელების მიზნით, მოწინააღმდეგის მართვის თვითმფრინავების, აგრეთვე საჰაერო ბაზირების და ფრთოსანი რაკეტების მატარებლების, აგრეთვე საჰაერო ბაზირების ლაზერული დანადგარების გასანადგურებლად.

XXI საუკუნის საჰაერო ბრძოლებში გაიზრდება „საჰაერო ავიამზიდების", ანუ მცირედ შესამჩნევი თვითმფრინავების როლი, რომლებსაც ექნებათ საკონტინენტთაშორისო მოქმედების რადიუსი. მათზე დისლოცირებული იქნება უპილოტო საფრენი აპარატების გარკვეული რაოდენობა. ამგვარ „საჰაერო ავიამზიდებს" შეეძლება გაუშვას, მართოს და დააბრუნოს უკან, თავის ბორტზე, უპილოტო აპარატები (სხვათა შორის, „საჰაერო ავიამზიდების" შექმნის მცდელობა იყო საბჭოთა კავშირში 30-იან წლებში). ასეთი „ავიამზიდები" შეიძლება გამოყენებული იქნას მტრული ძალების (მათ შორის, სახმელეთოს) წინააღმდეგ, დაშორებულ, აგრეთვე სადაო ტერიტორიებზე ჰაერში ბატონების მოსაპოველად.

§ 119
სახმელეთო საბრძოლო მოქმედებები XXI საუკუნეში

ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია ფუნდამენტალურად შეცვლის სახმელეთო ბრძოლის ხასიათსაც. ინფორმაციული სფეროს სრულყოფის ბაზაზე შეიქმნება მცირე დანაყოფების ქსელური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელთა ცენტრშიც ცალკეული ჯარისკაცი დადგება. საბრძოლო მწყობრი დაკარგავს ხაზოვან თვისებას. ყველა რგოლის მოქმედება ბევრად უფრო მობილური გახდება არა მარტო სტრატეგიულ, არამედ ტაქტიკურ დონეზეც. ახალი ტექნოლოგიების პირობებში სახმელეთო ძალების სწრაფად გაშლისა და დეკონცენტრაციის, აგრეთვე ქვეითთა ეკიპირების თვისებრივად ახალ საშუალებათა გამოყენებით,

კლასიკური სახმელეთო ოპერაციები შედარებით უფრო მაღალი ინტენსივობის სპეციალური დანიშნულების მოქმედებებს დაემსგავსება. ამის კარგი მაგალითია მოქმედებები ბენ-ლადენისა და ტალიბების წინააღმდეგ ავღანეთში.

დასავლეთელ ექსპერტთა აზრით, შეიცვლება მანევრის ფუნქციაც, რომელიც აღარ იქნება განხილული, როგორც მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი პოზიციის დაკავება. მომავალში მანევრი და გადაადგილდება მხოლოდ იმ ფუნქციას შეასრულებს, რომ მოწინააღმდეგეს იძულებულს გახდის, განახორციელოს ისეთი კონტრმანევრი, რომელიც თვითონ მას ჩააყენებს არახელსაყრელ ვითარებაში. ამგვარმა მიდგომამ გაამართლა ერაყის მეორე ომისას.

ამ პირობებში გართულდება სახმელეთო ჯარის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რაც გამოიხატება მოწინააღდეგის ტერიტორიის ოკუპირებასა და შენარჩუნებაში. უფრო მიზანშეწონილი გახდება გარკვეული სივრცეების „არაპირდაპირი" კონტროლი, რომელიც, პრინციპში, სამ კომპონენტს შეიძლება შეიცავდეს: სტრატეგიული ხასიათის საშუალებებს, რომლებიც ტაქტიკური მიზნების გასანადგურებლად გამოიყენება; სწრაფი რეაგირებისა და კონტაქტური მოქმედებისათვის საჭირო ძალების მუდმივ მზადყოფნასა და ადგილობრივი ძალების მიერ ზემოთ დასახელებულ ამოცანათა შესრულების უზრუნველყოფას (იგულისხმება სახელმწიფოები, ვისი ტერიტორიაც შეიძლება მოიცვას კონფლიქტმა).

§ 120
მოქმედებები საზღვაო აკვატორიებში

ექსპერტები თვლიან, რომ XXI საუკუნეში სახმელეთო და კოსმოსური ბაზირების სისტემების სრულქმნის წყალობით შესაძლებელი გახდება საზღვაო აკვატორიის ბევრად უფრო ფართო რაიონების კონტროლი, ვიდრე აქამდე. წყალზედა სამიზნეების განადგურების უმთავრეს საშუალებად გადაიქცევა სახმელეთო ბაზირების უპილოტო საფრენი აპარატები და სხვადასხვა რაკეტები, აგრეთვე ხომალდი-არსენალები. გაიზრდება სახმელეთო ინფრასტრუქტურის როლიც.

2020-30 წლისათვის ფლოტის ძირითადი დამრტყმელი ძალა გახდება წყალქვეშა ხომალდი-არსენალები, რომელთა ბორტზეც განლაგდება

რამდენიმე ასეული სხვადასხვა სახის რაკეტა. ამ ძალებში შევა წყალქვეშა სადესანტო ხომალდები, უპილოტო თვითმფრინავთა წყალქვეშა მატარებლები (წყალქვეშა ავიამზიდები), აგრეთვე გემები, რომლებსაც საწყობების როლი დაეკისრება. ამასთან, ამ აკვატორიებში ბრძოლები დაკარგავს წმინდა საზღვაო ხასიათს. წარმატების აუცილებელი პირობა აქაც უპირატესობის მოპოვება გახდება საინფორმაციო და კოსმოსურ სივრცეში, აგრეთვე ხმელეთსა და ჰაერში. ფლოტის ფუნქცია იმდენად მოწინააღმდეგის ფლოტთან ბრძოლა აღარ იქნება, რამდენადაც საკუთარი სხვა სახეობების მხარდაჭერა. ხმელეთზე დაახლოების 200 კმ-მდე სიღრმეში მოხდება საკუთარი სახმელეთო ძალების მხარდაჭერა რაკეტებითა და არტილერიით (ამერიკელებმა უკვე შექმნეს 155 მმ-ს კალიბრის ჰაუბიცები, რომლის სროლის სიშორე 185 კმ-ია და რომელთა ჭურვებში დასამიზნებლად GPS-ის სიტემა გამოიყენება); ფლოტს დიდი როლი ეკნება საკუთარი ძალების ჰაერიდან დაცვაში და, რაც მთავარია, მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების განადგურებაში.

§ 121
ცვლილებები შეიარაღებული ძალების მართვის ორგანიზაციულ პრინციპებში

XXI საუკუნეში შეიცვლება არამარტო სამხედრო მოქმედებათა ხასიათი, არამედ შეიარაღებულ ძალთა სტრუქტურაც. იქიდან გამომდინარე, რომ კონტაქტურ ბრძოლას შეცვლის სიღრმისეული დარტყმები, ჩვეულებრივი დაცვის ადგილს დაიჭერს საინფორმაციო დაცვა, ხოლო ვერტიკალურ კავშირებს ჩაენაცვლება მრავალდონიანი ქსელური კავშირები (სადაც ჰორიზონტულ დონეზე ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მექანიკურად გამოიწვევს საჭირო ინფორმაციის გაგზავნა-მიღებას ვერტიკალურ დონეზეც), გაუფასურდება ისეთი ცნება, როგორიცაა პასუხისმგებლობის გეოგრაფიული ზონები. მოხდება მათი ჩანაცვლება პასუხისმგებლობის ფუნქციონალური ზონებით, როდესაც შეიარაღებულ ძალთა დაჯგუფებები შეიქმნება არა გეოგრაფიული პრინციპით,არამედ მის წინაშე დასმული მიზნების მიხედვით (მაგალითად, ზღვისიქეთა თეატრზე სწრაფი რეაგირების ან ლოკალური საინფორმაციო ომის წარმართვის ძალები).

სახმელეთო ჯარებში ახალი ორგანიზაცია იმაში გამოიხატება, რომ ეს სახეობა ორკომპონენტიანი სტრუქტურის სახეს მიიღებს. პირველი კომპონენტი იქნება სახმელეთო ჯარების შედარებით მცირე დანაყოფი, ოღონდ აღჭურვილი „პოსტრევოლუციური" ხანის შესაფერისი იარაღითა და ეკიპირებით. ეს იქნება მცირე შენაერთები, რომლებიც უმთავრესად იმოქმედებს დეცენტრალიზებულად და განახორციელებს XX საუკუნის კონფლიქტებთან შედარებით არატრადიციულ ოპერაციებს. მეორე კომპონენტი კი უფრო მრავალრიცხოვანი შენაერთებია, რომლებიც გამიზნული იქნება კლასიკურ სამხედრო მოქმედებათა შესასრულებლად. მათ შორის თანაფარდობა შეიძლება შეადგენდეს 1:4, 1:5 ან მეტსაც. ამერიკელ ექსპერტთა აზრით, ქვეყნის სახმელეთო ჯარებში, ახალი მოთხოვნების შესაბამისად ბრძოლისუნარიან მებრძოლთა რაოდენობა სულ შეიძლება შეადგენდეს 25 ათასს. იგივე ითქმის საზღვაო ქვეითი ძალების შესახებაც. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება მზად ისეთი „პოსტრევოლუციური" მოქმედებისათვის, როგორიცაა მოუწყობელ სანაპიროზე წყალქვეშეთიდან პირდაპირი დესანტირება ანდა „ახლო" საბრძოლო ოპერაცია სიტუაციებში, როდესაც მოწინააღმდეგის ტაქტიკური სამიზნეების გასანადგურებლად გამოყენებული იქნება ოპერატიული და სტრატეგიული საშუალებები.

სამხედრო-საჰაერო ძალებში ახალი რევოლუციის შედეგად უპილოტო დამრტყმელ თუ სადაზვერვო თვითმფრინავთა რაოდენობა ბევრად უფრო მეტი იქნება პილოტირებულთან შედარებით. ეს და საჰაერო ავიამზიდების შექმნა, მცირედ შესამჩნევი ავიაციის დომინირება და მისი მოქმედების რადიუსის უჩვეულო გაზრდა დააყენებს შერეულ (პილოტირებულ და უპილოტო თვითმფრინავთაგან შედგენილი) შენაერთების შექმნის საკითხს, რაც ცვლილებას შეიტანს არა მხოლოდ საავიაციო დაჯგუფებათა ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაში, არამედ — მათ საბრძოლო უზრუნველყოფასა და მართვაშიც.

პოსტრევოლუციური ხანის ფლოტში ძირითად დამრტყმელ ძალად გადაიქცევა სხვადასხვა სახის წყალქვეშა ხომალდები. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საუბარი სწორედ წყალქვეშა ხომალდებზეა (წყალქვეშა ხომალდი-არსენალები, რომელთა ბორტზე ასეულობით რაკეტა განლაგდება. ზოგიერთი უფრო შორსაც მიდის და იხილავს წყალქვეშა ავიამზიდების შექმნის პროექტებსაც) და არა წყალქვეშა ნავებზე, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. ფლოტშიც მოხდება პასუხისმგებლობის

გეოგრაფიული ზონებიდან ფუნქციურში გადასვლა, მაგრამ ეს პროცესი მას შედარებით ნაკლებად შეეხება, ვიდრე სამხედრო-საჰაერო ძალებს, რაც განპირობებულია იმით, რომ, თავისი სპეციფიკის გამო, ფლოტს მაინც დასჭირდება ბაზირება დედამიწის ზოგიერთ რეგიონში. ამავე დროს ფუნქციური პასუხისმგებლობის დონის ზრდას ხელს შეუწყობს ის, რომ ფლოტი პოსტრეგოლუციურ ხანაში, ისე როგორც არასდროს, დამოკიდებული იქნება სახმელეთო ინფრასტრუქტურასა და აეროკოსმოსურ ძალებზე.

§ 122
ცვლილებები სამხედრო პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში

ტექნოლოგიური რევოლუციის არნახული ტემპები სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს სამხედრო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაშიც. ამის აუცილებლობის წინაშე უკვე იდგა აშშ, რომელიც გლობალურ ლიდერობას ინარჩუნებს სამხედრო სფეროში. რიგი ამერიკელი ექსპერტების აზრით, აშშ-ის შეიარაღებული ძალები დაახლოებით იმისი მსგავსი სირთულის წინაშეა, რომელშიც იმყოფებოდა ბრიტანეთის ფლოტი XIX საუკუნის დასასრულს. წარმოუდგენლად ძნელია შეინარჩუნო დომინირება არსებული სიტუაციის ფარგლებში და იმავდროულად მოახერხო დაიკავო ლიდერის როლი ახალ რეალობაში, რომელიც უსწრაფესად ყალიბდება.

ამერიკის თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა შეიარაღებულ ძალთა რეფორმირების ორი ვარიანტი, რომელთა რეალიზება ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობათა და სამხედრო-სტრატეგიული სისტემის განვითარების სხვადასხვა სიტუაციას. ერთი ვარიანტი გულისხმობს აქცენტირებას დღევანდელ რეალურ მუქარებზე და, შესაბამისად, შეიარაღებულ ძალთა უფრო ტრადიციული სტრუქტურის შენარჩუნებას, მეორე კი XXI საუკუნეში პოტენციური საშიშროებისათვის მზადებას და, შესაბამისად, მომავლის შეიარაღებული ძალებისათვის საკმარისი რესურსების გამოყოფასაც. საბოლოოდ მიღებულია კომპრომისული ვარიანტი, რომელიც გულისხმობს საჭირო რესურსებს აშშ-ის ამჟამინდელი პოზიციის შესანარჩუნებლად და ერთდროულად მომავლის არმიის მშენებლობისათვის საკმაო კაპიტალდაბანდებათა გამოყოფასაც.

ახალი კონცეფცია აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა წინაშე აყენებს, უპირველეს ყოვლისა, „გაურკვეველი მომავლისადმი მომზადების“ ამოცანას. იგულისხმება, რომ ამ ვითარებაშიც უცვლელი იქნება აშშ-ის შეიარაღებულ ძალთა მთავარი მიზანი — გლობალურ დონეზე უზრუნველყოს აშშ-ის პოლიტიკური ინტერესების განხორციელება.

§ 123
ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია და პატარა სახელმწიფოთა უსაფრთხოების პოლიტიკა

სამხედრო-ტექნოლოგიური რევოლუცია (როგორც ამჟამინდელი, ისე ადრინდელი, 50-70-იანი წლებისა) გამოირჩევა ერთი თავისებურებით. მას, სამოქალაქო სექტორში მომხდარ პროგრესთან შედარებით, უფრო „ელიტარული ხასიათი“ აქვს. სამოქალაქო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ნამდვილად პლანეტარულია. მისი ნაყოფით (ვთქვათ, პერსონალური კომპიუტერები, მობილური სატელეფონო კავშირის სისტემები, ფაქსური და ელექტრო საფოსტო სისტემები, თანამგზავრული ტელევიზია და ა. შ.), სარგებლობა, თუ ფინანსები უწყობს ხელს, შეუძლია ნებისმიერი ქვეყნის ყველა ქვეშევრდომს. სამხედრო-ტექნოლოგიური რევოლუციის პოტენციალის გამოყენება კი მხოლოდ სახელმწიფოთა მეტად ვიწრო ჯგუფს ძალუძს. მისი ეფექტიანობისათვის არ კმარა მხოლოდ ფინანსები. საჭიროა აგრეთვე საზოგადოების განვითარების მაღალი დონე, საკმარისი რაოდენობის მაღალ-კვალიფიციური საინჟინრო და სხვა ინტელექტუალური პერსონალი, მაღალორგანიზებული სამხედრო მრეწველობა და მთელი სერია პერსპექტიული სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევებისა.

ამასთან, შეინიშნება იმ სახელმწიფოთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რომლებსაც სამხედრო სფეროში ინფორმაციული რევოლუციის შედეგების გამოყენება შეუძლიათ. ისეთმა განვითარებადმა სახელმწიფოებმაც კი, როგორებიცაა: ინდოეთი, პაკისტანი, აგრეთვე ერაყი, ირანი და ჩრდილო კორეა — შეძლეს დიდი სახსრების დაბანდებით მეტ-ნაკლებად წარმატებული ბირთვული და სარაკეტო პროგრამების განხორციელება. მაგრამ ისინი ვერ გავლენ პოსტინდუსტრიულ დონეზე. გლობალური თანამგზავრული, კოსმოსური დამიზნების, მართვისა და

განადგურების, საინფორმაციო ომისა და სხვა სახის სისტემის შესაქმნელად საჭიროა ისეთ რესურსთა ერთობლიობა, რომელიც მათ ძალ-ღონეს აღემატება.

ასეთი ვითარება, არსებითად, განსაზღვრავს მსოფლიოს პატარა ქვეყნების სამხედრო უსაფრთხოების პოლიტიკას. თუ მაღალგანვითარებული მცირე ევროპული სახელმწიფოები (შვედეთი, შვეიცარია) „ცივი ომის" ხანაში მნიშვნელოვანი სახსრების ხარჯვით ახერხებდნენ საჭირო პოტენციალის შენარჩუნებას სამხედრო მრეწველობისა და პერსპექტიული გამოკვლევების სფეროში, ტექნოლოგიური რევოლუციის ახალ ეტაპზე ისინი ამას უკვე ვეღარ შეძლებენ. გვიანინდუსტრიულ ეპოქაში შვედეთი თუ კიდევ სერიულად უშვებდა, ვთქვათ, მეოთხე თაობის გაუმჯობესებულ „გრიფენის" ტიპის გამანადგურებლებს, XXI საუკუნეში ის ვეღარ შეძლებს „სტელტის" ტიპის ტექნოლოგიებზე დამყარებული საფრენი აპარატების შექმნას და, რაც მთავარია, ვერ აითვისებს კოსმოსური მართვის, რაკეტსაწინააღმდეგო დაცვისა და ინფორმაციული ომის სისტემებს. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ მაღალგანვითარებული ნეიტრალური სახელმწიფოები: შვედეთი, ფინეთი, ავსტრია და შვეიცარიაც კი სერიოზულად ფიქრობენ, უარი თქვან ნეიტრალიტეტის ტრადიციულ პოლიტიკაზე და თავის უსაფრთხოებას მრავალეროვნულ სამხედრო გაერთიანებებს უკავშირებენ (ნატო, დასავლეთ ევროპის კავშირი). მათ სურთ შექმნან ერთგვარი გლობალური ფარი, რაც შესაძლებლობას მისცემს ამ სახელმწიფოებს, განავითარონ ეროვნული სამხედრო-ტექნოლოგიური პოტენციალი. მცირე სახელმწიფოების მიერ ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე უარის თქმა და ახალი გზის ძიება ამჟამინდელი ტექნოლოგიური რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური შედეგია. ამრიგად, XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელი ტენდენცია იქნება მცირე სახელმწიფოთა სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხილვა საერთაშორისო სამხედრო ორგანიზაციებში მათი ინტეგრაციის გზით (პირველ რიგში ნატოსთან), რაც სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. ამგვარი ინტეგრაცია სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად გზას გაუხსნის ამ ქვეყნებს უახლესი სამხედრო ტექნოლოგიებისაკენ.

§ 124
ახალი რევოლუცია სამხედრო საქმეში და საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა

ყოველი სამხედრო ტექნოლოგიური რევოლუცია სამხედრო-თეორეტიკოსთა არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. მათი ერთი ნაწილი (რომლებსაც პირობითად ტრადიციონალისტები შეიძლება ვუწოდოთ) ამტკიცებს, რომ ასეთი რევოლუციის შედეგები არსებითად არ ცვლის სამხედრო პოლიტიკის უმთავრეს პრინციპებს. სხვები (რომლებსაც რადიკალური ჰიპერმოდერნისტები შეიძლება ვუწოდოთ), საპირისპიროს ამტკიცებენ და თვლიან, რომ ყოველი ახალი რევოლუცია მთლიანად ცვლის სამხედრო პოლიტიკის შინაარსს და მისი განხორციელების მეთოდებს. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც ამ პოზიციათა შორისაა. გენერლები, რომლებიც მომავალი ომებისათვის წინა ომების გამოცდილებიდან გამომდინარე ემზადებიან, საფრთხეს უქმნიან თავისი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობას. ამის მკაფიო მაგალითია 30-იანი წლების საფრანგეთის სამხედრო-თეორიული აზრი, რომელმაც არად ჩააგდო გენერალ დე გოლის ნაშრომები მასირებული ჯავშანსატანკო ძალების შესაძლებლობის შესახებ, რასაც მოჰყვა საფრანგეთის უმძიმესი დამარცხება 1940 წლის საგაზაფხულო-საზაფხულო კამპანიაში. მეორე მხრივ, სამხედრო-ტექნოლოგიურ რევოლუციებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ რეალურად დანერგვადი შედეგები და პერსპექტივები, რომლებიც სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. სამხედრო ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად, არსებობს სამხედრო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპები, რომლებიც, მართალია, არ ატარებს ზედროულ და უნივერსალურ ხასიათს, მაგრამ მაინც უცვლელია ბოლო ასწლეულებში.

როგორც არ უნდა განვითარდეს XXI საუკუნის პირველი მეოთხედის სამხედრო ტექნოლოგიური რევოლუცია, ჩვენ მაინც შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ტექნოლოგიური ფაქტორები სულ უფრო მზარდ გავლენას მოახდენს უსაფრთხოებისა და სამხედრო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე. მომავალში ტექნოლოგიური პოტენციალის როლი

ეროვნული ძალმოსილების განმსაზღვრელ პარამეტრებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, XXI საუკუნისათვის საჭირო ტექნოლოგიური დონის შენარჩუნება ძალიან დიდ ფინანსურ, ტექნიკურ, სოციალურ და სხვა სახის სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, რაც სახელმწიფოებს ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და არსებული სისტემების ერთობლივი ექსპლუატაციისკენ უბიძგებს.

2. გარანტირებული და მინიმალური მსხვერპლის ფასად მიღწეული გამარჯვების უზრუნველყოფა შეეძლება მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც მოახერხებს არატრადიციული, დედუქციური კავშირების პრიმატზე დამყარებულ მოქმედებათა განხორციელებას. ასეთი კი ის მხარე იქნება, რომელიც ფლობს კავშირის, ინფორმაციის, მართვისა და განადგურების ზეთანამედროვე, მათ შორის ძირითად, კოსმოსურ და საინფორმაციო ომების სისტემებს;

3. ტექნოლოგიების გართულება სახელმწიფოებს უბიძგებს პერსპექტიული გამოკვლევებისა და იარაღის წარმოების სფეროში ერთობლივი პროექტების კიდევ უფრო აქტიურად განხორციელებისაკენ;

4. სამხედრო-პოლიტიკური ვითარება გაურკვევლობის მაღალი ხარისხის შემცველი იქნება. მოსალოდნელია სრულიად ახალი და ძნელად პროგნოზირებად საფრთხეთა სწრაფი გაჩენა, ვთქვათ, იგივე ტექნოლოგიების მალე და უკონტროლო გავრცელებასთან დაკავშირებით;

5. ტექნოლოგიური რევოლუცია არ გამოიწვევს კულტურული და ცივილიზაციური ცნობიერების ნიველირებას. თუმცა, მისი გლობალიზაციისას მოხდება მსგავსი ცივილიზაციური მახასიათებლების მქონე ხალხების კიდევ უფრო დაახლოება, რასაც განაპირობებს, ვთქვათ, ერთობლივი საინფორმაციო (არაა აუცილებელი მაინცადამაინც სამხედრო) სისტემების ექსპლუატაცია, სხვადასხვა პროგრამების სტანდარტიზაცია და ა.შ. ცივილიზაციური კუთვნილება სამხედრო პოლიტიკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი გახდება;

სულ უფრო გამოიკვეთება პატარა ქვეყნების მიერ ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე უარის თქმის მოტივაცია. ამას განაპირობებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნოვაცია;

შეიარაღებულ ძალებში რევოლუციურ სიახლეთა დანერგვა თავისთავად არ მოხდება. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება.

ყოველივე ზემოთქმულიდან, აგრეთვე გამოტანილი დასკვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს ნებისმიერმა ხელისუფლებამ:

1. სამხედრო უსაფრთხოების სფეროში შეიმუშაოს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც გაურკვევლობის მაღალი ხარისხის შემცველ ვითარებაში მოქმედებაზე იქნება ორიენტირებული. მით უფრო, რომ საქართველო შეიძლება სრულიად სხვადასხვა ხასიათის საფრთხეთა წინაშე დადგეს;

2. სამხედრო სფეროში ტექნოლოგიური რევოლუციების გავრცელების არეალი ყოველთვის უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე ანალოგიური ხასიათის სამოქალაქო რევოლუციებისა. ეს ტენდენცია XXI საუკუნეში კიდევ უფრო გამყარდება. გამომდინარე იქიდან, რომ XXI საუკუნის ტექნოლოგიებთან ინტეგრირება საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი გარანტია იქნება, საქართველოს პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოახერხოს ეს;

3. გავითვალისწინოთ ისიც, რომ სამხედრო-ტექნოლოგიური რევოლუციების არეალის შეზღუდულობის გამო მათი გავრცელება საქართველოში თავისთაად არ მოხდება. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამ პოლიტიკის ნაწილი შეიძლება გახდეს თავდაცვის სამინისტროსა და პროფესიონალ მეცნიერთა მიერ კრიტიკული ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისი ანალიზი, მათი ადაპტირება საქართველოს შესაძლებლობებთან და ამის შესახებ ქვეყნის ხელმძღვანელობის ინფორმირება (აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს ყოველწლიურ უდგენს ანგარიშს მსოფლიოში კრიტიკულ ტექნოლოგიათა განვითარების შესახებ. „კრიტიკული" ეწოდება ყველა ისეთ ტექნოლოგიას, რომლის დანერგვამაც შეიძლება გამოიწვიოს ტექნოლოგიური რევოლუციის ახალი სპირალის ფორსირება);

4 გამომდინარე საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძველმდებარე პრინციპებიდან, აგრეთვე ვითარების შესაძლო განვითარების მოდელებიდან, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად გამორიცხულია საქართველოს სახელმწიფოს რაიმე ფორმით დაპირისპირება დასავლეთის პოსტინდუსტრიულ სახელმწიფოებთან, რომლებიც XXI

საუკუნის სამხედრო რევოლუციის გლობალური ლიდერები იქნებიან. თავის მხრივ, გამორიცხულია ამ სახელმწიფოთა მიერ დამოუკიდებელი საქართველოსათვის რაიმე რეალური საფრთხის შექმნა. აქედან გამომდინარე, საქართველოს თეორიული, ჰიპოთეტური საფრთხე შეიძლება შეუქმნას მხოლოდ იმ სახელმწიფომ ან კოალიციამ, რომელიც XXI საუკუნის დონეს მხოლოდ ცალკეულ ნიშებში მიაღწევს ან საერთოდ ვერ მიაღწევს. ასეთი ჰიპოთეტური მუქარიდან თავდაცვის საუკეთესო საშუალება კი მოწინავე ტექნოლოგიური სტრუქტურების მქონე სახელმწიფოებთან ჩვენი ინტეგრაციაა;

5. გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, აგრეთვე იმ ტენდენციიდან, რომ თვით მაღალგანვითარებულ პატარა სახელმწიფოებსაც კი უჭირთ და ველარ ახერხებენ ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკის განხორციელებას, აგრეთვე ის, რომ საქართველო ოდითგანვე მიდრეკილია დასავლური ცივილიზაციის ჩრდილო ხმელთაშუა-ზღვისპირულ-ბალკანური ქვეცივილიზაციისადმი (ან სულაც მისი ნაწილია) და იქიდან, რომ მსგავს ცივილიზაციურ მახასიათებელთა მქონე ქვეყნების ინტეგრაცია XXI საუკუნის ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა, ბუნებრივია, უნდა დადგეს საკითხი საქართველოს ინტეგრირებისა ამ ქვეყნებთან ერთობლივ სტრუქტურებში. ხოლო რამდენადაც ეს ქვეყნები ნატოს წევრები არიან, ცხადია, დადგება საქართველოს ნატოსთან ინტეგრირების საკითხი;

6. ნატოსადმი ის მიდგომა, რომელიც დღეს ჩვენს საზოგადოებაშია გავრცელებული და რომელიც ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობას რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებულ პოლიტიკას უკავშირებს, არაკორექტულია და არასწორი. ნატოსთან და რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს პოლიტიკის ორი ერთმენეთისაგან განსხვავებული საკითხია. ნატოში საქართველოს გაწევრიანებას გრძელვადიან პერსპექტივაში განაპირობებს არა ჩვენი რომელიმე მეზობლის პოლიტიკა, არამედ ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო, გეოპოლიტიკური და ცივილიზაციური ძვრები, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ. ასე რომ, ნატოსთან საქართველოს ინტეგრაციას (რომლის სახე და ხარისხი ქართველი ერისა და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია) იწვევს არა საქართველოს სურვილი, დაუპირისპირდეს ვინმეს, არამედ სრულიად სხვა ფაქტორები; სახელდობრ, ის რომ

ნატოსთან თანამშრომლობამ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო და ცივილიზაციური თვალსაზრისით, შეუძლია მისცეს ის, რასაც ვერ აძლევს ვერავითარი სხვა სახის თანამშრომლობა. ამასთან უნდა აღნიშნოს, რომ ნატოსთან და ჩვენს არანატოელ მეზობლებთან ურთიერთობას კი არ უპირისპირდება, არამედ ავსებს ერთმანეთს;

7 ჩვენ მიერ აღნიშნული მოვლენების რეალიზაცია არაა დამოკიდებული მხოლოდ სამხედრო ფაქტორებზე. ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ზემოთ მოხაზული კონტურები, კონტურებად რჩება, თუ ქვეყანაში არ განხორციელდა იმგვარი ეკონომიკური, სამხედრო, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სხვა სახის რეფორმები, რომლებიც საქართველოს შიდა სივრცეს დაასტრუქტურებს, როგორც დასავლურ სახელმწიფოს (სამწუხაროდ, ამგვარ წარმატებულ რეფორმებზე საუბარი პიარია და მეტი არაფერი);

8. საქართველოს სამხედრო პოლიტიკა უნდა დაიგეგმოს, ერთი მხრივ, დღევანდელ და საშუალოვადიან საფრთხეთა გათვალისწინებით, მეორე მხრივ, ისე, რომ მომავალში ადვილად მოახერხოს ადაპტაცია პოსტინდუსტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელ სამხედრო მოდელთან (აქ იგულისხმება, რომ საერთოდ ხდება საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვა, რის ნიშნებსაც უკვე ორი წელია ვერ ვხედავ);

9. უკვე ახლავე, დღევანდელი არმიის მშენებლობისას, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა გამოყენებულ იქნას პოსტინდუსტრიული არმიებისათვის დამახასიათებელი ელემენტები; ესენია: ცალკეულ სახეობათა მთლიანად პროფესიონალებით დაკომპლექტება, აქცენტი დეცენტრალიზებულ მოქმედებასა და მცირე, დინამიკურ სამხედრო ერთეულებზე, რომლებიც ორიენტირებული იქნება დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებელ მოქმედებებზე;

10. სადაც ეს შესაძლებელია, ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებიც შეიცავს XXI საუკუნის სამხედრო ძალმოსილების საბაზისო ელემენტებს.

დასკვნა
სამხედრო სტრატეგია – მეცნიერება, ხელოვნება, თუ...

§ 125
საკითხის დასმისათვის

დიდი სტრატეგიის ანალიზი ნათელყოფს, რომ ის პრაქტიკული ხელოვნებაა. მისი ძირითადი ამოცანაა უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში დაგეგმვა, გადაწყვეტილებების მომზადება, მათი რეალიზაციის საშუალებების მონახვა და გადაწყვეტილებების აღსრულება. თუმცა, როგორც ნებისმიერი დღევანდელი პრაქტიკული საქმიანობის შემთხვევაში, მას საფუძვლად გარკვეული კონცეპტუალურ-მეცნიერული ბაზა უდევს. ასეთს თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებები წარმოადგენს, განსაკუთრებით ისეთები, როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობის თეორია, გადაწყვეტილებების მიღების თეორია, მართვის ფსიქოლოგია და ა.შ.; აგრეთვე ის დისციპლინები,რომლებიც,მართალია, თავისი არსით მიმართულია უსაფრთხოებაზე, მაგრამ სამოქალაქო ხასიათს ატარებს.

რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს იმ დისციპლინების შემთხვევაში, რომლებიც წმინდა სამხედრო საქმეს ემსახურება. ასეთებია: სტრატეგია, ოპერატიული ხელოვნება და ტაქტიკა. რას წარმოადგენს ის: მეცნიერებას, ხელოვნებას, ორივეს თუ კიდევ რაღაც სხვას? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად გაცემული პასუხი არ არსებობს. კონტრადმირალი ჯოზეფ უილი 1967 წელს გამოსულ ნაშრომში „სამხედრო სტრატეგია – მართვის ზოგადი თეორია" წერს: „შესაძლოა სტრატეგიის კიდევ უფრო მეტი ნაირსახეობა და განსაზღვრება არსებობს, ვიდრე ეკონომიკისა ან პოლიტიკისა. ეს სიტყვა ძალიან ფართო გაგებით იხმარება" (35, 602). გენერალი ანდრე ბიუფორი „სტრატეგიის შესავალში" წერს: „სტრატეგიის არსს შეადგენს აბსტრაქტული ურთიერთქმედება, როგორც ამას ფოში იტყოდა, ორ დაპირისპირებულ ნებას შორის. ეს არის ხელოვნება.... ამრიგად, სტრატეგია არის ძალთა დიალექტიკის ხელოვნება, უფრო ზუსტად, ხელოვნება ორი დაპირისპირებული ნების დიალექტიკისა, რომლებიც თავისი წინააღმდეგობის გადასაწყვეტად ძალას იყენებს" (ეს გამონათქვამი

ცხადყოფს, რომ ფილოსოფიური განმარტებებისაკენ მიდრეკილება მხოლოდ ამ წიგნის ავტორის მონოპოლია არ არის — კ.კ.) (35, 621). ფულერი „ჯავშანსატანკო ძალებში" წერს: „სტრატეგიის ამოცანაა პოლიტიკურ არგუმენტებით მოწინააღმდეგის იძულებით დარწმუნება. ჩვეულებრივ, ეს ამოცანა გენერალური ბრძოლით მიიღწევა, რომლის ამოცანა მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება კი არაა, არამედ — ფსიქოლოგიური დათრგუნვა" (35, 621). XIX საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი მხედამთავარი აუგუსტ ფონ გნეიზენაუ წერდა: „სტრატეგია არის მეცნიერება სივრცისა და დროის გამოყენების შესახებ. მე მეორე უფრო მაღელვებს. ჩვენ ყოველთვის შეიძლება დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორია, მაგრამ ვერ დავიბრუნებთ დაკარგულ დროს" (35, 620). ცნობილი ტერორისტი და თავად ტერორისტული აქტის მსხვერპლი, ლევ ტროცკი საერთოდ არ აღიარებდა სამხედრო მეცნიერებას. მას სამხედრო საქმე უფრო ყასბის ტიპის საქმიანობად წარმოედგინა (თავისი ბუნებით ტროცკი ყველაზე ახლოს სწორედ ამ ხელობასთან იდგა). იგი წერდა:„იმის ერთობლიობა,რასაც „სამხედრო პრინციპებს" უწოდებენ, არ შეადგენს სამხედრო მეცნიერებას, ასეთი მეცნიერება არაფრით არ არის მეტი, ვიდრე კარეტების საკეტების დამზადების მეცნიერება. არმიის სარდალმა უნდა იცოდეს რიგი მეცნიერებები, რათა მოახერხოს თავისუფალი ორიენტირება თავის ხელოვნებაში, მაგრამ სამხედრო მეცნიერება არ არსებობს; არსებობს სამხედრო ხელობა, რომელიც შეიძლება ავიყვანოთ სამხედრო ხელოვნების დონეზე" (35, 96).

კიდევ კარგია, რომ ტროცკიმ სამხედრო საქმე მთლად ყასბობისათვის არ გაიმეტა და საუკეთესო შემთხვევაში ხელოვნების სტატუსი მაინც მისცა. თუმცა, ტროცკიზე სერიოზული მხედარმთავრები (რომელთაც სერიოზულ ომებში ჰქონდათ მიღწეული წარმატებები და არა საკუთარ მოსახლეობის ჟუჟუაში ომში) საკითხს ცოტა სხვაგვარად უყურებდნენ. მაგალითად, ფრიდრიხ დიდი წერდა: „ომი გამოჩენილი პიროვნებებისათვის მეცნიერებაა, არაფრით გამორჩეული ადამიანებისათვის — ხელოვნება, ხოლო უმეცართათვის — ხელობა" (35, 96).

ეს ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა განსხვავებული აზრების მთელი ის სპექტრი, რომელიც სამხედრო სფეროს (სპეციალურად არ ვხარობ ტერმინებს „მეცნიერება" ან „ხელოვნება") ახლავს თან. ბუნებრივია, არც ჩვენ მოსაზრებას ექნება საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზია.

§ 126
მეცნიერებისა და ხელოვნების გაგების ისტორიის მოკლე მიმოხილვა

მეცნიერებისა და ხელოვნების იმ გაგებას, რომელიც დღეს დასავლეთშია გაბატონებული, ფესვები ანტიკურ ფილოსოფიაში, პირველ ყოვლისა, არისტოტელეს ნააზრევში აქვს გადგმული. ეს გაგება, მართალია, არსებითად განსხვავდება ახალი დროის მეცნიერების თვალსაზრისისაგან, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში გალილეისა და ნიუტონის თეორიებში ჩამოყალიბდა, მაგრამ მათ გარკვეულ საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ მანამ, სანამ ახალ და უახლეს, პოსტინდუსტრიულ ეპოქას შევეხებოდეთ, მოკლედ მაინც უნდა გავიაზროთ, რას გულისხმობდა ბერძნული აზრი ტერმინების „მეცნიერება“ და „ხელოვნების“ ქვეშ.

ბერძნულად მეცნიერებას ეპისტემე ჰქვია. მის კალკირებულ ქართულ ვერსიად იოანე პეტრიწი მოიხმარდა „ზედმიწევნას“. მეცნიერება არის ის, რასაც შეუძლია მიეწიოს თავის საგანს, სწვდეს მას და განხილვის თვალსაწიერში ჩააყენოს. მეცნიერების საგანია ყოველივეს არსებობის პრინციპები. ისინი მარადიულნი და უცვლელნი არიან და თეორიულ განხილვას ექვემდებარებიან.

ხელოვნებას ბერძნულად ტექნე ეწოდება. ამ სიტყვას არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს იმასთან, რასაც ჩვენ ხელოვნებას ვუწოდებთ: მუსიკასთან, ფერწერასთან და ა.შ. (თუმცა, გარკვეული აზრით, ტექნე მათაც მოიცავდა). აქედან მოდის დღევანდელი სიტყვა ტექნიკა. თუმცა ბერძენისათვის ტექნე იმდენად გამოყენებით-ტექნიკურ შინაარს კი არ შეიცავდა, რამდენადაც თეორიულს.

ეპისტემეს, მეცნიერების, მსგავსად ტექნეც თეორიული ხასიათის ცოდნა იყო, ოღონდ ორიენტირებული არა რაღაც მარადიულზე, არამედ ყოველდღიურ საქმიანობაზე. ექიმის ტექნე გულისხმობდა იმის ცოდნას, როგორ ემკურნალა პაციენტისათვის, მოქანდაკის ტექნე — იმას, როგორ გამოექანდაკებინა სკულპტურა, მეწაღის ტექნე იმის ცოდნა, როგორ შეეკერა ფეხსაცმელი.

რომელს განეკუთვნება სამხედრო საქმე? ნათელია, რომ ანტიკური გაგების თვალსაწიერში ის არ ეკუთვნის ეპისტემეს სფეროს. მაშასადამე, თითქოს ხელოვნებას უნდა მივაკუთვნოთ. ეს დღესაც კი თითქოს

ენობრივ დონეზეა გამოხატული. ინგლისური „art of war“, გერმანული „Kriegskunst“, რუსული „военное исскуство“ — ყველა ესენი რაღაც ფორმით შეიცავენ მითითებას ხელოვნებაზე.

მაგრამ ისიც ნათელია, რომ ანტიკური გაგების თვალსაწიერში სამხედრო საქმე არ არის უბრალო ხელოვნება. მას მიზნად არა აქვს გარკვეული ნივთის, ვთქვათ, სკულპტურის ან თუნდაც სულაც ფეხსაცმლის დამზადება. მისი ამოცანაა „გამარჯვება“. მაგრამ გამარჯვება ნივთი არ არის, რაღაც სხვაა. ამ მიმართებით სამხედრო ხელოვნება უფრო მედიცინას წააგავს, რომელსაც საქმე იმდენად რაღაც ნივთიერთან კი არა აქვს, რამდენადაც — აბსტრაქტულ „ჯანმრთელობასთან“.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მხედარმთავრის ხელთ არსებული მასალა სრულიადაც არ არის ისეთივე, როგორიც, ვთქვათ, მეწაღისა. მისი „მასალა“ ტყავი არ არის, ცოცხალი ადამიანია. მხედართმთავარს არ შეუძლია ისევე შექმნას „გამარჯვება“, როგორც მეწაღე ქმნის ფეხსაცმელს. მხედარმთავრის „გამარჯვება“ შეიძლება მრავალსახა და მრავალგვარი იყოს. ის არ არის წინასწარ, ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული რამ. ყველა გამარჯვება, ისეთად, როგორიც ის არის, თავად გამარჯვების პროცესში, ანუ ბრძოლაში ყალიბდება.

შესაბამისად მხედარმთავარი ყოველი ბრძოლისას, აღზრდით, სწავლითა და ჩვეულებით მიღებული ცოდნის მიყენებას ახდენს ერთ კონკრეტულ და განუმეორებელ შემთხვევაზე (შეეხედოთ მარენგოს, აუსტერლიცს, იენას — ყველა ეს ბრძოლა ერთმა მხედარმთავარმა, ნაპოლეონმა მოიგო,მოიგო ერთი საერთო პრანციპით — მიზიდულობის ცენტრებზე ძალთა კონცენტრაციით. მაგრამ ყველა ეს ბრძოლა, კონკრეტიკის თვალსაზრისით, სრულიად სხვადასხვაგვარად იქნა მოგებული). ამრიგად, მხედარმთავრის ხელოვნება იმაშია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოიქცეს სწორად, დაინახოს — რა ქმედებაა ამ სიტუაციაში სწორი და დაეუფლოს ამ სიტუაციას. ასეთ კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატურად მოქცევის უნარს ბერძნები ფრონესისს უწოდებდნენ. ეს დაახლოებით იგივეა, რა შინაარსიც ძევს გურამიშვილთან სიტყვაში „ჭკუა“. მაგალითად: „ჭკუა უხმარ არ ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“. ამასთან, იმის გამო, რომ ევროპულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში (მათ შორის ქართულშიც) ამ სიტყვის თარგმნასთან დაკავშირებით აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს, ჩვენ მას უთარეგმნელად ვტოვებთ.

ამრიგად, გამოდის, რომ სამხედრო ხელოვნება ერთნაირად განეკუთვნება როგორც ხელოვნების, ისე ფრონესისის სფეროს. ეს არის მიდგომა, რომელიც ანტიკური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა. თუმცა, ეს მიდგომა არც კი ყოფილა ცნობიერად ჩამოყალიბებული. ამას ხელს ის გარემოება უშლიდა, რომ ანტიკური აზროვნებაცა და შუა საუკუნეებიც სამხედრო საქმეს მხოლოდ ხელოვნების კუთხით განიხილავდა და არ მიიჩნევდა მას მეცნიერების საგნად. ამიტომაც არის, რომ სამხედრო ხელოვნებისადმი მიძღვნილი ტრაქტატები თითებზეა ჩამოსათვლელი (არ იგულისხმება ქსენოფანტეს „ანაბაზისი" ან კეისრის „გალებთან ომი", რომლებიც ფაქტობრივი მასალის აღწერაა და თეორიული წილი მასში მიზერულია, თუ საერთოდ მოიპოვება). თვით შუა საუკუნეების ბიზანტიის ყველაზე ცნობილ სამხედრო ტრაქტატებში — VI საუკუნის ბიზანტიურ ანონიმში და იმპერატორ მავრიკისადმი მიწერილ „სტრატეგიკონში" — სტრატეგიის თეორიის საკითხები მხოლოდ მინიმალურად გვხვდება (მაგალითად, რომ ომის მიზანია საკუთარი ჯარისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა და მტრის განადგურება, რომ ომს კანონიერი საფუძველი უნდა ჰქონდეს და ა. შ).

ვითარება ფუნდამენტალურად იცვლება XVII საუკუნისათვის, როდესაც ახალი დროის ევროპული მეცნიერება ყალიბდება. დაახლოებით XV-XVI საუკუნიდან დედამიწის ერთ მონაკვეთზე, დასავლეთ ევროპაში, იწყება გადასვლა ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. ვითარდება მანუფაქტურული წარმოება, აქცენტი სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაზე გადადის. ცოტა მოგვიანებით კი — მანქანური მრეწველობა იმარჯვებს. ინდუსტრიის განვითარებამ მოითხოვა შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალი დონე, ვიდრე ამას აგრარულ საზოგადოებასა და მის თანმხლებ ხელოსნობაში ვხვდებით. ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადგილი აქვს წარმოების საშუალებების იმგვარ განვითარებას, როდესაც გაცილებით ნაკლები დანახარჯებით ხდება დიდი ეფექტის მქონე შედეგების მიღწევა. ეს თავის მხრივ საჭიროებს რესურსების უფრო რაციონალურ განლაგებას, საშუალებების არჩევის და აზროვნების თავისუფლების ბევრად მაღალ დონეს.

ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლა ემთხვევა ახალი დროის მეცნიერების და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მექანიკურ პრინ-

ციპებზე დამყარებული ტექნოლოგიების წარმოშობას, ინდუსტრიული საზოგადოება, განსხვავებით ტრადიციული აგრარულისაგან, შეუდარებლად მეტ სარგებელს ნახულობს დაგროვილ ცოდნათაგან. ფრენსის ბეკონის გამონათქვამი „ცოდნა ძალაა" ეპოქის სულისკვეთების გამომხატველად იქცევა. ოდნავ მოგვიანებით დიდმა ფრანგმა ფილოსოფოსმა რენე დეკარტმა წამოაყენა იმგვარი მეცნიერების იდეა, რომლის თეორიული მიღწევები უშუალოდ შეიძლება მიმართულიყო პრაქტიკული შედეგების მიღებაზე. წარსულს ჩაბარდა ცხოვრებისეულ თუ სამყაროულ მოვლენათა პასიურად მჭვრეტელი ბრძენის ანტიკურ-შუასაუკუნეობრივი იდეალი. მეცნიერების და ტექნოლოგიების მიღწევათა მხარდაჭერა უკვე XVII საუკუნიდანოფიციალურ პოლიტიკად იქცა, რასაც მათი ინსტიტუციონალიზაცია მოჰყვა. თეორიული ხასიათის ცოდნა, პირველ ყოვლისა, მექანიკა იქცა საფუძვლად პრაქტიკული მიღწევებისათვის. ასტრონომია გახდა თეორიული საფუძველი ნავიგაციისათვის და ა.შ. და აქ გაჩნდა კითხვა: ხომ არ არის შესაძლებელი ასევე მოვიქცეთ სამხედრო ხელოვნების სფეროში? ხომ არ შეიძლება, რომ სამხედრო ხელოვნებას საფუძვლად რალაც მეცნიერება ან მეცნიერებები დავუდოთ?

გენერალისიმუსი რაიმონდო მონტეკუკოლი

ახალ დროში პირველი ასეთი მცდელობა, ალბათ, მაკიაველთან[111] გვხვდება. მონტეკუკოლის[112] ნაწერების გავლით XVIII საუკუნეში მივდივართ ფრანგულ სამხედრო-თეორიულ აზრამდე (ვობანი[113] და სხვები). და ბოლოს, XIX საუკუნის პირველ მესამედში, ერცჰერცოგ კარლის, ჟომინისა და კლაუზევიცის ნაწერებში უკვე ჩნდება ის, რაც შეიძლება დახასიათდეს, როგორც სამხედრო მეცნიერება. ამასთან პრიორიტეტი სწორედ სტრა-

ტეგიას ენიჭება. სამხედრო ხელოვნების ისეთი ოსტატებისათვის, როგორებიც იყვნენ: მოლტკე, შლიფენი ან ფოში[14] სამხედრო მეცნიერების დაუფლება მათი სამხედრო ხელოვნების ორგანულ ნაწილად იქცევა.

ვითარება კიდევ უფრო ღრმავდება XX საუკუნის მეორე ნახევარში, პოსტინდუსტრიული ეპოქის ხანაში, როდესაც ინფორმაცია და დაზვერვა სამხედრო ძალის ორი ტრადიციული მთავარი კომპონენტის: საცეცხლე ძალისა და მანევრულობის გვერდით დგება. პოსტინდუსტრიული საზოგადოება უდიდეს გავლენას ახდენს სამხედრო საქმეზე. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ხდება გადასვლა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე. ეს უკანასკნელი ძირითადად ინფორმაციულ და ტელეკომუნიკაციურ საშუალებებს ემყარება. ამასთან პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე ლაპარაკისას უნდა გვახსოვდეს, რომ მისი დახასიათებისათვის იმდენად ტექნოლოგიების მაღალი დონის აღნიშვნა კი არ არის არსებითი, რამდენადაც ის ზეგავლენა, რომელსაც ეს ტექნოლოგიები ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული სოციალურ და მართვის სისტემებთან დაკავშირებულ მეცნიერებათა განვითარებამ შესაძლებელი გახადა ორგანიზებულ სიმრავლეთა მართვის თეორიის შექმნა, იმ პროცესთა ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია ცვლადთა დიდი რაოდენობის მქონე სიმრავლეებთან. პოსტინდუსტრიული საზოგადოების ეფექტური მართვისათვის აუცილებელია ისეთი სისტემების ფლობა, რომელთა ფუნქციონირება მილიონობით ადამიანის მოქმედებათა კოორდინაციას მოითხოვს. შემთხვევითი არ არის, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლა ემთხვევა ისეთი მეცნიერებების შექმნასა და სწრაფ განვითარებას, როგორიცაა კიბერნეტიკა, ინფორმატიკა, გადაწყვეტილებების მიღების თეორია და სხვა მისთანანი. ეს მეცნიერებები პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ისეთსავე როლს თამაშობს, როგორსაც კლასიკური მექანიკა და მასთან დაკავშირებული ტექნიკის განვითარება მანქანურ ცივილიზაციაზე დამყარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში. ამასთან, განსხვავებით კლასიკური მექანიკისგან, რომლის პრინციპების ეფექტური გამოყენება საზოგადოებრივი პროცესების პროგნოზირებისას არ მოხერხდა, პოსტინდუსტრიული ეპოქის მეცნიერებები საშუალებას იძლევა სოციალური პროცესების პროგნოზირებისათვის. ეს მეცნიერებები იკვლევენ სხვადასხვა სახის

ორგანიზებულ სიმრავლეებს, აანალიზებენ მათში მიმდინარე პროცესებს და ცდილობენ უზრუნველყონ სხვადასხვა ალტერნატივებს (შესაძ-ლებლობებს) შორის ოპტიმალურის შერჩევა. ისინი ახერხებენ რაციონალური ანუ გონიერული მომენტების გამოყოფას თვით უკი-დურესი განუსაზღვრელობის პირობებშიც კი.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ახდენს გავლენას სამხედრო საქმეზეც, რაც გამოიხატება თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების გაჩენით, როგორიცაა მართვის ავტომატიზირებული სისტემები ან ინფორ-მაციული ომი. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში თეორიული ცოდნის როლი კიდევ უფრო იზრდება. გარკვეული აზრით ყოველი საზოგადოება ემყარებოდა თეორიულ ცოდნას. მაგრამ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ამგვარი ცოდნა ახალ განზომილებას იძენს. ხდება ტექნიკისა და მეცნიერების ძირეული შერწყმა და მათ საფუძველზე ტექნოლოგიის ფენომენის წარმოშობა. ეს, რასაკვირველია, სამხედრო საქმესაც ეხება. მთელი ინდუსტრიული მეცნიერება უმთავრესად გამოცდილებიდან ამოდიოდა და თეორიული განზოგადებებისაკენ ისწრაფოდა. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სვლა პირუკუ ხდება: ფუნდამენტალური მეცნიერებებიდან პრაქტიკისაკენ. მაგალითად, თუ XIX საუკუნეში თერმოდინამიკას საფუძვლად ორთქლის მანქანაზე დაყენებული ცდები დაედო, XX საუკუნეში ტრანზისტორის გამოგონება შედეგი იყო მყარი სხეულების ფიზიკის განვითარებისა, მეცნიერებისა, რომელიც ტრანზისტორის გამოგონებამდე ათწლეულებით ადრე შეიქმნა.

საბჭოთა სამხედრო აზრს მხედველობიდან გამორჩა ის მოთხოვნები, რომლებსაც პოსტინდუსტრიული ერა აყენებდა სამხედრო საქმის წინაშე. პოსტინდუსტრიული ეპოქის დასავლეთელი გენერლების რამოდენიმე გამონათქვამი საკმარისია იმის გასაგებად, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეორიულ (არა მხოლოდ სამხედრო-თეორიულ) ცოდნას თანამედროვე სამხედრო საქმისათვის. ჯერ კიდევ 1930 წელს ფელდმარშალი უეველი[115] წერდა: „მართალია, სამხედრო საქმე თავისი არსით პრაქტიკულია, მისი გამოყენების საშუალება იშვიათად გვეძლევა (იგულისხმება: საშუალება გვეძლევა მხოლოდ მაშინ თუ ომია — კ.კ.). მშვიდობიანობის დროს თვით ყველაზე სრულმასშტაბიანი მანევრებიც რეალური საბრძოლო მოქმედებების მხოლოდ მკრთალი ანარეკლია. ამიტომ ოფიცრებმა, რომელთაც სურთ დაეუფლონ ჯარის მართვისათვის

საჭირო ჩვევებს, წარსულის დიდი მხედარმთავრების კამპანიების თეორიულ კვლევას უნდა მიჰყონ ხელი (35, 106).

გენერალი იგალ ელლონი თავის ნაშრომში „ისრაელის არმიის დაბადება" წერს: „ოფიცრები, რომელთაც სურთ სამეთაურო თანამდებობების დაკავება, გამუდმებით უნდა ცდილობდნენ თავიანთი ცოდნის სფეროების გაფართოებას; არაფერი არ არის ისე მავნე, როგორც უფროს ოფიცერთა აზროვნების სიხისტე და შეზღუდულობა. განათლებული და ერუდირებული მეთაურები გაზრდიან ჯარისკაცებს, რომლებიც ცოდნას ესწრაფვიან, ჯარისკაცებს, რომლებსაც ეცოდინებათ, რატომ გაიწვიეს ჯარში და რისთვის უნდა იბრძოლონ (35, 107).

გენერალი ჰამილტონ ჰოუზი თავის ნაშრომში „ჯავშანსატანკო ძალების ოფიცრის ისტორია" წერს: „ვესტ-პოინტის კადეტმა უნდა განივითაროს გონებრივი უნარ-ჩვევების მთელი სპექტრი. ის უნდა მოიცავდეს მათემატიკას, ინგლისურ ენას, ისტორიას, ბუნებრივ და ექსპერიმენტალურ (იგულისხმება თეორიულ და პრაქტიკულ — კ.კ.) ფილოსოფიას, გეოგრაფიას, უცხო ენებს (35, 107). და ბოლოს, ადმირალ ჯეიმს სპოქდეილის გამონათქვამი „ნიუსუიქისათვის" მიცემული ინტერვიუდან: „სამხედრო საზღვაო ფლოტის უფროსი ოფიცრები მეკითხებოდნენ: რაში სჭირდება საესკორტო ხომალდის კაპიტანს რაიმეს ცოდნა იმანუელ კანტის შესახებ. მე ვუპასუხე, რომ ფართოდ განათლებული ადამიანი ახალ იდეებს ინტერესით და ცნობისმოყვარეობით ხვდება. ვიწრო განათლების მქონე ადამიანი კი ახალ იდეებს შიშით და უნდობლობით უყურებს". (იქვე). ყველა ეს გამონათქვამი ცალსახად ადასტურებს თეორიული (პირველ რიგში სამხედრო-თეორიული ცოდნის, მაგრამ არა მხოლოდ მის) ცოდნის როლს დღევანდელი სამხედრო აღმშენებლობისათვის. ეს, ცხადია, პირველ რიგში სტრატეგიას ეხება.

მხოლოდ გულისტკივილით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამხედრო აღმშენებლობა ზუსტად საპირისპირო გზით მიდის. ჩვენ ვამზადებთ ვიწრო განათლების მქონე, არაერუდირებულ, სამხედრო ისტორიისა და თეორიის არმცოდნე, ხისტი და შეზღუდული აზროვნების მქონე ოფიცრებს. ამ წნეხს თავს მხოლოდ ერთეულები თუ აღწევენ, მაგრამ, როგორც წესი, ამ ერთეულების კარიერაც არასახარბიელოდ წარიმართება ხოლმე.

§ 127

სტრატეგია მეცნიერებაცაა, ხელოვნებაც და ფრონესისიც

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სტრატეგია თავისი არსით სამსახაა: 1) **სტრატეგია, როგორც მეცნიერება,** რომელიც შეისწავლის სტრატეგიის თეორიასა და სტრატეგიული აზრის ისტორიას. ამასთანავე, განსხვავებით წარსულისაგან, როდესაც მხედარმთავრებს შეეძლოთ იგნორირება გაეკეთებინათ თეორიისათვის და სტრატეგიის, როგორც ხელოვნების, სფეროთი შემოზღუდულიყვნენ, ამჟამინდელი მხედარმთავრისათვის სტრატეგიის მეცნიერების კურსის რაღაც ფორმითა და დოზით გაცლა აუცილებელია. 2) **სტრატეგია როგორც ხელოვნება.** სტრატეგიის ტრადიციული გაგება, როდესაც სტრატეგია არის ერთგვარი ტექნე. თუ მოლტკე-უფროსს დავემყარებით, სტრატეგია არის მხედარმთავრის ოსტატობა ადეკვატურად მართოს ხელთმყოფი ძალები. 3) **სტრატეგია, როგორც ფრონესისი.** როდესაც მხედარმთავარი სტრატეგიის მეცნიერების ცოდნის, პირადი გამოცდილებისა და დახელოვნების საფუძველზე ხელთყოფი ძალების ადეკვატური მართვით წყვიტავს „აი ამ" კონკრეტულ ამოცანას.

ამგვარი სამსახოვნების მაგალითი შეიძლება სხვა სფეროდან, სახელდობრ, მედიცინიდან მოვიყვანოთ. ფაქტია, რომ, მაგალითად, ქირურგია, მოითხოვს დახელოვნების მაღალ ხარისხს. იგი ბერძნულად გაგებულ ტექნეს განეკუთვნებოდა. მაგრამ თანამედროვე ქირურგის ხელოვნება ვერ ჩამოყალიბდება, თუ ის არ ფლობს საბაზისო ფუნდამენტალურ მეცნიერებებს (ვთქვათ, ფიზიოლოგიასა და ანატომიას); ანუ ფიზიოლოგია და ანატომია ქირურგიულ და ქირურგის ხელოვნებასთან ისეთსავე მიმართებაში არიან, როგორც სტრატეგიის მეცნიერება — სტრატეგიის ხელოვნებასთან. ცხადია, როგორც ყველა ანალოგია, ჩვენი მაგალითიც მეტ-ნაკლებად პირობითია, მაგრამ, როგორც ყველა ანალოგია, ძალიან ხელსაყრელია, რათა საქმის არსი უკეთ დავინახოთ. და ბოლოს, ცოდნითა და გამოცდილებით დახელოვნებულ ქირურგს რაღაც აბსტრაქტული ოპერაციის გაკეთება კი არ უწევს; არამედ კონკრეტული, მოცემული, „აი ამ" ოპერაციისა, რომლის დროსაც მრავალ მოულოდნელობას შეიძლება წააწყდეს. ამ მოულოდნელობათაგან ოპტიმალური გამოსავლის მოძებნა ფრონესისის სფეროს განეკუთვნება. ამ მხრივ, ქირურგია და სამხედრო საქმე ერთმანეთს მართლაც რომ წააგავს.

ფილოსოფიური ბოლოთქმა

ითვლება: სამხედრო საქმის არსი ის არის, რომ მას საქმე იარაღთან და უნიფორმასთან აქვს. ეს, რასაკვირველია, ასეა, მაგრამ სამხედრო საქმის არსი ამით არ ამოიწურება. რას ნიშნავს სამხედროობა ამას იარაღსა და უნიფორმაზე მითითებით ვერ ამოწურავ. ეს კომბლეს იმ განსაზღვრებას ჰგავს, რომელიც ამბობს: კომბლე ისაა, ვინც კომბლებს თლის და ჭერში აწყობსო. სხვა მახასიათებლებია საჭირო. ჩვეულებრივ, სამხედროები საკუთარი საქმის სპეციფიკაზე ნაკლებად ფიქრობენ. ჯერ ერთი, ამისათვის მათ ძალიან ცოტა თავისუფალი დრო აქვთ. ამას გარდა, სამხედრო საქმე თავისი ბუნებით არ არის საკუთარ თავზე ფიქრისათვის განწყობილი. თანაც სამხედრო საქმის არსს იმდენად იქიდან კი არ წვდებიან ხოლმე, თუ რას ნიშნავს ჯარისკაცად ყოფნა, არამედ ადამიანური ყოფიერების სხვა რომელიმე სფეროდან, კლაუზევიცის შემდეგ, პირველ ყოვლისა პოლიტიკიდან. თუმცა, სამხედრო საქმის სხვაგვარი წვდომის მაგალითები მაინც მოგვეპოვება. შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია დავით გურამიშვილი ავიღოთ, რომელიც გარდა პოეტობისა, ოფიცერიც იყო (სამწუხაროდ, არა ქართული არმიის). „დავითიანის" ცნობილ ადგილას, სადაც იგი ადამიანური ყოფიერებისა თუ საქმიანობის ათ ტიპს ჩამოთვლის, იგი სამხედრო საქმეს ცალკე გამოყოფს და წერს:

მრძენი სიტყვითა დარჩემის, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს მისვლა-მოვლით ბნელითა,
მოლაშქრე სისხლის თხევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა,
გლახა ჯარ-დაჯარ თხოვნითა, შენა გწადს აწ რომელითა?

მოგვიანებით გურამიშვილი უფრო აკონკრეტებს — რა მოეთხოვება სამხედროს, იმისათვის, რომ სამხედრო იყოს:

მოლაშქრე ენდა ჭამეკი, თამამი, თავ-მდამლოვანი,
მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, სამართლოვანი,
მხნე, ამხანაგთა მოყვარე, მამაცი, ბალგულოვანი,
გულ-სრულად მეხრბოლთ მეხრბოლი,
არ სუსტი, მაგარ-მკლოვანი.

ეს სამხედროობის არსის სხარტი და ლაკონური დახასიათებაა. ჩვენი ამოცანა იმაშია, რომ სამხედრო საქმის არსს უფრო დეტალურად ვწვდეთ.

სამხედრო საქმე, როგორც მოწოდება და როგორც პროფესია

თითქმის საუკუნის უკან დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა მაქს ვებერმა[116] ორი ნაშრომი გამოაქვეყნა. ერთს ერქვა „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და როგორც პროფესია“, ხოლო მეორეს — „მეცნიერება, როგორც მოწოდება და როგორც პროფესია“. ნაშრომები ქართულად, საბედნიეროდ, ითარგმნა და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათი გაცნობა. ვიკითხოთ: რატომ აარჩია თავის კვლევის თემად მაინცა და მაინც ეს ორი სფერო? განა არ შეიძლებოდა, გაჩენილიყო ნაშრომი სათაურით: „ხელოვნება, როგორც მოწოდება და როგორც პროფესია“, ან თუ გნებავთ უფრო ოდიოზურიც — „სანტექნიკოსობა, როგორც მოწოდება და როგორც პროფესია“? ჩანს, სამხედროებს ამ ორ უკიდურეს პოზიციას შორის შუალედური ადგილი უჭირავთ. მეცნიერებაზე და პოლიტიკაზე დაბლა და სანტექნიკაზე მაღლა (თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სანტექნიკოსები ცუდი ბიჭები იყვნენ). მაგრამ ეს ადგილი, რომელსაც პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სამხედროებს მეცნიერები და პოლიტიკოსები უკანონებენ, სულაც არ ათავისუფლებს მათ იმისგან, რომ ცხოვრების წესის გააზრება სცადონ. სამხედროდ ყოფნა აბსოლუტურად ცნობიერი არჩევანის შედეგია. რას გულისხმობს ეს არჩევანი? რატომ ხდება სამხედრო სამხედროდ? შესაძლოა, ეს მავანი ფილოსოფოსის ცარიელი ახირების საგნად ჩაგვეთვალა (თუნდ ისეთისა, რომელსაც ჩემსავით სამხედროობა მოუწია), რომ არა ერთი რამ: სამხედრო საქმე ადამიანური არსებობის იმდენად ფაქიზი ინსტრუმენტი გახდა, რომ ის მის მონაწილეთაგან საკუთარი არსისა და ფუნქციის სერიოზულ გააზრებას ითხოვს. XVI საუკუნის დაქირავებულ მხედარმთავარს, კონდოტიერს, ვერავინ მოთხოვდა, რომ სამხედრო საქმის არსი გადმოეცა (ეს მავანმა კონდოტიერმა კი არა, დიდმა მაკიაველიმაც ვერ შეძლო ბოლომდე დამაკმაყოფილებლად და საერთოდ საეჭვოა ვინმემ შეძლოს). მაგრამ XXI საუკუნის სამხედროობა ცოტა სხვა საქმეა. მისი საქმიანობის არეალი, მართალია, კვლავინდებურად რჩება მატერიალურ სფეროში (ბოლოს და ბოლოს, სამხედრო საქმე ყველაზე „ვრედნი“ პროფესიაა, რომელიც სწავლობს და ასწავლის, როგორ უნდა მოკლა შენნაირივე ადამიანები და რა ინსტრუმენტები არსებობს ამისათვის), მაგრამ

ღღესდღეობით ნათელია, რომ სამხედრო საქმე, მისი არსი, მენტალობის სფეროში ინაცვლებს.

აქ არ არის იმის დრო და ადგილი, რომ „ბოევიკის" ან ტერორისტის ფსიქოლოგიაზე ვილაპარაკოთ და ის რეგულარული არმიის მეომრის მენტალობას შევაჯეროთ. აქ მთავარია გავიაზროთ სხვა რამ: ახალი ტიპის ომების ეპოქა დგება და, მართალია, სამხედრო საქმის არსში რიგი პარამეტრები უცვლელი რჩება, მაგრამ მეორე რიგი ძალიანაც იცვლება. მაგრამ ეს ცვლილებები იმდენად კლასიკური სამხედროს არსის (რომელიც XVII საუკუნის ევროპაში ჩამოყალიბდა) გადახედვისაკენ კი არ გეიბიძგებს, არამედ იმისკენ, რომ უფრო სილრმისეულად დავსვათ კითხვა სამხედრო საქმის სპეციფიკის შესახებ.

სიკვდილთან წილნაყარობა — სამხედრო საქმის სპეციფიკა

ძნელი შესამჩნევი არაა და დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმას, რომ სამხედრო საქმის სპეციფიკას სიკვდილთან წილნაყარობა, ანუ სიკვდილისადმი სპეციფიკური მიმართება შეადგენს. საერთოდ ადამიანურ საქმიანობათა სფეროში, ყოველივე იმაში, რასაც ძველი ბერძნები ეპისტემეს (ცოდნას), ტექნესა (ხელოვნებას) და ფრონესისს (გონიერულობა, გონებადამჯდარობა) უწოდებდნენ, სამი სფერო გამოიყოფა, რომელთაც სიკვდილისადმი სპეციფიკური, შეიძლება ითქვას, უაღრესად ინტიმური დამოკიდებულება აქვთ. ესენია:

- **ფილოსოფია,** რომელიც სოკრატული თუ კეაზისოკრატული განსაზღვრების თანახმად (რომელიც XI საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ სკოლებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა) სხვა არაფერია, თუ არა „წურთვნა სიკუდილისა", სიკვდილის თრეინინგი, საკუთარ თავსა და სხვებში სიკვდილის შიშის გადალახვა. ინტელექტუალური ამაღლება ჩვენ სასრულობაზე, ოღონდ სრულიად სხვა ფორმით, ვიდრე ვთქვათ, ეს იაპონურ კულტურაში იყო.
- **მედიცინა** — სფერო რომელიც გულისხმობდა სიკვდილისგან დაცვას (ცხადია, ეს დაცვა ყოველთვის პირობითია, ეინაიდან სიკვდილი მაინც ჩვენი მუდმივი და თანხმხლები თანამგზავრია).
- **სამხედრო საქმე,** რომლის ძირითადი „ბიზნესი" სიკვდილია,

„მოკვდინებაა", ოლონდ ეს მოკვდინება გაცილებით სხვა და სპეციფიკურია, ვიდრე, ვთქვათ, ქილერის მიერ ჩადენილი მკვლელობა. სამხედროც კლავს, ან მინიმუმ გეგმავს ამას, მაგრამ მისი ქმედება არსებითად სხვაა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიერ განხორციელებული მკვლელობა სახელმწიფოს მიერაა ინსტიტუციზირებული. ეს შეიძლება არც ისე არსებითი დეტალია. უფრო არსებითია ის, რომ სამხედროს არსებობის წესი პრინციპულად განსხვავდება ქილერის არსებობის წესისაგან (ქილერს, როგორც სიკვდილისადმი სპეციალურ მიმართებას, არ ვიხილავ იმ მარტივი მიზეზის გამო რომ ის პათოლოგიაა მაშინ, როცა სამხედროს. მედიკოსისისა ან ფილოსოფოსის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ ნორმალური ადამიანების დამოკიდებულების ფორმაა). შესაძლოა, ამერიკის სტრატეგიული ავიაციის დევიზი „მშვიდობა ჩვენი პროფესიაა" არცთუ ადეკვატური ხუმრობა იყოს, მაგრამ ის გარკვეულ ზღვარს აფიქსირებს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის; ზღვარს, რომელიც ძალიან მყიფეა, მაგრამ არსებობს და სამხედროებს ამ მყიფე ზღვარზე უწევთ მოქმედება.

მაგრამ ეს ოდნავადაც არ გვიხსნის იმას, რა არის სამხედრო საქმე — მოწოდება თუ პროფესია, ან იქნებ სრულიად სხვა რამე. მაგრამ სიკვდილისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებაზე მითითება რაღაცაზე მაინც მიგვანიშნებს. არ არის შემთხვევითი, რომ სიკვდილის არსს, როგორც წესი, უაღრესად სიღრმისეულად ის ლიტერატორები იაზრებდნენ, ვინც პროფესიონალი ოფიცრები იყვნენ. ლევ ტოლსტოი, გოტფრიდ ფონ კლაისტი, რილკე, მუზილი, ჩვენი გურამიშვილი — ამ აზრის დასასაბუთებლად შესანიშნავი მაგალითებია. გავიხსენოთ, რომ ბარათაშვილიც ოფიცრობას აპირებდა და მხოლოდ ბავშვობაში მიღებული ტრამვის შედეგად ვერ მოახერხა ეს.

ასე რომ, სამხედროს პირველი თვისება სიკვდილისადმი მისი სპეციფიკური დამოკიდებულებაა. ყველა სხვა აქედან მოდის იმისდა მიუხედავად, რამდენად იაზრებს ამას სამხედრო პირი. ამ დამოკიდებულების არსი კი იმაშია, რაც ყველაზე უკეთ ერთმა დიდმა იაპონელმა მოაზროვნემ (და არანაკლებ დიადმა სამხედრომ) ასე გამოხატა: „მე შევიცანი, რომ სამურაის გზა სიკვდილია. „ან-ან"-ის მდგომარეობაში უყოყმანოდ აირჩიე სიკვდილი. ეს რთული არაა. ასე გადაწყვიტე და ასე მოიქეცი. ხოლოდ სულმოკლენი იმართლებენ თავს იმით, რომ მიზნის მიუღწეველად სიკვდილი ძაღლური სიკვდილია.

„ან-ან“-ის სიტუაციაში სწორი არჩევანის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ყველა ჩვენგანს სურს იცოცხლოს და გასაკვირი არაა, რომ ყოველი ცდილობს მოიძიოს გამართლება, რათა არ მოკვდეს. მაგრამ, თუ ადამიანი მიზანს ვერ მიაღწევს და ცხოვრებას აგრძელებს, ის სულმოკლეობას იჩენს. ის ულირსად იქცევა. თუ მან მიზანს ვერ მიაღწია და ისე მოკვდა, ეს მართლაც ფანატიზმი და ძაღლური სიკვდილია. მაგრამ ამაში არაფერია სამარცხვინო. ასეთი სიკვდილი სამურაის გზაა. თუ ყოველ დილას და ყოველ საღამოს შეამზადებ თავს სიკვდილისათვის და იცხოვრებ ისე, თითქოს შენი სხეული უკვე მოკვდა, შენ ნამდვილ სამურაიდ იქცევი. მაშინ შენი ცხოვრება უმწიკვლო იქნება და შენს საქმიანობაში წარმატებას მიაღწევ“[117] (36, წიგნი I).

ეს სიტყვები სამურაი იამომატო ცუნემოტოს ეკუთვნის და გადმოცემულია წიგნში, რომელიც სამურაის, უფრო ზუსტად, სამურაობის არსს ეხება. სხვათა შორის, იაპონური და ჩინური ტრაქტატები ერთი ასპექტით განსხვავდება. ჩინური ტრაქტატის ადრესატი ჩვეულებრივ მხედარმთავარია, ხოლო იაპონურისა — მეომარი. ეს ისე, სხვათა შორის. რაც შეეხება იმას, თუ რას ნიშნავს გზა, რომელზეც იამომატო ლაპარაკობს, ამას ქვემოთ შევეხებით.

სიკვდილთან წილნაყარობის ცნების შემდგომი დაკონკრეტება

ცხადია, სიკვდილთან წილნაყარობა ყველა ადამინისთვისაა დამახასიათებელი. ოღონდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს ადამიანური საქმიანობის ფორმები, რომელნიც ამ გზაზე დგომისას სათანადო პროფესიულ კვალიფიკაციას მოითხოვს. მაგალითად, სამხედრო საქმე გულისხმობს იმას, რომ სამხედროს გარკვეული პროფესიული ჩვევებიც უნდა ჰქონდეს. ვთქვათ, ერკვეოდეს ტაქტიკასა და იარაღში, გააჩნდეს გარკვეული ფიზიკური კონდიციები. იყოს დისციპლინირებული. ახალი დროის დადგომის შემდეგ (ანუ XVIII საუკუნის ომებიდან მოყოლებული) ეს ამდენად ნათელია, რომ ამაზე დავაც არ არის საჭირო. მაგრამ ყოველივე ეს გარეგნული ატრიბუტებია, რომლებიც მეომრის შინაგან არსს არ გამოხატავს. ამ არსის პირველი

ნიშანი ისაა, რასაც შეგვიძლია უფართოესი არსით გაგებული ღირსება ვუწოდოთ. ამასთან ეს ღირსებაც, ისევ სიკვდილთან სპეციფიკურ მიმართებით განისაზღვრება. იგივე იამამატო ცუნემოტო წერს: „სამურაის გზა, პირველ ყოვლისა, იმის გაგებაა, რომ არ იცი, რა მოგივა შემდეგ წამს. ამიტომ დღისითაც და ღამითაც უნდა იაზრებდე ყველა გაუთვალისწინებელ გარემოებას. გამარჯვება და დამარცხება ხშირადაა დამოკიდებული წუთიერ გარემოებებზე. მაგრამ ყოველთვის შეიძლება სირცხვილის თავიდან აცილება. ეს ძნელი არ არის, ამისათვის საკმარისია მოკვდე. მიზნის მიღწევა მაშინაც უნდა სცადო, როდესაც იცი, რომ განწირული ხარ დამარცხებისათვის. ამისათვის არც სიბრძნეა საჭირო, არც ტექნიკა. ჭეშმარიტი სამურაი არ ფიქრობს გამარჯვებასა ან მარცხზე. ის უშიშრად მიექანება გარდაუვალი სიკვდილისაკენ. თუ ასე მოიქცევი, ძილისგან გამოფხიზლდები“ (36, წიგნი I).

ეს ციტატა რამოდენიმე ასპექტით არის საინტერესო. ჯერ ერთი იმით, რომ მხცოვანი სამურაი (რომელიც ტრაქტატის წერის მომენტში ბუდისტი მღვდელია), ხაზს უსვამს სამხედრო საქმეს, როგორც გაურკვევლობაში გამუდმებულ ყოფნას („სამურაის გზა, პირველ ყოვლისა, იმის გაგებაა, რომ არ იცი, რა მოგივა შემდეგ წამს“). შემდეგ იმას აფიქსირებს, რომ ამ გაურკვევლობის დაძლევაზე გამუდმებით უნდა იფიქრო („ამიტომ დღისითაც და ღამითაც უნდა იაზრებდე ყველა გაუთვალისწინებელ გარემოებას“.) და ბოლოს, ხაზს უსვამს იმას, რომ, თუ გაურკვევლობამ შენზე გაიმარჯვა, ყოველთვის არსებობს გამოსავალი ღირსეულად მოკვდე. მიზნის მიღწევა მაშინაც უნდა სცადო, როდესაც იცი, რომ განწირული ხარ დამარცხებისათვის. ამისათვის არც სიბრძნეა საჭირო, არც ტექნიკა. **ჭეშმარიტი სამურაი არ ფიქრობს გამარჯვებასა ან მარცხზე. ამასთან არსებითია გაბედულად გაემართო იქ, სადაც სიკვდილს უნდა შეხვდე** („ის (სამურაი) უშიშრად უშიშრად მიექანება გარდაუვალი სიკვდილისაკენ. თუ ასე მოიქცევი, ძილისგან გამოფხიზლდები“).

რასაკვირველია, არ ვაპირებ შუა საუკუნის სარაინდო (გნებავთ ევროპული, გნებავთ ქართული, გნებავთ იაპონური) გაგების გადმოტანას თანამედროვე სამხედრო რეალიებზე, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: იამამოტოსთან ჩამოთვლილი ეს ასპექტები (გაურკვევლობის მაღალ ხარისხში განუწყვეტელი ყოფნა, ამ გაურკვევლობასთან მუდმივი მიმართება, ღირსება, დაკავშირებული სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე

მუდმივ ყოფნასა და გაბედულებასთან სიკვდილის წინაშე) დღევანდელ მეომარსაც ისევე ახასიათებს, როგორც შუა საუკუნეების სამურაის. მეტსაც გეტყვით: ეს რეალიები გერმანული ფილოსოფიის კონცეპტუალური აპარატის ფარგლებშიც ისევე კარგად შეიძლება აღიწეროს (ოღონდ, ცხადია, სულ სხვა ფორმით) როგორც იაპონურ სამურაულ კულტურაში. და ასეც მოვიქცევით. აღწერისთვის კონცეპტუალურ საფუძვლად XX საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსის ჰაიდეგერის „ყოფიერებასა და დროს" ავიღებთ. ამ არჩევანს ვაკეთებთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ განსხვავებით კანტისაგან, რომელთანაც ძირითადი პრობლემაა — როგორ შეიძლება საგანთა შესახებ რაიმე დავადგინო ისეთი, რაც საგნებზე დაკვირვებიდან არ მიმიღია, განსხვავებით ჰეგელისა[118] და შელინგის[119] გრანდიოზული მსოფლიო-ისტორიული პროცესის გამააზრებელი კონსტრუქციებიდან, ჰაიდეგერის[120] ამ ნაშრომში ანალიზის ცენტრში სწორედაც რომ ინდივიდუუმია, თანაც განხილული მისი სასრულობის, ანუ სიკვდილთან მიმართების თვალთახედვით. ამიტომ საკვირველი არაა, პირველ რიგში ჰაიდეგერს მივმართოთ. ამასთან მე მაქსიმალურად შევეცდები, მისი აზრი მარტივად გადმოვცე.

გაურკვევლობა, ძრწოლა, შიში

თავდაპირველად გაურკვევლობითა და მასთან დაკავშირებული ფენომენებით დავიწყოთ. ბანალური ფაქტია, რომ ადამიანის ცხოვრებაში გაურკვევლობის ელემენტი ყოველთვის მონაწილეობს. ეს, თუ ერთ ფილოსოფოსის პერიფრაზს გავაკეთებთ, თავად საგანთა დაფარულობითა თუ მოვლენათა სიბნელითაც არის გამოწვეული და ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობითაც. გაურკვევლობაში ვართ, ვთქვათ, პაემანზე, უფროსთან შესვლისას და სტადიონზეც კი. ჩვეულებრივ, გაურკვევლობა იწვევს ნერვიულობას, რომელიც ზოგ შემთხვევაში შიშში გადადის. მაგრამ ეს შიში ყოველთვის კონკრეტული სიტუაციის შესაძლო შედეგის წინაშე გაურკვევლობის შიშია. მას ყოველთვის თავისი კონკრეტული ადრესატი (ადამიანი, სიტუაცია და ა. შ.) ჰყავს.

მაგრამ არსებობს გაურკვევლობის წინაშე მეორე მიმართებაც, რომელსაც ჰაიდეგერი ძრწოლას (Angst) უწოდებს და მას

უპირისპირებს შიშს რაიმე კონკრეტულის მიმართ (Furcht). ჰაიდეგერის თქმით, ძრწოლისას: „მუქარას არა აქვს გარკვეულ რაიმეზე საზიანობის ხასიათი. ძრწოლის „რის წინაშე" სავსებით გაურკვეველია. ძრწოლაში გვხვდება არა რაიმე ეს, ან ის, რომელთანაც – როგორც დამმუქრებელთან – რაიმე პრობლემა შეიძლება გვქონდეს. ამიტომ ძრწოლა ვერ ხედავს რაიმე გარკვეულ „აქ" და „იქ"-ს, რაც ახლოვდება როგორც დამმუქრებელი. დამმუქრებელს არსად ყოფნა ახასიათებს ძრწოლის „რისწინაშე". ძრწოლამ „არ იცის", თუ რა არის ის, რის წინაშეც იგი ძრწის" (9, 284-285).

დამეთანხმებით, ეს სრულიად სხვა ფენომენია, სრულიად განსხვავებული გინდ კონკრეტული ბრძოლისას სიკვდილის წინაშე შიშისგან. მეტიც, ეს უკანასკნელი მხოლოდ იმის საფუძველზეა შესაძლებელი, რომ ძრწოლა გაურკვევლობის როგორც ასეთის, „გაურკვეველი გაურკვევლობის" წინაშე გვხვდება ადამიანთა არსებობაში. ის, რის წინაშეც ძრწიან, „არაფერია", „არარაა". ძრწოლა მთლიანად ჩვენი სამყაროში ყოფნითაა განპირობებული, თუ მასში ფესვგადგმული. ეს ძრწოლა ყოველივე გარემომცველს ფასს აკარგვინებს.

მაგრამ ჰაიდეგერი ძრწოლას ნეგატიურ ასპექტში სრულიადაც არ იაზრებს. თუნდაც იმიტომ, რომ, როდესაც გარე სამყარო გაარარავებულია, ძრწოლა ააშკარავებს, საცნაურს ხდის ადამიანის არსებობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს: იყოს ის, რაც არის – ანუ მის თავისუფლებას. და ეს ადამიანს საშუალებას აძლევს სხვაგვარად გაიხსნას სამყაროს წინაშე, გახდეს სხვა არსება. ამდენად, ძრწოლვა განსხვავებით შიშისაგან პოზიტიური ფენომენია. ფაქტობრივად იგია საფუძველი იმისა, რომ ადამიანი საკუთარ თავისუფლებას წარუდგეს და ეს უკანასკნელი კი – ადამიანს.

მოვახდინოთ ახლა თქმულის ექსტრაპოლაცია სამხედრო საქმის არსის მიმართ. გაურკვევლობაში ყოფნა ნებისმიერი ადამიანისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ სამხედრო საქმეში არსებული გაურკვევლობა რამდენადმე სხვა ხასიათს ატარებს. აქ საქმე იმაში როდია, რომ სამხედრო საქმისას გაურკვევლობის ხარისხი უფრო მაღალია. არ ვიცით, იქნება თუ არა ომი, ბრძოლის დინამიკა განუსაზღვრელია და სწრაფად ცვალებადი, ან თუნდაც გაწინაურებენ თუ გაქვეითებენ. ხსენებული შემთხვევები უბრალო შიშია იმის წინაშე, რომ რაიმე ისე არ მოხდება, როგორც გინდა, რომ მოხდეს. ძრწოლა,

როგორც ასეთი, სხვა რამეა. სამხედროს მზაობა აქვს ჩამოყალიბებული (ან უნდა ჰქონდეს) იმისათვის, რომ ის ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეხვდება ძრწოლას. მეტიც, სამხედრო მზად უნდა იყოს, რათა ძრწოლისას, როდესაც ყველაფერი აარაკდება და აზრს კარგავს, საკუთარ თავს პოულობდეს. ხსენებულ იაპონურ ტრაქტატში ვკითხულობთ:

„ბატონი ნოსიგე ამბობს, „სამურაის გზა სიკვდილისაკენ სწრაფვაა. ათი მტერიც კი ვერ მოერევა გაშმაგებულ ადამიანს. საღი აზრი ვერასოდეს ვერ შეძლებს ამას. უნდა იყო შეშლილი და გაშმაგებული. თუ სამურაის გზაზე კეთილგონიერი იქნები, სხვებს სწრაფად ჩამორჩები. მაგრამ ამ გზაზე შენ არც ერგულება გჭირდება, არც — პატივისცემა. გჭირდება მხოლოდ სიშმაგე. ერთგულება და პატივისცემა ამ სიშმაგესთან ერთად მოვლენ (36, წიგნი I)". ცხადია, ეს შეპყრობილობა, რომელზეც მხცოვანი სამურაი ლაპარაკობს, ისაა, ან იმავე ჯურისაა, რასაც ჰაიდეგერი ძრწოლას უწოდებს: მის წინაშე თვით ისეთი სამურაული ნორმებიც კი კარგავს აზრს, როგორიც გონება, სიდინჯე და თვით ერთგულება და პატივისცემაა. კარგავს იმიტომ, რომ ამ „სამხედრო მანიით" შეპყრობილი ძრწოლისას არარას წინაშე მარტო რჩება. ის ამყარებს უშუალო კავშირს იმასთან, რაც ყოველგვარი გაურკვევლობის საფუძველია, გაურკვევლობასთან, როგორც ასეთთან და ძრწის იქ, სადაც ყოფიერება და არარა ერთმანეთთან თავისუფალ გაცვლა-გამოცვლაში, გახსნილობაში მყოფობენ. ომისა და გახსნილობის ასეთი ორგანული კავშირი რომაელებმა იგრძნეს. რომში ომის ღვთაების — მარსის — ტაძრის კარებები მშვიდობიანობის დროს დაკეტილი იყო, ხოლო ომიანობისას იხსნებოდა..

ზრუნვა, როგორც გადაწყვეტილების მიღების და გაურკვევლობის დაძლევის საფუძველი

იამომატო ცუნემოტოს მტკიცებით, გაურკვევლობის უკიდურეს მაღალ ხარისხში ჩაყენებული მეომარი ვალდებულია: „ამიტომ დღისითაც და ღამითაც უნდა იაზრებდე ყველა გაუთვალისწინებელ გარემოებას". აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ ტაქტიკური ვითარების შესაძლო ცვალებადობასა ან გინდაც ბანალურ თვითგადარჩენაზე. არ დაგვავიწყდეს, რომ აქ მოხსნილია სიკვდილის შიში და ძრწოლაში ყოფნა ცხოვრების

წესადაა ქცეული. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმას, რომ სამხედროს ადეკვატური ინფორმაცია ჰქონდეს მიმდინარე მოქმედებებზე, მზად ჰქონდეს იარაღი და არ დაკარგოს ფიზიკური კონდიცია. სხვა ადგილას იამამოტო აზუსტებს, რას გულისხმობს იგი: „მეომარი ყველაფრისათვის წინასწარ უნდა მოემზადოს. თვით ყოველდღიურ საქმეებშიც კი ვლინდება სულის სიღრმე", ანუ დღე და ღამ, ყოველი მოულოდნელი ვითარების შესახებ აზროვნება გულისმობს ყოველივესთვის წინასწარ მომზადებას. მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ზრუნვა (ამ სიტყვის ყოველდღიური და არა ფილოსოფიური გაგებით).

თუმცა, არც იმას გვიშლის არავინ, რომ ზრუნვის ფილოსოფიური გაგება ავიღოთ და ვიკითხოთ: რაში და როგორ ვლინდება ზრუნვის ფენომენი (რომელიც მხოლოდ ადამიანებს ახასიათებთ, განსხვავებით ცოცხალ არსებებში გავრცელებული მოვლის ფენომენისაგან) სამხედრო საქმეში.

ზრუნვის დახასიათება ერთი რომაული იგავით შეიძლება დავიწყოთ. მისი ტექსტი ასე ჟღერს: „ერთხელ, როცა „ზრუნვა" მდინარეს გადადიოდა, დაინახა თიხიანი ნიადაგი: ჩაფიქრებულმა აიღო მისი ნაწილი და დაუწყო გაფორმება. როცა იგი იმას ფიქრობდა, თუ რა შეექმნა, მიუახლოვდა იუპიტერი. მას სთხოვა „ზრუნვამ", გაფორმებული თიხისათვის სული ებოძა, რაც იუპიტერმა სიამოვნებით შეასრულა. მაგრამ როცა „ზრუნვამ" მის მიერ შექმნილისათვის სახელის დარქმევა მოინდომა, ეს აუკრძალა იუპიტერმა და მოითხოვა ქმნილებისათვის მისი სახელი მიეცათ. სახელის თაობაზე ზრუნვასა და იუპიტერს შორის კამათისას წამოიწია ნიადაგმაც („Tellus"-მიწის პერსონიფიცირებული ღვთაება — კ.კ.) და ისურვა შექმნილისათვის მისი სახელი მიეცათ, რადგან მან ხომ ქმნილებას საკუთარი სხეულის ნაწილი მისცა. მოკამათეებმა მსაჯულად სატურნი მოიწვიეს. და სატურნმა აუწყა შემდეგი: „შენ, იუპიტერო, რადგან სული მიეცი, სიკვდილის შემდეგ მიიღებ მის სულს, შენ კი მიწავ, რადგან სხეული აჩუქე, მისი სიკვდილისას — მის სხეულს. მაგრამ რადგან ეს არსება პირველად „ზრუნვამ" შექმნა, დაე სანამ ცოცხლობს, „ზრუნვა" ფლობდეს მას" (9, 302-303).

რომაელებში, ერში, რომელმაც სამხედრო საქმეში კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ სამხედრო ძლევამოსილებას მიაღწია, ზრუნვის

ცნება უკიდურესად პოპულარული იყო და ეს ალბათ არ არის შემთხვევითი (შეგვიძლია გავიხსენოთ აგრეთვე დიდი ფილოსოფოსის და დრამატურგის სენეკას სიტყვები: ოთხ არსებულ ბუნებაში (ხე, ცხოველი, ადამიანი, ღმერთი) ორი უკანასკნელი – მხოლოდ რომელთაც აქვთ გონება – ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ ღმერთი უკვდავია, ხოლო ადამიანი – მოკვდავი. ორ უკანასკნელში ბუნება სრულყოფას ჰპოვებს, სახელდობრ, ღმერთში – სიკეთე, ხოლო ადამიანში – ზრუნვა.

ზემოხსენებული რომაული იგავი პოპულარური იყო წინარე-მანტიზმისა და რომანტიზმის ხანაში. „ფაუსტში" ზრუნვის (Sorge) ხატი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. შეგვიძლია გავიხსენოთ ბარა-თაშვილიც, რომელიც ზრუნვას სწორედ სიკვდილთან მიმართების კონტექსტში იაზრებს:

თუნდ ჯვთილ მეფე როდის არის მოსვენემული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქვეშული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკვთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს ბუკვით თვის სახელი შთამომავლობასს!..
მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ხოლო მოეღოს,
მაშინ ვინღა თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

ნათელია, რომ ლიტერატურული ქმნილებები, თუგინდ შედევრები, ვერ გვიპასუხებენ იმაზე, თუ რატომ არის ზრუნვა სამხედრო საქმის ერთ-ერთი საფუძველი. ფილოსოფოსებს (მათ შორის ჰაიდეგერს) არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ადამიანის ყოფიერებას საკუთარი – თავის წინმსწრები ხასიათი აქვს. ის არსებითად და ყოველწამიერად პროეცირებულია მომავალზე. სწორედ ამგვარი თავის – თავის წინმსწრებობის გამოა შესაძლებელი, რომ ჩვენ რაიმე დავგეგმოთ. ამიტომ იამომატო ცუნემოტოს მოთხოვნას, რომ სამურაიმ ყოველივე წინასწარ გაიაზროს და ყოველივესათვის წინასწარ იყოს მზად, არსობრივ ბაზისად სწორედ ადამიანის ეს წინმსწრები ბუნება უდევს. მაგრამ ეს წინმსწრებობა არასოდეს არსებობს ზოგადი და აბსტრაქტული სახით. ის ყოველთვის კონკრეტულია და, როგორც ასეთი, ვლინდება იმის სახით, რასაც ჰაიდეგერი ზრუნვას უწოდებს.

ჰაიდეგერის მიხედვით, ზრუნვა არ არის ისეთი ფენომენების ჯამი, როგორებიცაა: ნება, სურვილი და სხვა მისთანანი. პირიქით, ესენი იმიტომ არიან შესაძლებელნი, რომ ადამიანის არსებობაში ჩადებულია

თავის — თავის - წინსწრების ფენომენი, რომელიც სამყაროსთან მიმართებაში თავს იჩენს, როგორც ზრუნვა. თავის — თავის - წინსწრება და ზრუნვა აუცილებელ მახასიათებლად მოიცავს არაგულგრილობას (გულგრილობა სწორედ ისაა, როდესაც მომავალზე პროეცირებას არ ახდენ და არ ზრუნავ). ამდენად, მომავალზე ადამიანის ორიენტირებულობა იმთავითვე იღებს ზრუნვის ხასიათს (შემთხვევითი არაა, რომ ზრუნვისადმი ადამიანის მიკუთვნებულობაზე განაჩენი სატურნს, დროისა და, მაშასადამე, მომავლის ღმერთს გამოაქვს).

შეგვიძლია შევაჯამოთ: გაურკვევლობის, როგორც ასეთის, წინაშე განცდილი ძრწოლისას (რაც, როგორც ვთქვით, სამხედრო საქმის აუცილებელი თანმხლებია), ადამიანი ორიენტირდება მომავალზე, კონცენტ-რირებულად არსებობს თავის-თავის - წინმსწრების სახით და ასეთ არსებობაში თავს ავლენს, როგორც არსება ზრუნვას რომ შეუპყრია. ზრუნვის კონკრეტული გამოვლინებები (ვთქვათ, თანამებრძოლებზე ზრუნვა) სწორედ ამგვარი მზრუნველად — ყოფნის, როგორც ასეთის გამოვლინებაა. და ამგვარი ზრუნვისას ის ყოველთვის მომავალზეა ორიენტირებული, წარსულსაც და აწმყოსაც მომავლის თვალსაწიერიდან აფასებს. და ამგვარი ზრუნვით ის ახერხებს იმ ზეგაურკვევლობის დაძლევას, რომლის წინაშე დგომა მისი პროფესიული ვალია. ზრუნვა მას საშუალებას აძლევს, მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინ შეგიძლია, თუ რაიმეს მიმართ გულგრილი არა ხარ. აქ ლაპარაკია იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ფილოსოფოსები ექსისტენციალურს ვეძახით; გადაწყვეტილებისა, რომელიც ჩვენ უკანასკნელ გადაწყვეტილებად შეიძლება იქცეს. ამიტომაც არის, რომ იამომატო ცუნემოტოს თანახმად ჭეშმარიტი სამურაი გამარჯვებაზე ან დამარცხებაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ იმაზე, რომ გაბედულად გააკეთოს ის მზრუნველი არჩევანი, რომელიც მისთვის საბოლოოდ კი შეიძლება აღმოჩნდეს.

ღირსება და სინდისი

იამამოტოს შემდეგი თეზისია: „მაგრამ ყოველთვის შეიძლება სირცხვილის თავიდან აცილება. ეს ძნელი არ არის, ამისათვის საკმარისია მოკვდე.“ იგულისხმება, რომ სამურაისთვის მთავარი გამარჯვება ან

დამარცხება კი არაა, არამედ ღირსება. ეს ალბათ მხოლოდ სამურაის კი არ ეხება, არამედ ნებისმიერ სამხედროს. ის, რასაც „ოფიცრის ღირსებას" ეძახიან, სწორედ ხსენებული ფენომენის საფუძველზეა შესაძლებელი. ვსაუბრობთ ფენომენზე, რომელიც სირცხვილის თავიდან აცილებას გულისხმობს (თუნდაც სიცოცხლის ფასად).

მაგრამ სირცხვილი სხვა არაფერია, თუ არა სინდისის ანტიპოდი. უფრო სწორად, ადამიანს იმიტომ აქვს სირცხვილის განცდა, რომ მას ისეთი რამ აქვს როგორიცაა სინდისი. აქ არ ვლაპარაკობ საზოგადოებრივ შერცხვენაზე, თავსლაფის დასხმაზე. ლაპარაკია იმგვარ შინაგან სირცხვილზე, რომელიც სინდისის ქეჯნითაა გამოწვეული ან რომელმაც სამომავლოდ ასეთი რამ შეიძლება გამოიწვიოს. მაგრამ რაშია სინდისის ფილოსოფიური საზრისი?

იამომაცო ტუნემოცო

ჰაიდეგერის მიხედვით, სინდისის არსი მის ძახილობით ხასიათშია. ძახილი არც პირდაპირი აზრით უნდა გავიგოთ და არც მეტაფორად. ამ ტერმინით ჰაიდეგერი სხვა რამეს აღნიშნავს. ჰაიდეგერის თანახმად ადამიანის არსებობა გახსნილია თავისი თავისთვისაც და სამყაროსთვისაც (და ამიტომ შეუძლია თავის-თავის-წინმსწრებად ყოფნა). სინდისის ძახილში ადამიანს სწორედ ეს გახსნილობა ეძახის და მოუწოდებს, რომ იყოს ის, რაც უნდა იყოს. ამგვარი გახსნილობის გარეშე სინდისის ძახილი შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაცაა, რომ ცხოველები, რომელთაც ამგვარი გახსნილობა არ ახასიათებთ, არ იცნობენ ისეთ რაიმეს, როგორიცაა სინდისი. ჰაიდეგერი წერს: „რას უძახის სინდისი ხმობილს? მკაცრად თუ ვიტყვით — არაფერს, ძახილი არაფერს გამოთქვამს, სამყაროს ხდომილებათა შესახებ, არაფერს არ ყვება. იგი

ყველაზე ნაკლებად ისწრაფვის იქითკენ, რომ ხმობილში „მონოლოგი“ გააჩაღოს“... ძახილი მოკლებულია რაიმე გამოხმაურებას. იგი პირველად სიტყვებშიც კი არ მოექცევა – და მაინც ყველაფერია ბნელსა და განუსაზღვრელს გარდა. სინდისი მხოლოდ და მუდამ დუმილის მოდუსში მეტყველებს“ (9, 410).

სინდისის მდუმარე ძახილში ადამიანური არსებობა ეძახის საკუთარ თავს. ამ ძახილში ვლინდება ზრუნვა, რომლის მეშვეობითაც იძლევა გაურკვევლობა. ამგვარ ძახილს ადამიანმა შეიძლება წაუყრუოს კიდეც, მით უფრო, რომ ეს მდუმარე ძახილია, რომელიც სხვებმა შეიძლება ვერც გაიგონონ. აქ საქმე ისევეა, როგორც შექსპირის ბოროტმოქმედი პერსონაჟების შემთხვევაში, რომელთაც ეცხედებათ მათ მიერ მოკლულთა აჩრდილები მაშინ, როდესაც მათ გვერდით მდგომნი ამ აჩრდილებს ვერც კი ამჩნევენ. მაგრამ სინდისის ძახილის მდუმარება არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი საკუთარი თავის მიჩუმათების საშუალებას მოგცემს. ის ერთხელადაც ისე იყვირებს, რომ გაიძულებს მოუსმინო.

შევაჯამოთ: გაურკვევლობის, როგორც ასეთის, წინაშე მდგომ სამხედროს ძრწოლის აქტში ეხსნება ისეთი რამ, როგორიცაა ზრუნვა. ეს ზრუნვა ნიშნავს არაგულგრილობას ყოველივე იმის წინაშე, რაც შენს ირგვლივ ხდება. ამგვარი ზრუნვის პროცესში ხდება გაურკვევლობის დაძლევა. ეს დაძლევა იმას კი არ გულისხმობს, რომ მეტად ინფორმირებულები ვხედებით რეალობის შესახებ, არამედ იმას, რომ თავისუფალ არჩევანს ვაკეთებთ, იმისდა მიუხედავად, როგორი იქნება მისი შედეგი და ამით ვმაღლდებით გაურკვეველზე. ამ ამაღლების ენერგიას კი სინდისის ძახილი გვაძლევს, მდუმარე ძახილი ზრუნვის, როგორც ასეთის და არა მისი რომელიმე გამოვლენის ფენომენი. ამ დროს ჩვენ სიკვდილზე მაღლა ვდგებით.

სიკვდილი და გაბედულება

იამამოტოს ტრაქტატის მოყვანილი აბზაცის ბოლო მონაკვეთი ამბობს: „ჭეშმარიტი სამურაი არ ფიქრობს გამარჯვებასა ან მარცხზე. ის უშიშრად უშიშრად მიექანება გარდაუვალი სიკვდილისაკენ. თუ ასე მოიქცევი, ძილისგან გამოფხიზლდები“. აქ ლაპარაკია უშიშრობასა და გაბედულებაზე. თანაც არა უბრალო უშიშრობასა და გაბედულებაზე,

არამედ გაბედულებაზე სიკვდილის წინაშე. ის, ვის შესახვედრადაც მიიწევს უშიშრად სამურაი, მისი მოწინააღმდეგე სამურაი კი არ არის, თავად სიკვდილია. ლაპარაკია გაბედულებაზე სიკვდილის წინაშე. ასეთ გაბედულებას ჰაიდეგერი გამსწრებ გაბედულებას უწოდებს სიკვდილის წინაშე. ჰაიდეგერი აღნიშნავს, რომ გამსწრები გაბედულება სიკვდილის „გადასალახავად" გამოძებნილი გზა კი არ არის, არამედ სინდისის ძახილის მორჩილი გაგება. სინდისის ქონების სურვილი, განსაზღვრული როგორც ყოფნა-სიკვდილისაკენ, არ ნიშნავს სამყაროსგან გამქცევ რაიმე გამოცალკევებას (იგულისხმება თავის თავში სრულ ჩაკეტვას — კ.კ.), მას ილუზიების გარეშე შევყავართ „მოქმედების" გაბედულებაში".

მაგრამ რა შუაშია აქ გაღვიძება, ძილიდან გამოფხიზლება, რაზედაც იამომატო ცუნემოტო საუბრობს? შუაში კი არა, თავშია. რა არის ძილი? ის, როდესაც არსებული ისე გვაჩვენებს თავს, როგორიც არ არის. ეს ილუზიაა. მაგრამ ჩვენ ყოველდღიურობაში ასევე ილუზიურ სამყაროში ვცხოვრობთ და ღირებულად არ მივიჩნევთ იმას, რაც სულაც არ არის ასეთი. როგორც ერთხელ შოპენჰაუერმა თქვა: „სიზმარი სიგიჟის ნაირსახეობაა, ხოლო სამყარო — სიზმრისა". გამბედავ გაბედულებაში სიკვდილის მიმართ სამყარო წარდგება ისე, როგორც ის არის და ყოველგვარი ილუზია ქრება. ადამიანი იღვიძებს. ერთხელ ზურაბ კაკაბაძემ ლექციაში, რომელიც ჰაიდეგერს ეძღვნებოდა, მოიყვანა მისი აზრი, რომ ადამიანი სიკვდილს ისევე უნდა უყურებდეს, როგორც რომაელი ლეგიონერიო. ამით ნათქვამია ის, რომ სამხედროს არსებობის წესი და მისი გაბედულება სიკვდილის მიმართ ერთგვარი ნიმუშია ადამიანად ყოფნისა საზოგადოდ.

იმაზე, თუ როგორ ახერხებდნენ რომაელები სიკვდილისათვის შეეტიათ გაბედულად-ყოფნით, ტიტუს ლივიუსის ერთი მონათხრობი აჩვენებს. მონათხრობი რომაელებსა და ეტრუსკებს შორის ერთ-ერთ ბრძოლას აღწერს. ტიტუს ლივიუსი წერს: „თავდაპირველად რომაელები დამარცხდნენ, ვინაიდან რომაელ ჯარისკაცებს შეეშინდათ ქურუმებისა, რომლებიც ფურიების მსგავსად ჩირაღდნების ქნევით და გველებით ხელში მოდიოდნენ. რომაელები უწესრიგოდ გაიქცნენ თავიანთი გამაგრებებისაკენ. მაგრამ კონსულებმა, ოფიცრებმა და ტრიბუნებმა ჯარისკაცებს დაცინვა დაუწყეს იმის გამო, რომ მათ ბავშვებივით შეეშინდათ ამ თვალთმაქცებისა. ჯარისკაცებს სირცხვილმა

სითამამე დაუბრუნა და შეუტიეს იმ ნივთებს, რომლებმაც ისინი გააქცუნეს (საინტერესოა, რომ რომაელები აქ მტერს კი არა, ნივთებს უტევენ (კ.კ.). გაფანტეს რა აჩრდილები, ისინი თავს დაესხნენ ნამდვილ მტერს, გაარღვიეს მათი დაცვის ხაზი, ხელთ ჩაიგდეს უზარმაზარი ნადავლი და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. თავიანთ შიშს ისინი უხეში ჯარისკაცული ხუმრობით დასცინოდნენ" (ციტირებულია 22, 319-ის მიხედვით).

გზის შესახებ

იამომატოს ტრაქტატში არაერთგზის გვხვდება გამოთქმა „სამურაის გზა". იაპონურად სამურაის, უფრო ზუსტად, მეომრის გზას ბუსიდო ეწოდება. ეს სიტყვა კომპოზიტია, სადაც „ბუსი" მეომარს ნიშნავს, ხოლო „დო" — გზას. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ჩინური დაოს იაპონური ვარიანტია. დაო აგრეთვე გზას ნიშნავს. ეს სიტყვა ძირითადად ძველი ჩინური ფილოსოფიიდანაა ცნობილი, მაგრამ მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს ძველი ჩინური სამხედრო ტრაქტატებისათვის. მაგალითად, სუნ ძის ტრაქტატის პირველივე თავი ამ გზის დეფინიციით იწყება. სუნ ძი წერს: „გზა ეს არის, როცა მიაღწევენ იმას, რომ ხალხისა და მმართველის აზრები ერთმანეთს ემთხვევა, როცა ხალხი მზადაა მასთან ერთად მოკვდეს, როცა მას არაფრის ეშინია და არაფერს უყურებს ეჭვის თვალით" (4, 35). მოგვიანებით სუნ-ძი წერს: „ომი ესაა მოტყუების გზა (ალბათ უფრო სწორია მოჩვენების — კ.კ.). ამიტომ, თუ რაიმე შეგიძლია, მოაჩვენე მოწინააღმდეგეს, რომ არ შეგიძლია. თუ რაიმეთი სარგებლობ, მოაჩვენე, თითქოს შენ ამით არ სარგებლობ; იქნებ შენ ხარ ახლოს — მოაჩვენე თითქოს შორსა ხარ; იქნებ შენ შორსა ხარ, მოაჩვენე თითქოს ახლოს ხარ; გაიტყუე იგი თითქოს სარგებლობით; დაშალე ან დააყენე ცუდ ხასიათზე; დაიპყარი თუ მას ყველფერი აქვს, იყავი მზად; თუ ის ძლიერია, აარიდე თავი; გამოიწვიე მისი განრისხება; გახადე უმართავი; მოაჩვენე თავი მორჩილად და აიძულე, გახდეს თავის თავზე დიდი წარმოდგენის" (4, 35).

აქ ისევ მოჩვენებისა და ყოფიერების დიალექტიკაა. მოწინააღმდეგეს არსებული არ უნდა მოევლინოს ისე, როგორც არის, ხოლო შენ ის

დაუფარავად უნდა წარმოგიდგეს; ანუ მოწინააღმდეგეს უნდა ეძინოს, შენ კი ფხიზლობდე. საინტერესოა, რომ მოჩვენებისა და ჭეშმარიტების ორ გზაზე დიდი ძველბერძენი ფილოსოფოსი პარმენიდეც ლაპარაკობს. არისტოტელე საუბრობს ყოფიერების გზაზე, ხოლო ჰაიდეგერის ნაშრომების სათაურებში აგრეთვე ფიგურირებს სიტყვა გზა. მაგალითად: სამანები (Wegmarken), თეძმარა (Feldweg). მაგრამ ჩვენ წიაღსვლების გაკეთებას არც ძველბერძნულ ფილოსოფიაში ვაპირებთ და არც სუნ-ძის კომენტირებისას. უბრალოდ გვინდა გავიაზროთ (თანაც სრულიად არაკატეგორიული ტონით), რატომ არის ძველ შორეულაღმოსავლურ, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ომის ფილოსოფიაში ან ანტიკურ ტრა-დიციაში ესოდენ მნიშვნელოვანი სიტყვა „გზა". გავიხსენოთ ბერძენთა ღმერთი ჰერმესი გზების მფარველი ღვთაება იყო. მის სახელს უკავშირდება სიტყვა „ჰერმენეია", რომელიც ჩვენებურად ამბის მიტანას, გაგებას ნიშნავს.

მარტინ ჰაიდეგერი მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსი

გერმანულად გაგების, განმარ-ტების აღმნიშვნელი სიტყვა Erorten თავისი წარმომავლობით უკავ-შირდება „ადგილს" (Ort) და, შესა-ბამისად, გზასაც (ადგილი რომ-ელიღაც გზაზე მყოფი ადგილია). განმარტება, გაგება გულისხმობს რაღაც გზაზე რაღაცისათვის ადგილის მიჩენას. მაგრამ დასა-ბამისეული მნიშვნელობით, სიტყვა, რომელიც დღევანდელ გერმანულში „ადგილს" აღნიშნავდა, ნიშნავდა „შუბის წვერს", ანუ დასაბამისეული შეხება ჰქონდა სამხედრო საქ-მესთან. რატომ მაინცადამაინც შუბის წვერს? როგორც ჰაიდეგერი აღნიშნავს, წვერი, მწვერვალი ადგილია, რომლისკენაც მიედინება და რომელშიც თავს იყრის ყველაფერი. ყოველივეს შემკრები ადგილი მსჭვალავს და ანათებს ყოველივეს. გზა ძველჩინური, შუა საუკუნეების იაპონური და ანტიკური

გაგებით, თავისი არსით სწორედ ასეთი ყოვლისშემკრები ადგილების საფუძველიცაა და ერთობლიობაც.

ლაპარაკია გზაზე, რომელსაც ყოველი არსებული თავისი არსებობის განმავლობაში გადის. ეს გზობა იმის საფუძველს წარმოადგენს რასაც სამხედრო კარიერა ჰქვია. მაგრამ ეს კარიერა არ არის მხოლოდ წოდებებისა ან თანამდებობების უბრალო ჩამონათვალი, რომელიც სამხედროს პირად საქმეში დევს. ეს რაღაც მეტია, ეს ისაა, როგორ გადის სამხედრო სამხედროს გზას. აქ „გზა", ცხადია, არა მხოლოდ მეტაფორული აზრით მოიხმარება. ის ცხოვრების წესს აღნიშნავს. როცა, ვთქვათ, ვამბობთ — „მან რთული ცხოვრებისეული გზა აირჩიაო" — ეს მხოლოდ მეტაფორა არ არის. რაღაც მეტია, სახელდობრ, ამ ფრაზით ჩვენ ადამიანის მიერ არჩეულ ცხოვრების, არსებობის წესს ვახასიათებთ.

სიტყვა „გზა" ქართულად, უფრო ზუსტად, ქართველურად ქართულ-ჭანური ერთიანობის დონეზე აღდგება, როგორც არსებითი სახელი. თუმცა, სვანურში მას ზმნური მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი სვანური სიტყვა ლიზი — „სვლა" — დასაბამისეული ფორმით აღდგება როგორც ლი-გზ-ეი (მსგავსი მნიშვნელობით ჭანურში გვხვდება ზმნა ი-გლაზ-უ წავიდა, გაემგზავრა). (იხ. 2, 348). მაშასადამე, დასაბამისეულად, ჩანს, სიტყვა გზა რაღაც ობიექტს კი არ აღნიშნავდა, არამედ გზაზე დგომას, რაღაცის ქმედებას; ანუ სამხედრო საქმესთან მიმართებაში დასაბამისეული მნიშვნელობით გზა ნიშნავს არა რაღაც კომუნიკაციას, ტრასას ან ბილიკის, არამედ გზაზე დგომას, იმ გზაზე დგომას, რასაც სამხედროობა ჰქვია. მაგრამ რას ნიშნავს სამხედრო გზაზე დგომა? მეტს არაფერს, თუ არა ცხოვრების იმ წესს, რომელიც ზემოთ უკვე აღვწერეთ: ძრწოლასა და ზრუნვას, არაგულგრილობასა და ღირსებას, სიკვდილსა და სიკვდილისადმი წინსმწრებ გაბედულებას. ყოველივე ამაში ბინადრობა არის ის, რასაც მეომრის გზა ეწოდება.

არაკორექტულია კითხვა: რა არის ეს გზა — რაღაც სოციალური, ბიოლოგიური, სამხედრო, თუ სხვა რამ. ეს გზა პირველ რიგში კულტურულია, ან უფრო ზუსტად, იმას ემყარება, რაც საერთოდ შესაძლებელს ხდის კულტურას, როგორც ასეთს. ეს ერთი გამოვლინებაა იმისა, თუ როგორ ხდომობს სამყარო. სამხედრო საქმე არ არის მხოლოდ რაღაც ინდივიდიუალური ან ჯგუფური. ის რაღაც მეტია, მასში ვლინდება ის, თუ როგორ არსებობს, ხდომობს სამყარო, როგორც

ასეთი. ამიტომაც თქვა დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა: „ომი ყველაფრის მამაა და ყველაფრის მეფე". და პრინციპში სამყაროში ის მოდელია ყველაზე ადეკვატური, რომელიც იმ საქმეს განსაზღვრავს, სამხედრო საქმე რომ ჰქვია.

ბოლოთქმა

ჯერ კიდევ არ გაგვიცია პასუხი კითხვაზე, რომელიც დასაწყისში დავსვით: რა არის სამხედრო საქმე — მოწოდება თუ პროფესია. შეგვიძლია ვთქვათ, ერთიც, მეორეც და რაღაც მესამეც. რასაკვირველია, სამხედრო საქმე მოწოდებაა. თუ ეს მოწოდება ადამიანს არა აქვს, არასდროს აირჩევს იმას, რასაც სიკვდილისადმი წინგამსწრებ გაბედულობაში მუდმივი ყოფნა ჰქვია. არ აირჩევს საქმეს, რომელიც ყოველწამიერად შეიძლება მოითხოვდეს სიკვდილისათვის თვალებში შეხედვას და მასთან სპეციფიკურ მიმართებას. მეორე მხრივ, სამხედრო საქმე, რასაკვირველია, პროფესიაა, რომელიც განსაკუთრებულ, სწორედაც რომ, პროფესიულ მომზადებას მოითხოვს. მაგრამ ამავდროულად სამხედრო საქმე რაღაც მესამეცაა, ყველაზე სიღრმისეული, რომელიც მოწოდებასა და პროფესიაზე მაღლა დგას და სამხედრო საქმის ამ ორ სეგმენტს აფუძნებს. ეს გზაა, გზა, რომელიც გალაქტიონმა ასე დაახასიათა:

„თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის,
ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა ორრა არის, ვარდისფერ გზის გარდა."

სამხედროობა ისაა, როდესაც ადამიანი ყოფიერებისა და არარას მიჯნაზე, გზაზე დგას და არა სხვათა შორის, არა მხოლოდ იმ დროს, როდესაც გარდაუვალი სიკვდილი გვეწვევა, არამედ ყოველდღიურად, ყოველმყისიერად. იყო სამხედრო, ნიშნავს შეგეძლოს შეიგრძნო ერთი წამი, მყისიერი მომენტი, ერთი ატომი, სადაც ყველაფერია კონცენტრირებული: სამყაროს ბედიც და როგორ არსებობს იგი, ყოფიერების სისავსეც და არარას არარაობაც. ალბათ, სამხედროები ისინი ვართ, ვინც ამ გასაკვირ მიჯნაზე ვდგავართ.

დასასრული

დამატება I
„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“ – ვახტანგ გორგასლის სამხედრო ხელოვნება და სამხედრო სიმბოლიკა

ვახტანგ გორგასლის სტრატეგია და სამხედრო ხელოვნება

საქართველოს სამხედრო ისტორია საუკუნეებს ითვლის. სამწუხაროდ, ძალიან მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ როგორ იაზრებდნენ თეორიულ პლანში ძველი ქართველები სამხედრო ხელოვნებას, სტრატეგიასა და ტაქტიკას (საბედნიეროდ, ინფორმაციის ამ სიმწირის შევსება შეიძლება ისტორიული ქრონიკებით, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალითა და სხვა წყაროებით). დავით აღმაშენებლის სტრატეგიაზე, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ყველაზე მეტი ინფორმაცია მოგვეპოვება, თანაც უპირატესად უცხოურ წყაროებში. ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმ საერთაშორისო რეზონანს, რომელიც დავითის გამარჯვებებს, განსაკუთრებით დიდგორს, მოჰყვა. დავითის ეპოქიდან მოგვეპოვება კიდევ ერთი მცირე ფრაგმენტი, რომელიც სტრატეგიის თეორიას ეხება. ეს ფრაგმენტი დიდ ფილოსოფოს იოანე პეტრიწს ეკუთვნის. თავის განთქმულ ნაშრომში „განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლებისა“ იგი წერს: „ამიტომაც პირველი მეფენი ომისა და საბრძოლო მოქმედებების დროს სამკუთხედად აწყობდნენ თავის ჯარს, ვინაიდან ამ გამოსახულებას (ნაკუეთს) წინ ვერაფერი დაუდგებაო“ (3, 212). რასაკვირველია, იმ პერიოდში, როდესაც პეტრიწი თავის „განმარტებებს“ წერდა, სამკუთხა წყობა საყოველთაოდ იყო მიღებული მძიმე კავალერიაში. თუმცა დავითმა თავისი კარის ფილოსოფოსს ყური არ უგდო და დიდგორისას სრულიად სხვა ტაქტიკას მიმართა (კარგიც ქნა – როგორც ფილოსოფოსმა და ყოფილმა სამხედრომ, შემიძლია დავადასტურო, რომ სამხედრო საკითხებში ფილოსოფოსებს ყოველთვის არ დაეჯერებათ).

საბედიეროდ, ჯუანშერის მიერ დაწერილ „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ მოგვეპოვება მითითება ვახტანგ გორგასლის სტრატეგიული წყობის შესახებ. ეს მითითება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ

ადრეშუასაუკუნეების საქართველოს სომარი მწყობრის რეკონსტ-
რუირება. ხოლო იმ პერიოდის სხვა სახელმწიფოების საბრძოლო
მწყობრებთან შედარებით, დავინახოთ ვახტანგ გორგასლის მწყობრის
ორიგინალობა.

ვახტანგის მწყობრი და ტაქტიკა

ვახტანგ გორგასალი იმ ტრიადაში შედის, რომელსაც ქართველი
ერი თავის უდიდეს მეფეებად იაზრებს (დავითთან და თამართან
ერთად). მის სახელთან მრავალი გადმოცემაა დაკავშირებული. ძირითადი
ინფორმაციის წყარო ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაა, რომლის თარიღის
შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთ ნაშრომში დავასაბუთეთ,
რომ წყარო VII-VIII საუკუნეებს ეკუთვნის და გადამუშავებულია XI-
XII საუკუნეებში. მასში, მიუხედავად სარაინდო რიომანისათვის
დამახასიათებელი ელემენტების სიმრავლისა, შემონახულია რეალური
ისტორიული ცნობები, მათ შორის ვახტანგ გორგასლის საბრძოლო
მწყობრის შესახებ.

ვახტანგ გორგასლის მთელი მეფობის პერიოდში ირანსა და
ბიზანტიას შორის ზავი სუფევდა. ზავი განპირობებული იყო იმით,
რომ ორივე იმპერია გამუდმებით განიცდიდა მომთაბარეთა თავდასხმას.
ბიზანტიას დასავლეთიდან ავარები ესხმოდნენ თავს, ირანს
აღმოსავლეთიდან — ხიონიტები თუ ეფთალიტები, ხოლო ცენტრში
კავკასიის გადმოსასვლელების გავლით ჰუნები აწიოკებდნენ ორივე
იმპერიას. ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთა თავდასხმების საფრთხემ
ორივე იმპერია გააერთიანა. ბიზანტია სასანიდურ ირანს სუბსიდიებს
აძლევდა, რათა დერბენდისა და დარიალის გადასასვლელები დაეცვა.
ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლაშქრობაც, ჩანს,
ამ პერიოდზე მოდის.

მკითხველს თავს არ შევაწყენ ვახტანგის გმირობების შესახებ
მოთხრობით, რომელიც პრაქტიკულად ყველა ქართველისათვის
ცნობილია. ყურადღებას გავამახვილებ ვახტანგის ცხოვრების ერთ
ეპიზოდზე, რომელიც რატომღაც ჩვენი ისტორიკოსების ყურადღების
მიღმა დარჩა. ეს ეპიზოდი ვახტანგის ჩრდილო კავკასიაში, ჯუანშერის
ტერმინოლოგიით, „ოვსეთში“ ლაშქრობას ეხება. თუმცა, იმის

გათვალისწინებით, რომ ვახტანგის მოწინააღმდეგეებს ალთაური სახელები: ბაყათარი (ძველმონღოლური სახელია, იგივე ბაღათური, იგივე რუსული боготырь-ი) და თურქული სახელი თარხანი ერქვათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაშქრობა იმდენად ოსების წინააღმდეგ არ იყო მიმართული, რამდენადაც ჰუნების. მით უფრო, რომ ამ პერიოდისათვის ალანების სამეფო კარგა ხნის განადგურებული იყო იმავე ჰუნების მიერ. ავტორი წერს: „ხოლო სპანი (ვახტანგ გორგასლის — კ.კ.) იგი წარემართნეს განმზადებულნი, ცხენ-თორნოსანნი და ჯაჭუ — ჩაბალახოსანნი, წინა კერძო. და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მხედართა... მაშინ ვახტანგ მეფე მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურგით რჩეულითა მხედრითა, უზახებდა და განაძლიერებდა და ნუგეშინის-ცემდა სპათა მისთა. მაშინ წინა ცხენ-თორნოსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, აღხდეს ვაკესა, და აღუდგნენ უკან ქუეითნი და შემდგომად სიმრავლე მხედართა“ (5, 155-156).

ამრიგად, მწყობრის პირველ ეშელონში არიან მძიმე კავალერისტები (ცხენ-თორნოსანნი და ჯაჭუ — ჩაბალახოსანნი), შემდეგ ქვეითები და შემდეგ „სიმრავლე მხედართა“. ვცადოთ, ცალ-ცალკე დავახასიათოთ ვახტანგის მწყობრის შემადგენელი ელემენტები.

„ცხენ-თორნოსანნი“. აქ პირველ რიგში გასარკვევია, რას ნიშნავს „თორნოსანი“. ეს არის ის ზედსართავი, რომელიც ახასიათებს არსებით სახელს — „ცხენს“, თუ არსებითი სახელია, რომელიც აღნიშნავს მხედრის სახეობას, ანუ კავალერისტის ტიპს მისი ჯავშნის თვალსაზრისით. ტერმინი „თორი“ მრავალმნიშვნელოვანია თვით სულხან-საბას ლექსიკონშიც კი. სიტყვა ბუდე „ჯავშანში“ „თორნი“ ასე არის განმარტებული: „თორნი არს მთელი რკინა, პოლოტიკი, ტან(ს) ჩასაცმელი“. „პოლოტიკი“ განმარტებულია როგორც: „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი“ ე. ი. გამოდის, რომ, თუ სიტყვა ბუდე „ჯავშანში“ „თორნი ერთი მთლიანი კირასის ტიპის ჯავშანია, სიტყვა — ბუდე „პოლოტიკი“-ს თანახმად ის ფირფიტოვანი ყოფილლა. ამასთან დიდი ლექსიკოგრაფი იძლევა „პოლოტიკის“ თურქულ ეკვივალენტს, როგორც „ჩარაინი“-ს. გაურკვეველი რჩება, რა სახის აბჯარი იყო თორი: კირასის ტიპისა თუ ფურცლოვანი ჯაჭვისა. როგორც ჩანს, უფრო მეორე, ყოველ შემთხვევაში ცხენების კირასის ტიპის ჯავნით აღჭურვა გასაგები მიზეზების გამო შეუძლებელია. არადა,

ქართველებს სწორედ ასეთი ცხენები ჰყოლიათ. ბაყათართან ბრძოლის წინ ვახტანგი „აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა", ხოლო თორი, როგორც სულხან საბა აღნიშნავს, სწორედ აბჯრის, ჯავშნის ნაირსახეობაა. მაშასადამე, „ცხენ-თორნოსანი" გულისხმობს ისეთ კავალერიას, სადაც ცხენები ფირფიტოვანი ჯავშნით არიან დაცულნი (ნიშანდობლივია, რომ მემატიანე ხმარობს მრავლობითი რიცხვის ფორმას „თორნოსანი" და არა მხოლობით ფორმას „თოროსანი", რაც აგრეთვე მიუთითებს მრავალი ელემენტისგან შედგენილ, და არა ერთ მთლიან ჯავშანზე). ამასთან, მემატიანის გადმოცემით, ბაყათარმა „ჰკრა სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისსა და გააგდო შინა". ანუ ცხენის თორში ისარი აღწევდა, რაც ძალიან ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, თორნი რომ კირასის ტიპის მთლიანი აბჯარი ყოფილიყო. მოკლედ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ცხენ-თორნოსანი" ნიშნავს მძიმე კავალერიას, რომლის ცხენებიც ფირფიტოვანი (ქერცლოვანი) ჯავშნით არიან დაცულნი.

რაც შეეხება ჯაჭვს, სულხან-საბასთან ის საზოგადო სახელია აბჯრის მთელი რიგი სახეობებისათვის. სახელდობრ, დიდი ლექსიკოგრაფი წერს: „ჯაჭვი, რომელს არს საჭურველი, რომელსა აბჯრად, ჯავშნად და თორნად სახელ-ედების". ამასთან, სულხან-საბას განმარტებით, თავად „აბჯარი" ზოგადი სახელია „უფროსად საცვამ ჯაჭვთა". ერთი სიტყვით, აქაც გამოდის, რომ საქმე ფირფიტოვან აბჯართან გვაქვს. ჩაბალახს სულხან-საბა განმარტავს, როგორც „თავსახურავს საომარს" ხოლო ერთ-ერთ ხელნაწერში იგი განმარტებულია, როგორც „ჯაჭვის ქუდი". ამასთან ლექსიკოგრაფი აზუსტებს, რომ ჩაბალახს არა აქვს ფირფიტოვანი სახე, ის, როგორც სულხან-საბა იტყვის, „ლიტონი ჯაჭვია", ანუ არ არის ფირფიტოვანი სახის თავსახური (ასეთად სულხან-საბა ჩაჩქანს მიიჩნევს).

ეს რაც შეეხება თავდაცვით საჭურველს. ახლა ვნახოთ როგორი იყო ვახტანგის მძიმე კავალერიის შემტევი იარაღი. პირველ ყოვლისა, თვალში გეცემა ქართველებს შორის მძიმე მოისარი კავალერიის არარსებობა. ვახტანგის ძირითადი იარაღი ჰოროლი და ხმალია. ჰოროლით იგი კლავს თარხანს და მძიმედ ჭრის სინდთა მეფეს, ასევე მისი ძუძუმტე საურმაგი ჰოროლს იყენებს სინდეთს ლაშქრობისას. ხმლით ვახტანგი კლავს ბიზანტიელ პოლიკარპოსს და „ოს" ბაყათარს. იმისდა მიუხედავად, რომ ბაყათარი ვახტანგს გამუდმებით უშენს ისარს, ვახტანგი ცხენის მანევრირებით იცილებს ამ ისრებს (ჯუანშერის

ცნობით, მის ფარს ორი ისარი მაინც მოხვდება), შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, უახლოვდება ხელჩართული ბრძოლის მანძილზე და ხმლით კლავს ბაყათარს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ოვსთაგან" განსხვავებით ქართველებს არ ჰყავდათ მოისარი კავალერია, ან თუ ჰყავდათ, ის უმნიშვნელო როლს ასრულებდა, ვინაიდან წყაროში მასზე არაფერია ნათქვამი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ ვახტანგის მძიმე კავალერიის ხასიათი. ეს არის კავალერია, რომლის ცხენები ფირფიტოვანი (ძნელი სათქმელია, ოთხკუთხა თუ ქერცლისებრი, უფრო ალბათ უკანასკნელი,იმ ტიპისა ირანელ კატაფრაქტებს რომ ჰქონდათ) ჯავშნითაა დაფარული. მხედარსაც ასეთივე ფირფიტოვანი აბჯარი აცვია, თავზე ახურავს ლითონის ჯაჭვის ჩაბალახი, ხოლო ძირითადი იარაღი ჰოროლი, ანუ გრძელი შუბი (ბერძნულად კონტოსი) და ასევე გრძელი ხმალია (არა მხოლოდ საჩხვლეტი, არამედ საკვეთიც). შესაძლოა მძიმე კავალერიის ეს ტიპი ჰგავდეს სასანიდურს.

ვახტანგის წყობის მეორე ეშელონს ქვეითები შეადგენენ. როგორც ჩანს, მათ ხელჩართული ბრძოლით უნდა მოელოთ ბოლო ვახტანგის კატაფრაქტების (ასე ეწოდებოდა ბერძნულად მძიმე შუბოსან კავალერიას) განხორციელებული პირველი დარტყმის შედეგად მდგრადობამოშლილი მოწინააღმდეგისათვის.

რაც შეეხება ქვეითებს, როგორც ჩანს, ლაპარაკია საშუალო ქვეითებზე, რომელთაც, როგორც აღვნიშნეთ, ხელჩართული ბრძოლით საბოლოოდ უნდა გაეტეხათ მოწინააღმდეგე. საიდან ჩანს, რომ სწორედ საშუალო ქვეითებზეა ლაპარაკი? იქიდან, რომ ავტორი ასახელებს ქვეითების მეორე სახეს, რომელსაც „მკვირცხლს" უწოდებს. როგორც სახელი გვიჩვენებს, ლაპარაკია მობილურ, მსუბუქ ქვეითებზე. მეფე არჩილის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ არაბთაგან შეწუხებულმა არჩილმა, თავისი ქონება ორი ათას მკვირცხლს აჰკიდა და გადაატანია აფხაზეთს. ნათელია, რომ მძიმე ან თუგინდ საშუალო ქვეითები ასეთი ტვირთის გადატანას ვერ მოახერხებდნენ. მაშასადამე, ჯუანშერთან „ქვეითი" არ გულისხმობს მსუბუქ ქვეითს. მაგრამ ისენი ვერც მძიმე ქვეითები იქნებოდნენ, რომლებიც ფალანგის ან რაღაც სხვა წყობით იმოქმედებდნენ. მძიმე ქვეითები უბრალოდ ვერ გაყვებოდნენ კატაფრაქტებს, ვერ აირბენდნენ ქარაფ ადგილზე და ამის შემდეგ ბრძოლაში ვერ ჩაერთვებოდნენ. ეს, ცხადია, აღემატებოდა მძიმე ქვეითების

შესაძლებლობას. გვრჩება ერთადერთი დასკვნა: ჯუანშერი „ქვეითებში“ საშუალო ქვეითებს გულისხმობს.

და ბოლოს, მესამე ეშელონს მხედრები შეადგენდნენ, რასაკვირველია, მსუბუქი ან საშუალო კავალერიაა (მძიმე კავალერია პირველ რიგებში დგას). მათი ამოცანა, დისპოზიციიდან გამომდინარე, უნდა ყოფილიყო არა იმდენად ბრძოლაში მონაწილეობის მიღება (რაც კატაფრაქტებისა და საშუალო ქვეითების ამოცანა იყო), არამედ გაქცეული მტრის მიდევნება ან რეზერვის ფუნქციის შესრულება. პირველი უფრო მსუბუქი კავალერიის ფუნქცია უნდა ყოფილიყო, მეორე – საშუალოსი. შესაძლოა, მესამე ეშელონში ორივე ტიპის კავალერია ყოფილიყო (განსხვავებით კატაფრაქტებისა და ქვეითებისაგან ჯუანშერი მესამე ეშელონს ახასიათებს, როგორც „სიმრავლე მხედართა“-ს) დაბოლოს მწყობრს უკან (ალბათ აღალთან ერთად, თავად მეფე იმყოფებოდა.

ასე რომ, ვახტანგის მწყობრი საკმაოდ კარგადაა რეკონსტრუირებადი. ახლა რჩება კითხვა: ორიგინალური იყო ეს მწყობრი თუ ნასესხები? ამ კითხვისთვის პასუხის გასაცემად უნდა გავარჩიოთ ყველა იმ არმიის მწყობრები, რომელთანაც შეიძლებოდა საქართველოს ჰქონოდა შეხება და შემდეგ გავცეთ პასუხი ამ კითხვას.

ბიზანტიური მწყობრი

სამწუხაროდ, არ შემოგვრჩა ვახტანგ გორგასლის დროინდელი ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატები. სამაგიეროდ VI საუკუნის ბიზანტიური მწყობრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეგვიძლია VI საუკუნის ორი ტრაქტატიდან სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელთაგან ერთი ანონიმურია, ხოლო მეორეს იმპერატორ მავრიკიუსს მიაწერენს (რამდენად სამართლიანად, სხვა საკითხია, რომელიც ჩვენი ნაშრომის კომპეტენციას სცილდება). მართალია, ისინი ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის შემდგომ საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ წარმოდგენას გვიქმნიან V საუკუნის ბიზანტიური მწყობრის შესახებ.

ანონიმის ტრაქტატი VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და პრინციპში ადეკვატურად ასახავს გვიანრომაული და ადრე-ბიზანტიური არმიების ორგანიზაციას. ანონიმის პრიორიტეტული

ინტერესის საგანია მძიმედ შეიარაღებული ქვეითი, ხოლო ძირითადი მწყობრი ქვეითთა ფალანგაა. ფალანგის საფუძველს მძიმე ქვეითები წარმოადგენენ, რომელნიც 7 მტკაველის (დაახლოებით 1,7 მეტრის) სიგრძის ფარებით არიან აღჭურვილნი. ამას გარდა, მათ თავდაცვით საჭურველს წარმოადგენს ზუჩი, აბჯარი და წვივსაფრები. ცხადია, ასეთი ქვეითი მობილური ვერ იქნებოდა. მას ასეთი საჭურველი პრაქტიკულად უსპობდა დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას. ასეთ ქვეითს ბრძოლა მხოლოდ ფალანგურ მწყობრში შეეძლო. ამასთან ფალანგის პირველ ოთხ მწკრივს წარმოადგენდნენ მეომრები, რომლებიც შუბებით იყვნენ აღჭურვილი. ფალანგაში მწკრივებს შორის მანძილი ერთი წყრთა იყო და ამიტომ ყოველი უკანა მწკრივის მეომრების შუბები ერთი წყრთით უფრო გრძელი იყო, ვიდრე წინა რიგისა. ეს გრძელი შუბები წინა რიგის მეომრების მხრებზე იყო დადებული. ასეთივე ოთხშუბიანი მწყობრი ჰქონდათ ბოლო ოთხი რიგისა და ფლანგებზე განლაგებულ მეომრებს. ფალანგის ძირითადი მასა ამ შუბოსანთა მართკუთხედის შიგნით იყო განლაგებული. ისინი შეიარაღებული იყვნენ სატყორცნი შუბებით.

VI საუკუნის ნარატიულ წყაროებს მოყავს მაგალითები ასეთი ფალანგების შერკინებისა, რომელიც შეიძლება საათობით გაგრძელებულიყო ისე, რომ საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე არ მისულიყო. ორი არმია ერთმანეთის მიმართ ისრის სასროლ მანძილზე ფრონტალურად ლაგდებოდა, რის შედეგად შუბოსანთა მართკუთხედის შიგნით მოთავსებული მეომრები სასროლ შუბებსა და ისრებს კიდური ტრაექტორიით უშენდნენ ერთმანეთს. ასეთ დროს მცირერიცხოვანი კავალერიის შეტევას გადამწყვეტი გაელენის მოხდენა შეეძლო ბრძოლის ბედზე (ცხადია, თუ მოწინააღმდეგის ფალანგასთან მიახლოებას მოახერხებდა).

ანონიმის მიხედვით, ფალანგას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს: კოლონის, ხაზის, ცერისებრი, კარე, სამკუთხედი (შდრ. იოანე პეტრიწს) და ა.შ. ამ მხრივ ანონიმი არაფერ ორიგინალურს არ ამბობს, ის ძირითადად იმეორებს იმას, რაც ვეგეციუსის ტრაქტატშია მოცემული.

ქვეითი ფალანგის მწყობრი უნდა გაძლიერდეს მსუბუქად შეიარაღებული მებრძოლებით, ე.წ. პსილებით. თუ ფალანგა ღრმაა, ანუ რამოდენიმე რიგს შეიცავს, მაშინ პსილები ფლანგებზე ეწყობიან, ხოლო თუ ფალანგა მხოლოდ ერთი-ორი რიგისაგან შედგება, პსილები მათ

უკან ეწყობიან და თავისიანების თავების ზემოდან უშენენ მოწინააღმდეგეს შურდულებსა და ისრებს.

კავალერია შეიძლება მოთავსდეს ან ფალანგის ფლანგებსა ან ცენტრში. ანონიმი უპირატესობას ანიჭებს პირველს. კავალერიის მთავარი ამოცანაა მოწინააღმდეგის მიდევნება, ბრძოლის მთავარი სიმძიმე ქვეითებზე გადადის.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ეს მწყობრი ისე განსხვავდება ვახტანგ გორგასლის მწყობრისაგან, როგორც ცა და მიწა. ვახტანგ გორგასლის მწყობრში დამრტყმელი ძალა მძიმე კავალერიაა, ანონიმთან — მძიმე ქვეითები. ვახტანგის ამოცანა შეტევაა (წინაალმდეგ შემთხვევაში, ის წინა რიგებში არაფრით არ დააყენებდა მძიმე კავალერიას), ხოლო ანონიმისა — თავდაცვა. ერთი სიტყვით, ნათელია, რომ ვახტანგ გორგასლის წყობა სრულიად სხვაა, ვიდრე VI საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიელი ანონიმისა.

მეორე ბიზანტიური ტრაქტატი VI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. მას იმპერატორ მავრიკიოსს მიაწერენ. ტრაქტატში ასახულია VI საუკუნის ბიზანტიის სამხედრო საქმეში მომხდარი ცვლილება; სახელდობრ, დაქირავებულთა არმიის შეცვლა თავისუფალ მეთემეთა ლაშქრით და კავალერიის რაოდენობრივი დომინირება ქვეითებზე. განსხვავებაა ბალანსში შეტევასა და თავდაცვას შორის. მავრიკიოსის ტრაქტატში, განსხვავებით ანონიმისგან, შეტევას უპირობო პრიორიტეტი აქვს თავდაცვასთან შედარებით.

მარვიკიოსის სტრატეგიკონის თანახმად სალაშქრო კოლონის გადაადგილება არ უნდა ხდებოდეს შემჭიდროვებული კარეების სახით. ის უნდა ხორციელდებოდეს ცალკეული კოლონებით, რომელთაც არიერგარდში საკუთარი აღალი გააჩნიათ. რამოდენიმე კოლონად მარშირება ხელს უშლის მოწინააღმდეგის მზვერავებს მოლაშქრე ჯარის ოდენობის დადგენაში. ამასთან მწყობრი შემდეგ ხასიათს ატარებს: კავალერისტთა რიგებიდან გამოიყოფიან კურსორები, რომლებიც გაფანტული მწყობრით არიან განლაგებულნი ძირითადი მწყობრის წინ. ისინი პირველები იწყებენ სამხედრო მოქმედებას და პირველები მისდევენ გაქცეულ მტერს. ქვეითი ჯარის ძირითადი მასა, დეფენსორები, კურსორებს უკან არიან განლაგებულები. ისინი მჭიდრო მწყობრით არიან განლაგებულები და შეადგენენ საბრძოლო წყობის ძირითად ნაწილს. მათი ამოცანაა — მოიგერიონ მოწინააღმდეგის შეტევა და

განხორციელონ ძირითადი დარტყმა. ისინი კურსორებს ზურგს უმაგრებენ, ფლანგების დასაცავად გამოიყოფიან პლაგიოფილაკები, ხოლო მოწინააღმდეგის ფლანგების გარეშემოვლისათვის — ჰიპერკერასტები.

მავრიკიოსის იდეალია სამრიგიანი საბრძოლო მწყობრი. პირველ რიგს შეადგენს პირადი შემადგენლობის ორი მესამედი. ცენტრში არიან დიფენზორები, უპირატესად, შუბის მსროლელები და ფლანგებზე — კურსორები, მსუბუქი კავაკლერისტები, უპირატესად მოისრები. მათ შორის პროპორციაა 1:4:1. პირველი რიგიდან ისრის ოთხი გასროლის მანძილზე გაწყობილია მეორე რიგი, რომელიც ოთხ შემადგენელ ნაწილად არის დაყოფილი. ამ ნაწილებს შორის არის ისრის სამი გასროლის სიგანის ინტერვალი. ამ ინტერვალებში შეიძლება პირველი რიგის მებრძოლებმა უკანდახევისას გაიარონ. მესამე რიგს შეადგენს არიერგარდი, რიცხვით ორი თაგმა. ცალკე გამოიყოფოდა რეზერვი, რომელიც უპირატესად ჩასაფრებული იყო.

როგორც ვხედავთ, მავრიკიოსისა თუ ფსევდომავრიკიოსის მწყობრი სრულიად სხვაა, ვიდრე ვახტანგ გორგასლისა. ჯერ ერთი, მავრიკიოსთან სამხედრო მოქმედებას გაფანტულ მწკრივში მოქმედი მსუბუქი კავალერია იწყებს (მძიმე კავალერიის გამოყენება გაფანტულ მწკრივში სრული აბსურდია). შემდეგ, ძირითად დამრტყმელ ძალას საბოლოო ჯამში მაინც ქვეითები წარმოადგენენ, რომლებიც მჭიდრო მწყობრში არიან განლაგებულნი. ამასთან ქვეითები მწყობრის ცენტრში არიან განლაგებული, ხოლო კავალერისტები ფლანგებზე. ერთი სიტყვით, მავრიკიოსის მწყობრი პრინციპულად განსხვავდება ვახტანგ გორგასლის მწყობრისაგან.

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი ცალსახად ნათელყოფს: ვახტანგ გორგასლის საბრძოლო მწყობრზე ბიზანტიურ სამხედრო ხელოვნებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. მაგრამ დგება საკითხი: ხომ არ მოახდინა ამ დიდი მეფის მწყობრზე გავლენა სასანიდური ირანის სახედრო ხელოვნებამ?

სასანიდების მწყობრი და სამხედრო ხელოვნება

სასანიდების (სამეფო დინასტია III-VII საუკუნეების ირანში) დროის სამხედრო ხელოვნების შესახებ შემორჩენილი გვაქვს ორი მნიშვნელოვანი

დოკუმენტი. ერთი მცირე ზომის ტრაქტატი „აინ-ნამე“ და მეორე — სასანიდური ირანისა და თუქთა კაგანატის ბრძოლის აღწერა, რომელსაც დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიაზე, ქალაქ გერათთან მოხდა. არაბი ისტორიკოსი სასანიდების სამხედრო ხელოვნებასთან დაკავშირებით წერს: „წავიკითხე წიგნი აინი: ბრძოლაში დადგენილია წესი ცაცია მეომრები მარცხენა ფლანგზე განალაგონ, რათა მათ მტრისადმი პირისპირ დგომისას მოახერხონ ორივე მხარეს სროლა. და აგრეთვე [დადგენილია წესი], რომ წინ მხედრები გაეწყონ. და ეს წესი არ დაიცვება ორმხრივი ბრძოლისას ან გვერდითი მოძრაობისას. და [აგრეთვე] რომ [ჯარის] გულისათვის (ცენტრისათვის) შეარჩიონ ამაღლებული ადგილი და სცადონ იქ განალაგონ ისინი, რადგან მარჯვენა და მარცხენა ფლანგების მეომრებს ვერ გადალახავენ და დაამარცხებენ მანამ, სანამ „ორი მთავარი ნაწილი“ მაგრად დგას. ხოლო თუ „ორი მთავარი ნაწილი“ დამარცხდა, მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს სიმტკიცე ვერაფერს უშველის. და თუ ჯარი სუსტდება, დე შეუტიონ მარჯვენა ფლანგმა და „ორმა მთავარმა ნაწილმა“; რაც შეეხება მარცხენა ფლანგს, ის არ უტევს, თუ არ დაესხმის საშიში მტერი. მაშინ მარცხენა ფლანგის მებრძოლები იგერიებენ მტერს. ამასთან მარჯვენა ფლანგის და „ორი მთავარი ნაწილის“ მეომრები შეიძლება ბრძოლაში ჩაერთონ მათზე შემტევ ძალებთან და დაუბრუნდნენ თავისიანებს (სასტარტო პოზიციას, ალბათ ბანაკს — კ.კ.), რათა კვლავ ჩაერთონ ბრძოლაში. ხოლო მარცხენა ფლანგის მებრძოლებს ეს მხოლოდ უკანდახევისას შეუძლიათ, და არ შეუძლიათ დაუბრუნდნენ ბრძოლის ველს და კვლავ განაახლონ ბრძოლა“ დაწვრილებით იხ. (16;).

ნათელია, რომ არც ეს მწყობრი შეესაბამება ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში აღწერილს. ჯერ ერთი, აქ ჩანს ფლანგების ასიმეტრია, ანუ მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს სხვადასხვა ფუნქციები აქვს და სხვადასხვანაირად მოქმედებს. მეტიც, მაშინ როდესაც მარჯვენა ფლანგი შეტევაზე გადადის, მარცხენა თავისი პოზიციიდან ფეხს არ იცლის. ასეთი ასიმეტრია სრულიად უცხოა ვახტანგის მწყობრისათვის. ასევე სრულიად უცნობია ვახტანგ გორგასლისათვის „ორი მთავარი ნაწილი“. ერთადერთი, რაც ვახტანგისა და ხსენებულ სასანიდურ ტაქტიკას აერთიანებს, ისაა, რომ კავალერია პირველ რიგში დგას. მაგრამ ვახტანგის შემთხვევაში ესაა მძიმე შუბოსანი კავალერია მჭიდრო წყობით, ხოლო სასანიდებთან — მოისარი კავალერია გაფანტული წყობით. და საერთოდ,

როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასლის ტაქტიკაში დაუნაწევრებელი მწყობრი გამოიყენებოდა, ვინაიდან მძიმე კავალერიის განლაგება ცენტრად და ფლანგებად ძალიან რთული მანევრია, თუ შეუძლებელი არა.

ცნობილია სხვა ნიმუში სასანიდური წყობისა, რომელიც სპარსმა მხედარმთავარმა ბაჰრამ ჩუბინმა გამოიყენა ძველ თურქებთან ბრძოლისას გერათის სიახლოვეს. ბრძოლის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის არაბი ისტორიკოსი საალაბი. მისი თქმით, ბაჰრამმა თავისი ჯარი შემდეგნაირად გააწყო: პირველ რიგში მან ქვეითები განალაგა, მათ უკან სპილოები, ხოლო ფლანგებზე რჩეული ლაშქარი. ყველაზე სანდო მეომრებისგან მან ერთგვარი „ზაგრანოტრიადი" გააკეთა, რომლის ამოცანა იყო, არ დაეშვა თავისი ჯარის უკანდახევა.

თურქთა სარდალმა სავემ (ქართული წყაროებით საბა) შეტევა კავალერიით დაიწყო. შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბაჰრამი ერთხანს უკანდახევაზეც კი ფიქრობდა. თურქებმა მოახერხეს მარცხენა ფრთის შევიწროება, მაგრამ ირანელთა ცენტრმა და მარჯვენა ფრთამ შეტევები მოიგერია. ამის შემდეგ სავემ შეტევაზე სპილოები მიუშვა, მაგრამ ირანელთა მოისარმა კავალერიამ, რომელიც ბაჰრამის არმიის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენდა (გაქანებული ცხენიდან მიზანში ისრის ზუსტად სროლის შესწავლას წლები სჭირდებოდა და გასაგებია, რომ კავალერისტ-მოისრები პროფესიონალი მოქირავნეებით კომპლექტდებოდნენ) სპილოებს მოწყლად ადგილებში (ხორთუმები, თვალები) დაუშინა ისრები (მათ შორის ცეცხლმოდებულები). სპილოები უკან გაიქცნენ და თავისიანები გადათელეს. სავე გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ბაჰრამი დაეწია და ისრით მოკლა (გავიხსენოთ, რომ საქართველოში საუკეთესო მსროლელს დღემდე ჩუბინს ეძახიან).

რა შეიძლება ითქვას ბაჰრამ ჩუბინის საბრძოლო წყობაზე? ლ. გუმილიოვი თვლის,რომ ეს წყობა „აინ-ნამეს" პრინციპებს შეესაბამება. იმ გარემოებას, რომ ბაჰრამმა წინა რიგში ქვეითები განალაგა და არა მხედრები, რუსი მეცნიერი იმით ხსნის, რომ „აინ-ნამეს" თანახმად შემხვედრი ბრძოლის დროს შეიძლება დაირღვეს პრინციპი, რომ მწყობრის პირველ რიგში კავალერია უნდა იყოს განლაგებული. გუმულიოვი გერათის ბრძოლას სწორედ შემხვედრ ბრძოლად მიიჩნევს. მაგრამ საქმე ის არის, რომ გერათთან არავითარი შემხვედრი ბრძოლა არ ყოფილა. ნებისმიერი ქრესტომატიული განმარტებით, შემხვედრი არის ბრძოლა, როდესაც ორივე მხარე თავისი ამოცანის

გადაწყვეტას შეტევით ცდილობს. მაგრამ თავად გუმილიოვის ალიარებით არაფერი ამის მსგავსი გერათთან არ მომხდარა. ბაპრამის მთელი მწყობრი თავდაცვითია. თავად გულიმილოვი წერს: „საკავალერიო შეტევის ჩაშლამ საევ აიძულა შეტევაზე სპილოები მიეშვა, რასაც ბაპრამმა კონტრშეტევით უპასუხა (13, 137). თუ კონტრშეტევა იყო, მაშინ ბრძოლა შემხვედრი არ ყოფილა, ვინაიდან კონტრშეტევა მხოლოდ თავდაცვის პოზიციიდან შეიძლება, ხოლო შემხვედრი ბრძოლისას, როგორც ვთქვით, ორივე მხარე ამოცანას შეტევით ახორციელებს. ასე რომ, ბაპრამმა, გუმილოვის მტკიცების საპირისპიროდ, პირველ რიგში ქვეითების დაყენებით „აინ-ნამეს" რეკომენდირებული მწყობრი დაარღვია, ამას გარდა, ბაპრამი სხვაგვარადაც არღვევს „აინ-ნამეს" მწობრს, როდესაც საუკეთესო მეომრებს ფლანგებზე აყენებს, ანუ მათ ანიჭებს უპირატესობას მაშინ, როდესაც „აინ-ნამეს" თანახმად გადამწყვეტია „ორი მთავარი ნაწილი" (ცენტრის). ასე, რომ ჩუბინმა ამ მიმართებითაც დაარღვია „აინ-ნამეს" რეკომენდაციები.

მაგრამ აქ იმდენად ის კი არ გვაინტერესებს, რამდენად მისდევდა ბაპრამი „აინ-ნამეს" რეკომენდაციებს, არამედ — რამდენად შეიძლება დაიძებნოს მსგავსება მისსა და ვახტანდ გორგასლის მწყობრებს შორის. უკვე ის, რომ ბაპრამი პირველ რიგში ქვეითებს ალაგებს, გამორიცხავს მსგავსებას. გარდა ამისა, ვახტანგის ცხოვრებაში არსად ჩანს მოისარი კავალერია, იქ ყველგან კატაფრაქტებზეა ლაპარაკი. ასე რომ, ბაპრამისა და ვახტანგის მწყობრებს შორის არავითარი მსგავსება არ იძებნება. აქედან გამომდინარეობს ერთადერთი დასკვნა: ვახტანგის მწყობრი არც ბიზანტიური კალკია და არც ირანულისა.

რჩება მესამე შესაძლებლობა: თავისი მწყობრისათვის ვახტანგს საფუძვლად დაედო ჩრდილო კავკასიელების, სახელრობრ, ალან-სარმატების, ან კიდევ იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ჰუნების მწყობრი.

სარმატულ-ალანური მწყობრი

თავდაპირველად, სარმეტები ტიპური მომთაბარეები იყვნენ და ანტიკური ავტორების, პირველ ყოვლისა, სტრაბონისა და ტაციტუტის ცნობით, მათ ძირითად დამრტყმელ ძალას მსუბუქი მოისარი კავალერია

წარმოადგენდა. ტაქტიკაც ტიპური მომთაბარული იყო, მოწინააღმდეგისათვის შორიდან ისრის დაშენა, მათ ფლანგებსა და ზურგში გასვლა. ეს ვითარება დაახლოებით პირველ საუკუნემდე გაგრძელდა. ამ პერიოდისათვის იქმნება პირობები მძიმე შუბოსანი კავალერიის, კატაფრაქტების, გაჩენისათვის. ამასთანავე, სარმატებს შემსუბუქებული აბჯარი ჰქონდათ, სადაც მეტალის ფირფიტების ნაცვლად გამოიყენებოდა ტყავი და ძვლები. როგორც წესი, ცხენები არ იყენენ აბჯრით აღჭურვილნი. კატაფრაქტების გაჩენას არ გამოუწვევია მსუბუქი კავალერიის დევალვირება. მსუბუქი კავალერია ეხმარებოდა მძიმეს ისრებით ბრძოლისას, მაშინ როდესაც მძიმე კავალერია მოწინააღმდეგეების საბრძოლო მწყობრს არღვევდა.

ალანების დამრტყმელი ძალა თავდაპირველად მსუბუქი კავალერია იყო. ამასთან, ალანები და მათი მოწინააღმდეგეები ხშირად მდინარის სხვადასხვა ნაპირებზე ეწყობოდნენ (შდრ. ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას, სადაც ქართველები და ოსები მდინარის სხვადასხვა ნაპირებზე ეწყობიან). ამ დროს, თავდაპირველად, გამორჩეული მეომრების ბრძოლა იწყებოდა (შდრ. ბუმბერაზების ბრძოლას ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში). I საუკუნეში ალანები სკვითების მსუბუქი მოისარი კავალერიის ტაქტიკას იყენებდნენ. ისინი ელვისებურად ესხმოდნენ მტერს, ისრის წვიმებს უშენდენ და შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ასევე ელვისებურად იხევდნენ უკან. ალანები, როგორც წესი, თავისი მობილური კავალერიით იწყებდნენ შეტევას (როგორც წესი, ფრონტალურს). შემდეგ, წარმატების შემთხვევევაში, ამას მოჰყვებოდა შუბოსნების შეტევა, რომელიც მოწინააღმდეგის მოშლილ მწყობრს საბოლოოდ უკარგავდა მდგრადობას. მხედარმთავარს ადგილი მწყობრის ცენტრში ეჭირა. მეორე ეშელონს შეადგენდნენ მოკლე მახვილებითა და ხანჯლებით შეიარაღებული მებრძოლები. ამასთან, როგორც სტრაბონი აღნიშნავს, მათი საჭურველი მეტისმეტად მსუბუქი იყო. მოისრებს ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობა ბუნებრივია არ შეეძლოთ, ისინი მეორე ეშელონის უკანა რიგებში ეწყობოდნენ და ისრებს ისროდნენ მათ წინ განლაგებული საკუთარი მებროლების თავებს ზემოთ.

მოგვიანებით, როდესაც რომაულ მძიმე ქვეითებთან შედარებით გამოჩნდა ამგვარი შეიარაღების და წყობის უვარგისობა, ალანებმა კატაფრაქტები შექმნეს. მძიმე კავალერია მჭიდრო მწყობრით უტევდა და, როგორც

წესი, არღვევდა მოწინააღმდეგის ცენტრს, უფრო იშვიათად დარტყმა მოწინააღმდეგის ფლანგზე ხდებოდა. ამასთან კატაფრაქტები დაცულები იყვნენ ისრებისა და სასროლი შუბებისაგან, მაგრამ სრულიად უსუსრები იყვნენ ცხენიდან გადმოვარდნის შემთხვევაში.

კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე, კატაფრაქტები სხვადასხვა მწყობრით გამოიყენებოდნენ. ვაკე რელიეფზე, მოწინააღმდეგის ღრმა წყობისა და მოწინააღმდეგის ერთი დარტყმით განადგურების ამოცანისას ისინი საკავალერიო ფალანგად ეწყობოდნენ. პირველ რიგსა და ფლანგების ბოლო მწკრივების კატაფრაქტების ცხენები დაცული იყო საჭურვლით. მწყობრში მეომრები იყენებდნენ შუბებსა და გრძელ ხმლებს. დანარჩენი რიგების ცხენებს აბჯარი არ ჰქონდა. მეომრებს ჰქონდა გრძელი შუბები — კონტოსები. ამ თასმის მეშვეობით აფიქსირებდნენ ცხენის სხეულზე, რათა თავიდან აეცილებინათ კატაფრაქტის ხელიდან შუბის გავარდნა. თუ მოწინააღმდეგე მოახერხედა კატაფრაქტების პირველი რიგების გარღვევას, ისინი უბრალოდ აგდებდნენ შუბებს და იწყებდნენ ხელჩართული ბრძოლას, რომლის დასრულების შემდეგ ისევ შეეძლოთ აეღოთ ხელში თასმაზე დაკიდებული კონტოსი და უკვე შუბით გაეგრძელებინათ ბრძოლა. მეორე რიგს უფრო გრძელი შუბები ჰქონდათ, რაც მათ საშუალებას აძლევდა პირველი რიგის მეომრების პარალელურად წარემართათ ბრძოლა. შემდგომი ორი რიგი მსუბუქი ქვეითებისაგან შედგებოდა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში გაფანტული მწყობრითაც შეეძლოთ ებრძოლათ. რამდენადაც მსუბუქ ქვეითებს მშვილდისრები ჰქონდათ, მათ შეეძლოთ მძიმე კავალერიის წარუმატებლობის შემთხვევაში გაფანტულიყვნენ და მოწინააღმდეგისათვის ისარი დაეშინათ.

როგორც ვხედავთ, ტიპოლოგიურად ვახტანგ გორგასლის სტრატეგია და მწყობრი ყველაზე ახლოს სარმატულ-ალანურთან დგას. მაგრამ ნათლად ჩანს არსებითი განსხვავებაც. ჯერ ერთი, ვახტანგ გორგასალთან მეორე ეშელონში განლაგებულნი არიან საშუალო ქვეითები, რომელთაც ევალებათ მძიმე კავალერიის მხარდაჭერა, რას არ ხდება სარმატულ-ალანურ მწყობრში. ამას გარდა, სარმატულ-ალანურ მწყობრში ქვეითების როლი სულ სხვაა, ვიდრე ვახტანგ გორგასალთან. ვახტანგისეულ მწყობრში მთავარსარდალი მწყობრის ბოლოს დგას, ხოლო სარმატულ-ალანური წყობით — ცენტრში. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ალანების

სახელმწიფო ჰუნებმა ვახტანგ გორგასლის დაბადებამდე სულ მცირე ორმოცდაათი წლით ადრე გაანადგურეს და საეჭვოა, ვახტანგს მათ მწყობრსა და ტაქტიკის შესახებ რაიმე ცოდნოდა.

ჰუნების მწყობრი

რაც შეეხება ჰუნების მწყობრს, ის მოიცავდა მსუბუქ კავალერიას (ყოველ შემთხვევაში, ჩრდილო კავკასიაში მათი ყოფნის პერიოდში). ამიან მარცელანუსი ასე აღწერს ჰუნების მწყობრსა და ტაქტიკას: „ბრძოლისას ისინი სოლისებრად ეწყობიან, გამოსცემენ რა მრისხანე ხმას. მსუბუქნი და მობილურნი შეგნებულად იფანტებიან, საბრძოლო მწყობრში არ ეწყობიან და აქეთ-იქიდან უტევენ მტერს, საშინლად ანადგურებენ რა მას. მათი განსაკუთრებული სისწრაფის გამო არასდროს არ უნახავთ, რომ ისინი ციხე-სიმაგრეს იღებდნენ ან მტრის ბანაკს ძარცვავდნენ. ისინი ღირსები არიან, რომ ჩინებულ მეომრებად მივიჩნიოთ იმიტომ, რომ შორიდან ისრების სროლით იწყებენ ბრძოლას, ისრებით, რომლებსაც ძვლის ბუნიკები აქვთ. ხელჩართულ ბრძოლაში ისინი თავდადებულად იბრძვიან ხმლებით და, იცილებენ რა მოწინააღმდეგის შეტევას, მარყუჟს აცვამენ მას“ (10, 2-8-9). როგორც ვხედავთ, ამ მწყობრს არაფერი აქვს საერთო ვახტანგ გორგასლის მწყობრთან. ჰუნებთან დამრტყმელი ძალა მოისარი მსუბუქი კავალერიაა, რომელიც გაფანტული მწყობრით მოქმედებს. უკვე ეს ერთი გარემოებაც საკმარისია, რომ ჰუნებისა და ვახტანგ გორგასლის მწყობრები პრინციპულად განსხვავებულად ვაღიაროთ.

დასკვნა

თეორიულად ვახტანგ გორგასალი შესაძლოა კიდევ ერთ მწყობრს გასცნობოდა — ეფთალიტურს. ეფთალიტები ინდოევროპული მოდ - გმის ტომი იყო. V საუკუნისაათვის მათ მძლავრი სახელმწიფო შექმნეს. ეს სახელმწიფო მოიცავდა ცენტრალურ აზიასა და ჩრდილო ინდოეთს. სპარსელებს არაერთგზის, როგორც წესი, წარუმატებლად ულაშქრიათ მათ წინააღმდეგ. ვახტანგის „სინდეთს“ და „ინდოეთს“

ლაშქრობა, ჩანს, სწორედ სპარსელების ერთ-ერთ ექსპედიციას ეხება ეფთალიტების წინააღმდეგ. მაგრამ, ჯერ ერთი, ეფთალიტებზე ლაშქრობა დროში ოსებზე ლაშქრობის შემდეგ ხდება. ასე რომ, ვახტანგ გორგასალი ამ ლაშქრობიდან ეფთალიტების მწყობრს ვერ გადმოიღებდა და, მეორეც, ეფთალიტების მთავარი დამრტყმელი ძალა ქვეითები (კეტებითა და ჩუგლუგებით შეიარაღებულები) იყვნენ და არა კავალერისტები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის მნიშვნელოვანი დასკვნა: ვახტანგ გორგასლის მწყობრი და სტრატეგია არც ბიზანტიურია, არც ირანული, არც ჰუნური, არც ეფთალიტური და არც სარმატულ-ალანური (თუმცა, ყველაზე ახლოს ამ უკანასკნელთან დგას). ბალკანეთიდან ცენტრალურ აზიამდე არეალში ვახტანგის მწყობრი ორიგინალურია და ეს არ შეიძლება დიდ ქართველ მეფეს არ დავუფასოთ.

ვახტანგ გორგასალი — მგლისა და ლომის სამხედრო სიმბოლიკა

XX საუკუნის ჰუმანიტარული მეცნიერებების უდიდესი წარმომადგენელი, რუმინული წარმოშობის ფრანგი მკვლევარი მირჩა ელიადე თავის ნაშრომში, რომელიც მგლის სიმბოლიკისა და სამხედრო საქმის კავშირს ეხება, წერდა: „ამ წარმოდგენათა საფუძვლად მგელთან მისტიური შერწყმის გამოცდილება ძევს. ამგვარი შერწყმის გზები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ანთროპოფაგია, გმირული ექსტაზი, ცხოველის ტყავის მოსხმით განხორციელებული ინიციაცია, რიტუალური ლოთობა, ასეთივე ყაჩაღობა ან სხვა რამ. მთავარია, რომ მგელთან ასეთი შერწყმა, რომელიც ყოველთვის ინდივიდუალურად ხორციელდება, ადამიანს შესაბამის მხეცს უიგივებს. Gorgasal (ხაზი ჩვენია — კ.კ.). ამგვარი გამოცდილების საფუძველი პირველად მითშია ჩადებული და მისი რეალიზება რეაქტუალიზაციის გზით არის შესაძლებელი“ (34; არსებობს ამ ნაშრომის რამოდენიმე ელექტრონული ვერსიაც).

როგორც ვხედავთ, ფრანგმა მეცნიერმა დიდ მეფეს „მგელკაცობა“ დაუფასა.

გორგასლის „იმიჯის აღწერისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს

მის მუზარადს, საიდანაც, ჩანს, წარმოდგება ვახტანგის მეტსახელი. მემატიანე ჯუანშერი წერს: „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; რომელსა კერძსა იძლეოდნენ ქართველნი, მუნითაცმთა მიმართის და მისრას სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლე იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი. და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „დურ აზ გორგასალ", რომელ არს ესე: „მოერიდეთ თავსა მგლისასა". და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფეს გორგასალ" (5, 180). ეჭვს გარეშეა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება სამხედრო სიმბოლიკისათვის უმნიშვნელოვანეს ხატებას, მგელსა და ლომს („არსლან", „ასლან" თურქულ ენებში, მათ შორის, ჩანს, ჰუნურშიც ლომს ნიშნავს). ამ ცხოველების კავშირი სამხედრო სიმბოლიკასთან ათასწლეულების სიღრმეში იკარგება. ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ ამ სიმბოლიკის რამოდენიმე ასპექტზე გორგასალთან დაკავშირებით.

მგლის დაკავშირება ომსა და მეომრებთან, ბუნებრივია, ამ ცხოველის თვისებებიდან გამომდინარეობს. სისასტიკე, ვერაგობა, სიხარბე, მამაცობა, ხროვად ნადირობა (ნადირობისა და ბრძოლის ხატები იოლად ენაცვლება ერთმანეთს) — ყველა ესენი მგლის თვისებებია, რომლებიც მეომარს უნდა გამოდგომოდა. ამისათვის ის „მგლად" უნდა ქცეულიყო, მაქცია გამხდარიყო. არქაულ სამხედრო კულტურაში მაქციობას ძალიან დიდი ადგილი ენიჭებოდა. ამას სკანდინავიური მასალა ადასტურებს. „ვოლსუნგების საგა" სკანდინავიური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც აღბეჭდილია საერთოდ სკანდინავიური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ღრმა დრამატიზმით. საგაში ვკითხულობთ: „უნდა ითქვას, რომ სიგმუნდს სინტოლფი შურისგების ძალისხმევისათვის ძალიან ახალგაზრდად მოეჩვენა და მოინდომა ჯერ სამხედრო საქმისათვის შეეჩვია. და აი დადიან ისინი მთელი ზაფხული ტყეში და ნადავლისათვის ადამიანებს ხოცავენ... ერთხელ,როდესაც ნადავლისათვის ტყეში წავიდნენ,იპოვეს სახლი და ორი კაცი, რომლებსაც სახლში ეძინათ. ისინი მოჯადოებულნი იყვნენ, თავთ მგლის ტყავი ეკიდათ: ამ ტყავიდან ისინი ყოველ მეათე დღეს გამოდიოდნენ. და ესენი უფლისწულები იყვნენ. სიგმუნდი შვილთან ერთად შეძერა ამ ტყავებში, მაგრამ გამოძრომა ვეღარ შეძლო. და დარჩა მათში მგლის ბუნება, და დაიწყეს მგლურად ლაპარაკი: ორივემ ენა შეიცვალა. და აი, გავიდნენ ტყეს და ორივე თავის გზას დაადგა.

პირობა დადეს, შემხვედრთ მიხდომოდნენ, თუ მათი რიცხვი შვიდზე მეტი არ იქნებოდა. და თუ მეტი იქნებოდა, მგლურად დაეყმუვლა იმას, ვინც დამხდურთ პირველი მიუხდებოდა. და მიდის ორივე თავის გზით, მაგრამ განშორებიდან მცირე ხნის შემდეგ სიგმუნდი ადამიანებს გადაეყარა და დაიყმუვლა, სინტოლფიმ გაიგო ეს, მიუხდა და ყველა დახოცა. შემდეგ ისინი კვლავ გაიყარნენ. და არცოუ დიდხანს დაეხეტებოდა სინტოლფი ტყეში და გადაეყარა თერთმეტ კაცს და შეება მათ. და ყველა დახოცა".

მოყვანილი ადგილი საკმარისია იმის დასანახავად, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა არქაული საზოგადოების სამხედრო საქმეში მგლად მაქციობას. შეიძლება თქვან, რომ „ვოლსუნგსაგა" უკვე შუა საუკუნეების ძეგლიაო, მაგრამ მგლისა და სამხედრო საქმის დაკავშირება უკვე არქაული ეპოქისათვისაა დამახასიათებელი. ასე მაგალითად, ხეთების მეფე ხათუსილის მიმართვაში მეომართა შეკრებისადმი ნათქვამია, რომ ისინი უნდა იყვნენ „ერთნი, ვითარცა მგელთა გვარი". ამასთან შემორჩენილია ძველი ხეთური რიტუალი, რომელიც გულისხმობს მგლის ტყავმოხვეულ ცეკვას. ძველგერმანულ ტრადიციაში მეომრები წარმოდგენილი არიან მგლის ტყავებში და იწოდებიან მგლებად (მსგავსად ძველინგლისური Heoruwulfas, Waelwulfas).

რომაელი ლეგიონერი მგზავრავი მგლის თავით

მაქციობასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ერთი სკანდინავიური გადმოცემა. ნორვეგიულ ტრადიციაში ერთი უფლისწული კვიცად იქცევა. ის თავის მხსნელს თხოვნით მიმართავს, რომ მისი ქორწილის დღეს თავი მოჰკვეთოს (თანაც ძველი ე.ი. მაგიური ხმლით) და შემდეგ გაატყავოს, რასაც უფლისწულის კვლავ ადამიანად ქცევა მოჰყვება. ასევე მაქცია-მგლები, რომლებიც ასეთებად მათი ნების საწინააღმდეგოდ

იქცნენ, კვლავ დაიბრუნებენ თავიანთ სახეს, თუკი ვინმე მოახერხებს მათთვის მგლის ტყავის მოშორებას. ხეთურ ტრადიციაში არსებობს სასიძოს მგლად ქცევის რიტუალი, რომელიც უკავშირდება საპატარძლოს მოტაცებას. ამავე დროს ბევრ ტრადიციაში მგლის სახელი ტაბუიზირებულია. ზოგჯერ ამ სახელს უწოდებდნენ სამხედრო საძმოების წევრებს. ცნობილია ძალიან ბევრი მაგალითი, როდესაც რომელიმე ტომს ან მხარეს მგლის სახელი ენიჭებოდა. მირჩა ელიადეს მოჰყავს ასეთი მაგალითები. ტრანსკასპიელი სკვითი ?ᵓმთაბარეების სახელი *dahae* მგლის აღმნიშვნელ ძველირანულ სიტყვაᵓᵓეᵓ დაიყვანება. პ. კრეჩმერი ამ სიტყვას ხსნიდა პროტოინდოევროპული ძირიდან *dhau, რაც აღნიშნავს „გაგუდვას", „წაჭერას", „მოხრჩობას". აქედან არაერთი საკრალური სახელი თუ ტოპონიმი წარმოდგება (მაგალითად, ომის თრაკიული ღმერთი კანდაონი, ლიდიური სახელი კანდავლოსი და ა.შ). Hyrcania ირანის ერთ-ერთი პროვინციაა, რაც მგლების მხარეს, სამგელეთს ნიშნავს. ფრიგიაში ცნობილია ტომი სახელად orka (შდრ. ტოლკიენის ცნობილ ტეტრალოგიაში ბოროტი არსებების აღმნშვნელ სახელს, ორკს, რომელიც ტოლკიენმა, როგორც დიდმა მითოლოგმა, შეგნებულად გამოიყენა დემონური არსებების, გობლინების მეორე სახელად). ბერძნული ლიკია ჰერაკლიტე პონტელის თანახმად, სიტყვა ლუპუსს, მგელს უკავშირდება (აქ შეიძლება გავიხსენოთ სხვა ბესტსელერის პერსონაჟი, ჰარი პოტერის ლექტორი ლუპინოსი, რომელიც, როგორც ირკვევა, მგელკაცაა, მაქციაა). ცნობილი დაკები აგრეთვე ამ ძირს ეკუთვნიან.

ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ტომის — ნებრების — წარმომადგენლები ყოველწლიურად რამდენიმე დღით მგლებად იქცეოდნენ. მაქციობის უნარს მიაწერდნენ განსაკუთრებით ძლიერ ჯადოქრებს. სლავურ ენებში მაქცია მგლის აღსანიშნავად იხმარებოდა იგივე ფუძე, რომელიც „ცოდნას" აღნიშნავს. ვთქვათ, უკრაინული віщун და ჩეხური vedi (მგლის აღმნიშვნელი საერთოინდოევროპული ძირი *ueit-(n)-ი უკავშირდება ცოდნისვე აღმნიშვნელ ინდოევროპულ ძირს *ueit). ითვლებოდა, რომ გა-და-მა-ქციებისას ადამიანი თითქოს გადალახავდა გარკვეულ პირობით საზღვარს. ეს საზღვარი შეიძლება თვალსაჩინო ხასიათს ატერებდეს და გულისხმობდეს, ვთქვათ, დანის წვერზე, თოკზე, ტოტზე და ა.შ. გადაბიჯებას.

როგორ მიიღწეოდა მაქციობა? ამ კითხვაზე ფოლკლორური მონაცემები რამდენიმე პასუხს იძლევა:

1. შელოცვების გზით, ჯადოქრობით. მაგალითად: ჯადოქარს შეეძლო შეელოცა ადამიანის ნაკვალევისათვის და ამით მგლად ექცია იგი;

2. რიტუალურ საგანზე გადაგორებით, ვთქვათ, დანაზე, ნაჯახზე, ბეჭედზე, ტოტზე და ასე შემდეგ;

3. მგლის ტყავის ჩაცმით ისე, როგორც მაგალითად ეს „ვოლსუნგების საგაშია" მოთხრობილი;

4. დედის წყევლით. დედის წყევლით მგლად ქცეულმა მაქციამ უმი ხორცი არ უნდა ჭამოს, თორემ ადამიანის სახეს ველარასოდეს მიიღებს;

5. მაქციებად იქცევიან ბოროტი ძალის მიერ მოტაცებული ბავშვები.

რასაკვირველია, მაქციების მდგომარეობა მთლად უიმედო არ არის. მათ კიდევ აქვთ შანსი ადამიანებად ქცევისა. ამისათვის, კერძოდ, საჭიროა:

1. „კეთილი" შელოცვა;

2. იმ რიტუალურ საგანზე გადმოგორება, რომელზე გადაგორებასაც მგლად ქცევა მოჰყვა;

3. მგლის გახვევა ადამიანის სამოსში;

4. მგლის ადამიანად ქცევა დაწყევლის მოქმედების გასვლის ვადის შემდეგ;

5. მაქციის გამოკვება ნაკურთხი საკვებით;

6. მაქციასთვის კვანძებიანი ქამრის გაკეთება და ა.შ.

ძველი ინდოევროპული ტომები თავს ხშირად წარმოიდგენდნენ მგლებად, ეხვეოდნენ მგლის ტყავებში. 537-ე გვერდზე წარმოდგენილი რომაელი მზვერავი ლეგიონერი სწორედ ასეთ სამოსშია გამოწყობილი.

როგორ ტარდებოდა მგლად გადაქცევის რიტუალი? ჩანს პირველ რიგში მგლის ტყავის გადაცმით. ასეთ რიტუალზე ინფორმაცია შემორჩენილია პოლონურ ტომებში. ამასთან მგლის ტყავის გადაცმისას ნეოფიტს მგელივით უნდა ეყმუვლა. ხშირად რიტუალისას მას სპეციალურ, „მგლის" ქამარს უკეთებდნენ. მგლის გადაქცევა, მგლის იმიტირება შეიძლება სხვა ფორმებითაც მომხარიყო: კანიბალიზმის, ჯგუფური ღრეობისა ან ყაჩაღობის გზით.

ყველა შემთხვევაში ამგვარ მგელობას თუ მგლად ქცევას უძღოდა ინიციაციის რიტუალი. მაგალითად: ლაკედომელი ჭაბუკები ერთი წელი ცხოვრობდნენ მგლებივით, მთებში ბინადრობდნენ და ცდილობდნენ არავის მოხვედროდენ თვალში. ედუარდ აღმსარებლის კანონებში

ნათქვამია, რომ განკვეთილი და გადასახლებული დამნაშავე მგლის ნიღაბს (wolfhede) უნდა ატარებდეს. მგლის მიერ ძუძუნაწოვები რომულუსისა და რემუსის ამბავი ხომ ისევე კარგადაა ცნობილი, როგორც მათი უმცროსი „კოლეგა" მაუგლის თავგადასავალი.

ამ ვერსიათაგან ელიადე ყველაზე მართებულად მიიჩნევს იმას, რომელიც მგლად სახელდებას მგლად გადაქცევის რიტუალური ტრანსფორმაციით ხსნის. ეს გა-მგელება ამავე დროს კავშირშია სამხედრო ინიციაციებთან და მამაკაცთა საიდუმლო საზოგადოებებთან, რომლებიც მთელ არქაულ საზოგადოებაში იყო მოდებულნი: ევრაზიიდან აფრიკამდე და ოკეანეთიდან ამერიკამდე.

ასეთი საძმოები გერმანელებს შორის ხალხთა დიდი გადასახლების ბოლომდე არსებობდა. ძველ ირანში მათ ზარათუშტრას დროს უკვე უნდა ეარსებათ. მათზე მითითება გვხვდება „ვედებ"-ში. ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა დიუმეზილმა დამაჯერებლად აჩვენა ასეთი საძმოებისა და შესაბამისი რიტუალების კვალი ძველ რომაელებსა და კელტებში.

რიტუალური ინიციაცია ახდენდა ახალგაზრდა მეომრის მგლად ქცევის იმიტირებას. აქ საქმე ეხებოდა არა მხოლოდ ფიზიკურ ძალას ან გამძლეობას, არამედ მაგიურ გამოცდილებას, რომელიც ძირეულად ცვლიდა ახალგაზრდის ცხოვრების წესს. მას თავისი ადამიანური სახე უნდა დაეკარგა, რათა მტაცებელ მხეცს გატოლებოდა.

ძველი გერმანელები მეომრის ცხოვლად ქცევის ორ რიტუალურ ფორმას იცნობდნენ: ე. წ. დათვკაცებს (bersekr, სიტყვა-სიტყვით — დათვისტყაოსნები) და მგელკაცებს (ulfhedhnar სიტყვა-სიტყვით — მგლისბალნოსნები, მგლისტყაოსნები). სკანდინავიაში ნაპოვნ ერთ ბრინჯაოს ფირფიტაზე გამოსახულია მეომარი, რომელიც მგლის ტყავში ეხვევა. აქედან გამომდინარე, ელიადე ასკვნის, რომ მგელთან იდენტიფიკაციის სამხედრო რიტუალი ორ მომენტს შეიცავს: მგელთან მაგიური გაიგივებას და მგლის ტყავში გახვევას, რომელიც მგელთან გატოლების თვალსაჩინო გამოხატვაა. ამასთან არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ მგლის ტყავის ჩაცმა მოსდევდა ინიციაციის რთულ რიტუალს, რომელიც მთლიანად ცვლიდა ნეოფიტის ქცევისა და აზროვნების სტერეოტიპებს.

ელიადე თვლის, რომ მგლის არქაული საკრალური კომპლექსი, ეჭვსგარეშეა, უკვე ნეოლითის ხანის გამოსახულებებში გვხდება. თანაც არა მხოლოდ მგელ-ძაღლთა გამოსახულებების, არამედ პრიმიტული

ფიგურების სახით, რომლებიც გამოხატავენ მგლისნიღბიან ფიგურებს. ძნელი სათქმელია, რას გამოსახავენ ეს ნახატები: საბრძოლო ინიციაციას თუ იმ ტიპის სეზონურ ცერემონიას, რომელიც მიცვალებულთა პერიოდულ უკუდაბრუნებას უკავშირდება და რომლის დროსაც გამოიყენება ხთონური, მიღმური არსებების: ცხენების, კატების, მგლების და დათვების ნიღბები.

მსგავსი მაგიური კომპლექსი საფუძვლად უდევს მეომართა საძმოებსა და სამხედრო ინიციაციებს, აგრეთვე ლიკანტროპიასთან (მგელ-კაცობასთან) და მაქციობასთან დაკავშირებულ სხვა რიტუალებსაც. მეომარი სრულყოფილი მონადირეა. მონადირის დარად ის ქცევის მოდელად მტაცებლის ქცევას იღებს. ის არის პირველწინაპარი მგლის შთამომავალი, ან ასეთად იქცევა სათანადო რიტუალის შედეგად. კორიაკებისა და ზოგიერთი ჩრდილოამერიკული ტომისათვის (კვაკიუტლი და სხვ.) დამახასიათებელია ის, რომ ომში წასვლის წინ ისინი მგლების ცეკვას ასრულებენ. ამით ხდება ბრძოლისათვის მომზადება მგლად მაგიური ტრანსორმაციის მეშვეობით.

ამ წარმოდგენათა საფუძვლად მგელთან მისტიური შერწყმის გამოცდილება ძევს. ამგვარი გამოცდილების საფუძველი პირველად მითშია ჩადებული და მისი რეალიზება რეაქტუალიზაციის გზით არის შესაძლებელი. ამ მითის თანახმად, მგლისებრ წინაპარს, რომელსაც ინიციაციის საიდუმლო დაუწესებია, ჩაუდენია გარკვეული ქმედებები, რომლებიც შემდგომში გამოიყენება მისაბაძ მოდელებად. მგლად მხოლოდ მას შეუძლია იქცეს, ვინც თავის თავს და დროის საზღვრებს გადალახავს და პირველქმნილი მითის თანამედროვედ და თანამონაწილედ იქცევა. ამრიგად, მგელთან მეომრის შერწყმის სხვადასხვა ფორმები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთიანი ფუნდამენტალური კომპლექსის სხვადასხვაგვარი გამოვლინებები. დიდი ნადირობა, ინიციაცია, ომი, ტერიტორიების დაპყრობა და ათვისება — მითოლოგიური მოდელებია, რომელიც იმეორებს იმ ქმედებას, ოდესღაც ზებუნებრივ მტაცებელს რომ ჩაუდენია. ამიტომ ცნობილ მეომრად, მონადირედ ან დამპყრობლად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცე, თუ მითის რეაქტუალიზაციას მოახდენ, ანუ აითვისებ მტაცებლის ქცევებს და გაიმეორებ მათ. ისტორიული და კულტურული განსხვავების მიუხედავად არსებობს სტრუქტურული ანალოგია ნადავლის დევნას, ომს, ტერიტორიის დაპყრობას შორის, ერთი მხრივ, და კანონგარეშე მყოფ დევნილთა ქმედებას შორის, მეორე

მხრივ. ყველა ამ ქცევის საფუძველი მგლისთვის მიბაძვაა, რაც სხვადასხვა მიზეზების გამო პირველქმნილი მითის განმეორებას წარმოადგენს. ყველა ისინი, ბაძავენ რა მითოსურ მოდელს, ესწრაფიან პარადიგმატული ყოფიერების მიღწევას და ამ გზით ადამიანური ყოფიერების სისუსტის, უძლურობისა და უსუსურობის გადალახვას.

მგელს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ მეომარ მომთაბარეებში, როგორებიც იყვნენ ძველი თურქები და მონღოლები. თურქები მგელს თავიანთ წინაპრად თვლიდნენ. გადმოცემით ისინი ადამიანისა და მგლის შეუღლებიდან წარმოიშვნენ. თურქულ ტომებში ხშირია მაგალითები მგლისებილიანი ამულეტების ტარებისა, რომელთაც მატარებელი ბოროტებისაგან უნდა დაეცვა. მონღოლებსაც მსგავსი წარმოდგენები ჰქონდათ; მაგალითად, ჩინგის-ხანის ერთ-ერთ წინაპრად ციური მგელი მიიჩნეოდა.

დიდი ირანული ეპოსის „შაჰ-ნამეს" მიხედვით სპარსეთის დროშაზე მგელი იყო გამოხატული. თურქესტანში გვდება მგლის ან მგლისთავიანი დრაკონის გამოსახულებიანი დროშები. დრაკონითავიანი მგელი იყო გამოხატული დაკების დროშებზეც. დრაკონად წოდებული მეომრები ცნობილნი იყვნენ პართიასა და სომხეთში, ხოლო თანამედროვე ტერმინი „დრაგუნი" ერთ-ერთი ვერსიით დრაკონის შტანდარტიან რომაელ მეომართაგან მოდის.

ქართული მასალა

რამდენად შეიძლება ვილაპარაკოთ არქაულ ქართულ, უფრო ზუსტად, ქართველურ სინამდვილეში მგლის სამხედრო სიმბოლიკაზე? მასალები საკმარისზე მეტიცაა. პირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ გიორგი წერეთლის მოსაზრებას, რომელიც ბერძნულ-ლათინურ სინამდვილეში აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელ სიტყვას „იბერია" უკავშირებდა სომხურ „ვირკს" (გადასვლა ვირკ->ივირქ->ივირ->ივერ->იბერ), რომელიც, თავის მხრივ, დაიყვანება მგლის აღმნიშვნელ ინდოევროპულ ძირზე. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ საქართველოს აღმნიშვნელი ბერძნულ-ლათინური სიტყვა დაიყვანება მგლის აღმნიშვნელ სიტყვაზე ისევე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ზემოთ განხილულ შემთხვევებში (პირკანია, ორკა და ა.შ). ერთი სიტყვით, საქართველოს აღმნიშვნელი

სიტყვა, რომელიც სომხურიდან გავრცელდა ბერძნულსა და ლათინურში, ნიშნავს „სამგელეთს", რაც თავისთავად მიანიშნებს არქაულ საქართველოს მგლის კულტზე.

რაც შეეხება „მგლის" აღმნიშვნელ სიტყვას (ქართული მგელ-ი, მეგრული გერ-ი, ჭანური მგერ-ი), ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, ის ნასესხები სიტყვაა, რაც ჩვენი ეკოსისტემის ხასიათიდან (მგლების დიდი ოდენობიდან გამომდინარე) ფრიად უცნაურია. „მგლის" აღმნიშვნელი საერთო ქართველური სიტყვის არარსებობას, ზოგიერთი მკვლევარი იმით ხსნის, რომ ნასესხები სიტყვა ჩაენაცვლა მგლის აღმნიშვნელ ტაბუიზირებულ სიტყვას. მართალია, აქ სხვა ვერსიებიც არსებობს, მაგრამ მგლის კულტის არქაულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საყურადღებოა ისიც, რომ ფრანგი მკვლევარის ჟორჟ შარაშიძის ცნობით, ხევსურეთში უძლიერეს შამანებს (ქადაგებს) „მგელა", „მგელიკა" ჰქვიათ, რაც აგრეთვე ადასტურებს მგლის საკრალიზაციას.

ქართველურ ეპოსში შემორჩენილია პირდაპირი მასალა მგლად მაქციობის შესახებ. სვანურ თქმულებაში „ფულდუ ქალდანის ასული" ვკითხულობთ: „ფულდუ ქალდანი განთქმული ვაჟკაცი იყო. ერთ ღამეს მის სახლს სამი მგელი მოადგა. ძალიან ბნელოდა და წვიმიანი ღამე იყო. მგლები ყმუოდნენ. ადგა ფულდუ ქალდანი და ერთი ცხვარი გადაუგდო. ამ ცხვრით იმ ღამეს სული შერჩათ მგლებს. მეორე დღეს იქ რას გაუჩერდებოდნენ — წავიდნენ. ერთ დღეს ფულდუ ქალდანი სამეგრელოს მთებში წავიდა საშოვარზე. წინ ერთი ვაჟკაცი შემოეყარა და ჰკითხა: ვინ ხარ? — ფულდუ ქალდანი ვარ. იმ ვაჟკაცმა თავის ორ ამხანაგს გასძახა: ეს ის ფულდუ ქალდანია, რომლებმაც ცხვარი ჩამოგვიგდო, მშიერები გაგვაძღო. ეს ვაჟკაცები ის მგლები ყოფილან, წვიმიან ღამეს რომ მიადგნენ ფულდუს სახლს" (7, 198-199). როგორც ვხედავთ, მგლად მაქციობის შესახებ წარმოდგენა ნათლად და ცალსახადაა დაფიქსირებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მგლად მაქციობის რწმენის ერთ-ერთი ელემენტი იყო მაქციების მიერ განსაკუთრებული ცოდნის ფლობა (შდრ. ზემოთ მოყვანილ მაგალითებს ჩეხურიდან და უკრაინულიდან, სადაც „მგლის" აღმნიშვნელი სიტყვა ამავე დროს აღნიშნავს „მცოდნეს"). ეს ასპექტი თავს იჩენს „ფულდუ ქალდანის ასულშიც". მასში მოთხრობილია, რომ სამივეე მაქცია ფულდუს დიდ პატივს სცემს: „ახლა ჯერ ერთმა დაპატიჟა ქალდანი, მერე — მეორემ, მერე — მესამემ. ბოლოს ჰკითხეს, საჩუქრად ჩვენგან რა გინდაო? საჩუქარი არ

იკადრა ფულდუ ქალდანმა და სთხოვა: თქვენ რაც გაგება-ცოდნა გქონდეთ მალული, მეც მასწავლეთო. ვაჟკაცებმა განზე გაიხმეს და დააფიცეს, რასაც გასწავლით, არავის უთხრაო. ბუნების საიდუმლოება გაიგო ფულდუ ქალდანმა: ცხოველის, ფრინველის, ქვეწარმავლის ენა შეისწავლა" (იქვე). როგორც ვხედავთ, ფულდუ ქალდანის თქმულებაში მგლები, ან უფრო ზუსტად მგელ-მაქციები საკრალური ცოდნის მატარებლები არიან. ფულდუ ქალდანის თქმულებაში მგელი, როგორც საკრალური ცოდნის, ცხოველთა, ფრინველთა და ქვეწარმავალთა ენის ცნობის წყარო ანალოგიურია მინდიას თქმულების გველისა. მგლისა და გველის მითოსური სახეების მიმართება ცალკე კვლევის საგანია. ახლა მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, თუ სიტყვა „მგელი" ქართულში დასესხებული არ არის (ეს მხოლოდ ერთი ჰიპოთეზაა და არა საბოლოოდ დადასტურებული ლინგვისტური ჭეშმარიტება) შეიძლება დადგეს საკითხი „მგლის" და „გველის" ფორმალური და სემანტიკური ნათესაობის შესახებ (ვთქვათ, მეგრული „გვერი" — გველი და „გერი" — მგელი, ჭანური „მგვერი" — გველი და „მგერი" — მგელი). მსგავსი კავშირი ჩანს ინდოევროპულ ენებშიც. მაგალითად: ლიტვური guvate=გველი, მაგრამ სომხური gayl=მგელი. ორივეგან ძირი არის* ga/gu რომლის კავშირი გუ-ელ/მ-გე-ლთან, ცალკე კვლევის საგანია, რომლის სათანადო კომპეტენციაც ჩვენ არ გაგვაჩნია. თუმცა საკითხი ღირს იმად, რომ ის ლინგვისტების მიერ გამოკვლეულ იქნას.

მეგრულ ფოლკლორში შემორჩენილია თქმულებები მგელკაცების (გერმანულ-სკანდინავური werwolf, სლავური волколак-ის ანალოგიური) შესახებ. ერთ მეგრულ თქმულებაში ვკითხულობთ: „ჩემს ბავშვობაში მაქვს გაგონილი, რომ ჩვენს სოფელში, თურმე, ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც ღამ-ღამობით მგელზე ჯდებოდა და დათარეშობდა ღამ-ღამობით სხვადასხვა სოფელში (მგელზე ამხედრებული გობლინების, ქაჯების მოტივი ინტენსიურად არის განვითარებული ტოლკიენის ცნობილ ტრილოგიაში „ბეჭდების მბრძანებელი" — კ.კ.). მგელი თურმე ანადგურებდა სოფლის საქონელს. ბოლოს დაუდარაჯდნენ. ეჭვი ამ კაცზე მიუტანიათ და დაუდაღავთ. ამის შემდეგ ის მგელზე ვეღარ ჯდებოდა. ბოლოს ამ მოთარეშე მგლისათვის ვიღაც გულოვან კაცს ფეხის კოჭები მოუჭრია და სახლში წაულია. უფიქრია: ვინმემ მესეფებს (მითოლოგიური პერსონაჟია — კ.კ.) არ გააცოცხლებინოს ეს მგელიო. ამ დადაღულ კაცს რომ გაუგია, მგელი მოკლესო, ბევრი უტირია. მერე

წასულა და მესეფეს შეხვწნია: ესა და ეს მგელი რამეფრად გამიცოცხლეო. მოსულა მესეფი მგლის გასაცოცხლებლად, მაგრამ მგლის ოთხივე კოჭი მოჭრილი და წაღებული დახვედრია. უკოჭებოდ ვერ გავაცოცხლებო, უთქვია მესეფს. ეს მგელი მესეფს ბევრჯერ ყოლია გაცოცხლებული. ეხლა კი არ შეეძლო მისი გაცოცხლება" (6, 351).

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ტრადიციაში შესაძლებელი იყო მგლისა და სამხედრო საქმის დაკავშირება? როგორც ჩანს, ამის კვალს უკვე ქრისტიანულ ხანაში, ისეთ დიდ მეფესთან ვხვდებით, როგორც ვახტანგ გორგასალია.

აქ კიდევ ერთ მომენტს უნდა გავუსვათ ხაზი. გავიხსენოთ, რომ ვახტანგ გორგასლის ფარი ვიგრის ანუ ვეშაპის, resp. გველეშაპის, დრაკონის ტყავისა იყო: „და დასცა პოლეკარპოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა" (5, 175). ნათელია, რომ დრაკონი, გველეშაპი და გველი ერთი გვარის მითოლოგიური არსებებია და შესაბამისად გორგასლის ცხოვრებაში ასახულია არქაული მითოსური კომპლექსი, რომელიც მგელს, გველსა და ოშს ერთიანობაში განიხილავს.

დამატება II
წერილი მეცნიერ-რედაქტორს

მეორე დამატების სახით წარმოგიდგენთ ავტორის წერილს მეცნიერ-რედაქტორისადმი, რომელიც ბატონ ვ. კაპანაძის თავაზიანი ნებართვით ქვეყნდება. საერთოდ ვიცი პირადი წერილების გამოქვეყნება კარგი ტონი რომ არ არის, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს წერილი ეს „სტრატეგიის საფუძვლების" ბუნდოვან ადგილებს დააზუსტებს.

ავტორის წერილი
მეცნიერ-რედაქტორს

ძვირფასო ვახტანგ!

გიგზავნი წერილს, რომელიც ნაწილობრივ მაინც გასცემს პასუხს იმ კითხვებს, რომლებიც „სტრატეგიის საფუძვლების" რედაქტირებისას გაგიჩნდა. თავიდანვე გეტყვი, რომ ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთი რედაქტორი გამომიჩნდა. როდესაც წიგნს წაიკითხავ, დაინახავ, რომ პრაქტიკულად ყველა შენიშვნა გათვალისწინებულია. ამ წერილში

განვმარტავ რამოდენიმე საბაზისო ცნებას, რომელიც „სტრატეგიის საფუძვლებში“ ნაკლებად არის წინა პლანზე წანოწეული. ამ ცნებების განმარტება შენს კითხვებზე პასუხიც იქნება.

იმისათვის, რომ საკითხის გარკვევა პროდუქტული იყოს, ახლავე საჭიროდ მიმაჩნია ორი საბაზისო ფილოსოფიური ცნების განსაზღვრა. ესენია სუბსტანციის და ფუნქციის ცნებები. ახლავე ვუსვამ ხაზს, რომ საუბარი სწორედ საფუძველმდებარე, ანუ ისეთ ცნებებზეა, რომელთაგან გამომდინარეობს სხვა დანარჩენები. ეს ცნებები აყალიბებს (თანაც ადამიანური მოღვაწეობის პრაქტიკულად ყველა სფეროში), იმას, რასაც არსებულისადმი მიდგომის წესი ჰქვია და განსაზღვრავს ამა თუ იმ ცივილიზაციური ერთობის ხასიათს. პრინციპში, სუბსტანცია და ფუნქცია შეგვიძლია, განვიხილოთ სისტემისა და ელემენტის ანალოგიურად.

სისტემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთმანეთთან დადებითი ბმით დაკავშირებულ ელემენტთა ერთობლიობა. ამ გაგებით სისტემად შეიძლება გავიაზროთ ყველაფერი — დაწყებული ოჯახით და დამთავრებული მზის სისტემით.

რა არის სტრატეგია, როგორც სისტემა? ესაა კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც ამ წერილში შევეცდები.

როგორც ვთქვი, სისტემა არის ერთმანეთთან გარკვეული მიმართებებით დაკავშირებულლ ელემენტთა ერთობლიობა. იმ სახეს, ფორმას, რომლითაც ელემენტები უკავშირდება ერთმანეთს, სტრუქტურა ეწოდება; ანუ სტრუქტურა არის ის სახე, რომლითაც ელემენტები უკავშირდება ერთმანეთს, სახე — თუ როგორ გამოიყურება სისტემა. მაგრამ სიტუაციის მთელი პიკანტურობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც ერთი მიმართებით სისტემაა, მეორე მიმართებით შეიძლება სისტემის ელემენტი იყოს. მაგალითად: ქვეითი ბატალიონი ასეულებთან მიმართებაში სისტემაა, მაგრამ დივიზიასთან მიმართებაში უკვე ელემენტია, ქვეითი დივიზია ბატალიონებთან მიმართებაში სისტემაა, მაგრამ კორპუსთან მიმართებაში ელემენტია, კორპუსი დივიზიებთან მიმართებაში სისტემაა, ხოლო არმიასთან მიმართებაში ელემენტია და ა.შ.

როგორც ფილოსოფოსი, ვერ მოვითმენ და მოკლედ და მარტივად გადმოვცემ იმას, თუ რას ამბობდა ამ თვალსაზრისით არისტოტელე არსებულის შესახებ. მისი თქმით, არსებული ყოველთვის არის ორი ელემენტის — ფორმისა და მასალის ერთობლიობა. მაგალითად: აგური

არის გამომწვარი თიხა, რომელსაც გარკვეული (აქ მართკუთხა) ფორმა, სახე აქვს მიღებული. თიხა მასალაა, აგურობა — ფორმა. აგურობა სისტემაა, თიხის მარცვლები — ელემენტები, რომლებიც იმ ფორმით არიან დალაგებული, აგური რომ ჰქვია. მაგრამ ვითარება იცვლება, თუ აგურის კედელს ავიღებთ. აქ აგური უკვე ფორმა კი არ არის, არამედ მასალაა. ის არის მასალა, რომელიც გარკვეული სახით არის დაკავშირებული სხვა აგურებთან და რომელთა ერთობლიობა წარმოადგენს კედლის ფორმას. თავის მხრივ, კედელი, რომელიც ფორმაა აგურის მიმართ, მასალაა სახლის მიმართ. სახლი ფორმაა კედლების მიმართ და მასალაა ქუჩის მიმართ. ქუჩა ფორმაა სახლის მიმართ, მაგრამ მასალაა ქალაქის მიმართ და ა.შ. დაუსრულებლად. რაღაც „თხამ შეჭამა ვენახის" მსგავს რაიმეს ვიღებთ. ფუნქციონალურს ეუწოდებ მიდგომას, რომელიც აქცენტს ამ მიმართებათა (ფორმა-მასალის) იერარქიაზე აკეთებს და აგურს საბოლოო ჯამში განიხილავს იმ ფუნქციიდან გამომდინარე, რომელიც მას გააჩნია იმ სისტემისათვის, ქალაქი რომ ჰქვია.

მაგრამ შეიძლება განვიხილოთ სხვა მიდგომაც. აგური ავიღოთ, როგორც აგური და მეტი არაფერი; ანუ განვიხილოთ თავისთავად ალებული აგური სხვა აგურებთან, კედლებთან, ქუჩებთან და ა.შ მიმართების გარეშე. განვიხილოთ, როგორც რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული და დადგენილი და არა ისე, როდესაც აგური თავის არსს, „აგურობას", სხვასთან მიმართებაში იძენს. ასეთ მიდგომას სუბსტანტივისტური შეიძლება დავარქვათ. ის ნივთს ერთგვარად იზოლირებულად განიხილავს, სხვა ნივთებთან ფუნქციონალური მიმართების გარეშე, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს.

რასაკვირველია, არსებობის უფლება ორივე მიდგომას აქვს. მეტიც, ორივე სხვადასხვა ასპექტით აშუქებს ყოველივე არსებულს. სუბსტანტივისტური მიდგომისათვის მთავარია ელემენტი, ხოლო ფუნქციონალური მიდგომისათვის — ის, თუ რა სახისაა ამ ელემენტების მიმართებათა ერთობლიობა, რომელსაც სტრუქტურას უწოდებენ. აქ საქმის არსის გახსნა მუსიკიდან მაგალითის მოშველიებით შეგვიძლია. ორკესტრში ვიოლინოს პარტია იზოლირებულად ავიღოთ და განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ვიოლინოს პარტია. მაგრამ შეგვიძლია იგივე პარტია განვიხილოთ, როგორც იმ სისტემის ერთ-ერთი ელემენტი, ორკესტრი რომ ჰქვია (თავად ორკესტრი შეიძლება განვიხილოთ

უფრო ფართო სისტემის ელემენტად, უფრო ზუსტად ქვესისტემად, რომელსაც მუსიკა ეწოდება).

ვიმეორებ, არსებობის უფლება ორივე მიდგომას აქვს, ერთი უკეთ წარმოგვიდგენს შიდაელემენტურ მახასიათებლებს, ვთქვათ, ვიოლინოს პარტიის თავისებურებებს, ხოლო მეორე — მის მიმართებებს სხვა ელემენტებთან. რომელ მიდგომას ავირჩევთ, ეს გამომდინარეობს დასმული ამოცანიდან (სხვათა შორის, ეს მიდგომა ალბათ მიზანსა და ამოცანაზეც ვრცელდება და ის, რაც ერთ მომენტში და ერთი მიმართებით ამოცანაა, სხვა დროს და სხვა მიმართებით მიზანი შეიძლება გახდეს და პირუკუ).

კლასიკური სამხედრო სტრატეგია უპირატესობას სუბსტანტივისტურ მიდგომას ანიჭებდა. ეს არ ნიშნავს, თითქოს ის არ იცნობდა ფუნქციონალური მიდგომის წესს. ამისათვის სუნ-ძისა და მაკიაველზე მითითებაა საკმარისი. მაგრამ კლასიკურ სტრატეგიაში უფრო სუბსტანტივისტური მიდგომა დომინირებდა და სტრატეგია უპირატესად სისტემად განიხილებოდა, რომელთან მიმართებაში სამხედრო ხელოვნების სხვა ელემენტები დაქვემდებარებულ როლს თამაშობდა. ეს ელემენტები იყო ტაქტიკა, ბრძოლის სახეობები (შეტევა, თავდაცვა), ლოგისტიკის ორგანიზება, ოპერაციული ხაზების განსაზღვრა და ა.შ.

კლაუზევიციდან მოყოლებული ნათლად განისაზღვრა, რომ სტრატეგია გარდა იმისა, რომ თავად წარმოადგენს სისტემას, არის სხვა, უფრო ფართო სისტემის „პოლიტიკის" ელემენტი. მაგრამ იმის გამო, რომ თავად სტრატეგიაც გარკვეული სისტემაა, ის ერთგვარ ქვესისტემად იქნა განხილული. მოგვიანებით ამერიკის სამოქალაქო ომისა და პრუსიის მიერ ჩატარებული ომების შედეგად გაირკვა, რომ პოლიტიკის ქვესისტემა „ომი", სიღრმისეულ კავშირში იმყოფება ამავე სისტემის სხვა ქვესისტემებთან, სახელდობრ, ქვესისტემა „ეკონომიკასთან" და ქვესისტემა „ტექნოლოგიასთან". ტოტალიტარული სისტემების (საბჭოთა ბოლშევიზმის, გერმანული ნაციზმის) გაჩენის შემდეგ ნათელი გახდა ომის კავშირი სისტემა პოლიტიკის ქვესისტემასთან, სახელად „იდეოლოგიასთან". იდეოლოგიური ომის შესახებ წიგნში იმდენი დავწერე, რაიმეს დამატება საჭიროდ არ მიმაჩნია. ხაზს ვუსვამ მხოლოდ იმას, რომ ჰიტლერის შემთხვევაში იდეოლოგიური ფაქტორები ოპერატიულ გადაწყვეტილებებზეც კი ახდენდა გავლენას, როგორც, მაგალითად, ამას სტალინგრადის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ჰიტლერი ნებისმიერი გზით ცდილობდა აელო მოწინააღმდეგის სახელობის ქალაქი

(რასაკვირველია, სტალინგრადს სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგრამ გრავიტაციის ოპერატიულ ცენტრად ის უფრო იდეოლოგიამ აქცია).

მოგვიანებით დაიწყო „ცივი ომი", კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი იდეოლოგიური ომი. ომი, რომელშიც სამხედრო კომპონენტი იდეოლოგიისა და პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოდიოდა, მაგრამ ტრადიციულის საპირისპირო აზრით. თუ მანამდე შეიარაღებული ძალების მიზანი სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების წარმოება იყო, ახლა შეიარაღებული ძალების, უპირველეს ყოვლისა, ბირთვულის, ის იყო, რომ სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები თავიდან ყოფილიყო არიდებული. თუმცა „ცივი ომი", როგორც ომების უმრავლესობა, ერთ-ერთი მხარის მარცხით დამთავრდა.

მაგრამ ახლა ახალი ტენდენცია გამოიკვეთა. გაირკვა, რომ თავად სისტემა „პოლიტიკა" არ არის სისტემათა იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომი ელემენტი. ჰანთინგტონის ნაშრომის გამოსვლის შემდეგ (ბედნიერება მქონდა, ჰარვარდში მის სემინარებზე მემუშავა) გაირკვა, რომ „პოლიტიკა" უფრო ფართო სისტემის — ცივილიზაციის ნაწილია. ცივილიზაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც იმ ადამიანთა ზეეროვნული ერთობა, რომელთაც მსგავსი შეხედულებები აქვთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სიკვდილი და სიცოცხლე, ადამიანის ღირსება, ბუნება, კულტურა, ქალის როლი და ფუნქცია და ა.შ. რასაკვირველია, ამ ჩამონათვალში შედის პოლიტიკაც და ომიც. ოღონდ ეს არ არის ის ომი, რომელსაც კლასიკური სტრატეგია შეისწავლიდა, ან თუგინდ „ცივი ომი". ის რაღაც სხვაა, ეს ცივილიზაციების ომია, რომლის დროსაც ერთმანეთს ადამიანების მიერ სამყაროს აღქმა ეჯახება. ეს ცივილიზაციების ომია და ამ შემთხვევაში, კლაუზევიცის პერეფრაზი რომ გავაკეთოთ: ომი არის ცივილიზაციის ტიპის გაგრძელება ძალისმიერი საშუალებებით.

მაგრამ ცივილიზაციაც არ არის სისტემათა იერარქიის უმაღლესი რგოლი. ასეთად თავად ადამიანის არსებობის სპეციფიკა გვევლინება, სახელდობრ ის გარემოება, რომ ადამიანი ღიაა იმისათვის, რასაც სიკეთეს უწოდებენ და იმისთვისაც, რასაც ბოროტებას ეძახიან. რენესანსის ეპოქის გამოჩენილი ფილოსოფოსი ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა თავის ტრაქტატში „ადამიანის ღირსების შესახებ" წერდა: „მაშინ უფალი დაეთანხმა იმას, რომ ადამიანი გაურკვეველი ქმნილებაა და დააყენა რა იგი სამყაროს ცენტრში, თქვა: „ადამ! ჩვენ არ გაძლევთ

შენს გარკვეულ ადგილს, არც გარკვეული სახეს, არც განსაკუთრებულ ვალდებულებას, რათა ადგილიც, სახეც და ვალდებულებაც შენი სურვილის მიხედვით გაგაჩნდეს, შენი ნებისა და შენი გადაწყვეტილების თანახმად. სხვა ქმნილებათა არსებობის სახე განსაზღვრულია ჩვენს მიერ დადგენილ ჩარჩოებში. შენ კი, ნებისმიერი ჩარჩოებით შეუზღუდავი, განსაზღვრავ შენი გადაწყვეტილებით, რომლის უფლებაც მე მოგანიჭე. მე გაყენებ შენ სამყაროს ცენტრში, რათა იქიდან უკეთ მოიხილო ყოველივე, რაც არის სამყაროში. შენ არ შეგქმენი არც ციურად, არც მიწიერად, არც მოკვდავად, არც უკვდავად, რათა შენ თვითონ, როგორც თავისუფალმა და სახელოვანმა ხელოვანმა, შენი თავი განასხეულო ხატში, რომელსაც აირჩევ. შენ შეგიძლია გადაგვარდე უმდაბლეს, უგნურ არსებებად, მაგრამ შენი სულის მოწოდებით შეგიძლია იქცე უმაღლეს, ღვთაებრივ არსებად".

ომი ადამიანის არსებობის ისეთი მომენტია, როდესაც ადამიანი გახსნილია როგორც ღვთაებრივის, ისე დემონურისათვის. მისი გახსნილობა ორივეს მიმართ ალბათ ადამიანური არსებობის არც ერთ სფეროში არ ვლინდება ისე, როგორც ომში. ამიტომაც ვწერ ტექსტში, რომ სიკვდილ-სიცოცხლის გააზრებას ყველაზე უკეთ ის ხელოვანები ახერხებდნენ, ვისაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეხება ჰქონდათ სამხედრო საქმესთან. ასე რომ,ცივილიზაციის ტიპი ადამიანის ამ უზენაესი გახსნილობის, ღიობის შედეგია და ამიტომაც არის, რომ ადამიანს არავითარი ერთხელ და. სამუდამოდ დადგენილი არსი არა აქვს. ამიტომაც არასწორია ომის მიზეზის დაყვანა ერთ რომელიმე კონკრეტულ ფაქტორზე (ბუნებრივი აგრესიულობა, დემოგრაფიული ფაქტორები, ეკონომიკური სარგებელი და ა.შ). ადამიანი თავის გამოვლინებებში უდგენს საკუთარ თავს იმას, რაც ის არის. და, თუ კიდევ ერთხელ გავაკეთებთ კლაუზევიცის პერეფრაზს, ასეთ ფორმულის მივიღებთ: „ომი არის ადამიანის გახსნილობის გამოვლინება განსაკუთრებული ფორმით".

თუ ყოველივე ზემოთქმულს სტრატეგიას მივუყენებთ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: თავდაპირველად სტრატეგია გაიაზრებოდა, როგორც წმინდა ან ყოველ შემთხვევაში უპირატესად სამხედრო საქმიანობა, ანუ აქცენტი ომსა და სამხედრო მოქმედებაზე, როგორც უპირატესად ბრძოლის მომზადებაზე დაიყვანებოდა. სტრატეგია იყო თვითკმარი სისტემა, რომელიც შეიცავდა ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: მარში,

მწყობრი, გაშლა და ა.შ. კლაუზევიცის შემდეგ სტრატეგიას პოლიტიკური ელემენტი დაემატა. სტრატეგიის ამოცანა გახდა არა მხოლოდ ბრძოლის მომზადება, არამედ ბრძოლის შედეგების გამოყენება პოლიტიკური მიზნით. შემდეგ თანდათანობით იწყო ჩამოყალიბება დიდმა სტრატეგიამ, რომლის მიმართაც კლასიკური სამხედრო სტრატეგია ქვესისტემად გამოდიოდა. მოგვიანებით, „ცივი ომის" დასაწყისიდანვე, შეიქმნა სტრატეგიის ახალი სისტემა – პოლიტიკური სტრატეგია (ან, როგორც ლიდელ-ჰარტი იტყვის, დიდი პოლიტიკა), რომლის მიმართაც დიდი სტრატეგია უკვე ქვესისტემად გამოდიოდა). ამ პოლიტიკური სტრატეგიის არსი იმაში იყო, რომ შეეკავებინათ საბჭოთა კავშირი. ყველა სხვა სტრატეგია ამ სტრატეგიასთან მიმართებაში ქვესისტემად გამოდიოდა.

„ცივი ომის" დასრულებისა და განსაკუთრებით 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ წინა პლანზე წამოიწია ცივილიზაციურმა სტრატეგიამ, რომლის მიმართაც დიდი პოლიტიკური სტრატეგია ქვესისტემად გვევლინება. ბუშის მცდელობა, მოახდინოს დიდი ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაცია, ამ ცივილიზაციური სტრატეგიის სფეროში ჯდება. ვიმეორებთ: ახლო აღმოსავლეთის დიდი დემოკრატიზაცია პოლიტიკური პროექტი კი არ არის, არამედ ცივილიზაციური. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში გაჩნდეს მეგაცივილიზაციური სტრატეგია, ანუ ორი ან რამდენიმე ცივილიზაცია შეეჯახოს სხვებს, მაგალითად, დასავლური და ინდური ცივილიზაცია ვერსუს ჩინურის ან ისლამურის. ამ ვითარებაში, ცხადია, სამხედრო სტრატეგიის როლი სრულიად სხვა იქნება, ვიდრე თუნდ „ცივი ომისას". თუმცა, საბოლოო ჯამში ყველა ეს სტრატეგიები ფილოსოფიაში არიან ფესვგადგმული, სახელდობრ, იმ ფილოსოფიაში, რომელიც ადამიანის არსებობის გახსნილობას შეისწავლის და რომელზეც ბოლოთქმაში მქონდა ლაპარაკი. ამრიგად, აქ გვაქვს ისეთი ვითარება, როგორიც აგურისა და სახლის ზემოთაღწერილ შემთხვევაში და იდეაში ყველა ეს სტრატეგია იმის მხედველობაში მიღებით უნდა აღიწეროს, რასაც ადამიანის გახსნილობა წარმოადგენს, გახსნილობა ყველაფრის მიმართ, მათ შორის სიკვდილისადმი.

ვშიშობ, რომ ნათქვამი ბუნდოვანი გამომივიდა. ალბათ იმიტომ, რომ მეტისმეტად ნათლად ვაპირებდი იმის თქმას რაც მინდოდა. როგორც კანტი აღნიშნავდა „წმინდა გონების კრიტიკაში": „ზოგიერთი წიგნი

ბევრად ნათელი იქნებოდა, რომ არ ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნათელი გახადონ იგი".

მე ძალიან მოხარული ვარ, იმით, რაც შენ რედაქტირებისას მიაწერე წიგნის ბოლოთქმას. ბოდიშს ვიხდი, რომ საჯაროდ წარმოვადგენ შენს სარედაქტორო მინაწერს: „ჩემი აზრით, ეს ბოლო მონაკვეთი ცალკე წიგნად შეიძლება გამოიცეს, შესაბამისი დამატებების მერე. ამ წიგნში მოკლედ და ძირეული მხრიდან უნდა იყოს მოცემული ქართულ საომარი ფილოსოფიაც და მას მეტი ადგილი უნდა დაეთმოს (მოძიების შემდეგ). ისე, ცალკე აღებული, ძალიან მაგარი თემა იქნება (შეიძლება ლიდერის, სამხედრო პიროვნების ჩამოყალიბების კონტესტშიც განიხილოს)". საბედნიეროდ, ასეთ წიგნზე მუშაობა უკვე დაწყებული მაქვს. წიგნი ეხება იმას, თუ როგორია ომისა და სამხედრო საქმის აღქმა სხვადასხვა ცივილიზაციებში, არქაულიდან დაწყებული პოსტმოდერნის ჩათვლით; ანუ აქ განვიხილავ ომს, როგორც სისტემა „ცივილიზაციის" ერთ-ერთ ქვესისტემად. თუ ღმერთი ინებებს, ეს წიგნი დღის სინათლეს ალბათ ერთ-ერთნახევარ წელიწადში იხილავს. ის არ იქნება წიგნი ჩვეულებრივ სტრატეგიაზე, აქ იქნება ერთგვარი მეტასტრატეგია, ანუ თეორია, რომელიც სათანადო მაგალითების მოხმობით (რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი ქართული სინამდვილიდან იქნება) განიხილავს იმ საბაზისო ცნებებსა და კონცეპტუალურ აპარატს, რომელსაც პოლიტიკური, დიდი და სამხედრო სტრატეგიები ემყარება. ეს იქნება ნაშრომი ცივილიზაციური სტრატეგიის სფეროში (რასაკვირველია, სამხედრო საქმეზე განსაკუთრებული ორიენტაციით).

ახლა რაც შეეხება შენს კითხვას. ნაშრომზე მუშაობა 2004 წლის სექტემბერში დაიწყო. იგი გააზრებული იყო, როგორც სახელმძღვანელო სამხედრო აკადემიის მაგისტრატურისათვის, რომელიც ჩვენი პროექტით 2006 წლის ბოლოს უნდა გახსნილიყო, დოქტორანტურისა და გენშტაბის აკადემიისათვის, რომელიც ჩვენი ანგარიშით 2008 წლისათვის უნდა გახსნილიყო. მიზანშეწონილად მიგვაჩნდა ამ წიგნის გაფართოებული ვარიანტის გამოცემა სათაურით „ინტეგრირებული სამხედრო სტრატეგია". ამ უკანასკნელის გეგმა ასეთი იყო:

ნაწილი 1. სამხედრო საქმის თავისებურებანი

1. სამხედრო საქმის სპეციფიკა;

2. ომი და პოლიტიკა;

3. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ეროვნულ ძალას (national power);

4. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ეროვნულ ძალაზე:

- პოლიტიკური;
- ეკონომიკური;
- გეოგრაფიული;
- ცივილიზაციური;
- ტექნოლოგიური;
- საკუთრივ სამხედრო;
- კომუნიკაციური.

5. ეროვნული ძალმოსილების განსაზღვრა. რ. კლაინის ფორმულა;

6. მხედარმთავრის მენტალობა და გადაწყვეტილებების მიღება;

7. დრო, სივრცე და ფუნქციონალური პარამეტრები. შინაგანი და გარეგანი ტემპი და რიტმი სტრატეგიაში;

8. შტაბების მუშაობის ორგანიზება და მათი როლი.

ნაწილი 2. სტრატეგიის ცნება

1. სამხედრო მეცნიერებათა კლასიფიკაცია. სტრატეგია, ტაქტიკა, ოპერატიული ხელოვნება;

2. სტრატეგიის ორგვარი გაგება. კლასიკური და არაკლასიკური სტრატეგიები. დედუქციური და ინდუქციური სტრატეგიები;

3. კლასიკური სტრატეგიის არსი;

4. კლასიკური სტრატეგიის ძირითადი ცნებები;

5. არაპირდაპირი მოქმედების სტრატეგიები. არაპირდაპირი მოქმედების ცნება;

6. ჰიპერმოდერნისტული სტრატეგიები;

7. რისკის სტრატეგიები. სასწაულის სტრატეგიები;

8. დიდი ტაქტიკის ცნება;

9.სტრატეგიული დაგეგმვა და მისი ელემენტები;

ნაწილი 3. ომების კლასიფიკაცია

1. ომების კლასიფიკაცია სამხედრო ლიტერატურაში;

2. კლასიკური ომები;

3. თანამედროვე ომების თავისებურებები;

4. მცირე ინტენსივობის ომები;
5. საშუალო ინტენსივობის ომები;
6. ომების კლასიფიკაციის ძირითადი პარამეტრები;

ნაწილი 4. კლასიკური ომის მომზადება და წარმოება

1. კლასიკური ომის მომზადების ძირითადი პარამეტრები;
2. მობილიზაცია;
3. კომუნიკაციებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების მომზადება;
4. ოპერაციისა და კამპანიის დაგეგმვა;
5. ლოგისტიკა;
6. გენერალური შტაბის მუშაობა კლასიკური ომისას;
7. თანამედროვე ომები კლასიკური სტრატეგიის გამოყენებით;

ნაწილი 5. არაკლასიკური ომის (სამხედრო მოქმედებების) დაგეგმვა და წარმოება

1. არაკლასიკური ომის სახეები;
2. გერილია. „ბოევიკის" ფსიქოლოგია;
3. ტერორისტული ომი. ტერორისტის ფსიქოლოგია;
4. კლასიკური და არაკლასიკური ომების განმასხვავებელი ძირითადი პარამეტრები;
5. შტაბების მუშაობა, ოპერატიული დაგეგმვა და ლოგისტიკა არაკლასიკური მოქმედებებისას;

ნაწილი 6. ძირითადი სტრატეგიული სკოლები

1. პრუსიულ-გერმანული სკოლა;
2. ანგლოსაქსონური სკოლა;
3. რუსულ-საბჭოთა სკოლა;
4. ფრანგული სკოლა.

ნაწილი 7. შეიარაღებული ძალების სახეობის სტრატეგიები

1. სახმელეთო ჯარების თანამედროვე სტრატეგიები;
2. საჰაერო ძალების თანამედროვე სტრატეგიები;
3. საზღვაო ძალების თანამედროვე სტრატეგიები;
4. კოსმოსური ძალების თანამედროვე სტრატეგიები;
5. ინფორმაციული ომის თანამედროვე სტრატეგიები.

როგორც ხედავ, ჩანაფიქრი საკმაოდ მონუმენტური იყო. წარმოდგენილი წიგნი ფაქტობრივად ჩაფიქრებულის მხოლოდ ერთ ნაწილსა და მეორე ნაწილის ელემენტებს მოიცავს. როგორც გითხარი, ამ გეგმის საფუძველზე ივარაუდებოდა სამხედრო დოქტორანტურისა და გენშტაბის აკადემიისათვის განკუთვნილი წიგნის ორ ან სამტომეული ნაშრომის სახით გამოცემა 2008 წლისათვის (მონაკვეთი „გეოსტრატეგიის საფუძვლები", ჩანაფიქრის თანახმად, ცალკე მონოგრაფიად უნდა გამოსულიყო სათაურით „გეოსტრატეგიული ბალანსის დინამიკა: 1950-2015 წლები"). მაგრამ სამხედრო აკადემიის დარბევამ (სხვა სახელს ვერ დავარქმევ), რომელიც გენშტაბმა და თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა, ამ ჩანაფიქრს ბოლო მოუღო. ჩანს, საქართველოს არ სჭირდება განათლებული და მოაზროვნე ოფიცრები, მათ ხომ შეიძლება სიტყვაშეუბრუნებლად არ შეასრულონ ზემდგომთა ბრიყვული (უკაცრავად, მაგრამ სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ) ბრძანებები.

„სტრატეგიის საფუძვლების" გაგრძელება ფსიქოლოგიურად ძალიან ჭირდა. მით უფრო, რომ აკადემიის დარბევამდე რამოდენიმე თვის განმავლობაში გაუთავებელი კომისიების პირობებში მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. თანაც კომისიების შემადგენლობაში შედიოდნენ ადამიანები, ვისაც ელემენტარული წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, თუ რა არის სამხედრო მეცნიერება და საერთოდ სამხედრო საქმე. რას ვიზამთ? ძლიერთა ამა ქვეყნისათა ვერ გაუაზრებიათ, რომ XXI საუკუნეში ძლიერების გადამწყვეტი ელემენტი ცოდნა და განათლებაა და რომ თავებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ხიშტებს. ოდესმე, სხვადასხვა კულტურებში ომის არსისადმი მიძღვნილი ნაშრომების დამთავრების შემდეგ, შესაძლოა „ინტეგრირებულ სამხედრო სტრატეგიას" ისევ მივუბრუნდე.

წერილი ძალიან გრძელი გამომივიდა, მაგრამ ვიმედოვნებ, ყველა შენთვის საინტერესო კითხვას პასუხი გაეცი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა იმ ყველაფერისთვის, რაც, როგორც წიგნის რედაქტორმა, გააკეთე.

პატივისცემით, **კახა კაციტაძე**

დამატება III
გეოსტრატეგიული ბალანსი ევროპაში „ცივი ომის“ პერიოდში

ცხრილი №1
ძალთა ბალანსი ცენტრალურევროპული თეატრის ჩრდილო მონაკვეთზე

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	3	3	-	-	1	7	10	7	1	2	1:1.4
[illegible]	-	1	2	3	-	6	8	3*	2	3	1:1.3
[illegible]	-	-	-	-	1**	2	-	-	-	-	1:7
[illegible]***	1	10	-	-	3	14	1	-	1	-	10:1
[illegible]	3	6	2	3	3	17	18	10	3	5	1:1
[illegible]	700	1200	700	900	200	~3700	~4600	2600	800	1200	1:1.2
[illegible]	400	850	-	450	-	1650	-	-	-	-	1650:0
[illegible]	700	2000	2700	3600	1000	~10000	~8650	4650	1500	2500	1.2:1
[illegible]	350	500	400	1100	130	~2480	~2250	1250	750	600	1.1:1

* საბჭოთა მოტომსროლელი დივიზია ცხრილებში ყველგან განიხილება როგორც მოტოქვეითი;

** პლუს ერთი სასწავლო დივიზია;

*** ითვლება ბუნდესვერის „სამშობლოს დაცვის ბრიგადები“, რომლებიც თავისი ბრძოლისუნარიანობით აღემატებოდნენ ნატოს ბევრი ქვეყნის რეგულარულ არმიებს.

ყველგან განიხილება მხოლოდ საბრძოლო (სატანკო, ქვეითი, მოტოქვეითი, სამთო, სხვადასხვა სახის სადესანტო ბრიგადები).

ცხრილი №2
ძალთა ბალანსი ცენტრალურევროპული თეატრის ცენტრალურ მონაკვეთზე

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	2	3	-	5	10	9	5	1	3	1:1
[illegible]	2	2	1	-	5	14	7	2	5	1.2:1
[illegible]	-	2*	-	3**	5	-	-	-	-	5:0
[illegible]***	3	13	-	6***	22	-	-	-	-	22:5
[illegible]	5	10	1	9	24	23	12	3	8	1:1
[illegible]	3500	2350****	114	700	~6700	~5400	3100	800	1500-[illegible]****	1.2:1

ბალეტ ჯგ თოფის	3500	1000	-	-	4500	-	-	-	-		45000	
სატელეფონო ელექტროსადგური	2200	3200	1000	1400	~7800	~16000	5600	1500	2000		11.5	
არტილერია	2000	900	300	280	~3480	~3000	2300	400	1000		1.1	

* პლუს ერთი სასწავლო;

** სამთო-ქვეითი და საჰაერო-სადესანტო დივიზიები;

*** ფრანგული რეგიმენტები რეალურად გაძლიერებულ ბატალიონებს წარმოადგენდნენ;

**** ბუნდესვერის მე-3 კორპუსისა ტექნიკის და ტერიტორიული ძალების ტექნიკის ჩათვლით;

**** სულ ჩსსრ-ს არმიის შეიარაღებაზე კადრირებული და სარეზერვო ნაწილების ჩათვლით იმყოფებოდა 4500-მდე ტანკი, 5000-მდე ჯტრ, 3000-მდე არტსისტემა. ცხრილში მოყვანილია მონაცემები ტექნიკის იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც ჩეხებს შეეძლოთ პირველი რიგის დანაყოფებში გამოეყენებინათ. იგივე ითქმის გდრ-ს არმიის მიმართ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დანართში მოცემული ტექნიკის რაოდენობა აღემატება ძირითად ტექსტში რუკაზე ნაჩვენებ საშტატო რაოდენობას.

ცხრილი №3

ბალანსი იმ შემთხვევაში თუ ცენტრალურევროპული თეატრის ცენტრალური მონაკვეთი მოიცავდა უნგრეთის, ავსტრიის, შვეიცარიისა და ჩრდილო იტალიის ტერიტორიებს

	აშშ	გერმანია	კანადა	საფრან-გეთი	იტალ-ია	შეუ-ცარია	ავსტ-რია	ნატო + ნეიტრ-ები	ესთ	ჩსრ	გდრ	ჩსსრ	უნგ-რეთი	ალ-ბანია
სატანკო დივი	2	3	-	3	-	-	-	10	11	7	1	3	-	11.1
მექანიკ (მოტორ-ებული) დივი	3	2	1	-	-	3	1	9	22	9	2	5	6	12.4
ქვეითი დივი	-	2	-	3	-	9*	-	14	-	-	-	-	-	14.0
ცალკ ბრიგადა/მეფეტური	3	13	-	6	23	17	8	67**	6	-	-	-	6	11.61
სულ ავტომოძრავი დივი	5	10	1	8	8	15	4	51	33	16	3	8	8	14.1
ტანკი	3900	2350	114	700	1220	740	170	~7150	~10000	~4200	~800	~1500	~1400	11
ბალან ჯგ თოფის	3500	1000	-	-	-	-	-	4500	-	-	-	-		45000
სატელეფონო ელექტროსადგური	2200	3200	1000	1400	4000	1400	500	~13700	~12500	~6700	~1500	~2000	~2000	11.1
არტილერია	2000	900	300	280	3000	800	300	~6900	~5400	~2000	~400	~1000	~1200	1.21

* სამი სამთო-ქვეითი დივიზიის ჩათვლით.

** სამი ბრიგადა ჩვეულებრივ ითვლება ერთ დივიზიად.

ცხრილი №4

მე-2 ეშელონის ძალთა ბალანსი ცენტრალური ევროპის თეატრის ჩრდილო მონაკვეთზე:

	აშშ (მხოლოდ პომეკუსის ძალები)	ბრიტანეთი	საფრანგეთი	სულ ნატო	სულ ესო	სსრკ	ბალანსი
სატანკო დივიზია	2	-	3	4	11	11	1:2,75
მექანიზებული დივიზია	3	1	-	4	10	10	1:2,5
ქვეითი (მოტოქვეითი დივიზია)	1	-	7*	8	1**	1	8:1
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი	2	3	3	9	3	3	3:1
სულ ექვივალენტური დივიზია	7	2	9	18	23	23***	1:1,3
ტანკი	1500	300	400	~2200	~4000	4000	1:1,8
მათგან მე-3 თაობის	1500	-	-	1500	-	-	1500:0
სხეულასხეულ ჯავშანმანქანა	2200	2000	1400	~5600	~3550	3550	1,6:1
არტილერია	450	200	280****	~930	~1600	1600	1:1,7

* საფრანგეთის სწრაფი რეაგირების ძალების ჩათვლით, რომლებსიც შედიოდნენ:სამთო, საპარაშუტო, აერომობილური და 2 მსუბუქი ქვეითი დივიზიები;

** ერთი საჰაერო-სადესანტო დივიზიია;

*** მხედველობაში არ ვიღებთ პოლონეთის და გდრ-ს სარეზერვო დივიზიებს, რომლებიც ძირითადად ტერიტორიისა და კომუნიკაციების დაცვისათვის იყო განკუთვნილი და პრაქტიკულად უვარგისი იყო აქტიური საბრძოლო მოქმედებისათვის.

საბჭოთა მეორე ეშელონში შეყვანილი არ არის იმიერკარპატეთის ოლქი, რომელიც დასავლეთის თეატრის ცენტრალური მონაკვეთის მეორე ეშელონად განიხილებოდა.

ცხრილი №5

მე-2 ეშელონის ძალთა ბალანსი ცენტრალური ევროპის თეატრის ცენტრალურ მონაკვეთზე:

	ესპანეთი	პორტუგალია	ნატო	სსრკ	ბალანსი
სატანკო დივიზია	1	-	1	2	1:2
მექანიზებული დივიზია	2	-	2	6	1:3
სამთო ქვეითი	2	-	2	-	2:0
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი	4	19	23	-	23:0
სულ ეკვივალენტური დივიზია	6	2	8	12	1:1,5
ტანკი	800	150	~950	~2350	1:2.5
მათგან მე-3 თაობის	-	-	-	-	-
სხეულისხვა ჯავშანმანქანა	2200	420	~2600	~2100	1:1
არტსისტემა	1200	300	~1500	~1200	1.25:1

როგორც ვხედავთ, აქ ბალანსი აშკარად სსრკ-ს მხარეს იყო. მით უფრო, რომ ესპანელთა და განსაკუთრებით პორტუგალელთა ბრძოლისუნარიანობა ბევრად ჩამოუვარდებოდა სსრკ-სას. ამ დროს გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა ნატოს ავიაციას, რომელსაც მაქსიმალურად უნდა აღეკვეთა სსრკ-ს მეორე ეშელონის მიღწევა ფრონტის ხაზთან.

ცხრილი №6

ძალთა შესაძლო ბალანსი დასავლეთის თეატრის ჩრდილო მონაკვეთზე საბრძოლო მოქმედების მე-6 – მე-7 კვირისათვის:

	აშშ	ბრიტანეთი	გერმანია	ბელგია	ჰოლანდია	ბელგია-ლუქსემბურგი	სულ ნატო	სულ ვარსკ	სსრკ	გდრ	პოლონეთი	ბალანსი
სატანკო დივ-ია	2	3	3	-	-	3	11	21	16	1	3	1:1,9
მექან. დივ-ია	3	1	1	2	3	-	10	18	13	2	3	1:1,8
ქვეითი(მოტორიზებული დივ-ია)	1	-	-	-	-	9	10	-	-	-	-	10:0
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი	2	3	10	-	-	6	21	1	-	1	-	21:1
სულ ეკვივალენტური დივ-ია	7	5	6	2	3	15	36	30	31	3	5	1:1,1
ტანკი	1500	1300	2350	300	900	600	~7350	~6400	6600	800	1300	1:1,1
მათგან მე-3 თაობის	1500	800	850	-	450	-	~3650	-	-	-	-	3650:0
სხეულისხვა ჯავშანმანქანა	2500	1700	3000	2700	3600	2400	~15600	~12000	11000	1500	2500	1,25:1
არტსისტემა	400	550	500	400	1000	400	~3800	~4200	2950	750	600	1:1,2

ცხრილი №7

ძალთა შესაძლო ბალანსი დასავლეთის თეატრის ცენტრალურ მონაკვეთზე საბრძოლო მოქმედების მე-6 – მე-7 კვირისათვის:

	აშშ	გერმანია	კანადა	საფრან-გეთი	ესპანეთი	პორტ-უგალია	ნატო	ევრო	სსრკ	გდრ	ჩსრ	ალი-ანსი
სატანკო ლეკია	2	3	-	5	1	-	11	11	7	1	3	14
შუქი (მოტორებული ლეკია) ლეკია	2	2	1	-	2	-	7	22	15	2	5	13,1
ქვეითი	-	2	-	3	2	-	7	-	-	-	-	7,0
ცალკე მოგადარეგიმენტი	3	13	-	6	4	19	45	-	-	-	-	45,0
ხელ ავტომატური ლეკია	5	10	1	9	6	2	33	33	22	3	8	11
ტანკი	3500	2350	144	700	900	150	~7600	~7800	5500	900	1500	14
მათგან 3-ე ეაოხის	3500	1000	-	-	-	-	4500	-	-	-	-	4500,0
სხვადასხვა ჯავშანტექნიკა	2200	3200	1000	1400	2300	420	~10500	~11200	7700	1500	2000	14
არტილერია	2100	900	300	270	1200	300	~5000	5000	3500	400	1000	14

(იმ შემთხვევისათვის, თუ სსრკ-ს შეტევა არ მოიცავდა ავსტრიის, იტალიისა და შვეიცარიის ტერიტორიას, ანუ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხრეთ გერმანიით და შემდგომ საფრანგეთით (ამ ვითარებაში უნგრეთის არმია და მის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა დაჯგუფება სამხრეთ-დასავლეთის თეატრის მიართულებით იმოქმედებდა):

*საწყობებში განთავსებულების ჩათვლით

ცხრილი №8

ძალთა შესაძლო ბალანსი დასავლეთის თეატრის ცენტრალურ მონაკვეთზე საბრძოლო მოქმედების მე-6 – მე-7 კვირისათვის:

	აშშ	გერ-მანია	კანა-და	საფრან-გეთი	ესპა-ნეთ	პორტ-უგა-ლია	ნატო ხელეტი*	ევრო	სსრკ	გდრ	ჩსრ	უნგ-რეთი	უნგ-რეთი	ალი-ანსი
სატანკო ლეკია	2	3	-	5	1	-	-	11	13	9	1	3	-	-	11,2
შუქი (მოტორებული ლეკია) ლეკია	2	2	1	-	2	-	-	11	30	17	2	5	6	6	12,7
ქვეითი	-	2	-	3	2	-	-	16	-	-	-	-	-	-	16,0
ცალკე მოგადარეგიმენტი	3	13	-	6	4	19	25	93	6	-	-	-	6	6	15,5
ხელ ავტომატური ლეკია	5	10	1	9	6	2	33	40	49	26	3	8	8	8	13,3
ტანკი	3500	2350	144	700	900	150	12250	~19700	~10000	6700	800	1500	~1425	~1425	14
მათგან 3-ე ეაოხის	3500	1000	-	-	-	-	-	4500			-	-			4500,0
სხვადასხვა ჯავშანტექნიკა	2200	3200	1000	1400	2300	420	4000	~10500	~14500	8000	1500	2000	~2300	~2300	14
არტილერია	2100	900	300	200	1000	300	5000	~8000	~6700	4000	400	1000	~1200	~1200	14,1

(იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა შეტევა ავსტრია-იტალიის მიმართულებით, რაშიც მონაწილეობას მიიღებდა უნგრეთის არმია და იქ დისლოცირებული საბჭოთა დაჯგუფება, ხოლო იტალიასთან ერთად ომში ჩაერთვებოდნენ ნეიტრალური ავსტრია და შვეიცარია, ძალთა ბალანსი ასეთი იქნებოდა):

* მონაცემები შვეიცარიისა და ავსტრიის არმიებზე იხ. ზემოთ. სასწავლო დივიზიების ჩათვლით.

ცხრილი №9

საბოლოო ბალანსი ცენტრალური ევროპის იმ შემთხვევისათვის, თუ სამხედრო მოქმედებები არ მოიცავდა ავსტრია-იტალიის (დუნაის ქვეთეატრის ტერიტორიას):

	სულ ნატო	სულ ეხო	ბალანსი
სატანკო დივ-ია	22	32	1:1,5
მექ-ლი(მოტოქვეითი) დივ-ია	17	40	1:2,4
ქვეითი დივ-ია	17	-	17:0
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი	66	1	66:1
სულ ექვივალენტური დივ-ია	69	72	1:1
ტანკი	15150	16400 (22835)*	1:1.1
მათგან 3-ე თაობის	6850	-	7850:0
სხვადასხვა ჯავშანმანქანა	36100	23200	1:1,1
არტსისტემა	8400	9200 (16150)*	1:1,1

* სულ გდრ-ს, ჩსსრ-ს და პოლონეთის არმიების ტერიტორიულ (შეტევითი მოქმედებისათვის უვარგისი შენაერთების ჩათვლით შეიარაღებაზე მყოფი ტექნიკის ჩათვლით).

ცხრილი №10

რაც შეეხება იმ სიტუაციას თუ თეატრი მოიცავდა დუნაისპირეთსაც ასეთ ძალთა ბალანსს მივიღებდით:

	სულ ნატო + ნეიტრალები	სულ ეხო	ბალანსი
სატანკო დივ-ია	22	34	1:1,5
მექ-ლი(მოტოქვეითი დივ-ია)	21	48	1:2,3
ქვეითი დივ-ია	26	-	26:0
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი	114	7	16,3:1
სულ ექვივალენტური დივ-ია	96	85	1,1:1
ტანკი	17250	16400	1,1:1
მათგან 3-ე თაობის	8100	-	8100:0
სხვადასხვა ჯავშანმანქანა	53100	26500	1,2:1
არტსისტემა	11400	10400	1:1

ცხრილი №11

საავიაციო ბალანსი ცენტრალური ევროპის თეატრზე:

	ნატო	ვსო	
დამრტყმელი თვითმფრინავი (ტაქტიკური ბომბდამშენი)	660	305	2,2:1
მათგან 4-ე თაობის	426	—	426 : 0
ჰაერში ბატონობის გამანადგურებელი	84	120	1:1,4
მათგან 4-ე თაობის	84	120	1:1,4
გამანადგურებელ-გზისგადამჭრელი	107	420	1:3,9
გამანადგურებელ-ბომბდამშენი და ტაქტიკური გამანადგურებელი	1460	1900	1:1,3
მოიერიშე	158	195	1:1,2
მსუბუქი მოიერიშე	466	17	27,4:1
საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი	750	530	1,4:1
მათგან 4-ე თაობის	750	530	1,4:1
სულ საბრძოლო თვითმფრინავი	3700-მე	3500-მდე	1:1
მათგან 4-ე თაობის	1400-მდე	650-მდე	2,2:2

ცხრილი №12

ძალთა ბალანსი სამხრეთ ევროპის თეატრზე:

განიხილება ვითარება, როდესაც უნგრეთი და უნგრეთში საბჭოთა დაჯგუფება მოქმედებს სამხრეთ ევროპის თეატრის მიმართულებით, ხოლო რუმინეთი რაღაც ფორმით გამოდის ვსო-ს მხარეს. მეორე შემთხვევაში განხილულია იგივე ვითარება პლუს იუგოსლავიის შესაძლო გამოსვლა ნატოს მხარეს.

	თურქეთი	იტალია	საბერძნეთი	სულ ნატო*	იუგოსლავია	ნატო ოფუა	სულ ვსო (რუმინეთთან)	სულ ვსო (რუმინეთის გარეშე)	ბულგარეთი	ალბანეთი	უნგრეთი	რუმინეთი
სატანკო დივია	-	-	1	1	-	1	5	3	3	-	-	2
მექანიზ. დივია	1	-	1	2	-	2	32	24	10**	8	6	8
ქვეითი დივია	7	-	10	17	-	17	-	-	-	-	-	-
ცალკე ბრიგადა/კავშირები**	5	18	7	30	44	74	13	13	2	5	6	-
სულ ექვივალენტური დივია	10	6	14	30	14	44	40	30	12	10	8	-
ტანკი	1300	1200	1900	4400	1850	6250	7300	6135	2500	2200	~1435	1300
სხვადასხვა ჯავშანტანკი	2000	4000	2000	8000	1000	9000	9950	7650	3350	2000	~2300	2300
არტილერია	800	2100	1900	4700	1900	6600	6000	5400	1700	2500	~1200	600

	ნატო/ეხო (რუმინეთით)	ნატო+იუგოსლავია/ ეხო(რუმინეთით)
სატანკო დივ-ია	1:5	1:5
მექ-ლი დივ-ია	1:16	1:16
ქვეითი დივ-ია	17:0	17:0
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი**	2,3:1	6:1
სულ ექვივალენტური დივ-ია	1:1,3	1:1
ტანკი	1:1,6	1:1,2
სხვადასხვა ჯავშანმანქანა	1:1,2	1:1
არტსისტემა	1:1,1	1:1

* ჩათვლილია მხოლოდ გაშლილი დივიზიები;

** მათგან ერთი საჰაერო-სადესანტო;

ცხრილი №13
საავიაციო კომპონენტის ბალანსი სამხრეთ ევროპის თეატრზე:

	ნატო	ეხო	ბალანსი
დამრტყმელი თვითმფრინავი (ტაქტიკური ბომბდამშენი)	156	230	1:1,5
გამანადგურებელ-გზისგადამჭრელი	16	195	1:12,2
საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი	235	70	3,4:1
მათგან 4-ე თაობის	235	70	3,4:1
ტაქტიკური გამანადგურებელი და გამანადგურებელ-ბომბდამშენი	1180	960	1,2:1
შემტევი	150	39	3,8:1
მსუბუქი შემტევი	275	69	4:1
სულ თვითმფრინავი	2030	1700	1,2:1
მათგან 4-ე თაობის	350	110	3,2:1

ცხრილი №14

ნატოს და ევ-ს შორის სახმელეთო ძალების ბალანსი ჩრდილო ევროპის თეატრზე:

	აშშ	გერმანია	ინგლისი	კანადა	პოლანდია	დანია	ნორვეგია	სულ ნატო	სსრკ	ბალანსი
მექანიზებული დივიზია	.	1	.	.	.	1	.	2	10	1:5
ქვეითი (მოტოქვეითი დივიზია)	.	.	1**	.	.	.	.	1	1***	1:1
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი**	1	2	2	2	1	2	13	23	2	12:1
სულ ექვივალენტური დივიზია	1*	2	2	1	1:3	2	4	12	11	1:1
ტანკი	60	370	14	20	-	450	135	1050	1700	1:1,6
მათგან 3-ე თაობის	60	250	14	-	-	-	-	320	-	320:0
სხვადასხვა ჯავშანმანქანა	160	370	-	100	-	600	200	1000-ზე მეტ	600	1,7:1
არტილერია	36	150	40	20	-	550	450	1250-ზე მეტ	1400	1:1,1

* აშშ-ის საზღვაო ქვეითი საექსპედიციო ბრიგადა თავისი ცეცხლის ძალით აღემატებოდა საბჭოთა და ფრანგულ დივიზიებს. ამიტომ მას ერთ დივიზიად ვითვლით.

** დივიზიის ექვივალენტური დაჯგუფება იუტლანდიაში

*** საპაერო სადესანტოს ჩათვლით

ცხრილი №15

სახმელეთო ძალების ბალანსი ჩრდილო ევროპის თეატრზე: ნატო+ნეიტრალები და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია:

	აშშ	გერმანია	ინგლისი	კანადა	პოლანდია	დანია	ნორვეგია	შვედეთი	ფინეთი	სულ ნატო+ ნეიტ-ები	სსრკ	ალბანეთი
მექანიზებული დივიზია	.	1	.	.	.	1	.	–	.	2	10	1:5
ქვეითი (მოტოქვეითი დივიზია)	.	.	1**	.	.	.	.	–	.	1	1	1:1
ცალკე ბრიგადა/რეგიმენტი**	1	2	2	2	1	2	13	28	27	78	2	39:1
სულ ექვივალენტური დივიზია	1*	2	2	1	1:3	2	4	10	9	31	11	2,8:1
ტანკი	60	370	14	20	-	450	135	800	235	2100	1700	1,1:1
მათგან 3-ე თაობის	60	250	14	-	-	-	-	-	-	320	-	320:0
სხვადასხვა ჯავშანმანქანა	160	370	-	100	-	600	200	3000	1600	5500	600	9,1:1
არტილერია	36	150	40	20	-	550	450	870	400	3000	1400	1,4:1

დამატება IV
ნატოს, ვარშავის ხელშეკრულების და ევროპის ნეიტრალური სახელმწიფოების მძიმე ტექნიკის ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლები

ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ტანკების ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ტანკებს პირობითად სამ თაობად ყოფენ: პირველად (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ), მეორედ და მესამედ. პირველი თაობის ტანკების გარკვეულწილად ომის დასასრულს შექმნილი მანქანების გაგრძელება იყვნენ. მათი საბრძოლო მასა დაახლოებით 35-40 ტონა იყო (გამონაკლისს ბევრად უფრო მძიმე ინგლისური „ცენტურიონი" და ბევრად უფრო მსუბუქი ფრანგული AMX-13 წარმოადგენდა), მათი ძრავის ძალა 400-500 ცხენისძალა იყო, ქვემეხი 90-100 მმ კალიბრისა. ისინი უკვე აღჭურვილი იყვნენ ღამის ხედვის ინფრაწითელი სისტემებით, მაგრამ მათი ცეცხლის მართვის სისტემები ძალიან პრიმიტული იყო. ასეთი ტანკების ნიმუშებია საბჭოთა T-54,55, ამერიკული M-47 და M-48. საბჭოთა T-62 შეიძლება მივიჩნიოთ გარდამავალ საფეხურად პირველი და მეორე თაობის ტანკებს შორის. 60-იანი წლებიდან შეიარაღებაზე იწყება ბევრად უფრო სრულყოფილი, მეორე თაობის ტანკების მიღება. მათი ძრავის ძალა უკვე 700-800 ცხენის ძალამდე გაიზარდა; მასა 40-50 ტონამდე, ქვემეხის კალიბრი 105-125 მმ-მდე. ასეთი ტანკების ნიმუშებია საბჭოთა T-64, T-72, T-80, ამერიკული M-60, ბრიტანული „ჩიფტენი", გერმანული „ლეოპარდ-1", ფრანგული AMX-30. მათ უკვე გაჩდათ ცეცხლის მართვის შედარებით სრულყოფილი ელემენტები, მაგალითად ლაზერული სიშორის საზომი და ბალისტიკის ელექტრონული გამომთვლელი. 80-იანი წლებიდან იწყება მესამე თაობის ტანკების მიღება შეიარაღებაზე. თითოეული ამ ტანკთაგანი თავისი საბრძოლო მონაცემებით ორი-სამჯერ აღემატეოდა 2-ე თაობის ტანკებს. მათში გამოყენებული იყო კომპოზიციური, მრავალშრიანი ჯავშანი, რომელიც ტანკს საიმედოთ იცავდა სხვადასხვა სახის ტანკსაწინააღმ ჭურვებიდან. მათმა ძრავის ძალამ 1500 ცხენის ძალას მიაღწია, მასამ 50-65 ტონა, ქვემეხის კალიბრმა – 120 მმ. ისინი აღჭურვილნი არიან ცეცხლის მართვის კომპუტერიზებული სისტემით, კოსმოსური ნავიგაციის

და კაშირგაბმულობის საშუალებებით. ასეთი ტანკების ნიმუშებია ამერიკული M-1 „ებრამსი“, ბრიტანული „ჩელენჯერი“, გერმანული — „ლეოპარდ-2“, ფრანგული „ლეკლერკი“, იტალიური „არიეტე“ (ყოველ მათგანს გააჩნია სხვადასხვა მოდიფიკაციები). რუსული T-90 და უკრაინული T-80Y შეიძლება განვიხილოთ გარდამავალ ტანკებად მეორე და მესამე თაობებს შორის (ცხადია ჩვენ ვიფარგლებიოთ ნატოს და ყოფილი ვხო-ს ქვეყნებით და არ ვეხებით ტანკმშებლობაში ისეთი განვითარებული ქვეყნებს როგორიცაა: ისრაელი, იაპონია, სამხრეთ კორეა, სამხრეთ აფრიკა ან ეგვიპტე, აგრეთვე ბოლო დროს ამ სფეროში დაწინაურებულ ბრაზილიას, ინდოეთს და აგრეთვე ჩინეთს). ქვემოთ მოყვანილია „ცივი ომის“ დასასრულის ნატოს და ვხო-ს არმიების შეიარაღებაზე მყოფი ტანკების ტაქტიკურ-ტექნიკურ მონაცემები. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ცივი ომის“ დასასრულთან დაკავშირებით ახალი თაობის ტანკებზე მუშაობის ინტენსივობა შესუსტდა. მე-4 თაობის ტანკის რეალური ეკზემპლარი ამჟამად მხოლოდ ისრაელს გააჩნია. ამერიკელი ექსპერტების ნაწილი საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს ტანკების მომავალს. თუმცა ინტენსიური მუშაობა მიდის ე. წ. ურბანულ ტანკზე, რომელიც ქალაქის პირობებში ანტიპარტიზანული და ანტიტერორისტულ მოქმედებაზეა ოპტიმიზებული.

ტიპი	T-55	T-62	T-64	T-72	T-80	T-90	M1A1 ებრამსი	M-60	ლეოპ-არდ-1	ლეოპ-არდ-2
მწარმოებელი	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	უკრაინა	რუსეთი	აშშ	აშშ	გერმანია	გერმანია
ეკიპაჟი	4	4	4	3	3	3	4	4	4	50,5
მასა	36,5	37	42,4	44,5	46	46,5	57,1	51	40	4
სიმაღლე	2,2	2,4	2,22	2,22მ	2,20		2,34	2,75	2,6	2,5
ქვემეხი რაოდენობა/ კალიბრი	1-100	1-115	1-115	1-125	1-125	1-125	1-120	1-105	1-105	1-120
ჭურვების რაოდენობა	43		36	45	45	43	40	63	60	
ტყვიამფრქვევები	2-7,62	1-7,62	1-12,7 1-7,62	1-12,7 1-7,62	1-12,7 1-7,62	1-12,7 1-7,62	1-12,7 1-7,62	1-12,7 1-7,62	1-7,62 1-7,62	1-7,62 1-7,62
ძრავის ძალა ც.ძ.	580	580	700	840	1250	1150	1500	750	830	1500
მაქსიმალური სიჩქარე კმ/სთ.	50	50	60	60	70	60	68	48	65	72
გადაადგილების მაქსიმალური სიშორე კმ.	500	500	500	500	400	550	480	500	600	500
დაცულობის რეიტინგი	6	8	10	9	11	12	14	10	9	13
ცეცხლის ძალის რეიტინგი	4	6	8	7	9	10	12	7	7	10

ტიპი	AMX-30	ლეკ-ლერკი	ჩიფ-ტენი	ჩელენ-ჯერი	არიეტე	Pz-68	STRV-103
მწარმოებელი	საფრ-ანგეთი	საფრ-ანგეთი	დიდ ბრიტ.	დიდ ბრიტ.	იტალია	შვეიცა-რია	შვედეთი
ეკიპაჟი	4	3	4	4	4	4	3
მასა	37	54,5	55	62	48	39,7	40
სიმაღლე	2,3	2,46	2,64	2,5	2,46	2,74	1,9
ქვემეხი	1-105 1-20	1-120	1-120	1-120	1-120	1-105	1-105
ჭურვების ოდენობა	57	40	64	64	42	56	50
ტყვიამფრქეევები	1-7,62	1-12,7 1-7,62	1-12,7 2-7,62	2-7,62	2-7,62	2-7,5	3-7,62
ძრავის ძალა ც.ძ.	720	1500	720	1200	1200	660	730
მაქსიმალური სიჩქარე კმ/სთ.	65	71	44	56	65	55	50
გადაადგილების მაქსიმალური სიშორე კმ.	450	550	300	500	500	430	390
დაცულობის რეიტინგი	.	11	.	.	.	.	.
ცეცხლის ძალის რეიტინგი	.	9	.	.	.	.	.

ჯავშანტრანსპორტიორები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები

50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ასრულებენ არმიების სრული მოტორიზაციისა და მექანიზაციის პროცესს. იქმნება ჯავშანტრანსპორტიორები (armored personal carrier), რომელიც გამიზნული იყო ბრძოლის ველისაკენ მიმავალი ქვეითების დაცვისათვის მოწინააღმდეგის სასროლი იარაღისაგან და ჭურვების ნამსხვრევებისაგან. მაგრამ ჯავშანტრანსპორტიორები სრულიად დაუცველები იყვნენ ტანკებისა და შვეულმფრენების ცეცხლისაგან. ჯავშანტრანსპორტიორების ნაკლოვანებების ნეიტრალიზაციისათვის შეიქმნა უფრო მძიმედ დაჯავშნული ქვეითთა საბრძოლო მანქანები (armored infantry fightning vehicle, სიტყვა სიტყვით „შეჯავშნული ქვეითების გამანადურებელი ტრანსპორტიორი"), რომელიც აღჭურვილი იყო მსუბუქი ავტომატური ქვემეხებით და ტანკსაწინააღმდეგო მართული რაკეტებით. მათ ამ იარაღით შეეძლოთ გაენადგურებიათ ჯავშანტრანსპორტიორები და გარკვეული ეფექტიანობით ებრძოლათ ტანკებისა და დამრტყმელი შვეულმფრენების წინააღმდეგ. ცხრილში

მოყვანილია „ცივი ომის“ პერიოდის ნატოს და ვხო-ს შეიარაღებაზე მყოფი ძირითადი ჯავშანტრანსპორტიორების (ჯტრ) და ქვეითთა საბრძოლო მანქანების (ქსმ) ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლები.

სახელწოდება	БТР-80	БМП-1	БМП-2	БМП-3	M-113	M2/3	LVTP-7
ტიპი /დანიშნულება	ბორბლ-ებიანი/ ჯტრ	მუხლუ-ხოიანი/ ქსმ	მუხლუხ-ოიანი/ ქსმ	მუხლუხ-ოიანი/ ქსმ	მუხლუხ-ოიანი/ ქსმ	მუხლხ-ოიანი/ ქსმ	მუხლხ-ოიანი/ ჯტრ
მწარმოებელი	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	აშშ	აშშ	აშშ
ეკიპაჟი	1+9	3+8	3+7	3+7	1+12	3+6	3+25
მასა ტ.	13,6	13	14	18.7	11	21,3	23,6
სიმაღლე მ.	2,3	1,8	2,2	2,65	1,8	2,9	3,26
ქვემეხი რაოდენობა/ კალიბრი	-	1-73	1-30 მმ	1-100 1-30	-	1-25	-
ჭურვების ოდენობა	-	40	500	40	-	900	-
ტუეიამფრქვეები	1-14.5 1-7,62	1-7,62	1-7,62	-	1-12,7	1-7,62	1-12,7
ძრავის ძალა ც.ძ.	260	300	300	500	215	500	400
მაქსიმალური სიჩქარე; კმ/სთ. ხმელეთზე/ წყალზე	80/9	65/8	65/7	70	65/6	66.7	63/14
გადაადგილების მაქსიმალური სიშორე კმ.	600	600	600	600	480	480	480
დაცულობის რეიტინგი	2	3	3	3	2	5	3
ცეცხლის ძალის რეიტინგი	2	7	7	7	2	8	3

ტიპი	ფუქსი	მარდერი	VAB	AMX-10	თროუ-ჯენი	ეორი-ორი
ტიპი	ბორბლე-ბიანი/ ჯტრ	მუხლუ-ხოიანი/ ქსმ	ბორბლე-ბიანი/ ჯტრ	მუხლუ-ხოიანი/ ქსმ	ბორბლე-ბიანი/ ჯტრ	მუხლუ-ხოიანი/ ქსმ
მწარმოებელი	გერმანია	გერმა-ნია	საფრან-გეთი	საფრან-გეთი	ბრიტანეთი	ბრიტანეთი
ეკიპაჟი	2+12	3+7	2+10	3+9	2+10	3+7
მასა ტ.	16	28	13	13,8	15,3	23,5
სიმაღლე მ	2,3	2,8	2	2,5		2,7
ქვემეხი/ რაოდენობა/ კალიბრი	1-20	1-20	-	1-20	-	1-30
ჭურვების ოდენობა	1000	1250	-	800	-	
ტუეიამფრქვეები	1-7,62	2-7,62	1-12,7	1-7,62	1-7.62	1-7,62

ძრავის ძალა ც.ძ.	320	600	235	276	240	550
მაქსიმალური სიჩქარე კმ/სთ. ხმელეთზე/ წყალზე	90/10	75	92/7	65 /8	52/6	75
გადააღგილების მაქსიმალური სიშორე კმ.	800	500	1000	600	580	500
დაცულობის რეიტინგი	.	5	.	4	.	.
ცეცხლის ძალის რეიტინგი	.	7	.	6	.	.

თვითმავალი და ბუქსირებადი არტილერია

თვითმავალი არტილერია იქმნება სხვადასხვა დაჯავშნული მანქანების ბაზაზე. მისი ამოცანაა უშუალოდ იმოქმედოს ჯავსანსატანკო ტექნიკის უშუალო სიახლოვეს. ეკიპაჟები ხშირად ჯავშნით დაცულ კორპუსშია განთავსებული, რომელიც მათ იცავს ნამსხვრევებისა და ცეცხლსასროლი იარაღისაგან. თუმცა ზოგიერთი მანქანის შემთხვევაში დაჯავშნულ შასიზე განთავსებული ბაზა დაუცველია (ამერიკული M-107 და M-110, საბჭოთა „ვიაცინტი", „პიონი", „მალკა"). აქვე მოყვანილია მონაცემები ბუქსირებად საველე არტილერიაზე (100 მმ-ზე ზევით), აგრეთვე რეაქტიული ზალპური სისტემებზე (რუსულად реактивные системы залпового огня; ინგლისურად: multiple rockets launcher system, რომლის ყველაზე ცნობილი ნიმუში ჩვენში ყბადაღებული „გრადია"). მასალის აღქმისათვის მკითხველს შევახსენებ, რომ ქვემეხსა და ჰაუბიცას ერთმანეთისაგან ჭურვის ტრაექტორია განასხვავებს. ჰაუბიციდან ნასროლი ჭურვი დაკიდული (რუს. навесной) ტრაექტორიით მიფრინავს, ქვემეხიდან — პირდაპირი ტრაექტორიით. მათ შორის არჩევანი საბრძოლო ამოცანაზეა დამოკიდებული. არსებობენ ქვემეხისა და ჰაუბიცის ჰიბრიდები, რომლებიც დაკიდულ და პირდაპირ ტრაექტორიებს შუა მოძრაობენ.

თვითმავალი არტილერიის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

ტიპი/ მწარმოებელი	M-110 აშშ	M-107 აშშ	M-109 აშშ	M-108 აშშ	ებოტი ბრიტანეთი	AS 90 ბრიტანეთი
ეკიპაჟი	5	5	6	5	4	4
მასა ტ.	28,4	28	24	22	16,6	45
ქვემეხი კალიბრი მმ. ჭურვის მასა კგ.	1X203,2 92,5	1X175 68	1X155 43,5	1X105 14,9	1X105 16	1X155 43,5

ჭურვების ოდენობა	2	4	28		40	48
სროლის სიშორე კმ.	21,3/29,1	32,7	18/24	11,5/15	17	24,7/32
სროლის სისწრაფე წუთში	1	2	4	5	10	6
ძრავის ძალა	405	405	405	405	240	660
მაქსიმალური სიჩქარე კმ/სთ. ხმელეთზე/ წყალზე	55	55	56	56	48	55
გადაადგილების მაქსიმალური სიშორე კმ.	500	730	390	390	400	350

ტიპი/ მწარმოებელი	გეოსდიკა რუსეთი	აკაცია რუსეთი	გიაცინტი რუსეთი	ميدوسا رუსეთი	პიონი რუსეთი	მალაკა რუსეთი
ეკიპაჟი	4	4	6	5-7	7+7	6+7
მასა ტ.	15,7	27,5	28,2	42	46	46,5
ქვემეხი კალიბრი მმ. ჭურვის მასა კგ.	1X122 14/22	1X152 43,5	1X152 46	1X152 43	1X203,2 110	1X203,2 110
ჭურვების ოდენობა	40	40	46	50	8	8
სროლის სიშორე კმ.	15,2	17,3	28/33	24,7/28,9	37,5/47,5	37,5/47,5
სროლის სისწრაფე წუთში	4-5	3	5-6	7-8	1,5	2,5
ძრავის ძალა	240	520	520	840	750	840
მაქსიმალური სიჩქარე კმ/სთ. ხმელეთზე/ წყალზე	60	60	60	60	51	51
გადაადგილების მაქსიმალური სიშორე კმ.	500	500	500	500	500	500

ტიპი/ მწარმოებელი	F-3 საფრანგეთი	F-1GCT საფრანგეთი	დანა ჩსსრ	ბენდეკანონი შვედეთი
ეკიპაჟი	8	4	6	5
მასა ტ.	17,4	42	29,25	53
ქვემეხი კალიბრი მმ. ჭურვის მასა კგ	1X155 42-43,7	1X155 42	1X152 43,5	1X155 48
ჭურვების ოდენობა		42	60	14
სროლის სიშორე კმ.	21,6/23,3	23,5/30	18,7/20	25,6
სროლის სისწრაფე წუთში	4	8	6-8	15
ძრავის ძალა	250	720	345	590
მაქსიმალური სიჩქარე კმ/სთ. ხმელეთზე/ წყალზე	65	60	80	28
გადაადგილების მაქსიმალური სიშორე კმ.	300	500	650	400

ბუქსირებადი არტილერია

ტიპი/ ქვეყანა	კალიბრი მმ.	მასა ტ.	ჭურვის მასა კგ.	სროლის სიშორე კმ.	სროლის სისწრაფე წთ.
ჰაუბიცა M 101 აშშ	105	2,26	14,9	11,3/14,5	3-4
ჰაუბიცა M 102 აშშ	105	1,5	14,9	11,5/15,1	10
ქვემეხი M 2 აშშ	155	13,9	43,4	23,5	1
ჰაუბიცა M 198 აშშ	155	7	43,6	22,2/30	4
ჰაუბიცა M 114 აშშ	155	5,8	43,6	14,6	2-4
ჰაუბიცა M 115 აშშ	203,2	13,5	90,7	16,8	1
ქვემეხი Д - 74 სსრკ	122	5,5	25-27	24	6-7
ჰაუბიცა Д - 30 სსრკ	122	3,2	14-21	15,3	6-8
ქვემეხი M- 46 სსრკ	130	7,7	33,4	27,2	7-8
ქვემეხი M- 47 სსრკ	152	8	43,4	20,5	5-6
ქვემეხი-ჰაუბიცა Д - 20 სსრკ	152	5,6	43,4	17,4	5-6
ქვემეხი 2A36 გიაცინტ-Б სსრკ	152	9,8	46	28,5/30	6
ჰაუბიცა 2A61 ჰატ-Б სსრკ	152	4,3	43,4	15	6-8

ჰაუბიცა 2A65 Мста-Б სსრკ	152	7	43,6	24,7/28,5	8
მსუბუქი ქვემეხი-ჰაუბიცა ინგლისი	105	1,9	15,8	17,2	6
ჰაუბიცა FH-70 ინგლისი-გერმანია-იტალია	155	9,3	43,6	24/30	6
სამთო ჰაუბიცა M-56 იტალია	105	1,3	15	10,6	3-6
ჰაუბიცა M-50 საფრანგეთი	155	8	42-43,7	17,8/23,3	3-4
ქვემეხი TR საფრანგეთი	155	9,5	43,2	22/30	2
ჰაუბიცა FH-77 შვედეთი	155	11,5	42,4	22/30	6

რეაქტიული ზალპური სისტემები

ტიპი/ მწარმოებელი	კალიბრი მმ.	მასა ტ.	გასაშვებების რაოდენობა	ჭურვის მასა კგ.	სროლის სიშორე კმ.
LARS გერმანია	110	15	36	34	14,7
LARS-2 გერმანია	110	17,5	36	34	18
ტერუელ-3 ესპანეთი	140,5	10	40	56/76	18/28
ფიროს 25/30 იტალია	122	17,3	40	58/65	25/34
БМ-21 „გრად"-ი რუსეთი	122	13,7	40	66,4	21
9K57 „ურაგან"-ი რუსეთი	220	20,2	16	280,4	34
9K57 „სმერჩ"-ი რუსეთი	300	43,7	12	800	70
MLRS აშშ	240	24,6	12	250-300	32-40
RM-70 ჩეხოსლოვაკია	122	33.7	40	66	20,5

დამატება V
„ცივი ომის“ პერიოდის საბრძოლო ავიაცია

სამხედრო დანიშნულების საფრენი აპარატების ძირითადი საბრძოლო მომახასიათებლებია:

— სიჩქარე;
— სიმაღლეების საბრძოლო გამოყენების დიაპაზონი;
— სწრაფამწეობა;
— ფრენის სიშორე(რადიუსი);
— მანევრირება;
— შეიარაღება და ბომბამწეობა;

ზემოთ ჩამოთვლილ მონაცემებს გარდა უკანასკნელი ორისა ეწოდება საფრენი აპარატების საფრენი-ტაქტიკური მახასიათებლები.

მაქსიმალური სიჩქარეა — თვითმფრინავის ფრენისას ძრავისათვის მაქსიმალურად დასაშვები დატვირთვის შედეგად თანაბარად განვითარებული სწორხაზოვანი ჰორიზონტალური სიჩქარე. (ფორსაჟის გარეშე).

კრეისერული სიჩქარეა — ჰორიზონტალური ფრენისას განვითარებული სიჩქარე, როდესაც მიიღწევა საწვავის მინიმალური დანახარჯი 1 კილომეტრ მანძილზე.

ხელსაყრელი სიჩქარეა — ჰორიზონტალური ფრენისთვის აუცილებელი ფრენის სიჩქარის მაქსიმალურად გახანგრძლივება ძრავის მინიმალური დატვირთვით, რაც უზრუნველყოფს საწვავის მინიმალურ დანახარჯებს დროის ერთეულში.

ფრენის სიშორე ტრანსპორტირებისათვის არის — თვითმფრინავის მიერ დაფარული მაქსიმალური მანძილი საწვავით სრულ გამართულობისას ყოველგვარი ტვირთის გარეშე. ფრენის მაქსიმალურ მანძილს განაპირობებს ფრენის კრეისერული სიჩქარის განვითარება.

ფრენის ტაქტიკური სიშორეა — თვითმფრინავის მიერ დაფარული მაქსიმალური მანძილი ოპტიმალურ სიმაღლეზე, საწვავის ერთი გამართვით, საშტატო შეიარაღების კომპლექტით და ბომბებით ნორმალური დატვირთვისას.

მოქმედების საბრძოლო რადიუსია — უშორესი მანძილი, რაზეც შეუძლია დაშორდეს თვითმფრინავი აეროდრომს საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად საშტატო შეიარაღების სრული კომპლექტით, ბომბების

ნორმალური ტვირთით და დაბრუნდეს შუალადური დაჯდომის და საწვავით დამატებითი გამართვის 'გარეშე.

თვითმფრინავის პრაქტიკული სიმაღლეა — ფრენის სიმაღლე, როდესაც თვითმფრინავს კიდევ გააჩნია შესაძლებლობა აკრიფოს სიმაღლე არანაკლებ 5 კმ/სთ სიჩქარით.

საბრძოლო სიმაღლეა — თვითმფრინავის ფრენის სიმაღლე, რაზედაც მას შეუძლია შეასრულოს ჰორიზონტალური მანევრი 15-20 გრადუსის გადახრით სიმაღლის და სიჩქარის დაუკარგავად.

ფრენების სიმაღლეებისათვის დადგენილია შემდეგი გრადაცია:

— 200მ დან 1000 მ-მდე — პატარა სიმაღლეები;

— 1000 დან 4000 მ-მდე — საშუალო სიმაღლეები;

— 4000 დან 12000მ-მდე — დიდი სიმაღლეები;

— 12000 დან 40000მ-მდე — სტრატოსფერული სიმაღლეები.

სწრაფამწეობაა — მაქსიმალური სიჩქარე და დრო თვითმფრინავის მოცემულ სიმაღლეზე ასაყვანად.

მანევრულობაა — თვითმფრინავის უნარი შეიცვალოს გარკვეული პარამეტრები სიჩქარით ფრენისას: სიჩქარე, სიმაღლე, მიმართულება. მანევრულობა ხასიათდება გადატვირთებით, რომლებიც შეადგენენ ბომბდამშენთათვის 2-3 ერთეულამდე, გამანადგურებელთათვის 10 ერთეულამდე.

მიზნის ეფექტური გაფანტვის ფართობია (მეგფ) — მეტალის ზედაპირის სიდიდე, რომელისგანაც მომდინარეობს მეორადი გამოსხივება, რომელიც ქმნის მიღების ადგილას ასეთსავე დინებას, როგორც რეალური მიზნიდან.

ცარიელი თვითმფრინავის მასაა — ძალური დანადგარის კონსტრუქციის მასა პლუს სისტემები მუშა ხსნარებით და გაზებით, არმოსახსნელი ხელსაწყოებით, ზეთებით და ჩამოუსხმელი საწვავის ნარჩენებით.

აღჭურვილი თვითმფრინავის მასაა — ცარიელი თვითმფრინავის მასა პლუს ეკიპაჟი ტვირთით და მოხსნადი ხელსაწყოებით.

ასაფრენი მასაა — აღჭურვილი თვითმფრინავის მასა საწვავით და საბრძოლო დატვირთით.

სტრატეგიული ბომბდამშენების დანიშნულებაა განახორციელოს დარტყმები ბირთული და ჩვეულებრივი შეიარაღებით მოწინააღმდეგის სახმელეთო და საზღვაო ობიექტებზე ზურგში, ბირთულ და სხვა სახის

ომებში. ისინი იყოფიან მძიმე (B-52, B-2, B-1, TУ-95MC, TУ- 160) და საშუალო (FB-111, მირაჟ-4, TУ-22M3) წონის თვითმფრინავებად.

მძიმე სტრატეგიული ბომბდამშენებს შეუძლიათ იმ სხვა და სხვა სახის შეიარაღების და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების ტარება, რომელიც ეხმარება ჰაერსაწინააღმო თავდაცვის გარღვევაში და სამიზნე ობიექტების განადგურებაში, ასფრენი ბაზიდან დაახლოებით 8000კმ მოშორებით.

საშუალო სტრატეგიული დანიშნულების ბომბდამშენების დანიშნულებაა ამოცანათა შესრულება ბირთულ და შეზღუდული ომებში. მათი მოქმედების რადიუსი აძლევს მათ საშუალებას დააზიანოს და გაანადგუროს მიზნები ასაფრენი ბაზიდან 2000-4000 კმ მოცილებით. ფრენის მანძილის გაზრდისათვის შეიძლება განხორციელდეს ჰაერში გამართვა. არსებობს ასეთი თვითმფრინავების შეიარაღების სხვა და სხვა ვარიანტები. მათ შეუძლიათ ბირთული და სხვა სახის მართვადი რაკეტების „ჰაერი-ზედაპირი", რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების ტარება. სანავიგაციო ხელსაწყოები აძლევს საშუალებას განახორციელოს დარტყმები მცირე სიმაღლეებზე. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია „ცივი ომის" პერიოდის სტრატეგიული და საშუალო სიშორის ბომბდამშენების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები.

სტრატეგიული ბომბდამშენები

ტიპი/ მწარმ-ოებელი	ტუ-95 რუსეთი	ტუ-160 რუსეთი	B-52 აშშ	B1B აშშ
ეკიპაჟი	7-8	4	6	4
ასაფრ. მასა ტონა	190	275	229	216
სიჩქ. კმ/სთ. მაქს/ კრეის-ლი	910/800	2200/960	957/652	1330/ 965
სიმაღლე კმ	11.5	18	14.3	15.2
ბომბამწყობა ტონა	12	45		
შეიარაღება	10 ფრრ.რაკეტა	12 ფრრ.რაკეტა	20 ფრრ.რაკეტა	24 ფრრ.რაკეტა
ზომა	50X47X13	35,6/55.7X54 X13,1	56,4X47,9X 12,4	23,8/41,7X 44,8X10,6
ძრავა. რაოდენობა სიმძლავრე კგს.	4X12500	4X25000	4X7700	4X13950
რადიუსი	5000	7300	4600	12000

საშუალო ბომბდამშენები

ტიპი/ მწარმოებელი	ტუ-16 რუსეთი	ტუ-22 რუსეთი	ტუ-22M რუსეთი	ტუ-22M3 რუსეთი
ეკიპაჟი	6	3	4	4
ასაფრ. მასა ტ.	76	92	121	124
სიჩქ. კმ/სთ. მაქს./კრეისერული	1050/ 850	1510/ 850	1660	2300
სიმაღლე კმ	12,8	14	13	14
ბომბამწეობა ტ.	9	12	24	24
შეიარაღება	2 ჰ-ს რაკეტა	2 ჰ-ს რაკეტა	3 ჰ-ს რაკეტა	3 ჰ-ს რაკეტა
ზომა	32,9X34,8 X10,9	23,6X41,6 X10	34,3/23,3X42 X11,1	34,3/23,3X42,6 X11,6
ძრავა/რაოდენობა სიმძლავრე კგს	2X9500	2X16500	2X22000	2X25000
რადიუსი	4000	2200	2200	2500

ტიპი/ მწარმოებელი	FB-111 აშშ	ბაკანირი ბრიტანეთი	მირაჟ-IV საფრანგეთი
ეკიპაჟი	2	2	2
ასაფრ. მასა ტ.	52	26,7	33,5
სიჩქ. კმ/სთ. მაქს./კრეისერული	2350/ 750	1040	2340/ 960
სიმაღლე კმ.	16	15,2	20
ბომბამწეობა ტ.	10	7	7,3
შეიარაღება	6 ყვ-ს რაკეტა	4 ჰ-ს რაკეტა	1 ჰ-ს რაკეტა
ზომა	10,3/21,3X23 X5,2	13,4X19,3X 4,95	11,8X23,5X 5,4
ძრავა.რაოდენობა სიმძლავრე კგს	2X5600	2X5035	2X6800
რადიუსი	1930	950	2000

ტაქტიკური ავიაცია

ტაქტიკური ავიაცია წაარმოადგენს ავიაციის მრავალმიზნობრივ, ძირითად სახეობას რომელიც იმყოფება მრავალი სახელმწიფოთა შეიარაღებაზე. მისი დანიშნულებაა შეასრულოს თავდაცვითი და შეტევითი ამოცანები როგორც დამოუკიდებლად, ასევე სახმელეთო და საზღვაო ძალებთან შეთანხმებით, ჩვეულებრივ ომში, ისევე, როგორც ბირთულ ომში. ტაქტიკურ ავიაციას შეუძლია განახორციელოს დარტყმები ჩვეულებრივი შეიარაღების საშუალებებით ისევე როგორც ბირთული შეიარაღებით 600 დან 1500 კმ მოცილებით აფრენის რაიონიდან.

ტაქტიკურ ავიაციას გააჩნია უნარი სწრაფად განახორციელოს თავისი ძალისხმევის გადანაცვლება ერთი კონფლიქტის რაიონიდან მეორეზე, შეცვალოს დარტყმების საშუალებები და წარმატებულად იმოქმედოს

ჩამოყალიბებულ სიტუაციაში. ლოკალური ომების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ტაქტიკური ავიაციის შესაძლებლობების გამოყენება თანამედროვე მოდერნიზებული შეიარაღებით ძალზედ ეფექტურია და შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ოპერაციის შედეგზე.

ტაქტიკურ ავიაციაზეა დამყარებული ჰაერში უპირატესობის მოპოვების და შენარჩუნების ამოცანა, სახმელეთო ოპერაციის მხარდაჭერა და ტაქტიკური დაზვერვის წარმოება.

ტაქტიკური ავიაციის შეიარაღებაზე იყო და დღესაც არის მრავალმიზნობრივი ტაქტიკური გამანადგურებლები, ჰაერსაწინააღო გამანადგურებლები (საბჭოთა კლასიფიკაციით გამანადგურებელ გზისგადამჭრელები) და მოიერიშეები.

ცნობილია ტაქტიკური რეაქტიული გამანადგურებლების 5 თაობა, რომელთაგან ყოველი მათგანი ხასიათდება 4 სხვადასხვა პარამეტრებით: ფიუზელაჟის ხასიათი, შეიარაღება, ძრავა და რადიოელექტრონული აღჭურვილობა.

პირველი თაობის გამანადგურებლები ზომით მცირე იყვნენ, გააჩნდათ ფრთის ისრისებრი ფორმა და აშენებული იყვნენ მეტალის შენადნობებისგან. მანევრული ბრძოლისათვის ისინი ცუდად იყვნენ ადაპტირებულები. შეიარაღებას წარმოადგენდა 20-30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხები და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, აგრეთვე 250 კგ კალიბრის ბომბები და არამართული რეაქტიული ჭურვები. ასეთი გამანადგურებლების მაგალითებია ამერიკული F-80, 84, 86, მიგ-15, 17, ინგლისური „ჰანტერი" და ფრანგული „მისტერი". მათი რადიოელექტრონული აღჭურვილობა უაღრესად პრიმიტული იყო.

მეორე თაობის გამანადგურებლებისათვის ძირითადი მოთხოვნა გახდა დიდი სიჩქარის მიღწევა (დაახლოებით 2-ჯერ მეტი ბგერის სიჩქარეზე). ასეთი გამანადგურებელი თითქოს რაკეტა იყო, რომელსაც უნდა გაეშვა სხვა რაკეტა მოწინააღმდეგის თვითმფრინავების გასანადგურებლად. ასეთი გამანადგურებლების მაგალითებია ამერიკული F-100, 104, საბჭოთა მიგ-21, ფრანგული მირაჟ-3. ამ თვითმფრინავების ფუზელაჟი ძირითადად სიგარისებრი იყო, ფრთები სამკუთხედი. აღჭურვილობა „ჰაერი-ჰაერის" მცირე რადიუსის რაკეტები (როგორც წესი ინფრაწითელი დამიზნების სისტემით). მეორე თაობის გამანადგურებლები უკვე აღჭურვილნი იყვნენ რადიოლოკატორებით. მეორე თაობის გამანადგურებლები აღჭურვილნი იყვნენ ფორსაჟიანი ძრავით (ორკამერიანი ძრავით), მაგრამ

ფორსირებულ რეჟიმში ძრავა იძდენ საწვავს მოიხმარდა, რომ მისი ჩართვა მხოლოდ რამოდენიმე წუთით შეიძლებოდა. ამიტომ გამანადგურებლების ფრენის კრეისერული (ჩვეულებრივ რეჟიმში ფრენის) სიჩქარე, ორჯერ და მეტადაც კი ჩამორჩებოდა მაქსიმალურს.

თუმცა მალე ნათელი გახდა რომ სიჩქარით გატაცება მანევრულობის საწინააღმდეგოდ კონტრპროდუქტული იყო. მე-3 თაობის გამანადგურებლები: F-4 „ფანტომი", მიგ-23 ან მირაჟ-F-1 უფრო მანევრულები იყვნენ, ვიდრე მათი წინამორბედები. შესაბამისად მათი ფუზელაჟების კონფიგურაცია მნიშვნელობით განსხვავდებოდა წინა თაობის გამანადგურებლების კონფიგურაციიდან. იარაღის სფეროშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გაჩნდა საშუალო რადიუსის „ჰაერი-ჰაერის" რაკეტები, აგრეთვე სხვადასხვა სახის „ჰაერი-ზედაპირის" ტიპის რაკეტები. ამან გამოიწვია რადიოლაკაციის და საერთოდ რადიოელექტრონული სისტემების მნიშვნელოვანი განვითარება წინა თაობის თვითმფრინავებთან შედარებით.

ვიეტნამის ომის გამოცდილებამ აჩვენა რომ ძალიან ცოტა ბრძოლა მიმდინარეობდა მაქსიმალური სიჩქარით. ფორსირებულ რეჟიმში ფრენისას მოწინააღმდეგეები ისე სწრაფად მოძრაობდნენ, რომ შებრძოლებას ვერც ასწრებდნენ. დადგინდა, რომ საავიაციო ბრძოლის ყველაზე გავრცელებული ფორმა იქნება ახლო მანძილზე, ბგერამდელ სისწრაფით წარმართული მანევრული საჰაერო ბრძოლა. ამის მიხედვით შეიქმნა მე-4 თაობის გამანადგურებლების კონცეფცია. ისინი ოპტიმიზირებულ იყვნენ მანევრული ბრძოლისათვის ახლო და საშუალო რადიუსის „ჰაერი-ჰაერის" რაკეტების გამოყენებით. მე-4 თაობის გამანადგურებლებში მოხდა გარკვეული სპეციალიაცია. ტაქტიკური ავიაციის ძირითადი ამოცანები გახდა:

1. ჰაერში ბატონობის მოპოვება და შენარჩუნება;

2. საკუთარი ტერიტორიის და მნიშვნელოვანი სამხედრო-ეკონომიკური ობიექტების დაცვა მოწინააღმდეგის ავიაციისაგან;

3. სახმელეთო ჯარებისათვის ცეცხლით უშუალო მხარდაჭერის აღმოჩენა;

4. ბრძოლის ველის იზოლირება;

5. დამრტყმელი ავიაციის თვითმფრინავების გაცილება.

გარდა დასახელებული ამოცანებისა თანამედროვე წამყვანი ქვეყნების ტაქტიკურ ავიაციას ევალებოდა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი

ობიექტების და წერტილოვანი სამიზნეების განადგურება ზეზუსტი იარაღის გამოყენებით.

ჰაერში ბატონობის მოპოვება გულისხმობდა (და დღესაც გულისხმობს) ტაქტიკური ავიაციის მოქმედებას მოწინააღმდეგის ავიაციის გასანადგურებლად ისეთი პირობების შექმნის მიზნით, როდესაც საკუთარ ავიაციას საშუალება ექნება სრული მოცულობით და წინააღმდეგობის გარეშე განახორციელოს თავისი ამოცანები.

ჰაერში ბატონობის მოპოვება ტრადიციულად იწყება ცალკეული რაიონების თავზე დროებითი ბატონობის მოპოვებით და მთავრდება საბრძოლო მოქმედებათა თეატრის თავზე სრული ბატონობის მოპოვებით. ჰაერში ბატონობის მოპოვების ამოცანა არ ამოიწურება მხოლოდ მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების ჰაერში განადგურებით. ჰაერში ბატონობა გულისხმობს სამი ქვეამოცანის გადაწყვეტას:

1. მოწინააღმდეგის თვითმფრინავების განადგურება ჰაერში;
2. ჰაერსაწინაღო საშუალებების განადგურება და ჩახშობა;
3. მიწაზე მყოფი თვითმფრინავების განადგურება და აეროდრომების დანგრევა.

ჰაერში ბატონობის მისაღწევად შეიქმნა სპეციალური მძიმე გამანადგურებლები (F-15, სუ-27), რომლებიც ოპტიმიზირებულები იყვნენ ჰაერში ბატონობის მოსაპოვებლად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ სახმელეთო სამიზნეებზე მოქმედება. ამას გარდა შეიქმნა მე-4 თაობის ტაქტიკური გამანადგურებლები, რომელთა საბრძოლო ამოცანების 50 %-ს წარმოადგენდა საჰაერო ბრძოლა, ხოლო 50%-ს სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ მოქმედება. ასეთი საჰაერო ბრძოლის გამანადგურებლები (F-16, 18, მიგ-29, მირაჟ-2000) წონით ჰაერში ბატონობის გამანადგურებზე შეუდარებლად მსუბუქნი იყვნენ. ამიტომ მათ ზოგჯერ მსუბუქ გამანადგურებლებსაც უწოდებენ. მოწინააღმდეგის ბომბდამშენებთან და დიდი ზომის ფრთოსან რაკეტებთან ბრძოლისათვის შეიქმნა სპეციალური გამანადგურებელ-გზისგადამჭრელები (F-14, მიგ-25, 31), რომელთაც ჰქონდათ დიდი კრეისერული და მაქსიმალური სიჩქარე, აღჭურვილნი იყვნენ დიდი რადიუსის „ჰაერი-ჰაერის" რაკეტებით, მაგრამ შედარებით სუსტად შეეძლოთ მანევრული საჰაერო ბრძოლის წარმოება, და პრაქტიკულად უვარგისნი იყვნენ სახმელეთო მიზნების გასანადგურებლად (მართალია შეიქმნა F-14-ის და მიგ-25-ის დამრტმყელი ვარიანტები, მაგრამ მათ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვეს).

დაბოლოს მე-4 თაობის გამანადგურებლებს შორის უნდა გამოვყოთ მძიმე გამანადგურებლები (საბჭოთა კლასიფიკაციით „საფრონტე ბომბდამშენები"), რომლებიც ოპტიმიზირებულები იყვნენ მოწინააღმდეგის მწყობრის სიღრმეში მარშებზე მყოფი რეზერვების გასანადგურებლად. ასეთ გამანადგურებლებს ბრძოლის ველის იზოლაციის გამანადგურებლებსაც უწოდებდნენ. ეს გულისხმობს ტაქტიკური ავიაციის მოქმედებას მოწინააღმდეგის ოპერატიული განლაგების სიღრმეში, რომლის ამოცანაა შეზღუდოს და ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგის რეზერვების, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების გადასროლას წინა ხაზზე. ეს მიიღწევა არა მხოლოდ საბრძოლო შენაერთებზე ან სამხედრო კოლონებზე თავდასხმით, არამედ ოპერატიულ სიღრმეში ხიდების, სარკინიგზო კვანძების, კომუნიკაციებისა და სხვა ობიექტების განადგურებით.

ბრძოლის რაიონის იზოლაციის ამოცანების გადასაწყვეტად ტაქტიკურ ავიაციაში გამოიყენება დამრტყმელი თვითმრინავები. მათ გააჩნიათ თვითმფრინავის და იარაღის მართვის თანამედროვე ავტომატიზებული სისტემები. ეკიპაჟი (ჩვეულებრივ ორი ადამიანი) საბრძოლო ამოცანის მიღების შემდეგ ადგენს საბრძოლო მოქმედების გეგმას. ამ დროს ისინი იყენებენ ელექტრონულ რუქას (პლანშეტს), რომელზეც მოცემულია მოწინააღმდეგის საზენიტო-რაკეტული კომპლექსების აღმოჩენის, დაფიქსირებისა და განადგურების ზონები. შესაძლო საფრთხეთა ანალიზი (რუქაზე დაფიქსირება) იძლევა საშუალებას კომპიუტერის მეშვეობით გაითვალოს ყველაზე უხიფათო მარშრუტი და ბუნებრივ წინააღმდეგობები (ბორცვი, მთა). ეს მოწინააღმდეგის რადიოლოკაციურ სისტემებს ხელს უშლის თვითმფრინავის აღმოჩენაში. ამჟამად ამ ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველყოფისას ფართოდ გამოიყენება კოსმოსური საშუალებები. ასეთი დამრტყმელი თვითმფრინავების ნიმუშები იყო ამერიკული F-111 და F-15E, აგრეთვე საბჭოთა სუ-24 და გერმანულ-ინგლისურ-იტალიური „ტორნადო".

დაბოლოს არსებობდა შემტევების (მოიერიშეების) კლასი, რომლებიც გამიზნულნი იყვნენ ცალკეული, მცირე ზომის სამიზნეების გასანადგურებლად. ასეთი შემტევების ნიმუშებია ამერიკული A-10, საბჭოთა სუ-25, ინგლისური „ჰოუქი", გერმანულ-ფრანგული „ალფა" და სხვა. ჩვენ ომის პერიოდის ავიაციის ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემები წარმოდგენილია დართულ ცხრილში.

ტექტიკური გამანადგურებლები

ტიპი შეარჩევა ელემ	დასაშვ ელემ თარმა	ზომა ფირფიტის გაშლა/ სიგრძე/ სიმაღლე	ასაფრ ფრენ მასა ტ	ძრავა რაოდ ენობა ძალა	სიჩქ. რაოდ კმ/სთ.	სიმაღ ლე კმ	რადიუსი კმ	შეიარ აღება ტყვეებისა რაოდენობა/ კალიბრი რაკეტები	ბიბლ დატვ ირთვა ტ.	ეკიპაჟ ანობა ადამ �or სამუშ ნებე	ეკიპაჟ ხანმ. სამუშ ნებე	ჯამური ეკიპაჟ ანობა
მუ-15 ხარ	გამანად I	10X10X 8X3,7	5,3	1X 2650	1044/ 1076	15,5		1X30, 2X23	-	-	-	-
მუ-17 ხარ	გამანად I-	9,6X11,2X 3,8	6,0	1X2650	1145/ 1100	16,6	1100კმ	ეკრანი: 1X30, 2X23	0,4	-	-	-
მუ-19 ხარ	გამანად I++	9X12,5 X3,8	8,5	1X 3240	1154/ 1150	17,6	1500	3X30 2 ,,ეკრანი ,,ბ1 რაკეტები ბომბები	0,8	5	1	6
მუ-21 ხარ	გამანად II	7X13,4X 4,8	8,6	1X 3400	2175/ 1100	19	500	1X30 ,,ეკრანი ,,ბ1 რაკეტები, ბომბები	1	8	1	9
მუ-23 ხარ	გამანად III	7,8X16,7 5,8	17,8	1X 5000	2,35/ 1350	18,5	850	1X23 4 ,,ეკრანი ,,ბ1 რაკეტები, ბომბები	3	14	4	18
მუ-25 ხარ	გამანად სისტემიანი ,,ტრანსონიC/III	14X19,7X 5,1	36	2X 7500	3010	20,7	850	4 ,,ბ1 რაკეტა	-	4	0	4
მუ-27 ხარ	გამანად III	7,8X17,1X 6	20,7	1X 8000	1800/ 1350	15,5	800	1X30 4 ,,ეკრანი ,,ბ3 და ,,ბ1 რაკეტები, ბომბები	4	9	13	22
მუ-29 ხარ	გამანად IV	11,4X17,3 X4,7	18,5	2X 5040	2450	17	1500	1X30 6 ,,ეკრანი ,,ბ3 და ,,ბ1 რაკეტები, ბომბები	4 ტ	24	16	40
მუ-31 ხარ	გამანად სისტემიანი ,,ტრანსონიC/IV	13,5X22,7 X5,1	46	2X 15500	3000/ 1900	20,6	650	1X23 6 ,,ბ1 რაკეტა	-	6	0	6
ხუ 17/22 ხარ	გამანად III	10,3X18,9X 18,9	16,2	1X 9600	2230/ 1350	15,2	800	1X30 4 ,,ეკრანი ,,ბ3 და ,,ბ1 რაკეტები, ბომბები	3,5	1	4	5
ხუ-24 ხარ	გამანად III	17,6X24,5 6,2	39,7	2X 7800	1320	11	560	1X23 4 ,,ბ3 რაკეტა ბომბები	7,5	7	33	40
ხუ-25 ხარ	შეჩერება	14,3X15,3 X5,2	19,6	2X 4100	950	10	700	1X30 6 ,,ბ3 და ,,ბ1 რაკეტა ბომბები	4,3	2	18	20
ხუ-27 ხარ	გამანად IV	14,7X21,9 X6	30	2X 9100	2500/ 1400	18,5	1500	1X30 10 ,,ეკრანი ,,ბ1 და ,,ბ3	6	26	9	35

F-86 აშშ	გამანადგური I	11,3X11,4X 4,5	8	1X 2300	1070/ 967	14,6	1700	6X12,7	-	-	-	-
F-100 აშშ	გამანადგური I	11,8X15X 4,9	17,2	1X 4500	1400/ 1190	15,3	450	4X20 4 ცალ რაკეტა, ბომბები	1	-	-	-
F-104 აშშ	გამანადგური II	6,7X16,7X 4,1	13	1X 7400	2300/ 1450	17,7	1300	1X20 ქვემოთ, 4 ცალ რაკეტა	0,8	-	-	-
F-105* აშშ	გამანადგური II	10,6X19,6X 6,	22	1X 12000	2200/ 1300	15,8	1100	1X20 ქვემოთ, 4 ცალ ან ბომბი რაკეტა	5,4	-	-	-
F-111 აშშ	გამანადგური III	19,2X22,4X 5,2	41,5	2X 8900	2650/ 1450	18	1700	1X20 ქვემოთ, 8 ცალ ან ბომბი რაკეტა	13,6	5	56	61
F-4 აშშ	გამანადგური III	11,7X19,2 X5	26,3	2X 8120	2300/ 1200	16,6	1150	1X20, 9 ცალ და ბომბი რაკეტები, ბომბები	7,2	19	21	40
F-5 აშშ	გამანადგური II	8,3X14,7X 4	11	2X 2250	1740/ 1200	15,8	890	1X20, 2 ცალ ან 1 ცალ რაკეტები, ბომბები	3,2	7	9	15
F-14 აშშ	გამანადგური IV	19,5X19,1 X4,88	33,7	2X71	1935	16,1	1750	1X20 6 ცალ რაკეტა	6,3	29	10	39
F-15 აშშ	გამანადგური IV	13X19 X5,6	30,8	2X 11300	2650/ 1480	18,3	1150	1X20 9 ცალ და ბომბი რაკეტა, ბომბები	7,2	54	24	78
F-16 აშშ	გამანადგური IV	9,4X15,3 5	19	1X 11000	2100/ 1400	16	925	1X20 6 ცალ ან 2 ცალ და 6 ცალ რაკეტა ბომბები	6,9	32	40	72
F-18 აშშ	გამანადგური IV	11,4X17X 4,7	15,2	2X 7250	1900	15,2	1000	1X20 6 ცალ და ბომბი რაკეტა ბომბები	6	29	44	73
F-15E აშშ	გამანადგური IV	13X19,4X 5,6	36,5	2X 11300	2650/ 1480	15	1900	1X20 11 ცალ და ცალ რაკეტები	11	24	70	99
A-4 აშშ	ბომბდამშენი	8,4X12,3X 4,6	11	1X 11100	1000	15,2	560	1X30, ატომური რაკეტა, ბომბები	2,5	4	12	16
A-7 აშშ	ბომბდამშენი	12,2X14,1X 5	19	1X 6460	1100	13,8	1400	1X20 6 ცალ და ბომბი რაკეტა ბომბები	6	-	-	-
AV-8 აშშ/ბრიტანეთი	ბომბდამშენი	9,2X14,1X 3,6	13,2	1X 10000	1050	15	300	1X25 ცალ და ბომბი რაკეტა ბომბები	4	9	15	24
A-10 აშშ	ბომბდამშენი	17,3 X16,3X 4,5	21,5	2X 4100	720	13,5	480	1X30 6 ცალ რაკეტა ბომბები	7,2	6	59	65
ბრიგე-3 საფრანგეთი	გამანადგური ფრენადი II	8,2X15 X4,2	11,5	1X 6200	2350 /1300	17	900	2X30 3 ცალ და ბომბი რაკეტა ბომბები	1,8	9	6	15

* *F-105 ლაკრენტი ქართველიშვილის კონსტრუირებული ბოლო გამანადგურებელი იყო.*

მირაჟ საფრან-გული	გაბრწყინ-ებული II	8,2X15,6 X4,2	13,7	1X 7500	2150	17	1300	2X30 3 ან დი ან რაკეტა ბომბები	4	-	-	-
მირაჟ F1 საფრან-გული	გაბრწყინ-ებული III	8,4X15,2 X4,5	14,8	1X 7200	2300/ 1470	18,5	900	2X30 5 ან დი ან რაკეტა ბომბები	4	13	13	26
მირაჟ 2000 საფრ-ანგული	გაბრწყინ-ებული IV	9,1X14,3 X5,2	17	1X 9300	2340/ 1100	18	1500	2X30 4 ან დი ან რაკეტა ბომბები	6	24	24	48
ჰარტერი ინგლისი	გაბრწყინ-ებული I	10,2X14 X4	10	1X45	1130/ 1150	17	600	4X30	0,5	-	-	-
ტორნადო ინგლისი/ გერმანია/ იტალია	გაბრწყინ-ებული IV	14X18,8X 6	28	2X 7500	2400/ 1460	17,7	800	1X27 8 ან დი ან რაკეტა ბომბები	5,5	25	54	79
ალბატროსი ინგლისი/ ხაფრ-ანგული	გაბრწყინ-ებული III	8,7X16,8 4,9	14,8	2X 3200	1700/ 1400	14	900	2X30 5 ან დი ან რაკეტა ბომბები	4,5	6	36	42
ალფა გერმანია/ საფრა-ნგული	ბომბდამშ	9,1X12,3 4,2	7,2	2X 1340	900	15	400	2X30 3 ან დი ან რაკეტა ბომბები	2,2	4	11	15
სუპერ-ეტანდარი საფრ-ანგული	ბომბდამშ	9,6X14,1 3,9X	12	-	1180	13,7	700	2X30 4 ან დი ან რაკეტა ბომბები	2,3	-	-	-
ჰოუკი ინგლისი	ბომბდამშ	9,4X11,2X 9,4	7,7	-	1000	15,2	560	1X30 3 ან დი ან რაკეტა ბომბები	2,6	-	-	-
MB 339 იტალია	ბომბდამშ	10,9X10X 4	5,9	1X 1820	870/ 900	14,6	290	2X30 3 ან დი ან რაკეტა ბომბები	1,8	-	-	-
AMX იტალია/ ბრაზილია	ბომბდამშ	8,9X13,6X 4,9	12	1X 5000	1100	-	335	2X30 4 ან დი ან რაკეტა ბომბები	3,8	3	19	22
Fiat G91 იტალია	გაბრწ-ყინ-ებული IV	9X11,7X 4,4	8,7	1X 1850	1000/ 1050	12,5	300	2X30 ბომბები	1,8	-	-	-
დრაკენი შვედეთი	გაბრწყინ-ებული II	9,4X15,3X 3,9	15		2100	18	1100	2X30 2 ან რაკეტა	1	-	-	-
ვიგენი შვედეთი	გაბრწყინ-ებული III	10,6X16,3X 5,9	20,5	1X 11000	2150/ 1400	18	1000	2X30 4 ან დი ან რაკეტა ბომბები	4	-	-	-

ვერტმფრენები

კონსტრუქციის ხასიათობრივი თვისებებით და საბრძოლო გამოყენებით ვერტმფრენებს გააჩნიათ საგრძნობი უპირატესობანი სახმელეთო ძალების საავიაციო მხარდაჭერის ამოცანების გადაჭრისას ვერტმფრენებს შეუძლიათ განახორციელონ დარტყმები დაბალი სიმაღლეებიდან ადგილმდებარეობის რელიეფის გამოყენებით, გაჩნიათ უდიდესი მანეერულობა, მცირე გაბარიტებიდან გამომდინარე, რადიოლოკაციური საშუალებების მიერ მათი აღმოჩენის და ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებით დაზიანების შესაძლებლობა ნაკლებია.

მიზნობრივად ვერტმფრენები იყოფიან: საბრძოლო, მრავალმიზნობრივი, სატრანსპორტო-სადესანტო, დაზვერვის და რადიოელექტრონული ბრძოლისათვის.

– საბრძოლო ვერტმფრენები (AH-64A , AH-1, AH-1S, Bo-105P, WG-3, SA-342, W-3U, МИ-24, МИ-28 KA-50) ანადგურებენ მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკას, უზრუნველყოფენ ტაქტიკური დესანტის მოქმედებებს, აცილებენ სატანკო და სადესანტო ვერტმფრენთა კოლონებს, ანადგურებენ მოწინააღმდეგის ვერტმფრენებს, აწარმოებენ შემტევი ქვედანაყოფების მხარდაჭერას.

– მრავალმიზნობრივი ვერტმფრენები (UH-1, UH-60A, SA-341, SA-365M, Ми-4, Ми-8, Ми-17) ასრულებენ შემდეგ ამოცანებს: დანაღმვა, განაღმვა, ურთიერთკავშირის და მართვს უზრუნველყოფა, არტილერიის და ტაქტიკური ავიაციის ცეცხლის კორექტირება, ჯარების და ტვირთის გადაადგილება, დაზვერვის წარმოება.

– სატრანსპორტო-სადესანტო ვერტმფრენები (CH-47D, CH-53G, SA-330B, HAR-3, AS-332B, Ми-8, Ми-6, Ми-10, Ми-26M, Ka-32T, Ka-62) ასრულებენ შემდეგ ამოცანებს: საჰაერო ტაქტიკური დესანტის დესანტირებას, ჯარების, საბრძოლო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების საჰაერო გადასროლა, ბრძოლის ველიდან დაჭრილთადა დაზიანებული ტექნიკის ევაკუაცია

– დაზვერვის და რადიოელექტრონული ბრძოლის ვერტმფრენები ასრულებენ შემდეგ ამოცანებს: აწარმოებენ დაზვერვას, კავშირგაბმულობის უზრუნველყოფას, დაზვერილ ობიექტებზე საცეცხლე მხარდაჭერის ვერტმფრენების და არტილერიის ცეცხლის მიმართვას, პირადი შემადგენლობის და ტვირთების გადაადგილებას, სახმელეთო რადიო საშუალებების პელენგირება და რადიოელექტრო ჩახშობა. წარმოდგენილ

ცხრილში მოყვანილია „ცივი ომის“ პერიოდის საბრძოლო შვეულმფრენების ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლები.

ტიპი/ ქვეყანა	ეკიპაჟი	ძრავა ცხ.-ებში	ხიჩ-ქარე კმ/სთ.	რადი-უსი კმ.	სიმალ-ლე კმ.	იარაღი
AH-1-G „ალბრა“ /აშშ	2	1x 1400	270	200	3,5	2X7,62 ტყვია ფიქსირებული ბლოკი 40 ან 81 ავტომატური ყუმბარმტყორცნი რაკეტა ან 76 ნებისმიერი, ან 76 უმართავი რეაქტიული ტორპედო
AH-1-S „ალბრა-თოუ /აშშ	2	1x 1800	315/ 200	200	3,7	1X30 ქვემეხი, 8 რსრკ „თოუ“ ან 152 უმართავი რეაქტიული ტორპედო ან ნაღმ „ბლუმაკიები“
AH-64 „ეპაჩი“/ აშშ	2	2x 1690	310/ 290	480	6,2	1X30 ქვემეხი, 16 რსრკ „ჰელ ფაიერ“ ან 304 უმართავი რეაქტიული ტორპედო, ჰაერ-ს რეჟიმის რაკეტები „ხოუტეიერ“ ან „ჰაიმეტერეიერ“ ან ნაღმ „ბლუმაკიები“
500MD დეფენდერი აშშ	2	1x 420	285/ 260	610	4,6	4 რსრკ „თოუ“ ან 14 არამართული რაკეტა
მი-24 სსრკ	3	2x 2200	330/ 270	300	5	2X 7,62 ტყვია, ან2X30 ქვემეხი, 4 რსრკ „ფალანგა“.
კა-50 სსრკ	1	2x 2200	310/ 270	450	5,6	1X30 ქვემეხი, 16 რსრკ „ვიხრ-1, ან 80 არამართული რეაქტიული ტორპედო
BO-105 გერმანია	2	2x 420	270/ 245	575	5,1	6 რსრკ „ფრეი“ ან 4 რსრკ „თოუ“
WG13 ლინქსი AH.1/ ინგლისი	2	2x 900	310/ 280	280	5	1X20 ქვემეხი, 8 რსრკ „თოუ“
SA-342M გაზელი/ საფრანგეთი	2	1x 870	310/ 260		4,3	1X7,62 ტყვია 6 რსრკ „ჰოტ“-ი
SA-365M დოფინი საფრანგეთი	2	2x 710	315/ 275	305	4,6	8 რსრკ „ჰოტ“-ი
A109A ჰირუნდო იტალია	2	2x 420	310/ 280	.	2,9	2X7,62 ტყვია 4 რსრკ „თოუ“
A129A მანგუსტა იტალია	2	2x 800	285/ 250	200		8 რსრკ „თოუ“

დამატება VI
სახმელეთო ძალების ორგანიზაცია XX საუკუნის 80-იანი წლებისთვის

(ევროპა)
ნატოს სახელმწიფოების სახმელეთო ჯარები

აშშ

აშშ-ს სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 731 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 1,1 მლნ-მდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო შვიდ არმიად და ექვს კორპუსად. სულ აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში შედიოდა: რეგულარული არმიის 16 დივიზია და 6 ცალკე ბრიგადა; *ნაციონალური გვარდია* – 9 დივიზია და 20 ბრიგადა. *რეგულარულ არმიაში* ერთიანდებოდა 3 ჯავშანსატანკო, 6 მექანიზებილი, 1 ქვეითი, 4 მსუბუქი ქვეითი, საჰაერო-სადესანტო და საჰაერო-შემტევი დივიზიები; 2 ცალკეული ჯავსანსატანკო, ცალკეული მოტორიზებული, ცალკეული მექანიზებული და 2 ცალკეული ქვეითი ბრიგადები. *ნაციონალური გვარდია:* 2 ჯავშანსატანკო, 2 მექანიზებული, 5 ქვეითი, მსუბუქი ქვეითი დივიზიები; ცალკეული ბრიგადები: 5 ჯავშანსატანკო, 7 მექანიზებული, 5 ქვეითი, 3 მსუბუქი ქვეითი, 2 ცალკეული ჯავშანსადაზვერვო რეგიმენტი და არქტიკულ მზვერავთა ჯგუფი (5 არქტიკულ მზვერავთა ბატალიონი).

ორგანიზაცია:

ჯავშანსატანკო დივიზია: შედიოდა ბრიგადების სამი შტაბი, 6 სატანკო ბატალიონი, 4(5) მექანიზებული ბატალიონი, 4 თვითმავალი არტბატალიონი, ჰაერსაწინააღმ ბატალიონი, საარმიო აეიაციის ბრიგადა, საინჟინრო, კავშირგაბმულობის ბატალიონები, რიგი ცალკეული დანაყოფები.

მექანიზებული დივიზია: 5 სატანკო და 5 მექანიზებული ბატალიონი, დანარჩენი ყველაფერი სატანკოს იდენტურია;

ქვეითი დივიზია: 8 ქვეითი, მექანიზებული, სატანკო ბატალიონები, სხვა ყველაფერი მექანიზებულის და ჯავშანსატანკოს იდენტურია;

საჰაერო-სადესანტო დივიზია შედგებოდა არამუდმივი შედგენილობის 3 ბრიგადისაგან, რომლებშიც ერთიანდებოდა 9 საპარაშუტო ბატალიონი, მსუბუქი ჯავშანსატანკო ბატალიონი, საინ-

ჟინრო, სადაზვერვო, კავშირის, საარმიო ავიაციის ბატალიონები, 3 თვითმავალი საარტილერიო და საზენიტო ბატალიონები.

მსუბუქი ქვეითი დივიზია: მშვიდობიანობის დროს დივიზია შეიცავს: შტაბს, ორი ბრიგადის შტაბს, ექვს ქვეით ბატალიონს, საარმიო ავიაციის ბრიგადას, დივიზიის არტილერიას; „ავენჯერის" საზენიტო-სარაკეტო ბატალიონი; დაზვერვის და რებ-ის ბატალიონი; კავშირგაბმულობის ბატალიონი; საინჟინრო ბატალიონის; სამხედრო პოლიციის ასეული; დივიზიის ზურგის სარდლობა).

აერომობილური (საჰაერო-შემტევი) დივ-ია; დივიზიის შემადგენლობაშია — შტაბი, ბრიგადების სამი შტაბი, ცხრა ქვეითთა აერომობილური ბატალიონი, საარმიო ავიაციის სამი ბრიგადა, დივიზიის არტილერია, ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების „ავენჯერი" საზენიტო-სარაკეტო ბატალიონი, რადიოელექტრონული ბრძოლის, კავშირგაბმულობის, საინჟინრო და სამედიცინო ბატალიონები, სამხედრო პოლიციის და მასიური განადგურების იარაღისაგან თავდაცვის ასეულები, ზურგის სარდლობა.

შეიარაღება: აშშ-ს სახმელეთო ძალების შეიარაღებაზე იყო ტანკი — 15 585 (M 1 — 7036, M 60 — 7536, M 48 — 1013); ქსმ — 5230-მდე; ჯავშანმანქანა — 26500-მდე; არტსისტემა 10500-მდე, მათგან 5655 თვითმავალი; დამრტყმელი შვეულმფრენი — 1653.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 150 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 270 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო ბრიტანეთის რაინის არმიად და ცალკე დანაყოფებად. შეიარაღებულ ძალებში შედიოდა: 3 ჯავსანსატანკო დივიზია, ქვეითი დივ-ია, ცალკეული ბრიგადები: 1 მექანიზებული, 1 საჰაერო-სადესანტო, 3 ქვეითი, 11 კადრირებული ქვეითი (მათ შემადგენლობაში ჩართული იყო, როგორც რეგულარული არმიის ისე ტერიტორიული არმიის დანაყოფები), SAS-ის ცალკეული რეგიმენტი (კომანდოსის ტიპის დანაყოფი). ტერიტორიულ ძალებში შედიოდა 2 ჯავშანსადაზვერვო, 3 მსუბუქი სადაზვერვო, 2 SAS-ის, 2 საველე არტილერიის, საარტილერიო დაზვერვის, 4 ჰაერსაწინააღმ და 8 საინჟინრო რეგიმენტები, 41 ქვეითი ბატალიონი, ტერიტორიული დაცვის 47 ასეული და ოლსტერში დისლოცირებული 9 ბატალიონი.

ორგანიზცია:

ჯავსანსატანკო დივიზია (სამხედრო დროის შტატებით): 5 სატანკო რეგიმენტი, 5 მოტოქვეითი ბატალიონი, არტრეგიმენტი, საარმიო ავიაციის რეგიმენტი, 2 სადაზვერვო რეგიმენტი, სარემონტო, ტექნიკის, კავშირის, სატრანსპორტო ბატალიონები და რიგი სხვა დანაყოფები.

მოტოქვეითი (ქვეითი) დივიზია: 3 მექბრიგადა (თითოეულში ოთხ-ოთხი მოტოქვეითი ბატალიონი, მათგან ორ-ორი კადრირებული) დანარჩენი ჯავშანსატანკო დივიზიის იდენტურია:

ცალკეული ბრიგადების სტრუქტურა დივიზიებში ჩართული ბრიგადების იდენტურია.

შეიარაღება: ტანკი — 1314 („ჩელენჯერი" — 406; „ჩიფტენი" — 850; „ცენტურიონი" — 38); ქსმ — 523; ჯავშანმანქანა — 5300-მდე; არტსისტემა — 729, მათგან 367 თვითმავალი; დამრტყმელი შვეულმფრენი — 140 (136 „ლინქსი");

საფრანგეთი

საფრანგეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 280 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 325 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო 2 არმიად (მეორე არმიის შექმნა ზუსტად „ცივი ომის დასასრულს დამთავრდა), სწრაფი ჩარევის ძალებად და სამ კორპუსად, აგრეთვე ცალკეულ დანაყოფებად. შეიარაღებულ ძალებში შედიოდა: 8 ჯავშანსატანკო დივიზია, 5 ქვეითი დივ-ია, ორი მსუბუქი ჯავშანსატანკო დივიზია, საპარაშუტო, სამთო და აერომობილური დივიზიები, აგრეთვე ცალკეული რეგიმენტები. რეზერვში შედიოდა 2 მსუბუქი ჯავსანსატანკო, ერთი ქვეითი დივიზია და ცალკეული დანაყოფები.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია: მართვის და უზრუნველყოფის, 3 სატანკო, 2 მექანიზებული, 2 არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტები, აგრეთვე ცალკე დანაყოფები.

მოტოქვეითი (ქვეითი) დივიზია: მართვის და უზრუნველყოფის, 3 მოტოქვეითი, ჯავსანსადაზვერვო, არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტები, აგრეთვე ცალკე დანაყოფები;

მსუბუქი ჯავშანსატანკო დივიზია: მართვის და უზრუნველყოფის, 2 მსუბუქი ჯავშანსატანკო, 2 მოტოქვეითი, არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტები.

საპარაშუტო დივიზია: მართვის და უზრუნველყოფის, კავშირის, 6 საპარაშუტო, სადაზვერვო, არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტები, ცალკეული დანაყოფები.

აერომობილური დივიზია: მართვის და უზრუნველყოფის, 3 საარმიო ავიაციის და 2 აერომობილური ქვეითი რეგიმენტები.

სამთო (ალპური) დივიზია: მართვის და უზრუნველყოფის, ჯავშანსადაზვერვო, სამთო არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტები, 5 ალპური ბატალიონი.

შეიარაღება: ტანკი — 1349 (ყველა AMX-30); ჯავშანმანქანა — 4850-მდე; არტსისტემა 1400-მდე, მათგან 371 თვითმავალი; დამრტყმელი შვეულმფრენი — 181 (157 „დოფინი", 24 „გაზელი");

გერმანია

გერმანიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 335 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 1 მლნ-მდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო სამ კორპუსად და ცალკე მოტოქვეით დივიზიად, რომელიც შედიოდა ევროპის ომის თეატრის საბრძოლო მოქმედებათა ჩრდილოეთ თეატრზე განლაგებულ ნატოს გაერთიანებულ სარდლობაში. სულ ბუნდესვერი ითვლიდა 6 სატანკო, 4 მოტოქვეით, საჰაერო-სადესანტო და სამთო დივიზიებს. ტერიტორიული დაცვის ე. წ. სამშობლოს დაცვის (Heimatschutz) ძალები ითვლიდნენ 64 ათას მებრძოლს, ტერიტორიული დაცვის 10 ბრიგადასა და 15 რეგიმენტს.

ორგანიზაცია:

სატანკო დივ-ია; შედგებოდა ორი სატანკო, ერთი მოტოქვეითი (პანცერგრენადერების) ბრიგადისაგან, საარტილერიო და ჰაერსაწინააღმ რეგიმენტებისაგან, სადაზვერვო, საინჟინრო, კავშირის, მომარაგების, სარემონტო, სამედიცინო, დაცვის ბატალიონებისაგან, აგრეთვე ორი კადრირებული ქვეითი და ხუთი სარეზერვო ბატალიონისაგან, რომელთაც უნდა შეევსოთ საბრძოლო ბატალიონების დანაკლისები.

მოტოქვეითი დივიზიის სტრუქტურა ანალოგიური იყო, იმ განსხვავებით რომ მასში შედიოდა სატანკო და ორი მოტოქვეითი ბრიგადა.

სამთო დივიზიის სტრუქტურა ანალოგიური იყო, იმ განსხვავებით რომ მასში შედიოდა სატანკო და მოტოქვეითი და სამთო ბრიგადა.

საჰაერო-სადესანტო დივიზიაში შედიოდა სამი საჰ-სადესანტო ბრიგადა, ცალკე საპარაშუტო ბატალიონი (სპეცდანიშნულების), შტაბის, ნაღმტყორცნების, კავშირის, მომარაგების, საინჟინრო ასეულები.

სატანკო ბრიგადა შედგებოდა ორი სატანკო, შერეული სატანკო, მოტოქვეითი, არტილერიის ბატალიონებისაგან, შტაბის, ტანკსაწინააღო, საინჟინრო, მომარაგების, სარემონტო ბატალიონებისაგან.

მოტოქვეითი ბრიგადა ანალოგიური ორგანიზაციის იყო, იმ განსხვავებით, რომ მასში შედიოდა ორი მოტოქვეითი და ერთი სატანკო ბატალიონი.

საჰაერო-სადესანტო ბრიგადაში შედიოდა სამი საპარაშუტო ბატალიონი, შტაბის, ტანკსაწინააღო, ნაღმსატყორცნების და ჰაერსაწინააღო ასეულები.

სამთო ბრიგადაში შედიოდა 4 სამთო ბ-ნი, არტბატალიონი, შტაბის, ტანკსაწინააღო, მომარაგების, საპალნე ცხოველების ასეულები.

შეიარაღება: ტანკი – 4700 (2024 – ლეოპარდ-2, 2054 – ლეოპარდ-1; 648 – M-48), 2104 ქსმ; 3125 ჯავშანმანქანა, 2462 არტსისტემა (მათგან თვითმავალი – 774/1293); 207 დამრტყმელი შვეულმფრენი (ყველა BO-105);

თურქეთი

თურქეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 470 ათას ჯარისკაცსა და იფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 1 მლნ-მდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო ოთხ არმიად და ათ კორპუსად. სულ *თურქეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდა* მექანიზებულ, 13 ქვეით დივიზიას, აგრეთვე *ცალკეულ ბრიგადებს:* 7 ჯავსანსატანკო, 6 მექანიზებული, 10 ქვეითი, საჰაერო-სადესანტო და 2 კომანდოსის.

ორგანიზაცია:

მექ-ლი დივიზია: შედგებოდა სამი მექანიზებული რეგიმენტისაგან, არტრეგიმენტისაგან, სადაზვერვო, საინჟინრო, კავშირის, მომარაგების, სარემონტო, სამედიცინო, დაცვის დანაყოფებისაგან.

მოტოქვეითი დივიზიის (ე. წ. ქვეითი A ტიპის) სტრუქტურა ანალოგიური იყო, იმ განსხვავებით, რომ მასში შედიოდა 2 ქვეითი და მექანიზებული რეგიმენტი; ქვეით დივიზიაში (ქვეითი B ტიპისა) შედიოდა 2 ქვეითი და ჯავშანსატანკო რეგიმენტი;

სატანკო ბრიგადა შედგებოდა ორი სატანკო, 1 მექანიზებული, 2 თვითმავალი არტილერიის ბატალიონებისაგან, სადაზვერვო, საინჟინრო, კავშირის, მომარაგების, სარემონტო, სამედიცინო, დაცვის დანაყოფებისაგან.

მექანიზებული ბრიგადა ანალოგიური ორგანიზაციის იყო, იმ განსხვავებით, რომ მასში შედიოდა ორი მექანიზებული და ორი სატანკო ბატალიონი.

საჰაერო-სადესანტო ბრიგადაში შედიოდა სამი საპარაშუტო ბატალიონი, შტაბის, ტანკსაწინააღმ, ნაღმსატყორცნების და ჰაერსაწინააღმ დანაყოფები. **კომანდოსის ბრიგადაში** შედიოდა კომანდოსის ოთხი ბატალიონი, დანარჩენი საჰაერო-სად-ოს ანალოგიური იყო.

ქვეით ბრიგადაში შედიოდა 2 ქვეითი რეგიმენტი, შტაბის, ტანკ-საწინააღმ, მომარაგების და სხვა დანაყოფები.

დივიზიის შემადგენლობაში შემავალ **ჯავშანსატანკო რეგიმენტში** შედიოდა ორი სატანკო და მექ-ლი ბატალიონები და ცალკე დანაყოფები.

დივიზიის შემადგენლობაში შემავალ **მექანიზებულ რეგიმენტში** შედიოდა ორი მექ-ლი და სატანკო ბატალიონები და ცალკე დანაყოფები.

დივიზიის შემადგენლობაში შემავალ **ქვეით რეგიმენტში** შედიოდა 3 ქვეითი ბატალიონი და ცალკე დანაყოფები.

შეიარაღება: ტანკი – 3800-მდე (150 – „ლეოპარდ-1"; 3110 – M-48; 543 – M-47), 3560 ჯავშანმანქანა, 4187 არტსისტემა, მათგან თვითმავალი – 528;

საბერძნეთი

საბერძნეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 113 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების ოდენობა 350 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო ერთ არმიად და ოთხ კორპუსად. **სულ საბერძნეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდა** ჯავშანსატანკო, მექანიზებულ,10 ქვეით დივიზიას (3 კატეგორია – A,3 კატეგორია – B და 4 კატეგორია – C), აგრეთვე *ცალკეულ ბრიგადებს* (5 ჯავშანსატანკო, 2 მექანიზებული, ერთი საზღვაო ქვეითი (სახმელეთო ჯარების დაქ-ვემდებარებაში), აგრეთვე ცალკეული საჰაერო-სადესანტო რეგიმენტს.

ორგანიზაცია:

ჯავშანსატანკო დივიზია შედგებოდა 3 ჯავშანსატანკო ბრიგა-დისაგან, არტილერიის, სადაზვერვო, საინჟინრო ბატალიონებისაგან, და ცალკე ასეულებიდან.

მექანიზებული დივიზია შედგებოდა სამი მექანიზებული ბრიგადიდან, არტრეგიმენტისაგან, სატანკო, სადაზვერვო, საინჟინრო ბატალიონებისაგან, კავშირის, მომარაგების, სარემონტო, სამედიცინო, დაცვის დანაყოფებისაგან.

ქვეითი (მოტოქვეითი) დივიზია ორგანიზაციულად მექანიზებულის იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა 3 ქვეითი ბრიგადა.

სატანკო ბრიგადა შედგებოდა ორი სატანკო, 1 მექანიზებული, თვითმავალი არტილერიის ბატალიონებისაგან; სადაზვერვო, საინჟინრო, კავშირის, მომარაგების, სარემონტო, სამედიცინო, დაცვის დანაყოფებისაგან.

მექანიზებული ბრიგადა ანალოგიური ორგანიზაციის იყო, იმ განსხვავებით რომ მასში შედიოდა ორი მექანიზებული და სატანკო ბატალიონი.

ქვეითი ბრიგადა ანალოგიური ორგანიზაციის იყო, იმ განსხვავებით რომ მასში შედიოდა სამი ქვეითი ბატალიონი.

შეიარაღება: ტანკი — 1900-მდე (110 „ლეოპარდ-1", 155 AMX-30, 1220 M-48, 400 M-47), 2000-ზე მეტი ჯავშანმანქანა, 1900-მდე არტსისტემა (მათგან თვითმავალი — 300).

იტალია

იტალიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 234 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 520 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო სამ კორპუსად (ერთი სამთო). იტალიელებმა „ცივი ომის" დასასრულს გააუქმეს დივიზიის რგოლი. მათი სახმელეთო ძალები ამ დროისათვის ითვლიდა 3 სატანკო, 12 მექანიზებულ, საჰაერო-სადესანტო და 5 სამთო ბრიგადას, აგრეთვე ცალკეულ ნაწილებს. საჰაერო-სადესანტო, ერთი მექანიზებული ბრიგადა და საზღვაო ქვეითი ბატალიონი გაერთიანებული იყო სწრაფი რეაგირების ძალებში.

ორგანიზაცია:

სატანკო ბრიგადა შედგებოდა ორი სატანკო, ერთი მოტოქვეითი, საარტილერიო ბატალიონებისაგან, ტანკსაწინააღო ასეულისაგან, სადაზვერვო, საინჟინრო, კავშირის, მომარაგების, სარემონტო, სამედიცინო, დაცვის დანაყოფებიდან.

მოტოქვეითი ბრიგადის სტრუქტურა ანალოგიური იყო, იმ გან-

სხვავებით რომ მასში შედიოდა სატანკო და ორი (სამი) მოტოქვეითი ბატალიონი.

სამთო (ალპურ) ბრიგადაში შედიოდა 3-4 სამთო (ალპური) ბატალიონი და 2-3 არტბატალიონი, სხვა მხრივ სტრუქტურა დანარჩენი ბრიგადების ანალოგიური იყო.

საჰაერო-სადესანტო ბრიგადაში შედიოდა სამი საჰ-სადესანტო ბატალიონი, არტბატალიონი და შვეულმფრენების ესკადრილია.

შეიარაღებაზე იყო ტანკი – 1220 (900 – „ლეოპარდ-1", 320 M-60), 3900-მდე ჯავშანმანქანა, 2000-მდე არტსისტემა (მათგან თვითმავალი – 283); 34 დამრტყმელი შვეულმფრენი A-109.

ესპანეთი

ესპანეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 257 ათას ჯარისკაცსა და იფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 143 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო 8 სარდლობად. ესპანეთის არმია ითვლიდა სატანკო, მექანიზებულ, მოტოქვეით, და ორ სამთო დივიზიას და ცალკეულ ბრიგადებს (2 ჯავშანსადაზვერვო, საჰაერო-სადესანტო, აერომობილური, სამთო, 10 ტერიტორიული დაცვის); ესპანეთის უცხოურ ლეგიონს (3 რეგიმენტი, რომლებიც დისლოცირებული იყო ჩრდილო აფრიკაში მდებარე ესპანეთის სამფლობელოებში) და რიგ ცალკეულ დანაყოფებს.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია შედგებოდა სატანკო და მოტოქვეითი ბრიგადისაგან, ჯავშანსადაზვერვო, არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტებისაგან, ჰაერსაწინააღმ ბატალიონისაგან, კავშირის და ზურგის უზრუნველყოფის ბატალიონებისაგან.

მექანიზია შედგებოდა ორი მექბრიგადიდან; დანარჩენი ყველაფერი სატანკოს ანალოგიური იყო.

მოტოქვეითი დივიზიის სტრუქტურა ანალოგიური იყო, იმ განსხვავებით, რომ მასში შედიოდა სამი მოტოქვეითი ბრიგადა.

სამთო დივიზიის სტრუქტურა ანალოგიური იყო, იმ განსხვავებით რომ მასში შედიოდა ორი სამთო ბრიგადა.

საჰაერო-სადესანტო ბრიგადაში შედიოდა სამი საჰ-სადესანტო ბატალიონი, არტბატალიონი, ტანკსაწინააღ, შტაბის, კავშირის, საინჟინრო ასეულები.

აერომობილური ბრიგადა შედგებოდა ორი აერომობილური ქვეითი

რეგიმენტისაგან, არტბატალიონისგან, შტაბის, ტანკსაწინააღმ, საინჟინრო, მომარაგების, ასეულებისაგან

შეიარაღება: ტანკი – 838 (300 AMX-30, 164 M-48,375 M-47), 2100-მდე ჯავშანმანქანა, 1355 არტსისტემა (მათგან თვითმავალი- 156); 28 დამრტყმელი შვეულმფრენი.

ჰოლანდია

ჰოლანდიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 64 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 132 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო კორპუსად და 3 მექანიზებულ დივიზიად (იშლებოდა ომიანობისას). მშვიდობიანობისას ჰოლანდიის არმია ითვლიდა 3 სატანკო, 6 მექანიზებულ (ორ კადრირებულ) და მოტოქვეით ბრიგადებს. რეზერვი ითვლიდა 3 ქვეით ბრიგადას და ცალკე დანაყოფებს (ტერიტორიულ დაცვის ჩათვლით).

ორგანიზაცია:

მექანიზებული დივიზია შედგებოდა სატანკო და ორი მექბრიგადიდან, სარაკეტო, არტილერიის, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო ბატალიონებისაგან, აგრეთვე ცალკეული დანაყოფებისაგან.

სატანკო ბრიგადა შედგებოდა ერთი სატანკო, 2 მოტოქვეითი და არტილერიის ბატალიონების, აგრეთვე ცალკეული დანაყოფებისგან.

მექბრიგადა შედგებოდა 2 მექანიზებული ქვეითი და სატანკო ბატალიონებისაგან, დანარჩენი სატანკოს იდენტური იყო.

შეიარაღება: ტანკი – 838 (445 „ლეოპარდ-2“, 468 „ლეოპარდ-1“), 984 ქსმ, 2250-მდე ჯავშანმანქანა, 824 არტსისტემა (მათგან თვითმავალი – 298/351); 29 დამრტყმელი შვეულმფრენი (Bo-105);

ბელგია

ბელგიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 62,7 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 146 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო კორპუსად და 2 მექანიზებულ დივიზიად (იშლებოდა ომიანობისას). მშვიდობიანობისას ბელგიის არმია ითვლიდა: სატანკო, 3 მექანიზებულ (პლუს ორ კადრირებულ), ბრიგადებს. რეზერვი ითვლიდა ტერიტორიულ დაცვის 11 ქვეით რეგიმენტს და ცალკეულ დანაყოფებს.

ორგანიზაცია:

მექანიზებული დივიზია შედგებოდა სატანკო და ორი მექბრიგადიდან, არტილერიის, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო დანაყოფებისაგან.

სატანკო ბრიგადა შედგებოდა 2 სატანკო, 2 მოტოქვეითი, არტილერიის და ტანკსაწინააღო ბატალიონების, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

მექბრიგადა შედგებოდა 2 მექანიზებული ქვეითი, სატანკო და ტანკსაწინააღო ბატალიონებისაგან, დანარჩენი სატანკოს იდენტური იყო.

შეიარაღება: ტანკი — 334 („ლეოპარდ -1"), 514 ქსმ, 1420-მდე ჯავშანმანქანა, 376 არტსისტემა (მათგან თვითმავალი — 207).

დანია

დანიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 17,9 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 54 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო ორ გეოგრაფიულ სარდლობად და ერთ მოტოქვეით დივიზიად. დანიის არმია ითვლიდა 5 მექანიზებულ და 3 მოტოქვეით ბრიგადებს. რეზერვი ითვლიდა 5 ქვეით რეგიმენტულ ჯგუფს და ცალკე დანაყოფებს (ტერიტორიულ დაცვის ჩათვლით).

ორგანიზაცია:

მექანიზებული დივიზია: შედგებოდა სამი მექბრიგადიდან, არტილერიის, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო დანაყოფებისაგან.

მექბრიგადა შედგებოდა ერთი სატანკო, 2 მექანიზებული, კადრირებული მოტოქვეითი და არტილერიის ბატალიონებისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

შეიარაღება: ტანკი — 450-მდე (230 „ლეოპარდ-1", 216 „ცენტურიონი"), 600-მდე ჯავშანმანქანა, 550-მდე არტსისტემა (მათგან თვითმავალი — 76).

კანადა

კანადის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 35,8 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 24 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო მექანიზებულ დივიზიად და ცალკეულ დანაყოფებად. სულ მექანიზებული, 2 ქვეითი და ერთი სპეციალური ქვეითი (გამიზნული იყო ნორვეგიაში არქტიკულ პირობებში

მოქმედებისათვის) ბრიგადები. რეზერვი ითვლიდა 18 ჯავსანსატანკო (მექანიზებულ), 18 არტილერიის, 52 ქვეით, 11 საინჟინრო და 20 უზრუნველყოფის ბატალიონს, აგრეთვე 11 სამედიცინო ასეულს.

ორგანიზაცია:

მექანიზებული დივიზია შედგებოდა მექბრიგადიდან (ბრიგადული ჯგუფიდან), 2 ქვეითი ბრიგადიდან, არტილერიის, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო დანაყოფებისაგან.

მექბრიგადა ბრიგადა შედგებოდა 3-4 მოტოქვეითი ბატალიონისაგან, ჯავშანსატანკო, არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტებისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

არქტიკული ბრიგადა შედგებოდა საპარაშუტო, ჯავშანსადაზვერვო, არტილერიის და საინჟინრო რეგიმენტებიდან, მექანიზებული ბატალიონიდან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

შეიარაღება: ტანკი — 114 (ყველა „ლეოპარდ-1"), 1700-მდე ჯავშანმანქანა, 255 არტსისტემა (მათგან თვითმავალი — 76).

ნორვეგია

სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 15,9 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 160 ათასამდე. შეიარაღებული ძალები მშვიდობიანობისას ორგანიზებული იყო ორ სარდლობად: „ჩრდილოეთი" და „სამხრეთი". პირველში მშვიდობიანობისას შედიოდა მექანიზებული ბრიგადა და ცალკეული დანაყოფები. ბრიგადა „სამხრეთში" მშვიდობიანობისას შედიოდა ქვეითი ბატალიონი (სამეფო გვარდიის) და ცალკეული დანაყოფები. ომიანობისას ნორვეგიის ჩრდილოეთით გაიშლებოდა ორი დივიზია. პირველში შედიოდა მექანიზებული და ორი ქვეითი ბრიგადა (კადრირებული ბრიგადების ბაზაზე), სატანკო ასეული, არტბატალიონი და ცალკე დანაყოფები. მეორე დივიზიაში შედიოდა სამი ქვეითი ბრიგადა. სარდლობა „სამხრეთში" შედიოდა სამი დივიზია, ერთი სამეფო დაცვის ბატალიონი და ორი ქვეითი ბრიგადა, მეორეში — ოთხი ქვეითი ბრიგადა, ხოლო მესამეში ორი ქვეითი ბრიგადა.

ორგანიზაცია:

დივიზიებში შედიოდა 2-4 ბრიგადა.

მექბრიგადა შედგებოდა მექანიზებული, 3 მოტოქვეითი ბატალიონისაგან, არტილერიის, საინჟინრო ბატალიონებისაგან, და აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

ქვეითი (მოტოქვეითი) ბრიგადების სტრუქტურა ანალოგიური იყო იმ განსხვავებით, რომ მათში არ შედიოდა მექანიზებული ბატალიონი.

შეიარაღება: ტანკი – 132 (78 ლეოპარდ-1, 55 M-48), 200-მდე ჯავშანმანქანა, 450-მდე არტსისტემა.

პორტუგალია

პორტუგალიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 33,1 ათას ჯარისკაცსა და იფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 190 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო 6 ტერიტორიულ სარდლობად. სულ მექანიზებული (შერეული), 3 ქვეითი და ერთი სპეციალური დანიშნულების ბრიგადები, აგრეთვე ცალკე დანაყოფები.

ორგანიზაცია:

მექბრიგადა ბრიგადა შედგებოდა ჯავშანსატანკო, მექანიზებული, 2 მოტოქვეითი ბატალიონისაგან, არტილერიის ბატალიონისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

შეიარაღება: ტანკი – 146 (60 M-47 და 86 M-48), 420-მდე ჯავშანმანქანა, 306 არტსისტემა (მათგან თვითმავალი – 18).

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახმელეთო ძალები

სსრ კავშირი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ითვლიდნენ 1,4 მლნ. სამხედრო მოსამსახურეს. რეზერვის ოდენობა 20 მლნ (თადარიგის აღრიცხული მოსამსახურეები). სახმელეთო ჯარები ორგანიზებულ იყო 14 სამხედრო ოლქად, ჯარების ექვს ჯგუფად (გდრ-ს, პოლონეთის, ჩსსრ-ს, უნგრეთის, მონღოლეთის და ავღანეთის ტერიტორიაზე). მობილიზაციის შემდეგ სსრ კავშირის სამხელეთო ჯარები იშლებოდა 32 სატანკო დივიზიად (მათგან 5 სასწავლო), 100 მოტომსროლელ დივიზიად (მათგან 6 სასწავლო), 7 საჰაერო-სადესანტო დივიზიად (1 სასწავლო), 3 თვითმავალი არტილერიის და 13 არტილერიის დივიზიად. ცალკე ბრიგადები: 9 საჰაერო-სადესანტო (საჰაერო-შემტევი), 12 სპეციალური დანიშნულების (გრუ-ს ოპერატიულ დაქვემდებარებაში), 45 არტილერიის.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია: 3 სატანკო პოლკი, 1 მოტომსროლელი პოლკი, არტპოლკი, ჰაერსაწინაღო დაცვის პოლკი, „ზ-ზ" ტიპის რაკეტების ბატალიონი, სადაზვერვო, ტანკსაწინაღო, საინჟინრო და კავშირის ბატალიონები, შვეულმფრენების ესკადრილია. აგრეთვე ცალკე დანაყოფები.

მოტომსროლელი დივიზიის ორგანიზაცია იდენტური იყო, იმ განსხვავებით, რომ მასში შედიოდა 3 მოტომსროლელი და სატანკო პოლკები და დამატებით ერთი ცალკე სატანკო ბატალიონი.

საჰაერო-სადესანტო დივიზია: 3 საჰაერო-სადესანტო პოლკი, არტპოლკი და ბატალიონები: თვითმავალი ქვემეხების, ჰაერსაწინაღო, საინჟინრო. აგრეთვე სადაზვერვო ასეული და ცალკე დანაყოფები.

არტდივიზიების სტრუქტურა სხვადასხვაგვარი იყო, გამომდინარე მათ წინაშე მდგომი ამოცანებიდან.

საჰაერო-სადესანტო ბრიგადაში შედიოდა 2 საჰაერო-სადესანტო, 2 საპარაშუტო ბატალიონი, არტბატალიონი და ასეულები: საინჟინრო, ტანკსაწინაღო, ჰაერსაწინაღო.

საჰაერო-შემტევ ბრიგადაში შედიოდა 3 საჰაერო-შემტევი ბატალიონი და ასეულები: არტილერიის, სადაზვერვო, ტანკსაწინაღო, ჰაერსაწინაღო, საინჟინრო.

დივიზიების მოტომსროლელ პოლკში შედიოდა; 3 მოტომსროლელი, სატანკო, არტილერიის ბატალიონები და ცალკე ასეულები: სადაზვერვო, ტანკსაწინაღო, ჰაერსაწინაღო, საინჟინრო, აგრეთვე ცალკე დანაყოფები.

დივიზიების სატანკო პოლკების ორგანიზაცია იდენტური იყო იმ განსხვავებით, რომ მათში შედიოდა 3 სატანკო და მოტომსროლელი ბატალიონი (მხოლოდ სატანკო დივიზიების სატანკო პოლკებში).

საჰაერო-სადესანტო პოლკში შედიოდა 3 საჰ-სადესანტო ბატალიონი და ასეულები: ტანკსაწინაღო, ჰაერსაწინაღო, საინჟინრო.

შეიარაღება: 54 ათასამდე ტანკი (მათგან 10600-მდე T-54/55, 8500 T-62, 4900 T-64, 9000, T-72, 5400 T-80), 28000 ქსმ, 58 ათასი ჯავშანმანქანა, 64 ათასამდე არტსისტემა (მათგან 9000-მდე თვითმავალი), 1400-მდე დამრტყმელი შვეულმფრენი МИ-24

პოლონეთი

პოლონეთის სახალხო არმიის სახმელეთო ჯარები ითვლიდა 235 ათასს. ძალები ორგანიზებულ იყო 3 არმიად, 5 სატანკო (2 კატეგორია

A, 3 კატეგორია B) 8 მოტომსროლელ (3 A კატეგორიის, 2 B კატეგორიის, 3 C კატეგორიის), საჰაერო-სადესანტო და საზღვაო ქვეით (სანაპირო დაცვის) დივიზიად, სამ-სამ არტილერიის, საინჟინრო და ჰაერსაწინაღო ბრიგადებად, სამ ტანკსაწინაღო პოლკად; 5 სარეზერვო მოტომსროლელ, და ცალკეულ დანაყოფებად.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია სამი სატანკო, მოტომსროლელი პოლკი, არტპოლკი და ცალკე დანაყოფები. პოლონური დივიზიები ვარშავის ხელშეკრულების ტიპური იყო.

მოტომსროლელი დივიზია იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა სამი მოტომსროლელი და სატანკო პოლკები. ეს საბჭოთა ტიპის სტანდარტული დივიზიები იყო.

ჯავშანსატანკო პოლკის ორგანიზაცია: 3 სატანკო ბატალიონი, მოტოქვეითი ბატალიონი, არტბატალიონი, სადაზვერვო, ტაქტიკური რაკეტების, საინჟინრო, ჰაერსაწინაღო ბატალიონები ცალკე დანაყოფები.

მოტომსროლელი პოლკი იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა სამი მოტომსროლელი და სატანკო ბატალიონები.

შეიარაღება: 2850-მდე ტანკი (მათგან 2065-მდე T-54/55 და 785-მდე T-72), 1500 ქსმ, 1600-მდე ჯავშანმანქანა, 2300-მდე ქვემეხი (მათგან 617 თვითმავალი).

გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის სახმელეთო ჯარები ითვლიდა 145 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. ძალები ორგანიზებულ იყო ორ არმიად 2 სატანკო, 4 მოტომსროლელ, 5 სარეზერვო მოტომსროლელ დივიზიებად, საარტილერიო პოლკად, საჰ-სადესანტო ბატალიონად, 5 საინჟინრო ბატალიონად, დამრტყმელი შვეულმფრენების ორ პოლკად და ცალკე დანაყოფებად.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია: სამი სატანკო, მოტომსროლელი პოლკი, არტპოლკი და ცალკე დანაყოფები.

მოტომსროლელი დივიზია: იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა

სამი მოტომსროლელი და სატანკო პოლკები. ეს საბჭოთა ტიპის სტანდარტული დივიზიები იყო.

მოტომსროლელი და ჯავშანსატანკო პოლკების ორგანიზაცია: 3 სატანკო ბატალიონი, მოტოქვეითი ბატალიონი, არტბატალიონი, სადაზვერვო, ტაქტიკური რაკეტების, საინჟინრო, ჰაერსაწინააღო ბატალიონები, ცალკე დანაყოფები.

შეიარაღება: 2300-მდე ტანკი (1725 T-54/55; 550 T-72); ქსმ-1150; ჯავშანმანქანა-8400-მდე, 2100-ზე მეტი არტსისტემა, 50-მდე საბრძოლო შვეულმფრენი.

ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის სახმელეთო ჯარები ითვლიდა 145 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვის ოდენობა 170 ათასი. ძალები ორგანიზებულ იყო ერთ არმიათა ჯგუფად და სამ არმიად 5 სატანკო, 5 მოტომსროლელ, ორ სარეზერვო მოტომსროლელ, საარტილერიო დივიზიად, საჰ-სადესანტო პოლკად, სამ „ზ-ზ"-ის ტიპის რაკეტების ბრიგადად, ორ არტბრიგადად, სამ ჰაერსაწინააღო რაკეტულ, სამ ტანკსაწინააღო და დამრტყმელი შვეულმფრენების ორ პოლკად და ცალკე დანაყოფებად. ერთი ჯავშანსატანკო და სამი მოტომსროლელი დივიზია განეკუთვნებოდა A კატეგორიას, ორი სატანკო და ორი მოტომსროლელი დივიზია B კატეგორიას და ორი მოტომსროლელი დივიზია C კატეგორიას.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია სამი სატანკო, მოტომსროლელი პოლკი, არტპოლკი და ცალკე დანაყოფები.

მოტომსროლელი დივიზია იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა სამი მოტომსროლელი და სატანკო პოლკები. ეს საბჭოთა ტიპის სტანდარტული დივიზიები იყო.

არტივიზიაში შედიოდა ორი ტანკსაწინააღო ბატალიონი.

მოტომსროლელი და ჯავშანსატანკო პოლკების ორგანიზაცია სტანდარტული იყო.

შეიარაღება: 3500-მდე ტანკი (მათგან 3000-მდე T-54/55 და 500-მდე T-72), 1150 ქსმ, 3750-მდე ჯავშანმანქანა, 1300-მდე ქვემეხი (მათგან მინიმუმ 175 თვითმავალი).

უნგრეთი

უნგრეთის სახალხო არმიის სახმელეთო ჯარები ითვლიდა 77 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. ძალები ორგანიზებულ იყო არმიად და სამ კორპუსად; სატანკო, 6 მოტომსროლელ დივიზიად (ყველა B კატეგორიის), 4 სატანკო ბრიგადად (A კატეგორიის), არტ-ბრიგადად, ჰაერსაწინაღო რაკეტულ ბრიგადად, ჰაერსაწინაღო არტპოლკად, შვეულმფრენების პოლკად და საჰაერო-შემტევ ბატალიონად.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია სამი სატანკო, მოტომსროლელი პოლკი, არტ-პოლკი და ცალკე დანაყოფები.

მოტომსროლელი დივიზია იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა სამი მოტომსროლელი და სატანკო პოლკები. ეს საბჭოთა ტიპის სტანდარტული დივიზიები იყო.

მოტომსროლელი და ჯავშანსატანკო პოლკების ორგანიზაცია სტანდარტული იყო.

შეიარაღება: 1435-მდე ტანკი (მათგან 1200-მდე T-54/55 და 235-მდე T-72), 2300-მდე ჯავშანმანქანა, 1200-მდე არტსისტემა (მათგან 110 თვითმავალი);

რუმინეთი

რუმინეთის სახალხო არმიის სახმელეთო ჯარები ითვლიდა 180 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. ძალები ორგანიზებულ იყო 4 არმიად, 2 სატანკო (ორივე A კატეგორიის), 8 მოტომსროლელ დივიზიად (4-4 A და B კატეგორიების), სამ ცალკეულ სამთო ბრიგადად, 4 არტბრიგადად, აგრეთვე ცალკე დანაყოფებად.

ორგანიზაცია:

სატანკო დივიზია სამი სატანკო, მოტომსროლელი პოლკი, არტ-პოლკი და ცალკე დანაყოფები.

მოტომსროლელი დივიზია: იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა სამი მოტომსროლელი და სატანკო პოლკები. ეს საბჭოთა ტიპის სტანდარტული დივიზიები იყო.

მოტომსროლელი და ჯავშანსატანკო პოლკების ორგანიზაცია სტანდარტული იყო.

შეიარაღება: 1300-მდე ტანკი (მათგან 1200-მდე T-54/55 და 100-

მდე T-72), 2700-მდე ჯავშანმანქანა, 600-მდე არტსისტემა (მათგან 110 თვითმავალი)

ბულგარეთი

ბულგარეთის სახალხო არმიის სახმელეთო ჯარები ითვლიდა 70 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. ძალები ორგანიზებულ იყო 3 არმიად 8 მოტომსროლელ დივიზიად (6 A და B და 2 C კატეგორიების), 5 ცალკეულ სატანკო ბრიგადად, 3 ცალკეულ არტბრიგადად, 3 ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის რაკეტულ და სამ „ზ-ზ" ტიპის რაკეტულ პოლკად, აგრეთვე ცალკეულ დანაყოფებად.

სატანკო დივიზია სამი სატანკო, მოტომსროლელი პოლკი, არტპოლკი და ცალკე დანაყოფები.

მოტომსროლელი დივიზია იდენტური იყო, ოღონდ მასში შედიოდა სამი მოტომსროლელი და სატანკო პოლკები. ეს საბჭოთა ტიპის სტანდარტული დივიზიები იყო.

მოტომსროლელი და ჯავშანსატანკო პოლკი ორგანიზაცია სტანდარტული იყო.

შეიარაღება: 2200-მდე ტანკი (მათგან 1300-მდე T-54/55 და 300-მდე T-72, 600 T-34), 2000-მდე ჯავშანმანქანა, 2500-მდე არტსისტემა (მათგან 700-მდე თვითმავალი).

ნეიტრალური და მიუმხრობელი სახელმწიფოები

ავსტრია

ავსტრიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 44 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 200 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო მოტოქვეით დივიზიად, 8 სარეზერვო ბრიგადად და 30 სარეზერვო ქვეით რეგიმენტად(ტერიტორიულ დაცვის ჩათვლით).

ორგანიზაცია:

მოტოქვეითი დივიზია: შედგებოდა სამი მექბრიგადიდან, არტილერიის, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო დანაყოფებისაგან.

მექბრიგადა შედგებოდა ერთი სატანკო, 1 მექანიზებული, და არტილერიის ბატალიონებისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

ცალკეული ქვეითი ბრიგადა შედგებოდა 3 ქვეითი, არტილერიის და ტანკსაწინაღო ბატალიონებისაგან.

შეიარაღება: ტანკი — 170 M-60, 500-მდე ჯავშანმანქანა, 270 არტსისტემა (მათგან თვითმავალი — 139).

ფინეთი

ფინეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 32,5 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 500 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო 3 სამხედრო ოლქად, 2 ჯავშანსატანკო ბრიგადად, 8 ქვეით, 14 ეგერების და 15 სარეზერვო ქვეით ბრიგადად.

ორგანიზაცია:

ჯავშანსატანკო ბრიგადა: შედგებოდა 2 ჯავშანსატანკო და მექანიზებული ბატალიონებისაგან, არტილერიის, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო დანაყოფებისაგან.

ქვეითი ბრიგადა შედგებოდა 4-5 ქვეითი და არტილერიის ბატალიონებისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

სპეციალურად გაწვრთნილი ქვეითი (ეგერების) ბრიგადა შედგებოდა 4-5 ქვეითი, არტილერიის და ტანკსაწინაღო ბატალიონებისაგან. ბრიგადები ძირითადად გაწვრთნილი იყო ჩრდილოეთის რთულ პირობებში მოქმედებისათვის.

შეიარაღება: ტანკი — 232 (მათგან 162 T-72, 70 T-55), 273 ქსმ, 1600-მდე ჯავშანმანქანა, 900-მდე არტსისტემა (მათგან თვითმავალი — 90).

შვედეთი

შვედეთის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 47 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. რეზერვისტების რაოდენობა 700 ათასამდე. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო 3 გაერთიანებულ სარდლობად, რომელიც ომიანობის დროს შეიძლებოდა გაშლილიყო 8 ქვეით დივიზიად და ცალკეულ დანაყოფებად. მთლიანობაში სახმელეთო ჯარები გაიშლებოდა: 4 ჯავშანსატანკო ბრიგადად, 19 ქვეით, 5 ნორლანდის (არქტიკულ) ბრიგადად და ცალკეულ დანაყოფებად.

ორგანიზაცია:

ჯავსანსატანკო ბრიგადა: შედგებოდა 3 ჯავშანსატანკო და 2 არტილერიის ბატალიონებისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

ქვეითი ბრიგადა შედგებოდა 4-5 ქვეითი და არტილერიის ბატალიონებისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

სპეციალურად გაწვრთნილი ქვეითი (ნორლანდის) ბრიგადა შედგებოდა 4 ქვეითი და არტილერიის ბატალიონებისაგან ტანკსაწინააღო, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო დანაყოფებისაგან.

შეიარაღება: ტანკი – 700-მდე (მათგან 330 S, 349 „ცენტურიონი"), 3000-მდე ჯავშანმანქანა, 925-მდე არტსისტემა (მათგან თვითმავალი – 26).

შვეიცარია

გაშლილ მდგომარეობაში მყოფი შვეიცარიის სახმელეთო ჯარები ითვლიდნენ 370 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. შეიარაღებული ძალები ორგანიზებული იყო 4 კორპუსად (მათგან ერთ სამთოდ), რომელიც ომიანობის დროს 72 საათში შეიძლებოდა გაშლილიყო სამ-სამ მექანიზებულ, ქვეით და სამთო დივიზიებად, 17 ცალკეულ ქვეითბრიგადად და ცალკეულ დანაყოფებად.

ორგანიზაცია:

ჯავსანსატანკო დივიზია: შედგებოდა 2 ჯავშანსატანკო, ქვეით და 2 არტილერიის რეგიმენტებისაგან და ცალკე დანაყოფებისაგან.

ქვეითი დივიზია შედგებოდა 3 ქვეითი და 2 არტილერიის რეგიმენტებისაგან, აგრეთვე ცალკე დანაყოფებისგან.

სამთო დივიზიის ორგანიზაცია ქვეითის იდენტური იყო.

ქვეითი ბრიგადა შედგებოდა 3 ქვეითი და არტილერიის ბატალიონებისაგან ტანკსაწინააღო, კავშირის, დაზვერვის, საინჟინრო და სამედიცინო დანაყოფებისაგან.

შეიარაღება: ტანკი – 740 (370 „ლეოპარდ-2", 370 Pz-68), 500-მდე ქსმ, 846 ჯავშანმანქანა, 800-მდე ქვემეხი (მათგან 580 თვითმავალი).

შენიშვნები

1. **სვეჩინი ალექსანდ ანდრეევიჩი** (1878-1938) რუსი, შემდეგ საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. უმაღლესი სამხედრო განათლება ჯერ კიდევ რევოლუციამდე მიიღო. გენერალ-მაიორი (1916 წლიდან). პირველი მსოფლიო ომისას მეთაურობდა არმიისა და ფრონტის შტაბებს. რევოლუციის შემდეგ თანამშრომლობდა წითელ არმიასთან. ფრუნზეს სახელობის აკადემიის და გენშტაბის აკადემიების პროფესორი. უმთავრესი ნაშრომები „სტრატეგია", „სამხედრო ხელოვნების ევოლუცია" (ორ ტომად), აგრეთვე რიგი ნაშრომები სტრატეგიაზე, ტაქტიკაზე და სამხედრო ისტორიაზე. 1938 წელს დახვრიტეს.

2. **ყირიმის ომი** მიმდინარეობდს რუსეთის იმპერიასა და დასავლურ სახელმწიფოთა კოალიციას შორის. ამ უკანასკნელში შედიოდნენ ბრიტანეთი, საფრანგეთი და სარდინიის სამეფო. მოკავშირეების მხარეს იბრძოდა ოსმალეთის იმპერიაც. ომის მიზეზი იყო რუსეთის ექსპანსია ბალკანეთისა და ბოსფორ-დარდანელის მიმართულებით. ომი მიმდინარეობდა 1853-56 წლებში და ტექნიკურად და სახელმწიფო თვალსაზრისით ჩამორჩენილი რუსეთის სასტიკი მარცხით დამთავდა. იმის მიუხედავად რომ ომის არეალი მოიცავდა ბალტიკასაც და და კამჩატკასაც, ძირითადი თეატრი შავი ზღვა იყი, ხოლო შავ ზღვაზე ძირითადი ოპერატიული თეატრი — ყირიმის. ყირიმის ომმა აჩვენა რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილობა და სისუსტე, რამაც სტიმული მისცა ალექსანდრე მეორის გატარებულ რეფორმებს.

3. **მექსიკური ექსპედიცია** მოეწყო საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ინიციატივით. ნაპოლეონ III ნაპოლეონ I-ის ძმის-შვილი იყო, ავტორიტარი მმართველი და ბეცი პოლიტიკოსი. მისი მართველობა თითქოს ურიგოდ არ დაწყებულა: ინგლისთან და სხვა მოკავშირეებთან ერთად დაამარცხა რუსეთი ყირიმის ომში, ხოლო მოგვიანებით ჩინეთი ე. წ. მეორე ოპიუმურ ომში. თუმცა შემდეგ სიტუაცია გაურთულდა გადადაწყვიტა ესპანელებთან ერთად მოეწყო ექსპედიცია, რომლის ამოცანა იყო მექსიკის დაპყრობა და მის ტახტზე ავსტრიის ერცჰერცოგ მაქსიმილიანის გამეფება (კოალიციაში თავ-დაპირველად ინგლისიც მონაწილეობდა, ოღონდ მისი როლი თავიდანვე პასიური იყო). ინტერვენტებმა მეხიკოს აღება შეძლეს. მაგრამ კოალიციას სხვადასხვა მიზეზებით ჯერ ინგლისი გამოეთიშა, შემდეგ

ესპანეთიც. მარტო დარჩენილი ფრანგები დაამარცხეს მექსიკელმა პატრიოტებმა პრეზიდენტ ხუარესის მეთაურობით. მათ მაქსიმილიანი ტყვედ ჩაიგდეს და დახვრიტეს.

4. **ტაიპინები** მეტად თავისებული ამბოხებების სერიის ფორმა, რომელსაც ჩინეთში ჰქონდა ადგილი. ჩანს იყო გამოხატულება იმისა, რომ ჩინეთში გამეფებულ მანჯურულ დინასტიას არ შეეძლო ქვეყნის მოდერნიზაცია ისე წარემართა, როგორც ეს თუგინდ მეზობელმა იაპონიამ შეძლო. ამბოხებათა სერია გამოხატავდა უკმაყოფილებას ტრადიციული ღირებულებების მსხვრევისა და მანჯურული დინასტიის მართვის გამო, მაგრამ არც ევროპელებს ინდობდა. ტაიპინების დოქტრინის შემქნელი იყო სოფლის მასწავლებელი ჰუნ სიუციუანი, რომელმაც 1850 წელს გამოაცხადა ღვთის თაყვანისცემის საზოგადოების შექმნა. აჯანყებულთა ოდენობა 300 ათასამდე აღწევდას და მისი ჩახშობა მხოლოდ 1864 წელს მოხერხდა.

5. **შლეზვიგი** — საჰერცოგო გერმანიასა და დანიას შორის, რომელზეც ორივე მხარე აყენებდა პრეტენზიას. პრუსიამ ორი ომით (1864 წლის დანიასთან და 1866 წლის ავსტრიასთან) მოახერხა შლეზვიგის მიერთება.

6. **ბისმარკი, ოტო ფონ** (1815-1898) რკინის კანცლერად წოდებული, დიდი გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის ფაქტობრივი გამაერთიანებელი. 1849 წლიდან პრუსიის პარლამენტის წევრი, შემდეგ დიპლომატიურ სამსახურშია: არის ელჩი პეტერბურგსა და პარიზში. მოგვიანებით კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი. ძალიან ოსტატურად მოამზადა ომები, რომლებმაც უზრუნველყვეს პრუსიის ეგიდით გერმანიის გაერთიანება. 1890 წელს გადადგა კანცლერის თანამდებობიდან.

7. **მოლტკე უფროსი ფრიდრიხი** (1800-1891) — პრუსიელი, შემდეგ გერმანელი ფელდმარშალი. დაიბადა მეკლენბურგში, მსახურობდა დანიის არმიაში, საიდანაც მალე პრუსიის ჯარში გადავიდა. 25 წლის ასაკში მსახურობდა პრუსიის გენშტაბის ტოპოგრაფიულ ბიუროში. შემდეგ თითქმის ოცი წელი მოგზაურობდა აღმოსავლეთში სადაც სხვადასხვა მონარქების მრჩეველი იყო. 1855 წელს იგი ბრუნდება პრუსიაში და კრონპრინცის ადიუტანტი, ხოლო შემდეგ დიდი გენერალური შტაბის უფროსი ხდება, რომელმაც უზრუნველყო კიდეც პრუსიის გამარჯვებები. 1868-91 წლებში იყო პრუსიის, შემდეგ გერმანიის პარლამენტების დეპუტატი.

8. როონი ალბრეხტი (30.4. 1803, – 23.2. 1879) პრუსიელი და გერმანელი, ფელდმარშალი, ბისმარკის და მოლტკეს თანამებრძოლი. ბისმარკის ომებისას თავდაცვის მინისტრი. 1827 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი ბერლინში, ცოტა ხანს მუშაობდა მოლტკესთან ერთად გენშტაბის ტოპოგრაფიულ განყოფილებაში. შემდეგ პრინცი კარლის აღმზდელია, შემდეგ 10 წლის მანძილზე თანმიმდევრულად მეთაურობს რეგიმენტსა და დივიზიას. 1859-1873 წლებში თავდაცვის მინისტრი. მოგვიანებით იყო პრუსიის მინისტერ-პრეზიდენტი ანუ პრუსიის ფაქტობრივი გამგებელი.

9. მანშტაინი ერიხ ფონ (ნამდვილი გვარი ფონ ლევინსკი) (1887-1973) გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი (1942 წლიდან). დაამთავრა სამხედრო აკადემია, შემდეგ მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, და მსახურობდა რაიხსვერში. 1935-38 წლებში იყო სახმელეთო ჯარების ოპერატიული სამმართველოს უფროსი. შემდეგ არმიათი ჯგუფ „სამხრეთის" მეთაური, სადაც შეიმუშავა გეგმა, რომელსაც დასავლელი მოკავშირეების გამანადგურებელი მარცხი მოჰყვა. საბჭოთა კავშირის ომისას წარმატებულად იბრძოდა ქერჩში და ჩრდილოეთის ფრონტზე, თუმცა რესურსების უკმარისობის გამო ვერ მოახერხა ალყიდან გამოეხსნა სტალიგრადში მყოფი პაულიუსის არმია, რასაც გერმანიისათვის უმძიმესი შედეგები მოჰყვა. შემდგომ ხელმძღვანელობდა არმიათა ჯგუფ „სამხრეთს". ჰიტლერთან უთანხმოების გამო გადადგა თანამდებობიდან. ცოტა ხანს ინგლისელებს ჰყავდათ დაკავებული, მაგრამ მერე გამოუშვეს. მისი მემუარები „დაკარგული გამარჯვებები" ბევრ საყურადღებო მასალას შეიცავს. მანშტაინი ჰიტლერის გენერლებს შორის საუკეთესო სტრატეგად ითვლება, ზოგი ავტორი კი მეორე, მსოფლიო ომის საუკეთესო სტრატეგადაც მიიჩნევს.

10. ტიპელსკირხი კურტ ფონ (1891-1957) გერმანელი გენერალი, 1938-40 წლებში იყო სახმელეთო ჯარების გენშტაბის სადაზვერვო სამმართველოს უფროსის მოადგილე, აღმოსავლეთის ფრონტზე მეთაურობდა დივიზიას, შემდეგ ლოთარინგიაში არმიას, ომის ბოლოს სარდლობდა არმიათა ჯგუფ „ვისლას". ომის შემდეგ გამოსცა „მეორე მსოფლიო ომის ისტორია" უაღრესად მდიდარი ფაქტობრივი მასალით, თუმცა ზოგიერთი მისი პოლიტიკური შეფასება დღესაც სადავო ჩანს.

ლიდელ-ჰარტი, სერ ბეზილი: ინგლისელი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი. სამხედრო კარიერის დატოვება ავადმყოფობის გამო

ადრე მოუწია, მაგრამ სამხედრო თემატიკას არ ჩამოშორებია. არის ავტორი წიგნებისა „პოლკოვნიკი ლოურენსი", „სტრატეგია' (რომელიც ჩერჩილმა დაახასიათა, როგორც „ბრიტანეთის იმპერიის საუკეთესო საპარადო პორტრეტი"), აგრეთვე ფუნდამენტური მოცულობის გამოკვლევისა მეორე მსოფლიო ომზე.

11. **დე გოლი, შარლი** (1890-1970) საფრანგეთის ეროვნული გმირი, გენერალი (1940) დაამთავრა სენ-სირის აკადემია, შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა საშტაბო და პედაგოგიურ თანამდებობებზე. საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ, რამოდენიმე თანამებრძოლთან, მათ შორის დიმიტრი ამილახვართან ერთად, აფუძნებს ორგანიზაცია „თავისუფალ საფრანგეთს". 1944 წელს ხდება საფრანგეთის დროებით მთავრობის თავმჯდომარე. შემდეგ პოლიტიკიდან მიდის, მაგრამ მოგვიანებით ბრუნდება და 1958 წელს აირჩიეს პრეზიდენტად. ხოლო მეორედ გადაირჩიეს 1965 წელს. თუმცა 1969 წელს მისთვის წარუმატებელი რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც საფრანგეთის მართველობის სისტემას ეხებოდა, ხელახლა გადადგა.

12. **მარნის სასწაული** — 1914 წლის პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ფრანგებმა და მათმა მოკავშირეებმა მოახერხეს ფრონტის სტაბილიზება მდინარე მარნაზე. არადა მანამდე ისე ჩანდა, რომ მათ ფრონტს მდგრადობა საერთოდ ჰქონდა დაკარგული და გერმანიის გამარჯვება გარდაუვალი იყო.

13. **გერინგი, ჰერმან** (1893-1946) გერმანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. ჰიტლერის ოფიციალური მემკვიდრე, რაიხსმარშალი. პირველი მსოფლიო ომის გამოჩენილი ასი. ომის შემდეგ მიუერთდა ნაცისტურ მოძრაობას და სწრაფი კარიერა გაიკეთა. სხვადასხვა დროს იყო პრუსიის მინისტერ-პრეზიდენტი, ავიაციის მინისტრი. შექმნა იმ დროინდელ მსოფლიოში საუკეთოსო სამხედრ-საჰაერო ძალები(ლიუფტვაფე), ოღონდ ვერ შეაფასა სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაციის როლი. დიუნკერკთან და ინგლისისათვის ბრძოლაში (ასეა საბჭოთა გამოცემებში, უფრო სწორია „ბრიტანეთისათვის ბრძოლა") ლიუფტვაფემ სერიოზული ოპერატიულ-ტაქტიკური შეცდომები დაუშვა. შემდეგ გერინგს სულ უფრო ურთულდებოდა ურთიერთობა ჰიტლერთან, რაც იმით დასრულდა, რომ ჰიტლერმა პოლიტიკურ ანდერძში გერინგი მოღალატედ გამოაცხადა. მიუნხენის ტრიბუნალმა გერინგს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ მან დაასწრო და თავი მოიკლა წინასწარ ნაშოვნი საწამლავით.

14. ჰარისი, არტურ ტრეევერსი — მეტსახელად „ბომბერ ჰარისი“ (1982-1984) ინგლისელი მარშალი, რომელმაც შეიმუშაავა დუეს დოქტრინაზე დამყარებული საავიაციო კამპანიის თეორია გერმანიის წინააღმდეგ და ბომბდამშენი ავიაციის სარდლად დანიშვნის შემდეგ თანმიმდევრულად დაიწყო მისი ცხოვრებაში გატარება. მან უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანიას, მაგრამ დასახულ მიზანს — გერმანიაში სამხედრო წარმოების პარალიზებას და მოსახლეობში წინააღმდეგობის უნარის ჩაკვლას ვერ მიაღწია.

15. ბიულოვი, ჰენრიხ ფონ 1760-1806, ბარონი გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი. თავდაპირველად რუსოს მიმდევარმა ბიულოვმა მონაწილეობა მიიღო ავსტრიის ნიდერლანდებში მომხდარ ამბოხში, რომელიც საფრანგეთის რევოლუციას მოჰყვა. 1799 წელს გამოსცემს თავის გახმაურებულ ნაშრომს „ომის ახლებული სულის შესახებ“, რომელიც 1805 წელს მეორედ იცემა. ბიულოვის იდეალი იყო გაერთიანებული გერმანია. 1805 წელს მოკავშირეების ნაპოლეონთან დამარცხების შემდეგ პრუსიის ხელისუფლებამ არც იცოდა რა ექნათ ბიულოვისათვის, რომელიც ერთ-ერთ საპყრობილეში ჰყავდათ ჩამწყვრეული პრუსიის პოლიტიკის კრიკიტიკის გამო. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს ბიულოვი კაზაკების პატრულით გაეგზავნათ რიგაში, სადაც მისი კვალი იკარგება: ზოგი ვგერსიით ის ავადმყოფობით დაიღუპა, ზოგი ვერსიით კი — რუსმა კაზაკებმა მოკლეს მისი ნივთების მისაკუთრების მიზნით.

16. კლაუზევიცი, კარლ ფილიპ გოტლიბი (1780—1831), — გერმანელი მოაზროვნე და სამხედრო მოღვაწე. 1792 წელს იუნკერად ჩაირიცხა პრუსიის არმიაში. 1793 წელს, თითქმის ბავშვი მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომში. ნაპოლეონთან 1806-07 წლის ომისას ჩავარდა ტყვედ. 1808 წელს გენერალ შარნჰორსტმა, რომელსაც ნაპოლეონთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ დაევალა პრუსიის არმიის რეორგანიზება, კლაუზევიცი თავისი აპარატის უფროსად დანიშნა. შემდეგ რამოდენიმე წელს მსახურობდა რუსეთის არმიაში, სადაც პოლკოვნიკის წოდებით მიაღწია კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობას. 1814 წელს ბრუნდება პრუსიის არმიაში. მონაწილეობდა ვატერლოს ბრძოლაში. 1818-30 წლებში საყოველთაო სამხედრო სასწავლებლის (აკადემიის) დირექტორი. ერთხანს იყო ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი სამხედრო სფეროში. ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი მემკვიდრის მოსამზადებლად დასწერა. 1830 წელს

დაინიშნა იმ არმიის შტაბის უფროსად, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა სამხედრო მოქმედებისათვის რუსეთსა და პოლონელ აჯანყებულებს შორის. ამ მისიის შესრულებისას ხოლერით გარდაიცვალა. მისი მთავარი ნაშრომი „ომის შესახებ" გარდაცვალების შემდეგ გამოსცა მისმა ცოლმა, მიუხედავად კლაუზევიცის ანდერძისა, რომლის თანახმად, რომ თუ იგი ნაშრომს თავად არ მოამზადებდა საბოლოო გამოცემისათვის, ნაშრომი დაეწვათ.

17. **შლიფენი, ალფრედ ფონ** (1833-1913) გერმანელი ფელდმარშალი (1911). 1853 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, 1861 წელს სამხედრო აკადემია. გენშტაბის ოფიცრის რანგში მონაწილეობდა პრუსია-ავსტრიისა და პრუსია-საფრანგეთის ომებში. 1891-1905 წლებში გენშტაბის უფროსი. ავტორი ცნობილი გეგმისა, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა გერმანიის არმია პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე.

18. **კანის ბრძოლაში** მე-3 საუკუნეში ჩვენს ერამდე ჰანიბალმა მოახერხა ორმხრივ გარემოეცვა რომაელები, ალყაში მოექცია ისინი და გაენადგურებინა.

19. **პაულუსი, ფრიდრიხი** (1890-1957) გერმანელი ფელდმარშალი (1943 წლიდან). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. შემდეგ მსახურობდა რაიხსვერში. 1935-39 წლებში ჯავშანსატანკო ძალების შტაბის უფროსი. მუშაობდა სხვა საშტაბო და სამეთაურო თანამდებობებზე. სტალინგრადში გაცდილი ცნობილი მარცხის შემდეგ დანებდა საბჭოელებს.

20. **გუდერიანი, ჰაინცი** (1868-1954) გერმანელი გენერალ-პოლკოვნიკი, სატანკო ძალების გამოყენების ცნობილი სპეციალისტი. 1907 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, 1914 წელს სამხედრო აკადემია. პირველი მსოფლიო ომის დროს ეკავა სხვადასხვა საშტაბო თანამდებობები, ხოლო შემდეგ მსახურობდა რაიხსვერში, მეთაურობდა ჯავშანსატანკო კორპუსს, ჯავშანსატანკო ჯგუფს, ხოლო მოგვიანებით არმიას. მოსკოვთან მარცხის შემდეგ ჰიტლერმა მასზე გული აიცრუა და გადააყენა. თუმცა მოგვიანებით, როცა დაინახა, რომ გუდერიანი მართალი იგი ჯარში დააბრუნა და სატანკო ძალების სარდლად დანიშნა. ომის დასასრულს ტყვედ ჩაუვარდა ამერიკელებს მაგრამ მალე გაათავისუფლეს. გუდერიანმა საკმაო მოცულობის სამხედრო-თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შრომები და მემუარები დატოვა.

21. **პატონი, ჯორჯ სმიტი-უმცროსი** (1885-1945) ამერიკელი გენერალი (1945), დაამთავრა ვესტ-პოინტის აკადემია და საშტაბო კოლეჯი. ერთხანს ცნობილი გენერალ პერშინგის ადიუტანტი იყო. პირველი მსოფლიო ომისას მეთაურობდა პირველ ამერიკულ სატანკო დანაყოფს. შემდეგ ჯავშანსატანკო ბრიგადასა და დივიზიას. ჩრდილო აფრიკაში სარდლობდა მე-7 არმიას, ხოლო ნორმანდიის ოპერაციისას მესამე არმიას. დაიღუპა ავტოკატასტროფაში ომის დასრულებიდან მცირე ხნის შემდეგ.

22. **რომმელი, ერვინ** (1891-1944), გერმანელი ფელდმარშალი (1942) სატანკო ბრძოლების დიდოსტატი. 30-იან წლებში მსახურობდა სამხედრო აკადემიაში ტაქტიკის მასწავლებლად, შემდეგ რექტორად. საფრანგეთის კამპანიისას თავი გამოიჩინა, როგორც სატანკო დივიზიის უფროსმა. 1941-43 წლებში სარდლობდა გერმანიის აფრიკულ კორპუსს და თავი გამოიჩინა მრავალ ბრძოლაში, თუმცა ზღვასა და ჰაერში ინგლისელთ უპირატესობამ თავისი გაიტანა და რომმელმა ვერ მოახერხა სუეცის არხის აღება. მოგვიანებით ის გერმანიაში დაბრუნდა და ერთხანს დასავლეთის ფრონტზე სარდლობდა ანტისადესანტო ძალებს. შემდეგ გაირკვა, რომ რომმელი ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა და მან სამარცხვინო სასამართლოს თავის მოწამვლა ამჯობინა. სამხედრო ისტორიკოსები თითქმის არ დაობენ იმაზე, რომ რომმელი გერმანელების საუკეთესო ტაქტიკოსია, ზოგი უფრო შორსაც მიდის და მას საუკეთესო სტრატეგადაც მიიჩნევს.

23. **პეტენი, ანრი ფილიპი** (1856-1950) ფრანგი საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, პირველი მსოფლიო ომის გმირი, მარშალი (1918). სხვადასხვა დროს ეკავა არმიათა ჯგუფებისა და არმიის მეთაურის თანამდებობები. საფრანგეთის მარცხის შემდეგ სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაური გახდა. პეტენმა 1940 წლის 16 ივლისს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც საფრანგეთი ფაქ-ტობრივად გერმანიის ვასალი ხდებოდა. საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ დაიჭირეს და დახვრეტა მიუსაჯეს, რაც შემდეგ ძველი დამსახურებისათვის სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს.

24. **ლავალი, პიერ** (1883-1945) უპრინციპობით განთქმული ფრანგი პოლიტიკოსი, რომელიც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იცვლიდა ორიენტაციებს. ოკუპაციის პერიოდში ქვეყანას ფაქტობრივად ლავალი მართავდა და არა პეტენი. ომის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

25. ამ მომენტისათვის დე გოლის კონტროლს ექვემდებარებოდა ტროპიკული აფრიკის კოლონიები და რამოდენიმე კოლონია წყნარ ოკეანესა და ლათინურ ამერიკაში.

26. **მარშალი, ჯორჯ ქეტლეტი** (1880-1959) ამერიკელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, არმიის გენერალი. პატონის არ იყოს ისიც გენერალ პერშინგის ადიუტანტი იყო. მოგვიანებით იყო ჩან კაიშის მრჩეველი, ბოლოს თავდაცვის მინისტრი. მისი სახელმწიფო მდივნობის დროს შემუშავდა და ცხოვრებაში გატარდა მარშალის ცნობილი გეგმა, რომელმაც უზრუნველყო ევროპაში კომუნიზმის შეკავება.

27. **ეიზენჰაუერი, დუაიტ დევიდი,** მეტსახელად აიკი (1890-1968) ამერიკელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. სრული გენერალი (1944). დაამთავრა უესტ-პოინტი, შემდეგ მსახურობდა ინსტრუქტორად, მსახურობდა პანამის არხის ზონაში, შემდეგ სახმელეთო ჯარის შტაბის უფროს დაგლას მაკარტურის თანაშემწედ. შემდეგ ინიშნება ჩრდილო აფრიკაში საექსპედიციო ძალების სარდლად, შემდეგ იტალიაში შეჭრისათვის გამიზნულ ძალების სარდლად, დაბოლოს ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. ომის შემდეგ ნატოს გაერთიანებული ძალების სარდალი, ხოლო 1953-60 წლებში აშშ-ს პრეზიდენტი.

28. **ფრიდენდოლი:** ეს ერთ-ერთ იმ გენერალთაგანია, რომლის ბიოგრაფიის დადგენა არ მოხერხდა.

29. **კენინჰემი, ენდრიუ** (1883-1963) ბრიტანელი ადმირალი (1945). ხმელთაშუაზღვის ფლოტის სარდალი. სასტიკად დაამარცხა იტალიელები მატაპანის კონცხთან ბრძოლაში, ხოლო შემდეგ სასტიკი დარტყმები მიაყენა მათ ფლოტს ოტრანტოს ბრძოლაში. ითვლება მეორე მსოფლიო ომის უძლიერეს ბრიტანელ ადმირალად. მისთვის დამახასიათებელი იყო გაბედულება, ოპერაციის ფაქიზად დაგეგმვა და სკრუპულოზურად აღსრულება. არ უნდა აგვერიოს მის ძმაში, რომელიც სახმელეთო ჯარების არცთუ წარმატებული გენერალი იყო.

30. **მორფი, რობერტი** (1894-1978) ამერიკელი დიპლომატი, მუშაობდა ვიცე-კონსულად მიუნხენში, შემდეგ კონსულად პარიზში. ომის შემდგომ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირა სახელმწიფო დეპარტამენტში, საიდან წასვლის შემდეგაც მუშაობდა პრეზიდენტების კენედისა და ნიქსონის მრჩეველად.

31. **მასტი, შარლ ემანუელი** (1889-1977) ფრანგი სამხედრო მოღვაწე, არმიის გენერალი (1947). მსახურობდა სამხედრო ატაშედ

იაპონიაში, შემდეგ ქვეითი რეგიმენტის მეთაურად, კორპუსის შტაბის უფროსად. საფრანგეთისათვის ბრძოლისას მეთაურობდა მე-3 ჩრდილო-აფრიკულ დივიზიას. 1943 წლისათვის მეთაურობდა დივიზია „კასაბლანკას". 1943 წლისას რეზიდენტი ტუნისში. 1950 წელს გადადგა.

32. გენერალი ბეთუარი (1889-1982) ფრანგი გენერალი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1940 წელს სარდლობდა ნორვეგიაში გაგზავნილ პოლონურ-ფრანგულ კორპუსს. საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ მსახურობდა მაროკოში, სადაც დაუკავშირდა ამერიკელებს და წინააღმდეგობის მოძრაობას. ნორმანდიაში გადასხდომისას სარდლობდა პირველ ფრანგულ არმიას. ომის შემდეგ სარდლობდა ავსტრიაში საფრანგეთის საოკუპაციო დადჯუფებას.

33. გენერალ მიშელიე სამწუხაროდ მასზე ბიოგრაფიული მონაცემების მოპოვება ვერ მოვახერხე.

34. კლარკი, მარკ უეინი (1896-1984) ამერიკელი გენერალი (1945) დაასრულა ვესტ-პოინტი, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, შემდეგ მუშაობდა გაერთიანებულ შტაბში. 1942 წლის ივლისიდან სარდლობდა ევროპაში (იგულისხმება დიდ ბრიტანეთში) ამერიკულ ძალებს. 1943-44 წლებში სარდლობდა მე-5 არმიას სიცილიაში. მოგვიანებით სარდლობდ არმიათა მე-15 ჯგუფს იტალიაში. კორეის ომისას იყო გაეროს ძალების სარდალი.

35. ჟუენი, ალფონს პიერი (1888-1967) ფრანგის სამხედრო მოღვაწე. საფრანგეთის მარშალი (1952). დაამთავრა სენ-სირის სასწავლებელი (დე გოლის კურსელი იყო). იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში, დაიჭრა. შემდეგ მსახურობდა ჩრდილო აფრიკაში. მეთაურობდა დივიზიას. დიუნკერკთან ტყვედ ჩავარდა. პეტენის თხოვნით გაათავისუფლეს და მალე ჩრდილო აფრიკაში ძალების სარდლადაც დანიშნეს. დე გოლის მხარეზე სწრაფი გადასვლით თავი გადაარჩინა. მოკავშირეების იტალიაში გადასხდომის შემდეგ იქ ფრანგების კონტიგენტს სარდლობდა. 1951-53 წლებში გენშტაბის უფროსი. გადაყენებულ იქნა დე გოლის ალჟირული პოლიტიკის კრიტიკის გამო.

36. დარლანი, ჟან ლუი ქსავიე ფრანსუა (1881-1942) ფრანგი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ადმირალი (1939). 1939 წელს საზღვაო გენშტაბის უფროსი, 1942 წელს დაინიშნავს ვიშის ძალების მთავარსარდლად. 1942 წლის ნოემბერში იმყოფებოდა რა ალჟირში, გასცა წინააღმდეგობის შეწყვეტის ბრძანება. მოკლა დე გოლის

მომხრე ახალგაზრდა ნაციონალისტმა, რომელიც დახვრიტეს, მაგრამ 4 წლის შემდეგ გაამართლეს.

37. **ჟირო, ანრი-ონორე** (1879-1949) ფრანგი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, 1940 წლის მაისში ტყვედ ჩავარდა, შემდეგ გაიქცა, დაამყარა კავშირი პეტენთან და მის ადმინისტრაციასთან. 1943 წლის ივნისში დე გოლთან ერთად იყო ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის თანათავმჯდომარე. ომის საფრანგეთის თავდაცვის უმაღლესი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე).

38. **ნოგესი, შარლ ოგიუსტ** (1876-1971) ფრანგი სამხედრო და კოლონიური მოღვაწე, დივიზიის გენერალი. დაამთავრა პოლიტექნიკური სკოლა, მსახურობდა მაროკოსა და ტუნისში. 30-იან წლებში მეთაურობდა დივიზიას, კორპუსს, 1936-42 წლებში გენერალური რეზიდენტი და მაროკოში დისლოცირებული ძალების სარდალი. უარი თქვა დე გოლთან თანამშრომლობაზე და ამ უკანასკნელის ჩრდილო აფრიკაში დამკვიდრების შემდეგ გაიქცა პორტუგალიაში. ჟიშისტებთან თანამშრომლობისათვის დაუსწრებლად მიუსაჯეს ოცწლიანი პატიმრობა. 1954 წელს დაბრუნდა სამშობლოში და ჩაბარდა საფრანგეთის ხელისუფლებას.

39. **ადმირალი დე ლაბორდი** (1878-1977) გრაფი, ფრანგი ადმირალი, დარლანის დაახლოებული პირი. 1947 წელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რომელიც სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს, ხოლო 1954 წელს საერთოდ გაათავისუფლეს.

40. **ერლანდ-ბეთელის** (სიტყვა სიტყვით „ჰაერმიწაზე ბრძოლა") კონცეფცია იყო ნატოს მიერ 1980-იან წლებში შემუშავებული ოპერატიული მიდგომა, რომელიც გულისხმობდა სახმელეთო და საჰაერო ძალების უაღრესად სინქრონიზებულ და კოორდინირებულ მოქმედებას ვ.ხ.-ს ძალების, განსაკუთრებით მეორე ეშელონის წინააღმდეგ.

41. **მე-2 საბჭოთა არმიაში შედიოდა** მე-16 გვარდიულის სატანკო, 94-ე გვარდიული სატანკო, 21-ე მოტომსროლელი, 297-ე მოტომსროლელი დივიზიები. სულ 834 ტანკი, 2266 სხვადასხვა ჯავშანმანქანა, 468 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.

42. **მე-3 საბჭოთა დამრტყმელ არმიაში შედიოდნენ** შემდეგი სატანკო დივიზიები №№ 7, 19, 12, 47. შეიარაღებაზე იყო 1200-მდე ტანკი, დაახლოებით ამდენივე საბრძოლო ჯავშანმანქანა და 400-მდე თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.

43. **მე-20 დამრტყმელ არმიაში შედიოდა** 90-ე სატანკო და

35-ე მოტომსროლელი დივიზია, აგრეთვე მე-6 ცალკე მოტომსროლელი ბრიგადა. არმია მონაწილეობდა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიის ინტერვენციაში. მასში შედიოდა 539 ტანკი, 1179 სხვადასხვა ჯავშანმანქანა, 352 თვითმავალი არტდანადგარი.

44. რაინის არმიის ჯავშანსატანკო დივიზიის ნომრები შესაბამისად იყო №№ 1, 3, 4. მათ გარდა ცალკე ბრიგადა დისლოცირებული იყო ოსნაბრიუკში, კიდევ ერთი ცალკე ბრიგადა ბერლინში. 80-იან წლებში არმიის შემადგენლობაში შედიოდა: 700-მდე ტანკი, 700-ზე მეტი ქსმ, 350-ზე მეტი ერთეული არტილერია.

45. ბუნდესვერის პირველ კორპუსში შედიოდნენ №№ 1, 2, 3 სატანკო დივიზიები და მე-11 მოტოქვეითი დივიზია. სულ კორპუსის შეიარაღებაზე იყო 1200-მდე ტანკი, 2000-ზე მეტი სხვადასხვა ჯავშანმანქანა, 500 ერთეული არტილერია.

46. ტერმინი „რეგიმენტი" დასავლეთში იმასვე აღნიშნავს, რასაც რუსული „პოლკი". ქვემოთ ამ ტერმინს ყველგან ვიხმართ დასავლური არმიების შესაბამისი დანაყოფის აღსანიშნად. ვხო-ს არმიებისათვის ყველგან ვიხმართ „პოლკს". აღსანიშნავია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის არმიებში „რეგიმენტი" ზოგჯერ ბატალიონის (ან გაძლიერებული ბატალიონის) ეკვივალენტურ ნაწილს აღნიშნავს.

47. ჰოლანდიური კლასიფიკაციით №№ 1, 4, 5 მექანიზებული დივიზიები. მობილიზაციის შემდეგ ამ დივიზიებში უნდა შესულიყო სამი სატანკო, შვიდი მექანიზებული და სამი ქვეითი ბრიგადა, პლუს ერთი ცალკე ქვეითი ბრიგადა. მათ შეიარაღებაზე იმყოფებოდა 900 ტანკი, 3600 ჯავშანმანქანა, 1100 ერთეული არტილერია.

48. ტერმინი „ქვეითი" მოიხმარება აგრეთვე „მოტოქვეითის" მნიშვნელობით, რის უფლებასაც გვაძლევს ის, რომ სამოციანი წლებისათვის ნატოს და ვარშავის ხელშეკულების ძალებმა დაამთავრეს სრული მოტორიზაცია და მექანიზაცია.

49. ბელგიას ჰყავდა ორი მოტოქვეითი დივიზია (№1, 16) და ცალკე დანაყოფები ბელგიელების შეიარაღებაზე იყო 700-მდე ტანკი, 2700-მდე ჯავშანმანქანა, 400-მდე არტსისტემა.

50. მათ შემადგენლობაში შედიოდნენ რეგიმენტები: კომანდოსის — 1, მსუბუქი ქვეითი — 2, პროვინციული დაცვის (ტერიტორიული) — 9.

51. ამ ფრანგულ კორპუსში შედიოდა განთქმული მე-2 ჯავშანსატანკო დივიზია, რომელმაც 1944 წელს გენერალ ლეკლერკის მეთაურობით გაათავისუფლა პარიზი და რომელიც ვერსალში იყო

დისლოცირებული, აგრეთვე ამიენში დისლოცირებული 8-ე ქვეითი დივიზია და სომიურში დისლოცირებული სასწავლო ქვეითი დივიზია. საჭიროების შემთხვევაში კორპუსის გაძლიერება შეეძლო ერთ სარეზერვო ქვეით დივიზიას. კორპუსს აძლიერებდა ცალკე მოტოქვეითი და ორი ჯავშანკავალერიის რეგიმენტი, აგრეთვე სხვა გამაძლიერებელი ნაწილები. სულ კორპუსის შეიარაღებაზე იყო 200-მდე ტანკი, 1000-მდე ჯავშანმანქანა და 130-მდე არტსისტემა.

52. **მე-8 საბჭოთა არმიის ყველა დივიზია გვარდიული იყო,** სახელდობრ სატანკო დივიზია №79; მოტომსროლელი დივიზიები №№ 27, 39, 57. სულ არმიის შეიარაღებაზე იყო 978 ტანკი, 1872 საბრძოლო დაჯავშნული მანქანა და 414 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.

53. **პირველი საბჭოთა არმიის დივიზიების ნომრები იყო შემდეგი:** სატანკო №№ 9, 11; მოტომსროლელი № 20. არმიის შეიარაღებაზე იყო 687 ტანკი, 1133 საბრძოლო დაჯავშნული მანქანა და 424 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.

54. **ჩეხოსლოვაკიაში დისლოცირებული** სატანკო დივიზიები №№ 15, 31 და მოტომსროლელი დივიზიები №№ 18, 10, 48. საბჭოთა დაჯგუფების შეიარაღებაზე იყო 1412 ტანკი, 2563 სხვადასხვა ჯავშანმანქანა, 1246 სხვადასხვა არტდანადგარი.

55. **გდრ-ს ამ არმიის შეიარაღებაზე** იყო 800-მდე ტანკი, 1500-მდე დაჯავშნული მანქანა და 400 ერთეულამდე არტილერია.

56. **ჩსსრ-ს ამ არმიების** შეიარაღებაზე იყო 1500-მდე ტანკი, 2000-მდე ჯავშანმანქანა, 1000-მდე ქვემეხი.

57. **თითოეულ ამერიკულ კორპუსში** (შესაბამისად №№ 5 და 7) შედიოდა თითო სატანკო დივიზია, შესაბამისად მე-3 და მე-4, დისლოცირებულები ჰანაუსა და გოტინგენში და თითო მექანიზებული დივიზია, შესაბამისად მე-3, მე-4, დისლოცირებული ვიურცბურგსა და აუგსბურგში; მათ ემატებოდა სამი ჯავშანსადაზვერვო რეგიმენტი: მე-2, მე-3, მე-4, დისლოცირებული ფულდაში, ნიურბერგში და შტაუბერგში. შეიარაღებაზე საწყობებში შენახული ტექნიკის ჩათვლით იყო 3500 ტანკი, 2200 ჯავშანმანქანა, 2000 არტსისტემა.

58. **ბუნდესვერის მე-3 კორპუსში** შედიოდა 2 სატანკო დივიზია (ფაიტსჰეჰაიმი, დიცი) და მოტოქვეითი დივიზია (კობლენცი), 800-მდე ტანკი, 1200-მდე ჯავშანმანქანა, 400-მდე არტსისტემა.

59. **პირველი ფრანგული არმიის** პირველ კორპუსში შედიოდნენ

№№ 7, 10 ჯავშანსატანკო დივიზიები (შესაბამისად დისლოცირებული ბეზანსონსა და შალონ-სურ-მარნაზე), მე-15 ქვეითი და მე-14 სასწავლო (შესაბამისად ლიმოჟი და მონპელიე). მე-2 კორპუსში გაერთიანებული იყო გერმანიაში დისლოცირებული სამი ჯავშანსატანკო დივიზია (№№ 1, 3, 5 შესაბამისად ტრირი, ფრაიბურგი და ლანდაუ. არმიის შეიარაღებაზე იმყოფებოდა. 700 ტანკი, 1400-მდე ჯავშანმანქანა, 280-მდე არტსისტემა

60. ბუნდესვერის მე-2 კორპუსი ასე გამოიყურებოდა: სატანკო დივიზია (ზიგმარინგენი), მოტოქვეითი დივიზია (რეგენსბურგი), საჰაერო-სადესანტო (ბრუჰზალი) და სამთო (გარმიშ-პარტერკირხენი) დივიზია. მათ შეიარაღებაზე იმყოფებოდა 800-მდე ტანკი, 2000-მდე ჯავშანმანქანა, 500-მდე არტსისტემა.

61. ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ამ ორ არმიაში შედიოდნენ შემდეგი დანაყოფები: 56-ე მმ დივიზია (ადავარე, ესტონეთი), 107-ე და მე-3 გვარდიული მმ დივიზიები (ვილნიუსი და კლაიპედა), 26-ე მმ დ-ია (გუსევი), 74-ე მმ დ-ია ჩერნიახოვსკი (ინსტენბურგი), კალინინგრადის მმ დ-ია. ამავე არმიებში შედიოდა შემდეგი სატანკო დივიზიები: 24-ე (დობილე, ლატვია), მე-40 სოვეტსკი (ტილზიტი); აგრეთვე კონიგსბერგში დისლოცირებული სატანკო დივიზია. ამავე ოლქში დისლოცირებული იყო მე-6 გვარდიული საჰაერო-სადესანტო და 44-ე სასწავლო საჰაერო-სადესანტო დივიზია (შტაბები შესაბამისად ვილნიუსსა და იონოვაში). სულ ბალტიისპირეთის ოლქის არმიები ითვლიდნენ: სატანკო დივიზია — 3, მმ დივიზია — 6, საჰაერო-სადესანტო დივიზია — 2 (მათგან ერთი სასწავლო), სულ 11 დივიზია. ბალტიის რესპუბლიკების ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის 1989-90 წლისათვის თავისი შედეგი გამოიღო და რაღაც ორ-სამ წელიწადში აქ რუსული დაჯგუფება არსებითად შემცირდა, ხოლო შტაბ-ბინა რიგიდან ყოფილ კონიგსბერგში იქნა გადატანილი. საბჭოთა კავშირის დაშლის ხანისათვის ოლქში შედიოდა „მხოლოდ" ერთი არმია, 3 სატანკო (მათგან ერთი საწვრთნელი), 4 მმ და ორი საჰაერო-სადესანტო (მათგან ერთი საწვრთნელი დივიზია). 2000 წლისათვის ამ დაჯგუფებას სულ 2 მმ დივიზია, სატანკო ბრიგადა, საწვრთნელი მმ პოლკი და საზღვაო ქვეითი პოლკიღა დარჩა. ბოლო მონაცემებით, ეს 13-ათასიანი დაჯგუფება 5 ათასამდე მცირდება. ოლქის შეიარაღებაზე იმყოფებოდა 1100-ზე მეტი ტანკი, 1250-მდე ჯავშანმანქანა, 400-მდე არტსისტემა (ყველაფერი ეს განლაგებულია ყოფილი კონიგსბერგის, აწ კალინინგრადის) ზონაში.

62. **ბელარუსის ოლქი** უფრო დეტალური განხილვისას მოიცავდა მე-7 გვარდიულ სატანკო არმიას (სატანკო დივიზიები №№ 19, 34, 37) და მე-5 სატანკო არმიას (სატანკო დივიზიები №№ 8, 30, 31, 193). აგრეთვე ერთი საერთოსაჯარისო (28-ე) არმიას (სატანკო დივიზია №6 და მოტომსროლელი №50). აგრეთვე ოლქის დაქვემდეგარებაში უშუალოდ შემავალი ერთი მოტომსროლელი დივიზია (№120). ამ არმიებში მთლიანობაში შედიოდა 8 სატანკო და 2 მმ დივიზია. სულ ოლქის შემადგენლობაში მყოფ დაჯგუფების შეიარაღებაზე იყო ტანკი – 2166, დაჯავშნული მანქა. . – 1800-მდე, არტილერია – 800-მდე ერთეული.

63. **იმიერკარპატეთის ოლქის შემადგენლობაში შედიოდა** მე-8 გვარდიული სატანკო არმია (სატანკო დივიზია №39 და №23), 38-ე არმია (მოტომსროლელი დივიზიები №№ 17, 70, 128, აგრეთვე ცალკე ნაწილები) და მე-3 არმია (მოტომსროლელი დივიზიები №№ 51, 97, 161); სულ ორი სატანკო და 6 მმ დივიზია. ოლქის შეიარაღებაზე იმყოფებოდა: ტანკი-2341, დაჯავშნული მანქანა-2064, არტილერიის ერთეული-1200.

64. **პომკუსის შემადგენლობაში** შედიოდა 1500-მდე ტანკი, 2200-მდე ჯავშანმანქანა, 450-მდე ერთეული არტილერია.

65. **ინგლისელთა გამაძლიერებელ ძალებში შედიოდა,** 300 ტანკი, 2000-მდე ჯტრ, 200-მდე ერთეული არტილერია.

66. **ფრანგების დივიზიების შეიარაღებაზე** იმყოფებოდა 400-მდე ტანკი, 1400-მდე დაჯავშნული მანქანა, 280-მდე ერთეული ქვემეხი.

67. **ესპანეთის არმიის შეიარაღებაზე** იმყოფებოდა 838 ტანკი (მათგან 299 მე-2 თაობის ფრანგული AMX-30 და 164 მოდერნიზებული ამერიკული M-48A5), რომლებიც მანამდე ბუნდესვერის ტერიტორიული ნაწილების შეიარაღებაში იყო). დანარჩენი ტანკები პირველი თაობის მოძველებული ამერიკული M-47-ები იყო), 1700-ზე მეტი ჯტრ, 450-მდე სადაზვერვო ჯავშანმანქანა, 156 თვითმავალი ჰაუბიცა, 722 ბუქსირებადი ჰაუბიცა, 432 100მმ კალიბრზე ზევით ნალმსატყორცნი, 442 ტრსკ-„მილანი" და 28 ტსრკ „ჰოტი", 189 შეეულმფრენი, მათგან – 28 დამრტყმელი.

68. **პორტუგალელების შეიარაღებაზე იმყოფებოდა:** ტანკი-146 (86 M-48-A5 და 60 მოძველებული MM-47), 255 ჯტრ, 170-მდე სადაზვერვო ჯავშანმანქანა, 148 ჰაუბიცა და 158 ნალსატყორცნი (100 მმ-ზე ზევით), 46 ტსრკ თოუ და 46 ტსრკ მილანი.

69. ესკადრილია ავიაციაში ბატალიონის ფარდი დანაყოფია. ამერიკელთა მე-17 საჰაერო არმიაში სულ შედიოდა, მათგან 173 F-16, (5 ესკ-ია პლუს რეზერვი), 3 ესკადრილია 70 (თვითმფრინავი) F-15-ით და 3 ესკადრილია F-4G (41 თვითმფრინავი). სულ არმიაში შედიოდა: ჰაერში ბატონობის გამანადგურებელი — 84 (70 F-15 გერმანიაში პლუს 14 F-15 ჰოლანდიაში), 173 F-16, 41 ანტირლს-ს გამანადგურებელი F-4G. მე-3 ამერიკულ საჰაერო არმიაში შედიოდა: სულ დამრტყმელი თვითმფრინავი F-111-153 (7 ესკადრილია დამრტყმელ და ერთი სადაზვერვო ვარიანტში), 6 ესკადრილია 120 შემტევი A-10-ით, სულ — 153 დამტყმელი და 120 შემტევი თვითმფრინავი.

სულ მშვიდობიანობისას ევროპაში დისლოცირებული იყო შემდეგი ამერიკული საავიაციო ძალები:

ჰაერში ბატონობის გამანადგურებელი F-15 — 84.

დამრტყმელი და ბრძოლის ველის იზოლირების თვითმფრინავი — 153 (F-111)

საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი 173 F-16.

ანტირადიოლოკაციური გამანადგურებელი — 41 F-4G.

შემტევი — 120 A-10.

70. **გერმანიის ავიაციის შემადგენლობაზე** იმყოფებოდა 223 დამრტყმელი (ბრძოლის ველის იზოლირების) თავითმფრინავი „ტორნადო", 231 ტაქტიკური გამანადგურებელი F-4 და 164 მსუბუქი შემტევი „ალფა ჯეთი".

71. **ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების გერმანიაში დისლოცირებული დაჯგუფება** (121, 134-ე, 136-ე საავიაციო და საავიაციო მხარდაჭერის 137-ე ავიაფრთა, რომლებიც შესაბამისად დისლოცირებულნი იყვნენ ვილდენრატის, ლაარბუხის, ბრიუგენისა და გიუთერსლოს ავიაბაზებზე). ვილდენრატში დისლოცირებული იყო F-4 „ფანტომების" ორი ესკადრილია (№№19, 92), რომლებიც მოგვიანებით შეიცვალა „ტორნადო F-2"-ით. ლაარბუხისა და ბრიუგენის ბაზებზე დისლოცირებულ ხუთ ესკადრილიაში (ნომრები შესაბამისად: 15, 16, 14, 17, 20, 31) შედიოდნენ „ტორნადოს" ტიპის დამრტყმელი თვითმფრინავები. დაბოლოს გიუთერსლიზე დისლოცირებულ ორ ესკადრილიაში (№№ 3, 4) შედიოდნენ „ჰარიერები". სულ ბრიტანეთის გერმანულ ავიადაჯგუფებაში შედიოდა: ტორნადო — 120, ჰარიერი — 36, F-4 — 24; სულ — 180-მდე თვითმფრინავი. **მთლიანად ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა შემდეგი საბრ-**

ძოლო თვითმფრინავები (სარეზერვოს ჩათვლით): დამრტყმელი (ბრძოლის ველის იზოლირების) გამანადგურებელი „ტორნადო“ – 203, „ტორნადო“ გამანადგურებელ-გზისგადამჭრელის ვარიანტში – 105. სულ „ტორნადო“ – 310-მდე. მსუბუქი ბომბდამშენი „ბაქანირი“ – 62; ტაქტიკური გამანადგურებელი „იაგუარი“ – 115. ვერტიკალური აფრენის განანაგურებელ-ბომბდამშენ „ჰარიერი“ – 124; ტაქტიკური გამანადგურებელი F-4 – 125. მსუბუქი შემტევი „ჰოუქ“-ი – 84. სულ – 820 საბრძოლო თვითმფრინავი.

72. **სულ საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების** შეიარაღებაზე იმყოფებოდა მე-4 თაობის საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი მირაჟ-2000-ის სხვადასხვა მოდიფიკაციები – 151. საშუალო ბომბდამშენი მირაჟ IV – 18; ტაქტიკური გამანადგურებელი მირაჟ-F1 – 207; გამანადგურებელ-ბომბდამშენი მირაჟ-5 – 39; გამანადგურებელ-ბომბდამშენი მირაჟ-3 – 113; გამანადგურებელ-ბომბდამშენი „იაგუარი“ – 156. მსუბუქი შემტევი „ალფა-ჯეთ“-ი – 159.

73. **ესპანეთის ავიაციის** შემადგენლობაში შედიოდა და მის შეიარაღებაზე იმყოფებოდა მე-4 თაობის საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი F-18 – 72; შედარებით მოძველებული (III თაობის) F-4 – 40; ტაქტიკური გამანადგურებელი F-5 – 47. მირაჟ F-1 – 57; მირაჟ-3 – 23. სულ – 240-მდე საბრძოლო თვითმფრინავი. **პორტუგალიის** ავიაციის შემადგენლობაში შედიოდა საშუალო შემტევი A-7 – 38. მსუბუქი შემტევი „ალფა ჯეთი“-ი – 10. მსუბუქი შემტევი ფიატ G-91 – 29, სულ – 77 თვითმფრინავი.

74. **ნიდერლანდების** ავიაციის შეიარაღებაზე შეიარაღებაზე იმყოფებოდა 181 F-16, ბელგიისაზე 120 F-16 და 65 მირაჟ-5. სულ-185 თვითმფრინავი. გერმანიაში დისლოცირებული კანადური ავიადივიზიაში შედიოდა 54 F-18.

75. **სულ დასავლეთის თეატრის მიმართულებით მოქმედი საბჭოთა** ავიაციის შემადგენლობაში შედიოდა: ერთი საჰაერო არმია, რომელსაც უშუალოდ თეატრის ინტერესებში უნდა ემოქმედა (შტაბბინა პოლონეთში, ლეგნიცაში). მის შემადგენლობაში იყო დამრტყმელი ავიაციის დივიზია (60 სუ-24), გამანადგურებელ-გზისგადამჭრელი დივიზია (105 მიგ-25, სუ-27) და სადაზვერვო დივიზია (40 სუ-24 და მიგ-25); **საჰაერო არმია** გდრ-ში – მის შემადგენლობაში იყო 2 გამანადგურებელ-ბომბდამშენი დივიზია (9 პოლკი, 290 მიგ 23, 27, სუ-17, 25); 3 გამანადგურებელი დივიზია (310 მიგ-23, 29); სამი

ცალკე სადაზვერვო პოლკი (75 მიგ-25, სუ-17, სუ-24); **პოლონეთში** დისლოცირებული იყო კიდევ ერთი შერეული ავიადივიზია (არასრული შემადგენლობის), რომლის შეიარაღებაზეც იმყოფებოდა ავიაპოლკი 35 გამანადგურებლით (მიგ 23, 29). **ბალტიისპირეთის ოლქში** შედიოდა საჰაერო არმია, რომელიც შედგებოდა გამანადგურებელ-ბომბდამშენი დივიზიისა (180 მიგ-23, 27) და სადაზვერვო პოლკისგან (25 სუ-17,24). **ბელარუსიის სამხედრო ოლქის** ტერიტორიაზე დისლოცირებული იყო საჰაერო არმია შემდეგი შემადგენლობით: დამრტყმელი თვითმფრინავების (საფრონტე ბომბდამშენების) დივიზია – 90 სუ-24 (სამი პოლკი); 3 შემტევი პოლკი – 90 სუ-25; გამანადგურებლების პოლკი – 55 მიგ-21, 29-ით და სადაზვერვო პოლკი – 50 (მიგ-21, 25 სუ-24). და ბოლოს, ერთი საჰაერო არმია დისლოცირებული იყო იმიერკარპატეთის ტერიტორიაზე. მასში შედიოდა ბომბდამშენი დივიზია (60 სუ-24); გამანადგურებელი დივიზია (110 მიგ-21, 23, 29), შემტევი პოლკი – 35 სუ-25; სადაზვერვო პოლკი – 30 მიგ-25 და სუ-24). **დასახელებულ ძალებს** უნდა დავამატოთ დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით მოქმედებისათვის გამიზნული ჰაერსაწინააღო ძალების ორი არმია 11 პოლკის შემადგენლობით, რომლის შეიარაღებაზე იმყოფებოდა 420 გზისგადამჭრელი მიგ-23, 25, 31 და სუ-27.

76. სულ თეატრის ორ ეშელონზე განლაგებული იყო შემდეგი ოდენობის ტაქტიკური ავიაცია: ბრძოლის ველის იზოლირების გამანადგურებელი (საბჭოთა კლასიფიკაციით საფრონტო ბომბდამშენი) – 305; გამანადგურებელ-ბომბდამშენი – 415; გამანადგურებელი – 650; გზისგადამჭრელი, მზვერავი და რადიოელექტრონული ბრძოლის გამანადგურებელი – 105, შემტევი – 195. სულ დაახლოებით 1650 თვითმფრინავი. ამ ოდენობას უნდა დავამატოთ კიდევ 420 გამანადგურებელ-გზისგადამჭრელი, რომლებსაც უნდა დაეცვათ სსრ კავშირის დასავლეთ ნაწილის საჰაერო სივრცე და რომლებიც უკარგისი იყო სახმელეთო. სამიზნეების წინააღმდეგ მოქმედებისათვის ამრიგად, სულ ვიღებთ 2200-მდე თვითმფრინავს. მათგან IV თაობის გამანადგურებელი – 445. **გდრ-ის** სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა 360 გამანადგურებელი და გამანადგურებელ-ბომბდამშენი, მათგან: 251 მიგ–21; 58 მიგ-23; 24 მიგ-29 და 27 სუ-22. **პოლონეთის** ავიაციის შეიარაღებაზე იმყოფებოდა – 149 მიგ-21; 27 მიგ-23; 22 მიგ-29 და 99 სუ-22. სულ 300-მდე გამანადგურებელი. **ჩეხოსლოვაკიის**

სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა 200-მდე გამანადგურებელი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი და შემტეები. მათგან 84 მიგ-21; 23 მიგ-29; 52 სუ-22; 12 სუ-25 და 17 L-39 (ჩეხური წარმოების მსუბუქი შემტეები). საბჭოთა სატელიტების შეიარაღებაზე იმყოფებოდა 865 გამანადგურებელი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი და შემტეები თვითმფრინავი. ამას ემატებოდა უკვე ძალიან მოძველებული თვითმფრინავები (მიგ-15, 17, 19, სუ-7), რომლებიც კიდევ საკმაოდ იმყოფებოდა ვხო-ს ქვეყნების შეიარაღებაზე. სულ ჩსსრ-ისა და პოლონეთის არმიების შეიარაღებაზე 380-მდე ასეთი მოძველებელი თვითმფრინავი იყო, რომელთაც ჩვენ ტაქტიკური გამანადგურებლების გრაფაში შევიყვანთ.

77. **ოპერატიული თვალსაზრისით,** ჩრდილო იტალიაზე შეტევისათვის ვარშავის ხელშეკრულების ძალებს პრინციპში შეეძლო ორი საკომუნიკაციო სისტემის გამოყენება: EA-14 ავტობანისა ტრავიზოს გაყოლებით და EA-6-სა ბრენერის უღელტეხილზე. პლავონოს და პლოკენის უღელტეხილებს, აგრეთვე მდინარე დრავას ველს შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ტრავიზოს ზონისა და პლოკენის უღელტეხილების მიმართულებით საბჭოთა ძალებს დაგეგმილი ჰქონდა ადრიატიკაზე გასვლა. საერთო შეტევითი მიმართულება იყო ვერონასაკენ. ბრენერიდან ვერონამდე გადასალახი იყო 170 კმ-მდე ძნელად გასავალელი ტერიტორია. იტალიის შუაგულში შესაღწევად საბჭოელებს მოუწევდათ ისეთი რთული დაბრკოლებების გადალახვა, როგორებიც არის: მდინარე ბრენტა, მონტი ბენიგე, ადიჯე და პო თავისი შენაკადებით, რომელნიც ტანკებისათვის ძნელად გადასალახია. საბჭოელების აზრით, ჰაერში ტოტალური ბატონობის მოპოვების გარეშე შეტევა ძნელი იქნებოდა და 6-8 დივიზიას მოითხოვდა. შეტევას აგრეთვე გაართულებდა სეზონური მეწყერები, თოვლი და ა.შ.

გარდა ავსტრიის მხრისა, იტალიაზე შეტევა მოსალოდნელი იყო იუგოსლავიის მხრიდანაც. ქალაქ გორიციასთან იტალია სამი მხრიდან არის შეჭრილი იუგოსლავიის ტერიტორიაში და მოსალოდნელი იყო, რომ ვარშავის ხელშეკრულების ძალები აქედანაც შეუტევდნენ იტალიას იუგოსლავიელთა ნებართვით ან ნებართვის გარეშე. აქედან ადრიატიკის ოპერატიული მიმართულებით, საკმაოდ დასავლეთით საბჭოელები 5-მდე დივიზიის გამოყენებას აპირებდნენ. მათ უპირისპირდებოდა სლოვენიასა და ხორვატიაში დისლოცირებული იუგოსლავიის სახალხო არმიის ნაწილები. იუგოსლავიას არცთუ მცირე როლი ენიჭებოდა ჩრდილო

იტალიის დაცვაში. ჯერ ერთი, მას შეეძლო საბჭოელების პოლიტიკური შეკავება კონფლიქტში ჩაბმისაგან და, თუ საჭირო გახდებოდა, გარკვეული სამხედრო შეკავებაც, განსაკუთრებით სავას დასავლეთი მიმართულებით, აგრეთვე ოცკილომეტრიან ზოლში (ავსტრიის საზღვრიდან სლოვენიამდე). იუგოსლავიის როლი ჩრდილო იტალიის დაცვაში მით უფრო საშური იყო იმიტომ, რომ მისი გავლით საბჭოელებს შეეძლებოდათ ადრიატიკის მხრიდან გვერდი აევლოთ იტალიის არმიის საუკეთესო შენაერთებისათვის — ალპურ მსროლელთა ბრიგადებისათვის.

მდინარე ტალიამენტოს ზონაში არსებობს მრავალრიცხოვანი არხები, რომლებიც გორიციის დაცვის ზონის პირველ ხაზს შეადგენდა. თუმცა საბჭოელებს შეეძლოთ პიავას გავლით ტაგლიამენტოს პოზიციის ზურგში გასვლა, სახელდობრ, 3 საავტომობილო და 2 სარკინიგზო ხიდის გამოყენებით. იუგოსლავიის მხრიდან საბჭოელებს აგრეთვე შეეძლოთ შეტევა უდინეს მიმართილებით. თუმცა იუგოსლაველთა თხოვნის შემთხვევაში იტალიელებს მათთან ერთად შეეძლოთ ისეთი თავდაცვითი სისტემის შექმნა, რომელიც საბჭოელთა უპირატესობას არაფრად აქცევდა. სახელდობრ, ლიუბლიანამდე წაწევით ისინი იუგოსლავებთან ერთად შექმნიდნენ ერთიან ფრონტს კარნიკული ალპებიდან ავსტრიამდე და იქიდან ადრიატიკის ზღვამდე. ოღონდ იმ პირობით, თუ იტალიელები მანამ დაიკავებდნენ ამ პოზიციას, ვიდრე იქ საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ძალები შეაღწევდნენ.

78. საბერძნეთზე შეტევისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო საბჭოთა დაჯგუფება და ბულგარეთის არმიის დაახლოებით ნახევარი. შეტევის თავდაპარველი ამოცანა უნდა ყოფილიყო ალექსანდრო-პოლისის დაკავება და ეგეოსის ზღვაზე გასვლა. ამ მიმართულებით შეტევისას ვარშავის ხელშეკრულების მთავარი სამიზნე უნდა ყოფილიყო კავალა. მთიანი ტერიტორიების და კუნძულების არსებობა მოითხოვდა ჰაერში ბატონობას და აერომობილური ძალების ფართო გამოყენებას. სოფია-თესალონიკი-ათენის მიმართულებით შეტევა აგრეთვე მოითხოვდა ჰაერში ბატონობასაც.

ჩრდილო საბერძნეთის ტერიტორია აგრეთვე მთიანი და არასტუ-მართმოყვარეა, რაც ხელს შეუშლიდა საბჭოთა აერომობილური ძალების მოქმედებას. შემტევ მხარეს ეგეოსის სანაპიროდან საბერძნეთის მაკედონიამდე და თრაქიამდე პარალელის მიმართულებით გასავლელი იყო 200-მდე კილომეტრი. ვარშავის ხელშეკრულების ძალები უნდა ჩაჰყოლოდნენ მდ. სტრუმას (სტრიმინს) თესალონიკისაკენ. ამ დროს

ტაქტიკური მიმართულება უნდა ყოფილიყო კერკენიტოსის ტბა. აქ საზღვროდან მოყოლებული გადასალახი იყო 10-მდე კილომეტრი, ურთულესი, დასერილი ადგილი. შემდეგ ვარშავის ხელშეკრულების ძალებს სტრუნას დაბლობზე უნდა შეეტია სერრამდე, საიდანაც უნდა შებრუნებულიყვნენ აღმოსავლეთით დრავამდე და შემდეგ მარიცას მიყოლებით უნდა შეეტიათ დასავლეთით.

ბერძენთა ძირითადი დაცვითი პოზიციები მდებარეობდა სტრუმას დასავლეთ ნაწილიდან ვერტისკოსის მთების გასწვრივ, სადაც მანევრისათვის ძალიან მცირე სივრცე იყო. ეგეოსის ზღვის მიმართულებით შეტევისას შემტევს უნდა გაევლო უაღრესად ძნელი სამ-კილომეტრიანი მონაკვეთი კერკენიტისის და დოირანისის გავლით (საბერძნეთში შეჭრა უფრო ადვილი იყო იუგოსლავიიდან ვარდარის გავლით).

79. **თეატრის დაქვემდებარებაში** მყოფი ავიაცია (შტაბი ვინიცაში) შედგებოდა ერთი საჰაერო არმიისაგან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა საფრონტო ბომბდამშენების ორი დივიზია (ხუთი ავიაპოლკი), რომელთა შეიარაღებაზე იმყოფებოდა 150 სუ-24; საფრონტო გამანადგურებლების ერთი დივიზია (ორი პოლკი) 80 მიგ-23-ით და სუ-27-ით; ერთი სადაზვერვო პოლკი 20 სუ-24-ით და რადიოელექტრონული ბრძოლის პოლკი 35 იაკ-28-ით. კიევის ოლქის ავიაცია შედგებოდა საჰაერო არმიისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საფრონტო ბომბდამშენების პოლკი — 60 სუ-24-ით და საწვრთნელ-საკავალერიო ავიაციის 9 პოლკი, რომელთა შეიარაღებაზე იყო მოძველებული გამანადგურებლები, სახელდობრ — 330 მიგ-21 და 525 ჩეხური სასწავლო-საბრძოლო L-29 და L-39. სამივე ტიპის თვითმფრინავებს სსრ კავშირის ტერიტორიის გარეთ მოქმედებებში მხოლოდ შეზღუდული მონაწილეობა შეეძლო მიეღო. ოდესის ოლქის დაქვემდებარებაში იყო ორი ავიაპოლკი: 60 გამანადგურებელ მიგ-23-ით და მიგ-29-თ და სადაზვერვო 30 სუ-17-ით. უნგრეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნისას ჩამოთვლილი ავიაციის ნაწილი იქ იყო დისლოცირებული 2 ავიადივიზია, 45 მიგ-29, 90 მიგ-23; 45 სუ-25 და 90 სუ-17, აგრეთვე ცალკე ესკადრილიას 15 მიგ-21. ცალკე ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის არმიაში შედიოდა 5 პოლკი, 190 გამანადგურებელ-გზისგადამჭრელი მიგ-23-ის, მიგ-25-ის და სუ-15-ის ტიპისა. ეს თვითმფრინავები გამიზნული იყო სსრ კავშირის ტერიტორიაზე მდებარე სტრატეგიული ობიექტების დასაცავად და

ვერ იქნებოდა გამოყენებული სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ. ასე რომ, მათი გამოყენება ავსტრია-იტალიისა ან თურქეთ-საბერძნეთის მიმართულებით ძალიან შეზღუდული იქნებოდა. ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ თეატრის დაქვემდებარებაში იყო: დამრტყმელი ავიაციის თვითმფრინავი — 230 სუ-24, საჰაერო ბატონობის 40 თვითმფრინავი სუ-27; საჰაერო ბრძოლის 30 თვითმფრინავი მიგ-29; 400 ტაქტიკური გამანადგურებელი მიგ-21 და მიგ-23, მათგან 330 მოძველებული მიგ-21. ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის 190 გამანადგურებელ-გზისგადამჭრელი, რომელთაც არ შეეძლო მოქმედება სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ.

80. ბულგარეთის ავიაციაში სულ შედგებოდა გამანადგურებლების 4 პოლკისაგან, რომლებშიც შედიოდა 22 მიგ-29, 26 მიგ-23 და 105 მიგ-21; შემტეეების პოლკი 39 სუ-25-ით. სადაზვერვო პოლკი 18 მიგ-21-ით, 5 მიგ-25-ით და 20 სუ-22. საწვრთნელ-საბრძოლო პოლკი 15 მიგ-21-ით, 16 მიგ-23-ითა და 37 L-39-ით. სულ ბულგარეთის ავიაციაში შედიოდა გამანადგურებლები: 22 მიგ-29, 5 მიგ-25, 42 მიგ-23, 138 მიგ-21, 20 სუ-22, აგრეთვე 39 სუ-25. სულ — 266 საბრძოლო თვათმფრინავი. **უნგრეთის** სამხედრო-საჰაერო ძალები შედგებოდა ავიაკორპუსისგან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 2 პოლკი (60 მიგ-21) და ერთი ცალკე ესკადრილია (9 მიგ-23), აგრეთვე სადაზვერვო ესკადრილია (11 სუ-22) და 34 მიგ-21 რეზერვში. სულ: მიგ-23 — 9; მიგ-21 — 94; სუ-22 — 11. სულ — 114 თვითმფრინავი. **რუმინეთის** სამხედრო-საჰაერო ძალები სულ ითვლიდა 360 უპირატესად მოძველებულ თვითმფრინავს. მათგან 18 მიგ-29 იყო; 38 — მიგ-23; 212 — მიგ-21; და 69 — რუმინულ-იუგოსლავიური მსუბუქი მოიერიშე IAR-93, აგრეთვე 26 ჩეხური მსუბუქი მოიერიშე L-39.

81. იტალიის ავიაცია შედგებოდა გამანადურებელ-ბომბდამშენების 6 ესკადრილიისაგან (სამი მათგანის შეიარაღებაზე იყო „ტორნადოები", ორისაზე — ფიატ G-91-ები, ერთის შეიარაღებაზე კი — F-104), გამანადგურებლების 7 ესკადრილიისგან (ყველას შეიარაღებაზე F-104), შემტეეების 4 ესკადრილიისა (ორი AMX-ით, თითო ფიატ G-91 და MBB-339) და ერთი სადაზვერვო ესკადრილიისაგან (F-104). სასწავლო-საბრძოლო ავიაციაში შედიოდა 6 ესკადრილია ფიატ G-91-ით, MBB-339-ით და სხვა თვითმფრინავებით, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებისათვის შეზღუდულად შეიძლებოდა გამოყენებულიყო. სულ იტალიის საბრძოლო ავიაციის შეაირაღებაზე იყო შემდეგი თვით-მფრინავები: დამრტყმელი — 96 „ტორნადო"; გამანადგურებელი — 238

F-104; შემტეები – AMX-52; MBB-339 – 93; ფიატ G-91 – 129. სულ – 600-ზე მეტი თვითმფრინავი, მათგან 100-მდე რეზერვში. **საბერძნეთის** სამხედრო-საჰაერო ძალები შედგებოდა გამანადგურებელ-ბომბდამშენების 10 ესკადრილიისგან (ოთხი F-104-ით, 3 A-7-ით, ორი F-16-ითა და ერთი „ფანტომით"); გამანაგურებლების 9 ესკადრილიისგან (ოთხი F-5-ით, ორი – „ფანტომით", ორი მირაჟ F-1-ითა და 2 მირაჟ-2000-ით) და სადაზვერვო თვითმფრინავების 2 ესკადრილიისაგან (F-4 და F-104 სადაზვერვო ვარიანტებში). სულ საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაზე იყო მეოთხე თაობის საჰაერო ბრძოლის გამანადგურებელი: 40 F-16 და 36 მირაჟ-2000, აგრეთვე მეორე და მესამე თაობის შემდეგი ტაქტიკური გამანადგურებლები: ფანტომი – 54; F-104 – 120; F-5 – 106; მირაჟ F-1 – 40, აგრეთვე 52 შემტეები A-7. სულ – 450-მდე საბრძოლო თვითმფრინავი. **თურქეთის** ავიაციაში შედიოდა: საჰაერო ბრძოლის მეოთხე თაობის გამანადგურებლების სამი ესკადრილია (F-16-ით); გამანადგურებელ-ბომბდამშენების 14 ესკადრილია (ხუთ-ხუთი F-104-ითა და F-5-ით და ოთხი F-4 „ფანტომით"), გამანადგურებლების ორი ესკადრილია (F-104-ით). სულ შეიარაღებაზე იმყოფებოდა შემდეგი მანქანები: F-16 – 71; F-4 – 171 ; F-5 – 180; F-104 – 270. სულ – 700-მდე თვითმფრინავი, მათგან 150-ზე მეტი რეზერვში).

82. ცალკე გასარკვევი იყო ბალანსი სამხედრო-საჰაერო ძალებს შორის. საბჭოელთა დაჯგუფება შედგებოდა ჰაერსაწინაღო დაცვის არმიისაგან (9 პოლკი მიგ-25, 31, სუ-15, 27) და ერთი საჰაერო არმიისაგან (ორი ბომბდამშენი პოლკისა (60 სუ-24) და ერთი სადაზვერვო პოლკის (35 მიგ-25) შემადგენლობით. საბჭოელთა საავიაციო დაჯგუფების დამრტყმელი პოტენციალი პრინციპში შეიძლება დახასიათდეს, როგორც არასაკმარისი, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა გზისგადამჭრელებს და სადაზვერვო მიგ-25-ს არ შეეძლო სახმელეთო მიზნების წინააღმდეგ მოქმედება.

ნატოს გაერთიანებულ სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა ნორვეგიისა და დანიის სსძ-ები, გერმანიის ორი ესკადრილია. ამას უნდა დაემატოს აშშ-ისა და ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიაცია. ნორვეგიის სამხედრო-საჰაერო ძალებში შედიოდა 61 F-16 და 29 F-5, ხოლო დანიის სამხედრო-საჰაერო ძალებში – 63 F-16 და 43 შვედური გამანადგურებელი „დრაქენი"; სულ – 124 F-16 და 72 სხვა გამანადგურებელი, ჯამში – 200-მდე გამანადგურებელი. ინგლისის

სამხედრო-საზღვაო ავიაციის შემადგენლობაში იყო 45 „ჰარიერი“. აშშ-ის დამრტყმელ ავიამზიდებზე შეიძლებოდა გაშლილიყო მინიმუმ 48 F-14 და 72 F-18 (იმ ანგარიშით, რომ ამერიკელები თეატრზე გამოიყენდნენ ერთდროულად ორ დამრტყმელ ავიამზიდს, ორი რემონტში იქნებოდა და ორიც — ოპერატიულ რეზერვში). მინიმალურ ოდენობას ვიღებთ ნატოსათვის, თორემ დამრტყმელი ოპერაციებისას ავიამზიდების რიცხვი ალბათ ორზე მეტი იქნებოდა. ამ ოდენობას უნდა დაემატოს საზღვაო ქვეითი კორპუსის პოტენციალი, მინიმუმ 50 F-18-ითა და 25 „ჰარიერით“. სამხედრო-საჰაერო ძალებიდან შეიძლებოდა გამოყოფილი ყოფილიყო 100-მდე ტაქტიკური ბომბდამშენი F-111. ამრიგად, ამერიკელთა ავიაცია თეატრზე შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო 100-მდე დამრტყმელი F-111-ით, 122 საჰაერო ბრძოლის თვითმფრინავით F-18-ით, 25 „ჰარიერით“ (ინგლისელებთან ერთად ამ ტიპის 70 შემტევი) და 48 გზისგადამჭრელი F-14-ით; სულ — 300-მდე სხვადასხვა სახის განმანადგურებლით. თეატრის ისედაც სოლიდური პოტენციალი შეეძლო გაეძლიერებინა აშშ-ის კონტინენტალური ნაწილიდან გადასროლილ F-15-ს, F-16-სა და „ფანტომებ“-ს, აგრეთვე ინგლისურ და გერმანულ „ტორნადოებს“. მაგრამ უამისოდაც ნატო უპირატესობას ფლობდა. მით უფრო, თუ ამას დაემატებოდა შვედეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები, რომელთა შეიარაღებაზეც იმყოფებოდა იმ დროისათვის თანამედროვე 300-მდე გამანადგურებელი „ვიგენი“. ამ შემთხვევაში ნატოს პოტენციალი 800 გამანადგურებელს მიაღწევდა (მათ შორის 300-მდე მე-4 თაობისა, ისიც აშშ-ის, გერმანიისა და ბრიტანეთის გამაძლიერებელი ძალების გარეშე). ამ 800 გამანადგურებელს უპირისპირდებოდა სულ 400-მდე საბჭოთა გამანადგურებელი, რომელთაგან სახმელეთო მიზნების წინააღმდეგ მოქმედება მხოლოდ 60-ს შეეძლო.

83. მალბოროს ჰერცოგი, (დუკა), ჯონ ჩერჩილი (1650-1722) ინგლისელი მხედარმთავარი და პოლიტიკოსი. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის 1701-1714 წლების ომისას კონტინენტზე ინგლისი საექსპედიციო ჯარების სარდალი. დაამარცხა ფრანგები გაჰშტედტის და მალპლაკის ბრძოლებში. მანევრების დიდი ოსტატი. უინსტონ ჩერჩილის წინაპარი.

84. ოიგენ (ევგენი) საოელი (1663-1736) ცნობილი ავსტრიელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. გენერალისიმუსი. იზრდებოდა საფრანგეთის სამეფო კარზე. იყო კარდინალ მაზარინის დისშვილი.

დედამისისადმი ლუი XIV-ის სიყვარული ესოდენ მხატვრულად აღწერა ალექსანდრე დიუმა-მამამ თავის „ვიკონტ დე ბრაჟელონში". საფრანგეთის კარზე სხვადასხვანაირი დამცირებით თავმობეზრებული ოიგენი ავსტრიელთა სამსახურში გადავიდა და ესპანეთის მემკვიდრეობის ომისას რამოდენიმეჯერ დაამარცხა ფრანგები (მათ შორის მალბოროსთან ერთად), მაგრამ დამარცხდა დენენთან. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ოსმალეთთან ომებისას, რამოდენიმეჯერ სასტიკად დაამარცხა ისინი და ბელგრადი წაართვა. სახელი გაითქვა თავის დროის ინტელექტუალებთან მეგობრობით. დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა თავისი ნაშრომი „მონადოლოგია", სადაც კაცობრიობის ისტორიაში პირველადაა გადმოცემულია თანამედროვე პოსტინდუსტრიული, უფრო ზუსტად ინფორმაციული საზოგადოების არსებობის პრინციპები, სწორედ პრინც ოიგენს მიუძღვნა.

85. **ერცჰერცოგი კარლი ფონ ჰაბსბურგი** (1771-1847) ავსტრიელი უფლისწული, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. გენერალისიმუსი (1806). ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხედარმთავარი, ვინც ფეოდალურმა ევროპამ ნაპოლეონს დაუპირისპირა. ნაპოლეონზე ორი წლით უმცროსმა კარლმა პირველმა მოახერხა რევოლუციური საფრანგეთის არმიების დამარცხება. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ბონაპარტე ჩრდილო იტალიაში ომობდა, ხოლო მის შემდეგ ყველაზე ნიჭიერმა ფრანგმა სარდლებმა, მორომ და ჟურდენმა, რაინი გადალახეს და ავსტრიის სიღრმეში აპირებდნენ შეჭრას. კარლმა ისინი სასტიკად დაამარცხა და რაინის იქით გადაყარა. მართალია კარლი ნაპოლეონთან —შეტაკებისას თითქმის ყოველთვის მარცხდებოდა, მაგრამ ერთის მხრივ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაპოლეონი ნაპოლეონი იყო, და მეორეს მხრივ ის, რომ ნაპოლეონს სულ უფრო უჭირდა ხოლმე კარლთან ბრძოლა, რასაც ვაგრამთან ორი მხედარმთავრის შებრძოლება ადასტურებს. ნაპოლეონის მიერ არაერთგზის გამოხატულმა დიდმა პატივისცემამ კარლის მიმართ შეაშფოთა კარლის ბიძაშვილი — ავსტრიის იმპერატორი. ის შიშობდა რომ ნაპოლეონის მას გადააგდებდა და ავსტრიის ტახტზე კარლს დასვამდა. ამიტომ მან უბრძანა ერცჰერცოგს ყველა საქმეს ჩამოშორებოდა და თავის მამულში ეცხოვრა. ამ ბრძანებას კარლი უდრტვინველად დაემორჩილა. სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი თავის მამულში, კაბინეტში გაატარა, ხოლო მისმა ბიძაშვილმა 1813 წელს ხსენებული მოტივაციით უარყო ალექსანდრე I-ის წინადადება ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანებული

ევროპული ძალების სარდლად კარლი დაენიშნათ. არადა ეფიქრობთ კარლი უკეთ გაართმევდა გაერთიანებული ჯარების სარდლის ფუნქციას ვიდრე ველინგტონი ან ბლუხერი (კუტუზოვი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო).

86. ეპამინონდი (დაახლ. 428-362 ჩვ.წ-ამდე), ძველი ბერძენი მხედარმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. ანტიკური ხანის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი სარდალი. იყო ძველ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფო თებეს სტრატეგი. მანამდე უძლეველ სპარტელებთან ბრძოლისას მან პირველად მოახერხა მნიშვნელოვანი გამარჯვებების მიღწევა. ლევკტას ბრძოლისას მან, როგორც ჩანს კაცობრიობის ისტორიაში პირველმა, გამოიყენა ძალების არათანაბარი განაწილების პრინციპი. მან ერთი ფლანგის შესუსტების ხარჯზე გააძლიერა მეორე ფლანგი და სასტიკად დაამარცხა მანამდე უძლეველი სპარტელები.

87. მოლტკე უმცროსი, ჰელმუტ იოჰან ლუდვიგი (25.5.1848 – 18.6.1916), გერმანელი მხედარმთავარი, დიდი მოლტკეს ძმისშვილი. 1891 წლიდან იმპერატორ ვილჰელმის ფლიგელ-ადიუტანტი, 1899-1902 წლებში სარდლობდა ბრიგადას, 1903 წლიდან გენერალ-კვარტირმაისტერი, 1906 წლიდან გენშტაბის უფროსი. მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა შლიფენის გეგმაში, რის გამოც ისტორიკოსებისა და მემუარისტების გაელენიანი ნაწილის კრიტიკას იმსახურებს. 1914 წელს მარნაზე განცდილი მარცხის შემდგ თანამდებობიდან გადააყენეს.

88. ოსტროგრადსკი მიხაილ ვასილევიჩი (1801-1862) რუსი მათემატიკოსი და მექანიკოსი.

89. კაპორეტო ადგილი იტალიაში სადაც პირველი მსოფლიო ომისას ავსტრიელებმა მოულოდნელი დარტყმით ისე დაამარცხეს იტალიელები, რომ გაჩნდა იტალიის ომიდან გამოსვლის საფრთხე.

90. იომკიპურის ომი (იომკიპური ებრაული დღესასწაულია, რომელიც შემოდგომაზე აღინიშნება) 1973 წლის ომი ებრაელებსა და არაბებს შორის. დაიწყო არაბების მოულოდნელი შეტევით და ერთ პერიოდში ისრაელის არმიამ თითქოს მდგრადობაც კი დაკარგა, მაგრამ ნატიფად დაგეგმილი და კარგად შესრულებული კონტრშეტევების წყალობით არათუ უკუაგდეს არაბები, არამედ შექმნეს წინაპირობები ქაიროსა და დამასკის ასაღებად. ომი აშშ-სა და სსრ კავშირის ჩარევის შედეგად შეწყდა.

91. ჟომინი, ანტუან ანრი (1779-1869) შვეიცარული წარმოშობის სამხედრო მოღვაწე და თეორეტიკოსი. სამსახური დაიწყო საფრანგეთის

ჯარებში შემავალ ერთ-ერთ შვეიცარულ რეგიმენტში. 1804 წლიდან მსახურობდა ფრანგულ არმიაში. 1808 წელს დაინიშნა ესპანეთში მებრძოლ მარშალ ნეის დაჯგუფების შტაბის უფროსად. რუსეთზე ნაპოლეონის თავდასხმის შემდეგ იყო ჯერ ვილნიუსის, ხოლო შემდეგ სმოლენსკის გუბერნატორი. მისი ძალისხმევით საფრანგეთის გადარჩენილი ჯარების რუსეთიდან ევაკუაცია მეტ-ნაკლებად წარმატებით დასრულდა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ შევიდა რუსების სამსახურში, სადაც მიიღო ჯერ გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1837 წელს ინიშნება ტახტის მემკვიდრის (მომავალი ალექსანდრე II) მასწავლებლად სტრატეგიაში. 1855 წლიდან დაბრუნდა ევროპაში.

92. პერიკლე (ჩვ. წელთაღრიცხვამდე 490-429) ძველი ბერძენი პოლიტიკური მოღვაწე, ათენის სტრატეგი. გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებმაც ათენი უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად აქცია. მისი მმართველობის დასასრული ემთხვევა ძველ ბერძნებს შორის ძმათამკველი ე.წ. პელოპონესის ომის დაწყებას. ამ ომმა ბოლო მოუღო ძველ საბერძნეთში ათენის ჰეგემონიას.

93. სუნ-ძი (სუნ-ზუ) როგორც ჩანს პირველი სამხედრო თეორეტიკოსი კაცობრიობის ისტორიაში. (ჩვ.წ-აღრიცხამდე 6-5 საუკუნეები). ძველი ჩინელი მოაზროვნე. კაცობრიობის ისტორიაში უძველესი სამხედრო ტრაქტატის სუნ-ძი ბინ ფა-ს („მოძღვარ სუნის კანონები ომის შესახებ") ავტორი. მისი მიხედვით ომის საფუძველი ხუთ დასაბამში ძევს, რომელთაც იგი „გზას", „ცას" „მიწას" „მხედარმთავარს" და „კანონს" უწოდებს. მისი აზრით ომის მიზნების მიღწევის საუკეთესო საშუალებაა მოწინააღმდეგის დამარცხება ბრძოლის გარეშე, ბრძოლა მხოლოდ უკიდურესი საშუალებაა, როცა სხვა გამოსავალი აღარ არსებობს. სუნ-ძის შეხედულებებს დღესად არ დაუკარგავს აქტუალობა. მე-20 საუკუნეში მისი ტრაქტატი ინგლისურად გამოვიდა ბეზილ ლიდელ-ჰარტის წინასიტყვაობით და საფუძვლად დაედო არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიას. სუნ-ძის ტრაქტატი თარგმნილია ქართულადაც.

94. კაუტალია ძველი ინდოელი ბრძენი და სახელმწიფო მოღვაწე. ქურუმი, რომლის მოღვაწეობის ხანაზე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა (ამპლიტუდა ძვ. წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნიდან ახ. წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნემდე). არის ავტორი დიდი ზომის ტრაქტატისა „ართჰაშასტრა" ანუ სახელმწიფოს სწორედ მართვის ხელოვნება.

პოლიტიკასთან,ეკონომიკასთან და დიპლომატიასთან ერთად ის მოიცავს სამხედრო სფეროსაც. კაუტილიაც, სუნ-ძისი არ იყოს იმდენად წმინდა პირდაპირ სამხედრო მეთოდებს კი არ ანიჭებს უპირატესობას, რამდენადაც არაპირდაპირს: დეზინფორმაცია, ძირის გამოთხრა და ა.შ.

95. ტიურენი, ანრი დე ლა ტურ დოვერნი (1611-1675), ფრანგი მხედარმთავარი, საფრანგეთის მარშალი (1643), მთავარი მარშალი (1660). ოცდაათწლიანი ომისას მოიპოვა გამარჯვებები ჰაბსბურგებზე ფრაიბურგთან, ნორდლინგენთან (პრინც კონდესთან ერთად) და ზუცმარსჰაეზენთან (შვედებთან ერთად). ჰოლანდიასთან ომისას გაიმარჯვა ზინცჰაიმთან და ტურნჰაიმთან. ტურენის სტრატეგია ემყარებოდა მანევრირებისა და გენერალური ბრძოლის საინტერესო სინთეზს. დაიღუპა ბრძოლის ველის რეკოგნისცირებისას გერმანიის დასახლებულ პუნქტ ზესბახთან.

96. გრანტი, ულისი (1822-1882) ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი. ოფიცრად მსახურობდა 1843 წლიდან. 1846-48 წლენში მონაწილეობდა ამერიკა-მექსიკის ომში. სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ ჩრდილოელების კოლონელი, მოგვიანებით ბრიგადის გენერალი, ხოლო მას შემდეგ რაც ილინოისიდან განდევნა კონფედერატები ლინკოლნმა მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა. 1864 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი და ჩრდილოელთა ჯარების მთავარსარდალი. 1868-76 წლებში ამერიკის პრეზიდენტი. ამ პოსტზე მისი მოღვაწეობა გამოირჩეოდა ამერიკული დიპლომატიის გააქ-ტიურებით.

97. შერმანი, უილიამ თეკუმსე (1820-1891) ამერიკელი სამხედრო მოღვაწე, არმიის გენერალი (1869), მონაწილეობდა ამერიკა-მექსიკის ომში. ამერიკის სამოქალაქო ომში თანმიმდევრულად სარდლობდა რეგიმენტს, ბრიგადასა და დივიზიას. 1869-83 წლებში აშშ-ს შეი-არაღებული ძალების სარდალი (იმხანად ასეთი თანამდებობაც არსებობდა).

98. მეჰენი ალფრედ თეიერ — აშშ-ს გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — ცხოვრობდა და მოღვაწე-ობდა 1854-1914 წწ.-ში. მის კალამს ეკუთვნის ისეთი საეტაპო მნიშვნელობის შრომები როგორიცაა „საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე. 1660-1783 წწ." (1890), „საზღვაო ძალის გავლენა საფრანგეთის რესპუბლიკასა და იმპერიაზე. 1793-1812 წწ." (1890-1892) და სხვ. რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს იმ დროის (და

არა მხოლოდ იმ დროის) პოლიტიკური და სტრატეგიული აზროვნების განვითარებაზე. უკანასკნელთან დაკავშირებით ალბათ საკმარისი იქნება იმაზე მითითება, რომ მისი მთავარი შრომა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ოცდათორმეტჯერ გამოიცა და თითქმის ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა (ამ ფონზე ალბათ არც ის არის გასაკვირი, რომ ბრიტანელი რეცენზენტები მას „ბრიტანული დიდების ევანგელიას" და აგრეთვე „საზღვაო ისტორიის ფილოსოფიას" უწოდებდნენ). ხოლო კაიზერი ვილჰელმ II ზეპირად სწავლობდა ადმირალ მეჰენის მთავარ იდეას („Once formulated consciously this thought became the nucleus of all my writing for twenty to come. I owed it no other man). **მეჰენის ძირითად თეზისს ისტორიის მსვლელობასა და ხალხების ბედზე საზღვაო ძალის გადამწყვეტი გავლენის იდეა** წარმოადგენდა. სწორედ ამგვარ კონკრეტიზაციას და განვითარებას იღებდა მასთან ქვეყნის ისტორიულ მდგომარეობაზე მისი გეოგრაფიული მახასიათებლების გავლენის თეზისი. რაც შეეხება საზღვაო ძლიერების კონკრეტულ-ემპირიულ განსაზღვრას, ამასთან დაკავშირებით მეჰენთან შემდეგი ფორმულა ფიგურირებს: N+M+NG=SP, სადაც N სამხედრო ფლოტს აღნიშნავს, M – საავაჭრო ფლოტს, NG – სამხედრო-საზღვაო ბაზებს, ხოლო SP– საზღვაო ძალას, რომელიც მასთან ეროვნული ძლიერების ტოლფასია. ე. ი. ფორმულა შემდეგ ინტერპრეტაციას იღებს: **სამხედრო ფლოტს+საავაჭრო ფლოტი+სამხედრო-საზღვაო ბაზები=საზღვაო ძალას/ეროვნულ ძლიერებას.** მისი თვალსაზრისის უფრო თვალსაჩინო გადმოცემისათვის შეგვიძლია ციტირების ხერხს მივმართოთ. „ერის... ძლიერებას არყევს არა მოწინააღმდეგის ცალკეული ხომალდების ან ბადრაგების ხელში ჩაგდება... – ამბობს ერთგან მეჰენი – არამედ უპირობო ბატონობა ზღვაზე, რაც ალაგმავს საოკეანო სივრცეებიდან მოწინააღმდეგის ალმებს... ამგვარი უპირატესობა ქვეყანას საშუალებას მისცემს კონტროლი დააწესოს საოკეანო სივრცეებზე და ჩაკეტოს ის გზები, რომლითაც მოძრაობენ მოწინააღმდეგის საავაჭრო გემები. ასეთი უპირატესობა კი მხოლოდ დიდი ფლოტების ფლობის შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული." ვფიქრობთ, წარმოდგენილი დესკრიფცია საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველს საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა შეექმნას მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ნააზრევის თავისებურებებზე. სურათის გასასრულებლად შეგვიძლია უბრალოდ დავძინოთ, რომ აღნიშნულ კონცეფციაში ასევე ცენტრალურ როლს თამაშობს იდეა საზღვაო და

სახმელეთო ძალების დიხოტომიისა და ოპოზიციურობის, და აგრეთვე, საბოლოო ჯამში, საზღვაო ძალის ისტორიული უპირატესობის შესახებ. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ წიგნის ისედაც დიდი მოცულობა არ აძლევს საშუალებას უფრო დაწერილებით გადმოიცეს მეჰენის იდეები. ეგებ ეს ოდესმე სხვა დროს მოხერხდეს.

99. დუე, ჯულიანო (1869-1930) იტალიელი გენერალი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პოზიციური ჩიხის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ამგვარი ჩიხის თავიდან ასაცილებლად გადამწყვეტი როლის შესრულება ავიაციას, უპირველეს ყოვლისა, მძიმე ბომბდამშენ ავიაციას შეუძლია.

100. SAS სპეციალური საჰაერო სამსახური – ბრიტანეთის უნივერსალური სპეციალური დანიშნულების დანაყოფები, რომლებსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლიათ ანტიტერორისტული მოქმედება, სიღრმის დაზვერვა, დესანტების პირველ ეშელონებში მონაწილეობა, სადაზვერვო-დივერსიული ქმედებების განხორციელება და მთაში სპეცოპერაციების ჩატარება. ამჟამად ბრიტანეთის არმიაში შედის SAS-ის 3 რეგიმენტი. მათი დევიზია „იმარჯვებს ის, ვინც რისკავს".

101. იამამოტო ისიროკუ (1884-1943) იაპონელი ადმირალი პერლ-ჰარბორზე იაპონური ავიამზიდების თავდასხმის გეგმის შემმუშავებელი და განმახორციელებელი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, სადაც იყო ადმირალ ტოგოს ადიუტანტი და მონაწილეობდა ცუსიმას ბრძოლაში რუსული ფლოტის განადგურებაში (პერლ-ჰარბორზე შეტევისას იამამოტომ იაპონურ ფლაგმანზე სწორედ ის დროშა აღმართა რომელიც იმპერიის ფლოტს მიუძღოდა ცუსიმის ბრძოლისას). 1939 წლიდან იაპონიის გაერთიანებული ფლოტის სარდალია. მისი სტრატეგიისათვის დამახასიათებელი უმაღლესი ფილიგრანულობის შერწყმა ლამის ავანტურისტობასთან მისულ რისკიანობასთან. 1943 წელს ამერიკელებმა, რომლებიც თავისუფლად კითხულობდნენ იაპონელთა საიდუმლო კოდებს, შეიტყვეს იამამოტო თვითმფრინავის მარშრუტი, საჰაერო ჩასაფრება მოუწყეს მას და დაცხრილეს მისი თვითმფრინავი. იამამოტო დაიღუპა. თუმცა მისი საქმე უკვე მანამდე იყო წაგებული.

102. ტრენჩარდი, ჰიუ (1873-1956) ინგლისის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთი შემქნელი. ინგლისის არმიაშია 1873 წლიდან. მონაწილეობდა ინგლის-ბურების ომში. 1912 წელს დაამთავრა საფრენოსნო სკოლა. პირველი მსოფლიო ომისას ჯერ საშობლოში,

ხოლო შემდეგ საფრანგეთში შეიმუშავე რამოდენიმე ტაქტიკური ხერხი, უპირატესად ჰაერში ბატონობის მოსაპოვებლად. 1918 წელს სამხედრო ისტორიაში პირველმა შექმნა ბომდამშენების დამოუკიდებელი გაერთიანება და დაიწყო გერმანიის სამრეწველო ობიექტების დაბომბვა. 1927 წლამდე საჰაერო ძალების შტაბის უფროსი. ბრიტანეთში პირველს მიენიჭა ავიაციის მარშლის წოდება.

103. ნატოს ავიაცია იტალიის ბაზებზე შემდეგნაირად იყო დისლოცირებული: განსაკუთრებით გამოირჩეოდა ავიანოს ბაზა, სადაც დისლოცირებული იყო F-16-ის ორი ავიაესკადრილ ., F-117-ების ავიაესკადრილია, A-10-ების ავიაესკადრილია, რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავების EA-6 -ს ავიაესკადრილია, აგრეთვე F-18-ით აღჭურვილი ორი კანადური და ერთი ესპანური ავიარგოლი და ერთი პორტუგალური ავიარგოლი F-16-ებით. სხვა ამერიკული თვითმფრინავები შემდეგნაირად იყვნენ განლაგებულნი: ჩერვიას ბაზაზე F-15-ების ესკადრილია, სიცილიაზე, სიგონელას ბაზაზე F-16-ის ორი ავიაესკადრილია, შპანგდალემის ბაზაზე (გერმანია) F-15-ები და F-117-ების თითო ესკადრილია და F-16-ის ორი ესკადრილია. ავიანოს ახლოს, ისტრანას ავიაბაზაზე განლაგებული იყო ფრანგული ავიაესკადრილია მირაჟ-2000-ებით და ფრანგულივე რგოლი „იაგუარებზე", გედის ავიაბაზაზე დისლოცირებული იყო თურქული ავიასკადრილია F-16-ით, პიაჩენცაზე გერმანული ესკადრილია „ტორნადოებზე". ცენტრალურ იტალიაში განლაგდნენ ნატოს მცირე სახელმწიფოთა ძალები: გრაცანისეზე ორ-ორი დანიური და ნორვეგიული ავიარგოლები, ხოლო ამენდოლაზე თითო ბელგიური და ჰოლანდიური ავიასკადრილია (ყველა F-16-ით). და ბოლოს, სამხრეთით მდებარე ჯოიას ავიაბაზაზე დისლოცირებული იყო იტალიური „ტორნადოების" ავიასკადრილია და ინგლისური „ჰარიერების" და „ტორნადოების" თითო ავიარგოლი. მოგვიანებით ეს დაჯგუფება კიდევ უფრი გაძლიერდა და ამერიკელთა მხრიდან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღო 23 F-117-მა და 242 F-15-მა და F-16-მა, ხოლო ინგლისელთა მხრიდან – 34 „ტორნადომ" და „ჰარიერმა". რაც შეეხება ფრანგულ გამანადგურებლებს, მათი რაოდენობა 65-მდე გაიზარდა. ამ თვითმფრინავებმა გადაიტანეს საბძოლო დარტყმების ძირითადი სიმძიმე. დარტყმებში მინიმალურ მონაწილეობას იღებდნენ 36 იტალიური და 20 გერმანული „ტორნადოები". ბლოკის დანარჩენი სახელმწიფოების თვითმფრინავები უპირატესად მხოლოდ საჰაერო პატრულირებაში

მონაწილეობდნენ (მოკავშირეთა ავიაციის დისლოკაცია იხ. ძირითად ტექსტში რუკაზე).

104. „უდაბნოს მელა“ რომმელის მეტსახელი იყო, იშვიათი ფაქტია, როდესაც მოწინააღმდეგე ისეთ პატივისცემას იწვევს, რომ შენს ოპერაციას მტრის სახელს არქმევ.

105. **საესკორტო ხომალდს** ვუწოდებთ იმას, რომელიც რუსული კლსიფიკაციით Эскадренный миноносец-ად იწოდება, რაც არასწორია. ამ ხომალდს ესკადრასთან და ნაღმებთან ძალიან ცოტა რამა აქვთ საერთო. მათ ევალებათ სანაპირო, წყალზედა და წყალქვეშა ობიექტების განადგურება. ამიტომ ინგლისურად ისინი სამართლიანად იწოდებოდა destroyer-ად ხოლო გერმანულად Zerstroeur-ად. ორივე სიტყვა გამანადგურებელ ხომალდს ნიშნავს, მაგრამ მათ მიმართ ამ სიტყვის მოხმარება არ გამოვიდოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენთან სიტყვა „გამანადგურებელი“ ფლოტს კი არა ავიაციას უკავშირდება. ამის გამო ამ ხომალდის სახელი შედარებით ნეიტრალურ „საესკორტო ხომალდათ“ ვთარგმნეთ.

106. **ტრიანდეფილოვი ვლადიმერ კირიაკოვიჩი** საბჭოთა სამხედრო თეორეტიკოსი, ავტორი ნაშრომებისა სიღრმისეული ოპერაციის პრინციპების შესახებ. ზოგი ისტორიკოსი მას საბჭოთა ოპერატიული ხელოვნების მამას უწოდებს.

107. **ტალი, ისრაელი** (1924). ისრაელელი გენერალი. 1956 წლის ომისას სინაის ფრონტზე სატანკო ბრიგადას მეთაურობდა. ეს გამოცდილება მას ძალიან გამოადგა 1967 წლის ექვსდღიანი ომისას, როდესაც ის ერთდროულად სარდლობდა სატანკო დივიზიასაც და ფრონტზე მოქმედ მთელ ჯავშანსატანკო დაჯგუფებასაც.

108. **იოფე აბრაამი** (1913-1983) ისრაელელი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე. 1953 წლიდან მეთაურობდა ბრიგადას, რომელმაც 1956 წლის ომისას თავი გამოიჩინა შარმ-ალ-შეიხთან ბრძოლაში. მოგვიანებით სარდლობდა ისრაელის სამხრეთის და ჩრდილოეთის სარდლობებს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ექვსდღიანი ომისას. გადადგომის შემდეგ პოლიტიკაში წავიდა. პარტია „ლიკუდის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. იყო კნესეტის დეპუტატი.

109. **წიგნის წერის** პროცესში შარონი ჯერ კიდევ პრემიერი იყო.

110. **ბარაჟირება** ნიშნავს ბრძოლის ველის თავზე ფრენას კონკერეტული ამოცანის გარეშე.

111. **მაკიაველი ნიკოლო** (1469-1527), განთქმული ფლორენციელი

მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე. ეკავა სხვადასხვა მაღალი თანმდებობები ფლორენციის ქალაქ-სახელმწიფოში. 1506 წელს დაეკალა ქალაქის ახალი წესით შექმნილი ლაშქრის (Ordinanza)-ს ხელმძღვანელობა. მაკიაველი თვლიდა, რომ სახალხო ლაშქარი, სადაც პატრიოტული სული და დისციპლინა ერთმანეთს ერწყმის ბევრად ქმედითუნარიანია, ვიდრე დაქირავებულ სამხედროთაგან შემდგარი არმია. მედიჩების დინასტიის განდევნის შემდეგ ეკავა უმაღლესი პოლიტიკური პოსტები. 1512 წელს მაკიაველის ორგანიზებული ლაშქარი დამარცხდა ესპანელ დაქირავებულებთან ბრძოლაში და იძულებული გახდა მშობლიური ქალაქიდან წასულიყო. ფლორენციაში დაბრუნებული მედიჩები მაკიაველის 1520 წელს შეურიგდნენ და ქალაქის ისტორიოგრაფად დანიშნეს. მაკიაველის ძირითადი ნაშრომია „მთავარი" (Il Principe) რომელიც თარგმნილია ქართულადაც. მაკიაველი ძლიერი ხელისუფლების მომხრე იყო, რომელიც თვლიდა, რომ მხოლოდ ამგვარ ხელისუფლებას შეუძლია ქაოსისა და ანარქიის, აგრეთვე გარე ძალების თარეშის აღკვეცა. იგი ამგვარ ხელისუფლებაში ხედავდა დაქსაქსული იტალიის გაერთიანების ინსტრუმენტს. ამისათვის მაკიაველი მზად იყო შეგუებოდა ტირანულ ხელისუფლებასაც კი. თუმცა გამოთქმა „მიზანი ამართლებს საშუალებას" რომელსაც მიაწერენ, მას არ ეკუთვნის. ასევე გაუმართლებელია მაკიაველისათვის უზნეო პოლიტიკის აპოლოგიის (რომელიც „მაკიაველიზმის" სახელითაა ცნობილი მიწერა). უბრალოდ ის ისევე იყო წინააღმდეგობებით აღსავსე, როგორც თავად რენესანსის ეპოქა.

112. **რაიმონდო გრაფი მონტეკუკოლი** (1609-1680) — ავსტრიელი სამხედრო მოღვაწე და თეორეტიკოსი, გენერალისიმუსი. მონაწილეობდა ოცდაათწლიან ომში. მისი სამხედრო საქმიანობის მწვერვალია 1664 წელს ოსმალებზე გამარჯვება, რის შემდეგაც უნგრეთის დიდი ნაწილი ავსტრიას შეუერთდა.

113. **ვობანი, სებასტიან დე ლე პრეტრი** (1633-1707) ფრანგი სამხედრო მოღვაწე და თეორეტიკოსი, საფრანგეთის მარშალი, თავისი ეპოქის უდიდესი სამხედრო ინჟინერი. სამხედრო კარიერა დაიწყო, როგორც პრინც კონდეს ხელქვეითმა. ააშენა 33 ახალი ციხე-სიმაგრე და მოდერნიზაცია ჩაუტარა 300-მდე ციხე-სიმაგრეს. მონაწილეობა მიიღო 53 სხვადასხვა ციხე-სიმაგრის ალყაში. მის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას იყენებდნენ მე-20 საუკუნის დასაწყისამდე.

114. **ფოში, ფერდინანდ დე** (1851-1929) — ფრანგი სამხედრო

მოღვაწე, საფრანგეთის მარშალი და გენერალისიმუსი, ბრიტანეთის ფელდმარშალი, პოლონეთის მარშალი და საფრანგეთის აკადემიის წევრი. 1873 წლიდან არტილერიის ოფიცერი. 1887 წელს დაამთავრა უმაღლესი სამხედრო აკადემია, სადაც მოგვიანებით 1895-1900 წლებში ასწავლიდა კიდეც და აქვეყნებდა ნაშრომებს სამხედრო ისტორიასა და თეორიაში. 1907 წლიდან აკადემიის უფროსი. 1911 წლიდან დივიზიის გენერალი, შემდეგ კორპუსის უფროსი. პირველი მსოფლიო ომისას სარდლობდა ჯერ კორპუსს, შემდეგ არმიას. 1917 წლიდან გენშტაბის უფროსი, ხოლო 1917 წლიდან მოკავშირეების შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. 1918 წელს კომპიენთან გერმანელებს უკარნახა კაპიტულაციის პირობები. ავტორი რიგი სამხედრო-თეორიული და სამხედრო-ისტორიული ნაწერებისა.

115. უეველი, არჩიბალდ პერსივალი (1883-1950) ბრიტანელი ფელდმარშალი (1943). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, 1916-17 წლებში ბრიტანეთის მეკავშირე ოფიცერი კავკასიის არმიაში. 1939 წლის ზაფხულიდან ახლო აღმოსავლეთში ბრიტანული ჯარების სარდალი, მოგვიანებით სარდლობდა მოკავშირეთა გაერთიანებულ ძალებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ხოლო შემდეგ ინდოეთსა და ბირმაში. მის შემდეგ ინდოეთის ვიცე-მეფე (მეფისნაცვალი).

116. მაქს ვებერი (1864-1920) დიდი გერმანელი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, ავტორი ნაშრომისა „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული", რომელიც აშუქებს რელიგიური და ეკონომიკური ფაქტორების თანაფარდობას ახალი დროის პირველ ეტაპზე. თავის ნაშრომებში ცდილობდა გაეაზრებინა კაპიტალიზმის გენეზისი და მას რელიგიურ ფაქტორს, სახელდობრ პროტესტანტიზმს უკავშირებდა. ვებერი თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, თუმცა მისი რიგი შეხედულებები (მაგალითად ის, რომ კონფუციანურ კულტურას შინაგანად არ ძალუძს კაპიტალიზმის ელემენტების ათვისება), რბილად რომ ვთქვათ სადავოა.

117. იამამოტო ცუნემოტო, (1659-1719) ყოფილი სამურაი, ბუდისტ მღვდლად აღკვეთის შემდეგ დაწერა წიგნი „ჰაგაკურე" , რომელშიც გადმოცემული და დასაბუთებულია თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი სამურაი. მისი ნაშრომის ერთ-ერთი გამოცემის წინასიტყვაობა ეკუთვნის მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის უდიდეს იაპონელ მწერალს იუსიო მისიმას.

118. ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხი გერმანული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი, რომლის შემოქმედება მთელი

მოდერნული ეპოქის თავისებური სინთეზია, რომელიც მოიცავს ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს — მეცნიერებიდან ხელოვნებამდე. მის მთელ ნააზრევს წითელ ხაზად გასდევს გონების ძლიერების რწმენა და რწმენა იმისა, რომ, რაც გონივრულია არსებობს კიდეც და რაც არსებობს ადრე თუ გვიან გონივრული გახდება. უდიდესი გავლენა მოახდინა კლაუზევიცზე.

119. **შელინგი, ფრიდრიხ-ვილჰელმ-იოზეფი** კანტთან და ჰეგელთან ერთად მე-19 საუკუნის გერმანული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი. თავიდან მისი და ჰეგელის (უნივერსიტეტის მეგობრები იყვნენ) შეხედულებები დიდად არ განსხვავდებოდნენ, მაგრამ შემდეგ არ გაიზიარა გონების ძლიერების და ისტორიის ლოგიკურობის ჰეგელისეული თეზისი და შეიმუშავა პოზიცია, რომლის თანახმადაც ყოველივეს საფუძვლად არა გონივრული საწყისი უდევს, არამედ მიუწვდომელი და დაუსაბამო ნება. შელინგმა უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ რომანტიზმზე. ხელოვნების და მითოსის შელინგისეული ანალიზი დღემდე შეუდარებლად რჩება. განსხვავებით კანტისგან და ჰეგელისგან შელინგის ნააზრევის კლაუზევიცზე გავლენა ცალკე შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამ ნაშრომის ავტორმა ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში სცადა ეჩვენებინა შელინგის გავლენა კლაუზევიცზე.

120. **ჰაიდეგერი მარტინი** (1889-1976) მე-20 საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსი, რომელმაც ახლებური პასუხი გასცა იმ კითხვებს, რომლებიც თავის დროზე კანტმა, შელინგმა და ჰეგელმა დააყენეს. ჰაიდეგერმა ახლებურად გადაიაზრა ყოფიერების (არსებობის) რაობა და მისი მიმართება დროსთან და სივრცესთან. ამასთან მისი აზრით საერთოდ არსებობის არსის გასაგებად ადამიანის არსებობის ანალიზიდან უნდა გამოვიდეთ. ამ არსებობის სპეციფიკა კი მისი სასრულობასთან მიმართებაა. ამ სპეციფიკიდან გამომდინარე ჰაიდეგერმა მოახდინა მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური აღმოჩენა, სახელდობრ ის, რომ ადამიანი მის არსებობაში არა წარსულსა და აწმყოზე, არამედ უპირატესად მომავალზეა ორიენტირებული, თანაც მომავალზე ამგვარი ორიენტაციისას ის ყოველთვის ხვდება სიკვდილს, რომელიც გაიგება, როგორც ამგვარ მომავალზე ორიენტაციის საზღვარი (რომელიც საბოლოო ჯამში ადამიანის მთელ არსებობას ამსხვრევს კიდეც და აზრსაც აძლევს), რომელიც განსაზღვრავს იმას თუ როგორი მიმართება გვაქვს აწმყოსა და წარსულთან.

ციტირებული ლიტერატურის სია

1. ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 5, 1968;

2. გამყრელიძე, მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ. 1965;

3. იოანე პეტრიწი „განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლებისა" თბილისი, 1999;

4. სუნ ძი ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ, თბილისი, 2000;

5. ქართლის ცხოვრება ტ. I, თბილისი, 1955;

6. ქართული ხალხული სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, თბ. 1991 ტ. II;

7. ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბილისი 1968;

8. ჩხატარაიშვილი ქ. შაიშმელაშვილი ი. დიდგორის ბრძოლა, თბ. 1973;

9. ჰაიდეგერი ყოფიერება და დრო;

10. Амиан Марцеллин. История Рима СПб. Алетейя 1994;

11. Бисмарк. О. Мысли и воспоминания. ОГИЗ 1941. т. 2;

12. სტატია Глубокая операция болшая советская энциклопедия ელვერსია http://www.philipp-bittner.com/index.html;

13. Л.Н. Гумилев Древние Тюрки , т.1. Москва 1999;

14. ГГ. Дельбрюк. История военного исскуства. Минск. Русич. 1997 Т.1;

15. Г. Дельбрюк. История военного исскуства. Минск. Русич. 1997 Т.II;

16. К.М. Иностранцев. сасанидская военная теория სამხედრო-ისტორიული ჟურნალი para bellum, №19, 2004.
http://www.vzmakh.ru/parabellum;

17. Итоги Второй мировой войны. Выводы побеждённых К. Типпельскирх, А. Кессельринг, Г. Гудериан и др.
http://militera.lib.ru/h/ergos/index.html;

18. Э. Кингстон-Макклори Глобальная стратегия - М-Жуковский, 2005;

19. У. Кларк. Как победить в современной войне М. 2004

20. Клаузевиц. К. О войне. М. 2003.
http://militera.lib.ru/science/clausewitz/index.html;

21. Лиддел-Гарт сэр Бэзил. Стратегия непрямых действии.
MILITERA.LIB.RU/SCIENCE/LIDDEL_HART1/INDEX.HTML

22. З. Майяни - Этруски начинают говорит М. 1966;

23. С. Переслегин. План Гельб-эхо-вариант плана Шлифена დამატება წიგნისა Галактионов М. Париж. 1914 М. АСТ 2001.

24. С. Переслегин. Основные понятия аналитичуской стратегии დამატება წიგნისა Э. Манштейн - Утеренные победы М. АСТ. 2002;

25. С. Переслегин. Стратегия Чуда. Введение теорию неаналитических операции. დამატება წიგნისა Лиддел-Гарт Вторая мировая война;

25'. С. Переслегин. Риск как фактор стратегии დამატება წიგნისა Лиддел-Гарт вторая мировая война. М. АСТ. 1999;

26. Г. Раушнинг. Говорит Гитлер М. МИФ 1993;

27. Свечин. Стратегия. Введение.
militera.lib.ru/science/svechin1/pre2.html;

28. А. Силантьев. Пути победы. ბოლოსიტყვა კოლონელ ლოურენსის წიგნისა „სიბრძნის შვიდი საფუძველი", Лоуренс аравийский Востание в пустыне. М. 2002 АСТ;

29. Советская военная энциклопедия М. 1983;

30. Советская военная энциклопедия т.7 . М.1979;

31. Стратегия в трудах военных классиков. Том II.
http://militera.lib.ru/science/classic2/index.html;

32. Триандафиллов Владимир Кириакович. Характер операций современных армий.
http://militera.lib.ru/science/triandafillov1/02.html გვ. 41;

33. Р. и У.Черчилль. Шестидневная война ИЗДАТЕЛЬСТВО "БИБЛИОТЕКА-АЛИЯ", ИЕРУСАЛИМ, ИЗРАИЛЬ, 1989 репринт с издания 1975 г. გვ. 4;

34. М. Элиаде. От Залмоксиса до Чингиз-хана ჟურნალი "Кодры", 1991, N. 7;

35. Энциклопедия воееной мыслы. Под редакции Питера Тауараса ЭКСМО. 2002;

36. Ямамото Цунэтомо Хагакурэ.
http://aikidoka.ru/bushido/hagakure.html;

37. M. van Krefeld Die Zukunft des Krieges. Gerling Akademie Verlag. Munchen,1998;

38. Colonel Michael R. Matheny The roots of modern american operational art.
www.maxwell.af.mil/au/awc/awcgate/army-usawc/modern_operations.pdf
გვ. 4-5.